ქ ა რ თ უ ლ ი
საბჭოთა საბავშვო
ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ნინო ნაკაშიძე

ნინო იოსების ასული ნაკაშიძე დაიბადა 1872 წელს სოფ. ბახვში (გურია). მწერლის მამა—იოსებ ანთაძე ღარიბი აზნაური იყო. ექვსი წლისა იყო ნინო, როდესაც კითხვა შეისწავლა. პირველდაწყებითი სწავლა ნინომ ბახვში მიიღო, საიდანაც იგი გადაიყვანეს ოზურგეთის (ამჟამად მახარაძე) ორკლასიან სასწავლებელში. ოზურგეთში მას ასწავლიდა მარიამ დემურია (საბავშვო ჟურ. „ნაკადულის" პირველი რედაქტორი). მასწავლებელისა და მოწაფეს შემდგომ ერთად მოუხდათ მუშაობა „ნაკადულის" რედაქციაში. 1884 წელს ნინომ დაამთავრა ოზურგეთის სკოლა. 1889 წელს მამამ ნინო თბილისში ჩამოიყვანა და მიაბარა საბებიო ინსტიტუტში.

1894 წელს ნინო გათხოვდა ცნობილ ჟურნალისტ ილია ნაკაშიძეზე; ნინო და ილია დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდნენ.

ნინო ნაკაშიძე საშწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1905 წლის რევოლუციისათვის გაცხოველებული მხადების პერიოდში. 1902 წელს „კვალში" დაიბეჭდა ნ. ნაკაშიძის ლექსი „იმედი". ნ. ნაკაშიძეს მწერლის სახელი მოუპოვა მოთხრობა „ძიძამ", რომელიც 1903 წელს დაიბეჭდა „კვალში". 1904 წლიდან მუშაობა დაიწყო ჟურ. „ნაკადულის" რედაქციაში. 1905 წელს დაბეჭდა საბავშვო მოთხრობები—„ბავშვები და ბეღურები" და „როგორ ხვდებიან ახალ წელიწადს გურიაში." იმ დროიდან დღევანდლამდე ნ. ნაკაშიძემ თავისი მოღვაწეობის თითქმის 50 წელი საბავშვო ლიტერატურას შესწირა. 1910 წლიდან იგი ჟურნალ „ნაკადულის" რედაქტორია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნინომ დიდი მუშაობა ჩაატარა საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის გამოცემის ორგანიზაციისა და ახალგაზრდა კადრის აღზრდისათვის; ნ. ნაკაშიძემ ბავშვებისათვის დაამუშავა აგრეთვე ბევრი ხალხური ზღაპარი.

ჩიტის ბუდე

ნიკომ და ელომ ბუჩქებში ჩიტის ბუდე იპოვეს. ბუდეში ოთხი პაწაწა, სრულიად ტიტველა ბარტყი იჯდა. გახარებულმა ბავშვებმა ბარტყები ამოსხეს და შინ მოიყვანეს, ჩაუგეს კოლოფში ბამბა და შიგ ჩასვეს; მოუტანეს რძეში ჩასველებული პური, ჭიები, შაქარი, მაგრამ ბარტყები არაფერს არ ჭამდნენ და ჭყიოდნენ.

ნიკომ და ელომ აღარ იცოდნენ, როგორ დაეწყნარებინათ ჩიტუნები და თვითონაც ღელავდნენ. კოლოფი აივანზე გამოიტანეს, არ შორდებოდნენ და ეფერებოდნენ. ბარტყები მაინც ჭყიოდნენ და ჭყიოდნენ. ამ დროს დაინახეს, რომ ორი პატარა ჩიტუნა მოფრინდა და შორიახლო დაიწყო ფრენა და ჭყივილი. ნიკომ და ელომ გარეკეს ჩიტუნები, მაგრამ რამდენსაც არ ერეკებოდნენ, ისინი ისევ მოდიოდნენ და არ შორდებოდნენ აივანს. მამაც მოვიდა სამუშაოდან.

ბავშვებმა მაშინვე ბარტყები აჩვენეს და უთხრეს:

— მამილო, გვასწავლე რა ვაჭამოთ პატარა ბარტყებს, არაფერს არ ჭამენ და გვეცოდება.

მამამ შეხედა ჩიტუნებს და უთხრა:

— თუ მართლა გეცოდებათ და არ გინდათ დაიხოცონ, ახლავე წაიყვანეთ და ჩასვით ისევ ბუდეში, სადაც იყვნენ. იქ კი დედ-მამამ იცის რა აჭამონ. აი, ხომ ხედავთ, როგორ ტირიან მათი მშობლები, ბარტყები რომ წაართვით და წამოიყვანეთ.

ნიკოსა და ელოს მართლაც შეეცოდათ ჩიტუნები, თუმცა ძალიან ენანებოდათ, მაგრამ წაიყვანეს და ჩასვეს ბუდეში. შემდეგ ბუჩქებში ჩაიმალნენ და უყურებდნენ, როგორ მოუტანეს საჭმელი დედა და მამა ჩიტუნებმა, როგორ აღებდნენ ბარტყები ყვითელ ნისკარტს და ყლაპავდნენ საჭმელს.

— არა, ნულარ ამოვიყვანთ, გაზარდონ მშობლებმა.

— ჩვენ კი ყოველდღე მოვიდეთ და ვუყუროთ, როგორ გაზრდიან და დააფრენენ. — უთხრა ნიკომ და წავიდნენ შინ.

მოსაღამოვღა, ელო და ნიკო გამოვიდნენ ჩიტუნების სანახავად. ჩუმად მივიდნენ და დაინახეს: ერთი ჩიტუნა იჯდა ბუდეში, ფრთები ბარტყებისათვის გადაეფარებინა და ეძინა, მეორე კი ახლო, პატარა ტოტზე იჯდა და იმასაც ეძინა.

მზე ჩავიდა, უკვე ბინდდებოდა, როცა ელოსა და ნიკოს მოესმათ დედის ძახილი:

— ელო, ნიკო, სადა ხართ, მოდით სახლში, ივახშმეთ და დაიძინეთ, ძილის დროა.

— წავიდეთ, ნიკო, — უთხრა ელომ ძმას. — თუ ჩიტები მიხვდნენ, რომ ძილის დროა, განა ჩვენ კი ვერ უნდა მივხვდეთ? — მოჰკიდა ხელი ნიკოს და ორივენი გაიქცნენ შინისაკენ.

პატარა ეთერის დღე

პატარა ეთერიკოს დილით ადრე გაეღვიძა, გაიცინა და დაიძახა:

— დედიკო, დედიკო, ეთერიკოს გაეღვიძა, ჩააცვი ტანზე, ეზოში უნდა გაიქცეს. დედიკო, ხომ გაიგონე, როგორ ყივის ჩვენი მამალი: „ყიყ-ლი-ყოო, ყიყ-ლი-ყოო!“

• •

ადგა ეთერი, მაგრამ ჯერ ხომ პირი უნდა დაიბანოს! მას უყვარს პირის ბანა, უყვარს საპონი რომ აქაფდება, წყალი რომ შხაპუნობს. ახსოვს დედის ნათქვამი: „არ დაგავიწყდეს ყურების და ცხვირის დაბანა!“ ისიც იბანს ყურებს, ცხვირს.

ყურში იქვე ჩაცუცქულა და უნდა დაავლოს პირი იმ თვალდაჭყეტილ გოგოს, იატაკზე რომ გდია, და მარჯვედ დასვას, მაგრამ იცის, რომ ეთერიკოს არ უყვარს, როდესაც ყურში პირს ჰკიდებს მის დედოფალას.

ეთერიკომ ისაუზმა, პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა და საბავშვო ბაღში წასასვლელად მოემზადა. უცებ გაახსენდა, რომ ქათმები არ დაუპურებია. ჩაყარა ჯამში სიმინდი და ეზოში გაიქცა:

— ჯუ-ჯუ-ჯუ, ჯუ-ჯუ-ჯუ! — უძახის ეთერიკო. მორბიან ქათმები: თეთრა, ქოჩორა, ნაცარა, მამალი-ყიყლიყო.

— ჭამეთ, ჭამეთ, კარგებო! ბევრი, ბევრი კვერცხები დადეთ და ლამაზი წიწილები გამოჩეკეთ! — ეუბნება მათ ეთერიკო.

• •

ეთერი მივიდა საბავშვო ბაღში.

უჰ, ყველანი მოსულან: ნიკა, ჯაჯუ, თამრიკო, ნუცა... როგორ იცინიან, როგორ გაუხარდათ ეთერის მოსვლა!

— ძერწვა გვაქვს, ძერწვა, — იძახდნენ ბავშვები.

ყველანი შემოუსხდნენ მაგიდებს და დაინაწილეს თიხა. მარომ ფინჯანი გააკეთა, ეთერიკომ ყურში გამოძერწა, მაგრამ ფეხები ვერ მიაწება; სერგომ კი ავტომობილი გააკეთა.

— შეხედეთ, დეიდა ნატო, რა მშვენიერი ავტომობილია, — და თაროზე დადგა. შემდეგ ბავშვები რიგზე დააწყო და მეორე ოთახისკენ წაიყვანა, საიდანაც მუსიკის ხმა მოისმოდა.

— ვითამაშოთ, ვითამაშოთ, — შეჰყვირეს მერაბმა და ქეთინომ.

* *

დიდ დარბაზში დეიდა ელო როიალს უკრავდა. ბავშვებმა იმღერეს: „ჩვენ ასე ვთესავთ ყანას“, „მერცხლის გადაფრენა“, „კურდღელი“.

— დეიდა ელო, საცეკვაო დაუკარით! — დაიძახა შალვამ.

— აბა, ნათელა, შენ და შალიკომ იცეკვეთ! — შეჰყვირეს ბავშვებმა.

— ტაში, ტაში, ტაში!

იგრიალა ტაშმა, დატრიალდნენ შალიკო და ნათელა! გაჩაღდა ცეკვა, თამაში, სიცილი.

ქეთო გაიქცა, დოლი მოიტანა, თავისი დიდი ლამაზი დოლი და როიალს ააყოლა.

* *

— მატარებლობანა ვითამაშოთ, მატარებლობანა!

— ნიკო ოროქლმავალია, ორთქლმავალი! მოკიდეთ ხელი ნიკოს!

მოეკიდა ყველა ნიკო-ორთქლმავალს. ნიკომ წინ გაიწია, აგუგუნდა, ადუღდა: ბუჰ-ბუჰ, ბუჰ-ბუჰ! ჩუხ-ჩუხ, ჩუხ-ჩუხ!..

ვაგონებმა დაიძახეს: — ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!.. მორბის, მორბის, მორბის!.. — და გაიქცნენ ოთახებში სტვენითა და ბაკუნით: — ჩუხ-ჩუხ, რახ-რახ-რახ, ბრახ-ბრახ-ბრახ!..

უჰ, რა კარგი მატარებელი იყო, როგორ მიჰქროდა!

— ბავშვებო, გეყოფათ დღეს მუშაობა და თამაში, შინ წასვლის დროა! — უთხრა ბავშვებს დეიდა ნატომ.

* *

მოვიდა ეთერი შინ. დედას უკვე მოემზადებინა სადილი. ეთერისთვის დასხმული იყო წვენი მათლაფაზე.

რა გემრიელი წვენი იყო! ყველაფერი მოეწონა ეთერიკოს: პურიც, ფლავიც.

— მანდ, კალათში, ვაშლებია და მოიტანე, — უთხრა დედამ, როდესაც სადილი გაათავეს.

ეთერიკო გაიქცა ვაშლების მოსატანად.

ნასადილევს ბებია დასაძინებლად წავიდა, მამა გაზეთს კითხულობდა, დედა ეთერიკოს კაბას უკერავდა, ეთერიკოს კი ფანჯარაზე სათამაშოები ელოდა და იმათთან გაიქცა. დაალაგა, დაასუფთავა, დედოფლებს ტანისამოსი გამოუცვალა, ლოგინი გაუსწორა და უთხრა:

— აბა, ჩემო კარგებო, ჭკვიანად იყავით, არ იცელქოთ, ფანჯრიდან არ გადმოვარდეთ. მე აი, იქ რომ ფერადი ფანქრები ყრია, ის უნდა დავალაგო და მერე ლოგინში ჩაგაწვენთ. ხედავთ, დაღამდა, ცივა, გარეთ თამაში აღარ შეიძლება, ტყუილად არა მთხოვოთ.

* *

— აბა, ჩემო პაწია, მოდი, უნდა გაბანაო, ძილის დროა! — დაუძახა ეთერიკოს დედამ.

ეთერიკოს უყვარს ბანაობა, თბილ წყალში ჭყუმპალაობა და მაშინვე გაიქცა დედასთან. ანთებულ ღუმელთან აბაზანა უკვე წყლით იყო სავსე.

— უჰ, რა კარგია! — იცინის ეთერიკო.

დედამ გახადა, ჩასვა წყალში, დაბანა პაწია გოგონა.

ახლა ამოიყვანს, გაამშრალებს, ჩაიკრავს გულში, ბევრს აკოცებს და ჩააწვენს თბილ ლოგინში.

რვა საათია, ეთერის კიდეც ეძინება.

ვინ დათესა პირველად პური?

პატარა ნუნუ ავად არის. ექიმმა თქვა: უნდა იწვეს, ადგომა არ შეიძლებაო.

მოწყენილია პატარა ნუნუ. მამა სამსახურში დადის და მხოლოდ საღამოს ბრუნდება, დედა არ ჰყავს. მარტო ბებია არის მასთან. მოხუცი, თმათეთრი ბებია, რომელიც მთელი დღე მუშაობს, მთელი დღე ფუსფუსებს და მხოლოდ საღამოობით მიუჯდება ნუნუს, ეალერსება და ესაუბრება.

— ხომ ჭკვიანად იყო დღეს ჩემი გოგონა?

— ჭკვიანად, ბები, ჭკვიანად. სადილიც ვჭამე, არ გავნძრეულვარ. ვიცოდი, თუ ჭკვიანად ვიქნებოდი, ზღაპარს მიამბობდი.

— აბა, ჩაიც დალიე.

ბებიამ მოუტანა დაშაქრული ჩაი და თეთრი პური.

— აჰ, რა მშვენიერი თეთრი პურია, რბილი და გემრიელი. როგორ დათესეს პირველად პური, ბები, მიამბე!

— პურის ზღაპარი? შენ გინდა გაიგო, როგორ აცხობენ ამისთანა მშვენიერ პურს?

— არა, ბებიკო, მე ხომ ვიცი, როგორ აცხობენ პურს, როგორ აწყობენ ფურნეში დამრგვალებული ცომის გუნდებს და როგორ ცხვება წითელი, ლამაზი პურები. მე მინდა გავიგო, ვინ გამოიგონა პირველად პური.

— შენ გინდა გაიგო, როგორ თესავენ პურს?

— არა, ბები, მე ხომ ვიცი, როგორ თესავენ, როგორ მკიან, როგორ ლეწავენ. მე მინდა გავიგო, ვინ მოიფიქრა პირველად პურის დათესვა.

— აჰაა, აი, თურმე შენ რა გინდა, — გაიცინა ბებიამ. — იცი, რომ პირველად პური პატარა გოგონამ დათესა?

— მართლა, ბებიკო, როგორ დათესა, როდის, რატომ იმისმა მამამ არ დათესა?

— ნუნუ, ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ, მაშინ არავინ იცოდა პურის თესვა. ყველა მამაკაცი მონადირე იყო, სანადიროდ დადიოდა ტყეებში, ხოცავდა დათვებს, ირმებს, ხარებს, მგლებს, კურდღლებს, მოიტანდა მღვიმეში, გაატყავებდა, ტყავს ტანისამოსად და ძირს დასაფენად ხმარობდა, ხორცს კი გლეჯდა და უმად თქლაფა-თქლუფით სანსლავდა. ქალები ხანდახან ნაკვერცხალზე თუთქავდნენ და ისე ჭამდნენ. სანამ ხორცი ჰქონდათ, ჭამდნენ, მღეროდნენ და ხტოდნენ, რომ გამოელეოდათ, მამაკაცები ისევ მიდიოდნენ სანადიროდ, რასაკვირველია, ქალებიც მიჰყვებოდნენ, რომლებსაც ძუძუმწოვარა ბავშვი არ ჰყავდათ და ახალგაზრდები და ღონივრები იყვნენ.

— შენისთანა მოხუცებულები, ბები, არ მიდიოდნენ?

— ჩემისთანა მოხუცებულები არ მიდიოდნენ. მოხუცებულები და ბავშვები ცეცხლს ყარაულობდნენ მღვიმეში, რომ არ გამქრალიყო; ოოჰ, ცეცხლი რომ გამქრალიყო, დიდი სასჯელი მოელოდათ მაშინ ცეცხლფარეშებს, იმიტომ რომ ზამთარში ყველას უყვარდა მღვიმის შუაგულში, ქვის დიდ კერასთან აგუზგუზებული წითელი ცეცხლი. ყველანი შემოუსხდებოდნენ გარს და თბებოდნენ, გლეჯდნენ ნანადირევს და ჭამდნენ. გაძღებოდნენ, წამოწვებოდნენ იქვე ცეცხლის პირას რბილ ტყავებზე და იძინებდნენ. ნანადირევი რომ გამოელეოდათ, ისევ მიდიოდნენ სანადიროდ. გაზაფხულდებოდა თუ არა და მზე გაათბობდა ქვეყანას, მთები და მინდვრები რომ ამწვანდებოდა, ყველანი გამოცვივდებოდნენ გარეთ და დარბოდნენ, მღეროდნენ, ყვიროდნენ და დახტოდნენ გამოქვაბულის წინ. თუ მონადირეებს დააგვიანდებოდათ ნანადირევის მოტანა, მღვიმეში დარჩენილნი მიდიოდნენ ბალახის ძირებისა და ჭიაღუის საძებნელად; რასაც იშოვიდნენ, ჭამდნენ.

— როგორ, ჭიაღუას ჭამდნენ? — გაუკვირდა ნუნუს.

— ჭამდნენ, მაშ... და აი, სწორედ ერთ გაზაფხულის დღეს ყოჩაღი

და ლამაზი პატარა გოგონა შორს წავიდა საჭმლის საშოვნელად და, როდესაც ტყის პირას მივიდა...

— როგორ, გოგონა მარტო გაუშვეს ტყის პირას? რა ერქვა იმ პატარა გოგონას?

— უთუოდ არც კი შეუმჩნევიათ როგორ წავიდა გოგონა, მას ერქვა... ნუ...

— ნუ? ნურუ, ბები? როგორც მე?

— მღვიმეში მცხოვრებმა ხალხმა გრძელი სახელების დაძახება არ იცოდა, უთუოდ ნუნუ იქნებოდა.

— მერე, ბები, ტყესთან რომ მივიდა ნუ?..

— ჰოდა, ტყის პირი ხომ ყოველთვის ეკალბარდითაა სქლად დაბურული. ტყის პირად ხომ წითელი მარწყვია...

— მაყვალიც, ბები.

— მართალია, მაგრამ როდესაც ნუ მივიდა, მაყვალი და მარწყვი არ დაუნახავს, რაღაც უფრო საკვირველი დაინახა. — ბებია ცოტა ხანს შეჩერდა.

— რა, რა ნახა, ბები?

— ნახა. რომ ეკალბარდიდან გამოძვრა დიდი ჭრელი ქათამი, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ქათამმა გაბა კრუხუნი და ეკალბარდიდან მაშინვე გამოცვივდნენ პატარა ყვითელი წიწილები. ნუს უწინაც უნახავს ქათამი, მაგრამ ხეზე შემჯდარი, მისი წიწილები კი არასოდეს არ უნახავს და ახლა გაკვირვებული და გახარებული თვალს ვერ აშორებდა ლამაზ, ჩარგვალებულ წიწილებს. ნუ ჩაცუცქდა, უნდოდა დაენახა, რას იზამდა კრუხი და მისი წიწილები. კრუხმა ჩაჭკრა ნისკარტი ბალახებში და ერთი თავაშვერილი ბალახის თავთავიდან (ნუმ იცოდა, რომ ამ ბალახს თრიისკუდა ერქვა) გადმოცვივდა წვრილი მარცვლები. წიწილები მისცვივდნენ და დაუწყეს კენკვა, კრუხმა მეორე თრიისკუდას ჩაუნისკარტა. მერე მესამეს, მეოთხეს... კრუხიც და წიწილებიც დაძღნენ, გაიწმინდეს ნისკარტები. კრუხი ჩაჯდა და წიწილები ფრთებქვეშ შეუსხდნენ...

ოჰ, როგორ გაუხარდა ნუს! — დავიჭერ ამათ, წავიყვან შინ და ყველას ვაჭმევ — გაიფიქრა მან, მაგრამ მიუახლოვდა თუ არა დასაჭერად, კრუხი კრიახით წამოვარდა და ეცა ნუს. კარგი რომ გოგონას ტყავის ტანისამოსი ეცვა და ვერაფერი დააკლო. ნუმ მოუსვა ხელი წიწილებს, დაიჭირა და ჩაისხა უბეში, კრუხი დაედევნა, აფრინდებოდა ზერგზე, უნისკარტებდა, მაგრამ ნუ მირბოდა.

— ოჰო, ჰოო, რა მოვიყვანე! — ყვიროდა შორიდანვე ნუ.

— რა მოიყვანე?

— გვაჭამე, გვშია, — ყვიროდნენ ბავშვები და მორბოდნენ. ნუმ ამოიყვანა უბიდან ბარტყები, მხოლოდ იმდენი წიწილა დარჩენილიყო ცოცხალი, რამდენი თითიც ჰქონდა ერთ ხელზე.

— ხუთი, ბები?

— ჰო, ხუთი, დანარჩენი გაგუდულიყო უბეში. ერთი გაგუდული წიწილა მაშინვე იკრა პირში.

— აჰ, რა გემრიელია, — თქვა ნუმ, დანარჩენი ბავშვებს დაურიგა. — ცოცხლებს ხელი არ ახლოთ, უნდა გავზარდო, — უთხრა მან ყველას.

— მე კიდევ მინდა, — შეჰყვირა ერთმა და წაიწია წიწილების ასაყვანად.

ნუ ღონიერი გოგონა იყო, ბიჭი არ მიუშვა.

ნუმ ბარტყები გამოქვაბულის წინ დასვა მინდორზე და ხორცი მიუტანა, მაგრამ პატარები ჭყიოდნენ და არც ხორცს, არც ბალახს არ ეკარებოდნენ.

— ფრინველები ხორცს არ ჭამენ, ბარემ მიეცი ბავშვებს, დაიხოცებიან, — უთხრა ნუს დედამ.

— არა, არა, დე, ხედავ, რა ლამაზებია, არავის არ მივცემ, გავზრდი. მე ვიცი რას ჭამენ და მოვუტანი.

ნუს უთვალთვალებდნენ ამხანაგები, მაგრამ მას ღამე წიწილები უბეში ჰყავდა. მეორე დილითაც უბით წაიყვანა თან და გაიქცა იმ ადგილას, სადაც წინა დღით დაიჭირა. კრუხი ისევ ისე დარბოდა, მაგრამ ნუს დანახვაზე გაფრინდა და ხეზე შეჯდა.

— აღარ დაკორტნა?

— აღარა. ნუნუ, უთუოდ ვერც კი იცნო, რომ ის გოგონა იყო, გუშინ რომ წიწილები წაართვა.

ბებია შეჩერდა.

— მერე, ბები?

— ნუმ შეაგროვა, რაც ახლომახლო მარცვლებით სავსე თრიისკუდა იყო, და შინ წამოიღო, დაფშვნა და მღვიმის წინ ბარტყებს დაუყარა მოლზე. ოჰ, როგორ გაუხარდათ წიწილებს! კენკავდნენ და დახტოდნენ. გაძღნენ. ნუმ პაწია ორმო ამოთხარა მიწაში, შიგ წყალი ჩაუსხა. წყალიც დალიეს. ნუ კი არ შორდებოდა, ყარაულობდა, რომ მის ამხანაგებს არ შეესანსლათ.

საღამოს მოვიდნენ ნანადირევით დატვირთული მონადირეები და ერთ მოხუცს რომელსაც მღვიმეში მცხოვრები ყველა დიდი და პატარა ემორჩილებოდა, ყველაფერს უჯერებდა და დიდ პაპას ეძახდა, სწორედ იმას შეეხვეწა ნუ:

— დიდო, კარგო პაპავ, მე მინდა ეს წიწილები გავზარდო, გთხოვ, საყვარელო პაპავ, უბრძანო ყველას, რომ არავინ დაიჭიროს და არ შეჭამოს.

დიდმა პაპამ თავზე ხელი გადაუსვა გოგონას და უთხრა:

— გაზარდე, ნუ, გაზარდე. ვერავინ ახლებს ხელს. მართლა რა ლამაზები და კარგებია. ვისაც შია აი, რამდენი ხორცი მოვიტანეთ, ჭამოს.

ნუ დამშვიდდა, მან იცოდა, რომ დიდი პაპის ბრძანებას ვერავინ დაარღვევდა, და აღარ ეშინოდა, რომ ვინმე შეჭამდა მის წიწილებს. ყოველდღე მირბოდა და მოჰქონდა ტყიდან თრიისკუდა.

წიწილები დაიზარდნენ, ახლა ღამე ნუს უბეში კი არა, გარეთ, მღვიმესთან ხეზე სხდებოდნენ და იქ იძინებდნენ. დილაობით ერთი დიდი და წითელი მა, როგორც ნუ ეძახდა მამალს, გაბამდა ყივილს და აღვიძებდა ყველას მღვიმეში. მამლის ყივილი ყველას ახარებდა, რადგანაც ყივილი სწორედ მზის ამოსვლისას იცოდა, და შენ ხომ იცი, ნუნუ, თუ როგორ უყვარს ყველას მზე ახლაც და მაშინ კი ისე უყვარდათ, რომ მზის ამოსვლას ყოველთვის აღტაცებული სიმღერითა და ცეკვა-თამაშით ეგებებოდნენ.

ოთხმა წიწილამ, ახლა უკვე დიდმა ქათამმა, გაზაფხულზე კვერცხები დადო, აკრუხდნენ და წიწილები დაჩეკეს. თრიისკუდას მარცვლების მეტს ისინი არაფერს ჭამდნენ, მაგრამ თრიისკუდაც მოედო მთელ მინდორს და ყოფნიდა ქათმებს. იქ კი, სადაც ბალახი არ იყო, თრიისკუდა უფრო დიდი იზრდებოდა და უფრო მსხვილ მარცვალს იკეთებდა. შიმშილობის დროს მონადირეებს რომ დააგვიანდებოდათ, შინ დარჩენილები ქათმებს ჭამდნენ.

— დიდო პაპავ, — უთხრა ნუმ დიდ პაპას, — ნება მომეცი, ბალახი მოვგლიჯო და მარტო თრიისკუდა დავტოვო.

— ძალიან კარგი.

თრიისკუდა გაიზარდა და უფრო დიდი თავთავი გაიკეთა. ნუმ ხელისგულზე ერთი ხმელი თავთავი მოფშვნიტა და მარცვლები შეჭამა...

— ოჰ, რა გემრიელია, დიდო პაპავ, ქვაზე დავნაყავ, დარბილდება და შენც გაჭმევ, საყვარელო პაპავ.

— იცი, ნუ, — უთხრა პაპამ, — იქ, ხევის გაღმა ბევრი თრიისკუდაა.

ნუ გაიქცა ხევს გაღმა. იქ მართლაც რომ ბევრი თრიისკუდა იყო, მაგრამ უფრო მაღალი, მსხვილი და მოგრძო მარცვლებიანი...

ნუ მოიტანა მარცვლები, მღვიმის ახლო რბილ მიწაზე მოაპნია. გაზაფხულზე მარცვლები ამოვიდა, გაიზარდა, ზაფხულში თავთავი გაიკეთა და გახმა. ნუმ მოფშვნიტა და აჭამა დედებს, მამებსა და ბავშვებს. პაპისათვის ახლაც ქვაზე დანაყა მარცვლები.

— ყოჩაღ, ნუ, რა გოგონაა, ხედავთ, ქათმებიც მოიშინაურა და მარცვლებიც გაზარდა.

— ოჰ, თქვენ რომ იცოდეთ, რა გემრიელია, თუ დანაყავ, წყალში აზელ, ბრტყელ ქვაზე დადებ და მზეზე გაახმობ, — დაიძახა ერთმა ბიჭმა და მაშინვე ჩაჩუმდა შეშინებული.

— შენ რა იცი, ბიჭო, — უთხრა მკაცრად დიდმა პაპამ.

მაშინ ბიჭმა დაიჩოქა პაპას წინ და წარმოთქვა:

— საყვარელო დიდო პაპავ, გეხვეწები არ დამსაჯო, არ გამაძეო მღვიმედან. მე ჩუმად წავიღე მარცვლები, როდესაც ნუ არ იყო შინ, დავნაყე, მოვზილე, ბრტყელ ქვაზე დავდე და მზეზე გავაშრე. აი, საყვარელო პაპავ, ნახე, — ბიჭმა უბიდან გამოიღო კარგა მოზრდილი, მზეზე გამხმარი პური.

დიდმა პაპამ გატეხა პური, შეჭამა და მკაცრად უთხრა ბიჭს:

— ამჯერად მიპატიებია. აღარ დაგსჯი, რომ უკითხავად წაიღე მარცვლეული, რადგან ამის შემდეგ ყველა ვისწავლით პურის მზეზე და ცეცხლთან გახმობას.

ამის შემდეგ პაპა და ქალები ყოველ წელიწადს გაასუფთავებდნენ ხოლმე მინდორს ბალახისაგან, თესავდნენ თრიის მარცვლებს, შემდეგ ნაყავდნენ, აცხობდნენ ხან მზეზე და ხან ცეცხლზე და აღარ შიმშილობდნენ — თუ მონადირეებს დააგვიანდებოდათ.

აი, რა სარგებლობა მოუტანა პატარა ნუმ მთელ ტომს.

ა რ ი შ კ ა

(ნამდვილი ამბავი)

მე მინდა გიამბოთ პატარა გოგონა არიშკას ამბავი. ცხოვრობდა იგი სოფელში, ჩვენს მეზობლად, ერთ ქალთან. ყველას გვეგონა, რომ ეს ქალი პატარა გოგონას დედა იყო. ვიცოდით, რომ ისინი რუსეთიდან იყვნენ გადმოხვეწილნი ომიანობის გამო. მეზობელ ქალებსა და ბავშვებს ებრალებოდათ მუდამ შეწუხებული ქალი და გოგონა, ყველანი თანაგრძნობით ეპყრობოდნენ და მიჰქონდათ მათთან სხვადასხვა ხილეული.

გოგონა იქნებოდა შვიდი თუ რვა წლისა. ის არავის არ ეკარებოდა, სულ ჩუმად იყო, მხოლოდ ზოგჯერ გამოვიდოდა ხოლმე სოფლის შარაგზაზე, დაიწყებდა წინ და უკან სიარულს და ყოველთვის ერთსა და იმავე სიმღერას მღეროდა. სიმღერის შემდეგ ატირდებოდა და შინისკენ

გაიქცეოდა. ხმა სასიამოვნო ჰქონდა, როგორც გაისმოდა მისი წკრიალა სიმღერა, ყველანი გამოვიდოდით და ყურს ვუგდებდით. გოგონა თმაშეკრეჭილი, ქერა და ლურჯთვალება იყო, ტანზე წითელი კაბა და ფეხებზე წითელი წუღები ეცვა.

სოფელში გაცხარებული მუშაობა იყო: ჭირნახულის, ბოსტნეულის აღება, რთველი და სხვა.

ომის გამო გადმოხვეწილი ხალხი მიეშურებოდა ჩვენი სოფლის გზაზე. მიდიოდნენ კახეთისაკენ ფურგონებით, მანქანებით.

ხალხი განრისხებული იყო ფაშისტების თავხედობით და ჩქარობდა სწრაფად და უდანაკარგოდ აეღო ჭირნახული, რომ ამით თავისი წვლილი შეეტანა საერთო საქმეში. ახალგაზრდობა მიეშურებოდა წითელი არმიის რიგებში ჩასადგომად, რომ მედგრად დახვედროდა გათავხედებულ მტერს, ჩვენი ქვეყნისაკენ რომ აპირებდა მთების გადმოლახვას.

როგორც გითხარით, პატარა გოგონა მიუკარებელი იყო, მაგრამ ბოლოს მაინც თანდათან შეეჩვია ჩემს პატარა ბიჭიკოს და დღეში რამდენჯერმე მოდიოდა მასთან სათამაშოდ.

ერთ დღეს გოგონას დედა მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— მეზობელო, მე მგონია, დამიჯერებთ, რასაც გეტყვით, და დამეხმარებით.

— რასაკვირველია, დაგიჯერებთ და დაგეხმარებით, თუ შემეძლება.

— მე თბილისში მივდივარ და მინდა ბავშვი დაგიტოვოთ...

— ბავშვი დამიტოვოთ? მერე... მოიცდის უთქვენოდ?

— ერთი კვირით მოიცდის. ჩემი შვილი ხომ არ არის...

— არა?

— არა, მე ყველა ჩემიანი დავკარგე გზაში: შვილი, მამა, დედა, სამაგიეროდ ეს სხვისი ბავშვი შემრჩა...

— როგორ?

— ჩვენ ომის გამო გადმოხვეწილი ვართ, უკრაინიდან მოვდიოდით მატარებლით. ფაშისტებმა არ დაინდეს ბავშვებითა და ქალებით სავსე მატარებელი, ყუმბარები დაუშინეს და ნაფოტებად აქციეს, ხალხი გაჟლიტეს, ბავშვები... ოჰ, აღარ შემიძლია მოგონება. — ქალი დადუმდა, აკანკალდა, მაგრამ ჩქარა თავი შეიკავა და განაგრძო თვალცრემლიანმა, — ისეთი ჯოჯოხეთი დატრიალდა... წივილ-კივილი, კვნესა და ტირილი ისმოდა ყოველი მხრიდან, ფაშისტების თვითმფრინავები კი დაფრინავდნენ და აწვიმებდნენ ცეცხლსა და სიკვდილს... მერე აღარ მახსოვს რა მომივიდა, როგორ დავკარგე გონება. როდესაც გამოვერკვიე, მეორე მატარებელი მოაყენეს და, ვინც გადავრჩით, ჩავსხედით. სანამ ჩავსხდებოდით, დიდხანს ვეძებე ჩემი ბავშვი, ჩემი პატარა სამი წლის გოგონა, მოხუცი მამა და დედა. ვეძახდი, ვყვიროდი, მაგრამ ვერც ერთი

ვერ ვიპოვე, ვერც მკვდრებში, ვერც ცოცხლებში. ამბობდნენ, ერთი მატარებელი უკვე წავიდა წინ და იქნება იმას გაყვნენო. მე წამოვედი იმ მატარებლით და სწორედ ის იყო დავიძარით, რომ ვიღაცამ ჩვენს ვაგონში ეს პატარა გოგონა შემოაგდო ატირებული. მე შემეცოდა, მოვეფერე და მას შემდეგ ჩემთან არის.

ქალი ცოტა ხანს დაჩუმდა და ისევ განაგრძო: — ახლა ამბობენ, შეიძლება თბილისში გაიგო რაიმე გადმოხვეწილთა შესახებო, ამას გარდა ქმარიც ფრონტზე მყავს და ვფიქრობ, შტაბში შევიტყობ მის ამბავს. მე მგონია, რამდენიმე დღეს მომიხდება თბილისში დარჩენა, მერმე კი...

ამის შემდეგ აბა რაღა მეთქმოდა. სწორედ ამ დროს ჩემი ბიჭიკო და გოგონა იდგნენ ქუჩაში და მღეროდნენ.

ქალმა გაიხედა იმათკენ და გაიღიმა:

— იცით, რატომ მღერის?

— არა.

— ჰმ, ჰგონია პაპა ეძებს მას, სიმღერის ხმას გაიგონებს და იპოვის.

— როგორ, პაპა ჰყავს?

— ამბობს, მყავსო, მაგრამ ეტყობა ისიც დაიღუპა. — ქალი დაჩუმდა, ამოიოხრა და ცოტა სიჩუმის შემდეგ უცებ წამოდგა, თვალები აენთო და აღელვებულმა მკაცრად წარმოთქვა: — არა, ეს არ შერჩებათ ფაშისტებს, ხალხის რისხვა თავს დაატყდებათ, ხალხიც არ შეარჩენს იმათ იმდენ სიბოროტეს... — სწრაფად გასწორდა წელში, ხელი გამომიწოდა და მითხრა: — გმადლობთ, მეზობელო.

ბავშვებმა გაათავეს სიმღერა და მოვიდნენ.

— არიშკა, — მიუბრუნდა ქალი გოგონას, — შენ ამ დეიდასთან დარჩები რამდენიმე დღეს, კარგი?

გოგონა გაეხვია ქალის კალთაში და აცრემლებული თვალები მიაპყრო მას:

— შენც ბიდიხარ პაპასავით?

— სამაგიეროდ აქ ბიჭიკო რჩება.

— ბიჭიკო რჩება?

— იქნება პაპას ამბავი გავიგო თბილისში.

— კარგი, — უთხრა გოგონამ და ისევ ამოუდგა ბიჭიკოს გვერდში.

ამრიგად, ჩვენთან დარჩა პატარა, წითელკაბიანი და წითელწუღებიანი გოგონა, არიშკა.

ყოველ დილას, ჩაის შემდეგ, სამივენი: არიშკა, ბიჭიკო და მე მივდიოდით ბაზარში სანოვაგის საყიდლად. გზაში არაფერი არ ახალისებდა გოგონას და ხშირად წამოიძახებდა ხოლმე: „პაპა, პაპა მინდა, პაპა!"

ერთხელ ბაზრის ახლოს მოედანზე დაბანაკებულიყვნენ ფურგონებიანი და ცხენებიანი რუსი ქალები, მოხუცები და ბავშვები. მზიანი

დღე იყო, მხიარული. იქვე შორიახლოს თეთრ ქვებსა და ლოდებზე მიჩქრიალებდა დიდი მდინარე და მდინარის გაღმა შეფენილი სოფლიდან მოისმოდა კოლმეურნეობაში მომუშავე ქალების სიმღერა; ფერგონებსა და საზიდებზე ჩამომსხდარი, დაქანცული ქალები და მოხუცები ეხალისოდ ღეკდნენ პურს. ეს მხიარული დღე და ამნაირად შეუხებული ხალხი ისე არ ეგუებოდნენ ერთმანეთს, რომ გული გაკვნესოდა იმათ შემყურეს. იმათ გვიამბეს თავიანთი. გადმოხვეწის ამბავი, როგორ გამოეცქინენ როსტოვიდან ჰიტლერელთა ყუმბარებს, სიკვდილსა და განადგურებას, როგორ მოდიოდნენ მთელი თვის განმავლობაში ორჯონიკიძედან თერგის ხეობაში და რა გაჭირვება გამოიარეს.

არიშკა დიდი ყურადღებით უსმენდა იმათ ლაპარაკს და უცებ ჰკითხა ერთ ქალს:

— ჩემი პაპა არ გინახავს გზაში? გრძელი თეთრი წვერი აქვს, სიმღერა იცის და უკრავს.

— არა, არა, — ეთქვა ქალმა. — შენ რა გიჭირს, აქ ბევნიერი ხარ, ფასიერნობ ქუჩებში. იქ კი, ფაშისტებისაგან დარბეულ, აოხრებულ-გადამწვარ ქალაქებსა და სოფლებში, საზიზღარი მტრების ხელში შიმშილით იხოცებიან ბავშვები.

ბაზარში არიშკა ყოველთვის ეტანებოდა საზამთროს.

— უჰ, ჩვენში ისეთი დიდი საზამთროები იყო. პაპა მომცემდა სამ შაურს, წადი, იყიდეო და მეც ვიყიდდი ისეთ დიდს, ისეთ ტკბილს. — გააგრძელებდა ის ოცნებით და დაეზატებდა, — აჰ, პაპა, ჩემი პაპა! — და მისი პატარა ჭორფლიანი სახე საცოდავად დაიმანჭებოდა.

ასე გავიდა რამდენიმე დღე. ერთხელ აელვებულმა ბიჭიკომ შემოირბინა და მითხრა, არიშკა ტირის და ვერ დავაჩუმეო. რატომ ტირისმეთქი, ვკითხე. იმიტომ რომ ვილაც გრძელწვერა მოხუცი დაინახა, პაპა ეგონა, გამოვეკიდეთ სიმღერით, მაგრამ არ მოიხედა და, როდესაც დავეწიეთ, პაპა არ აღმოჩნდა, ამიტომ ახლა ტირის და ვერ დავაჩუმეთ.

მართლაც დიდხანს ვერ დავაჩუმეთ გოგონა.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. არიშკას დედობილისაგან წერილი მივიღე: მივდივარ ორჯონიკიძეში, გავიგე, რომ ჩემი ქმარი იქ არის ჰოსპიტალში მძიმედ დაჭრილი.

ერთხელ სადილად ვისხედით. უცებ არიშკამ ყურები ცქვიტა, პირთან მიტანილი წვნიანი კოვზი ხელიდან გაუვარდა, წამოხტა და ქარის უმალესად გარეთ გავარდა. წამოხტა და გამოუდგა ბიჭიკოც, მეც წამოვდექი გაოცებული.

შარაგზიდან მოისმოდა სწორედ ის სიმღერა, რომელსაც არიშკა მღეროდა. სასწრაფოდ გამოვედი ჭიშკარში და დავინახე, რომ ქუჩაში

გრძელწვერა მოხუცს გულში ჩაუკრავს არიშკა და ორივენი ტირიან. ოდნავ მოშორებით დგას ბიჭიკო და ისიც ტირის.

— ოჰ, არიშკა, ჩემო საყვარელო, ჩემო პატარავ, როგორ გიპოვე, — აღელვებული ამბობდა ბიჭიკო.

მეც ცრემლი მომერია, გამვლელ-გამომვლელი ხალხიც ჩერდებოდა აღელვებული. ზოგი ცრემლს იწმენდდა, თავს აქნევდა და ყველა მუქარას და წყევლა-კრულვას უგზავნიდა ჰიტლერს, რომელმაც ამდენი უბედურება დაატრიალა და ამ დღეში ჩააგდო ბავშვები.

მოხუცი იმ ღამეს ჩვენთან დარჩა. არიშკა ერთი წუთითაც არ შორდებოდა, ეკვროდა და ეალერსებოდა. სულ გამოიცვალა გოგონა, თვალები გაუბრწყინდა, გამოცოცხლდა, ატიკტიკდა.

— პაპა, რატომ დამტოვე იქ? — ეკითხებოდა ის.

— მე დაგტოვე? აბა მე როგორ დაგტოვებდი, ჩემო სიხარულო. ჩვენს მატარებელს რომ ყუმბარები დაუშინეს, კი მახსოვს, მაგრამ მერე როგორ გავჩნდი საავადმყოფოში, ეს აღარ მახსოვს. ფეხი მტკიოდა, ვერ დავდიოდი. როდესაც ავდექი, მას შემდეგ სულ შენ გეძებ. ერთი დიდი სადგურის კედელზე წავიკითხე, რომ პატარა, წითელკაბიანი და წითელწუღებიანი არიშკა ორჯონიკიძეში წავიყვანეო, წერდა ერთი ქალი. ასეთი განცხადებებით სავსე იყო იმ სადგურის მთელი კედელი. ერთზე ეწერა: პატარა პეტრე პეტროვი სვერდლოვსკში მიმყავსო; მე, დიმიტრი ტიტენკო, 14 წლის, თბილისში მივდივარო და სხვა მრავალი. მეც წამოვედი ორჯონიკიძეში. იქ გეძებე დიდხანს, მერე მითხრეს, აქედან ბევრი თბილისისაკენ წავიდაო. მეც წამოვედი, მოვდიოდი მთებში, ბილიკებზე, ვმღეროდი და ვუკრავდი ჩემს სტვირს. ვეებერთელა თოვლიან-ყინულიანი მთები თითქოს ბანს მაძლევდნენ და ჩემი სიმღერა იჭრებოდა მთის ნაპრალებში, ზარივით ისმოდა შორს, შენ გეძახდი. ვფიქრობდი: არიშკა, ჩემი გოგონა, გაიგონებს და გამოხტება-მეთქი.

— აკი გამოვხტი, პაპა.

— მართალია, გამოხტი, მაგრამ თბილისში რამდენი გეძებე!

— ჩვენ კი აქ წამოვედით.

— მერე აქ როგორ მოგვაგენით? — ვკითხე მე.

— მითხრეს, გადახვეწილი ხალხის უმეტესობა შიდა-კახეთისაკენ გაისტუმრეს კოლმეურნეობებშიო. მეც დავადექი გზას და მოვდივარ. გზადაგზა ვმღეროდი, მთელი სოფლები შემოვიარე და ამ ორ დღეში ამ სოფელსაც შემოვივლიდი, მაგრამ ბედი მეწია, ვიპოვე ჩემი გოგონა. ხვალ დილით ჩვენც წავალთ წითელწყაროს კოლმეურნეობაში. მგზავრები არიან. მე ჯერ კიდევ ძალ-ღონე შემწევს, სამოცდათხუთმეტი წლისა ვარ, ჩემს კოლმეურნეობაში დამკვრელი ვიყავი. ამას გარდა მეფანდურეც ვარ, ვუკრავ და უქმე დღეებზე ხალხსაც ვამხიარულებ.

მეორე დღეს არიშკა და მისი პაპა დილაადრიანად წავიდნენ.

შემოდგომის ბოლოს სოფლიდან თბილისში წამოვედით.

უკვე თებერვლის მიწურული იყო. ვიღაცამ კარებზე დაგვიკაკუნა, გავაღე და ვხედავ — არიშკა და მისი პაპა შემოვიდნენ.

— გამოსამშვიდობებლად მოვედით, — მითხრა მოხუცმა. — არიშკასაც უნდოდა ბიჭიკოს ნახვა. მივდივართ ჩვენს ქვეყანაში. ჯერ მივდივართ ყუბანში, მგზავრები გვყავს, იქიდან კი უკრაინაშიც წავალთ. მანამდის იქიდანაც გარეკავენ მტრებს, დარწმუნებული ვარ.

არიშკა და ბიჭიკო გაიქცნენ ბიჭიკოს კუთხეში და იქიდან ისმოდა მათი სიცილ-კისკისი.

მოხუცმა ჩაი დალია, ჭიქა გადააბრუნა იმის ნიშნად, რომ მეტი აღარ უნდოდა, და მითხრა:

— ახლა თუ გნებავთ, გამოსამშვიდობებლად ჩემს სტვირს დავუკრავ.

— ოო, გთხოვთ.

მან ამოიდვა იღლიაში საკრავი და დაამღერა უკრაინული სიმღერები.

დიდხანს უკრავდა მოხუცი. ჩვენმა მეზობლებმა თავი მოიყარეს ჩვენს ოთახში, ყველა გაფაციცებით უგდებდა ყურს.

— ნამდვილი ჩვენებური სტვირია ეს „ვოლინკა“, მხოლოდ ერთის მაგიერ სამი მილი აქვს.

— რა კარგი რამ არის, ხედავ?!

— რა საუცხოოდ უკრავს, — ისმოდა აქეთ-იქიდან. მოხუცმა გაათავა დაკვრა და შეჩერდა:

— ახლა ჩემი გოგონას სიმღერას დავუკრავ, რომელმაც ის მაპოვნინა. ეს სიმღერა ჩემი არიშკასათვის გამოვიგონე.

დაუკრა და ამ დაკვრით მან გამოთქვა მთელი თავისი სიყვარული და სიხარული, რომ პატარა გოგონა არიშკა გაჩნდა ამ ქვეყანაზე, რომ ის იზრდება და იმედად ჰყავს მას.

დაამთავრა, დაჩუტა სტვირის გუდა, დაკეცა და უბეში ჩაიდო.

მეზობლები დაფაცურდნენ და, სანამ მოხუცი ქურქს ჩაიცვამდა, შემოუტანეს საჩუქრები მასაც და გოგონასაც: ჩირი, ჩურჩხელა, ნაზუქი, ვაშლი, პური. პატარა გოგონა მანანამ არ დაიშურა და თავისი დედოფალაც კი მოუტანა არიშკას.

— ეს გზაში გამოგადგებათ, — ეუბნებოდნენ მეზობლები მოხუცს და უწყობდნენ საჩუქრებს დიდ სამგზავრო ჩანთაში.

— დარჩი ჩვენთან, არიშკა, — უთხრა არიშკას ბიჭიკომ.

— არა, ბიჭიკო, მე და პაპა უნდა წავიდეთ, ფაშისტები უნდა გავრეკოთ უკრაინიდან, — თქვა გოგონამ და მიეკრა პაპას. — მერე მე რომ

ვავიზრდები, პაპას ხომ უნდა მოვუარო, — დაუმატა მან.

ყველას გაეცინა.

— მართალს ამბობ, გოგონა, მართალს, უნდა გავრეკოთ ფაშისტები და გავრეკავთ კიდეც, — დასძინა პაპამ.

— გამომშვიდობებისას არიშკამ მე და ბიჭიკოს მადლობა გადაგვიხადა, გვაკოცა და გვითხრა: ჩემი დედობილის ამბავი მომწერეთ, რომ ჩამოვაო.

— კარგი, უსათუოდ მოგწერთ, — დავაიმედე მე.

შემდეგ მხიარულად გამოგვემშვიდობნენ და წავიდნენ.

ლიდია მეგრელიძე

(მიმქრალი)



ლიდია ისქაილის ასული მეგრელიძე დაიბადა 1883 წელს სოფ. გურიანთაში (გურია), გაღატაკებული აზნაურის ოჯახში. ლიდიას ძმობლები ასლე გადასახლდნენ ქ. ოზურგეთში და პატარა ლიდია მიაბარეს ოზურგეთის საქალებო სასწავლებელში, სადაც ეუკითად მეცადინეობდა. ლიდიამ სასწავლებელი ვერ დააძლია, იგი გაიტაცა ამ ახალგაზრდათა ჯგუფში მუშაობამ, რომელიც გურიის გლეხობაში კულტურულ და პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა. ლიდია ადრე გათხოვდა ცნობილ ამბერალ და ლოტბარ აკესენტი მეგრელიძეზე. იწერალ ქალს მიუხედავად დაწერილშეილებისა, საზოგადოებრივი მუშაობა და სწავლა არ მიუტოვებია.

ლიდია მეგრელიძე ლექსებს ბავშვობიდანვე წერდა. მისი პირველი საბავშვო ლექსი „სიმღერა გაზაფხულზე" და ამოხრობა „პატარა მეგობრები" 1910 წელს „მიმქრალის" ფსევდონიმით დაიბეჭდა ჟურ. „ნაკადულში". იმ დღიდან ლიდია მეგრელიძეს არ შეუწყვეტია წერა ბავშვებისათვის. იგი დღესაც ენერგიულად მუშაობს საბავშვო ლიტერატურაში, წერს ლექსებსა და ამოხრობებს.

ქვიშხეთი ბავშვების აგარაკი

კვლავ ქვიშხეთი, წყარო, მზე და ნწვანე მთები,
მტკვრის საამო შარიშური ტაშისკართან,
კარ-მიდამო, დახატული ვარსკვლავებით,
ბაღების და სამზირების ჭრელი კალთა.
ირიჟრაჟებს დილა ლურჯი სამაისო,
დაუქროლებს მინდვრებს სიო გათენების,

გაკვირდებით, იტყვით: ნეტავ სად არისო
ამდენ ხმაზე მოჩიკჩიკე ჩიტუნები?
ნაძვ-ფიჭვნარში, სახლებში თუ ეზოებში
ჟღურტულებენ, ვით მერცხლები ბუდის გარეთ,
განა მართლა ჩიტებია? — ბავშვებია,
ჩიტებივით ხმატკბილი და მოცქრიალე.
ყოველ მხრიდან, ჩვენი ქვეყნის ყოველ მხრიდან
მოფრენილან ეს ცელქები ცეკვით, ტაშით,
ვიტომ არის აგარაკი ასე კარგი
ზაფხულობით ქვიშხეთში და ტაშისკარში.
ირიჟრაჟებს დილა ლურჯი სამაისო,
დაუქროლებს მინდვრებს სიო გათენების,
გაკვირდებით, იტყვით: ნეტავ სად არისო
ამდენ ხმაზე მოჩიკჩიკე ჩიტუნები?

ჩემი ბურთი

დიდი არის ჩემი ბურთი,
დიდი, ვებერთელა,
ოთხი ციდა მუცელი აქვს,
ჩემი მკლავის ხელა.

ხელს დავკრავ და ავარდება,
გაგორდება, —
როგორ?
გუშინ თავი გაუტეხა
მეეზოვის გოგოს.

ამაგლიჯეს ჩემი ბურთი,
დაახალეს მიწას,
მაგრამ იცით, როგორც გიჟი
წამოვარდა იმწამს.

გადმოგორდა, დაეძგერა
დიდი ფანჯრის მინას
და ზედ ცხვირზე დაასკუპდა
ჩემს ბებიკოს მძინარს.

წამოვარდა ჩემი ბებო:
„ქურდი, ქურდი, ქურდი...“
ქურდის ნაცვლად ხელში შერჩა
ჩემი კოხტა ბურთი.

ია და ბავშვი

ნუ შემახებ პაწია ხელს,
ნუ, ნუ მეთქი, ჩემო კარგო,
ის არა სჯობს, გავიზარდო
და ბალნარი მოგიქარგო?

მეც შენსავით პატარა ვარ,
გამახარებს შენი ცქერა,
ახლოს დაჯექ, გამაგონე
მხიარული შენი მღერა.

ხარატის შვილი

ცელქი ბიჭია ზურიკო. სკოლაში ისე იჭერს თავს, თითქოს ამხანაგებში ყველაზე დინჯი ის იყოს. შინ რომ ბრუნდება, ყველაფერს იკლებს.

— რა ამბავია, ზურიკო, გეყოფა ცელქობა! ახლა მეტი ჭკუა გმართებს: ხვალ-ზეგ უკვე თორმეტი წლისა გახდები. — ამ სიტყვებით მიმართა დედამ ფანჯარასთან მდგომ ზურიკოს, რომელიც თითებს დაუწყნარებლად აკაკუნებდა რაფაზე, დედასაც აწუხებდა და მეზობლებსაც.

ღამდებოდა. თოვდა. ეზო თეთრად იმოსებოდა.

ზურიკოს მამა — ჯუმბერი ჯერ არ დაბრუნებულიყო ქარხნიდან. ქარხანაში კრება გვაქვს დღესო, — გუშინ ამბობდა. ზურიკო არასოდეს დაინტერესებულა მამის სამუშაოთი, არ ყოფილა ქარხანაში და არ უნახავს მამა რას აკეთებს იქ. ამის მიზეზი, ალბათ, ისიც იყო, რომ ქარხანა ძლიერ შორსაა ზურიკოს ბინიდან. სკოლაში კი კარგა ხანია ემზადებოდნენ მოსწავლეები ქარხანაში წასასვლელად. აი მოაღწია კიდეც დანიშნულმა დღემ.

— კიროვის სახელობის ქარხანაში ვაპირებთ წასვლას, პატივცემულო მასწავლებელო?! — ჰკითხა ზურიკომ მასწავლებელს ამ დილით.

— დიახ, სწორედ იქ მივდივართ, ძალიან საინტერესო ქარხანაა.

ზურიკო ახლა სწორედ ხვალინდელ ექსკურსიაზე ფიქრობდა. ყმაწვილი უხერხულობას გრძნობდა იმის გამო, რომ მასწავლებელი და მოსწავლეები ქარხანაში ნახავდნენ მამას მაზუთით, ნახშირით და რკინის ჟანგით მოსვრილს, სწორედ ისეთს, როგორიც მუშაობის შემდეგ ბრუნდება ხარატი შინ. ზურიკოს უნდოდა, კვირა დღეს გასცნობოდნენ ამხანაგები ახალ კოსტუმში გამოწყობილ მამას, პროსპექტზე ზურიკოსთან ერთად. მაშინ სულ არ ჰგავს მამა დაზგაზე მომუშავე ხარატს. კულტურაზე და ხელოვნებაზე ბაასობენ, თეატრის აფიშებს ათვალიერებენ... „არა, ხვალ არ წავალ ექსკურსიაზე. — გაიფიქრა ზურიკომ, — უჩემოდ ვინ იცნობს მამას“. ზურიკოს აზრით მამა უხერხულ მდგომარეობაში ჩადგება მასწავლებლის და მოსწავლეების წინაშე სპეცტანისამოსით, ჟანგიანი ხელებით.

ამ ფიქრებში იყო ზურიკო. ახლა თითებს უხმაუროდ და რიტმულად ათამაშებდა.

— წადი, ზურიკო, აბაზანას ცეცხლი შეუკეთე, სადაცაა მამაშენიც მოვა. — უთხრა დედამ ალერსიანი ხმით და ელექტრონის უთო ჩართო. ზურიკომ უკმაყოფილოდ შეხედა დედას, ზანტად მოშორდა ფანჯარას; ძალიან ეზარებოდა, როცა დედა აბაზანის გასათბობად გზავნიდა.

ქარხანას, სადაც ჯუმბერი მუშაობს, საკუთარი აბანო აქვს; ყველა საამქროს თავისი შხაპი აქვს. მაგრამ ჯუმბერმა სახლში გაიკეთა აბაზანა. სახლში ურჩევნია მშვიდად გამოიცვალოს თეთრეული. ქარხნის ჭუჭყით მოსვრილ ხარატს მუშაობის შემდეგ შეჩვეული აქვს სხეული თბილ წყალში ბანაობას. ბანაობის შემდეგ თავს მსუბუქად გრძნობს, სიყვარულით უღიმის ცოლ-შვილს, ენერგია ემატება.

„ვეტყვი მამას, ხვალ ახალი კოსტუმით წავიდეს ქარხანაში. არ შეიძლება ფაქიზად ივუშაოს? დიახ, შეიძლება...“ — გაიფიქრა ზურიკომ და აბაზანას ცეცხლი შეუკეთა. ამ აბაზანამაც ძალიან მოაბეზრა თავი. არც ის სპეცტანისამოსი მოსწონს, რომელსაც საღამოობით მამა შუშაბანდში ჰკიდებს. სიამოვნებს, როცა ბანაობის შემდეგ ოთახში სუფთა, ზოლებიანი პიჟამოთი შემოდის. „რაღა მაინცდამაინც ქარხანაში ვუშაობს მამაჩემი?“ წაიბუტბუტა ზურიკომ თავისთვის და დედას შეხედა: — დედა, მამამ რომ სხვაგან ივუშაოს სადმე, არ შეიძლება?

— სად უნდა ივუშაოს, შვილო, მამაშენი ხარატია. ხარატმა ქარხანაში უნდა ივუშაოს... რაო, არ მოგწონს მამაშენი?!

ზურიკოს შერცხვა, თავი დახარა.

— მე ეს არ მითქვამს... მე მინდა მხოლოდ, მამაც მუდამ სუფთად იყოს ჩაცმული, ისე, როგორც ჩემი მასწავლებელია, პატივცემული დავითი. ან ისე, როგორც უქმე დღეებში თვითონ იცვამს, როცა ჩვენ ყველანი კინოში მივდივართ, ან სტუმრად ბიძია ნიკოსთან. ხელებიც ისე რბილი... მამას მაგარი ხელები აქვს, ცოდვაა.

— ჰოო, ეს გინდოდა გეთქვა? მაგრამ ხელებს რა უშავს, იმიტომაც მაგარ საქმეს აკეთებს.

ამ დროს ზურიკოს მამამ შემოაღო კარი, ჩვეულებრივად მოავლო თვალი სახლობას.

— თოვლი ფეხს იკიდებს... — სიცივით თქვა მან.

* *

საამო სანახავია ქალაქის გარეუბანი. თოვლით გადაბარდნილა პატარა სახლები, ეზოები, ბაღები. სხვა პიონერებთან ერთად ზურიკოც შიჰ-ქრის ქარხნისაკენ ავტობუსით. უახლოვდება ზურიკო ქარხანას და გუ-

ლი უცემს. არ იცის ზურიკომ, რა პირობებში ნახავს მამას სამუშაოზე, ისიც ამდენ ხალხში. უფროსი კლასებიდანაც არიან მოსწავლეები ექსკურსიაზე. მანქანა ქარხნის კარებთან შეჩერდა. ბავშვები ერიამულით გადმოვიდნენ. ბავშვებს მასწავლებელი მიუძღვის წინ. ყველას ფანქარი და რვეული უჭირავს ხელში ზოგი მოხსენებისთვის აგროვებს მასალას, ზოგი კედლის გაზეთისათვის, ზოგი ქარხნის დახატვას აპირებს გამოფენისათვის.

აი წინამძღოლიც მოვიდა.

— ყმაწვილებო, — მიმართა მან ბავშვებს მისალმების შემდეგ, — ჩვენი ქარხანა დიდ დახმარებას უწევს კომუნიზმის დიად მშენებლობას. სად არ იგზავნება ჩვენი დაზგები: ვოლგა-დონზე, შუააზიის არხის მშენებლობაზე, წარმოიდგინეთ ჩინეთშიც!

— ჩინეთშიც?! — წამოიძახეს გაკვირვებით ბავშვებმა.

— ბევრი ადგილიდან ვიღებთ მადლობის წერილებს კარგი ხარისხის დაზგებისათვის. ამას წინათ სწორედ ჩინეთიდან მივიღეთ ასეთი წერილი. — თქვა წინამძღოლმა და ყველანი შენობისაკენ გაემართნენ. ზურიკო ყოველ მხარეს იცქირებოდა გაფაციცებით, მაგრამ მამას ვერსად მოჰკრა თვალი. „იქნებ დღეს თვითონ წავიდა სადმე მამა?“ — გაიფიქრა ზურიკომ. მაგრამ ჩქარა უფრო დიდმა ამბებმა მიიქცია ზურიკოს ყურადღება: რკინის სადნობ ქურიდან უშველებელი ცეცხლის ენები ამოდიოდა. გახურებულ რკინას მჭედელი ურის ურტყამდა... იქით დაზგები გრიალებდნენ, მაგიდებზე სავადასხვა ფორმის დეტალები დაგროვილიყო. დაზგების ფეხებთან დახვეული ბრჭყვიალა ბურბუშელები ეყარა. მუშები დაძაბული იდგნენ დაზგებთან. ზურიკომ თვალი ვერ გადააწვდინა შენობის კიდეგანს. „აქ ვინ ნახავს მამას?“.. ჩაიქნია ხელი და მშვიდად მიჰყვა ამხანაგებს. მეორე შენობაში შესვლისთანავე პირველ ღაზგასთან შეჩერდა წინამძღოლი. ბავშვებიც იმ დაზგას შემოეხვივნენ.

— ეს ხარატი, — წარმოთქვა ხმამაღლა წინამძღოლმა, — ორ დაზგაზე მუშაობს. შეხედა ზურიკომ დაზგასთან მდგომ ფართო სათვალეებიან კაცს. შეკრთა, სახე აენთო. სწორედ ეს ხარატია ზურიკოს მამა.

ჯუმბერმა ბავშვებში თავისი ბიჭუნა შენიშნა, გაუხარდა.

— ზურიკო, შენც აქა ხარ? — გაუცინა შორიდან შვილს და თვალები ისევ დაზგაზე დახარა. არ სცალია სტუმრებისათვის ჯუმბერს.

მხოლოდ ხანდახან გამოხედავს. მერე წინ გადადგამს ნაბიჯს მეორე დაზგისაკენ, იმავე წამს პირველს უბრუნდება; თვალით სინჯავს ორიკე დაზგის ნამზად დეტალს. წინამძღოლი უხსნის ბავშვებს, თუ რა არის სიტყვა „კონვეიერული“, ან რას ნიშნავს „განუწყვეტელი დენი“...

— ეს ხარატი ახლა ორმოცდათხუთმეტი წლის ანგარიშში მუშაობს. სამი წლის ნორმა გამოიმუშავა.

ბავშვებმა ტაშით და „ვაშას“ ძახილით დააჯილდოვეს ზურიკოს მამა და ქარხნიდან ერიამულით გამოიშალნენ ქუჩაში. ყველას მიჰქონდა სამახსოვროდ რკინებზე ანასხლეტი ფერადი ბურბუშელები.

* *

ექსკურსიის შემდეგ ზურიკო გვიან დაბრუნდა შინ. ლამაზი ბურბუშელა თავის სამუშაო მაგიდაზე დადო და ღიმილით დააცქერდა.

ზურიკო არასოდეს დაივიწყებს იმ ქარხანას, სადაც მამა მუშაობს. ის არ ჰგავს მის მყუდრო ბინას, არც სკოლას. სულ სხვაა ქარხანა.

ზურიკოს გაახსენდა, როგორი ტაშის გრიალით დაჯილდოვეს მისმა ამხანაგებმა მამა, როგორ სიყვარულით შესცქეროდა მასწავლებელი მას, როცა ხელს ართმევდა.

საათმა ექვსი დარეკა. ზურიკო მარდად წამოხტა, გაახსენდა, აბაზანა უნდა გაეთბო. ახლა თვითონ გასძახა:

— დედა, აბაზანა გავათბო?

როგორ გაუხარდა დედას, რომ მისმა ბიჭმა თვითონ მოინდომა აბაზანის გათბობა. აგერ მამაც მოვიდა. ძლიერ მოქანცული გამოიყურება. ზურიკომ სწრაფად მოუმზადა მამას საბანაო ნივთები, სპეცტანისამოსიც თვითონ დაჰკიდა შუშაბანდში.

დღეს პირველად შეიგნო ხარატის შვილმა, თუ რა მძიმე მოვალეობა აწევს სამშობლოს წინაშე მამა ჯუმბერს. „თუჯში და ფოლადში იჭედება ჩვენი ქვეყნის მშვიდობაო“, — კიდევ გაახსენდა მასწავლებლის სიტყვა.

საღამოს ზურიკომ დიდხანს იფიქრა, როგორ შეედგინა დღის განაწესი, როგორ გაენაწილებინა საათები, და ამ ფიქრში ჩაეძინა. დილით ადგა, პირველად დღის განაწესი ჩამოწერა და თავის მაგიდასთან დაკიდა.

როცა ზურიკო სკოლაში წავიდა, დედამ თვალი გადაავლო განაწესს და სახე გაუბრწყინდა. კარგად იყო შედგენილი განაწესი, რამდენიმე ახალი მუხლი შეეტანა შიგ ზურიკოს, მათ შორის ერთი ასეთი:

„6 საათზე — აბაზანის გათბობა“.

ლეო ქიაჩელი
(ლეონ შენგელაია)



მწერალი ლეო მიხეილის ძე ქიაჩელი დაიბადა 1884 წელს სოფ. ობუჯში (წალენჯიხის რ.), ღარიბი აზნაურის ოჯახში. დაწყებითი განათლება ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო. ქიაჩელს მამა ადრე გარდაეცვალა და დედის კმაყოფაზე დარჩა. გიმნაზიაში გატაცებით სწავლობდა ქართულ ლიტერატურასა და ისტორიას. ქიაჩელმა გიმნაზია დაამთავრა 1904 წელს, იგი გაემგზავრა ხარკოვს და ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1905 წელს რევოლუციური მოძრაობით შეშინებულმა მეფის მთავრობამ ხარკოვის უნივერსიტეტი დახურა. ქიაჩელი სამშობლოში დაბრუნდა და ჩაება რევოლუციურ მუშაობაში, რის გამოც იგი დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში ჩასვეს. 1907 წელს ქიაჩელმა მოახერხა ციხიდან გაქცევა, იგი არალეგალურად ცხოვრობდა 1912 წლამდე. ამ წელს გაემგზავრა საზღვარგარეთ — შვეიცარიაში და შევიდა ჟენევის უნივერსიტეტში. მწერალი სამშობლოში დაბრუნდა 1917 წელს.

ლეო ქიაჩელმა მოთხრობების წერა ბავშვებისათვის 1910 წლიდან დაიწყო და მუდმივი თანამშრომელი იყო ჩვენი საბავშვო ჟურნალებისა. მისი პირველი საბავშვო მოთხრობა „ნატახტარის საიდუმლო" გამოვიდა საბჭოთა პერიოდში, 1924 წელს.

ზღვა, მზე და ოთარიკო

ძღვნად ჩემს ოთარიკოს

რა იცოდა ოთარიკომ, რომ ზღვა ამისთანა იყო! თურმე ზღვისთანა კარგი ქვეყანაზე არაფერი ყოფილა. ვერც სოფელი შეედრება ზღვას და ვერც ქალაქი.

სულ ორი, სამი დღეა, რაც ოთარიკო დედას ზღვაზე ჰყავს, მაგრამ ოთარიკოს ამ მოკლე ხანშიც ისე შეუყვარდა ზღვა, რომ მასთან განშორება აღარ შეუძლია.

ზღვაში ბანაობა ხომ დიდი ბედნიერებაა, მაგრამ ქვიშაში გორაობა და კოტრიალიც, კენჭების ძებნა და დაგროვებაც არანაკლები ბედნიერებაა.

ზოგიერთ ზღვის კენჭს ძალიან საკვირველი სახე აქვს. ერთი ისეთი იპოვა ოთარიკომ, რომ მამალს ჰგავდა. ბევრი იცინა და იკისკისა. ახლაც ჯიბით დაატარებს, ყველას უჩვენებს და ეუბნება:

— აი, რა მაქვს: მამალი!

მართლაც, რა ნაირ-ნაირ კენჭებს არ ნახავ ზღვაზე. ვითომ ყველა ერთიმეორეს ჰგავს, მაგრამ რომ დააკვირდები და შეადარებ, სულ განსხვავებულებია. მერე რამდენია? რამდენიც გინდა და კიდევ მეტი, უთვალავი.

კენჭების შესანახად დედამ სადაფის კოლოფი გაუკეთა ოთარიკოს: ისეთი ბრჭყვიალაა, რომ კაცს თვალს მოსჭრის. ოთარიკო რომ ქალაქში დაბრუნდება, კენჭებით სავსე კოლოფს თან წაიღებს. ყველას გააკვირვებს.

ჰო, რა საყვარელი ყოფილა ზღვა და მისი მოკენჭილი ნაპირი!

თუმცა ძალიან დიდია ზღვა, ისე დიდი, რომ თვალს ვერ გადააწვდენ, მაგრამ მაინც კეთილია და ალერსიანი. თითქოს დიდი სულაც არ იყოს.

ხანდახან გაჯავრებაც სცოდნია. უჰ, მაშინ რა ავია. ისე ღმუის და ფაფარაყრილი ეჯახება ნაპირს, რომ ვის არ შეაშინებს. ეს ხდება, როცა დიდი ქარია და ავდარი. მერე რა? აი, დედაც კეთილია და ალერსიანი, მაგრამ გაჯავრებაც იცის ხანდახან. რა ვუყოთ მერე.

როცა ზღვა ავია, ოთარიკო ნავში არ ჯდება. არც ბანაობს. შორიდან უცქერის ხოლმე. გაჯავრებული ზღვაც კი უყვარს ოთარიკოს.

* *

ერთხელ საღამოს ცოტა გვიან აბანავა დედამ ოთარიკო. მზე ჩადიოდა. დედა რომ ტანს უმშრალებდა, ოთარიკომ შემთხვევით ჩამავალ მზისკენ გაიხედა. გაუკვირდა, ისეთი რამე დაინახა — მზე უშველებელი დიდი გამხდარიყო და სულ ერთიანად გაწითლებული მოწყვეტილივით ძირს დაქანებულიყო. სხვა გზა არ ჰქონდა, უთუოდ ზღვაში უნდა ჩავარდნილიყო. ჩანდა შეშინებულიყო. ეტყობოდა, უნდოდა დაყვირება: „მიშველეთო“, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა.

— დედა, შეხედე მზეს. მგონია, ზღვაში ვარდება და ძალიან შეშინებულია! — უთხრა ოთარიკომ დედას.

— კი არ ვარდება, შვილო, ჩადის. დილას ისევ ამოვა და ქვეყანას გაანათებს. — აუხსნა დედამ.

მაგრამ ამ დროს მზე ჯერ შებარბაცდა, მერე შეირხა და უცებ ზღვაში ჩაინთქა.

ამ სანახაობით აგზნებული ოთარიკო გაუსხლტა ხელიდან დედას და ზღვისკენ გავარდა. ხელის გული თვალებზე ჩამოიფარა და გაიხედა.

შორეული ცისკიდური სისხლისფრად ალივლივებულიყო, ზღვაც გაწითლებულიყო, მზე კი არ ჩანდა.

— დედა, — იყვირა ოთარიკომ, — მზე იხრჩობა და შველა უნდა! მენავე ნიკოს დაუძახე. მივეშველოთ!

დედამ ხელში აიყვანა ოთარიკო. მოეფერა. ერთხელ კიდევ აუხსნა, რომ მზე ყოველ საღამოს ჩადის, ხოლო დილას ამოდის.

ოთარიკო მაინც სწუხდა და შფოთავდა.

ეჰ, ამ საღამოს რატომ არ არის დიდი ოთარიკო. გაიჭრებოდა, მონახავდა ნიკოს, გამოართმევდა ნავს და ზღვაში შეცურდებოდა, მზეს ზღვიდან ამოიყვანდა.

* *

იმ საღამოს თვალცრემლიანი დაწვა ოთარიკო. ძილში ჩაჰყვა მზის დარდი. დაიძინა თუ არა, მაშინვე დაესიზმრა:

მის ლოგინთან სკამზე გადაკიდებული შარვლის ჯიბეში ვითომ კენჭის მამალმა შეიფრთხიალა, ამოვიდა ჯიბიდან და პატარა მაგიდაზე ჩამოჯდა. ოთარიკოსკენ მოტრიალდა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და დაიყივლა:

— ყიყლიყოო! ოთარიკო! ნეთუ დავიჯერო, რომ გძინავს? დაგავიწყდა, რომ მზე ზღვაში ჩავარდა? ადექი, წავიდეთ და ვეშველოთ!

ოთარიკო წამოხტა. ტანს სასწრაფოდ ჩაიცვა.

— მოვყევი! — უთხრა მამალმა, წაიგრძელა კისერი, გადაალაჯა მაგიდას, სკამს და კარს მიაშურა. ასეთი მაღალი ფეხები თუ ჰქონდა მის მამალს და ასეთი გრძელი ნაბიჯის გადადგმა თუ შეეძლო, ვერც კი წარმოედგინა ოთარიკოს. ძლივს დაეწია.

გარეთ ბნელოდა, მაგრამ მამალი თამამად მიალაჯებდა წინ.

— ნუ გეშინია, ოთარიკო. მოვყევი. მენავე ნიკო თავის ნავთან მიგველის. ახლავე მივალთ! — აცნობებდა მამალი ოთარიკოს.

ცოტა რომ გაიარეს, ზღვის ნაპირთან ნავიც გამოჩნდა. ნავთან ნიკო იდგა. ის იყო, შიგ უნდა ჩამჯდარიყო. ოთარიკოს ძალიან გაუხარდა ნაცნობი მენავის ნახვა. უამბო მზის გასაჭირი.

— მე და ჩემი მამალი ახლა მის დასახმარებლად მივდივართ და წაგვიყვანეო, სთხოვა.

— ჰო, ძალიან კარგია, რომ მოხვედით. მეც შზის საშველად მივდიოდი. ერთად ვიაროთ. აბა, ჩქარა ჩასხედით ნავშიო. — თქვა ნიკომ.

— ხოხოხოო, — ბოხი ხმით წაიღაღანა გახარებულმა მამალმა, კოხტა დეზები გააჩხარუნა, ფრთები გაშალა ტკაცანით, აფრინდა და ნავის ქიმზე ჩამოჯდა.

ნიკომ ოთარიკო ხელში აიტაცა და ნავში ჩასვა. მერე თვითონაც ჩაჯდა და უმალ ნიჩბებიც წელთ აიღო. მოუსვა.

— შენ ყველას სჯობიხარ, ნიკო! — შეაქო მისი საქციელით აღტაცებულმა ოთარიკომ.

— ხოხოხოოო, — დაუდასტურა მამალმაც.

ცა ვარსკვლავებით იყო მოფენილი. მათი ციმციმი ზღვასაც წვდებოდა და გზას უშუქებდა მგზავრებს.

დიდხანს იარეს. ჯერ კიდევ არ ჩანდა ის ადგილი, სადაც მზე ზღვაში ჩავარდა.

— წინ! კიდევ წინ! — ყიოდა მამალი.

ნავიც მისრიალებდა და მისრიალებდა.

ოთარიკოს ეჭვი დაებადა, ვაითუ ვერ მივაგენითო. გულში ინატრა, ნეტავი ვინმე შემოგვხვდესო.

გაიხედა: ერთი ვეება თევზი მოსცურავს. მალე ნავს გაუსწორდა. ნავის დანახვაზე თავი ამოჰყო ზღვიდან, კუდი მოიქნია, გაატლაშუნა, თვალები გადმოკარკლა და უცნობ მგზავრებს დააკვირდა.

— ჰეი, გამარჯობა თქვენი! საით მისცურავთ აქეთ ამ შუაღამეში? — შეეკითხა ნავში მსხდომთ.

— თევზო, გამარჯობა შენი. იქნება გვითხრა, სად ჩავარდა ზღვაში მზე! მის საშველად მივცურავთ, მაგრამ ვერ მიგვიგნია.

— ჰოო... ერთი გზა გვქონია! — უპასუხა თევზმა.

— შორს არის კიდევ?

— შორს არ არის. მომყევით და მიგიყვანთ. უმზეოდ ცხოვრება არც მე შემიძლია.

წინ თევზი, უკან — ნავი.

უცებ ერთგან წითლად გაიელვა ზღვის ზედაპირზე.

— ყიყლიყოო! — დაიძახა მამალმა.

— მოვედით! აქ არის! — თქვა თევზმა.

ოთარიკომ ნათლად დაინახა ზღვაში არც ისე ღრმად მოლივლივე მზე, რომელიც აბრეშუმის ძაფივით დახვეწილ სხივებში გახვეულიყო.

— დროზე მოვუსწარით! — შვებით ამოიოხრა ნიკომ და ნავი დააყენა.

რა ბედნიერია ოთარიკო. საკმარისია ცოტათი გადაიხაროს ნავიდან, რომ მზეს ხელი სტაცოს.

— აბა, ნიკო, მომეხმარე. — მიმართა მან მენავეს. მთელი ზედა ტანით ნავიდან გადაიხარა და ხელი მოავლო აბრეშუმის სხივებს. მკლავზე დაიხვია. მოსწია და მოსწია. იგრძნო, რომ მზეც მოჰყვა. მაშინ ოთარიკომ მაგრად მოიქნია ხელი და მზე მაღლა ცაში აისროლა.

უცბად განათდა ნავიც, ზღვაც და მთელი ქვეყანა!

— ყიყლიყოოო! — გაისმა უმალ მამლის ყივილი.

— აჰა, მზე, მზე! — დაიყვირა ოთარიკომაც.

მაგრამ ისე ხმამაღლა მოუვიდა დაყვირება, რომ მისგან თვითონვე გამოეღვიძა. მისი ხმა უკვე ამდგარმა დედამაც გაიგონა.

— მაშ, შენ რომ არ გჯეროდა: გაიხედე ფანჯარაში, მზე როგორ ანათებს. — უთხრა მან ოთარიკოს. — ადექი შენც, შვილო, დროა.

წამოხტა ოთარიკო. თვალების ფშვნეტით ფანჯარაში გაიხედა. ამომავალ მზეს შეაცქერდა.

— იცი, დედა, რომ მზე მე ამოვიყვანე ზღვიდან! — უთხრა დედას აღტაცებულმა და თავიდან ბოლომდე უამბო წუხანდელი თავგადასავალი. დიდად შეაქო თავისი საყვარელი კენჭის მამალი და მენავე ნიკოც. გზის მაჩვენებელი თევზიც არ დავიწყებია.

ნატვრისთვალი

ზღაპარი

ვანო და ნუცა დიდედამ მამიდა სალომესთან გაგზავნა. თაფლი სჭიროდა წამლისათვის დიდედას, რადგანაც ვანოს და ნუცას დედა ავად იყო. თაფლი კი შინ არ ჰქონდათ.

მამიდა სალომე ცოტა შორს ცხოვრობდა. ვანოსა და ნუცას უნდა გაევლოთ ფართო მინდორმწვანე, რომლის შუაგულში მირაკრაკებდა ცელქი და დაუდეგარი რუანკარა. რუანკარას იქით იწყებოდა თმაქუჩუჩა ტყეშრიალა; ტყეშრიალას განაპირას კი მამიდა სალომე ცხოვრობდა.

დილა იყო პირმზიანი, როცა ვანო და ნუცა გამოვიდნენ სახლიდან და გზას გაუდგნენ. ვანოს ყაბალახით ჰქონდა თავი წაკრული და გრძელი ჯოხი ეჭირა ხელში. ვანო თამამი და გამბედავი იყო: არც მგლის ეშინოდა, არც ტურისა და არც ძაღლების! ის წინ მიდიოდა, როგორც გზის მცოდნე და უფროსი.

ნუცას ყელიანი მომცრო ქოთანი მიჰქონდა თაფლისათვის. ჭურჭელს ყელზე ბაწარი ჰქონდა შობმული და ბაწრის თავი ნუცას ხელში ეჭირა; ეს ბაწარი დიდედამ მოაბა ქოთანს, რათა ნუცას მისი ტარება არ გაძნელებოდა ან ხელიდან არ გავარდნოდა.

— ამას წინათ დედა რომ ავად იყო, მე მარტო წავედი მამიდასას! ტყეშრიალაში რომ შევედი, კი არ შემშინებია! — თქვა გზაზე ვანომ.

— ტყეშრიალაში ტურები ცხოვრობენო, მითხრეს... ნეტავი თუ მართალია? იცი, ვანო, რომ ტურა მე ჩემს დღეში არ მინახავს?!

— მე კი მინახავს! როსტომის ძაღლი რომ არის, მურა, იმასა ჰგავს ტურა: წითელია ის წყეული!

— მერე, რომ ნახე, არ შეგეშინდა?

— სულაც არ შემშინებია! ჯოხი მოვუქნიე და გაიქცა!.. მშიშარაა, ნუცა, ტურა! კაცის ძალიან ეშინია!

— რომ არ გაქცეულიყო, რას იზამდი?

— ჯოხს დავარტყამდი და მოვკლავდი! მე კი ვიცი, სად დავარტყა, რომ მაშინვე მოკვდეს! — თავმომწონედ ამბობდა ვანო და გარშემო ვაქკაცურად იყურებოდა. ნუცას სჯეროდა მისი სიტყვები, რადგანაც იცოდა, რომ ვანო ღონიერი იყო და თამამი.

მალე მიადგნენ მგზავრები მინდორმწვანეს და ვიწრო ბილიკს გაჰყვნენ.

— მე რომ ნატვრისთვალი მომცა, იცი, რას ვინატრებდი, ვანო? — უცებ ჰკითხა ნუცამ ვანოს.

— რას?

— დედის მორჩენას! მაშინ დიდედას წამლის მზადებაც არ დასჭირდებოდა!

— ტყეშრიალაში უნდა იყოს ნატვრისთვალი, მაგრამ ძნელია მისი პოვნა!

— რატომ არის ასე ძნელი, ნეტავი?

— ის, გოგო, გველებს აქვთ შენახული ისეთ ადგილას, რომ კაცი ვერ მივა! რომ მივიდეს კაცი კიდევაც, გველები დაესევიან და დაკბენენ.

— დიდედამ მეც მითხრა, რომ გველებს აქვთო! ნეტავი რატომ არის, რომ იმისთანა კარგი რამე გველებს აქვთ?

— წელიწადში თურმე ერთხელ სადმე, თხრილში ან დიდ ორმოში, შეიკრიბებიან გველები და ნატვრისთვალს გამოიტანენ გარეთ, შეჯგუფდებიან ყველანი ერთად და ბურთივით ათამაშებენ. მაშინ თუ ვინმე ბედნიერია, წააწყდება მათ და, თუ ხერხი იცის, გველებს ნატვრისთვალს გამოსტაცებს. ეჰ, ნეტავი მე ვნახო, და ის კი ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე!

— მასწავლე მეც, ვანო!

— აი, როცა ნახავ, რომ ნატვრისთვალს ათამაშებენ გველები, ყაბალახი ან თავსახვევი უცბად დაამრგვალე, ბურთს რომ ჰგავდეს ისე, და გველებს გადაუგდე! იმათ მაშინ შეეშლებათ და ნატვრისთვალის ნაცვლად ყაბალახს დაუწყებენ თამაშს! შენ უნდა ივარგო მაშინ, დასტაცო ხელი ნატვრისთვალს და გამოიქცე, რაც ძალა და ღონე გაქვს! გველები არ უნდა შეშინდე, მდინარისკენ უნდა გაიქცე და გალმა გახვიდე დაუმალე გაიგებენ, რომ მოტყუვდნენ, და სისინით გამოგედევნებიან! შენ ყოვნებლივ! მაშინ მდევრები შენს კვალს დაკარგავენ, რადგანაც, როცა ჰკითხავენ წყალს:

— ესა და ეს კაცი არ გინახავს? საით წავიდაო?

წყალი ეტყვის:

— თქვენც ახლა მოდით და მეც ახლა მოვედიო!

გულდაწყვეტილი დარჩებიან გველები და გამწყრალნი უკან დაბრუნდებიან.

— ადვილი ყოფილა! რა ადვილი, ვანო! მაგას მეც ვიზამ.

— უნდა იცოდე ხერხი და რატომ არა, შენც იზამ.

ასეთ საუბარში გალიეს მინდორმწვანე ვანომ და ნუცამ, ფეხდაფეხ გადავიდნენ რუანკარაზე და ტყეშრიალაში შევიდნენ. როცა დაინახა მომავალი და-ძმა ტყეშრიალამ, ფრთიანი ნიავი გამოაფრინა მათკენ და ალერსით მიეგება მგზავრთ. ფრთიანმა ნიავმა გადაკოცნა ნუცა და ვანო და სტუმრებს ტყის შუაგულისაკენ გაუძღვა. ტყის ჩიტები ჩამოსხდნენ ახლო ხეებზე და საამო ჭიკჭიკით მიეგებნენ ვანოს და ნუცას!..

— რა კარგია ტყე, ვანო. მე მიყვარს ტყე! — აღტაცებით თქვა ნუცამ.

— მეც მიყვარს! ყური დაუგდე, ხეები როგორ შრიალებენ ან ჩიტები როგორ გალობენ!

— სულ ვიაროთ ტყეშრიალაში, ვანო! ვინ თქვა, ტყეშრიალაში ტურა ცხოვრობსო?

ყვავილებს ყელი ვანოსა და ნუცასკენ მოუღერებიათ, გული გაუღიათ და თვალები გაუფართოვებიათ, საამო სურნელება დაუფრქვევიათ მთელ ტყეში.

— ტყის ნიავმაც, ჩიტებმაც, ყვავილებმაც იციან ახლა, თუ სად არის დამალული ნატვრისთვალი! — თქვა ვანომ. — ჩვენ რომ გვესმოდეს მათი ენა, გავიგებდით გველების საიდუმლოებას და გავბედნიერდებოდით.

— რატომ არ გვესმის მათი ენა? არც დიდედას ესმის, ვანო, ნიავის, ჩიტებისა და ყვავილების ენა? მოდი, დიდხანს ვუგდოთ ყური, იქნება გავიგოთ.

— არა, ჯერ მამიდასთან მივიდეთ, გამოვართვათ თაფლი და აქეთობას ცოტა ხანს ტყეში დავიცადოთ!

— მაშ კარგი! რა ტყუილი ყოფილა, ტყეშრიალაში ტურები არიანთ! ტყეშრიალაში რა უნდა ტურებს? — ამბობდა აღტაცებული ნუცა.

ვანომ და ნუცამ ნაბიჯს მოუმატეს...

ამ დროს ჩიტები აჭიკჭიკდნენ:

— მალე დაბრუნდით! მალე, მალე დაბრუნდითო!

ყვავილებმა უფრო აფრქვიეს სურნელება:

— გიცდით, გიცდითო!

ნიავი კი ყურში ჩასჩურჩულებდა და-ძმას:

— ტყეშრიალას ძალიან უყვარხართ! ტყეშრიალა მუდამ თქვენს მოლოდინშია!

როცა ტყიდან გავიდნენ, ვანო მოუბრუნდა ტყეშრიალას და ხმამაღლა უთხრა:

— ტყეშრიალავ, ჩვენც ძალიან გვიყვარხარ! სულ შენ გაქებთ და შენზე ვლაპარაკობთ! ჩვენ ისევ დავბრუნდებით სულ მალე! შენ კი, ჩვენო საყვარელო ტყეშრიალავ, ნატვრისთვალი დაგვახვედრე აქეთობას და გაგვაბედნიერე!

ნუცამ კი დაუმატა:

— ტყეშრიალავ, დედაჩვენი ავად არის და ნატვრისთვალი მისთვის გვინდა, რომ დედა მალე მოგვირჩეს!

ნიშნად თანხმობისა ტყეშრიალამ თავი დაუკრა ვანოსა და ნუცას და თავისი მწვანე ფოთლები ალერსიანად ააშრიალა.

* *

მამიდა სალომემ მალე გამოისტუმრა ვანო და ნუცა. თაფლი ჩაუსხა ჭურჭელში და მოკითხვა დააბარა დიდედასა და დედასთან.

კვლავ შევიდნენ ტყეშრიალაში ვანო და ნუცა. გულმოდგინედ იცქირებოდნენ გარშემო. იქნება ნატვრისთვალი ვიპოვოთო. ვანოსაც და ნუცასაც ისე ეჩვენებოდათ, თითქოს უკვე ესმოდათ ფრინველების, ნიავისა და ყვავილების ენა. სადაც კი ორმოს ან ოღროჩოღროს მოჰკრავდნენ თვალს, შეჩერდებოდნენ და ათვალიერებდნენ.

ბოლოს ვანომ ერთ ორმოში თვალი მოჰკრა რაღაც ბრჭყვიალა საგანს, გაქანდა და შიგ ჩახედა.

— ნუცა, მოდი! მოდი, რა გაჩვენო!

ნუცამ მიირბინა. ორმოს ფსკერზე გველები შეყრილიყვნენ და რაღაც ბრჭყვიალა და ბურთივით მრგვალ საგანს ათამაშებდნენ.

— ნატვრისთვალი, ნუცა! — სიხარულით წასჩურჩულა ვანომ. — ხომ ხედავ?!

— კი, ვანო, მაშ ყაბალახი გადავუგდოთ!

ნუცას ფერი დაჰკარგოდა სიხარულისა და შიშისაგან.

ვანომ წაიძრო ყაბალახი, დაამრგვალა, შესკვნა რამდენსამე ადგილას, მერე ბურთივით გველებს გადაუგდო. იმათ მიატოვეს ნატვრისთვალი და ვანოს ყაბალახით დაიწყეს ბურთაობა. მაშინ ფრთხილად ჩავიდა ორმოში ვანო, სწრაფად იხელა ნატვრისთვალი და ნუცას აბოუგდო ზევით, ხელით ანიშნა — უბეში შეინახეო. გახარებულმა ნუცამ არც კი დახედა ნატვრისთვალს. მაშინვე უბეში ჩაიდო, ვანომ კი აჩქარებით ამოირბინა ორმოდან.

— აბა, გავიქცეთ! — უთხრა ნუცას.

გაიქცნენ.

„ვაშა, ვაშა!“ — ულოცავდა ბავშვებს ტყეშრიალა.

„ვაშა, ვაშა!“ — გაჰკიოდნენ ჩიტები.

— თქვენი ჭირიმე, ჩიტებო, ყვავილებო! შენი ჭირიმე, ტყეშრიალავ! — მადლობას ეუბნებოდნენ ვანო და ნუცა და გარბოდნენ.

ტყე გალიეს, მინდორი გადაირბინეს, რუზე გავიდნენ.

— შენ იცი, რუანკარავ, თუ როგორ მოგვეშველები! — უთხრა გასვლისას რუანკარას ვანომ...

— კი, კი, ჯავრი ნუ გაქვთ! — უპასუხა რაკრაკით რუანკარამ.

ამის შემდეგ სული ამოითქვეს ვანომ და ნუცამ, გზა დამშვიდებულად განაგრძეს.

— იცი, ვანო, რომ დედის მორჩენა მე უკვე ვინატრე? — უთხრა ნუცამ ვანოს.

— მაშ, დედა ამდგარი დაგვიხვდება! იცი, ნუცა, ყველაფერი, ყველაფერი აგვისრულდება! ოღონდ ცუდი კი არაფერი უნდა ვინატროთ.

სახლიც გამოჩნდა, კარებზე მომლოდინე დიდედაც დაინახეს. სიხარულით დაუკივლეს:

— ნატვრისთვალი ვიპოვეთ, ნატვრისთვალი, დიდედავ!

* *

გველები მალე მიხვდნენ ვანოსა და ნუცას ხერხს. მწარედ დაისისინეს და და-ძმას კვალდაკვალ გამოუდგნენ. როცა ხეს შეხვდებოდნენ, ჰკითხავდნენ:

— აქ უყაბალახო ბიჭს ხომ არ გამოუვლიაო.

— ვერ დავფარავ: გოგო და ბიჭი გარბოდნენ. ბიჭი უყაბალახო იყო. — უპასუხებდა ხე.

— საით წავიდნენ?

ხეც გზას უჩვენებდა.

გზაზე გველები ბუჩქსაც ეკითხებოდნენ. ბუჩქიც მართალს ეუბნებოდა, ბალახსაც ჰკითხავდნენ გველები. ბალახიც მართალს ეუბნებოდა, რადგანაც ტყუილი არ იციან არც ხემ, არც ბუჩქმა და არც ბალახმა.

მალე რუანკარასაც მიადგნენ გველები. ჰკითხეს:

— უყაბალახო ბიჭი და ქოთნიანი გოგო არ გინახავსო?

— არ ვიცი, — უპასუხა შორიდან რაკრაკით მომავალმა წყალმა და შეუჩერებლად ჩაიარა.

— როგორ თუ არ იცი? — გაბრაზდნენ გველები.

— ჩვენ არა ვიცით რა აქაური... ჩვენც ახლა მოვედით და თქვენც,— მწყობრად შესძახეს გველებს რუანკარას ტალღებმა და ტკაცანით ჩაინავარდეს ქვევით.

ამნაირად დაჰკარგეს გველებმა ვანოსა და ნუცას კვალი. მეტი რა გზა ჰქონდათ მდევართ, უკან დაბრუნდნენ გულდაწყვეტილები და ბრაზმორეულები.

* *

გახარებულ ვანოსა და ნუცას დედა შინ მორჩენილი დახვდათ.

— ჩვენ ნატვრისთვალი მოვსტაცეთ გველებს. ვიგდეთ ხელში თუ არა, შენი მორჩენა ვინატრეთ, დედა. მორჩენილხარ კიდევაც. — განაცხადა ვანომ. მას თვალები უბრწყინავდა და სახე უცინოდა.

— მე მაშინვე მომაგონდი, დედა, და შენი მორჩენა ვინატრე. — ამბობდა ნუცა და დედას ეხუტებოდა.

— აბა, მაჩვენეთ თქვენი ნატვრისთვალი!—მიმართა და-ძმას დედამ.

— ნუცა, ამოიღე უბიდან! — უთხრა ვანომ დას. — ფრთხილად, იცოდე, არ გაგვარდეს.

ნუცამ ხელი უბეში ჩაჰყო. ეძება ერთ ხანს, მაგრამ ნატვრისთვალი ვერ ნახა.

— ვაიმე, ვანო, რომ არა მაქვს?

— როგორ თუ არა გაქვს? — წარბები შეჰკრა ვანომ. ნუცამ ისევ განაგრძო ნატვრისთვალის ძებნა უბეში, მაგრამ ამაოდ. მაშინ ვანო თვითონაც წაეხმარა ნუცას და მთელი ტანი გაუსინჯა. მაგრამ ნატვრისთვალი არსად იყო.

გაჯავრდა ვანო.

— მე ნატვრისთვალი მოვტაცე გველებს და შენ კი დამიკარგე. — უსაყვედურებდა იგი ნუცას.

— კი მაგრამ სად შეინახეთ ნატვრისთვალი? — ჰკითხა დიდედამ შვილიშვილებს.

— აქ, უბეში ჩავიდე, — უპასუხა აცრემლებულმა ნუცამ.

— ჰოო, მაშ დაგეკარგებოდათ. ოქროს კოლოფში უნდა შეგენახათ და მაშინ არ დაგეკარგებოდათ. წადით, იქნება, გზაზე დაგვარდათ სადმე ახლოს, გაიქეცით, მონახეთ.

ნუცა და ვანო ისევ გაუდგნენ გზას. ვანო ნუცას ხმას არ სცემდა. გაბუტული იყო. საყვედურის თქმა არ უნდოდა, რადგანაც ოქროს კოლოფი არც მას ჰქონდა და, ალბათ, მასაც დაეკარგებოდა ნატვრისთვალი.

რუანკარამდის ეძებდნენ. ვერ ნახეს. რუანკარას ჰკითხეს:

— აქ რომ გადმოვედით წეღან, შენს წყალში ნატვრისთვალი ხომ არ ჩაგვვარდნია, რუანკარავ?

— ჩვენ აქაურობის არაფერი ვიცით. თქვენც ახლა მოხვედით და ჩვენც, — უპასუხა პატარა ტალღებად აგორებულმა რუანკარამ და-ძმას და ცქრიალით განაგრძო თავისი გზა.

ნუცა ატირდა. დამნაშავედ სთვლიდა თავის თავს, რომ ნატვრისთვალი დაჰკარგა. ვანოს შეეცოდა.

— რა გატირებს, გოგო! — გასამხნევებლად მიმართა დას ვანომ. — კიდევ ვნახავთ ნატვრისთვალს. პატარა ხომ არ ხარ, რომ ტირი. ყველას ვუთხრათ, რომ ნატვრისთვალი ჩვენია, იგი ჩვენ მოვტაცეთ გველებს. რა ვუყოთ, რომ დაგვეკარგა. მაინც ჩვენია. თუ ვინმემ სხვამ იპოვა, უთუოდ დაგვიბრუნებს. ესეც რომ არ იყოს, ტყეშრიალა ცოცხალი გვყავდეს და არა გვიშავს-რა... დედა ხომ მაინც მოვარჩინეთ. ახლა ესეც ვიკმაროთ... ნუ სტირი, სირცხვილია.

ასე ამბობდა ვანო და ნუცას ამშვიდებდა. ამბობდა ასე, რადგანაც გამბედავი იყო ვანო და იცოდა, რომ კვლავ მოსტაცებდა გველებს ნატვრისთვალს. ნუცასაც სწამდა ძმის სიტყვები.

მამა და შვილი

ერთ დღეს თბილისში, ორი დიდი ჯვარედინი ქუჩის შესაყარზე, მოულოდნელ სურათს წავაწყდი: უცხოდ ჩაცმული, დევივით ვეება ადამიანი შუაქუჩით, თავბრუდამხვევი მოძრაობის ორომტრიალში, ისე მიალაჯებდა, თითქოს ტრიალ მინდორზე ყოფილიყო. იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა არც მილიციელების გულმოდგინე სტვენას, არც ტრამვაის გაბმულ სანიშნებელ ჩხრიალს და არც მანქანების საყვირების გააფთრებულ წივილ-კივილს. ფილაქნებზე შექუჩებული

ხალხი აღელვებული ადევნებდა თვალს უცნობს. ისმოდა ყვირილი და ძახილი:

— გაიტანს, უშველეთ!

— ძია, აქეთ, აქეთ წამოდი!

— ძია კი არა, ვერ ხედავ, დევია!

— ეტყობა, დიდ ქალაქში არასოდეს ყოფილა...

— მოდი, გააფრთხილე, დაიღუპება.

— ხალხო, მართლა დევი არ იყოს! შეხე, რა ზორბაა!

ამ შუადღის სიცხადეში უცნობი მართლა ზღაპრული დევის შთაბეჭდილებას ტოვებდა. დევი რომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო, ეს ვინ არ იცოდა, მაგრამ თანამედროვე ქალაქში ასე ჩაცმულ-დახურული ადამიანის გამოჩენაც ძნელად დასაჯერებელი რამ იყო. ხალხის გაკვირვებას განსაკუთრებულად ის იწვევდა, რომ უცნობს ისე ეპირა თავი, თითქოს მის წინ, უკან და გარშემო უზარმაზარი მანქანები კი არ მიმოქროდნენ წამდაუწუმ, არამედ კიბორჩხლები დაღოღავდნენ, ხოლო მას კი ვითომ იმისი რიდიღა ჰქონდა მხოლოდ, რომ ზედ ფეხი არ დაედგა და არ გაესრისა.

გახუნებული შინდისფერი ჩოხა ეცვა, კალთებაკეცილი. წელზე ვეებერთელა სატევარი ერტყა, ტარიან-ბურნუკიანად ძველი ვერცხლით მოსალტული, რომელსაც ისეთი ბრჭყვიალი გაჰქონდა მზეზე, რომ თვალს ვერ გაუსწორებდი. თავზე ჩოხის ფერისავე ყაბალახი ჰქონდა ჩამობურული, ძველებურ წესზე ყველა მხრიდან თანაბრად ხვეული, მხარიღლივ მოგრძოდ წვეტჩამოშვებული.

გადაღეღილ გულ-მკერდზე თეთრი წვერი ეფინა, ვაცის წვერივით წამახული, გრძელი და აღრაკნილი.

— ნუთუ ის არის? — გავიფიქრე გულატოკებულმა, როცა მის აღნაგობას და ჩაცმულობას თვალი შევავლე. მაგრამ უეცარ მოგონებაში გაელვებული სახელი მაინც ჩემს თავსაც ვერ ვუხსენე: — როგორ იქნება, როდინდელი და სადაური სად წარმოვიდგინე-მეთქი.

როცა ორი მილიციელი ჯიქურ მიიჭრა უცნობთან შესაყენებლად, იგი გაჯირითებული ცხენივით ფეხების მოსხლეტით ერთბაშად შედგა მათ წინაშე, კიდევ უფრო მაღლა შემართა ზორბა ტანი და ისეთი თავაზიანი, მთელ სახეზე მზის სინათლესავით გადაშლილი ღიმილით შეეგება წესრიგის დამცველთ, თითქოს ცა გაიხსნა და დედამიწაზე ულეველი მადლი და სიყვარული გადმოაფრქვიაო.

ის იყო... და მეც ვიცანი ის ღიმილი. უმალ ენაზე მომწყდა:

— ბათაყვა?!

და მყისვე მასთან გავჩნდი.

შემომხედა, იმავე ნაცნობმა ღიმილმა ცისკარივით შემომანათა.

მაგრამ ვერ მიცნო კი. კვლავ ვუხმე, ახლა უფრო გულითადად: ბათაყვა-მეთქი და მოუთმენლად მკლავზე წავეპოტინე. ავიწიე, სულ ახლოს შევხედე დიდრონ, ლომის თვალებში.

უცებ მთელ ამ არეში კუთხით კუთხემდის გაისმა ჩემი ბავშვობის სახელი, როგორც მთიდან მთაზე გადაძახება, და ვიგრძენი, თუ როგორ შემომეჭდო ალერსით ბათაყვას ძლიერი მკლავები.

* *

— საიდან, როგორ გაჩნდი აქ, ჩემო ბათაყვა? — ვკითხე ჩემს ძველ მეგობარს, როცა გავმარტოვდით და მთავარი ქუჩიდან ჩემი ბინისაკენ შევუხვიეთ.

ჩემს შეკითხვაზე ბათაყვა გაკვირვებით შედგა.

— როგორ, ნუთუ არაფერი გაგიგია, შემოგვევლე? — პასუხის მაგივრად ნაწყენი ხმით მომმართა.

სახეზე კითხვის ნიშანი გამომეხატა.

მან კი ფიცხლად გაისვა ხელი უბეზე, გაზეთების შეკვრა ამოიღო და უსიტყვოდ, მაგრამ მედიდურად გამომიწოდა.

— ეს რა არის? — ვკითხე დაბნეულად.

უკან ჩამომართვა გაზეთები, უხეშ თითებში შეატრიალა, გახსნა, ერთი რუსული გაზეთი გამოიღო.

— შენი თვალით წაიკითხე, შენი თვალით დაინახე.

გავშალე გაზეთი.

პირველსავე გვერდზე ახალგაზრდა ლეიტენანტის მოდიდო სურათს მოვკარი თვალი, რომელსაც ზემოდან მომსხო წარწერა ჰქონდა გაკეთებული:

„საბჭოთა ქვეყნის გმირები“.

სანამ სათვალეს მოვიმარჯვებდი და სურათის ქვეშ წვრილ მინაწერს ამოვიკითხავდი, ის ადგილი ბათაყვას კაუჭა სალოკმა თითმა დაფარა და ყურში ჩამესმა უცნაური ჩაღმუილება, რომელიც მამაკაცის უხეშ, მაგრამ შინაგანი განცდით გამთბარ უაღრეს სათუთ ალერსს გამოხატავდა:

— ჯეგე... ჯეგე... ვერ იცანი?

— ვინ ჯეგეა?

— ჩემი ჯეგე...

მაგრამ ბათაყვამ აქ სიტყვა შეწყვიტა და ცოტა დაფიქრების შემდეგ განაგრძო:

— ჰო, დამავიწყდა... მას შემდეგ დაიბადა ჩემი ჯეგე, რაც შენ ჩვენგან წახვედი. არც კი გინახავს, მართალია. ჩემს ვაჟზე გეუბნები. აი,

მანდ რომ ხატია, იქვე სწერია მისი ამბავი. ჩემი ჯეგე ახლა გმირია, შემოგევლე. მაგრამ გაზეთი უკეთ გეტყვის, წაიკითხე. წერილიც მაქვს მისი ხელით დაწერილი. ისიც წაიკითხე, — და ბათაყვამ მეორედ წაიღო ხელი უბისაკენ.

* *

ერთ ხანს ჩუმად მივყვებოდით ქუჩას. ხელში მეჭირა ბათაყვას მიერ გადმოცემული გაზეთი და ჯეგეს წერილი. გაზეთი უკვე წაკითხული ჰქონდა, ხოლო ჯეგეს წერილი შინ წასაკითხავად შემოვინახე.

მე ნათლად ვგრძნობდი, რომ ჩემს გვერდით ჩემი სიყრმის დროის მარად დაუვიწყარი მოგონება ხორცშესხმული მოაბიჯებდა. მოზღვავებულ წარსულის ამბებს თავს ვერ ვართმევდი. ბათაყვასთან მაერთებდა ერთად განვლილი ცხრაას ხუთი წლის რევოლუცია; იგი ჩემზე 10 — 12 წლით უფროსი იქნებოდა, გლეხთა აჯანყებას მეთაურობდა მთაში. დიდი ვაჟკაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. მისი უშიშარი გულის ამბავი მთელმა ჩვენმა კუთხემ იცოდა, მაგრამ ერთი მისი ვაჟკაცობის ამბავი ჩვენი მთების იქითა ქვეყნებსაც კი მოედო, როგორც ნამდვილი ვაჟკაცობის სანიმუშო მაგალითი, რომელიც ხალხს ახლაც არ დავიწყებია.

ბათაყვას ჰყავდა ერთი განუყრელი მეგობარი ზალიკა. ამასაც ვაჟკაცის სახელი ჰქონდა მოპოვებული და თითქმის ბათაყვას თანაბრად იხსენებოდა. ბათაყვაც ისე ენდობოდა, როგორც საკუთარ თავს. როცა გლეხების აჯანყება დამარცხდა და მეფის მთავრობამ ისევ დაიჭირა თავისი ადგილი, ბათაყვამ ზალიკასთან ერთად შორეულ მთას შეაფარა თავი. სწორედ ამ დროს დაირხა ხმა და შემოწმების შემდეგ კიდეეაც დამტკიცდა, რომ ზალიკა მთავრობას მოესყიდა და მისთვის ბათაყვას მოკვლა დაევალებინა. ამხანაგებმა მაშინვე შეატყობინეს ეს ამბავი ბათაყვას და მოსთხოვეს მოღალატის ჩამოცილება. მაგრამ ბათაყვამ ზალიკას ღალატი არამც და არამც არ იწამა: — ვაჟკაცი და ღალატი ერთად ვის გაუგონია, ზალიკა კი ვაჟკაციაო. არ ჩამოიშორა. ერთ ბნელ ღამეს ადგილიდან ადგილზე გადადიოდნენ. ცხენებზე ისხდნენ. წინ ბათაყვა, უკან ზალიკა. დუმდნენ.

რაც უნდა იყოს, ადამიანის გული მაინც ეჭვიანია ბუნებით და, ვინ იცის, მიუხედავად თავისი მტკიცე დაჯერებისა, იმ ბნელ ღამეს ბათაყვა იქნებ თავისი მეგობრის ღალატის შესაძლებლობაზე ფიქრობდა და ყურთასმენაც სათანადოდ ჰქონდა გამახვილებული. უკან მიმავალმა ზალიკამ ანაზდეულად ცხენი ახლოს მიაგდო. დაწინაურებულ ბათაყვასთან. ბათაყვამ უკან მიხედვაც ვერ მოასწრო, რომ იმავე წუთს ზედ მის ზურგთან რევოლვერის ჩახმახის დაცემა გაისმა. მოღალატეს იარაღმა უმტყუნა. დაფიქრებაც არ დასჭირვებია, მაშინვე გაერკვა ბა-

თაყვა იმაში, რაც მოხდა. თითქოს არც კი გაეგონოს, უნაგირზე ოდნავადაც არ შეინძრა და გზა ისევ განაგრძო. გაწბილებულმა ზალიკამ ნაბიჯი შეანელა. ჩამორჩა. ბათაყვა მოელოდა: როგორც კი ზალიკა დარწმუნდებოდა, რომ ბათაყვას ყურს გაცუდებული ჩახმახის ჩხაკანი ასცდა ან, თუ გაიგონა, ვერ გაიგო, რა იყოო, ისევ მიუახლოვდებოდა მის ზურგს და ცდას გაიმეორებდა. შორიდან სროლა კი სიბნელის გამო არ შეიძლებოდა. ამ მოსალოდნელი წამისათვის მზად იყო ბათაყვა. მაგრამ მოღალატე აგვიანებდა. კარგა მანძილი განვლეს. მაშინ ბათაყვამ უხმო ზალიკას: — სიტყვა რამე უნდა გითხრა, მომიახლოვდიო. ზალიკა გვერდში ამოუდგა სულგანაბული.

— იცი, ზალიკა, ვაქკაცის იარაღმა გამტყუნება არ იცის ისე, როგორც ვაქკაცის გულმა. აი, დაიჭირე ჩემი რევოლვერი, არ გიმტყუნებს, იცოდე. მე კი გამტყუნებული მომეცი, — უთხრა ბათაყვამ და თავისი რევოლვერი გაუწოდა. თავზარდაცემულმა ზალიკამ იარაღი ჩამოართვა და უანგარიშოდ თავისი ბათაყვას გადასცა, შედგა გაშეშებული; ბათაყვამ კი გზა განაგრძო ისევე მშვიდად, თითქოს არაფერი მომხდარიყო. არ გასულა ხანი, რომ მის უკან რევოლვერი გავარდა. წინ წამხტარი ცხენის სადავე მაგრად მოზიდა ბათაყვამ, მაგრამ არ შეაყენა, ოღონდ ბეჭები შეაქან-შემოაქანა, დაჭრილი თუ ვარო. გაუკვირდა, რომ უვნებელი იყო. მიაყურა. უკან სამარისებური სიჩუმე იდგა.

— კარგია, ცოტა სინდისი მაინც გქონია, ზალიკა, თორემ ჩემს თავს არ ვაპატიებდი შენთან მეგობრობას, — თავისთვის ჩაილაპარაკა ბათაყვამ და უკანმოუხედავად მარტო მიჰყვა თავის გზას.

* *

ბათაყვა და მე ჩემს ოთახში ვისხედით პირისპირ. ჯეგეს წერილი ხელში მეჭირა, ჩემ მიერ ორგზის წაკითხული. ვერ ვიშორებდი, გული მიწევდა კვლავ მის წასაკითხავად. ბათაყვა თავისი საოცარი ღიმილით და ლომის თვალებით სახეში შემომცქეროდა: — აბა რას მეტყვისო.

— მოსკოვს რომ გიბარებს ჯეგე, აპირებ წასვლას, ბათაყვა? — შევეკითხე ბოლოს ჩემს სტუმარს.

— გზის ფული გადმომიგზავნა. იქაური უფროსების დეპეშაც მომივიდა — გამოუშვით, არ დააბრკოლოთო, სწერენ ისინი აქაურებს. როგორ არ წავალ, შემოგევლე! თუმცა ჯეგე მძიმედ არ უნდა იყოს დაჭრილი და მას არაფერს გაუჭირვებენ, მე მაინც მინდა ენახო. რა დამაკავებს?! — მითხრა ბათაყვამ.

ერთ ხანს ვდუმდით.

— მართალი უთქვამს ჯეგეს ამხანაგებისათვის, ბათაყვა: მამა მომეშველა გაჭირვების დროს და იმან მარგუნა გამარჯვებაო?

ბათაყვამ ჩაიცინა.

— აბა, მე საიდან მივეშველებოდი ამ სიშორიდან, შენ თვითონ წარმოიდგინე! მოჩვენებით კი იქნებ მართლა მოეჩვენა, რომ მასთან ვიყავი. იცი, ეს როგორ მოხდებოდა: ჯეგე რომ ომში მიდიოდა, დავარიგე ჩემებურად და ასე ვუთხარი: ბრძოლაში მტრის არ უნდა შეგეშინდეს, მხოლოდ მშიშარა მარცხდება, დამარცხებულს კი სიკვდილი არ ასცდება-მეთქი. ეს იცოდე, ჯეგე, როცა მტერი მოკვლას გემუქრება, ერთადერთი გზა არსებობს ხსნისა: უნდა აჯობო, არ დაჰყარო იარაღი, სანამ მტერს არ გასტეხ და არ დაიმორჩილებ-მეთქი. ომში ვაქკაცური გული და ნებისყოფა იმარჯვებს-მეთქი, ესეც ვუთხარი: ჩემი გული ჩაიდგი, შვილო, და თუ გაგიჭირდეს, მომიგონე-მეთქი. ჩანს, ჩემი სიტყვები დამახსოვრებია ბიჭს. მეც მოვუგონებივარ გაჭირვების დროს და აი, გაუმარჯვნია კიდევაც. ამიტომ გამოუცხადებია, ალბათ, ამხანაგებისათვის, მამა მომეშველაო.

თვითონ ჯეგეს თავისი გმირობის ამბავი ასე ჰქონდა მოკლედ წერილში მოთხრობილი.

ჯეგე თავის ტყვიამფრქვეველთა რაზმით ერთ-ერთი მდინარის გადასავალს იცავდა. შორი-შორს დაფარულ წერტებში ისხდნენ ბიჭები და ტყვიის ქარბუქში ხვევდნენ მდინარეზე მომდგარ მტერს. ჯეგეს და მის რაზმს ნაბრძანები ჰქონდა, ყოველ მიზეზს გარეშე მტერი უკუექცია. უსასტიკესად უტევდნენ ფაშისტები საბჭოთა ტყვიამფრქვეველებს. რაზმის მუშაობას ჯეგე დროგამოშვებით იმით ამოწმებდა, რომ წამით შეაყენებდა თავის იარაღს და ყურს მიუგდებდა მწყობრ კაკანს. მის უკვე შეჩვეულ სმენას არ უჭირდა საბჭოთა რაზმისა და მტრის ტყვიამფრქვევთა ხმის გარჩევა. მტრის თავგანწირულმა იერიშმა მალე დაარღვია ჯეგეს რაზმის შეტევის სიმწყობრე. ჯეგე თავისი საფარიდან კარგად ხედავდა, თუ როგორ გათამამდა თანდათან მტერი და მდინარის მეორე ნაპირს ფაშისტების მესანგრეები დაეუფლნენ. მაგრამ ჯეგე იმასაც კარგად ამჩნევდა, რომ მისი წერტი მტრისაგან მოხერხებულად იყო დაფარული და მოწინააღმდეგის ნიშანს გარეშე რჩებოდა. ჯეგესთვის ცხადი იყო, რომ, სანამ მას ძალა და ტყვია არ გამოელეოდა, მტერი მიზანს ვერ ეწეოდა. მის მიერ განადგურებულ მესანგრეთა რაზმს ახალი ცვლიდა, მაგრამ ახალსაც ელვის სისწრაფით თიბავდა ჯეგეს მანქანა. მაგრამ ბოლოს მტერმა ჯეგეს საფარიც აღმოაჩინა. სეტყვასავით წამოვიდა ტყვია და ყუმბარა. ჯეგეს ოდნავადაც არ შეუნელებია შეტევა. ოღონდ ერთ ხანს შემდეგ მან იგრძნო, რომ მარცხენა ხელი შეუსუსტდა და გახევებულ თითებში მოძრაობა შეუწყდა. ზედ რომ დაიხედა, ნახა: სახელოდან სისხლი ღვარივით გადმოსდიოდა. მიხვდა, რომ დაჭრილი იყო. მიუხედავად ამისა, მისი ტყვიამფრქვევი ისევ ისე

კაკანებდა და ნიშანში ამოღებულ მტრის არეში ისევ და ისევ თიბავდა მოწინააღმდეგეებს. უცებ ჯეგეს ცნობიერებამ ანიშნა, რომ მას გული უღონდებოდა, ქანაობა დაიწყო და მისი ტყვიამფრქვევის ლულაც ასცილდა ნიშანს. სიმწრისაგან დაიგმინა სასოწარკვეთილმა ჯეგემ. მისდა მოულოდნელად ამ დაგმინებაში საყვარელი მამის სახელი მოესმა. იმავე წამს ჯეგეს ნათლად წარმოუდგა, ვითომ არწივის ფრთებივით გაშლილი დევის მკლავები შემოეჭდო მას და დაინახა, თუ როგორ წამოადგა თავს მამა, დაკარწახებული ხელები ხელებში ჩააკლო და შექანებული ტყვიამფრქვევის ლულა საჭირო ნიშნისაკენ გაუმართა.

— უნდა აჯობო, ჯეგე! — მოესმა ჯეგეს მამის მედგარი შეძახილი. ჯეგეს არ ახსოვს, რამდენ ხანს ეჭირა მამის ხელებს მისი ხელები და რამდენ ხანს კაკანებდა შეუწყვეტლად მისი ტყვიამფრქვევი.

ჯეგე გამოარკვია ნაცნობმა ხმებმა:

— ვაშა, ვაშა! გაიმარჯვე, ჯეგე! გადასავალი ისევ ჩვენს ხელშია!

ეს საბჭოთა მებრძოლები იყვნენ, ამხანაგები. აიტაცეს ჯეგე, ჰაერში შეისროლეს, გმირობა მიულოცეს.

ჯეგე კი გარშემო იცქირებოდა დაბნეული. მას თითქოს უკვირდა, რომ მის ახლო არ იმყოფებოდა ის, ვისაც ეძებდა, და გაუგებრად ლუღლუღებდა დასუსტებული, ჯერ კიდევ ბურუსში გახვეული:

— მამა სად არის? ის იყო, რომ მომეშველა... მე კი არა, მამამ გაიმარჯვა!

ხელში აყვანილი გმირი პირველი დახმარების საექიმო პუნქტში გააქანეს ამხანაგებმა.

იოთამის ფრთები

ავად არის იოთამ, ავად არის და სიცხე აქვს. წუხს, რომ ტოლებთან არ შეუძლია ითამაშოს. ლოგინში წევს და დაღონებული ღია ფანჯარაში იცქირება.

შორს, შორს, სახლებს იქით, ხედავს ამწვანებულ მთას, რომელიც ცას მიჰხუტებია. ძალიან დიდია მთა და კოხტა, ლამაზი, ლურჯი ცა მაღლიდან გადაჰხვევია და ეალერსება. იოთამის დედამ იცის ხოლმე ასე ალერსი. ალბათ, ცაც კეთილია.

მარტოა ოთახში იოთამ. ანაზდეულად ფანჯარაში მერცხალი ჭიკჭიკით შემოფრინდა. გაინავარდა ოთახში და ფანჯარაზე ჩამოჯდა.

გაუხარდა იოთამს მერცხლის დანახვა. თავი ასწია და მიმართა:

— გამარჯობა! რა კარგი ხარ, რომ მოფრინდი! მოდი ახლო ჩემთან... აი რა გაჭამო!

მაგრამ მერცხალი ისარივით გაიჭრა გარეთ და იოთამთან არ მიფრინდა.

რა კარგი იქნებოდა, რომ ფრთები ჰსხმოდა იოთამსაც. ისიც გაფრინდებოდა და ავად არ იქნებოდა. ავადმყოფი მერცხალი ვის უნახავს! იოთამმა იცის, რომ მთაში განუწყვეტლად ნიავი ქრის და კლდიდან ცივი წყაროები მოჩუხჩუხებენ, არც ცხელა მთაში. იოთამი კი ქალაქშია და ავად არის.

ასე დიდხანს იოცნება მერცხლობაზე იოთამმა.

დაიღალა და ჩაეძინა. ძილშიაც წუხს, რომ ავად არის.

ნეტავი, რატომ გაფრინდა მერცხალი? რა იქნებოდა, რომ სულ ცოტა ხნით ფრთები ეთხოვებია იოთამისათვის! გაფრინდებოდა იოთამი, მთის წყაროს დალევდა და მორჩებოდა. სულ მალე უკან დაბრუნდებოდა!

და უძახის იოთამი მერცხალს. სთხოვს: ფრთები მათხოვე, გავფრინდებიო. უხმობს ერთხელ, ორხელ...

და, აი, მერცხალიც ოთახში შემოფრინდა, მაგრამ ახლა დიდია იგი. ნისკარტით მოაქვს დიდი ფრთები იოთამისათვის.

ლოგინთან სულ ახლოს მიფრინდა ძვირფასი სტუმარი და ავადმყოფ იოთამს ფრთები შესთავაზა. თან უთხრა ჭიკჭიკით, როგორ უნდა შეისხას, როგორ გაშალოს და დაკეცოს...

მაგრამ ამ დროს იოთამის დედა შემოვიდა ოთახში და ავადმყოფს ფაფა შემოუტანა. დაინახა, რომ შვილი ძილში ბორგავდა. შეეშინდა და გაალვიძა.

— რა იყო, იოთამ? სიზმარი ნახე? აი, მე ფაფა მოგიმზადე! რა კარგია, რომ იცოდე!

იოთამმა თვალები გაახილა, შეჰხედა დედას, მერე ოთახი შეათვალიერა. მერცხალი რომ ვერ დაინახა, ცრემლი თვალზე მოადგა. შეწუხდა.

— რატომ გამიფრინე, დედა, მერცხალი? ახლა აქ იყო მერცხალი! სად არის ფრთები? ფრთებიც წაუღია! დაუძახე, ისევ მოვიდეს! ფაფა რად მინდა! არ მინდა ფაფა! მე გაფრენა მინდა! სად წავიდა ჩემი მერცხალი?

— კი მაგრამ ის სიზმარი იყო, იოთამ! — მიუალერსა დედამ. — სიზმარი იყო და შენ ხომ იცი, რა არის სიზმარი...

— ჰოდა, მე ფრთები მინდა... — გულდაწყვეტით უპასუხა იოთამმა და ტირილი დაიწყო...

ავად არის იოთამი... ავად არის და ახლა ისიც აწუხებს, რომ დედამ მერცხალი გაუფრინა...

ანა ხახუტაშვილი
(ცქვიტი)

ანა ანტონის ასული ხახუტაშვილი დაიბადა 1886 წელს სოფ. მეჯვრისხევში (გორის რ.), ღარიბი მღვდლის ოჯახში. პატარა ანა მიაბარეს მცხეთის სამთავრო მონასტრის წმ. ნინოს ოთხკლასიან სასწავლებელში, რომელიც ოქროს მედლით დასრულა. შემდეგ გადაიყვანეს საეპარქიო სასწავლებელში. რომელიც 1902 წელს დაამთავრა. იმავე წელს მოეწყო სამსახურში ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში. ანა აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მუშაობაში, რისთვისაც 1906 წელს დაითხოვეს სამსახურიდან. იგი კერძო კაკვეთილებით ირჩენდა თავს და ოცნებობდა უმაღლესი ცოდნის მიღებაზე.

ანა ხახუტაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1907 წელს: მისი პირველი საბავშვო მოთხრობა „მიტოს გაბედულება" დაიბეჭდა ყურ. „ნაკადულში". 1907 წლიდან ანა ხახუტაშვილი საბავშვო ყურნალების მუდმივი თანამშრომელი გახდა. იგი წერდა ცქვიტის ფსევდონიმით. ა. ხახუტაშვილს ყურ. „ნაკადულის" რედაქციის შუამდგომლობით წ. კ. ბ. საზოგადოებიდან დაენიშნა სტიპენდია და 1909 წელს შევიდა თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე, კურსების დამთავრების შემდეგ გაემგზავრა ხარკოვს და მოეწყო ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1916 წელს. მასწავლებლობდა ჯერ გორის ქალთა გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ, თბილისის ქალთა გიმნაზიებში.

1907 წლიდან ანა ხახუტაშვილს არ შეუწყვეტია წერა ბავშვებისათვის. მისი მოთხრობების კრებულებად გამოცემა (რაც ერთ ათეულს აღემატება) მხოლოდ საბჭოთა პერიოდში გახდა შესაძლებელი. ანა ხახუტაშვილის მოთხრობების პირველი წიგნი 1934 წელს გამოვიდა. მწერალი ქალის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ისტორიული რომანი: „იოსებ ლადიაშვილი".

სულინაური

მზეწვიას ეძახდნენ ამხანაგები გიორგის, რაკი სიმღერა ძლიერ უყვარდა პატარა ტანის ბიჭს, თუმცა ხნითაც პატარა იყო. ცამეტი წლის ბიჭუნა მეტად ცოცხალი, გულჩვილი და დაუდეგარი რამ იყო. აი ახლაც ამხანაგებს არ დაეთანხმა, საღამომდე რა მომათმენინებსო, გულს გაივლო. გიორგიმ და გაკვეთილების შემდეგ ხელად გასხლტა სკოლიდან. გიორგიმ დაღმართი ჩაირბინა, ხევს გავიდა და, ავადმყოფ მასწავლებლის ეზოსთან რომ მიაღწია, რაღაც მოკრძალება და გაუბედაობა იგრძნო. ცოტა ხანს ეზოს კარებთან იდგა იღლიაში ჩანთაამოჩრილი გიორგი და მოუსვენრად ტორტმანებდა. რაკი აივანზე ვერავინ შენიშნა, ეჭვი დაებადა: იქნებ მართლა მისი ნახვა ახლა არ შეიძლება, იქნებ შევაწუხო და უხერხული იყოსო, — გაიფიქრა გიორგიმ და, ის იყო უკანვე უნდა გაბრუნებულიყო, რომ აღმართის ბილიკიდან ფეხის ხმა მოესმა. გიორგიმ გაიხედა და სახე აელანძა: თავისი სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი ვიღაც მაღალ კაცს მდუმარედ მოყვებოდა. ორივეს დაფიქრებული სახე ჰქონდა. გიორგის გული შეეკუმშა.

— აქ რას აკეთებ?! მოახლოებისას ჰკითხა მასწავლებელმა გიორგის და ცოტა ხანს მის წინ გაჩერდა.

— ჩვენი მასწავლებლის ნახვა მინდოდა და... — მოკრძალებული ხმით უთხრა გიორგიმ და თავი ჩაღუნა.

— მერედა აქ რას გაჩერებულხარ? აქედან ხომ ვერ დაინახავ, შე კაი კაცო? აბა, წამოგვყე და ერთად ვნახოთ.

გიორგი უკან აედევნა. ეზო რომ გაიარეს და დერეფანში შევიდნენ, მასწავლებელი ბავშვს მიუბრუნდა და უთხრა:

— ცოტა ხანს აქ მოიცადე, ჯერ ექიმი გასინჯავს და მერე დაგიძახებ. — ამ სიტყვებით მან კარი ფრთხილად შეაღო, წინ ექიმი შეუშვა და ისევ მოხურა.

კარებთან გაჩერებულ ბიჭს გული საშინლად აუძგერდა. წუთები საათებად ეჩვენებოდა, ავადმყოფ მასწავლებლის ნახვა ისე ეჩქარებოდა.

— აბა შემოდი, გიორგი! ილიამ უკვე იცის, რომ ძის სანახავად ხარ მოსული, მაგრამ დიდხანს არ გაჩერდე, ძლიერ სუსტად არის.

გაღებულ კარებში ფეხაკრეფით შევიდა თუ არა გიორგი, გულმა უფრო მძლავრად შემოკრა.

მისი საყვარელი მასწავლებელი გულღმა იწვა. გიორგის შემოსვლაზე ავადმყოფმა სახე კარებისაკენ მოიბრუნა და ოდნავ გაღიმებულმა მისუსტებული ხმით მიმართა:

— გამარჯობა, ჩემო გიორგი... მოდი ახლო... აი აქ სკამზე ჩამოჯექ! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა ავადმყოფმა და სკამი თვალებით უჩვენა. გიორგი ცალი გვერდით ჩამოჯდა და, მასწავლებელი უფრო კარგად რომ შეათვალიერა, მორიდებული ღიმილი უმალ ჩამოეცალა.

„ვაიმე, დედა! ნუთუ ეს ჩვენი მასწავლებელია! როგორ გამხდარა, თვალები ჩასცვივნია, სახეზე მკვდრის ფერი ადევს“, — შიშით გულს გაივლო ბიჭმა.

— ხომ კარგად ხართ ყველანი, ხომ არ ზარმაცობთ, არ ცელქობთ?! — ისევ წყნარი ხმით ჰკითხა ავადმყოფმა.

— არა, მასწავლებელო! რაც თქვენ ავად ბრძანდებით, უფრო კარგად იქცევიან. — ისეთი წრფელი გრძნობით თქვა გიორგიმ, თითქოს ამ ამბით შელავათი უნდა ეგრძნობინებინა საყვარელ მასწავლებლისათვის.

გიორგის თავის ხმაზე გული უფრო აუჩუყდა.

— ჰო, მართალია, ილია, შენი კლასი ისე კარგად იქცევა, რომ მთელი სკოლის მაგალითად შეიქნა, მაგრამ შენ ლაპარაკით ნუღარ დაიღლები. გიორგისაც ეყოფა შენთან ბაასი. აბა, გიორგი — მიმართა მან გიორგის, — ილიას მაგივრად ყველას სალამი გადაეცი და...

გიორგი სწრაფად წამოდგა. ავადმყოფმა თანხმობის ნიშნად თავი ოდნავ შეარხია და მისუსტებულმა წუთით თვალები დახუჭა. ბიჭმა რომ თვალებდახუჭულ მასწავლებელს ხელმეორედ დახედა, ტანში ჟრუანტელმა დაურბინა.

— მშვიდობით, მასწავლებელო, — ჩავარდნილი ხმით წარმოთქვა გიორგიმ და ფრთხილად გააღო კარები.

— სამწუხაროდ, სულფიდინი ჩვენს აფთიაქში სწორედ ახლახან გამოლეულა და, თუ სასწრაფოდ არ იშოვეთ... ძლიერ მძიმე მდგომარეობაშია ავადმყოფი.

ასეთ ლაპარაკს მოკრა ყური გიორგიმ, როცა დერეფანში გამოვიდა. ნაბიჯი შეანელა და სმენა გაიმახვილა. — დღეს რაღა იქნება. გორში მანქანა უკვე წასულია, ცხენი შინ არავის ეყოლება ახლა. ფეხით კი ჩვენი სკოლის დარაჯი როდის ჩავა და დაბრუნდება! — დაღვრემილი კილოთი უპასუხა ექიმს მეორემ. გიორგის უცებ რაღაც აზრმა გაუელვა, სწრაფად კიბეზე ჩამოირბინა და ეზოს იქით გაჩერდა.

— უკაცრავად, მასწავლებელო, აჰ, არა, ბატონო ექიმო, — ხვეწნით დაედევნა ეზოს გარეთ გასულ ექიმს გიორგი.

— მითხარით, რით შეიძლება დავეხმაროთ მასწავლებელს... იგი ისეთი ავადმყოფია... — გიორგის ხმა ჩაეხლიჩა, სიტყვა შეუწყდა გრძნობამორეულს.

ექიმს თანაგრძნობის ღიმილმა სახე გაუშუქა.

— განა ეგრე ძლიერ გიყვარს შენი მასწავლებელი?! აი ყოჩაღ, ძლიერ კარგია და საქები, მაგრამ შენ აქ რას გაწყობ?! მაგას ახლა ისეთი წამალი ჭირდება, რომელიც ამჟამად აქ არ მოიპოვება.

— მითხარით რა ჰქვია იმ წამალს... — კვლავ შეეხვეწა ექიმს გიორგი.

— რა ჰქვია და სულფიდინი. ეს ახალი საშუალება შეტად კარგ შედეგს იძლევა ფილტვების ანთების დროს, გაიგე?!

— დიახ, გავიგე, გმადლობთ. — დაფიქრებით უპასუხა ბიჭმა, მერე უცებ ადგილიდან მოწყდა და სერზე მდგომი სახლისაკენ მოკურცხლა.

— სულფიდინი, სულფიდინი, სულფიდინი, — გზადაგზა იმეორებდა გიორგი, რომ წამლის სახელი არ დავიწყებოდა, სერზე რომ ავიდა, ჩანთიდან რვეული ამოიღო, მუხლზე დაიდო და ჩაიწერა, შემდეგ ღობით შემოფარგლულ სახლთან მიირბინა და ხმამაღლა შესძახა:

— შაქრო, ჰაი შაქრო! — ეზოდან ხმა არავინ გასცა. — ალბათ, ვენახში თუ არიან წასული, შაქროც სკოლიდან ჯერ არ დაბრუნებულა და რაღა ვქნა? სანამ სკოლაში მივალ, სანამ უკანვე დავბრუნდები, დაგვიანდება, — გაიფიქრა ბიჭმა და წუთიც აღარ დაუყოვნებია: დარაბიდან ხელი შეყო, შიგნიდან გადარაზული კარი გააღო და ჯიხურისაკენ გაექანა. ეს ჯიხური შაქროს საზაფხულო სადგომი იყო. შაქროს განცალკევებით უყვარდა მეცადინეობა და სახლივით მოწნული ჯიხური თავის გემოვნებაზე ჰქონდა დალაგებული: მაგიდა წიგნებით, ერთი სკამი და მცირეოდენი სავარჯიშო ხელსაწყო.

გიორგიმ ჭუჭრუტანიდან შეიხედა, სიხარულით წამოიძახა: აქ არის, აქ! კიდევ კარგი არავისთვის არ უთხოვებია. გიორგის ხშირად უმეცადინია შაქროსთან ერთად, ჯიხურის კარის გაღება და გასაღების შესანახი ადგილიც კარგად იცოდა. ბიჭმა ხელი ჯიხურის სახურავისაკენ ასწია, იქ დამალული რკინის კაუჭი გადმოიღო, ურდულს გასწია და კარი სულ ადვილად გააღო. მარჯვენა კედელთან მიყუდებულ, ტილოგადაფარებულ ველოსიპედს ეცა. ტილო გადააძრო, სკამზე დასდო და თვითონ მაგიდას მიუბრუნდა. კალამი სწრაფად აწრიპინდა მყუდროებაში:

„შაქრო, არ შეგეშინდეს და არ გაჯავრდე, შენი ველოსიპედით გორში მივდივარ მასწავლებლის წამლისათვის, სკოლაში ვეღარ ამოვირბინე, ძლიერ მეჩქარება... გიორგი“.

გიორგიმ თავისი ჩანთა იქვე მაგიდაზე დასდო, ველოსიპედი გამოიტანა, ეზოს კარები ჩაკეტა და მოუსვა.

გორახიან გზებზე გიორგის ველოსიპედი ანჯღრევდა, მაგრამ იგი არაფერს იმჩნევდა. ორღობეებში ძაღლები გამოედევნენ, დაღრენილი კბილებით ეტანებოდნენ. არც ამათთვის მიუქცევია ყურადღება, ფოსტის გზისაკენ ესწრაფებოდა, თვალები სულ წინ ჰქონდა მიპყრობილი.

ბგერ ფოსტის გზაც. ველოსიპედის თვლები შესრიალდნენ გატეხილ გზაზე. შურდულივით გაუტია გიორგიკ. ნახევარი საათის შემდეგ ბიჭს ხვითქი გადასდიოდა, მაგრამ ოფლის მოსაწმენდად როდი ეცალა, საცაა გორს მიაღწევდა: გორის ცხენ, გალავნიანი ქედი უკვე ამაყად აღმართულიყო მის თვალწინ.

* *

ესეც გორი; გიორგიმ ქუჩებს ჩაუქროლა, თავქვე დაეშვა და ხელოვან ფაღთო ქუჩაზე გაჩნდა. იმ დღეს თითქოს მთელი ქვეყანა დაძრულიყო და უცხო ხალხი ქუჩაზე მდინარესავით მოდიოდა. გიორგის მათი ცქერით ბარემ კისერი მოეღრიცა, მაგრამ მაინც არ შეჩერებულა; ბიჭს მოვალეობა აწუხებდა და ველოსიპედს მიაქროლებდა. ქუჩაში მიმავალთა შორის მან უზბეკი, ჩინელი და ესკიმოსიც კი შეამჩნია. ამ ხალხს იგი სურათების და წიგნების საშუალებით კარგად იცნობდა, ბარემ მათი ახლო ნახვის სურვილით კბილები აუკაწკაწდა, მაგრამ მაინც არ გაჩერებულა, მხოლოდ სწრაფი სვლა შეაჩერა, რომ ხალხის ჭრელი ტალღა გაეტარებინა და ამ ნელ სიარულში თვალებს ხარბად აცეცებდა, რომ ყველაფერი კარგად დაეხსომებინა.

ხალხის ტალღა რომ გადნა, თავისუფალ გზატეხილზე გიორგიმ უფრო სწრაფად გააქროლა ველოსიპედი და სამი წუთის შემდეგ აფთიაქის წინ გაჩერდა. გიორგი ჩანჩხტა ველოსიპედიდან, ველოსიპედი კარებს მიაყუდა და წამლის სუნი რომ ეცა — უცებ ხელი თმებში იტაცა:

ვაიმე, ჩემი რვეული... ჩანთაში ჩამრჩა. წამლის სახელი ზედ შეწერა, — და აღელვებულმა ბიჭმა უბეში ხელი ჩაიყო, — ფული აქა მაქვს, ჩემი რვეულების ფული და... მაგრამ არა უშავს რა, წამლის სახელიც მახსოვს, ჩვენი მოწაფის გვარს ჰგავდა. ჰო, მომაგონდა, მომაგოხდა! — გული დაიმშვიდა გიორგიმ და დაზგასთან მდგომ გრძელწვერა პროვიზორთან გაბედულად მიიჭრა.

— ძია, სულინაური მინდა, ხომ გაქვთ სულინაური?!

პროვიზორი რაღაცას წერდა. ბიჭის აღელვებული ხმა რომ შეესმა, სათვალის ზემოთ გამოხედა და დინჯად ჰკითხა:

— რაო, რა გინდა?!

— სულინაური, ძია, სულინაური.

— რა არის, ბიჭო, სულინაური?

— წამალია, მასწავლებელი გვყავს ძლიერ ავად და ჩქარა უნდა მიეაშველოთ.

— სულინაური?!. ეგეთი წამალი მე არ ვიცი. შენ, ალბათ, სხვა რა-

ღაც გინდა. — დამშვიდებული კილოთი უთხრა პროვიზორმა და კალამს ხელი ისევ წაავლო. ბიჭი მოუთმენლობამ და მღელვარებამ მთლად ააფორიაქა.

— წამალია, როგორ არა, წამალია! ფილტვების ანთებას თურმე ძლიერ შველის. ექიმმა ასე თქვა. ჩვენს სოფელში რაკი არ იყო, ნახევარ საათში ჩამოველ, რომ ისევ ჩქარა ველოსიპედით გავეშურო. ძია, შენი ჭირიმე, ჩქარა, თორემ... — ცრემლმორევით შეეხვეწა ბიჭი...

— ჰოო... სულინაური კი არა, ბიჭიკო, შენ, ალბათ, სულფიდინი გინდა, არა?! — გიორგი აენთო, შერცხვა და იმანაც გაიცინა დატანჯული სახით.

— ბარემ ჩავიწერე; მაგრამ რვეული სიჩქარით შინ დამრჩა. ინაური ჩემი ამხანაგია, იმას ფიდო ჰქვია და სახელის მაგივრად გვარი გამახსენდა და სულინაური იმიტომ გითხარით... — დარცხვენით ბუტბუტებდა გიორგი.

— კი, მაგრამ ეს წამალი ურეცეპტოდ არ გაიცემა, რეცეპტი თუ გაქვს?! — გიორგის თავზარი დაეცა. სახეზე ხვითქმა გადაკრა, თვალებში ისეთი გულწრფელი მწუხარება აღებეჭდა, რომ პროვიზორმა სახე აარიდა.

— ძია, შენი ჭირიმე, მაშ რა ვქნა?! იქნებ როგორმე...

— არა, შვილო, ტყუილად დროს ნუ კარგავ, — დინჯად უთხრა პროვიზორმა — ურეცეპტოდ უფლება არა მაქვს მაგ წამლის გაცემისა და აბა მე რა გიყო! — ისეთი კილოთი მოუჭრა სიტყვა, რომ გიორგი რეტდასხმულივით გამოტრიალდა, ველოსიპედს მოაჯდა და მძიმედ დაიძრა.

— ახ, ეს რა მომივიდა, თქვენი ჭირიმე, სადღა წავიდე, ვის მივმართო? მეგონა ქინაქინასავით ურეცეპტოდ გაიცემა-მეთქი და... — ჯავრობდა გიორგი თავის თავზე და ისე მიასრიალებდა ველოსიპედს, აქეთ-იქით აღარ გაუხედია.

— ბიჭო, გიორგი, შენ ხარ, კაცო! — შემოესმა უცებ ქუჩის მოსახვევში მხიარული ხმა. გიორგიმ ველოსიპედი გააჩერა და ჩამოხტა.

— რა დაგემართა, რას დაღვრემილხარ, ვეღარ მიცანი, კაცო?! — გაუმეორა კითხვა თოთხმეტი წლის ბიჭმა და გიორგის წინ გადაეღობა.

— გამარჯობა, ნიკო! — ძლივს ოდნავ გაიღიმა გიორგიმ და ხელი გაუწოდა.

— რა ამბავია, თავ-პირი რას ჩამოგტირის, რისთვის ჩამოსულხარ სოფლიდან?

გიორგიმ მწარე ღიმილით თავი გაიქნია.

— კაცო, ჩვენი მასწავლებელი, გახსოვს, ქართულს რომ გვასწავლიდა... ჰოდა ის ამჟამად ძლიერ ავად არის. ფილტვების ანთება ჰქონია

და თურმე სულფიდინი ყოფილა მისი მხსნელი. ამას ყური რომ მოვკარ, თავპირისმტვრევით ჩამოვირბინე, მაგრამ ურეცეპტოდ არ მომცეს.

— არიქა, ბიჭო, ჩვენ გვაქვს, მე მოგცემ.

— ვაი, შენი ჭირიმე, არიქა, მიშველე რამე!

— ჰო, ჰო, მამაჩემი იყო ავად. ეგ წამალი რომ არ მიგვეშველებინა, ხელიდან გამოგვეცლებოდა. რამდენიმე ფხვნილი კიდევ დაგვრჩა.

— ოღონდ კი ჩქარა მოიტანე და. — აი ფულიც... — ბიჭმა უბისაკენ ხელი წაიღო.

— რას ლაპარაკობ, ბიჭო, ოღონდ კი მორჩეს და ფული რად მინდა?! — შეეტია ნიკომ და შინ სწრაფად გაიქცა.

გიორგის თვალები უბრწყინავდნენ. ამხანაგმა რომ ცოტა ხნის შემდეგ თეთრ ქაღალდში გახვეული წამალი გადასცა, გიორგი მღელვარებით მოეხვია და აკოცა.

— თუ კაცი ვარ, გაკადგიხდი, მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ!.. მაპატიე, ძლიერ მეჩქარება... — აფორიაქდა ისევ გიორგი, თავის ველოსიპედს სწრაფად მოახტა და გაფრინა.

* *

თითქოს ფრთები შეესხა, თითქოს შავარდენი ყოფილიყოს — ისე იოლად მიჰქროდა გიორგი. სიხარულით მეხლების და მკლავების ტკივილი მთლად დაავიწყდა. ნიავი გულში ჩაქროდა, გიორგის სიხარულს ეალერსებოდა. ირგვლივ მთა და ველი ულიმოდა, ხის კენწეროები თავებს უკრავდნენ და ბედნიერებას გრძნობდა გიორგი, რომ მასწავლებელს გადაარჩენდა. მზე ჯერ მაღალზე იყო, როცა ბიჭი სოფელში შეიჭრა.

გაიარა შარაგზა. მარცხნივ შეუხვია და, დანგრეული კოშკის იქით მასწავლებლის სახლის მიდამოს რომ თვალი მოკრა, გულში ეკალივით რაღაც გაეყარა: მის კარ-მიდამოზე მოწაფეები ჯგუფ-ჯგუფად ფუსფუსებდნენ. ეზოს კარებიდან ვიღაც გამოვარდა და ზევით გაიქცა.

— ვაიმე თუ დამიგვიანდა!.. გული ჩასწყდა გიორგის, მეხლების მოდუნება იგრძნო, მაგრამ მაინც ძალას ატანს თავს, პედალს აჭერს ფეხებს. აგერ თავისი კლასის გოგონები დაინახა. ერთმა მათგანმა თვალებთან ცხვირსახოცი მიიტანა.

— ვაიმე, საყვარელო მასწავლებელო... — წამოიგმინა ბიჭმა და ველოსიპედი უფრო გააჭანა.

— არიქა, გიორგი, გიორგი მოდის... — მოესმა შეჩოჩქოლებული

ბავშვების ხმა. ჯგუფიდან მაღალი ტანის ბიჭი გამოიჭრა და გიორგისაკენ გაეშურა.

— რა ქენი, ბიჭო, მოიტანე? — შეშფოთებული ხმით შეეკითხა შაქრო და ძირს ჩამომხტარ ბიჭს თავისი ველოსიპედი ჩამოართვა.

— რა ამბავია, ბიჭო, რას შეკრებილბართ, როგორ არის? — გულის ძგერით ჰკითხა გიორგიმ და თვალებში მიაშტერდა.

— ცუდად არის, ძლივს აბრუნებენ, მაგრამ რაკი მოუსწარ, იქნებ მართლა ეშველოს რამე.

გიორგიმ შვებით ამოისუნთქა და ამხანაგისათვის ყური აღარ უთხოვებია, ეზო გაირბინა და თვალის დახამხამებაზე აივანზე გაჩნდა. აივანზე რამდენიმე მასწავლებელი დაღვრემილი იდგა და ჩურჩულით რაღაცას ლაპარაკობდა. ამ დროს კარი გაიღო და ექიმი გამოვიდა. გიორგი მასთან მივიდა.

— აი, მასწავლებელო... ექიმო — სულფიდინი მოვიტანე. — ქაქანით უთხრა გიორგიმ და წამალი ხელში მიაგება.

— ჰო, ყოჩაღ, ბიჭუნი, ყოჩაღ... — სწრაფად თქვა ექიმმა, წამალი ჩამოართვა და ოთახში შებრუნდა.

* *

დაღამდა. სავსე მთვარე ამოსულიყო და მიყუჩებულ სოფელს ოქროს ვარაყში ალივლივებდა. გიორგის კლასის ერთი ჯგუფი ავადმყოფი მასწავლებლის სახლის შორიახლო, დანგრეულ კოშკთან ლიკლიკა წყაროს შემოსხდომოდა და ტკბილად მღეროდა.

მაგრამ მათ შორის ყველაზე ბედნიერად გიორგი გრძნობდა თავს, რომელსაც იმ დღიდან მეტსახელად მზეწვიას ნაცვლად სულინაური უწოდეს.

ღამის ზღაპარი

— ახლა მეც გეტყვით ერთ ამბავს. — ჩაირაკრაკა ანკარა წყარომ, როცა ჭრიჭინამ დაათავა თავისი თავგადასავალი.

ღიღილო, გვიმრა, წყლის ინა და დიდი ლოდები გულმოდგინედ უსმენდნენ მთხრობელს.

ღამეც იქ იჯდა, შავი ატლასის კაბით მორთული. ფართო კალთები

ბრწყინვალე ვარსკვლავებით მოეჭარგა, გულზე მთვარე დაებნია და ისიც ჩუმად უსმენდა წყაროს ლიკლიკს.

— ამ წინაზე, — დაიწყო წყარომ, — ზღვამ მეტად გამაჯავრა. ავი დედაბერივით სულ ბუზღუნებდა. ერთ კვირაზე მეტი სულ ქოთქოთებდა და ყურთასმენა აღარ იყო მისი ტალღების ქუხილით.

დავიღალე და ძლიერ მინდოდა სიწყნარე და მოსვენება.

ერთ დილით ნიავმა რაღაც ეშმაკური ღიღინით ჩამომიქროლა. მეც ვითომ ხუნრობით ქოჩორში ხელი შევეხეცე, სწრაფად მოვაჯექ ფრთებზე და ნისლადქცეულმა გავუტრე.

ცელქ ნიავს გზადაგზა იმას ვეხვეწებოდი: — შენი ჭირიმე. წამიყვანე, სადაც ხმაური არ იქნება-მეთქი. ნიავი თითქოს ყურს არ მიგდებდა, მიჰქროდა გიჟი, სადღაც სწრაფად მიიჩქაროდა და თავისთვის მიიღეროდა. ამ სიმღერით ბევრი მთა-ბარი გადამატარა და ბოლოს ერთ ტყის პირად არყის ხესთან შეჩერდა.

— გესმის, ნისლო, — ჩამჩურჩულა ნიავმა, წელან ტყესთან რომ ჩამოვირბინე, კვნესა მომესმა და ზღვაზე მისთვის ჩამოგიქროლე, რომ აქ მომეყვანე. აბა დახედე! — დავხედე და გული შემეკუმშა: უზარმაზარი ვაჟაცი ხის ძირას ეგდო და ბოდავდა. მარცხენა ფეხთან სისხლის გუბე დამდგარიყო და გამოფლეთილ კუნთიდან ალისფრად კიდევ ეონავდა.

— ახლავე უნდა ვეშველოთ, თორემ ცოტა რომ დავაყოვნოთ, დაიღუპება, ყური დაუგდე!

— წყალი... წყალი... — ოდნავ წაილღღლულა დაჭრილმა და გონება დაკარგა. ტუჩების მოძრაობა შეეჩერდა, მიბინარდა და ნშვენერი სახე მოწყვეტილ ყვავილივით გაუფითრდა.

— ჩქარა, თორემ მერე გვიანღა იქნება! — ხელმეორედ წამჩურჩულა ნიავმა და გულწასულ ვაჟაცს სახეზე რამდენჯერმე გადაურბინა. მე იმწამს არყის ცივ ფოთლებს ავეკარ. წვეთებად ვიქეცი და ძირს დახრილ შტოდან სახეზე დავეპკურე. მერე ნიავიც წამომეშველა: ფოთლები ოდნავ რომ შეარხია, მრავალ წვეთებად ზედ ტუჩებზე დავედინე, დაჭრილმა თითქოს ღრმად ჩაისუნთქა. ნიავი კი ციბრუტივით დატრიალდა, ირგვლივ ყველა მოიშველია, რომ მხედარი როგორმე მოესულიერებინა: ნარის ეკალს წამოურბინა, ღონიერი მუჯლუგუნი უთავაზა, მხედრის ყურთან დახარა და ყურის ბიბილოზე მწარედ აკბენინა. შეშფოთებულმა ბალახებმა მაღალ შუბლზე დაპკურებული ნამი ფოთლების ცაცუნით გაიტან-გამოიტანეს და მხედარი მართლაც გონს მოვიდა.

თვალი გაახილა თუ არა, წამოჯდომა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო და მწარედ წამოიგმინა. ნიავი კი დაუღალავად თავს ევლებოდა, შუბლს უგრილებდა, სუნთქვას უმსუბუქებდა.

— წყალი, მხოლოდ ერთი მუჭა წყალი, — წამოილუღლუღა ისევ დაკრილმა.

თურქე ნიავმა იცოდა, ნაკადული სადაც მოწანწკარებდა. ორიოდე ნაბიჯის მანძილზე შამბნარი შეაშრიალა და წყლის სუსტი ჩქაფუნი მხედრის ყურთან მიაგდო. მხედარს გული მოეცა, უფრო ღონივრად წამოიწია და კვნესით წამოჯდა. რაკი დასიებული ფეხი ვერ დასძრა, საღ გვერდზე გადაბრუნდა, ხელები მიწას დააბჯინა და ახლადფეხადგმულ ბალღივით ძლივს გაცოცდა. მოძრაობაზე სისხლმა უფრო ძლიერ დაუწყო დენა. კუსავით მიცოცავდა მხედარი. გრძნობდა, რომ სუსტდებოდა, მაგრამ წყალი ისე სწყუროდა, რომ არ შეჩერებულა. სწორედ ორი ნაბიჯიღა დარჩა ნაკადულამდე. გულმა უღალატა. ღონემიხდილს თვალთ დაუბნელდა. თავი ჩაქინდრა და პირქვე განერთხო.

ხუთი წუთიც არ გასულა, რომ ტყიდან რაღაც ფაჩუნი მოისმა.

— ფრთხილად, ბიჭებო, აი აქედან მოისმა... თითქოს ვიღაცამ დაიგმინაო, — ჩაიჩურჩულა 15-16 წლის ბიჭმა, ზურგზე გადაკიდებული თოფი ხელთ მოიმარჯვა და ირგვლივ გაიხედ-გამოიხედა.

— რისა გეშინია? ჩვენებმა მტერი აქედან ცხრა მთას იქით გადააცილეს. თუ იქნებიან, ისევ ჩვენები, — უთხრა მაღალმა ბიჭმა და გაბედული ნაბიჯით ბალახები შეაშრიალა.

— სად მიხვალ, ბიჭო? — ხალათის კალთაზე ხელი წაავლო მესამემ, თან დაიხარა და არყის ხისაკენ გაიხედა.

— აი, თუ არა გჯერა! აბა უყურე, რაღაც მოჩანს, მგონი ბალახიბში ვიღაც იმალება, — წაიჩურჩულა მან და ყველამ თოფებზე ხელი წაივლეს, ხელყუმბარები დაამზადეს.

— ჯერ დაიცადეთ! მე ვხედავ, რომ პირქვე დამხობილი კაცი წევს. ტანისამოსი ჩვენი აცვია, მაგრამ გადაცმული არ იყოს, ხომ იცით, მტერი რა მუხანათია!

ბიჭებს ბევრი მსჯელობა არ დასჭირებიათ: ყველაზე ტანმომცრო ხელად ხის კენწეროს მოაჯდა, იქიდან სისხლიანი შარვალი და გამოფლეთილი კუნთი რომ დაინახა, ამხანაგებს თამამად ჩამოსძახა:

— ნუ გეშინიათ, ჩვენია, ჩვენი! მგონი მძიმედ არის დაკრილი.

ბიჭები მხედარს ფრთხილად მიუახლოვდნენ. პირქვე მწოლი კაცი არ განძრეულა. სიცოცხლის ნიშანწყალი არც მაშინ გაუმჟღავნებია, როცა ბიჭებმა მხედარი გადააბრუნეს, სახეზე წყალი ასხურეს. ერთმა მათგანმა კუნთის ზემოთ თასმა მაგრად მოუჭირა, რომ სისხლის დენა შეეჩერებინა. მალე კიდეც მოაბრუნეს, დააპურეს და მოღონიერებული დაკრილი პატარა მზვერავებმა სადღაც წაიყვანეს.

მას შემდეგ იმ მიდამოზე ვეღარ გავჩერდი. დაკრილის ამბის გაგება ისე მინდოდა, რომ ერთ მზიან დღეს ბალახებზე ცვარ-ნამად გაბნეული

ისევ ავვორთქლდი და უგზო-უკვლოდ დავიწყე ხეტიალი. გუშინ საღამოს, აგერ, ამ კლდეს მოვადექი. უძილო ღამე აქ გავტეხე. ცივ ლოდებს ვეხუტებოდი, რიყრაჟზე კი, როცა უფრო აცივდა, ცრემლად ვიქეცი და ამ წყაროს შევუერთდი.

მინდა გულიდან ჯავრი გადავიყარო, ჩადუნიაში ამასთან ერთად ტკბილ სიმღერას დავარაკრაკებ და მერე ბინდვრისკენ გავინავარდებ იმ თეთრი ყვავილების მოსარწყავად, რომელთაც ასე წააგავდა გაფითრებული მხედარი.

წყარო წუთით გაჩერდა და ისევ განაგრძო:

— რა ვიცი, ამ ხეტიალის დროს იქნებ მის ამბავს კიდევ სადმე წავაწყდე.

— მე ვიცი, ის სადაც არის! — წარმოთქვა დინჯად ღამემ და ოდნავ შეირხა. ოქროს ძაფებით დაკერებული ორიოდე ვარსკვლავი კაბის კალთიდან მსუბუქად მოსწყდა და სადღაც ჩაებნა.

— მართლა იცი?

— მერე? სად არის?

— გვითხარი. რაღასა მალავ! — ყველა ერთხმად ჩაეკითხა ღამეს.

— სად არის და აქვე სულ ახლოს, — დაიწყო ღამემ. — ხედავთ სოფლის ბოლოში მალალი სახლიდან ლამპის შუქი რომ გამოკრთის? იმ სახლშია!

— ჰო, მერე! მერე! როგორ არის, ან რას აკეთებს? — ისევ შეეხმაურნენ ყველანი.

— ღამეკ, შავთვალა, დარბაისელო! თავი დაღუნე, ფანჯარაში ყარგად შეიხედე და მითხარი რას აკეთებს? — მოუთმენლად ჩაირაკრაკა ანკარა წყარომ.

— რას აკეთებს და ტახტზე წევს. ტკბილად იღიმება. გვერდით გოგონა მოსჯდომია, უალერსებს, მალალ შუბლზე ჰკოცნის და ეუბნება:

— მამა, იცი რა გითხრა? ნე შენ ნანას გეტყვი, ტკბილად დაგეძინება და ფეხიც მალე მოგირჩება.

იქვე მისი პატარა ძმა ხის ცხენზე ვაჟკაცურად ზის, ცხენს მათრახს ურტყამს, მეორე ხელში გაფორტნილი ხის ხმალი მოუღერებია და მამას ეუბნება:

— იცოდე, მამა, მე ახლა ომში მივდივარ, მტერს მოვკლავ და შენ ჯავრს ამოვიყრი.

აგერ, ახლა, ბავშვის დედამ ფანჯარა გააღო. გესმით?!.. გოგონა მღერის და მოდით ჩვენც დავეხმაროთ, სურვილი და ნატვრა შევუსრულოთ იმ გოგონას, რომ მისმა უძილო მამამ როგორმე ტკბილად ჩაიძინოს. აბა, ერთგულად, ჩემო მაყრიონო! — მიმართა ღამემ გარემოს და ნიავს ასე დაავალა:

— ნიავო, აბა შენებურად წუთით გაინავარდე, მინდვრის სურნელება და მთის ჰაერი ავადმყოფის სარეცელთან უხვად მიზიდე და სხვებიც თავიანთ საქმეს შეუდგებიან.

ნიავმა ფრთები გაშალა, ტყე და ხევხუვი თავისებურად აამღერა. მდინარესთან ბაყაყებმა შეხმატკბილებული კონცერტი დააგუგუნეს. ქვემოთ ბაღში ბულბული ტკბილად ამღერდა. წყარო ისეთი ეშვით, ისეთნაირად აჩუხჩუხდა, რომ მისი რაკრაკი ფანჯარაში ყველაზე უწინ შეიჭრა.

— ახ, რა კარგია, რა ტკბილი სიმღერა გცოდნია, ჩემო გოგონა, — მისუსტებული ხმით წარმოთქვა დაჭრილმა, თვალები დახუჭა და ჩაეძინა.

პატარა მხედარი

ტკბილად სძინავს ზურიკოს, მაღალ შუბლზე ხუჭუჭი თმები ოქროს რგოლებად შემოჰფანტვია. თვალებდახუჭულს ფუნჩულა ხელი დიდი ადამიანივით თავქვეშ ამოუდვია და სულაც არ ესმის მისი უფროსი ძმა რას ლაპარაკობს.

— იცოდე, დედა, ამ მაიმუნს მოვკლავ, თუ ჩემ რამეებს ხელი ახლო, მოვკლავ-მეთქი, გეყურება?!

— არა გრცხვენიან, ნოდარ, აბა შეხედე, ბადრ მთვარეს ჰგავს, ვენაცვალე! ამაზე ამბობ მაიმუნიაო?!

— ჰო, გუშინ რომ ხმალი გამიტეხა? ეგ არის კარგი? იცოდე, ხელი არაფერს ახლებინო, თორემ, მე ვიცი, რასაც დავანსგავსებ.

— არა, ბიჭო! ხომ გეუბნები, არ მივაკარებ-მეთქი! მაგრამ შვილო, ეს ღუმელის მილი რაღა მორთულობაა? სამზარეულოში გაიტანე, თორემ სირცხვილია, გენაცვალე.

— არა, არა, მანდ იყოს, თორემ ვინმე მომპარავს. ნამდვილ ზარბაზნის ლულასა ჰგავს. შენ გინდა, რომ თენგიზმა თავის შტაბისთვის გააცუხცუხოს?!

— ჰო, კარგი, კარგი! იყოს აქ, ოღონდ სკოლაში ჩქარა წადი. ნუ იგვიანებ, ხედავ, მზე აივანზე კიდეც შემოდგა.

ნოდარმა ჩანთას ხელი დაავლო და ომახიანად გამოვიდა.

დედამ მძინარე ბავშვს ფრთხილად მოუალერსა და ისიც მეორე ოთახში შეტრიალდა.

მზემ რომ ფანჯარაში შემოანათა და მცხუნვარე სხივებით ბავშვს

თვალებში შეუჭვრიტინა, ზურიკო ხელწაკრულივით შეიშმუშნა და თვალები გაახილა. გაიცინა და შურდულივით წამოვარდა. ზურიკოს ერთ წუთს არ დაუყოვნებია: მაშინვე კარადას ეცა და პურის ნაჭერი დაითრია. შემდეგ მოტრიალდა და, ნოდარის კუთხეს თვალი რომ მოჰკრა, ჩიტივით შესჭყივლა. წითელვარსკვლავიანი ნოდარის სამხედრო ქუდი მაგიდაზე იდო. გუშინ მთელი დღე ეხვეწა ბავშვი, მაგრამ ნოდარმა ერთხელაც არ დაახურა, გააფუჭებო. ახლა კი იდროვა. ზურიკო ხელად მიიჭრა მაგიდასთან, პური იქვე დადო, ქუდი დაითრია და ხუჭუჭა თავზე ძლივძლივობით ჩამოიფხატა. ბრუნდეთ დახურული ქუდი გაფარფარებულ ღამის პერანგზე ფეხშიშველა ბავშვს მეტად შეენის. აგერ ახლა ზარბაზანსაც ხელში მოიმარჯვებს და ისიც ნოდარივით მეომარი გახდება.

ზურიკომ ღუმელის მილი წვალებითა და ხვნეშით იღლიაში ამოიდო, მეორე ხელი პურს წაავლო და ამაყად გამობრძანდა აივანზე ჩკენი მეომარი.

— ერთი, ოლი, ერთი, ოლი .. — კარებიდანვე წამოიძახა ზურიკომ და გრძელ აივანზე ხელად გაჩაღდა ცელქის აღლუმი.

— ბაჯიჯით ია, ბაჯიჯით ია! აბე ამბობს ნოდარი. — ბეტბუტებს ბავშვი და ფუნჩულა ფეხებს ზემოთ სწევს, ვითომ ნაბიჯით მიემართება. აივანზე რომ ერთი-ორჯერ აიარ-ჩაიარა, უცებ გიშერა საიდანღაც თავს წამოადგა.

ძაღლს თითქოს ეუცხოვა ბავშვის ასეთი მორთულობა, კიბესთან ცოტა ხანს შედგა, მერე უკანა ფეხებზე ჩაცეცქდა, თავი გვერდზე ნოდრიკა და ისეთი თვალით შეხედა, თითქოს ეუბნება:

— ქუდი კი ძლიერ გიხდება, მაგრამ ღამის პერანგში ყველაფერი რომ გიჩანს — ეგ კი ვერაფერი ვაჟკაცობაა!

რაკი თამაშობით გართულმა ბავშვმა გიშერას ყურადღება არ მიაქცია, ძაღლი ბავშვს აედევნა და იმანაც კაი თანაშეწყობით იწყო მასთან სიარული. ზურიკომ ძაღლის ადევნება წახალისებად მიიჩნია, ფეხი უფრო მაღლა ასწია და ამაყად გაიძახის:

— ცუგო, უყურე! ურთი, ოლი, ერთი... — და ზურიკო უცებ დაიღრიჯა და შედგა. ხელიდან გავარდნილი თუნუქის მილი აივანზე ბრახუნით გაგორდა. ბავშვი მოცელილივით ძირს ჩაჯდა, პური გვერდზე მოიდო, ხელები ფეხზე წაივლო და აღრიალდა. წუწკმა გიშერამ ზურიკოს მარცხით ისარგებლა, პურს ისე წასწვდა, თითქოს ხვეწნით შესთავაზესო. მტირალას ყუა გიშერამ პირში მოიგდო თუ არა, კუდამოძუებულმა ისე გაძურწა — უკან აღარ მოუხედია.

„ჭყივ-ჭყივ, რა გატირებს?!“ — ყიჟინა დასცეს ახლა აკაციის ხიდან ბეღურებმა. ძაღლის წასვლით ისარგებლეს, ნამცეცების ასაკენკად

მოურიდებლად შემოესივნენ პაწიას. სკუპ-სკუპით დახტიან მის გარშემო და ჩიტის ენაზე ლაპარაკობენ.

— უჰ, რამოდენა პირი დაგიღია! ბევრი-ბევრი ერთი პაწია ხიკვი შეგერჭო, სხვა ხომ არაფერი მომხდარა! აგერ დედაშენიც მორბის! — ჩიტებმა ნამცეცები წამოკრიფეს და გაფრინდნენ.

ამ დროს აივნის კარიც გაიღო. ზურიკოს დედა შეშინებული მორბოდა, მაგრამ ზარბაზანს და წითელარმიელის ქუდს თვალი რომ მოჰკრა, ბავშვი სიცილით აიტაცა ხელში, ფეხიდან ხიკვი ამოუღო და მძიეებივით ამომსხდარი პაწია თითები სიყვარულით დაუკოცნა.

გიორგი ქუჩიშვილი



გიორგი ანდუყაფარის ძე ქუჩიშვილი (ჩხეიძე) დაიბადა 1886 წელს კახეთში, სოფ. ვარდისუბანში. მამა ადრე გარდაეცვალა. ქუჩიშვილის დედა ძიძაობით არჩენდა თავის წვრილშვილს. ბოლოს, ნათესავების დახმარებით, შვილები თბილისში ჩამოიყვანა და სკოლაში მოაწყო. დედა ძრეცხაობდა, შვილებთან სწავლობდნენ და თანაც ძოკაძაგირედ მუშაობდნენ ხან მენავთესთან, ხან ბაკალთან, ხან მენახშირესთან, პატარობიდანვე გაეცვნენ ქუჩის შვილთა ცხოვრებას და აღიარეს მათდამი თანაგრძნობითა და სიყვარულით. ამიტომ იყო, რომ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას (1906 წ.) მწერალმა ქუჩიშვილი ფსევდონიმად შეირქვა. მომავალ პოეტს დიდ მზრუნველობას უწევდა მისი უმცროსი ძმა დავითი, რომელიც მწერლობაში ცნობილია თურდოსპირელის ფსევდონიმით. გ. ქუჩიშვილის ლექსები თავიდანვე მიმართული იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ხალხს მოუწოდებდა თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ.

გ. ქუჩიშვილი გარდაიცვალა 1947 წელს.

გ. ქუჩიშვილს განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში მიეცა საშუალება ფართოდ გაეშალა თავისი პოეტური ნიჭი. პოეტი ამბობს: „საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება ჩემს შემოქმედებაში ახალი, ჩემთვის მეტად ღირსშესანიშნავი, იდეურად უფრო მაღალი პერიოდი“.

გ. ქუჩიშვილი ყოველთვის წერდა ლექსებს ბავშვებისათვისაც, მაგრამ სისტემატურად მათთვის წერა მხოლოდ 1922 წლიდან დაიწყო. მისი პირველი საბავშო ლექსი იყო „ოქტომბრელთა სიმღერა“. სიკვდილამდე გ. ქუჩიშვილის არ შეუწყვეტია საბავშო ლექსების წერა.

მაისობა

მოშრიალდა მაისი,
საყვარელი
საერთო;
აღტაცების ხმა ისმის,
ცაც დროშებით აენთო!
ქუჩები გაწეულა
საზეიმო ტალღებით
საპატიო წვეულად
გამოშლილან ბალღები!
მაისის ყვავილები
სამაისოს მღერიან;
„ვაშას“
შეძახილებით
ტრიბუნას შესცქერიან.

ოქტომბრელების სიმღერა

მოვფრინავთ,
        მოგვიხარია
შიკრიკნი გარჯა-შრომისა,
ჩვენს მუკრივში ერთად არიან
შვილნი სხვადასხვა ტომისა!

მოვქრიკართ,
        მოგვაქვს ალამი,
როგორც მზე მომავალისა!
ასი ათასი სალამი
ასი ათასი თვალისა!

და ასე მოგვიხარია
შიკრიკებს გარჯა-შრომისა,
ჩვენში და-ძმურად არიან
შვილნი სხვადასხვა ტომისა!

პიონერული

ჩვენ ერთი ვართ
და შეგნებაც
ერთ სურვილით
გაგვემსჭვალა:
კომუნიზმის
გამარჯვებას
შევალიოთ
მთელი ძალა!
ქარიშხალის
შვილები ვართ,
არ გვჩვევია
შიში,
დაღლა!
ოქტომბერის
ამაყ დროშებს
ვაფრიალებთ
ლაღად,
მაღლა!
და ლენინის
ანდერძს ვფიცავთ,
არ დავხაროთ
მტრის წინ იგი;
დაქანცვის დროს
ჩვენ შევცვალოთ
ძველი წყება,
ძველი რიგი!
და ვიბრძოლებთ,
ვიდრე ხმელეთს
არ გარდავქმნით
შრომის ბაღად,
სადაც ყველა
ტომის ბალღი
აღიზრდება
საღად,
ლაღად
და ბჩაგვრელთა
ბატონობის
არ გახდება
იარაღად!
და ამ რწმენით,
ურყევ რწმენით
ძლიერდება
ჩვენი ყრმობა!
გაუმარჯოს
ყველა ქვეყნის
პროლეტარულ
ბავშვთა ძმობას!

ბავშვთა საერთაშორისო ჰიმნი

ჩვენ ნორჩნი ვართ! ჩვენი დროშა
რაკი ერთხელ გაიშალა,
ველარავინ ველარ დახრის,
გინდ იხმაროს ძთელი ძალა!
ყველა ქვეყნის ბავშვთა შორის
გაბმული გვაქვს მტკიცე ძმობა,
და ბრძოლებში მოღლილ მამებს
მყისვე შეცვლის ჩვენი ყრმობა!
და განვაგრძობთ მათ დიდ საქმეს,
ვიდრე ფეთქავს ჩვენი გული,
რომ დამყარდეს სხვა ქვეყნებშიც
თანხმობა და სიყვარული!

ცულლუტს

გართობას და
    დროზე თამაშს
ვინ დაგიშლის,
    ბიჭო, ვინა,
მაგრამ შენმა
ქცევა-ყოფამ
სხვა მოუაფეც
წაახდინა.
გაკვეთილებს
    არ ამზადებ,
იგვიანებ
    კლასში მუდამ;
სიცრუეში
    ტოლი არ გყავს,
„ხულიგნობ“ და
    სწავლობ ცუდად.
ერთხელ მაინც
    ჩაუფიქრდი
მაგ ურიგო
    ყოფაქცევას
და შეგნებით
    მოეკიდე
აღმზრდელების
    კეთილ რჩევას.
ნუ ცულლუტობ,
    გამოსწორდი,
ბეჯითობას
    მიჰყავ ხელი,
თორემ ბოლოს
    შენვე გავნებს
შენი ცუდი
    საქციელი!

წარჩინებული

ის მერხიდან მერცხალივით
წამოფრინდა უცებ;
შინისაკენ მიაქროლებს
ცეკვით ქების ფურცელს.
უხარია ბიჭუნიას,
მიიმღერის გზაში:
წარჩინებით გადავიდა
წელსაც შემდეგ კლასში.
წავა სოფლად,
დაისვენებს,
შემდეგ ზღვაზე წავა;
რა სჯობია
მის ლურჯ ტალღებს
ან მის მსუბუქ ჰავას?!

მომღერალი

I

საოცნებო ღამე იყო...

კოხტა თაიგულივით შეკრულ-შეკონილი სოფელი ფიქვნარი თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენდა...

მართას ოთახის ფანჯრები ღია იყო...

შალვას საწოლს მთვარის ნაზი შუქი მიჰფენოდა...

იგი ბურანში იყო...

ნახევრად დახუჭული თვალებით გაჰყურებდა მოკრიალებულ ცის სივრცეს და ოცნებობდა...

ეზოში მოჩუხჩუხე პატარა წყარო საამური ღუღუნით უმღეროდა მომავალ მომღერალს, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა მუსიკა, ბუნება...

კუდრაჭა ნიავი მშობლიური მზრუნველობით თავს ევლებოდა, ხუჭუჭა თმებს უვარცხნიდა, ნაზ ნანინას ჩასჩურჩულებდა...

ფანჯარაში ყელგადაწვდილი ვარდები ხომ ალერსითა და სურნელებით ათრობდნენ...

II

შალიკო ერთადერთი შვილი იყო მართასი...

მამა ადრე მოუკვდა...

რის ვაი-ვაგლახით ის სამოქალაქო სასწავლებელში მიაბარეს....

გალობის მასწავლებელმა მასში დიდი ნიჭი დაინახა და ურჩია მშობელს სამუსიკო სკოლაში გადაეყვანა...

ერთი წლის შემდეგ ჩვენმა შალვამ ხსენებულ სასწავლებელში ამოჰყო თავი...

იგი პირველ მოწაფედ ითვლებოდა...

მისი საამური ტენორით მასწავლებლები აღტაცებაში მოდიოდნენ...

ამიტომ უვლიდნენ და ზრუნავდნენ მომავალ მომღერლის სვეტზედზე...

და რადგანაც ჩამომავლობითი ჭლექის ნიშნები გამოაჩნდა, ექიმების რჩევითა და სასწავლებლის დახმარებით ზაფხულის გასატარებლად ფიქვნარიან აგარაკზე მოეწყვნენ.

III

სძინავს შალვას...

ესიზმრება ოდისეი და მღერის, მღერის გატაცებით, აღფრთოვანებით...

აი, წამოიჭრა კიდეც საწოლიდან...

გამხდარ-გაყვითლებულ ხელებს მთვარისაკენ იშვერს და სრული შემოქმედებითი ნიჭით არაკრაკებს ხმას:

— მთვარეო, ღამის ასულო,
მთვარეო, ჩემო მთვარეო;
შენთან მზიური სალამი
მთის ნიავს დავაბარეო...

ძილი გამიკრთა, ოცნებით
ვარსკვლავებს დავემყარეო;
მოვსულვარ შენდა სამღერლად,
მიძმე და შემიყვარეო...

— შალვა! შალვა! — აჩერებს მეორე ოთახიდან შემოვარდნილი გულშემოყრილი დედა. — რას შვრები, შვილო!

— რა ვქნა, დედაჩემო, თუკი გული მიმღერის?..

— დასუსტდები, შვილო! დასუსტდები! ხომ გახსოვს ექიმის დარიგება, ხშირ-ხშირად და დიდხანს ნუ იმღერებო...

— ეჰ, ექიმი, ექიმი! რა იცის ექიმმა ჩემი სწრაფვა, ჩემი წყურვილი. ეკეთესია სიმღერაში აღმომხდეს სული, ვიდრე დავშრე და გამოვიფიტო იმ შენი უსულგულო ექიმივით... ცეცხლი მამღერებს, გესმის, დედი, ოდისეის გრძნეული ცეცხლი!

— კარგია, ჩემო ბიჭიკო, კარგი! დაწექი! მოისვენე.

შალვა დაცხრა...

ძალმოკვეთილი ბალიშზე დაეშვა...

მის გაყვითლებულ სახეს მთვარის შუქი უფრო აფერმკრთალებდა, ანაზებდა...

IV

— დედა!

— რა გინდა, შვილო!

— მიამბე რამე!

— რა გიამბო, დედა გენაცვალოს, რა უფრო გესიამოვნება?

— ზღაპარი, არაკი... ერთი სიტყვით, რაც გსურდეს...

— სიცილიის მპყრობელ დიონისეს სასახლეში მეჯლისი იყო. — დაიწყო მართამ. — ათინელების დამარცხებით აღტყინებული ხალხი გამარჯვებას დღესასწაულობდა...

— დიდება და ძლიერება დიონისეს! — გაიძახოდნენ მონანი მისნი...

დიონისეს კი ბოროტებით სავსე ღიმილი დასთამაშებდა, ულმობელი იყო იგი... მან გაათხრევინა ორმოები და ტყვედ წამოყვანილი ათინელები შიგ ჩააყრევინა... იგი ყოველდღე მიდიოდა ამ ადგილას და მიწიდან ამონატან ტყვეთა ოხვრა-გმინვით სტკბებოდა...

ერთხელ ნადიმის დროს მის სასახლის წინ მემუსიკეებმა გაიარეს... დიონისემ თვალი მოჰკრა და ბრძანება გასცა, ყველანი წვეულებაზე მოეყვანათ...

ისინიც ეახლნენ... დაუკრეს და იცეკვეს...

ერთმა მათგანმა მფლობელის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო... იგი სულ თხუთმეტი წლისა იქნებოდა... ეს ლერწამივით წერწეტი ტანის ქალწული სალამურის დამკვრელი იყო.

—ვინ გასწავლა ეგ ხმები? — ლმობიერის კილოთი ჰკითხა დიონისემ.

— ვარსკვლავებმა! — მიუგო ქალმა.

— შენი სახელი? — ჰკითხა დიონისემ.

— მელიტა, მბრძანებელო!

დიონისემ სალამური ძვირფასი თვალ-მარგალიტით მოუქედა, დანარჩენი დამკვრელებიც შესაფერისად დააჯილდოვა და მადლობით გამოისტუმრა...

V

— დაგეძინა, შვილო? — ჰკითხა დედამ შალვას.

— არა, დედაჩემო, არა! განაგრძე, შენი ჭირიმე, ყურს გიგდებ.

— ჰო, ერთ მშვენიერ საღამოს, მთვარემ რომ თავი ამოჰყო, მელიტა ჩვეულებრივ გამოვიდა სახლიდან, სადაც თვისი მშობლებითა ცხოვრობდა... იარა, იარა და ახლად მიწამყრილ ორმოებს კი მიუახლოკდა. მან არაფერი იცოდა. იქვე ერთ ზეთისხილის ხის ქვეშ წამოწვა და თავის მეგობარ ვარსკვლავებს დაუწყო საუბარი...

ღამის სიჩუმეში სალამურის ხმამ ბულბულის კვნესასავით გაიწკრიალა...

— შემიბრალე!.. მიშველე! — გაისმა ვიღაცის დასუსტებული ვედრების ხმა.

მელიტა შეკრთა... სული განაბა... აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ვერავინ შენიშნა...

— შემიბრალე! — გაიმეორა ხმამ.

შეშინებული მელიტა ფეხქვეშ იყურებოდა. ხმა თითქოს დედამიწიდან ამოდიოდა...

— ვინა ხარ, ვინ? — ჩასძახა მელიტამ.

— ახალგაზრდა ათინელი, თვრამეტი წლისა. სასტიკმა და ულმო-

ბელმა დიონისემ დაგვმარხა ამ ორმოებში... სიკვდილი მემძიმება... ხუთი დღე და ღამეა, რაც მიწით ვიკვებები... აღსასრულის ჟამი მიახლოვდება... შემიბრალე! შემიბრალე, ვინც უნდა იყო! ღმერთები, რომელთაც მუსიკის მადლიანი ნიჭი მოუნიჭებიათ, უეჭველია, კეთილსა და სათნოიან სულსაც შთაგბერავდნენ...

— რა ვქნა, რა გიშველო... მე უბრალო, საწყალი კაცის შვილი ვარ, ჯერ ისევ ბავშვი...

— ნუთუ ეგ მშვენიერი ხმა, რომელიც განთავისუფლების მახარობლად მომესმა, სიკვდილის ზარად უნდა გადამექცეს...

მელიტას სიბრალულით შეეკუმშა გული...

წავიდა იგი დიონისეს სასახლისაკენ და გაჩერდა...

გაისმა სალამურის ჯადოსნური ჰანგი... ისეთი გრძნობითა და სევდით აატირა მელიტამ სალამური, რომ მტარვალის გულმა ვეღარ გაუძლო და თვისთან მიიხმო...

პატარა ქალი სიხარულით აღივსო... იმედი მიეცა...

— სალამი დიდებულ მპყრობელსა და გვირგვინოსან დიონისეს! — შესვლისთანავე მიესალმა მესალამურე...

— სალამი და გამარჯვება სიცილიის დამამშვენებელსა და მომხიბვლელ ხელოვან გოგონას.

მელიტამ თავი მდაბლად დაუკრა.

— რას ითხოვ, რომ შეგისრულო!

— ტყვეთა განთავისუფლებას, მბრძანებელო!

— ოო, ეგ ყველა ჯილდოს აღემატება!

— სხვას არას ვითხოვ, მფლობელო სიცილიისავ!

დიონისე დაფიქრდა...

— დღეგრძელი იყავ, ხელმწიფეო! — თქვა მელიტამ და წასვლა დააპირა.

— მოიცა! ვინც კი ცოცხალი გადარჩა ორმოებში, დღეიდან ყველანი განთავისუფლდებიან!.. დეე, სადაც შენებრ ცით მოვლენილ ქალწულის ღვთიური მუსიკა ისმინა, ერთხელ და სამუდამოდ შესწყდეს კვნესა-ვაების ხმა!.. მთელ ჩემს სიცოცხლეში ეს მეორედ ვგრძნობ ბედნიერებას... ვერავითარ ძლევამოსილებას, ვერავითარ ნადავლს ვერ შეეძლო ჩემში ამისთანა მაღალი გრძნობა აღეძრა... მშვიდობით, მელიტა... იცოდე, არასოდეს დაგივიწყებ... ვიდრე დიონისე ცოცხლობს, ნურაფრისა გეფიქრება.

გაათავა დედამ და თანაც დაუმატა: აი, შვილო, რა ძალუძს მუსიკას: პაწია ლერწმის სალამურის კვნესამ, რომელსაც სალამურივით ტანწვრილი პაწია ქალი უკრავდა, მტარვალის ქვა-გულიც კი მოინადირა და სიცილიაში მოსპო ადამიანთა კვნესა.

— ოხ, ღმერთო! — აღტაცებით წამოიძახა შალვამ, რომელიც სულ-განაბული უსმენდა დედის საუბარს, — მე რომ შემეძლოს იმ პატარა ქალივით ვისიმე დახსნა, ვისიმე შველა...

— ვინ იცის, შვილო, იქნება შენცა გხვდეს ისეთი ძალა და მოვა-ლეობა, ვინ იცის...

VI

ცა ფითრდებოდა...

თვალეუეუნა მალხაზი ვარსკვლავები ოდნავლა ციალებდნენ...

დღის სინათლით შემკრთალ-აფორიაქებული ღამის სიბნელე ღრან-ტე-ხევებში წვებოდა... შალვა ადრიანად ამდგარიყო... სუსტი გულ-მკერდი ზღვა-სიხარულითა და შვებით უღელავდა, უგანივრდებოდა...

ვიწრო ბილიკით მიდიოდა აგარაკის მახლობლად შეფენილ ნაძვის ტყისაკენ და, ბუნების სიმშვენიერით ტყვედქმნილი, აღტაცებით მიიმ-ღეროდა შემდეგ ჰიმნს:

— ვიშ, შენს ხილვას!
რა ტურფა ხარ,
ჩემი ქვეყნის
განთიადო!..

აქათქათდი,
აღაქლაქდი,
გულწითელა
ცისკრის ვარდო!..

სიმღერა შესწყდა. დაღლილ-დაქანცული შალვა ტყის მწვერვალს მოეევლო და იქ შეისვენა...

სდუმდა გარემო... სდუმდა თვით შალვაც... იგი ოცნებაში წასულიყო და გაბრწყინებული თვალებით ალისფრად მოღადღადე აღმოსავლეთს გაჰყურებდა.

მცირე ხნის შემდეგ მაღლობზე მწოლიარე შალვა ისევ ფეხზე წამო-დგა, ლაღად გადმოჰხედა ტყის ფერდობებში გველივით დაკლაკნილ შარაგზას და გრძნობით ჩაირაკრაკა ურმული:

— ჭირიმე შენი, ცისკარო,
გამთენებელო ღამისავ;
დღიურ სინათლის მორბედო,
ამცილებელო ხრამისავ...

ჰამო, ვამიწით ხარებო,
ჭირიმე თქვენი ქედისა;
მოძმენო, მოზიარენო
გლეხკაცის დუხჭირ ბედისა...

გზა გამიკელიე, შექთვალავ,
არ გადამჩეხო კლდეზედა;
არ ამიცრემლო ცოლ-შვილი,
გლოვად არ დასხა ჩემზედა...

არ გაგეყრებით, გეთაყვათ,
ჭირში არ დაგეზარებით,
თქვენითა ვცოცხლობ და მკვდარიც
თქვენს მიწას მიეებარები...

VII

— წკარა-წკარა, ჩქარა-ჩქარა! წკარა-წკარა, ჩქარა-ჩქარა! — ზარების ჟღარუნით და ცხენების თქარათქურით მოჰქროდა საფოსტო ეტლი, რომლითაც მოხელეს და სტრაჟნიკებს სახელმწიფო ფული მოჰქონდათ.

— ნეტავ ვინ არის, ასე რომ ჰფანტავს ხმატკბილ ჰანგებს და აჯადოებს გამვლელ-გამომვლელთ. — თქვა ერთმა მათგანმა და კისერი იქით მიიღერა, საიდანაც სიმღერა მოისმოდა.

— ახ, რა კარგია მისი მოსმენა, — ინატრა მეორემ.

— დრო უნდა გვქონდეს, რომ დავსტკბეთ, — დაუმატა მესამემ და მიეფარნენ აქოჩრილ ტყეს.

შალვა კი მღეროდა, მღეროდა ოლიმპიური ექსტაზითა და ანდამატური ძლიერებით.

დაბლა ტყის ძირში, შარაგზის ნაპირას, ხის ქვეშ თოფზე დაყრდნობილი ვაჟკაცი იდგა და ფიქრს გაეტაცნა.

ურმული მისწყდა...

შეიარაღებული უცნობი გონს მოვიდა, ღრმად ამოიოხრა და თავი მაღლა აიღო... ზევიდან მომავალი შალვა წინ შეეჩეხა... შეკრთა... თმა ყალყზე დაუდგა...

— გამარჯობა შენი! — ამაყად მიესალმა თოფ-იარაღში ჩასხმული ჭაბუკი.

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს, — ცოტა არ იყოს შეშინებული ხმით მიუგო შალვამ და უკან დაიხია.

— ღმერთმა კი არა და შენ კი მომიშალე... ღმერთს რომ ჩემი გამარჯვება სდომოდა, შენ მაგ სიმღერის ნიჭით არ დაგაჯილდოვებდა.

შალვა ვერაფერს მიხვდა...

— ვინა ხარ, ვისი შვილი ხარ, ყმაწვილო! — ჰკითხა უცნობმა.

— მე ერთი ავადმყოფი ტლუ ბიჭი ვარ! შენ ვინღა ხარ? მონადირე?

— ხო, მონადირე!

— განა აქ ნადირი მოიპოვება?

— არა, მაგრამ კარგი მონადირე ხანდახან წააწყდება ხოლმე.

— მერე ცოდო არ არის? არ გენანებათ?

— ხა, ხა, ხა, ხა! — მწარედ გაეცინა, — განა მე შემიბრალეს, დამინდეს? მაგრამ ეჰ... თავი გამანებე, ძამია... ღმერთს მადლობა შესწირე, რომ ასე უვნებლად მიხვალ...

შალვა განცვიფრებით უსმენდა... ვერაფერი გაეგო...

— მე ყაჩაღი ვარ, — დაიწყო ისევ უცნობმა, — დღეს აქ ფოსტის ეტლს უნდა დავცემოდი გასაძარცვად... შენმა ურმულმა ისე დამატყვევა, ისე დამავიწყა თავი, რომ ვერც კი გავიგე როგორ გაიარა...

შალვას ნაცრისფერი დაედო... ძაგძაგმა აიტანა...

— ნუ გეშინიან... თუმცა დამამარცხე, მაზარალე, მაგრამ სამაგიეროდ ბევრი მწარ-ტკბილი სიამოვნებაც მაგრძნობინე... ვინ იცის, რა არ განვიცადე, რა არ აღმიძარ შენი სიმღერით... შენმა ნაღვლიანმა ურმულმა მეც დამაღონა, მეც ამიშალა სულის კუნჭულში მითვლემილი წყლულები... შენ მომაგონე ის დრო, როცა მეც ურმის კოფოზე ვიჯექი და ჩემს ვარამს, ჩემს დარდსა და წუხილს შენებრ მწუხარედ, შენებრ მოთქმით დავღუღუნებდი ჩემთვის... შენ მომაგონე ჩემი სოფელი, ტოლი ბიჭები, ურმის ჭრიალი, შოლტის ტყლაშუნი, დამსჯელ რაზმისგან დანაცრებული ჩემი კერა და... ეჰ, წადი, ძმაო, წადი... დღეგრძელი იყოს შენი მშობელი... გამარჯვებით გამყოფოს მუდამ! — გამოემშვიდობა ყაჩაღი, თოფი მხარზე მოიგდო და ფიქრ-ჩათხრობილი, მძიმე ნაბიჯით გაჰყვა მთისაკენ მიმავალ ვიწრო ბილიკს...

სანდრო შანშიაშვილი



სანდრო (ალექსანდრე) ილიას ძე შანშიაშვილი დაიბადა 1888 წელს სოფ. ჯუგაანში (სიღნაღის რ.). საშუალო სასწავლებელი დაამთავრა თბილისში, ს. შანშიაშვილი გაემგზავრა გერმანიაში და ლაიპციგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად მოეწყო. უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ ერთ ხანს ცხოვრობდა თავის სოფელში და ეწეოდა სოფლის მეურნეობას. ამავე დროს წერდა ლექსებს, პოემებს, წერილებს და ბეჭდავდა ეურნალ-გაზეთებში, ხოლო 1923 წლიდან მუშაობდა ეურ. „დროშის" რედაქციაში.

ს. შანშიაშვილი სამწერლო ასპარეზზე 1905 წელს გამოვიდა. საბჭოთა პერიოდში განსაკუთრებული მონდომებით დაიწყო მუშაობა დრამატურგიაში და შექმნა ფრიად მნიშვნელოვანი დრამატიული ნაწარმოებები („არსენა", „ანზორ" და სხვ.).

ს. შანშიაშვილი ადრევე წერდა ლექსებს ბავშვებისათვისაც. ს. შანშიაშვილის პირველი საბავშვო მოთხრობა „მეჩონგური ამბაკო" დაიბეჭდა 1928 წელს. მისი ლექსი-ბალადა „დედისერთა ლენინთან", რომელიც 1927 წელს დაიბეჭდა, ერთ-ერთი საუკარელი ლექსია ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

დედისერთა ლენინთან

„შვილო, ეგების გამიგო ჩემი ვაჟიკას ამბავი! შენ ყველა გიცნობს, ხმა მიაწვდინე. ომიდან შინ აღარ დაბრუნებულა. ცხრა წლის წინათ კიდევ მივიღე წერილი, საქალაქო ომში ვიბრძვიო. შემდეგ აღარაფერი ვიცი, მკვდარია თუ ცოცხალი. მე კი სულ შვილის მოლოდინში ვარ. დამწყდა თვალები. გამიგე, აგრემც შერჩები ქვეყანასს!"

გარეთ ცივა... ქრის ქარი...
მთვარე ვახშმობს მუხებში.
დახშულია ჭიშკარი,
ადევს კლიტე უხეში.

დედაბერი მიმჯდარა
ბუხრის ახლო კუთხეში,
თვალში ცრემლი დამშრალა...
მოხუცს ვინ სცეს ნუგეში?

ჩასთვლემს, ისევ იღვიძებს,
ღამეს თეთრად ათენებს.
გულისყური ერთზე აქვს,
მის გულს ერთი ამრთელებს.
მუხლი მაინც უკრიდეს,
ხალხს შესძრავდა ომით ის.
აღარ ძალუძს საბრალოს,
შავ ძაძებში დრო მიდის.
ლოდინი და იმედი!
ხვალაც ღამე ლოდინის.
მას ბურანში მოესმის:
— დედი, გახსენ ჭიშკარი!
მე ვარ, ნუთუ არ გესმის?
გარეთ ცივა, ქრის ქარი.
შენი შვილი დაბრუნდა,
დედისერთა ვაჟიკა;
უვნებელი, მაგარი,
როგორც სალი, კაჟი ქვა.
გახსენ კარი, დედავ, უ!
შენს შვილს გარეთ რა უნდა?
ეს ხომ მე ვარ, არ გესმის?
შენი შვილი დაბრუნდა!
  დედა ენას ვერ აგებს,
სწრაფად დგება მძინარი,
სიხარულით ცახცახებს:
— შვილო, დედა შინ არი!
ღელვით კარებს გააღებს,
იქ არვინ ჩანს მღიმარი...
ცრემლით წყვდიადს შესცქერის:
ტკბილი იყო სიზმარი!
როს მოხუცი ბუხრის წინ
შვილს სიზმარში ხედავდა,
იმ დროს მისი ვაჟიკა
მტერს ბრძოლაში კვეთავდა.
ის იბრძოდა წითლებთან,
წითელ დროშას იცავდა,
ჯარისკაცი რუსეთში
ლენინს გაჰყვა მტკიცედა.
პირველ რიგში დაეცა...
ტყვიამ აღარ იცადა.
მისი კვნესა: „ოჰ, დედავ!“
ზარბაზანმა დაჰფარა.
თავი დასდო ხალხისთვის,
სისხლი ნორჩმა დაღვარა,
ნახა საძმო საფლავი,
ვეღარ — დედის ჟაღარა...
და იმ დროდან მოელის...
გარეთ ცივა... ქრის ქარი.
ზის და უცდის გულმკვდარი
დედისერთას მთის ქალი.
მუდამ ფხიზლობს, მზად არის
შვილს გაუღოს ჭიშკარი.
თავზე დასთენებია,
ამოსულა ცისკარი.
არ მოდის და არ მოდის.
შავს ძაძებში დრო მიდის.
„დედა მას ენაცვალოს“.
ხვალეც ღამე ლოდინის!

• ქარხანაში

ვინ ამუშავებს ამ დაზგებს?
ღონე არ შემოლევია?
რამდენი ჩარხი ტრიალებს,
ზოგს თასმა გადაბვეია!
ან ვინ ეწევა ამ ჭახრაკს,
რა ძალას დაუძლევია?
თუ კაცი არის, რად არ ჩანს? —
ჩემთვის ეს საკვირველია.
რაც ამოძრავებს, ყმაწვილო,
დაუშრეტელი ღონეა,
ჯერ ორთქლით ვამუშავებდით,
ახლა კი ელექტრონია.
ჭედავს და ხერხავს, კიდეც ქსოვს
გონებას მოუგონია!

დავით თურდოსპირელი

დავით ანდუაფარის ძე თურდოსპირელი (ჩხეიძე), პოეტ. გ. ქუჩიშვილის ძმა, დაიბადა 1888 წელს კახეთში. სოფ. ვარდისუბანში. 3 წლისა იყო თურდოსპირელი, როცა მამა მოუკვდა. დედამ შვილები თბილისში ჩამოიყვანა და სასწავლებელში შეიყვანა, დავითი გიმნაზიაში მიაბარა. 1904 წლიდან თურდოსპირელი ჩაება რევოლუციურ მუშაობაში და ასრულებდა სხვადასხვა კონსპირაციულ დავალებებს. 1910 წლიდან კერძო გაკვეთილებით ცხოვრობდა. 1911 წელს დაამთავრა გიმნაზია, ამავე წელს გაემგზავრა კიევში და იქ შევიდა უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1918 წელს დაბრუნდა კიევიდან. 1921 წლიდან დაიწყო მასწავლებლობა ტექნიკუმებში. ერთ ხანს იყო თელავის ათწლედის გამგედ, შემდეგ ველისციხის საშუალო სკოლის დირექტორად. 1939 წელს მას მიენიჭა დამსახურებული მასწავლებლის სახელწოდება.

დ. თურდოსპირელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1906 წელს; მისი პირველი მოთხრობა იყო „თავისუფლების მსხვერპლნი". წერდა მოთხრობებს, პუბლიცისტურ და პედაგოგიურ-მეთოდურ წერილებს. განსაკუთრებული მონდომებით წერდა ბავშვებისათვის. პირველი მისი საუმაწვილო მოთხრობა „პირველი მაისი" დაიბეჭდა 1926 წელს.

დ. თურდოსპირელი გარდაიცვალა 1948 წელს.

არ აზიდო

გავიარეთ ბევრი ხვეული და აჰა!..

ესეც არაზიდო...

რა სიმაღლეზე ამოვსულვართ!

ისე მაღლაა ეს სანატორიუმი, რომ ნისლებსაც კი უძნელდებათ აქამდის ამოღწევა...

ეგება ამ სიმაღლის ბრალია, რომ დიად ხელოვანს, გაზაფხულს, აქ ამოსვლა, ცოტა არ იყოს, შეჰგვიანებია...

ახლა ჩქარობს მოასწროს.

ჰარი-ჰარა შლის თვის სურათებს...

ნაირ-ნაირ სანახაობებს ჰკიდებს ფლატეებზე... მწვერვალებზე... ქედებზე...

ჩქარობს, მაგრამ შეცდომა არსად მოსდის...
ყველაფერი თავის რიგზეა...
ყველაფერი გულშემტაცებლად ღაღანებს...
რაზე გავჩერდე?..
საიდან დავიწყო?..
არა ყოფილხართ სურათების გამოფენაზე?..
ყველაფერი გხიბლავთ...
გინდათ ყოველი კუთხე და დაფარნა შემოირბინოთ...
სულ ყველას თვალი მოაელოთ...
და ამ ფუსფუსში ვერაფრის ნახვას ვერ ასწრებთ...
თვალები გიყმაჟი მერცხლებივით უსვენებლივ მიმორბიან...
უნდათ ყველგან იყვნენ... ყველას ეტრფიან...
ასე გვემართება ჩვენც...
ჯერ ფარსაგად არც კი ვყოფილვართ დაბინავებული, რომ ყველას ყურადღება მიიპყრო არაზინდოს სახელწოდებამ...
რად ჰქვიან არაზინდო?
ზოგს ქართული სახელი არც კი ჰგონია...
ჰკითხულობენ.
არავინ იცის...
ჯერ არ ღაწერილა არაზინდოს ისტორია...
საყურადღებო კია...
ბევრი სახელი შესავალია, გასაღებია, უვერტიურაა უკვე გალეგენ-დებული წარსულის სინამდვილისა...
ისტორიას ბევრი რამ ავიწყდება...
ხოლო არაფერს ივიწყებს მახვილი მეხსიერება მდაბიო ხალხისა.
იგი მოგონების ქვევრებში ბრკემოუკიდებლივ ინახავს ყოველ ამბავს თავისი წარსულისას...
მას მივმართავთ...
ეგება მან მაინც ახსნას საბურველი...
რად, რისთვის ჰქვიან ამ ადგილს არაზინდო?
რა იყო ძველად?
ძნელდება ამისი მცოდნის გამონახვა.
როდის-როდის, კითხვა-კითხვით მივიკვლიეთ, მივაგენით ერთ მო-ხუცს.
ასეთ მოხუცს ჩვენი მთების ყველა მწვერვალებზე შეხვდებით.
ათჯერ ათეულ წელს ჩამოუთოვლია მისთვის, მაგრამ ისევ ჭარმა-გად არის... კირკიტად ჰგრძნობს თავს...
თვალები კვლავ მახვილი აქვს... ქორებრივ მხედავნი...
მუხლი მგლისა...

ხალისი ბავშვისა...
თბილად მიესალმეთ...
მანაც სიყვარულით მიგვიღო...
დაგვთანხმდა, ეამბნა ამ ადგილების წარსულ დღეთა ვითარება...

* *

მოხუცი ჩამოჯდა ჯირკვზე.
ჩიბუხი გააჩაღა... რამდენჯერმე გააბოლა და დაიწყო:
— ეს ძველი ამბავია... პაპიჩემისაგან გამიგონია...
ოდესღაც ეს მთები და არე-მარე ეკუთვნოდა ერთ ბატონს... მკაცრი რამ ყოფილა ის, აძაღლებული... უჯიათი... მოსისხარი...
სულ იმის ფიქრში იყო, როგორ გაემწარებინა ყმების სიცოცხლე.
მშვენიერი კოშკი ჰქონია ოცხეში...
ამტყდარა: რადაც უნდა დამიჯდეს, აიმ მთის მწვერვალზე სასახლე უნდა წამოვდგაო.
მოუხმია მსახურნი და განკარგულება გაუცია.
სიტყვა ბატონისა — კანონია...
არ აასრულებ?.. — გაგამწარებს...
მიგყიდის ურჯულო შაჰებს...
მეტი რა ილაჯი ჰქონდათ... შეუდგნენ მუშაობას...
ბევრ მწვერვალზე აუზიდნიათ საცოდავ ყმებს საშენებელი მასალა...
მთელი საქართველოს ციხე-კოშკები ხომ სულ ყმების ანაგებია, მაგრამ ეს მთა მეტად მაღალი იყო.
გაწყდა ხალხი წელში...
ნიათი გამოელია...
სულ ზურგით აზიდვინებდა თლილ ქვას...
მიქაქანებდნენ საცოდავნი და თან მისდევდნენ ბატონის ყურმოჭრილი მოურავები... შესვენების ნებას არ აძლევდნენ... სახრით აჭრელებდნენ...
იცით, აიმ პატარა გავაკებულ ადგილს რა ჰქვიან? — გეკითხა მოხუცმა...
ჩვენ, აბა რა გვეცოდინებოდა...
მხოლოდ ყური ვცქვიტეთ მოსასმენად.
— იმას ჩვენ „სულთმეწიას“ ვეძახით...
— რადა, პაპავ, რად დაგირქმევიათ ეს უცნაური სახელი?
— იმიტომ, რომ ამ ადგილმა შეიშრო ჩვენი წინაპრების სისხლი... თურმე რამდენიმე ყმა ისე დაიქანცა, რომ ვეღარ შესძლეს გზის განგრძობა.

— ვაიმე, დედავ, სულთ მეწიაო! — წამოუძახნიათ მათ და იქვე ამოხდომიათ სული...

წესიერი დამარხვაც კი არ უღირსებიათ...

ბატონის განკარგულებით იქვე ჩაუფლავთ სახელდახელოდ ამოჩიჩქნილ ადგილას...

ეს ადგილი ჩვენი წინაპრების ტანჯვის აკვანია და ჩვენ მათს მოსაგონრად და სულის შესანდობრად სამღვთოს ნიადაგ ამ ადგილას ვიხდიდით ხოლმე... ეს ადგილი... — ამოიოხრა მოხუცმა...

— ნუ სწუხართ, პაპავ! ჩვენ მანდ ძეგლს ავაგებთ! — სცადა კომკავშირელმა ენუგეშებინა მოხუცი, მაგრამ ამაოდ. მოხუცი ღრმა ფიქრებს მიეცა.

— განაგრძეთ, პაპავ, განაგრძეთ!.. — ვთხოვეთ ყველამ, — ისე გვეჩქარებოდა მოგვესმინა მეტად გულისხმიერი ამბავი...

მოხუცი მოგონებათა ბურუსით იყო მოცული...

ვგონებ, ჩვენი დალაპარაკება არც კი ესმოდა.

— მაინც ააშენებინა სასახლე?.. — იკითხა ერთმა ჩვენთაგანმა.

— მაშ რას გააწყობდნენ?.. — მიუგო მოხუცის ნაცვლად მეორემ.

— ნუ გაუგონებ... ბევრს გაიტან ჯიუტობით! რა თქმა უნდა, ააშენებინებდა. — ამბობს ერთი ავადმყოფი და უნაღვლიანდება გული, ყმების მწარე ხვედრს რომ იგონებს.

მოხუცი გამოერკვა ბურანისაგან და სახეზე ნათელ ღიმილგადაკრულმა მოგვიგო:

— არა, ყმაწვილებო!.. ყოველთვის როდია მონის ქედი ამტანი...

ერთხელაც არის დასწყდებიან მონობის აპეურები...

ესე მოხდა მაშინაც...

რაკი დაინახეს გლეხებმა, რომ ბევრი მათგანი ესალმებოდა სიცოცხლეს ამ მწვერვალზე ლოდების ზიდვით, — აპირთავდა მოთმინების ფიალა.

ამოიგმინა პირველი წინააღმდეგობის ხმამ...

ერთხელ, როცა ბატონის დამქაშებმა უფრო მძიმე ლოდებით დატვირთეს ყმები და მთას შეუყენეს, უცბად საღღაც გაისმა უჩვეულო, ჯერ აროდეს გაგონილი ხმა.

— არ აზიდო!.. არ აზიდო!..

— ჰოი, თქვენი კი ჭირიმე, თქვენი!.. — წამოიძახა ახალგაზრდა მუშამ, ეს რომ მოისმინა მოხუცისაგან... თვალები ისე გაუბრწყინდა, თითქოს საკუთარი თვალითა ხედავდა უხსოვარი დროის შეთქმულ ყმებს.

— არ აზიდო!.. — გაისმა პირველად და იმ ხმამ ელვასავით დაურბინა ყმებს!..

ორწოხიდან დაწყებული იქამდის, საცა დღეს სანატორიუმია, მოიკრა ის ხმა და შეაჩერა ყმები...

თილისმიან ბრძანებასავით ჩასწვდათ გულში. დააქანეს ლოდები უკანვე...

ძლივს წელში გასწორდნენ და დაბრუნდნენ ძირს.

ცეცხლის ნაპერწკლებით ელავდნენ უამრავი თვალები...

ომახიანად სძგერდნენ გულები...

— ბატონი?.. რაღა თქვა ბატონმა?..

— რა ზომას მიმართა?..

— გამობრძანდა იგი გარეთ ყურთმაჯებ მხრებზე გადაგდებული და დაერია გლეხობას...

ვის თავში წაუთაქა ხელი, ვის მათრახი გადაუშხივლა...

თან ჰყვიროდა გაკაპასებით:

— თოფი... ჩქარა ჩემი ხორასნის თოფი გამომიტათო...

ჯერ კი ითმინეს გლეხებმა...

იგი ბევრს მართლაც და ღვთის ჩამომავალი ეგონა...

ვერ შეებედნათ უფლის სწორისათვის...

ბოლოს აქაც გამოიდო ვილაცამ თავი...

— ხალხო, სირცხვილია ჩვენთვის, ეს აბლაკი ასე რომ გვიჩათინებს... სულ ერთია, აღარ გვაპატიებენ გაფიცვას... ყველას გაგვეუქავენ... ბარემ ჩავაქვაოთ ეს აძაღლებული... ჩვენ არ გვეღირსება ბედნიერება, მაგრამ სხვებს მაინც ვაღირსოთ უამისოდ ცხოვრება!!.

— ჩავაქვაოთ!.. — გაისმა მქუხარე ხმა...

სიცოცხლე თქვენა გქონდეთ, ბატონმა აქ კი იკადრა თავის მოკატუნება.

— რას სჩადით, ხალხო, ძმებო, ნათლიებო!.. განა მართლა გეუბნებოდით... როგორ გამოგიმეტებთ ქრისტიანებს... გეხუმრებოდით.

გვიანლა იყო თავის მოკატუნება...

გაიზუზუნა ჰაერში კეტმა და სისხლით შეიღება ბატონის თავი...

მას მოჰყვა ლოდები...

მალე იმ ადგილას, სადაც ბატონი ბრძანდებოდა, აიმართა დიდი ზვინი ლოდებისა.

— სად იყო ეგ ადგილი? — იკითხა კარგა ხნის შემდეგ მარად ცნობისმოყვარე ახალგაზრდამ...

— იმასაც გაჩვენებთ,—თქვა მოხუცმა და ხალისიანად წაგვიძღვა წინ...

* *

კარგა მოშორებით იყო.

გზაში გაიმართა მასლაათი ამავ საკითხზე.

ვინ რას ამბობდა, ვინ რასა!..

ზოგი ნატრულობდა, ეცხოვრა იმ დროს, ოლონდ ღირსებოდა მონაწილეობა მიეღო იმ გლეხთა პირველ შეთქმულებაში.

— აკი ბატონსა და ყმას შორის ძველად მამაშვილური განწყობილება იყოო, — თქვა ვიღაცამ და გაიხსენა ალ. ორბელიანის აზრები.

ყველას მწარე ღიმილმა გადაჰკრა...

ეს ამბავი მჭევრმეტყველური უარყოფა იყო იმ უსუსური ზღაპრისა...

— აი, რატომ დაურქმევიათ ამ ადგილისათვის არაზიდო...

— სმენა, ყმაწვილებო, სმენა და გაგონება... ეს კიდევ არაფერია... ამბავი ჯერ არ დამთავრებულა, — გვითხრა მოხუცმა და ჩიბუხი მოსწია... ჩაისუნთქა ბოლი და ისე ღრმად ამოაბოლა, თითქოს წარსულ დროთა ვარამი თან უნდა ამოაყოლოსო...

ჩვენ ისევ მდუმარების კვერთხებს დავებჯინენით და თვალი მივაპყარით მოხუცს...

— ყმაწვილებო, ახლა ღამდება და დრო აღარ არის...

არცა მცალიან, მომაგონდა, რომ ამაღამ სხვაგანა ვარ წასასვლელი.

როდისმე კი გაჩვენებთ იმ ადგილს, საცა ის ბატონი ჩააქვავეს.

ის ძირს, ოძრხეში არის.

იმ ადგილას არასოდეს არ ამოდის ბალახი...

გარშემო მდგომი ხეებიც კი რაღაც დაგოლვილები მოჩანან.

განი-განს იწევენ, თითქოს უნდათ გაექცენ ამ ადგილსაო...

დღემდე ჩვეულებად არის დარჩენილი: ყველა გლეხი, რომელმაც კი იცის, რომ გავლა იმ ადგილს დასჭირდება, თან წაიღებს ფიჩხს ან ჩალას და წაუმატებს იქ დაყრილ ფიჩხს.

როცა საკმაოდ შეგროვდება, გამელელიევ წაუკიდებს ცეცხლს და ააპრიალებს...

ამბობენ, სწორედ იმ ადგილას ჩააქვავეს ის ბატონიო...

ყველა დარწმუნებულია, რომ ის საზიზღარი ჯოჯოხეთშია ჩაყუდებული და ამიტომ ანთებენ ცეცხლს, რომ საიქიოს შეტრუსვა და წვა-დაგვა ერთი წუთითაც არ მოაკლდესო...

ყველას მოეწონა ეს ამბავი...

ხახელდახელოდ შევაგროვეთ ჩხიმალი...

ვეება ცეცხლი გავაჩაღეთ და ვიძახდით: ესეც იმავ ბატონს მიუვიდესო...

არავისა გვჯეროდა საიქიო და ჯოჯოხეთი, მაგრამ იმ ლეგენდის აზრს კი აღტაცებაში მოვყავდით.

უფრო დიდ ჭიაკოკონას ავაგუზგუზებდით, მაგრამ მოგვესმა სანატორიუმის ზარის რეკა...

ავადმყოფებს ვახშმად მოუხმობდნენ.

ყველამ გულითადი მადლობა გადავუხადეთ მოსიყვარულე მოხუცს და ვთხოვეთ, როდისმე ეჩვენებინა ის ადგილი...

მივდიოდით ბინისკენ და თან ვამბობდით:

ნეტავი წამოახედა სამარეებიდან ის გლეხები, რომელნიც შეითქვნენ...

არ აზიღოო, — ისმოდა საუკუნიდან საუკუნემდის...

მხოლოდ მაშინ ამოიზიდა და მარჯვედაც ამოიზიდა, როცა გადაწყდა, რომ იგი სანატორიუმი გლეხებისა და მუშებისათვის იქნებოდა...

ტყის დღე

I

გაზაფხულის მოახლოება ყველას ანეტარებდა.

ტყეს კი სიხარული არ ეკარებოდა. გულამოსკვნილი კვნესა ისმოდა:

— რა კარგია გაზაფხულის დილა. იგი წყაროა სიცოცხლისა!

— ჩვენ კი გვაშინებს გათენება, ჩვენ საშინელი განსაცდელი მოგველის ადამიანისაგან.

— სხვა უნდა სტკებოდეს გაზაფხულის განთიადით, ჩვენ კი ადამიანი უნდა გვემუქრებოდეს გადაკაფვას.

— ვაიმე, ვაიმე!.. საცაა ამოვშრები! — ყრუ ტკივილით ამოიკვნესა წყარომ, — რაც ადამიანმა გაჩანაგება უწყო ტყეებს, — გვალვას თავი ვერ დავაღწიე. ლამის მთლად ამოვშრე. წინათ კი საამო ჩქაფჩქეფი გამქონდა.

— იშვიათად რომელიმე ჩვენთაგანი თუ კვდება ბუნებრივი სიკვდილით. მთელ ტყეს პირაღებით გვჩეხავს.

— ვისაც კი ხელები ექავება, უეჭველად გვჩორკნის. შიგ გვერდში ჩაგვისობს ცულის პირს, თუნდა მოჭრაც არ უნდოდეს. იმასა ჰგონია, ხმას რომ არ ვიღებთ, არ გვტკიოდეს. ზოგი ისეთი ჭრილობაა, რომ ძლივს გვიხორცდება. ზოგი სულაც მოუშუშავი რჩება და გული გვიფუტროვდება.

— იმ დღეს მოქეიფეებმა ეტლებით ამოიგრიალეს, — მოიგონა მწუხარე ამბავი წიფელმა, — სივრცე გააყრუეს სიმღერით, დაგვიწოკეს ჩიორები, კვერნები, შვლის ნეკრები, ჯერ იგრილეს ჩვენს ჩრდილში,

შემდეგ, მადლობის ნაცვლად, ტოტები მოგვამტვრიეს და ეტლი იმითი მორთეს.

— მეგობრებო, თქვენ ბევრ რამეზე მოიჩივლეთ, მაგრამ რატომ მონადირეებსა და მეჯოგეებზე კი არას იტყვით, — ჩაერია საუბარში ბზა, — იმათი ბრალია, რომ ხანძარი გაგვიჩნდება ხოლმე.

— რაო? ხანძარია? — შეშფოთდა ნორჩი ნაძვი. ამას ეგონა, ცეცხლი გაჩნდაო და ააკანკალა, ძლივს დააშოშმინეს.

— რა ვქნა, დაშინებული ვარ. ყველა რომ გადაურჩეს ცეცხლსა, მე ვერა მიშველის რა, უცბად მომედება. საწყალი ჩემი ძმები იმას გაუჩანაგებია.

გადაჰხედა ნაძვმა თავის დაღუპულ მოყვასებს და თვალები მოუცრემლიანდა.

— არ იცის იმ უკეთურმა ადამიანმა, რასა სჩადის, — წარმოთქვა ფოთოლშრიალა ვერხვმა. — ჩვენ ხომ გვიმწარებს სიცოცხლეს და თავის თავს უარეს დღეს აყრის. მისი სიმდიდრე ტყეა და მალე იგი მთლად შემოელევა.

ჩვენს ამოვარდნასთან ერთად ცხოველები და ფრინველებიც ისპობიან.

ირემი, შველი, ჯიხვი, გარეული ღორი, კვერნა, დათვი, წავი, ხოხობი, მიმინო და რომელი ერთი ჩამოვთვალო, — ყველა ესენი თანდათან მცირდებიან.

— ეჰე! — ჩვენს უბედურებას არაფერი ეშველება, თორემ ადამიანს დაუსჯელად არ ჩაუვლის ტყის ასეთი გაჩანაგება. თუ წინათ ჩვენს მახლობლად თურაშაულივით წითური ხალხი ცხოვრობდა, — ახლა მთლად გადაყვითლებულია. ტყე შეთხელდა და მეავბადი არა ჰყოფნით. ლამის მთლად გაუკაცრიელდეს ეს სოფელი, აკი სახელიც ზედგამოჭრილი ჰქვია: „არ აშენდა“.

II

სადღაც ფაჩიფუჩი გაისმა.

ტყეში წიოკობა ატყდა.

— რა ამბავია, კიდევ რაიმე უბედურება ხომ არ არის რა ჩვენს თავსა?

— ადამიანი მოდის, ადამიანი! — მოცანცალებდა გულგადაქანებული კურდღელი, რომელიც კაცს შეჰფეთებოდა და ტყეს ატყობინებდა.

ტყეს ერეოლამ დაუარა.

ყველა გაჩუმდა.

მართლაც გამოჩნდა ადამიანი.

ხელში ცული ეჭირა.

ყველა ცდილობდა შრიალ-ჭრიალი შეეწყვიტა, რომ ადამიანისაგან შეუმჩნეველი დარჩენილიყო, მხოლოდ ბებერი რცხილა არ ისვენებდა.

— რა გინდა, ადამიანო, რამ გაგააკზნიანა? რას დაეძებ ჩემს შვილებს? მე მომჭერ და გაათავე. მე აღარაფრად ვარგივარ. ზრდასაც ვუშლი ნორჩ ხეებს. წამიღე. გამომიყენე, ოღონდ ჩემს პატარა შვილებს ნურას ავნებ, შეიბრალე, ნუთუ შენ კი მამა არა ხარ? არა გყვანან შვილები? განა მათ ასე ადვილად დაუთმობ მტერს?

ადამიანს ჩივილმა გული არ აუჩუყა.

იგი არხეინად მივიდა რცხილასთან და ჭრა დაუწყო.

ხანგრძლივი კაკუნის შემდეგ ჭრიალი გაისმა და რცხილა ლაწალუწით გადაეშვა.

სახელოვან გმირსავით დაეცა უთანასწორო ბრძოლაში.

თვით ხომ დაიმსხვრა და ბევრს ხესაც მშვენიერი ყლორტები ჩამოახლიჩა.

შეგინებული ეგდო ძირს დამარცხებულის გვამი.

და სტიროდნენ მისი ნათესავები.

— რა ლამაზი, მოხდენილი იყო წეღან რცხილა!

— როგორ ამშვენებდა აქაურობას!

— ახლა კი რას დამსგავსებია!

— ერთ საათში გადასჭრეს ის ხე, რომლის გაზრდას, დავაკაცებას და გამოკვებას დედამიწამ მრავალი წელი მოანდომა!

III

— რა ვქნა, ადამიანის შიში არ მეყოფა, რომ ახლა შენ არა მჩაგრავდე? რას გადამეფარე და სულს მიხუთავ? — უთხრა ყვედრებით წაბლმა ცაცხვს, რომელიც ხშირი ტოტებით გასაქანს აღარ აძლევდა წაბლის ქორფა ტოტებს.

— გეთაყვათ, ეს ვინ არის? ისე გაბარჯღულა, რომ ლამის მთლად გამსრისოს, — დაიკვნესა თრიმლმა და შეეცადა კვრინჩხისათვის გზა აექცივნა.

— ამ ფითრს ისეთი რა დავუშავე, რომ სიცოცხლეს შისწრაფებს?..

— ძმებო, დებო, უთხარით რამე ეკლის ბარდს... ეს დანელებული არ მანებებს საზრდოს. — ემუდარებოდა ყველას იფნი, მაგრამ ვის ეცალა მისთვის, როცა თვით ჰყავდათ მოსაგერიებელი ფათალო, სურო, ღიჭი და სხვა ხვიანა მცენარეები ან მწერები.

IV

ხეები რომ ამ საცოდაობაში იყვნენ, შორიდან მოისმა მჭახე, ძლიერი მოძახილი. ეს ხმები ეკუთვნოდა ფიქრზვიად, გულსავსე ბავშვებს.

მოდიოდნენ ისინი ტყისაკენ და თან მოჰქონდათ განუზომელი მხიარულება.

მათთან იყო მასწავლებელიც, რომელსაც ბავშვები ყაყაჩოებსავით შემოფრქვეოდნენ.

როცა მათ სიმღერა მოათავეს, შეუდგნენ ტყის დათვალიერებას, თითოეულმა რგოლმა ცალ-ცალკე იწყო დაკვირვება.

— მასწავლებელო, — მოირბინა მასთან ერთმა ბავშვმა, — მე მეგონა, რომ ურთიერთშორის ბრძოლა მხოლოდ ადამიანებში სწარმოებდა. აქ კი ისეთი სურათია, თითქოს ამათშიაც ბრძოლა იყოს გაჩაღებული.

— რამ მიგიყვანა მაგ დასკვნამდე? — შეეკითხა მასწავლებელი და თვალები სიხარულისაგან გაუბრწყინდა: დაინახა, რომ მისი მოწაფენი დიდ დაკვირვებას იჩენდნენ.

— აბა, გახედეთ, მასწავლებელო, ხეებს. ზოგი მაღალია, დიდია, ჯანსაღია. ამაყად ატყორცნილა სივრცეში. ზოგი კი დაბალი, მოკრუნჩხული, თითქოს დაკუტებულიყოს. მზისკენ მიიწევს, თავი კი ჩრდილისთვის ვერ დაუღწევია, ამაოდ ცდილობს წელში გასწორებას. აქაც, როგორც ადამიანთა შორის, სასტიკი ბრძოლა ყოფილა გამართული სიცოცხლისათვის, მზისთვის, სივრცისათვის, საკვებისათვის.

— დიახ, ჩემო პატარა მეგობარო! შენ სიცოცხლის დიდებული კანონი შეგინიშნავს... როგორც ადამიანთა შორის, აქაც დამყარებულია ორნაირი ურთიერთობა. ერთი მხრივ ბრძოლა არსებობისათვის, ერთმანეთთან შეტაკება, მეტოქეობა, და მეორე მხრივ — თანამშრომლობა. რიგი იმარჯვებს, რიგი მარცხდება. აქა ვხედავთ ბუნების დიადი თვისების გამომჟღავნებას, შერჩევას. იმარჯვებს უფრო თამამი, ძლიერი, ჯანსაღი, სიცოცხლისათვის უკეთესად მომზადებული, სიცოცხლის უნარიანობის ჯარბად მქონე.

ასეთია, მეგობრებო, ტყის ცხოვრება. მაგრამ უბედურება ეს კი არ არის, არამედ ის, თუ ადამიანი რა გაუგონარი დაუნდობლობით ეკიდება ტყეს. ყველას წინაშე გადაირბინა ტყის თავგადასავალმა.

— რამდენ სიკეთეს გვიშვრება ტყე და მაინც მისი ყადრი ვერ ვისწავლეთ.

— იგი გვინახავს გვალვისაგან, წყალდიდობისაგან, მდინარეთა დაშრობისაგან, მეწყერისაგან.

— ტყე აპოხიერებს და აფხვიერებს ნიადაგს.

— ტყე აყუჩებს მძლავრ, გაშმაგებულ ქარებს.

— ტყის კულტურის დაცვას ჩვენს მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

— უტყეოდ ერთ ნაბიჯსაც წინ ვერ წავდგამთ.

— დაავადმყოფების მთავარი მიზეზი უტყეობაა.

— სუსტი, მკერდჩავარდნილი, ფილტვებდასნეულებული ადამიანის მშველელი ტყეა.

— მივიღოთ ზომები ტყის გადასარჩენად, ნაპირების გასამაგრებლად.

— ტყე ყველას უგულითადესი მეგობარია, თვითონ კი მეგობრები არა ჰყავს.

— დავაარსოთ ბუნების დამცველთა საზოგადოება.

— მოკლე ხანში მოვაწყოთ „ტყის დღე“.

როდესაც მოწაფეებმა კარგად აგეგმეს მომავალი მუშაობა, ალერსით გამოემშვიდობნენ ტყეს და მხიარული სიმღერით შინ დაბრუნდნენ.

V

ტყემ სიხარულისაგან საამო შრიალი მორთო.

ბევრ ხეს არც კი სჯეროდა ეს ამბავი.

ისინი მხოლოდ მაშინ დარწმუნდნენ ახალგაზრდების გადაწყვეტილების სიმართლეში, როდესაც „ტყის დღე“ დადგა.

ასეთი დღესასწაული დიდი ხანია არავის უნახავს.

მოწაფეობა მასში ღირაეულ მონაწილეობას იღებდა, როგორც შრომის არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ახალგაზრდები იმდენს ცდილიყვნენ, რომ დაეარსებინათ ბუნების დამცველთა საზოგადოება.

მოზღვავდა ტყესთან დიდძალი ხალხი.

თავდაპირველად დაზიანებულ ტყეს შესაკრავად გარს შემოურიგეს: კატაფშატა, ქაცვი, ჩიტავაშლა, ქრისტეს გვირგვინა, თეთრი აკაცია, რომელნიც ცოცხალი ღობისათვის საუკეთესო ჯიშებად ითვლებიან.

მოზღვეული ფერდობების გასამაგრებლად ჩაჰყარეს: თრიმლილეღვი, ბროწეული, ტირიფი.

ერთი მშვენიერი ტყის ნაკვეთი, საცა რვაასწლოვანი ჭანდარი სიდიადით იდგა — ბუნების ხელშეუხებელ ძეგლად გამოაცხადეს.

მნიშვნელოვანი ადგილების ხის კაპებზე შემდეგი შინაარსის პლაკატები იყო ჩამოკიდებული:

— ხეები ფესვებით მდინარეთა ნაპირებს ამაგრებენ.
— ხეები აჩერებენ რიყეების ზრდას.
— ხეები წყალდიდობისაგან გვიცავენ.
— ხეები ჰაერს ასუფთავებენ და ადამიანს აჯანსაღებენ.
— ხეები იძლევიან ქაღალდს, კურნებითი თვისების მქონე წამლებს და ბევრ სხვა ჯილდოს.
— გაუფრთხილდით ადამიანის უძველეს მეგობარს, ტყეს.
— ტყის მკვლელი კაცის მკვლელია.

VI

ამ ზეიმმა ტყეს განუსაზღვრელი სიამოვნება მიანიჭა.
— ვიშ, ვიშ, რა ბედნიერი დღე გაგვითენდა.
— ახლა მაინც თავისუფლად დავიზრდებით.
— ძლივს მოგვირჩებიან ცულისაგან დაჩნეული იარები.
— ჩვენც მოგვემატება ძალა, ძველებურის სიანცით ამოვჩუხჩუხ-დებით.
— მოგვაგონდება დავიწყებული სიმღერები, — წამოიძახეს წყა-როებმა და ბექობებზე გადაჩქაფუნდნენ.
ფრინველებმაც იგრძნეს, რომ იმათაც შეუმცირდათ მტერი და სი-ხარულით ცაში შეიკამარავეს.

პაოლო იაშვილი

ცნობილი პოეტი პაოლო (პავლე) ჯიბრაელის ძე იაშვილი დაიბადა 1894 წელს სოფ. არგვეთში. დაწყებითი სწავლა-განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. გიმნაზიაში წარმატებას ინერდა ხატვაში. ხატვის შესასწავლად 1913 წელს გაემგზავრა პარიზში და შევიდა ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში. აქ გაეცნო პიკასოს, რიბიერას და სხვა მხატვრებს. პარიზში შეისწავლა ახალი ფრანგული პოეზია და მხატვრობა.

პაოლო იაშვილმა თავისი სიცოცხლე დააძთავრა 1937 წელს.

პ. იაშვილის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ნაწარმოები ბავშვებისთვისაც.

მედეას ლეკვი

თუ გინახავთ
დათვის ნეკი,
იმ სიგრძეა
ჩემი ლეკვი.
ჯერ ოთახში, შემდეგ ბაღში
დადის, დადის
კუდაბზეკით.
ბუზს შეხედა, გაინაბა,
დამიხია ჩითის კაბა,

გულმოსულმა გადაყლაპა
მზა მურაბა —
ერთი კილო;
რა ლეკვია,
რა ლეკვია,
ლეკვია თუ ცირკის სპილო!

კედლის მღებავს
შეუყეფავს,

უკბენს კატას, როცა ნებავს.
ახლა
დახრა
სკამის ფეხი,
არ მასვენებს ეს უკმეხი.
დაგაყარე თავზე მეხი!
და სულ ვდარდობ — ამ ავყიამ
იქნებ სჭამა დუთმა ნესვი,
იქნებ მამას დაუხია
გუშინ
დაწერილი
ლექსი.
ანდა კიდევ უკეთესი,
გადაყლაპა დიდი ნემსი.
ვერც სკოლაში დავისვენე,
შინ მოველ და
მეცა ელდა.
თურმე ბზიკმა
დამიკბინა
ჩემი ფინა
პაწაწკინა
ჩვენი ბაღის
იმ კუთხეში,
სადაც ცხოვრობს ლოკოკინა!

ვარ მთელი დღე მგლოვიარე,
ექიმები მოვიარე,
გამოვართვი აფთიაქარს
ეს მალამო თაფლის ფერი,
ვუცველი წამალს, ვაკმევ შაქარს,
არ აკლია არაფერი...
ოღონდ სიცხე გამონელდეს,
და ვუყიდი ცისფერ ლენტებს,
ერთი ყელზე გამოვაბა,
ერთი ფეხზე გამოვაბა,
ერთი ყურზე გამოვაბა,
ერთი კუდზე გამოვაბა,
ქვეშ დავუგო ჩემი კაბა,
დავახურო დიდი ჭაფა,
მოვუდუღო ის მურაბა,
მას რომ უნდა... იაევ ჰქონდეს
დასახრავად სკამის ფეხი,
აღარც ვეტყვი არასოდეს
„დაგაყარე თავზე მეხი“

შემოდგომის დღე ფოთში

შავი ზღვიდან დაბალ ციდან
მოდის ბური ნისლის;
ხეს ფოთლები ჩამოცვივდა
და შრიალი ისმის.

ნისლი სახლებს დაჰფენია,
ქუჩებს მისდევს ნელა,
ბაღს მიადგა დაფნებიანს,
რუხად ჩაბნელა.

აგერ ქუჩა პირდაპირი
აუვსია ბოლით;
საცა იყო ზღვის ნაპირი,
ჰოჩანს თეთრი ზოლი.

წავალ ბაღში, შევალ ბაღში,
მომდევს ნისლის ქროლა,
კარს გამიღებს ერთი ბავშვი,
ჩემი შვილის ტოლა.

სიხარულით მეტყვის: „ძია,
ის ხეც შეითვალა“,
და დაიწყებს ბაღში ციალს
ვით სინდიოფალა.

ხელებს მოსდებს მწვანე ტოტებს,
მისდევს ვიწრო ბილიკს;
მე უეცრად შემაშფოთებს
სურნელება ტკბილი.

გადიშლება უცბად ნერგი,
ზე შემრჩება თვალი;
თუ გინახავთ სადმე თერგის
ნაპირებზე ქალი.

ქისტის ქალი, დახატული
მძივებიან მკერდით,
როგორც ოქროს ნაკადული,
რომ ჩაგირბენთ გვერდით.

ნერგიც ასე ელავს რხევით,
მძიმე ტოტებს გაშლის;
უკვე ნისლი მიდის ზევით,
ამაღლებულ ცაში.

გადაიხსნის მწვანე მანდილს
ნერგი გულმკერდღია;
ვეხები და ვისმენ ნამდვილ
ოქროების წკრიალს.

ოთარ შოფერი

მოუყვანა მამამ ავტო
უბენზინო და უნავთო;
გრძელი არის, ჭრელი არის,
საგზაო და საალმართო.

უთხრა ოთარს: „ჩემო ოთარ!
აბა ახლა თუ ივარგე,
ეს მანქანა უნდა მართო
და გაწმინდო როგორც სარკე“.

ოთარს ძლიერ უხარია,
გაიძახის: „ეს რა ვნახე!“
ზამთარში რომ ბუხარია,
ისე ელავს მისი სახე.
სულ პატარა კარაჟში
გააკეთა გარაჟი
და პატარა მანქანა
გარაჟში შეაქანა.
დაუწმინდა პედლები,
აქეთ-იქით არხია;
გაუკეთა ის თვლები,
ფარებს რომ ეძახიან,
ჩამოჰკიდა წინ და უკან
მეთორმეტე ნომერი...
აბა, დედა, ჩქარა „ნუგა“,
დაიღალა მშრომელი!
გამოვიდა ქუჩაში, დააჭირა პედალი
და გასრესა დედალი.
გამოვიდა მამალი,
ტირის,
ყვირის,
ყვირის,
ტირის:
„სად ვიშოვო წამალი,
სად ვიშოვო იოდი,
სად ვიშოვო სახვევი?!
აქეთ რომ მოდიოდი,
იქით ვერ გადახვედი?“
გამოცვივდნენ ბავშვები,
ხმაურია ძლიერი,
აღარ არის საშველი,
მოდის მილიციელი.

მამალს მოსდის ღვარ-ღვარად
ცრემლი შეუშრობელი...
აბა ოქმი, ოქმი ჩქარა!
რომელია შოფერი?

შეადგინეს დიდი ოქმი,
ჩაერივნენ ყველანი...
ოქმს დასჭირდა ერთი დოქი
იისფერი მელანი.
მერე ქათამს უქაქანეს,
ეძახოდნენ „აქში, აქში“,
დედალი კი გააქანეს
ჩვენი უბნის აფთიაქში.
დედლისათვის თურმე ფეხი
მოეტეხა ბოროტ პედალს;
მოიტანეს წმინდა ხერხი
და მოხერხეს ფეხი დედალს,
ასე მოხდა... ამის გარდა
ასეც მოხდა მკათათვეში:
სასამართლო გაიმართა
კოჭლი დედლის საქათმეში,
გაიმართა ლაპარაკი,
ლაპარაკი ლაპარაკზე,
მოითხოვეს აგარაკი:
„გაიგზავნოს აგარაკზე“.
დაადგინეს: „რადგან, რაკი
უვიცობა აღიარა,
დედლისათვის აგარაკი
აირჩიოს — სხვა კი არა, —
ან კოჯორი, ან კიკეთი,
დაუმზადოს სუფთა ხრეში,
აურიოს ქერში ფეტვი
და აჭამოს სამჯერ დღეში“.

მიჰყავს ოთარს, აღარ იცდის,
დედალი და მისი ბუდე...
მე კი ოთარს შეცდომისთვის
ერთი კვირით გავებუტე...

იოსეგ გრიშაშვილი

 პოეტი-აკადემიკოსი იოსებ (სოსო) გრიგოლის ძე გრიშაშვილი (მამულაშვილი) დაიბადა 1889 წელს თბილისში. მისი პაპა დათია მამულაიშვილი (ქალაქურად მამულაშვილი) გურიიდან ბატონის სასტიკეს გამოჰქცეია თბილისში და ორთაჭალაში მებაღედ მოწეობილა. პოეტის მამა ჯერ კალატოზი ეოფილა, შემდეგ მეკოტნობა დაუწეია. პატარა სოსო დედის დაეინებით 1897 წელს მიაბარეს ქართულ გიმნაზიაში. 1904 წელს სოსოს მამა გარდაეცვალა, დედაც მალე გაუთხოვდა და ახალგაზრდა სოსო თავისანაბარად დარჩა. დიდი გაჭირვება, ობლობა და მწუხარება განიცადა ახალგაზრდა პოეტმა. მაგრამ მისმა ლექსების თაყვანისმცემელმა თქმამ ჩვენი თეატრალური მოღვაწეების ეურადღება მიიქცია. კერძოდ, ვალ. გუნიასი, რომელმაც ი. გრიშაშვილი თეატრს დაუკავშირა. პოეტი თეატრში მეშაობდა ჯერ მოკარნახედ, შემდეგ მსახიობად და რეჟისორად, სწერდა აგრეთვე პიესებს. ი. გრიშაშვილის პირველი ეოდეეილია „ტიმოთეს ლეღვი", რომელიც ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

ი. გრიშაშვილი 1910 წლიდან დაუახლოვდა სბავშვო ჟურ. „ნაკადულს". მისი პირველი სბავშვო საწარმოები იყო ქართული ზღაპარი „სიზმარა". სადიდო ლექსებთან ერთად ი. გრიშაშვილი წერდა სბავშვო ლექსებსაც და თანამშრომლობდა სბავშვო ჟურნალებშიც. ჩვენი პოეტი განსაკუთრებით ნაეოფიერად მეშაობს საბეოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და გამოქვეყნებული აქეს მრავალი კარგი სბავშვო წიგნი.

ბიჭო, ნუ ურევ ქვიშასა

ბიჭო, ნუ ურევ ქვიშასა,
ნუ სტკეპნი ფეხის გულებით,
სასწავლებელი შენდება
მთავრობის განკარგულებით.
რას ჩააცივდი ამ ქუჩას,
რას ჩააცივდი ამ მხარეს,
ქვიშა, მჭიდა და აგური
განა აქ მიტომ დაჰყარეს,
რომ აქეთ-იქით გაჰფანტო
ეგ სახელმწიფო ქონება?
ნუ იზამ! შენი ანცობა
არავის მოეწონება.

აგურებს ქიმებს უტეხავ,
მჭიდასაც ურევ ქვიშაში...
ლექსს გიწერ, მერე მოდიხარ
და ემდურები გრიშაშვილს!
სასწავლებელი შენდება,
სასწავლებელი ახალი,
ამ სახლზე უფრო ლამაზი,
ამ ხეზე უფრო მაღალი.
შენც იქ ისწავლი, ბიჭიკო,
მთელის სულით და გულითა,
და აინთები სამშობლოს
უმანკო სიყვარულითა.

ლაზღანდარა

განა ასე შეიძლება?
არა სწყალობს სკოლის კარებს,
ქუჩა-ქუჩა დაყიალობ,
თავს უყადრებ ლაზღანდარებს!

მამაშენი, ჩვენს უბანში
ითვლებოდა ბეჯით მუშად,
მისი საქმე სასახელო
უნდა დარჩეს დღეს ნიმუშად.

მუდმივ დარდს და მუდმივ შრომას
გადააკლა მამამ თავი,
ვერ მოესწრო ნეტარებას,
ისე მოკვდა საცოდავი.

შენ კი, იმის ძეს და პირმშოს,
ეს ამბავი არ გამწარებს,
ქუჩა-ქუჩა დაყიალობ,
თავს უყადრებ ლაზღანდარებს!

ბიჭო, ნიჭი რომ არ გქონდეს,
არ გკადრებდი არაფერსა;
ნუ ატირებ შინ მოყვარეს,
ნუ აცინებ გარეთ მტერსა...

მებაღე რომ ხილს მოისთვლის
მოსაკრეფად, მოსაწყვეტად,
პატარა ხეს, პატარა ნერგს
უფრთხილდება უფრო მეტად.

შენც ნერგი ხარ, მოვლა გინდა,
რომ არ გახდე უდღეური...
გაიგონე დარიგება,
გაიბერტყე, ბიჭო, ყური —

თორემ რასაც დღეს დაჰკარგავ,
ვერ აღადგენ იმას მერე.
დაიხსომე ჩემი ლექსი,
გულის კოვზზე დაიწერე!

ოქტომბრელის სიმღერა

არ განმიცდია წარსულის
სიდუხჭირე და ნაღველი,
დიდი ოქტომბრის შვილი ვარ,
ახალი ქვეყნის მნახველი.

ვემსახურები სამშობლოს
ნაყოფიერი შრომითა...
მაგრამ თუ მტერი დაგვესხა
სისხლით, სიკვდილით, ომითა, —

მაშინ მეც ანაზღეულად
განზე მედება წიგნები
და ჩემი ქვეყნის სახსნელად
მებრძოლთა რიგში ვიქნები.

დიდი ოქტომბრის შვილი ვარ,
დიდ ბელადს მივე პირობა —
სამი რამ უნდა მიყვარდეს:
სწავლა, შრომა და გმირობა.

სამგორი

ვინ არ შეჰხარის ჩვენს სიჭაბუკეს,
დავიმორჩილეთ თვითონ ბუნება.
სამგორში წყალი შეირხა უკვე
და მომავალზე გვედუდუნება.

მალე ვიხილავთ აქ ელნათურებს,
ტყეში ჩადგება ქარის თარეში,
სულ სხვა ცხოვრება
დაისადგურებს
აქ, ამ უდაბურ არემარეში.

ოჯახის ქარი გაჭრიალდება,
ვიტყვით „ბარაქას ბოლო არ უჩანს!“
პირველი ქუჩა რომ გაიჭრება.
ალბათ ერქმევა: „მშვიდობის ქუჩა“.

მიყიდე

ისე ვერ გამოვსულვარ
მე შინიდან გარეთა,
რომ არ ამეკვიატო
გულსაკლავად, მწარედა.

ისე ვერ გამივლია
მაღაზიის წინარე,
რომ არ შემომწუწუნო
ცრემლებჩამომდინარე.

არ გაშინებს ნივთების
სიმძიმე და სიდიდე,
ყველაფერზე იძახი:
„მიყიდე!“ და „მიყიდე!“

შუშაბანდს რომ დაჰყურებ,
მორთულს ნაირფერებად,
ყველა ნივთი შენს ასაკს
განა შეეფერება?

რაც გეკუთვნის, მე ვიცი,
კიდეც შემიძენია,
ეს ხრიალა, ეს ბურთი,
ეს თოჯინაც შენია.

შენ კი რასაც შეხედავ,
სადაც უნდა მიხვიდე,
ყველაფერზე იძახი:
„მიყიდე!“ და „მიყიდე!“

კმარა, ჩემო შვილიკო,
კმარა, თორემ, იცოდე,
ნამდვილ სახელს წაგართმევ
და „მიყიდეს“ გიწოდებ.

ია და ყაყაჩო

ერთხელ წითელმა ყაყაჩომ,
შავი ფხა რომ აქვს გულადა,
მიმართა იას ამაყად,
ზვიადად, გაბედულადა:
— მე ტანადი ვარ, მაღალი,
ხალვათად ამოვსულვარ და
შორიდან დასანახი ვარ,
შენ მე არ მგევხარ. სრულადა.

იამ მიუგო ყაყაჩოს
ჩვეულებრივად, ნელადა:
— მე, მართალია, არ ვჩანვარ,
შენ ყველა გხედავს ველადა,
მაგრამ ეს დაიმახსოვრე,
რაც ცნობილია ძველადა:
ვისაც ვინ უყვარს, ჯურღმულშიც
მოსძებნის უეჭველადა.

ნუ გადასდებ ხვალისათვის

ნუ გადასდებ ხვალისათვის
ამ შენს საქმეს, ბიჭო ლევან,
„შაბათი“ და „ორშაბათი“
არასოდეს დაილევა!

დრო არ ითმენს... აბა, მარდად,
მოიმარჯვე ხელში წალდი.
ქუდის მოხდას ვერც კი ვასწრებთ,
ისე გარბის წელიწადი.

განიშორე ეს სიტყვები:
„მეზარება“, „ხვალე არ სჯობს?“
მუშა ხარ და უნდა კიდეც
მოუარო ქვეყნის სარჩოს.

გადადებულ საქმეს მოსდევს
შეუვსები დანაკარგი.
სიკვდილს გარდა ყველაფერი
ადრეული არის კარგი.

მაშ დროულად გაიტანე
ამ ყამირზე შენი ლელო,
რომ შინმოსულ მებრძოლ გმირებს
დახვდეს საქმე სასახელო!

დაეუფლე რუსულ ენას

'შენ ქართული კარგად იცი, გაქვს ნიჭი და ალღო,
მაგრამ რუსულ ენაში კი ჩამორჩები, ბალღო!

თუ ახლავე არ ისწავლი, — გეტყვი, დამიჯერე, —
გაიზრდები, შეწუხდები, დაინანებ მერე.

ამიტომაც მენდე მგოსანს: სხვა ენებზე უფრო
რუსულ ენას, რუსულ ენას უნდა დაეუფლო.

რუსულ ენას სულ სხვა შნო აქვს, სულ სხვა სიკისკასე.
ბუნებრივი სიდოვლათე, სილამაზით სავსე;

სიამაყის ფუძე ჰკვებავს, ვერ გაატანს ტყვია,
ეს მიტომ, რომ რუსულ ენას ძმობის ენა ჰქვია.

ვთქვათ: გინდა, რომ ინახულო სხვა ქვეყნები თვალით,
მოგზაურებს შეეჯიბრო ცოდნით, ნიჭით, ძალით,

იქ ბევრ დუშმანს შეეყრები და ბევრ მეგობარსაც, —
თუ რუსული ენა იცი, არ შერცხვები არსად!

პუშკინის ხმა! ლენინის ხმა! მთელ მსოფლიოს ჰქარგავს.
სწავლას მოსდევს სიხარული! — დაიხსომე კარგად.

ამიტომაც, ახალგაზრდავ, სხვა ენებზე უფრო
რუსულ ენას, რუსულ ენას უნდა დაეუფლო!

ოთხი დრო

1. გაზაფხული

აგერ ნუში, ჩვენს ბაღჩაში
რომ დგას ასე ობლად, კენტად,
გაზაფხულმა გააცოცხლა,
ყვავილებით გადაპენტა.

იამ გული გადუშალა
მზის სხივებს და ჭრელ პეპელას.

ჩვენ კი მიწა სამუშაოდ
მოგვიწოდებს ყველას, ყველას!

ჰა, მერცხლებიც დაგვიბრუნდნენ,
გაახარეს ხალხის გული!
რა კარგია ყინვის შემდეგ
თვალუუეუნა გაზაფხული!

2. ზაფხული

ყვავილები დაყვავილდნენ,
გადაწითლდა ხეზე ხილი,
ირგვლივ ისმის ჩიტუნების
მხიარული მოძახილი.

გაითიბა მინდორ-ველი...
გაიშალა ცხვრების ფარა
და სიმღერით გაჭრილ ყანას
დაჰხვევია დიდ-პატარა.

ყველა ცდილობს, ცხელ ზაფხულში
იშრომოს და გაისარჯოს,
რომ ოჯახი გამოჰკვებოს,
რომ ზამთრისთვის ჰქონდეს სარჩო.

3. შემოდგომა

კოლმეურნე ვაზს ესტუმრა
პაწაწინა დანით ხელში,
სჭრის ყურძენს და სავსე კალათს
სცლის ღიმილით საწნახელში.

ბებომ ტკბილი ჩურჩხელები
ხარიხებზე გადაჰკიდა...
მანქანა კი ქალაქისთვის
ეზიდება შეშას ტყიდან.

ცივი ქარი დანავარდობს,
გააშიშვლა ხის კენწერო.
თბილ ქვეყნისკენ გაეშურა
მერცხალი და დიდი წერო.

4. ზამთარი

გადათეთრდა მთა და ბარი,
თოვლის ფიფქი დასრიალებს,
კურდღელი კი ბუჩქის ძირას
შიშისაგან ნაბავს თვალებს.

ბეღურები სიცივისგან
ჟღურტულებენ დაბალ ხმაზე,
მათ არ მოსწონთ ეს ზამთარი
და არც თოვლის სილამაზე.

და ბუხრის წინ პაპა ბავშვებს
თოვლის ზღაპარს ეუბნება,
რომ სუსხიან ზამთრის შემდეგ
გაიღვიძებს ეს ბუნება.

ილია სიხარულიძე

 პოეტი ილია ლუკას ძე სიხარულიძე დაიბადა 1889 წელს სოფ. ბუკისციხეში (ჩოხატაურის რ.), ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი სწავლა-განათლება მიიღო სოფლის სამრევლო სკოლაში, შემდეგ სწავლა განაგრძო სოფ. ვანის ორკლასიან სასწავლებელში. 1909 წელს შეიყვანეს ქუთაისის საოსტატო სემინარიაში, რომელიც 1913 წელს დაამთავრა. ამავე წლიდან დაიწყო მასწავლებლობა და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუწყვეტლივ ეწეოდა 1946 წლამდის. 1919 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1925 წელს დაამთავრა.

ილია სიხარულიძემ ლექსების წერა 1905 წლიდან დაიწყო. 1912 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი. ახალგაზრდა პოეტი ამ პერიოდის ლექსებში ასახავს მშრომელი ხალხის ბრძოლას მეფის რეჟიმის წინააღმდეგ.

პედაგოგიურმა მუშაობამ ილ. სიხარულიძეს ხელი შეუწყო დაახლოებოდა ბავშვებს და საბოლოოდ საბავშვო ლექსების წერა დაიწყო.

საბჭოთა პერიოდში ილია სიხარულიძე წერს ლექსებსა და პოემებს, განსაკუთრებით სკოლამდელთათვის. მისი პირველი საბავშვო ლექსების წიგნი „საბავშვო თამაშობანი ლექსებად" გამოვიდა 1925 წელს.

ილ. სიხარულიძეს ხახალხო განათლების ფრონტზე ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

გამარჯობათ, პატარებო

გამარჯობათ, გამარჯობათ,
ჩემო კარგო პატარებო!
ჩემს ფიქრსა და ოცნებაში
დღე და ღამე ნატარებო!

გოგონებო, ბიჭუნებო,
მოჭიკჭიკე ჩიტუნებო,
მუდამ ფრთებაცქვეტილებო,
გულღიებო, კეთილებო!

ცელქებო და ჭკვიანებო,
ხელ-ფეხდაუდგრომელებო;
მოფუსფუსე ფუტკრებივით
გამრჯელებო, მშრომელებო!

ვიცი, გიყვართ ასკინკილა,
ცეკვა, ხტუნვა და კუნტრუში,
მწვანე ველი, ყვავილები
და ფეხების ჩადგმა რუში.

სიყვარულით, სიხარულით
სულ გიტოკავთ ეგ გულები;
მე სიცოცხლე მისთვის მიყვარს,
რომ თქვენ ქვეყნად მეგულვებით,

და ლექსების წერა თქვენთვის
მამხნევებს და მახალისებს;
მუდამ თქვენზე თუ არ ვფიქრობ,
ერთ წუთსაც ვერ გავძლებ ისე!

თქვენს გაფურჩქვნას როგორ ელის
მშობლიური ჩვენი მხარე!
გაიფურჩქნეთ, გაიშალეთ,
იხარეთ და გაგვახარეთ,

და ამაგი დაუფასეთ
თქვენს მშობლებს და თქვენს
აღმზრდელებს;
სამშობლოსთვის, ხალხისათვის
აღიზარდეთ, გვასახელეთ!

ოქტომბრის ყვავილები

ოქტომბრის ყვავილები ვართ,
ვიშლებით, ვიფურჩქნებით,
მშრომელ ხალხის შვილები ვართ,
მარად მასთან ვიქნებით.

მოვდივართ და მოვიმღერით
ტკბილი ხმების წკრიალით!
ყვავილებით მოკაზმულნი,
წითელ დროშის ფრიალით!

ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა

ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა,
მაგრამ ჩვენსას მედგრად ვიცავთ,
ჩვენს მიწა-წყალს ვიცავთ
მტკიცედ,
არც ერთ მტკაველს მტერს არ
მივცემთ!
და უშიშრად ქუხს ქარხანა,
უხვ მოსავალს გვაძლევს ყანა,
ბალ-ვენახი ჩვენისთანა
სხვაგან არის სადმე განა?!

მაშ, იხარონ მშრომელებმა,
მათმა მკლავმა და ხელებმა!
ვქმნით სიმდიდრეს, შრომის
დოვლათს,
ვიცით დაცვა, ვიცით მოვლა!
გვიყვარს ჩვენი საბჭოეთი,
გვიყვარს ჩვენი მიწა-წყალი.
სამშობლოსთვის თავდადება
არის ჩვენი წმინდა ვალი.

იმას რა სჯობს,
რომ დარაჯობ
შენი ქვეყნის
სადარაჯოს!
იმას რა სჯობს —
სამშობლოსთვის
მთლად სიცოცხლე
რომ დახარჯო!

ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა,
ნაგრამ ჩვენსას მედგრად ვიცავთ;
ჩვენს მიწა-წყალს ვიცავთ
მტკიცედ,
არც ერთ მტკაველს მტერს არ
მივცემთ!

შარახვეტია

სულ გადაჰყვა ხეტიალს
გოგო შარახვეტია.

ჩამოივლის მეზობლებს:
მაკოს, მზეხას და მართას;
ცის, ბარისას მოჰყვება,
ურევს ტყუილს და მართალს.

თავს აბეზრებს სუყველას,
მისგან ყველა ღონდება;
ძლიერ თუ არ მოშივდა,
სახლი არ აგონდება.

ტუქსავენ, არ რცხვენია
ამ უქნარას, ამ ზარმაცს;
სახლში თითს არ გაანძრევს,
თუნდ იფეთქოს ხანძარმაც.

მას რომ ჰკითხო, საქმისგან
თავს ვერ იღებს, ვეღარა!
რა ტყუილის გუდაა,
რა უქნარა, მკვეხარა!

თუ ცოტა ხანს შინ დარჩა,
სულ ბუზღუნებს საქმეზე,
არც წიგნები იზიდავს,
არც სხვა რამე აქეზებს.

რა ვქნა! მოთმინებიდან
მოდი და ნუ გამოხვალ!
ჯოგო, სულ ხეტიალით,
სთქვი, რა ქალი გამოხვალ?!

გარჯა, ცოდნა უნარი
ადამიანს ამშვენებს,
შრომა თავისუფალი
ჩვენს ქვეყანას აშენებს!

ვისაც შრომა არ უყვარს,
საქმე არ გაეგება,
დასვენება, გართობა
იმას არ შეერგება!

ჰოდა, შენც დაანებე
თავი უქმად ხეტიალს!
ჩვენში ვინმეს შეშვენის
ეერქვას „შარახვეტია“?

მეომარი ომარი

— ომარ! ომარ! მოდი ჩემთან!
აი, ნახე, რა გიყიდე!
ჰა, ქვემეხი, ტყვიამფრქვევი!
აგერ თოფი! ხმალი კიდევ!

შემოირტყი წელზე ხმალი,
თოფი მხარზე გადიკიდე!
— დედი, ცხენიც ჩემი არის?!
— შენი არის, შვილო, შენი!
შეაჯექი, აი ასე!
როგორ გშვენის, როგორ გშვენის!

რა კარგი ხარ, დედიკონა,
გენაცვალე გულში!
მე რომ დიდი, დიდი, დიდი
გავიზრდები გუშინ,
წინ კამფეტებს გიყიდი და
კიდევ — დედოფალას,
აი, ისეთს: რომ დაწვება,
თვალს რომ ხუჭავს, მალავს.

დედი, ცხენი გავაჭენო?!
— ჰო, მაშ!
— აჩუ! აჩუ, ცხენო!

მიაჭენებს ცხენს მხედარი,
რა ყოჩაღად, რა მხნედ არის!
ღობის ძირში გაჩნდა სწრაფად
და ჭინჭარი სულ აკაფა;

გადაახტა ღობეს, ყორეს,
დაერია ქათმებს, ღორებს:
„მებრძოლი ვარ, მეომარი!“ —
ხმალს იქნევს და იმეორებს;

ჩაუქროლა-თავის ტოლებს:
ვანოს, ნიკოს და ნინიას,
გაიძახის: „მებრძოლი ვარ!
ბატის აღარ მეშინია!“

დედას უთხრა: „სულ დავხოცე
ბატები და თიკნები,
როცა დიდი გავიზრდები,
ბუდიონი ვიქნები!“

— ყოჩაღ, ომარ! მეომარი
უნდა გახდე, არა, შვილო?!
— მაშ! მაშ! უნდა დავეხმარო
ბუდიონს და ვოროშილოვს!

ფაქიზო

ფაქიზია ეს ფაქიზო,
პაწაწინა ქალი,
ისე სუფთად ჩაცმულია,
ზედ დაგრჩებათ თვალი:
თმა აქვს მუდამ დავარცხნილი,
ორ ნაწნავად წნული,
ხელი, პირი დაბანილი,
გაკრიალებული;
კბილებს იწმენდს ყოველ დილით,
მუდამ, ერთხელ განა?
არაფერს ჭამს, ხელი საპნით
თუ არ დაიბანა.
სათამაშოს, თავის ნივთებს
მტვერს არ მიაკარებს,
დედოფლები მოვლილი ჰყავს,
სუფთად დაატარებს;
ჯიბეში აქვს ცხვირსახოცი,
თეთრი და ქათქათა...

მას მურია სულ არ მოსწონს,
უვყარს ფისო-კატა!
ფისო სუფთა, ფაქიზია,
დაბანილი მუდამ,
მურია კი ხშირად მტვერში
გორავს როგორც გუდა.
ფისუნია თაგვებს იჭერს
და კნუტებსაც უვლის,
მაგრამ არვის არ უნახავს —
იყოს გამურული.
ფაქიზოც ხომ დედას ჰშველის,
სახლი დაუგვია,
მაგრამ ჭუჭყი იმის ტანზე,
აბა, რას მიქვია!
ფაქიზია და ამიტომ
მას ფაქიზო ჰქვია.

ბუზლუნია-წუნია

ნეტავ, სტვირი მომართეს,
თუ ეს რა ზუზუნია?!
— ლოგინიდან ამდგარა
ბუზლუნია-წუნია.
გულზვიადი ბრძანდება
ქალბატონი პატარა,
ანჩხლობს, თავის ნებაზე
ყველა თუ ვერ ატარა.

ყვირის: „სცემეთ ფისუნას!
ჩემი კაბა დასუნა!“
ყვირის: „კარი მიხურეთ!
მურა თვალში მიყურებს!“
ბრაზობს: „რად იცინიან
გოგია და თინია?!“
ტანსაცმელი მოართვეს,
ჩაცმა უნებებია,
მაგრამ ვეღარ ახერხებს,
არც ანებებს ბებიას.

ფეხსაცმელი ჩაიცვა,
წინდა დავიწყებია
და კაბაც კი უკუღმა
ტანზე მოურგებია;
გოგია და თინია
მთლად სიცილით კვდებიან!
გაღიმებულს ვერ ნახავთ,
სულ ბუზღუნებს, წუწუნებს,
არაფერი არ მოსწონს,
სუყველაფერს იწუნებს;
ტირის: „ჩაი პირს დამწვავს,
რძეს არ დავლევ, არ მომწონს!
რად არ მაჭმევთ ტაფამწვარს?!
არა, არ ვჭამ მე მაწონს!..

დედი, არ გეყურება?
მომიტანე მურაბა!
ეს პური ცოტა არის,
ეს კერძი არ მეყოფა!“
მოჰყვა წუწუნს და ბუზღუნს..
მიღობა და მოღობა!

მაგრამ მისი ბუზღუნის
არვის უნდა ყურება
და წუნია ქალბატონს
არვინ ემსახურება.
სწორედ ემართლებიან,
მასზე სწორედ ახია,
„ბუზღუნია-წუნიას“
მიტომაც ეძახიან!

ჩიტბატონა

ჩიტბატონა ვინ დამარქვა?!
ჩიტბატონა რად მიწოდეს?!
ჩვენი გვარის ბატონობა
არ ნახულა არასოდეს!

ვენაცვალე ზოგიერთებს:
„ჩიტმორთულას“ მეძახიან;
სუყოველგან ვიმყოფები,
სადაც ბუჩქი, სადაც ხეა.

მე პატარა ჩიტუნებში
თურმე უფრო ლამაზი ვარ,
მხიარულად დავჭიკჭიკებ,
ხის წვეროზე როცა ვზივარ;

მწერებს, მატლებს შევექცევი,
ხან ავკენკავ ნარის მარცვალს,
თორემ ჩემგან ვის სმენია
ვინმეს ჩაგვრა, ვინმეს ძარცვა!

და რომ მერქვას „ჩიტბატონა“,
საწყენია, დასაძრახი...
„ჩიტმორთულა“ დამიძახეთ,
„ჩიტბატონას“ ნუ მეძახით!

თითების დავა

ერთხელ თითნი წაიკიდნენ,
ჰქონდათ ცხარე დავა,
მოიხსენეს ერთმანეთი
უდიერად, ავად;

იკვეხნიდნენ თავის ამაგს,
თავთავიანთ საქმეს,
ერთმანეთის მნიშვნელობა
დაამცირეს, დაჰგმეს;

დაჰგმეს ძმობა, მეგობრობა,
ერთად გარჯა, შრომა,
ჰირში, ლხინში ერთად ყოფნა,
მხარში ამოდგომა.

ცერმა თქვა: „მე თითებს შორის
ვარ თავიდათავი:
ყველა საქმის წამომწყები,
მხნე და გამბედავი;

მე თუ არა, ხელი რამეს
გააკეთებს? — ვერა!
უჩემოდ სად შეუძლია
ხატვა, ან და წერა?!

მადლი გამჩენს, რომ ბუნებას
შევუქმნივარ ცერად!“
თქვა და თითებს მან შეხედა
კუშტად, ალმაცერად.

საჩვენებელ თითს რა ესმა
ცერის სჯა-ბაასი,
უთხრა: „ცერო, შენ უჩემოდ,
აბა, რა გაქვს ფასი!

მე რომ მუდამ არ გშველოდე.
გვერდს არ გედგე მუდამ,
შენ რას იზამ? ამიტომაც
მაფასებდე უნდა!

იქნება შენ არც კი იცი,
„სალოკი“ რომ მქვია!
პირს საჭმელებს ვალოკებდი,
„სალოკს“ მეძახიან;

დღეს არავინ აღარ მლოკავს,
დღეს კოვზს ხმარობს ყველა,
მაგრამ მაინც პატივში ვარ,
როგორც წინათ, ძველად!“

შუათითმა ცერს და სალოკს
გადახედა ცივად,
შეუბღვირა: „დაგავიწყდათ,
მე რომ უფროსი ვარ!

აბა, როგორ შემედრება
რომელიმე თითი?
მე ყველაზე მაღალი ვარ
და ყველაზე დიდი.

ორი თითით წერა, ხატვა
გაგონილა სადმე?
უჩემოდ თქვენ რას გახდებით,
წაგიხდებათ საქმე!..“

არათითმა ამოიღო ხმა და
ეს გაბედა:
„ვერ მივმხვდარვარ, „არათითა“
რად მიწოდეს ნეტავ?

რად არა ვარ, აბა, თითი?
რად არ მთვლიან თითად?
შუათითს, ცერს და სალოკსაც
თავი მოაქვთ დიდად!

ჩემს მეტს ყველას სახელი აქვს,
უსახელო მე ვარ;
მიკვირს, ჩემთვის რად გაჭირდა
სახელის დარქმევა?“

ბოლოს ნეკიც ახმაურდა,
თქვა: „მისმინეთ ერთი!
ხუთ თითში მეც კურევივარ,
მათში არ ვარ მეტი!

ტანად თუმცა პატარა ვარ,
მე არ მწუნობს ხელი!
არათითს სულ გვერდში ვყავარ
და საქმეში ვშველი.

მე თუ არა, სთქვით სიმართლე,
ხელი რამეს დაწერს?
საყრდენი ვარ და წერის დროს
მე სიმძიმე მაწევს;

ყველა თითი ჩემს წინ არის,
თავი მოსწონთ... მე კი
ჩემთვისა ვარ, ხელის ბოლოს,
პაწაწინა ნეკი!“

და თითებმა ამნაირად
დაგმეს ერთმანეთი;
ყველას სურდა ყოფილიყო
ქვეყნად მარტო ერთი;

დაიჭირეს სათითაოდ
ცალკე გზა და ხიდი;
თითს თუ თითი გვერდს არ უდგას,
რას გახდება თითი?

ცერი სალოკს თუ არ შველის,
მასთან შუათითიც,
განა საქმე გაკეთდება
პატარა ან დიდი?!

ანდა ნეკი, არათითი
ზედმეტია განა?
ისინიც ხომ სხვებს შველიან
და გვერდში უდგანან!

ცალ-ცალკე რომ ვერას გაბდნენ,
დაინახეს მაშინ,
რომ ყოფილა უძლეველი
ძალა ერთობაში!

და მას შემდეგ ხუთი თითი —
ეს ღვიძლი ძმა ხუთი,
ერთად, ძმურად რომ არ იყვნენ,
არ იქნება წუთი!

თვალად, ტანად, ჯანით, ღონით
სხვადასხვაა ყველა,
მაგრამ უყვართ ერთმანეთის
დახმარება, შველა!

და როდესაც მტერს უტევენ
ბრაზით, რისხვით, კუშტად,
მაშინ ყველა ერთად, ტოლად,
შეიკვრება მუშტად.

მათში უმცროს-უფროსობას
აქვს პატივი დიდი.
თითს რომ თითი მხარში უდგას,
მაშინ თითობს თითი!

მარიჯან (მარიამ ალექსიძე)



მარიჯან (მარიამ) მარკოზის ასული ალექსიძე დაიბადა 1890 წელს, თბილისში, ტყეშალაძის ოჯახში. მშობლებმა მარიჯანი მიაბარეს თბილისის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელში, რომელიც 1908 წელს დაამთავრა მედალზე.

ლიტერატურულ ასპარეზზე მარიამ ალექსიძე გამოვიდა 1916 წელს, მარიჯანის ფსევდონიმით.

მარიჯანი 1918 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

მარიჯანმა საბავშვო ლიტერატურაში მუშაობა დაიწყო საბჭოთა პერიოდში. მისი პირველი საბავშვო ლექსი „ნელი ცირკში" დაიბეჭდა 1926 წელს. ლექსებთან ერთად წერს საბავშვო მოთხრობებსაც. მარიჯანმა გორის საკონსერვო ქარხანასზე დაწერა მხატვრული წიგნი — „ზურა ატმის ქალიაქში", რომელიც დაიბეჭდა 1933 წელს. მასვე ეკუთვნის პირველი დიდი მოთხრობა პიონერების ცხოვრებაზე „ბედნიერი თაობა", რომელიც წიგნად გამოვიდა 1937 წელს. საბავშვო ლექსების წიგნი „ჩვენი ქვეყანა" პირველად გამოვიდა 1938 წელს.

მარიჯანი მთარგმნელობასაც ეწევა. მან თარგმნა ე. შვარცის საბავშვო წიგნი, „რა უფრო სჯობია". ს. მიხალკოვის ლექსები, კ. ჩუკოვსკის „მზიანა" და მარგარიტა ალიგერის პოემა-პიესა „ზღაპარი სიმართლეზე", რომელიც წარმატებით იდგმებოდა მოხარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში.

უკანასკნელ წლებში მარიჯანი წერს ნოველებს სკოლამდელთათვის. მისი ნოველები გამოვიდა ორ წიგნად: „მზიური ქვეყნის ბავშვები" და „კეთილი გულით". 1955 წელს დაიბეჭდა ლექსების კრებული „წლიდან წლამდე" მცირე ასაკის ბავშვებისათვის.

ნელი ცირკში

ამბავია გუშინდელი,
მოგიყვებით თავიდან:
პაწაწინა ჩვენი ნელი
ცირკში როგორ წავიდა.

ცირკი „კოლოსს“
კვირა დილით
წარმოდგენა.
განა ვისთვის?
მხოლოდ კარგი ბავშვებისთვის!!.
სცენაზეა სწავლულები:
ვირთხა, კატა, ძაღლი, ცხენი,
ჯამბაზები და ქალები...
საუცხოო მოსალხენი!!
თუთიყუში, მტრედი, შაშვი.

ყოველ მოზრდილს უბილეთოდ შეჰყავს მხოლოდ ერთი ბავშვი.

აი, ასეთ განცხადებას
უკითხავდა დედა ნელის.
ნელი ფეხზე ვეღარ დგება,
მოუთმენლად წასვლას ელის.

აგერ ცირკიც! სამი ზარი!
როს დაუკრეს უცბად მარში,
აჩოჩქოლდნენ პატარები
და შემოჰკრა ყველამ ტაში.

პირველი განყოფილება

1

ნელი თვალებს არ უჯერის,
ნელი თვალებს აცეცებდა,
როცა ნახა ცირკის წრეში
ქალი ცხენს რომ აჭენებდა.

„რა კარგად ზის ცხენზე ქალი!“
ნელი დედას მივარდება:
„ამიხსენი, დედიკოჯან,
როგორა ზის? არ ვარდება?“

2

ცხენი გაჰქრა... გამოვიდა
პაწაწინა ქონდრის კაცი,
თან ჯამბაზი მოჰყვებოდა
თავის ქნევით და ბარბაცით.
„რიჟა, რიჟიკ, გამარჯობა!“
ხალხი იმათ მიესალმა.

უცბად გაჩნდა სხვა ჯამბაზი,
რიჟას გაჰკრა ფეხში სარმა.
კოტრიელა! კოტრიელა!
გადავარდა ჩვენი რიჟა.
„ახიაო“, — ამბობს ნელი, —
„დიდია და რად იგიჟა?“

3

დააფინეს გრძელი ხალი,
დიდზე დიდი მოაქვთ ბურთი:
„რალაცაა სხვა ახალი“...
ნელი ღელავს — სახე უკრთის.
ჯამბაზები ერთ დიდ ფიცარს
მოათრევენ ზანტად, ნელა...
და გამართეს ცირკის შუა
მშვენიერი საქანელა.
გამოვიდა აკრობატი,
ხალხი ტაშით მიეგება.
ნელი ჰკითხავს: „დედა, რატომ
წარმოდგენა არ გრძელდება?“

ნელი ზის და რასა ჰხედავს?!
თითქოს იმის საყვედურზე,
ვიდრე პასუხს მისცემს დედა,
კაცი ხელად შეხტა ბურთზე.
ბურთზე დგას და თან დიდ ბურთსა
წვრილ ფიცარზე ბიაცურებს,
და ხალხი კი, დიდ-პატარა,
განაბული მას ეყურებს.
ჰა, ფიცარი გადისარა!
სურათია საშინელი —
„ეს არ მინდა, არა, არა!“
და მიეკრა დედას ნელი.

4

მერე ისევ კოხტა ცხენი
გამოხტა და აჭიხვინდა:
„ანგარიში ნახეთ ჩვენი —
ჩაიფიქრეთ, ვის რა გინდათ!“
ხალხი ციფრებს ასახელებს,
ცხენიც იღებს სათითაოდ.
ყველა დედა შვილს ახელებს:
„ცხენი შენა გჯობიაო?“
ცხენს მიართვეს დაფა, ცარცი,

ლაუწერეს რიცხვი „ორი“,
არ მოსვლია ცხენს აქ მარცხი,
გამონახა იმის სწორი.
და ბავშვების მთელი გუნდი
ახრიალდა, ახმაურდა,
თვით ნელიც კი წინ მიიწევს,
ცხენის ნახვა ახლოს უნდა.

ანტრაქტ!
12 წუთი!

მეორე განყოფილება

1

აი, სვეტებს ამაგრებენ,
ზედ მავთულიც გადაჭიმეს.
მოცქრიალდა სამი ქალი,
გაგვიცინეს, გაგვიღიმეს.
ჯერ დაიწყეს მღერა, ცეკვა,
შესცქეროდნენ ბოძს ამართულს

და ბოლოს კი ყველა ერთად
შემოახტა ვიწრო მავთულს.
„ეს რა არის? — ამბობს ნელი —
სამი ქალი იქ რას სჩადის?!
მაშინ, როცა ის ჯამბაზი
სწორე გზაზე ვერც კი დადის?!“

2

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ აქლემები
მძიმედ, დინჯად, ზანტად, ნებით,
თავს გვიკრავენ... და კისერზე
წკარუნობენ ეღარუნები.

3

ძაღლებიც რომ გამოცვივდნენ!
ფოკსი, ტაკსა, მოპს და პუდელ...
აქეთ-იქით მიაყეფეს
და სკამებზე ჩაშოსკუპდნენ.

ცუგრიებიც ვარჯიშობენ,
გაუვლიათ „ფიზკულტურა“,

4

აგერ, ქალი! მან გალია
მოგვიტანა საჩვენებლად,
მას ერთ ხელში თოკი ჰქონდა,
მეორეში — მოკლე წკეპლა.
ჩაუყარა დამწყვდეულებს
ნამცეცი და სხვა საკვები,

5

მოიყვანეს ფრინველები
ყველა ჯურის, ყველა რანგის!
ზოგს ქილეტი გადაეცვა,
ზოგს ჯაბა და ზოგს პერანგი!
თუთიყუში ქანდარაზე
მოუთმენლად ზის და ბრაზობს,
როცა მისი ამხანაგი
მაგიდაზე ხტის, ჯამბაზობს.
ჰა, მეორე თუთიყუში
აიყვანა ხელში ქალმა
და... მახლობელ პირველ რიგებს
თუთიყუში მიესალმა.
ქალმა რაღაც იდუმალად

მუსიკაზე რიტმს იცვლიან,
ნელის უკვირს, უცემს გული:
— ლაპარაკიც თურმე ესმით,
გინდ რუსული, გინდ ფრანგული!“

ყველას უკვირს მათი ცოდნა,
ყველა ჰყვირის: „ურა“, ურა!“

შემდეგ ჩასხდნენ კალათებში —
არ დასჭირდათ სხვისი ხელი,
მოაწყვეს და ატრიალეს
ცუგრიების კარუსელი.

შემდეგ... ფრთხილად გამოუშვა
სათითაოდ ვირთაგვები.
ვირთაგვები თოკს მივარდნენ,
ასრიალდნენ ჩუმად, ხელად
და ეს თოკი გადაიქცა
უზარმაზარ დიდ ჩურჩხელად.

ჩასჩურჩულა ფრინველს ყურში:
„პოპკა დურაკ, პოპკა დურაკ“, —
შეესიტყვა თუთიყუში.

—

გავათავოთ ეს ამბავი!
თქვენ, ბავშვებო, და შენც, ნელი!
ახ, რამდენი კიდევ დამრჩა
დასაწერი და სათქმელი...
ჯერ ეს უთხარ შენს და-ძმასა,
რაც ნახე და... გაგაკვირვა!
დანარჩენიც შემდეგ იყოს,
როცა კიდევ მოვა კვირა.

დედას რომ არ შესცივდეს

პატარა ირიკოს დედა სამსახურის საქმეებზე მივლინებაში იყო წასული.

გოგონა დიდედასთან დარჩა. ხშირად ესმოდა ირიკოს დიდედას ოხვრა და წუხილი. ბავშვიც ჩაფიქრდებოდა ხოლმე.

ერთ დღეს ცუდი ამბავი მოვიდა.

— დედა ავად გამხდარა, ძალიან ავად! — უთხრა დიდედამ ირიკოს და თვალებიდან ცრემლები ჩამოსცვივდა.

— ხომ ჩამოვა? — შეეკითხა შეშინებული ირიკო.

— ჩამოვა, ჩამოვა! უეჭველად ჩამოვა, — ანუგეშა დიდედამ.

— ოღონდ ოთახი მოვუმზადოთ, ლოგინი დავახვედროთ, ყველაფერი სუფთად და ლამაზად, როგორც დედას უყვარს.

დიდედა და შვილიშვილი შეუდგნენ ფუსფუსს. ოთახი დაასუფთავეს, ლოგინი გაასწორეს.

— ცივა, ძალიან ცივა ჩვენსა! ვაითუ აქ უფრო გაგვიცივდეს, — წუხდა დიდედა, — ძალიან ცოტა შეშა გვაქვს და რა გვეშველება?

ირიკოც დანაღვლიანდა, დაფიქრდა.

გავიდა თითქმის ერთი კვირა.

როგორც იყო, ჩამოიყვანეს დედა. ირიკოს ჟრუანტელი უვლიდა. აცახცახებული დედა მიუახლოვდა და აკოცა.

დედა პირდაპირ საწოლისაკენ წაიყვანეს.

დიდედამ საბანი ასწია და სახტად დარჩა:

— რა ვქნა! ჩემი ხელით გავასწორე. ქათქათა თეთრეული დავაფინე. ვის დაუჭმუჭნია? ალბათ კატა თუ შეძვრა, ის არ დასაყენებელი, ისა! — ჯავრობდა დიდედა.

— არა, ბები! მე ვიყავი... დედას რომ არ შესცივნოდა, მე ყოველდღე, ჩემი ხელებით ვუთბობდი ლოგინს... — ძლივს წარმოთქვა ირიკომ და ცრემლები გადმოსცვივდა. ავადმყოფი დედა ხელმეორედ დაიხარა ბავშვისაკენ და ხელები დაუკოცნა.

— აბა, ირიკოს ხელებით გამთბარი ლოგინი უეჭველად მომარჩენსო, — ოხრიალებდა ბედნიერი დედა.

მამიდა თეოს მარანი

— მამიდა! სად მიდიხარ სანთლით და კატით? — გაკვირვებული შეეკითხა მოხუც მამიდა თეოს მისი ძმისწული პატარა ნიკუშა.

— ამაღამ მინდა მარანში დავამწყვდიო! — უპასუხა შუბლშეკრულმა მამიდამ.

— რა დააშავე მაგის ფასი, ჩემო ფასიკო! რაზე შემოგწყრა ჩემი მამიდაკა? განა რა შეუკამე, ჩემო „ღაზღაზა“, რომ მარანში გიპირებენ დაკეტვა?

ნიკუშა თვითონ იგონებდა საალერსო სიტყვებს.

— პირიქით! არაფერი არ შეუკამია! გასუქდა, ეზარება მოძრაობა, თაგვებს აღარ იჭერს! — ემდუროდა კატას მამიდა თეო. — მე კი წუხელ მთელი ღამე არ მძინებია, გაგონილა? თაგვები დათარეშობდნენ... მთელი ღამე დახრიგინობდნენ მარანში, ისე ხმაურობდნენ, რომ ჩემს ოთახში ისმოდა; ეს კი, არხეინად ბუხრის პირად განაბული, ყურებსაც არ იბერტყავდა, სთვლემდა, თითქოს თაგვების დაჭერაც მე მეკვალებოდეს და არა ამას... აი, ამაღამ მარანში ჩავკეტავ, თავისი ყურებით გაიგოს, ბიჭია და ნუ ინადირებს.

— მაშ სანთელიც დავუტოვოთ, ჩემს „ღაზღაზას!“ — და ბავშვმა ჩაბოძართვა მამიდას სანთელიც და კატაც.

— კატას სინათლე არ ესაჭიროება, ბნელაში უკეთ ხედავს! — უპასუხა მამიდა თეომ, კაბის კალთა აიწია, ქვედატანზე დაკერებული ღრმა ჯიბიდან ამოიღო რგოლზე ასხმული გასაღებები, ამოარჩია ყველაზე დიდი და მძიმე გასაღები და მარნის კარი გააღო.

— აბა, ნიკუშა, გეთაყვა მომინათე, მარანში ბნელა, ფეხი არაფერს წამოვკრათ!

მარნიდან სიგრილემ და რაღაც საამურმა სურნელებამ დაჰბერა. ნიკუშას ძალიან უყვარდა მარნის სურნელება. რა არ ინახებოდა ამ მარანში! რაც კი ებადა მამიდა თეოს, მთელი მისი ავლადიდება, ყველაფერი აქ იყო — ქვევრებში, კიდობანში, ამბარში, საწნახელში, ქილებში, გოდრებში, კასრებში და თაროებზე, ყველაფერი სათანადოდ განაწილებული, შენახული და მიჩქმალული. ყველაზე უფრო მამიდა თეოს პურის კიდობანი უყვარდა.

ეს კიდობანი მისი სიამაყე იყო!

— აი, ნიკუშა, ამ კიდობანს არც ერთი ლურსმანი არა აქვს დაკრული. დახე, როგორი მოხარატებულია! საშვილიშვილოდ არის ნაგები! სახურავი მთლიანია. პატარა ღერძებზე თავისუფლად ტრიალებს, არც გაცვდება და არც დაჟანგდება. ისე მაგრად არის შეკრული, რომ არასოდეს არ დაიშლება, არც გახმება და არც დასკდება...

ათასჯერ მოუსმენია ნიკუშას მამიდასაგან პურის კიდობნის ქებადიდება და ყოველთვის გულდასმით უსმენდა და თვითონაც პატივსა სცემდა ამ კიდობანს, რომელიც რბილად ინახავდა ნაზუქებს, ხაჭაპურებს, თონეში დაბრაწულ პურებსა და კეცში გამომცხვარ გემრიელ მჭადებს.

შემოდგომისას პურის კიდობანში სხვა რამეც ინახებოდა: ტკბილი კვერები, ჩურჩხელები, ლეღვის და ატმის ჩირები. ძალიან უყვარდა ნიკუშას მარანში თარეში! როგორც კი გაიგებდა მარნის კარის ჭრიალს, მაშინათვე მამიდა თეოს გვერდით აიტუზებოდა!

— აბა, ნიკუშა, დასვი კატა და მწნილი ამომაღებინე! — მამიდამ გადმოიღო თახჩიდან თიხის ჯამი, წინსაფრის ყურით ამოწმინდა, პატარა ქილიდან ეკალას მწნილი ამოიღო და ჯამი გაუწოდა ნიკუშას დასაჭერად. ნიკუშამ სანთელი დაბლა დადგა და ხელი გაითავისუფლა სასუსნაოდ.

ძალიან უყვარდა ნიკუშას მწნილი და განსაკუთრებით ეკალა და როგორ მოუთმენდა გული, რომ ხელი არ წაეტანა.

— უპუროდ ნუ სჭამ, ნიკუშა! გულს „დაგიძმარავს“! — აფრთხილებდა მამიდა თეო, მაგრამ ნიკუშას არავითარი „დაძმარების“ არ ეშინოდა და პირი გამოტენილი ჰქონდა გემრიელი ეკალათი.

— აბა, წავიდეთ ახლა! — მიმართა მამიდა თეომ თავის სუსნია ძმისწულს, მაგრამ იმას სრულიადაც არ ეჩქარებოდა.

— მე ისე მიყვარს მარანში ყოფნა, აქ კარგი ჰაერია, — და ბავშვმა ღრმად შეიყნოსა მარნის ჰაერი.

— მე ვიცი შენ რასაც ყნოსავ, შე კუდრაჭა, შენა! — და მამიდა თეომ ხელი ჩაჰყო ჩანგალზე ჩამოგებულ, დიდ ძველებურ ხურჯინში. ამ ხურჯინის თვალში ცოტაოდენი წაბლი ეგულებოდა. მამიდამ რო ხელი ჩაჰყო, წაბლი ხურჯინიდან იატაკზე დაცვივდა. ნიკუშა სწრაფად დაიხარა და დაუწყო აკრეფა.

— უი, დამიდგეს თვალები! რა მშვენიერი ხურჯინი დაუჭრიათ იმ წყეულ თაგვებს. რა ღმერთი გამიწყრა და აქ შევინახე ეს ერთი მუჭა წაბლი! ეს იმიტომ, რომ შენ დაგიმალე, ვითომ მინდოდა გამომეზოგა! აფსუს! რა ლამაზი ხურჯინი იყო! კიდევაც იმიტომ დახრიგინობდნენ წუხელ. — ამბობდა შეწუხებული მამიდა თეო.

დედაბერმა ორიოდე მუჭა წაბლი გადმოყარა კაბის კალთაში, ხურჯინს პირი მოხსნა, გამობერტყა და ისევ თავის ადგილზე, ჩანგალზე ჩამოჰკიდა. ნიკუშამ წაბლის ულუფა გაიკრა. მაინცდამაინც არ შეწუხებულა იმ ამბით, რომ ლამაზი ხურჯინი თაგვებმა დასჭრეს.

— ახლა წავიდეთ! — უკვე აჩქარებდა ნიკუშა მამიდა თეოს. — რაღას ელი?

— მოიცა, დავათვალიერო, კიდევ ხომ არაფერი არ გააფუჭეს იმ მსუნაგებმა. — მამიდამ თვალი გადაავლო თახჩაში მდგარ ჭურჭელს. ჩაიხედა კიდობანში, ყველის ქილაში, მწნილებზე ქვები გაასწორა და სანთლით ხელში გაემართა კარებისაკენ.

— მამიდა, რა იქნება, რომ დავუტოვოთ კატას ეს სანთელი? — ხელმეორედ შეეხვეწა მამიდას ნიკუშა.

— შვილო, კატას ნადირობისას სანთელი კი არ სჭირდება, არამედ ყნოსვა და ბასრი ბრჭყალები. ნუ სწუხარ, პირიქით, აი ნახავ, ხვალ დილით რა ნასიამოვნები იქნება შენი კატა! — და მამიდა თეო გემრიელად ჩაიცინა. როგორც კი დაიკეტა კარები და მიწყდა მამიდა თეოს და იმის ძმისწულის ფეხების ბაკაბუკი, მარანში ყოველმხრიდან გაისმა შარიშური, ფხაკუნი, შრიალი და წკრიალი.

კატამ ყურები ცქვიტა, რადგან ამ ხმაურს არ მოსდევდა თაგვის გემრიელი სუნი, კატა ისევ მოიყურსა, კისერი მხრებში ჩაიგდო და ჩვეულებრივად განაგრძო თვლემა. უცბად თაროზე, სადაც თიხის ჭურჭელი ელაგა, რაღაც შეირხა, თითქოს მიწისძვრისაგან, ჭურჭელი ერთმანეთს მიეწკარუნა და ლობიოს ქოთნის მძიმე სარქველი გადმოვარდა, მიწაზე გაგორდა და სწორედ კატის ცხვირწინ შეჩერდა.

კატამ ყურები ცქვიტა, თითით შეეხო სარქველს, მაგრამ, როდესაც დარწმუნდა, რომ არც საჭმელი იყო და არც სასმელი, თავი არ შეიწუხა და ისევ გაიტვრინა. მიწაზე დანარცხებული სარქველი კი ბუზღუნებდა:

— რა ტლანქი და ამპარტავანი ვინმე ხარ შენ, ლობიოს ქოთანო! სულ არ იცი ამხანაგობა, არავის ანგარიშს არ უწევ! აბა ერთი, რა ჩემი ბრალია, თუ მამიდა თეო წამდაუწუმ ამიღებს ხელში და შენს თავზე მახურებს! გამიგონია: „ქუდი ვაუკაცს ამშვენებსო“, მაგრამ შენ ხომ ვაუკაცი არა ხარ, შენ ანჩხლი დედაბერი ხარ!

— ერთი ამას დამიხედეთ! როგორ თუ მამშვენებ? ვინ? შენ უნდა დამამშვენო? უშნო, უშნო! ლოდივით თავზე რომ დამედები! მე უშენოდ უკეთა ვგრძნობ თავს, უჰ! ძლივს არ ამოვისუნთქე! — და ქოთანმა ისედაც განზე გასული გვერდები ერთიორად გაიბერა.

— მე ათას წილად მირჩევნია, პირქვე დამხობილი ვიყო, ვიდრე შენ მედგე თავზე. — ბუზღუნებდა ლობიოს ქოთანი და სიბრაზისაგან ალმური ასდიოდა.

— რა ვქნა, ჩემი რა ბრალია? — სწუხდა მიწაზე დაგდებული სარქველი. — ჩვენ ყველანი ჩვენი დედაბრის დაკრუნჩხულ ხელებს ვემორჩილებით და ვემსახურებით... რამდენჯერ გამიგონია მისგან: „წყეული თაგვები, ხან ქილებში, ხან ქოთნებში ძვრებიან, ყველაფერი წაბილწეს!“

— შენ თვითონ წაბილწულო! — არა სცხრებოდა ქოთანი და, რადგან დუღილის დროს დაჩვეული იყო: „ფუიჰ, ფუიჰს!“ ძახილს, ახლაც მაგრად ამოიხვნეშა: „ფუიჰ, შენს ვაჟკაცობასო!“

სარქველმა თუმცა ხმა არ გასცა, ქოთანი მაინც არ უსვენებდა.

— აბა, რას წარმოადგენ, რას, შუ, უბადრუკო სარქველო? ან რა მომსახურება შეგიძლია? მე, დიახ, მე, ლობიოს ქოთანი, მთელ ოჯახს ვაჭმევ, სტუმარს და მასპინძელს! რამდენჯერ გამიგონია მამიდა თეოსაგან: „რა ბარაქიანია ეს ქოთანი, ყოველთვის ყველას გასწვდება და გემრიელზე გემრიელი ლობიო იცის!“ შენისთანა სარქველს, ჩემო ძამიავ, რამდენსაც გინდა გამოვიცვლი! აი, გუშინ დედაბერს დაეზარა შენი გამოტანა მარნიდან, პირჩამომტვრეული ლამბაქი დამახურა და მშვენივრად მოვხარშე ლობიო. არც წყალი დავაშრე, არც ორჯელი მაწუხებდა და ციცხვიც თავისუფლად იდგა, შენსავით არ აწუხებდა საბრალო ციცხვს. შენგან გვერდები აქვს დაჟეჟილი.

— ეხ, აბა ეგ რა სათქმელია! — წაილუღლუღა მძიმე სარქველმა, — მე რომ შენზე ამტანი ვარ და უფრო გამძლე — ეს ეჭვს გარეშეა. აი, მაგალითად შენ, ჩემო კარგო, მეოთხე ქოთანი ხარ, რომელსაც მე ვემსახურები!..

— ვემსახურები! შენმა თავის ხეთქვამ! შენ მე მემსახურები? თავზე მაზიხარ, გესმის, თავზე!

გვერდით მდგომმა მაწვნის ქილამ გულიანად გაიცინა. იმას თავზე დედაბერი მუდამ გარეცხილ ტილოს ნაგლეჯს აფარებდა, რაც საამოდ აგრილებდა, მეტადრე ზაფხულში. ათასში ერთხელ, შემთხვევით თუ დაადგამდა ლობიოს ქოთნიდან აღებულ სარქველს. ლობიოს ქოთანი სიბრაზით მიეხეთქა მაწვნის ქილას, იგრძნო, რომ ის იმაზე უფრო მაგარი აღმოჩნდა და ცოტა არ იყოს, ენიშნა სარქველის სიტყვები.

კეცებმა, ძველებმა და ახლებმა, რომელნიც ქილების უკან, ამავე თაროზე იყვნენ გამწკრივებულნი, მოუსვენარ ქოთანს სიცილი დააყარეს.

— კეც! კეც! — ატკიცინდნენ კეცები. — როგორ არ მოგბეზრდა, ქოთანო, დღენიადაგ ერთი და იგივეს რახრახი. შენ თუ გემრიელ ლობიოს ხარშავ, ჩვენ გემრიელ და კოხტა მჭადებს ვაცხობთ... აბა, უმჭადოდ რა გემო ექნება შენს მოხარშულ ლობიოს?!

— თუ კოხტა მჭადებს აცხობთ, ეს იმიტომ, რომ ჩემზე აგუნდავებს და აბრტყელებს მამიდა თეო! — შემოტრიალდა კედელზე დაკიდული ორომი.

— ო! დაიწყო ორომტრიალი! — აჩიფჩიფდა ძველი ჭრელი ხუტკინი.

— აი, ვკითხოთ ჩვენს მხცოვან ხურჯინს! ეს ყველაზე გამოცდილია, ქვეყანა უნახავს, ჩვენსავით უბედურად ცეცხლზე კი არ ეწვის გვერდები, — ატკაცუნდნენ ისევ ერთად კეცები.

ხურჯინმა დრო იხელთა. გამოიწვიეს ლაპარაკში და იმანაც თავმომწონედ ჭრელი კალთები შემოიბერტყა, გრძელი ულვაშები გაისწორა, ვეებერთელა პირი მოიხსნა და აჩიფჩიფდა.

ხურჯინი იმიტომ ჩიფჩიფებდა, რომ პირი დიდი ჰქონდა და კბილები კი არც ერთი!

გაუთავებელი ლაპარაკი იმიტომ იცოდა, რომ ორი პირი ჰქონდა, ერთი როცა დაიღლებოდა, მეორე პირს მოხსნიდა და ახლა ის ალაპარაკდებოდა! თუ ისეთ რამეს, არაჩვეულებრივს ნახავდა ხურჯინი, მაშინ ორივე პირით ერთდროულად ლაპარაკობდა და მთელი მარანი სმენად იყო გადაქცეული. რა არ უნახავს ამ ძველ ხურჯინს. რამდენი ახალი ამბავი ჩამოუტანია ქალაქიდან!

მერე რა გაუმაძღარი იყო ეს ხურჯინი! ორი ვეებერთელა სტომაქი ჰქონდა. რას არ იტევდა ეს ხურჯინი გამგზავრების დროს!

თუ ხურჯინის ერთ თვალში მამიდა თეო ნაზუქებს და თონის პურებს ჩააწყობდა, მეორე თვალში უეჭველად პატარა კოხტა ტიკით ღვინოს ჩაუდგამდა, აქეთ-იქით ჩირებს და ჩურჩხელებს ამოუწყობდა და მიდიოდა ქალაქში ძმისწულთან, გვერდებგაბერილი ხურჯინით.

ახლა ქალაქიდან დაბრუნებისას: ეს საკაბეო, ფეხსაცმელეო, ჩაი — შაქარი, კამფეტები, ასანთი, საპონი, ბრინჯი! რაც გინდა სულო და გულო!

სადაც კი უნდა წასულიყო ხურჯინი, ყველგან სიხარულითა და სიყვარულით ხვდებოდნენ!

გაბერილი ტიკჭორა კედელზე ეკიდა. ისიც, თუმცა ხშირად დადიოდა ქალაქში, მაგრამ ვერაფერს ვერ უამბობდა თავის მეზობლებს... და აი, რატომ:

ჯერ ეს ერთი, ქალაქში წასვლისას ღვინო ყელში ეჩრებოდა და ხმას ვერ იღებდა, დაბრუნებისას — დახვეული და ქაღალდში სათუთად გახვეული, — ხურჯინის ძირში იკუნტებოდა და, როგორც კი მარანში შეიტანდნენ, მამიდა თეო სასწრაფოდ ისევ ჰბერავდა, პირზე კანაფს მაგრად უჭერდა და ასე, თავისი დღენი, გაბერილი, გაბღენძილი და გაგუდული ლურსმანზე ეკიდა და არამც თუ ჭორს, სიმართლესაც ვერ იტყოდა! თუ რამე მონაწილეობას იღებდა მარნის ცხოვრებაში, ეს ანიშნებდა, რომ კედელს ეხეთქებოდა. მხოლოდ დიდი, დარბაისელი, დაბერებული პურის კიდობანი, რომელიც ხურჯინზე გაცილებით უფრო ხნიერი იყო, ხურჯინის დაუსრულებელი ჩიფჩიფით გაბეზრებული

და მოთმინებიდან გამოსული, სახურავს ოდნავ ასწევდა ხოლმე და ზედიზედ რამდენჯერმე დაარახუნებდა:

— რახ! რახ! რახ! ძმაო ხურჯინო, რა ყბედი და აბეზარი ხარ!

— ხარ! ხარ! ხარ! — ხარხარებდა ხოლმე ცარიელი ორშიმო. — მართალია კიდობანი! სულ რომ შენ არ ილაპარაკო, ერთხელ მეც დამაცადე. ჩემზე ბედნიერი არა მგონია, აქ ვინმე იყოს, აქ, მამიდა თეოს მარანში! მაგრამ ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგმა არც კი იცის ჩემი წარმოშობა! მე ასე მელოტი და გახრიკული როდი ვიყავი. მე ლამაზი, ყვითელი, გულგაშლილი ყვავილისაგან წარმოვიშვი. გრძელ-გრძელ მწვანე ბარდზე იზრდებოდა ჩემი ყვავილი. დილის ნამი წყალს ბასმევდა და ოქროსთვალა მზე მიალერსებდა! ფუტკარი დამზუზუნებდა, მიჰქონდა ჩემგან ოქროს მტვერი და თან ხოტბას მიმღეროდა: „ზი-ზი-ზი... ლამაზი... ნაზი... ყვითელი ყვავილი ხარ!“ მერე ყვავილი დასჭკნა (აქ ორშიმომ სინანულით ამოიკვნესა), ყვავილის ნაცვლად რაღაც პატარა ღილივით გავხდი... თანდათან ვიზრდებოდი... მე თვითონ მიკვირდა, ისე სწრაფად გავიზარდე! ერთხელ ბავშვებმა ბოსტანში მომკრეს თვალი და მამიდა თეოს ახარეს.

— ნახე, ნახე, რა ლამაზი გრძელყელიანი გოგრაა! მოვწყვიტოთ და შევწვათო!

— არა, ბავშვებო! — მიუგო მამიდამ. — ეს საჭმელი გოგრა არ არის, ეს საორშიმო გოგრაა! ამას რამე უნდა შეეუდგა, რომ მაღლა ავიდეს. ჩამოკიდული იყოს მზეზე. გაყვითლდება, გახმება, მერე თავს მოვჭრი, ამოვგულავ და შემდეგ ღვინოს ამოვიღებ ისე, რომ ქვეკრში ღვინო არ აიმღვრეს!

— რა კარგი თხრობა გცოდნია, მერე, მერე! — შეეხვეწნენ ბზის პატარა კოვზები, რომელთაც ორშიმოსავით ახსოვდათ მზის სითბო და ჩიტების გალობა. — მერე რა დაგემართა?

— სად გავჩერდი, არ მახსოვს... რად შემაწყვეტინეთ? — უსაყვედურა კოვზებს ორშიმომ და ჩაფიქრდა.

— ღვინოს ამოვიღებო! — ამოილაპარაკა ბოხი ხმით თავღია ქვევრმა. ქვევრი მხოლოდ სხვის სიტყვებს იმეორებდა.

— დიახ, დიახ, სწორედ მანდ! შემეშინდა, მამიდას სიტყვებმა თავზარი დამცა, ამაკანკალა. ისე ავცახცახდი, რომ ჰაერში ჩამოკიდულმა ქანაობა დავიწყე, ისეთნაირად, რომ კინაღამ ჩემს ბარდს არ მოვწყდი! ბრ! ბრ! მაჟრიალებდა ტანში, თავს მომჭრიან... გულსაც ამომიღებენ... რა საშინელებაა! ალბათ, ძლიერ მტკივნეული იქნება, მაგრამ სრულიადაც არა! მზემ და შემოდგომის ქარმა ისე კარგად გამახმეს, რომ არავითარი ტკივილი არ მიგრძვნია! პირიქით, გულის მაგივრად რაღაც საამური სიცარიელე ვიგრძენ და, როდესაც გაცრეცილი, გასუფთავებუ-

ლი და გრძელტარიანი, ღვინით სავსე ქვევრში ჩამიშვეს, ხარბად შევსვი ეს შესანიშნავი, გამაცოცხლებელი სასმელი. — ღვინო არაკრაკდა ჩემს ცარიელ საგულეში, გამავსო, დამატკბო და ავღიღინდი! თითქოს თავბრუ დამესხა! ბედნიერება ვიგრძენ, რაღაც ნეტარებით ავივსე და სიოს მონაბერი სიმღერები გამახსენდა!

— კარგი უნდა იყოს სიოს სიმღერა! ჩვენ, კეცებს, ზამთარში ბუხრის მილიდან გვესმის ქარის ზუზუნი, გვესმის ქარის სტვენა და გვიხარია! ახალი ამბები მოაქვს ქარს ჩვენთვის; გვიამბობს, რომ გარეთ ცივა და თოვს, და თან შემოგვნატრის ხოლმე, რომ ჩვენ ცეცხლის პირად ვიმყოფებით... გვიმღერე რამე, შენ ხმაც კარგი უნდა გქონდეს!

— თუ გამახსენდა!

ორშიმოს მეხსიერება არ უვარგოდა, რადგან ცარიელი თავი ჰქონდა! ცოტა ხნის შემდეგ, ორშიმო არაკრაკდა:

„ღვინის ჭურჭლად გარდვიქმენი,
თუმც მიწაში მქონდა ფესვი!
ეხ, ვინ მოთვლის თუ რამდენი
ტკბილი ყურძნის წვენი შევსვი!
ჰარი, ჰარალე, ჰარალე!
რამდენი ქვევრი გავცალე!

— სიმღერაც ჩინებული გცოდნია! — მოუწონეს კეცებმა.

— სასიამოვნო ხმა გქონია! — დაუმატა ლობიოს ქოთანმა.

— მაგრამ შენ მაინც ჭურჭელი არა ხარ! შენ მხოლოდ ხოკერი ხარ! — წამოსძახა ხის ციცხვმა, რომელსაც საერთოდ უყვარდა ყველას მხილება და ყოველ ქოთანში თავისი ცხვირის ჩაყოფა. აი, ის პირჩამომტვრეული თიხის დოქი — ჭურჭელია, შენ კი არა!

— დიახ, დიახ, ხოკერი! — დაემოწმენ წვრილფეხა ბზის კოვზები. — შენ ტყუილად გინდა დაგვენათესავო, შენ ჩვენსავით გამძლე არა ხარ! საკმარისია ძირს გადმოვარდე, მაშინვე გასკდები, დიახ, გასკდები, ვერც კი დაგაკოწიწებენ... — დასცინეს კოვზებმა.

ეწყინა ორშიმოს. დაღონდა.

კიდობანს უნდოდა წასარჩლებოდა, მაგრამ თავისი სატკივარი აწუხებდა. დიდი გამოცდილება ჰქონდა პურის კიდობანს. თავი მუდამ დარბაისლურად ეჭირა. უბრალო ლაპარაკში არ ერეოდა... სწორედ გუშინ მამიდა თეომ თავში ხელები წაიშინა და გულნატკენმა წამოიჩივლა:

— ეს რა დამემართა! დახე, დახე იმ წყეულ თაგვებს კიდობანი დაუხრავთ, როგორი ბასრი კბილები უნდა ჰქონდეთ იმ წყეულებს, რომ რკინასავით მაგარ ხესაც მოერივნენ!

სწორედ ეს ჰქონდა ხინჯად ძველ კიდობანს, რომ ძირი გამოუხრეს თაგვებმა. კიდევ კარგი, რომ მას არავინ არ ხედავდა მარანში!

— მე ვეცდები ძირს არ გადმოვვარდე! აი ჩვენი პატივცემული კიდობანი ძირსა დგას, მაგარი ფეხებიც აქვს და მე ყური მოვკარი, რომ მამიდა თეო სწუხდა, თაგვებმა ძირი გამოუხრესო! ეს როგორღა მიხდა? ის ხომ თქვენზე მაგარია, ბზის კოვზებო?

ძველმა ხურჯინმა რაღაც შვება იგრძნო, როდესაც გაიგო, რომ მას და კიდობანს ერთი და იგივე სატკივარი ჰქონდათ, მხოლოდ ძლიერ გაუკვირდა, ასეთი დიდი ამბავი როგორ გამორჩა იმის ყურთა სმენას და თავისებურად აჩიფჩიფდა:

— ეგ არაფერია! კიდობანს თქვენ ნუ ედრებით, კიდობანს ძირი რომ მთლიანად გამოუცვალონ, მაინც ისევ ის კიდობანი იქნება! აი, მეც, მამიდა თეო ამომიკერავს, ამომინემსავს თაგვების კბილებით დაზიანებულ კუთხეებს და ისევ ერთგულად ვემსახურებით მეც და კიდობანიც! თქვენ სხვა რამეზე იწუხეთ, შენ კი ორშიმო, — დაარიგა ჭკუა ძველმა ხურჯინმა — მართლაც, დიდი სიფრთხილე გმართებს, კიდევაც რომ არ გატყდე და მხოლოდ გაიბზარო, ისიც სავალალოა. არ შეგინახავს მამიდა თეო. ღვინო იმდენად ძვირფასია, რომ ყოველი წვეთის დაქცევა აფსუსია! გესმის თუ არა შენ. მართლაც ხოკერავ! — ბრაზობდა ხურჯინი, რომელსაც შეშურდა ორშიმოს კარგი ხასიათი, ახალგაზრდობა და მეტადრე სიმღერა!

საწნახელმა კარგად იცოდა ყურძნის და ტკბილი წვენის გემო, მხოლოდ ის სწყინდა, რომ წელიწადში ერთხელ, შემოდგომაზე, ივსებოდა მწიფე ყურძნითა და მაშინ ყველა მას თავს ევლებოდა!

ამ დროს უცბად გამოცუნცულდა პატარა თაგვი, ეს ის თაგვი იყო, რომელიც არავის უსვენებდა, რომელმაც ხურჯინი დასჭრა, კიდობანი გახრა. თაგვმა აქეთ-იქით მიმოიხედა, კედელზე აცოცდა, კეცებს გადურბინა, ისევ ჩამოცოცდა, კიდობანში შეძვრა და მოინამცეცა.

კატამ ყურები აცქვიტა, შეიშმუშნა, მერე ისევ გაინაბა, ფეხაკრეფით კიდობანს მიუახლოვდა და ზედ შეხტა.

კიდობანს არ იამა, რომ კატა ფეხებით შეეხო მის სახურავს!

თაგვმა კიდობანში შემთხვევით ჩავარდნილი კაკალი იპოვა. აგორავა, ვერაფერი დააკლო. კაკალი დარიხინებდა კიდობანში და ამბობდა: „კაკალი ვარ! კა-კალი!“

კიდობანი ბრაზობდა, უნდოდა თავი აეწია, დაებრახუნებინა, მაგრამ კატას, ჩასუქებულ კატას, ვერ მოერია, თაგვის სუნი კი ძლიერ აწუხებდა... აბა, სად ნაზუქების და ხაჭაპურების გემრიელი სუნი და სად თაგვის? საზიზღარი თაგვის!

თაგვმა კაკალს რომ ვერაფერი დააკლო, თაროზე აძვრა. მხოლოდ

როდესაც კატამ ისკუპა და თაგვს დაედევნა, ორმაგად გაბარებულმა კიდობანმა თავისი სახურავი რამდენჯერმე დააბრახუნა:

— რახ! რახ! მიხარია! შენც იგემე გვერდებზე,რას ნიშნავს სხვისი კბილები!

თაგვმა იგრძნო საშიშროების მოახლოება. უნდოდა დამალულიყო და ცარიელ ლობიოს ქოთანს მიაშურა, ამ დროს კატა ეცა, იმანაც თავი ქოთანში ჩაჰყო, გადმოაპირქვავა ლობიოს ქოთანი და მსუნაგი თაგვი კატის ბრჭყალებში მოექცა.

აწრიპინდა თაგვი, მაგრამ იმისი დარდი ვისა ჰქონდა! დიდგულა, გაბერილი ქოთანი ზევიდან გადმოვარდა და ყუმბარასავით სწორედ იმ ადგილზე გასკდა, სადაც სარქველი ეგდო.

— ეხ, ჩემო კარგო! არ გერჩივნა რომ მე მძიმე, უშნო სარქველი გხურებოდი, — გულისტკივილით შენიშნა ქოთნისაგან დაწუნებულმა სარქველმა. — მე რომ შენთან ვყოფილიყავი,ის წუწკი თაგვი ვერ გაბედავდა მოკარებას და შენც მაგ მწარე ხვედრს გადაურჩებოდი...

— ახია შენზე! — ნიშნის მოგებით გადმოსძახა ზემოდან მაწვნის ქილამ და თითქოს გაუხარდა, რომ მარტო დარჩა თაროზე. ძალიან ამპარტავანი იყავი, მე ქილას, შენს დობილსაც, არა მკადრულობდი.

დამსხვრეული ქოთანი მიწაზე წვრილ-წვრილ ნატეხებად გაშლილიყო და ხმის ამოღების უნარი არა ჰქონდა...

— აფსუს! რა კარგი ქოთანი იყო! — სწუხდა დილაადრიანად მარანში შემოსული მამიდა თეო. — მოდი, ნიკუშა, ნახე, რა ჩაუდენია შენს კატას.

ნიკუშა კატას მივარდა. თათები გაუსინჯა, ჭრილობა ხომ არა აქვსო, და მერე მამიდას მიუბრუნდა.

— მამიდა, ნუ სწუხარ! შენ ხომ ახალი თეთრი ქვაბი გაქვს ქალაქიდან გამოგზავნილი, იმაში მოვხარშოთ კერძი!

მამიდა თეომ მოიტანა ცოცხი და აქანდაზი, წამოჰკრიფა ქოთნის ნატეხები და ღობის იქით გადაუძახა...

ნიკუშას უნდოდა სარქველიც გადაეგდო, მაგრამ მამიდამ არ დაანება, გამოართვა და ისევ თაროზე დადო.

— ოჯახში ყველაფერი გამოსადეგია, — უთხრა მამიდამ.

შეფიქრიანდა ბედნიერი, მხიარული ორშიმო! იგრძნო, ისიც ვერ გაუძლებდა ასეთ ძლიერ დახეთქებას, რომ მისი ნაზი გვერდები ისევე დაიმსხვრეოდა, როგორც ამაყი ქოთნისა, და ენიშნა ბრძენ ხურჯინის ჭკუა-დარიგება.

კიდობანი და ხურჯინი დიდ კმაყოფილებას გრძნობდნენ, რადგან მტერი, მათი მტერი, საზიზღარი, უქნარა და მავნე თაგვი საბოლოოდ დამარცხებული იყო.

ნესტორ მალაზონია



ნესტორ გლახუნის ძე მალაზონია დაიბადა 1892 წელს სოფ. მაძათში, ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა-განათლება თავის სოფელში მიიღო, რის შემდეგ მაძამ ოზურგეთში წაიყვანა და სახარაზო სახელოსნოში მიაბარა. ნ. მალაზონია მალე ნათესავების დახმარებით მოეწყო ოზურგეთის საქოქალაქო სასწავლებელში, მაგრამ იქიდან დაითხოვეს მოწაფეთა გაფიცვაში მონაწილეობის გამო. 1912 წელს ნ. მალაზონია დაბა ხონის საოსტატო სემინარიაში მოეწყო, საიდანაც მალე გაიწვიეს ჯარში. 1919 წელს ნ. მალაზონია დაბრუნდა თავის სოფელში და დაიწყო მასწავლებლობა. 1925 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა ბათუმში, სადაც კვლავ მასწავლებლად მუშაობდა. 1951 წლიდან მუშაობს ბათუმის სახელმწიფო გამომცემლობაში.

ნ. მალაზონიას პირველი საბავშვო ლექსების წიგნი—„ეთერი და თინა" გამოვიდა 1941 წელს.

ვისი ბრალია?

ბეჯითი, მკვირცხლი, მარდია
ჩვენი პატარა ჩიტო.
ადგება დილაადრიან,
ჩაის იდუღებს თვითონ;
საწოლს და ოთახს ალაგებს,
წყალსაც მოუტანს დედას,
წიგნს სიყვარულით გადაშლის,
გაკვეთილს გადახედავს;
ისაუზმებს და სკოლაში
მიდის ყოველთვის ადრე,
იქ მეგობრებთან ერთობა
ზარის წკრიალა ხმამდე.

ერთ ღამეს დიდხანს ვერ დაწვა,
ბერე გაუტკბა ძილი
და ჩიტოს შეაგვიანდა
სკოლაში წასვლა დილით.
აჩქარდა გოგო, მოკურცხლა,
სულმოუთქმელად გარბის.
საცაა ზარი იქნება
და ერთი წუთი რად ღირს!
მთავარი ქუჩა გადაჭრა,
აგერ მოედანს გასცდა,
ერთსაც მოუხვევს და მერე
მივა საყვარელ კლასთან.

აი, ბავშვების ხმა ისმის,
თუმცა შენობა არ ჩანს,
მალე ამ სახლსაც გასცდება
და მერე რაღა დარჩა!
გულს სიხარული ატოკებს,
მუხლს ძალა შეემატა,
მაგრამ...
ფანჯრიდან ისკუპა,
გზა გადაუჭრა კატამ!

ჩიტო შეჩერდა. დაღონდა,
დარდს მიეცა და ფიქრებს:
— დავიცდი, გზა დანავსული
სხვამ გაიაროს იქნებ.
რაღა ამ წუთში მოუნდა
აქ გადმოხტომა წყეულს!
არა, დღეს ხეირს ვერ ვნახავ...
დღეს არა, მგონი, წლეულს!

ამ დროს ზარის ხმა გაისმა
და ჟრიამული მიწყდა.
— დარეკეს! —
ჩიტო გაერკვა
და კატაც დაავიწყდა.
გარბის და თითქმის მიწაზე
ფეხსაც არ ადგამს ბავშვი,
მაგრამ რა!
მასწავლებელმა
უკვე შეასწრო კლასში.
დაგვიანება აღნიშნეს,
მიზეზი ჰკითხეს, ვერ თქვა.
რა ცეცხლი ენთო მის გულში,
თვითონ იცოდა ერთმა.
მთელი დღე წუხდა გოგონა,
არც ჭამის ჰქონდა მადა.
ვერც წერდა, ვერც
კითხულობდა,
ნამდვილ ავადმყოფს ჰგავდა.
— რამ დაგაღონა, ჩიტუნა? —
ალერსით ჰკითხა მამამ.
მაგრამ ალერსმა გოგონას
გული ვერ დაუამა.
ახლა ცრემლით და სირცხვილით
უფრო აეწვა ლოყა.
ერთ ხანს იყუჩა და შემდეგ
იმ დილის ამბავს მოჰყვა...
— სულ იმ ჩხავანას ბრალია,
გზა გადამიჭრა ნავსად,
თორემ ყოველთვის ვასწრებდი
მასწავლებელს და ზარსაც!
მამა იცინის:
— რა მოხდა?
აბა ვინ იტყვის მართალს?
დედა შეწუხდა.
ბებიამ
თავი ანება სართავს.
მერე ყველამ თქვა თავისი,
კამათი გაიმართა...
ჩიტოს რომ დააგვიანდა,
კატის ბრალია მართლა?

სერგო კლდიაშვილი

სერგო დავითის ძე კლდიაშვილი დაიბადა 1893 წელს სოფ. სიმონეთში. იგი შვილია ჩვენი ცნობილი მწერლის დავით კლდიაშვილისა. ს. კლდიაშვილმა საშუალო განათლება ქუთაისში მიიღო. უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრა მოსკოვს და დააბოლოვა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ს. კლდიაშვილი ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა 1911 წელს. იგი წერს: ნოველებს, მოთხრობებს და პიესებს, რომლებიც იდგმება ჩვენს თეატრებში.

ს. კლდიაშვილის სათავგადასავლო მოთხრობა „აზნაურ ლახუნდარელის თავგადასავალი" დაიბეჭდა 1927 წელს. ს. კლდიაშვილი თანამშრომლობს ჩვენს საბავშვო ჟურნალებში.

ზურია

ჩემმა ძველმა მეგობარმა ალექსანდრე თუხარელმა, ცნობილმა მეტყევემ, რომელიც სამამულო ომის დროს მაიორი იყო და ერთ ხანს კავკასიონის მთებშიც ებრძოდა შემოსეულ მტერს, ამას წინათ ზღვისპირა რაიონი მოიარა და იქიდან დაბრუნებულმა უმალვე მინახულა, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდა. წინათაც ყოველთვის გულწრფელი ყურადღებით ვუსმენდი მეგობარს, როცა ჩვენს ტყეებზე სიტყვას ჩამოაგდებდა. მისი სიყვარული ტყისადმი იმდენად თავისებური იყო, რომ დარწმუნებული ვიყავი, რაღაც ცოცხალ, თითქმის სულიერ არსებად მიაჩნდა ის. ველოდი, რომ ახლაც ამგვარ რაიმეს იტყოდა, მაგრამ ამჯერად მისგან სულ სხვა რამ გავიგონე. უცბადვე შევატყვე ღელავდა. თავი მოუყარა შინ მყოფთ, ალბათ ვეცოტავე ერთი მსმენელი, ყველას თვითონვე მიუჩინა დასაჯდომი ადგილი, თამბაქო გააბოლა და წუთიერი საზეიმო სიჩუმის შემდეგ დაიწყო თავისი ამბავი. იმ განსხვავებული მღელვარებით, რომელსაც სიხარული იწვევს, თუხარელმა შემდეგი მიამბო:

„სოხუმის ჩრდილოეთით, მთებში, სადაც კავკასიონის ქედი შავი ზღვის ნაპირს უმეზობლდება, მაღალ ტაფობზე ერთი სოფელია. ორმოციოდე სახლი, ისეთი, როგორსაც ჩვეულებრივად მთიან საქართველოში იშენებენ, ერთმანეთისაგან შორიახლოს დგას. ვინც პირველად იმ სოფელს თვალს შეავლებს, ალბათ ეუცნაურება, რატომ განმარტოებულან ადამიანები, რად ასულან იმ სიმაღლეზე, როცა დაბლობში საკმაოდ არის დაუსახლებელი ვაკე ადგილი. მხოლოდ ქორმა იცის ასეთ მიუვალ ადგილებში ბუდის გაწყობა.

ის სოფელი ძველად არის გაშენებული. იქნებ მაშინდელ ხაშმიან დაბლობს გაექცა ადამიანი, ან იქნებ მტრის შემოსევისაგან თავის დასაცავად აირჩია ძნელად მისაგნები, თითქმის უჩინარი კუთხე.

თუმცა სოფელი ძალიან მაღალზეა და თოვლიანი მწვერვალები არც თუ ისე შორსაა მისგან, მაგრამ ჰავა იქ მაინც რბილია. როცა უღრუბლო დღეა, ზევიდან გარკვევით მოჩანს ფირუზისფერი გრძელი ზოლი, — ეს შავი ზღვის ნაპირია.

სოფელს არტყია უღრანი ტყე, სადაც გარეული თხილი, პანტა, მაყვლის ბუჩქები, ათასგვარი ველური ყვავილი ერთმანეთში არეულა.

ჩემი ნაწილი იმ სოფლის ახლოს, ხევში იყო დაბანაკებული. ეს ადგილი უკანასკნელი საზღვარი იყო, რომლის იქით კავკასიონის ქედის ვიწროებში შემოჭრილი მტერი იდგა.

თუმცა მტრის ჯარი ახლო იყო, მაგრამ მოსახლენი მაინც არ გაიხიზნენ და, არათუ არ მოერიდნენ იქაურობას, პირიქით, მზად იყვნენ, დაგვხმარებოდნენ, რითაც კი შეიძლებდნენ.

მათ შორის მრავალი მეგობარი შევიძინეთ. განსაკუთრებით დავუახლოვდი ერთ ოჯახს, რომელიც სოფლის ბოლოში მოსახლეობდა. იმ ოჯახის უფროსი იყო ჭაღარაშერეული, ოდნავ კუშტი გამომეტყველების, საშუალო ტანის, პირხმელი მამაკაცი ოტია ესებუა. გაიცნობდით თუ არა, უმალვე მისდამი პატივისცემის გრძნობა დაგებადებოდათ. დინჯი საუბარი იცოდა, სიტყვას დაკვირვებით ამბობდა, მოძრაობა აუჩქარებელი ჰქონდა, მაგრამ ამავე დროს იგრძნობდით, რომ საჭირო წუთში მეტად სწრაფი და დაუცხრომელი იქნებოდა.

ოტიას კარგი სახელი ჰქონდა კოლმეურნეობაში, როგორც გამოცდილ მენახირეს. ამავე დროს განთქმული მონადირეც იყო. სახლის გარეკედელზე მიჭედილი ჰქონდა მისგანვე მოკლული ჯიხვების რქები, ხოლო ოთახში ტახტზე ეფინა ნანადირევი დათვის ტყავები.

ოტიას ცოლი, ფელიკო, მშვიდი და ალერსიანი ქალი იყო. ისეთი გულკეთილი ღიმილით შეგებება იცოდა, რომ ადამიანს გულს გაუნათლებდა.

ხანდომიანი სახე ჰქონდა, ეტყობოდა, ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი იქნებოდა.

ერთი შვილი ჰყავდათ ესებუებს, — ცამეტი თუ თოთხმეტი წლის ზურაბი, რომელსაც შინაურობაში ზურიას ეძახდნენ. ბიჭი საოცრად ჰგავდა თავის მამას. ისეთივე წაბლისფერი თვალები და ქერა თმა ჰქონდა, ისეთივე ცხვირი, რომელზედაც უკვე შეინიშნებოდა ოტიას კაეკი. ლაპარაკიც იმგვარივე იცოდა, — აუჩქარებელი, დინჯი, თითქოს სწონისო თვითეულ სიტყვას. უნებურად გაიღიმებდა კაცი, როცა ოტიას ამ პატარა ორეულს დაინახავდა.

მამა და შვილი ერთმანეთთან დამეგობრებულნი იყვნენ. ოტია ალერსით არ ანებივრებდა ვაჟს, თუმცა ძლიერ უყვარდა. მშობლები პატარა ზურიაში ოჯახის მომავალ პატრონს ხედავდნენ. სკოლაში ასწავლიდნენ ბავშვს და სოფლად საჭირო საქმესაც აჩვევდნენ. ოტიას არა ერთხელ სანადიროდაც წაუყვანია შვილი და ნადირობის წესები გაუცვნია.

ეს პატარა ოჯახი ომის პირობებშიც არ იშლიდა თავის ჩვეულებას. ეს ჩვეულება კი ჩვენებურ გლეხს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი და თაობიდან თაობაში გადადის. თქვენ იცით, როგორია ჩვენებური გლეხი, — სტუმართმოყვარე, პერადი, თავისი ქვეყნის მოტრფიალე, მოკეთისათვის თავდადებული და სხვა მრავალი კეთილი ღირსებით შემკული.

ფელიკო და ოტია რაკი ერთხელვე დამიმეგობრდნენ, თავის თავს ვალდებულად თვლიდნენ ჩემდამი ყურადღება გამოეჩინათ. ერთხელ, ნაშუადღევს, ოტია სრულიად მოულოდნელად ჩემთან გაჩნდა სანგარში. — „რამდენიმე დღეა შენზე არაფერი ვიცოდით და ამბის გასაგებად მოვედი," — მითხრა მან.

იმ ადგილებში დღე გამოჩენა სიკვდილთან თამაშს უდრიდა. მტერს ისეთი ადგილი ეპირა, რომ არაფერი არ დაურჩებოდა შეუმჩნეველი. მტრის ტყვია უმალვე მოხვდებოდა, ვინც გამოჩენას გაბედავდა. ოტია კი უვნებლად მოდიოდა და მიდიოდა. ამ გარემოებამ ის აზრი დამიბადა, რომ მან, ძველმა მონადირემ, საიდუმლო და უჩინარი ბილიკები იცოდა. ასეთ კაცს ჩვენთვის დახმარების გაწევა შეეძლო, თუ ამის საჭიროება იქნებოდა.

მუდამ იმის მოლოდინში ვიყავით, რომ მტერი დღეს თუ ხვალ შეეცდებოდა გადმოელახა ზღუდე და ჩვენზე იერიშით წამოსულიყო. ველოდით ამას და ფხიზლად ვიყავით. მთელ ჩემს ნაწილს ერთსულოვნად გადაწყვეტილი ჰქონდა თავი გაეწირა, ოღონდ კი მოწინააღმდეგისთვის წინ წამოსვლის საშუალება არ მიეცა.

რამდენიმე ხანს ასე უმოქმედოდ ვიდექით ჩვენც და მოპირდაპირენიც.

ჩვენს წინაშე მალე ასეთი ამოცანა დადგა: არა მხოლოდ თავდაცვა, არამედ მტრის გარემოცვა და მოსპობა. სარდლობის ამ დავალებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევასრულებდით, თუ ორივე მხრიდან შემოვუვლიდით მაღლობზე გამაგრებულ მოწინააღმდეგეს და მის ზურგში ერთ მაღალ, თითქმის ტიტველ მთას დავიკავებდით.

კარგად ვიცოდი ჩემი მებრძოლების ამბავი. დარწმუნებული ვიყავი მათ სიმამაცეში, მაგრამ ვშიშობდი, რომ ბევრს უსარგებლოდ დაღუპავდი, თუ ამ ადგილების მცოდნე გამყოლებს არ მოვიშველიებდი.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ ოტია ესებუა მომაგონდა.

— აი ვინ გამომადგება ამ საქმეში! — ვუთხარი ჩემ თავს. — ოტია სხვა საიმედო გამყოლსაც გამომინახავს!

დადგა ის დღე, როცა სარდლობის ბრძანებით მტერზე იერიში უნდა მიგვეტანა.

ჩვენ ვემზადებოდით, მაგრამ არც მოპირდაპირე იყო გულხელდაკრეფილი. თითქოს იგრძნოო ჩვენი განზრახვა, თვითონაც ამოძრავდა. მტრის თვითმფრინავები იმ დღეს ჩვეულებრივზე უფრო ხშირად დაგვტრიალებდნენ თავს, გვზვერავდნენ და ხანდახან ალალბედზე ხევში ბომბებს ყრიდნენ. სოფელზედაც გაინავარდეს რამდენიმეჯერ და იქაც ჩამოყარეს მომაკვდინებელი ლითონი. სოფლის მხარეზე ნაშუადღევს კვამლიც დავინახე. ალბათ რაღაცას დასცემოდა ბომბი და ცეცხლი მოჰკიდებოდა.

შებინდდა თუ არა, სოფელს მივაშურე: ოტია უნდა მენახა და მისი დახმარებით ბილიკების მცოდნენი შემერჩია.

სოფელს რომ მივაღწიე, უკვე ბნელოდა. ოტიას სახლისკენ გავწიე, მაგრამ იქ მხოლოდ ცარიელი ადგილი დამხვდა. მიმოვიხედე, თითქოს ნაცნობი ეზო იყო... სახლი კი არ ჩანდა. აი ის კაკლის ხე, აი ის ერთმანეთზე გადაგრეხილი ორი ნაძვი... მაგრამ თვითონ სახლი, სახლი სადღაა?

გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და ყველაფერი ნათელი გახდა ჩემთვის... ოტიას სახლი ცეცხლს შთაენთქა... გარშემო ფერფლი ეყარა და აქა-იქ კვამლი ბოლავდა.

შორიახლოს ვიღაცა მამაკაცს მოვკარი თვალი და მისკენ წავედი.

— რა მოხდა აქ? — ვკითხე გაოცებულმა, — სად არის ოტია?

მამაკაცმა შემდეგი მიამბო:

— მტრის თვითმფრინავმა დილით ბომბები ჩამოყარა სოფელზე და რამდენიმე სახლი დაიწვა. ერთ სახლში, რომელსაც ცეცხლი მოედო, ავადმყოფი იწვა. მისი გამოყვანის იმედი აღარავის ჰქონდა. ოთახიდან სასოწარკვეთილი ხმა ისმოდა, მაგრამ მიშველებას ვერავინ ბედავდა. უეცრად იქ ოტია გაჩნდა. ალში გახვეული თავისი სახლისთვის რომ ველარ ეშველა, მეზობლის დასახმარებლად გამოქცეულიყო. ოტია შე-

ვარდა ავადმყოფთან და მალე ზურგით გამოიტანა ის, მაგრამ გარეთ გამოვიდა თუ არა, მაშინვე უგრძნობლად მიწაზე დავარდა. სახე და ხელები დამწვარი ჰქონდა. მეზობლებმა იმავე წუთში საკაცე გაამზადეს, ზედ დადვეს და სოფლის საავადმყოფოში წაიღეს. ოტიას ცოლმა და შვილმა კი აი იქ შეაფარეს თავი, — მითხრა ბოლოს და ერთ შენობაზე მიმითითა.

წავედი იქითკენ, შევაღე სახლის კარები. დიდ ოთახში თავი მოეყარათ დედაკაცებს. ისინი მწუხარებას მოეცვა და მდუმარედ ისხდნენ. მათ შორის ფელიკოც იყო. დამინახა თუ არა, მძიმედ წამოდგა, ჩემსკენ ნაბიჯი გადმოდგა, შეეცადა რაღაც ეთქვა, მაგრამ მოზღვაებულმა მწუხარებამ და ცრემლებმა ხმის ამოღება არ აცალეს.

მალე მისი ზურიაც დავინახე. ის კუთხეში მოკრუნჩხულიყო. ჩუმად, უძრავად იჯდა. ეტყობოდა, მწარე ფიქრებს შეეპყრო. თვალებში ბრაზი და გაბოროტება უელავდა.

სახლში სიჩუმე იყო. გარეთაც არაფერი არღვევდა საღამოს მყუდროებას. მხოლოდ ერთხელ, ისიც წუთით, თვითმფრინავის შორეული ზუზუნი მომესმა.

ხანგრძლივად დარჩენის საშუალება არ მქონდა. როგორადაც შემეძლო, გავამხნევე ფელიკო,დავემშვიდობე მწუხარე დედაკაცებს და ჩემთვის საჭირო სოფლელების თავმოყრას შევუდექი. ეს საქმეც მალე მოვაგვარე, ამორჩეულ კაცებს დავავალე საჩქაროდ ჩემთან მოსულიყვნენ ნაწილში და უკანვე გავწიე.

დაბრუნებისას დავიარე ჩემი ნაწილის ყველა საფარი და კიდევ ერთხელ განვუმარტე მებრძოლებს, თუ როგორ ემოქმედნათ.

ამასობაში სოფლიდანაც მოვიდნენ.

— ყველა გამოცხადდა? — ვიკითხე მე.

— ყველა! — ხალისიანად შემეხმიანა ერთი შუახნის კოლმეურნე.

— მგონი მეტიც ვართ... ოტიას ბიჭიც კი წამოვიდა. ყური მოჭრა. რისთვის მოვდიოდით და აგვეტორღიალა.

— სადაა ზურაბი?—ვიკითხე მე, როცა მათ შორის ვერ დავინახე, — ახლავე მიპოვეთ!

ის საფარში დარჩენილიყო ნაცნობ არმიელებთან.

— შენ, რა თქმა უნდა, ყოჩაღი ბიჭი ხარ, რომ მამის მაგიერობა გინდა გასწიო, — ვუთხარი ზურაბს, როცა მომიყვანეს, — მაგრამ მაინც ახლავე უნდა დასტოვო აქაურობა და სოფელში დაბრუნდე!

ზურაბმა უკმაყოფილოდ შემომხედა.

— დედაშენი მარტოა, მას ისედაც დიდი მწუხარება დაატყდა თავს და მოვალე ხარ მასთან იყო. წადი!

ზურაბი მდუმარედ იდგა თავდახრილი.

— გარდა ამისა, — თავზე ხელი გადავუსვი და ალერსიანად ჭოჩორა ავუშალე, — ბავშვის ადგილი აქ არაა. განა არ იცი, რა საშიშროება ველის?

იგი ისევ ჯიუტად, ხმაამოუღებლად იდგა.

— გესმის, რა გითხარი? — უკვე წყრომით მივმართე მისი ურჩობით ნაწყენმა.

მხოლოდ მაშინ ასწია თავი და ჩაილაპარაკა:

— დამტოვეთ, მამა მადლობასაც გეტყვით შემდეგ...

— შინ დაბრუნდები ახლავე! — უკვე გულმოსულად მივაძახე, — გიბრძანებ!

სიტყვის შემობრუნება ვეღარ გამიბედა, შეტრიალდა და ნელი ნაბიჯით გამშორდა. თვალი გავაყოლე და უნებურად ისევ ოტია მომაგონდა. ამ პატარა ბიჭს სულ მამის სიარული ჰქონდა, მიაბიჯებდა ოდნავი ქანაობით, მხრებაწეული, აუჩქარებლად.

— ზურია! — დავაწიე ხმა და, როცა ის შემობრუნდა, ალერსიანად დავძახე: — იმედი მაქვს, მალე შევხვდებით ერთმანეთს, მაშინ ერთად წავიდეთ მამაშენის სანახავად!

არაფერი მიპასუხა, მხოლოდ წუთით შეჩერდა და, რომ დარწმუნდა, მეტის თქმას აღარ ვაპირებდი, განაგრძო გზა. ვგრძნობდი, გულნატკენი მშორდებოდა.

შემოდგომის წყნარი ღამე იყო. უღრუბლო ცა უთვალავი ვარსკვლავით იყო მოჭედილი. ვარსკვლავები ხშირად სწყდებოდნენ ცას, გადაირბენდნენ, წუთით ნათელ კვალს დასტოვებდნენ, შემდეგ ქრებოდნენ და სამუდამოდ იკარგებოდნენ უსაზღვრო სივრცეში.

ღამის სიბნელეს თვალი შეჩვეული მქონდა. გარკვევით ვხედავდი იმ მთას, რომელიც უნდა გაგვეთავისუფლებინა. ისედაც მაღალი მწვერვალი ღამეში კიდევ უფრო მაღალი და პირქუში ჩანდა. მრავალი საშიში ადგილი უნდა გაგვევლო, სანამ მას მივაღწევდით. მკაცრი და დაუნდობელია მთის ბუნება. კლდეებში ყოველ ნაბიჯზე კაცს საფრთხე ელის, მაგრამ ახლა უფრო ბოროტი მტერი თვითონ აღამიანი იყო, რომელიც მთის კალთებზე იდგა იარაღით ხელში.

დანიშნულ საათზე ჩემი ნაწილი დაიძრა იმ მხისკენ.

სულდგმულის ხმა არსად ისმოდა. ბუნებაც ყუჩდა. მხოლოდ ხანდახან, ადამიანის ფეხით გარყეული ქვა მოსწყდებოდა ადგილს და ხმაურით უფსკრულში დაგორდებოდა.

ვადავიარეთ თუ არა პატარა, ჩქარი მდინარე, ჯგუფებად დავყავი ნაწილი, თვითეულს გავაყოლე ბილიკების მცოდნე და ვბრძანე, როგორც კი სროლას გაიგონებდნენ ჩვენი მხრიდან, ყველა ადგილიდან ერთბაშად იერიშზე გადასულიყვნენ.

განთიადი ახლოვდებოდა. შეფერმკრთალდნენ ვარსკვლავები და შემდეგ ნელი-ნელ ქრობა იწყეს. ხევში ჯერ კიდევ ბნელოდა. ნათელის მოახლოება მხოლოდ ცას ემჩნეოდა. გარემომ ფერი იცვალა, უფრო გარკვევით გამოჩნდნენ მთები და, თითქოს ჰაერმაც გაიღვიძაო, სიო დაიძრა და ხეთა წვეროები შეარხია.

ფრთხილად მიიწევდნენ მებრძოლები. თვალს ვადევნებდი ნაწილის მოძრაობას და იმედიანად ვიყავი. ფერდობის შუაგულს მე მივყვებოდი. მარჯვნივ მეორე ჯგუფი ცეცაბოზე მიფოფხავდა. წარცხენა მხარეს მიმავალმა ჯგუფმა სწრაფად აიარა ერთი შვეული ადგილი და უფსკრულის თავზე ბილიკს გაჰყვა. ეს იყო ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე ღრმად უნდა შეკრილიყო მტრის ზურგში. ჩემი ყურადღება წუთით მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ჯგუფში შევნიშნე ვიღაც პატარა ტანის კაცი. შორიდან ბავშვს უფრო ჰგავდა. თვალი გავაყოლე, მივაცქერდი, მაგრამ მან ქურციკივით აირბინა ბილიკი და მალე სხვებთან ერთად კლდეს მიეფარა.

როგორც წინასწარ გვქონდა გამიზნული, იმ ადგილთან შევჩერდით, სადაც პატარა ტაფობი იწყებოდა. გარშემო ისევ სიჩუმე სუფევდა. მებრძოლებს თვალი მოვავლე. მათ სახეებზე სიმტკიცე და გამბედაობა ისახებოდა. მჯეროდა, რომ არ შედრკებოდნენ.

მზის პირველი სხივი გამოკრთა ცაზე და ვარდისფრად შეღება მწვერვალის თავზე ღამენათევი ღრუბლის ნაფლეთი... თითქმის იმავე დროს სროლა და კივილი გაისმა.

გეგონებოდათ ქვემეხების ჭექა-ქუხილისაგან მთები ირყევიანო. ცა და მიწა ჯოჯოხეთურ ცეცხლში იყო გახვეული. არა ერთხელ ხელადახელ შებმაც დაგვჭირდა. მთელი დღე-ღამე გაგრძელდა ბრძოლა. მხოლოდ მეორე დილით დაჰყარა მტერმა იარაღი და ყველა მაღლობზე ჩვენი ალამი აფრიალდა.

დავიარე ჩემი ნაწილი და ბოლოს მივედი იმ ჯგუფთან, რომელსაც მძიმე და სახიფათო დავალება ჰქონდა: ჩრდილოეთის მხრიდან შემოევლო მთა და მტერს იქიდან დასხმოდა. რა სიხარულით შევხვდით ერთმანეთს მე და ჩემი მებრძოლები! როგორც საყვარელ ძმებს და შვილებს, ისე ვეხვეოდი მათ.

უეცრად დავინახე, რომ ხის ძირში ვიღაც იწვა მაზარაში გახვეული. ვიფიქრე, უბედურება ეწია-მეთქი და შემკრთალი მივაჩერდი. რომ შევშინდი, ერთმა ჯარისკაცმა შემამჩნია და ღიმილით მითხრა:

— სძინავს, ამხანაგო მაიორო!.. დაიღალა საწყალი ბაქი...

— ვინ ბიქი? — ვიკითხე გაოცებულმა.

— აი ის პატარა, თქვენ რომ ბილიკების მაჩვენებლად დაგინიშნავთ მთავარ გამყოლთან ერთად...

მაშინვე მივხვდი, ვინც იქნებოდა. ერთი წუთით გავბრაზდი კიდევაც, მაგრამ რაღა დროს იყო...

— აი შე ეშმაკო, შენა! — ჩავილაპარაკე და უნებურად გამეღიმა, — ზედავთ, როგორ მომატყუა?!

დავიხარე და მაზარის კალთა ფრთხილად გადავხადე თავზე. რა თქმა უნდა, ზურაბი იყო. ლოყა ხელისგულზე დაედო და, როგორც ბავშვებს სჩვევიათ, ღრმად და მშვიდად ეძინა.

— ძალიან დაიქანცა, — ალერსიანად დაჰყურებდა ჯარისკაცი, — კარგი სამსახური კი გაგვიწია... ისეთი ბილიკები სცოდნია, რომ...

თავი ვერ შევიკავე, დავიხარე და ვაკოცე.

მეორე დღეს ზურაბს შტაბში გამოვუძახე, მაგრამ ორჯერ დამჭირდა კაცის გაგზავნა მის მოსაყვანად: მერიდებოდა, არ მოდიოდა.

— მადლობას გიცხადებ! — ვუთხარი ზურიას, — მამაცობისათვის ჯილდოს ღირსი ხარ, მაგრამ...

ბიჭმა იგრძნო, რომ მის დატუქსვას ვაპირებდი და თავი დახარა.

— რატომ არ შეასრულე ჩემი ბრძანება? მე ხომ გითხარი, შინ დაბრუნდი-მეთქი? იცი თუ არა, რომ ვინც ურჩობას გასწევს, სასტიკად უნდა დაისაჯოს?

ზურიამ უფრო დაბლა დახარა თავი.

— დაუყოვნებლივ შინ გასწი! გესმის?

შეტრიალდა წასასვლელად, მაგრამ ხელი ვტაცე და მკერდზე მივიკარ.

— ახლა კი წადი, ჩემო ბიჭუნა, — ვუთხარი ბოლოს ალერსიანად, — მშობლები მომიკითხე. ჩვენ კიდევ შეეხვდებით ერთმანეთს...

და, აი, ისე მოხდა, რომ მხოლოდ ათი წლის მერე შევხვდით ერთმანეთს.

სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, როგორც იცი, ჩემს ძველ პროფესიას დავუბრუნდი.

ერთი კვირის წინ, სამსახურის საქმეების გამო, — დავალებული ვქონდა ტყეების შემოვლა და გამოკვლევა, — ისევ მომიხდა სოხუმის ჩრდილოეთით, იმ ადგილებში ასვლა, სადაც ოდესღაც ჩემი ნაწილი იდგა.

ზაფხულის მზიანი დღე იყო. ცხენით მივდიოდი. გზა ტყეში მიიმართებოდა. პირველად ვიყავი ამ ადგილებში მას შემდეგ, რაც მტრისგან ვიცავდით აქაურობას. არცთუ დიდხანს გაევლო იმის შემდეგ, მაგრამ მაინც რაღაც შორეულ მოჩვენებად, ავ სიზმრად წარმომიდგნენ ის ჭრისხანე, შავნელი დღეები.

ალმართში ვიღაც ახალგაზრდა ცხენოსანი წამომეწია.

— შორს მიბრძანდებით? — მკითხა მოსალმების შემდეგ.

ვუთხარი, სად და რისთვის მივდიოდი.

— მაშ ჯერჯერობით ერთი გზა გვქონია, — თქვა უცნობმა მხედარმა, — აი იმ ტაფობის ძირში დავშორდებით ერთმანეთს. იქიდან თქვენ მარცხნივ გაუხვევი, მე კი პირდაპირ წავალ. პირველად ხართ ამ კუთხეში?

— არა, ნამყოფი ვარ, — ვუპასუხე, — მაგრამ მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა...

მხედარმა თანაგრძნობით გადმომხედა და შემომთავაზა:

— ძალიან საშურ საქმეზე მიმეჩქარება, კოლმეურნეები მელოდებიან აი იქ, ქვემო სოფელში, მაგრამ თუ შიშობთ, რომ გზას ვერ გაგნებთ, ცოტაზე მაინც გაგყვებით...

უარი ვუთხარი და თანაც მადლობა გადავუხადე.

მოხდენილი ვაქკაცი იყო, პირველი შეხედვისთანავე მომეწონა, ხოლო იმ გულისხმიერების შემდეგ, რომელიც მან გამოიჩინა, კიდევ უფრო მიიზიდა ჩემი გული. მას ლონიერი, გამშვები ზერდაგი ჰყავდა და ჩემს ცხენს ხან შოლტით ღა ხან ფერდებში ქუსლის შემორტყმით ვაჩქარებდი, რომ არ ჩამორჩენილიყო.

— აქაური ხართ? — ვკითხე თანამგზავრს.

— დიახ, აქაური. ზევით, ტაფობის თავზე რომ სოფელია, იქიდანა ვარ. ეს ერთი თვეა ვმუშაობ კიდევაც იქ... შარშან ზოოტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე, ერთ ხანს სოხუმში ვმუშაობდი, ახლა კი ჩვენს კოლმეურნეობაში გადმოვედი...

— მინახავს თქვენი სოფელი, ომის დროს ვიყავი იქ, — ვუთხარი მე, — ლამაზი ადგილია, ოღონდ...

მინდოდა მეთქვა, რომ ძალიან მაღალზეა-მეთქი, მაგრამ მხედარმა სიტყვა ჩამომართვა და ხალისიანად წამოიძახა:

— ომის დროს?! ახლა უნდა ნახოთ, თუ გინდათ მისი ნამდვილი სილამაზე და სიკეთე იგრძნოთ! ახლა სულ სხვაა ჩემი სოფელი. ისეთია, ავ თვალს არ ეხარება. გაფართოვდა, გამშვენიერდა, დოვლათით აივსო! — წუთით დადუმდა და მერე დაუმატა: — თუ ჩვენსკენაც გექნებათ საქმე, პირდაპირ ჩემთან მოდით. სიამოკნებით დაგეხმარებით, თუ რაიმე დაგჭირდათ. ბინაც ჩემთან იგულეთ. ახალი სახლი გვაქვს, კარგად მოგასვენებთ. ადვილად მომაგნებთ, მესაქონლეობის ფერმის ბრიგადირი ოტია ესებუა იკითხეთ, ბაბაჩემის სახლს ყველა მოგასწავლით...

ამის გაგონებაზე გული შემიტოკდა. მივაშტერდი ჩემს თანამგზავრს, თითქოს თვალებიდან რიდე ჩამომეხსნაო, მაშინვე ვიცანი, ვინც იყო ღა ჯერ ჩუმად, შემდეგ კი ხმიანად შევძახე:

— ზურია!

მან გაოცებით შეხედა, როცა თავისი სახელი გაიგონა.

რა თქმა უნდა, ის იყო, ის! ოდესღაც პატარა ზურია, ახლა კი მშვენიერი და ხალისიანი ვაჟკაცი!

— საიდან იცით, რა მქვია? — მკითხა გაკვირვებულმა.

ისეთი გაოცებული იყო, რომ ცხენი შეაჩერა და ერთ ხანს გაშტერებით მიყურა.

— ვერ გაიხსენე ჩემი სახე? — ვკითხე ღიმილით, — მაშ იქნებ ის გაიხსენო, თუ როგორი ურჩობა გამიწიე ერთხელ, როცა მწვერვალის ასაღებად ჩემს ნაშილს გაჰყევი... ან იქნებ მამაშენი იგონებდა ხოლმე თავის მეგობარ მაიორს...

მაშინვე თავისი ზერდაგი მოაგდო ჩემს ლაფშასთან, უნდოდა გადმომხვეოდა, მაგრამ ცხენი დაფრთხა და გახტა. გადმოხტა უნაგირიდან, მეც ჩამოვქვეითდი და მხურვალედ გადავეხვიეთ ერთიმეორეს. მღელვარებისაგან ერთ ხანს უსიტყვოდ შევხაროდით და შევყურებდით ერთმანეთს.

რა მოხდებოდა შემდეგ, ეს შენთვის ადვილი გასაგები იქნება, — დაამთავრა ამბავი ჩემმა მეგობარმა მეტყველემ, — ზურიამ სიტყვა ჩამომართვა, რომ მოვრჩებოდი თუ არა საქმეს, ვესტუმრებოდი. ვეწვიე კიდევაც. ზურაბმა მართალი მითხრა — ძალიან გამოცვლილიყო აქაურობა. აი ოტიას კაკლის ხე, ერთმანეთზე გადაგრეხილი ორი ნაძვი, მხოლოდ იმ ადგილას, სადაც უკანასკნელად ნაცარი და ფერფლი დავტოვე, ახლა ოდა იყო წამოჭიმული... როგორც დიდი ხნის უნახავ საყვარელ ძმას, ისე შემხვდნენ ფელიკო და ოტია. ქალს ცრემლებიც კი გადმოსცვივდა სიხარულისაგან. განვლილ წლებს თავისი კვალი დაეტოვებინა ჩემს მეგობარზე, განსაკუთრებით ფელიკოზე. ძველი ჯანი აღარ ჰქონდა. ოტიას ძალზე მორეოდა ჭაღარა, ლოყაზე ერთგან დამწვრის კვალი აჩნდა, სხვად კი იგივე იყო, რაც წინათ — მხნე, ისევ ის კუშტი გამომეტყველება, ისევ ის დინჯი მოსაუბრე და ნადირობის მოტრფიალე... მრავალი რამ გავიხსენეთ წარსულიდან და ბევრი რამ ახალიც გავუზიარეთ ერთმანეთს. ცხოვრების ხალისი ჩანდა ოტიაში, სიამაყის გრძნობით ლაპარაკობდა სოფლის მოშავალზე, თავის ფერმაზე, მეზობლებზე, შვილზე და თავის თავს ბედნიერ ადამიანად თვლიდა.

ორი დღე დავრჩი ჩემს კეთილ მასპინძლებთან. მესამე დილას დავეშშვიდობე და გამოვბრუნდი. მამამ და შვილმა დაღმართზე ჩამომაცილეს და მთავარ გზამდე მომყვნენ. ისინი კიდევ დიდხანს იდგნენ ერთ ადგილას და ჩემსკენ იცქირებოდნენ. როცა მოსახვევთან უკანასკნელად მოვიხედე, ხელების აწევით გამომეთხოვნენ, გააბრუნეს ცხენები და ჭენებით გასწიეს.

მოვდიოდი და სიხარული მომყვებოდა. ალბათ გამოგიცდია, კარგი თანამგზავრია! ღირდა, რა თქმა უნდა, მრავალი გასაჭირი გადამეტანა წარსულში და თავიც გამეწირა, ოღონდ ისევ ხალისი შერჩენოდა ბევრ სხვა ოტიასაც და მომავალი არ დაჰკარგოდა მრავალ სხვა ზურიასაც. მოვდიოდი და გულს ემღერებოდა, თვალი ვერ ძღებოდა გარემო სილამაზით. და განა მარტო მე, ეს მწვანედ დაბურული მთები, ყოველი ხე და ბუჩქიც სიხარულის ხმას გამოსცემდა. მღეროდა მზეც, რომელიც ოქროდ გადმოღვრილიყო ამ მადლიან დედამიწაზე. არა, არასდროს არ დაცხრება ჩემი ქვეყნის მზე, არასდროს არ შეწყდება ჩემს ქვეყანაში ხალისი და სიმღერა!"

ლახუნდარელის თავგადასავალი

(ნაწყვეტი)

ოჰ, რა იყო, რა იყო აზნაური კიმოთე ლახუნდარელი!

არც მაღალი, არც დაბალი და არც სულ საშუალო ტანიხა. თვალები ხან მიმინოს მიუგავდა, ხან გახელებულ ხარივით უფართოვდებოდა. ეს უმთავრესად მის სულიერ განწყობილებაზე, ნის გუნებაზე იყო დამოკიდებული. მკერდი ჰქონდა ქილებით ამაღლებული; წელი ვიწრო, როცა ქამარი ერტყა, და მსხვილი, თუ შილიფად ბრძანდებოდა.

ლახუნდარელს უყვარდა სტუმრობა ახალნაშემოდგომევს... მუშაობა ყველგან მოთავებულია. მოწეულის დასვენებულად ჰამის დრო იწყება. ხშირად ინთება ბუხარში ცეცხლი, ბუხრის გვერდით გამოულევად დგას დოქით მაჭარი, პატარა დაბალ სუფრაზე კი ბარკალახლეჩილი ვარიკა დევს.

ჭიშკარში კიმოთეს ფეხმარდი ჯორი რომ შემობაკუნდებოდა, თედორიას მხოლოდ ერთი საზრუნავიღა ჰქონდა: ბუხარში მუხის ჯირკები შეეწყო და ხელადები მოემარაგებინა. ბუხარს ჰიუსხდებოდნენ ბაბუა სპირიდონი, თედორია, აზნაური კიმოთე ლახუნდარელი და გრძელი ღამეები დარბაისლურ საუბარში გადიოდა.

აქ ხშირად წყდებოდა საქვეყნო საკითხები. ქვეყანა ორად იყო გაყოფილი: იქით ხონთქარი იყო, აქეთ საქრისტიანო.

ხანდახან სოფლის გასაჭირზედაც იტყოდნენ.

ბაბუა სპირიდონის აზრით, კარგი იქნებოდა, რომ სოფელი მდინარის პირად მდებარეობდეს. კიმოთე ლახუნდარელი კი იმ აზრისა გახლდათ, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ მდინარე სოფელს ჩამოუვლიდა.

სამწუხაროდ, მაშინ ბავშვი ვიყავი და მათ დარბაისლურ საუბარს ხშირად ვერ ვისმენდი, მაგრამ თუ კიმოთე ლახუნდარელი დღესაც ნათლად მახსოვს, ეს იმიტომ, რომ ჩემს მიერ გაგონილიც საკმარისია, რომ მუდამ ვიყო ამ კაცით გაკვირვებული.

აზნაური ლახუნდარელი ისე ღრმად ჩაიჭრა ჩემს მეხსიერებაში, რომ ხანდახან ქუჩაში გავლისას ცხადად წარმომიდგება მისი სახე და მრავალი მოქალაქე გადაცმულ ლახუნდარელად ძეჩვენება.

შემოდგომაზე ხშირია ბნელი ღამეები. თითს თვალთან მიიტან და ვერ დაინახავ. ცხენები ფრთხილად მიდიან ორლობეებში, მაგრამ სიფრთხილეც არ შველით. არ გრძნობ ცას, არც მიწას. აღარც სივრცეა, აღარც მანძილი. მიდიხარ და მაინც გგონია, რომ სულ ერთ ადგილზე ხარ. გაწვალებს სიბნელე, თითქოს ფეხებშიც გებორკება. ჰაერიც ისე მძიმეა, რომ ძლივს მიარღვევ. არც ძაღლი ჰყეფს, არც ბუ ჰკივის.

ბაბუა სპირიდონი ყოველთვის ზედმეტს ქამდა ასეთ ღამეებში. მოწყენას მხოლოდ ეს უქარვებდა...

ამ საღამოსაც, როგორც ყოველთვის, მარტოობის შესამსუბუქებლად ბაბუა სპირიდონმა ბლომად მიირთვა ვახშამზე.

ერთ ხანს ნაღვლიანი იჯდა ბუხართან. არ ციოდა მაინცადამაინც, მაგრამ ბუხარივით ვის მიენდობი, თუ შენი გამრჯობი სხვა არავინაა!

თედორიას ძილი ერეოდა, მაგრამ არ შორდებოდა თავის ბატონს და ბუხრის წინ ყვინთავდა. პირში გრძელტარიანი ყალიონი გამოეჩრა, და, თუმცა ყალიონში ცეცხლი დიდი ხანია ჩამქრალიყო, პირიდან მაინც არ იცილებდა.

— თედორია, ჰეი, თედორია! — სევდიანად გადასძახა სპირიდონმა.

თედორიამ ცალი თვალით ახედა.

— რა გნებავს, ბატონო?

— დაგვივიწყა ყველამ...

— ვინ მოვა, შენი ჭირიმე, ასეთ კუკუნახში... რომელი თავმოძულებული გამოვა გარეთ... ასეთ ღამეებში კუდიანების და ჭინკების მეტს ვერავის შეხვდები...

ორივენი დიდხანს სდუმდნენ.

ბაბუა სპირიდონმა უეცრად ღრმად ამოიოხრა:

— ეჰ, სხვას არ დავეძებ, ჩემი კიმოთეს ნახვა მომენატრა... წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე, რომ ალბათ კიდევ დიდხანს არ გვესტუმრება. ნეტავ რა დაემართა ისეთი, რომ სულ აღარ გაგვიხსენა?..

— ძალიან დაგვივიწყა იმ დალოცვილმა, — თქვა თედორიამ, — მესამე შემოდგომაა აღარ გვინახავს...

— დაგვივიწყა, ჩემო თედორია, დაგვივიწყა! — ისევ ამოიოხრა ბაბუა სპირიდონმა.

თედორიამ კიდევ შედვა ბუხარში ჯირკი. ხმელ მუხას მალე მოეკიდა. დაბნელებული ოთახი განათდა. იატაკზე, კედელზე და ჭერზე ლანდები ათამაშდა.

უეცრად ძაღლის ყეფა გაისმა.

ძაღლმა ხშირად იცის ბნელ ღამეში ყეფა — კუდს გააქნევს, რამეს მოსდებს, შეშინდება და აყეფდება, მაგრამ ახლა ისე გულდაგულ ყეფდა, რომ უნებურად მიიქცია ყურადღება და თედორიამ კარიდან გაიხედა... ღამე იყო უმთვარო და ღრუბლიანი.

— მგონი, ჰიმკარში შემოვიდა ვიღაც! — თქვა თედორიამ.

ძაღლი ისევ ყეფდა.

— მამის სულს გეფიცები, ვიღაც გვესტუმრა! — გამოფხიზლდა ბაბუა სპირიდონი.

მცირე ხნის შემდეგ გარკვევით გაიგონეს სახედრის ფეხის ხმა.

— ცხენოსანია! — წამოიძახა ბაბუა სპირიდონმა.

— სიარულზე ვატყობ, ჯორი უნდა იყოს! — დარწმუნებით თქვა თედორიამ.

— მგონი, ნატვრა აგვისრულდა! — სიხარულს ვეღარ მალავდა ბაბუა სპირიდონი.

ისე აგიხდეთ ყოველივე სიკეთე, როგორც ბაბუა სპირიდონს იმ საღამოს ნატვრა აუსრულდა!.. რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში შემოვიდა... არა, კი არ შემოვიდა, შემოფრინდა აზნაური კიმოთე ლახუნდარელი.

სამი წლის უნახავი მეგობრები გადაეხვივნენ ერთმანეთს. ბაბუა სპირიდონს სიხარულისაგან ცრემლი მოერია. როცა დამშვიდდა, თვალები მოიწმინდა და საყვედურით მიმართა მეგობარს დავიწყებისათვის.

— მაგის თქმა როგორ გეკადრება, — ღიმილით უპასუხა კიმოთემ, — როცა გაიგებ, რა გადამხდა, დარწმუნებული ვარ, საყვედურს აღარ მეტყვი!

— სწორედ წეღან გახსენე, — უთხრა ბაბუა სპირიდონმა, — მაგრამ იმას როგორ ვიფიქრებდი, რომ ასე უეცრად გნახავდი და ისიც ასეთ ღამეში!

— მართლაც ბოროტი ღამეა! — დაუდასტურა კიმოთემ. — სოფელში შემოსული კიდევ არ ვიყავი. რომ დამიღამდა. მას აქეთ ბნელში მოვდივარ. განსაკუთრებით ორღობეში გამიჭირდა. კიდევ კარგი, ასე ბევრი ციცინათელა სცოდნია ამ სოფელში. სადაც კი შემხვდა, ყველგან შემოვიმატე და აღარსად გავუშვი. ათას ციცინათელას თავი დავუყარე, ხელში გრძელი შოლტი დავიკავე. ციცინათელები წინ გამოვირეკე და გამოვსწიე. ასე რომ არ მექნა, ვინ იცის, ბნელში რამდენ ხანს ვიბოდია-

ლებდი. ციცინათელების დახმარებით მოვაღწიე შენს ეზომდე. აქ კი გავრეკე ყველა. რაღა საჭირო იყვნენ!

— ეგ კარგი რამ მოგისაზრებია! — მოუწონა ბაბუა სპირიდონმა.

რომელს არ გამოგიცდიათ ის სიხარული, როცა დიდი ხნის უნახავ გულითად მეგობარს შეხვდებით. ეს სიხარული ბით უფრო დიდია, თუ მოულოდნელია. უყურებ მეგობარს, გინდა ყველაფერი გამოკითხო, შენც მრავალი უამბო, მაგრამ ხანდახან სიტყვის თქმაც ვერ მოგიხერხებია.

სწორედ ასეთ მდგომარეობაში იყვნენ ახლა ორივენი. ერთმანეთს თვალებში შესცქეროდნენ, უღიმოდნენ, შეჰხაროდნენ, მაგრამ საუბარი კი ვერ მოეხერხებინათ.

ბოლოს ბაბუა სპირიდონმა თავს ძალა დაატანა და მხოლოდ იმისათვის, რომ რაიმე ეთქვა, ისევ გაიმეორა საყვედური:

— სამმა შემოდგომამ ისე განვლო, შენს ლანდსაც არ გაუვლია ჩემს სახლში... ისიც არ ვიცოდი, მკვდარი იყავი თუ ცოცხალი...

კიმოთე გრძნობდა, რომ ეს საყვედური სიყვარულის შედეგი იყო და სიამოვნებით იღიმებოდა. თედორიამ დიდი ჯირკი შედო ბუხარში, შემდეგ პატარა სუფრა შემოიტანა, დააწყო ზედ ყველი, მწვანილი, მეავე კიტრი და სუფრის გვერდით მაჭრით სავსე დოქი დადგა. სტუმარს დაჰპირდა კეცზე შემწვარი ვარია, ცხელი შოთები, მრგვალად მოხარშული დედალი და ბოლოს, როცა დაპირება შეასრულა, თვითონაც სუფრას მიუჯდა და ყური დაუგდო კიმოთე ლახუნდარელის უცნაურ თავგადასავალს.

— ჰოდა, იმას მოგახსენებდი, — განაგრძო კიმოთემ იმის შემდეგ, როცა მეგობრის სადღეგრძელო შესვა, — სწორედ ამ სამი წლის წინათ, შუა შემოდგომა იქნებოდა, შევკაზმე ჩემი ჯორი და შენსკენ გამოვსწიე...

მზიანი დილა იყო. ცოტა ციოდა. ხალისით მოდიოდა ჯორი და მეც გულაყვავებული ვიყავი, რადგან იმედი მქონდა, ბალე გნახავდი.

თითქმის გამოვცილდი ჩემს სოფელს, როცა ერთმა ნაცნობმა მოსახლემ თვალი მომკრა, დამედევნა, ჯორს აღვირში ხელი ჩასჭიდა, გამაჩერა და სტუმრად მიმიპატიჟა. ბევრი ვიუარე, მაგრამ არაფერი გამივიდა. მეტი ჯანი არ იყო, ვესტუმრე. იცოცხლე, ის გამიმასპინძლდა! რას ინატრებდი, რომ მის სუფრაზე არ ყოფილიყო. ათი წლის მოუხდელი ჭურიც არ დაზოგა, ააგლეჯა სარქველი და ღვინო ხელადებით ზიდა.

შუადღე გადახრილი იყო, როცა კარგა შეზარხოშებული ავდექით სუფრიდან, გადავუხადე დიდი მადლობა და გამოვსწიე.

დიდი გზა არ მქონდა გავლილი, რომ ერთ გარემოებას მივაქციე

ყურადღება. ავიხედე ცისკენ და დავინახე — მერცხლების დიდი გუნდი თბილ ქვეყნებისაკენ მიფრინავდა.

ცოტა ნაქეიფარი ვიყავი, თორემ როგორ ვიზამდი იმას, რაც მაშინ ვქენი. შევხედე მერცხლებს და გავიფიქრე: თუკი ჩიტები ბედავენ უცხო ქვეყნებში წასვლას და იქაურობის მოვლას, მე რატომ ვერ შევძლებ ამას-მეთქი.

გაფიქრება ერთი იყო და მოვაბრუნე ჯორი, იქითკენ ვუქენი პირი, საითაც მერცხლები მიფრინავდნენ, შემოვკარი დეზი და ფრინველებს დავედევნე.

ამ შეჩვენებულმა ჩემმა ჯორმა, თითქოს ისიც ღვინოდალეული ყოფილიყო, გასწია, მაგრამ რა გასწია! ვხედავ, რომ მერცხლების გუნდს კიდევაც უსწრებს. ასე იცის მაგ მირონცხებულმა პირუტყვმა, თუ შეასახელებ!

შენც იცი ჩემი ამბავი — ნაღვინევზე ძილი მიყვარს. მინდოდა ჯორის შეჩერება, მაგრამ სწორედ ამ დროს ძილმა მომისწრო და ტკბილი ხვრინვა ამოვუშვი უნაგირზე მჯდომარემ...

კიმოთე იძულებული იყო, შეეწყვიტა ამბავი, რადგან ამ დროს თედორიამ დიდი სასმისით გადასცა ის ღვინო, რომელიც სამი წლის წინათ დაიწურა და საგანგებოდ მისთვის იყო შენახული. ყურძნის გემრიელმა წვენმა აღტაცებაში მოიყვანა სტუმარი და ჭამის მადაც გაუღვიძა. ბაბუა სპირიდონიც, თუმცა უკვე ნავახშმი იყო, მადიანად მიირთმევდა. თედორია ერთ ხანს ნამუსობდა, იჯდა სუფრის კუთხეში და მხოლოდ უსმენდა საუბარს, მაგრამ ბოლოს, როცა შეხედა, თუ რა მადიანად შეექცეოდნენ ვახშამს კიმოთე და სპირიდონი, თვითონაც ვეღარ მოითმინა და ჯერ მორიდებულად, შემდეგ კი თამამად, შეუდგა სავსე თეფშების გაპარტახებას.

უეცრად ბაბუა სპირიდონს ჩამოეყვინთა. ამის შემდეგ მალე აიშალნენ და მეორე დილამდე ისე იძინეს, რომ მხარიც არ შეუცვლიათ.

2

— როგორც მოგახსენებდით, — განაგრძო დილით წინა ღამის ამბავი კიმოთე ლახუნდარელმა, — ჯორზე დამჯინებოდა. როცა გამეღვიძა, მზე მაღლა ასულიყო. ჩემი ჯორი კი ისე ფეხმარდად მიდიოდა, გეგონებოდათ, ფრთები გამოსხმიაო.

ბევრი აღარ მიფიქრია, ჯორის კუდი ფეხზე გამოვიბი და მეც ხელმეორედ დავიძინე.

მეორე დღეს, როცა გამეღვიძა, ასეთი სურათი დავინახე: ჩემ ჯორიკას ჩემზე ადრე გაღვიძებოდა. დაუნახავს, რომ კუდი ფეხზე მაქვს

გამობმული და რომ არ გაეღვიძებინე, მხოლოდ წინა ფეხებზე წამომდგარა, უკანა ორ ფეხზე კი წამოჩოქილიყო და მოთმინებით მიცდიდა, როდის გავახელდი თვალებს და გავუთავისუფლებდი კუდს.

ორივეს მოგვშივდა. პირუტყვის საქმელი, იცოცხლე, ბევრი იყო. გავაძღე ჯორი, შევკაზმე და გავუდექი გზას.

გავიარეთ ერთი ტყე, გავიარეთ მეორე. ადამიანის ჭაჭანება არსადაა. არც სოფელი ჩანს, არც ნამოსახლი. ვშიშობ ნადირი არ დაგვესიოს, კიდევ კარგი, რომ ფერადი არწივების მეტი არაფერი შეგვეფეთა.

მესამე მთა რომ გადავიარე, შორიდან სოფელი დავინახე. გამეხარდა. ჯორმაც აუჩქარა ფეხს. სიხარულისაგან მაყრულიც კი ჩავუკიკინე.

მაგრამ, როცა სოფელში შევედი, მეოცა. ერთი ძაღლიც არ შემომგებებია, ერთი დაყეფებაც არ გამიგონია.

რამდენიმე სახლი გავიარე. არსად ჩანს ადამიანი, ქათამი, პირუტყვი. არც ერთი სახლიდან კვამლი არ ამოდის. დავიარე მთელი სოფელი, ცოცხალ არსებას კი ვერსად შევხვდი.

„აქ ფათერაკია რაღაც!“ — ვიფიქრე მე.

როგორც შემდეგ გამოირკვა, არ შევმცდარვარ.

დამავიწყდა მეთქვა, ერთმა საკვირველმა მოვლენამ მიიპყრო ჩემი ყურადღება: მიწაზე ლანდები დაღოღავდნენ... გასაკვირი ის იყო, რომ ეს ლანდები უმზეო დღეშიც ჩანდნენ. მივუახლოვდებოდი თუ არა მათ, ისე გაიწეოდნენ, თითქოს გზას მიტევდნენ. ჯორს ეშინოდა ამ ლანდების, ფრუტუნებდა, ხტოდა.

დეზი ვკარი და ავაჩქარებინე ფეხი. პირუტყვი მიმიხვდა, რაც მაწუხებდა. იმასაც ხომ იგივე აწუხებდა... აღარ დაიზოგა თავი სიარულით.

გადავიარეთ კიდევ ერთი მთა და დავეშვით დაბლობში. შორიდან კიდევ დავინახე სოფელი. ვიფიქრე, აქ მაინც იქნება-მეთქი ხალხი, მაგრამ მივუახლოვდი თუ არა სოფელს, ვიგრძენი, რომ აქაც ახირებულად იყო საქმე.

სოფელში რომ შევედით, იქაც იგივე სურათი დაგვხვდა. სიჩუმე იყო ისეთი, როგორც ჭოტის ფუღუროშია. არსად კაცი, არსად სულიერი. ხეებზე მხოლოდ შიშველი ტოტები ირხევიან...

როგორ განვცვიფრდი, როცა დავინახე, რომ აქაც ლანდები დაფათურობდნენ. პირუტყვი კინაღამ გადამერია. ვეღარ ვიქერდი ხელში — ცმუკავდა. ტლინკებს ჰყრიდა.

ამ სოფლიდანაც გავიქცეოდით, მაგრამ მზე ჩავიდა, დასაღამოვდა. მეტი ძალა არ იყო, აქვე უნდა გაგვეთია ღამე.

უნდა გამოგიტყდე, პირველად ვიგრძენი ჩემს სიცოცხლეში, რა ყოფილა შიში, შენ რომ ჩემი გულადობის ამბავი იცი, გაგეცინება ამაზე

და შეიძლება არც დამიჯერო... შემეშინდა, არ დავფიცავ. სახლში შესვლაც ვერ გავბედე ღამის გასათევად. ან სად შევსულიყავი? სულიერი არსად იყო შიგ და, გარდა ამისა, ყველა საპლი გაჩანაგებული იყო. ვერსად ნახავდი საწოლს, ქვეშაგებს, დასახურავს. ისევ გარეთ ყოფნა ვარჩიე. ჯორი ხის ქვეშ დავაბი, ხოლო მე იქვე კუნძზე ჩამოვჯექი.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე, მხოლოდ იმას კი ვგრძნობდი, რომ ძალიან ნელა მიიზლაზნებოდა დრო.

როცა მთვარე ამოვიდა, ჯორს პირიდან ლაგამი გამოვუღე და საბალახოდ გავუშვი. მე ისევ კუნძზე ჩამოვჯექი და მოწყენილობისაგან ჭამა დავუწყე ხაჭაპურს, რომელიც პატარა აბგაში ჩამრჩენოდა... ხაჭაპურები შენთვის მომქონდა ძღვნად...

უეცრად ჯორმა ფრუტუნი დაიწყო, თავი დაანება ბალახს და მოჭენდა ჩემთან. მივხვდი, რაც აშინებდა... მთვარის სინათლეზე დავინახე, რომ მრავალი ლანდი დადიოდა ეზოში.

იმ იმედით, რომ შევაშინებდი ლანდებს და აღარ მომეკარებოდნენ, სასწრაფოდ ფიჩხი შევაგროვე და დიდი ცეცხლი დავანთე. ვიფიქრე, მგელი არ ეკარება ცეცხლს და ლანდები მით უფრო ვერ გაბედავენ ახლო მოსვლას-მეთქი.

მე ასე მეგონა, ნამდვილად კი სულ სხვა მოხდა. გაჩაღდა თუ არა ცეცხლი, ლანდები ღამის პეპლებივით შემომესივნენ. შენი მტერი იყოს ისე, მე რომ გასაჭირში ჩავვარდი... წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა: ეცხო ქვეყანაში ვარ, სულიერს ვერავის ვხედავ და რაღაც ლანდები მეხვევიან გარშემო.

გადავწყვიტე, თუ აღსასრული დამიდგა, ვაქაცურად მაინც მოვკვდე-მეთქი. ასე ვიფიქრე და ვიძვრე ხანჯალი...

მოგეცა ლხენა, მე ისინი დავაფრთხე! მოქნევაც აღარ დამჭირდა, თვალის დახამხამებაში გაქრა ყველა.

— აწი მე ვიცი თქვენი სეირი! — ვთქვი გუნებაში და დავმშვიდდი.

უეცრად დავინახე, ერთი მოზრდილი ლანდი ჩემკენ მოდის.

ვაცალე მოახლოება.

რა დაინახა ლანდმა, რომ არ ვერჩოდი, გაბედა და მომიახლოვდა. ჩემს გვერდით გაჩერდა.

დავაკვირდი და გავოცდი. ნათლად გავარკვევ, რომ ლანდი ადამიანის გამოსახულება იყო. თავი, კისერი, ტანი, ფეხები, ხელები — ყველაფერი იმდაგვარი ჰქონდა, როგორც მე და შენ გვაქვს.

— სულიერი ხარ თუ უსულო? — მივაძახე ლანდს.

უეცრად მომესმა ხმა, თითქოს სამარიდან:

— ადამიანი ვარ... გამათბე, მშია!

ლანდს საშუალება მივეცი ცეცხლის პირად გაჩერებულიყო, მიწაზე კი ხაჭაპურის ნატეხი დავუგდე. ხაჭაპური ერთ წუთში გაქრა. გადავუგდე მეორე ნაჭერი, მეორეც გაქრა. ცხადი იყო, ლანდი ჭამდა. პატარა ხნის შემდეგ დავინახე, რომ ლანდი შესუქდა. თითქოს ხორციც შეისხა. მაშინ ალარაფერი დავზოგე, ამოვალაგე, რაც მქონდა აბგაში და მიწაზე დავყარე. კიდევ ცოტა ხანი და გარკვევით დავინახე, თუ როგორ აამოძრავა ლანდმა ხელები.

როცა სულ გაათავა საჭმელი, ჩემს წინ უკვე ლანდი კი არა, ნამდვილი ადამიანი დავინახე, მაგრამ ისეთი გამხდარი, რომ სხეული შუშასავით გამჭვირვალე ჰქონდა.

— ახლა დამასვენე, გამათბე, დამაძინე და ხვალ დილით ყველაფერს გიამბობ! — მითხრა ლანდიდან გამოსულმა ადამიანმა.

მეორე დილას ამ საოცარმა არსებამ მრავალი საკვირველი რამ მიამბო.

როდიონ ქორქია



როდიონ კალენიკეს ძე ქორქია დაიბადა 1894 წელს სოფ. ჭალადიდში (ცხაკაიას რ.). პირველდაწყებითი განათლება მიიღო ფოთის კლასიკურ გიმნაზიაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა ხარკოვს უმაღლესი სწავლის მისაღებად. ხარკოვში მოუსწრო პირველმა იმპერიალისტურმა ომმა; რ. ქორქია გაიწვიეს ჯარში. რევოლუციის შემდეგ რ. ქორქია წითელი არმიის რიგებში ჩადგა და მონაწილეობას იღებდა სამხრეთის ფრონტზე სამოქალაქო ბრძოლებში. საქართველოში დაბრუნდა 1920 წელს და მასწავლებლობა დაიწყო ჯერ ფოთის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ თბილისის საშუალო სკოლებში.

რ. ქორქიამ მწერლობა დაიწყო საბჭოთა პერიოდში. მისი პირველი სბავშვო წიგნი „სამი ბიჭის ამბავი" დაიბეჭდა 1934 წელს. რ. ქორქია სბავშვო მოთხრობებში აგვიწერს იმპერიალისტური, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების ეპიზოდებს.

რ. ქორქიამ თარგმნა ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი", არკ. გაიდარის „სკოლა" და სხვ. მწერალთა ნაწარმოებები.

მარილის აკვანში

1

საღამოს ბინდში ორი მხედარი მიაქროლებს ცხენებს. ერთი მხედარი ჭარმაგია, ძველი რევოლუციონერი. მას ბევრი ბრძოლა გარდახდომია თავს, ბევრ უბედურებას, ტყვიასა და ომის გრიალს შეჩვეია, არხეინად ზის ცხენზე და უშიშრად მიაქროლებს. მეორე ჰხედარი პატარაა, სულ რაღაც თორმეტი წლისა. მამაცურად ზის ცხენზე, შიში არ ემჩნევა, გული არ ეკუმშება განუწყვეტელი სროლისაგან.

სანგრებს მიუახლოვდნენ და სვლა შეანელეს.

— ამხანაგო ზალკა, რატომ აქამდე ვერ ავიღეთ პერეკოპი? — ეკითხება ყმაწვილი ჭარმაგს.

ამხანაგმა ზალკამ თავი ოდნავ მოაბრუნა, პატარა ამხანაგს შეხედა და დარიგებით უპასუხა:

— ყირიმი თათრული სიტყვაა, სიმაგრეს ნიშნავს. პერეკოპი რუსული სიტყვაა, გადათხრილს ნიშნავს. სიმაგრეც არის და გადათხრილიც, ასე იყო წინათ. ახლა კი, რაც ეს შეჩვენებული ვრანგელი ჩაჯდა ყირიმში, სულ რკინა-ბეტონით ამოაშენა ეს გადათხრილი ყელი. მოდი და აიღე. მაგრამ ავიღებთ, ბიჭუნი, უეჭველად ავიღებთ. ოქტომბრის რევოლუციის მესამე წლის თავი პერეკოპზე უნდა ვიდღესასწაულოთ.

— რასაკვირველია! — დაემოწმა პატარა, — მე და ჩემი ვასკა პირველნი ავხტებით პერეკოპზე, ხომ, ვასკა?

— ფრ...რრრ! — დაიფრუტუნა ცხენმა და თავი აიქნია.

— წწწ...უუუ... — ჩაიწივლა ტყვიამ ცხენის თავთან.

— ხა...ხა...ხა... — გაიცინა პატარა მხედარმა. — ვასკა, მეგონა მე მიპასუხე, შენ კი ტყვიას უქნევდი თავს. შეგეშინდა განა, ცუღლუტო?

— მოვედით მთავარსარდლის სადგომთან. აქ შტაბია. — თქვა ზალკამ. — მომიცადე, მე ბრძანებას გამოვიტან! აბა, ჩამოვხტეთ!

პატარა მხედარი ჩიტივით ჩამოფრინდა ცხენიდან, მძიმე ზალკა დინჯად დაეშვა. შტაბის ფანჯრიდან სინათლე გამოჩნდა. ზალკამ უცებ მიიზიდა პატარა, ჩაბღუჯა და ჰკითხა:

— სსს... იცი ამ სახლში ვინა დგას?

— ვინა?

— ის... შეხედე.

პატარა მხედარმა ფანჯარაში თვალი მოჰკრა იმას, ვინც მხოლოდ სურათებში ენახა.

პატარა მხედარს სუნთქვა შეეკრა, ვერ გაინძრა ადგილზე. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. თვალებზე ხელი ჩამოისვა, სიბნელე დაბურღა თვალებით და ჩაიჩურჩულა:

— ფრუნზე!

— ვინ არის? — მოისმა გუშაგის ხმა.

ზალკამ პაროლი უთხრა და დასძინა:

— მოხსენება მოგვაქვს. სახლი შეგვეშალა. შტაბის უფროსი გვინდოდა.

— აქედან მეორე სახლი, — აუხსნა გუშაგმა.

ზალკამ გასწია ცხენი. პატარა მხედარი კი ისევ აკვირდებოდა ფანჯარას.

— ეჰ, ფანჯარავ, რა იქნება, რომ ოდნავ მაინც გაიღო? — ინატრა პატარამ.

— წავიდეთ! — მოესმა ზალკას ჩუმი ხმა.

ძლივს მოშორდა პატარა მხედარი მომჯადოებელ ფანჯარას.

2

კვლავ მიჰქრიან ცხენები.

ზუზუნებენ ტყვიები.

ისმის ქვეძეხების გრიალი. ყუმბარები ყმუიან ჰაერში და თითქოს კვნესის ფუგასეპისაგან დაგლეჯილი მიწა.

— საერთო შეტევაა, — დაიწყო ზალკამ. — ოცდამეათე დივიზია გადადის შეტევაზე. რაუდემიცის დივიზია და ლატიშების დივიზია გაშმაგებით აწყდებიან პერეკოპს, მაგრამ დალახვრის ეშმაკმა... ფუ!

— რა გადაწყვიტეთ? — შეეკითხა პატარა მხედარი ზალკას.

ზალკამ შეხედა, ჩაიცინა და უთხრა:

— ამაღამ სივაში * უნდა გადავიდეთ.

— ზღვა გადავიდეთ ფეხით? — და პატარა მხედარმა ლაგამი მოსწია, ცხენი შეაჩერა.

— ჰო, მეგობარო, ჰო! წუხელის ფრუნზესთან ბოხუცი მეთევზე მოვიდა თურმე და უთხრა: გამოცდილებით ვიცი, ქარი ისე უბერავს, რომ სივაშის წყალს ზღვაში შერეკავსო, დილამდე ზღვის ფსკერი ღია იქნებაო. ფსკერი მარილიანია აქ, მაგარი. შეიძლება ფეხით გასვლაო.

— მერე?

— მერედა, თუ ქარმა სივაშის წყალი გარეკაო, ზღვის ფსკერი გაშიშვლდება და ფეხით გავალთო. რაუდემიცის დივიზია გავა და ზურგიდან დაარტყამს მტერს. ჩვენი ნაწილიც პირველად შევა სივაშში.

— ვასკა, გესმის, ჩვენ პირველად შევალთ სივაშში! — დასძახა პატარა მხედარმა და შეჰყვირა აღტაცებით: — პირველნი! პირ-ველ-ნი!

შემდეგ ჰკრა ცხენს დეზი, გააქროლა და თითქოს მიწაც იმეორებდა ცხენების ჩლიქებს ქვეშ:

— პირველნი! პირ-ველ-ნი!

3

ჩამოწვა ღამე. ძლიერი ქარი მიაწვა სივაშს და გარეკა ზღვაში. გამოჩნდა ზღვის თეთრი ფსკერი.

— წინ! — მოისმა ბრძანება და რაუდემიცის დივიზია ზღვის ფსკერზე გაეშურა.

---

* სივაში — ყურეა აზოვის ზღვაში. წყალი აქ თხელია. მოთხრობას საფუძვლად უდევს ისტორიული ფაქტი. 1920 წელს ნოემბრის პირველ რიცხვებში დასავლეთის ძლიერმა ქარმა სივაშის წყალი აღმოსავლეთისაკენ გარეკა, ამან საშუალება მისცა წითელ არმიას გადასულიყო ზღვის ფსკერით.

ავტორის შენიშვნა

მიდის დივიზია. მიდის სუნთქვაშეკრული...

ვინ იცის, ეგებ დაბრუნდეს ზღვა? როდის ყოფილა, რომ ადამიანი ზღვის ფსკერზე დადიოდა? მაგრამ მარილიანი მიწა დივიზიის სიმძიმეს იტანს და პირველი ბატალიონები უკვე ავიდნენ მეორე ნაპირზე.

მტრის პროექტორმა თავისი თეთრი თვალი სივაშის ფსკერისაკენ შემოანათა. ეუცხოვა ზღვის ფსკერზე ადამიანების ზღვა. კიდევ და კიდევ დაზვერა...

და წამოვიდა ტყვიის წვიმა დივიზიაზე. მირბიან ბატალიონები მტრის ნაპირისაკენ. მირბის პატარა მხედარიც. მისი მეთაურის, მათე ზალკას ნაწილმა სწრაფად გადაიარა ზღვის ფსკერი. აჰა, საცაა პატარა მხედარიც ამოვარდება კაჟიან ნაპირზე და ეცემა მტერს. მაგრად უჭირავს შაშხანა. დიდია შაშხანა, პატარაა მხედარი, მაგრამ მაინც მარდად მირბის მხედარი.

— ვაშაა! — მოისმა პერეკოპიდან.

უცებ ნაპირთან ტყვიამ იწივლა.

— ვაი!

ეს ამოძახილი არავის სმენია. ის შეწყდა ტყვიასთან ერთად. პატარა მებრძოლმა ხელი იტაცა მკერდთან. წაბარბაცდა. ჩაიჩოქა... წამოდგა. რა რბილია ეს მიწა!.. რა მაგრად ებღაუჭება პატარა მხედარს!.. სულ დაბლა, დაბლა მიიწევს, მაინც არ გაუშვა ხელიდან შაშხანა. მუხლამდის რომ ჩაეფლო, ტანზე მიიკრა შაშხანა, მარცხენა ხელი კი ისევ გულთან ჰქონდა. ნელა მიეშვა მარილიან მიწაზე.

მარილიანი მიწა თითქოს აკვანივით დაირწა, ჩაიხუტა პატარა მხედარი.

— ვაშაა! — მოისმა პერეკოპიდან. — გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

— ჩვენების ხმაა! — გაუელვა პატარას. — მაშ, გავიმარჯვეთ? ოჰ, ნეტავ შემეძლოს ადგომა! ვნახავდი ფრუნზეს... ბერე დედას ვუტყოდი, ფრუნზე ვნახე-მეთქი.

და წარმოუდგა შორს მყოფი დედა. დგას ჭიშკართან, გზას გაჰყურებს: როდის დაბრუნდება მისი პატარა? ბრუნდებიან მეზობლები, ნაცნობები. როდის დაბრუნდება პატარა მხედარი?

— დედიკო! დედა!.. ერთი დამანახვა შენი თავი!.. მწყურია. ოჰ, როგორ მწყურია! მცივა...

— ვაშაა! — ისმის პერეკოპიდან.

— ამხანაგებო, რომ ვერ ამოვალ პერეკოპზე? — და ცრემლებმა ჩამობანა ლოყები.

შორს ცაზე წამოდგა დილა.

— ვაშა! — გრიალებს პერეკოპი.

პატარა მეომარი ერთხელ კიდევ გაინძრა, დაიგუბა ჰაერი და შესძახა:

— ვაშა!

მერე კი მარილიანმა მიწამ ჩაიხუტა და პირი მოუკუმა.

პერეკოპზე იდგა წითელი დილა...

4

პატარა მხედარი იწვა მარილის აკვანში თხუთმეტ წელიწადს.

გავიდა თხუთმეტი წელიწადი და შემოდგომის ერთ დღეს ქარმა სივაში კვლავ გარეკა. ერთი მოხუცი სივაშის ფსკერზე თევზს ეძებდა. უცებ შაშხანის ლულას წააწყდა. ამოთხარა. შაშხანასთან იწვა პატარა მეომარი.

იგი იწვა თოფჩახუტებული. ხელი დაჭრილ გულთან მიედო, გულზე სისხლი შეხმობოდა. პატარა მეომარი ისე იყო, თითქოს გუშინ ჩაწვაო. მარილს შეენახა იგი.

რა ჰქვია მას?

ვინ იცის!

ქვემეხები გუგუნებდნენ, მისი კუბო რომ მიჰქონდათ. კუბოს მისდევდნენ ბავშვები თაიგულებით. ნელა დუდუნებდნენ სივაშის ტალღები, თითქოს ნანას უმღეროდნენ თავის შვილობილს.

პატარა მხედარი კუბოშიც შაშხანასთან ერთად იწვა. და იქ, სადაც სისხლი შემხმარიყო, წითელი დროშის ორდენი ბრწყინავდა.

თეთრი ხატა

I

სოფელში ხმა დაირხა: ევაკუირებულები მოდიანო. ყველას უნდოდა ენახა ისინი.

საბჭოს ეზოში, სადაც ხალხი შეკრებილიყო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხანაგი არქიპო ასე ლაპარაკობდა:

— ხომ გახსოვთ, ჭაობს რომ შევესიეთ ქალი და კაცი ამ ათი წლის წინათ? მაშინ მუშახელი გვაკლდა და უკრაინელმა მიკოლა ძიუბამ ორასი კაცი ჩამოიყვანა ჩვენს დასახმარებლად. ახლა ჩვენი კოლმეურ-

ნეობა 250 ჰექტარს ამუშავებს საყანედ. იმ ფართობში მხოლოდ 9 ჰექტარია ძველი მიწა. დანარჩენი სულ ჭაობს გამოვტაცეთ ძიუბასთან ერთად. მშრალად რომ ვართ და ფეხქვეშ ჭონჭყო არ დუდღუნებს, ამაში ძიუბას მეზობლებსაც უნდა ვუმადლოდეთ. ახლა ჯერი ჩვენზეა, ამხანაგებო! ძიუბასი და მისი მეზობლების ცოლ-შვილი ფაშისტებს გამოექცა მამაპაპეული მიწა-წყლიდან. დროებით, რასაკვირველია. ჩვენი საბჭოთა არმია გადაუხდის მტერს სამაგიეროს. მანამ კი სტუმრები ჩვენ უნდა მივიღოთ და შევიფაროთ, როგორც კოლხიდელებს გვეკადრება.

არქიპო კრებას შეაჩერდა, რას იტყვიანო. თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ამ საქმეში სოფელი თავს ისახელებდა.

მალე ოცდათხუთმეტი ევაკუირებული ოჯახი ჩამოვიდა სოფელში, სულ ქალები და ბავშვები. ისინი დაირიგეს ოჯახებში. ჩამოსულებმა შრომისმოყვარეობა გამოიჩინეს და მუშაობა დაიწყეს კოლმეურნეობაში. მხოლოდ ერთი ოჯახი ვერ შეეწყო ახალ პირობებს: მარიამ ვერეტელნიკოვას ორი ბავშვი სულ გაიძახოდა: შინ წავიდეთ, ჩვენი თეთრი ხატა გვინდაო.

დილაადრიან მარიამი სამუშაოდ წავიდოდა, ბავშვები დარჩებოდნენ ეზოში, დაიწყებდნენ თამაშს. მაგრამ ჩქარა მოსწყინდებოდათ, დაღონებულნი დასხდებოდნენ ხის ძირას და მშობლიურ უკრაინულ ქოხზე დარდობდნენ.

2

არქიპო გულკეთილი კაცი იყო. ხედავდა დაღონებულ ბავშვებს და ფიქრობდა, რითი ეშველა მათთვის.

ერთ დღეს არქიპო სოფლის საბჭოს თავმჯდომარესთან მივიდა და უთხრა: — ამხანაგო ბეჟან, მეცოდება ის ბავშვები. არ ვიცი, რა ვუყო.

ბეჟანი ჩაფიქრდა.

— არ ვიცი, რა ვქნა, — განაგრძო არქიპომ. — სხვა რამე რომ უნდოდეთ, ჩემს ფულს არ დავზოგავ, შენ არ მომიკვდე, მაგრამ უკრაინული სახლი საიდან მოვუტანო?

ბეჟანმა შავი გრუზა თმები თითებით გადაივარცხნა. ერთ ხანს ჩაფიქრებული იჯდა. ბოლოს შავი ბრდღვიალა თვალები შეანათა არქიპოს.

— გვყავს ჩვენ ისეთი კოლმეურნეები, რომელნიც უკრაინაში ყოფილან?

— როგორ არა?

— ჰოდა, მოველაპარაკოთ. ეგებ შესძლონ დაგვეხმარონ?

— რით დაგვეხმარონ? — გაუკვირდა არქიპოს.

ბეჟანმა რომ თავისი გეგმა გაუზიარა, არქიპო ისეთი გახარებული წავიდა, თითქოს საკუთარი შვილებისათვის ძვირფასი საჩუქარი მიჰქონდა.

3

ერთ კვირა დილით ბეჟანი და არქიპო მარიამ ვერეტელნიკოვას ბინას მიადგნენ და უთხრეს:

— შეჰკარით ბარგი, ამხანაგო მარიამ! ახალ ბინაზე უნდა გადახვიდეთ!

მარიამმა ბარგი შეჰკრა და საჩქაროდ გამოვიდა აივანზე. კოლხიდაში სირცხვილია ქალს ბარგი მიჰქონდეს და მამაკაცი თავისუფლად მიდიოდეს. არქიპომ ბარგი გამოართვა ქალს. ქალმა აიტაცა უმცროსი ბავშვი და გავიდნენ გზაზე.

გზა კი არა, ხეხილის ხეივანი იყო. თვალს ახარებდა მსხალი, ვაშლი, ატამი. ულვაშიან სიმინდს ნელი სიო არხევდა ეზოებში. ღობეებზე გადმოხრილიყვნენ თეთრი ვარდები, ფერა-ფერა, აბილილი, დეყა. კოლხიდის მზე ალერსიანად ათბობდა სოფელს. ხშირად გადასერავდნენ ცას თვითმფრინავები და მაშინ მარიამი სასოებით გაიყოლებდა თვალს იმ თვითმფრინავებს. იცოდა მარიამმა: ისინი მიფრინავდნენ იქითკენ, სადაც მისი ქმარი ფაშისტურ ურჩხულს ებრძოდა.

— აი, მოვედით კიდეც! — თქვა ბეჟანმა და თეთრი სახლის წინ გაჩერდა. — აი, თქვენი ხატა!

— დედა, ხატა, ხატა! — დაიყვირეს ბავშვებმა.

მარიამი თვალებს არ უჯერეოდა. მის წინ იდგა თეთრი ხატა, კარფანჯრები ცისფრად ჭქონდა შეღებილი, აი ისე, როგორც უკრაინაში იციან ხოლმე.

ქალი მივიდა, ხელები შეახო თეთრ კედელს, ცისფერ კარსა და ფანჯარას, შეიხედა ფანჯარაში. დაინახა ლოგინი, ღუმელი, თაროზე ცერად მიყენებული თეფშები. ბავშვებმა სიხარულით შეირბინეს ხატაში.

— მეგობრებო! ჩემო მეგობრებო! — მეტის თქმა ვერ ძოახერხა გახარებულმა უკრაინელმა ქალმა და ცრემლები გადმოუგორდა.

კონსტრუქტორი

1

სოფლის მაღაზიის ვიტრინაში კონსტრუქტორები გამოფინეა ბევრი კონსტრუქტორი უნახავს დათიკოს, მაგრამ ასეთი კოხტა და ლამაზი არასოდეს. განსაკუთრ ებით მოეწონა ტრაქტორის კონსტრუქტორი. მისი

ნაწილები ისე კოხტად იყო გაკეთებული, ისე ლამაზად შეღებილი, რომ დათიკომ დიდხანს ვერ მოაშორა თვალი. ფული რომ ჰქონდეს, ახლავე იყიდდა. მაგრამ სად იშოვოს ამდენი ფული? გამგემ კონსტრუქტორის კოლოფს ქაღალდი მიაკრა. ქაღალდზე ეწერა: „71 მან.“

დაღონდა დათიკო. იცოდა, დედა ფულს არ მისცემდა. ისიც იცოდა, რომ მისი ამხანაგი ვალიკო უეჭველად იყიდდა კონსტრუქტორს. ვალიკოს ყოველთვის ჰქონდა ფული და ხშირად ყიდულობდა ხან — კამფეტს, ხან — ხალვას, ხან — საღებავებს, ხან — ბურთს. მოიტანდა სკოლაში და თავი მოსწონდა: აი, რა მაქვსო!

მართლაც, დათიკო ჯერ ისევ ვიტრინასთან იდგა, როცა ვალიკომ ჩამოიარა. როგორც კი დაინახა კონსტრუქტორი, ვიყიდიო, თქვა.

— გაქვს ამდენი ფული? — გაუბედავად ჰკითხა დათიკომ.

— ყულაბაში მაქვს შეგროვილი, — უპასუხა ვალიკომ. — დედა, მამა, ბიძები, ბიცოლები, სტუმრები მაჩუქებენ ხოლმე. წავალ, ახლავე გავხსნი ყულაბას და ვიყიდი.

მართლაც, ვალიკომ ჩქარა მოიტანა ფული.

— წამოდი, დათიკო! ავაწყოთ მანქანა! — უთხრა ვალიკომ დათიკოს.

ვალიკოს ეზოში ჩქარა მოიყარეს თავი ბავშვებმა. ყველას აინტერესებდა: გაივლიდა თუ არა ტრაქტორი ეზოში?

სკოლაში, ნორჩ ტექნიკოსთა წრეში, რამდენიმე კონსტრუქტორი ჰქონდათ და ბავშვებმა იცოდნენ სხვადასხვა მანქანის აწყობა. მაგრამ ტრაქტორის აწყობა ყველაზე უკეთესად დათიკომ იცოდა. ტრაქტორისტის შვილი იყო და სანამ მამა ცოცხალი ჰყავდა, ხშირად დაჰყვებოდა ხან სახელოსნოში, ხან მინდორში. აკვირდებოდა, სწავლობდა ტრაქტორს.

ბავშვები აღტაცებაში მოვიდნენ, როცა დათიკომ ტრაქტორი ააწყო და მიუშვა:

— ამუშავდა!.. ამუშავდა! — დაიყვირეს ბავშვებმა.

— დღეს ხუთ ჰექტარს მოხნავს! — თქვა ერთმა.

— თუ შეჯიბრებაშია, მეტიც უნდა მოხნას, — დაუმატა მეორემ.

— მთავარია ხარისხი! — განმარტა მესამემ... — კვალის სიღრმე თვრამეტ სანტიმეტრზე ნაკლები არ შეიძლება. ზოგან ოცდახუთიცაა საჭირო.

— კარგი ტრაქტორი დიდი ძალაა. ეს კი ჩვენზეა დამოკიდებული, — დინჯად დაასკვნა დათიკომ მამისგან გაგონილი სიტყვებით, — ამ ტრაქტორს დაწყებითი აჩქარება კარგი აქვს, ვნახოთ როგორი იქნება დამატებითი აჩქარება.

ასე მსჯელობდნენ ყმაწვილები. ყოველი მათგანი ცდილობდა თავისი აზრი გამოეთქვა ტრაქტორზე. როცა ტრაქტორი გაჩერდა, მისცვივ-

ლნენ, დაშალეს, ისევ ააწყეს, ისევ გაუშვეს. ტრაქტორი მიდიოდა მსუბუქად, შავ ხოჭოს ჰგავდა და მხიარულად ბზინავდა მზეზე.

დიდხანს ატრიალეს ბავშვებმა ტრაქტორი. დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა შინ დათიკო. მაგრამ რა წამს ეზოში შემოვიდა, გული დასწყდა. რა იქნებოდა, დათიკოსაც ჰქონდეს ტრაქტორი და გაატაროს ეზოში? ბევრი იფიქრა, ვერაფერი მოისაზრა დათიკომ. სთხოვოს დედას? ამაოდ ჩაუვლის თხოვნა. განა მარტო უარს ეტყოდა, დარიგებასაც დაუწყებდა: ქვრივი ვარო, ოჯახს ძლივს ვარჩენო, შენ ობოლი ხარ, განა პატარა ხარ? შეგნება უნდა გქონდეს, რომ თორმეტი წლის კაცმა დედას ტვირთი შეუმსუბუქოო, შენ კი სათამაშოებზე ფიქრობო... დიახ, სწორედ ასე ეტყოდა დედა.

ბებიას სთხოვოს? ბებიას პასუხიც წინასწარ იცის დათიკომ:

— კი, ბების ჭირიმე! გიყიდი, როცა მექნება, ახლა კი საფა მაქვს სათამაშოსათვის გადასაყრელი ფული? შეშა დაჩეხე, ბების ჭირიმე?

ბიძას სთხოვოს? საოცარი კაცია ბიძა! წელიწადში ერთხელ წუღებსა და ტანისამოსს უყიდდა, რვეულებსაც ხშირად მოუტანდა, მაგრამ კაპიკი ფული არასოდეს მიუცია. სთხოვოს და უარი უთხრას ბიძამ? დათიკო თავმოყვარე ბიჭი იყო და ბიძის უარი გულს ატკენდა. ბევრი იფიქრა დათიკომ, ვერაფერი გადაწყვიტა. ბედზე სწორედ იმ საღამოს შემოიარა ბიძამ, დედასა და ბებიას გაეხუმრა, დათიკოს თავზე ხელი გადაუსვა. კარგ გუნებაზე იყო ბიძია, წელს კარგ მოსავალს მოველითო. ვახშამზე დათიკომ დრო იხელთა და ბიძის გასაგონად თქვა: მაღაზიაში კონსტრუქტორები მოიტანეს და ვალიკომ იყიდა ყულაბაში შეგროვებული ფულითო.

— უსარგებლო თხოვნით თავი არასოდეს დაიმცირო, ბიძიკო! — შეიკრა წარბი ბიძამ. — ყოველთვის საკუთარი შრომის და საკუთარი ძალ-ღონის იმედი გქონდეს. სხვისი ხელის შემყურე ნუ იქნები, თვითონ გააკეთე, თუკი შეგიძლია. ყულაბით ფულის შეგროვება რა საკადრისია?

წასვლის წინ კი ბიძამ ირიბად გადახედა დათიკოს და უთხრა, პლანტაციაში გამომიარეო.

დიდხანს ფიქრობდა დათიკო, რატომ დაიბარა ბიძამ პლანტაციაში. უყიდის ვითომ კონსტრუქტორს? უყიდის? მეასედ მისცა ეს შეკითხვა დათიკომ თავის თავს და ჩაეძინა. სიზმარში კონსტრუქტორი ნახა. ის იდო სკამზე, დათიკოს სასთუმალთან. დათიკომ ხელი გაუწოდა, კონსტრუქტორი ახტა და კარებთან გაჩერდა. დათიკო გამოეკიდა, კონსტრუქტორი ტრაქტორად იქცა. დათიკო ტრაქტორისტად იქცა და საჭეს ჩასჭიდა ხელი. ტრაქტორი ავტომობილად იქცა, დათიკო შოფრად იქცა და მივარდა კაბინას. ავტომობილი თვითმფრინავად იქცა და დაატრიალა ფრთები. დათიკო პილოტად იქცა და უნდოდა გაეჩერებინა თვითმფრი-

ნავი, მაგრამ თვითმფრინავმა მოასწრო გაფრენა და გაინავარდა ჰაერში. გულდაწყვეტილი დათიკო დიდხანს უყურებდა, როგორ მიიმალა ლეგა ღრუბლებში ცისფერი თვითმფრინავი.

2

ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა არც ისე შორს იყო სოფლიდან, სულ რაღაც ორიოდე კილომეტრის მანძილზე. სანამ შარაგზაზე გავიდოდა, დათიკომ აუარ-ჩამოუარა ვიტრინას, შეხედა კონსტრუქტორს და კარგი ამხანაგივით გაუღიმა. შემდეგ სტკენით და აჩქარებით გაემართა პლანტაციისაკენ. თან ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში: რატომ დაიბარა ბიძამ? ვითომ ფულს მისცემს? არ მისცემს, რასაკვირველია! აბა რატომ უთხრა, გამომიარეო?.. რა იქნება, რომ კონსტრუქტორი უყიდოს? ბოლოს და ბოლოს დათიკო მეექვსე კლასში გადავიდა ამ წელს და რა მოხდება, ბიძამ რომ თავი მოიქაჩლოს? ამ ფიქრებში გზაც ჩქარა მოილია და დათიკო მეურნეობის ჭიშკარს მიადგა. დარაჯმა იცნო და მაშინვე შეუშვა მეურნეობაში. ბიძაშენი მინერალური სასუქის საწყობშიაო, — თან დაუმატა:

— ახლა მეორედ შეგვაქვს აზოტი პლანტაციაში. ხო... ხო... ხო... რა მოსავალი გვექნება წელს, ჩემო ბატონო!

დარაჯს უყვარდა ბევრი ლაპარაკი და სიტყვაში „ჩემო ბატონოს“ ჩართვა. სულ ერთია, ვის ეუბნებოდა: დიდს თუ პატარას, კაცს თუ პირუტყვს.

— ბიძაშენი, ჩემო ბატონო, კარგი სპეციალისტია, კარგი აგრონომია...

მაგრამ დათიკო უკვე ყურს არ უგდებდა დარაჯს. აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა საწყობისაკენ. საწყობში ბიძა არ დახვდა. დათიკომ იკითხა, სად წავიდა ბიძა. არ ვიცითო, უპასუხეს. დათიკო სახტად დარჩა. გამოვიდა ხეივანში, მიეყრდნო კიპაროსს და გადახედა პლანტაციას. წყნარი, ცხელი დღე იყო. უძრავად იდგნენ ქოჩორა, მწვანე ხეები. ზოგს ტოტები განზე გაეშვირა, ზოგს დაბლა დაეხარა, ზოგს თეთრი ხსნარი ჰქონდა წასმული შტამბზე, თითქოს თეთრი წინდები ჩაუცვამთო. ხეებზე უხვად იყო დასხმული კაკლისოდენა ნაყოფი, მუქი მწვანე ფერისა.

„ერთი-ორი თვე და ეს პატარა ნაყოფი როგორ გაიზრდება! — გაიფიქრა დათიკომ. — დამწიფდება და ოქროს ფერს დაიკრავს. აი, მაშინ უნდა მოვიდეს აქ კაცი!..“

შიგა და შიგ კვლებში ქალები და გოგო-ბიჭები დადიოდნენ, ხელში საწყავი ჭურჭლები ეჭირათ და ხეების ძირას სასუქს აყრიდნენ. დათი-

ქოს ადრეც უნახავს ეს სამუშაო. მან იცოდა, რომ სწორედ ივნის-ივლისში შეჰქონდათ პლანტაციაში მინერალური სასუქი, რომ სასუქით იკვებება ლიმონ-მანდარინის ხეები. მან ისიც იცოდა, რომ სასუქის შეტანა დამღლელი არ იყო. ჭურჭელში სულ ნახევარი კილო სასუქია. იოლია მისი მომარჯვება, ოღონდ ეს კია, ყურადღებას მოითხოვს და დაკვირვებას. საწყავი ჭურჭლიდან სასუქი თანაბრად უნდა მოაყარო ხის ძირის გარშემო. გარდა ამისა, თუ ხე დაბალია და ახალგაზრდა, ისე უნდა შეხვიდე მის ტოტებ ქვეშ,რომ ტოტს არ შეეხო. ასეთ დაბალ ხეებთან სწორედ ბავშვები მუშაობდნენ, მათ არ სჭირდებოდათ დაბრა.

— დათიკო მოვიდა! დათიკო! — გადასძახეს ბიჭებმა ერთმანეთს — მოდი! მოდი! ხეები გიცდიან! საწყავი ჭურჭელი არა გაქვს? გაიქეცი საწყობში, მოგცემენ! დაგვეხმარე! დაგვეხმარე!..

ცა ისეთი ლურჯი იყო, მზეზე ისე ბზინავდნენ პატარა ციტრუსები, ხეივნის პირი ისე ლამაზად მოექარგა ბაიების არშიას და ისე გულმხიარულად მუშაობდნენ გოგო-ბიჭები ამ ფირუზოვან ბაღში, რომ დათიკოს გულმა გაუწია მეგობრებისაკენ და საწყაოში გაეშერა საწყაო ჭურჭლის მოსატანად.

საღამომდე იმუშავა დათიკომ. საღამოს ბრიგადირმა ჩაიწერა, ვინ მუშაობდა და რა გააკეთა. დათიკო რომ დაინახა, ჰკითხა, რომელ რგოლში ხარო?

— მე? რა ვიცი, — დაიბნა დათიკო. — მე ისე ვეხმარები.

— როგორ თუ არ იცი? ჩვენში შრომა არც უგეგმოა და არც უფასო; ჩაგრიცხავ მოწაფეთა რგოლში და იმუშავე. მენი დახმარებაც ეს იქნება...

ორი კვირა იმუშავა დათიკომ პლანტაციაში. დილით, პლანტაციაში რომ მიდიოდა და საღამოთი, პლანტაციიდან რომ ბრუნდებოდა, მაღაზიას ჩაუვლიდა. ვიტრინაში ისევ ისე იდო კონსტრუქტორი.

ამ ორი კვირის განმავლობაში ბიძა ხშირად შეხვდებოდა, გაუღიმებდა, შეაქებდა. დათიკოს უხაროდა, თან უკვირდა, რომ მუდამ თავდაპერილ ბიძას ასე ეღიმებოდა მისი დანახვისას. ერთ დღეს კი ბიძამ უთხრა, კანტორაში წამოდი, ფული მიიღეო. დათიკოს გაუხარდა, თან გაიფიქრა: რამდენს მისცემენ? მისცემენ იმდენს, რომ იყიდოს კონსტრუქტორი?

კანტორაში რომ მივიდა, სალაროსთან უკვე ჩამწკრივებულიყვნენ მუშები. დათიკო ჩადგა რიგში. როცა მისი გვარი გამოიძახეს, დათიკო მიადგა კედელში ჩაჭრილ პატარა ფანჯარას, ვერ შესწვდა. მაშინ ბიძამ კუნძი მოუტანა. დათიკო შედგა და შეიხედა: ოთახში ოფოფივით თმაალეწილი ქალი იჯდა და მაგიდაზე ბევრი ფული ელაგა.

— მოაწერეთ ხელი, — უთხრა ქალმა დათიკოს და უწყისი გაუწოდა.

„ალბათ არ იცის, რომ კუნძზე ვდგავარ და იმიტომ მელაპარაკება თქვენობით, — გაიცინა გულში დათიკომ. — დიდი ვგონივარ“.

დათიკო დააკვირდა, როგორ მოეწერათ სხვებს ხელი და თავის გვარს გრძელი კუდი გამოაბა. სკოლაში კი თავის გვარს დამარცვლულად წერდა.

— დათვალეთ, რამდენია! — უთხრა ოფოფა ქალმა დათიკოს და ფულის კონა გაუწოდა. დათიკომ დათვალა და ტაბში ერუანტელმა დაუარა: ეყოფა, იყიდის კონსტრუქტორს. ფული უბეში ჩაილაგა, კუნძიდან ჩამოხტა და მიიხედ-მოიხედა. ეგონა, ყველანი მას უყურებდნენ. მაგრამ მას არავინ უყურებდა. მხოლოდ ბიძა მივიდა, ღიმილით გადაუსვა ხელი და უთხრა:

— მომილოცავს პირველი ხელფასი! ჩვენმა დირექტორმაც დამავალა, მადლობა გითხრა დახმარებისათვის. ახლა რას იზამ ამ ფულით?

— კონსტრუქტორს ვიყიდი, ბიძია!

— ჰო... ჰო... გაიარე მაღაზიაში და წაიღე კონსტრუქტორი, — გაუღიმა ბიძამ.

დათიკო ტყვიასავით გაექანა სოფლისაკენ. მივარდა მაღაზიას და ელდა ეცა. ვიტრინაში კონსტრუქტორი აღარ იყო. იდგა ერთ ხანს გაშეშებული, სულს ძლივს ითქვამდა. ბოლოს გადაწყვიტა შესულიყო მაღაზიაში: ეგებ მეორე ისეთი კონსტრუქტორი ჰქონდა გამგეს?

— მობრძანდი, მობრძანდი, ამხანაგო დავით! — შეეგება გამგე მხიარული სახით. — რას ინებებთ?

— მე კონსტრუქტორი მინდა, — უპასუხა დათიკომ, თვალი მოავლო მაღაზიას და კინაღამ შეჰყვირა: მისი მოწონებული კონსტრუქტორი დახლის თავზე იდო.

— ჰოო... ინებეთ, ამხანაგო დავით! — ისევ ისე მხიარულად უთხრა გამგემ.

— რამდენი უნდა? — ჰკითხა დათიკომ და ხელი უბისაკენ წაიღო.

— ფული გადახდილია!

— გადახდილია? — გაუკვირდა დათიკოს.

— დიახ! ბიძაშენმა გადაიხადა და მითხრა: დათიკო მოვა და წაიღებსო. ჰოდა ინებე!..

დათიკომ დინჯად გამოართვა კონსტრუქტორი და გამოვიდა მაღაზიიდან. ახლა მიხვდა, თუ რატომ იღიმებოდა ბიძამისი...

ილო მოსაშვილი



ილო ოსისიძეს ძე მოსაშვილი დაიბადა 1896 წელს სოფ. ჩარგალში (დუშეთის რ.). პირველდაწყებითი სწავლა-განათლება მიიღო ოყლაყის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ გადავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1914 წელს გაემგზავრა პეტერბურგში უმაღლესი ცოდნის მისაღებად, იქიდან მალე გადავიდა ხარკოვში და მეკიდა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

ილო მოსაშვილი გარდაიცვალა 1954 წ.

ილო მოსაშვილი ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა 1915 წელს. პოეტის შემოქმედებას უფრო ფართო განაქანი მიეცა საბჭოთა პერიოდში. ის წერდა ლექსებს, პოემებს, პიესებს, მისი პირველი საბავშვო პოემა. იეო „როზგა ჩაფარი", როცელიც დაიბეჭდა 1934 წელს.

ერთად

გაზაფხული კაზმავს მინდვრებს,
ქედებზე ჰფენს მწვანე ჯეჯიმს,
მზე ათბობს და სიო არხევს
ხავერდივით გაშლილ ჯეჯილს.
ირმა, წაბლა, ჭრელა, ნისლა
ტყესთან ძოვენ რძიან ბალახს.
აქ იონჯა მუხლებს სწვდება,
სად ნახავენ ასეთ ალაგს!
მიტომ იწევს იქით ირმა
და მიიწევს ტყისკენ ნისლა,
ჭრელაც ჩქარობს და წაბლასაც
ტყის ნაპირთან უნდა მისვლა.
ბუჩქნართან კი ხვადი მგელი
მათ უცქერს და ილბობს ხახას:
ოთხი ძროხა ესე ერთად,
უკეთესს რას დაინახავს?!
ოთხი ლუკმა გემრიელი
მისდგომია კარზე ბუნაგს.
ნერწყვს ყლაპავს და კბილებს
ლესავს,
უხარია გულში მსუნაგს.
ძროხები კი უზრუნველად
მიჰყვებიან მწვანე ფერდოს,
ძოვენ ბალახს და ცურებშ›
აგროვებენ მსუქან ერბოს.
რა იციან, იქვე ხვადი

უთვალთვალებს გაშლილ ნახირს,
კბილს გაჰკრავს და მოიკიდებს,
ვინ გაიგებს ძროხის ძახილს!
მაგრამ მგელი არა ჩქარობს,
მას არ უნდა მათთან მისვლა.
ხედავს: აი, საცა არის,
მიადგება თვითონ ნისლა.
მიდის ნისლა ნელა ძოვით,
ხბოს უმზადებს სავსე ცურებს,
სულ ცოტაც — და მხიარული
სოფლისაკენ მიაშურებს.
ზოგი შვილს და ზოგი პატრონს
ღალიანი რძეც და ერბოც,
კეთილია ნისლა, უნდა
მისი შრომა ყველას ერგოს.
დაიძაგრა მეხლში მგელი,
დაეჭიმა ცალი წარბი,
აღარც ტოკავს, აღარც სუნთქავს,
შეკუმშულა როგორც ზღარბი.
უკვე ესმის ნისლას ცოხნა
და ბალაბის ნელი ცვივნა.
აი ძროხა აქვე სუნთქავს,
აქვე ესმის მისი ფშვინვა,
მაგრამ კლდეზე გაკრულ ნადირს
ფეხქვეშ ლოდი დაუცურდა,
ქვა გრიალით ნაპრალს ეცა
და ლოდინი გაუცრუვდა.
შეფრთხა ნისლა, ირემივით
დააპირა რქების მოსმა
და ნამგლევი მყრალი სუნი
უცბად იგრძნო ძროხის ყნოსვამ.
და მაშინვე მოსწყდა ბუჩქნარს,
რქები გაჰკრა მინდვრის ყვავილს,
და ნახირიც ბღავილითვე
შეეგება ნისლას ბღავილს.
„მგელი, მგელი!"—თითქო ძროხამ
ანიშნა და უთხრა ტოლებს,
ირმა ბღავის, წაბლა ზმუის
და ნისლა კი იქნევს ტორებს.
მგელი დასწვდა თავის თათებს
და ბრაზისგან იკბენს მუცელს.
არა უშავს, სად წაუვლია,
მინდორში ხომ მაინც უწევს.
დიდხანს იდგა ესე, მაგრამ
ვერ გაუძლო გულმა ბოლოს:
ხორცი ჰშია, ოთხი ძროხა
სურს ერთმანეთს მიაყოლოს.
უცქერს ხარბად და ბრჭყალებით
ბალახიან მიწას კაწრავს,
ჯერ კი ნისლას უთვალთვალებს,
მას პირველად გამოფატრავს.
და მსუნაგი, დორბლიანი,
მინდორს ეცა, როგორც კელა...
ძროხებმა რომ თვალი მოკრეს,
შეტრიალდა ერთად ყველა.
ზურგი ზურგებს მიაბჯინეს
და შეებნენ რქებით ნადირს,
ირმა იცავს აქეთ მხარეს
და ნისლა კი იქით ნაპირს.
მგელი სწრაფად ურბენს ირგვლივ,
ხან კისერთან გაჰკრავს ნავსად,
ხან ჯამარას შეჰკრავს უცებ
და წაწვება კაცის მსგავსად.
აი ჭრელა გაიტყუა
და თამაშით გაჰყვა განზე,
მერე კბილი გალესილი
ხანჯალივით გაჰკრა კანზე.
მაგრამ ჭრელა არ დატოვეს
და მიასწრეს მალე მისვლა.
შუბებივით წვეტიანი
მოუქნია რქები ნისლამ,
იქით ირმამ მოუარა,
აქეთ წაბლა დახვდა გზაში,
დაჰკრა ნისლამ და ნადირი
აიტაცა რქებით ცაში.
მგელი რქებზე იკლაკნება
და სიკვდილი უვლის ტანში,
ნისლა ნადირს ვეღარ იძრობს,

რქებს იქნევს და იცემს თავში.
დაფრთხა ძროხა, სოფლისაკენ
ყველაზე წინ გარბის ნისლა,
თეთრი მკერდი, თეთრი შუბლი
ერთიანად გაესისხლა.
მირბის ოთხი ძროხა ერთად,
მიაღწიეს სოფელს კიდეც.
დიდ-პატარა აიშალა
და მიაწყდა კიდით-კიდეს.

ნისლა ეცა ნაცნობ ეზოს,
თითქო ვისმე შველას ნატრობს,
ბღავილით და ჩქარი ქშინვით
მიუშვირა რქები პატრონს.
და პატრონმა მადლიერმა
მას ნადირი რქიდან მოხსნა...
მოეხვია და თვალები
სიხარულით დაუკოცნა.

სამი მონადირე

(მცირე შემოკლებით)

გარეული კატა მარტო
მიჰყვებოდა ლელიანს,
რუ გასცურა და ნაპირზე
შეეყარა ცელიას.
არ ეამა,
რადგან მელა
მუდამ მისი მტერია,
ერთხელ ტყეში შეეფეთა
და ძლივს მოიგერია.
გვერდის ავლა დააპირა,
ბუჩქებს ამოეფარა,
მაგრამ
მელამ გზა მოუჭრა
და კვლავ შემოეყარა.
„გამარჯობა, ასე გვიან
საით მიეშურები?“
ტკბილად უთხრა მელიამ და
მიაცქვიტა ყურები.
„გაგიმარჯოს! —
შეკრთა კატა, —
რაღა, საით ძამია!
სანადიროდ გამოვედი,
ხედავ? — ბნელი ღამეა,
ორი დღეა ბეღურაც კი
არსად შემიჭამია!“
მელას ძლიერ გაუხარდა

კატის თანამგზავრობა,
თუმცა ძველი ჯავრი სჭირდა,
არ დაუწყო ჯავრობა.
იცის,
კატა მარჯვე არის,
მასზე უფრო სწრაფია;
ისე ფრინავს ხიდან ხეზე,
თითქოს
ფრთები აბია.
ისე ცურავს წყალზე,
თითქოს
ცარიელი კვახია.
მისთვის ეს ტყე
ტყე კი არა,
ფრინველების ბაღია.
კატას კუდი მოუქნია,
თათზე თათი გაუსვა,
მერე ტკბილად შესწკმუტუნა
და გულღმა გაუწვა.
მეგობრობას ეფიცება,
უნდა გულის მოგება:
„რა კარგია,
რა ლამაზი
კატა მსუქანლოყება!
რა ბოხოხი დაუხურავს,
რა ქულაჯა აცვია!

ულვაშებიც ისეთი აქვს,
თითქოს მართლა კაცია!“
ეთამაშა,
ეციბრუტა,
მაინც აიყოლია.
ზედ ბეწვი აქვს წამოსხმული,
ქვეშ ხასხასა მოლია.
ალაყმალაყა გადადიან,
მისთელავენ ლელიანს,
კატა ხან ქვეშ მოექცევა,
ხან გაურბის მელიას...
ბოლოს
ბუჩქთან წამოსკუპდნენ,
ღონე გამოელიათ.
„მოდი, ერთად ვინადიროთ, —
ეუბნება კატას მელა, —
ხევ-ხევ ჩავყვეთ,
აქეთ ხშირი
ტევრია და უფრო ბნელა.
რასაც ვნახავთ,
დავაგროვოთ,
მერე ძმურად გავყოთ ყველა;
მანიშნე და იქ გავჩნდები,
თუ დაგჭირდა სადმე შველა!“
კატამ აზრი მოუწონა,
მამალ ხოხობს გულში ნატრობს,
ან უარი როგორ უთხრას
ამისთანა ჭკუის პატრონს!
ღონე აქვს და ხერხი უჭრის,
ეშმაკობით ცნობილია,
კატას მეტი რაღა უნდა, —
მელა მისი ძმობილია!
წინ გაუძღვა,
მელაც მიჰყვა,
გაუხვიეს მწვანე ოლეს
და კუდების შარიშურით
თან შრიალი გაიყოლეს.
ამ დროს მათ წინ
ტყის ქათამი
წამოფრინდა — ფეთიანი,
ფრთები ჰქონდა ისრებივით
და ნისკარტი წვეტიანი.
ელვასავით ჩაუქროლა
ჯერ მარჯვნივ და
მერე მარცხნივ,
მელაკუდას გული დასწყდა,
რომ შეემთხვათ უმალ მარცხი.
მათ წინ იყო,
ერთ ნაბტომზე,
აქვე ოლის სანაპიროს,
სად ნახაკენ სხვა უკეთესს
საკბილოს და სანადიროს!
„მე თუ თვალი აღარ მიჭრის
და მატყუებს ხშირად ყნოსვა,
შენ რატომღა ვერ მოასწარ
შეაებურად თათის მოსმა?“ —
მიუბრუნდა კატას მელა
და შეავლო ცერად თვალი,
თან ზედიზედ ბალახბულახს
უგუნებოდ გაჰკრა ბრჭყალი.
კატა შეკრთა,
რადგან მელამ
მალე იცის გულის მოსვლა.
უთხრა: „რა ვქნა,
ვერ მოვასწარ
ამ მოსატეხ თათის მოსმა.
შენ ხომ იცი,
ტყის ქათამი
რა ეშმაკი ფრინველია,
ჯამბაზივით ალმა-დალმა
ბორიალში პირველია.
როცა დადის,
დაბაჯბაჯებს,
გეგონება — ზარმაცია,
დაფრინავს და, —
მისი ფრენაც
უთავბოლო ბარბაცია.
მაგრამ მაინც ვერ დაიჭერ,

გინდა გქონდეს ასი ჭკუა,
ბევრჯერ მთელ დღეს მაძუნძულა,
განა ერთხელ მომატყუა?“
დიდხანს იდგნენ,
ისაუბრეს.
მერე ისევ კაჰყვნენ ოლეს
და კუდები ბეწვიანი
თან შრიალით გაიყოლეს.
გუშინ დილით
გნოლის დარფა
ტყის მახლობლად
ქექდა ბალახს,
აჩემება იცის გნოლმა,
არ შორდება ნაცნობ ალაგს.
არ შორდება დედა ბახლებს,
არა სტოვებს ბარტყებს მაშაც,
ხან ასწავლის ჯგუფად ფრენას,
ხან მაყვლის და მარცვლის ჭამას.
დღისით ყანას მოუვლიან,
ან კენკავენ მზესუმზირას,
საღამოს კი
ჭუკჭუკებენ
ისევ ნაცნობ ბუჩქის ძირას.
მელამ იცის მათი წესი,
ფრთხილად ზვერავს სანადიროს:
ყნოსავს ჰაერს,
მიწას, ფოთლებს,
ბუჩქნარს და მის სანაპიროს.
ფეხაკრეფით მიცუნცულებს,
წრეს აკეთებს უბან-უბან,
ღამით ასე ურჩევნია:
კატა წინ და თვითონ უკან.
თუ ნადირი შეეფეთათ,
დეე კატა შერჩეს პირში,
თუ არა და,
თვითონ თავი
რად ჩაიგდოს გასაჭირში!
მელაკუდა უცებ შედგა,
ბუჩქს აეკრა,
იქცა სმენად.
იქვე ახლოს გნოლია თუ
სხვა ფრინველი მოეჩვენა?
განაბული დგას და ტანით
ბალახებს და ფოთლებს ერთვის,
მარტო თვალებს,
ჰყიტა თვალებს
არ აშორებს იმ ერთ წერტილს.
მაგრამ გული არ უსვენებს,
ვერ გაუძლო,
მოსწყდა ოლეს
და მშვილდივით მოზიდული
ზედ დააცხრა თავზე გნოლებს.
აწრიალდნენ გნოლები,
წამოფრინდნენ სავსავით,
მელამ კუდიც მოიშველა,
მოღუნული კავსავით.
ცხვირი ჩარგო ბალახში,
წაიგრძელა თათები,
რა ჰქნას,
ლამის გაუცრუვდეს
მსუნაგს გელის ნადები!
აქეთ ეცა,
იქით ეცა,
გადათელა ბალახი,
უყნოსველი არ დატოვა
ერთიბეწვა ალაგი.
დედა გნოლის წესი იცის,
მიტომ უფრო ინთება:
ბარტყებს აშლის და თვითონ კი
მაინც არ აფრინდება.
ეძებს, ეძებს...
ალბათ აქვე
დანაბული იქნება.
ეძებს. მაგრამ არსადა ჩანს,
გაუჭირდა მიგნება.
უცებ შესდგა,
თავის ირგვლივ
კუდი შეატრიალა.

რამ შეაკრთო?
მართლა გნოლმა,
თუ ბალაბის შრიალმა!
საკამარედ მოამზადა
მხრები კუნთებმაგარი,
აგერ ჩრდილში მოსჩანს კიდეც
რაღაც გნოლის მაგვარი.
ელვასავით გადაეშვა,
ნამში ამოწუმპული,
მაგრამ პირში გნოლის ნაცვლად
შერჩა მხოლოდ ბუმბული...
კატას ამ დროს ოლის პირზე
შეხვდა თითო-ოროლა,
კაბაჭრელი ჩიტბატონა
და ქოჩორა ტოროლა.
სიბნელეში ვერ შენიშნა,
იქვე შაშვი მჯდარიყო,
წამოფრინდა,
აჭახჭახდა,
თითქოს შაშვი არ იყო.
ზარი დასცა ჩიტუნიებს,
ტევრი შეაზრიალა,
მელიაც კი შეკრთა უცებ,
მარტო კატა კი არა!
აიშალნენ ფრინველები,
ტოტებს მოსწყდნენ ყივილით
და მათ ძახილს შეუერთდა
სადღაც ხოხბის ყივილიც.
კატა იქვე გაინაბა,
ტანით მიწას გაეკნა,
ხოხბის ხმა რომ გაიგონა.
არ იცოდა, რა ექნა.
აკრუსუნდა, აცახცახდა,
მოეშალა გუნება,
ეს ყივილი იყო მართლა,
თუ სხვა რაღაც ცდუნება?!
თვალწინ უდგას ხოხბის ყელი,
მკერდი ფერად-ფერადი,
წითელ-ყვითელ აბრეშუმით
მოხატული ყელამდი.
მის ფრთებზეა დაბერტყილი
მთელი ქვეყნის ბუნება...
ეს ხოხობი იყო მართლა,
თუ სხვა რაღაც ცდუნება?!
და გასწია ფეხაკრეფით,
მწვანე თვალის ბრიალით,
თითო ტოტის რხევა ესმის,
თითო ფოთლის შრიალი.
იცის: ხოხობს ღამ-ღამობით
მხოლოდ ხეზე მიაგნებს.
ჩქარა,
თორემ, თუ გათენდა,
მერე დაიგვიანებს.
თავაწვდილი მიძუნძულებს,
ტოტებს თვალს არ აცილებს,
მელაკუდამ თუ მიუსწრო,
მას არ გაუნაწილებს.
მაგრამ ამ დროს მელა უკვე
ხის ქვეშ ხოხობს ზვერავდა,
ღამის შუქზე მამლის ყელი
ელვასავით ელავდა,
ტოტზე იჯდა გაინაბული
და ჭრელ სიზმარს ჩაეთვლიდა.
მელა დიდხანს შესცქეროდა,
წამომჯდარი ვერხვებთან,
ხეზე ასვლა სურდა, მაგრამ
ასვლას ვერ ახერხებდა.
კუდის წვერზე ტრიალებდა,
ბალახბულახს ხვეტავდა,
ხოხობი კი ტკბილად თვლემდა,
მელას ვერა ხედავდა.
უცებ გაჩნდა კატუნია,
ძმობილს მიუალერსა,
ხოხობი რომ დაინახა,
ბრუყალზე ბრჭყალი ალესა
და ხეს ეცა დაძაგრული,
ტოტი ჩამოალეწა.
მიდის კატა,

თითო ყლორტი
მისთვის თითქოს ხიდია.
ხან კამარას გააკეთებს,
ხან თათებზე ჰკიდია.
ხან სხვა ტოტზე გაფრინდება,
თითქო მართლა ჩიტია.

მიდის ზევით,
მაღლა, მაღლა,
ხეს თათებით ეხვევა,
ისე მაღლა, ლამის თავით
ცაში ღრუბელს ეხება.
აჰა, ხოხობს ხედავს კიდეც,
სადაც არის მისწვდება.
მაგრამ ძირს რომ მელა ელის,
ესეც არ ავიწყდება.
რა მხრიდან და როგორ ეცეს,
ფრთხილად უნდა არჩევა,
თორემ,
ძირს თუ ჩაუვარდა,
ხახამშრალი დარჩება.
ცოტაც, ცოტაც... და ისკუპა,
წამიც აღარ აცალა,
ხოხობს თუმცა ელდა ეცა,
ფრთები მაინც გაშალა
და ტოტიდან მოსწყდა, როგორც
ანთებული პაშხალა.
მაგრამ ღამით ვერა ჰხედავს,
თვალზე ბინდი ეკვრება.
მან არ იცის,
ხის ქვეშ ახლა
სხვა შარს გადაეყრება.
დაფრენაც კი ვერ მოასწრო,
დაბლა ფეხის დადება
და ეძგერა კიდეც ყელში
მელა რკინისთათება.
ერთი წამი,
ერთი სუხოქვა,
ფრთების ერთი შერხევა,
და დახურეს შავი ჩრდილი
მოშრიალე ცერხვებმა...
კატა ხეზე ძისრიალებს,
ბოლმით გული ეშვება,
ჩქარა, თორემ მელაკუდა
ხოხობს ვერ დაეწევა!
მიხტის სკუპით,
თითო ტოტი
მისთვის თითო ხიდია,
ხან კამარას გააკეთებს,
ხან თავდაღმა ჰკიდია.
მაგრამ უცებ
მოსტყდა ტოტი,
ვეღარ ზიდა ჭაპანი,
მოსწყდა კატაც და ზედ მელას
მოადინა ტყაპანი.
და რას ხედავს გულმოკლული,
თვალებამობუგული:
დგას მელა და
მის წინ ჰყრია
მხოლოდ ხოხბის ბუმბული.
რა ჰქნას,
ჩუმად გატრიალდა,
კატა ბოლმით ივსება,
მორჩა, მაინც ნადირობას
მელა ვერ ეღირსება!
ერთადერთი ვარსკვლავიც
ქედებს იქით ჩავარდა.
თენდებოდა, ტოროლამ
ცაში შეინავარდა.
დაუარა მინდორ-ველს
ამ ცქრიალა მაყარმა
და ბუჩქებზე მთვლემარე
ბეღურები აყარა.
აფრიქიქდნენ გუნდები,
აიშალნენ ფრთოსნები,
მოჭიკჭიკე მერცხლებმა
აიყოლეს შროშნები,
ტყეში სადღაც უსტვენდნენ

დილის ტკბილი მგოსნები.
კატა სულგანაბული,
იდგა სულგანაბული.
ხეზე. ბუჩქზე, მინდორზე
სტვენა იყო გაბმული.
დიდხანს იდგა უძრავად,
ტრიალებდა, წვალობდა.
იქვე ახლოს ტირიფზე,
უცხო რაღაც გალობდა.
ნაზი იყო,
წყლისფერი,
ჰქონდა ფრთებიც,
ფეხებიც,
ჰგვანდა მზის ამოსვლისას
ვერცხლის წყალში შეღებილს.
აბრეშუმით ნაქსოვი
ჩანდა მისი ბუმბული,
ეს — ბუნების სიკეთეს
უმღეროდა ბულბული.
კატამ ჯერ კი უცქირა,
მერე სცადა მიპარვა,
წინ ასკილის გაშლილი
ბუჩქი ამოიფარა
და ტირიფზე ქურდულად
ფეხი შედგა თუ არა,
აფრენილმა ბულბულმა
თავზე გადაუარა.
კატა ისევ გაცრუვდა,
ბილიკს გადაუხვია.
კიდევ კარგი, ბუჩქნარი
ფრინველებით უხვია.
აგერ ჩირგვზე დასკუპდა
თავქოჩორა ოფოფი,
სილამაზით სჯობია
მარტოდმარტო ხოხობი.
როგორც მახარობელი
აფრენილა ცისკართან!
ნემსია თუ ეკალი
გამობმია ნისკარტად!
მარტოდ უყვარს ფრენა და
ღამის მარტო გათევა,
ზის ტოტზე და ქანაობს,
ნიავს ეკამათება...
აგერ კიდევ გვრიტები,
წყვილი — დედალ-მამალი,
მტრედებივით მორთულნ
მტრედებივით ფრთამალი.
დილაბნელზე აშლილნი
მწიფე ყანას სწვევიან
და ოქროსფერ თავთავებს
ტკბილად შეექცევიან.
კატა თვალებს აცეცებს,
ტოკავს, ვეღარ ისვენებს,
გული ბოღმით ევსება,
მელას რომ გაიხსენებს.
თან ოფოფი იზიდავს,
თან მსუქანი გვრიტები.
იქვე, ახლოს, ტოტებზეც
ჟღურტულებენ ჩიტები.
იქვე, ახლოს, ბალახშიც
დაცანცალებს ბეღურა.
უცებ შეჰკრა კამარა
და ზედ გადაეხურა.
კატას დარჩა ჩიორა,
ნიავს — ჭრელი ბუმბული,
ტყეში გულდაწყვეტილი
იძახოდა გუგული...
მელა სერზე ასული,
ყურს უგდებდა რახანი:
რუს რაკრაკი ესმოდა,
თუ კაკბების კაკანი.
მიდიოდა, მიწაზე
ტანით იყო გაკრული,
მაგრამ შეწყდა ერთბაშად
ფრინველების მაყრული.
შედგა, რაღაც ჩრდილივით
ირხეოდა ქვიშაში,
ქვიშისფერი ფრინველი

ამოიღო ნიშანში
და, ის იყო ქორივით
გაქანება უნდოდა. —
წამოფრინდა ეკვილით,
ქაების მთელი ბუდობა,
თითო გნოლისოდენა,
მოწინწკლული საკაბით,
წინ მამალი გაუძღვა,
უკან — დედა კაკაბი.
იქვე ბუჩქზე კაკკაკი,
ეშმაკობით ნაძრახი,
ზის და თითქოს ფრინველებს
გუშაგივით გასძახის.
ხან დახტება ბალახზე,
ხან კვლავ ბუჩქზე სკუპია,
იცის, მსუნაგს რამდენი
ჩიტიც დაუღუპია.
არ ეხსნება, იძახის,
კიდით-კიდეს ედება,
მელა თვალდაჭყეტილი
მისკენ არც იხედება.
ბოლოს ისევ ტყისაკენ
გაბრუნება არჩია
და უეცრად ჩირგვებში,
ტოტზე ბუ შეამჩნია.
იჯდა ბუ და ბრჭყალებით
თითქოს ფოთლებს ხვეტავდა,
ღია ჰქონდა თვალები,
მაგრამ ვერას ხედავდა.
ღამით ენთო სანთლებად,
დღისით ბინდი ეფინა,
თუმც უძახა კაკკაკმა,
ვერც მან გააგებინა.
ნელა, აუჩქარებლად
წასწვდა ის ქურდბაცაცა
და, რტოც არ შერხეულა,
პირი ისე დასტაცა...

• •

სად ყოფილა მონადირე,
ჩოხაშემოკვალთული!
ხელში თოფი.
წელზე ჩანთა,
მიდის ფიქრში გართული;
გვერდით მისდევს მეძებარი,
სწრაფი, მუხლგამართული.
უცებ ოლის მწვანე ქიმზე
თვალი მოჰკრა მელიას.
მელიამაც დაინახა
და მყის ეცა ლელიანს.
მხოლოდ კატა იდგა განზე
თვალებგადმოკაკლული,
მეგობარი გაეპარა,
გული დარჩა ნაკლული.
ასე სწრაფად რად დასტოვა,
საით გაინავარდა?
უცებ გაჩნდა მეძებარი,
უცებ თოფიც გავარდა...
კატა გდია,
თვალებს ხუჭავს,
დიდი, მსუქანლოყება.
ქვეყანაზე მზე ამოდის
და მზეს ბინდი მოჰყვება.
წელან ხელად რომ შესანსლა,
გაახსენდა ბელურა
და თვალებზე შავი ფარდა
უმალ გადაეხურა...
მელა მწვანე ტოტს იფარებს,
გარბის, ცეცხლი ედება,
იქნებ კიდეც ვინმე მოსდევს,
უკან არ იხედება.
მეხი იყო თუ თოფის ხმა,
ცა რომ შეაზანზარა!
ის — შორს. ეკლის ბუჩქია თუ
ნონადირის მაზარა?

მიცუნცულებს,
იცის, მალე
ტყეა გადაბარდული,
ტყესთან სორო ეგულება,
ას ცამეტი სართული.
თუ იქ შერგო თავი,
მერე —
მონადირევ, მშვიდობით!
ღონეს განა ღონით ებრძვის,
ხერხითა და ფლიდობით.
აგერ ტყესაც მოჰკრა თვალი!
გულმა შეინავარდა,
მაგრამ უცებ ძაღლიც გაჩნდა,
უცებ თოფიც გავარდა.
მოხვდა?
მგონი კუდმა იხსნა,
მიხტის კამარ-კამარა,
თოფი იყო თუ ქუხილი, —
არა დაუშავა რა.
იქნებ მხოლოდ შიში იყო,
უცაბედი ზმანება!
მელა მაინც მირბის,
მიხტის,
მუხლი არ ენანება.
და ის იყო, ტყეს მიადგა,
გული ბუდეს ჩაბარდა, —
ისევ ძაღლი გაჩნდა უცებ,
თოფიც ისევ გავარდა...
მოხვდა?
მგონი, მართლა მოხვდა,
ალარ არის ზმანება,
სულ იმ კატამ გააბრიყვა,
მარტო ეს ენანება.
რა ეშმაკად შეხვდა გზაში,
რისთვის აიყოლია;
როდის იყო,
მელას კატა
აქხანაგად ჰყოლია!
წევს მელა და სუნთქვა უმძიმს,
ტანით თითქოს გახევდა,
ცალი თვალით მონადირეს
ალალბედად გახედა.
რას აკეთებს,
აქდენხანს რომ
ხელიც არ შეუხია,
იქნებ ხოხბის კვალს დაადგა
და იქით შეუხვია!
არა, აქვე ზის მიწაზე,
თოფიც გვერდით უგდია.
აგერ კატაც!
მისი ტყავი
ბუჩქზე გადაუდვია.
ზის და ორპირ დანას ლესავს,
მისთვის ლესავს, ცხადია...
ეს რა დილა დაათენდა,
ეს რა ღამე ათია!
ელდა ეცა,
მაგრამ მაინც
სული შერჩა მთავარი,
წამოიჭრა,
მახლობელ ბუჩქს
გადაეკლო კამარით.
მირბის,
ძაღლიც უკან მისდევს,
როგორც ძაღლის წესია,
და ზედ სოროს შესასვლელთან
მელას წამოეწია.
უმალ ყელში სტაცა კბილი,
ბევრი როდი ახანა,
და ერთბაშად გაგუდული
მიწაზე დაახალა.

პარმენ ლორია



პარმენ ონისიმეს ძე ლორია დაიბადა 1896 წელს, ქ. ბათუმში. დიდხანს მუშაობდა შავ მუშად. პ. ლორია მონაწილეობდა პირველ იმპერიალისტურ ომში.

პ. ლორია ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა საბჭოთა პერიოდში. იგი აეტორია რომანებისა: „ჩაი", „დელი მურადი", „ნაირა" და სხვ.

პ. ლორია მუშაობს საბავშვო პროზაშიც. მისი პირველი საბავშვო წიგნი „საბავშვო მოთხრობები" გამოიცა ბათუმში 1939 წელს.

იმ ხევს იქით

(შემოკლებით)

ეკალ-ბარდით მოქაცვულ ღობეზე ფრთხილად გადაიპარა ათი-თორმეტი წლის ბიჭი, ნამიან ბალახებში კერდლელივით გაცოცდა; მწიფე ნაყოფით დატვირთულ მსხლის ხეს რომ მიუახლოვდა, შეჩერდა. თავი წამოწია, ირგვლივ მიმოიხედა, შემდეგ წამოხტა, ხესთან მიიკრა, გადმოხრილ ტოტს ხელი წაავლო, მთელი ტანით აიზიდა და ხეს ზემოთ მოექცა.

ხის კენწეროზე შემომჯდარი მოლაღური დააფრთხო მოულოდნელი სტუმრის გამოჩენამ, ერთი უეცრად შეიკვნესა, ტოტიდან მოწყდა და ხევის მეორე მხარეს გადაფრინდა. იქ უფრო მაღალი ხე აირჩია და ცალად გაშვერილ ტოტზე შემოსკუპდა.

ბავშვმა ნაღვლიანი თვალები გააყოლა მას, ფრინველის მდგომარეობა შეეხარბა, შემდეგ ხევში გადაიხედა, სადაც პატარა წყარო მირაკრაკებდა, და მძიმედ ამოიოხრა.

დამწუხრებული სახე ჰქონდა ბავშვს. გამხდარი, უფერული. დიდრონი თვალები ჩაღრმავებოდა. შიშველი ფეხები ეკლებს დაეკაწრა, შარვალი, რომელიც მუხლებამდე ძლივს სწვდებოდა, მრავალ ადგილას იყო დაკერებული, ხოლო ნარმის პერანგი, რომლის კალთები შარვალში ჩაეტანებინა, ბეჭზე გახეული იყო და შიშველად დარჩენილი ხორცი მზეს გაერუჯა.

ბავშვი სწრაფად აცოცდა ხეზე, ხშირ ტოტებში მოემწყვდა, ყველაზე მწიფე ნაყოფი მოწყვიტა და მოკბიჩა.

— მომაკვდავს მოარჩენს, — თქვა მან თავის გულში.

სწრაფად დაკრეფილი ხილით უბეგავსილი ჩამოსვლას აპირებდა, როცა ჩხირის გატეხის ხმა მოესმა და გაინაბა. — ვაითუ მომისწრეს. — გაიფიქრა და ფრთხილად გადმოიხედა. ხის ქვეშ ახალგაზრდა, ოცი-ოცდახუთი წლის კაცი იდგა. ბიჭს ფერი წაუვიდა, ხის ტანს მიეკრა. ფიქრობდა შეუმჩნეველი გამხდარიყო, მაგრამ უბეში ჩაყრილ მსხალს ვერ გაუძლო ძველი პერანგის უბემ, გასკდა და მოკრეფილი მსხალი ხმაურით წამოვიდა ძირს.

ხის ქვეშ გაჩერებული ახალგაზრდა კაცი შეკრთა, უკან დაიხია, მაგრამ მალე მიხვდა, რაშიაც იქნებოდა საქმე, ხესთან მივიდა და აიხედა.

— ჰა, ეს შენა ბრძანდები, ჭინკავ? — ასძახა მან შიშისაგან ათრთოლებულ ბავშვს, — ჩამობრძანდი ძირს, — იქვე მოზრდილი წნელი გამოჭრა და მაღლა ასწია, — ჩამობრძანდი, ნუ გერიდება. ვნახო, როგორი საქალამნე ტყავი გაქვს. — და წნელი შეათამაშა.

— მაპატიე, ძია მამუდ, შენ გენაცვალე, მაპატიე, თავის დღეში არ გადმოვიხედავ აქეთ. — და, ამ სიტყვებთან ერთად ბავშვს უმანკო ცრემლები გადმოდინდა.

— ხა, ხა, ხა. — გადაიხარხარა ახალგაზრდამ, — რა კეთილი გულის ბრძანებულხარ. გაპატიო? ა, გაპატიო, შემდეგ არ გადმოხვალ? არაუშავს, კარგი სიტყვაა, მაგრამ მე უფრო კარგი საშუალება მაქვს იმისათვის, რომ აქეთ გადმოხედვა შეგაძულო, ჩამობრძანდი და გიჩვენებ იმ საშუალებას.

— ძია მამუდ, ძია მამუდ, შენი ჭირიმე, ძია მამუდ, — ქვითინით გადმოჰხედა ზემოდან და ერთი ტოტით ჩამოინაცვლა.

— დიდი დრო არ მაქვს, ჩამოდი, თორემ თუ ამოვედი, სასჯელი გაგიორკეცდება, ჩამოდი-მეთქი! — შეჰყვირა ახალგაზრდამ.

— კარგი, ჩამოვალ, — ტირილით დაეშვა ბავშვი ქვევით, მაგრამ მომარჯვებული შოლტი და ახალგაზრდა კაცის ანთებული თვალები რომ დაინახა, კვლავ შეტრიალდა და მაღლა ტოტზე შეცოცდა.

ახლა უფრო სანატრელი გახდა მისთვის ფრინველის ბედი. ხევს გაღმა გაიხედა, მისგან დამფრთხალი მოლაღური ახლაც არხეინად იჯდა იქ ტოტზე.

— ნეტავ მას. — გაიფიქრა ბიჭმა, — დაუბრკოლებლად გადალახა საზღვარი და არხეინად გრძნობს თავს. თუმცა იქ ყველა არხეინად და ბედნიერად ცხოვრობს. ბავშვსაც რომ მისცა საშუალება გადაიფრინოს ეს მოკლე მანძილი, ხომ ბედნიერი იქნება, ხომ დააღწევდა თავს ამ ჯოჯოხეთს, გადარჩებოდა გაჯოხვასა და თმებით თრევას, რასაც მას აქ გაჩერებული ახალგაზრდა კაცი უმზადებს.

ბავშვმა ხევს გაღმა ფერდობზე გაშენებულ სოფელს შეავლო თვალი. მაღალზე გადმომდგარი ოდასახლები ნაირნაირი ხეხილების ბაღში

იყო ჩაფლული. ქვემოთ, დავაკებაზე, სკოლის განიერი შენობა იღგა, იქვე მახლობლად მაღალ ანძაზე ამართული წითელი დროშა ალისფრად ფრიალებდა.

— ხევს აქეთ რად არ არის ასე?! — გულისტკივილით თქვა ბიჭმა და ხევის იქითა და აქეთა მხარე ერთმანეთს შეადარა.

იქ, იმ მორაკრაკე წყაროს გაღმა, ასეთივე მთაგორიან ადგილებში სულ სხვანაირი სიცოცხლეა, სხვანაირად შრომობენ და სწავლობენ. სხვანაირად იზრდებიან და ვითარდებიან, აცვიათ და ახურიათ, აქ კი?!

ბიჭმა ახლა ხის ძირისკენ გადმოიხედა და კვლავ იქ გაჩერებული ახალგაზრდა რომ დაინახა, გული შეუღონდა.

— მა'მ. არ აპირებ ჩამოსვლას, არა? — გაბრაზებით ასძახა ახალგაზრდამ ხეზე შერჩენილ ბავშვს. — ძალიან კარგი, მაქ გეწვევი და ვნახოთ, რა დაგიჯდეს ჩემი სტუმრობა.—ფეხზე ჩუსტები წაიძრო და ხეზე ასასვლელად მოემზადა.

— ჩამოვალ, ძია მამუდ, ჩამოვალ! — ბავშვი ტირილით დაეშვა ქვევით. მიწას რომ მიუახლოვდა, მოწყდა ტოტს, ახალგაზრდა მამუდის წინ პირქვე დაემხო და ფეხებზე კოცნით პატიება სთხოვა, მაგრამ გულქვა მამუდის გული მაინც ვერ მოალბო. მიწაზე დამხობილ ბავშვს უმოწყალოდ სცემა წყეულმა. შემდეგ დაავლო ფეხებში ხელი, ღობესთან მიათრია, ასწია ზევით და ერთი მოქნევით ღობეს გადაღმა ეკალბარდებში გადაისროლა.

— აწი აღარ გადმოძვრები სხვის ბოსტანში, — არხეინად თქვა მან, მიბრუნდა, ჩამოცვენილი მსხლები აკრიფა, უბეში ჩაიყარა და მაღლობზე წამოდგმული ქვის სასახლისკენ ღიღინით წავიდა.

* *

— ხემიდ, ხემიდ! — გაისმა წკრიალა ხმა და ნახევრად საბურავ-ჩანგრეული სახლის კარებიდან თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ფეხშიშველი გოგონა გამოვიდა. — ხემიდ, ხემიდ, — კვლავ დაიძახა მან და ეზოში მიიხედ-მოიხედა. — სად წავიდა ის ბიჭი?! — ჩაილაპარაკა თავისთვის, თავსაფარი გაისწორა და ჭიშკრისაკენ წავიდა. — ხემიდავ, ჰაი, ხემიდავ! — გადასძახა ჭიშკრიდან და ხევისაკენ გადაიხედა.

— ყიზ, მე ხომ არ მეძახი? — გაეხუმრა მას ვიღაც და ბილიკით შიმავალი ასკერი (თურქი ჯარისკაცი) გამოჩნდა.

— სიკვდილი გეძახის შენ! — ზიზღით გაიხედა ასკერისაკენ გოგონამ და სწრაფად იბრუნა პირი.

— ლამაზი გომბიო ხარ, გიაურის შვილო. — თქვა ასკერმა და გოგონასაკენ წავიდა. მაგრამ ქალი სწრაფად მოწყდა ადგილიდან, გაიქცა და ეზოში ხეს მოეფარა.

— ხი, ხი, ხი, — ჩაიხითხითა ასკერმა და ალმართს შეჰყვა.

— საზიზღრები! — ჩაილაპარაკა გოგონამ. — ვითომ ქვეყნის მცველები არიან და ყოველგვარ ბოროტებას სჩადიან, — თვალი მიმავალ ასკერს გააყოლა და მიაწყევლა.

სახლიდან მისუსტებული ძახილი მოისმა და გოგონა იქითკენ გაიქცა.

ბნელი სახლის ერთ კუთხეში დაკონკილ ლოგინში ფერწასული ქალი იწვა. ჩონჩხად ქცეულს სულ ჩასცვენოდა თვალები, ჩალურჯებოდა ტუჩები. ოდნავ რომ სუნთქავდა, იმით თუ იცნობდა, ცოცხალი იყო. ძლივს შესამჩნევად აიწევ-დაიწევდა მისი მკერდი ამ სუნთქვის დროს.

— რა იყო, ნენავ? — მუხლებზე დადგა მის წინ გოგონა და ჩაცვენილ თვალებში ჩააცქერდა.

— სად არის ხემიდი? — იკითხა ქალმა და ჩალურჯებული ტუჩები შეარხია.

— ღარდაში თუ წავიდა მაყვლისათვის. — მიუგო გოგონამ. — წავიდე, დავუძახო?

— ჰომიყვანე. — მისუსტებული ხმით უთხრა მწოლიარემ და თვალები დახუჭა.

გოგონა სწრაფად გამოვიდა სახლიდან, ჯერ ეზო შემოიარა. შემდეგ ფერდობზე გადადგა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გაეხადა, მაგრამ ხემიდი არ გამოსჩაურებია, სამაგიეროდ ჩაუში[1] მოიკრა და გოგონას შეეტია:

— შენ, ეი, რაებს ბედავ. წითლებს ეძახი? მათთან ლაპარაკი გინდა? — მათრახი მოექნია, მაგრამ გოგონა განზე გაუსხლტა და დარტყმა აიცილა.

— წითლებთან რაი საქმე მაქვს. ჩემს ძმას ვეძახი. — და გოგონამ სიღვარულით გაიხედა ხევის გაღმა, საიდანაც ამჟამად სკოლისაკენ მიმავალი ბავშვების ხმა ისმოდა.

— ეშმაკობ, გიაურო! — კვლავ შემართა მათრახი ჩაუშმა. — შენც იმათი ჯიშისა და მოდგმის ხარ. — თვითონაც გაიხედა გაღმისაკენ და, ბავშვების მხიარული სიცილ-კისკისი რომ გაიგონა, თვალები აენთო. — ნუ იცქირები იმ მხარეს-მეთქი! — უყვირა მან გოგონას. — ალბათ საიდუმლო რამ გინდა გადასცე... ასაყრელი ხართ აქედან ყველანი. მიბრუნდი, გაქრი აქედან-მეთქი, — და ჩაუში გოგონას მათრახით გამოუდგა და, სანამ იქიდან არ გააგდო, არ მოეშვა. შემდეგ ამაყად გადახედ-გადმოხედა ფერდობზე მიშენებულ ქოხმახებს და კმაყოფილებით გაიღიმა.

გოგონა ჩაუშის წასვლამდე სახლის გვერდით იმალებოდა. შემდეგ გამოვიდა და კვლავ ძმის ძებნას შეუდგა. აიარ-ჩაიარა სერი, ხევშიაც

[1] ჩაუში — თურქეთის ჯარის უმცროსი მეთაური.

ავტორის შენიშვნა

გადაიხედა, იქნებ მართლა მაყვალს ეძებს, ან მოცვის საკრეფად ჩავიდაო, მაგრამ, რომ ვერ იპოვა, მომაღლო ადგილზე ავიდა და ფრთხილად გადასძახა.

— აქა ვარ, აქა. — მოისმა ამჯერად პასუხი და გოგონა იმ მიმართულებით გაეშურა, საიდანაც ხმა ისმოდა.

ეკალ-ბარდებით შებურულ ბუჩქებში ცალგვერდზე იწვა ტანსაცმელშემოფხრეწილი და სხეულ დაკაწრულ-დასისხლიანებული ბიჭი.

— ხემიდ? — შესძახა ამის დანახვაზე გოგონამ და თავბრუ დაეხა.

— მე ვარ, ნუ გეშინია. — ამოსძახა ბიჭმა და წამოიწია, მაგრამ ადგომა ვერ შესძლო და კვლავ ჩაიკეცა.

— ხემიდ, ამას რას ვხედავ, ხემიდ. აქ რამ გადმოგაგდო, ბიჭო?! — ძლივს გაარღვია გოგომ ეკლიანი ბუჩქები, ძმასთან მიიჭრა, დაემბო და გულში ჩაიკრა. შემდეგ ზურგზე დახედა, წითელ ზოლებად დარჩენილი ნაცემი ადგილები რომ დაინახა, წამოიკივლა:

— ეს რა მოგსვლია?!

— ნარგიზ, ნუ შეშინდები, ნარგიზ, ხიდან ჩამოვვარდი, ტოტი მომიტყდა, არაფერია, გამივლის.

— აქ ხე სად არის, ხემიდ! რატომ მაბეჩებ, შენ ნაცემი ხარ! მითხარი, ვინ დაიდო ჩვენი ოჯახის ცოდვა. — და ნარგიზას ცრემლები წასკდა.

ხევის მოპირდაპირე მხარეს, მაღლა გორაკზე, ნარგიზას ტოლი გოგო-ბიჭები გამოჩნდნენ, ისინი სკოლისაკენ მიდიოდნენ, მაგრამ, როცა გაიგონეს გალმიდან კივილი, შეჩერდნენ და იქითკენ დაიწყეს ცქერა. ესენი საზღვრის მეორე მხარეს მცხოვრები ბავშვები იყვნენ. კოხტად ჩაცმულებს წითელი ყელსახვევები ამშვენებდათ.

— ნეტავი თქვენ, ნეტავი თქვენ, — ცრემლებით სავსე თვალებით გაიხედა ნარგიზამ იმათკენ, შემდეგ მუხლებზე დადგა და ორივე ხელი გაიშვირა. — ძმიებო, დაეხმარეთ, ხომ ხედავთ ჩვენს ხვედრს. მოსპეთ ეს ღელე, წაშალეთ საზღვარი, მოდით, გვიხსენით, დაგვეხმარეთ, გვიწამლეთ. — ლუღლუღით შესთხოვდა ის მეორექვეყნელ თანატოლებს.

გამოლმელებმა კარგად გაიგონეს თანატოლის ვედრება, მაგრამ არ უპასუხნიათ. არც შეიძლებოდა ეპასუხნათ, საზღვარზე სიტყვების გადასროლა ტყვიასავით მოქმედებს, მას შეიძლება ცუდი რამ მოჰყვეს საზღვარს იქითა მხარეს მოქცეული ქართველისათვის და ამიტომ ბავშვებმა სიჩუმე არჩიეს. ერთმანეთს ნაღვლიანად გადახედეს. შემდეგ მიბრუნდნენ და სკოლისაკენ წავიდნენ. ნარგიზამ კარგად დაინახა, თუ როგორ აფერადდა სკოლის განიერი ეზო ნაირ-ნაირ ტანსაცმელიანი ბავშვებით.

— ალლაჰ! — წამოიძახა მან. — რად გააჩინე ეს ხევი ამ ადგილას,

რად გაჰყავ ეს სოფელი ასე ორად, ერთს სამოთხე არგუნე, მეორეს ჯოჯოხეთი!

მესაზღვრე ასკერს არ გამოპარვია ეს ხმაურობა, მან ფრთხილად გაარღვია ბუჩქები და და-ძმას თავზე წაადგა.

— ეი, ვინა ხართ მანდა? — და ბუჩქებში ჩამჯდარ ბავშვებს თოფი მიუშვირა.

— ჩვენა ვართ, ძია! — წამოიჭრა ნარგიზი და ხელები ზევით ასწია.

ხემიდმაც მოინდომა დისთვის მიებაძა, მაგრამ ვერ შესძლო და იქვე ჩაიკეცა.

— რას აკეთებთ აქ? — უყვირა ბავშვებს ასკერმა და ახლოს მივიდა. — ვის აწვდით ცნობებს საზღვარს იქით?!

— ყველაფერს ვფიცავთ, ასეთი არაფერი გაგვიფიქრებია. — ხელები ააპყრეს ბავშვებმა.

— სტყუით! მაშ, ვინ გამოიძახეთ შეკივლებით, ვის შესჩაოდით თქვენებურ ენაზე? — თოფი დაუშვა და ნარგიზს მაჯაზე წაავლო ხელი — წამოდი, იქ გათქმევინებენ სიმართლეს... წამოდი-მეთქი! — მაგრად მოქაჩა, მაგრამ ნარგიზა არ დამორჩილდა, ის მუხლებზე დაეცა, პირქვე დაემხო და ფეხებზე დაუწყო კოცნა ასკერს.

— ადამიანი ხარ, ალლაჰის მორწმუნე ხარ, ძიავ. — ქვითინით უთხრა მან. — შემიბრალე, ძმა ხიდან ჩამოვარდნილა, ადგომა არ შეუძლია, ვიკივლე, ვიყვირე, ვინმე დამხმარებოდა, მიშველე, ძია ეფენდი. ალლაჰი გიზღავს სამაგიეროს.

თურქი ასკერი მოალბო გოგოს სიტყვებმა. ხემიდს დახედა, შეებრალა ნაცემი ბავშვი. უკმაყოფილოდ გადააქნია თავი. ხელი მოჰკიდა, ბუჩქებიდან გამოიყვანა და მოწმენდილ ადგილზე დასვა.

— მეორეხელ არ გაბედო ასეთი კივილი, თორემ სასტიკად დაგსჯი. — გადახედა მან ნარგიზას. — აქ საზღვარია, გესმის თუ არა! წითლები ყველაფერს ხედავენ და ისმენენ. ჰოდა, აქედან ტირილსა და კივილს რომ გაიგონებენ, გაუხარდებათ, იტყვიან, ცუდად ცხოვრობენ იქითა მხარესო. ჩვენ კი, მადლობა ალლაჰს, არაფერი გვაკლია. ხომ ხედავთ, იქითა მხარეს როგორ ცხოვრობენ თქვენი ტოლები. — ასკერმა გაღმისაკენ გაიხედა და, სკოლის ეზოში მოთამაშე წითელყელსახვევიანი ბავშვები რომ დაინახა, ენა დაება. — ჰო, სამაგიეროდ ისინი ჯოჯოხეთში ინანებენ აქაურ თავხედობას, — სხვა ვერაფერი იპოვა სათქმელი. თვალი მაინც ვერ მოაშორა საბჭოთა სკოლის ეზოში მხიარული ბავშვების თამაშს. — ნუ გაიხედავთ იქითკენ-მეთქი! — მოულოდნელად იყვირა მან და და-ძმას მიუბრუნდა.

— დაწყევლოს ალლაჰმა, წითლების შვილები არიან, მაგრამ მაინც არ გინდა თვალი მოაშორო, — ჩაილაპარაკა ასკერმა თავისთვის და ცალი თვალით კვლავ საზღვარს გადაღმა გადაიხედა.

სოფელი საფერი ძველთაგანვე ქართველებით იყო დასახლებული. აქაური მცხოვრებლები მეთევზეობით, მეხილეობითა და მესაქონლეობით ინახავენ თავს. მაღლობზე გაშენებული სოფელი მარად მოლიცლივე ზღვას გადაჰყურებს. როცა საქართველოს სახელმწიფო საზღვრები ტრაპიზონს სცილდებოდა, მაშინ ამ სოფლიდან ტრაპიზონამდე, გარდა საზღვაო გზისა, სახმელეთო გზაც კარგი ყოფილა. დასავლეთ ევროპელებთან ამ გზების საშუალებით ჰქონდათ კავშირი ქართველებსო, მოგვითხრობს მატიანე. ხოლო როცა თურქები გაძლიერდნენ და შავი ზღვის ეს სანაპიროები ხელში ჩაიგდეს, ეს გზები ჩაკეტეს. ამ ადგილებში დასახლებული ქართველები საშინლად შეავიწროვეს, ნაწილი გაჟლიტეს, ნაწილი გადაასახლეს, ხოლო ვინც გადაურჩათ, ძალადატანებით სარწმუნოება შეაცვლევინეს — გაამაჰმადიანეს. მიუხედავად ამისა, მათი გათურქება მაინც ვერ შესძლეს, ქართველობა ვერ წაართვეს და მამაპაპისეულ ღირსებაზე ხელი ვერ აიღებინეს.

მდგომარეობა შეიცვალა, საქართველომ რუსეთის ჯარების დახმარებით 1878 წელს თურქეთის მიერ მიტაცებული ნიწის ნაწილი დაიბრუნა, აჭარა, შავშეთ-ერეშეთი და ლაზეთის ნაწილი გაათავისუფლა, სოფელი საფერი მთლიანად საქართველოს საზღვრებს შიგნით მოაქცია და აქაური მცხოვრებნი თავის ძმებს—ქართველებს დაუბრუნა. მაგრამ რამდენ-მე ათეული წლის შემდეგ საბჭოთა საქართველოსა და თურქეთს შორის ახალი საზღვარი დაიდო და ამ საზღვარმა ეს სოფელი შუაზე გაჭრეთა.

ერთი სოფლის მცხოვრებნი სხვადასხვა სახელმწიფოში მოექცნენ და მათ შორის კავშირი გაწყდა.

სოფლის გაყოფისას გალმა-გამოლმა მხარე ერთნაირი იყო ეზოებით და სახლებით, მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობით, შემდეგ კი ისინი დაშორდნენ ერთიმეორეს. საბჭოთა მხარეს მალალი ოდები წამოიჭიმა, ციტრუსებით და ჩაის ბუჩქებით დამშვენდა გორაკები, განიერი გზა გაიკრა, დიდი სკოლა და კლუბი აშენდა. კოლმეურნეობა გაძლიერდა და დოვლათი დაგროვდა. ხევში ელსადგური აგუგუნდა და ოდებში ელნათურები აციმციმდნენ.

იქითა — თურქეთის მხარეს ბოლოდ მემამულის ერთადერთი დიდი ქვის შენობა აიგო. მის ირგვლივ ნახევარი სოფელი შეშოიფარგლა და მემამულის დიდ ეზოდ იქცა.

დანარჩენი ქოხმახები დაძველდა, წაიფერდა, მათი სახურავი ჩაილეწა, ხოლო ზოგი ქოხი სავსებით გაჭრა...

როგორ ცხოვრობენ იქითა მხარეს?

სოფელ საფერის აქეთა — საბჭოთა მხარეს მცხოვრებმა პიონერ-მოსწავლეებმა კარგად იციან, რომ იქითა მხარის ბავშვებისათვის არაა

სკოლა, ჩაცმა-დახურვა, სასმელ-საჭმელი. დილიდან საღამომდე ტყეველად დადიან და საკვებს დაეძებენ. სიბნელეში და სიბინძურეში ცხოვრობენ. ამიტომ ებრალებათ, სულითა და გულით სწადიათ დაეხმარონ, პიონერული ხელი გაუწოდონ მათ, მაგრამ როგორ?! იმ დღეს სკოლაში მიმავალმა მოსწავლეებმა, როცა გაღმიდან ნარგიზას კივილი და მისი ვედრება გაიგონეს, შეშფოთდნენ... ნარგიზას ისინი პირადად ვერ იცნობენ, მაგრამ იციან, რომ გაღმელი ლაზის გოგოა, მისი ხმა ხშირად გაუგონიათ, იციან, ნარგიზაა მისი სახელი, რადგან ეს სახელი ხშირად დაუძახნია მისთვის ქოხის წინ გამოსულ ქალს. ახლოს კი არ უნახავთ ის, — როგორი თვალები აქვს, როგორი წამწამები, ჩამოჰგავს თუ არა გამოღმელ ლაზის გოგონებს ეშხიანობით, ამის შესახებ წარმოდგენაც არა აქვთ. ასეთი ნაცნობები რამდენი ჰყავთ გაღმა მხარეს და იმათ ბედზე ფიქრობენ გამოღმელი ბავშვები.

— უნდა ვუშველოთ რამე! — თქვა ერთმა პიონერმა.

— უნდა დავეხმაროთ! — თქვა მეორემ.

— უნდა დავეხმაროთ! — განაცხადა ყველამ და, სკოლის ეზოში რომ შეგროვდნენ, გადაწყვიტეს, საბჭოთა მთავრობისათვის წერილი გაეგზავნათ და გაღმელი ბავშვების მდგომარეობა ეცნობებიათ.

— ჩვენი მთავრობა ამ დღეში არ დატოვებს მათ, უთუოდ უშველის და დაეხმარებაო, — თქვა ერთმა.

— სკოლებს გაუხსნის და წიგნებს გამოუგზავნისო, — დაუმატა მეორემ.

— საზრდოს გაუჩენს და ჩასაცმელ-დასახურავს მისცემს.

— ჩაის ბუჩქებითა და ციტრუსებით აუმწვანებს ეზო-მიდამოებს.

— გზას გაუყვანს და ელსადგურს აუგუგუნებს.

მაგრამ ბავშვებს გადაწყვეტილება მასწავლებლებმა დაუშალეს.

— საბჭოთა მთავრობამ კარგად იცის მათი მდგომარეობა, ფიქრობს და ზრუნავს მათსა და მათ ბედში მყოფ მრავალ მილიონებზეო, — თქვეს მასწავლებლებმა.

ბავშვები დამშვიდდნენ და თვალები გაუბრწყინდათ, თან გაღმა ფერდობზე მიდგმულ ღარიბ ქოხმახებს გადახედეს.

* *

— არც ახლა მეტყვი, რა მოგივიდა? — კვლავ შეეკითხა ნარგიზა ძმას, როცა ასკერმა ისინი დატოვა.

— აკი გითხარი, ხიდან ჩამოვვარდი-მეთქი. — მიუგო ხემიდმა და თვალები მოარიდა.

— აბა რად სტყუი! — გაჯავრდა ნარგიზა. — სად არის აქ ხე, ან რა გინდოდა ამ დილით ხეზე? — შემდეგ ხელი მოჰკიდა, მხარში შეუდგა და ნელ-ნელა სახლისაკენ წაიყვანა

აღმართი რომ აიარეს, ბუჩქიდან მამუდი გამოძვრა და ბავშვებს გადახედა.

— წაათრიე, წაათრიე აქედან ეგ საძაგელი და დაარიგე, სხვის ეზოში შეპარვას გადაეჩვიოს, თორემ უარეს დღეს დავმართებ. — უთხრა მან ნარგიზას და მის მიერ გალახულ ხემიდს გადაავლო თვალი.

ხემიდს თავბრუ დაესხა და მუხლები მოეკვეთა.

ნარგიზამ ხელი გაუშვა ძმას. თვალებში სისხლი მოაწვა და მთელი სხეულით აკანკალდა.

— მამუდ, ეს შენ ჩადგი ფეხი ჩვენი ოჯახის ცოდვაში, შენ მოეპყარი ჩემ ძმას ასე? — ძმას შემოფლეთილი პერანგი აუწია და ჯოხით აჭრელებული ზურგი გამოუჩინა. — შენი ნახელავია ეს? — და მამუდს ანთებული თვალებით მიაჩერდა.

— ნუ დაძვრება სხვის ბოსტანში, თორემ უარესიც დაემართება. — თავისთვის, მაგრამ გასაგონად ჩაილაპარაკა მამუდმა.

— სად ჩავიდა? რა მოგტაცა, რომ ასე უმოწყალოდ მოქცევიხარ საცოდავ ბავშვს? — და ნარგიზამ პასუხის მოლოდინში ძმას თავზე გადაუსვა ხელი.

— თვითონ იცის, რაც დააშავა, სელიმ-აღას ქონება თავისად გაიხადა. კიდევ კარგი, რომ მივუსწარი, თორემ მთელ ხეს გაალიდა. აწი კი აღარ ისურვებს იქით გამოხედვას. — მამუდმა კმაყოფილებით გაიღიმა და ისე გადმოხედა ნარგიზას, თითქოს დიდი სასიხარულო ამბავი უთხრაო.

— შეგახმეს ხელები, სისხლად წაგსკდეს ჩვენი ოჯახის ამაგი! ფუ, შენ კაცობას! — და ნარგიზამ ზიზღით შეხედა მოახლოებულ მამუდს, შემდეგ კი ძმას მიუბრუნდა. — წუწკო, რამ ჩაგიყვანა ურჯულოების ეზოში! მაგ მიწაზე მოსხმული ხილი შხამ-ნაღველითაა სავსე.

— ის ხომ ჩვენი მიწა იყო! ის ხე ხომ მამაჩემის დარგულ-დამყნობილი ყოფილა! — დაიწყო თავის მართლება ხემიდმა, მაგრამ ნარგიზა გაუჯავრდა:

— ჩუმად! ჩვენი იყო, მაგრამ წაგვართვეს, დღეს სელიმ-აღაა მისი პატრონი; კანონმა მას მიაკუთვნა... შენ კი... — მამუდს შეხედა, — სელიმ-აღას მონა ხარ, მაგრამ მასზე უფრო ძაღლი ყოფილხარ! ჩვენებრ საწყალი კაცის შვილი მაინც არ იყო... გრცხვენოდეს... — პირი იბრუნა, ხემიდს მხარში შეუდგა და სახლისაკენ წაიყვანა.

მამუდს ხმა არ ამოუღია. ნარგიზას სიტყვებმა თითქოს იმოქმედეს მასზე. ერთ ხანს თვალი გააყოლა ძლივსძლივობით მიმავალ ხემიდს და, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა: მაგ ბიჭს რომ რამე შეემთხვეს, მაგისი ნათესავები კარგ დღეს არ დამაყრიანო. მაგრამ უცებ „ყოვლისშემძლე“ სელიმ-აღას სახლისაკენ გაიხედა და იმედი მიეცა. — თუ კაცს სასახლე წყალობს, ქოხი ვერას დააკლებსო, — თქვა თავის გულში და ღიღინით გაჰყვა ფერდობზე მიმავალ ბილიკს.

• •

მეორე დღეს ხემიდი უკეთ გახდა, დაუცხრა ტკივილები, ახლა მხოლოდ ლურჯი ზოლები ეჩნდა ზურგზე. ნარგიზას იმედი მიეცა. იქნებ გამეზარდოს ეს ერთი ძმა და იმედად მეყოლოსო. მერის მოტანილი ცივი მჟადი და კვერცხი აჭამა. თვითონაც დანაყრდა. შემდეგ სახლის წინ გამოვიდნენ, ხის ქვეშ დასხდნენ და თავიანთ მდგომარეობაზე ალაპარაკდნენ.

ნარგიზამ ჯერ დედა მოიგონა, მოიტირა, შემდეგ გულაჩუყებულ ძმას მოუალერსა, ხელი მოხვია და გამხნევება დაუწყო:

— ნუ გეშინია, გაიზრდები, ძალ-ღონე მოგემატება, მუშაობას შესძლებ...

— მანამდე?! — შეაწყვეტინა სიტყვა ხემიდმა.

— მანამდე?! — გაიმეორა ნარგიზამ და ჯერ გაძარცული ეზო და შემდეგ სახლის წაფერდებული კედლები შეათვალიერა. — მანამდე, ალლაჰია მოწყალე, გაგვიჩენს რამეს, — და მოაგონდა, დედის დასაფლავებისას მეზობლის ქალმა სანუგეშოდ რომ უთხრა: „სიმინდის ყანებს რომ ავიღებთ, თითო-ოროლა კოთხო სიმინდს ყველა შეგეწევით“ და მეტი თქვენც არ დაგჭირდებათო.

— ჰოდა, ტან-ფეხზე მოვითმინოთ, — დაუმატა ნარგიზამ.

პატარა ხემიდის თვალებში იმედის ნაპერწკალმა გაიკიაფა. იქნება მართლაც არ გაგვწიროს ბედმაო.

ბავშვები ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ეზოში მუჰტარი (მამასახლისი). ჩაფარი და ორი მოხუცი გლეხი შემოვიდნენ და ბავშვებს მიუახლოვდნენ.

— მარტო ხართ? — გადაჰხედა მათ მუჰტარმა.

ბავშვებმა თავები დაჰხარეს და ცრემლები წასკდათ.

— ნუ გეშინიათ, — უთხრა მათ მუჰტარმა, — ობლობით არ დაიჩაგრებით, მთავრობა იზრუნებს თქვენზე. — მიიხედ-მოიხედა და შემდეგ სახლი შეათვალიერა. — საბარბიელო არაფერი გაქვთ, — ჩაილაპარაკა მან, მაგრამ კარგ პატრონს მოგინახავთ.

ბავშვებმა ერთმანეთს შეხედეს და სახე უფრო დაუნაღვლიანდათ.

— ერთმანეთს ჩვენ უფრო ვუპატრონებთ, — გაბედა ნარგიზამ.

— ჩვენ ხომ პატარები არა ვართ, სხვა პატრონი გვჭიროდეს! — წამოეშველა დას ხემიდი.

— არა, არა, — გაჯავრებით გადახედა მათ მუჰტარმა, — თქვენზე მთავრობა ზრუნავს, ნაბრძანები გვაქვს, არც ერთი ობოლი არ დავტოვოთ მზრუნველის გარეშე. ნუ გეშინიათ, არაფერი არ დაგეკარგებათ, ყველაფერს ავწერთ და ისე ჩავაბარებთ სანდო კაცს. — ამ დროს ეზოში შემოსული სელიმ-აღა დაინახა და განაგრძო: — აი, ისიც მობრძანდება. ჩვენი სოფლის მფარველი და პატრონია... მობრძანდით სე-

ლიმ ეფენდი, სწორედ ახლა გახსენებდით. — მიეგება, დაბალი სალამი მოახსენა.

სელიმ-აღა მართლაც ბატონ-პატრონი იყო ამ კუთხის. კონტრაბანდისტობიდან დაიწყო მისი მოღვაწეობა, შემდეგ ვაჭრობა დაიწყო, ჰყიდდა მარილს, ჩითს, დელფინის ქონს, მუქთად იგდებდა ადგილობრივ მცხოვრებთა მონაგარს და დღე-დღეზე მდიდრდებოდა, მალე რამდენიმე ოჯახი სულ გააქრო — მათი მიწა-წყალი შემოიერთა. ვეებერთელა სასახლე წამოიშიმა და დღეს სელიმ-აღა ნახევარ სოფელს ფლობს.

— მთავრობის აზრია, თქვენ ჩაიბაროთ ეს ობლები და მათი ქონება საპატრონოდ. — მორიდებით უთხრა მუჰტარმა სელიმ-აღას.

სელიმ-აღამ ხელში კრიალოსანი შეათამაშა, წარბები შეჭხარა და ბავშვებს გადახედა.

— ორი ოყა მჭადი არ ეყოფათ ჯერზე! — შემდეგ სახლი შეათვალიერა. — ბოსლადაც არ გამოდგება! ეზო ხომ სულ გაუჩანაგებიათ... არა. აბა, როგორ შემიძლია... აგერ ხასიას ჩააბარეთ, — და მოხუც გლეხს გადახედა: — წაიყვანე, შენი ხისიმებია[1].

— თუ მთავრობა ინებებს... — მოკრძალებით ჩაილაპარაკა მოხუცმა.

— თავი ვერ გირჩენია. — შეუბღვირა მას მუჰტარმა. — სელიმ ეფენდი, უარს ნუ გვეტყვი, ალლაჰს შეხედე...

სელიმ-აღამ ვაჭრული თვალები გადაავლო შეძლეულ ლუკმას.

— ამ ოჯახიდან კარგი არა მახსოვს რა, მაგრამ... — ჩაილაპარაკა მან.

— მამის დანაშაულს შვილები გამოისყიდიან, სელიმ ეფენდი, შენი მონა-მორჩილი იქნებიან, ყურმოჭრილი მონა. — და მუჰტარი ბავშვებს მიუბრუნდა. — ხომ გესმით, სელიმ ეფენდის პატივისმცემელი უნდა იყოთ თქვენს სიცოცხლეში. მის ნება-სურვილზე იაროთ. — იქ მყოფთ გადახედა. — მობრძანდით, ავწეროთ რა გააჩნიათ ამ უბედურებს. — და სახლისკენ წავიდა. მას ჩაფარი და გლეხები მიყვნენ. სელიმ-აღა კი მომაღლო ადგილას გაჩერდა და იქიდან დაუწყო თვალიერება ამ ეზომიდამოს, რომელიც დღეიდან მის ხელში უნდა გადასულიყო.

ბავშვები ერთმანეთს მიჰკვროდნენ და ისე იდგნენ. ისინი იხედებოდნენ ხევს გაღმა — საზღვარს იქითა მხარეს, სადაც მათი ტოლი გოგო-ბიჭები სკოლის ეზოში შეგროვილნი მხიარულად ერიაძულობდნენ.

— რა ახლო მანძილია, მაგრამ რა ძნელი მისასვლელია იქამდე! —

---

[1] ხისიმი — ნათესავი.

ორივეს ერთი და იგივე ფიქრი უტრიალებდა თავში. — რა ახლოსაა და რა შორს. — და ორივე ერთ და იმავე დროს ამოიოხრებდა.

მუჰტარი მალე გამოვიდა სახლიდან და სელიმ-აღასთან მივიდა.

— ისეთი არაფერია... სახლს რომ ხედავთ, ისაა, — ყურში წასჩურჩულა: — ერთი სპილენძის ქვაბიც არის, მაგრამ არ ჩამიწერია, ნაღდი ფულია და...

აღამ ცალი ყბით ჩაიცინა.

— გაინაწილეთ, — ჩურჩულითვე უთხრა მან, შემდეგ ბავშვებს გადახედა: — თქვენ იცით, როგორც მუჰტარმა გიბრძანათ ისე მოიქეცით... მამუდას ვეტყვი და საწოლს მიგიჩენთ. ბოსელი კარგი მაქვს, ლოგინი თუ გაგაჩნიათ, გადაიტანეთ... ალლაჰი ილოცეთ, რომ ასე ზრუნავს თქვენზე მთავრობა, თორემ შიმშილით დაიხოცებოდით. — მიუბრუნდა და ნელი ნაბიჯით წავიდა.

— კეთილი კაცია, — უთხრა გლეხებს მუჰტარმა და მიმავალ სელიმ-აღას დაედევნა.

— კეთილი კაცია, კეთილი კაცი! — გაიმეორეს გლეხებმა: — ისე მაგას მიეცეს სიკეთე... — დაუმატეს და ზიზღით გააყოლეს თვალი მიმავალ სელიმ-აღას და მთავრობის წარმომადგენლებს.

— ვაი ჩვენი ბრალი. — ამოიოხრა ერთმა გლეხმა და ხელი ჩაიქნია.

ბავშვები იდგნენ უხმოდ, ხან სახლს შეხედავდნენ, ხან ეზოს, ხან ხევს გაღმა გაფრენილ ჩიტს გააყოლებდნენ თვალს და მის ბედს შენატროდნენ.

* *

ბავშვები ჯერ კიდევ უხმოდ იდგნენ და თავიანთ თავზე ფიქრობდნენ, რომ ეზოში სელიმ-აღას მოჯამაგირე მამუდი შემოვიდა ღიღინით.

— აა, როგორ გაქვს გვერდები, ვაჟკაცო! და ხემიდს გადახედა. — არა უშავს, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება, გამოგაჩვევ, გამოგწაფავ და კაცი გამოხვალ, ვისაც შოლტის გემო არ უნახავს, მან ცხოვრება არ იცის. სელიმ ეფენდიმ შენი გაწვრთნა მე დამავალა, ნუ გეშინია, ისე არ მოგექცევი, როგორც მე მექცეოდნენ, ხანდახან გაჯოხვა შენც უნდა მოითმინო, მიბრუნდა და ქოხში ისე შევიდა, თითქოს საკუთარ სახლში შესულიყოს.

ბავშვებს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ, უკვე იცოდნენ, რომ ახლა ისინი თავიანთ გაძარცულ ოჯახიანად სხვის საკუთრებას შეადგენდნენ და სხვის ნება-სურვილზე უნდა ევლოთ.

მამუდი რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვიდა სახლიდან, მას ქვაბი, ტაშტი და რაღაც წვრილმანი ჭურჭელი გადაება თოკით ერთმანეთზე და აეკიდებინა, ბავშვებთან რომ გამოიარა, შეჩერდა და ნარგიზას გადახედა:

— წამოდით, აქ რას უდგეხართ? მუქთად ხომ არ უნდა გარჩინოთ,

იმოდენა საქმეა გასაკეთებელი... საკვირველია, როგორ იკისრა თქვენი პატრონობა აღამ, ცარიელი ოჯახი გქონიათ...

კიდევ რაღაცეები ილაპარაკა, მაგრამ, ბავშვებმა რომ ხმა არ გასცეს, მიბრუნდა და თავისებური ღიღინით გაუდგა გზას.

— საზიზღარი! — ჩაილაპარაკა ნარგიზამ და ძმას შეხედა.

— არა, მე მაგასთან არ წავალ. აღას ოჯახში სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია! — ამოილაპარაკა თავისი გულის დარდი ხემიდმა.

— მეც, — დაემოწმა და.

— მაგრამ... — მიიხედ-მოიხედა ხემიდმა.

— გავიქცეთ აქედან და ის იქნება, — თითქოს გამოსავალი იპოვა ნარგიზამ.

— მართალია. გავიქცეთ. — თვალები გაუბრწყინდა ხემიდს, — მაგრამ საითკენ?

— საითკენ? — ნარგიზამ ოთხივ მხრივ მიიხედ-მოიხედა და ბოლოს თვალები ხევს გაღმა გორაკზე გაშენებულ სოფელს მიაჩერა.

ხემიდმაც დას მიბაძა და თვითონაც ხევს გაღმა დაიწყო ცქერა.

ერთ ხანს უხმოდ იდგნენ, ერთმანეთს არაფერს ელაპარაკებოდნენ, მაგრამ, რასაც ფიქრობდნენ, ორივესთვის გასაგები იყო. — ერთნაირი იყო მათი ფიქრი და ოცნებაც.

— რომ შეგვნიშნონ... — ჩუმად ჩაილაპარაკა ხემიდმა.

— არა, მე ვიცი ისეთი გასაძრომი, რომ ვერ შეგვნიშნავენ, გახსოვს ამას წინათ ოსმანას ხბო რომ გაძვრა... — და ნარგიზამ ძმას თავისი მოსაზრება გააცნო.

— გვიან, გათენების ხანს, როცა ასკერები მორებივით მიეყრებიან, ან ეზო-ეზო დაიწყებენ ხეტიალს, მაშინ, პირდაპირ ჩავირბინოთ ღელეში, ფრთხილად გავძვრებით ეკლიან მავთულხლართში და...

ხემიდს სიხარულისაგან ააცახცახა.

— და საბჭოების ქვეყანაში მოვხვდებით, იმ წითელყელსახვევიან ბავშვებთან, ყოველ დილით რომ ჟრიამულით ავსებენ იქაურობას.

საზღვარზე გადაპარვის გადაწყვეტილებამ გაამხიარულა ბავშვები, ომედით გაუბრწყინდათ თვალები, გამოვლილი გაჭირვება დაავიწყათ და სასიხარულო მომავლის ნაპერწკალი გაუღვივათ.

ცოტა ხნის შემდეგ ეზოში მეზობლების ბავშვები შეგროვდნენ და ობლებად დარჩენილი ტოლები მოინახულეს.

ხემიდსა და ნარგიზას ყველანი თავაზიანად ეპყრობოდნენ, როგორც ობლებს. გოგონები ნარგიზას ირგვლივ შეგროვდნენ, ვაჟები კი — ხემიდისა. დაუწყეს ამბების გამოკითხვა, აღუთქვეს დახმარება, ზოგი შეჰპირდა სიმინდს მოგიტანო, ზოგიც — ლობიოსა და ყველს,

მაგრამ, რომ გაიგეს ობლების ოჯახი სელიმ-აღას ჩაბარეს და ბავშვებზე მზრუნველობაც მას ევალებოდა, ძალიან შეწუხდნენ.

— სელიმ-აღას ხელში ძაღლიც ვერ გაძლებს. — ნაღვლიანად თქვა ერთმა.

— მამუდას სახრეს ეშმაკიც ვერ გადაურჩება...

— იმათთან სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია.

და ბავშვებმა ობლების ბედი დაიტირეს.

— უბედურები! — ჩაილაპარაკა ყველაზე უფროსმა ბიჭმა, რომელიც აქამდე სიბრალულით უცქეროდა ხემიდის ნაღვლიან სახეს.

— ბედნიერები იქ არიან. — და ერთმა პერანგის ამარა ბიჭმა გაღმისაკენ გაიხედა.

სხვებს ხმა არ ამოუღიათ.

- - იცით რა? — საიდუმლო ხმით დაიწყო ერთმა ქერა ბიჭმა. — იმ ქვეყნის უფროსებს უთქვამთ, ქვეყანაზე რაც ბავშვებია, ყველანი ერთნაირად უნდა ვაცხოვროთო, ერთნაირად ჩავაცვათ და დავახუროთო, ისე, როგორც იქ აცვიათ ხოლმე.

— იმიტომაც უყვართ ყველას. იქაური ბავშვები კარგად სწავლობენ, დღესასწაულებზე გაჰყავთ, მღერიან, ცეკვავენ.

— არ გახსოვთ, მაისობა რომ ჰქონდათ სკოლაში, როგორ მხიარულობდნენ.

— როგორ არ მახსოვს.

საღამომ მოაღწია. ნარგიზამ და ხემიდმა რამდენჯერმე ჩაათვალიერეს ის ადგილი, სადაც მათი აზრით, შესაძლებელი იყო საზღვარზე გადაპარვა. თურქი ასკერები ხანდახან თუ ჩაივლიდნენ იქ.

შებინდებისას სელიმ-აღას მოჯამაგირე მამუდი მოვიდა, საჭმელი მოიტანა. ის ახლა რაღაც უფრო კეთილი ჩანდა. სიყვარულით მოიკითხა ბავშვები, თავის გულის დარდი გააცნო, სელიმ-აღასთან ძალიან ცუდ დღეში ვარო, მცემს, მაწვალებს, მაიძულებს სხვებსაც ვცემოო. აქედანვე გამაფრთხილა, დღეში ორჯერ გაგწკეპლოთო. — უთხრა მან ბავშვებს.

— რა ვქნა, რა დღეში ვარ! — აცრემლდა მამუდი და ბავშვებიც ააცრემლა. — უნდა გავიპარო, გავიქცე, მაგრამ საწყალი დედა მეცოდება... თქვენც მეცოდებით, უბედურებო. იმ დღეს, მსხალზე რომ შეგასწარ, — და ხემიდს შეხედა, — განა ისე სასტიკად მოგექცეოდით, ის წყეული სელიმ-აღა რომ არ ყოფილიყო იქვე ახლოს მოფარებული?!

ხემიდს გული მოულბო მამუდის სიტყვებმა; შეებრალა, ურჩია, საზღვარზე გადაპარვა ეფიქრა.

— თქვენი ტოლი რომ ვიყო, ამაღამვე გადავძვრები საზღვარზე. — თქვა მამუდმა. — სელიმ-აღასას ცხოვრებას სიკვდილი სჯობია. — დაფიქრდა და კვლავ განაგრძო: — შეიძლება აბდულიც იქითა მხარეს იყოს გადასული. — მოაგონა ბავშვებს მამა, რომელიც სამი წლის წინ შეიპყრეს პოლიციელებმა სელიმ-აღას დასმენით, როგორც მეამბოხე და საზღვართან ახლოს მცხოვრები საეჭვო პიროვნება.

— არა, მამაჩემი ციხეშია, — ნაღვლიანად უთხრა ხემიდმა და დაეჭვებული ნდობით შეხედა აქამდე მისთვის საძულველ ადამიანს.

— ასე თქვენ გეუბნებიან, — ხმას დაუწია მამუდმა. — არ დაიჯეროთ, ის ციხიდან გაიპარა და საზღვარზე გადავიდა... ეს თქვენ არავის უთხრათ... სარწმუნო კაცისაგან გავიგე.

და-ძმამ ერთმანეთს შეხედეს და თვალები გაუბრწყინდათ.

— მაშ შენ გინდა გვირჩიო საზღვარზე რომ გადავიპაროთ? — საიდუმლო ხმით შეეკითხა ნარგიზა მამუდს.

— სუ, არავინ გაიგოს! არა, მე როდი ვამბობ ასე, არავის უთხრათ, თითქოს მე გირჩევდეთ საზღვარზე გადახვიდეთ... არა, ეს თქვენი ნებაა, — წუთით ჩაფიქრდა მამუდი, — დროა წამოხვიდეთ სელიმ-აღასას, ნაბრძანები მაქვს, ახლავე მიგიყვანოთ ორთავე, მგონია გულმოსულიც არის, ალბათ იმიტომ, რომ დილიდანვე არ გამოცხადდით მასთან. ვეშინია, ზედმეტი არ მოუვიდეს, გაბრაზების დროს დაუზოგავად იცის ხოლმე ცემა... წავიდეთ, წამოიღეთ ბარგი. — და ბავშვებს უფრო მკაცრად გადახედა.

— მამუდ ძია, შენ გენაცვალე, გვიშველე, მოგვიხერხე, ამაღამ დავრჩებით ჩვენს სახლში, დილით ადრიან ვეახლებით, ყველაფერს გავუკეთებთ, მისი მონა-მორჩილი ვიქნებით. — შეევედრა ნარგიზა.

— თქვენი თხოვნა რად მინდა. — თანაგრძნობით უთხრა მას მამუდმა, — მე კარგად ვიცი, თქვენ აქ გირჩევნიათ, დაგტოვებდით კიდეც, მაგრამ მეშინია, ხვალ უარესი არ წაგიდოთ, წყეული კაცია.

— შენ მხოლოდ ამაღამ დაგვტოვე აქ და, ხვალ რაც მოგვივა მოგვივიდეს, ჩვენი ბრალი იქნება, — უთხრა ხემიდმა.

— შენ კი ძალიან დაგემადლებთ. — დაუმატა ნარგიზამ.

მამუდი დარწმუნდა, ბავშვები სერიოზულად ფიქრობენ საზღვარზე გადასვლასო, და ღიმილით უთხრა მათ:

— კარგი, დაგტოვებთ, მაგრამ ხვალ კი სელიმ-აღას ვერ დაენახვებით, იცოდეთ, ძალიან გაბრაზებული იქნება.

— მოვახერხებთ რამეს. — უთხრეს ბავშვებმა, მადლობა გადაუხადეს და კმაყოფილი გაისტუმრეს სელიმ-აღას მსახური.

• •

დაბნელდა. ცაზე ვარსკვლავები აკიაფდნენ, ხევს გაღმა გორაკებზე გაშენებული სოფელი თითქოს ცას შეეჯიბრა — ელნათურებით დაიტვირთა და გაბრწყინდა, მყუდროება გამეფდა. ქვემოთ, ხევში, ორ ქვეყნის შუა მდებარე პატარა წყაროს რაკრაკი ისმოდა მხოლოდ.

და-ძმა, თავიანთ სახლის წინ ხის ძირში მიმსხდარნი, უხმოდ უგდებდნენ ყურს წყაროს რაკრაკს და იმ წამს შენატროდნენ, როცა იმ მორაკრაკე წყაროზე გადაადგამდნენ ფეხს და მეორე ქვეყნის მხარეს მოექცეოდნენ.

მთელი ღამე ფხიზლობდნენ ობლები. დროს უცდიდნენ, იმ დროს, როცა თურქი ასკერები გათენებისას ჩვეულებრივ წასთვლემდნენ და საზღვრის ხაზს მათი თვალი მოშორდებოდა.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, იმ ადგილას, სადაც ბავშვები ფიქრობდნენ გაძრომას, იმ ღამეს არავის გაუვლია. ნაშუადღეს ასკერებმა მხოლოდ სერი აიარეს და შემდეგ არ გამოჩენილან.

— ნეტავ არც გამოჩნდებოდხენ, — ნატრობდნენ ბავშვები და გულის ფანცქალით იცქირებოდნენ ხევში, სადაც რამდენიმე წუთის შემდეგ მათ უნდა გაევლოთ.

— აბა დავიძრათ! — წასჩურჩულა ნარგიზამ ძმას, კაბა მაგრად შემოიხვია ტანზე და ფრთხილი ნაბიჯით ჩაჰყვა ბილიკს. მას ხემიდი მიჰყვა, ასე მივიდნენ აკრძალულ ზონამდე. იქ შეჩერდნენ, მიავლ-მოავლეს თვალი იქაურობას და, რომ ვერავინ შენიშნეს, მავთულ-ხლართს მიუახლოვდნენ, დაიხარნენ, მიწაზე გაწვნენ და ფორთხვით წავიდნენ. ის იყო, მავთულხლართში უნდა გამძვრალიყვნენ, რომ უეცრად რაღაცამ იელვა ჰაერში და მიწაზე გაწოლილი ხემიდის ზურგში მძიმედ ჩაეცა.

— ჰაი! — ამოიყვირა ბავშვმა და პირიდან სისხლი წასკდა.

— მიშველეთ! — შეჰკივლა ნარგიზამ, მაგრამ აქეთ-იქიდან შემოსეულმა ასკერებმა მას ხმა დაუხშეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და გაიტაცეს.

გალაქტიონ ტაბიძე

საქართველოს სახალხო პოეტი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გალაქტიონ ვასილის ძე ტაბიძე დაიბადა 1892 წელს სოფ. ჭევიშში (ვანის რ.) პოეტის მამა მასწავლებელი იყო. იგი ადრე გარდაიცვალა და გალაქტიონი დედის მზრუნველობით იზრდებოდა. გალაქტიონმა ჯერ სოფლის სკოლა დაამთავრა, შემდეგ ქუთაისში გადავიდა, შემდეგ კი თბილისში.

გ. ტაბიძის პირველი ლექსი 1908 წელს დაიბეჭდა. ამ წლიდან პოეტი უახლოესი თანამშრომელი იყო მაშინდელი ყურნალ-გაზეთებისა. 1914 წელს გამოვიდა გ. ტაბიძის ლექსების პირველი კრებული, ხოლო 1920 წელს ლექსების მეორე კრებული.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში გ. ტაბიძე ლენინგრადში იმყოფებოდა. რევოლუციამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა პოეტზე და დაუკავშირდა იგი რევოლუციურ თანამედროვეობას.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გ. ტაბიძის პოეტური შემოქმედება გაფართოვდა. მან მრავალი შესანიშნავი ლექსი დაწერა, სადაც ასახა ჩვენი სოციალისტური სინამდვილე.

გ. ტაბიძის ლექსები თარგმნილი და გამოცემულია მოძმე რესპუბლიკებისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების ენებზე.

ახალგაზრდობას

ახალგაზრდა ახალ გზნებით
ხალხში უნდა ტრიალებდეს,
გრდემლსა სცემდეს და
მინდვრადაც
მერანს მიაქრიალებდეს.

სადაც იგრძნობს უმართლობას —
შურისგებით იალებდეს,
კვლავაც რწმენის და სიმართლის
დროშას ააფრიალებდეს,

რომ ხელმარჯვედ მოქნეული
ომში ხმალი წკრიალებდეს,
რომ მტერს მისგან სასიკვდილოდ
ტანში გააჟრიალებდეს,

რომ შვიდობის დროს წიგნებზე,
ტყის ფოთლები შრიალებდეს,
რომ უხუცესთ მიმყოლი გზით
ახალს გააკრიალებდეს,

რომ სამშობლოს ერთგულების
ფიცის სიტყვა ბრიალებდეს
და სახალხო მგოსნის ჩანგიც
გამარჯვებით გრიალებდეს.

ზღვაზე ბავშვების ბედნიერ სირბილს

ზღვაზე ბავშვების ბედნიერ
სირბილს
ეხმაურება ხმა მრავალ
მერცხლის.
ზეცის სიმწვანეს, მიწის
სირბილეს
აერთებს ეს ხმა მზიური
ვერცხლის.

მშვენიერია ეს გრძნობა ბაღში —
უეცარ ძალით რომ შეიქნება,
იყო და ახლაც არის ის ბავშვი,
არის ბავშვი და მარად იქნება.
ასე: მარადის არსებობის ხეს
არხევს ნიავთა წუთიც, წამიცა;
რამდენი ბავშვი შეჰხარის ამ დღეს
რა ახალია ეს დედამიწა!

მშობლიურო ჩემო მიწავ

სამი დიდი ოკეანე
გარე უვლის ნათელ მხარეს,
მთვარიანი და მზიანი
ზეცა აფრქვევს სიანკარეს.
ორ ზღვას შუა ძველის-ძველად
საომარი იყო ლელო —
ის გადარჩა და სახელად
ეწოდება საქართველო.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს
ვფიცავ,

რომ დავიცავ შენს დიდებას,
წინაპართა ძვლებს დავიცავ!
მიყვარს კავკასიის ქედი,
ეს ამერი და იმერი,
მისი „ხელი ხმალს იკარ“ და
მისი „მრავალჟამიერი“.
მიყვარს მრავალ ჭირნახული
ის გურია და სვანეთი,
თუში, ფშავი და ხევსური,
აჭარა და თრიალეთი.
მშობლიურო ჩემო მიწავ,

შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს უფლებას,
შენს უფლებას სისხლით
ვიცავ!

აღმოსავლეთ-დასავლეთის
გზა მიხვეულ-მოხვეული,
ხმა მეგრული, აფხაზური,
ლაზური და მოხევური.
რამდენ ძარცვას, რამდენ რბევს,
გადაურჩა ქართლ-კახეთი!
შორით რაჭა-ლეჩხუმია,
ახლო მესხეთ-ჯავახეთი.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს
ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს ტკბილ ენას,
შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ.
აგერ წინამძღვრიანთ კარის
ქარი არხევს ზვარის სამოსს
და ხავერდი სავსე მთვარის
მოჰფენია საგურამოს.

დიდი გზებით მიდის ძველთა
დიდება თუ დამარცხება.
გადმოგვყურებს ზაჰესის მზე
და არაგვიც არა ცხრება.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს
ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს სიმართლეს,
სისხლით ნაპოვნ გზებს
დავიცავ!

მიწა, სადაც ვხნავთ და ვთესავთ,
მოკირწყლული იყო ძვლებით,
მოღაღადე უკეთესად,
ვინემ უსახელო წლები.
იმ წარსულთან რა ძლიერი
ანათებს აქ დროის თვალი,
რა რიგად ჩანს მშვენიერი
საქართველოს მომავალი!
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს
ვფიცავ,
რომ დავიცავ იმ მომავალს.
იმ მომავლის მზეს დავიცავ.

და ხმალივით ბასრ იდეას
საქართველოს ახალ ხანის,
ჰგავდეს რკინის ნებისყოფა
თვითეული ჩვენთაგანის.
გამარჯვების გზებით მოდის
თვითეული დღე ფრთამალი,
რომ არ ჩანდეს კვლავ იმ დიდი
სიდუხჭირის ნატამალი.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს
ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ!

როსმე მეფე ფარნაოზი
იგონებდა ქართულ ანბანს
და წიგნები მოგვითხრობენ
გარდასულთა დროთა ამბავს.
მიყვარს ძველი წიგნების შლა,
მშვენიერი ძველი ენა,
სული ქართლის ცხოვრებისა,
რუსთაველის აღმაფრენა.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს
ვფიცავ,
რომ დავიცავ უძველეს განძს,
იმ უძველეს წიგნს დავიცავ.

მიყვარს ძველი წიგნების შლა,
მშვენიერი ძველი ენა,

კიდევ რაც ამ ოცი წელის
    გაიშალა აღმაფრენა, —
რაც ამბავი მოფენილა,
    რაც ამბავი აწყობილა —
სხვა — მეოცე საუკუნე —
    არასოდეს არ ყოფილა.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
    შენს საყვარელ სახელს
ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს ახალ გზებს,
    შენს უახლეს წიგნს დავიცავ.

ეხლა ვერვინ ვეღარ გეტყვის
    საქართველო ნაწამებო,
იმერეთი ქართლს განუდგა,
    საკუთარი სურს სამეფო.
ვერ წამოვა თემურ-ლენგის
    იმნაირი ხმა და ზარი,
თბილისს ტახი რომ არბევდა —
    ჯელალ-ედინ — ხორეზმ-შაჰი.
მშობლიურო მიწავ,
    შენს საყვარელ სახელს
ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მშვიდობას,
    შენს მშვენიერ მთებს დავიცავ.
ქარმა მიანგრ-მოანგრია
    ძველი ქვეყნის საბუდარი,
და გვაქვს უბედნიერესი
    ჩვენი მხარე — საკუთარი.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
    შენს საყვარელ სახელს
ვფიცავ,
რომ დავიცავ ხალხთა ძმობას,
    მეგობრობის ფიცს დავიცავ.

თუ მრავალგზის დანგრეული,
    დღეს ძლიერი გახდა მხარე
და მოედო სოფელს, ქალაქს
    განახლების ნიაღვარი,
თუ გრიგალი მშენებლობის
    ამეტყველებს თვით ქვა-
ლოდებს —
ეგ მისთვის, რომ ჩვენ სტალინი
    ახალ გზისკენ მოგვიწოდებს.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
    შენს საყვარელ სახელს
ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
    შენი დროშის ფერს დავიცავ!
თუ ბუნების მოკვდავ კაცებს
    გვიერთდება აღტაცება,
გვეუბნება, გაგვიტაცებს
    მომავალის დიდი მცნება,
თუ ყოველი ახალი დღე —
    ახალ სიმაგრეებს აგებს,
ეგ მისთვის, რომ ჩვენ სტალინი
    მუდამ წინსვლას გვიქადაგებს.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
    შენს საყვარელ სახელს
ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს სიმაღლეს,
    შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ.

ჩვენი ქვეყნის მომავალი
    საგანია ჩვენი ზრუნვის,
შენ შესძელი დაფასება
    ჩვენი მძლავრი საუკუნის.
გაიარე სევდის მგვრელი
    გზათა სივრცე და საზღვარი,
გადალახე ღამე ბნელი
    და ბურუსი ყოველგვარი.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
    შენს საყვარელ სახელს
ვფიცავ,
გიცავდი და გიცავ მარად,
    გიცავდი და კვლავ დაგიცავ!

გიორგი ლეონიძე



პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ნიკოლოზის ძე ლეონიძე დაიბადა 1899 წელს სოფ. პატარძეულში (გარე კახეთი), სახალხო მასწავლებლის ოჯახში. ძაძა ადრე გარდაეცვალა და მომავალ პოეტს დედამ შეასწავლა წერა-კითხვა. დაწყებითი სწავლა გ. ლეონიძემ სოფელში მიიღო, შემდეგ შეიყვანეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, საიდანაც გადავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1918 წელს. უმაღლესი ცოდნა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გ. ლეონიძის პირველი ლექსი „მცხეთა“ დაიბეჭდა 1911 წელს. პოეტი თანამშრომლობდა საბავშვო ჟურ. „ჯეჯილსა და „ნაკადულში“, აგრეთვე „განათლებაში.“

გ. ლეონიძე ლიტერატურის ცნობილი მკვლევარია, გამოქვეყნებული აქვს მრავალი გამოკვლევა ქართულ ისტორიულ ეპოსზე („შაჰნავაზ- ზიანი“, „დიდმოურავიანი“ და სხვ.), აგრეთვე ცალკეული მონოგრაფიები. „სულხან-საბა ორბელიანი“, „ბესიკი“, „მგოსანი საათნოვა“, „ივანე მაჩაბელი“ და სხვა.

გიორგი ლეონიძე გამოჩენილი ქართველი ეჩიკოსი და ლირიკოსი პოეტია.

გ. ლეონიძის ლექსები და პოემები რამდენჯერმე გამოცემულია რუსულად, აგრეთვე საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა ენებზე.

„დედა-ენა“

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბამი ფურცელი,
ჩვენს ყრმობაში ჩართული!
დედის ძუძუ მეორე,
სიყვარული პირველი,
ჩვენს აკვანს შემომჯდარი,
მგალობელი ფრინველი.
იავნანის ნიავში
ჩვენს ყურთან რომ გაისმა,
ყრმობა რომ გვისურნელა,
როგორც ბაღი მაისმა.
ტკბილად რომ გაგვიხარა
ჩვენ ბავშვობა ბეჩავი —
შავი კაბით გაზრდილებს,
გახუნებულ ლეჩაქით.
ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოხლართული!

ვეფხისტყაოსანს

ხელში აგიღებ... გაკოცებ,
კიდევ ჩაგკოცნი... ჩაგიქერი;
წიგნი კი არა, — ერეოლა ხარ
ჩამოქაფული ჩანჩქერის.

წიგნი კი არა, — ბაღი ხარ,
ოქროს ცვარჩამოწვეთილი;
გაშლილი ბაირაღი ხარ,
ლექსის ფრთა გაუცვეთელი!

წიგნი კი არა, — დილა ხარ,
ქართველი ხალხის ნათელი.
გულის ფესვებში გინახავ,
გულში ხარ გამონათალი.

ქალალდზე გწერენ... სიტყვების
ნაცვლად ლალები სხდებიან;
გბეჭდვენ —
ნიშნები სტამბური
ვარდებად აყვავდებიან.

გკითხულობენ და გმღერიან
ლხინით გულ-დამერცხლებული;
შენგან ჰყავს ხალხის სიცოცხლეს
სიკვდილი დამარცხებული!

უთენებელი ბნელეთის
შენ ერთი გვყავდი მთეველი;
სიმდიდრე ბევრი წაგვართვეს,
შენ დაგვრჩი წაურთმეველი!

შენ არ გჭიროდა სახიზრად
ჯამოქვაბულთა წყვდიადი.
არწივის ფრთაში ჩასაფრდი,
ქოხის ნაცარში ბრწყინავდი.

გწვავდნენ და არ იწვებოდი,
ცეცხლში დიდების მხვეჭელი.
ვერც ქარიშხალი გფანტავდა,
ხეების ამომგლეჯელი.

შენ ხმალის ღარზედ ეწერე,
ანდერძი ოქროხმოვანი:
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,
სიკვდილი სახელოვანი!“

წიგნო, წინ მიუძღვებოდი
ხალხს უკვდავების ნაღარით;
შენ გწერდა დიდი რუსთველი,
თავს ოქროგადანაყარი.

შენ გწერდა ცისკრის კამკამი,
ხეთა ხმა, ზვავის ზრიალი;
შენს კალამს ორბი ჰზიდავდა,
ტყავს — ვეფხვი თანაზიარი.

შენ გწერდა ქალის წამწამი,
ვაჟკაცის მკერდი გმირული,
შენ ხალხი გწერდა მხედარი,
ბრძოლით გულამოკირული.

შენ ჩვენი სიჭაბუკე ხარ,
გული არ დაგიძველდება,
სიმღერა, დილას ნამღერი,
შვიდასი წელი გრძელდება!

•

აახმაურე სამშობლო
ჯარისკარ ჩამოიარე;
ზოგს პურ-მარილზე შეესწარ
და ზოგს უხვევდი იარებს.

მიჯნურს, გულადუღებულსა,
სიცოცხლეს დაუელვარებ;
ლაშქარს უსარდლებ სარდალი,
ხელში ხმალს აძლევ მღელვარეს.

სიყვარულს სიყვარულითა,
ძმობით ძმას ეპასუხები,
დიდ ჭირში დაგვაფოლადებ,
დავდგებით, როგორც მუხები.

•

შენ ხელსატაცი სიტყვა ხარ,
დიდია შენი სახელი;
ნთების სიბრტყენი გადასჭერ,
სამშობლოს გარეთ გახველი.

შენი სიბრძნე და ოცნება
გულში აქვთ გამოკვანძილი;
ჩამოურიგდი ქვეყანას,
როგორც დიდი მზის ნაწილი.

კარებს გიღებენ ტკბილ სტუმარს
ქალაქები და სოფელი,
სიმღერა გულში ნათქვამი,
გახდი მსოფლიოს მფლობელი.

გაქანდი, ოქროსფრთიანო,
გასცდები ქვეყნის ნაპირსა, —
შენ დედაჩემის მზითევო,
ფარ-ხმალო მამა-პაპისა!

პატარძეული

პატარძეული... ჩემი სოფელი,
ბავშვობის კერა, — პატარძეული,
ჩემი აკვანი წნორის ტოტისა
იქა ყოფილა გადარწეული.

იქ მზრდიდა ხალხი... იქ მზრდიდა
დედა
და ხალხის ფიქრი ათასწლეული...
მახსოვს, ეზოში დიდი ფშატის ხე,
სიბერისაგან გადაქცეული.

იმ ხის ფესვებში მელანდებოდა
ხალხის მზის ოქრო და განძეული...
ჩემს მზეს ბორბლები არ
დამტვრევია,
ჯერ შუადღე მაქვს არ
დალეული...

მე მინახია ბევრი ქვეყნები
და ქალაქები ათასეული,
მაგრამ სუყველგან მე ხელს
მიქნევდა
ჩემი პატარა პატარძეული.

შინმოუსვლელო, სადა ხარ?

შინმოუსვლელო, სადა ხარ,
შენ ხომ თბილისი გიყვარდა?
სად ლპება შენი ქოჩორი,
თვალი სად ამოგიღამდა?

თბილისში ვარდი აყვავდა,
შენ სად არჩიე დარჩენა?
ნეტავი წამოგახედა,
მთაწმინდა კიდევ გაჩვენა!

შორი გამხდარა სავალი,
რამდენიც გინდა იარო;
აღარც ჩანხარ და ვერც მოხვალ,
მხედარო გულნატყვიარო!

პირს დაგრჩენია ღიმილი
სამშობლოს მოგონებისა,
კიდევ თუ გესმის მტკვარის ხმა,
გუგუნი ქართლის მთებისა?

მინდვრის შამბნარმა დასუდრა
შენი ობოლი საფლავი;
თმაგადაშლილი ქალივით
დაგაბრწყინდება ვარსკვლავი!

დედის ცრემლების სანაცვლოდ
გასველებს ღამის ნაწვიმი,
ნაქროლი საქართველოდან
ფრთას დაგაბერტყავს არწივი!

თვალში გვაკლიხარ, სადა ხარ,
შენ ხომ თბილისი გიყვარდა?
შენი ქართული მარჯვენა
სად ჩაიშალა თიხადა?

მიჰყავდი იერიშებზე
სამშობლოს, ვინც შენ დაგბადა,
დედის ლეჩაქს და ყრმის აკვანს,
საფლავებს მამა-პაპათა.

ცეცხლით ნადუღარ გრიალში
დაეცი გმირი გულჩქარი;
და ახლა ჩუმად შრიალებს
შენს სამარეზე ბუჩქნარი...

მაგრამ უეცრივ მაშხლები
ვარდისფრად აფეთქდებიან
და ქალაქები თავდახრით
შენს წინ სალამში დგებიან;

დაგბაასობენ გუგუნში
ალერსიანი მადლობით,
რომ დააბრუნე სიცოცხლე,
ნართმევი უსამართლობით.

სისხლით სიცოცხლის მიმცემი
სიკვდილის უბეს სცილდები,
გმირო, დამხსნელო, ჩვენ შორის
მზესავით განაწილდები, —

რომ უფრო მეტად ნათობდეს
შენი სამშობლოს დიდება,
მზე, გმირის ხმალზე მბრწყინავი,
არასდროს დაიბინდება!

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

რომელ მერანზე მოფრინდი,
რომელ მქროლავი რაშითა?
„ლილეოს“ ქუხილთა ხმებში,
ნიაღვარების ტაშითა!

ვინა თქვა, სინაზით მოხვალ,
ენძელებით და იითა?
სადაც მწვანე ფრთას დაიქნევ,
ვაჟკაცურ ძგერას მიიტან!
სალამი,
ასჯერ სალამი!
შენ, გაზაფხულის დგრიალო!
ყინულს დალეწავ,
ხმატკბილად
წყარომ რომ დაიწკრიალოს...
მე გულს დაელეწავ,
ნაკვესარ
ლექსმა რომ დაიძგრიალო!
შორიდან გეხარხარები:
მოდი, სულ ერთად ვიაროთ!

ᲕᲣᲛᲚᲔᲠ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

სულ ჩემი გულის მონაწურია,
რაც დაეპწკარა ქაღალდს
ლექსები,
ვუმღერ სამშობლოს, კიდევ
მწყურია,
და მის სიყვარულს
დავემწყემსები.

მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის
ძირები.
სიცოცხლეს ვერვის დავესესხები,
თუ სამშობლოსგან გავიწირები!

მარადი შუქით ბრწყინვალებს იგი,
მისი ნათელი დამთოვებია,
სიცოცხლე—მისი მშვენების იქით
ერთ ნაბიჯზედაც არ მდომებია!

აეღერდეს მისთვის პოეტის ენა
და ტკბილი სიტყვის
გამართულობა;
ვით ღონიერი ნიაღვრის დენა, —
ჩემი თქმულობა,
ლექსქართულობა!

დამდგარა ჩემი სიმღერის
ჯერი, —
ეს ყვავილები მე დავაგროვე;
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის
მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე!
გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ
მნახველი;
სამშობლო — ჩემი გულის
ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის
სახელი!

ᲛᲐᲛᲐᲞᲐᲞᲣᲠᲝ ᲙᲔᲠᲐᲝ...

მამაპაპურო კერაო,
შენ ხომ მისათვის ბოლავდი,
რომ რკინით გული გეკვერა
და გეწრთო სულის ფოლადი!

მთებო, თქვენ შთაგიბერიათ
გმირული გამბედაობა
და მისთვის თქვენი ფერია
ქართლის ლომკაცთა თაობა.

ხალხო, ცხოვრება მზებნელი
ხმლის ელვით გინათებია,
თავისუფლების მძებნელი
გმირი გმირს გიმატებია.

შენს დროშის ტარზე ჭიდილი
ბევრჯერ უყვარდათ ყორანთა
და ბევრჯერ თვითონ სიკვდილიც
გაგიჩეხია ორადა!

იცოცხლე! მუდამ დაჰქროდეს
შენი ფრთაცეცხლი მერანი;
გიყვარდა გულის სიცეცხლე
და მომავლისკენ მზერანი...

წიგნი „ქართლის ცხოვრება“

გაშალე... ყველა ფურცელი
არის ფოლადის ნაცარი,
დამსხვრეულ ხმალთა ერიალი,
დეკეცთა ნამამაცარი.

გაშალე... ყველა ფურცელი
გულზე ნაწოლი ლოდია...
დოლბანდიანი ჯარები
სიკვდილის პირით მოდიან.

შავი დროშებით ნისლივით
სამშობლოს დაეფინება,
ხმალს სისხლის ორთქლი აუვა,
სიკვდილით დაიკბინება...

საფლავად გაემზადება
ციხე-გალავნის თხრილები, —
ქალი და ბავშვი აწყვია
კოშკიდან გადმოყრილები.

ისმის ტყვეების ჟღივილი,
კვამლში ბღავიან ხარები...
ქერქებგახდილი ხეები...
დამწვარი ნასახლარები...

და რაც თმას ყალყზე აყენებს,
რაც მწარედ გვემახსოვრება, —
ქართლის მკვლელობის ძველ
ამბებს,
უწოდეს „ქართლის ცხოვრება“.

არნო ონელი



არნო ონელი (ალექსანდრე კაციას ძე ბურდილაძე) დაიბადა 1901 წელს სოფ. ძოედანში (ონის რ.), გლეხის ოჯახში. მშობლებმა მიაბარეს ონის საქალაქო სასწავლებელში, რომელიც 1918 წელს დაამთავრა. 1919 წლიდან მასწავლებლობდა ამბროლაურის რაიონში. 1921 წლიდან გადმოვიდა თბილისში, სადაც განაგრძო სწავლა და ლიტერატურული მუშაობა.

არნო ონელმა ლექსების წერა დაიწყო საბჭოთა პერიოდში და ორი ათეული წელია მუშაობს საბავშვო პოეზიაში. მისი პირველი საბავშვო პოემა „ცრემლი და სიხარული" გამოვიდა 1935 წელს.

არნო ონელი მუდმივად თანამშრომლობს ჩვენს საბავშვო ჟურნალებში.

მერაბი

ასეთი კარგი ყმაწვილი
ვის გულს არ გაახარებდა;
არავინ დამდურებია
ჯერ არც შინ და არც გარეთა.

წითელ ყელსახვევს ატარებს,
ის ნორჩი პიონერია,
უყვარს სიბრძნე და სიკეთე,
ავის და ცუდის მტერია.

დილით, როცა მზე ოქროს დეზს
შემოჰკრავს ღრუბლის ტაიჭებს,
ვერასდროს მერაბს ლოგინში
მწოლარეს ვერვინ დაიჭერს!

გულს რომ იჯერებს ვარჯიშით,
ტანს იზელს, ხელ-პირს დაიბანს,
წიგნებით ხელში, მალხაზი,
მსწრაფლ მიაშურებს აივანს.

დაჯდება და გულმოდგინედ,
განა კაჭკაჭისებურად,
კვლავ გადიკითხავს გაკვეთილს,
გუშინ რომ დაიზეპირა.

მერე დედ-მამას, პაწია
და-ძმებსაც მიეფერება;
ისაუზმებენ. ფრთას შლიან
შვება და ბედნიერება!

ახლაც, ისე ვით ყოველთვის,
კარგი თუ ცუდი დარია,
სკოლისკენ მიდის მერაბი,
მიდის და მიუხარია.

მიდის და მიუხარია
მარტო იმიტომ კი არა,
რომ გზაზე ნაირ ფრინველთა
გაისმის ხმები წკრიალა,

ან მშობლიური მიდამო
მზითა და ფარჩით შემკულა...
არა, ის დღესაც თავის ვალს
მოიხდის წარჩინებულად!

მერაბი უკვე კლასშია,
ლაღი, თვალგაბრწყინებული,
მიესალმა და გულთბილად
შეხვდა ამხანაგთ კრებული.

აი, ფეხის ხმა მოისმა,
ხმა ყველასათვის ცნობილი,
შემოდის მასწავლებელი,
სათნო და კეთილშობილი.

ყველა მას უმზერს ღიმილით,
მზეა თუ ნატვრისთვალია?
რას ბრძანებთ, ერთი უბრალო,
შრომისმოყვარე ქალია!

მასწავლებელმა რუკასთან
გაიხმო ჩვენი მერაბი,
იმანაც შემოუხაზა
ქვეყნები ფერად-ფერადი.

და როცა მისწვდა წითელ ფერს,
ერთ ხანს ღიმილით უყურა:
— ეს არის ჩვენი სამშობლო,
მშვიდობის დიდი შუქურა!

აბა, ასეთი ყმაწვილი
ვის გულს არ გაახარებდა?
მართლაც რომ საყვარელია
მერაბი შინ და გარეთა!

ᲨᲘᲝ ᲛᲚᲕᲘᲛᲔᲚᲘ

სპეტაკი და მომხიბლავი
ყველას გულთან მიდის იგი,
როგორც სიბრძნე-სათნოების
და სიკეთის დიდი წიგნი!

მის სტრიქონში მაისია —
ჩვენი 'ყრმობის ოქროს ხანა,
ჰყვავის. ია და ენძელა,
გაზაფხულს რომ მოჰყვა თანა.

მის სტრიქონში ნიავის და
ნაკადულის ისმის ნანა,
ბულბული სტვენს,
სტვენს ბულბული,
გაზაფხულს რომ მოჰყვა თანა.

ყაყაჩოებს ფრთებით ჰკოცნის,
უალერსებს მწვანე ყანას —
ეს კუდრაჭა მერცხალია,
გაზაფხულს რომ მოჰყვა თანა.

მის სტრიქონში თვით ბუნება
ჰანგებს ამბობს საარაკოს,
და ხან პეპლის, ხან ყვავილის
ტკბილი ენით ლაპარაკობს!

ყველა ოჯახს, ყველა სკოლას
ახარებს და ალხენს მეტად,
დიდმა ბავშვმა ნორჩებისთვის
რა ლექსი არ გაიმეტა!

მის სტრიქონში მზე კაშკაშებს,
საამურად მღერის წყარო,
აზრი ბრწყინავს,
ბრწყინავს აზრი
დიდ სამშობლოს სანეტაროდ.

სიყვარულის წრფელი გრძნობით
ყველას გულთან მიდის იგი —
ძია შიო! სათნოების
და სიკეთის დიდი წიგნი!

პატარა ტირიფის ჩივილი

წყაროს მახლობლად ვხარობდი,
წყარო მიმღერდა ნანას;
თუ მტერი გამიჩნდებოდა,
ვინ იფიქრებდა ამას.

ყველას ვხვდებოდი ღიმილით,
ფოთლების ჩუმი ტაშით,
შრიალი აბრეშუმისა
ისმოდა საფუთ ხმაში.

რამდენჯერ მითქვამს სიმღერა,
მზის და სიცოცხლის ქება;
ნიავმა მისალამურა,
ეუეუნა წვიმამ მკვება.

ასე ვხარობდი წყაროსთან,
ერთად ვმღეროდით ნანას;
თუ მწუხარება მელოდა,
ვინ იფიქრებდა ამას.

ერთხელ მოვიდა ბიჭუნა,
ის თავხედი და ავი,
მტერს ნუ დამართოს, რაც იმან
დღე დამაყენა შავი.

ჩემს თვალწინ დანა გალესა,
და ამ გალესილ დანით
მომდგა და შეუბრალებლად
სულ დამისერა ტანი.

ვუთხარი: „ბიჭო, გრცხვენოდეს,
როგორ მიმეტებ ასე:
მეც ხომ მომავალს შევხარი,
გული შვებით მაქვს სავსე;
მეც ხომ შენსავით ნორჩი ვარ,
მეც ხომ სიცოცხლე მინდა!“
მეტ ტკივილს ველარ გავუძელ,
და ცრემლი გადმომდინდა.

ბიჭუნა შედგა, ჩაფიქრდა,
ძირს დაუვარდა დანა,
თქვა: „არასოდეს მომივა
შეცდომა ამისთანა!“

მას შემდეგ დიდხანს ვიტანჯე,
ძლივს მოვიშუშე წყლული;
ის ბიჭუნაზე, ბავშვებო,
ახლაც კი მწყდება გული.

გზა, რომელიც ბრწყინავს მარად

რამდენია მთა და ბარად
გზა დიდი და გზა პატარა,
გზა — დედულეთს მიმავალი,
გზა — წყაროსკენ მიმავალი,
გზა დიდი და გზა პატარა.
მე ამ გზებმა შემაყვარა
მშობლიური ცის კამარა,
ნეტარებით დამატარა
შრიალა ტყე, ტბა ანკარა!
და შვიდი რომ შემისრულდა,
იცით მე რომ გამახარა?
სისხამ დილით, როს ცვარ-ნამით
კამკამებდა მინდორ-ყანა,
მე ერთმა გზამ ჩანთით ხელში
სკოლის კართან მიმიყვანა!
ამის შემდეგ მთა და ბარად

ამ გზას სხვა გზა ვინ ადარა?
ყოველი გზა მასთან მოდის,
აქედანვე მიდის ყველა
სიყვარულის,
ცოდნის,
სიბრძნის
საძებნად და საპოვნელად.

რამდენია მთა და ბარად
გზა დიდი და გზა პატარა,
მაგრამ გვხიბლავს სულ
სხვაგვარად;
გზა — სკოლისკენ მიმავალი,
გზა, რომელიც ბრწყინავს მარად!

მეგობრობაც ამას ჰქვია

1

მთელი კლასი ფიქრს მიეცა:
ორი დღეა არ ჩანს დალი,
ბეჯითი და გულმოდგინე,
ოჯახის და სკოლის თვალი.
არვის ახსოვს, გაკვეთილი
გაეცდინოს თუნდაც წუთით,
ალბათ ახლა რამე მოხდა,
ამბავია რაღაც ცუდი.

ეი, დალის ეზო... სახლი,
სიჩუმეა, არვინ არ ჩანს,
მხოლოდ ბაღი მხიარულად
აშრიალებს მწვანე ფარჩას.
კართან სამი ქალიშვილი
დგას და დალის ელოდება...

კარს გააღებს ნელა-ნელა
ფარნაოზი ცეროდენა,
მის უკან დგას მზევინარი,
ჭრელკაბა და შავთვალწარბა,
არვინ არის დამხვდურთაგან
ამ პატარა და-ძმის გარდა.

— დალი! — უხმო მზევინარმა,
გამოხედე... სტუმრებია,
და აქ მთელმა კოლექტივმა
თითქმის ერთხმად დაიძახა:
— ნინოს,
ნელის
და ნანულის
დაევალოს დალის ნახვა!

სამ ამხანაგს, ქალო, შენი
ნახვა მოუსურვებია!
მოცქრიალდა უცბად დალი,
გაიხარა მათი მოსვლით
და საყვარელ სტუმრებს შეხვდა
ღიმილით და პირზე კოცნით.

და როდესაც შინ შევიდნენ,
ყველამ იქით მიიხედა,
სადაც სათნო და ფერმკრთალი
ავადმყოფი იწვა დედა.
მხოლოდ მაშინ,
მხოლოდ მაშინ
გაიფიქრეს იმათ გულში,
თუ რის გამო არ ყოფილა
ის სკოლაში დღეს და გუშინ!

3

ჩვენმა კარგმა გოგონებმა,
ხალისით და მონდომებით
გაკვეთილებს მიჰყვეს ხელი,
და გულდასმით დაისწავლეს
გუშინდელი დავალება,
დავალება დღევანდელი!

ახალი რომ შეითვისეს,
გაიხსენეს მერე ძველიც,
ხვალ არც ერთი იმათგანი
ორიანს და ცრემლს არ ელის.

ეზო-ბაღსაც დაუარეს,
იქ — სარწყავი, აქეთ — ბარი,
და მათ ნიშნად მადლობისა
თავს უბრიდა ყვავილნარი.

განა მარტო ეს იქმარეს?
დატრიალდნენ, როგორც ჯარა —
სარკესავით აპრიალდა
იატაკი, კარ-ფანჯარა.

დედა უმზერს.
გელი ხარობს,
თვალიც ხარობს მათი მზერით,
შენც, სამშობლო, გიხაროდეს
თაობა გყავს მშვენიერი!

სკოლაში და სკოლის გარეთ

ყველას უკვირს გელას საქმე,
გაოცებით ამბობს ყველა:
— სკოლაში რომ კარგად
სწავლობს,
ხუთები აქვს ამოდენა,
გაკვეთილს წინ და შემდეგ
სულ რომ დადის მოღიმარე, —
ასე ავი, ასე ცელქი
რატომ არის სკოლის გარეთ?

მართლაც, სწავლის ოსტატია,
ახსოვს წიგნის ყველა პწკარი.
იცის, სად რა ქალაქია,
რა ქვეყანა საით არის;
დედამიწის წარმოშობა,
ხნოვანება, წონა, ზომა,
ზამთარი და გაზაფხული,
ზაფხული და შემოდგომა!
იცის, სად რა მცენარეა,
ზოგი მარგი, ზოგი მავნე;
რას იტევენ თვის წიაღში
დიდი ზღვა და ოკეანე;
პლანეტებიც იცის გელამ,
მზის ამაგი, მიწის ძალა,
ისტორიის რომელ დროით
რომელი დრო შეიცვალა.
ხომ არ გნებავთ გამოსცადოთ?
ეგებ გელას ჰკითხავთ რამეს?
გიპასუხებთ... გადაგიშლით
რუკებსა და დიაგრამებს!
მაგრამ როგორ მოვუწონოთ,
როგორ შევხვდეთ მოღიმარე,
სკოლაში რომ ასეთია,
სულ სხვა არის სკოლის გარეთ!
აი დილით ადგა იგი,
პირი არც კი დაიბანა
და დედ-მამის უკითხავად
ბაღისაკენ გაიპარა.
და იქ, სადაც ველ-მიდამოს
ხეივანი გადაჰყურებს,
ის შურდულით დაერია
ბეღურებს და მოლაღურებს.

როცა გელას უხმო დედამ,
მაგრამ არსად ჩანდა გელა,
მის საძებრად გააგზავნა
თინიკო და მურიკელა.
აი შეხვდა თინა გელას,
დამ ძმას უთხრა საყვედურით:
— რაც რომ ჩვენში ფრინველია
შენ გიჩივის, შენ გემდურის!
— რაო? რა თქვი? ვის უბედავ?
მე... ვინმე მყავს უმადური? —
ძმამ იწყინა და თინიკოს
აუწია მაგრად ყური!
ატირდა თინათინი,
დაეკიდა წამწამს ცრემლი,
დედამ დაჰგმო, მამამ დაჰგმო
გელას ცუდი საქციელი.
მოდი, გელას გასაგონად,
ჩვენც ვთქვათ სიტყვა
შესაფერი,
— თუ არ გვინდა გავაცინოთ,
გავახაროთ ქვეყნის მტერი,
და ყოველთვის გვქონდეს სახე
ნათელი და მოღიმარე, —
ერთნაირად კარგნი ვიყოთ
სკოლაში და სკოლის გარეთ!

სიმონ ჩიქოვანი

პოეტი სიმონ ივანეს ძე ჩიქოვანი დაიბადა 1902 წელს სოფ. ნაესაკოვოში (აბაშის რ.) საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, რომელიც 1921 წელს დაამთავრა. უმაღლესი ცოდნა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ს. ჩიქოვანი მუშაობდა წითელი არმიის პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ს. ჩიქოვანის პოეზიამ საბჭოთა პერიოდში მიიქცია ეურადღება.

1930 წ. პირველად გამოვიდა ს. ჩიქოვანის ლექსების წიგნი „მხოლოდ ლექსები".]

ს. ჩიქოვანის კალამს ეკუთვნის ლექსების რამდენიმე წიგნი და ლირიკული პოემა „დავით გურამიშვილი".

სამგორის ველზე

სამგორში ვარ, მოვიარე ტბები მლაშე,
მალე ველი იორის წყლით აყვავდება.
შემეყრება გზად მდინარე მოკაშკაშე,
ყურძენი და დოლის პური დახვავდება.

ველს გაპოხავს მომთაბარე წმინდა წყლები,
სამგორში ვარ, ჩრდილი წვება შებინდების.
გავიფიქრე, თბილისის ზღვას მოვესწრები
და სამშობლოს წრფელი ხმებით ვეწინდრები.

გავიფიქრე, განიკურნა ომის წყლული.
ორ კაშხალზე ვოლგის ტალღაც ამაღლდება,
მოირწყვება ვრცელი ველი უდაბური
და თურქმენი ბამბის კრეფით გალაღდება.

ქვიშას შეცვლის პურის ყანა თუ სათიბი,
მზე გალხვება ბაღებში და ბამბის თოვლში.

შეირხევა აშოლტილი ტყე ნატიფი,
როგორც მწვანე მოჩვენება უდაბნოში.

პარტიის ხმა ყოველ კუთხეს გულში წვდება:
ქვა ცოცხლდება, ცა იშლება, ზღვა ხსნის თვალებს,
ხელს ვაწერდით გუშინ ხალხთა მოწოდებას,
დღეს იმ ხელით მთებზე ტალღა მიშრიალებს.

შენც, სამშობლოვ, შრომის ეშხი დაგვასხურე,
ცა აენთო თუ ილიჩის ნათურები,
და მშვიდობის მოწოდებას ვადასტურებთ
სარწყავ არხით და ელექტროსადგურებით.

სამგორში ვარ, მელანდება თვალწინ ვოლგა,
შორს მწკრივდება უთვალავი შუქის ძელი.
ტბები, მთებზე აყვანილი, აგალობდა,
ჩადუღაბდა კომუნიზმის საძირკველი.

სამგორში ვარ, მეჩვენება — სხლავენ ვაზებს,
ყანას მკიან და ველს რთავენ მზის ფერებით.
სამშობლოში შრომამ შექმნა სილამაზე,
შემკობილი ღირსებით და ძლიერებით.

ლიახვის სათავესთან

მძლავრო ლიახვო, გიჟო ლიახვო,
მთებში მჭროლავო ქართლის
მდინარევ,
მინდა ხეობის კარი შეაღო
და გააღვიძო მთები მძინარე.
მოდი, მარგუნე შენი ჯახანი,
გულს გააგონე ტალღის ტლაშუნი.
შენ დაარწიე მთაში აკვანი,
ციხის ცრემლი ხარ თუ მთის
ნაჟური?

ჩემო ლიახვო, მძლავრო ლიახვო,
ბუქით მოქარგე მთების ქუდები.
მინდა ტალღები ჩემს მკერდს
შეახო
და მე შენს ჩქერებს მივეხუტები.

ჩემო ლიახვო, მძლავრო მდინარევ,
ძველად ყივჩაღის ხმალიც ალესე.
მსხვილი შხეფებით თმები ვინამე
და შენს ტალღებში ფიქრი
ჩავთესე.
შენ შეაგროვე ძველად, ლიახვო,
საქართველოში მთების
ცრემლები,

შიხდა ხეობა შუქით შეაღო,
და შენს სათავეს თავზე ვევლები.

შენს ქარიშხალში ბევრჯერ
შევცურე,
მკერდით შევაპე შენი ჩქერები,
ჩემო ლიახვო, ახლა მერწმუნე,
ისევ მოვრბივარ და გეფერები.

ქვეითად განვლე შენი წნორები,
შენს ტალღას ვსვამ თუ
ვეამბორები.
შენ მოგიძერწე თიხის სურები,
გორისკენ შენთან მოვეშურები.

შენით ირწყვება ქართლის ყანები
და მე ყანისკენ მივექანები.

ამანათზე მინაწერი

ეს ამანათი შენ გეგზავნება,
ხელთათმანი და პერანგი თბილი.
დედის ალერსი თუ გეზმანება,
ან ჩვენს ეზოში კაკლის ხის
ჩრდილი.

ომმა დაჰკიდა ყმაწვილ კაცს
ბოხჩა,
კერიას ცეცხლი ჩაუქრო ლულით,
შრომით დაწყობილ საბჭოთა
ოჯახს
მწუხრივით არგო ნამდვილი
წყლული.

ეს ამანათი შინიდან მოდის,
ბეგთარის გვარად მოგითბოს
მკერდი,
გულს დაუყუჩოს ქარიშხლის
შფოთი,
მანვე მოგითხროს გუმანი დედის.

დახვეწილ ძაფზე ყასნაღის
ქროლვამ
ჯავშანს ამგვანა შენი სათბური.
დედის და დების ერთგულმა
შრომამ
აგრე მოქარგა ბაღი ქართული.

ოჯახმა გრძნობა მოქსოვა სათნო,
უმზერს შენ მიერ გამოზრდილ
საროს,
და დედის თვალი, სათნო და
ფართო,
ჰგავს უკვდავებით ავსებულ
წყაროს.

ტანს მოგეხვევა სათბურის ბეწვი,
ჯავარდენის და ჯავშანის ფერი,—
ცეცხლით დაიცვა კერიის
ცეცხლი,
მტკიცედ გააპო მაცდური მტერი.

ვინა სთქვა

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი.

აბა, შეადგით ერთმანეთს მთები,
მთები, შემკული სხივების სირმით,
ააშრიალეთ არწივის ფრთები,
კლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის.

ყოველ მაღლობზე ციხე და კოშკი
ნახეთ, აზომეთ ოსტატის მზერით,
ან მოაგროვეთ უხსოვარ დროში
ჩვენში დაღვრილი ბუნების ფერი.

გაზომეთ ქარი თუ ქარიშხალი,
ჩამწყვდეული რომ ღმუოდა ხევით
წყალი მქუხარი და საშიშარი
და ავარდნილი გუმბათი ზევით,

წინაპრის მიერ განვლილი სივრცე,
ჟამი ძლეული გაფრენილ ცხენით
და გორგასალის ნაბიჯი მტკიცე,
მთად აღბეჭდილი ქართველის
რწმენით.

შეახეთ ბრძოლით გაწვრთნილი
ხელი
დარუბანდიდან მოტანილ კარებს
და გაიხსნება სამშობლო ჩემი,
უსასრულობის შემცველი მხარე.

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი.
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი.

გიორგი ნახუცრიშვილი



გიორგი (გუგა) დავითის ძე ნახუცრიშვილი დაიბადა 1902 წელს თბილისში, მწერლის ოჯახში. სწავლობდა თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1920 წელს. უმაღლესი განათლების მისაღებად შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1928 წელს დაამთავრა.

გ. ნახუცრიშვილის პირველი საბავშვო მოთხრობები: „თაგუნიას თავგადასავალი", „დაკარგული შვილები", „პპის ნაამბობი" და „თაძროს ოცნება" დაიბეჭდა ჟურ. „ნაკადულში" 1920-1922 წლებში.

1936 წლიდან გ. ნახუცრიშვილი აქტიურად მუშაობს ქართულ საბავშვო დრამატურგიაში. მისი პიესები: „ნაცარქექია", „კომბლე", „ლადო კეცხოველი", „პატარა მეომრები" (აჩაკუნე), „ცეცხლის ხაზზე" იდგმება მოზარდ მაყურებელთა და სხვა თეატრებში. 1955 წელს მიენიჭა საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

მამამ გამოგზავნა

(ზემოკლებით)

უკვე შუადღე იყო გადასული და მზე ძალზე აცხუნებდა.

ეს ის დროა, როდესაც ნასადილევი და შრომით მოქანცული გლეხობა ხეების სიგრილეში ისვენებს და მზის გადასვლას ელოდება, რომ კვლავ აგრილებულზე მუყაითად შეუდგეს საქმეს.

ამ დროს სოფლის დიდი ქოფაკი ძაღლებიც კი, რომელნიც სხვა დროს საშინელი ღრენითა და ყეფით აცილებენ გამვლელს, სადმე დერეფანში ყრიან, სიცხით გაბრუებულნი ზანტად სთვლემენ და გზაზე მიმავალთ არავითარ ყურადღებას აღარ აქცევენ.

ამ დროს სოფელში მხოლოდ პატარა ბიჭებიღა ჩანან, რომელნიც ან საბანაოდ მიდიან მდინარეზე, ან შუა სოფელზე ჩამომდინარე ბაღების სარწყავ არხში ჩხირკედელაობენ ფეხებდაკარწახებულნი, ან კიდევ გზებზე თამაშობენ, ორმოებსა სთხრიან, ქვებს ისვრიან.

აი, სწორედ ეს დრო იყო.

სალომე დიდედას უკვე ესადილა და, როგორც მოხუცებულების ჩვეულებას შეეფერება, ფანჯრებზე ფარდებჩამოშვებულ ოთახში გრძელ მამაპაპურ ტახტზე მოსვენებით სთვლემდა.

ერთს ფანჯარაზე ფარდის ქვეშ მოყოლილი ფუტკარი განუწყვეტლივ ზუზუნებდა... შუა ოთახში, მაგიდის გასწვრივ, ნწყობრად დაფრინავდნენ ბუზები და ქორივით ერთ ადგილს დასტრიალებდნენ... განჯინის ქვეშ დროგამოშვებით თაგვი აფხაკუნებდა. ქვევითა სართულში კი პატარა სონა თამაშობდა ნაკუწებით და რაღაცას ღიღინებდა თავისთვის.

სწორედ ამ დროს სალომე დიდედას ეზოს ღობეს სამი პატარა ბიჭი უახლოვდებოდა. ეს ყმაწვილები სალომე დიდედას შვილიშვილის, ლეოს, მეგობრები გახლდნენ, რომლებთანაც თამაშობდა და ერთობოდა ხოლმე ლეო სოფელში ჩამოსვლისას.

მაღალს, თხელთხელს და გამხდარ ბიჭს, რომელსაც ცხვირი დიდ კაუჭად ჰქონდა გადმოშვერილი სახეზე, ვანუა ერქვა; მას თავი ისე მაღლა ეჭირა, გეგონებოდათ, რითიმე ამაყობსო, თან დიდრონ თვალებს აქეთ-იქით აბლატუნებდა და ძველი ქალმებით შემოსილ ფეხებს უშველებელ ლაჯებად მოაბიჯებდა.

მეორე იმაზე მომცრო ტანისა იყო და მოკლედ შეკრეჭილი, თითქმის ქერა ქოჩორი კოხტად დაჰყურებდა მის დაკენკილ სახეს. თვალები და გამოხედვა ეშმაკობით ჰქონდა სავსე და თავიც, მოკატუნებულ ბელიასავით, გვერდზე გადმოგდებული ეჭირა; სახელად კოტე ერქვა და ზურგზე ხელებდაწყობილი საშუალო ნაბიჯით მოსდევდა მხარდამხარ ვანუას. მესამე სულ დაბალი და ჩამრგვალებულ-ჩაბუთხუზებული იყო... სახელად ნიკა ერქვა, მაგრამ ნიკას არავინ ეძახდა. ვიღაცამ ზედმეტ სახელად კუსპა დაარქვა, რადგან მეტად დაბალი და მსუქანი იყო, და მას შემდეგ ყველა ასე ეძახდა. სხვათა შორის, ენაჩლუნგიც გახლდათ და „რ-ს“ მაგიერ „ლ-ს“ ამბობდა მუდამ. სახეზე პატიოსანი და ალალმართალი გამომეტყველება ჰქონდა, თუმცა ამჟამად მისი სახე ტანჯვას უფრო გამოხატავდა, რადგან ვანუასა და კოტეს ძლივს მოსდევდა, ხვნეშოდა, უკან რჩებოდა, ლოყებს იბერავდა, ჩქარა სიარულს ცდილობდა. მაგრამ მაინც ვერ ეწეოდა და მალიმალ სულშეგუბებული ხრინწიანი ხმით ეხვეწებოდა მათ:

— მოიცათ, კაცო, ცოტა ნელა წადით, ბიჭებო!

აი ასე მობრძანდებოდა ეს სამი ყმაწვილი სალომე დიდედას სახლისკენ, — ვანუა და კოტე წინ, ხოლო კარგა მოშორებით ხვნეშითა და ოხვრით ოფლში გაწუწული კუსპა მოგორავდა პატარა კასრივით.

ვანუა და კოტე ეზოში შესასვლელს რომ მიადგნენ, შედგნენ და კუსპას მოუცადეს.

კუსპაც, როგორც იქნა, ქაქანით მივიდა მათთან, შედგა და გრძლად ამოიქშინა.

— ლას გალბიხალთ, კაცო, ცოტა ნელა ველ იკლით? — ყვედრებით წარმოსთქვა კუსპამ და შუბლიდან თითით ოფლი მოიწმინდა.

— ამაზე ნელა როგორღა გვევლო... შენ რომ სიარული არ იცოდე, ვისი ბრალია! — ბოხი ხმით მიჰმართა კუსპას ვანუამ და დაუმატა:

— შენ ეს გვითხარი, — ნამდვილად კი იცი, რომ უნდა მოსულიყო?

— როგორ არ ეცოდინება! ჩვენი კუსპა ხომ გულთმისანია... თუმცა ცოტა მემცხეთება... დღეს ვერ გამოიცნო... რომ მოსულიყო, აქამდის ვერა ვნახავდით, არ გამოვიდოდა ჩვენთან? — მელასავით შემპარავი ხმით წარმოთქვა კოტემ და დამცინავად გაიღიმა.

— კაცო, ლას ატყდებით ხოლმე... ლამდენჯელ უნდა გითხლათ, ლომ ჩემმა ძმამ თედოლემ თქვა, წელილი გამომატანა იმისმა დედამ ქალაქიდან სალომე დიდედასთანაო. ამ ოლ დღეში ლეო უნდა სოფელში მოვიდესო... სხვა ლაღა გინდათ! — ყვედრებითა და აღშფოთებით წარმოთქვა კუსპამ და გაკვირვებით გადახედა ამხანაგებს.

— მაშ მიდი და დაუძახე, — მოუჭრა სიტყვა ვანუამ.

— შენ დაუძახე... შენ უფლო დოღლიალა ალა ხალ! — უპასუხა კუსპამ.

— შვილოსან, დოღრიალობა რა შუაშია... შენ ამბობ მოსული იქნებაო... მოსული იქნება და აი, დაუძახე.

— ბიჭოს, ლაკი მე ვთქვი, მევე უნდა დავუძახო? ამ პატალა კაცმა ხმა ლოგოლ მივაწვდინო იქამდის?

— შენც ცოტა ახლო მიდი და ისე დაუძახე...

— ლა დავუძახო?

— დაიძახე: „მზად ვარ“-თქო! — დაცინვით ჩაილაპარაკა კოტემ, რომელიც, სხვათა შორის, პიონერი არ იყო. ეს არც გასაკვირველია: კოტე კულაკ თედო საკუთრებაშვილის შვილი გახლდათ და მისი მამა პიონერ შვილს სახლში არ დააყენებდა.

— შენ ეგენი ნუ იცი! — შეუბღვირა ვანუამ კოტეს. — ჩვენი „მზად ვარ“ შენი დასაცინი არ არის... შენ ის გირჩევნია, ჩვენთან შემოხვიდე და ჩვენს პიონერრაზმში ჩაეწერო.

— დიახ, დიახ! — გაწიწმატდა კუსპაც. — დასაცინი თავი ზედ გაბია... მე, ლოგოლც პიონელი, გიკლძალავ მაგ სიტყვების დაცინვით ან ხუმლობით თქმას... ვანუას თქმისა ალ იყოს, გილჩევნია ჩვენს ოლგანიზაციაში შემოხვიდე, თოლემ შენს ტოლებს ჩამოლჩები...

— ჩამოვრჩები? როგორ არა! — დამცინავად გაიღიმა კოტემ. —

თქვენ რომ კრებებზე სხედხართ და რაღაცეებს მეცადინობთ, მე მაშინ თავისუფლად დავდივარ და რასაც მინდა ვაკეთებ. არ ვიცი, ჩამორჩენილი ვინ გამოდის ჩვენში, მე თუ თქვენა?

— შე სულელო, ჩვენ ქვეყნის ამბებს ვსწავლობთ... გონებლივად ვვითალდებით. შენ კი უსაქმოდ დაწანწალებ ამ ლლოს გზებზე... ლასაკვილველია, შენა ხალ ჩამოლჩენილი! — თვალების ციალით მიაყარა კუსპამ სიტყვები კოტეს.

— როცა გავიზრდებით, ჩვენ ყველაფერი გვეცოდინება, გაწვრთნილი და მტკიცე კომუნისტები ვიქნებით! — მძიმედ წარმოსთქვა ვანუამ და დაუმატა: — კოტე, გირჩევნია შემოხვიდე ჩვენთან... ბევრს ისწავლი და მშრომელ ხალხსაც გამოადგები...

— არა, ძმაო! — გაიქნია თავი კოტემ მცირე ჩაფიქრების შემდეგ და ოდნავ წაილაპარაკა: — მე რომ პიონერრაზმში ჩავეწერო, მამაჩემი სახლში აღარ შემიშვებს.

— მამაშენს ყურს ნუ უგდებ... მამაშენი კულაკია და მალე მოისპობა... — კვლავ წარმოთქვა ვანუამ. — მომავალი ჩვენია, ოხერო!

— მე რა ვიცი... მამაჩემი ამბობს, მე კი არ მოვისპობი, ეგენი მოისპობიანო, — ჩაიცინა კოტემ და უცებ სიტყვა შემოატრიალა:

— კაცო, ჩემ დასარიგებლად მოვედით აქ? რატომ ლეოს არ ვეძახით?

— მართლა, ეეე! — გააბა ვანუამ და კუსპას მოუტრიალდა:

— მიდი, დაუძახე ლეოს.

— ლეო ლო დავიძახო, და ლეო მოსული ალ იყოს?

ამ კითხვის შემდეგ ვანუა ჩაფიქრდა და თავისი გაცვეთილი თექის ქუდი კეფაზე ძოიგდო.

— სალომე დიდედას დაუძახე, — ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ წარმოთქვა ვანუამ, — ლეო თუ მოსულია და შინ არის, შენს ხმას იცნობს და გამოვა, თუ არა და სალომე დიდედას ჰკითხე — როდის უნდა მოვიდეს-თქო.

— ჰო, ეგ კალგია! — გახარებით წამოიძახა კუსპამ და ეზოში შევიდა.

— დაუძახე, დაუძახე! — გაამხნევა ვანუამ და თვითონ კი ღობეს მოეფარა.

— დიდედო..ო...ო! — გაისმა დასიცხულ ჰაერში კუსპას ძახილი, რის შემდეგ ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

კარებში თავი გამოყო პატარა სონამ და ცნობისმოყვარეობით მიაშტერდა კუსპას.

— რა გინდა? — ჩაეკითხა სონა.

— ლა შენი საქმეა, შენ ხომ ალ გეძახი! — და კუსპა კიდევ რაღა-

ცის თქმას აპირებდა, მაგრამ ამ დროს ზემო სართულში ოთახის კარი გაჭრიალდა და აივანზე თვით სალომე დიდედა გამოვიდა ნამძინარევი სახით.

— ვინ არის? — იკითხა მან გამოსვლისთანავე და ეზოს გადმოხედა.

— მე ვალ... კუსპა.

— მერე ამ დროს რა გაყვირებს; ხომ იცი, რომ დასვენების დროა. რა გინდა? — ჩაეკითხა ბოლოს სალომე დიდედა შეტევით.

— ლა ვიცი, მეგონა ალ ეძინება-მეთქი... ლეო ალ მოსულა ქალაქიდან? — დარცხვენით წაიბუტბუტა კუსპამ და სახეზე ალმურმა გადაჰკრა.

— ჯერ არ მოსულა... პეტრე გავგზავნე დასახვედრად... დღეს უნდა მოვიდეს, — რბილად უპასუხა სალომე დიდედამ, რაკი თავის შეწუხების მიზეზი გაიგო, და სახლში შეტრიალდა.

— რატომ მე არ მკითხე... მეც ლეოს ველოდები. აი, როგორ ზიზიებს ვიკერებ კაბაზე! — გამოსძახა სონამ კუსპას, როდესაც დიდედა ოთახში შეტრიალდა, მაგრამ კუსპას მისი სიტყვები არც კი გაუგონია: იგი სირბილით დაუბრუნდა თავის ამხანაგებს და, თუმცა მათ კარგად გაიგონეს სალომე დიდედას ნათქვამი, კუსპამ მაინც კიდევ დაბეჯითებით გაუმეორა იგივე.

— იცი, რა გითხრათ, ბიჭებო? — წამოიძახა უცებ ვანუამ, — მოდით, სადგურისაკენ წავიდეთ და ლეოს გზაში დავუხვდეთ... რას იტყვით? წავიდეთ?

— წავიდეთ, წავიდეთ! — წამოიყვირა კუსპამ სიხარულით, — ეგ ლა კალგი მოიგონე, ვანი; ძალიან გაუხალდება ლეოს.

— შენ რაღას იტყვი? — მიუბრუნდა ვანუა კოტეს.

— რაკი კუსპა ბრძანებს — წავიდეთო, მეც თანახმა ვარ... აბა კუსპას როგორ ვუღალატო! — წარმოთქვა კოტემ და წასასვლელად მოტრიალდა.

— ლა გინდა ჩემგან! — გაანჩხლებით დაედევნა კუსპა კოტეს... — მე ლა შენი ხელწამოსაკლავი ვალ, ლომ წალამალა მახსენებ და დამცინი!

— კუსპავ, შენზე ძალიან ბევრი უნდა ვიცინოთ დღეს... გული ასე შეუბნება, რომ შენ დღეს რაღაცა ფათერაკი უნდა გადაგხდეს, — სიცილით მიუგო კოტემ და სამივე ამხანაგი კამათითა და ერთმანეთის დაცინვა-გამასხარავებით დაეშვა ორღობეებისაკენ, საიდანაც სადგურისაკენ მიმავალი გზა იწყებოდა.

ჩვენი მეგობრები გაჩქარებით მიდიოდნენ გზაზე, რომელსაც ორივე მხრივ ვენახები მისდევდა. ცალ მხარეზე ვენახებსა და გზას შორის

სარწყავი გახიერი არხი ძიდიოდა და წყლის ნელი ხმაური სასიამოვნოდ ახმიანებდა სიცხისაგან დაბინდულ სმენას.

გზა ჯერჯერობით თითქმის სულ ჩრდილში მიიკლაკნებოდა, რადგან არხის პირზე ვენახებში დარგული კაკლები და სხვა ხეები თავიანთი ხშირფოთლიანი კარავით იჭერდნენ მზის მცხუნვარე სხივებს.

უცებ ყმაწვილები გაოცებითა და ნერწყვის ყლაპვით შედგნენ. თვალები გაუბრწყინდათ და აუციმციმდათ. მათ თავზე უზარმაზარ თუთის ხეს სიმწიფისაგან ქარვასავით ოდნავ შეყვითლებული თუთებით დატვირთული და უხვად დასხმული ტოტები გადმოეშვირა.

— როგორ ასხია! — წამოაყრანტალა ვანუამ.

— ლოგოლა მწიფს! — წაიჩურჩულა კუსპამ.

— კარგი კი იქნება, ბიჭებო, რომ ერთი ჩვენთაგანი გადავიდეს ამ არხზე, თუთაზე ავიდეს და დაარხიოს! სულ გზაზე დაცვივა აგერ ის მწიფე თუთები! — წარმოთქვა კოტემ და მცდელი თვალით გადახედა მეგობრებს, რომ გაეგო, ხომ არ იკისრებდა ვინმე მათგანი ამ საქმეს.

— კარგი კი იქნება, მაგლამ თუ სტეფანე გამოგვივალდა, ვაი იმის ბლალი, ვისაც ხეზე მოასწლებს! — წარმოთქვა კუსპამ და თავი გაიქნია.

— ოო! სტეფანემ ძალიან ცემა იცის... ერთხელ იმის ქათამს ქვა მოვარტყი და ისე გამტყიპა, რომ ორ დღეს სულ გვერდები მტკიოდა,— წაილაპარაკა ვანუამ და ცხვირის ჩიჩქნას მიჰყო ხელი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მეგობრები მწუხარედ შესცქეროდნენ მაღლაგადმოკიდებულ მწიფე თუთით დახუნძლულ ტოტებს და ნერწყვს ყლაპავდნენ მსუნაგი კატებივით. ბოლოს სიჩუმე კოტემ დაარღვია.

— ვანი... საქმე რომ იყოს, ან ცოფიანი ძაღლი რომ მოგდევდეს, ამ არხზე გადახტები?

— რატომაც ვერ გადავხტები! — თავგამოდებით წამოიღრიალა ვანუამ, — ორი მაგოდენაც რომ იყოს, გადავხტები.

— ბიჭიც შენა ყოფილხარ... სიმართლე რომ გითხრა, მე ვერ გადავხტები... თუმცა, მე ვფიქრობ, შენც ვერ გადახტები... ეს ოხერი, ძალიან განიერია, — კვლავ შემპარავად ჩაილაპარაკა კოტემ და წარბებქვეშიდან გამოხედა ვანუას.

— როგორ ვერ გადავხტები... აი აქედან გამოვიქცევი, ფეხს დავკრავ და ისე გადავფრინდები, რომ... — თავი გამოიდო ვანუამ.

— ეგრე ხომ მეც გადავხტები! საქმე ის არის, არ გაიქცე და ისე გადახტე. თუმცა... ვერა, — თავის ქნევით დაუმატა კოტემ, — ვერც გაქცევით გადახტები. ძე კი ეგრე მგონია და, ვინ იცის, იქნება გადახტე კიდეც, — მხრების აჩეჩით დაამთავრა კოტემ.

— განა შენა გგევარ, რომ ვერ გადავხტე. აბა მიყურე! — წარმოთქვა ჯიბრიანად ვანუამ და გადასახტომად აპირებდა გაქცევას, რომ კუსპა გადაელობა წინ.

— უნდა გაცდინოს, ვანი! — სიცილით წამოიყვირა მან, — უნდა გადაგახტუნოს და მელე თუთა დაგაბღერტინოს... თუ სტეფანე გაგოგივალდა, ვაი შენი ტყავის ბლალი.

— რას მიედებ-მოედები! — მკვახედ წაიბუზღუნა კოტემ, — სიტყვაზე ვლაპარაკობ, თორემ თუთის დაბღერტა რაში მჭირდება... თუთა რომ მინდოდეს, მე თვითონ გადავხტები და ხეზედაც ავალ... სტეფანე წელან ზევით მიდიოდა, მე თვითონ ვნახე. ვიდრე ის ჩამოვა, სამჯერ გავძღები თუთით...

— რაზე უნდა მაცდინოს, — წამოაყრანტალა ვანუამ, — გადავხტები და ისევ უკანვე გადმოვხტები... თუთაზე სულაც არ ავალ.

— შენ იცი შენი საქმისა. მაგ ხტუნაობაში გველდები კი ალ დაგილბილოს სტეფანემ და... — სიცილით წამოთქვა კუსპამ და ჩამოეცალა.

— ვერა, ვერ გადახტები, ვანი, დაანებე თავი, წავიდეთ, — ფოლორცად დაიწყო კოტემ და თვითონ კი ადგილიდან არ იძროდა.

— ეჰ, სტეფანესი მეშინიან, თორემ ორ მაგოდენაზედაც გადავხტები, რომ მოვინდომო...

— სტეფანე ზევით მიდიოდა...თუ არა და, მე და კუსპა აქედან ისეთ გორახებს დავუშენთ, რომ ზურგზე სულ მტვერი ავადინოთ, — წარმოთქვა კოტემ, კუსპას გადახედა, ხომ არაფრის თქმას აპირებსო, და შემდეგ დასძინა:

— თუ არ გინდა, ნუ გადახტები; სულ ერთია, ვერც გადახტები...

— გადავხტები! — ჯიუტად დაიღრიალა ვანუამ და არხზე გადასახტომად გაექანა. კუსპამ რაღაცის დაყვირება სცადა, მაგრამ კოტემ ჯერ მრისხანედ შეუბღვირა, შემდეგ ღიმილით თვალი ჩაუკრა და ამით კუსპას ყურადღება მიიპყრო... ვანუამ კი ამ დროს ფეხი დაჰკრა არხის ნაპირს, ფრთამოტეხილი ყვავივით შეიფართხალა ჰაერში და შუა არხში კი ჩახტა მუხლებამდის.

— ლა კალგად გადახტი, ვანი! — მორთო ყვირილი კუსპამ და თან სიცილით იფხრიწებოდა. — ელთი სხვა ალხიც ვიცი, იქ უნდა წაგიყვანო, ამ ალხზე ოლჯელ განიელია...

კოტეც გულიანად ხითხითებდა ჩუმად და ხელებს იფშვნეტდა.

— ფეხი გამისხლტდა, თორემ... — წაიბუზღუნა დარცხვენილმა ვანუამ და იქით ნაპირზე გავიდა.

— მართალია, აი ამ ოხერმა ქვამ გიმტყუნა. აი ამ ქვაზე წაგისხლტა ფეხი, — დამცინავი თანაგრძნობით თქვა კოტემ, ღიმილით მიუახლოვ-

და არხის ნაპირს და ხელი დაადო ისეთ ადგილს, სადაც ქვის ხსენებაც კი არ იყო.

— ეგ არაფერია. აბა ახლა თუთაზე ადი... სულ ერთია, ხომ დასველდი და თუთით მაინც მოიჯერე გული... თან ჩვენც ჩამოგვიბერტყე, რომ შენს სადღეგრძელოდ პირი გავისველოთ ხოლმე.

— ძალიან კარგად გამოვქანდი, მაგრამ მაგ წყეულმა ქვამ მიღალატა... თორემ სულ ჩიტივით გადმოვფრინდებოდი, — დაიწყო ბუტბუტით ვანუამ, მაგრამ კუსპამ გააწყვეტინა სიცილით.

— ტლაბახობ კიდეც? ალაფელმაც ალ გიღალატა, ველ გადახტი და ეგ იყო!

— შენ ეი, რა სიცილის გუნებაზე ხარ! — შეუტია კუსპას კოტემ და კვლავ ვანუას მიუბრუნდა:

— აბა, ადი ჩქარა თუთაზე, დროს ნუ კარგავ, სტეფანე არ გადმოგიხტეს.

ვანუა ზლაზვნით წამოდგა, არხის ნაპირზე ავიდა, თუთის ხეს მიუახლოვდა და ნახევარზე აცოცდა კიდეც, რომ უცებ იქვე ახლო, ვენახიდან, ბრაზიანი ძახილი მოისმა:

— რომელი ხარ! — და ვაზებში ზორბა, შუბლშეჭმუხვნილი კაცი გამოჩნდა ჭიგვით ხელში.

— ალიქა, ვანი, სტეფანეა! — წამოიყვირა კუსპამ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოკურცხლა.

კოტემაც გულიანად ჩაიხითხითა და შურდულივით გაქანდა გზაზე. საცოდავი ვანუა კი თაფლნაჭამი დათვივით ჩამოვარდა ხიდან და მიწაზე დაასკდა. წამოდგომა ვერც კი მოასწრო, რომ სტეფანეს მძიმე ხელმა მკვახე ალიყური გასტკიცა ლოყაზე ისე, რომ ჩვენს მოხტუნავე გმირს ერთხანად თვალთ დაუბნელდა და დაიბნა, ხოლო ალიყურის შემდეგ გატეხილი ჭიგვის ჭახანი მოესმა და ამ ჭახანთან ერთად ისე დაეწვა რბილი ადგილი, თითქოს გავარვარებული რკინა დაადესო.

— ვაიმე, დედავ! — დაიღრიალა გამწარებულმა ვანუამ და გზაბნეულმა არხს მიაშურა, მაგრამ რაღაც ჯირკს ფეხი წამოსდო და ხელების ქნევით წყალში წაერია. დიდხანს იფართხალა ვანუამ არხში და ძლივს აცოცდა ნაპირზე, სადაც უკვე გზა იწყებოდა და თავსაც უშიშრად გრძნობდა.

სიმწარისა და სირცხვილისაგან ცრემლმორეულმა, წყალში დამბალმა და ტალახში მოთხვრილმა, ნაცემი ადგილების ფხანით მან ჩქარი ნაბიჯით გასწია იქითკენ, სადაც კუსპა და კოტე მიეფარნენ. თუთის ძირში კი სტეფანე იდგა გატეხილი ჭიგვით და გააფთრებით ლანძღავდა ვანუას.

— ვაა! ლა მოხტუნავე ყოფილხალ! — დაიძახა ვანუას დანახვაზე

კუსპამ, რომელიც კოტესთან ერთად გზის მოსახვევში ვენახის ღობეს ამოჰფარებოდა და ორივენი სიცილით იხოცებოდნენ.

— კარგი ერთი და... შენი სამასხაროც გავხდი! — წაიბუტბუტა ვანუამ და თვალებზე ცრემლები მოიწმინდა.

— ლოგოლ დამბალხალ... ბიჭოს, შენ გიბანავნია კიდეც... აი ეგ მესმის... გადახტი კიდეც, თუთაც მიილთვი და იბანავე კიდეც... — ლაპარაკობდა კუსპა და თან გაუთავებლად კუჭკუჭებდა.

— ბიჭოს, ეგ ლოყა ლათ დაგსიებია? — სიცილის შეწყვეტით და თანაგრძნობით ჩაეკითხა კუსპა და ვანუას ლოყას დაუწყო სინჯვა, რომელიც მართლაც ძალიან იყო დაწითლებული და შესიებულიც.

— ხიდან რომ ჩამოვხტი, მიწას წავაგალე... — გარინბედით იცრუა ვანუამ და განზე დაიწყო ყურება.

კუსპამ კოტეს გადახედა და ორივეს სიცილი წასკდათ.

— თუ სტეფანემ... ჭიგო... დაგალტყა. — ძლივს წარმოთქვა სიცილში კუსპამ და ისევ ჩაბჟირდა.

— არა, კაცო... სტეფანემ აი აქ გამარტყა ჭიგო... — წაიბურტყუნა ვანუამ და თვითონაც ცალი ყბით გაიღიმა. — ისე გამარტყა, რომ ჭიგო შუაზე გადატყდა.

კოტე და კუსპა კვლავ სიცილისაგან დაოსდნენ. მეტადრე კოტე, რომელიც ისე ხითხითებდა, რომ ხმის ამოღებასაც ვერ ახერხებდა.

— კარგით, რა მოხდა... სულ შენი ბრალია, მელავ! — ღიმილით თქვა ვანუამ და გზაზე გასწია. — წამოდით, კარგი, ლეომ არ ამოგვასწროს...

— ჩემი რა ბრალია, — ძლივს ამოიკვნესა კოტემ, — შენ თვითონ ამბობდი, ორ მაგოდენა არხზე გადავხტებიო.

— წავიდეთ, წავიდეთ! — აჩქარდა უცებ კუსპაც და ვანუას დაედევნა. — კალგი, გეყოფა სიცილი... ეწყინება ვანუას, — ჩურჩულით მიუბრუნდა კოტეს.

ჩვენმა მეგობრებმა კვლავ განაგრძეს გზა, და უკვე მზე შუბის ტარზე იყო დასული, როდესაც სადგურისაკენ მიმავალი მტვრიანი შარაგზის შუა წელს მიაღწიეს.

იქვე გზის ცოტა მოშორებით დიდი ტყე იწყებოდა, და მათაც მისკენ აუხვიეს, რომ ტყის ნაპირას ჩრდილში დამსხდარიყვნენ და სიგრილით მოეცადნათ, ვიდრე ლეო ამოვიდოდა ცხენით.

* * *

მზე უკვე ჩადიოდა, როდესაც ქალაქიდან მომავალმა მატარებელმა ერთი საზარლად დაიღმუვლა და სადგურის ბაქანთან ქშენით გაჩერდა.

პეტრე მატარებლის დაყვირებისთანავე გამოერკვა. ზეზე წამოდგა და ბაქანისაკენ გასწია მძიმე, აუჩქარებელი ნაბიჯით.

ბაქანზე უკვე საკმაოდ ირეოდა მატარებლიდან ჩამოსული ხალხი და თვით ვაგონებიდანაც აუარებელი ბავშვებისა და დიდების სახეები გამოიყურებოდნენ.

პეტრემ თვალები მოიფშვნიტა და ლეოს დაუწყო ძებნა... ხან იქით გაიარა, ხან აქეთ გამოიარა, ვაგონებშიაც შეიხედა და უკანვე აპირებდა გამობრუნებას, მაგრამ ვიღაცამ ხელი სტაცა მკლავში და სიცილით ყურში ჩასჩურჩულა:

— მე ხომ არ მეძებ?

პეტრე მოტრიალდა და თვალის გადავლებით აათვალიერა მის წინ მდგომი თორმეტი წლის ახოვანი და მოხდენილი ტანის ბიჭი, რომელიც პიონერის ფორმაში იყო გამოწყობილი. მუხლებამდი შარვლიდან და გადაღეღილი ყავისფერი ხალათიდან კარგად განვითარებული, კუნთებიანი და მზეზე მოწითალოდ გახუხული ფეხები და მაღალი, ბრგე მკერდი მოჩანდა. სახით ლამაზი იყო, ხუჭუჭთმიანი და შავ, დიდრონ თვალებში სიცოცხლე, ჭკუა და გამბედაობა უციმციმებდა.

— შენა ხარ, ლეო? შენ გეძებდი! — წაილაპარაკა პეტრემ და ცალი ყბით უნდილად გაიღრიჭა.

— მე კარგა ხანია გათვალიერებ, — სიცილით დაიწყო ლეომ, — აგერ იმ კუთხეში ვიდექი

პეტრემ კიდევ გაიღიმა ცალი ყბით და კიდევ ალმაცერად ჩაათვალიერა ლეო, შემდეგ მიტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გაექანა ცხენისკენ.

— ბიჭოს, როგორ გალამაზებულა დიდედას ცხენი... შარშანწინ რომ ვიყავი, კვიცი იყო... როგორ აბრიალებს თვალებს... გიჟი იქნება, არა, პეტრე?

ლაპარაკობდა აღტაცებული ლეო.

— მოდი, შეჯექი, — მოუბრუნდა ლეოს პეტრე, რომელმაც უნაგირს მიაკრა ლეოს სამგზავრო ჩანთა და შესაჯდომად უზანგი მიუმარჯვა.

— ხელი გაუშვი, მე თვითონ შევჯდები... განა პატარა ვარ! — აჩქარებით წარმოთქვა ლეომ და ხელათ, პეტრეს დაუხმარებლივ, ცხენს ზურგზე მოექცა.

— კარგადა ზიხარ? — შეუბღვირა პეტრემ.

— ძალიან კარგად.

— მაშ წავიდეთ, — წარმოთქვა პეტრემ და ცხენს წინ გაუძღვა აღვირით ხელში.

— აღვირი მე მომეცი, ასე როგორ შეიძლება! — წყრომით დაიწყო ლეომ და აღვირს ხელი წაატანა.

— არ შეიძლება... შენმა დიდედამ მითხრა, აღვირი არ ანდოო, — თავის მოუბრუნებლივ წარმოთქვა პეტრემ ბოხი ხმით და ზურგზე ხელებდაწყობილი ცხენს წინ მიუძღოდა.

— რატომ არ შეიძლება... მე ხომ პატარა არა ვარ. ნუ გეშინიან, არ გავაქენებ... პეტრე, შენი ჭირიმე, მომეცი აღვირი! — ხვეწნით მიმართა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ლეომ.

— არ შეიძლება! — მოკლედ მოუჭრა პეტრემ და ხმაში ჯიბრიანობა დაეტყო.

— არ შეიძლება? — დამცინავად ჩაეკითხა ლეო და უცებ გველივით წელში მოიზნიქა, ცხენის კისერს გაეკრა და მარჯვენა ხელით ელვის სისწრაფით გამოსტაცა პეტრეს აღვირი. ამ მოძრაობაზე ცხენი შეკრთა, დაიფრუტუნა და მოხდენილი კამარით გვერდზე გადახტა.

— რას შვრები! — დაიღრიალა პეტრემ, თვალებში ბოროტმა ცეცხლმა გაუელვა, ლეოსკენ გაექანა და ცხენი გადაეღობა, მაგრამ დაღრიალებაზე და პეტრეს გამოქცევაზე ცხენი უფრო შეკრთა, მკერდით დაეტაკა პეტრეს, გვერდზე გადაისროლა და თვითონ კი შურდულივით გაქანდა გზაზე.

ლეო კი ცხენზე იჯდა და ქარივით მიაქროლებდა. ცხენის ვერც გვერდზე გადახტომამ, ვერც ძლიერმა გაქენებამ ლეო უნაგირიდან ვერ ჩამოაგდო. მართალია, ლეო ცხენზე ჯდომას არ იყო ნაჩვევი, მაგრამ ის პიონერი იყო, მრავალგვარ ვარჯიშობაში გამოწრთობილი და მისი გადმოგდება არც ისე ადვილი საქმე იყო.

პირველში ლეო ცოტა შეშინდა, მაგრამ შემდეგ ამ გრძნობამაც გაუარა. პეტრეს ყვირილს რომ მოჰკრა ყური, უკან მიიხედა; გაშმაგებული პეტრეს დანახვაზე სიცილი აუტყდა და იმის მაგიერ, რომ ცხენი დაეყენებინა, აღვირი უფრო მიუშვა.

ცხენმაც იგრძნო თავისუფლება და ფრინველივით გაფრინდა, ხოლო მის აფაფრულ კისერზე გაკრულ ლეოს კი ყურებში ქარმა დაუზუზუნა.

ლეო რაღაც მხიარულმა გრძნობამ აიტანა და აატოკა. თითქოს თავბრუ დაესხა და მთვრალივით ხარხარებდა. აი, მოუხვია კიდეც გორის ძირს და გადაიშალა ტრიალი მინდორი, რომელსაც ზემოდან, კარგა მოშორებით, შავი, ჩაბნელებული ტყე ზღუდავდა.

მიჰქრის ლეო და თავისი თავი თავისუფალი და ლაღი ფრინველი ჰგონია, რომელიც მიწას არ ეკარება და არც მაღლა აფრენას აპირებს... არა, ლეო ფრინველი კი არ არის, ის ბუდიონის ცხენოსანთა რაზმის უფროსია, რომელიც არაბულ ბედაურზე ზის და ბრძოლის ველზე მიჰქრის... ის მარტო არ არის... აკერ გვერდით მისი რაზმელები... ბევ-

რი... ბევრი მეომარი მიჰყავს ლეოს, რომელნიც ხმალამოწვდილნი დრტვინვითა და კბილთა ღრჭიალით მტრისაკენ მიექანებიან გაქაფულ-გაბდღვირებული ცხენებით... ირგვლივ ყველაფერი გუგუნებს... ძირს გზა მირბის საოცარი სისწრაფით სადღაც უკან... ლეო ბალახებსა და ქვებსაც კი ვერ არჩევს... აგერ მტერიც. საზიზღარი ფაშისტები და სოციალ-შემთანხმებლები, რომელთაც არა ერთხელ დაღვარეს მუშათა უმანკო სისხლი და არა ერთხელ უღალატეს მათ ინტერესებს... მაგრამ ეს ხომ ტყეა, შავი, ჩაბნელებული, უძირო ტყე... მაგრამ... არა, ეს ტყე კი არა, მტრის ლაშქარია და ისიც ლეოს რაზმისაკენ მოეშურება...

— ჰე — ი — ი! — ზედ ყურზე დასჭყივლა გატაცებულმა ლეომ თავის მერანს და მარჯვენა ხელი ისე გაიქნია, თითქოს ხმალს აელვარებსო.

თავაშვებულმა ცხენმა კვლავ დაიფრუტუნა და თითქმის მიწას გაეკრა. ლეო გამოერკვა, თავი მაღლა აიღო და ქარმაც მეტი სიძლიერით დაუბერა სახეში. ლეო შეკრთა და ოცნებას სავსებით დააღწია თავი... მოაგონდა, რომ პეტრე უკან დარჩა, და ცხენის შეჩერება სცადა, მაგრამ აღვირის მოწევამ ვერაფერი უშველა. გატაცებული ცხენი განუწყვეტლივ მიჰქროდა და თავის მხედარს ანგარიშს აღარ უწევდა. ის მხოლოდ მალიმალ ფრუტუნებდა, მძიმედ ხვნეშოდა და ხან ერთ ყურს წასაქვეტდა წინ, ხან მეორეს... ლეოს მოუსვენრობისა და შეშფოთების გრძნობამ გაუელვა გულში და მთელი ძალ-ღონით მოსწია აღვირს, მაგრამ ამ ცდამაც უნაყოფოდ ჩაიარა... პირმოღრეცილმა ცხენმა თითქოს უმატა კიდეც ჭენებას. ლეოს გულს უკვე შიში შეეპარა, ვაითუ ვეღარ დავაყენო ცხენიო, და მეტის სიმძაფრით ეწეოდა აღვირს, მაგრამ ამაოდ... ცხენი არ ემორჩილებოდა მის ნებისყოფას, სწრაფ სირბილს განაგრძობდა და უახლოვდებოდა გზის იმ ადგილს, საიდანაც გზის შტო ტყისაკენ გადადიოდა... და, ალბათ, სალომე დიდედას ცხენი სახლამდის ჭენებით მიიყვანდა ლეოს და სრულიადაც არ გადაუხვევდა ტყისაკენ, რომ ერთი გარემოება არ ჩარეულიყო.

* *

მზე უკვე ჩასული იყო. იასამნისფერი ბინდი მძიმედ ეპარებოდა ამწვანებულ მინდვრებსა და შორეულ მოლურჯო მთებს.

ჩვენი მეგობრები, — ვანუა, კოტე და კუსპა, — კარგა ხანია, რაც ტყის პირას ისხდნენ, გზას გაჰყურებდნენ და თან ლაზღანდარობდნენ ლეოს მოლოდინში.

უცებ ვანუამ თვალი მოჰკრა გზაზე მათკენ სწრაფად მქროლავ ცხენს და ზეზე წამოხტა.

— მოდის, ბიჭებო! — წამოიყვირა მან და პირდაღებული გზას დააშტერდა.

კოტე და კუსპაც წამოხტნენ.

— აბა სად, აბა სად?! — ჰკითხავდა ვანუას კუსპა და თან ყელ-ყელაობდა, რომ დაენახა. ბოლოს დაინახა და გახარებულმა წამოიძახა:

— აგელ... მოოის... მაგლამ პეტლე სადღაა? ან ეგლე ლად მოაპენებს? — დაუმატა ცოტა ხნის შემდეგ კუსპამ და თვალები მოჭუტა. — ეგ ლეო ალ ალის! მაშ თუ ლეოა, პეტლე სადღაა?! ეტყობა, ლეო ალ მოსულა და პეტლე მოაპენებს სახლისაკენ. ლა ტყუილად ველოდეთ!

— გამოიცნო კუსპამ, — დამცინავად ჩაილაპარაკა კოტემ და ვანუას თვალი ჩაუკრა... — რა ხელად იანგარიშა ჩვენი მასწავლებელივით!

— თუ გინდა, დავნაძლევდეთ... თუ მე ვალ მალთალი... — დაიწყო კუსპამ, მაგრამ კოტემ აღარ დააცალა:

— სუ, კუსპავ, ჩუმად იყავი... სანაძლეო რად გვინდა, აი, ვანუასა ვკითხოთ; ვანი, შენ ჭკვიანი კაცი ხარ, გვითხარი, ლეოა თუ პეტრე?

— ლეოა, — გაშტერებით წაიჩურჩულა ვანუამ და უცებ მხიარულად წამოიყვირა:

— ლეოა, ბიჭებო, ლეოა! აგერ, ვხედავ, — და გზისაკენ გაქანდა. კოტე და კუსპაც უკან დაედევნენ და მალე გზაზე ჩავიდნენ.

ლეო კი სწრაფად უახლოვდებოდა იმ ადგილს, საიდანაც გზის ერთი შტო ტყისკენ გადადიოდა.

— გაუმარჯოს ლეოს! — დაიღრიალა ვანუამ დაჭრილი დათვივით და მისაგებებლად გაიქცა... ასეთივე ყიჟინით დაედევნა მას მისი ორი მეგობარიც. ისეთი ერიამულითა და ყვირილით გაექანნენ გახარებული ყმაწვილები ქალაქიდან მოსულ ლეოს შესაგებებლად, რომ ისედაც გადარეული ცხენი უფრო გადაირია, თვალებაბრიალებულმა სწრაფად გადაუხვია გზას და ნახევარი წუთის შემდეგ შურდულივით შევარდა ტყეში. ჩვენმა მეგობრებმა მხოლოდ ლეოს გაფითრებულ და შეშინებულ სახესღა მოჰკრეს თვალი...

— არიქა, ბიჭებო, ცხენს გამოუტაცნია! — დაიყვირა ვანუამ და ტყისაკენ იბრუნა პირი, — ხის ტოტს არ წამოსდოს იმ წყეულმა, თორემ თავს გაუხეთქავს!

— წამოდით, გავიქცეთ და ვუყელოთ! — წარმოთქვა აჩქარებით კოტემ, — მოკლეზე გადავირბინოთ, კიღურაანთ წყაროსთან გადავიდეთ და იქ ვიწროში დავუხვდეთ წინ, თორემ ეგ ცხენს ველარ დააყენებს და...

ბევრი აღარ იფიქრეს და საჩქაროდ გაეშურნენ ტყისაკენ... სულ სირბილით შეცვივდნენ დიდი ხეების სიღრმეში და ვიწრო ბილიკით შეუდგნენ აღმართს, რომელიც ტყით იყო დაფარული.

ვანუა და კოტე წინ მირბოდნენ და გზას იკაფავდნენ დაბლა ჩამოშვებულ შტოებსა და ფოთლებში... უკან კი კუსპა მიგოგავდა ოხვრაქშენით და გაწითლებული, ოფლში გაწუწული წამდაუწუმ ბუტბუტებდა ხრინწიანი ხმით:

— მოიცათ, კაცო! ელთად წავიდეთ...

ვანუა და კოტე ქაქანით ავიდნენ ტყეზე მიმავალ გზაზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც დიდი ქვაა პატარა წყაროს პირზე, და ცხენის ფეხის ხმაც შემოესმათ.

— კარგ დროს ამოვედით, კოტე, — ძლივს წარმოთქვა ქშენით ვანუამ და დაღლილობისაგან ჩაწითლებული თვალები გზას მიაშტერა.

— ეხლა რაღა უნდა ვქნათ? — დაუმატა მან და მძიმედ ამოიოხრა.

— აი ასე დავდგეთ გზაზე, ხელები გავშალოთ... თან ვიყვიროთ... ცხენი გაცეცდება... აქეთ-იქით ბუწკნარი ტყეა... გვერდზე ვერ გადაუხვევს, ვერც ისე სწრაფად გატრიალდება... და... ამ დროს ან დავიჭერთ ცხენს, ან ლეო ჩამოხტომას მოასწრებს... — ასე ლუღლუღებდა ოფლში გაცურებული კოტე, როდესაც მოსახვევიდან დაოთხილი ცხენი გამოვარდა დაბერილი ნესტოებით, უნაგირზე კი გაფითრებული ლეო გაწოლილიყო და უნაგირის კეხს ჩაჰბღაუჭებოდა.

— დადექ, დადექ, შე ვერანავ! — მორთეს ყვირილი ვანუამ და კოტემ.

— დადექ! — ყვიროდნენ ბიჭები და ხელებს გამალებით იქნევდნენ, მაგრამ ცხენი მათ ყვირილს თითქოს ყურადღებას არ აქცევდა და ისევ გამალებით მოჰქროდა. ვანუამ და კოტემ უმატეს ყვირილს, თან კი გულში შიში შეეპარათ — ცხენმა არ გაგვიტანოსო... საშინელი წუთი იყო... დაოთხილი გაწაფული ცხენი და ტყის ვიწრო გზაზე ორი ბავშვი... ვანუა და კოტე განზე გადახტომას და ცხენისათვის გზის დათმობას აპირებდნენ, მაგრამ მათდა მოულოდნელად ცხენმა უცებ თავი მაღლა აიქნია და ადგილზე გაშეშდა თვალების ბრიალითა და მძიმე სუნთქვით... და უცებ ჰაერში რაღაცამ გაისრიალა და ხავსით დაფენილ გზის პირას ლეო დაასკდა. ცხენი კი უძრავად იდგა და აღვირის რკინასა ღრღნიდა.

— რას გაშტერდი, ოქლაქო! — დაუყვირა კოტემ ვანუას, რომელიც მართლაც გაშტერებული უყურებდა ცხენიდან გადმოვარდნილ ლეოს. — აჰა, შენ ცხენი დაიჭირე, არ გაიქცეს, და მე ლეოს მივხედავ, — დაუმატა მან, ცხენს აღვირში სწვდა და ვანუას მიაჩეჩა, თვითონ კი მწოლარე ლეოსთან მიირბინა, დაიჩოქა და სახეში ჩააცქერდა. ლეოს თვალები გახელილი ჰქონდა და მძიმედ სუნთქავდა. მის თვალებში რაღაც უაზრობა და გამოუურკვეველი გამომეტყველება დაცურავდა... ეტყობა, დარეტიანებულიყო გადმოვარდნით.

— ლეო, — ნელა ჩასძახა კოტემ და ხელი დაადო მხარზე, — ლეო!

— ვინ არის? — მძიმედ იკითხა ლეომ, კოტეს გადახედა და ნელ-ნელა წამოდგა.

— ბიჭოს! მე მეგონა ლეო მოკვდა ან გული წაუვიდა-მეთქი! — ღრეჭით წაილაპარაკა კოტემ და თავისებურად ეშმაკურად ჩაიღიმა.

ვანუა აღვირს ჩაჰბღაუჭებოდა და გაშტერებულს, თითქოს მის თვალწინ სასწაული მოხდაო, ყველა კბილები დაეკრიჭა და სულელივით იღიმებოდა...

— რად მოვკვდებოდი! — წამოიძახა ლეომ და მკლავები გაშალა. — რბილად კი დავეცი... ცოტა დავიბენი, სხვაფრივ კი არაფერია. მე მეგონა, სადღაც მივფრინავ-მეთქი, — ლაპარაკობდა ლეო ჩაფიქრებით და შემდეგ, თითქოს გამოერკვა, კოტეს ახედ-დახედა, ვანუასაც გადაავლო თვალი და მძიმედ ჩაეკითხა: — თქვენ ვინა ხართ?

— ვეღარა გვცნობ? — წამოაყრანტალა ვანუამ და ღრეჭას უმატა.

— მოიცათ... თქვენ? ბიჭო, ვანი, კოტე!! საიდან? — წამოიძახა გახარებულმა ლეომ და მეგობრებს მივარდა. — გამარჯობათ, გამარჯობათ! საიდან, ბიჭებო?

— შაგას კზაში გიამბობთ... ეხლა წავიდეთ, თორემ დაღამდა... აგერ, მთვარეც ამოდის. — თქვა კოტემ და ხელი მთვარისაკენ გაიშვირა. მართლაც, ბადრი მთვარე ის იყო ამოცურდა მთის იქიდან და ტყეს გადმოხედა.

— წავიდეთ, თორემ აქ ისეთი მგლები იცის, რომ... — თქვა ვანუამ და წასასვლელად შეიშმუშნა.

— მგლებისა გეშინიან? — დამცინავად ჩაეკითხა ლეო ბიჭებს. — მგლებს აი ამას მივანათებ თვალებში და ახლოც ვერ მოგვეკარებიან...

ამ სიტყვებით ლეომ ხელი გაიკრა ჯიბეზე და ჯიბის ელნათურა ამოიღო, რომელმაც იმწამსვე სინათლის სვეტი სტყორცნა ტყის სიბნელეს და ხის ძირები გამოაჩინა.

— მაჩვენე, როგორია? — მსუნაგად წაატანა ხელი კოტემ, რომელსაც ელნათურას დანახვაზე თვალები აუციმციმდა და ნდომის ცეცხლით გაუბრწყინდა.

— რა კარგია, ეე... ჩაქრობაც შეიძლება?

— აი ამ რკინის ღილს ჩამოსწევ და ჩაქრება... თუ ანთება გინდა — ასწევ... აი, ასე! — განუმარტა ლეომ.

— რა კარგია, ეე... ორთქლმავლის სანათურსა ჰგავს... შორიდან რომ ცეცხლის თვალივით მოანათებს ღამე... — წაილუღლუღა ვანუამაც, რომელსაც ცხენი ეჭირა აღვირით... — მოიტა, მელავ, ახლა მე მაჩვენე. როგორა სინჯავს! ლამის თვალებით შეჭამოს...

— მერე ნახე... — წარმოთქვა ლეომ და კოტეს ელნათურა გამოართვა... — ეხლა კი წავიდეთ, თორემ სალომე დიდედა ძელოდება ალბათ... აი შე ოხერო! — მიუბრუნდა შემდეგ ცხენს. — როგორ გამომიტაცე!!

— შეჯექ, ლეო, წავიდეთ, — მიუბრუნდა ვანუა და აღვირი მიაწოდა.

— თქვენა?

— ჩვენ ფეხით წამოვალთ, — მიუგო ვანუამ.

— რად უნდა წამოხვიდეთ ფეხით? თუ შეჯდომაა, ყველანი. შევსხდეთ... ეს სასჯელი იქნება ამისათვის, რადგან პეტრე მტვერში ამოგანგლა და მეც გადმომაგდო. აბა, შევსხდეთ?

— შევსხდეთ, — ჩაიხითხითა კოტემ.

— ყველას გადმოგვყრის... ან დაგვიფრთხება და დაგვხოცავს! — წამოიძახა ღიმილით ვანუამ. — ვის გაუგონია სამნი ერთ ცხენზე...

— რატომ არ შეიძლება! — სერიოზულად წარმოთქვა ლეომ და აღვირი ცხენს ყელზე გადმოაცვა.

— ტლინკები რომ ყაროს?

— ტლინკები კი არა! — წაჰკრა კოტემ მუჯლუგუნი ვანუას, — განა სხვა დროსაც დაგვპატიჟებენ...

— დაგვიფრთხება და სამივეს გადმოგვყრის; თქვენ შესხედით და მე ფეხით წამოვალ...

— არ დაფრთხება; ეს ისეა დაღლილი, რომ ჭენების ჟინი წეღან მოიკლა... ახლა ნელი იორღით წავიყვანოთ, — წარმოთქვა კოტემ და ლეოს უზანგი დაუჭირა; ცხენი მართლაც ისე იყო დაღლილი, რომ წეღანდელი სიფიცხისა აღარაფერი ეტყობოდა.

— კაცო, ცხენი თუ შეჩვეული არ არის, ორსა და სამ კაცს ისე არ შეისვამს... — ყოყმანობდა ვანუა, მაგრამ ლეომ ცხენიდან გადმოსძახა: — აი შე მშიშარავ! ჩამოვარდნისა ეგრე როგორ გეშინიან... შესხდომაა და სამივენი შევსხდეთ... არ არის შეჩვეული და შევაჩვიოთ სამის ჯდომას.

— კარგი! აბა, კოტე, ჯერ შენ შემოუჯექ... მოდი, ფეხი აგიწიო...

— აჰა, ისე შემოვუჯდები, როგორც ტკიპა... — ამ სიტყვებით კოტე ცხენს დაებღაუჭა, ვანუამ ფეხი აუწია და კოტე მართლაც ისე მოხდენილად და მარდად შემოუჯდა ლეოს, რომ ცხენმა მხოლოდ დაიფრუტუნა და ცოტა უკან დაიწია.

— აბა, ახლა შენ, ვანი... აბა ახლა შენ, — ხითხითებდა კოტე და ეშმაკურად ცმუკავდა.

— ნუ ხტუნაობ, ბიჭო! — დაიღრიალა ვანუამ და თან ფიქრობდა, როგორ შემჯდარიყო.

— ხელი მოიტა, კოტე... აი ასე... მეორე ხელით ლეოს მოეჭიდე: აი ეგრე. აბა მაგრად იყავით... — და ამ სიტყვებით ვანუამ თავისი გრძელი კანჭი გადასდო ცხენის მრგვალ გავას და ყვავივით მძიმედ და უხეშად ააჩოჩდა ცხენს.

ცხენმა კიდევ დაიფრუტუნა და ცალი ფეხით ტლინკი აყარა, შემდეგ ორივე ფეხით, მაგრამ ბიჭები ისე მაგრად ეჭიდებოდნენ უნაგირს და ერთმანეთს, რომ არც ერთი მათგანი არ ჩამოვარდნილა.

— არა უშავს რა, შეეჩვევა... — კვდებოდა სიცილით კოტე და ისევ ცმუკავდა. — გაუჯავრდი, ლეო, ჩამორეკე, ლეო! ვაა, რა კარგი „პოეზდი“ გავაკეთეთ!

— ჩუმად ეგდე, — წაჰკრა მუჯლუგუნი ვანუამ, თუმცა თვითონაც ძლივს იმაგრებდა სიცილს.

— აჩუ, აჩუ! — დასჭყივლა ლეომ ცხენს სიცილით, და ლეოს გაცინებაზე ვანუამაც დაიროხროხა.

— აჩუ! — დაიყვირეს ბიჭებმა ერთად და როდესაც ცხენი ადგილიდან დაიძრა — ჩვენს მეგობრებს კუსპას ხმა მოესმათ.

— მოიცათ, ბიჭებო, ელთად წავიდეთ... — იხვეწებოდა კუსპა და ძლივს მოათრევდა ფეხებს.

— კუსპაა! ვანი, კუსპა... ხა, ხა, ხა, ხა! — ვეღარ ისვენებდა კოტე. — მოდი, კუსპავ, მოდი... კუდზე მოეჭიდე... ნუ გეშინიან...

— კუდზე კი ალა... — ლეღლუღებდა მეტისმეტად დაქანცული კუსპა და სულს ძლივს იბრუნებდა. — ლატომ ალ დამიცადეთ, მე კი თქვენი ამხანაგი ალა ვალ?

— რა დროს დაცდაა, კუსპავ! კუდზე დაეკანჭურე, თორემ „პოეზდი“ მიდის... კუკუუუ... — ბჟირდებოდა კოტე. ვანუაც ისე ხარხარებდა, რომ მისი ხმის გამოძახილი გრგვინვასავით გადადიოდა ტყიან ხევებში... ლეოც გულიანად იცინოდა.

— შენა ხარ, კუსპა? — ჩაეკითხა ლეო და როცა კუსპა უჩვეულოდ დატვირთულ ცხენთან მიგორდა, ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

— მე ვალ, მაშ... მეც ამათთან ვიყავი, ნაგლეშ... — ვეღარ დაამთავრა კუსპამ და იქვე გზის პირად ჩამოჯდა. — უჰ! დავიღალე... ალა გლცხვენიანთ... უჩემოდ უნდა წასულიყავით?

— ადე, კუსპა, რა დროს საყვედურია... აღარც კი მოგვგონებიხარ, თორემ... მოდი, შემოგვიჯექ, — მიუბრუნდა ვანუა და კუსპას ხელი გაუწოდა.

— აბა ლოგოლ შემოგიჯდეთ... ჩამომაგდებს... — შიშით წაიბურტყუნა კუსპამ და ფეხზე წამოდგა.

— ნუ გეშინიან, აგერ იმ ქვასთან მივაყენებ ცხენს და შემოგვიჯექი.

ლეომ ცხენი მოაბრუნა ქვისაკენ.

კოტე ისე ატეხით იცინოდა, ისე დასუსტდა სიცილით, რომ ჩაბჟირებული მხოლოდ „კუსპას"-ღა ლუღლუღებდა და მოდუნებული ლეოს ებღაუჭებოდა.

— რა გაცინებს, შე ოჯახქორო... — ღიმილით გაჰკრა კისერში ხელი ვანუამ. — კარგი, გეყოფა..

— ეგ-ღა გვაკლდა და ეგეც მოვიდა! — წამოიყვირა კოტემ და ისევ ჩაოსდა. — გზაში რომ ჩამოვარდეს და გასკდეს?

კუსპა კი ქშენით და ვაივაგლახით მიგორდა ქვასთან, ზედ აჩოჩდა და შეშინებული სახით გაუწოდა ხელი ვანუას.

ვანუამაც მაგრად ჩააკლო ხელი, მეორე მხარეზე გადაწვა და ის იყო, კუსპა უკვე ცხენზე იჯდა, როდესაც კოტემ კვლავ დაიწყო ცმუკვა; ცხენმა ტლინკები ყარა და ლეოს გარდა, რომელიც უნაგირზე იჯდა, სამივენი სიცილით და ყიჟინით ჩამოცვივდნენ ძირს პანტაპუნტით.

— კუსპავ, ეს რა გვიყავ, ამ პატარა კაცმა, — ლუღლუღებდა კოტე, ვანუა კი კოტეს უყურებდა, იღრიჭებოდა და მალიმალ იმეორებდა:

— როგორ ატყდა, ეეე! როგორ იფხრიწება, ეეე!

ლეოსაც ეღიმებოდა. მხოლოდ კუსპა იდგა მოღუშული და გაბრაზებით შეჰყურებდა კოტეს.

— აბა, შესხედით, ნუღარ ვიგვიანებთ! — დაიძახა კვლავ ლეომ და ცხენი ქვისაკენ მიატრიალა.

— მაშ ჯელ მე შევჯდები, — გაექანა ცხენისაკენ კუსპა.

— ვერ მოგართვი, კუსპავ! ეგ „მესტა" ჩემია... ბილეთი მე მაქვს აღებული... — წამოხტა კოტე და ისიც ცხენისაკენ გაექანა.

* *

საურმეს ორივე მხრიდან მშვენივრად მოვლილი და გაკეთებული ვენახები მისდევდა.

ლამაზად ახვეული ვაზები სუფთად გათოხნილ და გამოსუფთავებულ ნაპატიებ ნიადაგზე ისე იდგნენ, როგორც თავმომწონე პატარძლები. ვაზებში შიგადაშიგ დიდი ატმისა და ვაშლის ხეები მოჩანდა, ხასხასა ფოთლებით და ახლადგამოკვანძილი ნაყოფით დახუნძლული. ყველაფერს მოვლისა და მზრუნველობის დაღი ესვა... ქვევიდან კი კოლ-

მეურნეთა ბრიგადების შრომის ყიჟინა ისმოდა, რომელსაც თითქოს გახარებული გულით ბანს აძლევდა მდინარის შორეული შხუილი. ბზე ბრწყინვალებდა განსაკუთრებული ზეიმით, თითქოს მასაც უხაროდა თავისუფალი ხალხის თავისუფალი შრომა. ჭრელფრთიანი ჯაფარები ფრთების ტყლაშუნითა და თავის ქნევით დაფრინავდნენ ხიდან ხეზე. არხის პირას უზარმაზარი კაკლის ხე შრიალებდა მძიმე ჩაფიქრებით და მის ვეება ტოტებში მიმალული მკერდყვითელი მოლაღური მეასედ ჩაწოსძახოდა ჩვენს მეგობრებს:

— ბიჭო გოგია, ბიჭო გოგია!

ვენახსა და ვენახს შორის სიმინდის ფართე თარგები იყო დატანებული და ადამიანის მუხლამდე ეყრილი ნორჩი სიმინდი ბავშვივით ტიტინებდა და ალერსიანად აშრიალებდა მწვანედ მოხავერდებულ გრძელ ფურცლებს.

ჩვენი მეგობრები კი ისევ ბოგირთან იდგნენ და ღიმილით გასცქეროდნენ ამ მშვენიერ სანახაობას.

— ბიჭოს! აგელ მამაჩემი მუშაობს! — სიხარულით წამოიძახა კუსპამ და ბოგირზე გადავიდა.

— აბა სად? — გაჰყვა მას ლეოც და კუსპას თითს გააყოლა თვალი.

მართალც, კარგა მოშორებით, ვაზებში, მან შეახნის დაბალ გლეხს მოჰკრა თვალი, რომელიც ყოჩაღად და ხალისიანად სცემდა დედამიწას თოხს.

მაგრამ იგი მარტო არ იყო, მის იქით კიდევ გამოჩნდა მეორე მთოხნელი, მეორის გვერდით — მესამე, და ჩვენმა ყმაწვილებმა მალე მომუშავეების მთელი ჯგუფი გაარჩიეს.

უცებ საურმის მეორე მხრიდან მცირე ჟრიამული მოისმა და შემდეგ დილის მზით ოდნავ გახურებული ჰაერი ზარივით წკრიალა ხმამ დაარხია:

— ჰერი, ბიჭო, ჰერიოგაააა...

მეგობრები შეკრთნენ, მოიხედეს და სმენადქცეულებმა პირი დააღეს ღიმილით. ზარივით პირველი ხმა მიწყდა და მოღუღუნე ტკბილმა მეორემ სიტყვები მიაწოდა:

— ძლივს გვეღირსა ერთად შრომა, —
ავიკინძეთ როგორც მძივი...

— ჰერი, ბიჭო, ჰერიოგა...

დაიწკრიალა ისევ პირველმა ხმამ და, თითქოს დედამიწამ დაიგუგუნაო, ისეთის რიხით შემოუძახეს ბანებმა საყვარელ სიმღერას...

— აქეთაც მუშაობენ! — აღტაცებით წაიჩურჩულა კუსპამ. — ვანი, მამაშენი ამბობს მეოლეს, გესმის?

— და ვეფხვივით წინ მიიწევს

ღარიბების კოლექტივი... —

დაიღუღუნა ისევ მეორემ... სიმღერა გაჩაღდა, მუშაობას მეტი ხალისი დაეტყო. საურმის ორთავე მხარეს ბრიგადა მიიწევდა წინ და აშკარად ერთმანეთის გასწრებას ლამობდნენ.

— აბა, დავკრათ, დავკრათ. დავკრათ, ბიჭებო! — წამოიყვირა მუშაობის ექსტაზში შესულმა ხმამ და დასიცხული ჰაერი ხელად რიტმულ ტალღებად აქანავდა:

— აბა, დავკრათ, ოგა, ოგა,
ჰერი, ბიჭო, ჰერიოგა...
— გავიტანოთ სწრაფად თარგი,
ჰოოპუნა, ოგა, ოგა...

სიმღერას ორივე მხარემ მისცა ხმა, თოხებმა გამძაფრებით დაიწყეს მიწის გაფხვიერება და ისეთი ყიჟინა და ჟრიამული დატრიალდა, კაცს ეგონებოდა — ქორწილი ან რაიმე სხვა დიდი ზეიმი და სიხარულიაო.

— ბიჭებო, — წამოიძახა უცებ აღტაცებულმა ლეომ; — რა იქნება, რომ ჩვენც წავიმუშაოთ, ჰა?! მუშაობის ისეთ ხალისზე მოვედი, რომ მოდით, ბიჭებო, მივიდეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან და ვთხოვოთ, რომ პატარა სამუშაო ჩვენც მოგვცეს — ჰა, რას იტყვით!?

— არა, ლეო, არ გვამუშავებენ. ჯერ პატარები ვართ, — ღრეჭით დაიწყო ვანუამ; — ამას გარდა, საბანაოზე დაგვიგვიანდება...

— ალაფელიც ალ დაგვიგვიანდება, — წამოიძახა თვალებანთებულმა კუსპამ; — ლეო მალთალს ამბობს... მეც ძალიან მუშაობის ხალისზე მოვედი. ვანი, ცოტა წავიმუშაოთ, — ხომ იცი, ლომ კოლექტივის თავმჯდომალე სვიმონი კეთილი კაცია... კიტლებსაც ხომ გვაჩუქებს ხოლმე მე და შენ!?.

— მერე რომ გვაჩუქებს ხოლმე; ჩვენისთანა პატარებს არ ამუშავებენ, გესმის, კუსპანტელ... მეტადრე შენისთანა დაგოლილს, — მიუგო სიცილით ვანუამ.

— მართალია, ვანი, — დაიწყო ლეომ, — მაგრამ განა ჩვენ დღედაღამე ვიმუშავებთ... ცოტა მოვთოხნოთ და საბანაოდ გავიქცეთ... ან არა და, ბიჭებო, — და ლეოს კვლავ სიხარულით აენთო თვალები; — წავიდეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან და ვთხოვოთ, რომ პაწკუნტელა მიწის ნაკვეთი მოგვცეს და ცოტა ჩვენც მოვჩიჩქნოთ ხოლმე.

პატარა კიტრები მოვიყვანოთ!.. აბა, ვანი, გაგვიძეხ... — დაჰკრა ლეომ ვანუას მხარზე ხელი და ორღობეს დაუყვა.

ვანუა და კუსპა ღიმილით აედევნენ მას. კოტემ კი იდროვა, მოიკუზა და გზისაკენ გატუსტუსდა.

— სად მიხვალ! — შეუძახა ლეომ, რომელმაც უკან მოიხედა სწორედ იმ დროს, როდესაც კოტე ღობეს უნდა მიჰფარებოდა.

— სახლში უნდა წავიდე... — ამოიკვნესა კოტემ და შედგა.

ლეო მობრუნდა, კოტეს მიუახლოვდა და ჩაეკითხა:

— რად უნდა წახვიდე?

— საქმე მაქვს... — დაბნეულად და განზე ცქერით ძლივს მოახერხა კოტემ.

— ლა საქმე გაქვს? ალაფელი საქმეც ალა გაქვს! — მიახალა კუსპამ და ხალათზე ხელი წაატანა.

— არა, მე ვერ წამოვალ... მამაჩემმა რომ გამიგოს, მომკლავს...

— რას მიჰქარავ, — წამოიყვირა ლეომ, — უსათუოდ უნდა წამოხვიდე!..

— ეგ კულაკის ვაჟი გახლავთ და კოლექტივში როგორ შემოსდგამს ფეხს!? მაპისა ეშინიან! — დამცინავად განუმარტა ვანუამ ლეოს.

— მამაშენი კულაკია? — ჩაეკითხა ლეო.

— რა ვიცი, კულაკია? — ეგრე კი ეძახიან-და... — დაბნეულად წარმოთქვა კოტემ და ვანუას შეუბღვირა.

— მამაშენს რა ყურს უგდებ; იმას არც არავინ ეპატიჟება კოლექტივში; — მიმართა კოტეს სერიოზულად ლეომ; — შენ კი ჩვენთან უნდა მოხვიდე, ჩვენთან უნდა იყო და იქნები კიდეც... — დაბეჯითებით დაუმატა ლეომ და კოტეს მკლავი მოჰხვია.

— წავიდეთ, — ბრძანების კილოთი დაუმატა მან; — თუ ჩვენი მეგობრობა გინდა, ჩვენთან იყავი, თუ არადა წადი სადაც გენებოს. მამაშენი კი ვერაფერს გაიგებს; თუ გაიგებს და ძე გავსცემ პასუხს.

— როცა მცემს, მერე შენი პასუხის გაცემა რაღას მიშველის... — ცალი ყბით ჩაიღიმა კოტემ, გზისაკენ გასხლტა და გაუბედავად აიტუზა ბოგირის კუთხეში.

გაბრაზებულმა ლეომ ხელი ჩაიქნია და მწვანე ბალახით დაფარულ საურმეს დაუყვა. კუსპაც მას გამოუდგა ბაჯბაჯით.

ვანუა კი წინ მიაბიჯებდა წინამძღოლივით.

რამდენიმე წუთის შემდეგ ლეომ მოიხედა და სახეზე კმაყოფილებამ გადაურბინა: — დარცხვენილი და წამოწითლებული კოტე ძურწა ბალახის ღერს წიწკნიდა აღელვებით და ისე მოსდევდა ამხანაგებს შორიახლოს.

კოლექტივის თავმჯდომარე სვიმონი, უკვე ხანში შესული კაცი, მშვიდი, მაგრამ სახის ენერგიული გამომეტყველებით, კრამიტით დახურულ პატარა ოთახში იჯდა მაგიდასთან, რომელზეც ტელეფონი იდვა, და კოლექტივის გეგმას ათვალიერებდა. მის მაღალ შუბლსა და პატიოსნებით აღსავსე ჩაფიქრებულ თვალებს რაღაც სიამოვნების შუქი მოჰფენოდა და ქალამნებით შემოსილ ფეხებს, თითქოს ცეკვას აპირებსო, ისე აცოდვილებდა აგურის იატაკზე.

— გეგმას გადაჭარბებით შევასრულებთ, თომა, — მიუბრუნდა სვიმონი თავის თანაშემწეს, ახალგაზრდა კომკავშირელს, რომელიც სვიმონის გასწვრივ მაგიდასთან იჯდა და გაჩქარებით სწერდა. მისი მსხვილი, ზორბა ტანი და შუბლზე ჩამოყრილი ქოჩორი ლომისებურ გამომეტყველებას აძლევდა მას.

— რა მითხარით? — მიანათა სვიმონს დიდრონი, ბრიალა, ცეცხლით სავსე თვალები თომამ.

— გეგმას გადაჭარბებით შევასრულებთ...

— მართალია, შევასრულებთ, მაგრამ თქვენ გავიწყდებათ თედო საკუთრებაშვილის ჩამორთმეული ვენახის პატარა დაუმუშავებელი თარგი... შარშანწინდელი ნაბარია და ეხლა რომ ორჯელ გავთოთნოთ, მშვენიერ ბოსტნეულს მოგვცემს... ცოტა დაიგვიანებს, მაგრამ სამაგიეროდ რთველში ახალი ხახვი, მწვანილი და კიტრი გვექნება.

— მართალია, თომა, მეც ვიფიქრე მაგაზე, მაგრამ რომელ ჯგუფს გადმოიყვან სამუშაოზე? ხომ იცი, რა სასწრაფო სამუშაოებია.

— ვიცი, როგორ არ ვიცი... მე თვითონ ვეცდები როგორმე დრო მოვიხელთო და გავთოხნო, — წარმოთქვა თომამ და კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სიტყვა აღარ დასცალდა.

— თომა, შეიძლება შემოვიდეთ? — გამოჩნდა კარებში ვანუა და მორცხვად გადახედა სვიმონს.

— შემოდი, — წამოიწია თომამ, — შემოდი...

— შემოდით, — დაბალი ხმით მიუბრუნდა ვანუა მეგობრებს და ოთახში შევიდა.

— სხვებიც არიან? — იკითხა თომამ, მაგრამ პასუხის ნაცვლად მის წინაშე წარსდგნენ ჩვენი მეგობრები, რომელნიც მორცხვად და მოკრძალებით შევიდნენ ოთახში.

— რას გვეტყვით ახალს? — ღიმილით მიმართა თომამ შემოსულთ და ლეოს მიუბრუნდა; — შენ, მგონი, სალომე დიდედას შვილიშვილი ხარ, არა?

— დიახ!

— რომელია, რომელი? დამენახვე, შვილო... — წამოიწია სვიმონმაც და თვალი შეავლო ლეოს. — ძალიან სასიამოვნოა, ძალიან... რას აკეთებს მამაშენი, ხომ კარგად არის?

— მამაჩემი ქარხანაში მუშაობს...

— ვიცი, შვილო, ვიცი... წინათაც ქარხანაში მუშაობდა, ეხლაც იქ მუშაობს და შემდგომაც უნდა იმუშაოს... ჩვენს ქარხნებს მამაშენისთანა მარჯვე, გამრჯელი და სოციალიზმისათვის თავდადებული ხალხი სჭირია. შენ რაღას აკეთებ?

— მე სკოლაში ვსწავლობ და პიონერი ვარ... ეხლა დასასვენებლად ჩამოვედი დიდედასთან.

— ძალიან კარგი, ძალიან სასიამოვნოა, — ღიმილით წაილაპარაკა სვიმონმა და ფიქრებში გაერთო.

— რისთვის გარჯილხართ, ბიჭებო? — მოუბრუნდა თომა ყმაწვილებს.

— აი ლეო ამოვიდა ქალაქიდან და... — დაიწყო ვანუამ და ლეოს გადახედა ღიმილით; — ამოვიდა და საბანაოდ მივდიოდით, მაგრამ ლეომ სთქვა, რომ კოლმეურნეობაში ცოტა წავიმუშაოთო. მე კი ვუთხარი, რომ...

თომამ თვალები მოჭუტა ღიმილით და ლეოს შეხედა.

— იცი, რაშია საქმე, ამხანაგო თომა, — სხაპასხუპით დაიწყო ლეომ, რომ თომას არ დაესწრო უარის თქმა; — საქმე იმაშია, რომ ჩვენ საბანაოდ მივდიოდით და აქ რომ ჩამოვიარეთ მუშაობის ისეთი ყიჟინა და სიმღერა მოგვესმა, რომ ძალზე მუშაობის გუნებაზე მოვედით. იმწამსვე აქეთ გადმოვსწიეთ და გთხოვთ ცოტა ხანს ჩვენც მოგვეთოხნინოთ, ან მიწის პატარა ნაგლეჯი მოგვიჩინოთ, რომ ერთი ან ორი კვალი გავაკეთოთ... კიტრები მოვიყვანოთ.

თომამ სვიმონს გადახედა და ორივეს გაეცინათ.

— არა, ყმაწვილებო, — წარმოთქვა სერიოზულად სვიმონმა, — ფიზიკურად ვერ გამუშავებთ — თქვენ ბავშვები ხართ და ზაფხულში უნდა დაისვენოთ, რომ ზამთარში განახლებული ენერგიით შეუდგეთ სწავლას. ბოდიში, რომ სურვილს ვერ გისრულებთ, მაგრამ ასე უნდა მოვიქცეთ, სხვა გზა არა გვაქვს, — ასე არ არის, თომა?

თომამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— მეც მაშინვე ვუთხარი... — სთქვა ვანუამ, მაგრამ ლეომ ხელი სტაცა მკლავში და სვიმონსა და თომას მიუბრუნდა:

— მეც ვიცი, რომ ფიზიკურად ჩვენი მუშაობა არ შეიძლება, მაგრამ ჩვენ ხომ მთელ დღეს არ ვთოხნით... ცოტას მოვთოხნით, ისიც მხოლოდ და მხოლოდ გასართობად და დანარჩენ დროს კი იქვე წამოვწვებით და წიგნებს ვიკითხავთ... კოლმეურნეებს გაზეთებს წავუკით-

ხავთ. ძია სვიმონ, ამხანაგო თომა... შენი ჭირიმე, უარს ნუ გვეტყვით... — ეხვეწებოდა ლეო, — მეც მინდა კოლმეურნეობაში ვიარო, აქაურობას გავეცნო.

სვიმონმა და თომამ კვლავ ერთმანეთს გადახედეს.

— ამხანაგო სვიმონ, — ღიმილით დაიწყო თომამ, — მე მგონია, გასართობად რომ იმ პაწაწკინა თარგის ნახევარი მივცეთ — არაფერი დაშავდება... დაე, ჩიჩქნონ... მოეწყინებათ და თვითონვე მიანებებენ თავს... ლეო კი მართლაც კოლმეურნეობას გაიცნობს — გამოადგება... ჰა, რას იტყვი?..

სვიმონი ჩაფიქრდა და კვლავ ფეხები ააცოდვილა იატაკზე. ყველანი მას შესცქეროდნენ და პასუხს ელოდნენ.

— თომა, — აიღო თავი სვიმონმა, — მე თანახმა ვარ, მხოლოდ ერთის პირობით, — შენ ადევნე თვალ-ყური, რომ ეს მათთვის გასართობი იყოს და არა შრომა. ამას გარდა, ყმაწვილებო, აი ლეომ კარგი აზრი გამოთქვა — კოლმეურნეებს გაზეთებს წავუკითხავთ ხოლმეო. ეს დიდებული აზრია, აი ეს სათქვენო საქმეა, ამაში უსათუოდ უნდა დაგვეხმაროთ. ასე რომ, თუ იმ მიწის ნაკვეთს ვერ მოსთოხნით, ჩვენ ეს არ გვეწყინება და ამას არც არავითარ ყურადღებას არ მივაქცევთ, მაგრამ თუ კულტურულ მუშაობაში არ მოგვეხმარებით, გაზეთებს არ ჩამოგვიტანთ და არ წაგვიკითხავთ — ამაზე კი ძალიან დაგემდურებით; — თანახმანი ხართ ასეთ პირობაზე!?.

— თანახმანი ვართ! — წამოიყვირეს გახარებულმა ყმაწვილებმა.

— შენ კი თანახმა არა ხარ? — მიუბრუნდა უცებ თომა კოტეს.

— მეც... თანახმა ვარ... — წაიჩურჩულა კოტემ.

— ჩუმად კი ხარ და... — წარბებშეკვრით წარმოთქვა თომამ და კოტეს დააცქერდა; — შენ თედო საკუთრებაშვილისა არა ხარ?

— დიახ, — ძლივს წამოილაპარაკა კოტემ.

— კიდეც იმიტომ... — ჩაიცინა თომამ, — მამაშენი კოლექტივის მტერია და დანგრევას გვემუქრება, მაგრამ ვნახოთ, ვინ ვის დაანგრევს. შენ, ძმაო, ნუ გაჰყვები მამაშენის გზას, თორემ შენც კისერს მოგატეხინებს... შენ პატარა ხარ, სიცოცხლე წინ გიდევს და საჩვენოსკენ უნდა გქონდეს პირი. აბა რად იბუზები? რა გაქვს მოსარიდი? მხოლოდ ის, რომ მამაშენი კულაკია და ხალხი ეჯავრება?! შენ ჩვენთან მოდი, აი ამ ბიჭებს დაუახლოვდი, პიონერად შემოდი, თუ გინდა რომ წელში გაიშალო, თუ გინდა რომ სასარგებლო კაცი გამოხვიდე და ხალხს სიკეთე მოუტანო. აი ამ ბიჭებმა როგორ ყოჩაღად დაიძახეს — თანახმა ვართო. შენც ასე უნდა მოხვიდე... მომავალი ჩვენია, მომავალი კოლექტივს აშენებს. გინდა ჩვენთან მუშაობა?

— მინდა... — წარმოთქვა კოტემ ხრინწიანი ხმით, — მაგრამ...

— მაგრამ მამაშენისა გეშინიან? — ჩაერია ლაპარაკში სვიმონი და დაუმატა:

— ნუ გეშინიან, შვილო, მამაშენს პასუხს ჩვენ გავცემთ...

— აბა, წამოდით, ბიჭებო, გაჩვენოთ თქვენი თარგი და ხვალისათვის კი თოხებსაც დაგიმზადებთ, — სთქვა თომამ და თექის ქუდი დაიხურა თავზე. — ამ ბიჭს კი განსაკუთრებული ყურადღებით და სიყვარულით უნდა მოვექცეთ, — წასჩურჩულა თომამ ლეოს და კოტეზე ანიშნა თვალით, — თორემ მამის გავლენა დაღუპავს.

— მართალია, — დაეთანხმა ლეო და კოტეს დაკვირვებით შეხედა.

— აბა, ბრიგადის უფროსო, წამობრძანდი, თარგი უნდა მოგიზომო, — სიცილით დაჰკრა თომამ ხელი მხარზე ლეოს და ოთახიდან გამოვიდა.

• •

გახარებული ყმაწვილები სიცილ-ჟრიამულით გამოცვივდნენ კოლექტივის ვენახებიდან და საბანაოსაკენ გაეშურნენ.

— რა კარგად მოვიდა საქმე! — ხარხარებდა ვანუა. — ნაკვეთიც ხომ ჩავიბარეთ! ჩვენც ჩვენი კიტრები გვექნება... ვეკამოთ და ვეკამოთ, კუსპავ!

— უნდა გავთოხნოთ, ლომ მალე დავთესოთ და მალე ამოვიდეს, თოლემ ისე ლა შავ ქვასა სჯამ! — წიწმატობდა კუსპა.

— პატარა თოხებიც გვექნება... ახლებიაო, თომამ ასე არა სთქვა? — მძიმედ იკითხა კოტემ, რომლის სახესაც უკვე კმაყოფილება და რაღაც აღტაცება მოჰფენოდა.

— ქალაქიდან გუშინწინ მივიღეთ და ჯერ არ გაგვიხსნიაო, — თქვა ლეომ და მეგობრებს მხარზე ხელი გადახვია.

— ეჰ, ნეტავი მამაჩემისა არ მეშინოდეს... — მწუხარედ ამოიკვნესა კოტემ და მძიმედ ამოიოხრა.

— ნუ გეშინიან, კოტე! სვიმონი და თომა წამოგესარჩლებიან და მამაშენი ვერაფერსაც ვერ დაგაკლებს. — დაამშვიდა ლეომ და მეგობრებმა რიყისკენ მოკურცხლეს.

ვენახებიდან რიყეზე გასასვლელ ორღობეში თათბირი გაიმართა. ლეო დიდ საბანაოსაკენ მიიწევდა, მაგრამ მის გაოცებას და აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მეგობრებმა მოახსენეს — ჩვენებური და ჩვენი ტოლი ბიჭი ილა დიდ საბანაოში არავის აბანავებსო.

— როგორ არ აბანავებს? — გაიკვირვა ლეომ, — მაშ სადა ბანაობთ?

— დიდ საბანაოს ქვევით, პატარა საბანაოში, — დარცხვენით მიუგო ვანუამ.

— პატალა საბანაო სჯობია, ლეო! — აჩქარებით თქვა კუსპამ, რომელსაც დიდი საბანაოსი მუდამ ეშინოდა, რადგან დაბალი იყო, წყალი მალავდა და ცურვაც არ ეხერხებოდა. დიდ საბანაოში ის მუდამ ნაპირზე ჭყუმპალაობდა და შუაში შესვლას ვერ ბედავდა, რისთვისაც ამხანაგები მასხარად იგდებდნენ. პატარა საბანაოში კი შუაზეც უვლიდა და მისი შიშიც არა ჩანდა ისე აშკარად, თუმცა დაკვირვებული კოტე ბევრჯერ ჩაიხითხითებდა ხოლმე, როდესაც წყალში წაბორძიკებულ კუსპას დაფეთებულ სახეს მოჰკრავდა თვალს.

ლეო დიდ უარზე დადგა — პატარა საბანაოზე არ წამოვალ, მე ცურაობა მინდა და პატარა საბანაოში კი სულ მუხლებს დავიმტვრევო.

თუ არა და რად უნდა იბანოს ლეომ ცუდ საბანაოში, როდესაც კარგი საბანაო უფრო ახლოა. ან ვინ არის ილა, რომ მან მდინარეში ბანაობის ნება არ მისცეს?!

— ეს მდინარე ილას ხომ არ ეკუთვნის?! წყალი ყველასია, ვისაც უნდა — დალევს, ვისაც უნდა — იბანავებს...

ასე წიწმატობდა ლეო, მაგრამ დანარჩენი მეგობრები სხვაგვარად აშუქებდნენ ამ საკითხს, მეტადრე კუსპა ცდილობდა და იჩეჩებოდა ძალიან.

მართალია, ილას არ ეკუთვნის, მაგრამ ილას უსაქმური ბიჭების მთელი ჯგუფი ჰყავს, რომელნიც არაფერს აკეთებენ, სულ რიყეზე ყრიან დიდ საბანაოსთან და სულ ცუღლუტობასა და ჭიდაობაში ატარებენ დროს. მათი საზომი მხოლოდ ჭიდაობაა... ვინც კარგად ჭიდაობს — ის ყოჩაღი და ჭკვიანია, ვინც არა და — უჭკუო და საცოდავი. ილას ჯგუფში ყველანი კარგად ჭიდაობენ, მაგრამ ილა მათ ყველას სჯობნის... ძალიან ჩამკვრივებული და ჯანიანია ილა. ვანუაც კი გალახა, ჩვენი ნაქები და ღონიერი ვანუა, რომელსაც ვერავინ ერეოდა სოფლის ტოლ-ბიჭებში; ისე გადმოაგდო კისრულზე, რომ მხოლოდ ვანუას ჰაერში აქნეულ ფეხებს-ღა მოჰკრა თვალი მთელი სოფლის გოგო-ბიჭობამ. მერე ცემასაც დაემუქრა და ამის შემდეგ ვანუაც და სხვებიც იმ საბანაოს აღარ ეკარებიან ილას შიშით. ასე აქვს გამოცხადებული ილას: — დიდ საბანაოში იმას ვაბანავებ, ვინც მომერევა და ჭიდაობაში წამაქცევსო.

— წამოდით, მაჩვენეთ, ვინ ილაა! — გაჯავრებით წამოიძახა ლეომ და რიყისკენ გაეშურა. — აბა მე გავიხდი, ვიბანავებ, და თუ ბიჭია, ხმა გამცეს. სულაც არ ვეჭიდავები.

ვანუამ ერთხელ კიდევ სცადა ლეოს გადაბირება, მაგრამ ამაოდ.

ლეო ჯიუტად მიაბიჯებდა და სრულიადაც არ ფიქრობდა თავის განზრახვაზე ხელის აღებას.

— ძალიან სეირს ვნახავთ, კუსპავ! — თვალის ჩაკვრით უჩურჩულა კოტემ და გახარებულმა მხიარულად ჩაიხითხითა, შემდეგ კისერი მელასავით წაიგრძელა და შემპარავი ძუნძულით აედევნა მეგობრებს.

აი, დაიწყო რიყე.

მზე ზევით წამოვიდა და სიცხის ალმურში გაეხვია მიდამო. ჩვენი მეგობრები გაჩქარებით მისდევდნენ დიდი ნაბიჯებით წინ მიმავალ ლეოს და თან ხვითქი გადასდიოდათ, მეტადრე კუსპას, რომელიც თითქმის მირბოდა, ხვნეშოდა, ოფლში იწურებოდა, მაინც უკანა რჩებოდა და ჩვეულებისამებრ ბურტყუნებდა:

— მოიცათ, კაცო, ელთად ვიალოთ, ბიჭებო...

ჩვენმა მეგობრებმა მალე მდინარის ტოტში გატოპეს და მიუახლოვდნენ დიდ, უზარმაზარ ჩამონგრეულ კლდეს, რომლის ძირშიაც მდინარე კარგ საბანაოსა ჰქმნიდა.

თვით საბანაოში არავინა ჩანდა. მორევი ლურჯად ლივლივებდა და მისი წყნარი ზედაპირი კლდის ჩრდილს უფრო გაემუქებინა.

იქვე, მზისაგან გახურებულ ქვიშაზე ათიოდე ტიტველა, ქვიშაში ამოგანგლილი ბიჭი წამოყრილიყო და მზეზე იხუხებოდნენ ლაზღანდარაობით.

— აქა ყოფილან, — წაილაპარაკა ვანუამ გაურკვეველად და ხმაში რაღაც დახშული მოუსვენრობა და კრთომა დაეტყო.

ლეო ხმის ამოუღებლივ, გულდაგულ მივიდა წყლის პირთან, ქამარი მოიხსნა და იქვე დიდ ქვაზე დადო. ქვიშაზე მწოლარებმა გაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერეს ახლად მოსულნი, მეტადრე ლეო. ზოგი მათგანი კი ცნობისმოყვარეობით წამოჯდა.

— რა გულდაგულ მოვიდნენ, ეეე! — წამოიყვირა ერთმა და მუხლის თავებზე წამოდგა.

— ეს რა ჩიტი მოფრენილა?

— საიდან და სადაური? — ჩაიმღერა სიცილით მეორემ, ქოჩრიანმა ბიჭმა, და თავის ამხანაგებს გადახედა.

— ვანი, რისთვის მობრძანებულხართ? თქვენი საბანაო ქვევით გახლავთ... ჩვენს ქვევით... თქვენ ჩვენი ნაბანოვარით თუ არ იბანავეთ, გაცივდებით. — იოხუნჯა კვლავ პირველმა.

— ეი, შენ, ამხანაგო! აქ ბანაობა არ შეიძლება, ტყუილად ნუ ირჯები ტანისამოსის გახდით! — მოისმა მესამე ხმა, მკვახე და მბრძანებელი.

ლეომ არც ამ ხმას მიაქცია ყურადღება, ხალათი გადაიძრო და ისიც ქამართან ქვაზე დადო.

— გაიგონე, რასაც გეუბნებიან, თორემ... — დაუყვირა ისევ იმ ხმამ და ქვიშიდან კოხტა, მოხდენილი ხუჭუჭქოჩრიანი ბიჭი წამოხტა.

ეს ილა გახლდათ... იგი ლეოზე ოდნავ დაბალი იყო, მაგრამ ლეოზე უფრო ჩასხმული და ჯმუხი აგებულებისა.

— იგი დამცინავი ღიმილით მიუახლოვდა ლეოს და წინ დაუდგა.

— თორემ რას იზამ? — გაბრაზებით ჰკითხა ლეომ და მთელი სხეულით აენთო.

— რას გიზამ და... ისე გაბურთავებ, რომ... — მიახალა სიცილით ილამ და ვანუას გადახედა.

— შენ რიღასთვის მოხვედი, აბლაყო? ხომ არ გინდა დაპირება შეგისრულო?

— მე ლეოს მოვყევი, — წაილუღლუღა ვანუამ ღრეჭით და მძიმედ დაუმატა: — ძალიანაც თავს ნუ გამოიდებ!

— ეს ყმაწვილები მე წამოვიყვანე... მერე, რა გინდა? წყალი ყველასია და ყველამ უნდა ვიბანაოთ...

— რა უნდა მინდოდეს... მოდი, მეჭიდე და, თუ წამაქცევ, იბანავე... თუ ვერა და აქ აღარ დამენახო, — ყოჩაღად უთხრა ილამ და თავის ჯგუფს გადახედა სიცილით.

ლეო შეფიქრიანდა... იგი ქალაქში ბევრს ვარჯიშობდა რბენაში, ხტომაში, ღერძზე და ორძელზე, მაგარმ ჭიდაობა არც დასჭირებია და არც არასოდეს უჭიდავნია... რომ დათანხმდეს და ილას ეჭიდოს — ვაითუ წააქციოს ილამ და სირცხვილი აჭამოს... არ ეჭიდაოს და მით უარესი... იტყვიან, ეშინიანო, და უფრო სირცხვილი იქნება.

— ჰაა! რასა ფიქრობ, ქალაქელო, შეგეშინდა? — დაცინვით დაეკითხა ილა. — თუ წაგაქციე, არ გაბანავებ.

— თუ მე წაგაქციე? — წამოიყვირა უცებ ლეომ.

— მაშინ რაა?

— მაშინ მე ვიბანავებ და შენ კი ჩვენს პიონერორგანიზაციაში შემოდი! — გამძაფრებით დაიძახა ლეომ, მაგრამ ამ სიტყვებზე ილასა და მის მეგობრებს სიცილი წასკდათ.

ლეომ წამსვე ტუჩზე იკბინა.

— ეს რა პირობაა, — გაუელვა მას თავში.—ეს როგორ წამომცდა... განა გამოსადეგია ასეთი ხერხით ბავშვის ორგანიზაციაში შეყვანა? მაგრამ... მეტად მომწონს ილა. ეტყობა, ყოჩაღი და ღონიერი ბიჭია. ორგანიზაცია მოარჯულებს მას. იქ ბევრ საქმეს გააკეთებს. ჩვენს საწარმოო ბრიგადაშიაც კარგად იმუშავებდა... ჩვენზე კარგად.

— პიონერად შემოდიო! — ხითხითებდა ქოჩრიანი ბიჭი, ვიდრე ლეო ფიქრში იყო გართული.

— რა კარგი პირობაა!

— დაეჭიდე, ილა! — უყვიროდა მეორე.

— კარგი... მე თანახმა ვარ, — დამცინავად თქვა ილამ და ხელები საჭიდაოდ გაიწოდა წინ.

— სარმით არ გეჭიდები. სარმას ნუ გამოვდებთ ერთმანეთს! — წამოიძახა შემკრთალმა ლეომ.

— არ მეჭიდები და წადი, არ გაბანავებ; მე უსარმოდ ჭიდაობა არ ვიცი, — მოუჭრა ილამ მკვახედ.

— როგორ თუ არ მაბანავებ! — კვლავ აღშფოთდა ლეო. — ეს მდინარე, ეს მორევი შენი ხომ არ არის?

— არ გაბანავებ და, შენ როგორც გინდა, ისე მიიღე.

— მე მაინც ვიბანავებ! — ჯიუტად წამოიძახა ლეომ და შარვლის გასახდელად მოემზადა, მაგრამ ილამ აღარ აცალა, მკლავში ჩაებღაუჭა, ქვიშაზე გადაითრია და მოგვერდზე წამოღებული ლეო ერთ წამს მიწაზე გაგორდა.

ილას ამხანაგები სიცილით იხოცებოდნენ. ლეოს ასეთი შეურაცხყოფისაგან თვალთ დაუბნელდა, იგი ცოფიანივით წამოვარდა ზეზე და ილასაკენ გაექანა დაღრეჯილი სახით, მაგრამ დამცინავი ღიმილით მდგომმა ილამ მშვიდად წაავლო მკლავში ხელი, ელვის სისწრაფით მიტრიალდა, წამოიჩოქა და ლეოს იღლიაში ამოუჯდა მხარით; შემდეგ წამში კი ჰაერში ლეოს დაკარწახებულმა კანჭებმა გაისრიალა და ლეო კვლავ ქვიშაზე გაიშალა უმწეოდ.

— ჰა, აბა კიდევ მოდი! — გამაღიზიანებელი სიცილით მიმართა დოინჯშემოყრილმა ილამ სირცხვილისაგან თვალზე ცრემლმორეულ ლეოს, რომელიც ძლივს წამოდგა და საიერიშოდ მოემზადა, მაგრამ მოპირდაპირემ გონზე მოსვლა აღარ დააცადა, თვითონვე დაეძგერა, კისერში და მკლავში წაავლო ხელი და შუა სარმა გამოჰკრა. ლეო მოჭრილ ხესავით გადაიქცა უკან, ილამ კი სიცილითა და ღრეჭით ისევ წამოაყენა ლეო, შემდეგ გარე სარმით გვერდზე წააბარბაცა და ქვიშაზე წააწვინა.

ლეო დაიბნა და გაოგნდა. აღარ ესმოდა რას აკეთებდა. დამცირებულსა და გალახულს მხოლოდ ერთი სურვილი-ღა ამოძრავებდა, რომ როგორმე ფეხზე დამდგარიყო, წელში გასწორებულიყო, მაგრამ ამაოდ... წამოდგომისთანავე ილა კვლავ სარმას სდებდა და ქვიშაზე შხლართავდა. ილას ამხანაგები სიცილით ბჟირდებოდნენ და აღტაცებით ყვიროდნენ:

— ერთიც, ილავ, ერთიც! — ილაც თავმომწონედ იკრიჭებოდა და, ვინ იცის, რამდენ ხანს აგორავებდა კიდევ სახიდან შეშლილსა და დაბნეულ ლეოს, რომ უეცრივ მდგომარეობა არ გამოცვლილიყო.

— ლას შვლები, ლა თავს წახვედი! — აღელვებით მივარდა უცებ

ილას კუსპა და მუჯლუგუნი წაჰკრა შიშველ მკერდში. — გაუშვი ეხლავ, თოლემ აი ამ ქვით გაგიხეთქავ თავს! — ამ სიტყვებთან ერთად იგი რიყის მოზრდილ ქვას დასწვდა და ათრთოლებულმა, ანთებული თვალებით მოუღერა ილას.

ილამ ლეოს ხელი გაუშვა და სიცილით მოიხედა კუსპასკენ, მაგრამ ღიმი იმ წამსვე გაუქრა სახეზე: კუსპას ისეთი განწირული და გაბედული სახე ჰქონდა, ისეთი თავგამოდებით იწევდა ქვით, რომ ილა შეკრთა და უკან წატორტმანდა უნებურად.

— რაკი ჭიდაობა არ იცის, უნდა დაიბრიყვო?! ფუი, შენს ბიჭობას! — გაისმა უცებ ვანუას ყვირილის მსგავსი და ბრაზისაგან ჩახრინწიანებული ბოხი ხმა.

ამ სიტყვებმა გრგვინვის მაგვარი შთაბეჭდილება მოახდინა. ილას ამხანაგებმა სიცილი შესწყვიტეს და ერთ წამს სამარისებური მდუმარება ჩამოვარდა. ყველამ ვანუასაკენ მოიხედა, რომელიც დაჭყეტილ თვალებს ბრაზიანად აბრიალებდა და მრისხანე სანახავს წარმოადგენდა.

იშვიათად, რომ ვანუა გაჯავრებულიყო. მეტად უწყინარი, მშვიდი და გულუბრყვილო, დამთმობი ბიჭი იყო; ბევრი რამ აუტანია, — დამცირება, ამხანაგების დაცინვა და გაბრიყვება, მაგრამ არაფრად ჩაუგდია ყოველივე ეს. როდესაც ილამ გალახა ვანუა, — მას სრულიადაც არ სწყენია ეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავის ტოლ-ბიჭებში ყველას ერეოდა და პირველ მოჭიდავედ ითვლებოდა. ბიჭების დაცინვასაც არაფრად იმჩნევდა და გულუბრყვილო ღრეჭით თვითონვე იცინოდა და ხარხარებდა. არავის უნახავს ვანუა გაბრაზებული და აღელვებული, მაგრამ ამჟამად კი მის აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა.

მას ვერ წარმოედგინა, — როგორ შეიძლებოდა მოჭიდავისათვის კაცს ხელი ეხლო, თუ კი ის წინააღმდეგობას ვეღარ, ან აღარ უწევდა. ამ წუთში მას სძულდა და ეზიზღებოდა ილა და მზად იყო ჩინჩხვარივით დაემტვრივნა იგი. სიმწრისაგან იმოდენა ღონეს გრძნობდა, რომ ორ ილას ტოლს მოერეოდა. ისედაც მზეზე გახუხული სახე სიბრაზისაგან შავად ჩამოღრუბლოდა და მისი დაკოხილი შუბლი მუქარით გამოიყურებოდა, მისი განიერი, ძარღვიანი მკერდი ადი-დადიოდა გახშირებული სუნთქვით და მთელი მისი სხეული ჭიდაობის მოზღვავებული ენერგიით კანკალებდა.

— თუ ასე ჭიდაობის გუნებაზე ხარ, მოდი და მეჭიდე! — დაიქუხა ბოლოს ვანუამ, ქუდი რიყეზე დაახეთქა და მგელივით ილასაკენ დაიძრა.

ილას ამხანაგებს ხმა ჩაუწყდათ და ყველა ვანუასა და ილას მიაშტერდა, ყველა ახალ სანახაობას ელოდებოდა.

— გეჰიდო? ჯერ არ წამიქცევიხარ? — დაბნეული ღიმილით მიუგო ილამ და თან ლეოს გადახედა, რომელიც აჩქარებით იცვამდა ხალათს და აღელვებისაგან სახელოში მკლავი ვერ გაეყო.

— წაგიქცევივარ თუ არა, მაგას არავინ კითხულობს. შენ ეხლა მეჰიდე, თუ ეგრე გერჩის გული.

— გამოდი, გამოდი! გეტყობა, დაგავიწყდა! — ჩაიცინა ილამ და ჰიდაობა აუცილებელი იქნებოდა, რომ ისევ კუსპა არ ჩარეულიყო თავისი ქვით.

— ვის უნდა ეჰიდო! — დაებღაუჭა კუსპა ვანუას და სიბრაზისაგან გაჭარხლებული სახე შეანათა დაბღვერილ ვანუას. — თავს ლოგოლ უყადლებ ამ უსვინდისოს! აი ამას! — წამოიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა კუსპამ და ქვა მოუქნია. ილა რომ უკან არ გადამხტარიყო, ნასროლი ქვა ფეხს გაუჩეჩქვავდა.

— ბიჭოს, შენ საჩხუბრად მოიწევ! — წამოიყვირა ილამ, თვითონაც რიყისაკენ გადახტა და ქვას წასწვდა, მაგრამ იმ წამსვე ვილაცის მიერ მარჯვედ გამოსროლილი ქვა მოჰხვდა მხარში და ქვის ასაღებად დაწვდილი ხელი მხარზე იტაცა სიმწრის ყვირილით. საქმე იმაშია, რომ კოტე თავიდანვე ამ ამბებს ღიმილით შეჰყურებდა, მაგრამ მალე მოუსვენრობა დაეტყო და წინათგრძნობამ მძიმედ უჩურჩულა — საქმე კეთილად არ გათავდებაო. და რომ თვითონაც უსაქმოდ არ დარჩენილიყო და ლეოს ისიც წაჰსარჩლებოდა, თავის ჩვეულებრივ ხერხს მიმართა. ჯერ კუსპა და ვანუა არ ჩარეულიყვნენ საქმეში, რომ კოტემ ხელათ მრგვალი და ბრტყელი ქვა შეათვალიერა რიყეზე, ჩუმად დასწვდა და მელასავით კისერწაგრძელებულმა მოხერხებულ დროს დაუწყო ლოდინი, თან კი უკან დაიწია, რადგან შორიდან უფრო აუცდენლად ესროდა და გასაქცევადაც მარჯვე იყო. არა ერთ ბიჭს ახსოვდა მწარედ მისი გამოსროლილი ქვა.

აი ეხლაც სწორედ ის მრგვალი და ბრტყელი ქვა მოხვდა ილას, რომელსაც თავის დროზე კოტე დასწვდა ჩუმად.

— არიქა, ბიჭებო, ესენი ქვებით მოიწევენ! — წამოიყვირეს ილას მეგობრებმა და საჩქაროდ რიყეს ეცნენ ქვების ასაკრეფად.

სურათი ხელათ შეიცვალა. ჩვენი მეგობრები თავგადაგლეჯით გარბოდნენ რიყეზე ვენახების მიმართულებით, ხოლო ტიტლიკანა ილა და მისი დამჭაშები ყიჟინითა და ჟრიამულით მისდევდნენ მათ და სეტყვასავით უშენდნენ ქვას.

— კოტეს ესროლეთ, ბიჭებო! — ყვიროდა ილა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ესროდა კოტეს ქვებს, მაგრამ კოტე ყველაზე წინ მირბოდა და ნასროლი ქვები მას ვერ სწვდებოდა.

— დამაცადე, ჩამივარდები ხელში! — მიჰკიოდა ილა და გაშმაგებით იღუნებოდა ქვების ასაკრეფად.

• •

— ლეო! — დაიძახა ვანუამ მეორე დილით სალომე დიდედას ეზოსთან.

— ეხლავე! — წამოხტა ლეო, რომელიც საუზმეს ათავებდა.

— მოიცა, შვილო, ჭამე და ისე წადი. — გაეტირა ლეოს სალომე დიდედა, მაგრამ ლეო მოტრიალდა, კარაქიანი პურით გამოტენილ ყბაზე მიუთითა და ეზოში ჩაირბინა.

— მალე მოდი, ნუ მალოდინებ ხოლმე, გენაცვალოს დიდედა. — კვლავ აწუწუნდა მოხუცი, მაგრამ ლეო უკვე გაქრა.

— აბა, ბიჭებო, კოლმეურნეობაში მივდივართ, არა?

— მაშ, — დაიწყო კუსპამ, — წუხელ მამაჩემს ვუთხალი, ჩვენც კოლექტივში ვივლით და გაზეთებსაც წაგიკითხავთ-მეთქი, და ძალიან გაეხალდა. ყოჩაღად მოქცეულხალთ — თქვენვე გალგებთო.

— მეც ვუთხარი და მამაჩემმაც ყოჩაღობაში ჩამომართვა. — თავმომწონედ დასძინა ვანუამ.

— შენა, კოტე, შენ კი არ გითქვამს? — მიუბრუნდა ლეო კოტეს.

— არა, მე არ მითქვამს. — თითქმის დარცხვენით თქვა კოტემ, ქვას დასწვდა და ღობეზე მჯდომ ბღლურას ესროლა.

— ჰო, შენ მამაშენისა გეშინიან! — უთხრა ლეომ სიცილით. — არა უშავს რა, ცუდ გზაზე არა დგები, მამაშენი ვერაფერს დაგაკლებს, — დაუმატა ლეომ და მხარზე ხელი გადახვია კოტეს.

ბაასითა და ხუმრობით ყმაწვილები კოლექტივში ჩავიდნენ.

თომა მათ ელოდებოდა. იგი ოთახის აივანზე იჯდა და თოხისათვის ტარსა სთლიდა პატარა წალდით.

— მოხვედით, ბიჭებო? — გაიმართა წელში თომა და ჩვენს მეგობრებს შესცინა. — ყოჩაღი ბიჭები ხართ და ყოჩაღი თოხებიც მოგივზადეთ; წამოდით ჩემთან.

ამ სიტყვებით თომა წინ გაუძღვა ყმაწვილებს და ოთახის გასწვრივ მდგომ დიდ ფიცრულ საწყობში შეიყვანა, სადაც აუარებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი ეწყო.

— აბა, ლეო, თოხებს შენ ჩაგაბარებ. თუ დაიკარგა, შენ აგებ პასუხს... — სიცილით მოუბრუნდა თომა ლეოს და ოთხი ახალთახალი

პატარა თოხი ჩააბარა მას. წკრიალა და ახლადგათლილტარიანი თოხების დანახვაზე ჩვენს მეგობრებს თვალები აუციმციმდათ.

ლეომ გულისფანცქალით ჩამოართვა თომას თოხები.

— მუშაობას რომ გაათავებთ, თოხები ამ ოთახში მოიტანეთ; თუ მე აქ ვიქნები, მე ჩავიბარებ, თუ არადა, სვიმონს დაუტოვეთ. აბა ვინძლო თვალისჩინივით გაუფრთხილდეთ საწარმოო იარაღს და კოლექტივის ქონებას. გახსოვდეთ, რომ ადამიანი იარაღით იქმნის დოვლათსა და სარჩოს.

— აბა ახლა თქვენს ნაკვეთზე წავიდეთ, — განაგრძო თომამ, მხარზე დიდი თოხი გაიდო და ღიმილით გაუძღვა წინ. ჩვენმა ყმაწვილებმაც დაითითოვეს მიცემული თოხები, თომასავით მხარზე გაიდეს და თომას დაედევნენ.

— აი ამ ნაკვეთს 10 მეტრი სიგრძე აქვს და ამდენივე სიგანე, — მიუთითა თომამ ლეოს, როდესაც ბილიკებზე კარგა ხანს სიარულის შემდეგ თედო საკუთრებაშვილისეულ ცარიელ ადგილთან გავიდნენ. ადგილი მართლაც ნაბარი იყო და ბალახი მოჰრეოდა. ნაკვეთს თავში დიდი კაკლის ხე ედგა და ნაკვეთის მცირე ნაწილს ჩრდილავდა. ბოლოში კი მაყვლიანი ღობე იწყებოდა და ცალგვერდით მოსდევდა მთელ ნაკვეთს. ღობის იქით გზა მიდიოდა რიყეზე... რიყიდან მდინარის შხუილი მოისმოდა.

— ხომ ხედავთ, რა მყუდრო ადგილია, — დაიწყო თომამ. — მოთოხნეთ, რამდენიც გეხალისებათ, — არავინ დაგიშლით, მხოლოდ თქვენც არავის დაუშალოთ. ვაზებში ნუ იძრომიალებთ, თორემ ნათოხნი გაიტკეპნება და მტევანს მარცვალი გასცვივა. ჩიჩქნეთ ეს ნაკვეთი და გაერთეთ, მაგრამ რაწამს დაიღალოთ, ინწამსვე ხელი აიღეთ მუშაობაზე და სადაც გინდათ წადით. თქვენ მეტი არ მოგეკითხებათ.

ასე არიგებდა თომა მეგობრებს, მაგრამ ჩვენი ყმაწვილები მუშაობის სურვილით თრთოდნენ.

— შეიძლება დავიწყოთ? — ჰკითხა ვანუამ და განივრად გაიღიმა.

— შეიძლება, შეიძლება, — გაეცინა თომას და გამწკრივებული ბიჭები გამგელებით ეცნენ სამუშაოს და ახალი თოხებით მორეულ ბალახს პარსავდნენ და ნიადაგს აუბვიერებდნენ.

თომაც გვერდში ამოუდგა ყმაწვილებს; იგი ძძიმედ სცემდა თოხს, რომ ძალიან წინ არ წაწეულიყო და ბავშვებისათვის ძალა არ დაეტანებინა. რასაკვირველია, ლეოს სხვებზე მეტად უჭირდა თოხნა. ვანუაც, კუსპაც და კოტეც სოფლის შვილები იყვნენ, სოფლის მუშაობას იცნობდნენ, ხელში თოხიც სჭერიათ და ცულიც. ამიტომ მათი მოძრაობა უფრო მიზანშეწონილი და ნაყოფიერიც იყო. ლეო კი — ქალაქის შვილი, თოხს ჯერ ვერ ხმარობდა ხელრიანად და ზედმეტად იქნევდა

ზევით, ხოლო მიწას ისეთის ძალით ურტყამდა, თითქოს მიწა შუაზე უნდა გააპოსო. ხან კი თოხი ჰაერში უტრიალდებოდა და ზევიდანვე გვერდელად წამოსული პირი ოდნავ ჩიჩქნიდა მიწას ცალი წვერით.

ვანუა, კუსპა და კოტე კი დარბაისლურად ალაგებდნენ ბელტს. ბელტზე და საკმაო სისწრაფით მიიწევდნენ წინ: დაღლილობა არცერთს არ ეტყობოდა, ლეო კი უკვე ქშინავდა, ოფლში იწურებოდა, ფიცხობდა. მიწას ბდღვნიდა და მაინც უკან რჩებოდა შესაჩნევად.

უკვე 5 წუთი გავიდა, რაც მუშაობა დაიწყეს.

— ნუთუ ამხანაგებმა უნდა გამასწრონ? — ფიქრობდა თითქმის ქანცგამოლეული ლეო. — არასოდეს! თავს მოვიკლავ და ამხანაგებს გვერდში მივყვები, თუ გასწრება ჯერ ვერ მომიხერხებია... — და მთელი ტანით ჰყვებოდა თოხს ხან მაღლა და ხან დაბლა, ხან მაღლა და ხან დაბლა; ოფლი წკრიალით მოსდიოდა, კბილები კრაჭუნობდნენ ყბების გამძაფრებული მოძრაობით, თვალებში უკვე ტანჯვა და განწირულება ეხატებოდა, მაგრამ მაინც უკან რჩებოდა.

— დადექ! — დაიძახა უცებ თომამ და ლეოს სიცილით მიუბრუნდა. — ლეო დაგვეღალა, ბიჭებო, — დავასვენოთ.

ვანუამ და კოტემ ღიმილით აიღეს ხელი მუშაობაზე და ოდნავი, თითქმის შეუმჩნეველი ქაქანით თოხის ტარს დაეყრდნენ. კუსპას კი უფრო ეტყობოდა დაღლილობა, — მისი მკერდი ადიდადიოდა და ოფლიც წურწურით ჩამოსდიოდა შუბლზე, მაგრამ მაინც ამხანაგების თანაბრად მუშაობდა... ლეო კი საბრალო სანახავი იყო. იგი გაღიმებას ცდილობდა, მაგრამ ღიმილის მაგიერ დატანჯული სახის ღრეჯა გამოუდიოდა.

— შენ ძალიან ფიცხობ, — მიჰმართა თომამ ლეოს, — შენ აი ასე მუშაობ, — განაგრძო მან და ლეოს მოძრაობანი გაიმეორა: თოხი ძალიან აიქნია და გამძაფრებით დაჰკრა მიწას, შემდეგ ჰაერში ირიბად გადაატრიალა და მაგრად დაკრულმა თოხის გვერდის წვერმა ძლივს მოჩიჩქნა მცირე ადგილი.

— აი შენ როგორ მუშაობ! — კვლავ წარმოთქვა თომამ, — მე თვალ-ყურს გადევნებდი და შეგატყე, რომ უკან ჩამორჩენით ძალიან სწუხდი. ეგ არაფერია; ეს იმის ბრალია, რომ მუშაობის ხერხი არ იცი. აი ამათ კი იციან. თოხი ძალიან არ უნდა გადაიქნიო უკან და არც ისეთი ძალით უნდა დაჰკრა, თითქოს უზარმაზარ ნუჟრიან კუნძსა ხეთქავდე. აი, მიყურე, მე როგორ ვთოხნი! — სთქვა თომამ და თოხნით გაჰყვა ლეოს. მისი მოხდენილი და ზომიერი მოქმედება ისეთ სასიამოვნო და მოქნილობის შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ გეგონებოდა, ეს კაცი კი არ მუშაობს, მძიმედ მისეირნობს და ასეთი სეირნობით არც დაიღლებაო.

— აი, ხედავ! მიენდე თოხის სიმძიმეს და მხოლოდ ცოტაოდენი ლონე მიაყოლე ზემოდან; თოხი თავის სიმძიმითვე ჩავა მიწაში და ცოტაოდენი მოწევით ბელტს ამოაგდებს. აი ასე უნდა იმუშაო, რომ ძალ-ღონე დაგეზოგოს. მაშინ არც მალე დაიღლები და მეტ საქმესაც გააკეთებ. აბა, ვცადოთ... — და თომა ისევ გვერდში ამოუდგა მეგობრებს, რომელთაც კვლავ მოჰკიდეს ხელი მუშაობას.

დარცხვენილი ლეო ცდილობდა თომასათვის მიებაძა თოხის აღებადაღებაში, და მართლაც ატყობდა, რომ ნაკლები ენერგია ეხარჯებოდა და ნაკლებადაც იღლებოდა.

— აი ეგრე, აი ეგრე! — აქეზებდა თომა, როდესაც ლეო მოხდენილად დაჰკრავდა თოხს.

— ნუ გეშინიან, ჯერჯერობით უკანა რჩები, მაგრამ, როდესაც თოხნას ისწავლი, ყველას გაგვასწრებ. შენ ყოჩაღი ბიჭი ხარ, — ალერსიანად უმატებდა თომა და ლეოს ხაზის გამოსწორებაში შველოდა.

— აბა ეხლა მე წავალ, — თქვა თომამ მეორე 5 წუთის შემდეგ, როდესაც ყმაწვილები დასასვენებლად შედგნენ. — მე წავალ და თუ დაგჭირდეთ რაიმე, მოდით ოთახში და, თუ მე იქ არ ვიყო, სვიმონსა ჰკითხეთ, ის უფრო მეტს გეტყვით — მან ჩემზე მეტიც იცის და ჩემზე გამოცდილიც არის.

თომა წავიდა.

ყმაწვილები მარტოდ დარჩნენ და მუშაობა განაგრძეს. რამდენიმე ხანს კიდევ იმუშავეს.

— ცოტა ნელა ვთოხნოთ, ბიჭებო! — ამოიკვნესა ხვითქში გაცურებულმა კუსპამ, — თოლემ ლეო ველალ მოგვყვება.

— ხა, ხა, ხა! კუსპანტელ! — გადიხარხარა კოტემ. — ვითომ შენ ლეოს დარდი გაქვს?

— არა უშავს რა, მოგეწევით! — წამოიძახა დაქანცულმა ლეომ და თოხის ცემას უმატა.

— ლეო, შენ ძალას ნუ დაიტან! — მოუბრუნდა ღიმილით ვანუა, — მუშაობა შეწყვიტა და კაკლის ჩრდილში წამოწვა. — თომამ ხომ გვითხრა, ძალას ნუ დაიტანთო. მე უკვე დავიღალე და მომეწყინა კიდეც. მოდით ვილაპარაკოთ!

— ვანუა მალთალს ამბობს, ძალას ნუ დავიტანთ; თომამაც ხომ ასე გვითხლა!? — ატიტინდა კუსპაც.

— სულაც ნუღარ ვიმუშავებთ. — ჩაიხითხითა კოტემ და თოხი კაკლის ხისკენ გადაისროლა.

— რას შვრებით, ბიჭებო!.. — წყრომით მოტრიალდა ლეო, რომელსაც ყველაფერში საქმის ბოლომდე მიყვანა უყვარდა, მაგრამ კაკლის ხის ძირში მწვანე ბალახის ხავერდოვანი ხალიჩის დანახვაზე და

სასიამოვნო სიგრილეში სიცილით გადაშხლართული ბიჭების შემხედვარემ. თვითონაც გაიცინა, თოხი მიწაში ჩაარჭო მძლავრი მოქნევით და ამხანაგების გვერდით სიცილ-ხარხარით გაგორდა ბალახზე.

უკვე შუადღის სიცხე ვარვარებდა. გახურებულ რიყეზე მდინარის შხეილთან ერთად კალიების ფრენის ფართხალი და რაღაც მწერების ჭრიჭინი იდგა. ვაზები სიცხისაგან ძირებს იჩრდილავდნენ დიდი მწვანე ფოთლებით. კაკლის ხე ოდნავ აშრიალებდა კენწეროს ფოთლებს, ხოლო ძირს ჩვენი წამოწოლილი მეგობრების ირგვლივ მოზრდილ ბალახში სიცოცხლე დუღდა. მწვანე ობობა ფეხების პარჭყვით უსაფრდებოდა პატარა ლურჯ ბუზს, რომელიც რაღაც ყვითელი ყვავილის მოტეხილ ყლორტის ძირს აჯდებოდა და გადმონადენ წვენს სვამდა. უზარმაზარი ჭიანჭველები სწრაფად დარბოდნენ ბალახებში, — ბიჭებსაც აცოცდებოდნენ შარვალ-ხალათზე, — და ხან რას ებღაუჭებოდნენ თავიანთი მაგარი უბებით და ხან რას. აგერ ერთი ჭიანჭველა რამოდენა ნაფოტს მიათრევს, აგერ მეორეს მკვდარი პეპელა დაუთრევია. ყველა არსებობისათვის იბრძვის...

უცებ ლეომ სიცილი შეწყვიტა და სახემოღუშული წამოჯდა.

— საბანაოდ მინდა წასვლა, მაგრამ... — წარმოთქვა მან მძიმედ და ხმა გაუწყდა.

— მაგრამ რა?.. — ჩაეკითხა მხარ-თეძოზე წამოწოლილი კოტე.

— გუშინდელი ამბავი ხომ გახსოვთ?.. — გარინდებით წაიჩურჩულა ლეომ და რიყეს გახედა უაზროდ.

— გვახსოვს, — მძიმედ თქვა ვანუამ და თავი ჩაღუნა.

— ჰოდა, მე ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ თუ დიდ საბანაოში საბანაოდ ილას წაქცევაა საჭირო, მე იმას უსათუოდ წავაქცევ!

ბიჭებმა იჭვნეულად გაიღიმეს და ერთმანეთს გადახედეს.

— ილას ვერ წააქცევ, — თავისთვის წაიბუზღუნა კოტემ, მაგრამ ლეომ გაიგონა ეს და ფეხზე წამოხტა.

— რატომ ვერ წავაქცევ? იმაზე ნაკლები ღონე მაქვს?

— არა, ღონე კი შეიძლება მეტიც გქონდეს, — დაიწყო ვანუამ ღეჭვით, მაგრამ ლეომ გააწყვეტინა:

— მაგრამ რა? მაგრამ ხერხები არ ვიცი, განა? ეს არ უნდა გეთქვა? ეს მეც ვიცოდი და სწორედ ამიტომ მინდა ერთი რამ გთხოვო, ვანი!

— აჰა, მესმის! — გულუბრყვილო სახით წამოიყვირა კუსპამ. — ვანი, შენ ხელხები ასწავლე ლეოს და ილას ისე წააქცევს, ლომ დამთქნალებაც ველ მოასწლოს. მხოლოდ, ერთი ლამ ალ მესმის: ლეო, შენ გუშინ ლომ ილას ჟთხალი, თუ წაგაქციე, პიონელად შემოდიო, ლად გვინდა ილასთანა პიონელი, ლომელიც მხოლოდ წაქცევის გუ-

ლისათვის შემოვა ჩვენთან და ჩვენს ლწმენას და მიმალთულებას ალ გაიზიალებს?

— საქმეც მაგაშია, კუსპავ! — მიუგო ლეომ, — ჩემის აზრით, როგორმე უნდა შემოითრიო ილასთანა ღარიბი გლეხისშვილები ორგანიზაციაში; ილა რომ პიონერად ვაქციოთ, ორგანიზაციაში მასზე გავლენას მოვახდენთ — შევარცხვენთ ცუდი და უსამართლო საქციელისათვის და ამრიგად ილა სწორე გზაზე დადგება, უსაქმურად გდებას გადაეჩვევა და ასეთ სისულელეებს აღარ გააკეთებს. ჯერჯერობით კი მე მინდა მისივე იარაღით დავამარცხო ილა, ე. ი. ჭიდაობით. მე დიდ საბანაოში ბანაობა უკვე ისე აღარ მაინტერესებს.

— ეგ ძალიან კარგი აზრია! — წამოიძახა ვანუამ. — მე სიამოვნებით გასწავლი ჭიდაობას. მოდი, თუ გინდა ეხლავე დავიწყოთ; თავზე კარგი ჩრდილი გვადგა და ძირს რბილი ბალახი გვიგია.

— ძალიან კარგი, — წამოხტა ლეო, — ყოველდღე ვივარჯიშოთ... მხოლოდ, ყველა ხერხები მასწავლე, ვანი, ყველა ხერხები, რომ კიდევ არ შევრცხვე.

* * *

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. ყმაწვილები სადილობამდის მუშაობდნენ, შემდეგ კი ვანუა ჭიდაობას ასწავლიდა ლეოს, ხოლო როცა მზე დასავლეთისაკენ გადაიხრებოდა და მაყვლის ღობეში მისი ჩამავალი ოქროს სხივები გამოძვრებოდნენ ხოლმე, ჩვენი მეგობრები შინ ბრუნდებოდნენ და თუ პიონერთა რაიმე წრის მუშაობა არ იყო. მეორე დილამდის ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს. დასვენების დროს კი, ე. ი. შუადღეზე, კოლმეურნეები მოდიოდნენ ყმაწვილების სანახავად, მუშაობას უწონებდნენ, და ლეო, კუსპა და ვანუა კი მათ ჯერჯერით უკითხავდნენ ქოხ-სამკითხველოდან ჩამოტანილ ახალ გაზეთებს. კოლმეურნენი ძლიერ კმაყოფილნი იყვნენ ლეოს ბრიგადით და არა ერთს უთქვამს სვიმონისათვის:

— ეგ ბიჭები აქაურობას ალამაზებენ. რაღაც სიცოცხლე და განათლება შემოიტანეს ჩვენს შრომაში და ცხოვრებაში; კარგია, რომ თვით კოტესაც ამუშავებენ მის მამისეულ ადგილზე, — ასე სჯობია, კერძო საკუთრების შხამი ბავშვობიდანვე გაუვლის და კოლექტივის ერთგული იქნებაო.

აი დღესაც გადაიხარა მზე და მაყვლის ღობეში შემოიჭვრიტა თავისი მრავალფერი სხივებით. მდინარის სილურჯე უფრო გამუქდა და შორეულ, ტყით დაფარულ ვეება მთებზე მსუბუქი, მოყვითალო ლაქები დაწვა.

დაქანცული ყმაწვილები აიყარნენ, თოხები თომას მიუტანეს და შინისაკენ დაიძრნენ. კუსპა, ლეო და ვანუა წინ მიდიოდნენ, ხოლო კოტე უკან მისდევდათ და რაღაც ფიქრებში იყო წასული; საერთოდ, ბოლო ხანებში კოტეს რაღაც დაღონება ეტყობოდა.

აგერ ბიჭები მიეფარნენ კიდეც ღობეს და შორიდან-ღა ისმის მათი ლაპარაკი და კამათი, მაგრამ კოტეს არც კი უფიქრია ნაბიჯის აჩქარება, რომ მეგობრებს მოსწეოდა... მის თავში უჩვეულო ფიქრები ირეოდა და სახეზე ღრმა დაკვირვების დაღს ასვამდა. კარგა ხანია, რაც მას შინისაკენ აღარ მისწევდა გული; ლეოს ჩამოსვლისა და კოლექტივში მუშაობის დაწყების შემდეგ ხომ სულ აღარ ეხალისებოდა თავის მამის ოჯახში მისვლა და იქ ყოფნა. სახლში თედო ღრინავდა მუდამ, — ყველას ლანძღავდა, იგინებოდა, ყველას ეპვის თვალით უყურებდა და ღვინოს სვამდა, ითვრებოდა, მთვრალი კი მუდამ ძველ დროს აქებდა და ნიკოლოზის მთავრობას ნატრობდა, როცა ბევრი მამული ჰქონდა, როცა ბევრი ფული ებადა... თედოს ჩქმალვამ და მალვამ ხომ გული გაუწვრილა კოტეს. ყველაფერს მალავს, რომ არავინ დაინახოს და გადასახადი არ შეაწერონ; მარნის ძირში ორმოები გათხარა, რომ ხორბალი გადაუმალოს მთავრობას. ქვევრები საიდუმლო ალაგას ჩაყარა ღამით, რომ ღვინო დამალოს და მთავრობამ გადასახადი ნაკლები შეაწეროს. სხვაფრივაც არ ისვენებს სახლში. კოტეს დედასა სცემს ხშირად და უსიტყვო, მობუზული, გაძვალტყავებული და ძუძუმწოვარა ბავშვის პატრონი დედაკაცი ჩუმი ცრემლების ფრქვევით იტანს სიგიჟის კარზე მისული თედოს სიმხეცეს. ამასწინათ კოტეს ვეღარ მოუთმინა გულმა და დედას წაესარჩლა — მამას მოღერებულ ხელზე დაებღაუჭა და ვედრებით შეანათა თვალები, მაგრამ მამამ ისეთი ალიყური გასცხო მეორე ხელით, რომ კოტე უმწეოდ გადავარდა ტახტზე. თვით კოტესაც ხშირად სცემს ხოლმე თედო და უმიზეზოდ არიგებს: — კოლექტივთან არ გაიარო, იქ ჩვენი მტრები არიან. თუ სხვის ეზოში „ცუდად იდოს“ რაიმე, აწაპნე და წამოიღე — ეხლა ქურდობა სირცხვილი არ არისო...

კოტეს ვერ გაუგია — რად არიან კოლექტივში გაერთიანებული გლეხები ან კოტეს, ან თედოს მტრები? — პირიქით, აი კოტე მამის უცნობლად კოლექტივში მუშაობს პიონერებთან, მაგრამ ალერსისა, ყურადღებისა და სიყვარულის მეტს არაფერს ხედავს... ნუთუ მტერი ასე მოექცევა მას?

— თვით ლეო რა კარგი ბიჭია, ლეომ თავი შეაყვარა კოტეს, და კოტე მზად არის პიონერად შევიდეს, მაგრამ თედოსი ეშინიან... ძალიან ეშინიან! კოტეს მამა რაღაც უცნაურად არის ატეხილი და აფხვერილი; პიონერად რომ შევიდეს — თედო მოკლავს ცემით, სახლში არ დააყე-

ნებს. სად წავიდეს მაშინ კოტე? თუმცა პატარა სონა ხომ გადაიყვანეს სალომე დიდედასთან? ლეოს რომ მოელაპარაკოს, იქნებ ეშველოს რაიმე? თორემ აღარ უნდა კოტეს თავის მამასთან ცხოვრება. თედო სულ სხვას ეუბნება და უნერგავს შვილს, კოტეს გული კი სულ სხვა გზით მიიწევს, და ვისაც თედო მტრად სახავს, ის მას მეგობრად და მართალ ხალხად ევლინება.

ასეთ ფიქრებში გართული კოტე ტალახიან პატარა არხზე გადახტა და თავისი მამის მაღლად შემოღობილ ეზოში შევიდა. შევიდა და რაღაც გაუგებარი მოუსვენრობა იგრძნო.

ეზოში თითქოს უჩვეულო არაფერი იყო. ყველაფერი ძველებურად იდგა: ერთსართულიანი ქვიტკირის დერეფნიანი მკვიდრი სახლი, იქვე გვერდით ახალი ფიცრული ბეღელი, აქეთ დაბალი თბილი გომური საქონლისათვის, გომურის გვერდით ქათმებითა და ინდაურებით გამოტენილი საქათმე, წუმპეში ღორები ჰყრიან და ღობესთან ჯაკვითაა დაბმული მათი ძაღლი ბოროტა, რომელიც თავისთვის წევს და სთვლემს.

მაგრამ კოტეს გულს მაინც რაღაც უჩვეულო და უსიამოვნო წინათგრძნობა დაეუფლა.

აი თუნდაც თავისი მამის ხმა. ამ დროს მამა სახლში არ არის ხოლმე, ვენახიდან გვიან ამოდის მუდამ.

ვის ელაპარაკება ნეტა? ვისი ხმა არის? ჰო, კოტეს მამის მოჯამაგირის ხმაა — ბრაზიანი პეტრესი.

კოტე ფრთხილად მივიდა კართან და ცალი თვალით შეიხედა. ოთახში, გრძელი ტახტის წინ, რომლის ბოლოშიაც კოტეს დედა მამო იჯდა და აკვანს არწევდა, — მაგიდა იდგა; მაგიდას ორნი უსხდნენ: ტახტზე, პირით კარისაკენ — თედო, და მაგიდის მეორე მხარეს, ზურგით კარისაკენ, პეტრე იჯდა სკამზე. ოთახში შუქი არ ენთო და ნახევრად სიბნელეში კოტემ გაარჩია მაგიდაზე მდგომი ღვინის ხელადა, რაღაც ხორაგი და ღვინით სავსე ორი ჩაის ჭიქა.

თედო და პეტრე კარგად შეხურებულები ჩანდნენ და მათი გაბურძგნული თმა და წვერი მეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა კოტეზე.

— მე ხომ დაგპირდი, ხუთ ჩაფ ღვინოს და ერთ ბურვაკს გაჩუქებ მეთქი... ოღონდ, ერთი დიდი საქმე მაქვს და ის უნდა გამიკეთო... — ამბობდა თედო ბოხი და ხრინწიანი, მაგრამ დაწეული ხმით.

— რამდენჯერ გამაკეთებინე საქმე და დაპირებული მეორე დღესვე დაგავიწყდა, — მძიმედ წარმოთქვა პეტრემ და ჭიქას მოავლო ხელი.

— არა, ეხლა სულ სხვა საქმეა, — უფრო დაბლა დაუწია ხმას თედომ.

— თქვი, რა საქმეა?

— აი რა საქმეა, — თითქმის ჩურჩულით წაიბურტყუნა თედომ და ერთი წამით მძიმე სიჩუმე დაეკიდა ჰაერში.

— მე კულაკს მეძახიან, გესმის, პეტრე! — განაგრძო თედომ ისეთივე ხმადაწეული ბურტყუნით. — მე ამითვალწუნეს, ახლო აღარავინ მიკარებს, რადგან მე მაგათი კოლექტივია თუ რაღაც ჯანდაბა, ჭირივით მეჯავრება. შეყრილა შიშველ-ტიტველი ხალხი და ქვეყანა უნდა ავაშენოთო. გიჟი ვარ, რომ გამართული ოჯახი, ეს დოვლათი და საქონელი, რომელიც ჩემი საკუთრებაა და სადაც ჩემი თავის „ხაზეინი "მე თვითონა ვარ, ვიღაცებს გავუზიარო და იმათთან ერთად ვიმუშაო საზიაროდ?! რადა, ძმაო, მე ჩემი ქონება მაქვს, როგორც მინდა ვიმუშავებ, ვისაც მინდა ვამუშავებ და, შენსავით, გასამრჯელოსაც მივცემ. შენთვის სულ ერთი არ არის, პეტრე, ვინ გაჭმევს ლუკმა-პურს — მე თუ კოლექტივი?

— ჩემთვის კი სულ ერთია, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— კოლექტივში მეტს აძლევენ. მეც მეხვეწებიან — ჩვენთან შემოდიო, — წამოილაპარაკა პეტრემ მკვახად.

— უუუ! თქვენი... — გაბრაზებით დაჰკრა თედომ მუშტი მაგიდას. — შენც მოგწამლეს? რას მოგცემენ იქ მეტს? გატყუებენ, შეტუტუცო!

— რას მატყუებენ, მე თვითონვე ვერა ვხედავ, ჩემისთანებს რამდენი მოაქვთ სახლში? — კვლავ ღრეჭით დაიწყო პეტრემ და მის ხმას რაღაც ბოდიშის მაგვარი იერი დაეტყო, მაგრამ თედომ გააწყვეტინა სიტყვა შხამიანი სისინით.

— ეე! შენც ხელიდან წასულხარ... მოგწამლეს? შენც მოგწამლეს მაგ გველებმა, მაგ გველის წიწილებმა... შენ, გეტყობა, ჭკვაზე ვერა ხარ. კოლექტივები მალე დაიშლება და მერე ეგ ხალხი სად წავა? ჩემთან რომ მოხვიდე, განა კიდევ მიგიღებ! არ გაგასულელონ, ჩემო პეტრე, ფრთხილად იყავი! დალიე, დალიე, — წამოვარდა უცებ თედო და ჩაის ჭიქა მიაჩეჩა ხელში.

მოღუშულმა პეტრემ უსუნთქებლივ გამოცალა ჭიქა და მაგიდაზე დადგმა ვერც კი მოასწრო, რომ თედომ ხელი დასტაცა ხელადას და საჩქაროდ, ღვინის თქაფუნით კვლავ გაუვსო და კვლავ ხელში მიაჩეჩა.

— დალიე!

პეტრეს ღიმილის მაგვარად დაეღრიჯა სახე და მეორე ჭიქაც ასევე გააშრო.

— მაშო! — დაუყვირა თედომ ცოლს, — ღვინო გამოიღე დოქით და აქ დამიდგი.

თედოს ცოლი, გამხდარი, სახეგაბრტყელებული და ცხვირწაგრძელებული დედაკაცი, უსიტყვოდ წამოდგა, განჯინა გამოაღო, დიდი დოქი გადმოდგა და ქმარს მიუტანა.

— ჭკუაზე მოხველ, ყმაწვილო? — კვლავ მიუბრუნდა თედო პეტრეს, რომელსაც ამღვრეული თვალები მოეპრუწა სიმთვრალით.

თედომ კვლავ აუვსო ჭიქა.

— თავი დავანებოთ კოლექტივს, — ისევ დაიწყო თედომ დაბალი ხმით და პეტრეს მხარზე ხელი დაადო: — ჩემსავით ჯამაგირს არავინ მოგცემს, ჩემო პეტრე, ჩემსავით ალალ ლუკმას არავინ გაჭმევს. ამას იქით მე და შენ სულ ასე უნდა ვსვათ ღვინო. ღამეც აღარ გამუშავებ, ყველა დაპირება უნდა შეგისრულო.

— აგაშენოს ღმერთმა! — წამოიბურტყუნა გახარებულმა პეტრემ.

— ახლა საქმეზე! — აქ თედომ ისევ ჩურჩულით განაგრძო: — იმ გველის წიწილამ თომამ მიწასთან გამასწორა, გესმის, პეტრე! სოფელში აღარ გამესვლება, აღარავინ მეკარება, ყველანი კოლექტივში შეაბრძანეს თომამ და იმ ბებერმა ძაღლმა სვიმონმა; ჩემთან სამუშაოდ აღარავინ დგება, ყველანი კოლექტივში ყოფნასა რჩეობენ, მე კი მამული და საქონელი მოუვლელი მრჩება; მე მუშახელი მაკლია, მე საქმეს აღარავინ მიკეთებს და კოლექტივში კი სიმღერით ათენებენ და აღამებენ; ნეტავ, რა ჯადო იხმარეს მაგ ძაღლებმა, თომამ და სვიმონმა, რომ ისე უხარიანთ იქ მუშაობა; ყრილობაზეც აღარ მიშვებენ, ხმა ჩამორთმეული გაქვსო. ჩემი ოჯახი უკან მიდის, თომას კი კისერი გაუსქელებია, მთელი სოფელი გარს ეხვევა, ქალაქში გზავნიან, იქაც შაბიამანსა და გოგირდს თითქმის უფასოდ აძლევენ, — თოხებს, ბარებსა და აპარატებს ატანენ და ფულითაც ეხმარებიან. მე რაღა დავაშავე? თუმცა, თავი დავანებოთ ამასაც. ჯანდაბას მაგათი თავი. მე ისევ თომასთან მაქვს საქმე. მე იმისი ჯავრი უნდა ამოვიყარო... იცი, რა უთქვამს იმ გველხოკერას? იცი, რა დაუდგენინებია ყრილობაზე? დაუდგენინებია: ერთი ვენახი ჩამოვართვით, მაგრამ ეს არ კმარაო. რიყის ვენახსაც ვერ აკეთებს და ისიც უნდა ჩამოერთვას კოლექტივ „გიგანტის“ სასარგებლოდაო. მერე ვის უნდა გააკეთებინონ?! იმ ლაწირაკებს, პირზე რომ ჯერ რძე არ შეპშრობიათ? იმ ჩემ პატიოსან შვილს, რომელიც იმ ძაღლის ლეკვებს აჰყოლია? როგორ უნდა გავაკეთო და დავამუშაო, როდესაც დღიურ მუშად აღარავინ მომდევს. აფსუს, წინანდელო დროვ! ყოველდღე ათამდის მუშას ვამუშავებდი და როგორც „ხაზეინი“ თავზე ვადექი დოინჯშემოყრილი, მოსავალიც მზამზარეულად სახლში მომდიოდა. ეხლა კი თომასთანა ლაწირაკები ქონებასა და მიწას ხელიდან მაცლიან!

თედომ ბრაზიანად გადაატრიალა თვალები და კბილები დააკრაჭუნა.

— მე ვაჩვენებ მაგათ! — ჩაისისინა თედომ გაწეწილ წვერ-ულვაშში და ღვინით სავსე ჭიქას მოჰკიდა ხელი.

— აბა, კიდევ დავლიოთ...

დალიეს და ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

— პეტრე, — დაარღვია მდუმარება თედომ დახშული ხმით და კვლავ რაღაც სიმძიმე ჩამოწვა ოთახში.

— თომა უნდა მოვიშორო გზიდან... — ძლივს წარმოთქვა თედომ და ჭიქა გამოსცალა. — შენც დალიე! — მიუბრუნდა პეტრეს ბრძანების კოლოთი და როდესაც პეტრემ ბრძანება შეასრულა და გამოთაყვანებული დააშტერდა თედოს, მან ყრუდ, მაგრამ დაბეჯითებით და შთაგონებით ჩააწვეთა ყურში:

— შენ უნდა დამეხმარო ამ საქმეში... მხოლოდ... არსად კრინტი, ჯესმის?! — მიუჩოჩდა თედო პეტრეს და კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ კარისაკენ ფრთხილად გაიხედა და თვალი მოჰკრა ვიღაცის ყურს. თედო ცოფიანივით მივარდა კარს.

— რომელი ხარ? — ჩაიხრიალა მან და კარში გამოვარდა.

კარებთან მხოლოდ აბუზული და გულგახეთქილი კოტე დაუხვდა; ბავშვის გაკენკილ, მელურ სახეს შიშისაგან ნაცრისფერი დაედო.

— მე ვარ, — ძლივს წაილუღლუღა კოტემ და შიშისაგან უაზროდ გარინდებული თვალები მამის ამღვრეულ თვალებს და ღვინისაგან ალეწილ სახეს მიანათა.

— აჰა, შენა ხარ?! მობრძანდი, შემობრძანდი ოთახში! — დაიღრიალა თედომ. — აქ რად იმალები? — ჩურჩულით დაუმატა შემდეგ და მაგარი ალიყურის გაკვრით შვილი ოთახში შეათრია.

— რად მიგდებდი ყურს კარებთან? შენც თომას ჯაშუში ხომ არა ხარ? ისეთ დღეს დაგაყენებ, რომ ერთ წუთში სული გაგაფრთხობინო.

— მე არაფერი გამიგონია, — წრიპინით იცრუა სიმწრისაგან თვალზე ცრემლმორეულმა კოტემ. — მე ეხლახან მოვედი.

— სადა ბრძანდებოდი? სად დაეთრევი ამ ბოლო ხანებში? შენ თვითონ სთქვი. მე უკვე ვიცი, ჩიტმა მომიტანა ამბავი! — მძვინვარებდა თედო და ბავშვის მკლავს თავის დათვის მსგავსი თათით ბღუჯავდა.

კოტეს ტკივილისაგან ცრემლები გადმოსცვივდა, მაგრამ ხმას კი არ იღებდა.

— არ ამბობ? გრცხვენიან? მაშ მე გეტყვი... შე ძაღლო, თუ მუშაობა შეგიძლიან, მე მუშა არ მიჭირს? შენც კოლექტივში შებრძანდი? შენც იქ დაიწყე ტანტალი? იმ ქალაქელ ლაწირაკს შენც აჰყევი? პეტრე! შენ ხომ თავპირი დაგამტვრია, გახსოვს? — მოსწრებულად გა-

მოიყენა თედომ ფანდი და პეტრეს თავმოყვარეობას გადასწვდა; — რა უნდოდა იმ უღმერთოს? რისთვის გცემა მაგოდენა კაცს, საწყალ ღარიბ გლეხს, რომელიც მამაშვილურად არიგებდა თავის შვილს. მაშ მამას შვილიც აღარ ეკუთვნის? ასე გამოდის მაგათი კანონით. მაშ რამდენჯერაც მე ჩემი შვილი დავარიგო, იმდენჯერ ლაწირაკებმა უნდა მცემონ და შვილიც წამართვან? აფსუს, პეტრე! შენი რომ ვიყო, შუაზე გავგლეჯდი იმასაც და თომასაც. არა, ჯერ თომას და...

— ჯერ იმ ლაწირაკს... რამდენი მარბენინა სადგურიდან! — მხეცივით დაიგმინა პეტრემ, უზარმაზარი მუშტი მძიმედ დადო მაგიდაზე და სკამს ჭრიალი დააწყებინა.

თედომ ჩაიღიმა და თვალებში ბოროტი ცეცხლი აენთო.

— დალიე, პეტრე, დალიე! — კვლავ მიეძალა თედო და როდესაც ისედაც მთვრალმა პეტრემ კვლავ გამოცალა ჭიქა, — ისევ კოტეს მიუბრუნდა.

— რამდენჯერ გითხარ, — კოლექტივთან არ გაიარო მეთქი; შენ კი ისევ იქ მიმძვრალხარ; დღეს ვენახებზე ჩავიარე და მასხარად ამიგდეს კოლექტივში მომუშავეებმა: — მალე სულ ჭოტივით მარტო დარჩებიო, მომყვიროდნენ, შენი შვილიც ჩვენთან მუშაობსო.

ამ სიტყვებზე თედომ თვალები გაელვა და კბილების კრაჭუნით კვლავ მაგარი ალიყური გასცხო კოტეს. — მე გიფრთხილდები, ჭკუას გარიგებ, შენ კი აპყოლიხარ ვიღაც ოხრებს და მუშაობით წელს იწყვეტ, ისიც ვისთან? თომასთან! უუ, შენი... — და კვლავ ალიყურის ზათქანმა დაარღვია დამძიმებული და ჩაბნელებული სიჩუმე.

კოტე გაქვავებულივით იდგა და გაფითრებულს ცრემლებიც კი გაუშრა. მისი დაჭყეტილი, აწითლებული თვალები მჯოლოდ გასაძრომსა და გასაქცევს-ღა ეძებდა, მაგრამ თედოს მაგრად ჰყავდა ჩაბღუჯული და არ უშვებდა.

— რაკი მამაჩემს გაუგია კოლექტივში ჩემი მუშაობის შესახებ, ასეთი ცემა არ მომაკლდება ყოველდღე, — ფიქრობდა კოტე. — ნეტავ ახლოსაც არ გავკარებოდი ლეოსა და კოლექტივს და ამით გაუთავებელი ხათაბალა არ გადამეკიდა თავზე. რა ვქნა, როგორ ვუშველო თავს? ლეოს მივმართო? ვიდრე ლეო და თომა მიშველიან, ან მამაჩემს უჩივლებენ, — მამაჩემი ცემით მომკლავს, სულს ამომართმევს... არა და, რა ვუყო, როგორ დავაღწიო თავი ამ საშინელ მდგომარეობას? — ფიქრობდა საწყალი კოტე და მთელი მისი გონებრივი ძალონე ამ საკითხის გადაჭრისაკენ იყო მიმართული, მისი მოხერხებულობა და ეშმაკობა რაიმე გამოსავალს და ხრიკს ეძებდა, რომ მამა მოელმობიერებინა და როგორმე ლეოსაც არ ჩამოშორებოდა, მაგრამ მისი აღელვებული გული და აბნეული თავი აშკარად გრძნობდნენ —

ასეთი გამოსავალი არ იყო. თედო უკანასკნელ ზომამდე იყო მისული, თედო გიჟივით იყო და აღარაფერს დაერიდებოდა. აი ეხლაც რაღაც შავი და რაღაც საზარელი მზადდება.

— აბა, პეტრე, კიდევ დავლიოთ... — მიუბრუნდა ყრუდ თედო და კოტე იქვე, თავის გვერდით დასვა ტახტზე.

— დავლიოთ...

კიდევ დალიეს. სიჩუმე კვლავ დამძიმდა. ოთახში სიბნელე გახშირდა და ორი სახეალეწილი, წვერულვაშგაბურძგნული კაცი შავი ბუებივით მოჩანდა დაღამების ბინდ-ბუნდში.

— პეტრე... — გაისმა კვნესასავით თედოს ხმა. — რომ წახვიდე, დროა.

— სად? — მოისმა კარგა ხნის შემდეგ კითხვა.

— ეხლა იქ იქნება, კოლექტივში...

— რომ არ იყოს?

— იქ არის... დანამდვილებით ვიცი. მითხრეს, ამაღამ მორიგეაო...

— მერე? — ძლივს წაილუღლუღა პეტრემ.

— მერე და... ხუთი ჩაფი ღვინო და ბურვაკი.

— ათი ჩაფი... ბურვაკი არ მინდა.

— კარგი... ჯანი გაგვარდეს... ის ხომ იცი, სადაც არის შენახული?

— თოფი?

— ჰო! — წამოიყვირა თედომ გაბრაზებით, — თუ არ დაასახელე, არ შეგიძლიან?

— ვიცი.

— აბა მაშ წადი, ნულარ იგვიანებ... ფრთხილად კი; შემდეგ უსათუოდ გამოიარე ჩემთან, ამაღამვე შემატყობინე, საქმის ვითარება როგორი იქნება...

სიჩუმე აუტანელი გახდა, კოტეს ყურები უწიოდა, თავს უხერხულად გრძნობდა მამის თათებში, სხეულის ცალი მხარე სულ დაუბუჟდა, მაგრამ, საცოდავად აბუზული, შიშით ძლივს-ღა სუნთქავდა. იგი შორეულად ხვდებოდა მამის განზრახვას და ცბიერ ცნობისმოყვარეობასთან ერთად რაღაც შავი უაზრობითა და დიდი უბედურების მოლოდინით ევსებოდა გული. სიბნელეში კი მხოლოდ გაღებული კარი მოჩანდა ბაცი ჩარჩოსავით.

— ათი ჩაფი... — ყრუდ მოისმა პეტრეს ხმა.

— ათი ჩაფი, დიახ ათი ჩაფი! — წამოიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა თედომ.

— ხვალვე მომიწყავ, თორემ შენც... თომასავით... გეყო, რაც მატყუე... — წამოაყრანტალა პეტრემ და მაგიდა ჭრიალით წავიდ-წამოვიდა იატაკზე.

— ხვალვე, ხვალვე მოგიწყავ. წადი... ნულარ იგვიანებ... მხოლოდ ფრთხილად კი, არავინ გნახოს, ან არ დაგიჭირონ. თუ დაგიჭირონ, ჩემზე კრინტი არ დასძრა, თორემ დაგხვრეტენ. იცრუე, თოფი გამივარდა-თქო. თუ გკითხონ თოფი ვისიაო, უთხარი აი აქ ვიპოვე, კოლექტივის ღობესთან, და სინჯვაში გამივარდა-თქო. გესმის?! — წამოიხრიალა თედომ და ხახაგამშრალმა ნერწყვი გადაყლაპა.

კვლავ დუმილი გამეფდა. მხოლოდ დარწეული აკვნის რიტმიული ხმაური და ღვინისაგან გალეშილთა ხვნეშა ისმოდა. უცებ პეტრეს სკამმა დაიკრიალა და ღია კარის ჩარჩო მისმა უზარმაზარმა ტანმა დააბნელა. იგი ხვნეშით გავიდა ოთახიდან და ღამის სიბნელეში გაჰქრა.

— შენ ეი, მელავ... — მოესმა კოტეს მამის ხმა. — თუ სადმე რაიმე წამოგცდა, ჩემივე ხელით გამოგჭრი ყელს. გაიგონე?

— გავიგონე... — ძლივს წარმოთქვა დატანჯულმა და მოკრუნჩხულმა ბავშვმა.

— აბა ეს დალიე! — უბრძანა თედომ კოტეს და გაოცებულ ბავშვს ღვინით სავსე ჭიქა მიაჩეჩა ხელში. შეშინებულმა კოტემ ჭიქა ჩამოართვა და ათრთოლებული ხელით ტუჩებთან მიიტანა.

— რას შვრები, კაცო? — მოისმა კოტეს დედის სუსტი, ყვედრების მაგვარი ხმა, — რა შენი ტოლია, რომ ჩაის ჭიქებით ღვინოს ასმევ?

— შენი საქმე არ არის, ჩუმად ეგდე, თორემ... — შეუღრინა თედომ და კოტეს მიუბრუნდა.

— დალიე...

— ხომ არ გაგიჟდი, კაცო! — კვლავ სცადა საქმეში ჩარევა მაშომ, მაგრამ თავში პურის ნატეხი მოხვდა და იმწამსვე ხმა ჩაუწყდა.

— დალიე! — უბრძანა კვლავ თედომ.

კოტემ სვენებ-სვენებით დაცალა ჭიქა და გარინდებით დადგა მაგიდაზე. დადგა მაგიდაზე და მთელ სხეულში რაღაც სასიამოვნო სითბო იგრძნო, გულზე მოეშვა და თვალებიც გაუბრწყინდა. გონებაში კი უჩვეულო სიმხიარულე და ეშმაკობის სურვილი ჩაუდგა.

— ეხლა ყური დამიგდე... — დაბალი ხმით დაიწყო თედომ და მეტად დაბღუჯა თავისი პირმშო, — ერთი საქმე შენთვისაცა მაქვს, მაგრამ ხმა კრინტი არსად არ დასძრა... ისე უნდა გააკეთო, რომ ვერავინ გაიგოს... შენ ისეთი მელა ხარ, რომ არ გაგიჭირდება... თუ გინდა, რომ ჩემი შვილი იყო, თუ გინდა. რომ ყოველდღე არა გცემო და გაპატიო კოლექტივში მისვლა და მუშაობა, — რასაც გეტყვი, უნდა ულაპარაკოდ შეასრულო.

თედო გაჩუმდა.

კოტეს უფრო მეტად მოეშვა გულზე, თითქოს დიდი, უზარმაზარი ლოდი მოეხსნა კისრიდანო.

— გამოსავალი არის... — გაიფიქრა ღვინით შეხურებულმა კოტემ; — რა უნდა დამავალოს მამაჩემმა, რომ ვერ გავაკეთო დაფარულად... ან რა იქნება ისეთი?

— ჩვენი ბუხარი ხომ იცი? — მოესმა კვლავ კოტეს.

— რომელი ბუხარი? — ღიმილით ამოიხვნეშა კოტემ.

— დერეფნის ბუხარი...

— ვიცი.

— ბუხრის გვერდით რომ ნავთის ჭურჭელი დგას, იცი?

— ვიცი...

— ახლა საკითხს სხვა მხრიდან მოვუაროთ. რომელ კოლექტივშიაც მაიმუნობ, იცი?

კოტეს კვლავ შიშმა გადაჰკრა და ერთი წამით გამოფხიზლებულმა ყურები დაცქვიტა.

— იცი თუ არ იცი? — ჟინიანად აუწია ხმას თედომ.

— ვიცი, — ამოიკვნესა კოტემ და ისევ შეზარხოშების ზარებმა ჩამორეკა მის ტვინში.

— იქ რომ დიდი ფიცრული საწყობია, იცი?

— ვიცი...

— ჰოდა, ყველაფერი გცოდნია... აი პრიჩკა და... აბა, შენ იცი, რა ჭიაკოკონასაც დამინთებ ამაღამ... — თითქმის ყურის თავზე მოესმა კოტეს მამის ბოროტი ჩურჩული.

— გაიგე? — ცოტა ხნის შემდეგ ჩაეკითხა თედო თავის შვილს. შემთვრალი და თვალებდაჭყეტილი კოტე მიხვდა, მაგრამ მაინც არ სჯეროდა, თუ მამა ასეთ საშიშ და საზარელ დავალებას მისცემდა.

— გაიგე? — კვლავ ჩაეკითხა თედო.

— გავიგე... — ძლივს წაილუღლუღა გაშტერებულმა ბავშვმა და ამოიხვნეშა.

— რომ დამიჭირონ? რაღა ვქნა? — წარმოთქვა კოტემ ათრთოლებული ტუჩებით და ტანში გააჟრიალა.

— ვერ დაგიჭერენ. შენ პატარა ხარ და მელასავით მოხერხებული. ჩუმად შეძვერი გატეხილი ღობიდან... ძაღლები არა ჰყავთ... ამაღამ თომა ჰყარაულობს. აი ეხლა ის კოლექტივს გარშემო უვლის. შენ დრო მოიხელე და გატეხილი ღობიდან შეძვერი. მისასვლელი საურმიდან ნუ მიხვალ, სხვებმა არ დაგინახონ... მიხვალ ჩუმად, ნავთს შემოასხამ ფიცრულს, პრიჩკას წაუკიდებ და, ვიდრე შეამჩნევენ, შენ უკვე სახლში იქნები. თუ დაგიჭირონ, უთხარი, ბიჭები ხუმრობით დავითვერით-თქო, მერე მამაჩემმა ნავთისთვის გამომგზავნა-თქო, მთვრალს გზა ამერია-თქო, ვერც კი გავიგე, კოლექტივში როგორ მოვხვდი და ან სად დამძინებიყო-თქო. როდესაც გამომეღვიძა, საწყობი იწოდა და შეშინე-

ბული სახლისაკენ გავიქეცი-თქო. აბა, წამოხტი; ახალი ხალათი და შარვალიც ჩემზე იყოს, ქალაქიდან ამოგიტან; მხოლოდ... — თედომ კვლავ მძლავრად მოუჭირა თათი შვილის მკლავს, — ჩემზე არაფერი წამოგცდეს... აბა, კიდევ დალიე და ნუღარ იგვიანებ... — ამ სიტყვებით თედომ კვლავ სავსე ჭიქა მიაწოდა.

— აი პრიჩკა, აი სანავთეც; სულ ვენახებზე იარე, რომ არავინ შეგხვდეს. ცარიელი არ დაბრუნდე, თორემ მოუკლავს არ გაგიშვებ...

კოტემ კვლავ მიიყუდა ჩაის ჭიქა და თითქმის გამოცალა; მშიერ ბავშვს ღვინო კვლავ თავში ეცა და კვლავ მხიარულ და გაბედულ ეშმაკობის გუნებაზე დააყენა. შემდეგ მამას სანავთე და ასანთი ჩამოართვა და დერეფანში გამოვიდა.

— რას შვრები, შე უღმერთოვ! — მოისმა კუთხიდან მაშოს ტირილი, — მალე შუაღამე გახდება და ბავშვს სად გზავნი, ისიც რა საქმეზე! დავიღუპებით შენი გადამკიდე, უსათუოდ დავიღუპებით!

— ჩუმად ეგდე, თორემ დილას ხომ მიიღე მეზობლებში ყბედობისათვის. ახლა ამაზე მიიღებ ისე, რომ სამი თვე ლოგინიდან ვერ ადგე... ოჯახი მენგრევა და შენ ბავშვსა სჩივი! ეხლა ისეთი დროა, რომ ბავშვიც უნდა გამოიყენო და დიდიც.

— ღმერთი არა გაქვს, რომ ბავშვს ასეთ ბნელ საქმეზე გზავნი? — კვლავ ამოიკვნესა მაშომ.

— ჩუმად ეგდე, თორემ... მოვდივარ! — დაიღრინა თედომ და ცოლისაკენ გაემართა.

კოტე სანავთით და ასანთით ხელში ეზოდან თავიანთ ბაღში გადაძვრა და ბეღელთან მივიდა.

— ასეთ საქმეზე შეიარაღებული უნდა წავიდე, — გაიფიქრა შეზარხოშებულმა კოტემ და სიბნელეში თავის თავს თვალი ჩაუკრა ეშმაკურად, — ამაზე უკეთეს დროს ვერ გამოვიყენებ... — კვლავ გაიფიქრა კოტემ, ბეღელის ქვევიდან ფიცრის ფულუროში შენახული ლეოს ელნათურა გამოაძვრინა და ერთ წამს ჩაბნელებულ ბაღს მიანათა, შემდეგ ჩააქრო და ჩაიღიმა.

— რა ეშმაკია კუსპა... — გაუელვა თავში, — რა ხელად მიხვდა, რომ ლეოს მე ავწაპნე ელნათურა ცხენზე. მაგრამ მეც ეშმაკურად დავუხლართე გზები. როგორ მოვიმკვდარუნე თავი!

კოტეს კვლავ გაეღიმა და ღობე-ღობე ვენახებისაკენ აიღო გეზი. იგი უგონოსავით მიაბიჯებდა და მის აწითლებულ სახეს უაზრო ღიმილი არა შორდებოდა. სხეულში კი ისევ ის სასიამოვნო სითბო ედგა და სიარულში ხალისს მატებდა.

— რა კარგად მოვიდა საქმე... — ფიქრობდა კვლავ მთვრალი კოტე, — არც ბიჭებს ჩამოვშორდები და არც მამაჩემი მცემს. მხოლოდ, საქმე ისე უნდა გავაკეთო, რომ ვერ გამიგონ. ლეოს, ვანუას და კუსპას არ ეცოდინებათ, რომ მე დავწვი და თავიანთი წრიდან არ გამომრიცხავენ. მამაჩემი კი აღარა მცემს, პირიქით, ხალათსა და შარვალსაც დამპირდა. ძალიან კარგად მოვიდა საქმე, ძალიან კარგად... — იმეორებდა თავისთვის შეხურებული კოტე, ყურებში კი ღვინისაგან ამღვრეულ სისხლს გუგუნი გაჰქონდა.

უკვე კარგად დაღამდა... მშრომელი გლეხობა სახლებში იყო ამოსული და დღიური შრომით მოქანცული საძილედ ემზადებოდა.

კოტემ ეს კარგად იცოდა, მაგრამ მაინც ფრთხილად მიიპარებოდა ვენახებზე, რომ ვისმე, შეგვიანებულ გლეხს, არ წასწყდომოდა სადმე.

— რად უნდა მამაჩემს კოლექტივის საწყობის დაწვა? — გაიფიქრა ღამის სიგრილისა და ღვინისაგან თავბრუდასხმულმა კოტემ, — რას უშველის მამაჩემს საწყობის დაწვა? თუმცა, რა ჩემი საქმეა, ალბათ სჭირდება, თორემ ტყუილ-უბრალოდ ხომ არ გამგზავნიდა ამ საქმეზე... ნეტავ ვანუა იყოს ეხლა აქ, რომ იმას გავაკეთებინო... მაგრამ არა, არა! ვანუას რომ ლეოსთან წამოსცდეს, დავიღუპები. ლეო პატიოსანი და მართალი გულის პატრონია. ლეოს რომ შევჯავრდე, ძალიან მეწყინება, თავს მოვიკლავ... სხვათა შორის, ეს ელნათურაც უნდა დავუბრუნო ლეოს. ხვალვე დავუბრუნებ, — ვეტყვი, მამაჩემს ტყეში ეპოვნა მეთქი... მაგრამ... ჰო, რაზე ვფიქრობდი? ვანუაზე! არა... არა... მამაჩემმა რომ გამიგოს, დავიღუპები... მე თვითონ უნდა გავაკეთო... რაც შეიძლება ჩქარა და რაც შეიძლება ფრთხილად... თორემ მამაჩემი მომკლავს.

ასეთი ფიქრებით მიიპარებოდა კოტე ღობეების ძირზე და თან ფრთხილი კურდღელივით აცეცებდა ღვინისაგან ამღვრეულ თვალებს.

• •

ამავე დროს გზაზე, ვენახებისაკენ, ფარაჯაწამოსხმული და ღვინით გალეშილი პეტრე მიაბიჯებდა; ფარაჯის ქვეშ, იღლიაში, რუსული ლულაწაჭრილი შაშხანა ჰქონდა ამოდებული და კოლექტივ „გიგანტისაკენ“ მიეშურებოდა.

აი მიუახლოვდა კიდეც კოლექტივს.

— შარაზე სიარული აღარ ივარგებს... — მძიმედ მოუტრიალდა ფიქრი ღვინით გაჟღენთილ გონებაში და შედგა...

დაფლეთილი ღრუბლებით დაფარულ ცაზე მთვარის დისკო მიცურავდა. სადღაც ქვევიდან სარწყავი არხის ხმაური მოისმოდა... ვენახის

ღობეში, სადღაც, მწერი ჭრიჭინებდა განუწყვეტლივ... სოფლიდან შორეული ძაღლების ყეფა მოისმოდა, ხოლო რიყის მხრიდან მდინარის მძიმე შხუილი ამოდიოდა.

პეტრე ფიქრებში წავიდა... ის გრძნობდა, რომ საზიზღარ საქმეზე მიდიოდა, მაგრამ...

— ვინ გაიგებს? — დაცოცავდა ტვინში აკვიატებული იმედი.

— როგორ დამარიგა? ჩემზე კრინტი არ დასძრაო! — გაიფიქრა პეტრემ და იგრძნო, რომ ის ბნელი ძალის ბრმა იარაღად გამოდიოდა ამ შემთხვევაში, მაგრამ...

— ათი ჩაფი ღვინო კარგი კაკაა! — მოუსვენრად ფართხალებდა პეტრეს მეხსიერებაში მიმზიდველი სურათი და ასე ათავებდა ფიქრს:

— თედო ჩემი ხაზეინია, მე თედოს უნდა დავემორჩილო. ააშენოს ღმერთმა მისი ოჯახი... ის ჩვენთვის ცუდს არ მოინდომებს... ათი ჩაფი ღვინო სამ თვეს მეყოფა, რომ ყოველდღე მთვრალი ვიყო...

პეტრე ფიქრებიდან გამოერკვა და ულვაშებზე გადაისვა ხელი.

შემდეგ თოფი მოიმარჯვა და გზიდან ვენახებში გადავიდა.

ბევრი ბღლარძუნისა და ბილიკებზე სიარულის შემდეგ პეტრე კოლექტივის ღობეს მიუახლოვდა და საავდრო ღრუბელივით სახეამღვრეული მძიმედ შედგა...

— აი ღობის ამ გადატეხილ ადგილთან ჩავსაფრდები, — გაცოცდა მის ტვინში აზრი. — თომა ეხლა ღობეებს უვლის და ამისთანა გადასასვლელთან უსათუოდ შედგება...

პეტრემ საზარლად გაიღიმა, გატეხილი თოფი მოიმარჯვა, გადასავალთან იქვე ახლოს გამშრალი არხის ბალახებში ჩაწვა და სულგანაბულმა სიმთვრალისაგან მოპრუწული, ამღვრეული თვალები მიაშტერა გატეხილ ღობეს...

ღამის წყვდიადში წუთებმა იდუმალებით დაიწყეს დენა.

ღვინით გალეშილ პეტრესათვის დროცა და სივრცეც გაჰქრა. იგი ვერც დედამიწასა გრძნობდა და ვერც ცას ხედავდა... იგი რაღაც გარინდებაში წავიდა, მაგრამ ღობის გადასავალს მაინც უთვალთვალებდა.

დრო მიდიოდა...

რამდენი დრო გავიდა? პეტრემ ეს არ იცოდა. გრძნობდა კი, რომ დრო ბევრი იყო გასული და მსხვერპლი კი არსად სჩანდა...

— ნუთუ ეს ღამე ტყუილად დავკარგე და ხვალ ღვინოს ვერ მივიწყაე? — აეკვიატა პეტრეს უიმედო აზრი, მაგრამ... არა... აგერ... რაღაც ამბავია... ცა როგორ გაწითლდა კოლექტივისაკენ... თენდება თუ რა არის? მზე ხომ არ ამოდის? როგორ განათდა!.. — დაივრიხა ფიქრი პეტრეს გაბრუებულ გონებაში, მაგრამ... რა დროს ეს არის... ჩუ!

პეტრე გამოფხიზლდა და გულის ფანცქალით თოფი მოიმარჯვა...

ღობის გადმოსავალთან რაღაც ფაჩაფუჩი მოესმა და თვალებში რაღაც სინათლის შუქმა მიანათა...

— ვიღაცა მოდის... რაღა ვიღაცა, თომა იქნება... როგორ ჩქარობს... ო, როგორ მოიპარება, რომ ქურდებს უეცრად წაადგეს თავზე... აი, გამოჩნდა კიდეც... აი, დაიკუზა და ღობეზე ფრთხილად შემოდგა ფეხი...

პეტრეს თოფმა დაიქექა და ღამის ჩათვლემილი, მიმყუდროებული მდუმარება გულგახეთქილმა კვნესამ გააპო, ხოლო შორეული ეხო წყევლით ახმაურდა...

— ვაიმე! — გულშემზარავად დაიღრიალა ღობეზე ვიღაცამ და უკან ვენახში გადავარდა მძიმე გმინვით...

— ვაიმე, — კვლავ მოისმა უკვე მისუსტებული კვნესა, მაგრამ პეტრეს აღარაფერი გაუგონია, იგი ძუნძულით მიაბოტებდა ვენახის ბილიკზე... როდესაც კოლექტივს საკმაოდ დაშორდა და თავი სამშვიდობოს გასულად იგრძნო, — უკან მოიხედა და კვლავ მის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა.

— მზე ამოდის თუ... კოლექტივში იწვის რამე? — წარმოთქვა მან ჩურჩულით და ცამდის ავარდნილ ალს და ღრუბლად გაწოლილ ბოლს დააკვირდა...

— კოლექტივის საწყობს უკიდია, ეტყობა! — დაასკვნა პეტრემ და კვლავ სოფლისაკენ იბრუნა პირი.

• •

სალომე დიდედას მოუსვენრობისა და გაუთავებელი დავიდარაბის ხანა დაუდგა.

მართლაც, დილიდან გასული ლეო მზის ჩასვლისას ამოდიოდა სახლში დამშეული და მზისგან დამწვარი სახით. ცოტა გახდა კიდეც, მაგრამ სახის ფერი და თვით სხეულიც მეტად გაუჯანსაღდა... სალომე დიდედას სასოწარკვეთილებაში აგდებდა მისი მთელი დღეობით დაკარგვა. ყოველ დილით, სახლიდან გასვლის წინ, ხვეწნითა და მუდარით არიგებდა, რომ სადილისთვის უსათუოდ ამოსულიყო, რომ მთელი დღის უპმელობა ძალიან ავნებს, — გახდება, ღონე მოაკლდება და შემოდგომაზე, ქალაქში დაბრუნებისას, კარგად ვეღარ ისწავლის სკოლაში. ლეოც ალერსიანად ეთანხმებოდა, ჰპირდებოდა, რომ დღეიდან უსათუოდ დროზე ამოვიდოდა სახლში და სადილზე არ დაიგვიანებდა, მაგრამ...

სალომე დიდედა იმ დღესაც ისევე ელოდა თავის შვილიშვილს, სადილი ისევე ცივდებოდა ჩამქრალ, ჩანაცრულ ქურაზე, კვლავ მო-

უსვენრად აცმაცუნებდა ტუჩებს კეთილი მოხუცი და ბოლოს ი

ფანჯრის დირეზე დადგმული ლამპის შუქზე ლეოს ხალათის სახელოს აკერებდა... ოთახის სიღრმეში კი, გრძელი ტახტის კუთხეში, რაღაც მოჩანდა ტომარასავით... ეს სონა გახლდათ... საწყალი გოგონა თბილად გახვეულიყო დიდედას მიერ ნაჩუქარ ახალ საბანში და მშვიდად ეძინა ოთახის სიმყუდროვეში.

ლეოს კიდევ გაეღიმა... სხეულში სასიამოვნო დასვენების გრძნობამ დაუარა... და ის იყო ძილისათვის უნდა მიეცა თავი, რომ... შორიდან, ვენახების მხრიდან, თოფის ხმა ამოვარდა ყრუდ.

— ალბათ ქეიფობენ, — გაიფიქრა ლეომ თვლემაში და ძილის მორევში ჩაიძირა.

ჩაიძინა, მაგრამ დიდხანს არ სძინებია... უცებ... ღამის წყვდიადის სიჩუმე და მყუდროება ყრილობის ზარის გუგუნმა დაარხია. ლეო ფიცხლავ წამოხტა ფეხზე. სალომე დიდედა აივნის მოაჯირს გადაჰყურებდა უკვე, ვენახებს ოხვრით გასცქეროდა და თან რაღაცას ჩურჩულებდა.

— რა არის, დიდედო?! — მივარდა ლეო აივნის მოაჯირს.

— რაღაცა იწვის, შვილო, და ხალხს დასახმარებლად ეძახის სოფლის ყრილობის ზარი.

მართლაც. ვენახებისკენ ცა წითლად ვარვარებდა და ბოლის უზარმაზარი, სმერჩის მსგავსი სვეტი ცისკენ მიიზლაზნებოდა მძიმედ.

ვენახები და სოფელი ცეცხლის ალისაგან სისხლისფრად იყო განათებული და ღამის სიბნელეში ატეხილი ზარის რეკა უფრო ასაზარლებდა სანახაობას. ხალხი საშველად მირბოდა... ყველა ვენახებისაკენ მიეშურებოდა...

— მეც წავიდე, მივეხმარო, — წარმოთქვა ლეომ და სასწრაფოდ მივარდა თავის ტანისამოსს.

— სად უნდა წახვიდე, შვილო? — დაფაცურდა თავზარდაცემული მოხუცი. — შენ რას უშველი... არ გაგიშვებ... ამ შუა ღამისას არსად არ გაგიშვებ...

მაგრამ ლეო სალომე დიდედას ყურს არ უგდებდა და გამალებით იცვამდა ტანსაცმელს.

— ლეო! — დაიღრიალა უცებ ეზოში ვანუამ.

— ვინა ხარ? — გადმოხტა ლეო მოაჯირთან.

— მე ვარ, ვანუა. ჩვენი კოლექტივის საწყობსა და თივებს ცეცხლი უკიდია, ვიღაცას წაუკიდებია ძალათ! — ამოვარდა სიბნელიდან სხაპასხუპით წარმოთქმული სიტყვები.

— მგონი, კაციც მოუკლავთ... ალ წამოხვალ ჩვენთან? — მოისმა ახლა კუსპას შემკრთალი ხმა.

— მოვდივარ... ამ წუთას! — ჩამოსძახა ლეომ და კიბეზე ჩაირბინა.

— შვილო, ლეო... არ გაგიშვებ... ხვალვე ქალაქში გაგგზავნი! — მისტიროდა დიდედა სალოძე, მაგრამ ლეო სიბნელემ ჩანთქა.

— ვინ თქვა კაცი მოუკლავთო? — იკითხა ლეომ, როდესაც ეზოდან გზაზე გავიდნენ ჩქარი ნაბიჯით.

— ამბავი ამოიტანეს... — მძიმე ქშენით წაილაპარაკა კუსპამ, რომელიც თანდათან უკან რჩებოდა.

— ვინ მოუკლავთ?

— არ იციან... ჯერ ვერ უპოვიათ... — წარმოთქვა ვანუამ.

— კოტე? კოტე სადღაა, ის კი არ წავიყვანოთ, ბიუებო? — იკითხა ლეომ და კუსპას მოუბრუნდა:

— კუსპა, შენ მაინც უკანა რჩები... მოდი, ჩვენ სირბილით წავალთ, შენ კი კოტეს შეხვდი და წამოიყვანე...

— ძალიან კალგი, — წამოიძახა კუსპამ და იქვე ორღობეში გადაუხვია.

ვანუა და ლეო სირბილით დაეშვნენ ვენახებისაკენ. დიდხანს ირბინეს ქაქანით, შემდეგ დაიღალნენ და კვლავ ნაბიჯით განაგრძეს გზა.

როდესაც კოლექტივს მიუახლოვდნენ, ისევ გაიქცნენ და სირბილით მივიდნენ კოლექტივის საწყობთან.

უზარმაზარი ფიცრული საწყობი და მის უკან მდგომი თივის სამი დიდი ბულული ცეცხლის ალში იყო გახვეული... ალი ნაპერწკლების ტკაცუნით პრიალებდა და გარეშემო ვენახს, თუთის წინ პატარა მოედანს და კოლექტივის სამმართველოს ოთახს წითლად ანათებდა. აუარებელი ხალხი ირეოდა და ჩოჩქოლებდა. ყველა რაიმე ჭურჭლით — კოკით, სურითა და კასრით — წყალს მოარბენინებდა რიყიდან და საწყობს ან თივას ასხამდა... მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ წვეთი იყო ცეცხლის ჩასაქრობად საჭირო წყალთან შედარებით. ცეცხლი ზღვასავით მძვინვარებდა და პრიალა ალის მორევი ბოლის ღრუბლებს ჰკიდებდა ცაზე.

მთელი სოფელი ჩამოვარდნილიყო საშველად კოლექტივში.

— აი ამ მხრიდან დაასხით! — იძლეოდა განკარგულებებს სვიმონი კუშტი სახით და მუქარე ხმით. — ეს აპარატები აქ დაწყეთ... აი აქ...

მართლაც, კოლმეურნეთა ერთი ჯგუფი სასწრაფოდ ასრულებდა მის ბრძანებას და ცეცხლიდან გაშორებული შაბიამნის დასასხმელ აპარატებსა და გოგირდის დასაყრელ საბერველებს ოთახისაკენ მიარბენინებდა. ლეო და ვანუა გაშტერებით შეჰყურებდნენ ხალხის მეშაობას და ჯერ ვერაფერი მოეხერხებინათ.

უცებ ხალხი აირია, შეჩოჩქოლდა და მეორე მხარეს მიაწყდა.

ლეომ და ვანუამაც იქით მიიხედეს და თვალი შეასწრეს რამდენიმე კაცს, რომელნიც ოთახისაკენ მოდიოდნენ და თითქოს რაღაც მოჰქონდათ.

ბიჭები ცნობისმოყვარეობით გაექანნენ იქით და, როდესაც ჯგუფი ოთახს მიუახლოვდა, ხუთ სხვა უცნობ გლეხს შორის გაარჩიეს შეიარაღებული თომა, რომელსაც სხვა მეორე გლეხთან ერთად გაშლილ ნაბადზე დაწოლილი ვიღაც მოჰყავდა.

— ვინ არის? მკვდარია? — შორიდანვე დაეკითხა სვიმონი თომას.

თომა ხმაამოუღებლივ მივიდა ოთახთან და ხანძრით დღესავით განათებული ოთახის წინ ნაბადი დადო .ხალხი ნაბადს შემოეხვია...

— სოლომონ, შენ უხელმძღვანელე ცეცხლის ჩაქრობას, ვიდრე მე ამ საქმეს გამოვიკვლევ, — მიუბრუნდა სვიმონი იქვე მდგომ შუახნის ჯმუხ კაცს და, როდესაც სოლომონი ცეცხლისმქრობელთაკენ გაეშურა, მოაჯირს დაეყრდნო და ნაბადზე მწოლარეს დახედა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— მოკლული მოიტანეს... ვინ არის? — წარმოთქვა ვანუამ და ჩვენი მეგობრები სულგანაბული და გულაძგერებულნი ხალხში გაძვრნენ და, როგორც იყო, ნაბადზე მდებარეს შეავლეს ცნობისმოყვარეობით დაჭყეტილი თვალები.

— ბიჭოს, კოტე?! — წამოიძახა უცებ ელდანაკრავმა ლეომ და ინსტინქტურად წინ წაიწია, როდესაც ნაბადზე მდებარე სისხლში მოსვრილ პატარა გვამს დააშტერდა გაფითრებულ სახეზე...

გლეხებმა ლეოსაკენ მოიხედეს და ჩვენი მეგობარი წინ წამოაყენეს...

— ვინ კოტეა? — იკითხა სვიმონმა.

— თედო საკუთრებაშვილის ვაჟი გახლავთ, — წარბშეკვრით მიუგო თომამ და ლეოს მხარზე ხელი დაადო. — აქ რა უნდოდა კოტეს? — მკაცრად ჩაეკითხა იგი ლეოს.

— არ ვიცი... — ათრთოლებული ტუჩებით წარმოთქვა ლეომ და მხრები აიჩეჩა.

— როდის გაშორდით ერთმანეთს?

— მზე ჯერ ჩასული არ იყო, რომ სახლისაკენ წავედით... მანამდის კი სულ აქ ვიყავით... მუშაობის შემდეგ ვანუა ჭიდაობას მასწავლიდა, და კოტეც ჩვენთან იყო.. მერე სოფლამდის ერთად ვიარეთ და დავიშალენით...

— მერე აღარ გინახავს, ან არაფერი უთქვამს? — არ ეშვებოდა თომა.

— არა, არც მინახავს და არც არაფერი უთქვამს... ცოტა დაღონებული კი იყო მთელ დღეს... აი ეს ვიცი მხოლოდ.

— რად იყო დაღონებული?

— არ ვიცი, არაფერი უთქვამს... სახლში რომ მივდიოდით აქედან, უკან რჩებოდა და ფიქრებში იყო გართული...

— შენ ხომ არაფერი გითხრა, ვანი? — მიუბრუნდა თომა ვანუას.

— არა, არაფერი უთქვამს... დაღონებული კი იყო... — წაიბუტბუტა ვანუამ, რომელიც შეკითხვას არ ელოდა, და თავი დაღუნა.

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა...

გაისმა ხმები:

— მგონი მკვდარი არ არის...

— თვალებს ახელს!

— თითქოს ჩურჩულებს!

მართლაც, კოტეს მკვდარივით გაფითრებულ, გაკენკილ სახეს თითქოს სიცოცხლის ნიშანწყალმა გადაჰკრა... მკრთალი ტუჩები აუცმაცუნდა, მილულული თვალები ოდნავ გაახილა და მძიმედ დაიგმინა.

თომამ იმწამსვე ჩაიჩოქა და კოტეს სახეს კუშტად დააცქერდა.

— წყალი მოიტათ და სახეზე მოუსვით, იქნება მობრუნდეს... — გასცა განკარგულება სვიმონმა. ვიღამაც სურიდან ხელზე გადმოისხა წყალი და კოტეს სახეზე ასხურა...

— ვაიმე, — გაისმა კოტეს დახშული კვნესა და ცივი წყლის მოხვედრისთანავე ბავშვმა ხრიალით ამოისუნთქა.

— ვინ გესროლა, კოტე! — გარკვევით და ხმამაღლა ჩაეკითხა თომა.

— ააა? — გაახილა თვალები კოტემ და შეწუხებული სახე თომასკენ გადმოაგდო.

— ვინ გესროლა... ვინ დაგჭრა? — კვლავ განუმეორა თომამ კითხვა და სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

— არ ვიცი... — ნიავის ოდნავი შრიალივით გაისმა კოტეს სიტყვები.

— როგორ არ იცი?.. — უფრო ახლო მიიწია თომამ. — აქ რა გინდოდა? კოლექტივის ღობესთან რა გინდოდა ამ შუაღამისას?

კვლავ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა გინდოდა აქ, რისთვის ჩამოხვედი?

კოტეს სახეზე საშინელი ტანჯვა და წვალება იხატებოდა. რაღაცის თქმას ლამობდა, მაგრამ სიკვდილი უახლოვდებოდა და ლაპარაკი მეტად უჭირდა, ტყვიით განგმირული გვერდიდან კი სისხლი ნაბადზე იღვრებოდა და ტბორდებოდა... ალის სიწითლე სისხლის სიწითლეს უფრო ასაზარლებდა.

— რა გინდოდა აქ, რა გინდოდა?

თითქმის ყვირილით ჩაეკითხა კვლავ თომა და ცოტა ხნის შემდეგ კოტემ ძლივს წაიჩურჩულა:

— მამამ... გამომგზავნა...

— მამაშენმა გამოგგზავნა? რისთვის?

— საწყობს... ცეცხლი... წაუკიდეო...

კოტეს აკანკალებული ხმა უცებ ჩაუწყდა. თვალებში თითქოს სიგიჟე დაენთო და სადღაც შორს, ცაში მოლანდებულ წერტილს მიაშტერდა. სახეზე კვლავ ტანჯვისა და წვალების თრთოლამ გადაუარა, ორივე ხელი თვალების წინ გაასავსავა, რამდენიმე წუთის შემდეგ გაითანგა, ფეხები დაუგრძელდა, ხელები მკერდზე ჩამოუვარდა, თითქოს გაეღიმა და ოდნავ გაღებული პირიდან უკანასკნელად ამოისუნთქა მძიმედ, ოხვრის მსგავსად...

თომა წამოდგა და წელში გასწორდა.

— ხედავთ, ამხანაგებო! — მიუბრუნდა გლეხებს სვიმონი. — კლასობრივი მტერი არ ისვენებს... იგი გააფთრებით იბრძვის და ყოველმხრივ ცდილობს სოციალისტური შრომის დაქვეითებას... თავისი ბოროტი მტრობით და გადაოგნებული სიბრმავით იქამდის მიდის, რომ აი ასეთ პატარა ბავშვებს, თვით საკუთარ შვილებსაც კი იყენებს ბოროტი ზრახვების შესასრულებლად. ვენახი რომ ჩამოვართვით, იმაზე გვმტრობს და შურს იძიებს...

— სიკვდილი თედო საკუთრებაშვილს!! — დაიღრიალა ხალხმა.

— ჩავაქვავოთ ეგ წუწკი, ეგა!

— დახეთ იმ წყეულს, ბავშვი გამოუგზავნია ცეცხლის წასაკიდებლად!

— კარგი, მაგრამ... ამ ბავშვს ვინ ესროლა თოფი? — წარმოთქვა კვლავ სვიმონმა და დაფიქრებულ თომას მიუბრუნდა:

— შენ ჰყარაულობდი ამ ღამით! შენ ხომ არ ესროლე?

თომამ თავი მაღლა ასწია და პირდაპირ თვალებში შეხედა სვიმონს.

— მე არ მისროლია... მეც სწორედ მაგაზე ვფიქრობ; ვიღამ ესროლა? მე რიყის მხარეზე ვიყავი, როდესაც პირველად შევამჩნიე ცეცხლი და გამოვეშურე... მოვირბინე და ვხედავ — ცეცხლი ძლიერდება, თივის ბულულებზეც გადადის და მარტო მე მას ვერ ჩავაქრობ... იმწამსვე ტელეფონს ვეცი და აღმასკომში დავრეკე... აი სწორედ ამ დროს მომესმა სროლის ხმა და რაღაც განწირული დაყვირება გატეხილი ღობის მხრიდან... მაგრამ ჯერ ვერ მივხედე... აღმასკომს ველაპარაკებოდი... შემდეგ ცეცხლმოდებულ საწყობში შევვარდი და რაც ხელში მომხვდა და რაც მოვასწარი — გამოვიტანე... მერე ხალხი ჩამოვიდა დასახმარებლად და... მხოლოდ მაშინ მომაგონდა სროლის ხმა და ყვირილი გატეხილი ღობის მხრიდან... წავედი და კარგა ხნის ძებნის

შემდეგ სწორედ გატეხილ ღობესთან ვიპოვე ეს ყმაწვილი... გულაღმა ეგდო ბალახებში და ხელში აი ეს ჰქონდა დაბღუჯული...

ამ სიტყვებით თომამ სვიმონს მიაწოდა რაღაც შავი კოლოფი, რომლის დანახვაზეც ვანუამ და ლეომ განცვიფრებით შეხედეს ერთმანეთს.

— ჩემი ჯიბის ელნათურა? — გაკვირვებით წასჩურჩულა ლეომ ვანუას.

— ვერ უყურებ... კუსპამ როგორ გამოიცნო, ეე! — გაიქნია თავი ვანუამ, — რაღაც ალღო აქვს მაგ დაღუპულს...

— გარშემო ყველაფერი დავათვალიერეთ, — განაგრძო კვლავ თომამ, — ღობის აქეთაც და ღობის იქითაც, მაგრამ ვერაფერი ვიპოვეთ... ერთ ადგილას არხში ბალახია ნათელი... ეტყობა, ვიღაც წოლილა... მაგრამ ვინ, არ ვიცით. ერთი სიტყვით, აქ რაღაც საიდუმლოებაა...

— საიდუმლოებაა და გამოვარკვევთ,—წარმოთქვა სვიმონმა მტკიცედ და თომას მიუბრუნდა:

— მე აქ ცეცხლის ჩაქრობას ვუხელმძღვანელებ, შენ კი წადი ეხლავე სოფელში... ორიოდე ბიჭი წაიყვანე და ეს გვამი აღმასკომში წაიღეთ.

ამ სიტყვების შემდეგ სვიმონი ოთახში შეტრიალდა და ელსმენით დაურეკა აღმასკომს.

— შაქრო, შენა ხარ? — ჩასძახოდა ელსმენის მილს სვიმონი. — ყური დამიგდე, ეხლავე გაგზავნე კაცები და თედო საკუთრებაშვილი დააპატიმრე... ფრთხილად კი... არსად გაძვრეს და არ გაიქცეს...

— თომა... თომა... შენ ცოცხალი ხალ? — შემოესმა უცებ სვიმონს გარედან კუსპას გახარებული ხმა.

სვიმონი კარში გამოვიდა და კუსპას შეავლო თვალი, რომელიც დაღლილობისაგან ძლიეს ქაქანებდა და თომას სიხარულით ეკონწიალებოდა ხელზე.

— თომა... ცოცხალი ხალ? ცოცხალი ხალ? — იმეორებდა თითქოს გაოცებული კუსპა...

— რაშია საქმე? რატომ არ უნდა ვიყო ცოცხალი? — ჩაეკითხა თომა და გარს შემოხვეულ ხალხს გადახედა...

— მე და ეს ყმაწვილები, — დაიწყო კუსპამ და იქვე მდგომ მეგობრებზე მიუთითა, — ელთად წამოვედით კოლექტივისაკენ მოსაშველებლად, მაგლამ ლადგანაც კოტე აკლდა ჩვენს ბლიგადას, მის დასაძახებლად მე წავედი... ამათ კი პილდაპილ აქეთ გამოსწიეს... ლოდესაც კოტეანთ სახლს მივუახლოვდი, ბაღებში გადავხტი და სახლს ბეღელის მხლით მოვუალე, ლადგან კოტეს მამას კაპასი ძაღლი ჰყავს და პილდაპილ მისვლა მეშინოდა... ის იყო, უნდა დამეყვილა კოტესთვის, მაგლამ... ლაღაც ჩუმი ლაპალაკი მომესმა და იმწამსვე ხის ძილას გავ-

შემდი... — ლოგოლ ალის საქმე? — ჰკითხავდა ელთი ხმა. — კალ-გად, — უპასუხა მეოლემ დახშული, აღელვებული ხმით. — სლოლის ხმა გავიგონე, ალბათ მოკალი? — მოვკალი! ღობეზე გადავალდა... — კვლავ უპასუხა მეოლემ. — თომა კი იყო ნამდვილად? — მძიმე ჩულ-ჩულით დაეკითხა ისევ პილველი ხმა. — თომა იყო, მაშ ვინ იქნებო-და... — მოისმა პასუხი. — იქნება სხვა იყო? — ალ ცხლებოდა პილ-ველი ხმა. — ლა საქმე გააჭილე! გეუბნები, თომა იყო-მეთქი... თომას ველალ ვიცნობ? — აუწია ხმას მოპასუხემ. პილველმა ხმამ ჩაიხითხი-თა და ხელები მოიფშვნიტა, მელე ისევ იკითხა: — ხომ ალავინ დაგი-ნახა? — ალა, — მიუგო მეოლემ. — ალც გზაში შეგხვედლია ვინმე?— ალა, — კვლავ გაისმა ხლინწიანი პასუხი. — მაშ წამოდი... ცოტა ღვინო დავლიოთ... დანაპილების შესლულება ხვალ იყოს, — წალმოთქვა პილ-ველმა ხმამ და ოლივენი სახლისაკენ გატლიალდნენ.

კუსპა გაჩუმდა და სული მოითქვა.

— მერე, მერე? — მოისმა ხალხში აქეთ-იქიდან... — ვინ იყვნენ ეგ ქოფაკები?

— ოლივენი ხმაზე ვიცანი... ელთი კოტეს მამა იყო, მეოლე კი მისი მოჯამაგილე, პეტლე, პატალა სონას მამა. ის, ლომელიც ამბობ-და — თომა მოვკალიო, პეტლე იყო, კოტეს მამა კი კითხულობდა — მალთლა ის მოკალიო?

— მერე, მერე!? — გაისმა კვლავ ხმები.

— მელე და აღალაფელი მომგონებია, საჩქალოდ გამოვიპალე და აქეთკენ დავეშვი... თან ცლემლი მაღლჩობდა, მე თომა მალთლა მოკ-ლული მეგონა... თომა კი ცოცხალია... ეტყობა, პეტლემ მოატყუა...

— არა, არ მოატყუა, — წარმოთქვა თომამ დაფიქრებით, — ის ჩემს მოსაკლავად წამოსული და სრულიად შემთხვევით ჩემს მაგიერ სხვა მოკლა... აი, შეხედე, კუსპა, — მოატრიალა თომამ კუსპა ნაბდისა-კენ, რომელიც ორ კომკავშირელს უკვე აეწიათ.

— კოტე?! — წამოიყვირა გაოცებით კუსპამ და ნაბადს მივარდა ცრემლმორეული. — კოტე მოუკლავს? ლათ მოკლა საწყალი ბიჭი?

— ჩემს მაგიერ, — სიბნელით ველარ გაურჩევია! — მიუგო თომამ.

— მელე და, კოტეს აქ ლა უნდოდა? — გაოცდა კვლავ კუსპა.

— მამას გამოუგზავნია ცეცხლის წასაკიდებლად... აი ეს ხანძარი მისი ნახელოვნარი გახლავთ, — მწარე დაცინვით ჩაილაპარაკა თომამ და ნაბდის ამწევ კომკავშირელებს მიუბრუნდა.

— აბა, წავიდეთ...

— ველ უყულებ კოტეს! — წაიჩურჩულა კუსპამ და ლეოს გადა-ხედა.

— ეს რა ქნა, ეს რა ჩაიდინა, — მწუხარედ გაიქნია თავი ლეომ.

— ამას როგორ მოვიფიქრებდი, ჰაა! — წაიბუტბუტა ვანუამაც და ჩვენი მეგობრები ცეხცლმოდებულ საწყობს მიუბრუნდნენ.

სვიმონი კი, რაწამს კუსპამ ლაპარაკი დაამთავრა, ოთახში შებრუნდა და ტელეფონის მილს დასტაცა ხელი.

• •

თედო საკუთრებაშვილი და მისი მოჯამაგირე პეტრე იმ ღამესვე დააპატიმრეს.

ორივენი თედოს სახლში ისხდნენ და ღვინოს მიირთმევდნენ... ეტყობოდა, თომას მოკვლის მაღარიჩს იხდიდნენ.

დაპატიმრებულთ იმ ღამესვე დაჰკითხეს და სოფლის საპატიმრო ოთახში მოათავსეს.

არც პეტრე და არც თედო დანაშაულში არ გამოტყდნენ.

როდესაც მათ წინაშე თომა წარსდგა, მათს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, ხოლო როდესაც თომამ კოტეს მოკვლის ამბავი შეატყობინა, თედომ მხეცივით დაიღრიალა და პეტრეს მუშტები წაუშინა.

ორი დღის შემდეგ ქარიანი დღე იყო... ცაზე დაფლეთილი ღრუბლები გარბოდნენ. დაპატიმრებულნი სარაიონო სოფლისაკენ გაისტუმრეს, სადაც საჩვენებელი გასამართლება უნდა მომხდარიყო.

გავიდა რამდენიმე ხანი. თედო და პეტრე სარაიონო სოფელში გაასამართლეს საჯაროდ. მთელი რაიონის სოფლების გლეხობა ჩამოვიდა პროცესზე დასასწრებლად და დამნაშავეთა შესარცხვენად.

თედოს, როგორც გაუსწორებელსა და კლასობრივ მტერს, მეშურგლეხურმა სასამართლომ სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა — დახვრეტა — მიუსაჯა, ხოლო პეტრე, როგორც უღარიბესი მოჯამაგირე და შეუგნებელი ელემენტი, რომელიც თედოს გავლენით მოქმედებდა და ბრმა იარაღის როლს ასრულებდა მის ხელში, ხუთი წლით შრომა-გამასწორებელ სახლში გადაგზავნეს.

• •

ლეომ მშვენივრად და მბიარულად გაატარა ზაფხულის დანარჩენი დრო, მაგრამ მის გულში ხინჯი იყო დარჩენილი. მას მძიმე ლოდად აწვა ილას მიერ მიყენებული შეურაცხყოფა და ის გარემოება, რომ ილას გულისათვის დიდ საბანაოში ვერ ბანაობდა.

და აი ლეომ მტკიცედ აღებული აზრის განხორციელებას მიჰყო ხელი.

ვანუასთან მეცადინეობა კვლავ განაახლა და მთელ დღეებს კაკლის-

ქვეშ მწვანიანზე ჭიდაობაში ატარებდნენ. ლეომ უკვე ისე შეისწავლა ჭიდაობის ყველა ხერხები, რომ დასრულებული მოჭიდავესავით ჭიდაობის საკუთარი ყაიდა გამოიმუშავა და ვანუას უკვე მართლა ერეოდა ხერხითაც და ღონითაც.

ლეოს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა... ილას შემდეგ ვანუა პირველი მოჭიდავე იყო სოფლის ტოლ-ბიჭებში და ვანუას წაქცევით უკვე ფალავნის სახელწოდებას იღებდა.

ყველა სოფლის ბიჭებმა შეიტყეს, რომ ლეო ვანუას ერევა.

გავარდა აგრეთვე ხმა, რომ ლეო საშინელ და განთქმულ ილას ითხოვს ჭიდაობაში, რომ ლეოს სურს თავისი დამცირებისათვის სახალხოდ გადაუხადოს და დიდი მორევი ყველას საბანაოდ გადააქციოსო. ყველა აღელვებული იყო მოლოდ ნით... ყველა ჩურჩულებდა, სანაძლეოს სდებდა და მოუთმენლად ელოდა ამ სანატრელ დღეს.

ამ ხმებმა ილას ყურამდისაც მიაღწია. ამის გაგონებაზე ილა ჯერ სიცილით ჩაბჟირდა, მაგრამ მერე ცოტა შეფიქრიანდა და შეჯიბრების მოლოდინში თავის მეგობრებთან დაიწყო ვარჯიშობა, რომ უფრო დახელოვნებული დაჰხვედროდა ლეოს და სირცხვილი არ ეჭამა.

მაგრამ აღელვებულ და გამწარებულ ილას ვეღარავინ უძლებდა. პანტასავით ისროდა ილა გაოგნებულ მოჭიდავეებს და პირიდან ცოფებსა ჰყრიდა, როდესაც მოწინააღმდეგე ვერ უმაგრდებოდა და ხერხების გამოყენების საშუალებას არ იძლეოდა. ერთი სიტყვით, ორივე მხარე უკვე აშკარად ემზადებოდა შესაბმელად და ორივე ფალავანს შეხვედრის მოლოდინითა და ჭიდაობის ჟინით კბილები უკაწკაწებდა.

ერთს მშვენიერ დღეს ლეომ მეგობრებს გამოუცხადა: თავს იმდენად მომზადებულად ვგრძნობ, რომ უკვე შემიძლიან ილას შევებრძოლოო.

მცირე თათბირის შემდეგ მეგობრებმა გადასწყვიტეს მეორე დღეს, ე. ი. კვირას, შუადღეზე მორევთან ჩასულიყვნენ ვითომდა საბანაოდ, ხოლო როდესაც ილა წინააღმდეგობას გაუწევდა ლეოს, მოწინააღმდეგენი დაეძგერებოდნენ ერთმანეთს და ლეო უჩვენებდა მაშინ სეირს.

აი გათენდა კვირა დღეც.

ლეო თავისი მეგობრებით მორევისაკენ გაეშურა დანიშნულ დროს და როდესაც რიყეზე გავიდა, ცოტა არ იყოს, შეკრთა.

მუდამ, როდესაც კი ილასთან შეხვედრის წუთებზე ფიქრობდა, მაყურებლად მხოლოდ ვანუა, კუსპა და ილას მეგობრები ჰყავდა მხედველობაში... ეხლა კი, სინამდვილეში, მთელი სოფლის ბიჭებს მოეყარათ თავი მორევთან და, ეტყობოდათ, მოუთმენლად მოელოდნენ ლეოს მოვლინებას.

ბავშვები ნახევარწრის მსგავსად ისხდნენ ქვიშაზე, წინ საჭიდაოდ ფართო მოედანი დაეგდოთ და რაღაც სიმღერას ღიღინებდნენ.

— პიონერები მოდიან, ეეე! — გაისმა აქეთ-იქიდან ხმები ჩვენი მეგობრების დანახვაზე.

წრე ჟრიამულითა და ყიჟინით აჩოჩქოლდა... ზოგი ფეხზე წამოდგა, ზოგმა წამოიჩოქა, ზოგიც ჩუმი ხითხითით ჩაჩუმდა. ყველა სეირის ცქერის თრთოლამ აიტანა. როდესაც ჩვენი ყმაწვილები წრეს მიუახლოვდნენ, სრული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც მხოლოდ მდინარის დასიცხული დუდუნი აკრთობდა. უცებ წრის შუაგულიდან ვიღაცის მწივანა და კილოიანმა ხმამ ჩაარაკრაკა:

— ვარალეე, ვარისვარალაალეე...

— ვარალე და დარალე, ჭიდაობას რااა უნდაა... — მოუქცია მეორემ და ხელად ამ უზარმაზარმა ბრბომ დაიგრიალა ბანით და საჭიდაო სიმღერა გააბა, რომლის გაგონებაზეც მუდამ ჭიდაობის ჟინითა და თრთოლით ივსება პატარა ბიჭების გული.

როგორც ვთქვით, ლეო ოდნავ შეკრთა ამდენი მაყურებლების დანახვაზე და ცუდ გუნებაზე დადგა. მისი ანგარიშით მას საბანაოდ უნდა მიეწია, ილა გაუძალიანდებოდა და ჭიდაობაც თავისთავად გამოვიდოდა; ეხლა კი ნამდვილი გამოწვევის შთაბეჭდილება რჩებოდა.

— საიდან გაიგეს, რომ დღეს ვაპირებდი ჭიდაობას? — ფიქრობდა ლეო. შემდეგ შედგა და უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ გადაწყვეტილება კვლავ შეცვალა:

— დაე, გამოწვევა იყოს! მეშინიან თუ? ამას გარდა, ჩემი გადაწყვეტილება?.. ამოდენა ხალხში რომ მომცემს სიტყვას, შეასრულებს კიდეც...

— ასე სჯობია კიდეც... — გაუელვა ლეოს სიხარულის ნაპერწკალმა და ის იყო ადგილიდან დაძვრას აპირებდა, რომ ხუპუჭქოჩორა ბიჭი გამოიჭრა კრებულიდან.

— რაღას დასდექ, ქალაქელო პიონერო! — სიცილით დაუყვირა მან ლეოს. — მოდი... ჩვენი ფალავანი მზად არის...

ლეო შუბლჩაკოხილი დაიძრა ადგილიდან და პირდაპირ მომღერალი ბიჭების წრისაკენ გაეშურა; ვანუა და კუსპა უკან გაჰყვნენ და დარცხვენილებს ფეხები უკან რჩებოდათ, რადგან კარგად იცნობდნენ სოფლელი ბიჭების დაცინვისა და მასხარად აგდების ჩვეულებას.

მართლაც, მოლოდინმა არ მოატყუათ:

— უყურეთ, ბიჭებო, თავისი მაყრიონი მოსდევს ქალაქელ გოლიათს! — მოესმათ მათ მიახლოებისთანავე. და მოგუგუნე სიმღერას სიცილ-ხარხარი გადაეწნა.

— ეჰე, რა დაკოზილი მოდის, ბიჭებო! მოეცალეთ, არავინ დაგ-გლიჯოთ! — ხუმრობდა მეორე.

ბიჭები სიცილით იხოცებოდნენ, ხოლო ჩვენი მეგობრები კი დარ-ცხვენით იკოხებოდნენ, რადგან ლეოს დაცინვა მათი დაცინვაც იყო.

— მოვიდა, ბიჭებო, საბურთავებელი მასალა! — ყიჟინებდა ვიღაც ყოყოჩინა ილას ჯგუფიდან და ამ სიტყვების პასუხად კვლავ ხარხარი და ჟრიამული გაისმა.

სხვა, ლეოს ადგილას, შეკრთებოდა და უკან დაიწევდა, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდა სხვაგვარი სიმტკიცის პატრონი იყო... უკან დახევა ჩა-მოურეცხავ სირცხვილად მოეცხებოდა. პირიქით, დაცინვამ მეტად-განუმტკიცა გამარჯვების სურვილი. იგი გულდაგულ მივიდა ბიჭების წრესთან და დინჯშემოყრილი, აწითლებული ლოყებითა და ანთე-ბული თვალებით თავზე დაადგა მათ.

— შეწყვიტეთ სიმღერა! — ხრინწიანი ხმით ამოიყვირა ლეომ და სიმღერა მართლაც შეწყდა...

რაღაც მოლოდინი დაეკიდა გავარვარებულ ჰაერში.

— ამხანაგებო, როგორც ჩანს, ყველამ იცით საქმის ვითარება. — დაიწყო ლეომ, როდესაც უკანასკნელი ჩახითხითება და წაჩურჩულება მიწყდა, — მე ილასთან საჭიდაოდ მოვედი, — განაგრძო ლეომ და ხმაში თანდათან სიმტკიცე დაეტყო. — მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე მხოლოდ ილას წაქცევა მინდოდეს, მხოლოდ ჭიდაობის ჟინს ვიკლავდე და ან ილას დამცირება მინდოდეს თქვენს წინაშე... არა, ჩემი მიზანი სხვა არის და მე ილას ვეჭიდავები ერთი გარკვეული პირობით... მე ილამ დამამცირა და გამამასხარავა მხოლოდ იმიტომ, რომ მე ჭიდაობა არ ვიცოდი და ამასთანავე მის უსამართლო საქციელს წინააღვუდექი. მე ჩემს შეურაცხყოფას დიდ ყურადღებას არ მივაქცევდი, მაგრამ ილას საქციელში დიდი უსამართლობაა... ილა ბიჭებს დიდ მორევში ბანაო-ბის ნებას არ აძლევს, თითქოს ეს მდინარე ილასი იყოს... რადა, რა უფლებით სჩადის ამას? იმიტომ რომ ღონიერია და ჭიდაობა იცის? ან თქვენ, მე რომ დამცინით, არ უფიქრიეთ ამას და სანახაობის მეტი არაფერი გაინტერესებთ?! აი ეხლა მე დავუმტკიცებ მაგ ვაჟბატონს, რომ აქ ბანაობის უფლება ყველასა აქვს, და, როდესაც ილას წავაქცევ, ყველა არხეინად ვიბანავებთ მორევში... სად არის? აი, მე წრეში გამოვ-დივარ.

— აი, მეც გამოვდივარ! — გაისმა ილას ხმა და წამოწოლილი მომ-ღერალი ბიჭების წრიდან ხელებდამკლავებული ილა გადმოხტა წრე-

ში. — ვნახოთ, როგორ იბანავებ... ძალიან ქარი კი ააყენე კვეხნით... — დაუმატა მან დამცინავად და თვალებანთებული ლეოს წინ აილანძა.

და აი, ორი მოწინააღმდეგე პირისპირ იდგა... ილა თავისი ჩამკვრივებული, მხარბეჭიანი ტანით, რომელსაც ყოველ მოძრაობაში ღონე და მოხერხებულობა ეტყობოდა, პატარა კაცს ჰგავდა და აშკარად დასანახ ჯან-ღონის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ლეოს აღნაგობაში კი, მიუხედავად ჯერ ისევ ბავშვური სიგამხდრისა და სხეულის გაუშლელობისა, დაფარული ძლიერება გამოსჭვიოდა და ამ მხრივ ძნელი სათქმელი იყო, ვინ ვის მოერეოდა...

კუსპა იქვე პიონერ ბიჭებთან ჩამოჯდა, ხოლო ვანუა ჯერ ჩამოჯდა, მაგრამ ისევ ფეხზე ადგა და აღელვებისაგან კბილს კბილზე აცემინებდა.

— რად გავშტერდით ასე, ბიჭებო? — დაიყვირა ერთმა, — სიმღერა დავიწყოთ... ფალავნები სიმღერას ელიან...

მართლაც, წრის შუაგულიდან კვლავ იმავე ხმამ ამოიკვნესა:

— ვარალე... ვარისვარალალე...

— განი, ბიჭებო, განი... — წამოხტა უცებ ქოჩრიანი ბიჭი და, თუმცა წინ წამოწევას არავინ აპირებდა, მაინც ცნობისმოყვარეობისაგან პირდაღებულ წრეს შემოურბინა ქვიშაზე სახრის ცემით და წამოწოლილი ბიჭები მტვერში გაგანგლა...

— ვარალეე, ჰიდაობას რა უნდა... — მოუქცია მეორემ და, როდესაც ბანებმა დაიგუგუნეს, ილა ელვასავით დაეძგერა მხრებში ლეოს და ქორივით გააქანა წრის ჩაყოლებაზე.

ეს ჩვეულებრივი ხერხი იყო მოწინააღმდეგის გადასაგნებლად.

ილა მირბოდა წრის ხაზზე და მოულოდნელობისაგან წელში მოღუნულ ლეოს თავის ნებაზე მიათრევდა; მაგრამ ლეო არ დაბნეულა.

მან უკვე იცოდა, რომ ამ უეცარ დათრევას მოგვერდი ან კისრული უნდა მიჰყოლოდა, რომლის შემდეგ ლეოს სხეული ჰაერში გაისრიალებდა გაქანებით, — მაგრამ ვანუამ ამ ხერხის საწინააღმდეგო წამალიც ასწავლა და სწორედ მაშინ, როდესაც აღელვებული და სულგანაბული მაყურებლების წრე მოგვერდს მოელოდა და ეიღაცამ დაძაგრული ხმით ამოიძახა კიდეც, — ლეომ ფათერაკის მოახლოება იგრძნო და უცებ თვითონვე გაჰყვა ილას, სწრაფად გადაურბინა გვერდით, მაგრად მობღუჯა წელში და მოგვერდზე წამოღებულმა ილამ ჰაერში აისროლა ფეხები და გულაღმა ზათქანით დაეცა ქვიშაზე.

ყოველივე ეს ისეთი სისწრაფით მოხდა, რომ მთელ კრებას გაკვირვებისა და აღტაცების ოხვრა აღმოხდა გულიდან...

— უჰ, შენი ჭირიმე! — მივარდა ათრთოლებული ვანუა ლეოს...

სხვა ბიჭებიც წამოიშალნენ, მაგრამ გაშმაგებული ილა, რომელიც უკვე ფეხზე წამომხტარიყო, სახეზე სირცხვილის ალმურავარდნილი მიიჭრა ლეოსთან.

— ეს ჯერი არ იყო! კიდევ უნდა მეჭიდო! — ქაქანით ჭიჭყინებდა ილა და საჭიდაოდ იწევდა, მაგრამ შუაში სიხარულით აღელვებული და ცრემლმორეული კუსპა ჩაუვარდათ.

— ჯერი არ იყო! — ყვიროდნენ ილას მეგობრები და მუშტებით იწევდნენ ლეოსკენ.

— ლოგოლ თუ ჯელი ალ იყო! შენ ლომ აგოლავე ლეო, მაშინ ჯელი იყო? ხომ კოხტად გაგლახა, ჰა? შენ თვითონვე სთქვი, ილა! — კაპასობდა კუსპა.

— კიდევ უნდა მეჭიდო! — მოიწევდა მაინც სიბრაზისაგან მოთმინებადაკარგული ილა და კამეჩივით აბრიალებდა თვალებს, ლეო კი ღიმილით შესცქეროდა მას და კუსპასა და ვანუას ეხუმრებოდა.

— რას ჩააცივდი... გაგლახა და რაღა გინდა... თუ გნებავს, ახლა მე მეჭიდავე... — წამოაყრანტალა ვანუამ ნერწყვის ყლაპვით და ილას ქამარში სტაცა ხელი, მაგრამ მან მუჯლუგუნის გაკვრით გააშვებინა ხელი და ლეოს მიუბრუნდა.

— კიდევ უნდა მეჭიდო... ისე არ გაგიშვებ აქედან!

— როგორ თუ არ გამიშვებ, შენი ნებაა? დაბმას ხომ არ მიპირებ... თუ არა და მე წასვლას სულაც არ ვფიქრობ; მე ჯერ მორევში უნდა ვიბანაო... ხომ წაგაქციე! — დამცინავად წარმოთქვა ლეომ და მორევისაკენ გაიწია, მაგრამ მდინარისაკენ გასვლა ყოველად შეუძლებელი იყო: ბიჭების გუნდი კედელივით იდგა მის გარშემო და ერიამულით აყრუებდა რიყეს.

— კიდევ ეჭიდე, თუ ვაჟკაცი ხარ! შემთხვევით წააქციე! — ყვიროდნენ გამწარებით ილას მომხრეები; ლეოს მომხრეები კი მხიარული სიცილით ხტოდნენ.

— საქმე წაგებულია... მეოლედ უფლო ძალიან დაახეთქებს, — გულს უკლავდა კუსპა ილასა და მის მეგობრებს.

— მეჭიდე და... პიონერად შემოვალ... — დაიხრიალა ილამ. —

ლეოს თვალები გაუბრწყინდა...

— აი, ამხანაგებო! — მიუბრუნდა ლეო ბიჭებს, — ხომ გაიგონეთ ილას სიტყვები? თუ კიდევ წავაქციე, — პიონერად შემოდის ჩვენს რაზმში. თქვენ მოწმენი ხართ, რომ შემდეგ უარი არა თქვას... ვისმე კიდევ ხომ არ უნდა ამ პირობის მიღება?

— მეც შემოვალ, ოღონდ ეპიდავე! — გამძაფრებით წამოიძახა ქოჩრიანმა ბიჭმა, რომელსაც ილას წაქცევაზე სიმწრის ცრემლები გადმოსცვივდა...

— მეც შემოვალ! — დაიყვირა მეორემ.

— მეც... მეც... — გაისმა კიდევ ხმები.

— ამხანაგებო, — სიცილით სთქვა ლეომ, — დაიხსომეთ ეს პირობა და აი... მე მზადა ვარ...

ერთ წამს მდუმარება ჩამოვარდა და არეული ბრბო კვლავ ფართო წრედ შემოერტყა ილასა და ლეოს...

ფალავნებმა კვლავ ახედ-დახედეს ერთმანეთს, მაგრამ ილას წელანდელი გაბედულება და იმედი აღარ ასულდგმულებდა უკვე. ლეო კი ყინჩად გამოიყურებოდა და იერიშის მიტანას აპირებდა...

მართლაც, პირველი ლეო დაეძგერა ილას და ღონიერი მკლავებით მოსალტა, მკერდზე მიიკრა... ილამ კვანტი გამოსდო გაბრაზებით და ღონივრად, მაგრამ ლეომ იგი ასწია, ფეხი ოსტატურად გააშვებინა, შემდეგ სამჯერ შემოატრიალა ერთ ადგილზე და თავბრუდასხმული ილა ბავშვივით მიაწვინა ქვიშაზე.

მაყურებელთა ბრბომ თავაწყვეტით დაიღრიალა...

— ლეო პირველი ფალავანია! — ყვიროდნენ ერთნი.

— შენ გენაცვალე, ლეო... ლა ყოჩაღად დადე... — ებღაუჭებოდა ლეოს კუსპა და საკოცნელად იწევდა. ვანუა ხარხარებდა და ხელებს იფშვნეტდა...

ილა კი დაბნევით წამოდგა ფეხზე და გარინდებით გახედა სივრცეს...

— გაგლახეს, ყმაწვილო? — უყვიროდნენ აქეთ-იქიდან. — ხომ გადაგიხადა შერცხვენა... ეხლა უკვე თავისუფლად ვიბანავებთ მორევში...

— პირობაზე როგორა ხარ? — მიუახლოვდა გარინდებულ ილას ლეო და მხარზე ხელი დაადო... — არა უშავს რა... მე არ ვამაყობ, რომ წაგაქციე... მხოლოდ, დღეიდან ეს მორევი გახსნილია ყველას საბანაოდ... ამ საღამოს კი ჩვენი კრებაა და, თუ გინდა, განცხადება შემოიტანე შემოსვლის შესახებ...

ილამ დარცხვენით შეხედა ლეოს და მორევისაკენ იბრუნა პირი.

— თქვენც წამოხვალთ? — მოუბრუნდა ილა თავის ამხანაგებს.

— წამოვალთ, მაშ რას ვიზამთ! — წამოიძახა სიცილით ხუჭუჭქოჩორა ბიჭმა და ილასთან მიიკრა... — ჩვენი ფალავანი შენა ხარ და სადაც შენ წახვალ, ჩვენც იქ გამოგყვებით.

ლეოს გაეღიმა... სხვა ბიჭებმაც გაიცინეს...

— ეხლა მოიტა ხელი... — გაუწოდა ილას ხელი ლეომ. — დღეიდან მე და შენ მეგობრები ვართ. ერთად ვითამაშოთ, ერთად ვიბანაოთ და ერთად ვიაროთ ორგანიზაციაში. თანახმა ხარ? აი ჩემი ხელი...

ილამ გამოწვდილ ხელს დახედა და მძიმედ გაუწოდა ლეოს ხელი.

— თანახმა ვარ... — წაიბუტბუტა მან ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ და დარცხვენილი ღიმილით გადახედა თავის მეგობრებს.

პოლიო აბრამია

პოლიო ერმილეს ძე აბრამია დაიბადა 1902 წ. სოფ. ხორგაში (ხობის რ.). პირველდაწყებითი სწავლა მიიღო სოფელში, 1917 წ., ქ. ფოთის საქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. შედის ფოთის გიმნაზიაში, აქედან გადადის ქუთაისში, სადაც 1921 წ. ამთავრებს ქართულ გიმნაზიას, ხოლო 1923 წ. შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

პოლიო აბრამიას პირველი ლექსი ჰ. ოდიშელის ფსევდონიმით დაიბეჭდა 1918 წ. ჟურნალში: „თეატრი და ცხოვრება", იმავე დროს ბეჭდავს ლექსებს ჟურნალში „მუშათა ცხოვრება". მისი პირველი პატარა მოთხრობა „დევნილები" ცალკე გამოიცა 1925 წ. ხოლო მოზრდილი საბავშვო ზღაპარი „მელია" 1945 წ. და იგავი „მელია და ცხვარი" 1949 წ. ამავე დროს იგი აქვეყნებდა მხატვრულ ნარკვევებს საძაძულო ომის გმირებსა და სოციალისტურ აღმშენებლობაზე.

პოლიო აბრამია ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას. მის მიერ თარგმნილია ფ. დიუბუნის „თაძილა", ნ. ოსტროვსკის „ქარიშხლით შობილნი", ვ. ვასილევსკაიას „ცისარტველა", ალ. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია", ვ. აქაევის „მოსკოვიდან დაშორებით", ბ. პოლევოის „აძბავი ნამდვილი ადამიანისა", დინ ლინის „ზეცა მდინარე სანგანზე, ა. მაკარენკოს „პედაგოგიური პოემა" და სხვ.

მელია და ცხვარი

იგავი

ერთ უდაბურ ტყეში ცხოვრობდა ერთი წუწკი მელია.

ერთხელ, როცა მზემ მაღლა წამოიწია, მელიამ თავის მელუკებთან თამაშით გული იჯერა, ბუნაგიდან გამოვიდა და სოფლისაკენ გაუდგა გზას, — იქნებ ბედს ვეწიოო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მელია ერთ ბოსტანში შეიპარა და ბუჩქების ნაპირს ცუნცულით მიჰყვა. უცებ ერთგან შედგა, გამორღვეულ ღობიდან გაჰხედა და სიხარულისაგან ელდა ეცა.

მელიას ასეთი წარმტაცი სურათი მანამდე არასოდეს არ ენახა. ხავერდოვანი მოლით მოფენილ ეზოში ქათმები ჯარად გამოშლილიყვნენ; ზოგი მათგანი ჰკენკავდა, ზოგი მიწას ფხოვნიდა. მათ შორის იდგა მამალი, 'რომელსაც კისერი მაღლა აეწია, ცალი თვალით ცას გასცქეროდა, თან ხანგამოშვებით აქეთ-იქით იხედებოდა და გაოცებით იძახოდა:

— კო-კო-კო!..

მელია ერთ ხანს დააკვირდა, — ხომ არ შემამჩნიაო, — მერე, როცა მამალმა წინ გაალაჯა და ნისკარტი მიწაში მაგრად ჩაჰკრა, მელიას გული დაუმშვიდდა და ქათმებს მსუნაგად მიაჩერდა, — იქნებ ყველაზე მსუქანი შევარჩიოო. მელიამ უყურა, უყურა დედლებს, თვალი აუქრელდა, კბილები აუკაწკაწდა, ისედაც მოშიებული იყო და ხორცის ჭამის ნდომით კუჭი უფრო აეწვა. უნდოდა გამოვარდნილიყო და რომელიმე დედლისთვის პირი დაევლო, მაგრამ თავი შეიკავა.

ეშმაკ მელიას სიფრთხილე აქაც არ დაავიწყდა, — რამე ხიფათს არ გადავეყაროო, სმენა გაიმახვილა და — კი არ ისკუპა, არამედ მიწაზე მუცლით გაწვა, ფეხები წინ გაჭიმა, — თავი ზედ დაადო, ცეცხლის მკვესავი თვალები ქათმებს მიაპყრო და გაინაბა.

მელია უფრო მოხერხებულ წუთს ელოდა.

გუმანი მართლაც შეუსრულდა. მალე შენიშნა: ღობიდან ცოტა მოშორებით ერთმა ნაცარა დედალმა ნისკარტი რამდენჯერმე მაგრად ჩაჰკრა საქონლის ნეხვზე ამოსულ შავი ბალახის ძირში, მერე ორივე ფეხით ბაჯბაჯით უკან დაექანა და ნაწვიმარ მიწიდან ცერის სისხო გრძელი ჭია ამოწელა.

ის იყო, ნაცარას ჭია უნდა გადაეყლაპა, რომ მას თვალი შეასწრო მახლობლად მკენკავმა შავმა დედალმა, რომელიც უმალვე მისკენ გაექანა. შავმა დედალმა იფიქრა, — ჭიას წავართმევ და მე თვითონ შევყლაპავო.

ნაცარა მიუხვდა მას, გაბრაზებით აიფოფრა, ადგილიდან მოწყდა და პირდაპირ გაიქცა.

მას ფეხდაფეხ აედევნა შავი დედალი.

ახლა ორივე იქით მირბოდა, სადაც გამორღვეულ ღობესთან მელია ჩასაფრებულიყო.

მელიამ თავი წამოსწია, მოახლოებულ დედლების დანახვაზე თვალები დაუწვრილდა, უყურა, უყურა და, როცა ნაცარამ ღობესთან მიირბინა, ელვის სისწრაფით ისკუპა და პირი დაავლო მას.

საბრალო ნაცარას ჭია გაუვარდა და განწირვით დაიკრიახა. დანარჩენ ქათმებს შეეშინდათ, კენკვას თავი მიანებეს. აიფოფრნენ, ფრთა ფრთას შემოჰკრეს და ოდის ქვეშ შეძვრნენ.

მამალი გვიან მიხვდა, — აქ რაღაც ამბავი დატრიალდაო, — იმანაც თავი მიანება კენკვას, კისერი მაღლა ასწია, აქეთ-იქით დაკვირვებით გაიხედა; ირგვლივ არც ერთი ქათამი არ ჩანდა. მამალი შეფიქრიანდა, ჯერ ადგილიდან ნელა დაიძრა, მერე ნაბიჯებს უმატა, ბოლოს გაქცევაც კი იკადრა და „კო-კოს“ ძახილით თვითონაც ოდის ქვეშ შევარდა.

* * *

ბუჩქებში მიმალულმა მელიამ ნაცარას უმალვე კისერი წააწყვიტა.

სისხლში მოსვრილ საბრალო დედალს სული ჰხდებოდა, ფეხებს ასავსავებდა, ფრჩხილებით მიწას ფხოჭნიდა და მელიას მტვრით უვსებდა თვალებს.

მელიამ ორივე თათი მაგრად დააჭირა ნაცარას, სმენა გაიმახვილა, აქეთ-იქით გაიხედა, — თავზე არავინ წამომადგესო. მცირე ხანს ასე იყო. მერე რაკი დარწმუნდა, რომ ხიფათი არსაიდან მოელოდა, ნაცარა შუაზე გაბდღვნა და მადიანად შეექცა.

როცა კარგად გაძღა, გასისხლიანებული ტუჩები მოილოკა, ფრთხილად გამოძვრა, ისევ ბუჩქებს აედევნა. მელია მიცუნცულებდა, დროდადრო აქა-იქ შედგებოდა, გარემოს მიაყურებდა, ისევ გზას განაგრძობდა. ბოლოს, ყორეზე გადახტა, ბალახ-ბულახით დაფარულ ორღობეში, თხრილის გასწვრივ, ბილიკს მიჰყვა.

მელიამ იცუნცულა, იცუნცულა და, ორღობის ბოლოს მიუახლოვდა თუ არა, შორიდან რაღაცას თვალი მოჰკრა, გული აუძგერდა, უმალვე

გვერდზე მიდგა, ბუჩქებს ამოეფარა, კისერი წაიგრძელა, და დაკვირვებით მიაჩერდა მისკენ მომავალს.

— ჰმ, ცხვარი ყოფილა — გაეცინა მელიას. — მე კი შიშით კინაღამ გული გამისკდა.

მელია დამშვიდდა, პირდაპირ უნდა წასულიყო, მაგრამ შედგა.

— მართალია, ცხვარი უწყინარი ცხოველია, რაღა უნდა დამაკლოს, მაგრამ უცხო თვალმა მაინც რატომ უნდა მნახოს ამ დროს სოფლიდან მომავალი? სიფრთხილეს თავი არა სტკივა! — გაიფიქრა მან.

მელიას ეს აზრი ძალიან მოეწონა. იქვე თხრილზე გადმოქოჩრილ ბუჩქის ძირას მიიმალა და გაინაბა:

— ცხვარს გავატარებ და მერე გავუდგები გზასო, — გადაწყვიტა მან.

ორღობის ბოლოს, ფართოდ გადაშლილ მინდორზე, ბალახით გამძღარი ცხვარი შინისკენ არხეინად მიბაკუნობდა:

— ჰუ-მე-ე! — დაიპეტელა ცხვარმა.

მელიამ იგრძნო ცხვრის მოახლოება, თან მისი ნაბიჯების მწყობრი ხმაც მკაფიოდ მოესმა. ბუჩქიდან გაჰხედა და ცხვრის კოხტა ფეხებსაც თვალი მოჰკრა; გულმა ძგერა დაუწყო.

აი, მოახლოვდა ცხვარი, ზედ ცხვირწინ ჩაუარა. ამ დროს მელიას უცებ ცხვრის სუნი ეცა, ყურები სცქვიტა, პირზე ნერწყვი მოადგა და მსუნაგად თვალი გააყოლა ცხვარს.

ცხვარი კი ლამაზად მიარხევდა ჩასუქებულ დუმას. მელიას მეტი ნდომისაგან კინაღამ რეტი დაესხა, უმალვე ტუჩები მოილოკა, სულმა წასძლია, განზრახვა შესცვალა და იმის მაგივრად, რომ ტყისკენ წასულიყო, ფეხაკრეფით აედევნა ცხვარს.

მელიამ თავი ოდნავ ძირს დასწია, კისერი წაიგრძელა, თვალები დუმას მიაშტერა... ისე გატაცებით მისდევდა ცხვარს, რომ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა და, რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო უძლიერდებოდა დუმის ჭამის სურვილი. აი, სულ ახლოს მივიდა, პირდაღებული მიაჩერდა, ნდომის ნერწყვი მოადგა პირზე, კბილები აუკაწკაწდა, თითქოს მთელი კვირის უჭმელი ყოფილიყო, ისე აეწვა კუჭი.

— ასე სანამდე უნდა ვსდიო? მოდი დავეტაკები და ამ დუმას მოვგლეჯო, — გაიფიქრა მან და, ის იყო ნახტომისათვის შეემზადა, მაგ-

რამ სწორედ ამ დროს ცხვრის კაუჭა რქებს მოჰკრა თვალი და შეყოყმანდა.

„ფრთხილად, მელიავ“, თითქოს ყურში ჩასძახა ვიღაცამ.

მელია შედგა, წამით დაფიქრდა:

— მართლაც, ვაითუ ერთი დატაკებით ვერ მოვგლიჯო ამხელა დუმა, გაბრაზებული ცხვარი შემომიბრუნდეს, მუცელში ამომკრას ეს რქები და გამომფატროს, მაშინ რაღა მეშველება? მაშინ ხომ ვერც დუმას შევჭამ და ჩემი მელუკებიც ობლად დამრჩებიან!

მელია საგონებელში ჩავარდა. უნდოდა ხელი აეღო ამ განზრახვაზე, მაგრამ მსუქან დუმას თვალს მაინც ვერ აშორებდა. დიდხანს სდია ასე, თან სულ იმას ფიქრობდა:

— დავეტაკო თუ არა, დავეტაკო თუ არაო?!

მელიას უცებ ერთმა აზრმა გაუელვა თავში:

— ეს დუმა ისე ქანქალებს, საცაა მოწყდება კიდეც და ძირს ჩამოვარდება. მაშინ კი პირს დავავლებ და მოვკურცხლავ, მეც პირს ჩავიტკბარუნებ და ჩემს მელუკებსაც გავახარებო.

ეს აზრიც ძალიან მოეწონა მელიას, გულიც ამაზე დააჯერა და ისევ აედევნა ცხვარს.

* * *

მიბაკუნობდა ცხვარი, მიცუნცულებდა მელია.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მელიას უცებ სულ ახლოს ზედ ყურის ძირში, ძაღლების საშინელი ყეფა შემოესმა; მელია შიშისაგან დაიბნა, ბალანი აებურძგნა, ვეღარ გაარკვია, საით გაქცეულიყო და, ვიდრე გონს მოვიდოდა, ბალახ-ბულახითა და ჩირგვებით მოდებულ ღრმა თხრილში გადაიჩეხა.

ახლა არც ბილიკზე მობაკუნე ცხვარი მიდიოდა მის წინ და არც მსუქანი დუმა ჩანდა.

მელიას თავს წამოდგომოდა ორი ბამბურა ძაღლი, რომლებიც საშინელი ღრენითა და გნიასით იკლებდნენ იქაურობას. ერთი მათგანი უკანა ფეხებში ჩაფრენოდა, მეორე კი თავზე ახტებოდა და დალესილ კბილებს კისერში უმიზნებდა, რომ იქვე წაეხრჩო.

მელია მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ცხვრის დუმის დევნაში შეუმჩნევლად სოფელში შეჭრილიყო. მელია იმასაც ახლა მიხვდა, რომ იმ ცხვარს თურმე პატრონი ჰყოლია, ხოლო იმ პატრონს კი ეს ძაღლები, ცხვრის დასაცავად.

მელიას ყოველივე ეს ახლა მოაგონდა და მწარე სინანულით ესღა ამოიკვნესა:

— ახია ჩემზე, ქათმის ხორცით მაძღარი ვიყავი და ცხვრის დუმა რაღად მინდოდაო!

ნაგაზებმა გასწიეს და გამოსწიეს მელია.

წუწკმა მელიამ სული იქვე განუტევა.

ალიო მირცხულავა

 პოეტი ალიო ანდრიას ძე მირცხულავა (მაშამეილი) დაიბადა 1903 წელს სოფ. ხორგაში (ხობის რ.), გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა-განათლება მიიღო თავის სოფელში. შემდეგ მშობლებმა მიაბარეს ფოთის საქალაქო სასწავლებელში, საიდანაც გადავიდა გიმნაზიაში, რომელიც 1921 წელს დაამთავრა. 1921 წლიდან გადმოვიდა თბილისში და შევიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1923 წელს გაეგზავნა მოსკოვს კომუნისტური ჟურნალისტიკის ინსტიტუტში. 1927 წელს დაბრუნდა თბილისში და დაიწყო ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა.

ალიო მირცხულავა ლიტერატურულ ასპარეზზე 1921 წლიდან გამოვიდა. მისი ლექსების პირველი წიგნი დაიბეჭდა 1924 წელს.

საბავშვო ლიტერატურაში მუშაობა ალიო მირცხულავამ 1924 წლიდან დაიწყო. მისი პირველი მოთხრობა „ორი ბავშვი" დაიბეჭდა საბავშვო ჟურ. „წითელ სხივში" 1924 წელს, ხოლო საბავშვო ლექსების კრებული: „პიონერული" 1930 წელს.

პიონერული

რიგში დარაზმული
მოვდივართ თანაბრად,
გუგუნებს მედგარი ხმა:
დაჰკარით ბარაბანს,
დაჰკარით ბარაბანს,
დაჰკარით ბარაბანს: ბრახ!

ჩვენ ლენინელების
უმცროსი ძმები ვართ,
ერთია მიზანი, გზა:
თუ მტრების ლაშქარნი
კვლავ დაიძვრებიან,
ბრძოლისთვის ვიქნებით მზად!

ძოვდივართ ქუჩებით,
მოვდივართ ბარდაბარ,
ვარდებად ვედებით ბაღს:
დაჰკარით ბარაბანს,

დაჰკარით ბარაბანს,
დაჰკარით ბარაბანს: ბრახ!

ვინ იცის, რამდენი
გრიგალი გადიარს
ერთბაშად მოვარდნილ ზღვად:
ჩვენ, ლენინელების
შემცველი გვარდია,
ყოველთვის ვიქნებით მზად!

შეხედეთ, შეხედეთ,
რამდენი ვიზარდეთ
რამდენი გაჩნდება ხვალ,
გვამხნევებს საერთო
საქმე და მიზანი
მრავალმილიონიან ხალხს!

თუ ძველმა ქვეყანამ
კვლავ დაიღრიალა
მწრომელთა სამშობლოს მტრად,
ჩვენც მაშინ ავისხამთ
ვაზნებს და იარაღს
და ბარიკადებზე: ტრახ!

ვართ დაუთვალავი
ზღვა ვარსკვლავებივით,
ერთია მიზანი—გზა:
თან მოგვაქვს დროშებად
ანდერძი ლენინის
მომავალ ბრძოლების რაზმს!

მოვდივართ სიმღერით,
მოვდივართ თანაბრად,
გუგუნებს მედგარი ხმა,
დაჰკარით ბარაბანს,
დაჰკარით ბარაბანს,
დაჰკარით ბარაბანს: ბრახ!

შეკრებისაკენ

ეს რა ხმებია მთისაკენ,
ეს რა სიმღერას მღერიან,
გვეძახის შეკრებისაკენ
საბჭოთა პიონერია!

აი, ლაშქარი ამდენი,
შეერთებული ძმურადა,
ჩინელი, რუსი, ქართველი
რიგში ვართ დარაზმულადა!

თვალები თვალებს ხედავენ,
გული გულითვე ვიცანით:
გავუზიაროთ ერთმანეთს
ჩვენი საქმე და მიზანი!

ინდოელს, ქართველს, ტაიგელს
ერთი მიზანი რგებიათ,
ჯაცი ენასაც გაიგებს
აზრი თუ გასაგებია!

აი, ლაშქარი ამდენი
შეერთებული ძმურადა:
ჩინელი, რუსი, ქართველი
რიგში ვართ დარაზმულადა!

ეს რა ხმებია მთისაკენ,
ეს რა სიმღერას მღერიან:
გვეძახის შეკრებისაკენ
საბჭოთა პიონერია!

პატარა მხატვარი

წვიმს, ღამეა და — გმინვით
დახეტიალობს ქარი,
შიგნით ყოველგვარ ბინის
ჩაკეტილია კარი!

აი, ოთახში მარტო,
ჩაფიქრებულნი სხედან,
აწ სიჩუმეში, ამ დროს,
გრვი და გივის დედა!

როგორც მუშკორი ქალი
დედა სწერს ალბათ წერილს,
გრვი — ღრმად ნაფიქრალი
უცქერს მოლიმარ ლენინს!

ოთახში ახლაც თბილა,
ჭერზე პრიალებს ლამპა,
და გივი თავდახრილად
ზის იატაკზე დაბლა.

გრვის აწუხებს ფიქრი,
მ:გრამ თქმას აღარ ბედავს,
ხან თვალს მორკალავს ირგვლივ,
ხან დედას გადახედავს.

თუმცა არ იცის, რად სწერს
დედა ამხელა წერილს,
თვითონაც იატაკზე
სათუთად ხატავს ლენინს!

გალადა ბელურაზე

გალობდა მოლხენით
პატარა ბელურა,
იჯდა ხის ტოტზე და
ფოთოლი ეხურა!

მღეროდა ბელურა,
ნიავიც მღეროდა,
შორს წასულ ჩიტუნებს
ეძახდა, ელოდა
პატარა ბელურა!

უეცრად ქვა მოხვდა
ნასროლი ქურდულად,
ბელურა ტოტიდან
მოსწყვიტა შურდულმა!

ცრემლიან თვალებით
მიდამოს უვლიდა,
და კვნესას მოსთქვამდა
პატარა გულიდან!

მიწაზე უმწეოდ
წუხდა და წვალობდა,
ნეტავ რას ერჩოდნენ,
თავისთვის გალობდა!

ჩიტები სტიროდნენ
პატარა ბელურას,
ბელურას თვალებზე
სიკვდილი ეხურა...
საწყალი ბელურა!

სულიკო

დილაადრიან სულიკომ
გახედა სარკმლის მინას,
ჯერ მზე არ ამოსულიყო,
არ ანათებდა ბინას.

ცას რომ ესროლა — ცასავით
ლურჯი თვალების მზერა,
მას მხოლოდ ერთი ვარსკვლავი
ულიმის ვარდის ფერად.

გაშალა სტრიქონთ ჩანჩქერი,
ეტრფის სიტყვების მორევს,
ლენინის სურათს ჩასცქერის
და ლექსებს იმეორებს.

მზე უკვე ამოსულიყო,
სკოლაში გარბის დილით;
და უხარია სულიკოს,
რომ იცის გაკვეთილი.

აკაკი გელიაშვილი



აკაკი იონას ძე ბელიაშვილი დაიბადა 1903 წელს ქ. ჭიათურაში სამთო ტექნიკოსის ოჯახში. მაძამისი იონა იყო, აგრეთვე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მონაწილეობდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. წერდა ლექსებს და პატარა მოთხრობებს იონა თლუღელის ფსევდონიმით. ათი წლის აკაკი მშობლებმა წაიყვანეს სასწავლებლად ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რომელიც მან დააძთავრა 1921 წელს. იმავე წელს შედის თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

საძწერლო მოღვაწეობა აკაკი ბელიაშვილმა ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს დაიწყო, სკოლაში გამოსცა ჯერ ხელნაწერი: ხოლო შემდეგ რამდენიმე ნომერი ნაბეჭდი ჟურნალი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხანგამოშვებით იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, ხოლო 1933 წლიდან მთლიანად გადადის ლიტერატურულ საძუშაოზე. წერს მოთხრობებს, რომანებს, სცენარებს, საბავშვო პიესებს. მის ნაწარმოებთა შორის ეურადღებას იპყრობს ისტორიული რომანი „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“.

1952 წლიდან აკ. ბელიაშვილი სისტემატურად მონაწილეობს საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში.

საიდუმლო გამოქვაბული

როდესაც ასპირანტურის კურსი დავამთავრე და საკანდიდატო შრომაზე დავიწყე მუშაობა, ლენინგრადში მომიხდა გამგზავრება. იქ, საანიო მუზეუმის არქივებში ზოგიერთი მასალა უნდა მომეძებნა და გადმომეწერა. ძველი ხელნაწერების ფონდების გადათვალიერების დროს წავაწყდი საბუთების მთელ შეკვრას, რომელიც კატალოგში ერთი სათაურით იყო შეტანილი: „ზაალ ორბელიანის არქივიდან“. ეს შეკვრა. როგორც გამოვარკვიე, ჯერ კიდევ შესწავლილი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სადისერტაციო შრომისათვის ამ ქაღალდებში არაფერი არ მეგულებოდა, მაინც დიდი სიხარულით და გულისყურით დავიწყე მათი გადათვალიერება. საბუთების უმრავლესობა ქართულ ხელნაწერებს წარმოადგენდა. ეს იყო უმთავრესად ზაალისადმი მიწერილი ბარათები საქართველოდან და დათარიღებული გასული საუკუნის და-

საწყისი წლებით. აქვე იყო რამდენიმე ქართული ხელნაწერი წიგნი — სახარება, დავითნი, ვისრამიანი და კარაბადინი. ყოველი წიგნი სათითაოდ გადავათვალიერე და გადავფურცლე ,რადგან ასეთ ძველ წიგნებში შეიძლება წააწყდე ძალზე საყურადღებო მინაწერებს და თარიღებს, მაგრამ სამწუხაროდ ამათში ასეთი არაფერი აღმოჩნდა. მხოლოდ, კარაბადინს რომ ვფურცლავდი, მისი ყდის ფორზაციდან მოულოდნელად გამოვარდა ერთი პატარა ნაგლეჯი ქაღალდი, რომელზედაც სამ სტრიქონად ეწერა ასოების ასეთი უთავბოლო მწკრივი:

მ ყ ა ო ა ა ა დ დ ა ა ა ა გ ო რ ე ს ე ქ ბ
ი ე ს ლ ი რ ხ ვ ე დ რ რ ბ ი მ ო ს ვ ლ ვ ს
ჰ ნ რ ს ს ს ე ი ს ა ს დ ა მ ც შ ა ლ ი ა ა

რამდენჯერ გულდასმით გადავავლე თვალი ამ მწკრივებს და ვერაფერი ვერ გავიგე. უეჭველია, რომ ან ვიღაცას უბრალოდ წერაში ევარჯიშნა და უთავბოლოდ ეწერა ეს ასოები, ან რაღაც თავისებურ კრიპტოგრამასთან მქონდა საქმე და საჭირო იყო მისი ამოშიფვრა. ვინაიდან ვიცოდი, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს ძალზე ძნელი საქმეა, რადგან ამ ქარაგმული ნაწერის წასაკითხად საჭიროა იცოდე გასაღები, გადავწყვიტე ამ წარწერის ამოშიფვრას თავისუფალ დროს შევდგომოდი და ახლა იგი განზე გადავდე, თანაც გადმოვაბრუნე და მეორე მხარეს დავხედე.

დავხედე და უნებურად შევკრთი.

მეორე მხარეზე გამოხატული იყო დაჭიმული მშვილდ-ისარი და ორ მხარს ასომთავრულით ეწერა ორი ასო: „მ“ და „შ“.

საქმე ისაა, რომ, როდესაც ერთ ზაფხულს პრაქტიკაზე ვიყავი და ქეიბურას ხევის ისტორიულ ძეგლებს ვსწავლობდი, იქ ძველი ნაქალაქევის გათხრების დროს სახლის კუთხის ქვის ერთ მხარეზე ვნახე ამოკვეთილი სწორედ ასეთივე მშვილდ-ისარი და იგივე ორი ინიციალი. მაშინ ამისათვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. ჩვენმა პროფესორმა ეს ნიშანი სახლის პატრონის ღერბად ჩათვალა და მისი აზრით ეს ორი ასო ნიშნავდა ან „მთავარი შავეთისა“ ან კიდევ რაიმე მსგავსს.

ახლა კი, როდესაც აქ, პატარა ფარატინა ქაღალდზე, ისეთივე გამოსახულება ვნახე და წინა გვერდზე კიდევ ეს რაღაც უცნაური წარწერა, ისეთმა ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, რომ სულ გადამავიწყდა ჩემი ძირითადი სამუშაო. უეჭველი იყო, ამ საბუთს რაღაც საერთო ჰქონდა ქეიბურას ხევში ნახულ გამოსახულებასთან, მაგრამ რაში მდგომარეობდა მათი ერთმანეთს შორის დამოკიდებულება — ეს ნამდვილ ამოცანას წარმოადგენდა. პირველ ყოვლისა საჭირო იყო ამ უცნაური წარწერის

ამოკითხვა. ამისათვის მას ხელახლა დავუწყე კირკიტი, ხან წაღმა ვცადე მისი წაკითხვა, ხან — უკუღმა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მერე ისევ იმ დასტა საბუთებს ვეცი, სადაც საერთოდ ეს ქაღალდები აღმოვაჩინე, თავიდან ბოლომდე გადავიკითხე, იქნებ იქ მაინც მიმეგნო ამ დაშიფრული ქაღალდის ამოსაკითხ გასაღებისათვის ,მაგრამ შრომამ სულ ფუჭად ჩამიარა. ვერავითარ კვალს ვერ მივაგენი.

სასტუმროში უგუნებოდ დავბრუნდი. ნასადილევს ვცადე წამეძინა, მაგრამ თვალწინ სულ ის საიდუმლო ქაღალდი მედგა, მოსვენებას არ მაძლევდა და თვალს რული არ მიმკარებია.

რას ნიშნავდა ეს საიდუმლო ნიშნები, ან რად იყო ეს ერთნაირი სურათი დაჭიმული მშვილდ-ისრისა გამოხატული ამ ქაღალდზე და იმ ქვიტკირზე?

სასტუმროში ვეღარ გავძელი და ნევის სანაპიროზე გამოველ. ლენინგრადში მაშინ თეთრი ღამეების ხანა იდგა. ჩემთვის, სამხრეთის კუთხის წარმომადგენლისათვის, ეს დაუღამებელი დღეები უჩვეულო სანახაობას წარმოადგენდა და ხშირად საღამოს ათი საათიდან დილის შვიდ საათამდე სულ სანაპიროზე ვატარებდი. ძნელია ნახოს ადამიანმა ისეთი მომაჯადოებელი ცვალებადობა ალისფერებისა ცაზე, როდესაც ზვიადად გადაშლილი ნევა ალისფრად ლივლივებს. ცის კაბადონზე კი გამოსახულია ვასილევის კუნძულზე აღმართული როსტრალური კოლონების, სამხატვრო აკადემიის და პეტრე-პავლეს ბასტიონების კონტურები. შესანიშნავ სანახაობას წარმოადგენს ლენინგრადში ნევის სანაპირო მაის-ივნისში.

მთელი ღამე ხან მერხზე ვიჯექი და გავცქეროდი ამ დიდი ქალაქის ზღაპრულ სილამაზეს, ხან წინ და უკან დავსეირნობდი და იმ შემთხვევით აღმოჩენილ საბუთზე ვფიქრობდი.

ნუთუ ვერ უნდა ამოვიკითხო ეს უცნაური წარწერა!..

ბოლოს გამახსენდა, რომ თბილისში მყავდა ერთი მეგობარი ინჟინერი, რომლის მეუღლე სპეციალისტი იყო ასეთი დაშიფრული წერილების, კრიპტოგრამების და სხვა ამგვარი პალეოგრაფიულად იშვიათი ნიმუშების ამოკითხვის საქმეში. გადავწყვიტე ამ საბუთების ფოტოასლი გადამეღო და მისთვის მეჩვენებინა.

თბილისში შემოდგომის დასაწყისს დავბრუნდი. როგორც კი საკუთარი საქმეები მოვათავე, იმავე საღამოს გავემართე ჩემი ნაცნობი ინჟინერის ბინისაკენ და ზარს ჩამოვკარ.

კარი თვითონ მასპინძელმა ოსიკო მინდელმა გამიღო.

— ოთარ, გამარჯობა, ბიჭო, შენი! — გამომიწოდა მან ხელი და ენერგიულად ჩამომართვა. — საიდან, როგორ?

ოსიკო გაცილებით ჩემზე უფროსი იყო, საფეთქლები უკვე შეეერცხლოდა, მაგრამ ჩვენ რამდენჯერმე ერთად ვიყავით მთასვლურ ექსპედიციაში და ამიტომ დიდად ვმეგობრობდით ერთმანეთს.

— შემოდი, შემოდი სახლში, — მითხრა მან მხიარულად და შემდეგ ცოლს გასძახა: — მერი, რომ იცოდე ვინ გვეწვია, ვინ!

მერი უკვე სამი შვილის დედა იყო. სანამ იგი დერეფანში გამოვიდოდა, ბავშვებმა დაასწრეს, მომცვივდნენ, სათითაოდ მომეხვივნენ.

— გამარჯობათ, ციალა, ლექსო და შენ, ჩემო პატარა სეხნია! — მივესალმე მე სამთავეს და ყოველ მათგანს წინასწარ მომარაგებული საჩუქარი მივართვი. ციალას — ლამაზი ჩანთა, ლექსოს — დამბაჩა-სათოფელა, ხოლო პატარა ოთარს — მოსამართი ავტომანქანა.

— ოო, ჩვენს ისტორიკოსს ვახლავარ! — მომესალმა ამ დროს დიასახლისიც და ყველანი სასადილო ოთახში შევედით.

— აბა, დაჯექი, გვიამბე, რას აკეთებდი აქამდე ლენინგრადში, არქივებში რომ იჯექი თხუნელასავით ამდენ ხანს, — მითხრა ოსიკომ და სკამზე მიმითითა, — რომ იცოდე, რა კარგ დროს მოხვედი. ეწყობა სარეკორდო ასვლა შხელდაზე.

— მე ახლა ასეთი ასვლებისათვის, სამწუხაროდ, აღარ მცალია, — ვუპასუხე. — მალე საკანდიდატო დისერტაცია უნდა დავიცვა.

— დააცა, ოსიკო, რა დროს ასვლაზე ლაპარაკია. ჯერ კაცი სახლში არ შემოსულა და შენ მაშინვე: ასვლები, ჩასვლები, წასვლები! — უსაყვედურა ქმარს დიასახლისმა და შემდეგ მე მომიბრუნდა: — ხომ წარმატებით იმგზავრე ლენინგრადში. შენ მეტად საინტერესო თემას ამუშავებ, მე ვიცი.

— როგორ გითხრათ! ვერ ვიტყვი, რომ ჩემი თემა რაიმე სენსაციურ ან ეფექტიან აღმოჩენას წარმოადგენდეს, მაგრამ ერთი ახალი სიტყვა მაინც არის ჩვენს ისტორიოგრაფიაში. თუმცა ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, მე ახლა სულ სხვა საქმისათვის მოვედი თქვენთან. როდესაც ლენინგრადში ვმუშაობდი, იქ, საარქივო მასალების თვალიერების დროს, წავაწყდი ზაალ ორბელიანის საბუთებს.

— ეგ რომელი ზაალ ორბელიანისას? — მკითხა დიასახლისმა და უცბად ფიქრებში წასულმა შუბლშეკვრით შემომხედა.

— წარმოდგენა არა მაქვს, ვინ იყო ეგ ზაალ ორბელიანი, პაპუნა ორბელიანის შვილი, გრიგოლ ორბელიანის ბიძა, თუ სხვა ვინმე, ჯერ ვერ დავადგინე. მაგრამ ეს არ არის საინტერესო. მე იმ საბუთებში წავაწყდი ერთ დაშიფრულ წარწერას, რომელიც ვერაფრით ვერ ამოვი-

კითხე, ამავე დროს კი ეს ნაწერი წარმოადგენს უაღრესად საინტერესო მასალას და უნდა ხსნიდეს ერთ საიდუმლოებას.

— რა ნაწერი, ასლი თუ გადაიღე? — მოუთმენლად მკითხა მერიმ.

— როგორ არა. აი ფოტოასლი, — ვუთხარი მე და გავუწოდე საბუთების გადიდებული ფოტოასლი.

მერიმ დახედა, რამდენჯერმე გადაავლო თვალი ნაწერს, მერე სახე ღიმილით გაეზადრა და მითხრა:

— ამის ამოკითხვა როგორ გაგიჭირდა. აიღე ქაღალდი და ჩაიწერე, ძე გიკარნახებ.

მე მაშინვე გავშალე უბის წიგნაკი და სიტყვასიტყვით ჩავიწერე ნაკარნახევი:

„მიჰყე ნასროლსა ისარსა
ხედვიდე სადა არს არდაბაგი
მომცრო შესასვლელი ქვაბსა“

კინაღამ სუნთქვა შემეკრა, როდესაც ჩანაწერს ხელახლა დავხედე და მის შინაარსში გავერკვიე.

— არდაბაგი სარკმელს ნიშნავს, — ვუთხარი მე, — ეს რა ადვილად ამოიკითხე. ერთი, შენი ჭირიმე, მეც ამიხსენი, თორემ არ მჯერა, რომ მართლა ასე წერია.

— სულ უბრალოდ. აკროსტიხულად მიჰყე ზევიდან ქვემოთ, თანმიყოლებით, და მეტი არაფერი.

დავხედე — მართლა ასე იკითხებოდა. აღელვებისაგან ფეხზე წამოვიჭერი და ოთახში სიარული დავიწყე.

ოსიკომ გაოცებით გამაყოლ-გამომაყოლა თვალი, მერე ფოტოასლებს მიწვდა და დაკვირვებით დაათვალიერა.

— ვერ გამიგია, რა არის აქ ისეთი, რომ ასე აგაღელვა, — მითხრა მან და კვლავ შემომხედა, — შენ, მგონი ფენიმორ კუპერისა და მაინ რიდის რომანების გავლენით, რაღაც საიდუმლო განძს დაეძებ. აქ მართლაც ასეთი რამ უნდა იყოს აღნიშნული, მაგრამ ეს ხომ ბიბლიურ ენუქას ანდერძსა ჰგავს. ასეთი უმისამართო საბუთი მე ჯერ არ მინახავს. „მიჰყე ნასროლსა ისარსა...“ დიახაც მივყვები, მაგრამ საიდან უნდა ვისროლო ეგ ისარი?

— ხედავ, აქ ისარიცაა დახატული მეორე გვერდზე, — თქვა მერიმ და ფოტოასლზე მიუთითა.

მე ისევ მაგიდას მივუჯექ, შევეცადე რაც შეიძლება მშვიდი კილო მიმეღო და წყნარად ვუპასუხე:

— ეგ ისარი და ეგ ორი ასო ზუსტად აგრე მე ვნახე ქეიბურას ხევში ერთი სახლის ნანგრევების კუთხის ქვაზე გამოსახული.

ახლა კი ოსიკო წამოიჭრა ზეზე და გაფაციცებით შემომაცქერდა:

— შენ ხუმრობ, თუ მართალს ამბობს?

— სავსებით მართალს.

— დაიცადეთ, დაიცადეთ, აქ რაღაც მართლა საგულისხმო რამე ირკვევა, — თქვა მერიმ და თავის შვილებს მიმართა, — თქვენ წადით, აქ ხელს ნუ გვიშლით.

— დედა, ვიქნებით, რაა! — თითქმის ერთად შეევედრნენ სამივენი და მაგიდას არ მოშორდნენ.

— ვაი, ჩვენც გვაინტერესებს, — თქვა თვალებცქრიალა ციალამ და მერე მე მომიბრუნდა, — ძია ოთარ, ხომ შეიძლება რომ ვიყოთ?

— რატომ არ შეიძლება, შეიძლება, — ვუთხარი მე მათ. მერიმ ისევ დახედა ფოტოს და თქვა:

— ეს ქარაგმული ნაწერი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მეთორმეტე საუკუნეს ეკუთვნის. თუ გახსოვთ, მეთორმეტე საუკუნეში ამირსპასალარის ივანე ორბელიანის მეთაურობით მოხდა შეთქმულება თამარის მამის გიორგი მესამის წინააღმდეგ, დემნა ბატონიშვილის გამეფების მიზნით. ამ ივანე ორბელიანის სამფლობელოს ეკუთვნოდა ქეიბურას ხევიც თავის სოფლებით, ქალაქებით და ციხე-კოშკებით...

— ოჰო, იქნებ ეს ზაალ ორბელიანი შთამომავალია იმ ივანე... — ჩაერია ლაპარაკში ოსიკო. მაგრამ ცოლმა შეაწყვეტინა:

— დამაცა. იმ ივანე ორბელიანს მიემხრნენ ივანე ვარდანისძე და შოთა ართავაჩისძე, რომელზედაც საერთოდ ფიქრობენ, რომ ის უნდა იყოს შოთა რუსთაველი. როგორც ვიცით, შეთქმულნი გიორგიმ სასტიკად დასაჯა, დაუქცია და გაუნადგურა ყოველნი სიმაგრენი და ციხენი. ხოლო შეთქმულნი ორბელნი, მათ შორის ართავაჩისძეც, შეიპყრეს. თვით დემნას თვალები დათხარეს. ორბელთა უმრავლესობა სიკვდილით იქნა დასჯილი.

— ეს ზაალ ორბელიანი ვინ იყო? — იკითხა ოსიკომ.

— წარმოდგენა არა მაქვს, — უპასუხა მეუღლემ, — საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პეტერბურგსა და მოსკოვში უამრავი ქართველობა წავიდა. მათ შორის ბევრნი იყვნენ ორბელიანებიც. მე ამ ხანას დეტალურად არ ვიცნობ. ალბათ, იყო ვინმე ერთ-ერთი იმათი გვარიდან. ერეკლეს კარზე ორბელიანები ყველაზე ძლიერი თავადები იყვნენ და იმდენად ბევრნი, რომ მათი ჩამოთვლა შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ სახელი ზაალი ძალიან ბევრს ერქვა. ეტყობა ეს საბუთი იმ ზაალ ორბელიანის ოჯახში ინახებოდა მემკვიდრეობით.

— მერედა, ნუთუ ამ საბუთის მიხედვით მათ ვეღარ ეცოდინებოდა იმ ქვაბის ან გამოქვაბულის მიგნება, სადაც, ალბათ, ინახებოდა მათი საგვარეულო საგანძური, — თქვა ოსიკომ.

— როგორ, საგანძური?! — ჰკითხა მერიმ ქმარს.

— როგორ და ისე. ცხადია, შეთქმულების დროს ერთ-ერთმა ორბელიანმა მეფისაგან დარბევის თავიდან ასაცდენად მთელი თავისი ავლადიდება რომელიღაც ქვაბში შეზიდა და თავის მემკვიდრეებს ამ ქვაბის მისაგნებად ეს ქარაგმული საბუთი დაუტოვა. შემდეგში, როდესაც მათი ქალაქები დაარბიეს, ციხეები დააქციეს და იქაურობა მთლად გადაბუგეს, იმ ქვაბის მისაგნებად გამოსახული ნიშნები, გაჭიმული ისარი და ეს ორი ასო... რა წერია? „მ“ და „შ“...

— მთავარი შოთა, — წამოიძახა უცბად მერიმ, — ეგ ორი ასო, ალბათ, ასე იკითხება. შოთა ართავაჩისძე ხომ ჰერეთის მთავარი იყო და შეთქმულთა მონაწილე...

— ჰეჰეე... ჩვენ რაღაც საოცარ კვალს მივაგენით, — წამოიკრა კვლავ ზეზე ოსიკო და ოთახში აწრიალდა, — სად არის ის შენი ქეიბერას ხევი, შორსაა აქედან?

— არა, არც ისე შორს, — ვუთხარი მე, — სულ. რაღაც ასი ან ას ოცი კილომეტრი იქნება.

— გადაწყდა. კვირას მე და შენ მივდივართ და ვიწყებთ უდიდეს ძიებას. გზა თუ არის? ჩემი „პობედა“ გაივლის?

— დიდებულად.

— ვინ იცის, იქნებ იმ გამოქვაბულში თვით შოთა რუსთაველის ხელნაწერებიც კი ინახება, — ვერ ისვენებდა ოსიკო, — მე ახლა მთელი ღამე არ დამეძინება მაგაზე ოცნებით.

ბავშვებმა ჟრიამული ატეხეს.

— მამა, ჩვენც წაგვიყვანე, ჩვენც გვინდა ვნახოთ, — თქვა ციალამ.

— მეც, მეც წამოვალ, — დაიძახა ლექსომ და მამამისს კისერზე მოეხვია.

— მე? მე ძია ოთარი წამიყვანს, — წაიდუდუნა პატარა ოთარმა და ქვემოდან ამომხედა უკვე დარწმუნებულმა იმაში, რომ უარს არ ვეტყოდი.

— ჩუმად იყავით, თქვენ ჯერ ვერსადაც ვერ წახვალთ, — მკაცრად მიმართა დედამ თავის შვილებს, — ქეიბერას ხევში იმდენი მგლები და დათვები იცის, რომ თქვენ წარმოდგენაც არ გაქვთ.

— რა კარგი ყოფილა, — დასცხო ტაში ლექსომ, — მამაჩემი იმათ სუყველას მოკლავს, მეც ამ ჩემ ავტომატს ვესვრი.

— ხუმრობა იქით იყოს და ამ ჩვენს მცირე ექსპედიციაში რა და-

გვჭირდება, ახლავე გავითვალისწინოთ, — თქვა ოსიკომ და უბის წიგნაკი მოიმარჯვა, — უპირველეს ყოვლისა, კარგი პრიზმატული ბინოკლი.

— ეგ აუცილებელია, — დავძინე მე.

— შემდეგ, თოკები და კიდევ უფრო კარგი იქნება, თუ თოკის კიბეებსაც წავიღებთ. რკინის პალოები ერთი ათი ცალი. სხვა?

— ჩაქუჩი, წერაყინი.

— მეტი არაფერი?

— ამჯერად, მე მგონია, ეს ყოველივე საკმარისია. ჩვენ ამ გამგზავრებაზე მხოლოდ მიდამოს დავზვერავთ და იქნება კიდევ რაიმე ახალ კვალს მივაგნოთ, მეტის იმედი მე არა მაქვს. იქ, როდესაც გათხრებს ვაწარმოებდით, მთელი მიდამო კარგად მქონდა შესწავლილი. ეს იყო ამ სამი თუ ოთხი წლის წინათ და, ახლა რომ ვიგონებ, საეჭვოა, ის გამოქვაბული იქვე ახლოს იყოს სადმე.

— შენ ნუ გეშინია, ერთ მტკაველ მიწას არ დავტოვებ გამოუკვლეველს. ერთი ეს მითხარი, რად ჰქვია იმ ადგილს ქეიბურას ხევი, ხომ არ იცი?

— აბა ეგ საიდან მეცოდინება! ქეიბური — დიდ ისარს ნიშნავს ძველი ქართულით .ხეობა ერთგან სწორად მიემართება და პატარა მდინარე ვიწრო კალაპოტში მართლა ისარივითაა გაჭიმული. იქნებ ამისათვის დაერქვა იმ მიდამოს ქეიბურას ხევი.

— ხომ არ დაგვჭირდება კიდევ ამ საქმისათვის მშვილდ-ისარი, — თქვა ცოტა დაფიქრების შემდეგ ოსიკომ, — ამ შენს საიდუმლო ბარათში წერია, მიჰყე ნასროლსა ისარსაო. იქნებ რაიმე მნიშვნელობა აქვს?

— არა მგონია. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, — ვუთხარი მე, — მერე საით, რომელ მხარეს უნდა ისროლო ისარი, რა იცი?

— იმ ქვაზე ამოკვეთილი ნახატის მიხედვით. უეჭველია ის ნახატია, თუ სურათი, იმისათვისაა გაკეთებული, რომ გვიჩვენოს მიმართულება, თუ საით უნდა ვისროლოთ ისარი.

— თუ აგრეა, რა საჭიროა ისრის სროლა. ისედაც გავიხედავთ იმ მიმართულებით. ჯერ ბინოკლით დავზვერავთ, შემდეგ მიმართულებას ავიღებთ და ასე გამოვიკვლევთ. რა არის აქ ძნელი? მით უმეტეს მაშინდელი ისარი დიდი-დიდი ორასი მეტრის მანძილზე მიდიოდა...

— ეე, მაგას ნუ იტყვი. შეიძლება სამასზედაც.

— თუნდაც სამას მეტრზე. ამ სიგრძე მანძილის გავლა და შესწავლა განა ძნელი საქმეა ჩვენთვის! — არ ვეშვებოდი მე.

— ეგ სწორია. ერთი სიტყვით, ვნახოთ. მაშ კვირას დილის ექვს საათზე გავდივართ თბილისიდან. მერი, შენ წამოხვალ? — მიუბრუნდა ცოლს ოსიკო.

— მე ვფიქრობ, რომ ასეთ შეკითხვებს დროა გადაეჩვიო, — დატუქსვით შეუბღვირა ქმარს მერიმ, — რას ქვია წამოვალ თუ არა! მგონია, რომ ამ ექსპედიციის მეთაური მე ვარ და შენ უნდა იღებდე ჩემგან წამოსვლის ნებართვას.

— კარგი, აგრე იყოს, ახლა კი ამ ჩვენს ძვირფას სტუმარს დროა ჩვენებურად, ქართველურად გავუმასპინძლდეთ. აბა, მოგვართვი, ამხანაგო ექსპედიციის უფროსო, რაც კი რამ გაგვაჩნია...

იმ ღამეს საკმაოდ მოგვიანებით დავბრუნდი შინ და მომავალ გამგზავრებაზე ფიქრმა კარგა ხანს არ მომცა საშუალება ძილს მივცემოდი.

• •

კვირას დილით ჩავტვირთეთ მანქანაში ჩვენი, როგორც მას ოსიკომ უწოდა, „წარსულის მოყვარულთა ექსპედიციის“ საჭურველ-მოწყობილობა, საკვესთან ოსიკო დაჯდა, გვერდით თავისი სამი ბავშვი მოისვა, ხოლო უკან, მერისთან, მე და ჯანიკო დავსხედით და გზას გავუდექით. ჩვენი ექსპედიციის ეს ახალი მონაწილე ჯანიკო პროფესიით არქეოლოგი იყო და მას, როგორც თავისი საქმის დიდ ენთუზიასტს, ჩავაბარეთ მეცნიერული მხარის ხელმძღვანელობა.

ღრუბლიანი დილა იყო და ბუნება თითქმის საწვიმრადაც ემზადებოდა. ამან, არ ცოტა არ იყოს, გუნება გაგვიფუჭა, მაგრამ ოსიკოს განუყრელი ოპტიმიზმი გვამხნევებდა. თანაც იმისი მემკვიდრეობა ისეთი მხიარული ჟივილ-ხივილით ეგებებოდა ჯერ კიდევ ცარიელ ქალაქის ქუჩას, მეეზოვეთა ცოცხების ტრიალს, ორთაჭალასთან მოდუდუნე მტკვარს, ქალაქგარეთ გადარუჯულ ველებზე მიმავალ გზას, ტელეგრაფის მავთულებზე ჩამომსხდარ ყვავებს და ყველაფერს, რასაც კი შეუძლია ბავშვთა ყურადღება მიიქციოს, რომ ამან არა თუ მჭმუნვარება, ჩვენი პირდაპირი მიზანიც კი დაგვავიწყა.

ამ მხიარულებაში რომ ვიყავით, მოულოდნელად გორაკზე დავინახეთ ყურებაცქვეტილი, უკანა ფეხებზე დამჯდარი კურდღელი. წინა თათები გულზე სასაცილოდ დაეწყო და ჩვენკენ იცქირებოდა.

ოსიკომ მანქანა მოწყვეტით დაამუხრუჭა, რათა ბავშვებისათვის საშუალება მიეცა, ამ ყურებწკაპუნასათვის ეცქირათ. მანქანამ უცნაურად დაიხრჭიალა და ალბათ ამან დააფრთხო ეს მიმზიდველი ცხოველი. ერთი ისკუპა, წინ გადაგვირბინა და მოჰკურცხლა.

—-გათავდა ჩვენი საქმე, დავითარსეთ, — სიცილით თქვა ოსიკომ,— ჯობია დავბრუნდეთ.

— კარგი ერთი, — შეუტია მერიმ, — შენ საიდან გახდი ასეთი ცრუმორწმუნე.

ბავშვები კი ჟივილ-ხივილით მიეკრნენ მანქანის ფანჯარას და თითებს გაქცეულ კურდღლისაკენ იშვერდნენ.

— მამა, მამა, იქნებ დავეწიოთ, დაედევნე რა!..

— ხედავ, რა ნელა მირბის?

— აი, გაჩერდა, მოიხედა!...

— ჩქარა, ჩქარა, დავეწევით...

ოსიკომ გაიცინა, მანქანა ჩართო და ჩვენც განვაგრძეთ გზა. გულდაწყვეტილი ბავშვები კი თვალს არ აშორებდნენ იმ მხარეს, საითაც კურდღელი მიიმალა.

მალე ჩვენი მანქანა დაუახლოვდა იალღუჯის მთებს და მტკვარგაღმა გადაიშალა ქალაქ რუსთავის შესანიშნავი პანორამა. ცის კაბადონზე ამართულიყვნენ ქარხნის მაღალი მილები. მათ ღრუბლის ფთილებივით აეფინათ ბოლი ცაზე.

ოსიკომ მანქანა გააჩერა, ყველანი გარეთ გამოვედით და კარგა ხანს ვტკბებოდით ამ შესანიშნავი სანახაობით.

— აი, ესაა ჩვენი სიამაყე, — თქვა ოსიკომ, — მაგის გულისათვის მთელი ზაფხული დავძრწოდი ჩვენს მთებში.

— რატომ, რისთვის?—გაოცებით ვკითხე მე.

— გეოლოგიურ საძიებო სამუშაოზე. რკინის მადანს ვეძებდი. მართალია ამ ჩვენს ქარხანას მადნით ჩვენი ძმური რესპუბლიკა აზერბაიჯანი ამარაგებს, მაგრამ მე მინდა, რომ ჩვენც გვქონდეს ჩვენი რკინის საბადოები. რას იტყვი, კარგი არ იქნება?

— უეჭველია, — დავეთანხმეთ ყველანი.

ბავშვებმა სურვილი გამოთქვეს, რომ რუსთავში გაგვესეირნა, მაგრამ, ვინაიდან ეს ძალზე დაგვაგვიანებდა, გადავწყვიტეთ გზა განგვეგრძო.

ერთი საათის მგზავრობის შემდეგ ჩვენ უკვე ქვეიბურას ხევში შევუხვიეთ. დაიწყო მართლა ზღაპრული სანახაობანი. აქ უმთავრესად კლდოვანი მიდამო იყო, აქა-იქ დაბალი ბუჩქნარით და თხელი ტყით დაფარული. გზა ხან მაღლა ადიოდა და ფრიალო კლდის კბოდეზე მიიკლაკნებოდა, ხან დაბლა ეშვებოდა და ქვებში ჩაკარგულ მდინარის ნაპირს მიყვებოდა. იშვიათ სანახაობას წარმოადგენდა რიყე. ასეთი ლაპლაპა წითელი, ლურჯი და მწვანე ფერის ქვები ბავშვებს თავის სიცოცხლეში არ ენახათ და, მათი სურვილისათვის რომ ანგარიში გაგვეწია, ალბათ, მთელი ამ რიყის ჩაზიდვა დაგვჭირდებოდა თბილისში.

— ეს ვულკანური წარმოშობის ქანებია, ამ მიდამოებში იაშმა, ფირუზი, სიენიტი და ამის მაგვარი ქვა იშვიათი როდია,— აგვიხსნა ოსიკომ,— თქვენ უნდა ნახოთ, როდესაც აქ წვიმაა და ეს ქვები დასველდება, გეგონება განგებ შეუღებავთ ფერადი საღებავებითო.

რაც უფრო ღრმად ვიჭრებოდით ხეობაში, მით უფრო მაღლა მიდიოდა მთები. ფრიალო კლდეები თითქო ცას ებჯინებოდნენ. ხანდახან გამოჩნდებოდნენ მწვერვალზე ამართული ძველი ციხე-კოშკის ნანგრევები და სათითაოდ ვუხსნიდი ბავშვებს მათ ისტორიას, საბელწოდებას და დანიშნულებას.

გავიარეთ რამდენიმე სოფელი და მალე ისევ უკაცრიელ და უდაბურ ხეობაში შევედით. სულ მალე უნდა მივსულიყავით იმ ძველი ქალაქის ნანგრევებთან, სადაც ერთ დროს ვმეშაობდით მე და ჯანიკო და სადაც ვნახე დაჭიმული მშვილდ-ისრის გამოსახულება საიდუმლო ინიციალებით. ჩვენდა საბედნიეროდ, კიდევაც გამოიდარა. ღრუბლები სადღაც მიიმალნენ და ახლა თავზე დაგვნათოდა დილის მზე.

უკვე მოთმინება აღარ მყოფნიდა და, თუ აქამდე მშვიდად ვიყავი, ახლა მოუსვენრად ვიცქირებოდი ფანჯრიდან და ვცდილობდი რაც შეიძლება მალე დამენახა ძველი ქალაქის ნაშთები. ეს აღელვება სხვებსაც დაეტყო, მერიმ ბავშვებსაც კი უყვირა, ჩუმად იყავითო, თითქო მათი ერიამული რითიმე ხელს გვიშლიდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა ჩვენი ნაქალაქევი და ოსიკომ მდინარის პირად, პატარა კორდზე შეაჩერა მანქანა.

სანამ მერი მგზავრობით მომშეულ ბავშვებს დააპურებდა, მე ოსიკოსთან და ჯანიკოსთან ერთად მაშინვე გავემართე იმ ნანგრევებისაკენ, სადაც მშვილდ-ისრის გამოსახულება მეგულებოდა.

ის ნანგრევი ოდნავ მაღლობზე იყო და მთელ ნაქალაქევს თავს დაჰყურებდა. უეჭველია, რომ ოდესღაც იგი ან მთავრის, ან სხვა ვინმე დიდებულის სასახლეს წარმოადგენდა. ახლა მისგან მარტო კედლების ნაწილი იყო გადარჩენილი და ისიც მხოლოდ გათხრების შემდეგ აღმოჩნდა, რადგან მანამდე მთლად მიწით იყო დაფარული. ის ქვა, რომელზედაც მშვილდ-ისარი იყო გამოსახული, სამხრეთ დასავლეთის მხრიდან ჰქონდა კედელს დატანებული და ისრის მიმართულება სამხრეთს ამიზნებდა.

აღმართი ავივაკეთ და მე უნებურად შევჩერდი. გათხრების შემდეგ რამდენიმე წელი იყო გასული და ახლა ეს არემარე ცოტა არ იყოს მესხვაფერა. ყველაფერი ბალახით იყო დაფარული და კედლის ნანგრევები თითქმის არც კი ჩანდა. როგორც იქნა მოვძებნე ის კუთხე, მაგრამ იმ ქვაზე გამოსახულების ნატამალიც კი აღარ დამიხვდა. ეტყობოდა მწყემს ბავშვებს ნიშანში სროლაში ევარჯიშნათ. ნიშნად სწორედ ეს ლოდი ამოერჩიათ და იმდენი ეხათქუნებინათ ზედ ქვები, რომ ამოკვეთილი ნახატის კვალიც კი წაეშალათ.

ყველას საოცრად დაგვწყდა გული, მაგრამ რას ვიზამდით!

ერთადერთი ნუგეში ის იყო, რომ თვით ლოდი თავის ადგილზე დაგვიხვდა და დაახლოებით მაინც შეიძლებოდა ისრის მიმართულების გაკვლევა.

ოსიკომ ეკლიმეტრით დანიშნა მიმართულება, საითაც უნდა წასულიყო ისარი, და ჩვენ ყველანი შევუდექით ამ წარმოსახვითი ხაზის გასწვრივ დეტალურ კვლევა-ძიებას .საუზმეც დაგვავიწყდა და სადილიც. მივყევით და სამი კილომეტრის მანძილზე მგონი კენჭიც კი არ დაგვიტოვებია, რომ არ დაგვეთვალიერებინა და არ მოგვეჩხრიკა. არათუ გამოქვაბულს, საერთოდ ადამიანის ხელით ნაკეთობის რაიმე ნიშანსაც კი ვერ წავაწყდით. ჩვენს მიერ დასახული მიმართულება, მართალია, ხეობის გასწვრივ მდინარეს აღმა მიუყვებოდა, თვით ხეობა შევიწროების ნაცვლად პირიქით გაფართოვდა და ჩვენ გაშლილ ზეგანზე გავედით. აქ, ცხადია, გამოქვაბულს ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიპოვიდით, თუ ამ სახელს რომელიმე ორმოს დავარქმევდით. ასე რომ, მიდამოებში ძიების გაგრძელება სრულიად უსაფუძვლო იყო და უკან დაბრუნება გადავწყვიტეთ.

ეჰე ჰე, როგორ საპნის ბუშტივით გასკდა ჩვენი ოცნებები,—გულდაწყვეტით წამოიძახა ოსიკომ, — მეგონა დღეს საღამოს „ვეფხის ტყაოსნის“ ავტოგრაფი მექნება-მეთქი ხელში.

— მართალი რომ თქვას კაცმა, მეც აგრე მეგონა, — დასძინა ჯანიკომ, — ვიფიქრე ,ალბათ სწორედ იმ გამოქვაბულს ვიპოვით, რომელიც რუსთაველს აქვს აწერილი. გახსოვთ, .ქაჯეთზე გალაშქრების წინ ტარიელმა რომ ავთანდილს უთხრა:

„მე ოდეს ქვაბნი წავუხვენ, დავხოცე დევთა დასები,
მას აქეთ მათი აქა ძეს საჭურჭლე ძვირ-ნაფასები“.

და შემდეგ:

„ეამა, ადგეს ორივე, არცა ქვე ასმათ მჯდომია,
დალეწეს კარი ორმოცი, მათგან არ ზედა ომია“.

— ორმოც კარს არ დავეძებ, მარტო ერთი დამანახვეთ, მარტო ერთი! — წამოვიძახე მე.

— ერთიო?! ოთხმოცი იყოს და, თუ ვერ შევლეწო, მაშინ თავსლაფი დაასხით ოსიკოს.

— შემდეგ თუ გახსოვს — როგორაა? — შეევევედრე ჯანიკოს. — მე ლექსს სულ ვერ ვიმახსოვრებ.

— როგორ არ მახსოვს, მთელი „ვეფხის ტყაოსანი“ ზეპირად ვიცი. შემდეგ:

„ჰპოვეს საჭურჭლე უსახო, კვლა უნახავი თვალისა,
მუნ იდგა რიყე თვალისა, ხელ წმინდათ განათალისა,

ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა;
ვინმცა ქმნა რიცხვი ოქროსა, ვერვისგან დანათვალისა?!“

— ეჰ, თვალ-მარგალიტი სულაც არ მაინტერესებს, — შეაწყვეტინა ჯანიკოს ოსიკომ, — მე მინდა რუსთაველის ნაწარმოებთა სრული კრებული ვიპოვო, აი, რა მაინტერესებს. რუსთაველის საკუთარ ხელით ნაწერ ერთ სტრიქონს არ გავცვლი მთელი ქვეყნის თვალმარგალიტსა და ოქრო-ვერცხლში.

— ცხადია, მეც ეგ მიტაცებდა, როდესაც აქეთ მოვდიოდი, — დასძინა ჯანიკომ.

მერი თავის ბავშვებთან ერთად მინდვრის ყვავილების კრეფით და თაიგულების შეკვრით იყო გართული. ის შორიდან მოგვეგება, ჩვენ კი საოცრად დამშეულნი მაშინვე ვეცით სანოვაგეს.

— როგორ დამთავრდა თქვენი ძიება? — გვკითხა მერიმ და თან ჩვენს გამასპინძლებას შეუდგა. — როგორც ვატყობ, ვერ უნდა იყოს საქმე კარგად.

— რას იზამ, — უპასუხა ოსიკომ, — არც ისე ადვილი ყოფილა საიდუმლოებით მოცული სიძველის აღმოჩენა.

ნასადილევს გადავწყვიტეთ სამთავეს სხვადასხვა მხრით და ნებისმიერად გვეძებნა ეს საიდუმლო გამოქვაბული. ამ ძებნაში მერიმაც გამოთქვა სურვილი თავის ბავშვებთან ერთად მიეღო მონაწილეობა და მართლაც დაბინდებამდე ყველანი დავეხეტებოდით იქით-აქეთ. მაგრამ შედეგი იგივე გვქონდა, რაც დილით.

მართალია, აქა-იქ იყო საკმაო სიმაღლის კედლები, სადაც თეორიულად შესაძლებელია წავტეხოდით გამოქვაბულს, მაგრამ რამდენიც არ ვუკირკიტეთ, დურბინდით ვათვალიერეთ, ზოგიერთებზე კიდევაც ავფოფხდით, ვერსად ვერაფერი ვერ აღმოვაჩინეთ. ამ დაღარულ, გამოფიტულ კლდეებში მარტო კოწახურის ან თრიმლის ბუჩქებს თუ მოვკრავდით თვალს და აქა-იქ ქვიდან ქვაზე გადაფრენილ ბოლოქანქალებს ვაფრთხობდით. მარტო ოსიკო იყო ოდნავ კმაყოფილი, მან ზოგადი გეოლოგიური დაკვირვებანი ჩაატარა და ქვების ნიმუშები მოაგროვა.

ასე გაწბილებული დაბრუნდით თბილისში. არ ვიცი, დაღლილობისაგან იყო ეს, თუ იმედის გაცრუებისაგან, გზაში ხმა არც ერთს არ ამოგვიღია, ხოლო ბავშვებს კიდევაც დაძინებოდათ მანქანაში.

* *

ერთი კვირის შემდეგ ოსიკოს ტელეფონით ველაპარაკებოდი:

— იცი რა, პატივცემულო ოსიკო, რაც იმ ჩვენი ექსპედიციიდან დავბრუნდით, წვეთი არ მძინებია.

— რა იყო, ბიჟო? — მკითხა მან მხიარულად.

— რა და, ის საბუთი არ მასვენებს.

— რა საბუთი?

— აი, მერიმ რომ ამოიკითხა. რად სწერია იქ: მიჰყე ნასროლსა ისარსაო? ალბათ, მართლა უნდა ისროლო ისარი და იმ კვალს მიჰყვე, თორემ ისე რად დააწერდნენ.

— აი შენ რა გითხარი, — დაცინვით წამოიძახა ოსიკომ, — მართლა სროლა რა საჭიროა, ბიჟო, დახატული რომ იყო, იმ დახატული ისრის მიმართულებას უნდა გააყოლო თვალი და იმ გზით წახვიდე.

— აგრე რომ ყოფილიყო, რაღად დაწერეს, მიჰყე ნასროლსა ისარსაო, მაშინ დაწერდნენ, გააყოლე თვალი დახატულ ისარს და იმ მიმართულებით წადიო. არა, აქ რაღაც საიდუმლოება უნდა იყოს.

— კაცო, შენ მგონი გაგაგიჟებს ეგ ერთი ფარატინა ქაღალდი. რა საიდუმლოება უნდა იყოს? ისარს გაისვრი, წავა პირდაპირი ხაზით და სადღაც ასი ან ორასი მეტრის შემდეგ დაესობა მიწაზე. გათავდა. მეტი რა უნდა იყოს? იცი რა, თუ მართლა არ გიძინია, დასაძინებელი ფხვნილი დალიე და გამოიძინე, თორემ ისე ურევ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წასაყვანი არ გამიხდე.

ეს მითხრა, მილი დამიკიდა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ თვითონ დამირეკა:

— ოთარ?

— გისმენ.

— ისრები რისგან კეთდებოდა უწინ?

— რად გინდა, ღომის მოსარეკად ხომ არ გჭირდება? თუ შენც აურიე?

— ავურიე კი არა, მგონი მეტიც დამემართოს. შენ რომ შეუჩნდები კაცს, წასულია მერე მისი საქმე. რისგან კეთდებოდა?

— უმეტეს შემთხვევაში რკინისაგან.

— რა ზომისანი იყვნენ?

— ეგ, გააჩნია როგორი იყო მშვილდის ზომა. საბა სულხან ორბელიანის განმარტებით, ისარი ზოგადი სახელია ყოველთა ისართა და განიყოფებიან ზროთა და პირთა სხვადასხვა სახელად.

— ზრო რაღა ეშმაკებია!

— ზრო ისრის ტანია.

— მერე, მერე?

— მერე რა. ფრთედაბალი და პირწვრილი, რომელსაც ყივჩაღნი ხმარობენ, არის საყალნო. ზომიერი ისარი ფრთებმოპრტყე და პირ-

მოპრტყე არის სარჩა. იმაზე უგრძესი პირდიდი და ფრთემაღალი არის ქეიბური...

— რაო?

— ქეიბური.

— მაშ, მაგის გამო ჰქვია შენი აზრით იმ ხეობას ქეიბურას ხევი? იქნებ „მიჰყე ნასროლსა ისარსა“ ნიშნავს: გაჰყევ ქეიბურას ხევსო?

მართალი უნდა ვთქვა, რატომღაც ეს აზრი აქამდე სულაც არ მომსვლია თავში და ახლა პირდაფჩენილი დავცქეროდი ტელეფონის აპარატს.

— ქეიბურას ხევსო... — ვლუღლუღებდი მე, — იქნებ მართლა ასეა... მეტაფორული მნიშვნელობით. ნამდვილად კი მართლა გულისხმობდეს იმას, რომ ხევის გასწვრივ უნდა ვაწარმოოთ ძიება.

— არა. ეს ჰიპოთეზა უარსაყოფია. აგრე ადვილი რომ ყოფილიყო იმ გამოქვაბულის აღმოჩენა, ეს ხეობა ათასჯერ არის თავიდან ბოლომდე ავლილი მტრისა და მოყვრის მიერ. აქამდე ნახულიც ექნება ვინმეს და გადანახულიც, ჩვენ ისევ ისრის სროლის ჰიპოთეზას უნდა დავუბრუნდეთ. სად შეიძლება ნახოს კაცმა ძველებური მშვილდ-ისრები?

— მუზეუმში.

— მაშ ხვალ მე და შენ ვიწყებთ ამ უძველესი იარაღის შესწავლას, ხოლო ამის შემდეგ სახელოსნოში ვუკვეთავთ ქეიბურებსაც და გორგასალის შესაფერ მშვილდსაც.

მეორე დღეს მე და ოსიკომ მართლა დავიარეთ მუზეუმები და ყოველგვარი ზომის ძველებური მშვილდ-ისრები დავათვალიერეთ. მუზეუმის თეთრწვერა თანამშრომელი დიდი მცოდნე აღმოჩნდა ამ საქმისა და მან ბევრი რამ საინტერესო გვიამბო ამ იარაღის შესახებ.

— მონღოლეთში ერთი ქვა აღმოაჩინეს, რომელზედაც ძველისძველი წარწერა იყო ამოკვეთილი, — გვიამბო მან, — როდესაც ეს წარწერა ამოიკითხეს, იგი აღმოჩნდა ჩინგის-ყაენის დროინდელი. თურმე ჩინგის-ყაენს მოუწყვია შეჯიბრება მშვილდოსნობაში და ერთ მეომარს ისარი ნიშანში მოუხვედრებია, თანამედროვე სიდიდით რომ აღვნიშნოთ, რვაასი მეტრის მანძილზე.

— ოჰო! — აღტაცებით წამოვიძახეთ ორთავემ.

— მაგრამ უფრო საინტერესო ამბავი უნდა გიამბოთ. როდესაც სპარსეთის მეფემ კამბიზმა ეგვიპტის ფარაონი დაამარცხა და მისი ლაშქარი მთლად გაანადგურა, მან განიზრახა ეთიოპიის სამეფოზედაც გაელაშქრა და ამისთვის წინასწარ გაგზავნა მზვერავი რაზმები. როდე-

საც ეთიოპელებმა გაიგეს კამბიზის განზრახვა, მათ სპარსეთის მეფეს საჩუქრები გაუგზავნეს, მათ შორის ერთი მშვილდიც მიართვეს და შეუთვალეს: თუ შენს საბრძანებელში ნახავ კაცს, რომელიც ამ მშვილდის ლარს მოზიდავს და ისრის გასროლას მოახერხებს, მაშინ გამოილაშქრეთ ჩვენს წინააღმდეგ და თქვენი გამარჯვებაც ბედს მიანდეთო. ხოლო, თუ ასეთი არავინ აღმოჩნდეს, მაშინ გულწრფელად გირჩევთ განზრახვაზე ხელი აიღოთ, რადგან ბედის იმედი ნუ გექნებათო. კამბიზმა მაშინვე იხმო სახელოვანი გოლიათები, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ოდნავაც კი ვერ გადრიკა მშვილდის ლარი. ამის მსგავსი მშვილდი არავის არასოდეს ენახა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა ჯარში და, როდესაც კამბიზმა მაინც გასცა განკარგულება სალაშქროდ წასვლისა, ჯარმა ადგილიდან ფეხი არ მოიცვალა.

ჩვენ ძალიან მოგვეწონა ეს ნაამბობი, მოხუცი კი განაგრძობდა:

— ქართლის ცხოვრებაში ვახტანგ გორგასალის მემატიანე მოგვითხრობს, რომ როდესაც „ოვსთაგან გამოვიდა ბუმბერაზი, რომელსა ერქვა ბაყათარ, იგი იყო გოლიათი და იყო სიგრძე მშვილდისა მისა თორმეტი მტკაველი, ისარი მისი ექვსი მტკაველი“.

— ოჰო, ამოდენა მშვილდის ხელში დაჭერა მგონი ვერც ალმაატელმა კალათბურთელმა ახტაევმა შეიძლოს! — წამოიძახა ოსიკომ.

— მით უმეტეს, თუ იმ გოლიათის მტკაველს ვიგულისხმებთ, — სიცილით დავძინე მე.

ჩვენ დავათვალიერეთ მშვილდებიც, ისრებიც. ოსიკომ სათანადოდ ჩაიხაზა ისინი რვეულში და აღმითქვა, რომ შემდეგ კვირას ჩვენ ისეთი მშვილდ-ისარი გვექნება, მგონი კამბიზსაც კი არ ენახოსო.

— მშვილდს სათანადოდ შერჩეულ ხისაგან გათლი, ისარსაც რკინისას გააჭედინებ, ლარს რისგან აკეთებ? — ვერ ვისვენებდი მე. — შენ ხომ არ გგონია ძველებურად მოთელილი ძარღვისაგან დაგრეხ მას.

— ნუ გეშინია, მაგასაც გავაკეთებ.

— რისგან?

— კაპრონის ძაფისაგან დავაგრეხინებ. ისეთი მაგარი ლარი გავაკეთებინო, რომ ორმა ტრაქტორმა ვერ გაწყვიტოს. ისრებსაც ისეთს გავაჩარხვინებ, ავ თვალს არ ენახვებოდეს. შენ ნახავ, თუ იმ სიშორეზე არ ვტყორცნო ისარი, თვით ჩინგის-ყაენის ფალავანსაც კი ვაჯობო.

მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ ოსიკომ დამირეკა, ჩემთან მოდი, თუ გინდა მშვილდ-ისარი გაჩვენო და, თუ კარგი ბიჭი ხარ, იქნება მისი ლარი მოზიდოო.

• •

მე და ჯანიკო, ცხადია, მაშინვე გავემართეთ ოსიკოსთან. ის შინ დაგვიხვდა. თავის ბავშვებთან თამაშობდა. მათთვის საბავშვო რკინიგზა გაეწყო და იყვნენ ერთ ამბავში.

— ოო, მოდით, მოდით, — შემოგვეგება ის მხიარულად, — ახალი რკინიგზის ხაზის გახსნას დაესწარით. აბა, ლექსო, შენ დენი ჩართე. ოთარ, ისრები გადაიყვანე. დაჭარით ზარი, ძინ, ძინ, ძინ, უ, უუუ, დაიძრა მატარებელი.

ჩვენ, როგორც აღფრთოვანებულმა აუდიტორიამ, ტაში დავცხეთ, მაგრამ მათი ელმავალი რატომღაც გაჯიუტდა, ზუზუნი დაიწყო და ადგილიდან არ დაიძრა.

— ეე, ეგ ჩვენი საიდუმლო გამოქვაბულის ძებნასავით მარცხით მთავრდება მგონი! — ვუთხარი მე.

— შენ ასე ფიქრობ? — ოსიკომ ჯიუტად გადმომხედა, მერე ელმავალს წკიპურტი წაჭკრა და ისიც დაიძრა და დაიწყო სირბილი წრიულ ლიანდაგზე. — მე ვატყობ, რომ ჩვენი ძებნაც ასე დამთავრდება.

თქვა ეს, წამოიმართა და ორთავენი კაბინეტში წაგვიყვანა.

— აი, ნახეთ, რა მშვილდ-ისარი გავაკეთე! — გვითხრა მან და კედლიდან ლურსმანზე ჩამოკიდებული მშვილდი ჩამოიღო.

ის მართლა მშვენიერი რამ იყო. თვითონ მშვილდი ისე ლამაზად იყო გათლილი და შუაშიც ხელის ჩასაჭიდი ისე კოხტად ჰქონდა გამოკოპიტებული და თანაც გარანდული, რომ შეხედვად ღირდა. ლარი შედარებით წვრილი იყო, მაგრამ ისე მაგრად დაჭიმული, რომ თითით მოზიდვა ვერ შევძელი.

— ეჰე, ეს არ გაწყდება? — ვიკითხე მე.

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს. — მიპასუხა ოსიკომ.

— იცი რა, — ვუთხარი მე ოსიკოს, — აუცილებლად მარცხენა მაჯაზე, თუმცა მაჯაზე კი არა, მთელ წყრთაზე სქელი ტყავის სახელო უნდა გააკეთებინო, თორემ ლარს რომ მოზიდავ და ისარს გაისვრი, ლარი სულ ჩაგატყაევებს მკლავს.

— ვიცი და კიდევაც დავამზადე, — ოსიკო უჯრას მისწვდა, იქიდან სქელი ტყავის სახელო ამოიღო და მარცხენა ხელზე გაიკეთა, — ეს მე სურათებში მქონდა ნახული, ამერიკელ ინდოელებს რომ ეკეთათ მაჯაზე, და წარმოდგენა არა მქონდა, რად იკეთებდნენ ამ ტყავის სახელოებს. მერე გავიგე, თურმე მშვილდოსანს ის მუდამ უნდა ჰქონდეს ხელზე გაკეთებული. ეგ კი არა, ლარის მოსაზიდად აი, ასეთი რამ უნდა გაიკეთოთ თურმე თითებზე.

ესა თქვა და გამოგვიწოდა რქის სათითური, რომელშიაც ორი თითი — სალოკი და შუათითი ეტეოდა. ჩვენ ის გულდასმით დავათვალიერეთ და მე ახლა ამით ვცადე მშვილდის მოზიდვა.

ტყუილად ვცდილობდი, ოდნავადაც ვერ მოვდრიკე.

— მომეცი აქ, — მითხრა ღიმილით ოსიკომ, — შენც იტყვი, ვაჟკაცი ვარო!

მოჰკიდა ხელი და მძლავრად მოზიდა, მერე დასხლიტა და ლარმა ისე დაიზუზუნა, თითქოს დიდ ზარს შემოჰკრესო.

მშვილდთან ერთად ისრებიც დავათვალიერეთ, რამაც საერთო მოწონება დაიმსახურა, და გადავწყვიტეთ მომავალ კვირას კვლავ გავმგზავრებულიყავით ქეიბურას ხევში.

მართალია, მე ერთ ხანს ძალზე განვიცდიდი იმ ჩემ მიერ აღმოჩენილ საბუთების ტექსტში თქმული სიტყვების მნიშვნელობას: ნასროლს ისარს მიჰყევითო, მაგრამ ახლა უკვე ეს ჩვენი განზრახვა და მშვილდ-ისრით იმ გამოქვაბულის ძებნა ბავშვურ განზრახვად მიმაჩნდა და ცოტა არ იყოს კიდევაც მრცხვენოდა, რომ ამ მიზნით მივემგზავრებოდი ქეიბურას ხევში. ამიტომ არავისთვის არ გამიმხელია, ცხადია, ჯანიკოს გარდა, სადაც ვაპირებდით წასვლას.

კვირას მარტო მე, ოსიკო და ჯანიკო გავემგზავრეთ. მერი არ წაგვიყვანია, რადგან ძალიან ცივი დღეები დაიჭირა; ბავშვებს ვერ წავიყვანდით, ამიტომ დიასახლისი იძულებული იყო შინ დარჩენილიყო.

გზაში ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. ბუნება თითქოს მეძინებულიყო. მარტო ყვავები დალაყუნებდნენ გზის გასწვრივ, ან ჩამომსხდარიყვნენ ტელეგრაფის ბოძებზე. ხანდახან გვხვდებოდა ზამთრის საძოვრებზე გამოყვანილი ცხვრის ფარა. ნაბდებში გახვეული მწყემსები ქვის ქანდაკებებივით აღმართულიყვნენ. ბანჯგვლიანი ნაგაზები ერთის ყეფა-ღაღავით ვაჟკაცურად უხვდებოდნენ ჩვენს მანქანას და ცდილობდნენ ბორბლებზე ეკბინათ.

უნდა ითქვას, ამჟამად რატომღაც ძალიან გაგრძელდა გზა, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ოსიკო, რაკი ბავშვები არ უჯდა მანქანაში, ელვის სისწრაფით მიაქროლებდა თავის „პობედას“. სიჩქარის მაჩვენებელი ისარი ხშირად ოთხმოც კილომეტრს გვიჩვენებდა საათში.

ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიეთ იმ ადგილამდე, სადაც ძველი ციხე-დარბაზის ნანგრევები იყო.

— აქედან იწყება სტარტი ჩვენი ძიებისა, — თქვა ოსიკომ და თავისი მშვილდ-ისარი გამოიღო მანქანიდან.

მივედით იმავე კუთხესთან, სადაც ჩვენი ისტორიული ქვა ისევ თავის ადგილზე დაგვხვდა, დაჩეჩქვილ-დასახიჩრებული.

ოსიკომ მომართა თავისი მშვილდ-ისარი.

— აბა, მკვლევარო, მითხარი რომელ მხარეს ვისროლო, — მითხრა მან.

მე კვლავ ავუხსენი: როგორც მახსოვს ნახატი ისარი სამხრეთით იყო მიმართული-მეთქი.

ოსიკომ დაჭიმა ლარი და ისარი იმ მიმართულებით გასტყორცნა.

ჩვენ დაძაბული ყურადღებით გავაყოლეთ თვალი გაფრენილ ისარს, რომელიც ჯერ პირდაპირ წავიდა, მერე რატომღაც მარჯვნივ მოუხვია და დაახლოებით ას ორმოცდაათი მეტრი მანძილის მოშორებით მიწაში ჩაერჭო.

— ოჰო, ეს რა ამბავია? — აღმოხდა ოსიკოს. — ქარი რომ უბერავდეს, ვიტყოდი ისარი ქარმა წაიღო-მეთქი მარჯვნივ. დაიცა, მეორე ვისროლო.

კაპარჭიდან მეორე ისარი ამოიღო და ისევ იმ მიმართულებით გასტყორცნა.

იგივე მოხდა. მეორე ისარი ასევე ჯერ პირდაპირ წავიდა, მერე მარჯვნივ მორკალა ხაზი და ისევ პირველი ისრის გვერდით დაესო.

ჩვენ თავქუდმოგლეჯილი გავიქეცით იქითკენ და იმ ადგილას მივირბინეთ, სადაც ისრები მიწაში იყო ჩარჭობილი.

ისრები ამოვაძრეთ და ადგილი შევათვალიერეთ. არაფერი საყურადღებო არ იყო. ძეძვებით და შემოდგომის გადამწვარი ბალახით დაფარულ კორდზე მეტს ვერაფერს ვერ მოვკარით თვალი.

ოსიკო დაფიქრებული ათვალიერებდა მიდამოს და შეკითხვებზე პასუხს არ გვაძლევდა. მან ისევ მოიმარჯვა მშვილდ-ისარი და წინათ ნასროლი ისრის კვალის გაგრძელებაზე გატყორცნა.

ისარმა ახლა რატომღაც მარცხნივ გადაუხვია.

ოსიკომ მეორე ისარი მიაყოლა.

ისიც იმ გზით წავიდა.

ჩვენ ახლა იმ ადგილზე გადავინაცვლეთ. არც აქ იყო არაფერი საყურადღებო, მაგრამ ოსიკოს დაძაბულ გამომეტყველებაზე ვატყობდი, რომ ის ამ უცნაურმა მოვლენამ საოცრად დააფიქრა.

მან კვლავ გატყორცნა ისარი ამ მრუდე ხაზის გაგრძელებაზე და ისარმა ისევ მრუდე მოხაზა. ახლა მარჯვნივ მოუხვია.

ეს იყო რაღაც არაჩვეულებრივი მოვლენა.

ერთ ხანს მე და ჯანიკო ვფიქრობდით, რომ ეს ან ისრის სიმრუდის

ბრალი იყო, ან იმის, რომ ოსიკოს ხელი არ ჰქონდა გაჩვეული სროლაში. მაგრამ რამდენჯერაც არ გავიმეორეთ გასროლა ერთი და იგივე ადგილიდან, ისარი მუდამ ერთნაირად იხრებოდა. მერე თვით ისრები ისე სწორად იყო გაჩარხული, რომ სახაზავების სისწორის შესამოწმებლად გამოდგებოდა.

ოსიკომ დაახლოებით ათჯერ თუ თერთმეტჯერ გასტყორცნა ისარი და ამ ისრის მიხვეულ-მოხვეულმა კვალმა ბოლოს ერთ ფრიალო კლდის ძირას მიგვიყვანა, სრულიად სხვა მიმართულებით, ვიდრე პირველად ვეძებდით. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ამ მხარეს უნდა წამოვსულიყავით.

— აჰა, მე მგონია ეს არის ბოლო ჩვენი ისრის კვალისა. ამ კლდეზე კიდევაც რომ მოვინდომოთ ხაზის გაგრძელება, მე ისარს ვერ გადავაცილებ.

ფრიალო კლდე მართლაც ძალზე მაღალი იყო და შვეულად ამართული ზვიადად დაგვცქეროდა თავზე.

მე და ჯანიკომ მაშინვე გაფაციცებით დავუწყეთ თვალიერება დურბინდით კლდეს, ხან მარჯვნიდან მივუდექით ,ხან მარცხნიდან. რამდენჯერმე ავუარ-ჩავუარეთ იმის საფუძველს, მაგრამ ვერაფერი ისეთი, რაც ჩვენს ყურადღებას მიიპყრობდა, ვერ აღმოვაჩინეთ.

ოსიკომ კი თითქო სრულიად დაკარგა ინტერესი იმისადმი, რასაც ჩვენ ვეძებდით.

გაბრუნდა და კვლავ ისრის სროლით გაჰყვა იმავე კვალს, საიდანაც მოვედით. გაჰყვა და ისარმა იგი ზუსტად იგივე მიხვეულ-მოხვეული გზით მიიყვანა ძველ ნანგრევებამდე.

შემდეგ კვლავ დაბრუნდა ჩვენთან, თან გზადაგზა მიდამოს გულდასმით ათვალიერებდა. დაღლილი ჩამოჯდა ქვაზე და თითქო ამოიოხრაო, ისე წამოიძახა:

— ჰო, ოო!

— რაო, ოსიკო, შენი ისრები რატომ უხვევდნენ ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ?

— უკვე ვიცი რატომაც.

— რატომ, რატომ, გვითხარი, — მოუთმენლად მივაძახეთ ორთავემ.

— ჯერ დაიცათ. ბევრის ცოდნით ადრე დაბერდებით, — ღიმილით გვიპასუხა მან, — ჯერ კიდევ უნდა შევამოწმო და მერე...

შეჩერდა, უნდოდა რაღაც გაემხილა, მაგრამ ეტყობა გადაიფიქრა და თვითონ შეგვეკითხა:

— მართლა, როგორაა გამოქვაბულის საქმე? ვერ აღმოვაჩინეთ? თუ

ამ კლდეში არ არის ის გამოქვაბული, მაშინ აღარ ვიცი, სადღა უნდა ვეძებოთ იგი.

— აქ მისი კვალიც კი ვერ შევნიშნეთ.

— მაშინ ჯობს ჩვენს განზრახვაზე ხელი ავიღოთ.

უკან კვლავ გაწბილებული დავბრუნდით.

• •

ერთი თვის შემდეგ ჯანიკომ შემოიარა ჩემთან.

— გაიგე ახალი ამბავი? — მითხრა მან. — ოსიკო ისევ წასულა ქეიბურას ხევში.

— უჩვენოდ? — წყენით წამოვიძახე მე. — ეგ რა სინდისია. ჯერ ერთი, ისტორიული ძეგლების ძებნა რა ინჟინრის საქმეა და მერე...

— დაიცა, რას ცხარობ. ჯერ გაიგე რისთვის წასულა და მერე გაცხარდი.

— რისთვის?

— ოსიკო ფიქრობს, რომ იქ რაღაც მადანი უნდა იყოს.

— მადანი?

— ჰო, მადანი. ჩვენ რომ იქიდან დავბრუნდით, ოსიკო მაშინვე წასულა გეოლოგიურ სამმართველოში და წარუდგენია მოხსენებითი ბარათი: ასე და ასე, ისრებს ვისროდი და ისინი გზიდან უხვევდნენო.

— ისინი, ალბათ, ჭკუას დაკარგავდნენ: ეს კაცი ხომ არ გაგიჟებულაო, — უნებურად გამეცინა მე.

— ეგ არ ვიცი. ეს კია, რომ მათ საგანგებო საძიებო ჯგუფი შეუდგენიათ ათასნაირი ხელსაწყოებით, მაგნიტური და ელექტრონული იარაღებით და წასულან; ვინ იცის, მართლა იქნებ აღმოჩნდეს რაიმე მადანი და მაშინ ნახე სეირი. აი, თურმე რატომ მიგვატოვა მაშინ ოსიკომ და კვლავ ისრის კვალს დაუბრუნდა. ასეთი უცნაური მოვლენა, ისრის გზის გამრუდება, ჩვენთვისაა ახლა საკვირველი და მე წარმომიდგენია, უწინ როგორ აგიჟებდა ხალხს. ვინ იცის, ძველად შეიძლება ღვთის ძალას ან რაიმე ჯადოქრულ ძალას მიაწერდნენ ნასროლი ისრების გზის გამრუდებას. ახლა კი ოსიკომ მეძებარივით ყნოსვით იგრძნო, თუ აქ რა საიდუმლოებაა. რას იტყვი, არ წავიდეთ, არ ვნახოთ ის საძიებელი სამუშაოები?

— აუცილებლად, — დავეთანხმე მე.

გადავწყვიტეთ კვლავ კვირა დღე გამოგვეყენებინა, მაგრამ უკვე ზამთარი დადგა, კვირას თოვა დაიწყო და, რასაკვირველია, ვეღარ წა-

ვედით. ამასობაში ჩვენ სხვა, უფრო დიდი სამუშაო გაგვიჩნდა და მთელი ზამთარი ისე გავიდა, ერთხელაც აღარ გაგვხსენებია ქეიბურას ხევში წასვლა. მით უმეტეს, რომ გამოქვაბულის კვალს ვერ მივაგენით, ხოლო მადნის ბუდობის ძიების ნახვა, ჩვენთვის, როგორც არასპეციალისტებისათვის მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ წარმოადგენდა. ჯერჯერობით იქ დიდი სამუშაოები დაწყებული არ იქნებოდა.

გავიდა ზამთარი. უკვე თოვლმა დნობა დაიწყო და ბაღებში ხეხილი აყვავილდა. მე მთელი ზამთარი დიდ გამოკვლევაზე ვმუშაობდი და ხშირად გათენებამდე ვუჯექი საწერ მაგიდას. ხანდახან დაღლილს მაგიდაზე ჩამომეძინებოდა ხოლმე და, თუ დედაჩემი არ გამაღვიძებდა, დილამდე ასე ვიძინებდი. ერთხელ, ასე, დაახლოებით ნაშუაღამევის სამზე თუ ოთხ საათზე მაგიდაზე ჩამეძინა. ძილში რაღაც ხმაურმა შემაკრთო და თვალი გავახილე.

დერეფნიდან დედაჩემის ხმა მომესმა:

— ვინ ხარ? — ეკითხებოდა ის ვიღაცას ჩაკეტილ კარს იქით.

— ამხანაგ ოთარ გიგაურის ბინა ეს არის?

— დიახ. თქვენ ვინ ბრძანდებით?

სანამ დედაჩემი პასუხს მიიღებდა, მე კარებთან მივიჭერი და, ვიდრე გავაღებდი, უკვე იქიდან მომესმა:

— წერილი მაქვს ოსიკო მინდელისაგან.

კარი გავაღე. ჩემს წინ უცნობი კაცი იდგა.

— ოთარ გიგაური თქვენ ბრძანდებით? — მკითხა უცნობმა.

— დიახ.

მან წერილი გამომიწოდა და მითხა:

— ოსიკომ შემოგითვალათ, მიიღოთ თუ არა ეს ბარათი, ერთი წუთის დაუყოვნებლივ წამობრძანდეთ ქეიბურას ხევში.

— თქვენ ახლა იქიდან მოხვედით?

— დიახ.

ბარათი გავხსენი. შიგ მოკლედ ეწერა:

„ახლავე ჩაჯექ მანქანაში და წამოდი, ამ ბარათის მომტანი ჩემი შოფერია. ჯანიკო წამოიყვანე. ახალ კვალს მივაგენი. ოსიკო“. მაშინვე დაფეთებული შევვარდი სახლში, ქუდი დავიხურე და პალტოს ჩაცმა დავიწყე.

— დედა, მე მივდივარ. შეიძლება ორი დღე დავიგვიანო. პროფესორს დაურეკე, ახალი კვალი უნახავთ და იმაზე წავიდა-თქო.

— შვილო, ასე უძინარი, მშიერი, სად მიდიხარ? — შეწუხდა დედაჩემი. — გეჭამა რამე. ეს უცხო კაცი შემოიყვანე.

— არ გვცალია, დედი. ჩვენ გზაში ვჭამთ საჭმელს. — ვუპასუხე

დედაჩემს, მაშინვე მანქანისკენ გავეშურე და შოფერს ჯანიკოს მისამართი ვუთხარი.

მთელ ქალაქს ეძინა .და, როდესაც ჯანიკოს ბინაში ზარის რეკვა ავტეხე, მეგონა, არა თუ ჯანიკო, ის ქუჩა მთლად გავაღვიძე.

— რა იყო, ბიჭო, რას დაგვიხეთქე გულები? — მითხრა მან, როდესაც საცვლებისამარამ კარების ღრიჭოში თავი გამოჰყო და მე დამინახა.

— მივდივართ, ახალი კვალი... — მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე.

— რას მეუბნები! — იყვირა ჯანიკომ, დაავიწყდა, რომ ჩაცმული არ იყო, და საცვლებისამარამ მანქანაში ჩაჯდომა დააპირა.

მე სიცილი ამიტყდა.

— წადი, ჩაიცვი, აგრე მოდიხარ?

— ჰო, უნდა ჩავიცვა, — მითხრა მან, სახლში შევარდა და ერთ წუთში აიღლიავებული ტანსაცმელით ისევ გარეთ გამოვარდა. მანქანაში ჩაჯდა და შოფერს უთხრა: — წადი, ჩაცმას აქაც მოვახერხებ.

მანქანა დაიძრა, ხოლო ჯანიკო თან ტანსაცმელს იცვამდა და თან მე მეკითხებოდა:

— ოსიკოს უნახავს?

— ჰო.

— სადაა?

— წარმოდგენა არა მაქვს.

— რა სახისაა? ნიშანია რამე თუ გამოქვაბული ნახა?

— არაფერი არ ვიცი. მწერს ახალი კვალი ვნახეო, მეტი არაფერი.

— მატყუებ.

— რას გატყუებ! აი ბარათი.

— ამ სიბნელეში რად მაჩრი, როგორ წავიკითხო?

— სინათლეს ავანთებ, — თქვა შოფერმა და შუქი ჩართო.

ჯანიკომ ბარათი გადაათვალიერა და ახლა შოფერს მიუბრუნდა:

— თქვენ არაფერი იცით, ამხანაგო?

— რისა?

— სად ნახა ოსიკომ კვალი?

— არ ვიცი, რა კვალს მეკითხებით. საღამოს რვა საათი იქნებოდა, სამუშაოდან დაბრუნდა და მიბრძანა, მაშინვე თბილისში წამოვსულიყავი და ეს ბარათი გადამეცა ამხანაგ ოთარისათვის. თუ ეძინოს, მძანარი აიყვანე, ჩასვი მანქანაში და ისე წამოიყვანეო. მე უფრო ადრე მოვიდოდი, ოსიკო ჩვენ ღამის თორმეტზე ან პირველზე გველოდებოდა ალბათ, მაგრამ გზაში მანქანა გამიფუჭდა, სანამ მას ვარემონტებდი, დრო გავიდა და ამის გამო დამიგვიანდა.

გზაში თანდათან შემოგვათენდა და, როდესაც ქვიბურას ხევში შევედით, მზე ამოიწვერა. მართალია, მცირე ხანს, გამგზავრების შემდეგ, თითქო ძილიც კი მომერია, მაგრამ ახლა დილის გრილმა ნიავმა მთლად გამომაფხიზლა და, როდესაც ჩვენი „პობედა“ გეოლოგიურ საძიებო ბანაკის წინ გაჩერდა, მეც და ჯანიკოც მკვირცხლად გადმოვედით მანქანიდან.

ოსიკო უკვე ამდგარიყო და მდინარის პირად იწკუმპლებოდა.

— ოჰო, მოხვედით, დამწვარო ისტორიკოსებო? — შემოგვეგება ის მხიარულად.

ჩვენ, რასაკვირველია, მაშინვე გვინდოდა ყოველივე დაწვრილებით გაგვეგო და კითხვები სეტყვასავით დავაყარეთ.

— ნახე?

— სად ნახე?

— როგორი კვალია?

— მარტო კვალი ნახე თუ რა?

ოსიკომ შემოგვიტია:

— დაიცათ, ყურები ნუ წამაჭამეთ. თქვენ რაზე მეკითხებით ნახეო, თუ განძის შესახებ, მაშინ...

— განძისო? განა განძი ნახე? — ვეცი მოუთმენლად მე.

— მერედა როგორი, — ეშმაკურად ჩამიკრა თვალი ოსიკომ.

— ნუთუ მართლა? ჯანიკო, გესმის? — შევძახე მე ჩემს მეგობარს.

— ეგ შენ რომ გგონია, იმ განძს არ გულისხმობს, — მითხრა ჯანიკომ.

— ყოჩაღ, ჯანიკო! — შეაქო ოსიკომ. — მე ისეთი განძი აღმოვაჩინე, მგონი აქ, რომ... მაგრამ ამაზე შემდეგ. ახლა გეტყვით ,რაზე დაგიძახეთ, თორემ გატყობთ, თუ კიდევ დავაგვიანე, გული შეგიწუხდებათ. გუშინ საღამოს იმ კლდესთან მივედი, სადაც მაშინ ძიება შევწყვიტეთ. მზე უკვე ჩადიოდა და მე ტოპოგრაფს ვაჩქარებდი, სამუშაო მოეთავებინა. ჩვენ ახლა გეგმის, ანუ რუკის დახატვას დროზე უნდა მოვრჩეთ, რადგან მალე საბურღავ სამუშაოებს უნდა შევუდგეთ და აქ დიდი მასშტაბით ძიება დავიწყოთ.

— განა ახლა რას აკეთებთ? — გაკვირვებით შევეკითხე მე.

— ახლა წინასწარ ვიკვლევთ. ჰოდა, მოულოდნელად მოვიხედე და რას ვხედავ! კლდეზე ამოკვეთილ მშვილდ-ისრის გამოსახულებას ორი ინიციალით. თვალებს არ ვუჯერი, ხედავ, ეს რა არის-მეთქი, ტოპოგრაფს ვეკითხები. ვხედავო, მითხრა, მშვილდ-ისარია და ორი ხუცური ასომთავრული ასოა. ეტყობა აქ რაღაც ნაგებობა ყოფილა, ან რაღაც ნიშანია, იქნება გზის მაჩვენებელიაო. ცხადია, არ ვცდებოდი და

ერც მეჩვენებოდა. მაშინ კი დავწერე ბარათი და თქვენთან ჩემი შოფერი ვაფრინე. ახლა წამოდით, ვნახოთ ის ნიშანი.

ერ ვიცი, გავფრინდით თუ ფეხით მივედით კლდის ძირამდე. ხან მე ვიყავი წინ, ხან — ჯანიკო. ოსიკო ძლივს გვეწეოდა.

— აი, აქ უნდა იყოს, — თქვა ოსიკომ, მაგრამ ტუჩები გაკვირვებით მოკუმა და კლდეს დააცქერდა. იქ, სადაც მისი აზრით მშვილდ-ისრის გამოსახულება უნდა ყოფილიყო ამოკვეთილი, არაფერი ამის მსგავსი არ ჩანდა.

ჩვენ კი მოუთმენლად შევცქეროდით ოსიკოს და ვეკითხებოდით:

— სად არის?

— დალახვროს ეშმაკმა! აი, აქ იყო... აქვე ახლო გვქონდა ტოპოგრაფიული ნიშანი. წადი ერთი, ტოპოგრაფს დამიძახე, — უთხრა მან ერთ-ერთ მუშას და მერე ისევ ჩვენ მოგვიბრუნდა: — აი, ამ ადგილზე იყო, კარგად მახსოვს.

— მერე, რაღა იქნა, გაფრინდა? — ჰკითხა გაჯავრებით ჯანიკომ.— მე ვფიქრობ, შენ მგონი ჰალუცინაცია დაგემართა და მოგელანდა.

— მგონი, მართლა მაგრე იყოს, — თქვა დაღვრემით ოსიკომ და ისევ კლდეს დაუწყო კირკიტი. — მე ან ჩემს ჭკუაზე არა ვარ, ან აქ რაღაც ამბავია.

მალე ტოპოგრაფიც მოვიდა.

— პატივცემულო ნიკო, თქვენც ხომ ნახეთ გუშინ აქ, კლდეში ამოკვეთილი გამოსახულება მშვილდ-ისრისა? — ჰკითხა მას ოსიკომ.

— როგორ არა, აი, აქ იყო, — უპასუხა ტოპოგრაფმა და კლდეზე მიუთითა.

— სად არის მერე?

— მართლადა რა იქნა? — იკითხა გაოცებით მოხუცმა და კლდეს მიაშტერდა. — ეს რაღაც სასწაულია, გამქრალა...

— ეგ შეუძლებელია, — ვთქვი მე, — თუ იყო, ერთ ღამეში როგორ გაქრებოდა? თქვენ რაღაც ორივე ურევთ.

— პატიოსნებას გეფიცებით, აქ რაღაც მართლაც უცნაური ამბავია. მე ნათლად ვნახე ის გამოსახულება, — ტოპოგრაფმა კვლავ შეხედა კლდეს. შემდეგ თითქო დაეჭვდა, მგონი აქ არ იყოო და სხვა ადგილებზე დაიწყო ძებნა.

ჩვენც მივყევით ხან აღმა, ხან დაღმა, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. ყველგან ვეძებეთ, მაგრამ იმ უცნაურად გამქრალი გამოსახულების მცირეოდენი კვალიც კი ვერ ვნახეთ.

გაწბილებული დავბრუნდით უკან.

ახლა შეგვეტყო ორივეს უძილობა. მეც და ჯანიკოსაც ისე გვეძ-

ნებოდა, გული გვერეოდა. ოსიკო, მართალია, გამასპინძლებას გვიპირებდა, მაგრამ ჩვენ უარი ვუთხარით და კარავში დასაძინებლად მოვეწყეთ. გვინდოდა ერთი-ორი საათის ძილის შემდეგ თბილისში დავბრუნებულიყავით.

წამოვწექით, მაგრამ დღე ძილს შეუჩვევლებს თვალს რული არ გაგვეკარა. მაინც გარინდულებმა თავი მოვიმძინარეთ, თვალები დავხუჭეთ და ფიქრებს მივყევით.

მოსვენებას არ გვაძლევდა ოსიკოს ეს უცნაური აღმოჩენა. მართლა ჰალუცინაცია იყო, თუ ნამდვილად ნახა ეს გამოსახულება?

იქნება მართლა მოეჩვენა, მაგრამ ხომ არ შეიძლებოდა, ორ ადამიანს ერთი და იგივე მოჩვენებოდა.

მაშინ, ალბათ, ნამდვილად ნახეს, მაგრამ სადღა გაქრა ეს გამოსახულება?

ხან ერთ გვერდზე გადავბრუნდი, ხან მეორეზე, მაგრამ აბეზარი ფიქრი არ მომეშვა და არა.

კარგა ხნის წვალების შემდეგ გადავწყვიტე, რომ არ დამეძინებოდა, თავი ავწიე და ჯანიკოს ვკითხე.

— გძინავს?

— რა ეშმაკი დამაძინებს! — წამოიჭრა ფეხზე ჯანიკო. — შამფურივით ვტრიალებთ ორივე და ერთ ცეცხლში ვიწვით. წამო, ოსიკოს ვუთხრათ მანქანა მოგვცეს და წავიდეთ აქედან. ეს რა ჭირს გადამკიდე, მგონია სამივე გავგიჟდით. მოჩვენებები გველანდება.

— მგონია არ იქნება ურიგო, თუ კარგ ნევროპათოლოგს ან ფსიქიატრს გავესინჯებით, — ვუთხარი მე.

— შენ ხუმრობ და ეგ მართლა არ იქნება ურიგო საქმე.

— მე ახლა ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს ოსიკოს მოგონილია.

— რატომ? — გაუკვირდა ჯანიკოს.

— ისე, გაგვათამაშა და მერე გვეტყვის გეხუმრეთო. ვიცი მაგისი ამბავი.

— ის მოხუციც გვათამაშებს?

— განაზრახებდა. ეტყოდა, ეს ორი დამწვარი ისტორიკოსი მინდა გავაპამპულო და თქვი, ვითომ აქ ასეთი და ასეთი გამოსახულება ვიპოვეთო.

— ეგ რატომ არ მომივიდა აზრად? — იტაცა შუბლზე ხელი ჯანიკომ, — მართლა აგრე იქნება. გათენების ხანს რომ მოგვაყენა კარზე შოფერი, ვითომ უფრო დაიჯერებენო. შენ მართალი ხარ, წამო ერთი და იმ შენს ოსიკოს, მართალია უფროსი კაცია, მაგრამ ისე მიგილანძღავ, შენი მოწონებული... არც კი დაგიდევ იმას, რომ მასპინძელია.

გამეცინა, რადგან ვიცოდი, რომ ჯანიკო ასეთს არაფერს ჩაიდენდა. ორთავენი კარავიდან გარეთ გამოვედით და ოსიკოსთან გავემართეთ. ის ექსპედიციის დიდ კარავში თავის ნახაზებს უჯდა და რაღაც გამოთვლებს აწარმოებდა.

— ოჰ, მოხვედით, ვაუკაცებო, — გვითხრა მან და ფანქარი ნახაზზე დააგდო, — არ შემიძლია მუშაობა. მთელი დღეა ამაზე ვფიქრობ. მზადა ვარ სასწაული დავიჯერო.

— ეგ მგონი მართლა ურევს, — წამჩურჩულა ყურში ჯანიკომ და მერე ხმამაღლა დასძინა, — შეიძლება დაიჯერო კაცმა მატერიალისტური სასწაული.

— როგორ? — ღიმილით შეხედა ოსიკომ.

— აი, აქ თუ მადნები აღმოჩნდა, ეს მართლა რომ სასწაული იქნება. თუ ამის დაჯერებას აპირებ, ჩვენ მზადა ვართ მხარი დაგიჭიროთ. რაც შეეხება გამოსახულებას კლდეზე...

— კარგია, მაგას თავი დავანებოთ, — წამოიჭრა ზეზე ოსიკო, — წამოდით, ცოტა პური ვჭამოთ. არ მოგშივდათ?

— მგელივით, — ვუთხარი მე.

შენაყრების შემდეგ ოსიკოს ვთხოვეთ, რომ მანქანა მოეცა ჩვენთვის და თბილისში გავეშვით.

— ცოტა მოიცადეთ, რა გეჩქარებათ, — გვითხრა მან.

— როგორ თუ რა გვეჩქარება, სამსახურში იმას ხომ არ ვეტყვით, ჰალუცინაციებს დავდევდითო, — ვუსაყვედურე მე.

— მოდით ერთი, კიდევ ვნახოთ ის კლდე, — მოგვმართა ოსიკომ, — გული ვიჯეროთ. მხოლოდ ცოტა მომიცადეთ აქ, პატარა საქმე მაქვს და მერე ერთად წავიდეთ.

ჯანიკომ წარბშეკვრით გადმომხედა.

— მე ვფიქრობ, რომ, ოსიკო ჩემო, შენ აქ ბევრი შემთხვევა გექნება ის კლდე ნახო, ჩვენ კი, შენ გენაცვალე, გაგვიშვი, — უთხრა ბოლოს მან ოსიკოს.

— მაშ წასვლა გინდათ?

— აუცილებლად.

— შენ, ოთარ?

— მეც... თუმცა... თუმცა რახან ჩამოვედით, მოდი ოსიკოს ხათრს ნუ გავუტეხთ, სულ ერთია, დღე მაინც გაგვიცდა, — მივუბრუნდი ჯანიკოს.

— კარგი, აგრე იყოს, — მოწყალებასავით გაიღო თანხმობა ჯანიკომ.

ოსიკო თავის საქმეებზე წავიდა, ჩვენ გვინდოდა ძველი გათხრები

დაგვეთვალიერებინა, მაგრამ ახლა ამ შენაყრების შემდეგ, მოულოდნელად ძილი მოგვერია. ამიტომ კვლავ ჩვენს ლოგინებს დავუბრუნდით და მივდევით თავი თუ არა, მაშინვე დაგვეძინა.

როდესაც ოსიკომ გაგვაღვიძა, უკვე საღამოვდებოდა.

— გეყოფათ ხვრინვა, — გვითხრა მან, — ერთი ათჯერ მაინც მოვედი, მაგრამ აღარ გაგაღვიძეთ. მერე რა მხატვრული ხვრინვა გცოდნიათ ორთავეს. ერთი უნდა ვუთხრა ჩვენს კომპოზიტორებს, დასწერონ ხვრინვის სიმფონია. საინტერესო რამე იქნება. შენ, მაგალითად, ფალცეტით ხვრინავდი, ჩემო ოთარ, შენ კი ჩემო ჯანიკო, ხვრინვის სახალხო არტისტი ყოფილხარ. წავიდეთ, ვნახოთ ის კლდე. თუ... გეზარებათ და თბილისში წახვალთ?

— შენი ხათრისათვის წავიდეთ, თორემ, ცხადია, დროს ტყუილად ვკარგავთ, — უხალისოდ და თვალების ფშვნეტით თქვა ჯანიკომ.

ღრუბლიანი საღამო იყო. მარტო დასავლეთით ლაპლაპებდა ცა ალისფრად.

სამივენი ჩუმად მივაბიჯებდით იმ საარაკო კლდისაკენ. როდესაც დავუახლოვდით, ოსიკო დაწინაურდა და გაფაციცებით დააცქერდა იმ ადგილს, სადაც, მისი აზრით, გამოსახულება უნდა ყოფილიყო.

ამასობაში ჩვენც მივედით.

ცხადია, იქ არავითარი გამოსახულება არ ჩანდა.

— ასე რომ მცოდნოდა, წინასწარ მაინც მოვიდოდი და დავხატავდი, — იხუმრა ჯანიკომ.

ჩვენ კიდევ ცოტა ხანს ვიდექით ადგილზე და, რადგანაც უკვე აზრი აღარ ჰქონდა იქ ყოფნას, დაბრუნება გადავწყვიტეთ.

ჩამავალმა მზემ ღრუბლებქვემოდან გამოიკყიტა და უცნაური ყვითელი ფერით შეამკო მთაგორები.

— ამას რატომღაც მკვდართა მზეს უწოდებენ, — თქვა ოსიკომ, უნებურად ისევ შეხედა კლდეს და მოულოდნელად იყვირა:

— ამას შეხედეთ!

მოვიხედეთ და კლდეზე აშკარად დავინახეთ დაჭიმული მშვილდისრის გამოსახულება და ორი ასო: „მ“ და „შ“.

• •

— მერე, მერე? — მოუთმენლად მომაძახა მერიმ.

მისი სამივე ბავშვი პირდაღებული შემომცქეროდა.

— მერე რა, — განვაგრძე მე დაწყებული თხრობა, — შევცქეროდი ამ გამოსახულებას კლდეზე და ცხადი ხდებოდა ჩემთვის, თუ რატომ

ისახებოდა ხანგამოშვებით ეს გამოსახულება. კლდე სამხრეთით იყო, ხოლო დასავლეთით ჩამავალი მზის სხივები კლდეზე მკვეთრ სინათლესა და ჩრდილების კონტურებს ქმნიდნენ.

— თუ ეს გამოსახულება ამოჭრილი იყო კლდეზე, რატომ მანამდე არ ჩანდა იგი? — მკითხა მერიმ.

— საქმე ისაა, რომ პირდაპირი განათების დროს მისი გარჩევა თითქმის შეუძლებელი იყო. დროთა განმავლობაში კლდის ზედაპირი თანაბრად გამოფიტულიყო და იმდენად ერთფეროვანი შესახედაობა ჰქონდა, იქ ვერავითარ გამოსახულებას ვერ შეამჩნევდით. ჩვენ, ცხადია, მაშინვე ვეცით და ფანქრით მისი კონტურები მოვხაზეთ.

— მერე?

— მერე რა! ესაა სულ. ახლა ვაპირებთ იმ ფრიალო კლდის ზედაპირის დაწვრილებით გამოკვლევას. უნდა წავიდეთ ისევ, წავიღოთ თოკის კიბეები და შევუდგეთ ძიებას. ოსიკო ფიქრობს, რომ შესაძლებელია ამ კლდეშია ის გამოქვაბული, მაგრამ შესასვლელი, ალბათ, ამოქოლვილი აქვს და შორიდან არ მოჩანსო.

— ეგ ადვილი შესაძლებელია.

— ამიტომ ოსიკომ შემოგითვალა, მაპატიე, თვითონ მე რომ ვერ ჩამოვედი, და თუ გსურს შენც მიიღო მონაწილეობა, აუცილებლად წამოდიო.

— აუცილებლად წამოვალ. — თქვა მერიმ, — თქვენ როდის მიდიხართ?

— მე მგონია, ზეგ წავალთ.

— დედა, ჩვენც მოვდივართ, ხომ? — იკითხა ციალამ და დედამისს მუდარით აღსავსე თვალებით შეხედა.

— მეც, მეც! — აჰყვა თავის უფროს დას ლექსო.

— მე-ე-ე-ეც! — დაჰკრა კვერი ოთარმა.

— ჩუმად იყავით! — შეუტია შვილებს მერიმ. — თქვენ თუ ფეხებში არ გამოგვებლანდეთ, ისე არ შეიძლება. თქვენ აქ, სახლში იქნებით და არსადაც არ წახვალთ.

თითქოს სამთავესათვის დირიჟორს ხელის ერთი აქნევით ენიშნებინოს, და-ძმამ ისეთი ტირილის და ზუზუნის კონცერტი გამართა, ყურთასმენა აღარ იყო.

— მოიცათ, ჯერ არსად არ მივდივართ, ზეგამდე დიდი დროა, — სცადა მერიმ ბავშვების დამშვიდება, მაგრამ ამაზე მათ უფრო აუწიეს ხმას.

საჭირო იყო ჩემი ჩარევა საქმეში, თორემ ვატყობდი, დედა-შვილთა მორიგება უფრო გაძნელდებოდა.

— დაიცათ, ბავშვებო, დაიცათ. მე პირობას გაძლევთ, რომ, თუ წვიმა ან ქარიშხალი არ იქნა, აუცილებლად წაგიყვანთ.

ამ დაპირებამ ოდნავ შეანელა მათი საკონცერტო შესრულების ხმიანობა და იგი ფორტისიმოდან პიანოზე გადაიყვანა.

— თუ წვიმა იქნა? — მკითხა ციალამ და ცრემლიანი თვალები შემომანათა.

— მაშინ ვერც დედათქვენი წამოვა და ვერც ჩვენ წავალთ.

ამან გასაოცარი დამამშვიდებელი გავლენა იქონია ბავშვებზე და ისინი მაშინვე გაჩუმდნენ.

დერეფანში რომ გამოვდიოდით, მერიმ ყურში ჩამჩურჩულა:

— ხვალ აუცილებლად მოდი და ბავშვებთან მითხარი, რომ ჩვენი ექსპედიცია ერთი კვირით გადაიდო, თორემ ახლა მაგათ ვერ წამოვიყვან. ხვალ საღამოს ყველას დედაჩემს მივგვრი და იქ დავტოვებ, ჩვენ კი ზეგ ერთად გავემგზავრებით.

კიდევ კარგი, რომ ეს ბავშვებს არ ესმოდათ, თორემ კონცერტის მეორე განყოფილება გაიმართებოდა.

მეორე დღეს მე დილიდან საღამომდე საექსპედიციო საჭურველის მომზადებით ვიყავი გართული. თოკის კიბეები დაზიანებული აღმოჩნდა და საჭირო იყო მათი შეკეთება. ალპიური თოკებიც არ გვქონდა სათანადო რაოდენობით. დამატებით საჭირო გახდა მათი შეძენა. იქ, გარდა ამისა, ჩვეულებრივი ალპიური ფეხსაცმელიც არ გამოგვადგებოდა. გაცილებით უკეთესი იყო, ახალი, სამკაპებით მოჭედილი დაბალყელიანი ჩექმები. ამასაც მომზადება ჭირდებოდა და საღამოს, როდესაც გამახსენდა, რომ მერისთანაც უნდა მივსულიყავი, ისე ვიყავი დაღლილი, — ლასლასი გამქონდა. ტელეფონით დავურეკე, ბოდიში მოვიხადე, რომ ვეღარ მივიდოდი, და ვთხოვე, გასამგზავრებლად მზად დამხვედროდა.

ჩვენთან ახლა ჯანიკოს გარდა არქეოლოგების მთელი ჯგუფი მოდიოდა პროფესორ გივი ჯორჯიაშვილის მეთაურობით.

დილით, როდესაც მერის გავუარეთ, ავტობუსი უკვე სავსე იყო ექსპედიციის მონაწილეებით და საექსპედიციო საჭურველით.

— რომ იცოდე, როგორ გამიჭირდა ბავშვების გატყუება დედაჩემთან, — მითხრა მერიმ, — პირდაპირ შეშიკლეს ხელში.

მერი პროფესორის გვერდით დაჯდა და ჩვენი ავტობუსი გაუდგა გზას.

ყველას მხიარულად უციმციმებდა სახე.

— თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთ საინტერესო ექსპედიციაში პირველად მიხდება მონაწილეობის მიღება, — თქვა პროფესორმა, — მე ბევრი გამოქვაბული გამოვიკვლიე. საქართველო, რ ოგორც მოგეხსენებათ, ცნობილია თავისი გამოქვაბულებით, ხოლო ბევრი მათგანი სრულიადაც არ არის გამოკვლეული.

— გვიამბეთ თქვენი გამოკვლევების შესახებ, — სთხოვა მერიმ.

— სიამოვნებით. ჩვენში რამდენიმე ტიპის გამოქვაბულია. პირველი მათგანი ბუნებრივია და მათ შექმნაში ადამიანს მონაწილეობა არ მიუღია. იგი მხოლოდ პირველყოფილმა ადამიანმა გამოიყენა საცხოვრებლად. ეს იმ ხანებში, როდესაც მას ქვისა და ხისაგან იარაღის კეთება შეეძლო და ცეცხლის დანთება იცოდა. შემდეგში მან ხელოვნურადაც ისწავლა გამოქვაბულის გამოკვეთა, ეს უკვე უახლეს ქვის ხანაში და მის მომდევნო პერიოდში. გამოქვაბულთა უმრავლესობა კირქვიან ზოლებში გვხვდება, თუმცა არის ქვიშაქვის ან ვულკანურ ტუფებში გამოკვეთილი ქვაბულებიც. ბუნებრივი გამოქვაბულები კირქვიან ზოლებში წარმოქმნილია წყლის ზემოქმედებით. ხშირად ასეთი გამოქვაბულები ასეული მეტრის სიგრძეზე მიდის, ხოლო შიგნით შემკულია სტალაქტიტებით და სტალაგმიტებით. სტალაქტიტი წარმოშობილია ზევიდან ჩამოჟონილი წყლის წვეთწვეთად დინებით. ამ წყალს მოჰქონდა მინერალური ხსნარი, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ბევრ ადგილას იგი ბროლის ან ყინულის ლოლუებივითაა დაკიდული. სტალაგმიტი კი ქვემოდან ზემოთ აზრდილი ასეთივე ლოლუაა და, როდესაც ამნაირ გამოქვაბულებში შედიხართ, იმაზე ულამაზეს სანახაობას ვერსად იხილავთ.

— ასეთია სათაფლიას გამოქვაბული ქუთაისის ახლოს.

— დიახ, სათაფლია იცით რატომ ჰქვია იმ ადგილს?

— როგორ არა, იქ კლდის ზემო ლაკგარდანზე უამრავი პაწაწინა გამოქვაბულია, რომელიც ფუტკრებს სკებად გამოუყენებიათ.

— სწორია, — გაიღიმა პროფესორმა, — ახლა მეორე ტიპის გამოქვაბულზე ვილაპარაკოთ. ისინი, როგორც მოგეხსენებათ, ხელოვნურ გამოქვაბულთა ჯგუფს ეკუთვნიან. საქართველოში მრავალი ასეთი მცირე და დიდი გამოქვაბულია, ხელით გამოკვეთილი, ხოლო ორი მათგანი, ვარძია და უფლისციხე, მსოფლიოში უნიკალური ძეგლებია, ესენი არიან გამოქვაბული ქალაქები. ვარძიაში ათასამდე ოთახია და ის იშვიათი სანახავია. ესენი საცხოვრებელ ნაგებობას წარმოადგენენ. არის კიდევ ერთი სახის გამოქვაბული. მას სეიფის დანიშნულება აქვს. იგი ან ხელოვნურია და საიდუმლოდ მიმალული, ან ბუნებრივი და სათანადო

მინაშენებით და ტიხრებით მიუვალ ადგილებში მოწყობილი, როგორც მაგალითად ხვამლის მთაზე, ლეჩხუმში. ეს გამოქვაბული ხვამლის ფრიალო კლდის ზედ შუაგულზეა და იგი დაწვრილებით გამოიკვლია ჩვენმა ცნობილმა მთასვლელმა ალიოშა ჯაფარიძემ. ასეთი გამოქვაბულები განკუთვნილი იყო სამეფოს ან სამთავროს განძეულობის დასამალავად. ეს ჩვენი საიდუმლო გამოქვაბულიც იმავე ტიპის უნდა იყოს, როგორც ხვამლის მთაზე, მაგრამ ვაითუ აქაც ისევე აღარაფერი არ აღმოჩნდეს, როგორც ხვამლის გამოქვაბულში. ვახუშტი ბატონიშვილს თავის „საქართველოს გეოგრაფიაში" უწერია: „ხომლის კლდემ მიიღო სახელი ესე სიმაღლით, ხომლის ვარსკვლავის სწორებით. ამ კლდეში არის ქვაბი გამოკვეთილი, მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები". მაგრამ იქ, როგორც მოგახსენეთ, აღარაფერი დაგვიხვდა.

— არა, აქ, მგონი, აღმოჩნდეს უდიდესი განძი, — ვუთხარი მე.

— რა, მადანი? ეგ რასაკვირველია, უდიდესი და ყველაზე სასიხარულო განძი იქნება, — თქვა ღიმილით პროფესორმა, — მაგრამ მე ჩემი პროფესიონალური ინტერესი მალაპარაკებს. ჩემთვის ერთი წარწერიანი ქვის აღმოჩენას, რაიმე ძველი საბუთის ნახვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამას წინათ ერთ ადგილას ქვის ხანის ნახატი აღმოვაჩინე კედელზე და სიხარულით მთელი კვირა რა მიძინია. ეს იყო მსოფლიოში ერთადერთი ნიმუში ამ სახის ნახატისა. კლდეზე ხარი იყო გამოხატული. ეჰ, თქვენ ჯერ კიდევ კარგად არ იცით ახალი მეცნიერული აღმოჩენის გემო.

დილით ჯერ კიდევ ადრე იყო, რომ მივედით, მაგრამ მთელი დღე დაბანაკებას და მოსამზადებელ სამუშაოებს მოვანდომეთ. ოსიკოს, მართალია, თავისი საქმეები თითქმის ჩვენკენ მოხედვის საშუალებასაც კი არ აძლევდა, მაგრამ ყოველ თავისუფალ წუთს ჩვენთან იყო და მუშაობაში გვეხმარებოდა.

კლდის ძირას დავბანაკდით. ტილოს კარვები დავდგით და გასაშლელი ლოგინები მოვაწყვეთ. შემდეგ ისღა მოვასწარით, რომ კლდის თავზე ავედით და იქიდან ბაგირი დავუშვით. ხვალ იმით უნდა აგვეწია თოკის კიბეები.

ინათლა თუ არა, ოსიკომ ყველანი ფეხზე წამოგვყარა. ჯანიკო და ოთხი დანარჩენი ახალგაზრდა კლდის თავზე ასასვლელად გავგზავნეთ: მათ თოკის კიბეები უნდა აეწიათ. პროფესორი გივი ჯორჯიაშვილი კი მერისთან ერთად დადიოდა და ამ ზღაპრული კლდის გასწვრივ ყოველ კუნჭულს გულდასმით ათვალიერებდა, იქნებ რაიმე ახალ კვალს ან ნიშანს წავაწყდეთ სადმეო.

მე, ოსიკო და ჩვენი ექსპედიციის მხატვარი რეზო ნიკოლაძე ცოტა უკან დავდექით, რომ კლდისთავზე შემოვლით ასულ ბიჭებისთვის გვენიშნებინა, როდის აეწიათ ბაგირი და როდის გაემაგრებინათ იგი კლდის ქიმზე.

მალე ზემოდან ძახილი მოისმა. ჩვენ ვანიშნეთ, რომ ბაგირი აეწიათ, და ისინიც შეუდგნენ საქმეს. მოულოდნელად ჩვენი ყურადღება კლდის შუაგულთან მოფრენილმა ორმა არწივმა მიიპყრო. ისინი ჰაერში ტრიალებდნენ, ირაოს აკეთებდნენ და თითქო გამალებით რაღაცას უთვალთვალებდნენ.

— ისინი საიდან მოფრინდნენ? — იკითხა ოსიკომ.

— რაღაც საეჭვოდ ტრიალებენ, — თქვა პროფესორმა და დურბინდი მოიმარჯვა.

მოულოდნელად ერთი მათგანი გამწარებით ეცა ჩვენს ბაგირს, ასე გულმოდგინედ რომ ეზიდებოდნენ მაღლა ბიჭები. ეცა და წეწვა დაუწყო. მერე მოცილდა და ახლა მეორე ეცა იმავე ადგილს და ბაგირს წეწვა დაუწყო.

ბიჭები, ეტყობა, ამას ვერ ხედავდნენ; მათ ეგონათ, რომ ბაგირი კლდეს გამოედო, ამიტომ იგი ოდნავ დაბლა დაუშვეს და შემდეგ ისევ დაიწყეს აწევა.

არწივები ბაგირს მოცილდნენ და კვლავ დაიწყეს ფარფატი კლდის შუაგულთან.

— ეჰეე, ეს ვერ არის კარგი საქმე, — თქვა პროფესორმა, — ეტყობა, იმ ადგილზე ბუდე აქვთ და იქ ჩვენ ვერ ავალთ.

— რატომ? — გაოცებით ვიკითხე მე.

— შენ, რაო, არწივი მოშინაურებული მამალი ინდაური ხომ არ გგონია, რომ ხელით დაიჭირო, — მითხრა პროფესორმა.

— მაშ როგორ მოვიქცეთ?

— ან ეგ არწივები უნდა როგორმე დავხოცოთ, ან ექსპედიცია მანამდე გადავდოთ, სანამ ეგენი თავიანთ მართვებს დაზრდიან და დააფრენენ.

ოსიკო პირმოკუმული იცქირებოდა მაღლა.

— სულ დამავიწყდა თოფი წამომეღო, — თქვა მან, — ჩვეულებრივი ორლულიანი თოფით მაგათ ვერაფერს დააკლებ, ტყვიას ვერ მიუწვდენ, მაგრამ მე სამლულიანი შტუცერი მაქვს და მაგათ ერთ წუთში ჩამოვაგდებდი ორთავეს.

— შენი მშვილდ-ისრით სცადე, — ვუთხარი მე.

ოსიკომ გაიცინა.

— განა მართლა ავთანდილი ვარ და ისე მაქვს ისრის სროლაში ხელი გაწაფული, რომ ორბი ან არწივი აგრე ადვილად ძირს ჩამოვაგდო! ეგ არ გამოვა.

— შენ სცადე, — არ ვეშვებოდი მე. რატომღაც მინდოდა, რომ ამ ჩვენი მშვილდ-ისრით რომელიმე ჩვენგანს გაეგმირა ეს არწივები.

სანამ ჩვენ ამ დავიდარებაში ვიყავით და არ ვიცოდით როგორ მოგვეცილებინა თავიდან ეს ორი საშიში მტაცებელი ფრინველი, ოსიკოს გაახსენდა, რომ საწყობის ყარაულს ძველებური კარაბინი ჰქონდა, და მის მოსატანად კაცი გაგზავნა. ვიდრე ის დაბრუნდებოდა, არწივებმა თითქო იგრძნეს, რომ ცუდი რამ მოელოდათ, მოულოდნელად იბრუნეს პირი, წავიდნენ მაღლა და მალე სრულიად გაჰქრნენ თვალთაგან.

— ბიჭოს, მგონი ისინი საკმაოდ ჭკვიანები აღმოჩნდნენ, — გაიცინა ოსიკომ, — დროზე უშველეს თავს.

— მე ახლა მათი წასვლა უფრო მაშინებს, — თქვა პროფესორმა, — ისინი შეიძლება ისე მოულოდნელად დაგვესხნენ თავს, რომ აზრზეც არ ვიყოთ, ამიტომ ხომ არა სჯობს ჩვენი ექსპედიცია გადავდოთ?

— რასა ბრძანებთ, — შეედავა ოსიკო, — ფრინველმა როგორ უნდა შეგვაშინოს. მტრის ტანკებს არ შევუშინებივარ და ახლა ორმა არწივმა როგორ უნდა დამაფრთხოს?

მალე თოკის კიბე თითქმის კლდის თავის სიმაღლემდე იქნა ატანილი და ჩვენც ასასვლელად დავიწყეთ მზადება. მერი არ მოეშვა ოსიკოს და აიძულა ყოველ შემთხვევისათვის ზურგზე კარაბინი გადაეკიდა.

— ერთიც ვნახოთ, მოფრინდნენ და თავს დაგესხნენ, მერე რას აპირებ? — უთხრა მან ქმარს.

ოსიკომ გადაიკიდა თოფი, აისხა სხვა საჭურველი: ჩაქუჩი, რკინის პალოები, ალპიური თოკი, დურბინდი, მანძილმზომი და ფრთხილად დაიწყო კიბეზე ასვლა. ჩვენ ქვემოდან რაც შეგვეძლო კიბეს ვჭიმავდით, რათა მას ნაკლებად ექანავა. ოსიკო ძალიან ნელა მიიწევდა წინ. ქვემოდან კარგად ვერ ვხედავდი, ამიტომ კიბის დაჭიმვა ახალგაზრდებს მივანდე, მე კი მერისთან და პროფესორთან ერთად ცოტა მოშორებით დავჯექი და იქიდან ვუთვალთვალებდი ოსიკოს ნოძრაობას.

— თვალი გეჭიროთ, ის არწივები ისევ არ მოფრინდნენ. — თქვა პროფესორმა და პირველმა თვითონ შეათვალიერა ცა.

მალე ოსიკომ კლდის შუაგულს მიაღწია. მან მოულოდნელად ნაბიჯი განზე გადადგა და კიბიდან ლავგარდანზე გადავიდა. ეს ლავგარდანი ახლა შევნიშნეთ და იმდენად ვიწრო გვეჩვენებოდა, რომ გაოცებით შევცქეროდით ოსიკოს. პირდაპირ დაუჯერებელი იყო, რომ იქ

დგომა შეიძლებოდა. არათუ დგომა, ოსიკო ამ ლავგარდანს გაუყვა და გულდასმით ათვალიერებდა კლდეს.

— ოსიკო, მეც ამოვალ, — ავძახე მე.

— ამოდი, — მომესმა ცოტა ხნის შემდეგ მისი პასუხი.

მაშინვე გავექანე კიბისაკენ და დავიწყე ასვლა. ეს ძალზე ადვილი საქმე მეგონა, მაგრამ მოვტყუვდი. მართალია, მე ბავშვობიდან სპორტით ვიყავი გატაცებული და საკმაოდ კუნთმაგარ ბიჭად ვითვლებოდი ჩემს ტოლებში, მაგრამ ახლა თხუთმეტიოდე საფეხურის შემდეგ მკლავებშიაც და მუხლებშიაც საოცარი დაღლა ვიგრძენი.

ცოტა შევისვენე და ისევ განვაგრძე გზა, თუმცა ვგრძნობდი, რომ რაც უფრო მაღლა ვიწევდი, გეომეტრიული პროგრესიით მატულობდა სიძნელე. ლავგარდანს რომ მივაღწიე, სულს ძლივს ვითქვამდი. ისევ შევისვენე და, როდესაც კიბიდან გადაბიჯება დავაპირე, მოულოდნელად ქვემოდან კივილი შემომესმა. უნებურად მოვიხედე და რას ვხედავ, არწივები ჩემკენ მოჰქრიან და სადაც არის თავს დამესხმიან. ისინი თურმე მერის შეენიშნა და შეშინებული მაფრთხილებდა ქვემოდან. ვერ ვიტყვი, რომ მაშინ რაიმე შიში განმეცადოს, საამისოდ დროც კი არ მქონდა. ის-ის იყო ერთი არწივი უკვე უნდა დამცხრომოდა თავზე, რომ ამ დროს თოფის გრიალი გაისმა, არწივი დაფრთხა და ტრიალ-ტრიალით წავიდა მაღლა. მეორეც სროლის ხმამ დააფრთხო და მანაც ზეცაში ჰკრა კამარა.

მალე ოსიკო მომეშველა და ლავგარდანზე გადასვლაში დამეხმარა.

— მოდი, ნუ გეშინია, — მითხრა მან, — ხომ არ დაუშავებიხარ?

— არა, შენ წარმოიდგინე, რომ შეშინებაც კი ვერ მოვასწარი.

ქვემოდან ძახილი მოგვესმა. პროფესორი გვთხოვდა, ახლავე ორთავე ჩავსულიყავით ძირს.

— რა ვქნათ? — ეკითხე ოსიკოს.

— შეგიძლია მომყვე? ეს ლავგარდანი მაინც გამოვიკვლიოთ.

— არწივები რომ დაგვესხან თავს?

— არა მგონია. თუ გინდა, შენ მანდ მოიცადე და მარტო მე წავალ.

— არა, რატომ, მეც მოგყვები.

ოსიკო წინ წავიდა. მეც ვცადე ფრთხილად მივყოლოდი, თუმცა ჩემს თავს შევატყვე, რომ ფეხზე მტკიცედ ვერ ვიდექი. ლავგარდანი არც ძალიან ფართო იყო, მაგრამ ზედ გავლა შეიძლებოდა, მე კი ძლივს მივბობღავდი და კლდეს თავგანწირვით ვეჭიდებოდი. ოსიკომ შემატყო, რომ თავი მტკიცედ არ მეჭირა და მიბრძანა უკან გავბრუნებულიყავი.

— ქვემოთ ჩადი და იქ მომიცადე!

— არა! — ვიუარე მე. — რატომ უნდა მიგატოვო.

— აქ შენ გიდარაჯო თუ კლდე ვიკვლიო?!

— მე რად უნდა მიდარაჯო!

— მაშ ის ორბებია, თუ არწივები, თავს რომ დაგვესხან, შენ ამ კლდეზე ფეხს ვერ მოიკიდებ.

— მაშინ შენც წამოდი, — არ ვეშვებოდი მე, — ორივე ჩავიდეთ.

— კარგი, აგრე იყოს, — მითხრა მან და მობრუნდა. ის კი მობრუნდა, მაგრამ მე ვეღარ დავიძარ ადგილიდან. არ ვიცი რისი ბრალი იყო და, მუხლები ისე ამიკანკალდა, ფეხზე ვეღარ დავდექი. ლავგარდანზე ჩავიჩოქე, კლდის ქიმებს ორივე ხელით ჩავაფრინდი და ვცდილობდი მუხლების თახთახი შემეჩერებინა.

ოსიკო თავზე დამადგა და, ასეთ მდგომარეობაში რომ დამინახა, ისეფი დამჭყივლა, რომ კინაღამ იმ არწივებზე უარესი დამმართა.

ნათქვამია, დამწვარს დამწვრით არჩენენო, ისე მალამოსავით იმოქმედა ჩემზე ოსიკოს შეძახილმა და დატუქსვამ, რომ ვერ წარმოიდგენთ.

— ჰაიტ, შე ასეთო და ისეთო, — მიყვირა მან, — ეგაა შენი ვაჟკაცობა? დადექი ფეხზე!

ესეც არ მაკმარა. ერთი კი გაჰკრა კარაბინის საკეტს ხელი და თოფი ზედ ყურთან დამიცალა. ამან კი მართლა საბოლოოდ გამომაბრუნა. ორთავემ ფრთხილად დავიწყეთ ჩასვლა თოკის კიბეზე. ოსიკო წინ მიმიძღვოდა, მაგრამ თვალი სულ ჩემკენ ეჭირა. გზადაგზა სულ იმის შიშში ვიყავი, ვაითუ მიწაზე ფეხს რომ დავაბიჯები, ან დავბარბაცდე ან წავიქცე-მეთქი. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, არა თუ დავბარბაცდი, პირიქით — გული დამწყდა, რომ შევწყვიტეთ ძებნა და ჩამოვედით. მზად ვიყავ იმწამსვე დავბრუნებულიყავი უკან.

— რა კარგი ჰქენით, რომ ჩამოხვედით, — გვითხრა პროფესორმა, — უეჭველია, არწივებს იქ ბუდე აქვთ და მათი თავდასხმა ყოველთვის მოსალოდნელია.

— სამაგიეროდ ვინ იცის, იქნება ამათი ბუდე სწორედ იმ გამოქვაბულის შესასვლელთანაა, — თქვა ოსიკომ.

— ეგ შესაძლებელია, — დაეთანხმა პროფესორი, — მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში სიფრთხილე გვმართებს. რა საჭიროა თავის განწირვა, მით უმეტეს, რომ შეგვიძლია, თუ სათანადო ზომებს მივიღებთ, თავიდან ავიცილოთ ყოველი საფრთხე.

— მაშ როგორ მოვიქცეთ? — ვკითხე მე.

— დღეს შევიცადოთ და მორიგეობით განუწყვეტლად ვუთვალთვალოთ. თუ მათ მართვები ჰყავთ, აუცილებლად მოფრინდებიან, რომ მათ საჭმელი მოუტანონ. ჯერ კიდევ კარგად მოვსინჯავთ იმ ადგილს, სადაც ბუდე აქვთ, და მერე შესაძლებლობა მოგვეცემა როგორმე ისინი მოვიგერიოთ. მაშინ კი სადარდებელი არაფერი გვექნება და თავისუფლად გამოვიკვლევთ ამ კლდეს.

— იქნებ დღეს სულაც არ მოფრინდნენ და ხვალ მოეგუნებოთ მოფრენა, — თქვა ოსიკომ.

— ეგეც შესაძლებელია.

— მაშინ ეს დღე ტყუილუბრალოდ უნდა დავკარგოთ? არა, ცოტა შევისვენოთ და მერე მე და ჩემი მეუღლე ავალთ კლდეზე. მე თოფით ვუდარაჯებ, მერი მოძებნის ბუდესაც და გამოქვაბულის კარსაც.

— ეგ შეუძლებელია! — იუარა პროფესორმა. — განა აგრე გაგიმართლებს ბედი, რომ ერთი გასროლით ჩამოაგდო არწივი? მიწაზე რომ იდგე, მესმის. იქ, კლდეზე დგახარ, მოუხერხებლად, ვერ მიბრუნდები, რა იცი, რა მდგომარეობაში მოგიხდება სროლა. არა, მე ამის უფლებას არ გაძლევთ.

მეტი გზა არ იყო, დავაწესეთ მორიგეობა. ყოველ ჩვენგანს თითო საათი უნდა განუწყვეტლივ ეთვალთვალებინა, დანარჩენები კი წავედით, ზოგი — დასასვენებლად, ზოგი — მიდამოს დასათვალიერებლად.

პროფესორი მოღუშული დაბორიალობდა და ხანგამოშვებით კლდეს უცქეროდა.

— ოთარ, ძოდი აქ, — დამიძახა მოულოდნელად მან.

— გისმენთ, პატივცემულო გივი. — ვუთხარი მე და თვალებში შევაცქერდი.

— იცი რა. მე გადავწყვიტე, რომ ჩვენი ექსპედიცია ზამთრამდე გადავდოთ.

— რატომ?

იმისთვის რომ, ჩემის აზრით, არწივებს იქ მართვები ჰყავთ, სანამ მათ არ დაზრდიან და არ დააფრენენ, ჩვენ იმ კლდეს ვერ მივეკარებით.

ეჰ, ეგ რას გაწუხებთ. ხვალვე ჩამოვიყვან თბილისიდან ოცამდე მონადირეს და იმ არწივებს ხელად მოუღებენ ბოლოს.

— არასოდეს! — ისე მტკიცედ წამოიძახა პროფესორმა, რომ მე უნებურად გაოცებით შევხედე მას.

— რატომ, ნუთუ ეგ მტაცებელი ფრინველები გეცოდებათ?

— არა, — მითხრა მან, — მე უკვე სრულიად დარწმუნებული ვარ, ეს საიდუმლო გამოქვაბული კლდეში, ასე გატაცებით რომ დავეძებთ დიდი რუსთველის გამოქვაბულია, და არავის არ მივცემ ნებას დახოცოს ის არწივები, რომლებიც მის ქვაბს დარაჯობენ.

რამდენი ვედავეთ პროფესორს. ვუმტკიცეთ, რომ იმ არწივებმა აბა რა იციან, იქ რუსთველის გამოქვაბულია თუ ჩახრუხაძისა, იმათ ბუდე შემთხვევით გაუკეთებიათ იმ ადგილზე და ჩვენ ამისთვის ექსპედიცია რად უნდა გადავდოთო, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა .აიჩემა, ჯერ-ჯერობით ძალიან ძნელია იმ არწივების დახოცვა, შეიძლება მთელი ზაფხული ვუდარაჯოთ და ვერაფერი დავაკლოთ, მერე — იმ არწივებს არ დაგახოცინებთ და საერთოდ რატომ უნდა ჩავაგდოთ საფრთხეში რომელიმეს სიცოცხლე; რა გვეჩქარება, შემოდგომა შორს არაა, ეს კლდე არსად გაგვექცევა, ოსიკო მუდამ აქ იქნება, როგორც კი შესაძლებელი გახდება ძიების გაგრძელება, გვაცნობებს და ჩვენც ყველანი მაშინვე აქ გავჩნდებითო.

თოკის კიბე ჩამოგვახსნევინა და ბანაკიც მოგვაშლევინა.

ისეთი ვიყავი — დანა პირს არ მიხსნიდა, მაგრამ ჩემთვის უაღრესად პატივსაცემ პროფესორს ხათრი ვერ გავუტეხე.

გადავდეთ ჩვენი ექსპედიცია შემოდგომისათვის.

როდესაც ავტობუსში ვსხდებოდით, ოსიკომ განზე გამიხმო და ყურში წამჩურჩულა:

— ეგ შენი პროფესორი, ეტყობა, დიდი რომანტიკოსი ყოფილა. შემდეგში ამ საქმეში მაგას ნუ ჩავრევთ. მე შემოგითვლი და შენ და ჯანიკო ჩამოდით. ჩუმად გამოვიკვლიოთ სამთავემ!..

ასე დავბრუნდით უკან გაწბილებულნი, მაგრამ მე და ჯანიკო იმ იმედით მაინც ვიყავით აღსავსე, რომ ოსიკო დღე-დღეზე გამოგვიძახებდა და ჩვენ საიდუმლოდ მოვძებნიდით იმ გამოქვაბულს — ასე რომ აგვირია დავთრები ორთავეს და განა მარტო ორთავეს!..

გავიდა ერთი კვირა, მეორე, ერთი თვე, თბილისში საშინელი სიცხეები დაიჭირა და, ვისაც კი შეეძლო, ყველანი აგარაკებზე გაიკრიბნენ. სტუდენტთა უმრავლესობა საზაფხულო პრაქტიკას გადიოდა და ამის გამო ჩვენც, ისტორიკოსებსაც კი, უნდა წაგვეყვანა სტუდენტები ძველი ისტორიული ძეგლების შესასწავლად. მეც და ჯანიკოსაც წილად გვხვდა გავყოლოდით პროფესორ გივი ჯორჯიაშვილს სვანეთში. მას სტუდენტების დიდი ჯგუფი მიჰყავდა იქ პრაქტიკაზე და, მე მგონია, ჩვენც იმისთვის წაგვიყვანა თავისთან ერთად, რომ ეშინოდა, ქეიბურას ხევში არ გავპარვოდით.

სვანეთში მთელ თვენახევარს დავყავით და უნდა ვთქვა, რომ იმაზე უმშვენიერესი კუთხე, მე ვერც წარმომიდგენია, საქართველოში თუ არსებობს.

ისე მომზიბლა მთების ზვიადმა სანახაობამ, როდესაც მას ლატფარის უღელტეხილიდან გადავხედე, — სვანურმა კოშკებმა მესტიასა და უშგულში, ნაძვის ტყეებმა, მყავე წყლებმა, მქუხარე ინგურმა, კლდეებზე ჩამოფრქვეულმა ჩანჩქერებმა, მზის სხივებზე პატარა ცისარტყელები წარბებივით რომ გადახაზვიათ, ყვავილებით, და მერე როგორი ყვავილებით მოქარგულმა ალპიურმა მინდვრებმა, — რომ თავი სიზმარში მეგონა. რაც შეეხება ისტორიულ ძეგლებს, კალის წმინდა კვირიკეს ტაძარს, მესტიის, ლატალის, მულანის, სიუფის და ბევრ სხვა სოფელში არსებულ ძეგლებს, მათ ხომ განცვიფრებაში მომიყვანეს.

განსაკუთრებით სასიამოვნოა კიდევ ის გარემოება, რომ აქ ყველგან შესანიშნავი გზატკეცილებია გაყვანილი. მესტია ნამდვილ თანამედროვე ქალაქს წარმოადგენს, სასტუმროთი, თეატრით, კინოთი, სასპორტო მოედნებით და აეროდრომით. აქ თავს იყრის უამრავი მთასვლელი და საერთოდ ტურისტი.

ამის შემდეგ გადავწყვიტე ყოველ ზაფხულს სვანეთს ვწვეოდი, რადგან იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის შესასწავლად, რაც სვანეთშია შემონახული, არა ერთი და ორი მეცნიერის მუშაობაა საჭირო წლების განმავლობაში და ჩემთვის, ცხადია, იქ ყელთამდე მოიძებნებოდა საკვლევი და შესასწავლი.

თბილისში რომ დავბრუნდით, სახლში ოსიკოს ბარათი დამხვდა, სადაც მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ეწერა:

„განძი ვიპოვე, ჩამოდი სასწრაფოდ. ოსიკო“.

— ეს კაცი გამაგიჟებს! — წამოვიძახე მე უნებურად და მაშინვე დავურეკე ჯანიკოს.

მეც ასეთი ბარათი დამხვდა, — მითხრა მან ტელეფონით, — რა ქენათ?

— ახლავე წავიდეთ .თუმცა დაიცა, მერის დავურეკავ.

მე მგონია, ოსიკო კვლავ გვეხუმრება, — წაიდუდუნა ჯანიკომ ტელეფონში, — არავითარი განძი მას არ ექნება ნახული.

— რატომ ფიქრობ?

რომ ენახა, განა ენაზე დაადგებოდა, სულ შეძრავდა მთელ პრესას, საზოგადოებას. ვიცი მისი ამბავი.

— იქნება კიდევაც ასე იყო. ჩვენ აქ არ ვიყავით და სვანეთის მთებში გაზეთებს შემთხვევით თუ წავიკითხავდით. ყოველ შემთხვევაში, ათასჯერ რომ გვეხუმრებოდეს, მე მაინც უნდა წავიდე ახლავე. ჯერ მერის ვკითხავ, ვნახო რას მეტყვის.

მერი შინ არ აღმოჩნდა. მეზობელმა მაცნობა, რომ ის, თავის ბავშვებიანად, საზაფხულოდ ქმართან ყოფილა წასული.

რაღა გაეწყობოდა. წასვლის მეტი ჩვენს ცნობისმოყვარეობას ვერაფერი ვერ დააკმაყოფილებდა. საჭირო იყო სასწრაფოდ მანქანის შოვნა. მეც და ჯანიკომაც ბევრი ვიტრიალეთ, ხან ვის ვეცით, ხან ვის. მაგრამ ჯიბრზე არავინ არ დაგვიხვდა თბილისში ისეთი, რომელსაც საკუთარი მანქანა ჰქონდა და შეეძლო ჩვენთვის ეთხოვებინა. ამ დავიდარაბაში რომ ვართ, მოულოდნელად გამახსენდა, რომ ჩვენი ექსპედიციის განუყრელ თანამგზავრს, მხატვარ რეზო ნიკოლაძეს ჰქონდა საკუთარი მანქანა. მართალია, ის უცხოური ფირმისა იყო, ჩვენ მას „კოსმოპოლიტს“ ვეძახდით, საკმაოდ ძველი იყო და გზაში ოჩანი ჯორივით იცოდა ხოლმე გაჯიუტება, მაგრამ მაინც მანქანა იყო ,მოძრაობა შეეძლო და ჩვენ მეტი არა გვინდოდა-რა. მაშინვე მოვძებნეთ რეზო და იმან, გაიგო თუ არა ოსიკოს განძი უპოვიაო, ხელად აამუშავა თავისი დანჯღრეული „კოსმოპოლიტი“, ჩაგვსვა შიგ, თვითონ საჭეს მიუჯდა და გზას გავუდექით.

— რეზო, ამ შენს ჯორს, ანუ „კოსმოპოლიტს“, სურდო ხომ არ შეჰყრია? — ეკითხებოდა გზადაგზა ჯანიკო.

— რატომ ფიქრობ?

— რაა, რომ ცხვირს აცემინებს, ახველებს, ხრინწავს და ქოშინობს.

— ეგ არაფერი, შენ ისა თქვი, კამერა არ გაუკდეს და საბურავი არ დაიჩუტოს. ცხვირისცემინება არაფერია, ძრავი კარგად მუშაობს. თქვენ იხუმრეთ და, ამით მთელი საქართველო მაქვს მოვლილი.

— ხიდებთან ხომ არ ოჩნდება? — ვკითხე მე ღიმილით. — ან ალმართში როგორ ადის?

— ეე, დამცინეთ, ბიძია. მაშინ დამცინეთ, როდესაც უკეთესი ბედაურები გეყოლებათ.

რუსთავის გზატკეცილზე ერთიერთმანეთზე გვისწრებდნენ არათუ მსუბუქი მანქანები, არამედ საბარგულები და ყველაზე გულგასახეთქი ის იყო, რომ ერთჯერ ვიღაც ველოსიპედისტმაც კი გაგვისწრო.

— მე ვიცნობ მაგას, საკავშირო მასშტაბის სტაიერია, — გვითხრა მაშინვე რეზომ, რათა კიდევ არ აგვეგდო მასხარად მისი მანქანა, რომელსაც ველოსიპედიც კი ასწრებდა, — ვერ ხედავთ, სარეკორდო სისწრაფით მიდის.

— შენ რა გიშლის ხელს, — არ ეშვებოდა ჯანიკო.

— ხომ ხედავთ, როგორი მოძრაობაა. აქ ძალიან საფრთხილოა სვლა. აი, გავცდებით რუსთავის გზატკეცილს და მერე ნახავთ. საათში ას ოც კილომეტრს გავავითარებ.

მანქანები მართლა ბევრი მიდი-მოდიოდა. ზოგი დატვირთული, ზოგი ცარიელი.

მალე გავცდით რუსთავის გზას, მაგრამ მანქანების რიცხვმა სრულიადაც არ იკლო. მოჰქროდნენ საშენი მასალით, რკინეულობით, ყუფებით დატვირთული საბარგულები. დინჯად მობობღავდნენ მძიმე ხორთუმიანი ექსკავატორები და ბულდოზერები. მათი გრიალი მიწას აზანზარებდა და მიდამოს აყრუებდა.

— სად მიდიან ეს ამოდენა მანქანები? — წამოიძახა რეზომ. — აქ წინადღეებში ერთი მანქანა თუ ჩაივლიდა და ისიც დიდი საქმე იყო.

მაგრამ ჩვენმა გაოცებამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა, როდესაც ქეიბურას ხევში მივედით და იმ მიდამოს გადავხედეთ, სადაც წინათ ძეძვებისა, დაბალი ბუჩქნარისა და გადარუჯული ბორცვების მეტი არაფერი არ მოჩანდა.

რამდენიმე ათეული, თუ მგონი, ასეული ექსკავატორი და ბულდო-

ზერი შესეოდა მიდამოს და გეგმიანად, თითქო დედამიწაში გიგანტური პირამიდის ამოთხრას შედგომოდნენ, ერთის ხროტინით, ჩახჩახით და ყურისწამღები გრიალით ატრიალებდნენ ხორთუმებს, თხრიდნენ და მიაგორებდნენ მიწის გროვებს, პირთამდე ავსებდნენ მოძრავ ვაგონების შემადგენლობებს და ყველგან ისეთი ყურისწამღები ხმაური იდგა, რომ, თუ ხმამაღლა არ ილაპარაკებდი, ძნელი იყო რამეს გაგება.

— რა არის ეს? — უნებურად აღმომხდა მე და, სანამ ვინმესგან პასუხს მივიღებდი, თვალი მოვკარი ოსიკოს. მას სამუშაო ჩექმები ეცვა, მხარზე ჩანთა გადაეკიდა და რაღაცას ეუბნებოდა რამდენიმე მუშას.

ჩვენ მაშინვე გავექანეთ მისკენ და შორიდანვე გავძახეთ:

— ოსიკო, სად არის განძი?

— გვიჩვენე ახლავე.

მან მუშებს თავი ანება, ჩვენკენ გამოექანა და სამთავეს რიგრიგობით გადაგვეხვია.

— გამარჯობათ, ჭაბუკებო, მომილოცეთ. თუ მე უნდა მოგილოცოთ, არ ვიცი. — გვითხრა მან და აციმციმებული თვალებით გადმოგვხედა.

— სად არის, სად?! — ვკითხე მე.

— როგორ სად არის? რა? — ოსიკოს ისე გაუკვირდა ჩემი კითხვა, რომ გაოცებით გადახედა დანარჩენებს.

— რა და განძი!

— აი სად არის, — ხელით გვანიშნა მან სამუშაოთა ზვიად პანორამაზე. — აქ არის ის უდიდესი განძი, რომელიც ასე ჭირდება ჩვენს სამშობლოს და ჩვენს ახალ სოციალისტურ ქალაქს, რუსთავს. აქ აღმოჩნდა რკინის მადნის უდიდესი ბუდობი. მარაგის რაოდენობა ჯერ, რაც უკვე უეჭველად დადასტურებულია, ას მილიონ ტონას აღემატება და კიდევ რაც აღმოჩნდება, ის სხვა არის. აი ეს სამსახური გამიწია იმ შენმა პატარა ფარატინა ქალალდმა, სადაც წერია: მიჰყე ნასროლსა ისარსაო. აქ თურმე სულ მაგნიტური რკინაქვა ანუ მაგნიტიტი ყოფილა და მისი უზარმაზარი მასა ადვილად იწვევდა ისრის გზის გამრუდებას. გავსინჯეთ, გამოვსინჯეთ, ჩვენ რომ არწივებს გავუფრთხით, მაშინ მე გუმანით უკვე მიხვედრილი ვიყავი, მაგრამ, სანამ ნიადაგს არ გავბურღავდით. შეუძლებელი იყო წინასწარ რაიმე გადაჭრილი აზრის გამო-

ტანა. ამ რამდენიმე ხნის წინათ მოვიტანეთ საბურღავი მანქანები და რას ვხედავთ, ამოდის, მაგრამ რა ნიმუშები ამოდის, რკინა კი არა — ოქროა! ნამდვილი ოქრო კი არა — რკინაა, მაგრამ მე ოქროს მირჩევნია.

ჩვენ, ცხადია, მივულოცეთ ოსიკოს ეს გამარჯვება, რადგან ამ აღმოჩენამ მართლა გაგვახარა. მართალია, მე და ჯანიკო ისტორიკოსები ვართ, ხოლო რეზო — მხატვარი, მაგრამ აბა რომელ ჩვენგანს არ გაეხარდებოდა ასეთი მაღალი ხარისხის რკინის მადნის ნახვა. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებდით, რომ ნებსით თუ უნებლიეთ ამ დიდი ხაქმის უნებური და მთავარი ხელისშემწყობი მე ვიყავი.

— გამოქვაბულის საქმე როგორაა? — ვეღარ მოვითმინე და ბოლოს მაინც ვკითხე ოსიკოს, — ის არწივები გაფრინდნენ თუ ისევ იქ ცხოვრობენ?

— გამოქვაბულის საქმე? — გაგვიმეორა კითხვა ოსიკომ, — ვერ არის კარგად.

— რატომ, არწივები...

— ეჰ, არწივებს იქ რა დააყენებდა, — შემაწყვეტინა ოსიკომ, — ამისთანა გრიალში და ჭექა-ქუხილში ისინი რას დადგებოდნენ. არ მინდოდა მეთქვა და ახლა უნდა გამოგიტყდეთ, მე უთქვენოდ ავედი იმ კლდეზე.

— მერე, მერე? — მოუთმენლად ვკითხეთ სამივემ ოსიკოს.

— მერე ის, რომ არწივის მიტოვებული ბუდე მართლა ვნახე. მაგრამ გამოქვაბულის კვალს მაინც ვერ მივაგენი. თუმცა კლდეზე არ დამიტოვებია ერთი მტკაველი ადგილი, რომ არ დამეთვალიერებინა. ეტყობა, იმის მისაგნებად, რაიმე ძნელად გასათვალისწინებელ ახალ კვალს უნდა წავაწყდეთ. როგორც იმ მშვილდ-ისრის გამოსახულებას ვერ ვნახავდით, თუკი საგანგებოდ მზის ჩასვლისას არ დავდგებოდით კლდესთან, ისე, ალბათ ვერ მივაგნებთ იმ გამოქვაბულს, სანამ რაიმე უცნაურ ნიშანს არ ვნახავთ. თქვენ, გატყობთ, გული დაგწყდათ, მაგრამ მერი უნდა გენახათ! არ დამიჯერა და თვითონ გამოიკვლია ამ კლდის მთელი ზედაპირი. ის ხომ შესანიშნავი მთასვლელია.

— მაშ ჩაიფუშა ჩემი იმედები? — აღმოხდა ძე.

არა უშავს რა, ჩემო ოთარ, შოთა რუსთველის კვალის მიგნება არაა ადვილი საქმე. ჩვენ ვერ ვნახეთ ,მაგრამ ვინ იცის, იქნებ ჩვენმა მომდევნო ახალგაზრდობამ უფრო ადვილად ამოხსნას ეს საიდუმლოება. თუ ამ შესანიშნავი მადნის აღმოჩენაში შენ, ისტორიკოსი, უნებურად დაგვეხმარე, იქნებ ისე მოხდეს, რომ შემდეგში ამ მიდამოებში მომუშავე რომელიმე ახალგაზრდა, სამთო ინჟინერი შემთხვევით გახსნის იმ გამოქვაბულის კარს, რომელზედაც ჩვენ ყველანი ასე ვოცნებობთ.

ელიზბარ ზედგინიძე



ელიზბარ კონსტანტინეს ძე ზედგინიძე დაიბადა 1903 წელს თბილისში. იგი სწავლობდა თბილისის ქართული გიმნაზიაში, მაგრამ მამის გარდაცვალების გამო გიმნაზია ვერ დაამთავრა. სწავლის გაგრძელება შესძლო მხოლოდ საბჭოთა პერიოდში. იგი შევიდა მუშფაკში, რომელიც დაამთავრა 1927 წელს. ამავე წელს უმაღლესი ცოდნის მისაღებად შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

ელ. ზედგინიძე ბევრ საბჭოთა ორგანიზაციაში მუშაობდა. ეს ერთ ხანს „ნორჩი ლენინელის" რედაქტორიც იყო. ელ. ზედგინიძე პირველი დარეჟისორია მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრისა, რომელიც 1928 წელს დაარსდა.

ელ. ზედგინიძემ საბავშვო ლიტერატურაში მუშაობა დაიწყო 1925 წელს. ამ წელს ჟურ. „წითელ სხივში" დაბეჭდა მისი პირველი საბავშვო მოთხრობა „სიცოცხლე ცეცხლში". ელ. ზედგინიძე წერდა საბავშვო ლექსებსაც. მისი ლექსები ცალკე წიგნად 1927 წელს გამოიცა.

ბედნიერება

რუსთავის მშენებლობა ზამთრის ცივ დღეებში დაიწყო. დაპქროდა ველური ქარი, მაღალ სვეტებად ტრიალებდა ნამქერის კორიანტელი, მაგრამ მშენებლებს არც ყინვა აშინებდა, არც ქარბუქი. ისინი თხრიდნენ მიწას და ახალ ქალაქს საძირკველს უყრიდნენ. ამ მიდამოს ქშენითა და გუგუნით აცოცხლებდნენ ორთქლმავლები — მოჰქონდათ ხეტყე, ქვა და აგური, კირი და ხრეში. ყოველდღე ჩნდებოდა ახალ-ახალი საცხოვრებელი სახლები და სამუშაო უბნები. სულ მალე ცისკენ ასობით საკვამური აღიმართა. ათასობით ციმციმა ელნათურები ზამთრის ყრუ ღამეებს ანათებდა.

მზის ამოსვლამდე აღვიძებდა ამ ახალ ქალაქს მოზუზუნე საყვირი. მზის ამოსვლამდე შრომას იწყებდნენ დაზგებთან, თხრილებში, ხარა-

ჩოებზე და, როდესაც ზამთრის ჰაერში მზის სინათლე რძესავით თეთ-
რად იღვრებოდა, ახლად გაყვანილ ქუჩებს ბავშვებიც ეფინებოდნენ...
სკოლის ზარის წკრიალი იწვევდა მათ.

აქ, ამ ახლადგაშენებულ ქალაქში, მამასაც კი ასწრებდა ადგომას
პატარა ლამარა, სიცოცხლით სავსე, შავთვალწარბა გოგონა. მისი სკო-
ლა სწორედ იმ ქუჩაზე იყო, სადაც ცხოვრობდა. ისეთი მარდი და დაუ-
ზარელი გოგონა, როგორიც ლამარა იყო, ხუთ წუთშიც კი მიირბენდა
სკოლამდე, მაგრამ ახირებული ხასიათი ჰქონდა მას, პირდაპირი გზით არ
უყვარდა სკოლაში სიარული. მას არ შეეძლო გამოცდილი ინჟინერივით
არ ჩაეარა სამუშაოებისთვის, არ გადაერბინა მიწის გროვილებზე, არ
გაეარა ხარაჩოების ქვეშ, არ დაეთვალიერებინა ის მანქანები, რომელ-
შიც დუღაბს ამზადებდნენ. ხშირად მშენებლობის იმ უბანზეც გაივლი-
და ხოლმე, სადაც მამამისი მუშაობდა, სადაც რამდენიმე კილომეტრის
მანძილზე ღრმა და ფართო თხრილია გაჭრილი, სადაც ფოლადის გა-
მომდნობი ქარხნის მაღალი კორპუსების ასაგებად ქვისა და დუღაბის
საძირკველს ყრიდნენ.

ლამარა მიადგება ხოლმე ამ თხრილს, ოდნავ გაოცებული ჩაიხედავს
შიგ და წკრიალა ხმით ჩასძახებს:

— მა-მაა!

საქმით გართული მამამისი უნებლიეთ შეკრთება ხოლმე. ეს ხმა,
ასეთი ახლობელი და საყვარელი, შიგ გულში სწვდება. და ვიდრე იგი,
ამ ხმით მოხიბლული, გამოერკვევა და მაღლა აიხედავს, მოუთმენელი
ლამარა ხელახლა იძახის:

— მამა, ამოიხედე მაღლა!

რისთვის მოსულხარ, შვილო? — ალერსიანად ეკითხება მამა.

— მუდამ ბნელაში მოდიხარ შინ. მთელი კვირა დღისით არ მინახ-
ვიხარ! — სამდურავით უპასუხებს ლამარა და თავს დაბლა ხრის, წამ-
წამებსაც ჩამოუშვებს, თავის შავსა და კრიალა თვალებს ერთი წამით
დაჰფარავს ხოლმე.

— სკოლაში არ დაგაგვიანდეს! — ტკბილად ეუბნება მამა და მუ-
შაობას განაგრძობს.

ასე გამოელაპარაკება მამას, მერე კი კმაყოფილი და ბედნიერი შურ-
დულივით მიჰქრის სკოლისაკენ.

ბუნებამ ყინულის ღილები გადაიხსნა, ზამთრისაგან შეციებული
ფულ-მკერდი გადაიშალა. მოვიდა თბილი და ლამაზი გაზაფხული. ლამა-

რას ახარებდა ბუნების გარიჟრაჟი. მტკვრის ზვირთებიც ეცნაურად ლივლივებდნენ. მზის სხივები ყველაფერს ეალერსებოდნენ — არა მარტო მერცხლებს, არა მარტო ყვავილებს, არც მხოლოდ ხეხილთა ფოთლებს... ნამდვილად ყველას და ყველაფერს... მცხოვრებლებმა შენობების ყველა სართულზე ფანჯრები გააღეს, თითქოს დიდ ზნათობს ეპატიჟებოდნენ — მზეს, შინ შემოდიო!..

სულ მაღლა და მაღლა იწევდა საძირკველი. მალე კედლებიც შეაყენეს ზედ. როდესაც ლამარა მამას ჩაუვლიდა, ახლა ძირს აღარ იხედებოდა, ამოთხრილი მიწის სიღრმეში. მამამისი უკვე მის პირისპირ კედელზე იდგა. ხედავდა ლამარა, თუ როგორი გულმოდგინეობით აწყობდა მამამისი აგურს აგურზე, როგორ აკავშირებდა ერთმანეთთან ხის კოჭებს. ბევრი მუშაობდა ამ შენობის ასაგებად, მაგრამ ლამარა მხოლოდ თავის მამას ხედავდა. მის თვალში და მის გულში მხოლოდ მამამისი იყო მშენებელი, ღონიერი და ყველაფრის შემძლე.

— მა-მა, მა-მი-ლო! — მერცხალივით შესჭიკჭიკებდა ლამარა მამას. თითქოს გაზაფხული ახარო. და სკოლისაკენ მირბოდა.

ერთ დილას ლამარა განცვიფრებული გაჩერდა ხარაჩოების წინ. თავისი კრიალა თვალები მიაშტერა დიდი ოთხკუთხი ქვებით აგებულ კედელს. ის წარბებშეყრილი და ოდნავ ბაგეგახსნილი იცქირებოდა მაღლა.

— რამსიმაღლეზე ასულხარ, მამა?.. — შეეკითხა აღტაცებული.

მაღლიდან მამის ღიმილი შუქივით გადმოიფრქვა. სიამაყე და სიყვარული გამოხატეს მისმა თვალებმა.

ლამარა პასუხს არ მოელოდა. არც ჩვეულებისამებრ გაქცეულა სკოლაში. ფიქრობდა: — „კედელმა აიყვანა მამაჩემი ასე მაღლა, თუ მამამ აიყვანა ეს კედელი ამ სიმაღლეზე?!“

ახლა უკვე ნელი ნაბიჯით მიდიოდა სკოლისაკენ. გზადაგზა ყოველ ბალალ შენობას შესცქეროდა, ათვალიერებდა ზედა სართულებს, სახურავებს და ფიქრობდა, თუ როგორ აჰყავდათ ადამიანის მკლავებს ასე მაღლა ეს შენობები?!

კვირა დილა გათენდა.

ხეხილთა ტოტებზე მზის სხივები, მწვანე ფოთლები და ბეღურები ერთად თამაშობდნენ. სხივები ბრწყინავდნენ და წკრიალებდნენ, ფოთლები ფერადად ციმციმებდნენ, ბეღურები კი ცქრიალით დაფრინავდნენ ტოტებზე.

. ლამარა აივანზე გამოვარდა. მასაც გაეთამაშნენ მზის სხივები. ისიც

ჩიტს ჰგავდა, უმწიკვლოს, წარმტაცს... მაგრამ არა მარტო ჩიტს, ის ფოთოლსაც ჰგავდა, მზის სხივსაც...

აივნიდან კარგად მოჩანდა მთელი რუსთავი.

ლამარა დიდხანს იდგა და ამშვენებდა მზეს, რომელიც ისე დაჰქათქათებდა, თითქოს იგი მხოლოდ მისთვის გაჩენილიყო...

— რას აკეთებ, ჩემო გოგონი?.—შეეკითხა აივანზე გამოსული მამა.

ლამარამ მამას ხელი ჩასჭიდა, იქვე სავარძელზე დასვა, თვითონ კალთაში ჩაუჯდა და შეეხვეწა:

— მიამბე, მამა, რისთვის აშენებთ ასე დიდ სახლებს. მომიყევი, როგორ აშენებთ?..

ღიმილმა შეალამაზა მამის ტკბილმოუბარი ბაგე, ღიმილი კი ადამიანის სახეს აკეთილშობილებს. იგი ბაგეზე გამოხატული გულის ფიქრია.

— მოგისმენია, ჩემო პატარავ, ორთქლმავლის გუგუნი, როდესაც იგი ველებზე, მთებსა და ტყეებს შორის მოჰქრის?.. მისი ფოლადის ბორბლები დღისით და ღამით ხმაურობენ ლიანდაგებზე... რკინით შემტკიცებულ გემებზე შიშინებენ თუჯის უზარმაზარი ქვაბები. მინდვრებში მუშაობენ ტრაქტორები და კომბაინები, შარაგზებზე დასრიალებენ ავტოები, ცაში დაჰქრიან ლითონის ფრინველები, ქარხნებში და ფაბრიკებში შეუჩერებლივ ბრუნავენ ჩარხები და ხმაურობენ დაზგები. იმ ორთქლმავლებს, იმ გემებსა და თვითმფრინავებს, იმ ლიანდაგებს, მანქანებსა და ჩარხებს ბევრი, ძალიან ბევრი თუჯი და ფოლადი სჭირდება!— ამ სიტყვებზე მამა გაჩუმდა და სახეში ჩააცქერდა თავის ცნობისმოყვარე შვილს.

— მერე, მერე? -- მაშინვე შეეკითხა ლამარა.

— მერე, ჩემო გოგონი, აქ ჩვენ გამოვადნობთ ფოლადს და თუჯს, ლითონის მდინარე წამოვა ცეცხლოვანი ღუმელებიდან და მთელს ჩვენს ქვეყანას ექნება ბევრი ფოლადი, ბევრი თუჯი!

— მითხარი, მამა, ნეტავი რამდენი?.

— ბევრი, ჩემო გოგონი, ძალიან ბევრი!..

— მითხარი, ჩემო მამილო, რამდენია ეს ბევრი?

— შენ ვერ გაიგებ, ჩემო საყვარელო, ძალიან ბევრია!

— აკი დედამ თქვა, რაც ლამარას უნდა, იმას გაიგებსო, რაც არ უნდა, ის არ ესმისო... თუ მეტყვი, რადგან მინდა, გავიგებ კიდეც!..

— წელიწადში მრავალი ტონა თუჯი და ფოლადი.

— უჰ, მრავალი? — მაშინვე შეეკითხა ლამარა. აღარ დააცადა მამას სიტყვის დამთავრება.

— აკი გითხარი ვერ გაიგებ-მეთქი. ისწავლე, ჩემო გოგონი და თა-

ვის დროზე მიხვდები. ახლა წადი და ითამაშე. აგერ შენი ტოლები ეზოში ბურთაობენ.

ლამარა მამას აღარ შეეკამათა. მამის მუხლებიდან გადმოხტა და ფრთებშესხმულივით ჩაირბინა ეზოში.

ერთმა თვემ განვლო.

ერთ დღეს ლამარა სკოლიდან ბრუნდებოდა. ის გახარებული მიეშურებოდა იმ უბნისაკენ, სადაც მამამისი მუშაობდა. მას უნდოდა მამისათვის ეხარებინა, რომ დღეს მასწავლებელმა მილიონამდე დათვლა ასწავლა. ლამარამ ქშენით მიირბინა შენობასთან, შეხედა კედელს, მაგრამ მისმა თვალებმა ვეღარ იცნეს იგი. აიხედა უზარმაზარი კორპუსის ჭწვერვალისაკენ და დიდხანს დაჟინებით უცქეროდა.

ხარაჩოებს ხსნიდნენ. სახურავზე, როგორც ცოცხალი ქანდაკება. იდგა მამამისი და ცალი ხელით მიუთითებდა. თუ პირველად რომელი ბოძი უნდა მოეხსნათ.

— მა-მაა! — რამდენადაც შეეძლო ხმამაღლა შესძახა ლამარამ და დაჟინებით მიაშტერა თვალი ლურჯი ცის ფონზე შავად მოხაზულ მამის მოყვანილობას, მაგრამ პატარამ ვერ მიაწვდინა მამას თავის ხმა...

მერე მამა სწრაფად შემოტრიალდა და ხარაჩოებით დაბლა დაეშვა. ძირს შვილი დაუხვდა. რომლის ბედნიერების საძირკველსაც ჰყრიდნენ მშობლები.

მეგობრები

ზარის დარეკვამდე სკოლის ეზოში დიდი ხმაური იდგა. ისმოდა სიცილ-კისკისი, სიმღერა, ყვირილი, მაგრამ, ზარი დაირეკა თუ არა, ხმაური უცბად მიწყდა. მხოლოდ ფეხის ხმაღა გაისმოდა. მოსწავლენი კლასებისაკენ მირბოდნენ. ერთი წუთის განმავლობაში დაცარიელდა სკოლის ეზო და დერეფანი.

ზარის წკრიალა ხმა უმრავლესობისათვის ნაცნობი იყო, მაგრამ პირველკლასელებმა მხოლოდ დღეს გაიგეს იგი. წყნარად, მოკრძალებულ შევიდნენ ისინი საკლასო ოთახში და ასევე წყნარად დასხდნენ მერხებზე. თითქმის იმავე წუთში შემოვიდა მასწავლებელი. ტანმაღალს, ქერა-

ფმიანსა და სათუთი გამომეტყველების ქალს სახეზე ისეთი ღიმილი ეფინა, რომელიც ადამიანის გულს გვიჩვენებს ხოლმე. რაღაც ახლის და უჩვეულოს მოლოდინში მყოფი ბავშვები უცბად გაამხნევა ამ ღიმილმა და უცბადვე მათთვის ჩვეული სიცოცხლით სავსე იერი მიიღეს.

— გამარჯობათ, ბავშვებო! — მიმართა მათ მასწავლებელმა.

მასწავლებლის ხმამაც გული გაუთბო ბავშვებს. მართალია, მათ უწესრიგოდ და არეულად უპასუხეს გაგიმარჯოთო, მაგრამ ამ პასუხში აშკარად იგრძნობოდა ბავშვების სიხარული.

მასწავლებელმა ნელი ნაბიჯით ჩაიარა მერხებს შორის. სახიდან ღიმილი არა შორდებოდა. ზოგს თავზე ხელი გადაუსვა, ზოგს სახელი ჰკითხა. ერთს საყელოზე გახსნილი ღილი შეუკრა, მეორეს კი საყელოს ზევით ამოწეული პერანგის თეთრი წვერი ჩაუწია. მასწავლებელმა მათ შორის ისე ჩაიარა, როგორც ყვავილების წინ, როდესაც თვალს იტაცებს ლურჯი იაც, წითელი ყაყაჩოც, თეთრი ნარგიზიც.

აგერ შავგვრემანი ბიჭუნა შალვა. შავთვალა და გიშრისთმიანი, დიდრონი წარბებით დამშვენებული. მისი სუფთა სახე მოწმენდილ ცასავით გამოიყურებოდა. თუგინდ მის გვერდში მჯდომს შეხედეთ. ის ქერაა, თითქმის მწითური თმა აქვს, ნამცეცებივით ჭორფლი აყრია, მაგრამ ლურჯი თვალები ვარსკვლავებივით უნათებენ სახეს. მას თამაზი ჰქვია. შალვაც, თამაზიც და სხვებიც, შეიძლება, სხვადასხვა ხასიათისანი იყვნენ, მაგრამ გულის სისპეტაკით ერთმანეთს გვანან.

მასწავლებელმა გვარები ამოიკითხა, ბეჯითი სწავლისათვის მოუწოდა, ესაუბრა და შესვენების ზარიც დაირეკა.

პირველი გაკვეთილის შემდეგ ბავშვებს კლასიდან გასვლა არც კი უნდოდათ. ისინი ზარის დარეკვას მოუთმენლად ელოდნენ.

შალვამ ჯიბიდან ახალთახალი ფანქარი და ჯიბის დანა ამოიღო და ფანქრის თლა დაიწყო. დროდადრო ალმაცერად შეხედავდა ხოლმე თამაზს, რომელიც მის გვერდში იჯდა. შალვას უნდოდა თამაზს დაენახა მისი მშვენიერი, კრიალა სადაფით შემკული ჯიბის დანა. თამაზის ყურადღებას მართლაც არ გამოჰპარვია შალვას დანა.

— მაჩვენე შენი ჯიბის დანა. — მაშინვე მიმართა თამაზმა შალვას.

შალვამ იმავე წუთს მიაწოდა. თამაზი რამდენიმე წამს ყურადღებით სინჯავდა პატარა დანას. ხან ჰკეცავდა, ხან ხსნიდა, მერე ფანქარიც გამოართვა და თვითონ გაუთალა.

— იყიდე? — იკითხა ბოლოს თამაზმა.

— არა, მაჩუქეს.

— კარგია. — მოუწონა თამაზმა.

ზარი ისევ დაირეკა და კვლავ შემოვიდა მასწავლებელი. ჩვეული ღიმილით გაახარა ბავშვები და ამ ჯერზე უკვე ქართული ენის გაკვე-

თილი ჩაატარა. ბავშვები ყურადღებით უსმენდნენ ტკბილმოუბარ მახწავლებელს.

მეორე დასვენებაზე თამაზი შეეკითხა შალვას:

— ამხანაგები გყავს?

— არა. — უცებ მიუგო შალვამ, მაგრამ პასუხთან ერთად ჩაფიქრდა კიდეც.

მან არც კი იცოდა, ჰყავდა თუ არა ამხანაგები. დღემდე უდედოდ არსად არ დადიოდა. ეზოში მისი ტოლი ბიჭები არიან, რომლებთანაც ბურთიც უთამაშნია, თვალხუჭუნობაც, მაგრამ ისინი მისი ამხანაგები იყვნენ თუ არა, ეს არ იცოდა.

— შენ? — შეეკითხა თავის მხრივ შალვაც.

— არც მე.

ასე მოხდა მათი გაცნობა და დამეგობრება.

სწავლის დამთავრების შემდეგ შინ ერთად წავიდნენ. გზაში იმაზე ლაპარაკობდნენ, რასაც დაინახავდნენ. ცაში მონავარდე ფრინველებზე, როდესაც მათ წინ ბელურა აფრინდა. ცურაობაზე, ხიდზე გადასვლის დროს მტკვარს რომ გადახედეს, თბილისელ ფეხბურთელებზე, როდესაც ერთ-ერთ ეზოში ბურთით მოთამაშენი შენიშნეს. ამ საუბარში ორივენი ამტკიცებდნენ, რომ იციან, თუ რომელი ფრინველი რა სიმაღლეზე დაფრინავს, რომ თვითონ კარგი მოცურავენი არიან და რომ თბილისელი ფეხბურთელები ყველა თამაშს მოიგებდნენ, მსაჯები რომ მოწინააღმდეგეს არ ეხმარებოდნენ.

მეორე დღესაც შინ ერთად წავიდნენ, ბოლოს სკოლიდან ერთად შინ დაბრუნება ჩვეულებად გადაექცათ. დასვენების დროს ერთად თამაშობდნენ, სწავლის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს უცდიდნენ, ამოიდებდნენ იღლიაში წიგნებს და მხიარულად მიეშურებოდნენ შინისაკენ.

ასე მიდიოდა დრო. მეგობრები მესამე კლასში გადავიდნენ. წერაკითხვა და ანგარიში კარგად ისწავლეს.

ერთხელ შალვას უსიამოვნება შეემთხვა. მასწავლებელმა დაფასთან გაიძახა და ამოცანა მისცა ამოსახსნელად. მან კი ამოცანა ვერაგზით ვერ ამოხსნა. მასწავლებელი მაგიდასთან იჯდა და ელოდა, მოფიქრების დროსა და საშუალებას აძლევდა. შალვა თავის გულითად ამხანაგს, თამაზს შესცქეროდა, ხელებით და თვალებით ანიშნებდა, ჩუმად მიკარნახე, როგორ ამოვხსნაო. თამაზი იქვე პირველ მერხზე იჯდა. მას მართლაც შეეძლო ჩუმად ეკარნახა, მასწავლებელი ვერც კი შენიშნავდა ამას, მაგრამ, დახეთ, მის გულგრილობას? თავი ჩაღუნა, ანთებულ მუგუზალივით მიანათა თავისი წითურთმიანი თავი და ჩაიდუდუნა:

არ გიკარნახებ, არა, არა!..

შალვას ჯავრი მოუვიდა. სახე წითლად აელეწა. მუშტიც კი მოუღერა. ერთი წუთის განმავლობაში რა არ გაიფიქრა შალვამ: „მაგას უნდა რომ ორიანი მივიღო... ეგ ჩემი ამხანაგი არა ყოფილა!“

შალვას აზრით ძალიან „უდიერი“ აღმოჩნდა თამაზი, თავიც კი არ ასწია მაღლა, გაურბოდა შალვას შემოხედვას და ხვეწნას.

— მაშ, არ იცი როგორ უნდა გამოიყვანო? — ალერსიანად შეეკითხა შალვას მასწავლებელი და ზეზე წამოდგა, მიუახლოვდა, — ჩანს არ გისწავლია, ოჰ, ოჰ, ო. — დაუმატა ესეც და თავი გააქნია, — სირცხვილი! სირცხვილი! წადი დაჯექი. აბა, შენ გამოდი, თამაზ, თქვენ მეგობრები ხართ, ვნახოთ ერთნაირად ცუღლუტობთ თუ არა!..

თამაზი ბეღურასავით მიგოგდა დაფასთან. ხელში ცარცი აიღო, სხაპუპით ალაპარაკდა და დაფაზე დაწერილი ამოცანა ადვილად გამოიყვანა. წერდა კითხვებს, სხვადასხვა ციფრებს, თანაც მჟღერი ხმით განმარტავდა თავის ნაწერს.

– ყოჩაღ, ყოჩაღ. — შეაქო მასწავლებელმა.

გაკვეთილის დამთავრების შემდეგ შალვა გაჯავრებული მივარდა თამაზს და გაბრაზებულმა მკვახედ უთხრა:

შენ მე ხმა აღარ გამცე!

რატომ? — გულთბილად შეეკითხა თამაზი.

იმიტომ რომ არ დამეხმარე, რა იქნებოდა რომ გეკარნახა?

რად უნდა გიკარნახო, რატომ არ ისწავლე გაკვეთილი?

მე შენ ამხანაგი მეგონე!

— რატომ გუშინ არ მითხარი, დაგეხმარებოდი. მამამ მითხრა კარნახი ცუდიაო, გაკვეთილს სწავლა უნდაო. ამიტომ, იცოდე, მე შენ არასოდეს არ გიკარნახებ. — ისე უპასუხა თამაზმა, თითქოს დიდი ადამიანი ყოფილიყო. თანაც თავისი ბრწყინვალე ცისფერი თვალები მიანათა შალვას.

შალვამ ხმა ვეღარ ამოიღო. პატარა ხანს უსიტყვოდ უცქირა, პასუხი ვერ მოძებნა. შეტრიალდა და კლასში შეირბინა. გაკვეთილის დაწყებამდე თავჩაღუნული იჯდა. მის პატარა გულს რაღაც გრძნობა სტანჯავდა. სცხვენოდა კიდეც, შელახული თავმოყვარეობა აწუხებდა. ძლიერ მძიმედ განიცდიდა. „აღარ გავცემ ხმას, აღარ, აღარ!.. როგორი ამხანაგია, გაჭირვებაში არ დამეხმარა.“ — მსჯელობდა თავისთვის ხმის ამოუღებლად. გაჯავრებული იმასაც ფიქრობდა, თუ როგორ მოიქცეოდა შემდეგ: — „ვისწავლი, ისე ვისწავლი, რომ არაფერი არ შემეშალოს, არც ლექსში, არც წერაში, არც არითმეტიკაში“. ასეთ მწარე ფიქრებში ხუთმა წუთმა განვლო. მორიგ გაკვეთილზე შესვლის ზარი დაირეკა-

როდესაც თამაზი მის გვერდში დაჯდა, შალვას მისკენ არ მოუხედავს, ცდილობდა სულ ზურგშებრუნებული მჯდარიყო.

მეორე დღეს შალვა კვლავ გამოიძახა მასწავლებელმა. ზეპირად ნასწავლი ლექსი ათქმევინა. შალვამ ისე ლამაზად, ისეთი განცდით და გრძნობით წარმოთქვა გმირებისადმი მიძღვნილი ლექსი, რომ მასწავლებელმა დიდად შეაქო. მოწაფეები სულგანაბული უსმენდნენ. თამაზმა, რომელსაც გაკვეთილის დროს ბაგეები მუდამ მტკიცედ მოკუმული აქვს ხოლმე, ახლა ველარ მოითმინა და თავისი სიამოვნება ხმამაღლა გამოთქვა — „უჰ, რა კარგად წარმოთქვა“, გაუხარდა მას შალვას წარმატება. ცისფერი კრიალა თვალები სიხარულის ნაპერწკლებით უბრწყინავდა.

შალვა თავის ადგილზე დაჯდა. შუბლზე ხელი გადაისვა, სწორედ ისე, როგორც დიდმა ადამიანმა იცის რომელიმე საძნელო საკითხის გადაწყვეტის დროს. წყნარად მიიჩერდა მასწავლებელს. შალვას ის დღეს სასკოლო ჟურნალში ხუთიანი ჩაუწერეს. რამდენიმე დღის შემდეგ არითმეტიკაშიც გამოიძახეს და ამ საგანშიც ხუთი მიიღო. აღარასოდეს არ შერცხვენილა შალვა. მუდამ ამზადებდა გაკვეთილს და, თუ გამოიძახებდნენ, მასწავლებლები კმაყოფილი რჩებოდნენ.

მაგრამ თამაზს მაინც არ შეურიგდა. ხანდახან შუბლშეკმუხნილი გადახედავდა ხოლმე და უცებ არიდებდა თვალს. თამაზი კი მხოლოდ და მხოლოდ ღიმილს შეაგებებდა. ასე გრძელდებოდა ორ კვირას. მათი დამდურება ზოგიერთი მოწაფის გარდა, არავის შეუმჩნევია. არც მასწავლებელს გაუგია ამის შესახებ.

ერთ დღეს თამაზი სკოლაში არ მოვიდა. შალვამ ამ დღეს თავი გულნაკლულად იგრძნო, როდესაც გვერდში ჰყავდა, მნიშვნელობას არ აძლევდა დამდურებას. გულის რომელიღაც კუნჭულში სიამოვნებდა ის გარემოება, რომ თამაზი გვერდში ჰყავდა. ხედავდა მას, ესმოდა მისი ხმა, მისი სუნთქვაც კი. დღეს კი, როდესაც ის კლასში არ გამოცხადდა, მწვავედ შეიგრძნო მისი სიმორე.

„არაფერია, ხვალ მოვა! — ეუბნებოდა თავის თავს შალვა, — ხვალ მოვა და მე თვითონ გამოველაპარაკები. თამაზი ისეთი კეთილია, რომ მაშინვე შემირიგდება. სამდურავსაც კი არ მეტყვის!“

როგორც იქნა, ეს დღე დამთავრდა. მაგრამ არც მეორე დღეს მოვიდა თამაზი. როდესაც მასწავლებელი ბავშვებს შეეკითხა თამაზის მოუსვლელობის მიზეზს, ზოგმა თქვა ავად არისო, ერთმა მოსწავლემ ისიც კი მოიგონა, თითქოს იგი რამდენიმე დღით სოფელში ბებიასთან წაეყვანოთ. მაგრამ ყველაფერ ამას ბავშვები თავიანთი მოსაზრებით ამბობდნენ, დანამდვილებით არავინ იცოდა ნამდვილი მიზეზი.

ეს დღე შალვასათვის ძლიერ მძიმედ გათავდა. ის უკვე მწვავედ განიცდიდა თამაზის უნახველობას... მთელი დღე დაღონებული იყო. კლაიდან არ გამოდიოდა. იჯდა თავის მერხზე, ფურცლავდა წიგნს, ოღონდ წიგნის თვალიერების დროსაც თამაზზე ფიქრობდა. ერთხელ მერხის იმ ნაწილში შეიხედა, რომელ მხარესაც თამაზი იჯდა. შიგ ფანქარი შენიშნა, ორფერი ფანქარი — წითელი და ლურჯი ფერისა. შალვამ ფანქარი ამოიღო, ღიმილით უცქეროდა, სიამოვნებდა მისი ხელში დაჭერა. ათვალიერებდა, ლამაზად იყო თუ არა გათლილი?!.

„რა სუფთად არის გათლილი. რა ლამაზად აქვს გამოყვანილი ორივე წვერი — წითელიც და ლურჯიც. — ფიქრობდა შალვა, — სწორად, მრგვალად". ამ დროს მისთვის ვინმეს რომ შეეხედა, დარწმუნდებოდა, რომ შალვა ფანქარს ეალერსებოდა.

ზარის ხმა მძლავრ გუგუნად ჩაესმა გონებაში და გამოარკვია... ფანქარი აბგაში ჩადო და გადაწყვიტა დღესვე მიეტანა თამაზისათვის.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ თამაზთან წავიდა. სადარბაზო კარზე დამაგრებულ ზარის ღილს თითი დააჭირა და კარის გაღების მოლოდინში სულგანაბული გაჩერდა.

კარი თამაზის დედამ გააღო. მაღალი, ქერათმიანი ქალი ალერსიანაც შეხვდა შალვას.

— დეიდა, შეიძლება თამაზის ნახვა? მისი ამხანაგი ვარ, შალვა.

— შენ გენაცვალე, ჩემო ბიჭუნი, ეს შენა ხარ, შალვა? მოდი, მოდი, თამაზი სულ შენს ხსენებაშია. საფრთხილო არაფერია, იმ მოუსვენარმა თამაშის დროს ფეხი იტკინა და ვეღარ დადის. — ალერსიანად გამოელაპარაკა თამაზის დედა და შალვას ორივე ხელი შემოჰხვია, თითქოს ჰაერში ააფრინაო, ისე სწრაფად შეარბენინა საწოლ ოთახში.

ალმაცერად იცქირებოდა შალვა ოთახის ბოლოში, სადაც საწოლი იდგა. საწოლში თამაზი წამომჯდარიყო, ის მოუთმენლად ელოდა, რომ გაეგო, თუ ვინ დარეკა ზარი. შალვას დანახვაზე თამაზს გული სიხარულით აუძგერდა. ჯერ ყვითელმა ფერმა გადაჰკრა, მერე გაწითლდა. ორიოდე წუთის შემდეგ თავისი ფერი დაუბრუნდა. შალვაც უხერხულად გრძნობდა თავს. ხელი გაუწოდა, მოიკითხა კიდეც, მაგრამ პირდაპირ თვალებში ვერ შეხედა.

არავინ იცოდა მათი საიდუმლოება. არც დედამ, რომელიც ორივე ბავშვს სიხარულით შესცქეროდა, არც თამაზის პატარა დამ — დალიმ, რომელმაც სტუმრის დანახვაზე აივნიდან შემოირბინა.

— ფანქარი მოგიტანე, მერხში დაგრჩენია. — მორცხვად წარმოთქვა შალვამ და ჩანთიდან ამოღებული ფანქარი სწრაფად გაუწოდა.

თამაზმა ფანჯრისაკენ გაიშვირა ხელი, ოღონდ გამოწვდილ ხელს კი არ უცქეროდა, შალვას შესცქეროდა, შეეხეროდა მას.

— ძლივს არ გაიხარა ჩემმა ბიჭუნამ? — წარმოთქვა თამაზის დედამ და მეორე ოთახში გავიდა.

ბავშვები მარტო დარჩნენ, თავისუფლად იგრძნეს თავი. შალვამ მიიხედ-მოიხედა და, როდესაც შენიშნა, რომ დალიც ყურადღებას არ აქცევდა მათ, ხმადაბლა წამოიწყო:

— თამაზ, მაპატიე, თურმე ისე მიყვარხარ, ისე, ისე რომ! — შალვამ ვერ გამოთქვა თუ როგორ უყვარს, სახე აელანძა, ყელში სიყვარულის წრფელი გრძნობა მოაწვა.

თამაზი შეშფოთდა. შალვას სახეზე წუხილი შეამჩნია.

— უშენოდ ვერ გავძელი... არასოდეს არ წაგეჩხუბები. იცი რა? ალარც კარნახს მოგთხოვ. გაკვეთილებს მოვამზადებ ხოლმე და კარნახი არასოდეს აღარ დამჭირდება!

ამ დროს თამაზის დედა შემოვიდა და ბროლის ლამაზი ლარნაკით ვაშლი და მანდარინი შემოიტანა. ლარნაკი მაგიდაზე დადო. ბავშვები გაჩუმდნენ, რომ არავის გაეგო მათი საიდუმლოება.

„აღარასოდეს არ დაგემდურები, არც კარნახს მოგთხოვო!“ — ფიქრობდა გულში შალვა და მანდარინს ფცქვნიდა.

თამაზი კი სიყვარულით შესცქეროდა შალვას და უსიტყვოდ ამბობდა — „რა კარგი ამხანაგი მყავს... მუდამ, მუდამ მეყვარება!—მანდარინებს კი არ შეექცეოდნენ, არამედ სანზე აწყობდნენ. ერთმანეთზე ფიქრში ჭამაც კი დაავიწყდათ.

მეორე დღეს მასწავლებელი კლასში შემოვიდა თუ არა, მაშინვე თამაზის ადგილს გადახედა. მერხის ერთი ნაწილი კვლავ თავისუფალი რომ დაინახა. დარიგებით და ამავე დროს ნაწყენი კილოთი მიმართა ბავშვებს:

— მესამე დღეა თქვენი ამხანაგი სკოლაში არ მოდის. არც ერთი თქვენგანი არა კითხულობს, თუ რა დაემართა მას. — მერე შალვას შეხედა და განაგრძო, — მე განსაკუთრებით შალვას უნდა ვუსაყვედურო, თამაზი მის გვერდში ზის, მას მეგობრობს, განა შალვას არ უნდა გაეგო თავისი მეგობრის ამბავი?..

შალვას თვალებზე ცრემლი მოადგა. მოულოდნელმა გაკიცხვამ შეაშფოთა კიდეც. მისი დიდრონი წაბწამები ახამხამდნენ, გულიც აუძგერდა, მღელვარედ უცდიდა მასწავლებლის სიტყვის დამთავრებას, რომ თამაზის ამბავი ეთქვა. ის აწეული თითით შესცქეროდა მასწავლებელს.

— აბა, ვნახოთ, რას გვეტყვის შალვა? — მიმართა მასწავლებელმა ბავშვებს.

— მასწავლებელო, გუშინ თამაზთან ვიყავი. თამაშობის დროს ფეხი უტკენია და ვერ დადის. მე გადავეცი, თუ რა უნდა დაამზადოს. მე ვიცი, ის არ ჩამოგვრჩება. — თქვა ეს შალვამ და ისე ღრმად ამოისუნთქა, თითქოს გულიდან რაღაც სიმძიმე მოიშორაო.

მართლაც შვება იგრძნო მან. ყველა მიხვდა და იგრძნო კიდეც, რომ იმაზე მძიმე არაფერია, როდესაც მეგობრის უსიყვარულობა დაგბრალდება.

შალვა კი მეგობრისადმი მართალი იყო. ეს მასწავლებელმაც აღნიშნა.

ნიკოლოზ ჩაჩავა



ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ჩაჩავა დაიბადა 1903 წელს ქუთაისში. სწავლა-განათლება მიიღო ქუთაისის გაეთა გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1921 წელს. ამავე წელს შევიდა სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ნ. ჩაჩავამ მწერლობა 1922 წლიდან დაიწყო.

ნ. ჩაჩავამ საბავშვო ჟურნალებში სისტემატური თანამშრომლობა დაიწყო 1942 წლიდან. პირველი მისი საბავშვო პიესა -გოგია ხრისელი- 1939 წელს დაიბეჭდა, ხოლო საბავშვო პოემა—„მტერალა ილა"—1946 წელს. უკანასკნელ წლებში ნ. ჩაჩავა წერს ლექსებს ხკოლამდელთათვის. მასვე ეკუთვნის არკადი გაიდარის ცნობილი მოთხრობის -თეძური და მისი რაზმის- თარგმანი.

გოგიას წიგნი

წიგნები აქვს გოგიას...
მეც ხომ მინდა წიგნები!
როცა დიდი ვიქნები,
მეც მექნება წიგნები.

ეს გოგიას წიგნია,
ო, რა კარგი წიგნია!
ხშირად დაუმალიათ,
ბევრჯერ ვერ მიმიგნია.

აქ სახლები ჰხატია,
ეს ბურდღუნა დათვია;
ამ ტომრებში ფქვილია —
ეს ჩვენი წისქვილია,
ჩვენი კოლექტივისა —
ჩვენ სუყველას გვინახავს:
მე, ეთერის, გივისაც.

ელექტრონით მუშაობს,
განა წყალი სჭირდება?

ახლა ჩვენი სოფელი
ელნათურით ბრწყინდება.

აქ მოთხრობა სწერია,
ამ ლექსს კლასში მღერიან.
ფაბრიკების მილები,
სჩანან ამოწვდილები;
ჩემი ტანისამოსი,
ჩემი ფეხსაცმელები
ფაბრიკებში, აი, აქ,
არის შეკერილები.

ეს მთავრობის სასახლე
ხომ სჯობია სხვა სახლებს?
აქ სულ ჩვენთვის ზრუნავენ,
ჩვენი ქვეყნის შვილები,
ჩვენი დეპუტატები —
ხალხის გამოზრდილები.

ო, რა კარგი წიგნი აქვს,
ჩემს ძმია გოგიას!

დავაპურობთ ჩიტებს

ჩიტებს უყვართ ფეტვი,
წავალ, დედას ვეტყვი —
მოგვცეს ფეტვი ცოტა
მე, არჩილს და ოთარს.
პურის ნამცეცებიც
უნდა დავუმატოთ,
აბა, ჩიტებს ფეტვი
რას ეყოფათ მარტო!
შეხეთ, ბეღურები
როგორ გვეძახიან:
— ჭივ-ჭავ, ჭივ-ჭავ, ჭივ-ჭავ,
პური გვშია, გვშია.

ზამთარია, გვცივა.
ჭიაღუა არ ჩანს,
უკვე დაცლილია
ყანა, ბაღი, ბაღჩა. —
გავიქცეთ და დედას
გამოვართვათ ფეტვი:
„ჩიტებს ძალზე შიათ“ —
დედას ასე ვეტყვით.
პურის ნამცეცებიც
უნდა დავუმატოთ,
აბა, ჩიტებს ფეტვი
რას ეყოფათ მარტო?!

ია

პაწაწინა იას
თვალი გაუღია.
ახლა რომ მობრძანდა,
გუშინ რად არ ჩანდა?
თურმე შიგ მიწაში
იყო ჩამალული,

მზემ რომ დააცხუნა
და გაუთბა გული,
იგრძნო გაზაფხულდა,
თვალი გაახილა —
მოგვილოცა ყველას
გაზაფხულის დილა.

დედოფალა

ჩემი კოხტა დედოფალა
ვინმემ ხომ არ გამოცვალა?
არც ცხვირი აქვს, აღარც ყური,
ქაჩალია სულ მთლად,
ნახეთ?

ალბათ ვეღარ მოვუარე,
კარგად ვეღარ შევინახე,
მისთვის წახდა დედოფალა.

კომში, კომში, კომარა

კომში,
კომში,
კომარა!..
მომეც დიდი ტომარა!

ბებოს მივურბენინებ,
ბებო არ მაწყენინებს.
გამომიტანს ჩურჩხელას,
ამოდენას, ამხელას.

თავს მოვუკრავ ტომარას,
კომში,
    კომში,
        კომარა!..
ზურგზე წამოვიკიდებ,
ვითომ ძვირად ვიყიდე.

დიდ გზას გამოვატარებ,
დავურიგებ პატარებს.
ბევრს შენ მოგცემ,
ბევრს სხვას მივცემ,
ბევრსაც მე დავიტოვებ.

წვიმავ, მოდი, მოდი!

წვიმავ, მოდი, მოდი,
მიწა დაასველე!
წვიმა უნდა ბოსტანს,
ყანას, ტყეს და ველებს.
წყალი უნდა ფოთოლს,
მოზრდილსა და თოთოს,
წყალი უნდა ფესვებს,

წყალი უნდა ღეროს,
უწყლოდ რომ არ გახმეს,
ყელი მოიღეროს.
როცა მოხვალ, წვიმავ,
და გააძღებ ველებს,
ჩვენ არ დაგვივიწყო,
ჩვენაც დაგვასველე.

მზეო, ჩქარა გვეწვიე!

მზეო, მზეო მზეწვია,
მოდი ჩქარა გვეწვიე;
მოგვაშველე სხივები,
თორემ გავიყინებით.

ყანას, ხილს და ყვავილებს
შენი მოსვლა სჭირდება.
უშენოდ ხომ ყურძენი
აღარ დაგვიმწიფდება.

შენ თუ არ მოგვეშველე,
ჩვენც ხომ გაგვიჭირდება!

ჩემი ძია

ვინ არ იცნობს ძია ვანოს,
ჩვენი ეზოს სათაყვანოს!
რა გინდა რომ მან არ იცის, —
მთელი ქვეყნის, ცის და მიწის.
მოგიყვება იმდენ ზღაპარს,
მოგატარებს ზღვას და მთა-ბარს.

გაგიკეთებს ურემს, ავტოს,
მერე რა კარგს, მერე როგორს, —
გადალახავს ლიხს და გომბორს!
ძია ვანოს იცნობს ყველა:
ზოგს გაუბა საქანელა,
ზოგს თოჯინა გაუმთელა —

დაუწება თავი ხელად,
ზოგსაც ხმალი გაუთალა —
გამოსცადოს მკლავის ძალა.
ძია ვანოს როცა დრო აქვს,
ყველაფერი ჩვენთვის მოაქვს.
ჯოხებს გვითლის, ფიცარს ხერხავს,
გაგვიკეთებს უცბად ერქანს.
ყველაფერი იცის ძიამ,
ყველაფერი შეუძლია.
ომშიც იყო ძია ვანო,
მთელი ეზოს სათაყვანო.
მტერს. ბოლომდე სდია, სდია,
სულ ცხვირ-პირი დაუმტვრია.
ომში ფეხი დაუკარგავს,
თუმც ხეიბარს სულაც არ გავს —
შინ თუ არის, ერთი წუთით
არ ჩერდება ძია ვანო,
მთელი ეზოს სათაყვანო.
ყველას, ყველას ეხმარება,
შრომა სულ არ ეზარება.
ხან მოაჯირს დაკრავს ლურსმანს,
ხან გატეხილ ტახტს მიხედავს,
ხან მეზობლის თხოვნას უსმენს,
ხან უსწორებს სკამს დიდედას.
ძია ვანო სწავლობს კიდეც,
სულ კითხულობს დიდრონ
წიგნებს,
სურს მებაღე გამოვიდეს.
სუყველაფერს ასწრებს ძია,
ყველაფერი შეუძლია.

ფუტკარი

წიგნი გადამიშლია,
კითხვას სულ არ მიშლიან
ეთერი და ნუგზარი,
იმათ ბევრჯერ ვუთხარი,
რომ ეს არის ფუტკარი,
თაფლის გამკეთებელი.
ეს სახლი ხომ მათია,
აქ რომ კარგად ჰხატია,
ამ სახლს, იცით, რა ჰქვიან?
ამ სახლს სკას ეძახიან.
ფუტკრები ბევრს დაფრენენ,
ყვავილებზე სხდებიან,
ნექტარს ხარბად წუწნიან,
სკაში ეზიდებიან.
შრომობენ და შრომობენ,
ერთ წუთს არა სცალიათ —
ნექტარს თაფლად აქცევენ,
მე რომ მიყვარს ძალიან.

მიხეილ მრევლიშვილი

მიხეილ ნიკოლოზის ძე მრევლიშვილი დაიბადა 1904 წელს ონში (ქუთაისის რ.). მამამისი იეალთოელი იეო (კახეთიდან) და იმ დროს ონში მსახურობდა. მ. მრევლიშვილს მამა ადრე გარდაეცვალა და მომავალმა მწერალმა საშუალო სწავლა-განათლების მიღება უფროსი დის დახმარებით შეძლო. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა 1921 წელს თბილისში. უმაღლესი ცოდნის მისაღებად სწავლობდა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტზე, შემდეგ კი გადავიდა მოსკოვის საგეგმო ინსტიტუტის ამავე ფაკულტეტზე, რომელიც 1930 წელს დაამთავრა.

მ. მრევლიშვილმა მწერლობა დაიწყო 1926 წლიდან. მისი ცნობილი მოთხრობა „ხარატაანთ კერა" 1947 წელს დაიბეჭდა, ხოლო მისი პიესა „ბარათაშვილი" დაიდგა 1951 წელს.

მიხ. მრევლიშვილის მოთხრობა „იონა ოსტატი" დაიბეჭდა ქურ. „პიონერში" 1952 წელს.

იონა ოსტატი

ოქტომბერი იწურებოდა. შემოდგომა ნელა, მაგრამ შეუპოვრად მიაბოტებდა სოფლის შარაზე. მიაბოტებდა, როგორც დოვლათით დატვირთული მასპინძელი და სიამტკბილობით უღიმოდა ყველას.

აცივდა. ღამის სუსხმა თრთვილი დაჰყარა ფილაობით. მთის კალთებს შეფენილი პატარა სოფელი ქაღარაშერეული ვაკკაცივით შეიეერცხლა ამ ნათრთვილარით.

შემოდგომა იონა ლაცაბიძის კარ-მიდამოსაც ეწვია.

სასტუმრო ოთახში თუნუქის ღუმელი აგუგუნდა. ღუმელზე შედგმულ თანგირა ქვაბიდან ამოვარდნილმა ოხშივარმა რაჭული ლორის სურნელება მიმოფანტა ოთახში.

ოჯახის უფროსი, იონა ლაცაბიძე, ღუმელს მიუჯდა და ხელები ცეცხლს მიუფიცხა. იქნებ არც ისე ცივდა, მაგრამ იონას მაინც ესიამოვნა ღუმელის მხიარული გუგუნი და სითბო.

მოხუცდა იონა. მისი შეევრცხლილი წვერი, ნაოჭებით უბვად დაღარული შუბლი და სევდიანი გამოხედვით აღსავსე თვალები ნათლად ჰღალადებდნენ, რომ ცხოვრების არა ერთი ქარიშხალი გადაეტანა მათ პატრონს. მაგრამ სათნო ღიმილი, რომელიც ნათელს ჰფენდა მთელ მის სახეს, მაინც ვერ მოესპო დროთა ქართქროლვას.

სამამულო ომში დაღუპული ერთადერთი შვილის დარდმა გატეხა იონა. ჯერ კიდევ მხნე და პირიქითს თუ პირაქეთს სახელგანთქმული ოსტატი ერთბაშად წამოაჩოქა უცაბედმა ელდამ. უცაბედმა-მეთქი, ვამბობ, რადგან ეს ამპავი სწორედ ომის დამთავრების უკანასკნელ დღეებში მოხდა, მოხდა მაშინ, როცა აღარავინ აღარ ელოდა სიკვდილს, როცა ჩვენი ძლევამოსილი ალამი ამაყად ფრიალებდა რაიხსტაგის თავზე და მსოფლიოს ომის დასასრულსა და საბჭოეთის ბრწყინვალე გამარჯვებას ამცნობდა.

მას შემდეგ ექვსმა წელმა განვლო, მაგრამ იონას გატეხილი გული მაინც ვერ მოაშუშა დრო-ჟამის მალამომ, გული აიყარა ოსტატმა საქმეზე, ხელი შეუშვა ხელობას, ავადმყოფობა მოიმიზეზა და სახლში ჩაიკეტა.

ეწყინა კოლექტივს იონა ლაცაბიძის მწყობრიდან გამოსვლა. ეწყინა მით უმეტეს, რომ ორმოციოდე წლის წინ რაჭის მთებიდან ბარად ჩამოსული იონა მუყაითი და გამრჯე მშრომელის სახელს ატარებდა სოფლად. მისი ხელობა იმთავითვე ხუროობა იყო. ლაცაბიძის ოსტატობა განთქმული იყო კიდიდან კიდემდე. რაჭველი გლეხის მადლიანი მარჯვენა იშვიათი ხელოვნებით აჩუქურთმებდა სახლის მოაჯირებს, კიბის რიკულებს, ფანჯრის ჩარჩოებს და გამოსული მუხის ფიცრისგან შეკრულ კარებებს. მის მიერ ნახელოვნები ჭერის მორთულობა მუდამ იპყრობდა მნახველის ყურადღებას.

ბევრი სასახლე და დარბაზი მოუპირკეთებია თავის სიცოცხლეში იონა ოსტატს. სად, საქართველოს რომელ კუთხეში არ შეხვდებოდა მის ნაოსტატარს კაცი. ბევრი შეგირდიც გამოუზრდია ლაცაბიძეს თავის სიცოცხლის გზაზე, გეზი მიუცია მათთვის, საასპარეზოდ გაუშვია. მაგრამ არც ერთი არ ყოფილა მათ შორის ისეთი მიმხვედრი, აზრის დამჭერი და ზუსტი საქმეში, როგორც იმის პირმშო, ილია ლაცაბიძე იყო. სწორედ ეს უორკეცებდა იონას დარდს.

— წუთისოფელმა ჭირის ნამგლით სიხარულის ყანა მომკაო, არ გაგიგია, ქალო?! ეს ანდაზა სწორედ ჩვენზეა გამოთქმული! — ეუბნებოდა ხოლმე იონა თავის მეუღლეს და ვითომ ცოლის გასამხნევებლად საათობით დაბორიალობდა ლაცაბიძიანთ მიყუჩებულ ეზო-ყურეში. ხან საჩეხს მიადგებოდა და ფიჩხის აკუწვას მოჰყვებოდა, ხან კუთხეში მიმჯდარი ჯიბის დანას ლესავდა, ხან კი სახლის პირველ სართულში მო-

თავსებულ სახელოსნოში შევიდოდა და იქვე ჯირკზე ჩამომჯდარი საათობით შეჰყურებდა თაროებს.

თაროზე ჩამომწკრივებულ, ოდესღაც პრიალა საოსტატო იარაღებს ეანგი და ობი შეპარვოდათ. ახლა ოსტატი იშვიათად თუ გაიხსენებდა მათ და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ წუთით შეეთამაშებინა ხელში, წუთით შეევლო თვალი და მერე ისევ თაროზე დაეგდო მტვრისა და ეანგის შესაჭმელად.

გულმოკლული შეჰყურებდა თვალზე ცრემლშეუშრობელი ნინო გახეიბარებულ ქმარს. მართალია, კარგად ესმოდა დარბაისელ მანდილოსანს, რომ მისმა მეუღლემ ორი რამ დაკარგა ერთად — მამამ შვილი და ოსტატმა შეგირდი; ესმოდა ეს, მაგრამ მაინც ტუქსავდა მას გულში და ქმრის უნიათობას ოჯახის მეორე უბედურებად სთვლიდა.

იმედგატეხილ იონას ნუგეშად ერთადერთი შვილიშვილიღა შემორჩა. იმაზე ამოსდიოდა მოხუცს მზეცა და მთვარეც, მაგრამ არც აქ დაინდო ბედმა ლაცაბიძე. კოლექტივმა თოთხმეტი წლის პატარა უჩა თბილისის ერთ-ერთ სახელოსნო სასწავლებელში განაწესა და ამით კიდევ ერთხელ დაუდასტურა ამაყ მოხუცს გულს შეპარული ეჭვი.

— აღარ მენდობიან თვარა, თუ ხელობაზე მიდგა საქმე, ჩემზე უკეთ ვინ ასწავლიდა იმ ბიჭს ხელობას! — ფიქრობდა რძალზე განაწყენებული იონა, რომელმაც კოლექტივს ბავშვის სასწავლებელში წასვლაზე დასტური მისცა.

უჩას ქალაქში გამგზავრებამ კიდევ უფრო დაარბლა იონა ლაცაბიძის სახლ-კარი. აღარავინ ახმიანებდა ეზოს. აღარავინ ეალერსებოდა დაობლებულ პაპას.

აივნის კუთხეში ჩამომჯდარი, მოაჯირზე ნიდაყვდაყრდნობილი იონა საათობით გაჰყურებდა ხოლმე ჩამოთოვლილი კავკასიონის მთის წვერებს, შემოდგომის ნაირფერებით შემკულ ტყესა და სახლის წინ გაწოლილ მიყუჩებულ შარას, სადაც ათასში ერთხელ ავყია მაძალი თუ გადაბაჯბაჯდებოდა, ან მურა ძაღლი თუ გადაირბენდა კუდის ქნევითა და უხალისო ყეფით.

გაჰყურებდა იონა ოსტატი შარას და ფიქრობდა, თუ როგორ სცვლიდა დრო ბუნებას, როგორ მიჰყვებოდა ცხოვრება ამ შარასავით გრძელსა და თვალუწვდომ გზას.

გაზაფხულზე ამ შარაზე ტრაქტორები, სათესი მანქანები და საოშები გუგუნებდნენ. ზაფხულში პურის ხვავით სავსე მანქანები დაჰქროდნენ. შემოდგომაზე კი ახმიანებული შარა სადღეობო მოედანს დაემგვანა.

აერიამულდა არემარე. ყურძნით თავმობმული გოდრებით დატვირთული საბარგო ავტოები და ურმები ლარივით გაიჭიმა გზაზე. სა-

ზამთრო საძოვრებისკენ დაძრულმა ცხვარმა თავისი ბაკაბუკითა და ბღავილით ყურთასმენა წაიღო.

დატკბა და დაშაქრდა სოფელი. ვეება ქვევრებში ჩაწურული, ახლად დადუღებული მაჭრის სუნი მძაფრად მოედო გარემოს და მზეზე გამოფენილი ატმის ჩირისა და ჩურჩხელების სურნელებას შეუერთდა. მეზობლებმა საჩეხთან წვერებცანცარა თხები წამოაგორეს დასაკლავად და მწყემსებს შვინდის შამფურები დაათლევინეს ტყეში, სამწვადე ხორცის ასაგებად. უბნებში დაფა-ზურნის ხმა და საქორწილო მაყრიონის მოძახილი გაისმა.

მაგრამ აი მოთავდა უკვე ყველაფერი და დაცარიელდა შარაც. იშვიათად თუ გაივლიდა ახლა აქ მგზავრი, გაიჭრიალებდა წისქვილისაკენ მიმავალი, საფქვავით დატვირთული ურემი. გზაზე შემოდგომის სუსხიანი ქარი დათარეშობდა და მტვრის კორიანტელს ხვეტავდა.

ნაღვლიანად გაჰყურებდა თავისი აივნიდან იონა ლაცაბიძე მიყუჩებულ გარემოს. მას თითქოს მისთვლემოდა კიდეც. ოქტომბრის მზე უთბობდა გაყინულ ძვლებს. აივანთან დარგულ მსხლის ხეს შემოდგომის გახევებული და შეწითლებული ფოთოლი მოსწყდა, ჰაერში დატრიალდა, აივნისკენ დაეშვა და ფიქრებში წასული იონა ოსტატის შუბლს ოდნავ შეეხო.

ფიქრებიდან გამორკვეულმა იონამ თვალი გააყოლა ქარის ტალღაზე აფარფატებულ ფოთოლს. ფოთოლი მტვრიან შარაზე დაეცა, რამდენჯერმე გადატრიალდა მძიმედ დაკრილი მებრძოლივით და კუდიანი ქარის ტალღას მიყოლილი თვალს მიეფარა.

— იყო და არა იყო რა! — ნაღვლიანი ღიმილით წაიჩურჩულა იონამ და თვალი ახლა მსხლის ხეს მიაპყრო.

ეს მსხალი ოსტატმა რიონის პირიდან ჩამოიტანა და ალაზნისპირეთში დარგო. ილიას ხნისა უნდა ყოფილიყო ნამყენი იონას ანგარიშით.

მძიმედ ამოიოხრა ლაცაბიძემ, თვალი აარიდა ფოთლებშეყვითლებულ ხეს, ნელა წამოდგა და სახლში შევიდა.

ოთახში არავინ იყო. მხოლოდ თუნუქის ღუმელი გიზგიზებდა მხიარულად.

გაუკვირდა იონას. აქ ცეცხლს იშვიათად ანთებდნენ და ისიც მხოლოდ მაშინ, დღესასწაულის ან სტუმრების მოლოდინში თუ იყო ოჯახი.

იონა ღუმელს მიუჯდა. თვალი მოავლო განსაკუთრებული მზრუნველობით მილაგებულ დარბაზს, უჩას მაგიდას და ჩუქურთმიან ჩარჩოში ჩასმულ ილიას სურათს.

— ნეტა სად უნდა იყოს ქეთევან ქალი, ან ეს მზადება რასა ნიშნავს? — გაიფიქრა იონამ.

უჩას თბილისში განწესების გამო ლაცაბიძე უმძრახად იყო ქეთევანთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, გულის სიღრმეში მაინც მადლიერი იყო ამ ყოჩაღი და დაუღალავი ქალისა.

მას შემდეგ, რაც ილია დაიღუპა, მას შემდეგ, რაც მამამთილმა სამუშაოზე გული აიყარა, იონა ლაცაბიძის სავსე ოჯახი რძლის ანაბარა დარჩა.

სახლში თუ გარეთ, საკოლმეურნეო მინდვრებში თუ საკარმიდამო ნაკვეთზე, ჯარასავით ტრიალებდა ადრიანად დაქვრივებული ქეთევანი. მხნესა და გამრჯე ახალგაზრდა ქვრივს მთელი გულისყური ახლა ოჯახისა და ერთადერთი შვილის მოვლა-პატრონობაზე გადაეტანა. ისე უთენდებოდა და ისე უღამდებოდა შრომაში გართულ ქეთევანს დღე, რომ ვერც კი ამჩნევდა მას.

პირველ ხანებში უჩას მოშორება ქეთევანსაც ძალიან გაუჭირდა, მაგრამ, როცა ასწონ-დასწონა ყველაფერი, თავისი სიმშვიდე და სიამოვნება შვილის კეთილდღეობას ანაცვალა.

— ცოდნას შეიძენს, ხელობას ისწავლის და კაცი დადგებაო, — იფიქრა მან და შვილს გზა დაულოცა.

მართალია, ეცოდებოდა ქეთევანს ბაბუა იონა, — შეეთვისნენ პაპა-შვილიშვილი ერთმანეთს და ძნელიც იყო მათი დაშორება, მაგრამ უჩას მომავალი თავისას მოითხოვდა და იონას განაწყენება განზრახულის სისრულეში მოყვანის საქმეს ხელს ვერ შეუშლიდა.

ეს კარგად ესმოდა იონა ოსტატსაც, მაგრამ გული მაინც ეურჩებოდა, რადგან ძალიან ეძნელებოდა ერთადერთი ნუგეშის თვალიდან მოშორება. ამიტომ იყო, რომ ათას მიზეზს ეძებდა ლაცაბიძე და წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდებოდა.

დღესაც ამ ფიქრებში იყო გართული თუნუქის აგუგუნებულ ღუმელთან მიმჯდარი იონა, როცა სამზარეულოდან რაღაც ყრუ ხმაური შემოესმა. ამ ხმაურმა ცნობისმოყვარე ოსტატის ყურადღება მიიპყრო. ის მაშინვე წამოდგა და ფრთხილი, შემპარავი ნაბიჯით სამზარეულოსაკენ გასწია.

სამზარეულოს კარებთან მისული წუთით შედგა. ღრეჭოთ შეღებულ კარებში რძალსა და მეუღლეს მოჰკრა თვალი. ეტყობოდა სამზარეულოში დიდი ფუსფუსი და მზადება იყო. ნინო ახლად დაკლულ გოჭსა ტუსავდა ცეცხლის ალზე. ქეთევანი სახაჭაპურე ცომსა ზელავდა ვარცლში. ხონჩაზე უკვე გაპუტული და დაწმენდილი საჩიხირთმე დედალი იდო. მაგიდის კუთხეში სატაბაკე ვარიები ელაგა. ბადიაში ნაგვიანევი პამიდორი წითლად ღუოდა. კუთხეში ჯარისკაცებივით ჩამწკრივებული სველი ჩარექიანები მოწმობდნენ, რომ დიასახლისებს ღვინის ამოღებაც მოესწროთ ქვევრიდან.

— რა ამბავია ჩემს თავს? — გაიფიქრა გაკვირვებულმა იონამ და გულაძგერებული კარების რიდეს მიეყრდნო.

უკვე რა ხანია ასეთი სამზადისი აღარა ყოფილა ლაცაბიძეების ოჯახში. ილიას დაღუპვის შემდეგ სასტუმრო სუფრაც აღარ გაშლილა დიდ დარბაზში. ეხლა კი რა მოხდა განა ისეთი, რომ ასე ააფუსფუსა დედაკაცობა. ან იონას რატომ არ შეუთანხმეს სამზადისი. რაღა ოჯახის უფროსია ვითომ ასეთი კაცი. ეწყინა იონას რძლისა და ცოლის თვითნებობა. იქვე გადაწყვიტა სულაც გასცლოდა იმ დღისით ოჯახს.

რაც უნდათ, ისა ქნან, მე შემომტანი აღარა ვარ ოჯახში და აკი იმიტომაც აღარაფერს მეკითხებიანო, წყრომით გაიფიქრა მან და კიდევაც დააპირა აივანზე გასვლა, რომ რძალ-დედამთილის ბაასს მოჭკრა ყური.

— გვეთქვა იმ კაცისათვის ბარემ, სულ ერთია, შეუმჩნეველი არ დარჩება ჩვენი მზადება, — წაიბუტბუტა უკმაყოფილოდ ნინომ და გატუსული გოჭი სუფთა ტაბაკზე დასდო.

— გვეთქვა მაგრამ... უჩამ მთხოვა, ბაბუას ყველაფერს მე თვითონ ვეტყვიო... თვითონ უნდა მახარობელი იყოს... სკოლის დირექტორს უთქვამს თურმე, იონა ოსტატის ნამოწაფარი ვარ და ძალიან მინდა იმის ნახვაო, აკი იმიტომაც მოუწვევია სტუმრები სახლში... გარდა მაგისი, სწორე გითხრა, ცოტა შემეშინდა უარი არ ეთქვა სამზადისზე, ხომ იცი მაგის ხასიათი, ილიას შემდეგ არავის აღარ ეკარება, — თავი იმართლა ქეთევანმა.

ამ სიტყვების გაგონებაზე გული აუჩქროლდა კარებთან ატუზულ იონას. წყენაც დაავიწყდა. გულს მოწოლილი ბოღმაც ჩაუქრა.

— უჩა მოდის! — სიხარულით წაიჩურჩულა მან და აჩოჩქოლებული, ფეხაკრეფით გაშორდა სამზარეულოს კარებს.

აივანზე გამოსული დიდხანს დაბორიალობდა კუთხიდან კუთხეში. მოულოდნელმა სიხარულმა გზა-კვალი დაუბნია იონას. ერთ ხანს გადაწყვიტა სახელოსნოში ჩასვლა და იქაურობის წესრიგში მოყვანა. კიბეზე მიმავალს უცბად გაახსენდა, რომ წვერი გასაპარსი ჰქონდა. სირცხვილი იყო ასე გაჯეჯილი შეხვედროდა სტუმრებს. უჩას შეარცხვენდა ამით. უჩუმრად დაბრუნდა უკან. ფეხაკრეფით შეიპარა ოთახში. სუფთა საცვალი და ახალი, დიდი ხნის ჩაუცმელი შარვალ-ხალათი მოძებნა და ტანთ გადაიცვა.

კარგა ხანს ზოზიალობდა იონა ოთახში. ღელავდა. ხელები უკანკალებდა. ტუჩები უთრთოდა. ხან ღილს ვერ უყრიდა მარყუჟში, ხან ქამრის ენას ვერცხლის ბალთაში. ბუზღუნებდა, ჯავრობდა, მაგრამ ყველაფერს მაინც განსაკუთრებული მონდომებით და თრთოლვით აკეთებდა.

იქნებ ეს წუთიერი აღტყინება იონას ცხოვრებასთან დაბრუნების ნიშანი იყო.

ამაზე ახლა სულაც არა ფიქრობდა იონა ოსტატი. მას უნდოდა მხოლოდ ჩქარა მოეთავებინა ჩაცმა-მორთულობა და შეუმჩნეველად გაპარულიყო სახლიდან.

სადალაქოში მიმავალი სულ ღობეებს ეფარებოდა. ცდილობდა არავის დაენახა ასე მორთულ-მოკაზმული და გამოწყობილი.

დიდი სიფრთხილით მიუახლოვდა იონა ოსტატი სოფლის სადალაქოს და გულის ძგერით შეაღო კარები. თუმცა შაბათი დღე იყო, მაგრამ იონას საბედნიეროდ იმხანად დალაქთან არავინ აღმოჩნდა.

ულვაშებგადაკაპიწებულმა და გრუზათმიანმა ალექსი დალაქმა გაკვირვებით აჰხედ-დაჰხედა შემოსულ სტუმარს. მართალია, წინათაც ბევრჯერ შესულა ლაცაბიძე სადალაქოში და აქ გასაკვირიც არა იყო რა, მაგრამ ასე გამოწყობილი და წელგაშლილი დიდი ხანია აღარ ენახა ალექსის იონა.

ლაცაბიძემ თვალი აარიდა დალაქს. იონას ყურადღება ახლა თითქოს კედელზე გაკრულმა მხარბეჭიანი მოჭიდავის სურათმა მიიპყრო. ეს სურათი უხსოვარი დროიდან ეკიდა აქ და ალექსი დალაქის საბაასო მასალის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა.

იონაც კარგად იცნობდა ამ გოლიათური აგებულობის ვაჟკაცს, შის დაბადების წელს, საზღაპრო საქმეებს. მას სრულიადაც არ აინტერესებდა ამჟამად ფალავანი, რომელმაც, ალექსი დალაქის სიტყვით, დატვირთული მატარებლის მთელი შემადგენლობა გადაიტარა გულზე, მაგრამ სხვა გამოსავალი აღარა ჰქონდა ოსტატს, ის იძულებული იყო, ერთხელ კიდევ განსაკუთრებული ყურადღებით დაეთვალიერებინა დიდი ხნის ნაცნობი სურათი, რათა თავისი აღელვება და უხერხულობა დაეფარა ცნობისმოყვარე დალაქის მცდელი თვალებისაგან.

ალექსი დალაქმაც იგრძნო ესა და სახეზე არაფრის მთქმელი ზრდილობიანი ღიმილი აათამაშა. მან მოწიწებით გადაფერთხა ოდესღაც ტყავგადაკრული ძველი სავარძელი და იონა ოსტატს შიგ ჩაბრძანება სთხოვა.

საქმეში გართულმა ქალებმა გვიან მოიკითხეს ოჯახის უფროსი. შეფიქრიანებულმა ქეთევანმა მეზობლის ბიჭიც კი გაგზავნა სახლიდან გასული მამამთილის საძებნელად.

ბიჭმა ამბავი მოიტანა — ბაბუა იონა სადალაქოში ზის და წვერს იკეთებსო.

დამშვიდდნენ ქალები. აღარა უთქვამთ რა ერთმანეთისათვის.

სადალაქოდან გამოსული იონა უკვე სახლს უახლოვდებოდა, როცა გზიდან ავტომანქანის ხმა შემოესმა.

ლაცაბიძემ ფეხს აუჩქარა. რატომღაც გადაწყვიტა, რომ ეს მანქანა ჭათთან მოდიოდა და თან მისი ერთადერთი ნუგეში, დაცარული ოჯახის უკანასკნელი იმედი მოჰყავდა.

იონა ალაყაფის კარებს მიუახლოვდა, ფართოდ გააღო ის და დოინჯშემოყრილი ალაყაფის კარების ბოძთან გაჩერდა ძვირფასი სტუმრების მოლოდინში.

კოხტად შემოსრიალდა „პობედა“ ეზოში. მანქანიდან პირველად უჩა გადმოხტა და იქვე წინწამოგებებულ, თვალზე ცრემლებმომდგარ და მოღიმარ პაპას ყელზე შემოეჭდო.

აივნიდან ეზოში ჩამოფენილი ქალები გარს შემოეხვივნენ სახელოსნო სკოლის ტანსაცმელში გამოწყობილ, კარგად ტანაყრილ, სახეგაბრწყინებულ მოზარდს, რომელსაც ეტყობა, უკვე ვაქკაცად მოჰქონდა თავი, რადგან ცდილობდა დედის და ბებიის გადამეტებული ალერსისათვის თავდაჭერილი ღიმილით ეპასუხა.

ქეთევანი ყურადღებას არ აქცევდა ამ ღიმილს და ნაზად იკრავდა გულში საყვარელ შვილს. ბებია ნინო ლოყაზე ჩამოგორებულ ცრემლს თავშლის ყურით უჩუმრად იწმენდდა.

— რა მოგვიდა, დედი, თავი დამანებე, სირცხვილია, სტუმრებს მიხედე! — განგებ დაბოხებული ხმით ამბობდა უჩა და ნაკოცნ ლოყას ხელით ისრესდა. მანქანიდან კიდევ ორი უცნობი გადმოვიდა.

უჩამ მოასწრო და ბაბუა იონას ყურში ჩასჩურჩულა:

— ეს ჩვენი სკოლის დირექტორია, ლევან ურიდია, ის მეორე კი ჩვენი კომკავშირის უჯრედის მდივანი ხიზანიშვილი.

— ვეღარ მიცანით, პატივცემულო იონა ოსტატო? — ღიმილით ჰკითხა ლაცაბიძეს მიახლებულმა, ახოვანი ტანის შუახნის კაცმა.

იონა ჩააშტერდა სტუმარს. კარგა ხანს უცქირა, ეტყობოდა, შორეულ წარსულს იგონებდა.

— ვერა, შვილო, ვერ გიცანი! — დარცხვენით მიუგო მან.

— აღარ გახსოვთ რიონჰესის მშენებლობა?! — ღიმილით მოაგონა სტუმარმა.

— ლევან, ბიჭო! — სიხარულით შესძახა იონამ და გადაეხვია სტუმარს.

მგზავრები ზევით აიყვანეს. ხელ-პირი დააბანინეს. შემოსწრებულმა მეზობლებმა სუფრის გაშლამდე სტუმრების შექცევა და გართობა თვითონ იკისრეს.

ლევანი თავის თავგადასავალს უამბობდა იონა ოსტატს. უამბობდა, როგორ გაგზავნა კომკავშირმა რიონჰესიდან დაწყებით სკოლაში, როგორ შევიდა უმაღლესში, როგორ იბრძოდა სამამულო ომის ფრონტებზე, როგორ დანიშნეს ხელმძღვანელად სახელოსნო სასწავლებელში და

რა მადლობით იგონებდა მთელი ამ ხნის განმავლობაში თავის საყვარელ მასწავლებელს იონა ოსტატს.

ხიზანიშვილი უჩას ქებაში იყო, მოსწონდა მისი აქტივობა, პირდაპირობა, გულმართლობა. სიბეჯითე და წარმატება.

— მამასა ჰგავს ბეჯითობაში! — სევდიანი, მაგრამ ამაყი კილოთი ჩაურთო ლაცაბიძემ.

ტკბილ ბაასში შესაღამოვდა, დიასახლისმა სტუმრები სუფრასთან მიიწვია. უჩამ დრო იხელთა და იონა პაპა გვერდზე გაიხვო.

— ბაბუ, რასა იქმ, როგორა ხარ? — ალერსიანად ჰკითხა უჩამ, როცა პაპა აივანზე დაიმარტოვა.

— როგორ ვიქნები, შვილო, ანდა მე რა საკითხავი ვარ! — ნაღვლიანად მიუგო იონამ. უჩა მიუახლოვდა პაპას, ხელი დაადო მხარზე.

— იცი რა, ბაბუ, ახლა გავიგებ, თუ გიყვარვარ!

— რას ამბობ, შვილო, ვერ გავიგე? — აღელვებით ჩაილაპარაკა შვილიშვილის საიდუმლო კილოთი დაინტერესებულმა იონამ.

— დირექტორი ერთ რამეს გთხოვს, აქაც იმისთვის ჩამოვიდა, თუ აუსრულებ. ბაბუ, თხოვნას?

— რა თხოვნა არის, ბაბუაშენი გენაცვალოს, გამაგებინე? — გაოცებით იკითხა იონამ.

— მე გეკითხები, თუ შეუსრულებ თხოვნას-მეთქი? — გაუმეორა უჩამ კითხვა.

— ხეირიანად ამიხსენი! — გაჯავრდა იონა.

— სიტყვა მომეცი, ბაბუ, სიტყვა! — არა ცხრებოდა უჩა.

პაპა-შვილიშვილი აივანზე იდგნენ. ოქტომბრის ღამის მყუდროებას ათასში ერთხელ უცაბედად მოვარდნილი ქარის ზუზუნი თუ არღვევდა. ობლად შრიალებდა აივანთან დარგული მსხალი. ლაცაბიძემ შეხედა ხეს... ისევ ილია გაახსენდა, მერე ხედვა შვილიშვილზე გადაიტანა. ფანჯრიდან გამომკრთალი შუქი ოდნავ ანათებდა მას. იონას წინ ილია იდგა... ნამდვილი ილია...

— კარგი, შვილო, რასა მთხოვთ, რომ ვერ შევასრულო! —თითქმის ჩურჩულით ჩაილაპარაკა იონამ.

გახარებულმა უჩამ ხელი მოხვია პაპას. გადაჰკოცნა. გულაჩუყებული იონა გაოცებით შეჰყურებდა შვილიშვილს.

— წავიდეთ, ბაბუ, სტუმრებთან წავიდეთ! — მხიარულად შესძახა ყმაწვილმა.

გაოგნებული ოსტატი და სახეგაბრწყინებული შვილიშვილი დარბაზში სტუმრებს დაუბრუნდნენ. შემოდგომის სიუხვით მადლდაყრილ სუფრას ჩვეულებრივი ბაასი და სიმღერა აჰყვა.

ლევან ურიდიამ უჩას ღიმილით გადახედა. ღვინით აავსო ჭიქა და მშვიდად მიმართა ლაცაბიძეს.

— ჩვენს აქ ჩამოსვლას ერთი დიდი მიზანი აქვს, პატივცემულო იონა ოსტატო! ამის საბაბი უჩამ მოგვცა. ჩვენ სახელოსნო სასწავლებელს თქვენისთანა გამოცდილი ოსტატი და ხურო სჭირდება. თქვენი ვალია ცხოვრებაში მიღებული გამოცდილება ახალგაზრდებს გაუზიაროთ, ჩვენი ვალია განთქმულ ოსტატს სასწავლებლის კარი გავუღოთ, ბრძოლის ველზე დაღუპული ერთი ვაჟკაცის სიყვარული ათასჯერ ვზღათ.

ლევანი გაჩუმდა, გამამხნევებელი ხმაურით შეხვდნენ სტუმრები გულთბილად ნათქვამ სიტყვებს.

თავჩაქინდრული ლაცაბიძე უძრავად იჯდა მაგიდასთან, მხოლოდ მხრები უთრთოდა ხანდახან.

— ახლა სიტყვა თქვენზეა, ოსტატო! — გადასძახა ხიზანიშვილმა ფიქრებში წასულ ლაცაბიძეს.

სუფრა მიყუჩდა. საკვამურში ქარმა კივილი შეწყვიტა და სადღაც გაღმა გადაქოთქოთდა.

იონა შეირხა. ფეხზე წამოდგა. წელში გაიმართა. ტუჩებზე საეონო ღიმილი უკრთოდა. წუთის წინ მილულულ, ჩამქრალ თვალებში სიხარულის ცეცხლი უღვიოდა. ის აღარ ჰგავდა წეღანდელ იონას. წელში მოხრილს და აჩრდილივით ფერდაკარგულს. სტუმრების წინ ახლა გაცოცხლებული იონა ოსტატი იდგა, რომელიც მხნედ და ამაყად გადაჰყურებდა ოთახში შეკრებილთ.

მან მძიმედ ასწია ხელი, ხალხი გააჩუმა და მკაფიოდ წარმოთქვა:

— უჩას პირობა მივეცი და ჩემი ხნის კაცს სიტყვის გატეხა არ უხდება. თანახმა ვარ. მიმსახურეთ, თუ ქვეყანას გამოვადგები.

დილამდე გასტანა იმ ღამეს ქეიფმა. მეორე დღეს უჩასა და ბაბუა იონას მთელი სოფელი აცილებდა.

ქუჩებში კი შემოდგომა მიაბოტებდა. მიაბოტებდა როგორც დოვლათით დატვირთული, თავისივე სიუხვით შეზარხოშებული მასპინძელი და სიამტკბილობით უღიმოდა ყველას.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე



კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე დაიბადა 1905 წელს სოფ. დიდჯიხაიძეში (სამტრედიის რ.). ძმობლებძა პატარა კონსტანტინე შეიყვანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც შემდგომ ჰუმანიტარულ ტექნიკუმად გადაკეთდა. აღნიშნული ტექნიკუმი კონსტ. ლორთქიფანიძემ დააშთავრა 1924 წელს.

კონსტ. ლორთქიფანიძემ ლიტერატურული შემოქმედება ლექსებით დაიწყო. ძალი პირველი ლექსი „ბორის ძელაძე" დაიბეჭდა 1924 წელს, 1925 წელს დაიბეჭდა მისი პირველი რომანი „ხაკანი" კომკავშირის ცხოვრებიდან

კონსტ. ლორთქიფანიძის ცნობილი რომანი „კოლხეთის ციხეები", თარგმნილია ძრავალ ენაზე.

დედას ლევანა

დედას ლევანა — ასე ეძახდნენ ზაქარია ნადიბაიძის უმცროს ვაჟს — ჯერ კიდევ მეორე თუ მესამე კლასის მოწაფე იყო, როდესაც ბიძამისმა, ნინია ნადიბაიძემ სოფელში პირველი ტრაქტორი მოიყვანა.

ამ ჯადო მანქანამ პატარა ლევანს ყველაფერი დაავიწყა. აგერ მისი ტოლები ძველი ეკლესიის ეზოში დახლა-ბურთს თამაშობდნენ ან ალაზანზე საბანაოდ მიიპარებოდნენ, ის კი სკოლიდან მოირბენდა თუ არა, ფეხზე ორ-სამ ლუკმას გადაყლაპავდა და მერე მინდვრებში ბიძამისის ტრაქტორს დაეძებდა, ხან კიდევ მთელი საღამო ყანჩაანთ სერზე იდგა და მტვრიან გზას გასცქეროდა.

ამ პატარა ბიჭმა ერთი ძველი ამბავი გამახსენა ჩემი ბავშვობის დროიდან.

ათი-თორმეტი წლისა რომ ვიყავ, ქვეყანაზე არაფერი ისე არ მახარებდა, როგორც ბიძაჩემის სტუმრობა. როდესაც მისი წითელი ცხენი

ჩვენს დაბურულ ორღობეში გამოჩნდებოდა, ჩემი გულის ბგა-ბუგი მგონი სოფლის ბოლოში ისმოდა.

საუკუნე გაივლიდა, სანამ ბიძაჩემი ცხენიდან ჩამოხტებოდა და გადამკოცნიდა. მერე ხელს დამავლებდა და უნაგირზე შემსვამდა.

— ნელა ატარე, შვილო. ოფლი კარგა შეაშრეს, — მეტყოდა იგი და უზანგებს დამიმოკლებდა.

თუ ცოტა ნასვამი იყო, მათრახსაც მომცემდა.

— შორს არ წაიყვანო, ბიჭო, — გამაფრთხილებდა დედაჩემი.

— სადალაქომდე შეიძლება, ნიკო-ძია?

— შეიძლება.

ცხენს ნელა მოვაბრუნებდი, რომ არავითარი აჩქარება და სულწასულობა არ შემტყობოდა, ასევე ნელა გავსცდებოდი ორღობეს და, როგორც კი ჩვენი სახლი ხეებში დაიმალებოდა, მერე გიყვარდეს ნავარდი და მათრახის ტრიალი.

ზედ კართან ჩავუქროლებდი სადალაქოს, სადაც გიგოს ბიჭი ცხოვრობდა. ასე ეძახდნენ დალაქის შეგირდს, რომელიც ყველაფერში მეჯიბრებოდა და მჩაგრავდა.

იგი ჩემი კბილა იყო, მაგრამ რა გინდა სულო და გულო, რომ იმას ჯიბეში არა ჰქონდა. ცისმარე დილას ჩვენი ეზოს წინ ჩამოივლიდა, ხან ჯაყვას ამოიღებდა და შორიდან დამანხვებდა, ხან კიდევ საათის ბუდეს ან შურდულს შემახარბებდა, გულს გამისივებდა და წავიდოდა.

სამაგიეროდ გიგოს ბიჭს ცხენიანი ბიძა არა ჰყავდა.

პირდაღებული მომჩერებოდა იგი, როდესაც სადალაქოსთან ცხენს დავაოთხებდი და მტვრის კორიანტელს დავაყენებდი.. მაშინ მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა და, თუ მერე დედაჩემი დამსჯიდა და სათამაშოდ არსად გამიშვებდა, აღარა ვნაღვლობდი, რადგან იმ დღეს გიგოს ბიჭთან ანგარიში .გასწორებული მქონდა.

ამიტომ მიყვარდა ბიძაჩემის სტუმრობა და, როდესაც ოჯახში იტყოდნენ, ხვალ შეიძლება ნიკო-ძია ამოვიდესო, მე დილიდანვე ჭიშკართან ვტრიალებდი და ორღობეს გავსცქეროდი.

როგორ ჰგავდა და არა ჰგავდა ერთმანეთს ჩემი და დედას ლევანას ბავშვობა.

ზაქარია ნადიბაიძის სახლის შუშაბანდი შირაქის ემტეესის ეზოს გადაჰყურებდა. სადგურის დაბალი თეთრად შელესილი სახელოსნოები და ავდრისაგან გაშავებული ფარდულები ხალვათად გაშლილიყვნენ ვეება მინდორზე.

მინდვრიდან მომავალი ტრაქტორები ნადიბაიძის ეზოს ვერ ასცდებოდნენ. მათი გუგუნი ჯერ კიდევ ყრუდ ისმოდა, როდესაც შუშაბანდი ზრიალს დაიწყებდა.

გუგუნი თანდათან გაძლიერდებოდა. ახლა კედლები დაიწყებდნენ ზანზარს და, სანამ მანქანები სადგურის ეზოში არ შეეიდოდნენ, აღარც ჩარხის ზმუილი ისმოდა — ხე-ტყის სახერხი ქარხნიდან და არც პატარა ელსადგურის დაგადუგი.

დედას ლევანა ჯიმკართან დახვდებოდა ბიძამისის ტრაქტორს და, სანამ ნინია ისადილებდა, პატარა ბიჭი მანქანას ჩვარს გადაუსვამდა, ფრთებზე მიმხმარ ტალახს ჩამოფხეკდა... მერე კაბინაში დაჯდებოდა, საჭის ბერკეტს გადასწევ-გადმოსწევდა.

მეზობლის ბიჭები პირდაღებული მისჩერებოდნენ დედას ლევანას, როგორც მე ერთ დროს დალაქის შეგირდი მომჩერებოდა.

შარშან ბიძამისი წნორისწყალზე წავიდა სამუშაოდ. დედას ლევანამ გული არ გაიტეხა, „შირაქის“ ტრაქტორისტებს დაეპატრონა და თავისუფალ დროს მათთან ატარებდა.

პირველხანად ოსტატები ლუდისა და პაპიროსის მოსატანად დაარბენინებდნენ ლევანს სოფლის სასადილოში და ისიც ენაგადმოგდებული დაჰქროდა აღმა-დაღმა, ოღონდაც მათი გული მოეგო და ამ ჯადომანქანების ახლო ყოფილიყო.

პირველად ვანო ჩოხელმა შეატყო, რომ ყმაწვილს მანქანა უყვარდა. ხანდახან დაუძახებდა და საქმეს გაუჩენდა. როგორ უბრწყინავდა თვალები დედას ლევანას, როდესაც რადიატორში წყალს ასხამდა ან რომელიმე საკისარს ზეთავდა!

ასე ხუმრობაში ლევანმა ტრაქტორის მართვაც ისწავლა და დედას კალთა ჩამოახია, დუბოვთან მიმეგზავნე, ბრიგადაში მიმიღოსო.

როგორ უნდოდა ნადიბაიძის ბიჭს წითელწყაროელი ტრაქტორისტის ბრიგადაში მოხვედრილიყო. როდესაც მაღალი ზორბა ტანის დუბოვი ნაციხართან ჩაივლიდა, დედას ლევანა მონუსხული მისჩერებოდა სახელგანთქმულ ბრიგადირს.

ლევანს გაგონილი ჰქონდა, კოლია დუბოვმა შირაქში ერთი ტრაქტორი თორმეტ წელიწადს ამუშავა და იმოდენა მანძილი გაიარა, დედამიწას ორჯერ შემოუვლიდაო.

ის ტრაქტორი დღესაც კვალში იდგა და ახალთახალ მანქანებს გზას არ უთმობდა.

ლევანმა ისიც იცოდა, ცოტა გულფიცხი კაცი იყო კოლია დუბოვი. მშობლებიც აფრთხილებდნენ, სიკვდილს მოგანატრებს, ბიჭო, მანქანას რომ ვერ გაუძღვეო, მაგრამ გამგონი ვინ იყო! პატარა ლევანს მუდამ თვალწინ ედგა ყავისფერ კომბინეზონში ბეკებჩაკედილი ბრიგადირი, რომელსაც მარცხენა გულჯიბეში შავი ავტოკალამი ჰქონდა ჩაბნეული და ისეთი ნელი სიარული იცოდა, თითქოს, რაც ქვეყანაზე მინდვრებია, ყველა მოუხნავს და ახლა აღარსად აღარ ეჩქარებაო.

წლოვანება კიდევ არაფერი, დედას ლევანა ტანადაც ისე პატარა იყო, რომ მისი თხუთმეტი წელი არავის სჯეროდა.

— რა დროს მაგის ტრაქტორია! მინდორში გაუშვი და თავთავი აკრეფინე! — ხუმრობდნენ მეზობლები, როდესაც ანუკა შვილის ამბავს მოჰყვებოდა.

იმ დღეს დედა და შვილი უთენია წამოდგნენ, ქორისა ორთვალაში შეაბეს და მილარში გაემგზავრნენ დუბოვთან მოსალაპარაკებლად.

შირაქის ველზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო...

გაჰკიოდა გახარებული ლევანი და დილა-ბნელში ცხენს ისე მიაჭენებდა, ანუკას გული უკანკალებდა, სადმე გადავბრუნდებითო.

მიმინოს ხევს რომ მიაღწიეს, მზეც ამოვიდა. კავკასიონის ქედზე ნისლი თანდათან გაიფანტა, — გამოჩნდნენ თოვლიანი მწვერვალები. მერე კალთებზე შეფენილმა ტყეებმაც მოიხადეს თალხი და ალაზნის ველზე გადაისროლეს.

— რა დალოცვილია ჩვენი ქვეყანა! აგერ მთაზე თოვლი დევს, მთის ძირში კი ატამი ჰყვავის და ბავშვები პერანგის ამარა დარბიან! — ჩაილაპარაკა ანუკამ.

ლევანმა გზის პირას ჩაყოლებულ ხეებს გახედა. ატმებს ვარდისფერი ბოლი ადიოდა.

— ამ შირაქს რა ღმერთი გაუწყრა, რომ მთლად ტიტველია იქაურობა!

— ჩვენებური კაცი, შვილო, მინდორში ხეს არ გაუშვებს! ეშინია, ჩრდილში გორაობას დავიწყებ და გავზარმაცდებიო! გაეხუმრა ანუკა.

მილარს რომ მიუახლოვდნენ, ლევანმა უეცრად მოიწყინა. „რას მეტყვის დუბოვი! ჩამაბარებს ტრაქტორს? თუ ისიც ულვაშებში ჩაიცინებს და...“

ანუკას არ გამოეპარა, რომ ბიჭს გუნება შეეცვალა.

— რას გაჩუმდი, ბიჭო! უკან ხომ არ დავბრუნდეთ? — ღიმილით ჰკითხა მან.

— არა, დედი! — თავი გაიქნია ლევანმა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ცხენი შეაჩერა და დედას გაუბედავად შეხედა.

— ჰაი, შე მშიშარავ, შენა! ყველაფერში გიორგი უნდა გჯობდეს— დაუტატანა ანუკამ და ცხენს აღვირის ბოლო გადაჰკრა...

დუბოვი ალაზანის პირას იპოვეს. რომელიღაც ტრაქტორისტს შუა მინდორში მანქანა დადგომოდა და ვერაფერი მოეხერხებინა.

„დროშას მაკარგვინებთო!“ ყვიროდა გაცეცხლებული დუბოვი და ხალათს იხდიდა.

ტრაქტორისტი — შავი პირხმელი ბიჭი — ხვნეშა-კრუსუნით მანქანის სახელურს ატრიალებდა. გაოფლიანებულ თავ-კისერზე ეტყობოდა, კარგა ხანია ამ ჭაპანწყვეტაში იყო.

— კოლა... ავ! — დაუძახა ანუკამ.

დუბოვმა მოიხედა. ნადიბაიძის მეუღლე რომ დაინახა, ხალათი ისევ გადაიცვა და დედა-შვილს ხნულის პირას შეეგება.

კოლია დუბოვი შირაქში იყო დაბადებული და გაზრდილი.

მისი წინაპარი იმ რუსი მხედრობის ჩამომავალი იყო, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს საქართველოს ლეკთა თარეშისაგან რომ იცავდნენ. სამხედრო ბეგარა რომ მოიხადეს, ბევრი მათგანი საქართველოში დარჩა და შირაქში დასახლდა.

ვოლგისა და დონის შვილებმა საცხოვრებლად ჩვენში სწორედ ის ადგილი ამოირჩიეს, რომელიც მათი სამშობლოს ველმინდორს ჰგავდა.

ქართული კარგად იცოდა, მხოლოდ კილოს ცოტა რუსულად უქცევდა, რაც მის ხმას სასიამოვნოდ აყღერებდა.

— გამარჯობა კოლია!

— ანუკას სიცოცხლე!

— ჩემი ბიჭი მოგიყვანე. თუ გახსოვს, წინეებზე გელაპარაკე...

— ეგ არის?

დუბოვმა ისე ახედ-დახედა პატარა ლევანს, რომ საწყალი ბიჭი უფრო დაპატარავდა.

— მარჯვე ბიჭია და ეს საქმეც ძალიან უყვარს!

— თავი გამანებე, თუ ქალი ხარ! ნუცას სკოლად ნუ გახადეთ ჩემი ბრიგადა!

— მე რას მიჯავრდები, კოლია! თუ უარს მეუბნები, წუნარად მაინც მითხარი.

— არა, ანუკა. შენი ჭირიმე, — ენაზე იკბინა დუბოვმა: — გაინ შენ გიჯავრდები! ჩვენმა უფროსებმა გამაჯავრეს. ამ ხალხისა ვერაფერი გამიგია, ღმერთმანი! ლუკა ბერიკაშვილი წამართვეს — საუკეთესო ტრაქტორისტი, და აგერ ის გამომიგზავნეს, გუშინ კურსებიდან ჩამოსული ბალღი!

— როგორ თუ წაგართვეს! ვინ წაგართვა? — გაოცდა ანუკა. მან იცოდა, დუბოვი აგრე ადვილად არაფერს დასთმობდა.

— დააწინაურეს! — გესლიანად ჩაიცინა დუბოვმა: — უბრალო ტრაქტორისტი ვითომ დიდი კაცი გახადეს! რაიონში წაიყვანეს და ლიმონათის ქარხნის დირექტორად დანიშნეს. ქარხანა მაინც იყოს! ორი ფეხშიშველა ბიჭი რაღაც ეშმაკის ჩარხს ატრიალებს და ათიოდე ლიტ-

რა წითელ-ყვითელ წყალს ბოთლებში ასხამს... ეს ძალიან დაიწყეს ამ ბოლო დროს! კაცი სადმე სოფელში სახელს გაითქვამს თუ არა, სტაცებენ ხელს და რაიონში წამოასკუპებენ! ბერეკაშვილიც ვითომ დააწინაურეს! ნამდვილად კი ხელობა დაუკარგეს, ცხოვრებაში გზაკვალი აურიეს!

დუბოვმა შავ ბიჭს გახედა და ჯავრიანად განაგრძო:

— ერთი საათია, მანქანას თავს დასტრიალებს და ვერაფერი უშველა. გამოცდილ ხალხს უჭირს, ჩემო ანუკა, ამ ძველი ტრაქტორების მოვლა-პატრონობა, ეს ბალღები რას გახდებიან! არა, ანუკა, ტყუილად ნუ მთხოვ, რაც არ შემიძლია, არ შემიძლია!

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, რომ უეცრად ნახნავიდან ტრაქტორის გუგუნი მოისმა.

გახედეს — შავი ბიჭის ტრაქტორთან სახეგაბრწყინებული ლევანი იდგა და ნამჯით ხელებს იწმენდდა.

... სანამ დუბოვი ანუკას თავის გაჭირვებას უამბობდა, ლევანმა დრო იხელთა და ტრაქტორს კირკიმალი დაუწყო.

ბედის წყალობა იყო თუ ცოდნისა, ლევანს ბევრი წვალება არ დასჭირვებია. მანქანას სატკივარი მალე გაუგო და ხმა ამოაღებინა.

დუბოვი და ანუკა ტრაქტორთან მივიდნენ.

— გაჯობა განა? — უთხრა ბრიგადირმა შავ ბიჭს.

— მაჯობა. — მაშინვე აღიარა მან.

დუბოვმა მანქანას ყური მიუგდო, მერე ისევ ლევანს ახედ-დახედა და ჰკითხა:

— რა სჭირდა?

— მაგნეტოს კონტაქტები იყო დამწვარი. — ხმამაღლა, სხაპასხუპით მიუგო ლევანმა, როგორც სკოლაში სჩვეოდა.

— კიდევ როდის მოიშლება მაგნეტოს მუშაობა?

— თუ ძალიან შევზეთეთ და გაჭუჭყიანდა.

— პროფესორი ყოფილხარ, ბიჭო! — ჩაიცინა დუბოვმა: — აბა ახლა ტრაქტორზე დაჯექ და შენი კვალიც მაჩვენე!

სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, დედას ლევანა კაბინაში შეფრინდა და მანქანა დასძრა. დუბოვი და ანუკა უკან გაჰყვნენ.

ანუკას გული შეუქანდა, ვაითუ ლევანი აჩქარდეს და კვალი განზე წაუვიდესო, მაგრამ პატარა ბიჭს მთელი გუთნეული ისე მარჯვედ მიჰყავდა, თითქოს მანქანაც და გუთნებიც ერთ სხეულად ქცეულანო.

დუბოვმა ჩალისფერ ულვაშებზე ხელი გადაისვა და თქვა:

— მოდი და ახლა უარი უთხარი ამ ეშმაკის ფეხს! ხვალ ადრიანად გამომიგზავნე. ამ ტრაქტორზე ორივეს ვამუშავებ. თბილად ჩააცვი და ქვეშაგებიც გამოატანე, ჯერ კიდევ ცივი ღამეებია...

სიმონ მთვარაძე



სიმონ ვასილის ძე მთვარაძე დაიბადა 1905 წელს სოფ. საგარეჯოში. 1913 წ. ს. მთვარაძე მიაბარეს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა 1924 წელს; 1926 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1930 წელს.

ს. მთვარაძე პირველად ლექსებს წერდა, ამჟამად მუშაობს საბავშვო პროზასა და დრამატურგიაში.

ს. მთვარაძის პირველი საბავშვო მოთხრობა „ჯილდო" დაიბეჭდა 1928 წელს ჟურ. „პიონერში". ამ წლიდან ს. მთვარაძე მუდმივად თანამშრომლობს საბავშვო ჟურნალებში. მისი პირველი მოზრდილი მოთხრობა „ამბავი ივრის ხეობაში" დაიბეჭდა 1934 წელს. ხოლო 1954 წ. „საბლიტგამმა" გამოსცა ვრცელი სათავგადასავლო მოთხრობა: „უცნაური ცხოველი".

1930 წელს ძოხარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში დაიდგა დრამატურგის პირველი საბავშვო პიესა „ჩვენც... ჩვენც..." ამავე თეატრში იდგმებოდა ს. მთვარაძის პიესები „აურიე რგოლი", „სურამის ციხე" (დ. ჯონქაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით).

ხიფათი

ეს ხიფათი თავს დამატყდა საზაფხულო არდადეგების დროს. აი, როგორ მოხდა ეს: ჩვენი მეზობლის ბიჭი, მიშა, შორეულ მინდორში უნდა წასულიყო: კოლმეურნეობის თავმჯდომარის დავალებით მდინარე იორს გაღმა ტრაქტორზე მომუშავეებისათვის სანოვაგე უნდა წაეღო. ვთხოვე, მეც წამიყვანე-მეთქი. სიხარულით დამთანხმდა, — ორნი ვიქნებოდით, ერთმანეთს გავართობდით.

ჩვენ ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით. მართალია, მე თბილისში ერთ-ერთ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, მიშა კი სოფელში თავის მშობლებთან ცხოვრობდა, მაგრამ არდადეგების დროს ყოველთვის ერთად ვიყავით. დღე ისე როგორ გავიდოდა, რომ ან დილას, ან საღამოს ერთად არ გვეთამაშა და არ გვებაასა ათას რამეზე... აი ასეთ ძეგობარს უნდა გავყოლოდი მინდორში.

მეორე დღეს, როგორც კი ინათა, ორთვალაში ცხენები შევაბით. კოფოზე რომ წამოვიჯიმეთ, მიშამ სადავეები მოზიდა, ნწუო, ერთი შესძახა ცხენებს და ეზოდან გავედით...

მწვანედ და ყვითლად მობიბინე მინდვრებისაკენ გაჭიმულ გზას დავადექით. ცხენები ხალისით მიქროდნენ, რადგან მინდვრების ნოყიერი საძოვრების სიტკბოება ახსოვდათ.

მზე ამოსცდა მთაგრეხილს. ჩვენი სოფლის ხეხილნარებს გავცდით და ძეძვ-ჯაგნარიან ველებზე დაცეშვით. თანდათან უფრო მკაფიოდ მოჩანდა ივრის დაკლაკნილი კალაპოტი და თეთრად მოქათქათე რიყე. დაცხა. მალე იორში შევაგდეთ ჩვენი ორთვალა და, რაკი ეს გიჟი მდინარე მკათათვის გვალვას ძალზე დაეპატარავებინა, ადვილად გავტოპეთ. შევუდექით შეღმა ველებს. მშვენიერი სანახავი იყო ოქროსფრად გაწოლილი ნამჯები გადამკილ ხოდაბუნებზე, საანეულო ხნულებშუა დარჩენილი მზესუმზირას მინდვრები. ალაგ-ალაგ ისმოდა ტრაქტორებისა და კომბაინების გუგუნი. კომბაინები ნაგვიანევ ყანებს მკიდნენ.

მივაღწიეთ დანიშნულ ადგილს. ტრაქტორისტ-კომბაინერებს ბინა გორაკის კალთაზე დაედოთ, ძეძვის ბუჩქების მახლობლად სახელდახელოდ წამოდგმულ ქოხში. ქოხის ირგვლივ ურემიც იდგა, ბარგი-ბარხანაც ეყარა, ბენზინის ვეებერთელა კასრებიც მოჩანდა.

ქოხში სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ბრიგადირი დაგვხვდა.

მიშამ ჩამოტანილი სანოვაგე მას ჩააბარა, შემდეგ ცხენები გამოუშვა და აძოვა. ცხენები რომ დაძღნენ, ორთვალა ისევ გავმართეთ და უკან გამოვბრუნდით...

დასვენებული და მაძღარი ცხენები მოგვაქროლებდნენ. მზე საშუადღეოს გადასცდა და ძალზე დაცხა. ოფლი წურწურით ჩამოგვდიოდა ლოყებზე, სუნთქვა ჭირდა. იორსაც მივუახლოვდით.

— მოდი, მიშა, ვიბანაოთ! — ვუთხარი ამხანაგს.

— მერე და ცურვა იცი?

— არა, მდინარეში ჯერ ფეხიც არ დამიბანია!

— მაშ, არ მინდა ხათაბალა ავიკიდო! წყალმა რომ მოგიტაცოს, შენს მშობლებს რაღა ვუთხრა?

— როგორ უნდა მოვიტაცოს, ერთი ციცქნა მოდის!

— თხელში ვერც იბანავებ, — დინჯად განმიმარტა მიშამ. — ქვაღორღი გვერდებს დაგიმტვრევს. თუ ბანაობა გვინდა, ღრმა უნდა მოვძებნოთ, მაგრამ თუ ცურვა არ იცი, მორევში როგორ შეხვალ?

ცხენებს გადავხედე — ბუზანკალის ხროვა დახვეოდათ დასიცხულებს.

— მიშა, არც ესენი გეცოდებიან? — არ ვისვენებდი მე.

მან ცხენებს გადახედა და ჩაფიქრდა...

— საქმე ჭკუით უნდა გაკეთდეს, — თქვა მან. — დილას ჩვენ რომ ფონზე გამოვიარეთ, ცხენებს წყალი მუხლებამდე ძლივს სწვდებოდათ, იქ ვერ ვიბანავებთ!

გამიხარდა. რაკი მიშა ამას ამბობდა, მაშასადამე, თანახმა იყო გვებანავა.

— როგორ შეიძლება მდინარე ყველგან თხელი იყოს, სადმე დახრამულიც იქნება! — წამოვიძახე სულსწრაფვით..

— ჰოდა... აი, ამ კახეთის შარას რომ დავყვეთ, ხიდს მივადგებით. მორევი იქით ბევრია.

მიშამ აღვირი მარჯვნივ მოსწია და კახეთის შარაგზით წავედით. მალე ხიდი გავიარეთ და ორთვალა მწვანედ მოხასხასე ნაპირზე გავექროლეთ. მართალია, ზაფხულის გამუდმებულ გვალვას იორი ძალზე დაეშრო, მაგრამ ფლატის ძირზე, აქა-იქ, მორევები მაინც დაეტრიალებინა. ასეთი მორევი ხიდს ზემოთ სულ ოთხი დავითვალეთ, მათ შორის სამი სავსე იყო საქონლით, მენახირე ბიჭებს ამ დროს აქ ჩამოერეკათ ნახირი.

— აბა, სად გინდა აბანაო ცხენები? — მკითხა მიშამ და ორთვალა შეაჩერა. — რაც კარგი და უხიფათო მორევია, სოფლის ნახირს უჭირავს.

— აგერ, ზემოთ, ფლატის ძირში პატარა და ცარიელი მორევია, — მივუთითე მე.

— ჰოდა... რატომ ნახირი შიგ არ ყრია? ის მორევი სოფელთან უფრო ახლოა, მენახირენი შიგ ჩავიდოდნენ, მაგრამ, ეტყობა, მორევი ძალზე ღრმაა და საშიში... მორიდებიან. — დაეჭვდა მიშა.

— თუ ღრმაა, მით უკეთესი, უფრო კარგად ვაბანავებთ ცხენებს.

მიშა ერთ ხანს გაშტერებული დაჰყურებდა წყალს, შემდეგ კენჭი აიღო და მორევში გადაისროლა.

— ძალზე ღრმაა, — წაიდუდუნა თავისთვის და ახლა მოზრდილი ქვა გადაისროლა მორევში.

— არა, სახიფათოა. ვერც ჩვენს თავს გავიმეტებ, ვერც ცხენებს. უძირო ჩანს ეს ოხერი!

მაგრამ მე არ დავუჯერე, ხელად გავიხადე შარვალ-ხალათი, ფეხსაცმელები ქვებზე მივყარე და ერთ ცხენს, რომელსაც „უქნარას“ ვეძახდით, ზურგზე მოვახტი. მიშა მეორე ცხენს მოახტა და შევტოპეთ მდინარეში. ცხენები ხალისიანად მიაჭყაპუნებდნენ. წყლის ზხეფები სასიამოვნოდ მელამუნებოდა შიშველ ფეხებზე. წარამარა „იფ-იფს“ გავიძახოდი და მიშას არ ვასვენებდი — მშვენიერია, აბა, რისა გეშინოდა-მეთქი.

— ცხენს აღვირი მაგრად დაუჭირე, ხელი არ გაუშვა! — მომძახოდა მიშა და უკან მომდევდა, ჭკუას მარიგებდა. მისი ცხენი ნესტოებით „უქნარას“ გავას ეხებოდა. სულ ორიოდე წუთი ვიარეთ თხელ წყალში. მე წინ არც კი ვიყურებოდი, ისევ მიშას ველაპარაკებოდი. უცებ მიშა გაფითრდა და შემომყვირა:

— ფრთხილად!

არ ვიცი, რა მოხდა. ერთბაშად ყელამდე წყალში ჩავვარდი და კინაღამ ცხენი ფეხებიდან გამომეცალა. წინ რომ გავიხედე, მხოლოდ ცხენის თავიღა დავინახე. მივხვდი, რომ ძალიან ღრმა წყალში ჩავცვივდით მეც და ჩემი ცხენიც. არ ვიცოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, მხოლოდ აღვირსღა ვებღაუჭებოდი და ცხენს მუცელზე ფეხებს მაგრად ვუჭერდი, რომ არ გამომცლოდა.

მე და ჩემი ცხენი მორევში რომ ჩავცვივდით, მიშას ცხენი შეჩერებულა, უმალვე პირი უბრუნებია და ნაპირზე გასულა. მიშაც ნაპირზე იდგა კოჭებამდე წყალში და შეშინებული მიცქეროდა.

ბევრი ვეცადე, როგორმე ცხენი გამეყოლებინა წყლის მდინარეებისათვის, ხან აღვირი ავუკარ, ხან ქუსლი ამოვცხე, ხან ფაფარი დავაწიწკნე, მაგრამ ვერ იქნა და უხასიათო საქონელი ვერ დავიყოლიე.

სხვა, ჩემს მდგომარეობაში მყოფი, უთუოდ შეშინდებოდა, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, შიში არ მიგრძნია. ვხედავდი, რომ მორევის ზედაპირი ძალიან პატარა იყო, წყალი თვალის დახამხამებაში გამათრევდა თხელი ნაპირისაკენ და რაღაა გულგასახეთქი-მეთქი! სწორედ იმიტომ, რომ არ შევშინდი, საღი აზროვნების უნარი შემრჩა. რაც კი რამ ხდებოდა ჩემს ირგვლივ, ყველაფერს ნათლად ვხედავდი და ვცდილობდი ისე მემოქმედნა, როგორც გარემოება მიკარნახებდა...

მაგრამ, აი „უქნარას“ წყალი ყურებამდე შემოადგა, კაცს ეგონებოდა, სულ ცოტაც და მთელი ეს მორევი იმის ყურებში იხუვლებსო. ფერი მეცვალა, გაგონილი მქონდა, რომ ღრმა მდინარეში ჩავარდნილ ცხენს ყურში ორიოდე წვეთი წყალიც რომ ჩაუვიდეს, უთუოდ დაიხრჩობაო. ამ გარემოებამ ძლიერ დამაფიქრა და საგონებელში ჩამაგდო.

ვიფიქრე: ცხენს მე ვამძიმებ, თორემ წყალი როგორ მოსწვდებოდა ყურებამდე-მეთქი. ალვირი მივაგდე, ფაფარში მარცხენა ხელი დავტაცე და მორევში გადავეშვი. წყალზე გავწექ, მარჯვენა ხელი ძალუმად მოვუსვი და ფეხები ავაჭყაპუნე. როდესაც „უქნარამ“ ეს დაინახა, ისიც დაიძრა ადგილიდან... მორევში წყალი წრიულად ტრიალებდა, ჩვენც აგვიყოლია ამ წრემ და მცირე ხნის შემდეგ ისევ იმ ადგილას მიგვიყვანა, საიდანაც დავიძარით. ცხენი ისევ გაჯიქდა, ზემოთ ცდილობდა ასვლას, მაგრამ ღრმა მორევის კლდოვანი კედელი წინ ნაბიჯს არ ადგმევინებდა... რომ შემხტარიყო, არც ეს შეიძლებოდა, რადგან წყლის მდინარება უკან სწევდა... მომაგონდა ფიზიკის კანონი წყალში ჩავარდნილი ყოველგვარი საგნის გამსუბუქების შესახებ და „უქნარას“ ისევ ზურგზე მოვახტი, ფაფარში ვტაცე ხელი, ნესტოებში მუშტი ამოვცხე და, როგორც იყო, ადგილს მოვწყვიტე. მორევმა კვლავ წრე გაგვაკეთებინა და ისევ იმ ადგილას მიგვყარა.

გონდაკარგულ მიშას ჩემთვის შველა არ შეეძლო. სხვა მხსნელიც არავინ ჩანდა, ჩემი თავისთვის მე თვითონ უნდა მეშველა. არც კი დამცალდა კარგად შემეგნო, თუ როგორ მემოქმედა, რომ უცებ ცხენი თითქოს შეხტა, წყალს ზემოთ წინა ფეხების მუხლები გამოუჩნდა. ბაგრამ აქ ან კლდე დახვდა, ან წყლის მდინარებამ სძლია, ყალყზე შებდგარი ჩემკენ შემოტრიალდა, გაშლილი წინა ფეხებით ზედ გადამებოტა, მკერდი ძალუმად მკრა და მორევში ჩამკარგა...

ახლაც არ დამიკარგავს მოფიქრების უნარი. კარგად ვგრძნობდი, რომ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ელოდა, თუ რაიმეს არ ვიღონებდი.

ჯერ პიონერულ ორგანიზაციაში, შემდეგ კი, აგერ უკვე ერთი წელიწადი გადიოდა, რაც კომკავშირში სულ იმას მასწავლიდნენ, რომ ხიფათს დინჯად შევხვედროდი, დაბრკოლება წარბშეუხრელად გადამელახა, მოსაზრების უნარი ყოველგვარ მდგომარეობაში შემენარჩუნებინა. ამ სიბრძნით შთაგონებულმა ახლა ჩემს თავს ასეთი კითხვა დავუსვი: რით გადავრჩები ამ წუთში? მხოლოდ იმით, თუ წყალს არ ჩავყლაპავ. გადავწყვიტე: უჰაეროდ დავიხრჩო, მხოლოდ წყლით კი არა-მეთქი. ტუჩები მაგრად მოვკუმე, კბილებს ისე ვაჭერდი ერთმანეთს, რომ ყბების ძვლები მტკიოდა. ერთ ადგილზე ვიყავ გაქვავებული... და უცებ წყალმა ამომატივტივა. რაც ძალა და ღონე მქონდა, ხელ-ფეხი ავამოქმედე, მაგრამ დიდხანს ვერ შევძელ; საშინელი დაღლა ვიგრძენი, თან სული მეხუთებოდა და დასასვენებლად მივეშვი. წყალმა ისევ ფსკერისაკენ წამიღო. „ვიღუპები!“ — გამეელვა თავში. სწორედ ამ დროს მარცხენა ფეხის ცერი ქვას მოვარტყი. უზომო სიხარულმა ფრთა შემასხა, გავიმართე წელში და მარჯვენა ფეხი წინ წავდგი. წამსვე ვიგრძენ, რომ სიპი ქვების გროვას წავაწყდი. წამოვიწიე, წყალი გვერ-

დამდე მცემდა. ახლა მარცხენა ფეხი ვინაცვლე წინ... და მალე მუხლებამდე წმინდა წყალში ვიდექი. ხელისგულები ქოჩორზე ჩამოვისვი, წყალი ჩამოვიწრიტე და ზედიზედ ხარბად ჩავისუნთქე ჰაერი... როგორც კი ოდნავ გონი მოვიკრიბე, მიმოვიხედე და ყველაფერი მეუცნაურა: მორევის ნაპირი ვეხბორე-ვენახირე და მინდვრებში ომმუშავე ხალხით ავსილიყო. ერთს, ყველაზე გაბედულ ვაჟკაცს, შარვალ-ხალათი გაეძრო, ცალი ქალამანი გაეხადა და მეორის თასმებს იხსნიდა.

რა მოხდა, საიდან გაჩნდა ამდენი ხალხი? ამაზე შემდეგი მიამბო მიშამ. მე რომ ცხენმა მორევში ჩამკარგა, შიშით თავზარდაცემულ მიშას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ღრიალი აეტეხა: — მიშველეთ, იხრჩობა, მიშველეთო.

ვისაც კი ეს ხმა მისწვდომოდა, მუშაობისათვის თავი მიენებებინა და აქეთ გამოქცეულიყო.

რამდენიმე ახალგაზრდა წყალში შემოვარდა და ხელში აყვანილი ნაპირზე გამიყვანეს... რაკი საფრთხეს თავი დავაღწიე და გული დაკიმშვიდე, მოვწყდი და მწვანე ბალახზე მივეშვი.

...მას შემდეგ კარგა დრო გავიდა. როცა ეს ხიფათი მომაგონდება, ყოველთვის ვეკითხები ჩემს თავს: — რამ გადამარჩინა? მხოლოდ იმან, რომ ფიქრის უნარი არ დამიკარგავს და შიშს ვძლიე. დიდი გამოცდილება შემძინა ამ ხიფათმა. ახლა თქვენც გირჩევთ, როგორ ხიფათშიც არ უნდა მოჰყვეთ, როგორი განსაცდელიც არ უნდა დაგატყდეთ თავს, არ შეკრთეთ, არ შეშინდეთ, გული გაიმაგრეთ, მკლავი გაიმამაცურეთ, გონება შეინარჩუნეთ და ხიფათიც ნაკლებად მოგერევათ.

ლავრენტი ჭიჭინაძე

ლავრენტი ალმასხანის ძე ჭიჭინაძე დაიბადა 1906 წელს სოფ. ქვედა საქარაში (ზესტაფონის რ.). საშუალო განათლება მიიღო ზესტაფონში. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი.

ლ. ჭიჭინაძემ პირველად 1926 წელს დაბეჭდა ლექსი „ბაზე" „ახალგაზრდა კომუნისტში". 1929 წლიდან მუშაობს საბავშვო პროზაში. მისი პატარ-პატარა მოთხრობები სისტემატურად იბეჭდება ჩვენს საბავშვო ჟურნალებში.

ლ. ჭიჭინაძის პირველი საბავშვო მოთხრობა „პირველი სადილი" დაიბეჭდა 1929 წელს ჟურ. „პიონერში". მოთხრობების კრებული „ისლიანი სახლები" გამოვიდა 1934 წელს; ისტორიული მოთხრობების კრებული „ნადირ-შაჰის ხმალი" — 1941 წელს. ლ. ჭიჭინაძეს დაწერილი აქვს ისტორიული რომანი „ნარბევი" და რამდენიმე საბავშვო წიგნი: „საბავშვო მოთხრობები", „თანაკლასელები" და „ახსოვარი".

ლ. ჭიჭინაძე წლების ძანძილზე რედაქტორობდა ჟურნალ „ოქტომბრელს", ამჟამად გაზ. „ნორჩი ლენინელის" რედაქციაში მუშაობს პასუხისმგებელ მდივნად.

სიტყვის პატრონი

ჩამწკრივებულ მაღალ სახლებს შორის ლარივით გაჭიმულა განიერი ქუჩა. ამ ქუჩაზე ბევრი ავტობუსი და უფრო მეტი ავტომანქანები დაჰქრიან... ტრამვაიც მუშაობს. ტრამვაის ლიანდაგი სტუდენტთა ქალაქთან წრეხაზივით უხვევს. აი, სწორედ ამ ადგილას მიდიოდა ტრამვაი; ვიდრე იგი თავმოყრილი მგზავრების წინ გაჩერდებოდა, ერთი პატარა ბიჭი რამდენჯერმე შეახტა და ჩამოხტა; ცალი ხელით სახელურს ეკიდებოდა, მეორეში კი წიგნებით სავსე ჩანთა ეჭირა. პატარა ბიჭი ისე თავისუფლად იქცეოდა, თითქოს უშველებელ ტრამვაის კი არა, ჯოხის ცხენს ეთამაშებოდა. უცბად ტრამვაის საფეხურზე ფეხი დაუცდა, სახელურსაც ვეღარ ჩაჰკიდა ხელი, პირქვე დაეცა პრიალა ასფალტზე და სიცილი კინაღამ ტირილით შეეცვალა.

— ააჰ, რა ბეწვზე გადარჩა! — შეშფოთებით წამოიძახეს მგზავრებმა.

ერთმა კაცმა ხელი ჩაავლო წაქცეულ ბავშვს და წამოაყენა. პატარა ბიჭი უცნობი კაცის ხელში რომ აღმოჩნდა, დაიბნა, მაგრამ მალე გამოერკვა და წასასვლელად გაიწია, თითქოს არაფერი მომხდარაო.

— არა, ბიჭიკო, გეტყობა, ძალიან გეჩქარება, მაგრამ ასე ვერ გაგიშვებ, ერთად წავიდეთ! — უთხრა უცნობმა და ტრამვაისაკენ გაიყოლა.

— მე იქით არ მივდივარ, — ტირილით უპასუხა ბავშვმა.

— მაშ, რად ახტებოდი? — ჰკითხა კაცმა და ბიჭი ვაგონში შეიყვანა.

ბავშვს გული უკანკალებს, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, უნდა როგორმე თავი იმართლოს, მაგრამ ვერაფერი მოუგონია.

— შენი სახელი?

— სანდრო, — წაიბუტბუტა ბიჭმა.

— სად ცხოვრობ?

— აქ, ვაკეში, მცხეთის ქუჩაზე.

— ახლა მაინც მითხარი, რად ახტებოდი ტრამვაის?

— არ ვახტებოდი, — კვლავ წაილუღლუღა სანდრომ.

— რაკი სიმართლეს არ ამბობ, არ გაგიშვებ. მე სიმართლე მიყვარს.

ამასობაში ტრამვაიც დაიძრა. სანდროს ახლა უფრო დაეტყო ძოუსვენრობა.

— ძია, გამიშვით, ტრამვაი წავიდა, ფული არა მაქვს!

— ნუ გეშინია, ბილეთს მე გიყიდი, მხოლოდ სიმართლე მითხარი. არ მეტყვი?! მაშინ იმ გაჩერებაზე ჩამოვალთ, იქვე საბავშვო ოთახია და იქ მიგიყვან.

ტრამვაი მიქრის. ბიჭი საგონებელში ჩავარდა.

ერთბაშად თავი ასწია და უცნობ კაცს უთხრა:

— ძია, ამის შემდეგ აღარ შევახტები.

კაცმა შეხედა სანდროს:

— პატიოსან სიტყვას იძლევი, თუ მხოლოდ იმიტომ მეუბნები, რომ გაგიშვა?

— დიახ, პატიოსან სიტყვას ვიძლევი, ძია! — უყოყმანოდ უპასუხა სანდრომ.

უცნობი ჯერ სანდროს ღერბსა და ქამრის ბალთას დაუკვირდა, ხოლო შემდეგ შეეკითხა:

— რომელ კლასში ხარ?

— მეოთხეში.

— გვარი?

— კაციაშვილი.

— ახლა კი გაგიშვებ შინ. ვნახოთ, მართლა შენი სიტყვის პატრონი ხარ თუ არა.

ამ ლაპარაკში ტრამვაი კიდეც გაჩერდა და ორივენი ჩამოვიდნენ. მეორე ტრამვაი რომ ჩამოდგა, უცნობმა სანდროს ბილეთის ფულიც მისცა და შინისაკენ გაისტუმრა.

დაგვიანებული სანდრო მიიჩქარის და გონებიდან არ შორდება უცნობი ძიას უკანასკნელი სიტყვები: „ვნახოთ, მართლა შენი სიტყვის პატრონი ხარ თუ არა“, გზაში სულ ამაზე ფიქრობდა, მაგრამ ამ სიტყვების შინაარსი მაინც ვერ გაიგო და ბოლოს დედას შეეკითხა:

— დედი, რას ნიშნავს სიტყვის პატრონი?

— შვილო, სიტყვა იგივეა, რაც პირობა... კაცს რომ დაჰპირდები და შეუსრულებ, მაშინ იტყვიან: სიტყვის პატრონი ყოფილაო.

სანდრომ ახლა კი კარგად გაიგო „სიტყვის პატრონის“ მნიშვნელობა და დედას უთხრა: მე სხვა რამე მეგონაო. მერე მეცადინეობას შეუდგა: ხან წერდა, ხან კითხულობდა, მაგრამ „სიტყვის პატრონი“ მაინც აღარ დაავიწყდა, ძილშიაც კი ჩაჰყვა.

მეორე დღეს სანდრო სკოლაში ადრე მივიდა. მასწავლებელი უკვე მოსულიყო, დერეფანში დადიოდა. ბიუნა შორიდან მიესალმა, შემდეგ ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა, დაკეცილი ქაღალდი ჩანთიდან ამოიღო და გადასცა.

მასწავლებელმა ბარათი გაშალა. ის-ის იყო წაკითხვა უნდა დაეწყო, რომ დერეფანში შემოსულმა კაცმა მიიქცია მისი ყურადღება. მასწავლებელი მისკენ გაეშურა.

— პატივცემულო გიორგი, საიდან? რისთვის გარჯილხართ?

სანდროს ძალიან გაუკვირდა, რომ ეს ის უცნობი იყო, რომელიც გუშინ შეხვდა. ბიჭი კედელს გაეკრა.

— ო, სანდროს გაუმარჯოს!

— სალამი, პატივცემულო ძია, — ძლივს წარმოთქვა სანდრომ.

მასწავლებელი ხან გიორგის უყურებს, ხან სანდროს.

— პატივცემულო გიორგი, თქვენ საიდან იცნობთ ამ ჩემს მოწაფეს?

— გუშინ გავიცანი. ახლა აქ იმისთვის მოვედი, რომ შეგატყობინოთ, რა გადახდა გუშინ ამ პატარას, თან სხვებიც გავაფრთხილოთ. თვითონ ამას ხომ არაფერი უთქვამს თქვენთვის?

— სანდრო ამ წუთში მოვიდა და ეს ბარათი გადმომცა, — უპასუხა მასწავლებელმა.

ბარათის გაგონებაზე გიორგის თვალები გაუბრწყინდა.

— წამიკითხეთ, წამიკითხეთ! — სთხოვა სტუმარმა მასწავლებელს.

მასწავლებელმა ინწამსვე ბარათი გაშალა და კითხვა დაიწყო:

„გუშინ ტრამვაის ვახტებოდი. ჩამოვვარდი. ერთმა უცნობმა ძიამ ამაყენა და მანამდე არ გამიშვა, ვიდრე პირობა არ მივეცი, რომ ასე არასოდეს აღარ მოვიქცევი-მეთქი. მაშინ უცნობმა ძიამ მითხრა: ეს

პირობა კარგია, მაგრამ ვნახოთ, მართლა შენი სიტყვის პატრონი ხარ თუ არაო.

გთხოვ, პატივცემულო მასწავლებელო, მთელ კლასს გააცნოთ ჩემი გუშინდელი ცუდი მოქმედება.

მე მინდა სიტყვის პატრონი ვიყო".

— მეც ეგ მინდოდა, — წამოიძახა გახარებულმა პროფესორმა, ახლო მივიდა დარცხვენილ სანდროსთან და თავზე ხელი ალერსით გადაუსვა. შემდეგ მასწავლებელს მიუბრუნდა: — აი ამიტომ მოვედი დღეს თქვენთან. მოხარული ვარ, რომ სანდრო მართლაც თავისი სიტყვის პატრონი აღმოჩნდა.

პატარა გმირი

(ნამდვილი ამბავი)

შემოდგომაა. ფოთოლშეყვითლებული ხეები რტოებდალეწილია. ადამიანები აღარსად ჩანან, მიუტოვებიათ სახლ-კარი, სადღაც წასულან. ვისაც გაქცევა ვერ მოუსწრია, თავშესაფარში ზის, შიშით კანკალებს, გარეთ გამოსვლას ვეღარ ბედავს. გარეთ საშინელებაა: ჰაერში თვითმფრინავების გაბმული ზუზუნია, გრიალებენ ქვემეხები, ყველგან სკდება ყუმბარები, ჩნდება უზარმაზარი ორმოები, ინგრევა სახლები. არეულად ისმის შაშხანებიდან სროლის ხმა. სივრცეში ელავენ ნაღმსატყორცნები, რიტმულად კაკანებენ ტყვიამფრქვევები.

კიევის განაპირა უბანში, სადაც ტრამვაი უხვევს ორსართულიან სახლთან, უყურადღებოდ ყრია დაჭრილ-დახოცილები. კორიანტელით განაცრისფერებული წითელარმიელები აქეთ-იქით იხედებიან, ისინი ხან ერთ სახლს მოეფარებიან, ხან მეორეს, მოულოდნელად ცეცხლს ხან ერთ მხრიდან უშენენ გამხეცებულ გერმანელებს, ხან მეორე მხრიდან, მოიწევენ მტრის ტანკები და თვითმავალი ქვემეხები, ქუჩაში წაქცეულ დაჭრილებს სიცოცხლეს უსწრაფებენ.

ცოტა ხნით მანქანების რახრახი შეწყდა, აღარც სროლის ხმა ისმის. დაბალი სახლიდან ნელა გამოვიდა პატარა ბიჭი. მან შეშინებული კურდღელივით მიმოიხედა, ბიჭს კვნესა შემოესმა. იქითკენ უნდა გაქცევა, მაგრამ კიდეც ეშინია. ახლა შეწყვეტილია სროლა, მაგრამ შეიძლება ისევ ატყდეს. ასე ორჭოფობს ბიჭი.

— ბიჭიკო, მოდი ჩემთან! — შემოესმა ხმა.

ბავშვმა ახლა კი აღარ დააყოვნა, მაშინვე მიირბინა, ორი დაჭრილი წითელარმიელი დაინახა. ერთი ძალიან დიდია, მეორე — პატარა. სწორედ ეს პატარა კვნესის. ტანისამოსიც სულ გასისხლიანებული აქვს. დიდიც სისხლით არის დასვრილი, მაგრამ ყოჩაღად გაჰოიყურება. ბავშვმა პასუხის მაგიერ კვლავ შინ გაქცევა დააპირა. დიდმა მებრძოლმა ეს რომ შენიშნა, მოფერებით მიმართა:

— ნუ გეშინია, ბიჭიკო, მოდი ჩემთან, მოდი!

ბავშვი მიუახლოვდა.

— რატომ მეძახით? — შეეკითხა იგი ჩუმად, ვითომ არავინ გაიგონოს და არ დამინახონო.

— მე თუ მიცნობ? — ჰკითხა წითელარმიელმა.

პატარა ბიჭმა ახედ-დახედა, დააკვირდა, იგი ფიქრობს, მართლა ხომ არ ვიცნობო. მაგრამ ვეღარ გაიხსენა და ასე უთხრა:

— წითელარმიელი ხარ.

— მერე წითელარმიელის გეშინია?!

ბიჭს ამ სიტყვებზე შერცხვა, ლოყები გაუწითლდა.

— არა, — სწრაფად უპასუხა, ისე, როგორც შეცდომის გამოსწორების მიზნით იციან ხოლმე უმეტესად მოწაფეებმა. — ძია, წითელარმიელების არ მეშინია... გერმანელები დამინახავენ... მომკლავენ, — უპასუხა ბიჭმა. იგი თან მძიმედ დაჭრილ წითელარმიელს აღარ აშორებს თვალს. ატყობს უკანასკნელ დღეში რომ არის. სიკვდილის მოახლოებას გრძნობს, გამწარებულია, თვალზე ცრემლიც ადგია, ფრჩხილებით ჰკაწრავს მიწას, მაგრამ მაინც იმედიანად ლაპარაკობს:

— გერმანელი... წყეული გერმანელი... მან დაღვარა ჩემი სისხლი, სიცოცხლე გამიშხამა, მაგრამ ჩვენები მობრუნდებიან, ჩემს სისხლს ერთიათად აზღვევინებენ.

ბავშვს სულითა და გულით სურს მომაკვდავის დახმარება, მაგრამ ვერაფერი მოუგონია: რა ქნას, როგორ უშველოს.

— შენ სკოლაში თუ დადიხარ? — კვლავ შეეკითხა წითელარმიელი.

— დავდიოდი.

— პიონერი ხარ?

— დიახ.

— გვარი?

— კრავჩუკი.

— სახელი?

— კოსტია.

— კოსტია, ყური მიგდე, საიდუმლოს გაგანდობ.

— მითხარი, ძია, მითხარი! არავის არ ვეტყვი. გაძლევ პიონერულ სიტყვას. — შეჰფიცა კოსტიამ.

— ჩვენ სამშობლოს ვიცავთ, თქვენ გიცავთ, ეს ფიცით გვაქვს აღთქმული. არც შენ უნდა გვიღალატო. ჩვენი ფიცი წმიდათა წმიდაა. ამ ფუთას ჩაგაბარებ. ამაში პოლკის სიცოცხლეა გახვეული. შენ იცი, რითი ცოცხლობს ადამიანი?

— გული?! — გაიკვირვა კოსტიამ.

— აქაც ისეთი გულია გახვეული.

— გული?! — გაიკვირა კოსტიამ.

— რატომ გაგიკვირდა? სწორედ გული, გული, პოლკის საბრძოლო დროშა. თუ ეს დროშა დაიკარგა, პოლკს ერთი კაციც რომ არ აკლდეს, მაინც დაიშლება. კარგად შეინახე. ამაში ორი საბრძოლო დროშაა. დამალე! ჩვენების მოსვლამდე არ გამოაჩინო, არავის უთხრა, არავის... — რამდენჯერმე გაუმეორა გამაფრთხილებლად, აგრძნობინა, თუ რა დიდ მოვალეობას აკისრებდა. — ხომ გაიგე? — კვლავ შეეკითხა.

კოსტიამ შეფუთული დროშები გამოართვა და მტკიცედ უპასუხა:

— არავის ვეტყვი. — ფუთა გულში ჩაიკრა, მერე დაჭრილ მებრძოლს ჩუმად კიდევ შეეკითხა, — თქვენ მართლა დაბრუნდებით?

— დაბრუნდებით, მაშ, აუცილებლად დაბრუნდებით. — დაარწმუნა წითელარმიელმა. მერე იგი უკანასკნელ წუთებში მყოფ ამხანაგს მიეშველა, ააყენა და კოჭლობით გავიდა გზაზე.

გერმანელთა ტანკები კვლავ გამოჩნდნენ. წითელარმიელმა დაჭრილი ამხანაგი ძირს დაუშვა, ამოიღო გრანატი, სტყორცნა და ერთ-ერთი მოწინავე ტანკი გააჩერა.

ახლა მეორე ტანკი წამოვიდა ამ მამაცი მებრძოლისაკენ. გაქცევის მაგიერ მებრძოლმა ხელში დაიკავა გრანატების კონა და ტანკს შეუტია. ტანკმა გასრისა იგი, მაგრამ თვით ტანკიც აფეთქდა. მესამე ტანკმა, ძირს დავარდნილ მებრძოლს გადაუარბინა. კოსტიამ თავისი თვალით დაინახა წითელარმიელის თავგანწირვა, თვით იმ წითელარმიელისა, რომელიც უკანასკნელ წუთებში მხოლოდ დროშის გადარჩენაზე ფიქრობდა და სწამდა კვლავ უკან დაბრუნება.

კოსტიამ წაიღო დროშები და ისეთ მივარდნილ ადგილზე დამალა, სადაც არავინ დადიოდა. მხოლოდ კოსტია იყო იმ ადგილას ხშირი სტუმარი, — ორი წლის მანძილზე თითქმის ყოველდღე ნახულობდა. იგი ბავშვებთანაც აღარ თამაშობდა, თითქოს ყოველგვარი ბავშვური გასართობი მოსწყინდა. მისი ქცევა დედასაც კი აკვირვებდა, რაღაც ეჭვებმა შეიპყრო და კიდეც შეეკითხა:

— შენ დამალული ხომ არაფერი გაქვს?

— არა.

— მაშ, სად დადიხარ ხოლმე?

— არსად.

— შვილო, ფრთხილად იყავი, თორემ... — გააფრთხილა დედამ.

კოსტია ფრთხილად იყო. მაგრამ გერმანელებმა მაინც დაიჭირეს. მასთან სხვაც ბევრი მორეკეს. იმავე დღესვე ჩაამწყვდიეს ისინი საქონლის ვაგონში და მატარებელი გერმანიისაკენ გააქანეს.

— რა დროს დამიჭირეს! უკვე გავიგე: მალე კიევში წითელი არმია იქნებაო. — კოსტიამ ყურში წასჩურჩულა თავის ტოლ ბიჭს.

— თუ ეგ მართალია, ჩვენ ალბათ გერმანელები სასიკვდილოდ მიგვრეკავენ, — თქვა ამხანაგმა.

— ჩემს თავს არ ვდარდობ. მე უფრო სხვა რამე მაწუხებს.

— მაინც? — დაინტერესდა ამხანაგი. — მე არ მეტყვი?

— არც შენ და არც სხვას.

კოსტია ტრიალებს ვაგონში, სულ უკან იხედება. იქით რჩება სული და გული, მივა ხოლმე კარებთან და კვლავ უკან ბრუნდება, ვერ ისვენებს ერთ ადგილზე. ისევ კარებთან მიდის. მატარებელი მიჰქრის. უკან რჩება კოსტიას ნაცნობი ველ-მინდვრები.

— შეიძლება ვერასოდეს ვეღარ ვიხილოთ ეს ნაცნობი ადგილები,— უთხრა მეგობარმა ბიჭმა კოსტიას.

— შენი არ ვიცი, მაგრამ მე აქ უნდა მოვკვდე, — სთქვა კოსტიამ და მატარებლიდან გადმოხტა. ისე მოულოდნელი იყო ამ სიტყვების თქმა და შესრულება, რომ, არამც თუ რჩევა, არამედ ხელის წავლებაც კი ვეღარ მოასწრეს.

ის მიწაზე დაენარცხა, კარგა შორსაც გახოხდა, მთლად გადაეტყავა ხელები და ცხვირ-პირი. მატარებელი გასცდა. ბავშვი კარგა ხანს უძრავად ეგდო მიწაზე, გონს გვიან მოვიდა. ირგვლივ სიწყნარე იყო და აღარც მატარებელი ჩანდა. კოსტია დაბეჟილი ნელა წამოდგა, მაგრამ ტკივილებს თითქოს აღარ გრძნობს, ისევ კიევისაკენ გაეშურა. დედა შინ აღარ დახვდა, შიშით ისიც დაშალულიყო. დიდი ხნის ძებნის შემდეგ სადღაც ნათესავთან აღმოაჩინა. იქ რამდენიმე დღე დაჰყვეს. ამასობაში ქალაქიდან გერმანელები გარეკეს. კოსტიამ და დედამისმა ისევ თავიანთ სახლს მიაშურეს. სახლს რომ მიუახლოვდნენ, კოსტიამ დედას უთხრა:

— მე სხვაგან გამოვივლი, სულ მალე მოვალ, შეიძლება შინ შენზე ადრე მივიდე.

— შვილო, კიდევ არ დაიკარგო.

— არა, დედი, აღარაფრის მეშინია. — უთხრა და წავიდა.

მას მართლაც არ დაჰგვიანებია, მივიდა, ხელში პატარა ფუთა ეჭირა. თან გაღიმებულ სახეზე მხიარულება ჰქონდა გამოსახული.

— ეგ რაღა მოიტანე? — შეეკითხა დედა.

— ამ ფუთაში ის არის, რაც შენ გაინტერესებდა და ხშირად მეკითხებოდი: სად დადიხარო. მაშინ თქმა არ შეიძლებოდა, ახლა კი შეხედე! — გახსნა და ორი წითელი დროშა ამოიღო.

დედა დაცეცებული თვალით უცქეროდა:

— ბიჭო, ეს სად იშოვე?

— წითელარმიელებმა ჩამაბარეს, როცა უკან იხევდნენ.

— ალბათ, ამიტომ დაგიჭირეს გერმანელებმა.

— დამიჭირეს, თორემ ძალიან კი წამიყვანეს.

მან დაჭმუჭნული დროშები გაასწორა, შემდეგ ქალაქის კომენდანტთან გაიქცა. მივიდა მასთან და მოახსენა:

— აი, ორი დროშა... დაჭრილმა წითელარმიელებმა გადმომცეს, როცა კიევი გერმანელებმა დაიპყრეს. ფიცით ჩამაბარეს. არავისთვის არ უნდა მეთქვა, არც გამიმხელია. — მერე მან უამბო იმ ორი მებრძოლის გმირულად დაღუპვის ამბავი და აგრეთვე ისიც, თუ როგორ გადმოხტა ვაგონიდან.

ხნიერმა კომენდანტმა ბავშვი გულში ჩაიკრა, მხურვალედ დაკოცნა და მღელვარედ უთხრა:

— გმადლობ, პატარა გმირო!

ამის შემდეგ კოსტიამ სამხედრო სასწავლებელში შესვლა გადაწყვიტა და კიდეც მიიღეს. ბეჯითად სწავლობს სუვოროვის სკოლაში. იქ ბევრი ბავშვი ატარებს მთავრობის ჯილდოებს ორდენებსა და მედლებს, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო — წითელი დროშის ორდენი — კოსტიას აქვს. როცა მას შეეკითხებიან ხოლმე, თუ რით დაიმსახურა ასეთი მაღალი ჯილდო, ის მოკლედ უპასუხებს:

— მე გადავარჩინე ორი საბრძოლო დროშა.

კარლო კალაძე

კარლო რაჟდენის ძე კალაძე დაიბადა 1907 წელს ქუთაისში, ლიტერატორის ოჯახში. საშუალო სკოლა დაამთავრა 1926 წელს, უმაღლესი განათლების მისაღებად შეკიდა პედაგოგიურ ინსტიტუტში.

კარლო კალაძას პირველი ლექსი დაიბეჭდა 1920 წელს, ხოლო ლექსების კრებული გამოვიდა 1926 წელს.

კარლო კალაძე ლირიკულ ლექსებთან ერთად წერს პიესებს და პოემებს. მისი პიესები: „როგორ", „ხატიჯე" და სხვა წარმატებით იდგმებოდა ჩვენს თეატრებში.

კ. კალაძე წერს აგრეთვე საბავშვო პოემებს.

საიდუმლო გარათი

I

„თქვენს სამხედრო საიდუმლოს
არ გავამხელ, გულით მენდეთ
და ფარულად გამაცანით,
ვიდრე მე თვით მომისმენდეთ.

ვიდრე თქვენი თანატოლი,
შორეული დნეპრის პირად
ბრძოლით სახელს გაითქვამდეს
და ჩავთვლიდეთ ნამდვილ
გმირად."

ვთქვი და ჩუმად მივაჩერდი
ერცელ რუკებით მორთულ
კედელს,
მიმიწვიეს მაგიდასთან
და ერთმანეთს გადახედეს.

ჩუმად იჯდა ხუთეული,
როგორც შტაბი შეფიცულთა,
გივი, უჩა და არჩილი
კუკური და ჩვენ-გულდა.

წელზე ერტყათ ყავრის ხმალი,
რევოლვერი ლერწმის ლულით,
ჰქონდათ ოქროს ვარსკვლავებიც
საყელოზე აქარგული.

სურდათ ცალკე ეთათბირათ, —
თვალს ჰკიდებდნენ ყოველ
მხარეს,
ენაჭრელი გოგონები
ახლოც აღარ გაიკარეს.

თურმე ღამით საგანგებოდ
ძოიწვიეს „მარშალთ“ კრება,
რადგან ჯარი გურამელთა
ხვალ თავდასხმით იმუქრება.

დაე, მოკვდნენ, თუ სიმრავლით
გაიტანოს მტერმა ლელო...
სურთ გმირული თავდადებით
ასახელონ საქართველო...

და აქ ხმალზე შეფიცულნი
მტკიცდებიან ერთ არსებად,
იქადიან, რომ ეს ბრძოლა
ნამდვილ ბრძოლას ემსგავსება!..

„ნამდვილ ომს და ნამდვილ ამბავს
მე გიამბობთ საგულისხმოდ,
რომ სამშობლოს ქვეყნის მტერი
თქვენც მართალი გულით რისხოთ.

თქვენი ერთი თანატოლი
შორეული დნეპრის პირად
უკვე სახელგანთქმულია
სამამულო ომის გმირად!“

ვთქვი... და მისმენს „მარშალთ“
კრება,
წითელ ფანქრით ვნიშნავ რუკებს...
გმირი თუნდაც ბავშვი იყოს,
ვაქაცობას ვინ არ უქებს!?.

II

მიტოვებულ სოფელს ქარი
აწყდებოდა დაფეთებით,
ცად მიჰქონდა შავი კვამლი
და ღრუბლების ნაფლეთები.

მიტოვებულ სოფელს ჯარი
შემოერტყა ირგვლივ სამტროდ,
რომ დაიპყროს იგი ძალით
დამკვიდრდეს და დაიზამთროს.

თავს ესხმოდა სოფელს მტერი
ტყვიით, ცეცხლის გაჩაღებით,
მძვინვარებდნენ სათარეშოდ
დაგეშილი ყაჩაღები!

მათ ერთბაშად მთელი ხალხის
დამონება ჰქონდათ მიზნად,

მაგრამ ვინც კი ფეხზე იდგა,
უმალ ყველა გაიხიზნა...

გადამწვარი კარ-მიდამო
თოვლს დააჩნდა როგორც
ჩრდილი,—
დარჩა მხოლოდ ცივი კერა,
ბებერი და შვილიშვილი.

დარჩა მხოლოდ მიხაილო,
ბიჭი ცხრა თუ ათი წლისა,
გმირი პარტიზანის შვილი,
უმცროსი ძმა სამი ძმისა.

ორნი წითელ ჯარში ჰყვანან,
მესამე კი გაჰყვა მამას
და მრისხანედ დაიჭექა
წუხელ მისმა თოფის ხმამაც!

ოხუთმეტი წლის ძლიეს იქნება,
მაგრამ ეძებს თვალი მტრული,
ხეებს მარჯვედ ეფარება,
ვაკაციოვით უცემს გული!

შვიდი დღე და შვიდი ღამე
უკვე ტყეში გაუთენდა,
ფლატეებში ჩასაფრებულს
უბინადრო ქართან ერთად!

როგორც მამა, როგორც ბიძა,
ისიც გახდა პარტიზანი, —
მეტსახელად „ელვა“ ჰქვიან,
ელვასავით მარდიც არი!

მათი რაზმი მტერს არ უფრთხის
ირგვლივ ალყად შემოსეულს,
ყინვაც ვერ სძლევს ციცი რისხვით
და ქარბუქით ნაწრთობ სხეულს!

ტყე, თოვლი და ღამის ბინდი
მათ დაფარვას გულით ცდილა,
და კვლავ თეთრად დათოვლილებს
უთენდებათ თეთრად დილა...

რომ — უეცრად შემოესმათ
ფეხის ხმა და სუნთქვა ფრთხილი,
ჩაუსაფრდნენ... ტყეში ჩუმად
მოჰყვებოდა ჩრდილს აჩრდილი.

მტერს ელოდნენ, იდუმალი
ხმაც არ იყო დასანდობი
და აჩრდილებს მჯნედ შესძახეს,
მოიმარჯვეს ხელში თოფი.

მაგრამ დარჩა გაოცებად
მათი რისხვა წამიერი, —
მტრის მაგიერ მოეგებათ
სამი წითელარმიელი...

III

რისხვა იქცა სიხარულად,
გაუწოდეს ძმურად ხელი,
ვინაობა გამოჰკითხეს
და ამბავი წუხანდელი.

...ბნელი ღამით წამოსულან,
დაუზვერავთ მტრის ბანაკი,
მათი წყობა გაუგიათ,
მათი სჯა და ლაპარაკი.

მაგრამ მტრებმა გზა გადუჭრეს,
ვერ გაბრუნდნენ ისევ მარდად! —
და რა ექნათ, უნებლიეთ
მათაც ტყისთვის მოუმართავთ...

პარტიზანთა მეთაურმა
მათ გულდასმით მოუსმინა,
შეიფარა მზვერავები,
შესაფერი მისცა ბინა...

და ამ ამბით ჩაფიქრებულს
ჯავრი მასაც გულს უღრღნიდა:
უთვალავი მტერი იყო
შემორტყმული ყოველ მხრითა,

თორემ ახლა შეუმჩნევლად
მტრის რკალი რომ გაერღვიათ, —
თითო სიტყვა მზვერავისა
მტერს ელოდა გულში ტყვიად!

მას დასცემდა უმალ თავზარს
იერიშით ჩვენი ჯარი, —
აქვე, სოფლის განაპირას,
გრიგალივით ჩუმად მდგარი...

მაგრამ გზაა გადაჭრილი,
საფრთხეს თვითონ მოელიან.
ზეცა ნისლით იბურება,
ღრუბლებს კვამლი მოერია!

კიდევ ერთადერთი დილა
ალყის ქვეშ თუ გაუთენდათ, —
უსათუოდ მტრის ლაშქარი
გადათელავს ყველას ერთად!

სხედან. შეჰქნეს სჯა-ბაასი,
ტყეს ვერავინ ვეღარ გასცდა.
მიხაილოს ძმაც აქ არის —
თხუთმეტი წლის ახალგაზრდა.

სახელად ხომ „ელვა“ ჰქვია,
გულში რამ არ გაუელვა, —
მაგრამ უცდის რას იტყვიან,
დასტყობია ჩუმი ღელვა.

დუმს, თავისთვის მორიდებით
აღარ ამბობს აღარაფერს...
დუმს, და მაინც ხელით უცებ
მტრედს უბიდან ამოაფრენს...

მიჩვეული იყო მტრედი
სახლში ფრენას პატარებთან
და უგულოდ ვერ დატოვა,
აქაც უბით ატარებდა.

სთხოვს, რომ მტრედიც მიიჩნიონ
პარტიზანთა მეგობარად,
— საიდუმლოს თუ ენდობით,
ის მიიტანს სოფლად ბარათს!!

მტრედი მართლაც ერთი წამით
მიიფრენდა ისევ სოფლად,
ფრთებით ბარათს გადასცემდა
მიტოვებულთ ქოხში ობლად...

მათ კი იქვე, წითელ ჯარში
შეუძლიათ მიირბინონ...
მაგრამ გზაში იქნებ მტრედი
მტერმა დასჭრას სასიკვდილოდ!

და ბარათი საიდუმლო
ხელთ ჩაიგდოს ულმობელმა! —
— მაშინ ჩვენი გზა და კვალი
ვერ დაჰფაროს ვეღარც ბნელმა!

— ფიქრი ნუ გაქვთ,
გავიმარჯვებთ! —
არმიელმა სთქვა და სწრაფად
საიდუმლო რამ დაწერა
და მტრედს მხარქვეშ გამოაბა...

IV

გაკვამლული ცის სივრცეში
მტრედმა თეთრი ფრთა გაშალა,
გადიფრინა ბრძოლის ველი,
ომის გრგვინვით არ დამფრთხალა!

თვითმფრინავთა ორომტრიალს
და ტყვიას არ დაერიდა,
შორს მიაწყდა ქოხის კარებს,
ვით ნატყორცნი ჰაერიდან...

გამოიჭრა მიხაილო,
ბიჭი ცხრა თუ ათი წლისა, —
ხედავს: ქოხის კართან გდია
თეთრი მტრედი მისი ძმისა!

თუმცა სისხლი დასჩენია,
გული ისევ უფართქალებს...
წყვილი ცრემლი მოადგება
მიხაილოს შემკრთალ თვალებს.

აიტაცებს ხელში ზრუნვით
და მოხუცთან მიიჩქარის.
მებრძოლივით მათი მტრედიც
დაკოდილი ტყვიით არის.

ეფერება გულითადად
ბრძოლის ველზე დაჭრილ
ფრინველს,
და ფრთების ქვეშ საიდუმლოდ
ხედავს ბარათს გასაკვირველს...

იცის, იცის მიხაილომ,
რომ ასეთი თავდადებით
სამამულო ომში მტრედებს
ფრთებით დააქვთ ბარათები...

მაგრამ ნაწერს სულ ამაოდ
დასცქეროდა იგი დიდხანს,
თვალს აჭყეტდა, უვიცივით
სტრიქონი ვერ წაიკითხა!

ვერ ამოხსნა საიდუმლო
და როგორღა დაიძინოს! —
სადმე წითელარმიელებს
მაინც უნდა მიაწვდინოს.

თუნდ დასცინონ, მიხაილო
სურვილს მაინც აისრულებს...
და ჩრდილივით დილით ადრე
გზებს გაჰყვება დანისლულებს.

მოიძებნა საგზლად პური,
ღორის ქონი მოჭრა ჩუმად
და ჩაიცვა მამამისის
ჩექმები და თბილი ჯუბა.

ღამით მყუდრო ოთახიდან
ფეხაკრეფით გაიპარა,
უხმო, როგორც მოჩვენება,
უგზო-უკვლოდ გაჰქრა ჩქარა.

V

ირგვლივ ცივი წყვდიადია
და არ ისმის ტყვიის სროლა.
მიხაილომ დათოვლილი
ეზოები გადიქროლა.

როგორც იყო, გასცდა სოფელს
და მდინარის პირზე ბედად,
თოფმომართულ ჯარისკაცებს
კურდღელივით შეეფეთა.

ქვა იყო თუ ქონდრისკაცი
ჯარისკაცებს ვერ გაეგოთ,
ხოლო, როცა დააკვირდნენ,
სასაცილოდ აღარ ეყოთ.

უხმოდ იყო მიხაილო,
უცნობთ როგორ გაუცინოს! —
შეეყარა გერმანელებს
და გმირულად მოკვდეს ცდილობს.

გარს ხიშტებით შემოერტყა,
ხედავს, მტერი საზიზღარი,—
და კარავში ძალით მიჰყავთ,
ვით პატარა პარტიზანი.

ჯერ საგზალი ჩამოართვეს,
გაიხარეს იმით გული,
ლუკმა ძალით გაასინჯეს,
მათ ეგონათ მოწამლული.

მერე ჰკითხეს ვინაობა
ძლივს გაიგეს მისი ენა.
მიხაილომ სიტყვასიტყვით
„ყველაფერი“ მოახსენა.

უთხრა: „მამით ობოლი ვარ
და მსურს ვიყო თქვენთან ერთად,
პურ-მარილით გამომგზავნა
დედამ თქვენდა შესახვედრად!“

მაგრამ ადგა მეთაური,
მოეწყინა ალბათ წოლა,
თანაც მისი თექის ჩექმა
პურზე უფრო მოეწონა.

მსწრაფლ გააძრო, უბეებიც
გაუჩხრიკა ძალისძალად...
და ბარათი მიმალული
ყაჩაღურად ააცალა.

შეებრძოლა მიხაილო
და ტირილით მისწვდა ბარათს, —
რომ ნაწერი პარტიზანთა
სამტროდ ვეღარ მოეხმარათ.

მაგრამ ღონე აღარ ეყო,
დასცეს... ფეხზე ვეღარ იდგა,
გერმანელს კი სანთლის შუქზე
სურდა ცნობა წაეკითხა.

ხელში ბევრი ატრიალა,
დააკვირდა ათასგვარად
და მაინც ვერ გამოიცნო
იგი, ჩვენდა გასახარად.

— ვინ დაწერა? — ჰკითხა
ბოლოს, —
ვინ იგონებს ასეთ ანბანთ?
ის არა ჰგავს უკრაინულს,
არც რუსული არის, ალბათ.

— წაგიკითხავთ! — უპასუხა
მიხაილომ იმავ წამსვე:
— რაკი წერა არ ვიცოდი
წერილს აგრე მივამსგავსე.

მეთაურმა გერმანულად
შეიგინა, შეჰქმნა ძრწოლა,
ისევ ჩაწვა ქვეშსაგებში,
ბარათი კი გადისროლა.

გზას გაუდგნენ გუშაგები
და კარავმაც მიიძინა...
ოცდაათი ჯარისკაცი
იწვა მიხაილოს წინა.

მაინც ადგა, ფეხაკრეფით,
როცა თმენით დაიქანცა, —
კვლავ დასტაცა ხელი ბარათს...
და ჩექმებიც გაიტაცა...

VI

ირგვლივ ისევ წყვდიადია
და მინდორი დათოვლილი,
ნიავქარით ჩახრილული
ფლატეების ფართო ჩრდილი.

ღამე უხმოდ გადაივლის
და უმზეო დილით, გვიან,
თოვლში ჩვენი ცხენოსნები
მიხაილოს იპოვიან.

იგი ყინვით გათოშილა,
მიმქრალ თვალსაც ვეღარ ახელს,
მაგრამ შუქი ღიმილივით
დასჩენია ფერმკრთალ სახეს...

მიძინებულს არც კი ახსოვს,
შტაბში როგორ მიიყვანეს,
და გრძნობს თვალებდახუჭული
იმათ ზრუნვას, იმათ ალერსს...

წევს უსიტყვოდ, უილაჯოდ,
დიდხანს ასე განაბული.
ასადგომად იკრებს ძალას,
როგორც თოვლქვეშ გაზაფხული.

გაოცებით ახელს თვალებს
არმიელთა გასახარად,
ეძებს თავის ჯიბეებში
საიდუმლოდ ნაწერ ბარათს.

გულითადი მისწრაფებით
გადაშლიან ბარათს უმალ...
მაგრამ ხედავს მიხაილო,
რომ ყველანი უხმოდ სდუმან.

„ნუთუ მართლაც საგანგებოდ
არაფერი აწერია? —
რომ ყოველთვის ამ თეთრ
ქაღალდს
გაოცებით დასცქერიან...“

ფიქრობს უკვე დარცხვენილი,
იხედება წარბებზემოთ,
მაგრამ ერთმა არმიელმა
სთქვა: — ინაურს მოვახსენოთ!

და წერილით მეთაურთან
წამით ყველა მიიჩქარის,
უხალისოდ თავდახრილი
მიხაილოც მათთან არის.

ინაური გაშლილ ბარათს
გადახედავს და გულღიად
გაიხარებს: — დაკარგული
მზვერავები გიპოვიათ!

სიტყვასიტყვით აღუნიშნავთ
მტრის ფარული განლაგება...
და ამ ცნობის მოტანისთვის
უმცროს გმირსაც ვუთხრათ ქება:

გაუმარჯოს მიხაილოს,
მტერს დავესხათ მასთან ერთად,
ჩანს, ეს დილა გერმანელებს
სასიკვდილოდ გაუთენდათ!

იმ მზვერავსაც გაუმარჯოს,
თქვენთან ერთად ჰქონდეს
ლხენა, —
ვისაც აგრე დაეხმარა
ომში თვისი დედაენა!

ვინც ჭირშიაც ქართულ ანბანს
საიდუმლოდ ანდო ბედი,
და ბარათი მოიწერა
მტრისთვის უცხო, უცაბედი!..

მიხაილოს ინაური
ხელით მაღლა აიტაცებს...
— საბრძოლველად მოემზადეთ! —
გადასძახის ჯარისკაცებს.

— აბა, სწრაფად... თორემ ტყეში
უგზო-უკვლოდ შეხიზნულებს,
მტერი ტყვიით ემუქრება
და გულისთქმას შეისრულებს...

მათ სიმრავლეს ვერ გაუძლებს
პარტიზანთა რაზმი მცირე.
აბა, სწრაფად! — თორემ უკვე
სასიკვდილოდ გაიწირნენ!

შემოვახტეთ ლურჯა ცხენებს,
ველი უცებ გადვიქროლოთ, —
საბრძოლველად დაგვრჩენია
რამდენიმე წამი მხოლოდ!

თქვა და ჯარი აამხედრა
შემოახტნენ ცხენებს მარდად! —
და ალივით ავარდნილი
დროშაც შუბად აიმართა...

VII

უეცარი ხმა აღმოხდათ
კვლავ ზარბაზნებს ზეამართულთ,
გამოექცნენ ჯავშნოსნები
თოვლისფერად გაშლილ
ფარდულთ.

ბიიწევდა ველზე ტანკი
და გზადაგზა ხეებს თხრიდა.
ყიჟინით და იერიშით
აიშალნენ ყოველ მხრიდან!

გატყდა მტერთა ძლიერება,
ჩანს, შეტევას არ ელოდნენ!
საიდუმლო განლაგებით
სანგრებიც ვერ ჰფარველობდნენ.

როცა ველზე შეხვდნენ რისხვას,
გრიგალივით ანაზდეულს,
როცა ბრძოლის დრო დაუდგა
ინაურის ათასეულს, —

გულდამფრთხალი გაურბოდა
გერმანელი ყოველ მსროლელს! —
და ის ველი ცხენოსნებმა
იერიშით გადიქროლეს...

მიაფრენდა ლურჯა ცხენი
წინ ინაურს ნაბადგაშლილს,
ელვასავით ხმალამართულს
უნაგირზე უჯდა ბავშვიც...

და ხედავდა მიხაილო,
როგორც გზა და კვალის
მცოდნე, —

გერმანელი ურდოები
ტყისკენ როგორ ისწრაფოდნენ.

მაგრამ ტყიდან უარესი
ბედად რისხვა შეეფეთათ, —
პარტიზანთა თოფის ტყვია
ამარცხებდათ ხმალზე მეტად.

შორით გრძნობდა მიხაილო,
რომ იბრძოდა მისი მამაც,
რომ შორიდან დაიქექა
ძმის მრისხანე თოფის ხმამაც.

პარტიზანთა რაზმი მტკიცე
უკანასკნელ ძალას ჰკრებდა
და მოსეულთ, — ათი კაცი
თავს ათასად აჩვენებდა...

ახლოც ველარ მიეკარნენ,
ვით ციხეებს წლობით ნაგებს...
და მამაცი მზვერავები
შეეგებნენ ამხანაგებს!..

ინაურთან ერთად სოფელს
მიხაილომ გადუქროლა.
გზაზე შეხვდნენ მოხუცები,
მიულოცეს მტერთან ბრძოლა.

თავის ქოხსაც მიესალმა,
აღდგენილი იყო მკვდრეთით...
იდგა პაპა... და სარკმელთან
ფრთხიალებდა თეთრი მტრედი.

გიორგი კაჭახიძე

გიორგი ვარლაამის ძე კაჭახიძე დაიბადა 1907 წელს სოფ. დიდ ჯიხაიშში (სამტრედიის რ.), გლეხის ოჯახში. საშუალო განათლება თავის სოფელში მიიღო. 1926 წელს შეეყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დააძთავრა 1930 წელს.



გ. კაჭახიძემ ლექსების წერა მოწაფეობიდანვე დაიწყო. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1927 წელს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში". ამ დროიდან პოეტის ლექსები სისტემატურად იბეჭდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

გ. კაჭახიძე ლექსებს წერს ბავშვებისთვისაც. გამოცემულია პოეტის საბავშვო ლექსების რამდენიმე წიგნი: „ჩემი ძმა" (1934 წ.), „მხიარული მეგობრები" (1935 წ.), „შეფოთლილი ხეივანი" (1937 წ.), „ალუბლები ჰყვავიან" (1940 წ.), „ჩვენი ქვეყნის მოზარდები" 1947 წ.), „საბავშვო ლექსები" (1952 წ.), „სწავლასა და სიხარულში" (1955 წ.) და სხვ.

გ. კაჭახიძეს ორ წიგნად დაწერილი აქვს ვრცელი მონოგრაფია ცნობილი საბავშვო მწერლის შიო მღვიმელის შესახებ

გ. კაჭახიძე სხვადასხვა დროს რედაქტორობდა საბავშვო ჟურნალებს: „ოქტომბრელს"—1934-35 წლებში, „პიონერს"—1947-52 წლებში.

ჩვენი დროშა

ლაღად ფრიალებს, გვიცინის,
ყველგან დიდებით მოჩანს
ყაყაჩოსფერი, წითელი
ჩვენი მზიური დროშა.

ბრბოლიურ სოფლებს, ქალაქებს,
მთა-ბარს, სიცოცხლით სავსეს,
ის ფრთაგაშლილი დაჰხარის,
ის დაფრიალებს თავზე.

წინ მიგვიძღვება დიდ გზაზე
დიდი ნათელი მისი.

წმინდაა, შეღებილია
ხალხის გმირების სისხლით.

ყოველგან გამარჯვებული
ყველგან დიადი არის,
ქვეყნად ამაღლებს სიმართლე
დიდი საბჭოთა მხარის.

ლაღად ფრიალებს, გვიცინის,
ყველგან დიდებით მოჩანს
ყაყაჩოსფერი, წითელი,
ჩვენი მზიური დროშა.

ერთია ჩვენი სამშობლო

სამშობლო ჩვენი დიდია,
დიდი სინათლის მომცემი,
იგი გვზრდის, იგი გვამაღლებს
დიდი საქმით და ოცნებით.

უმეგობრობა მის შვილებს
სიზმარშიც არ გვაქვს განცდილი;
თბილისში ვიცით, რით ხარობს
უკრაინელი ყმაწვილი.

ვიცით, რას ფიქრობს სკოლიდან
შინ მიმავალი ჩუვაში;
ჩვენც გვართობს, რუსი ბიჭუნა
ციგას რომ მართავს ურალში.

სკოლის ზარს მინსკში რომ რეკენ,
წკრიალი გვესმის იმ ზარის;
გვატკბობს უზბეკის ოცნება,
ყირგიზის ტკბილი სიზმარი.

მათაც მზე უყვართ კაშკაშა,
ხიბლავთ მტკვრის მწვანე ნაპირიც,
თბილისი, მისი მთაწმინდა,
მისი ლამაზი აპრილი.

ერთი გვაქვს დედა სამშობლო —
მზის და გმირების ქვეყანა,
გზა მეგობრობის, გზა ძმობის
მან მოგვცა, მან შეგვაყვარა.

საქართველო

წარმტაცია საქართველო —
მისი წყარო, მისი კორდი;
მწვანე კაბით გაზაფხული
მის ბაღებში ადრე მოდის.

მიწის ფერით მოხიბლული
მზე ინთება ადრე ცაში,
წინ ხვდებიან ტოროლები
სიმღერით და ფრთების ტაშით.

ყვავილების სურნელებას
სად არ აფრქვევს სიო ფრთხილი!
მზე ლაჟვარდში დიდხანს რჩება
და შაქრდება ბაღში ხილი.

ლამაზია საქართველო,
წყაროსავით მოღიმარი,
სიცოცხლეზე მღერის მუდამ
მისი სიო, მისი მტკვარი.

უსახლკაროდ არ უვლია,
საიმედო ჰქონდა ბინა,
არასოდეს იგი მხდალი
და მტრის მონა არ ყოფილა.

სასახელო გზებით მავალს
მოყვრისთვისაც კარგი სურდა, —
იგი ჩვენი სამშობლოა
და იბრწყინებს იგი მუდამ!

პირველკლასელი მეგობრები

ერთად ვზივართ კოხტა მერხზე
თმახუჭუჭა ორი ბიჭი;
გოგიც მკვირცხლი ბიჭუნაა,
მაგრამ ცოტა ჩემზე დინჯი.

სკოლას ერთად წელს ვეწვიეთ,
ერთმანეთი ძლიერ გვიყვარს
და გვახარებს მასწავლებლის
დარიგება, ტკბილი სიტყვა.

მე რომ კოხტად დავწერ ასოს,
გოგიც ფრთხილად, კოხტად
დაწერს;
სკოლაშიაც დილით ადრე
ხან ის მოდის, ხან მე ვასწრებ.

შეგვიყვარდა გაკვეთილი.
მშობლიური „დედა ენა“,
მის ფურცლებზე ჩიტუნები
ჭიკჭიკი და წამოფრენა.

ჩვენც იმ ლაღი ფრთაცქვიტები
ფრთები გვესხმის, მათთან
ვფრინავთ.
შინ მივდივართ, მიგვყვებიან,
გაიჩინეს ჩვენთან ბინა.

შეგვიყვარდა გულით სკოლა,
დრო სწავლაში ტკბილად მიდის...
აქ ვიზრდებით მე და გოგი.
ვით პატარა ორი ჩიტი.

ჩემი მხიარული მეგობრები

მე თქვენ გიცნობთ, კარგად
გიცნობთ,
ვიცი თქვენი ფიქრი, ენა...
მეც მქონია თქვენი გული,
მეც ვყოფილვარ თქვენოდენა.

სადაც გხედავთ, კარგები ხართ,
მხიარულობთ გულით მუდამ,
ცოდნის ბაღში ფუტკრებივით
დასტრიალებთ ვარდებს გუნდად.

მიყვარს ხმა და ენა თქვენი,
ბოზარდისთვის ყურისგდება.
რომ გიყურებთ, ჩემი ყრმობა
და ბავშვობა მაგონდება.

მეც ვიცოდი რბენა, ხტომა,
შევცინოდი ბალს თუ ჭერამს;
მეც მიყვარდა გაკვეთილი,
კლასში დინჯად თავდაჭერა.

ყვავილებთან საჩურჩულოდ
ბეც მიყვარდა მინდვრად გასვლა,
მზეზე სახის შეწითლება
და ჩეროში წიგნის გაშლა.

მიყვარს ის დრო, ის განცდები
ყმაწვილებზე მიყვარს წერა
და შეეცინი ახლაც ხშირად
თქვენი თვალით ბალს თუ ჰერამს.

ჩვენ ახლო ვართ ერთმანეთთან,
არ გვაერთებს გზები ვიწრო;
ჩემს მხიარულ მეგობრებად
და სიმღერის სხივად გიცნობთ.

ცირამ კაბა შეიკერა

ჩვენი სოფლის ყვავილია,
მერცხალივით მკვირცხლი,
ხელსაქმე თუ წიგნის კითხვა
ცირამ დროზე იცის.

საქმისათვის ყველგან დროზე
სიხარულით გარბის...
მეგობრებში წაცქრიალდა
დღეს ახალი კაბით.

რა ხალისით შეიკერა,
რა ღილებით მორთო!
ხან ზღვის ლივლივს ადარებდა,
ხან შრიალა ფოთოლს.

მეგობრები, ნაცნობები
რას ეტყვიან, ნეტავ?!

კაბა არც ძმას უყიდია,
არც მამას და დედას.

მიცქრიალებს მოხიბლული
კაბის ნაზი თრთოლვით.
ჩაის მკრეფავ გოგონებში
მას ცოტა ჰყავს ტოლი.

ბუჩქებს ისე დასტრიალებს,
ჩიტი იყოს თითქოს.
მარჯვეა და კაბაც კარგი
შეიძინა თვითონ.

ლამაზია, თამამია,
არ აკვირვებს ქება.
მის კალათში ჩაის ყლორტი
მწვანე ოქროდ წვება.

ნინო მასწავლებელი

(შემოკლებით)

ზამთრის ჩუმი საღამოა,
ძაღლის ყეფა არსად ისმის,
თოვს და სოფელს მოჰფენია
ფანტელების თეთრი ნისლი;
თოვს გულუხვად და ედება
არემარეს მკრთალად ბინდი,

ღამდება და ამ თოვაში
შარაგზაზე ეს ვინ მიდის?!
ჩაუარა გვერდით წისქვილს
მოუსვენარს, მუდამ ხმიანს;
აგერ გზიდან ერთ ეზოში
მან თამამად შეუხვია;
ფრთხილად მხარი აუქცია
ჩამოთოვლილ კაკლის ტოტებს,
სახლთან შედგა და ხმამაღლა
დაიძახა: — შინ ხარ, კოტე?!

ოდის კარი ახმაურდა,
გამოხედა ბიჭმა სტუმარს,
ნინო — კლასის ხელმძღვანელი —
რომ იხილა, შეკრთა უმალ.
უხერხულად მიეგება,
მიიწვია შინ აღმზრდელი
და აწეწილ თმაზე სწრაფად
გადაისვა ბავშვმა ხელი.
მწობლებს თვალი გადაავლო
და რა ეთქვა, არ იცოდა.
ეზეროსმა დამ — მარიკელამ
სტუმარს სკამი მიაწოდა.
ნინომ ტკბილად მოიკითხა
კოტეს დედა, კოტეს მამა,
თან მოღიმარს თოვლის ფიფქი
ადნებოდა წარბზე ნამად.
მასპინძლები გახალისდნენ,
გახალისდა მათი ოდა,
თუმცა გრძნობდნენ, მათთან
სტუმარს
გასამხელი რაღაც ჰქონდა.

სოფლად ნინო მასწავლებელს
ვინ არ იცნობს, ვინ არ აქებს!
დაუქანცველს ეძახიან
და მას მართლაც უყვარს საქმე.
დასტრიალებს თავზე ბავშვებს.
სიყვარულით, როგორც დედა.
აი, ახლაც მან მზრუნველი
თვალით კოტეს გადახედა:
— რად ხარ, ბიჭო, დარცხვენილი,
ან სახელო რად გაქვს სველი?
გაიხსენე, აბა, დღეს რა
ამოცანა აგიხსენით! —
კოტე მორცხვად ალუღლუღდა,
გაუჩერდა ლამის ენა.
დედამ უთხრა: — ესეც შენი
ცელქობა და თოვლში რბენა.
უსწავლელად, შვილო, ცოდნა
ვის მოსვლია თავისთავად!
რა ვქნა, ნინო! წელან სწორედ
ამის გამო გვქონდა დავა.
წიგნში დღეს არ ჩაუხედავს,
ეს-ეს არის შინ დაბრუნდა.
ბეჯითობას ურჩევნია
ცელქობა და თოვლის გუნდა. —
ნინომ უცებ წარბი შეკრა:
— მე არ ვიცნობ კოტეს განა?
ჩიტს ტოტიდან ჩამოიყვანს,
ეშმაკია იმისთანა.
ქუჩაში ხომ არ ისვენებს,
ეშმაკობას კლასშიც ბედავს.
ვით აღმზრდელმა, გულახდილად
უნდა გითხრათ, ცელქობს მეტად.
დღეს დაფაზე ამოცანას
ჩვეულებრივ ვწერდი, ვხსნიდი...
უცებ სარკმელს რაღაც მოხვდა,
ახმაურდა კლასი მშვიდი.
მივიხედე და ბავშვები
აცეცებენ მაღლა თვალებს.
გამიკვირდა და რას ვხედავ —
კლასში ჩიტი დაფრთხიალებს!

— ეს რა არის?! — დავიძახე.
გაინაბა კლასი უცებ.
— ვინ იგიჟა?! აბა, ადგეს! —
ვხედავ, ყველა კოტეს უცქერს.
კოტეს ახლა მეც შევხედე,
მან კი თვალი ამარიდა,
წამოდგა და ალუღლუღდა:
„მაპატიეთ... გამიფრინდა...“
— რაო, რაო?! ეს რა მესმის! —
წამოინთო კოტეს მამა, —
ამ ცელქობით იხდი, შვილო,
დედისა და მამის ამაგს?!
შავს რომ თეთრში ვერ არჩევდე,
არ ხარ უკვე ისე ბავშვი.
შენმა ქცევამ მოიყვანა
ნინო ჩვენთან ამ თოვაში.
სანამ გინდა იცუღლუტო,
რატომ გვარცხვენ, რად არ
სწავლობ?! —
კოტეს სახე აუწითლდა,
მამას თვალი გადაავლო:
— გამიფრინდა, თორემ ნებით
გავუშვებდი ფრინველს განა?!
ვიცი შევცდი... ჩიტი კლასში
მე არ უნდა მიმეყვანა.
— რა ვთქვა, შვილო! — უთხრა
დედამ, —
ცელქობისკენ გაქვს თვალ-ყური.
მე შოთაზე არ მსმენია
მასწავლებლის საყვედური.
ბეჯითობდა, კაცი გახდა,
შენც ძმასავით იმალხაზე,
მოიხმარე ჩვენი ზრუნვა,
ფრთა გაშალე ქვეყანაზე. —
ნინო კოტეს მიუბრუნდა:
— დედა მართალს გეუბნება,
შოთა მუდამ კარგი იყო,
ახლაც მესმის მისი ქება.
ჩვენი სკოლის აღზრდილთაგან
სასახელო გახდა ბევრი;
შოთა ქალაქ რუსთავშია,
არის კარგი ინჟინერი. —
ამ დროს კოტე უნებლიეთ
შოთას სურათს მიაქცერდა.
შოთაც თითქოს დინჯი მზერით
სურათიდან ძმას არცხვენდა.
ნინომ სიტყვა კვლავ განაგრძო,
გადახედა კოტეს წყენით:
— როგორ ფიქრობ, ხომ არ გინდა
გააცდინო, ბიჭო, წელი?!
მგონი კიდეც გვებუტები,
არ გიხდება განზე ცქერა.
ვის ემდური! შემოგვხედე,
აწ იკმარე ეს შერცხვენა.
ნურსად შენს თავს საფრთხობელად
ნუ გაუხდი მალხაზ ჩიტებს.
დროზე კიდეც ითამაშე,
დროზე კიდეც იბეჯითე.
სასახელო უნდა იყოს,
წარმატებით ფრთაგაშლილი,
მოწინავე კოლმეურნე
დედისა და მამის შვილი. —
კოტე იდგა თავდახრილი,
მის სინანულს გრძნობდა ყველა.
კუთხეში კი წიგნს ფურცლავდა
მოღიმარი მარიკელა.

*

ერთმანეთის სუნთქვა ესმით,
ყველას ხმა აქვს გაკმენდილი,
სიყვარულით, ერთი გრძნობით
კლასს იტაცებს გაკვეთილი.
სდუმს გარემოც... თოვს და
სარკმლებს
არ შორდება ნისლი მკრთალი,
მაგრამ ნათელს ჰფენს მალხაზებს

ნინოს სიტყვა, ნინოს თვალი.
დაფაზე კი მკვირცხლი ლეო
ციფრებსა წერს ისე სწრაფად,
თითქო თოვლის ფანტელები
აწყდებიან მწყობრად დაფას.
ფრთაშესხმული ციფრის ენა
ყველა ბეჯითს კარგად ესმის.
დაფას უმზერს ახლა კოტეც,
თავს იკავებს, იცავს წესრიგს.
თავგასული მხოლოდ ერთი
მოღუღუნე ბუხარია,
ზამთრით საქმე რომ გაუჩნდა,
თავს იწონებს, უხარია.
მხიარული სულ გიზგიზებს,
დუმილი და თვლემა არ სურს,
ცელქი კოტეს შესაცდენად
არ ანელებს ცეცხლი ტკაცუნს.
მაგრამ კოტეც დაფას უმზერს,
ყველას ხმა აქვს გაკმენდილი,
ერთი გრძნობით, ერთი ფიქრით
კლასს იტაცებს გაკვეთილი.

*

აწკრიალდა ზარი გარეთ,
დაირბინა ხმამ კლასები.
გაკვეთილი დამთავრდაო, —
აჩურჩულდნენ მალხაზები.
კლასებიდან გამოცვივდნენ,
სათამაშოდ დაირაზმნენ;
ზოგმა ეზოს მიაშურა,
ზოგი დარჩა აივანზე.
აგერ ნინოც გამოვიდა,
გადაავლო ბავშვებს თვალი,
ამ დროს ვიღაც ახალგაზრდა
დაინახა მომავალი.
დააკვირდა, გაუცინა:
— მოგვიგონე, შოთა, არა?!
რომ აღზრდილმა გაგვიხსენე,
ჩვენთვის ლხენად ესეც კმარა! —
შოთამ ნინო მოიკითხა
მოკრძალებით, სიყვარულით;
მოიკითხა აღმზრდელები —
სკოლის ძალა, სიხარული.
— ალბათ კოტეს საქციელმა,
მოგიყვანა ჩვენთან უფრო. —
თქვა ნინომ და, იქვე კლასში,
მიიწვია სასაუბროდ.
— როგორ ბრძანებთ! — უთხრა
შოთამ, —
აღმზრდელებიც მინდა ვნახო. —
ამ სიტყვებით შეუყვა კლასში
და ჩამოსხდნენ ბუხრის ახლო.
შოთამ მერხი გაიხსენა,
სკოლის ბაღი, მისი მოვლა,
გაიხსენა მეგობრები,
გამოცდების დრო და თრთოლვა.
— არ გარცხვენდით ერთიც,
მგონი!
შოთა აღმზრდელს შეეხუმრა. —
აქ ვხარობდი, აქ დავჩიტდი,
დღეს გეწვიეთ უკვე სტუმრად. —
ამ დროს კოტე ნიავივით
შემოიჭრა აივნიდან,
გაცუნცულდა და მერხის ქვეშ
ჩაიმალა, გაირინდა.
მაგრამ, დახეთ! აიტანა
ის შერცხვენის გრძნობამ, შიშმა...
ნინომ თვალი აარიდა
ისე, ვითომ ვერ შენიშნა.
და ხმამაღლა უთხრა შოთას:
— ჩვენთან სწავლობს დღეს ძმა
შენი,
მაგრამ არ გგავს ბეჯითობით,
შენი ძმობა მას არ შვენის.
დედ-მამასთან გავაწითლე
ცელქობისთვის ამას წინათ.
კვლავ ცუღლუტობს, დღეს
პირველი
გაკვეთილი გააცდინა.

კარგად სწავლა შეუძლია,
ცელქობაა მისი მტერი. —
და ყმაწვილის საქციელზე
ძმას უამბო ყველაფერი.
შოთას შუბლი მოეღუშა,
მყისვე იგრძნო გულში ტკენა,
ძმაზე ნინოს ნაამბობმა
დაუკარგა აღმაფრენა.
— კოტე, მოდი! ვიცი, აქ ხარ! —
ნინომ ყმაწვილს დაუძახა, —
მოდი, ძმასთან უნდა მითხრა,
რა ფიქრი გაქვს, რა განზრახვა.
ამ ქცევითაც შენთვის ვზრუნავ,
ნუ გგონია ვიყო ავი, —
ამ დროს მერხი ახმაურდა
და წამოყო კოტემ თავი,
ეშმაკობა რომ გაუგეს,
სირცხვილისგან გაშრა ბიჭი.
რას იზამდა — და გადმოდგა
უხერხულად წინ ნაბიჯი.
— ყოჩაღ, კოტე! — უთხრა
შოთამ. —
მოვისმინე შენი ქება.
შენზე ზრუნვა და ამაგი,
ჩანს, უკვალოდ გვეკარგება! —
სდუმდა კოტე. მისი გული
სინანულის ცეცხლით დუღდა.
ძმას შეხედა, შემდეგ ნინოს,
და ნელ-ნელა ალუღლუღდა...
მტკიცედ დასდო მან პირობა,
რომ ცელქობით თავს არ ავნებს,
იბეჯითებს და გაიხდის
მეგობრებად ხუთიანებს.

*

ეივეივებენ ბეღურები,
ეზოს შვენის ლხენა მათი;
გვერდჩამოშლილ თივის ზვინთან
არ ჩანს კოტეს კაკანათი.
ფერხულს უვლის გულწითელა,
მოხდენილად ზვინთან დახტის,
საკენკს ეძებს, არ ეტყობა
ჰქონდეს შიში, ჰქონდეს დარდი.
აგერ თვალი ეშმაკურად
ცელქ ბეღურებს დააჩერა:
უკვირს, კოტე რომ ჩიტუნებს
აღარ დასდევს დასაჭერად.
ჰე, რა იცის გულწითელამ,
თუ რა ხდება კოტეს გულში,
საცუღლუტოდ, საეშმაკოდ
ბიჭუკელას ხელს რა უშლის!
ჰე, რა იცის გულწითელამ,
რატომ ხდება კოტე დინჯი,
ნინომ როგორ შეარცხვინა
ცუღლუტობის გამო ბიჭი!
პიონერთა შეკრებაზე
კოტეს ქცევა როგორ დაგმეს,
როგორ ცდილობს კოტე ახლა,
რომ დაუდოს გული საქმეს;
სიზარმაცეს, უწესობას
დაუნგრიოს საქმით ბუდე...
აი, მიტომ ზის და კოხტად
წინ გაშლილი წიგნი უდევს.
სურს აამოს ძმას და შეშობლებს,
დაეწაფოს ცოდნის წყაროს,
ბეჯითობით, კარგი სწავლით
აღმზრდელები გაახაროს.
მაგრამ აგერ მოენატრა
კვლავ ცელქებთან ხტომა,
რბენა,
მოსაწყენად მოეჩვენა
წიგნთან ჯდომა, წიგნის ენა.
— ჯერ გაკვეთილს ხომ ვერ
მოვრჩი!
არა, ეს რა გავიფიქრე?! —
ამბობს გულში და კვლავ წიგნის
წასაკითხად ძალას იკრებს.
თავი კოხტად დაიჭირა
და განაგრძობს დინჯად კითხვას;

თან ახარებს, რომ ახერხებს
წიგნთან ჯდომას ასე დიდხანს.
ფიქრის თვალით ნინოს ხედავს,
დაუქანცველს, ჯანით სავსეს;
აგერ თითქოს მასთან მოდის,
ხელს ღიმილით უსვამს თავზე.

დილა არის, ზამთრის დილა,
მზიანი და მაინც ცივი.
ბროლის ბრწყინვას ჰგავს ყინულის
ლოლუებზე მზის ციმციმი.
მოსწავლენი ერთობიან,
ხიბლავთ დილის სილამაზე...
აგერ ნინო, ხელში ჯოხით,
მოდის სკოლის იქით გზაზე.
თეთრი თავშლით თავშეფუთვნილს
აქვს ნაბიჯი ნელი, მტკიცე,
მალხაზები აჩერჩელდნენ,
მომავალი მყისვე იცნეს.
ფრთა შეესხათ, თითქოს უცებ
გაზაფხული დადგა სოფლად;
მიეგებნენ მასწავლებელს
და უსურვეს კარგად ყოფნა.

მხიარული ბეჯითები
ამოუდგნენ აღმზრდელს გვერდით,
ნინომ ტკბილად გაიცინა:
— ნუ გგონიათ, რომ დავბერდი!
თმა თეთრდება, მაგრამ გულში
ისევ ღვივის სიყმაწვილე...
ხომ არ ცელქობთ, ან ამ ზამთრის
სუსხით ხომ არ მოიწყინეთ?! —
ყველას რაღაც გამოჰკითხა,
გახალისდა მათი ხილვით;
ამ კარგებში კოტეც იდგა
მოღიმარი, თავდახრილი.
კოტეს ქცევამ ნინოს გულში
სიხარულად დაიბუდა.
გზა განაგრძო და ბავშვები
ფრთაშესხმული გაჰყვნენ გუნდად.

მერხებზე სხედან ბავშვები,
ჩიტებად დაფრენილები.
ლხენით გიზგიზებს ბუხარიც,
შეორთქლილია მინები.
თვალს შემოაკყეტს ხანდახან
მზე, გულის გამხარებელი...
გიზგიზა ბუხრის მახლობლად
დგას ნინო მასწავლებელი.
შეწითლებული თითები
აუწევიათ მალხაზებს.
მზეც თითქოს წასაქეზებლად
სხივს აციალებს დაფაზე.
კოტეც თითსა სწევს თამამად,
ბიჭი ბეჯითებს ედრება, —

და ნინოს თვალიც უეცრად
ღიმილით მასზე ჩერდება.
კოტე წამოდგა, გასწორდა,
თვალს აცლებს ტოლ-ამხანაგებს,
გადის დაფასთან და ციფრებს
მწყობრად ციფრებთან ალაგებს.
აგერ შეჩერდა... აგერ კვლავ
განაგრძო, გაჰყვა ბოლომდი...
ნინოს ეამა და უთხრა:
— კარგია, ასეც ველოდი!
გამჩნევ, არ გიყობ ბოლო დროს,
ჩანს, დაგიგმია ცელქობა...
ყოჩაღ! ცვლილება საქები,
აი, სწავლაშიც გეტყობა.

საქმეში წინ ვინ არ მიდის,
დრო განა დასაკარგია?!
ეცადე, მომავალშიაც
ყოველთვის გითხრან: — კარგია!
ცოდნა წყაროა ანკარა,
არცოდნა — მღვრიე მორევი. –
კოტეს უცქერენ სიამით
თვალმოცინარე სწორები.

კოტე კი მორცხვობს, წითლდება,
ვარდი ეშლება სახეზე,
სურს უთხრას ნინოს მადლობა,
მაგრამ თქმას ვეღარ ახერხებს.
გრძნობს, ბეჯითობა მოსწავლეს
როგორ ახარებს, არგია,
და ფიქრობს, ისე ისწავლოს,
ყოველთვის უთხრან: — კარგია!

თამარ ჩხაიძე



თამარ ჭიხვილის ასული ჩხაიძე დაიბადა 1907 წელს, ქ. ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სასწავლებელი ბათუმში დაამთავრა. თ. ჩხაიძე ორწაფეობიდან ჟურადღებას იპყრობდა სიმღერით და სცენაზე თამაშით. იგი თხზავდა ზღაპრებს და სასიმღერო ლექსებს. თ. ჩხაიძემ ჰუმანიტარული ტექნიკუმი დაამთავრა 1924 წელს. 1930 წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიურ ფაკულტეტზე. 1932 წელს უმაღლესი ცოდნის დასამთავრებლად გადავიდა მოსკოვს. 1935 წელს დაბრუნდა თბილისში. ერთ ხანს მსახურობდა ფინანსთა საძინისტროში.

თ. ჩხაიძის პირველი მოთხრობა „კოლმეურნე" დაიბეჭდა 1939 წელს ჟურ. „პიონერში".

თ. ჩხაიძემ ყურადღება მიიპყრო მას შემდეგ, როდესაც მისი მოთხრობები: „ლოთი მამალი", „თოჯინების აჯანყება" და სხვ. პრემირებულ იქნა საუკეთესო სბავშვო ნაწარმოებების კონკურსზე.

თ. ჩხაიძის მოთხრობების კრებული „თოჯინების აჯანყება" გამოვიდა 1951 წელს.

ცივწყალა

ძლიერ შვენოდა მდინარე ცივწყალას მის გულზე საცალფეხო ხიდივით გადაწოლილი დიდი შრიალა ხე. ტბილად ცხოვრობდნენ ისინი, სანამ ნაპირზე საზომებით და სხვადასხვა სამშენებლო იარაღებით აღჭურვილი ადამიანები მოვიდოდნენ. ერთ ყველაზე ახოვან ვაჟკაცს მკერდზე ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავდა. სწორედ ის ვაჟკაცი იყო, რომ თქვა:

— აქედან არხი უნდა გავიყვანოთ. ტრამალზე ტყეები გავაშენოთ. უდაბნოს წყურვილი მოვუკლათ!

— არის! — შესძახეს დანარჩენებმა.

არ გაუგონია ეს სიტყვები ცივწყალას. ან კიდევ რომ გაეგონა, განა

მიხვდებოდა? სამაგიეროდ ის კი ნახა, რომ შრიალა ხე ამოთხარეს და წაიღეს. აღრიალდა ცივწყალა, მაგრამ ყური ვინ უგდო.

შეწყდა წისქვილში მეწისქვილე ნიკოს „ინდი-მინდის“ ღიღინიც.

— უდაბურ ველზე ელექტრონის წისქვილს აშენებენ და იქ ბიმიწვიეს! — უთხრა ერთ დღეს ცივწყალას მეწისქვილემ, ხელ-პირი წყლით დაიბანა, პაპისეული ჭრელი ხურჯინი მხარზე გადაიგდო და გზას გაუდგა.

მეთევზე ყმაწვილებმაც აიღეს ცივწყალაზე ხელი, — იმათაც საქმე გაუჩინა ოქროსვარსკვლავიანმა.

იმ დღის შემდეგ ცივწყალას ისინი აღარ უნახავს.

მხოლოდ ავტომანქანები დარბოდნენ ახალ ხიდზე; საშენ მასალას მიეზიდებოდნენ, მწვანე ნერგებს მიაშრიალებდნენ. გაბრაზდა ცივწყალა, ისე ძლიერ გაბრაზდა, რომ ქვები ააბრიალა: არც ნიკო ჰყავდა, არც მეთევზე ბიჭუნები, არც საყვარელი შრიალა ხე. ამბავი მაინც გავიგოო, — დუდუნებდა და ერთხელ ნაპირზე მოსულ ნიშა ხარს შეეკითხა: შრიალა ხომ არსად შეგხვედრიაო, მაგრამ პასუხის ნაცვლად ნიშამ თქვა:

— ჩემს მაგივრად მიწას რკინის ხარს — ტრაქტორს ახვნევინებენო, — და ბოღმიანი გული ცივი წყლით გაიგრილა. ვერ გაიგო ცივწყალამ მეგობრების ამბავი, მაგრამ ის კი გაიგო, რომ მეგობრების დაკარგვა ნაპირზე მომუშავე ხალხის ბრალი იყო.

— დაიცადეთ, ჩამივარდებით ხელში, მე ვიცი თქვენიო, — ემუქრებოდა მშენებლებს და სიბრაზისაგან ისე სივდებოდა, კალაპოტში ვეღარ ეტეოდა.

ერთხელ, კოკისპირული წვიმის დროს, ისე ადიდდა, რომ გვირაბში შეუვარდა მშენებლებს, კედლები ჩამოანგრია, მორევი დაატრიალა და ომი გამართა.

რაც უფრო უძალდებოდათ მდინარე, მით უფრო ეძალებოდნენ და იმორჩილებდნენ მას მშენებლები. ერთ მშვენიერ დღეს სავალი გზა ჩაუკეტეს და ჩასძახეს: სადაც შენი თქვა, იქ ჩვენიც არ დაგავიწყდესო.

ცივწყალა აქეთ ეცა, იქით ეცა, ახტა-დახტა, ვერას გახდა და, ბოლოს არხს ახალი მიწებისაკენ გაჰყვა.

მხერვალე ტაშით მიაცილებდნენ ცივწყალას, გზას ულოცავდნენ, ვარდ-ყვავილებს და ვაზის ფოთლებს ატანდნენ: მოსავალი გვიმრავლეო, მისძახოდნენ.

— არაფერსაც არ გიმრავლებთ, ტოლ-მეგობრებს მოწყვეტილი დარდისაგან გავშრებიო, — მიდუდუნებდა ცივწყალა და სიცხისაგან დახეთქილ ტრიალ მინდორზე მიედინებოდა.

უცებ გზაზე ხე შემოხვდა, აშოლტილი, ტანმაღალი და სიამით გული უტოკდა ცივწყალას.

— შრიალა ხომ არსად გინახავს?! — უნდა ეკითხა, მაგრამ სათქმელი უთქმელი დარჩა, ის ხე ხომ შრიალა იყო! განა მხოლოდ ის, უჰ, რამდენი ხეები ეგებებოდნენ მხიარულად. „წყალი მოდის, წყალი მოდის!“ შარიშურობდნენ ისინი მორცხვად და ცივწყალას მოწიწებით თავს უკრავდნენ.

გაუხარდა ცივწყალას, ხეებს ფესვებზე შემოეკლო, მოუკლა წყურვილი და ნაბიჯს უმატა.

იარა, იარა, ვნახოთ, ერთ მოსახვევში ერთმა ბიჭენამ ანკესი გადაისროლა და თევზი ოსტატურად დაიჭირა.

— გოგი ხომ არა ხარ? — უნდოდა ეკითხა მზით გარუჯული ყმაწვილისათვის, მაგრამ სიხარულით შეხტა და ტალღები შეათამაშა. — ის ბიჭი ხომ გოგი იყო! და განა მხოლოდ გოგი! — ყველა ნაცნობი ყმაწვილი იქ დაუხვდა.

— წყალი მოდის, წყალი მოდის! ჩვენც გავგიხარებს და ჩვენს მიერ დარგულ ხეებსაც! — გაიძახოდნენ ისინი და ცივწყალას ზვირთებში ჭყუმპალაობდნენ. უფრო ძლიერ გაუხარდა ცივწყალას, უფრო უმატა ნაბიჯს. იარა, იარა, უცებ „ინდი-ბინდის“ ღიღინი მოესმა.

— ნიკო ხომ არსად გინახავს? — უნდოდა ეკითხა ახალი, კოხტა წენობიდან გამოსული მოხეტიალისათვის, მაგრამ შეკითხვა ვეღარ მოასწრო. ეს ბერიკაცი ხომ ნიკო იყო.

— აბა, ცივწყალავ, შენებურად დატრიალდი, რომ ჩვენმა ელექტროწისქვილმა ჩვენთან ერთად მხიარულად იღეღუნოს! — ღიმილით უთხრა ნიკომ და ალერსიანად გააყოლა თვალი.

განა მხოლოდ ნიკო ნახა იმ ახალსოფელში! მისი ძველი ნაცნობები იქ დასახლებულიყვნენ, ფართო კარ-მიდამოში ხეხილი ჩაეყარათ და არხებში მოკამკამე ცივწყალას ცივ მკერდზე ხელებს უტლაშუნებდნენ. გაუხარდა ცივწყალას ხალხის დანახვა, ისე ძლიერ გაუხარდა, რომ შეხტა-შეითამაშა და ნაბიჯს უფრო უმატა.

იარა, იარა, ტრამალი სამჯერ შემოიარა და, ვინ მოთვლის, რამდენს ივლის, სანამ მზისაგან გადამწვარ ველ-მინდვრებს წალკოტად გადააქცევს.

უკუდო ამპარტავნები

— წამოდი, წამოდი გეთაყვა, შენი ადგილი თაროზეა, — დაყვავებით ეუბნებოდა დიდედა დარო ხან ჩაიდანს, ხან უთოს და სამზარეულოში მიჰქონდა.

სხვადასხვა ჯურის ჯამ-ჭურჭელს მოეყარა თაროზე თავი.

თითოეულ მათგანს საამაყო რამ გააჩნდა. ნიგვზის ზეთით გაყლეს-თილ ფილთაქვას პიტნის, ნივრისა და ქონდრის სურნელებით მოჰქონ-და თავი, მუცელგამობერილ ჩაიდანს სწრაფი დუღილით, ცალფეხა ლამფას სიკაშკაშით, ნახშირის უთოს კი თეთრეულზე სრიალით.

ტკბილად ცხოვრობდნენ ისინი, იცოდნენ ერთმანეთის ფასი და პა-ტივისცემა. სჯა-ბაასში უპირატესობა ყველაზე უხუცეს ნივთს ეკუთ-ვნოდა.

— მე ვარ ამ ოჯახის საძირკველის ჩაყრის პირველი დამლოცვე-ლი, — ამბობდა დინჯად ხელადა, რომელსაც ტუჩზე ქინძმარაულის სიწითლე სამუდამოდ შერჩენოდა, და ჰყვებოდა, თუ როგორი პატივის-ცემით ეპყრობოდნენ მას სუფრაზე.

მართლაც, ყოველთვის, როცა ოჯახი ახალ წელს ხვდებოდა, ან და-ბადების დღეს იხდიდა, ან შვიდი ნოემბრის დღესასწაულს ზეიმობ-და, — თაროს მობინადრეები სიამაყით ისმენდნენ ხელადის მიმართ თქმულ სიტყვებს:

აბა ჩემო ხელადა,
ჩამოასხი ხელადა.

და ხელადა ავსებდა ჭიქებს სტუმრების და ბედნიერი ოჯახის სადღეგრძელოდ. მეორე დღეს კი თაროზე დაბრუნებული ხელადა ჰყვე-ბოდა, თუ როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში, თუ როგორ მოილ-ხინა.

*

იცოდნენ თაროს მობინადრეებმა თავისი ფასი და მეტად მოსწონ-დათ თავი:

— ჩვენზე კარგი ქვეყნად არაფერი მოიპოვება, — გაიძახოდნენ ისინი და ერთმანეთს ხოტბას ასხამდნენ.

მაგრამ ერთ დღეს კიბეებზე შემდგარმა ლურჯხალათიანმა კაცმა მთელი ბინა შემოიარა, კედლებზე თეთრი კოქები მიაკვედა და მათზე მავთულები გაჭიმა.

— ახლა ჩვენი სოფელიც გამოიხედავს თვალში, — უთხრა დიდედა დაროს და წავიდა.

*

საღამო იყო. ნავთქურაზე ჩაიდანი შიშინებდა. ნახშირის უთოს უბე ნაკვერჩხლებით ამოევსო, ცალფეხა ლამფას კი ანთებული პატრუქი ენასავით ამოეყო, როცა დიდედა დაროს შვილი, რძალი და შვილიშვი-

ლი სოფლვაჭრობის მაღაზიიდან საყიდლებით დატვირთული შინ დაბრუნდნენ.

— გეშველა ბებიკო, არც ხელები გაგეშურება, აღარც ნახშირის უთო გატკენს თავს — უთხრა დიდედას თმახუჭუჭა ბიჭუნამ, ბიჭუნას დედ-მამამ კი მაგიდაზე ელექტრონის ლამფა, უთო, ჩაიდანი და ღუმელი დაალაგეს, რითაც თაროს მობინადრენი მეტად გაამბიარულეს.

— შეხეთ, შეხეთ ამ კუდიანებს, როგორ დასკუპებულან, ის კი არ იციან, რომ დიდედა დარო იმათ კუდებით დაითრევს და ფანჯრიდან გადაყრის, — გაიძახოდნენ ისინი და იცინოდნენ.

მაგრამ როცა დიდედა დარომ პრიალა ნივთებს ალერსიანად გადაუსვა ხელი, ჯერ გოცდნენ — აკი კუდიანების ეშინოდაო, შემდეგ კი, როცა ჩართული კუდიანი ლამფა მზესავით აკაშკაშდა, კუდიანი უთო თეთრეულზე გასრიალდა, კუდიანი ღუმელი აელვარდა და კუდიანი ჩაიდანი მყისვე ადუღდა, — უკუდო ამპარტავნები სხვადასხვაგვარად გაავდნენ.

გაბოროტებულმა ნავთქურამ იფეთქა, ჩაიდანს ბრაზისაგან გული აუდუღდა, ლამფას შურისგან შუშა გაუშავდა, გაკაპასებულმა უთომ კი ნაპერწკლები გადმოყარა.

— ჰეი, თქვე კუდიანებო, სულ ერთია ცოცხლებს არ გაგიშვებთ,— შესძახეს უკუდო ამპარტავნებმა და საჩხუბრად გაიწიეს, მაგრამ რას გახდებოდნენ.

ხელადამ კი, რომელიც მოჩხუბრების გაშველებას აპირებდა, კუდიანებს მეგობრულად გაუღიმა და დინჯად მოახსენა:

— ამალამ თქვენს სადღეგრძელოდ ჭიქებში ღვინოს ჩამოვასხამ.

ტყის მეგობრები

— ნუთუ, სულ ასე მარტო უნდა ვიყო, არც და მყავს, არც ძმა, — შესჩიოდა ჩიორას ველზე შემორჩენილი ერთადერთი ფიჭვი. — ისევ შენ, ჩემო ჩიორავ, შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა?

— ჩქარა, ჩქარა მოვფრინდები, — პირდებოდა ჩიორა და მართლაც, ყოველთვის ჩქარა ბრუნდებოდა, მაგრამ დღეს რატომღაც შეიგვიანა.

— ალბათ მიმატოვა ჩიორამ, ახლა კი სულ მარტო დავრჩები! — გადაწყვიტა ფიჭვმა და უცბად ხმაური მოესმა:

— ჟჟუ — ჟჟუ — ჟჟუ!

„აბეზარი ხოპო ზუზუნებს“, გაიფიქრა ფიჭვმა და მიმოიხედა, მაგრამ ხოპო მის წიწვებზე ნებივრად თვლემდა.

— ნეტავ რა უნდა იყოს?

ზუზუნი უფრო გარკვევით ისმოდა. უცებ ზეცა უცნაური ფრინველებით დაიბურა.

ალბათ, ჩემს გასართობად ჩიორამ სხვა ფრინველებიც მომიყვანა. — გაიფიქრა ფიქვმა, მაგრამ როგორი იყო მისი გაოცება, როდესაც დამფრთხალი ჩიორა მის ტოტებს შეეფარა.

— რა მოგივიდა, ჩიორავ, რად კანკალებ, — შეეკითხა ფიქვი.

— მერე გეტყვი, — უპასუხა ჩიორამ და ცალი თვალით ზეცას გახედა.

— ქეუ — ქეუ! — ზუზუნებდნენ ფრინველები და ველს თავს დასტრიალებდნენ.

ახლა ისინი სულ ახლოს იყვნენ და ისე ზუზუნებდნენ, რომ ჩიორამ ფიქვს ჩასჩურჩულა:

— თვალი დახუქე! — და თვითონ თვალდახუქული გაინაბა.

— დახე, დახე, არწივები ტყეს მოაშრიალებენ! — ჩასჩურჩულა ფიქვმა ჩიორას და ჩიორამაც თვალი გაახილა: ნერგებით სავსე თვითმფრინავები ველზე არწივებივით ეშვებოდნენ: ქეუუ, ქეუუ, — ღეროდნენ ისინი და შრიალა ტყეს მოაფრენდნენ.

— ხა, ხა, ხა, რა სულელები ვართ, რამ შეგვაშინა, ეს ხომ თვითმფრინავებია, ესენი კი ტყის მეგობრები არიან, — თქვა ჩიორამ, როცა თვითმფრინავებიდან გადმოსული ადამიანები ველს მოეფინენ და ხეების დარგვას შეუდგნენ.

— აი, იმ წითელყელსახვევიან ყმაწვილს შეხე, გულმოდგინედ რომ მუშაობს, ის ჩემი ძველი მეგობარია.

მაგრამ ფიქვი ჩიორას აღარ უსმენდა, მას სულ სხვა რამ იტაცებდა.

ფიქვები, ფიქვები, უამრავი ფიქვები სახლდებოდნენ ირგვლივ!

— რა კარგია ერთად ყოფნა, — შრიალებს ძველი ფიქვი და ახლად დასახლებულებს გასძახის: საიდან ხართ, მოკეთეებო?

— სანერგეებიდან, დღეს ჩვენი დღეობაა, — ტყის დღეა! — მხიარულად შრიალებენ ახალმოსული ფიქვები და ძველ მოსახლეს თავს უკრავენ.

ჩიორა კი ხან ერთ ნერგს მიაშურებს, ხან მეორეს და შეუწყვეტლივ ჭიკჭიკებს:

— რა კარგია, რომ მოხვედით, შორეულ ტყეში ფრენით აღარ დავიღლები!

მარიკა ბარათაშვილი



მარიკა (მარიამ) გერვასის ასული ბარათაშვილი დაიბადა 1908 წელს ქ. ჭიათურაში, მასწავლებლის ოჯახში. საშუალო განათლება ქიათურაში, შემდეგ დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი პედაგოგიური სექტორის ფილოლოგიური ფაკულტეტი.

1933 წლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში.

მ. ბარათაშვილის პირველი საწარმოები არის საბავშვო პოემა „ნანული", რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა 1953 წელს.

მ. ბარათაშვილის მეორე პოემა „ეაჩაღანა" დაიბეჭდა 1938 წელს.

მ. ბარათაშვილის კალამს ეკუთვნის კომედია „ერიჭინა", რომელიც გადათარგმნა და დაიდგა ძოძე რესპუბლიკებსა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების თეატრებში.

ნანული

პაწაწინა ონავარს,
მოუსვენარ გოგონას
ერთ დღეს გაჯავრებული
დედა ეუბნებოდა:

პირი მოგითხუპნია,
ცხვირი მოგიმურია,
ხედავ, როგორ დაგცინის
მეგობარი მურია?
მაგ სახით სიარული
როგორ არა გრცხვენია?!
ყველა შენზე უთითებს —
ნუნუ, თინა, ბენია:

„არა ხედავთ პატარას,
ულირცხვილო ქალსაო?
მშვენიერი გოგოა,
იუშნოვებს თავსაო,
წინდა ჩამოვარდნია,
თმები გაეწეწია,
ახალი წინსაფარი
სულმთლად დაუფხრეწია!
მთელი დღე დაცენცულებს
უსუფთაო ხელებით,
კბაც მოუთხუპნია
ათასნაირ ფერებით, —
მელანითა და მურით

სულ მთლად დაუქარგია,
ცალი ფეხის ფაჩაჩიც
სადღაც დაუკარგია.
ფისოს მაინც ვერ ხედავს? —
დილით, როგორც ადგება,
პირს მაწინვე დაიბანს,
კოხტად მოიკაზმება.
ურჩევნია დედიკოს
გაუგონოს ნანულიმ,
თორემ გვიან იქნება
წუხილი, სინანული.
ჩვენ არ გვიყვარს ჯიუტი,
უსუფთაო ბავშვები,
აბა ასეთ გოგონას
როგორ ვეთამაშებით?"

ნანო დედას უსმენდა,
წყენით შუბლი შეიკრა:
„მკიცხავი მეგობრები
არც მე მინდა დღეიდან!
თუ ეგრე დამცინიან
ჩემი ტოლი ბავშვები,
ფისოს, ცუგოს, კუნტრუშას,
ვეღარ ვეთამაშები?"

ესა თქვა და გოგონა
გახტა, კარში გავარდა,
ამწვანებულ ეზოში
მღერით გაინავარდა.

მშვენიერი დღე იყო,
ანათებდა მზე წვია,
სათამაშოდ ნანიკო
ხბო-კუნტრუშას ეწვია.
დაინახა:
ჭრელი ხბო
სიხარულით ტოკავდა,
დედა უალერსებდა,
ენით შუბლს ულოკავდა.
ნანო გაეთამაშა...
ხბომ-კი უთხრა: „გოგონი!
ხედავ, დედამ რა კოხტად
გადმივარცხნა ქოჩორი!
შენ რომ სახეს მომისვრი
ჭუჭყითა და მურითა, —
ხომ ამიკლებს დედიკო
მერე საყვედურითა?"
ნანომ უთხრა: „კუნტრუშავ,
შენგან ამას მოველი?
უმადური ყოფილხარ
და უგულო ცხოველი!"
გულმოსული გაიქცა
და მოძღვნა ხატუნა.
აგერ, მისი კატუნა
რა საქმეში გართულა:
მზეზე წამოწოლილა
და პირს იბანს თათებით,
ნანუ შეპროწიალდა
ყიჟინით, აღტაცებით:
„ახლა კი დამავიწყდა
ვინც რა მითხრა, ყოველი,
მორჩი პირის ბანას და
ჩემს კალთაში მოგელი".
ფისომ, ნიშნად უარის,
შეარხია ყურები:
„მაგ კალთაში ჩავწვები?
მანდ ხომ გავიმურები!
განა მისთვის ვსუფთაობ,
იმისთვის ვეწვალები,
მაგ ხელით მომითხუპნო
პირი, ცხვირი, თვალები?!"
ნანომ უთხრა:
„მაცალე ,ფისუნია მიაუ,
ემაგ სიტყვებს განანებ,
თუ ნანიკო მქვიანო!
ჭყინტი ყველის მოპარვა

ნანიკომ რომ გაცალა,
დედას არ გაუმხილა,
ქურდბაცაცა დაგფარა,
ეგრე მიხდი მადლობას,
შე წუწკო და ნაცარა?!“
გაიქცა და ცუგიას
გულით მიუალერსა,
მაგრამ ცუგამ შეჰღრინა,
წამოხტა და გაექცა:
„შენისთანა გოგოსთან
მე თამაში არ მინდა!
მითხარ, სად დაგიკარგავს
ან ფაჩაჩი, ან წინდა?“
ნანულიმ მიაყვირა:
„ეგრე, ცუგა, შავჩოხა?
გახსოვს, ბებომ გუშინწინ
რომ კინაღამ გაგჯოხა!
მითხარ, ვინ მოგეშველა,
ვინ დაგიცვა, დაგფარა,
გაწკეპლას აგაცდინა,
უვნებლად გაგაპარა,
საწუწკარი, მითხარი,
ჩემს მეტმა ვინ გაჭამა?“
გოგომ სიბრაზისაგან
ლამის ცრემლი დაღვარა.
წვერცანცარას საპოვნად
ეზოს შემოუარა,
მაგრამ მასთან თამაში
ბეკეკამ იუარა:
„აბა, გასწი, მოცოცხე,
დაიკარგე აქედან,
თორემ, აი, შემხედე,
კაუჭა რქებს ვერ ხედავ?
ძლიერ მიყვარს კოპწია,
წესიერი ბავშვები,
თმაგაჩეჩილ გოგონებს
კი ვერ ვეთამაშები!“
ნიშნად გულმოსულობის
თავი დაბლა დახარა,
ფეხი დაბაკუნა,
წვერი შეაცანცარა...
... და მოკურცხლა,
გაიქცა ონავარი გოგონა,
უკან ვერ მიეხედა —
თხა ეისდევდა ეგონა.
აგერ, თეთრი ბატები
ბანაობენ ყიყინით,
დაინახეს ნანუ და
გამოუდგნენ სისინით:
— სი, სი, სი, სი, ვერ ხედავ
უსირცხვილო ქალსაო?
მშვენიერი გოგოა ,
იუშნოებს თავსაო!
უსუფთაოდ სიარულს
რად ვერ გადასჩვევია,
სხვა პატარებს ვერ ხედავს?
როგორ არა რცხვენია!!“
მიირბინა დედასთან:
„დედა, გენაცვალები,
ვფიცავ, თუ მყვარებია
დედიკონას თვალები,
ველარავინ მიხილავს
პირ და ხელებ ჭუჭყიანს,
წინდა ჩამოვარდნილსა
და ტანსაცმელმურიანს.
სიტყვას გაძლევ,
დღეიდან მე აღარ გაგაჯავრებ,
აგისრულებ ყველაფერს,
რასაც კი დამავალებ!

და, მართლაც, პაწაწინამ
აასრულა პირობა,
აღარ დადის დასვრილი
მურას სასაცილოდა.
სიხარულით ·ხტუნავენ
ფისო, ცუგა, მურია;
„ნანუ ასე კოპწია?
სწორედ უცნაურია!“

ყველა ემეგობრება —
ცხოველი და ბავშვები.
აბა, ასეთ გოგონას
ვინ არ ეთამაშებით?!
ცუგრუმელა, ცქრიალა,
მშვენიერი ნანული
ყველას საყვარელია
და დედის სიხარული.

მარიკა მიქელაძე

მარიკა (მარიამ) აპოლონის ასული მიქელაძე დაიბადა 1908 წელს, სოფ. ყულაშში (სამტრედიის რ.). მ. მიქელაძის მამა სამხედრო პირი იყო; დედა იყო ფრიად განათლებული ქალი. პატარა მარიკას დედამ უჩვენა გზა თვითგანვითარებისაკენ, ვინაიდან ფიზიკური სისუსტისა და მუდმივი ავადმყოფობის გამო ბავშვს სკოლაში სიარული არ შეეძლო. სწავლას ძოწეურებული მ. მიქელაძე ძაინც ახერხებს გაძოცდების ჩაბარებას ექსტერნად. უმაღლესი განათლების მისაღებად შეკიდა უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

მ. მიქელაძის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1929 წელს. 1930 წელს გამოვიდა ძისი ძოთხრობა „ოთხი და მეხუთე". მ. მიქელაძემ საძამულო ომის წლებში დაწერა პოემები: „ტანია", „თეთრი სახლი", „წვიმა ძღერის" და გაძოსცა ძოთხრობათა კრებულები: „ციალას ბურთი", „გარდაძავალი დროშა" და სხ.

წვიმა მღერის

(პოემა)

1. ახალ სახლში

ახალ სახლის აივანზე
ელნათური მშვიდად ბრწყინავს.
ახალ სახლში მზიას სძინავს,
სძინავს?

არა, არა სძინავს!

გრძელ წამწამებს ახამხამებს
ყურადღებით უსმენს ღამეს.

მთელ სამგორში სძინავთ ბავშვებს,
ნარბენსა და ნათამაშევს;
სძინავს დედას ფრთხილად ძილით;
წყნარად სუნთქავს ბებო ტკბილი
და მეორე ოთახიდან
ისმის მამის მძლავრი ხვრინი.

თვლემს ფისუნა დახშულ კართან,
მზიას რაღა დაემართა?..

ახალ სახლის კედლებიდან
ფიქვის სუნი ეფინება,
არსად მოჩანს ფარღალალა,
არც ფანჯარა გაიღება.
წვიმს და ველზე დაჰქრის ქარი,
ეჯახება სახლის კედლებს,
მაგრამ მზია მშვიდად არის,
ახალ სახლის მოიმედე:
რას დააკლებს ამ სახლს წვიმა
და ან ქარი ზენა-ქვენა?
იგი ხალხმა მზიასათვის
სიყვარულით ააშენა
და ილიჩის ნათურებით
შეამკო და დაამშვენა!

ახსოვს მზიას ძველი სახლიც
თოვლის მთებში ჩასაფრული,
კარგად ახსოვს ხევსურეთის
მოღუშული გაზაფხული:
იგი მოსვლას ვერ მოასწრებს,
თვალს გაახელს დეკა მორცხვად,
რომ ზაფხულიც ჩაიქროლებს
მთელი ქვეყნის გასაოცრად.
ატირდება შემოდგომა, —
ცრემლი მოჰქუხს ჩანჩქერებად,
ახლოს მისვლა არ გაბედო,
და არც თვალის ჩაშტერება,
თორემ შმაგი ის ჩანჩქერი
თვალს აგიბამს წუთზე ადრე,
ჩაგითრევს და მოგიტაცებს,
დიდ ლოდებზე გადაგამტვრევს!
მთები ცამდე აზიდულნი
აიკრავენ სახეს ნისლით,
ისე კუშტად დაგცქერიან,
თითქოს გმართებს მათი სისხლი.

ძველი სახლი, ძველი კერა,
კოშკი კედლებდახეთქილი,
ხან ქარისგან შერყეული,
ხან თოვლისგან ჩახერგილი!

მზიას ახსოვს დღე ნათელი,
როს მზემ ნისლი ვადიყარა...
დედა ზანდუკს ალაგებდა,
ვიშვიშებდა ბებო წყნარად
და მამა კი კართან იდგა,
თვალს ძაბავდა ღადარიანს,
თითქოს სურდა განეკვრიტა,
შორს, სამგორში, რა დარია!
არც მზია და არც დედ-მამა
არ სტირიდნენ იმ ძველ ლოდებს:
ნათელ მზისკენ იჩქაროდნენ,
სამგორისკენ იჩქაროდნენ!

ახლა სამგორს, გაშლილ სამგორს
ჰყავს ახალი ბინადრები:
ხევსურები, რაჭველები,
ყველა, ვისაც ინატრებდით,
ყველა, ვისაც დედამიწა
დედინაცვლად გადაექცა,
ყველა, ვინც კი მწირ ნიადაგს,
მწირ ცხოვრებას გამოექცა.

ახალ სახლის სახურავზე
დარბის წვიმა ფეხშიშველი.
ეს თუნუქის სახურავი
სრიალაა, სველი, სველი!
— ტკაპი-ტკუპი, კენტი-ტყუპი!
— კიდევ კენტი! კიდევ ტყუპი!
ჩამოუბამს წვიმას ძაფი,
დარბის, დარბის, დარბის, დარბის!

— ჰე, შეჩერდი!—ამბობს მზია,—
ასე რბენა გაგიგია?
სუსტი ხარ და ფეხშიშველი,
დაცურდები, ვერ გიშველი.

— დავცურდები? შეგეშალა,
თუ გგონივარ ასე ნაზი!

შენ არ იცი ჩემი ძალა,
შენ არ იცი ჩემი ფასი.
ყური მიგდე და გიმღერებ,
რას ვაკეთებ ქვეყანაზე!

მზია წევს და უსმენს ღამეს,
გრძელ წამწამებს ახამხამებს,
ქარიშხალი გარეთ წივის
და სიმღერა ისმის წვიმის.

2. რას მღეროდა წვიმა

„მყინვარწვერზე მშვიდად ვიწექ
პაწაწინა თოვლის გუნდა.
ხრამს ჩავხედე უნებურად, —
ნორჩი თავი დამიბრუვდა,
შევტორტმანდი, გადავქანდი,
ორივ ფეხი დამიცურდა!

თავი ველარ დავიჭირე,
ძირს წამოველ ბრუნვა-ბრუნვით,
შემეშინდა, ელდამ დამკრა,
ამიძგერდა ნორჩი გული,
მოვგორავდი, მოვგორავდი,
შავი შიშით დაზაფრული!

ამდიოდა თეთრი მტვერი,
დამეკარგა სულმთლად ფერი,
ვშრიალებდი საცოდავად:
— ოჰ, მიშველეთ, დავიმტვერი!

მაგრამ დახეთ საოცრებას:
თითქოს ხორცი მემატება,
გავივსე და გავიზარდე, —
ახლა ფრენა მენატრება!

ძირს მოვდივარ ტრიალით,
გუგუნით და გრიალით,
გადვიფრინე ნაპრალები
და პიტალო ტიალი!

ბალალზე ბალახს სძოვდნენ
ჯოლმეურნეთ ფარები,
თავს მწყემსები დადგომოდნენ,
მკვირცხლნი, დაუზარელნი,
გარს უვლიდნენ ქოფაკები,
ყეფდნენ განაცხარები.

გამახარა მშრომელ ხალხის
დოვლათმა და ბარაქამ,
ავღრიალდი როგორც დევი,
გაგონილი არაკად,
ძირს დავეშვი... ერთი თოხლი
მოვიყოლე ზვარაკად.

უცებ დავცხრი. გავიგონე
შეძახილი ხალხისა...
სალამ ქალამს მოველოდი,
მზერაც არვინ მაღირსა!
მხოლოდ ერთმა შავქოჩორამ
მითხრა სახტად დარჩენილს:
„ჩვენდა ჭირად დაქანდიო,
გაგიწყდესო გამჩენი!“

ავიწურე, ავწრიალდი, —
გულზე მომხვდა სიტყვა მწარე...
იქ ვერ დავდექ... ცრემლად
დავდნი,
ბუჩქებშუა გავიპარე...
თავქვე-თავქვე წამოვედი,
ჩავურბინე ბალახს რძიანს,
თან ვამბობდი: „აღარასდროს
არ ვიფიქრებ კაცის ზიანს“.

3. ნაკადული

ერთ მდორე ტბას შევუერთდი,
შლამი, ხავსი მესარჩულა...
გულს დამეცა სხივი მზისა,
სხივს ავყევი ორთქლის ქულად,

ცაში აველ, სუსხმა დამკრა,
ჩემი სახე ჩაიქუფრა.
შევიკუმშე, გავიზარდე,
გადავიქეცი წვიმის ღრუბლად.

მთის იქიდან ქარიშხალი
აფთარივით გადმოეშვა,
გამფოფრა და გამაშავა,
წამოვედი ციდან თქეშად.
მოწყურებულ ყანებს დავკარ
და ჯეჯილი ვაბიბინე,
თვალბრიალა ყაყაჩოებს
შმაგი ხტომით ჩავურბინე,
ყოჩივარდას, ხავერდულას
ჩავუმღერე ნაკადულად;

დოლის პურს რომ ჩავუარე,
დავჯექი და დავარწყულე;
გვალვით გამხმარ ბალახბულახს
გრილი შხეფი მივასხურე;

ყველას გული დავუამე,
ყველას შვება მივანიჭე.
ნამზევ ფეხებს ვუკოცნიდი
შავთვალწარბა გოგო-ბიჭებს!

ერთი კარგი გოგუცანა,
შავთვალა და წითელქუდა,
სველ კენჭებზე ბუქნაობდა,
უცებ ფეხი დაუცურდა, —
ქვაზე დაჰკრა მუხლისთავი
და ატირდა საცოდავი.

გრილი შხეფი მივაპკურე,
სისხლის წვეთი მოვაცილე,
ერთი კარგი სიმღერა ვთქვი,
გავახარე, გავაცინე,
შინ წავიდა ასკინკილა,
მე სიმღერით გავაცილე!"

— ის მე ვიყავ! ვერ მიცანი? —
აღელვებით ყვირის მზია.
მაგრამ ახალ სახურავზე
მოუმატებს წვიმა შრიალს,
ქარიშხალი გარეთ წივის,
კვლავ სიმღერა ისმის წვიმის.

4. დედობილი

„ცხელა, ცხელა! პაპანება
აღარ მაძლევს გაქანებას!
ჩემი წყალი შრება, ხმება,
ოჰ, მიშველეთ! სული მხდება!
სხვისი ლალა და მფარველი
უპატრონოდ სიკვდილს ველი!

დამეღარა თეთრი სახე,
ამომიჯდა გული ჩვილი,
მაგრამ ამ დროს დავინახე:
დიდებული, მხარგაშლილი
ივრის ტალღა ვერცხლისფერი
ბოგრიალებს, მოიმღერის!

ოჰ, იორი მშვენიერი
როგორ კარგ დროს შემეფეთა!
შევტირე და შევწუწუნე,

მივაშურე, როგორც დედას,
გულს ჩამიკრა, მითხრა ნანა,
თავქვე, თავქვე გამაქანა!

5. წისქვილი

დედობილი გრგვინავს, მიდის,
გავიარეთ გზები დიდი.
ერთი სოფლის განაპირას
ჩვენ წისქვილი დავინახეთ,
არც ვაცივეთ, არც ვაცხელეთ,—
წისქვილის ღარს დავეჯახეთ,
ბორბალი რომ ავაბრუნეთ,
დოლაბები ვაგუგუნეთ.

—კაკი-ტუკი, კაკი-ტუკი,—
სარეკელამ დაჰკრა ტაში
და წავიდა ფქვილის ხვავი
კოლმეურნის ტომარაში.

თავქვე! თავქვე! გრიალს ჩვენსას
ბანს აძლევენ ტყე და ზეცა!

6. კაცის ხელი

ეს რა რკინა გაგვეხირა,
კაცის ხელით ნაჭედი?
გადავედით ყირა-ყირა,
მაგრამ გვითხრეს:
„გაჩერდით!
გეყოთ, რაც რომ იპარპაშეთ
მაღალ ციდან მიწამდი,
ახლა სამგორს ემსახურეთ,—
ამ გვირაბში მიბრძანდით!“

როგორ ბნელა ამ გვირაბში,
შენ კი გენაცვალები!..
დამავიწყდა სხივი მზისა,
დამიბნელდა თვალები,—

თვალხუჭუნა მივყვებოდი
ძმობილებს და დობილებს,
დილაა თუ შუაღამე,
ვერსით შეგვატყობინეს!

რაღა ბევრი გავაგრძელო,—
ეს გზა გავდა მოჭორილს!
ის-ის იყო, დღე-ნათელზე
გავყავ სველი ქოჩორი,
რომ გამოჩნდა კვლავ გვირაბი,—
ბოლო არ აქვს გვირაბებს!
... კაცის ხელი თვის ნებაზე
მიგვაფრენს და მიგვაფრენს!

მაგრამ მორჩა გვირაბებიც,
ჩავისუნთქეთ მადიან,
რა ზღვა ხალხი შეგროვილა,—
ნეტავი რა სწადია?

ომია თუ დღეობაა,
რამ შეყარა ამდენი?
უზარმაზარ მინდორს ადგას
მტვერის კორიანტელი.

ღრჭიალებენ მანქანები
საშიშარი კბილებით,
ლოდებს, თითქოს კევიოო,
ღეჭენ დალოცვილები.

დგანან რკინის ყანჩები
მაღალ-მაღალ კანჭებით,
გრძელ ნისკარტებს აბრუნებენ
შორით გამოსარჩევნი.
უზარმაზარ რკინის ზოდებს
დასწვდებიან გუგუნით,
ისე ციმციმ იტაცებენ,
თითქოს იყოს ბუმბული!

ჩვენ ნაბიჯი შევანელეთ, —
ნელა სრბოლა გვენება,
მაგრამ როდი დაგვაცალეს
ზოზინი, შესვენება!
ვინ გაგიშვებს, რომ იარო
ნება-ნება, შექცევით?..
რა ყოფილა კაცის ხელი, —
ვერსად ვერ გაექცევი!

7. „წ ყ ა ლ ი მ ო დ ი ს!“

ეს რა არის? ბეტონისგან
ჩამოუსხამთ აკვანი...
— არხიაო! ჩაწექითო!
შიგ მოვიღეთ ჩქაფანი.
შევიშმუშნეთ და გავქანდით
ბუზღუნით და შხუილით...
მზის და მტვერის ბუღი იდგა,
მანქანების ღმუილი.

ეჰ, რა სჯობდა დიდი ივრის
ამწვანებულ სანახებს!
აქ არც სველი კენჭებია
და არც რბილი ბალახი.
დამელეწა ფერდები, —
რა უდროოდ ვბერდები!

ჰაერზე ხომ მაინცა ვართ, —
ამისთვისაც მადლობა!
მივიჩქარით და ყიჟინით
გვხვდება ახალგაზრდობა.
თუმცა, ჩანან ჭარმაგებიც,
ქალებიც და ბავშვებიც,
დედაბრებიც დავინახეთ
შავი ღაზლის თავშლებით!

— წყალი მოდის! წყალი მოდის —
და მოგვდევენ ქაქანით.
მათ ყიჟინში იკარგება
ჩვენი ტალღის ჩქაფანი.

მე ერთ დობილს წავჩურჩულე:
— ამიხსენი, თუ და ხარ:
რა აყვირებთ? ნუთუ წყალი
არასოდეს უნახავთ?

დობილმა თქვა:
— მეც ეგ მიკვირს,
რა ზათქი და ზარია?
თითქოს უწყლო ქვეყანაში
გაჩენილნი არიან!

აქ შემოგვწყრა დედობილი:
— ნუ ხართ ასე ცეტები!
დაინახეთ მინდორ-მინდორ
ის ვეება სვეტები?
დაინახეთ თვითონ ველი
მონატრული წყალისა?
ანდა გორა, სამი გორა,
გადამწვარი გვალვისგან?..

ხალხი გვენდო, დაგვავალა,
სამგორს ვერგოთ მალამოდ,
მზით დამწვარი მწირი ველი
გრილი შხეფით დავნამოთ,
გავალაღოთ, დავარწყულოთ,
დამწვარ გულზე დავეპკუროთ, —
გაიხარე, დატოტვილო,
აბიბინდი, დოლის პურო!

მასახელეთ, შვილებო,
და იყავით გამრჯენი,
დაე მოსკდეს ზღვასავით
აქ ჯეჯილის ფარჩები.
ბაღად იქცეს სამგორი,
შორით გამოსარჩევი!

ჰქუხდეს შრომის ბარაქა,
სიმღერები ნათელი,
ჩაიშაქროს ყურძენი —
„საფერავი“, „ატენი“,
აციმციმდეს მიდამო
ლოყაწითელ ატმებით.
ლალითა და ძოწეულით
ელვარებდეს ბროწეული,
მწიფდებოდეს ფორთოხალი,
სამგორელის მოწეული!

გავაღვივოთ თესლები,
ავაბრუნოთ ჰესები,
რომ ჩვენს ქებას ამბობდნენ
ამღერებულ ლექსებით!
შრიალებდეს თბილისის ზღვა
ლაქვარდოვან ტალღებით,
ნაოსნობდნენ, ბანაობდნენ
თვალბრიალა ბალღები,
თვალს ახელდნენ ყვავილები,
ხასხასებდნენ ბაღები!

შუქად ადგეს სამგორის ველს
ახალ ყოფნის ცისკარი,
შრიალებდეს ნეკერჩხალი.
ჭრიალებდეს ჭიშკარი...
მაგრამ ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!
თავქვე, ზღვისკენ იჩქარეთ!

ჩვენც გავქანდით სიხარულით,
სიმღერით და შრიალით!
წინ გეხვდებოდა, თან მოგვდევდა
გამარჯვების გრიალი.
და, როდესაც ზღვის ბუდეში
ფეხი შევდგი წკრიალით,
სქელქეს „ვაშა“, კიდევ — „ვაშა!“
და დროშებმა იალეს!

დავინახე ის გოგონა,
ჩემი ძველი ნაცნობი:
დარბაისლად მოდიოდა,
განა ხტოდა ანცობით!
პიონერთა რაზმს უძღოდა
ის პატარა გოგონა,
ტანმაღალი ბაირაღი
სასოებით მოჰქონდა“.

— ის მე ვიყავ! — ამბობს ჩუმად
და თვლემაში მიდის მზია...
მაგრამ ახალ სახურავზე
კვლავ უმატებს წვიმა შრიალს,
დავლურს უვლის და თან ჩქარობს,
რომ სიმღერა დაამთავროს:

„გაიშალა ჩვენი ტალღა,
ტალღა დაუდეგარი,
გუგუნებდა შრომის ჰანგი,
ბრძოლის ჰანგი მჭექარი!
მაშინ ვიგრძენ: მეც, პატარას
ხალხის ნდობა მეღირსა,
მაშინ ვიგრძენ, რომ მეცა ვარ
შვილი ჩემი ქვეყნისა!“

ბოლოსიტყვაობა

ახალ სახლის კარიბჭესთან
ელნათური მშვიდად ბრწყინავს,
ახალ სახლში მზიას სძინავს...
მშვიდად სძინავს? მშვიდად
სძინავს!

ეზმანება ახალ ყოფნის
ცხრათვალა მზე ცხოველი,
გზა — ფართო და გზა — ნათელი
მოუთმენლად მოელის.
ის ამ გზაზე შეეჩვევა
შრომას, შემოქმედებას,
მას პარტიის ბრძნული სიტყვა
გულზე შემოენთება, —
რამდენ სამგორს ააშენებს,
ხრიოკს აქცევს ედემად!

გაშლილ ველზე დაჰქრის
ქარი,
მაგრამ მზია მშვიდად არის,
დიდი ბაღის, დიდი ქვეყნის
ეს პატარა ბინადარი!

ირაკლი აბაშიძე

ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძე დაიბადა 1909 წელს. ქ. წულუკიძეში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა წულუკიძეში, ხოლო უმაღლესი განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ირ. აბაშიძის პირველი ლექსები დაიბეჭდა 1927 წელს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“. ამ დროიდან იგი სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

ირ. აბაშიძე 1931 წლიდან რედაქტორობდა საბავშვო ჟურნალებს „ოქტომბრელს“ და „პიონერს“.

ცალკე წიგნებად გამოცემულია ირაკლი აბაშიძის საბავშვო ლექსთა რამდენიმე კრებული.

ირ. აბაშიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია; იგი არის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი.

ჩვენი საბჭოთა არმია

არ გაიხაროს მტრის გულმა,
არცა რა გაუხარნია;
მშვიდობის დროშას დარაჯობს
ჩვენი საბჭოთა არმია.

მარჯვედ უპყრია მახვილი,
მარჯვედაც მოუხმარნია;
საბჭოთა ქვეყნის ლაშქარი —
ჩვენი ძლიერი არმია.

მამულს უდგანან გმირები,
მხრებზე მიუდევთ მხარია;
მოძმე ერების სიმტკიცე —
ჩვენი საბჭოთა არმია.

მტერთაგან ჩვენი საზღვრები
მას მკერდით დაუფარნია;
სიმაგრე გაუტეხელი —
ჩვენი საბჭოთა არმია.

არ გაიხაროს მტრის გულმა,
არცა რა გაუხარნია;
მშვიდობის დროშას დარაჯობს
ჩვენი საბჭოთა არმია.

სამშობლო

ჩემს სათაყვანო მხარეში
სულ განთიადი მგონია,
ჩვენებრ დიადი სამშობლო
ჯერ არსად არვის ჰქონია.

ვრცელია ჩვენი ქვეყანა —
დიდი საბჭოთა კავშირი,
შავ ზღვიდან ყინულეთამდე
გადაჭიმული, გაშლილი.

გამარჯვებული სიმართლე,
დამარცხებული ბნელეთი;
ცის უნაპირო ღიმილი
მზიური ზღვა და ხმელეთი.

დიდ ხალხთა ძმობის ზეიმი,
მტრობა და შური წაშლილი...
ვრცელია ჩვენი ქვეყანა —
ერთა ურღვევი კავშირი.

ცივ ყინულეთის ტრამალზე,
ცხელი სამხრეთის მდელოში,
მოძმე ერების ველებზე,
ჩვენს მშობელ საქართველოში

სულ განთიადი ანათებს,
სულ გაზაფხული მგონია...
ჩვენებრ დიადი სამშობლო
ჯერ ქვეყნად არვის ჰქონია.

კაპიტანი ბუხაიძე

მე, ქართველი ბუხაიძე,
ბალყარეთის მთებში ვწევარ...
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,

მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.

ვინც დამხედოთ, გადაეცით
საქართველოს მთებს და ველებს,
რომ მისი ძე, ბუხაიძე,
აქა ვქლეტდი სისხლის მსმელებს.

არ ვუშვებდი დარიალთან
გააფთრებულ ყვითელ გველებს...
მე საფლავში არა ვწევარ, —
აქ დარაჯად დამაყენეს.

და ვუბარებ ყოველ ქართველს:
მისი წმინდა ვალი არი —
მოკვდეს, მაგრამ მკერდით
შეჰკრას
დერბენტი და დარიალი.

გამარჯვების დღე

ჰო, შენ იცი,
მაგრამ იქნებ
ბევრმა ბავშვმა ჯერ არ იცის
ცხრა მაისის სიხარული,
სიდიადე ცხრა მაისის.

ბევრი, ბევრი თქვენთაგანი
დაიბადა მხოლოდ მაშინ
და არ იცის, რა ზეიმი
იდგა იმ დღეს მთა და ბარში.

რა სინათლე კრთოდა თვალში,
რა სიამე ფეთქდა გულში,
რა ძახილი, რა სიმღერა
გუგუნებდა ჩვენს მამულში.

გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ,
ჩვენმა ხალხმა დასცა მტერი
და მონობას ააშორა
სხვა ქვეყანაც ბევრზე ბევრი.

ცხრა მაისი!..
ეს დღე ყველგან
დაიხსომონ ყაჩაღებმა,
რომ კვლავ ვერვინ ვერ გაბედოს
ომის ცეცხლის გაჩაღება.

გამოცდები

განა გავტეხ დაპირებას,
ან ტოლებში გამოვწყდები?!
ცხრაჯერ იყოს გამოცდები...
ათჯერ იყოს გამოცდები.

განა მშობლებს ვუღალატებ,
ან მამულს და დიად დროსა?!
სექტემბრიდან მაისამდე
მივგრიალებ ფრიადოსნად.

ვინც კაცია, ვინაც ვარგა
მას „ხუთებიც“ უნდა წაჰყვეს,
თუ სამშობლოს შვილები ვართ,
თუ დავეძებთ გმირთა სახელს.

ნეტა კიდევ სხვა გმირობაც
მეკისრა და შემძლებოდა,
ასიც გეთქვათ დაბრკოლება, —
ფერიც კი არ მეცვლებოდა.

მეგობრებო, ნუ გაოცებთ
ჩემი ასე ამაყობა,
ხვალ, ზეგ ვნახოთ...
        დღეს კი ამ ლექსს
არ დამირქვათ ტრაბახობა.

განა გავტეხ დაპირებას,
ან ტოლებში გამოვწყდები?!
ათჯერ იყოს გამოცდები...
ასჯერ იყოს გამოცდები.

მოიარე საქართველო

მოიარე საქართველო,
ჩვენი მთა და ჩვენი ბარი,
ზაფხულობით, როცა ყველგან
იკეტება სკოლის კარი, —

რა საესეა ჩვენი მხარე,
რას არ ნახავს კაცის თვალი;
ყოველ მხრიდან დაბრუნდები
სილამაზის ეშხით მთვრალი.

აქეთ ტევრი უდაბური,
იქით ჭალა ატეხილი,
მარად თოვლში, მარად ტყეში
კავკასიის მთაგრეხილი.

ბუნებაში ყველგან რაღაც
საიდუმლო გვემალება,
მათი ცოდნა, დაუფლება
ყოველ ჩვენგანს ევალება.

რაც გვასწავლეს წინაპრებმა,
რაც აგვიხსნეს ჩვენთა ძველთა,
რისი ცოდნაც შეუნახავთ
ქვეყანაზე წარსულ წელთა,

შეისწავლე, დაიხსომე
ვით საყვარელ ლექსის პწკარი...
მოიარე საქართველო,
ჩვენი მთა და ჩვენი ბარი.

რას გადაურჩა თბილისი

(ნაწყვეტი)

შესავალი

ბრწყინავს ახალი თბილისი,
ძველი ქალაქი ქართული,
სახლებს ეკვრიან სახლები,
სართულს აწვება სართული.
ქუჩა მიიწევს ქუჩისკენ,
ქუჩაზე გადახლართული,
ქუჩისპირს მისდევს ჰადარი
ამაყად წელგამართული.
გამზირს მიჰყვება გამზირი
ფალავანივით განთქმული,
ბოლავენ ქარხნის მილები,
მშვიდად შრომაში გართულნი.
გზისპირებს ბოძი მიჰყვება,
ბოძს — ელექტრონის მავთული,
თბილისში ჭაღი ელვარებს,
ზემოავჭალას ჩართული.
ბრწყინავს ახალი თბილისი,
ძველი ქალაქი ქართული.

•

დაბლა მოჩანს მთაწმინდიდან
სანახავი ათასგვარი:
ავჭალიდან ნავთლულისკენ
ქვის კედლებში მოქუხს მტკვარი.

ავჭალიდან ნავთლულამდე
გაუშლია თბილისს მხარი,
არც ის ძველი კედლები ჩანს,
არც ქალაქის ძველი კარი.

ხეივნებს და ბაღჩა-ბაღებს
ვარდ-ყვავილი ამკობს ჭრელი,
სასახლეთა ბროლის ფანჯრებს
მზის სხივი წვავს თვალმომჭრელი.
მტკვრის ნაპირას გაშლილ უბნებს
ვერ გასწვდება კაცის თვალი,
ქვემოთ ჰკივის დიდუბეში,
გაქაფული ორთქლმავალი.

დგას თბილისი, ეგებება
სტუმრებსა თუ მისიანებს;
რეკს ტრამვაი გაჭედილი,
იქვე ავტო მისრიალებს.
მტკვარზე ხიდი ჩელუსკინის
მოჩანს, როგორც დიდი ნავი,
ქალაქს თავზე დაგუგუნებს
გასარკული თვითმფრინავი.

* *

ჰყვავის, შრიალებს ახალი
ორთაჭალა და ისანი,

მწვანით მოსილან თბილისის
ქედები სალი კლდისანი.

I

„ციხე მცხეთისა“

უძველესი მტკვრის ნაპირი

უდაბურ ტყით შრიალებდა
უძველესი მტკვრის ნაპირი,
ყრუ ღამეში ღრიალებდა
სამხრეთელი ტყის ნადირი.
ღრიალებდა ნადირივით
აფოფრილი მტკვარის წყალიც,
ფშანში თვლემდნენ ნაპირები,
დასერილი ირმის კვალით.

უხვად ესხა ტოტებს ხილი,
მხეცის ძვლები ჩანდნენ ხევში
და მუხაში შეტეხილი
კარეული ღორის ეშვი.
გაზაფხული სცვლიდა ზამთარს,
აპრილს — ხვატი ივლისისა;
აქეთ-იქეთ კენტად ჩანდა
ჯერ მოსახლე თბილისისა.

ძველი ბუდეები

მაგრამ ძველად განა ყველგან
ტყე იყო და ჭალაკები?
თვალს ხიბლავდნენ საქართველოს
უძველესი ქალაქები:
სამშვილდე და უფლისციხე,
რუსთავი და ძველი მცხეთა,

ურბნისი და სარკინეთი,
სიამაყე ძველთა დღეთა.
ახლა მათგან რაღა დარჩა,
გაჰქრნენ მათი ზღუდეები...
საქართველოს არწივების
უძველესი ბუდეები.

• •

მცხეთა იყო ქართლის გული,
გმირი, ბრძენი სასახელო,
მცხეთა — ქართლის მატიანე,
მცხეთა — ძველი საქართველო,
მცხეთას იდგა მეფის ტახტი,
ჰამულს მცხეთა განაგებდა,
ქედს მონურად არ იხრიდა
ველურ მტრების ბანაკებთან.
შიში ჰქონდათ მტრის ურდოებს
მისი მტკიცე გალავნისა,
შორს ისმოდა ძლიერება
კავკასიის ფალავნისა.

სპარსი — მტერი სამხრეთელი

მაგრამ თავს ვინ დააღწევდა
შემოსეულ მტრებთან ომებს...
წინაპრები ამაგრებდნენ
მცხეთის ახლო მისადგომებს,
რომ მტრებისთვის გზა შეეკრათ,
არ მოეშვათ ურდო მტრული,
მათი ისრის შეუხებლად
შეენახათ ქართლის გული.
მტრებში უფრო საშიშარი
იყო მტერი სამხრეთელი —
სპარსი, მუდამ მოსისხარი,
გველი, ქვეშ-ქვეშ გამხედველი.
საქართველოს სპარსეთისგან
არა ჰქონდა მოსვენება,
იდგა როგორც სამხეცეთი,
ვით სიკვდილის მოჩვენება.
იყო ბრძოლა, შერკინება
ამ ცეცხლსა და ლოვის ზართან,
მტკვრის ნაპირებს მოჰყვებოდა,
გაჩნდებოდა მცხეთის კართან
და... ქართველმაც მცხეთისაკენ
ვერაგს სწრაფვა აღუკვეთა,
მტკვრის ნაპირზე, იწროებში
სპარსს გზა ციხით გადუკეტა.

გაჩნდა ციხე — „თბილისი"

როგორც ზღვარი წამების, ომის ჭაპანწყვეტისა,
გაჩნდა ციხე-თბილისი, როგორც „ციხე მცხეთისა".
გაჩნდა ციხე-თბილისი, ღრუბლებამდე ავარდა,
მტკვრის ნაპირად გაქვავდა მცხეთის დასაცავადა.
აღიმართა, გასრულდა, ქვას დაეკრა აგური...
ქართლში იჯდა ხელმწიფედ მეფე ვარაზ-ბაკური*

---

* ვარაზ-ბაკური — ქართლის მეფე, მეფობდა ახალი წელთაღრიცხვის IV ს. 70-იან წლებიდან.

ავტორის შენიშვნა.

* *

მრავალ კერიით გაჩაღდა
მტკვრის უმდიდრესი ხეობა,
ციხის გარშემო დასახლდა
ახალი მოსახლეობა.
ქოხებში ოდაც ქართული
აქა-იქ გამოერია,
დაენთო ციხის გარშემო
ქართველი კაცის კერია.

სამი მხრით დგანან დარაჯად
ქედები დახატულები.
თაბორის მთიდან გამოქუხს
თბილი წყლის ნაკადულები.
ალბათ, გაჰკვირდა ქართველი
პირველმნახველი თბილი წყლის,
ალბათ მან მისცა სახელი
ამ არემარეს თბილისის.

გამოჩნდა სპარსთა ჯარი

მაგრამ ქართლის აყვავებას
მტერი დიდხანს მოითმენდა?
გულმოკლული ქართლის დედა
ცრემლს დიდი ხნით ძოიწმენდდა?
წამოვიდა სპარსთა ჯარი,
შემოიკრა თავგასულად.
ძირს დაეცა ძველი ქართლი,
თუმც იბრძოდა ვაჟკაცურად.
რიგი გაწყდა... რიგი კიდევ
ჩაამწყვდიეს შავბნელ დილეგს...

ქართლში დაჯდა „პიტიახში“ *,
სპარსთა ბეფის მოადგილე.
მაგრამ მტერმა თვით მცხეთაში
როდი დადგა ტახტი თვისი!
ბანაკად და საბრძანებლად
აირჩია მან თბილისი.
დამპყრობი და მოძალადე
საქართველოს მარად სძულდა;
ქართლს ნეოთხე საუკუნე
ასე შავად დაუსრულდა.

„შეიბნიან, იბრძვიან“

ციხე-თბილისს ვერ სთმობდა
ქართლი დამონებული,
იყო ბრძოლა სპარსელთან
ცხარე, გამუდმებული.

ორივ მხარე ფიცხობდა,
ვინ ვის სჩეხდა ვინ იცის,
„შეიბნიან, იბრძვიან
ფონსა ზედა თბილისის“.

* *

მცხეთა მაინც მცხეთობდა,
რაგინდ მტერი მხეცობდა,
ძილი მან არ უწყოდა,

ქართველს მტერზე უძლოდა,
დაშნით სჩეხდა უკუნეთს
ნახევარ საუკუნეს.

---

* პიტიახში — სპარსული სიტყვაა და „ქვეყნის უფროსს“ ნიშნავს. შინაარსობლივად ის ქართულ „ერისთავს“ შეესატყვისება. პირველი სპარსელი პიტიახში ქართლში IV ს. დასასრულს მოვიდა.

ავტორის შენიშვნა.

ვერ მოსთხარა მტერმა ქართლი,
მცხეთას ტახტი ვერ გასრისა,
მზემ ბნელეთი გაარღვია,
დადგა ჟამი გორგასლისა.
შემოერტყა მეფე ციხეს,
მტერი შეკრა, აშიმშილა
და თბილისი სპარსს წაართვა
დიდებულმა ქართლის შვილმა.
ვახტანგ მეფე* მტერს დაეცა,
მოსპო სადაც დაელანდა,
მაგრამ ომში თვით თბილისი
დაინგრა და გავერანდა.
ნანგრევების ბუღი დადგა,
როგორც გვალვა ივლისისა:
ახლა იწყო ვახტანგ მეფემ
აშენება თბილისისა.
ჩადგა ციხის საფუძველი,
მრისხანის და ძალოვნისა,
იწყო სწრაფად მშენებლობა
თბილისს ირგვლივ გალავნისა;
ბევრ შენობას აღადგენდა,
ბევრს იწყებდა ისევ ახლად,
რომ თბილისი გაეხადა
სატახტოდ და მეფის სახლად.
იყო ვახტანგ მშენებელიც,
მტრის გმირულად ამკეთწველი, —
მან ახალი თბილისისთვის
ჩასდო მტკიცე საფუძველი.
ხმლით იბრძოდა და თბილისის
შენებასაც აგრძელებდა,
მაგრამ მეფე ხუთას ორ წელს
ომში მოკვდა სპარსელებთან.
მოკლა ვახტანგ გორგასალი
მტრის ისარმა გაბასრულმა
და... „ზღუდენი თბილისისა
დაჩი მეფემ* განასრულნა“.
დაჩიმ დადგა თბილისს ტახტი,
როგორც სწადდა მეფე ვახტანგს,
მან ახალი ქართლის გული
შეაერთა მეფის ტახტთან.

• • •

უხსოვარია თბილისის
პირველი ქოხის დამდგმელი,
სად იყო კერა პირველი,
ვინ აგვიწეროს სათქმელი.
თბილისის ძველი წარსული
ვინ იცის მიდის სადამდე,
იგი ათასწლებს დაითვლის
თვით ვახტანგ გორგასალამდე.
მაგრამ, რადგანაც ნანგრევზე
დადგა ვახტანგმა სართული,
თბილისის შექმნას გორგასალს
აწერს ლეგენდა ქართული.

---

* ვახტანგ მეფე, ვახტანგ გორგასალი — მეფობდა ქართლში V-ს. მეორე ნახევრიდან 502 წლამდე. ვახტანგს „გორგასალი“ ე. ი. „მგელთავა“ სპარსელებმა შეარქვეს, რაკი იგი ომის დროს თავზე მუზარადს იხურავდა, რომელზედაც მგელი იყო გაძოსახული.

* დაჩი მეფე — ვახტანგ გორგასალის მემკვიდრე, მეფობდა ქართლში VI ს. ღამდეგს.

ავტორის შენიშვნა.

მეფე ვახტანგ გორგასალი
ქართლს გასულა სანადიროდ,
ქორ-მეძებრით გაუვლია
მტკვრის მარჯვენა სანაპირო.
მოუხიბლავს მეფე ველებს,
ფერადებს და თვალწარმტაცებს;
დაუხოცავთ ფრინველები
მეფესა და მეფის კაცებს.
გადაშლიათ მთების კალთა,
ვარდ-ყვავილი დაჰფენიათ,
თაბორის მთის მისავალთან
კელავ ხოხობი აჰფრენიათ.
მეფეს ქორი მიუგდია,
ხოხობს სისხლი დასდენია...
მთის ძირს წყალში მიუგნიათ —
ფრინველთ ფრთები დასცვენიათ.

ქორს ბუმბული დარჩენოდა,
უგზო-უკვლოდ დაკარგულსა,
ცხელი ნისლი დაჰფენოდა
თაბორის მთის ნაკადულსა.
არა ჰქონდა დასასრული
ადუღებულ ბორგვას წყლისას...
აქ შემდგარა დაქანცული
მეხლი ვახტანგ გორგასლისა.
მოუხიბლავს ამ მშვენებას
ჯერ უხილავ ზმანებითა,
აქ ქალაქის გაშენება
უთქვამს მეფურ ბრძანებითა.
უთქვამს: შემდეგ „განესრულნათ“
მემკვიდრეს და შვილიშვილსა...
და ჩაუდგამს გორგასლურად
საძირკველი თბილისისა.

VIII

ისევ ირანი

• •

დათარეშობდნენ თბილისში
მტრების ველური ტომები,
ჰქუხდა ლეკებთან, თურქებთან,
ყიზილბაშებთან ომები.
იყო ფიცხელი ზედმისვლა,
იყო „ჰკა მაგას“ ძახილი,
ვერას ხდებოდა მტარვალთან
ქართველ მხედართა მახვილი.
ბოლოს წარუძღვა ჯაბუკი
სარდალი ქართველ მეომრებს,

მტერს დაერია ვეფხვურად
გმირი ერეკლე მეორე.
იხსნა მტერთაგან თბილისი,
ას წელს რომ სისხლი აწვიმდა,
განთავისუფლდა ქალაქი,
ნარიყალა და მთაწმინდა.
თბილისმა დასწვა უღელი,
ას წელს რომ ქედით ატარა,
მერე მრავალ წელს იცავდა
ქართლის გულს კახი პატარა.

• •

რა არ ნახა ქართლის გულმა,
რა წამება, განსაცდელი,

თავს აწვიმდა სისხლის წვიმა,
ეცვა ცეცხლის ტანსაცმელი,

კარს სიკვდილი ულეწავდა
საშინელი, ამაზრზენი:
მურვან-ყრუ და ბუღა-თურქი,
ხაზარი და ხვარაზმელი.
მაგრამ გლოვის შავი ღამე
ისევ თეთრად თენდებოდა

„და რაღაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა,“
ისევ ჰქქდა ტკბილი ჰანგი
ქართლის გულის მოსალხენად
და თბილისი შენდებოდა
მტრების თვალის მოსათხრელად.

ცეცხლი პირველი და ბოლონდელი

მაგრამ შავი ირანელი,
ვინც მახვილით ქვეყნებს სთხრიდა,
არ მოეშვა მზიურ თბილისს
დაარსების პირველ დღიდან.
პირველ დღიდან გადეკიდა,
გასტანჯა და გააძაღლა;

ეს ირანი ქართლის გვერდით
ვინ ურჯულომ დაასახლა!
პირველ დღესვე ციხე-თბილისს
ის ეძგერა როგორც მგელი...
მან, ირანმა, წაუკიდა
თბილისს ცეცხლი ბოლონდელიც.

ხოჯა აღა-მაჰმად-ხანი *

ედგა თბილისს მყუდროება,
გადიოდა დრო და ხანი...
შაჰინ-შაჰის ტახტზე დაჯდა
ხოჯა აღა-მაჰმად-ხანი.
თითისტოლა, საჭურისი,
კაცთმოძულე, სისხლისმსმელი,
მტერ-მოყვარის რისხვის ზარი,
უმოწყალო, კაცთა მკვლელი.
დაჯდა ტახტზე და, როდესაც
საქართველოს გმირულ ხალხის

ნება-სწრაფვით დიდ რუსეთთან
მტკიცე კავშირს სჭედდა კახი,
დიდ რუსეთთან ძმობის მოშლა
ისპაჰანში ბრძანა შაჰმა,
მაგრამ სიტყვა არ გასტეხა
საქართველოს გმირმა ხალხმა;
გადაწყვიტა საბოლოოდ
დიდ რუსეთთან დამოყვრება...
მაშინ შაჰმაც დასასჯელად
ბრძანა ქართლის აოხრება.

დაიძრა თბილისისაკენ

მთელი ირანი აჰყარა,
ყველას შეაბა მახვილი,
დადგა სპარსეთის ტრამალზე
ღრიანცელი და ძახილი.

გაჩნდა ზურნების ჭყვიტინი,
დაფ-ნაღარების ოთურმა,
მთელი სპარსეთი შეჰყარა
მისმა ყრანტალმა ლოთურმა:

---

* აღა-მაჰმად-ხანი — სპარსეთის შაჰი. ასტრაბადის მხარის მფლობელის ჰუსეინ ყაჯარის შვილი, საჭურისი. აღა-მაჰმად-ხანმა 1795 წ. 11 — 20 სექტემბერს თბილისი სასტიკად აოხრა.

ავტორის შენიშვნა

არც იარაღი დაზოგა,
არც ოქრო-ვერცხლი დაშურა,
მთელი ირანი ქართლის გულს
მოადგა ყიზილბაშურად.
მოადგა დაუბრკოლებლად
თბილისს მრისხანე სპარსეთი,
დიდი ხანია არ ეგრძნო
ქართლს განსაცდელი ასეთი.
მოხუცი მეფე ერეკლე,
ძველი არწივი ქართველი,
აზიის დიდი სარდალი,
ჯართა უებრო მმართველი;
ვინც გამოაწრთო ურიცხვმა
ომების მკაცრმა ალებმა,
ბრძოლის წინ მუხანათურად
დასტოვეს ფეოდალებმა.
ჩასცეს სამშობლოს ღალატი,
იწყეს გახიზვნა ჩქარ-ჩქარი;
მეფე მტერს შეხვდა კრწანისთან
ათჯერ ნაკლები ლაშქარით.

კრწანისის ომი

წამოვიდა უთვალავი
ცოფიანი ყიზილბაში,
აირია ღრიანცელი
სროლისა და ზურნის ხმაში.
ზედმოსულებს ქართველებმა
შეაგებეს ფიცხლად ხმალი,
შეეჯახნენ, უკუაგდეს,
შეიჭრნენ ალა-მაჰმად-ხანი.
ხან გახედა სიმაგრეებს,
ხან შემოვლა ირგვლივ სცადა,
წუთით შედგა და გარდამწყვეტ
ბრძოლისათვის განემზადა.
ბოლოს აღსდგა თავგანწირვით,
ბრაზიანი, სისხლიანი...
კრწანისის ველს სექტემბერის
დილა ედგა ნისლიანი.
მაღლობებზე არა ჩანდნენ
ჯერ სხივები ტკბილი მზისა,
ძირს კრწანისზე ირკვეოდა
ბედ-ილბალი თბილისისა.
ირეოდა ღრიანცელი
ზურნისა და სროლის ხმაში,
წამოვიდა უთვალავი
ცოფიანი ყიზილბაში.
ქართლის გულზე აღიმართა
ირანელი აფთრის თათი,
გაცვდა ხმალი ქართველისა,
მოდიოდა ერთზე ათი.
ჯართან ერთად ხმალი იპყრა
ხელში ბევრმა ქალაქელმა
და კრწანისზე თავი დასდო,
ვით სამასმა არაგველმა.
ის სამასი არაგველი
თბილისს მკერდით გადეფარა,
როცა ბევრი ფეოდალი
ბრძოლას მხდლურად გაეპარა.
მტერს ეკვეთნენ არაგველნი,
ხმალი როდი აშიმშილეს
და სამშობლოც არ ივიწყებს
თავდადებულ ხალხის შვილებს.
ხალხთან ერთად არ იბრძოდა
მოღალატე ბევრი, მხდალი,
თბილისიდან გაიხიზნა
ბევრი დიდი ფეოდალი.
გატყდა ციხე თბილისისა,
ნაომარი გატყდა ხმალი
და ქალაქში შემოვარდა
მზეცი ალა-მაჰმად-ხანი.
შემოვარდა, რომ მოესპო
ივერიის ძველი ფესვი,
მაგრამ კრწანისს მიელეწა
მისი ჯარიც უკეთესი.

უკანასკნელი აოხრება

დასწვა ქალაქის კედლები,
სტამბა, თოფხანა, ტაძარი,
თბილისის გზებზე დაჰყარა
მხოლოდ ფერფლი და ნაცარი.
გაჟლიტა, გაანადგურა
შინ დარჩენილი მცხოვარი,
ხმლითა და შუბით აკუწა
ბერი და ძუძუმწოვარი.

ათი დღე ლეწა ქალაქი
გამხეცებულმა სპარსელმა
და სისხლი თბილისელისა
რომ აღარ დარჩა სასმელად,
როცა სულ შეწყდა ქალაქში
კაცის ხმა ტკბილქართველური,
ისპაჰანისკენ სიჩქარით
გაბრუნდა შაჰი ველური.

გადაწყდა ბედი ქართლისა

მოხუცი, თვალებგამშრალი,
გულმკვდარი, სახეშეცვლილი,
თბილისს დაბრუნდა ირაკლი,
ანანურს გადახვეწილი.
ღალატისაგან დაჭრილი,
შემდეგ მტრისაგან ძლეული,

თბილისის ფერფლში დაბრუნდა
თვითონაც ფერფლად ქცეული.
ჩრდილოეთისკენ ნუგეშით
აღაპყრო თვალი სარდლისა
და გარდასწყვიტა საქვეყნოდ
ირაკლიმ ბედი ქართლისა.

ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა

ვერ ამოსთხარა თბილისი
მტრის შემოსევამ ათასმა;
შავ მოგონებად დაურჩა
აწოოკება, თავდასხმა.
ბრწყინავს ახალი თბილისი
ძველი ქალაქი ქართული,
აყვავებული, გაშლილი,
ამაყად წელგამართული.
მშვენიერდება, შენდება,
სართულს მიჰყვება სართული;
ბრწყინავს ახალი თბილისი —
სახელოვანი, განთქმული.
გამქრალან სამარადისოდ
მის თავზე შავი ღრუბლები;

ხარობს თბილისი სიმშვიდით,
სიმდიდრით, თავისუფლებით.
ამოწყდა მისი მტანჯველი
მტერი ვერაგი, ცბიერი;
ზეიმობს ჩვენი თბილისი —
ძლევამოსილი, ძლიერი.
ძმური კავშირით შეკრული
მოძმე ხალხების კერებთან,
ერთ დიდ ოჯახში შესული
დიდ საბჭოეთის ერებთან.
თბილისი — ტურფა მშვენება
საბჭოთა ქვეყნის მხარეთა,
თავისუფალი, ამაყი
დგას კომუნიზმის კარებთან.

მაყვალა მრევლიშვილი



მაყვალა ალექსანდრეს ასული მრევლიშვილი დაიბადა 1909 წელს, თბილისში. მისი ძაძა გაქრობილი მხატვარი იყო. დედამ პატარაობიდანვე შეაყვარა წიგნის კითხვა. მ. მრევლიშვილმა საშუალო სკოლა დაამთავრა 1926 წელს, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტი — 1930 წელს.

მ. მრევლიშვილი საბჭოთა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1926 წელს. მისი პირველი ლექსი ამავე წელს დაიბეჭდა ქართველ მწერალ ქალთა „ალმანახში“.

მ. მრევლიშვილი საბავშვო პოეზიაში მუშაობს 1935 წლიდან. იგი სისტემატურად ბეჭდავს ლექსებს ჩვენს საბავშვო ჟურნალებში.

მ. მრევლიშვილის საბავშვო ლექსებისა და გალექსილი პატარა პიესების კრებული „ჯეჯილი“ პირველად დაიბეჭდა 1949 წელს.

გამარჯვების დღესასწაული

შხაპუნა წვიმამ გადიღო,
მიდამოს პირი დაბანა,
ხარობს და ჰყვავის მაისი
ჩემი სამშობლოს მთა-ბარად;

გაჰხედე, როგორ განათდა,
ზეცაც ზეიმობს ამაღამ;
გამოღმით დასჭექს ქვემეხი,
გაღმით მთა გრგვინავს ამაყად.

მაღლა ღრუბლებში დაჰფრენენ
სხივები — ოქროს ისრებად.

ფერად-ფერადი შუშხუნა
შადრევანივით იშლება;

თითქოს ვარსკვლავებს ფანტავენ
გარს უჩინარი ხელები,
ჩვენს თავზე გზები დახატეს
სინათლის ცისარტყელებით.

სჭექს და ჰქუხს ზეცა ფერადი,
ნაპერწკლებს შემოირიგებს
გინდა ოცნებით თან გაჰყვე
ცაში გავლებულ ბილიკებს.

დილა მშვიდობისა

— ჩიტო, ჩიტო, ნაცარავ,
ვის უგალობ, ვისა?
— შენ გიგალობ, პატარავ, —
დილა მშვიდობისა!

— მზეო, მზეო ცხრათვალა,
ვის უცინი ვისა?
— გაიღვიძე, პატარავ,
დილა მშვიდობისა!

— პაწაწინა ყვავილო,
რად გაშალე კვირტი?
— შენთვის მინდა, პატარავ,
აბა დამაკვირდი!

— მეც ახლავე ავდგები,
მეც დავიბან პირსა,
ყველას მივესალმები:
დილა მშვიდობისა!

ორი გმირი

გიას ბიძა ჩამოსულა,
საყვარელი ძია ვანო,
ბრძოლის გმირი, მეთაური,
და ძმისწულის სათაყვანო.
მშობლებს ბაასს არც კი აცლის,
გიას ისე უხარია,
ბიძა მხოლოდ მისი არის,
მხოლოდ გიას სტუმარია.
ასი კითხვა არ აკმარა,
კიდევ ჰკითხავს ბრძოლის ამბებს,
ვაჟკაცია სასახელო,
ვინ დასძლევდა მტრის ჯარს,
ამდენს?

თან თვითონაც პირს არ ირცხვენს,
გადუშალა რვეულები,
ფრიადოსნის ქების სიგელს
უჩვენებს და ეუბნება:

აი, ნახე, როგორ ვსწავლობ,
აგისრულე დანაპირი,
შენ ბრძოლების გმირი თუ ხარ,
მეც აქ გყევარ სწავლის გმირი.

ხომ დარწმუნდი, არ ვყოფილვარ
ზარმაცი და აბეზარი;
მეც გთხოვ, ძია, ხვალ წამომყვე —
სკოლის ზეიმს დაესწარი.

უსათუოდ წამოვალო,
დაეთანხმა გიას ბიძა...
... ადრიანად ადგა ბიჭი
ბიძაც ადრე გააღვიძა.

სუსხიანი ამინდია
აუწითლდა გიას ცხვირი,
ორივ მტკიცედ მიაბიჯებს:
სწავლისა და ბრძოლის გმირი.

ყანაში

ოქროსფერი ყანები
ლამაზია ძალიან,

თურმე ამ ველ-მინდვრებზე
პურის მოსავალია;

ვეებერთელა მანქანა
შიგ ყანაში გუგუნებს,
მთელი ჯგუფი გაოცდა,
დიდ მანქანას უყურებს,
— აქ მანქანას რა უნდა? —
გაუკვირდა ნათელას, —
მოსავალში რომ დადის,
თავთავებს ხომ გათელავს!
— ეგ ხომ კომბაინია,
განა არ გაგიგია?
ნახე, ცელავს თავთავებს,
ყანას მაგით იმკიან.
სწრაფად მომკის მოსავალს,
და თვითონვე გალეწავს.
აქეთ ხორბალს ჩაგვიყრის,
ბზეს კი იქით მხარესა.
გესმით? პიონერები
მოსულან და მღერიან!
...მოახლოვდნენ თანდათან,
ზურაც მათში ერია.
— ზურა, ჩქარა აქ მოდი,
კომბაინი გაჩვენო!
გაეღიმა ზურიკოს:
— უკვე ვნახე, ბავშვებო.
ჩვენ ყოველდღე აქა ვართ,
კომბაინზეც ვიჯექი,
კრეფენ პურის თავთავებს
რაზმის გოგო-ბიჭები;
სადაც კომბაინებმა
მომკა ჩამოათავეს,
იქ ვაგროვებთ დარჩენილს
ცოტაოდენ თავთავებს.
— თავთავები რად გინდათ? —
გაუკვირდა მარიკოს.
— იმიტომ, რომ მინდვრებზე
დანაკარგი არ იყოს.
— დანაკარგი რა არის?
— თავთავი რომ დარჩება,
აქა-იქა დაცვენილს
დროზე უნდა აღება,
თუკი აღარ აკრეფავ,
მაშინ — დაიკარგება.

კალოზე

აიშალნენ ბავშვები
და თავთავებს ეძებენ,
ვიდრე პიონერები
ჩრდილში დაისვენებენ.
მზიამ უკვე იპოვა,
ერთი ცალი იპოვა,
პიონერებს გადასცა,
თვითონ არ დაიტოვა,
ტოლიამაც მიაგნო,
ოღონდ ბევრი ეძება, —
ერთი ცალი თავთავი
შერჩენოდა ძეძვებთან.
ჩააბარა ზურიკოს
ის ნაპოვნი თავთავი.
გოგიამაც ეძება,
უნდა ითქვას მართალი...
მაგრამ ვერსად შემოხვდა,
ეძებს დიდი ხანია...
ბოლოს ჩაჯდა და უცბად
დაიჭირა კალია!
...მოეწონათ ყანაში
ჩვენს საბავშვო ბალელებს,
ხვალაც წამოვიდეთო, —
შეეხვეწნენ აღმზრდელებს.

ჩაიარეს ბავშვებმა
დაფერდილი ბექობი,
და დიდ ფარდულს მიადგნენ,
პურის ძნებით შეღობილს.
ხორბლით იყო ავსილი
უთვალავი ტომრები,
პურის სარჩევ მანქანას
მიეხვივნენ ტოლები;
მანქანაში ქალები
ხორბალს ყრიდნენ ზემოდან
და მანქანით მარცვალი
სწრაფად სუფთავდებოდა.
ჟრიამული ხალხისა
ადიოდა ზეცამდე.
ზოგან პურის მოსავალს
კალოებზე ლეწავდნენ:
აგერ კალოც; იცანით? —
პაპა მიხაც აქ არის!
პურს ლეწავს და მოსავალს
სიყვარულით დაჰხარის.
თავწაკრული ღიღინებს,
ხარებს მიერეკება.
მოდი, ახლოს მივიდეთ,
კევრზე დაგვსხას ეგება!

კალო არის გაშლილი,
თავთავები ჰფენია,
კალოც, ძნებიც, ველებიც
სულ მთლად ოქროსფერია.
— აქაც მოგვინახულეს,
რა საბავშვო ბაღია;
აბა, კევრზე დამიჯდეს,
ვინც ყოჩაღი ბალღია! —
ჩაიცინა პაპამ და
გადმოსძახა კევრიდან,
ჩვენი ორი ბიჭუნა
უმალ გამოეკიდა.
მიეწივნენ, დასკუპდნენ,
პაპაც წამოეშველა,
და შემდგარი ხარები
კვლავ გარეკა ნელ-ნელა.

პაპას ერთ ფეხს — ტოლია,
მეორეს კი — გოგია
მაგრად ჩასჭიდებიან,
თითქოს ორი მორგვია!
ილეწება თავთავი,
რა სრიალა კევრია,
ტრიალებს და ტრიალებს,
გასალეწი ბევრია...

კისერში ჩხვლეტს გოგიას, —
პაწაწინა ბზის წვერი,
იფხანა და იფხანა,
მოიგლიჯა კისერი.
მაგრად უნდა მჯდარიყო, —
გააბსენდა გვიან და...
გაქცეული კევრიდან
გადაგვიკოტრიალდა!..

არაფერი სტკენია,
ბზე ხომ ძლიერ რბილია,
შიგ იფლობა გოგია,
მაინც კმაყოფილია!
კევრებს გამოეკიდა,
მოიკრიბა ძალა და,
ჰა-ტა-ტა-ტა!
მიასწრო,
ისევ მოიკალათა;
„კისერში ბზეო,
სახეში მზეო,
ვიკოტრიალეთ
გალეწილზეო,“ —
პაპა მიხა ღიღინებს,
ღიღინებენ ბავშვებიც,
კალოობას დაესწრო
ოცდაათი მაშველი!

გოგია და ტოლია

ჩვენი ორი ბიჭუნა
ერთმანეთის ტოლია,
ერთსა ჰქვია გოგია,
მეორეს კი — ტოლია.
გოგია და ტოლია
მეგობრები არიან,
ახლა დილაადრიან
სადღაც მიიჩქარიან;
თეთრი ნაბდის ქუდები
თავზე კოხტად მოირგეს,
ეს — გოგიას ბებიამ
მოუტანა ორივეს.
თან ტოლიას დედამაც
გაახარა ვაჟები, —
მოუქარგავს ხალათზე
საყელო და მაჯები.
ჰოდა, უკრაინული
ხალათები უხდებათ,
დაამშვენეს ბიჭები
კოკოროჭინა ქუდებმაც;
პალტოები აიღეს,
გადიკიდეს ხელთოფა,
მიაქვთ პეპლის საჭერიც,
შორს მიდიან ეტყობა;
პაპამ ტკბილად დალოცა:
— აბა, გზა მშვიდობისა!
აკრუტუნდა ფისუნა:
— როდის მოხვალთ, როდისა?!
აედევნა მურია
და მეგობრებს აცილებს.
— მურა, სახლში გაბრუნდი.
გზა შორი აქვთ ყმაწვილებს! —
გამოვიდნენ სახლიდან
კოხტად გამოწყობილნი
და საბავშვო ბაღისკენ
მირბის ორი ძმობილი.
აგერ, ბაღიც გამოჩნდა,
ბავშვებია გარეთა.
ავტობუსი ცისფერი
იცდის ბაღის კარებთან.
საჭეს უზის გურამი, —
გამოცდილი მძღოლია,
მიესალმნენ ბიჭები:
გოგია და ტოლია.
ნინო მასწავლებელი
უკვე აქა ბრძანდება,
უთხრა: — მოდით, ჩასხედით,
თორემ გვაგვიანდება.
ტოლია და გოგია
ავტობუსში ადიან,
სავარძელზე დამსხდარან
ცისანა და ნათია,
ნანა, ლალა, მარიკო,
სწორედ ოცდაათია;
მზეევინარი, არჩილი,
ესეც ორი ბორია,
ყველა ბავშვი თითოა,
ბორია კი ორია.
გადაკოცნეს მშობლებმა,
ჩასხეს ყველა მათგანი,
...მშობლებს დაემშვიდობნენ
და გასწიეს მანქანით.

• • •

აბა, დელია,
შარა გრძელია,
მაგრამ მგზავრობა
განა ძნელია,

— დუ, დუუ! — გაჰყვირის
ჩვენი საყვირი,
ჩვენს ცხენს არ უნდა
თივა-აღვირი.
ავტომანქანით
საით ვიჩქარით?
გამოიცანით,
აბა, გვითხარით!

აბა, დელია, ქალაქში ცხელა,
სააგარაკოდ მივდივართ ყველა.
— დუ-დუ! — იძახის
ავტომანქანა,
თან მიაქვს ჩვენი
ბარგი-ბარხანა.
მიგვიხარია, აბა, დელია,
ეს მთა-ველები საყვარელია.

მარწყვის კონა

უცბად ზურა სადღაც გაქრა,
ნანამ ვერა გაიგო რა,
დაიძახა: ჰეი, ზურა!
და ზურამაც გაიგონა.
მოაშურა ზურამ ნანას,
ცოტა მარწყვიც მოაქვს თანა.
მოუტანა მარწყვის კონა,
ვაახარა დაიკონა.
ნანამ ლალას დაუძახა,
ნანიკოს ხომ უყვარს ლალა;

მარწყვის კონა შესთავაზა,
დობილს განა დაუმალა,
ერთი ცალი მოაწყვიტა,
შენც ჭამეო — გაუწოდა,
და შეექცნენ გოგონები
თითო-თითოდ,
ცოტა-ცოტა...
ლალას ძლიერ მოეწონა,
ნანიკოსაც მოეწონა...
და გათავდა
მარწყვის კონა!

გიორგი შატბერაშვილი



გიორგი ივანეს ძე შატბერაშვილი დაიბადა 1910 წელს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა გასაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1932 წელს დაამთავრა.

გ. შატბერაშვილის ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1932 წელს. მისი პირველი პიესა „ჯუშმანი" რუსთაველის სახ. თეატრმა დადგა 1934 წელს. შემდგომ წლებში გ. შატბერაშვილმა მუშაობა დაიწყო პროზაში. იგი სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებსა და საბავშვო ჟურნალებში.

გ. შატბერაშვილის საბავშვო მოთხრობების პირველი წიგნი „კარგი ბიჭი" გამოვიდა 1949 წელს.

გ. შატბერაშვილის მოთხრობა „მტკვრის სათავისაკენ" პრემირებულ იქნა საუკეთესო საბავშო მხატვრულ ნაწარმოებთა კონკურსზე. აღნიშნული მოთხრობა, ცალკე წიგნად გამოვიდა 1950 წელს.

1956 წელს საბლიტგამმა გამოსცა გ. შატბერაშვილის საბავშვო მოთხრობების მოზრდილი კრებული „მერცხლის ბუდე".

ნიკო და სიკო

მზემ კარგად შეიმაღლა, ეზოში მდგარ ცაცხვის კენწეროებს ასცდა და კრამიტით დახურული სახლის აივანს მიადგა. დილის ნიავი ჩადგა. აივანზე თანდათან ჩამოცხა.

აივნის თავსა და ბოლოში გაშლილ ლოგინებზე ორი ბიჭი გაშხლართულიყო. ერთი გულაღმა იწვა, მეორე — პირქვე; ორივეს თვალი დახუჭული ჰქონდა, ორივე თავს იმძინარებდა. დროდადრო ერთმანეთს მალულად გახედავდნენ, თან ყური ფხიზლად ეჭირათ და ეზოში მოფუსფუსე ძია შიოს ხალისიან ამოძახილს უსმენდნენ.

— ადექით, ბიჭებო, გათენდა, ვერა ხედავთ მზე სად წამოვიდა?.. ადექი, ნიკო, რახანია დედაშენი მინდორში წავიდა!.. ადექი, სიკო!..

აივანზე შემოჭრილი მზის მხურვალე სხივები აცხუნებდა, თვალებში

უკვრიტინებდა, ოფლს ასხამდა ბიკებს. ლოგინი მაინც არ ეთმობოდათ, ყურს არ იბერტყავდნენ, თითქოს ეზოდან უფროსის ძახილი კი არა, სკებიდან გამომღერებული ფუტკრის უხრუნველი ბზუილი ესმოდათ.

ძია შიოს კი მოთმინება თანდათან ეკარგებოდა, ბრაზდებოდა, მისი ტკბილი ხმა თანდათან ბოხდებოდა, გაბზარული ზარივით ეღრიალებდა.

— ადექით, თქვე... ადექით, ჩქარა. ბარტყუნა შეკაზმეთ და ორიოდე გზა წყალი ჩამოიტანეთ, ბოსტანი გადაგვიხმა!.. ადექით, თორემ ბარტყუნას დღესვე გავყიდი და წყალს ზურგით გაზიდვინებთ!

ამ მუქარაზე ბიკები შეიშმუშნენ, ჯერ ერთმანეთს გადახედეს, მერე თვალი გააპარეს ეზოსკენ, სადაც ჩალისფერი სახედარი ახლადგადათიბულ ძურწა ბალახს მადიანად ახრამუნებდა.

ეს კოხტა სახედარი შარშან გაზაფხულზე ერთმა მესაცრემ გაატარა ამ სოფელზე. მესაცრემ ჯერ საცრები გაყიდა, მერე საჯაროდ გამოაცხადა სახედარსაც ვყიდიო... ნიკოს და სიკოს პირველი დანახვისთანავე თვალში მოუვიდათ ყურებბარტყუნა ღონიერი სახედარი და ახლა ამის გაგონებაზე ხომ ძია შიოს ეშმაკებივით შეუჩნდნენ, ოღონდ ეს სახედარი გვიყიდე და რასაც გვთხოვ, სიტყვის უთქმელად შეგისრულებთო. შიო დაფიქრებული იდგა და ყოყმანობდა...

ამ სოფელში სახედარი იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა, ამიტომ ცხადია, მისი ყიდვის სურვილი არავინ გამოიჩინა... პირიქით, სოფლის ცუღლუტმა ბიკებმა სიცილიც კი დააყარეს მესაცრეს.

როცა გაწბილებული მესაცრე თავის სახედრიანად გზას დაადგა, ძია შიო კოკლობით უკან დაედევნა და რამდენიმე წუთის შემდეგ ყველას გასაკვირად ნიკო და სიკო სახედარს მხიარული ყიჟინით შინისკენ მიაჩაქჩაქებდნენ.

იქ მყოფთაგან ასე უცებ ვერავინ მიხვდა, თუ რისთვის უნდა გამოეყენებინა ძია შიოს ეს ყურებბარტყუნა სახედარი, ამიტომ ასე დაასკვნეს: ხეიბარ შიოს ყავარჯენით სიარული მოსწყენია, ახლა ამ სახედარს კოხტა უნაგირს დაადგამს, შეჯდება და სოფელ-სოფელ ისე ივლიდო...

ჯერ ვერც ნიკო და სიკო მიმხვდარიყვნენ, ეგონათ, კეთილმა ძიამ ნატვრა შეგვისრულაო და ბარტყუნას ხან ალმა დააჭენებდნენ, ხან დალმა. ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ მარტო მათი გართობისათვის ანგარიშიანი შიო სახედარს თავის ეზოში არ შეიყვანდა; ვერ მიმხვდარიყვნენ და არც ის იცოდნენ, თუ მათ სიამოვნებას მალე ბოლო მოეღებოდა.

სახედრის ყიდვის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში ძია შიო გამუდმებით საჩეხში იჯდა და გულმოდგინედ რაღაცას ჩორკნიდა

ალესილი წალდით. საჩეხიდან ხან ხელეჩოს ხმა მოესმოდათ სახედართან მოთამაშე ბიჭებს, ხან შალაშინის... ძია შიო შეუსვენებლივ მუშაობდა, დაბალი ხმით რაღაცას დუდუნებდა, ულვაშებში იღიმებოდა.

— ითამაშეთ, ჭინკებო, მოასწარით... მალე კაი უღელს დაგადგამთ ოქვენცა და მაგ ჩოკინასაც!..

ბიჭების გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ერთ მშვენიერ დილით საჩეხიდან კოხტა ორთვალა ურემი გამოხრიგინდა. ურემზე უზარმაზარი კასრი იდგა, ჭალებზე წვრილი ჯაჭვით მიმაგრებული. კოფოზე ძია შიო იჯდა, იღიმებოდა და ბიჭებს დასძახოდა, აბა თუ მუხლში ძალა გაქვთ, მომყევითო!

გაოცებული ბიჭები ურემს უკან დაედევნენ. როცა კარგა ხნის სიარულის შემდეგ ძია შიომ სახედარი რუს სათავესთან შეაჩერა და კასრის ავსებას შეუდგა, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ...

სოფელი ურწყავ ფერდობზე იყო შეფენილი. სარწყავი წყალი შარაგზის დაღმა გაშლილ მინდვრებსაც არ ყოფნდა, ამიტომ ეზოები ზაფხულობით უდაბნოსავით იხრუკებოდა და სიცხის ალეურში იწვოდა.

ნიკო და სიკო პირველ ხანებში ახალ საქმეს ხალისით ეკიდებოდნენ. კოფოზე მორიგეობით ისხდნენ, მთელი დღის განმავლობაში ეზიდებოდნენ წყალს რუს სათავიდან.

სულ მალე ძია შიოს მოტვლეპილი კარ-მიდამო ამწვანდა და წალკოტს დაემსგავსა. მთელი ზაფხულის განმავლობაში გამოულევლად ჰქონდათ ქორფა კიტრი და მწვანილი, ტკბილი პამიდორი და ნედლი ლობიო, ჩაშაქრული ნესვი და საზამთრო.

მაგრამ მალე ეს გართობა შემაწუხებელ ვალდებულებად გადაექცათ; სახედრის მოვლა, ურმის გამართვა, წყლის ზიდვა და ბოსტნის რწყვა მოსწყინდათ. თანდათან მოიღუშნენ, ძია შიოს ბრძანებას გაურბოდნენ, საქმეს ერთმანეთზე აგდებდნენ, მერე მთელი დღით ჭალაზე საცეღლუტოდ იპარებოდნენ და ამის შემდეგ კვთილ ბიძიას თვალებში ვეღარ უყურებდნენ.

ახლაც ამ დილით ბიჭები სათეზაოდ წასვლას აპირებდნენ, როცა ძია შიოს ძახილი შემოესმათ.

ორივე გაჩუმებული იჯდა, ორივემ კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა ახლა ძია შიოსთან შეხმიანება და აივანზე გადადგომა. ამ პაპანაქება სიცხეში ცაცხვის ჩრდილის დათმობა და რუს სათავეზე წასვლა... მერე განა ერთხელ?..

— ადე, არ გესმის, შენ გეძახის: სიკოო...

— ძალიან კარგად მესმის... სიკო კი აოა, ნიკოო...

აივანზე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ბიჭები ერთმანეთს ჯიბრიანად გასცქეროდნენ.

— ადექით, თუ გინდათ, რომ მალე ბალზე აგიშვათ, ადექით!

ზევიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ბიჭები მოაჯირის ჭუჭრუტანებიდან ხან ძია შიოს გასცქეროდნენ, ხან ქვევით, ბაღში თვალისმომტაცად შეწითლებულ უზარმაზარ ბლის ხეს.

— ეს ბალი რაღა გახდა, რომ შემოძეძვა და ზედ არ გვიშვებს. ჯერ არ დამწიფებულაო!.. — წაიბუტბუტა ნიკომ და სიკოს გახედა.

— შენი ბრალია, შარშან მკვახეზე რომ ამიყვანე და კინაღამ ორივე თან გადავყევით! — ჩურჩულითვე უპასუხა სიკომ.

მოთმინებადაკარგულ შიოს, ცხადია, მათი ჩურჩული არ გაუგონია, ხელი ჩაიქნია, ბოღმიანად ახედა აივანს, საჩეხში მიბეჭულ ბარტყუნას საბმური შეხსნა და ურმისკენ წაიყვანა. სახედარი ფეხს ითრევდა, ახლად გათიბული ბალახი არ ეთმობოდა, ჯიუტობდა.

— აცე, აცე... გადმოადგი ფეხი, შე ტიალო, შენ რაღა ღმერთი გიწყრება!.. აი, ასე... ჩოოქშ!

მალე აივანზე გატრუნულმა ბიჭებმა ჭიშკრის ჭრიალი და შარაზე გასული ურმის ხრიგინი გაიგონეს.

ურმის ხმაური მისწყდა თუ არა, ბიჭები აიქოჩრნენ, ლოგინებიდან წამოხტნენ და ერთმანეთისაკენ გაიწიეს.

— სულ შენი ბრალია, რომ ძია შიო ეწვალება, — წამოიძახა დაჭიმული სიჩუმის შემდეგ ნიკომ და მუშტი ცხვირწინ შეუთამაშა სიკოს.

— ჩემი კი არა, შენი ბრალია! — შეჰყვირა სიკომ და ნიკოს მუშტი აინუნშიაც არ ჩააგდო, თითქოს ცხვირწინ ცაცხვის ფოთოლს უთამაშებენო, თან მშვიდად დაუმატა:

— აბა, კარგად გაიხსენე, ვინ შეკაზმა გუშინწინ ბარტყუნა, წყალს ვინ ეზიდებოდა?!

— იმის წინ ვიღა ეზიდებოდა?..

— იმის წინაც მე... რატომ მჩაგრავ?.. პატარა რომ ვარ, იმიტომ?..

— იჰ, პატარა! — ახითხითდა ნიკო და ტაში ტაშს შემოჰკრა, — პატარა კი არა, მოკლე ხარ, მოკლე!

— შენა? შენ ვიღას დასცინი, გადაბმულო!

ისევ შეიკუმშა ნიკოს თითები, ისევ ათამაშდა სიკოს ცხვირწინ მუშტი. სიკო ისევ გაუნძრევლად იდგა და ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს ამ მუშტის მოძრაობას.

მართლაც ძალიან სასაცილონი იყვნენ ამ წუთში ეს მამლაყინწებივით შეძიძგილავებული ბიჭები. სანამ საწოლებზე საბანწაფარებულნი იწვნენ, ცხადია მათ შორის გარეგნული განსხვავება არ ჩანდა, ახლა კი, როცა ფეხზე წამოდგნენ და ერთმანეთს შეეჯახნენ, ნამდვილად მხატვრის კალმით დასახატ სურათს დაემსგავსნენ.

ნიკო ორჩოფეხებზე შემდგარ აბელასავით მაღალი და აყანჩული. ძვალწვრილი, მაგრამ მოქნილი ბიჭი იყო. წერილსავით წაგრძელებულ გამხდარ კისერზე ვაქკაცის მუშტისოდენა ქერათმიანი კომშა თავი ება. წვრილ, ჭროღა თვალებს მუდამ მოუსვენრად აცეცებდა... თავის ბიძაშვილზე თითქოს ორჯერ მაღალი იყო და ალბათ ამიტომაც ეძახდნენ გადაბმულს.

რაც შეეხება სიკოს, ალბათ ნათქვამიდან უკვე მიხვდებოდით, დაბალი, ძვალმსხვილი, მორგვივით მკვრივი და ჩანასკვული ბიჭი იყო.

აივნის მოაჯირთან ქანდაკებებივით გაშეშებულებს, გულმოსულებს და ერთმანეთის ჯიბრით ანთებულებს დავიწყებოდათ ის გულითადი მეგობრობა, რითაც ისინი მთელს სოფელში განთქმული იყვნენ. დავიწყებოდათ, რომ მუდამ ერთად დადიოდნენ, კლასშიც ერთად ისხდნენ, სულ ბოლო მერხზე, გაკვეთილებს ერთად აზზადებდნენ და თითქმის ერთნაირად (საშუალოდ!) სწავლობდნენ.

ამ წუთში ვერავინ წარმოიდგენდა ამ ორი ბიჭის მეგობრობას... მართლაც არავინ იცოდა, გარდა ნათესაობისა, რამ დააკავშირა ეს ორი ერთმანეთისაგან ამრიგად განსხვავებული ბიჭი... იქნებ სწორედ გარეგნულმა განსხვავებამ? ისინი თითქოს ავსებდნენ და რაღაცას უმატებდნენ ერთმანეთის გარეგნობას.

ამ წუთშიც, ვინც კი აივანზე გაფხორილ ნიკოს და სიკოს დაინახავდა, სამუდამოდ დაიმახსოვრებდა მათს წაგრძელებულ კისრებს, გაწითლებულ სახეებს და ბრაზით ანთებულ თვალებს.

ორივე ახლა ურმის კოფოზე მჯდარ ძია შიოზე ფიქრობდა, ებრალებოდათ, მაგრამ, როგორც ჩანდა, საკუთარ თავს უფრო უფრთხილდებოდა.

სიკო უცებ თავის საწოლისკენ მიბრუნდა, ნიშნისგებით რაღაც ჩაიბუზღუნა, სწრაფად ჩაიცვა, კიბეზე დაეშვა და ეზოდან გავიდა.

„შეხე ამ ეშმაკს, — გაიფიქრა ნიკომ, — ძია შიოს გულის ძოგება უნდა, უნდა დამასწროს და... ახლავე წამოვეწევი...“

რამდენიმე წუთის შემდეგ ორივე ქუდმოგლეჯილი გარბოდა სოფლის შარაზე... ძია შიოსკენ...

*

პირველი გზა წყალი, ცხადია, ერთად მოიტანეს... ძია შიო კოფოზე იჯდა, ულვაშებში იღიმებოდა და ხმადაბალი ძახილით ამხნევებდა ალმართებში ქშენით მომავალ ბარტყუნას. ბიჭები უკანიდან აწვებოდნენ ურემს.

მეორე, მესამე და მეოთხე გზა ბიჭებმა მოიტანეს. ხმაამოუღებლად

უკეთებდნენ კასრის ონკანს რეზინის მილს, რწყავდნენ ბოსტანს და უბალისოდ ისევ რუს სათავეზე მიეშურებოდნენ.

ბიჭების ხმაურს გაიგებდა თუ არა, ძია შიო საფუტკრიდან გამოვიდოდა, ბიჭებს გადახედავდა და ღიმილით დასძახებდა:

— აი, ყოჩაღ... აი, ყოჩაღ... თ!

მეექვსე გზა ყველაზე მძიმე და დაუსრულებელი ეჩვენათ ბიჭებს... ჩამოცხა. ისე საშინლად ჩამოცხა, რომ სუნთქვა ჭირდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ. ბოსტანი კი ჯერ ისევ ნახევრად მოსარწყავი იყო. ძია შიო არც ეზოში ჩანდა, არც საფუტკრეში. ნიკომ სახედარი გამოუშვა.

— ბარტყუნაც დაიღალა და ჩვენც... დანარჩენი ხვალ... ახლა კი... ეჰ, რა კარგია ახლა ბალი!

ნიკომ მოწყენით გახედა ბლის ხეს.

— გინდა, ახლავე დაგაძლევინო, ვიცი შენც ჩემსავით გაგიშრა ყელი! — ეშმაკური ღიმილით ჩახედა ნიკომ სიკოს.

— მინდა... მინდა, მაგრამ ძია შიო რას იტყვის? — ჩურჩულით შეეკითხა სიკო და მიმოიხედა.

— ამოდენა წყალი მოვუზიდეთ, რა უნდა თქვას?.. ან არა და, რას გაიგებს, ალბათ კოლმეურნეობის კანტორაში წავიდა. დაიგვიანებს...

— მერე ხეზე როგორ უნდა ავიდეთ?..

— ეგ მე ვიცი... — ღიმილით ჩაიფრუტუნა ნიკომ და ბაღისკენ დაეშვა. სიკოც ფრთხილი ნაბიჯით დაედევნა. ყოყმანობდა, გული ხან წინ ეწეოდა, ხან უკან. თითქოს უკან ძია შიო მოსდევდა, აფრთხილებდა, სტუქსავდა, მიიხედ-მოიხედა. გასათიბი ძურწა ბალახი წელამდე სწვდებოდა, მიარღვევდა და მსხმოიარე ბლის წითლად დახუნძლულ ტოტებს გაჰყურებდა. კარგად რომ მიუახლოვდნენ, ნიკო უცებ ბალახში ჩაწვა, სიკოსაც ანიშნა, ჩაწექიო და ფრთხილი ხმით დაისისინა:

— ძია შიო ბლის ქვეშ ყოფილა...

ერთ ხანს გაუნძრეველად იწვნენ მზისგან ჩახურებულ ბალახში, თავზე ფუტკარი, პეპლები, ათასგვარი მწერები დასტრიალებდნენ, ყურში რაღაცას ჩაბზუოდნენ. ნიკომ თავი ფრთხილად ამოყო ბალახებიდან, კისერი წაიგრძელა, დიდხანს ბეჯითად და დაკვირვებით ათვალიერებდა უზარმაზარი ხის ქვეშ გაშლილ ჩრდილს. მერე ისევ ბალახებში ჩარგო თავი და სიკოს ახარა:

— აქ არის, მაგრამ სძინავს... ვერაფერსაც ვერ გაიგებს... აგერ ის ტოტი დავიწიოთ და ტოტიდან ხეზე ავცოცდეთ...

ძია შიოს მართლაც ეძინა.

ხის ქვეშ, გამოთიბულ ადგილზე გაეშალა ძველი ჭრელი ხალიჩა, ორივე ხელი თავქვეშ ამოედო და გულაღმა იწოლიარეს ღრმად ჩასძი-

ნებოდა. ალბათ სანამ ძილი თვალებს დაუხუჭავდა, მსხმოიარე ტოტებს შესცქეროდა და ყური გზისკენ ეჭირა, იქნებ ფიქრობდა კიდეც, აი საცაა ბიჭები დაბრუნდებიან და გავუმასპინძლდებიო.

არხეინად ეძინა ძია შიოს. ან კი რას უნდა შეეშფოთებინა. გული დაიმედებული ჰქონდა. იცოდა, ხეზე ვერავინ ავიდოდა. ქვემო ტოტები, რომლებიც წინათ მიწას სწვდებოდა, ადრე გაზაფხულზე შეაკვა... გამოცდილებით იცოდა, ბალი შეწითლდებოდა თუ არა, სოფლის ონავარი ბიჭები ჯერ დაბლა დაშვებულ ყუნწულებს მიესეოდნენ და მერე, მადა რომ გაეხსნებოდათ, ქვემო ტოტებს აპყვებოდნენ ხეზე ასასვლელად...

ახლა კი მწიფე ნაყოფით დახუნძლულ ტოტებს ძია შიოს ვარაუდით ცხენოსანი კაციც კი ვერ შესწვდებოდა.

ძირიდან ასვლაზე ხომ ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ყოველ გაზაფხულს, ნაყოფი შეითვალებოდა თუ არა, ბლის მსხვილ ტანს ძირიდან ტოტებამდე ისე შემოძეძვავდა ხოლმე, რომ ეკლის კონებში კატაც ვერ აძვრებოდა.

ჰოდა ამიტომ ბლის ქვეშ გაშლილ ხალიჩაზე გულარხეინად ეძინა ძია შიოს. რა იცოდა, თუ იქვე, გაუთიბავ ბალახში ნიკო და სიკო ყურებდაცქვეტილი ისხდნენ და უთვალთვალებდნენ ხან მას, ხან ბლის ხეს.

ბალახში განაბული ბიჭები ეჭვობდნენ, იქნებ ძია შიო თავს იმძინარებს, რომ მარჯვე დროს დაგვიტატანოსო, ამიტომ აყოვნებდნენ... მართლაც ისე მოხერხებულად იწვა, რომ მის თვალს არაფერი გამოეპარებოდა. თვალები თითქოს განგებ სანახევროდ ღია დარჩენოდა, პირზე ჩვეული ღიმილი დასთამაშებდა...

მაგრამ ვაი რომ ასე არ იყო!

ბიჭები დარწმუნდნენ, რომ ძია შიოს ღრმად ეძინა... ხვრინავდა.

ბალახებიდან ჯერ სიკოს ზეზეზე ჯამწვარი შუბლი გამოჩნდა, მერე მისმა დაჭყეტილმა თვალებმა ამოაშექა, თანდათან ზევით-ზევით წავიდა, ძურწა ბალახის კენწეროებს ასცილდა მისი შიშველი მკერდი, მოკლე შარვალი, მუხლისთავები, თითქოს ვიღაცის ძლავრი ხელი ზევით მიაფრენსო... სიკოს მტვერში ამოგანგლულ მუხლის თავებს შუა ახლა ნიკოს კოშა თავი, მისი გაღიმებული სახე გამოჩნდა, მერე მხრები. ზევით-ზევით მიმფრინავი სიკო ამ წოწოლა მხრებზე იყო შესკუპული. ნიკო თანდათან გასწორდა მუხლებში, წელში გაიმართა, წაგრძელდა, თავი გაჭირვებით ზევით შეაბრუნა და ქშენით იკითხა:

— მისწვდი?..

— ჰო, ჰო... — ჩამოესმა მუხლებში ღონეგამოლეულ ნიკოს და

მალე შვება იგრძნო, მისი ტვირთი თანდათან შემსუბუქდა, მის მხრებს მოსწყდა და ზევით-ზევით წავიდა.

ხის ქვეშ არხეინად ჰწოლიარე ძია შიოს ამ წამში რომ გაღვიძებოდა, ან სიზმარში ეგონებოდა თავი, ან გულს შემოეყრებოდა. დაინახავდა, თუ როგორ აფრინდა ჯუჯა სიკო ბლის ტოტზე, მერე როგორ დაეშვა იგივე ტოტი ბიჭის სიმძიმით დაბლა–დაბლა და როგორ აიტაცა კანჭა ნიკოც.

მაგრამ ალბათ უფრო საოცარ და სასიამოვნო რამეს ხედავდა სიზმარში ამ დროს ძია შიო, ტუჩებზე დაფენილ ხშირ ულვაშებში იღიმებოდა, გულიანად ქშინავდა, ეტყობოდა ხეზე აპარული ბიჭების სიახლოვეს სრულებითაც ვერ გრძნობდა.

ახლა ბლის კენწეროში მიყუჟული ბიჭებიც ნაკლებად ფიქრობდნენ იმაზე, თუ რა მოხდებოდა, ძია შიოს მოულოდნელად რომ გაღვიძებოდა.

რა მოხდებოდა?

რა მოხდებოდა და ერთს მაგრად შეუყვირებდა, გათათხავდა, დატუქსავდა ბიჭებს და... მორჩა, როგორც დაიქუხებდა, ისე გადაიქუხებდა, საკუთარ ბალზე არიან, სხვისას ხომ არ იპარავენ!

* *

ჩამოსვლა უფრო მეტად გაუჭირდათ ბიჭებს. დამძიმებულიყვნენ, დაბლა დაშვებულ მოლიპულ ტოტებზე ფეხი უცურდებოდათ. თან დამტვრეული მსხმოიარე ტოტები და კენწულები მოჰქონდათ. გადაწყვიტეს მყუდრო საბძლის სხვენზე ჩამოეკიდათ და გამოეზოგათ, სანამ ძია შიო თავის ბარიკადებს ახსნიდა და ამნისტიას გამოაცხადებდა.

ამ გადაწყვეტილებამ კინაღამ დაღუპა ონავრები: ერთი კენწულა სიკოს ხელიდან დაუსხლტა და სწორედ ძია შიოს ფეხთით დაეცა, კენწულას ვინ ჩივის, კინაღამ სიკოც თან ჩამოჰყვა, თავი ძლივს შეიმაგრა, ძია შიო შეკრთა, რაღაც წაიბუზღუნა და გვერდზე გადაბრუნდა.

ბიჭები უკვე სამშვიდობოს იყვნენ. სოფლის ბაღებს გასცდნენ. კვალის დასაფარავად თავიანთ უბანს სხვა მხრიდან შემოუარეს და ახლა კოლმეურნეობის სიმინდებში მიაბიჯებდნენ.

სიმინდი ახალი მორწყული იყო.

მეზობლის ბიჭი, მათი სკოლის ამხანაგი ვახტანგი ბარს დაყრდნობოდა და თვალს ადევნებდა, თუ როგორ მიიკვლევდა მცირე ნაკადული გზას, როგორ იკარგებოდა დახეთქილ მიწაში, როგორ ავსებდა ნაღარებს და ალბობდა გამოგვალულ ნაკვეთს. ბიჭებმა ვახტანგს ახლოს აუარეს.

— საით გიელიათ?.. — ღიმილით შეეკითხა ვახტანგი და მწიფე ბლის კუნწულებზე უნებურად თვალი შეუჩერდა.

— ქვევით... ბალზე დაგვპატიჟეს...

— ვინა?.. ძია შიომ დაგპატიჟათ?!: — შეეკითხა ვახტანგი და მაშინვე ღიმილით დაუმატა:

— რად მატყუებთ, განა ვერ დაგინახეთ?!

— აჰა, პირი გაისველე და... და ჩუმად იყავი! — საჩქაროდ უთხრა ნიკომ, დახუნძლული კუნწულა გაუწოდა და თვალი ჩაუკრა.

— უზმოზე წყენა იცის, სამხარს დავაყოლებ. — გამოცდილი კაცივით თქვა ვახტანგმა და ბლის ტოტი რუს პირას ჩრდილში მიდგმულ კალათს გადააფარა.

— ნაწისქვილარისკენ არ წამოხვალ? — შეეკითხა სიკო.

— აბა, მუშაობას თავს ხომ არ დავანებებ, შუადღის შემდეგ მერე წყალს დამიწყვეტს და ნაკვეთი მოერწყავი დამრჩება... საღამოხანს სჯობია...

— ხედავ, რა უმადურია, მადლობაც კი არ გვითხრა. უზმოზე წყენა იცისო, — წამოიძახა ნიკომ, როცა ვახტანგს კარგად დაშორდნენ.

ბიჭები ფრთხილად შეიპარნენ ეზოში, ბლის ტოტები და კუნწულები საბძლის სხვენზე დამალეს, მერე ცაცხვის ჩრდილში წამოწვნენ.

— ძია შიო რომ გამოჩნდება, თავი ისე უნდა მოკაჩვენოთ, თითქოს რუს სათავიდან ეს-ეს არის დავბრუნდით. — კარგ ხნის ფიქრის შემდეგ იდუმალი ხმით თქვა ნიკომ.

— რატომ?..

სიკომ დაცინვით გადახედა თავის გულუბრყვილო ბიძაშვილს და სიტყვის სათქმელად პირი დააღო... მაგრამ სწორედ ამ დროს ბაღის კარის ჭრიალი გაისმა. ნიკო მაშინვე წამოხტა, სიკოს მუჯლუგუნი წაჰკრა და წყლის კასრთან მიირბინა. ბიჭები ხახვის კვლების რწყვას შეუდგნენ.

ძია შიო მხრების ქანაობით მორბოდა. შორიდანვე, ამ ჩქარ სიარულზევე შეატყვეს ბიჭებმა, რომ გაბრაზებული იყო, ცალ ხელში იფნის წკეპლა ეჭირა, მეორეთი ბლის კუნწულას მოაქანავებდა და რაღაცას ბუზღუნებდა. ეზოს ჭიშკარს რომ მოადგა, მცირე ხანს შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა და ბიჭებს ჩუმად თვალთვალი დაუწყო.

ბიჭებიც თან ძია შიოს უთვალთვალებდნენ, თან თავაუღებლად ფუსფუსებდნენ ბოსტანში, ერთმანეთს საქმიანად გასძახოდნენ.

— ბარტყუნა ურემში შეაბი, ჩქარა! — ბრძანებით იძახდა ნიკო, — სანამ გრილა, ერთი ორი გზა წყალი კიდევ ჩამოვიტანოთ და მერე დავისვენოთ!

ბიძაშვილის გამჭრიახობით აღფრთოვანებული სიკო სახედრისაკენ ჩქარი ნაბიჯით გარბოდა.

— ახლავე, ნიკო, ახლავე...

— ახლავე კი არა, ფეხი სწრაფად გადადგი, რა წელი გწყდება! — ხმამაღლა ქაქანებდა ნიკო და გამოცლილ კასრს ჯაჭვით ურემზე ამაგრებდა, — დილასაც ასე აითრიე ფეხი და ძია შიო შეაწუხე...

ძია შიო ეჭვითა და გაოცებით ადევნებდა თვალს საქმით გართულ ბიჭებს, ნახევრად მორწყულ ბოსტანს აკვირდებოდა და ფეხაკრეფით მოდიოდა. ასეთი სურათის დანახვას, როგორც ჩანდა, იგი არ მოელოდა.

— არა, სახედარს ნულარ შეაბამთ, — ხმადაბლა, დაღლილი ხმით თქვა ძია შიომ, როცა ბიჭებს თავს წაადგა, — დანარჩენი ხვალ დილით მორწყეთ... ახლა კი სხვა საქმეს გამოგიჩენთ!

— რა საქმეს? — შეეკითხა ნიკო და უნებურად თვალი გააყოლა იფნის მოქნილ წკეპლას, რომელსაც ძია შიო რატომღაც აქეთ-იქით იქნევდა.

— ამ ბლის კუნწულას ხედავთ? — წამოიძახა ძია შიომ და ბლის კუნწულა მაღლა ასწია.

— ვხედავთ...

— ვხედავთ...

მორიგეობით ამოიკნავლეს ბიჭებმა და ერთმანეთს გაოცებით გადახედეს.

— პირველად ხედავთ?..

— პირ..რ..ველად...

— არა, მამაშვილობას გაფიცებთ, მითხარით, ბალზე თქვენ იყავით თუ არა... მაინც დღეს უნდა ამეხსნა ის ძეძვი, მართლა დამწიფებულა... მითხარით, თქვენი ოინია თუ არა?

სიკოს ხმა ჩაუვარდა და ბლის ტოტს თვალი მოარიდა, ნიკომ კი მხრები ისევ გაოცებით აიჩეჩა და ხელები უარის ნიშნად აქეთ-იქით გააასავსავა.

— აბა, ჩვენ... აი, ხომ ხედავ!..

— ჰო, ვხედავ, გეტყობათ...

ძია შიომ მცდელი თვალებით ჯერ ბოსტნის მორწყულ კვლებს გახედა, მერე თავჩაღუნულ ბიჭებს დააკვირდა.

— ჩვენს ბალზე ვიღაცა ასულა და ტოტები დაუმტვრევია... ბალში ავიდეთ და კვალს დავადგეთ.

— განა ნაკვალევი ემჩნევა? — ხმის კანკალით წამოიძახა ნიკომ და სიკოს გადახედა.

— ემჩნევა... ჩავიდეთ, იქნებ მივაგნოთ...

ბიძა და ძმისშვილები თავქვე, ბაღისკენ დაეშვნენ.

— საიდან უნდა ასულიყვნენ?.. საკვირველია... საიდან უნდა ასულიყვნენ?

ბურტყუნებდა ნიკო და უხალისოდ მისდევდა ძია შიოს. სიკო ყველაზე ბოლოს, წელმოწყვეტილივით მიაფრატუნებდა ფეხებს; ბრაზი ახრჩობდა, რომ ნიკოს დაუჯერა და თავი ხიფათში ჩაიგდო.

ძია შიო ქანაობით მიიკვლევდა გზას ბალახებში.

— აი, აქ მსხდარან... ხედავთ?.. მერე ალბათ ეს ტოტი დაიწიეს... ეშმაკმა დალახვროს, როგორ შესწვდნენ?.. ჩემი ვარაუდით... ჰა, თქვენ რაღას იტყვით, როგორ უნდა ასულიყვნენ?..

— ალბათ კიბე მიიდგეს. — ღიმილით დაასკვნა ნიკომ, მაგრამ ძია შიოს დაფიქრებულ თვალებს წააწყდა და უმალვე ხმა გაკმინდა.

— აი, ამ გაქელილ ბალახზე ეტყობა, აქეთ გაქცეულან... მივყვეთ...

გაქელილ ბალახიანში კარგა ხანს იარეს. ბალახიანი რომ მიილია, კვალიც გაქრა, ბიჭებმა მარცხნივ გაიწიეს, მაგრამ ძია შიო ფეხს არ იცვლიდა, კოლმეურნეობის სიმინდის ნაკვეთებს დაკვირვებით გასცქეროდა.

— ვიღაცა სიმინდს რწყავდა, იქნებ თვალიც მოჰკრა... მივიდეთ.

ძია შიო გამოცდილი მზვერავივით სწორედ იქით გაემართა, საითაც წეღან ჩვენმა ბიჭებმა გადაირბინეს.

— აი, ნაკვალევი... ხედავთ, ხედავთ, ბალახიანიდან აქეთ აუხვევია!..

— ეგ ვახტანგის ნაფეხურებია... სიმინდს ისა რწყავს, — წამოიძახა ნიკომ და გულის თრთოლვით მიმოიხედა. სიკოს თავი ჩაეღუნა და გაფითრებული ჩასჩერებოდა ნარწყავში აღბეჭდილ საკუთარ ნაფეხურებს.

— მე ვახტანგი არ ვიცი... ნაკვალევს მივყვეთ და ვნახოთ, სად მიგვიყვანს!

სიკო ღელავდა, ქშინავდა და სასოწარკვეთილი მიათრევდა ფეხებს. ნიკო უფრო თამამად მიაბიჯებდა და, რაკი მეტი გზა აღარ ჰქონდა, წინ უსწრებდა, თვითონვე უთითებდა ძია შიოს ახალ-ახალ ნაფეხურებზე.

„ვიცი, ეს კვალი სადაც მიგვიყვანს, მაგრამ საშიში არაფერია. მიგვიყვანს და მიგვიყვანოს... ვახტანგი გაფრთხილებული მყავს, არ გაგვცემს... აბა გაბედოს... მერე მე ვიცი და იმან... ზევით სიმინდი მოურწყავია, კვალი დაიკარგება და გადავრჩებით“.

უცებ ვახტანგისთვის მიცემული ბლის კუნწული გაახსენდა. თითქოს თავში რაღაც დაჰკრეს, ტანში ისე გააჟრჟოლა.

„ნეტავ შეკამა თუ არა?.. ან თუ შეკამა, ბლის ტოტი გადააგდო თუ არა?“

მალე იმ ნაკვეთს მიადგნენ, სადაც ვახტანგი რწყავდა.

ვახტანგი ტირიფის ჩრდილში ისვენებდა. ის-ის იყო ესაძხრა, ხელში კუნწულა ეჭირა და გემრიელად შეექცეოდა ახლად შემწიფებულ ბალს.

— ბიჭო, ამას ველოდი შენგან?! — დასჭყივლა გაჯავრებულმა ძია შიომ. ფეხის ხმაზე სასწრაფოდ წამომხტარ ვახტანგს.

— მე... მე... — ბურტყუნებდა ვახტანგი და გაოცებული შეჰყურებდა ხან ნიკოს, ხან სიკოს.

— არა, ძია შიო, ვახტანგი ჩვენს ბალზე არ ავიდოდა, ალბათ სხვამ...

— დიახ, სხვამ... ეს ტოტი სხვამ მომიტანა, რა ვიცოდი, თუ...

— ვინ სხვამ? აბა თქვი, ვინ სხვამ?..

ვახტანგიც გაჩუმდა, ნიკოც და სიკოც, სამივე გაფითრებული იდგა ძია შიოს წინ.

— ჰო, აბა თქვი... თქვი და თავს დაგანებებ...

— მაგას ვერ ვიტყვი... ისე კი მე ამ საქმეში ბრალი არა მაქვს. აი ამ ნაკვეთს არც მოვშორებივარ... ბარი ხელიდან არ გამიგდია...

— არც მაშინ იტყვი, როცა საღამოზე მამაშენთან გალაპარაკებ და შეგარცხვენ?.. თუ ქურდი არა ხარ, ნაქურდალს ხომ კარგად შეექცევი...

ვახტანგი ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, სახეზე ხან ალმური გადაუვლიდა, ხან სიყვითლე. თანდათან დამშვიდდა, ძია შიოს თამამად შეხედა თვალებში, გაუღიმა, მერე ბიჭებს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა და წყნარად თქვა:

— არც მე ვარ ქურდი და არც ეს ბალია ნაქურდალი!

— როგორ?.. როგორა თქვი?..

ძია შიომ ყურთან მიიტანა ხელი, თითქოს რაღაცას მიხვდა, ვახტანგს დააკვირდა, მერე მხრებაწურული ნიკო და სიკო შეათვალიერა.

— ეს ბალი ნაქურდალი არ არის-მეთქი! — გაიმეორა ვახტანგმა. ბარს ხელი დასტაცა და სიმინდებში შეერია.

— რაო? — გაიოცა ძია შიომ და ჭარხალივით აწითლებული ლოყები ისე გაებერა ბრაზითა და სირცხვილით, ისე დაიჭექა, თითქოს ყუმბარა აფეთქდაო.

ნიკო სირაქლემასავით გადაევლო მაღალ სიმინდებს, ჭალისკენ მოჰკურცხლა და მაშინვე თვალს მიეფარა.

სიკო დაიბნა, ერთ ადგილას გაშეშდა და გაქცევა მხოლოდ მაშინღა გაახსენდა, როცა შიშველ კანჭებზე სამჯერ ზედიზედ მწვავედ შეძოევლო იფნის მოქნილი წკეპლა.

• •

სოფლის განაპირას, ბარდითა და შამბნარით დაბურულ ნაწისქვილარში ხავსიან ლოდზე თავჩაქინდრული იჯდა ნიკო. ეს ნაწისქვილარი ჩვენი გმირების საყვარელ თავშესაფარს წარმოადგენდა. აქ საოცრად გრილოდა. ასწლოვანი კაკლის ხეები შეუჩერებლად შრიალებდნენ; სიჩუმე და მყუდროება, რაც აქ მუდმივად მეფობდა, იდუმალი ძალით იზიდავდა სოფლის ბიჭებს ამ ნანგრევებისკენ.

ახლაც ამ ნაწისქვილარს შემოაფარა თავი ძია შიოს რისხვისაგან დამფრთხალმა ნიკომ. მან კარგად იცოდა, რომ ძია შიოს მრისხანება მალე გაივლიდა. კეთილი ბიძა აგრე ადვილად არ გასწირავდა თავის ძმისშვილებს.

მაგრამ...

მაგრამ ნიკოს ახლა უფრო მეტად სხვა რამე აფიქრებდა.

ის უფრო იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ გადაეხადა სამაგიერო ვახტანგისათვის, რომელმაც ამ დღეში ჩააგდო ისიც და მისი ბიძაშვილიც. ვინ იცის ახლა რა დღეშია სიკო? ვინ იცის ძია შიოს ხელს ვერ დაუსხლტა და ვერც მოვიდეს...

მაგრამ აი, გამხმარი ფოთლის ფაჩუნი მოისმა და ნაწისქვილარის ნახევრად დანგრეულ კარში სიკომ შემოაბიჯა. სიკო შეწუხებული, ნამტირალევი და დაწითლებული თვალებით მიაჩერდა ლოდზე მჯდარ მეგობარს.

— მოგხვდა? — თანაგრძნობით შეეკითხა ნიკო.

სიკომ პასუხის ნაცვლად წკეპლის შემორტყმისაგან წვრილ-წვრილ ზოლებად აჭრელებული შიშველი კანჭები დაანახვა და მეგობრის პირდაპირ კვნესით ჩამოჯდა.

გაჯავრებული ნიკო ერთ ადგილს ვერ ისვენებდა, ენა ებმოდა, პირიდან დორბლებს ჰყრიდა.

— ერთი უყურე იმ ეშმაკს, როგორ დაგვაბეზღა! ჩვენი სახელი არც უხსენებია, ისე მიახვედრა ძია შიოს. ჩვენ ყელი გავასველებინეთ, დავპატიჟეთ, იმან კი...

— ჩვენი ბრალია... ძია შიო ბლის მოპარვას იმას აბრალებდა, — ავლავ ამოიკვნესა სიკომ.

— თავის დროზე ვერ ჩაცეცხლა?.. არ ვაპატიებ, მაცალოს!

— რას უზამ? — შეეკითხა სიკო.

— სულ თავბედს ვაწყევლინებ... შენ მომყე!

ნიკო მუქარით და ხელების ქნევით ნაწისქვილარიდან გავიდა. სიკო უხალისოდ აედევნა. გული უგრძნობდა, რომ რაღაც ახალ დავიდარაბაში ითრევდა ჯიუტი ბიძაშვილი.

ნიკო ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა რუს ნაპირზე გაკვალულ ბილიკს, თითქოს ცეკვავსო, ისე მიდიოდა და განზე გადგმული დიდი ფეხებით მისცელავდა ბილიკის პირებზე ატეხილ შამბსა და ბუერას.

— აი ამ ნაკადულით რწყავს ის ვაეგბატონი... სათავეზე ავიდეთ, იქ გაჩვენებ, რასაც ვუზამ!..

რუს სათავეს რომ მიაღწიეს, ნიკო შეჩერდა და ფრთხილად მიმოიხედა.

ახლომახლო არავინ ჩანდა: არც ჭალაში, არც გრძლად გაკლაკნილ ბილიკზე. მხოლოდ მთის ფერდობზე შეფენილი სათიბიდან მოისმოდა მთიბავის სიმღერა და ცელის წკრიალი.

— მივიდეთ, გადავახევოთ წყალი! — ჩასჩურჩულა ნიკომ სმენადქცეულ სიკოს... სიკო ერთ ხანს ხმას ვერ იღებდა, მერე ჩურჩულითვე უპასუხა:

— არა, მე ამას ვერ ვიზამ... მეტისმეტია...

— გეშინია? — მიაძახა ნიკომ, ხელი ჰკრა და ძალით დაუპირა წაყვანა, მაგრამ თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო ჯუჯა ბიძაშვილის ძვალსხვილი მკლავების ძალა, ადგილიდან ვერ დასძრა. ზიზღით შეუბღვირა და სათავისკენ წავიდა.

— კარგი... სეირს ხომ უყურებ?!

— აი ამ ქაცვის ბუჩქნარში დავიმალოთ და დაველოდოთ...

ნიკომ ფრთხილად მიმოიხედა, თავი დაღუნა და დაბურულ ქაცვიანში შეძვრა. გაოგნებული სიკოც უკან მიჰყვა.

— აბა ვინ მოიფიქრებს, თუ ჩვენ აქ ვსხედვართ? — ჩურჩულებდა იდუმალი ხმით ნიკო, თან ბუჩქნარში მოხერხებულ ადგილს დაეძებდა. ქაცვის ბასრმა ეკალმა რამდენიმე ადგილას უჩხვლიტა სიკოს, მის გაბრუებულ ყურთან კოღომაც გაიბზუილა, მაგრამ ეს უცნაური გამოგონება მალე თვითონაც შესანიშნავ გასართობად ჩათვალა და მეგობრის გვერდზე დაბურულ ჩირგვში მოიკალათა. აქ მზის მცხუნვარე სხივი ვეღარ აღწევდა, ნიავი არ ქროდა, ფოთოლიც კი არ იძროდა. იდუმალი სიჩუმე უფრო მეტად აძლიერებდა ცნობისმოყვარეობას და მღელვარე გულისცემას.

— გაისარჯოს და ამობრძანდეს ის მაბეზღარა, ისა. არ ამოვა და, ნაკვეთი მოურწყავი დარჩება!

— რომ ამოვა, რას უზამ?.. — გულის თრთოლვით შეეკითხა სიკო.

ნიკომ ხმადაბლა გაიცინა და ისე დაუსტვინა, თითქოს თავის გულუბრყვილო მეგობარს დასცინისო.

— არაფერს... ვიჯდეთ და სეირს ვუყურეთ... რომ ამოვა და გაუგდებს, ისევ დავუწყვიტოთ წყალი... ასე ვისხდეთ ამ ბუჩქნარში, ალმა-დალმა ვასეირნოთ და ვიცინოთ! ხომ კარგია, ჰა?.. მაშ რა ეგონა!..

დრო გადიოდა. ნიკო მალმალე გადასწევდა ტოტს, გაიხედავდა და ჩურჩულს და ხითხითს განაგრძობდა.

— აი ახლა ვახტანგის ნაკვეთში წყალი დაწყდა... ვახტანგმა გაკვირვებით მიიხედ-მოიხედა... აი ახლა მიხვდა, რომ წყალი დაუწყვიტეს... ბარი მხარზე გაიდო და სათავისკენ წამოვიდა... აი სოფელს გამოსცდა... აბა რას იფიქრებს, თუ წყალი ჩვენ დავუწყვიტეთ და დედაენაში დახატული კურდღელივით ახლა ჩირგვში ვსხედვართ?..

— ვაითუ ჩვენც ამ კურდღელივით თავს წამოგვადგეს ვინმე, და...

— მოიცა... აი ახლა ბილიკზე მოდის... მოიცა-მეთქი, აგერ გამოჩნდა კიდეც... ქუდმოგლეჯილი მორბის!

სიკომ დაბურული ტოტი გადასწია და რუს სათავისკენ სწრაფი ნაბიჯით მომავალი, მხარზე ბარგადადებული ვახტანგი დაინახა.

ბიჭებმა სული განაბეს და ერთმანეთს მიეკვრნენ.

სათავეზე მოსულმა ვახტანგმა ისე მიმოიხედა, თითქოს ვილაცას ეძებდა. ქაცვიანისკენ არც მიუხედავს, ბარი მოიმარჯვა და მუშაობას შეუდგა. წვალებით ამოჭქონდა ხევში გადაგორებული ქვები, თავის ადგილას აწყობდა, რუსპირას ყამირ მიწაზე ბელტს სჭრიდა, ლოდსა და ლოდს შუა ნაპრალებში ალაგებდა, წყალს ებრძოდა. მალე წყლის ჩხრიალი შეწყდა და ნაკადულმა ისევ ძველი გზით იწყო დენა. დაქანცულმა ბიჭმა ოფლი მოიწმინდა, ბარი მხარზე გაიდო და სოფლისკენ გასწია.

ბუჩქნარში მჯდარი ონავრები სულგანაბულნი და გაშტერებულნი ვასცქეროდნენ სოფლისაკენ მიმავალ ვახტანგს.

თავისი ოინით კმაყოფილი ნიკო მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როცა ვახტანგი თვალს მიეფარებოდა, მან ნიშნის მოგებით ფრუტუნებდა:

— მაშ რა ეგონა?.. ისეირნოს ასე... აგერ თვალს მიეფარა... ახლა ალბათ ორღობეში შედის... აი, ახლა თავის ნაკვეთს უახლოვდება... აი, პირველი ნაკადული გაუგდო კვალში!.. ახლა კი დროა დავუწყვიტოთ...

ნიკო სამალავიდან გამოძვრა, ფრთხილად მიუახლოვდა სათავეს.

სიკო ადგილიდან არ იძვროდა, მოუსვენრად იშმუშნებოდა, თავი ჩაეღუნა და დაბღვერილი გაჰყურებდა გახალისებულ მეგობარს.

— იჯექი მანდ, ნუ გამოხვალ, ახლავე გადავახეკებ წყალს... — ბუტბუტებდა ნიკო და მძიმე ლოდებს ხევისკენ აგორებდა.

კიდევ გაისმა წყლის ჩხრიალი, კიდევ ჩაითავქვევა ნაკადულმა ხევში. კიდევ დაიწრიტა წყალი სოფლისკენ მიმავალ რუში.

— რად მიბღვერი, შვილოსან, არ მოგწონს?.. ის კი მოგეწონა ძია

შიომ კანჭები რომ აგიკრელა. ნუ, ნუ გამოხვალ, ერთხელ კიდევ ამოვაჭენოთ ის ვაუბატონი, და...

ბურტყუნებდა ქაცვიანში თავის ადგილას მოკალათებული ნიკო და ისევ ღიმილით კეცავდა თითებს.

— აი ახლა წამოვიდა... აი, ახლა ორღობეში მოდის. აი... აგერ!.. ეს მეორედ!.. შენ დათვალე!

ახლა კი მართლა ჭენებით მორბოდა სათავისკენ მხარზე ბარგადებული ვახტანგი. ოფლის ხვითქი გადასდიოდა სახეზე, პრიალა დასველებული თმები შუბლზე ჩამოსწეწოდა, თვალები დასწითლებოდა.

დაქანცული ბიჭი მაშინვე ლოდებს და ბელტებს მივარდა. აჩქარებით მუშაობდა, თან ოფლს იწმენდდა, თან თვალებზე მომდგარ ცრემლებს.

— ოოჰ! — ამოიგმინა უნებურად სიკომ და ნიკოს გვერდგვერდად გაჯავრებით გადახედა.

— რა დაგვმართა? კრინტი, ხმა!.. — ჩაიფრუტუნა ნიკომ და ბუჩქნარში მიყუჟულ სიკოს ფეხი ფეხზე დააჭირა.

— ვერა ხედავ, როგორ ეწვალება? მეცოდება...

— სსუ..უ... მერუე მოდის...

ბიჭებმა სული განაბეს. რუს სათავეს მხარზე ბარგადებული ჭაღარა კაცი მოუახლოვდა. ვახტანგი ‘მას ვერ ხედავდა... ჭაღარა კაცი ღიმილით ადევნებდა თვალს, ხმას არ იღებდა, რომ მოულოდნელი დალაპარაკებით არ შეეკრთო მუშაობით გართული ბიჭი.

ვახტანგი ზევით ახედვასაც არ აპირებდა. ჭაღარას მოუთმენლობა დაეტყო. ნაბიჯი გადმოდგა და ბარის პირი ქვაზე დააწკრიალა. ვახტანგი შეკრთა. ბარის სატერფულზე შედგმული ფეხი გაუჩერდა.

— კოხტად კი მუშაობ, ბიჭო, მაგრამ ვადა რომ ვაგვიდა?.. ახლა ქვევით ნაკვეთებისკენ უნდა წავიყვანო წყალი... — წამოიძახა მერუემ.

— ძია სოლო, — ვედრებით მიმართა ვახტანგმა მოხუცს. — ერთი საათნახევარი უნდა მადროვო, ცოტაღა დამრჩა მოსარწყავი...

— ეგეც ვიცი და ისიც, დამნაშავე ვინც არის, — ღიმილით წამოიწყო ძია სოლომ და ვახტანგს მხარზე ალერსიანად დაჰკრა ხელი... ვახტანგი ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა და მოუთმენლად ელოდა, როდის დაასრულებდა დინჯი მერუე სათქმელს.

მერუე აქეთ-იქით იმზირებოდა, ერთი ორჯერ ქაცვის ბუჩქებს ისე დააშტერდა, თითქოს დამნაშავე იქ ეგულებაო.

— ვინ არის დამნაშავე, ძია სოლო?..

ბუჩქებში განაბულ ბიჭებს ტანში ჟრუანტელმა დაუარა, თვალები გაუფართოვდათ. ნიკო მოუსვენრად აფუსფუსდა. უკან-უკან, ხშირი

ბუჩქნარისკენ მიიწევდა, მაგრამ ეკლით გაბარდული ქაცვიანი ზურგში, კეფაზე, იდაყვებზე სჩხვლეტდა, არ უშვებდა.

სიკომ შეშინებულ ბიძაშვილს მაჯაში ხელი სტაცა.

— მოიცა, სად მიიპარები?..

საიდუმლო საქალაქში ისევ დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. მცირეხნის შემდეგ ძია სოლოს ხმა შეგოესმათ:

— ვინა და ისევ შენ... წყალს ვერ მოუარე, ალბათ სათავე კარგად ვერ გაამაგრე და გაგეპარა... აბა ამის მერე რაღა მუშა კაცი ხარ?!

— ძია სოლო, სათავე ისე ამოვქოლე, ისე დავეურე, რომ წვეთიც არ გაეიოდა, მაგრამ ვიღაცამ დაბიწყვიტა... ალბათ ქვევით ბოსტნებში მიჰყავდა ვიღაცას... ცოტაც მადროვე, რა, ძია სოლო!

გასაქცევად გამზადებულმა ნიკომ შვებით ამოისუნთქა, ისევ თავის ადგილას მოიკალათა. სიკო უძრავად იჯდა და სინანულით გასცქეროდა ბარზე დაყრდნობილ ვახტანგს.

— რა ვქნა, აგრეც რომ იყოს, წყალს ვეღარ მოგცემ... თავმჯდომარემ მიბრძანა, რწყვის ვადა ზუსტად დაიცავი, რომ წყალი ყველა ნაკვეთებს გასწვდესო... რაც დაგრჩა, იმას ხელითაც გამორწყავ, ყოჩაღ ბიჭი ჩანხარ...

მერუე სათავისკენ მიბრუნდა და ვახტანგის კარგა ხნის ნამუშევარი ბარის ერთი დაკვრით დაფუშა. წყალი ქუხილით გადაეშვა ხევზე.

— ნუ, ნუ ძია სოლო... სიმინდი ამომიხმება.. ნუ, ძია... — გულამოსკვნით იმეორებდა ვახტანგი და ხევ-ხევ მიმავალ მერუეს თვალცრემლიანი გაჰყურებდა.

...უცებ ნიკომ გვერდში მაგარი მუჯლუგუნი იგრძნო, ისეთი მაგარი და მტკივნეული, რომ კინაღამ შეჰკივლა. სწრაფად მიიხედა და სიკოს გაცეცხლებულ თვალებს წააწყდა. სიკოს ნუშტები დაემჯიღა, მრისხანედ ქშინავდა და სახე ისე მიეახლოებინა თავისი ბიძაშვილისათვის, თითქოს შუბლზე მიჯახებას უპირებსო.

— მაცალე, შენთვისაც მოვიცლი, — გაბრაზებით ჩაიდუდუნა ნიკომ და ისევ ვახტანგს გადახედა.

მწარე ფიქრებში გართულმა ვახტანგმა ხელი სინანულით ჩააქნია. ცრემლი მოიწმინდა, ბარი მხარზე გაიდო და მოწყვეტილი ნაბიჯით სოფლისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. მალე სოფლის ორღობეში შეუხვია და თვალს მიეფარა.

სამალავიდან ჯერ ნიკომ გამოაბოტა. გრძელი, დიდი ხნის მუხლმორთხმით ჯდომისაგან დაბუჟებული ფეხები ძლივს გამართა, ტანსაცმელი უგულოდ შეიბერტყა. დაბღვერილი და ნაწყენი ელოდა სიკოს გამოჩენას. მალე ბუჩქნარიდან სიკოც გამოფორთხდა. მას ნიკოსთვის არც კი

შეუხვევავს, ისე დააპირა სოფლისკენ წასვლა. მაგრამ ნიკო წინ გადაუდგა, მაჯაში სტაცა ხელი და თავისკენ ძალით მიაბრუნა.

— მოიცა...

— თავი დამანებე... თავი დამანებე, გზაზე ნუ მეხვირები... — ჯიუტად ბურტყუნებდა სიკო და ხელის განთავისუფლებას ცდილობდა.

— არა, ერთი მიბრძანე, ყმაწვილო, რა ამბავში იყავი, რამ აგაწრიალა, ის მუჯლუგუნი რაღა იყო?

დაცინვით შეეკითხა ნიკო. სიკო ხმას არ იღებდა, მთელი სხეულით ცახცახებდა, ყელის ძარღვები დასჭიმოდა, ძირს დაშვებული თვალები საოცრად უელავდა.

— ხომ არ გინდა აგაბურთაო?.. ხომ არ გინდა?..

დამამცირებელი, გამომწვევი კითხვა უპასუხოდ რჩებოდა, სიკოს ხმის ამოღება უჭირდა; თვალწინ დაქანცული, გაწვალებული, ცრემლმორეული ვახტანგი უდგა, გრძნობდა, სიტყვას დასძრავდა თუ არა, ცრემლი წასკდებოდა, მოწოლილი ბოღმა ნიაღვარივით გადმოხეთქავდა...

— ხმა ამოიღე, ჯუჯავ, გინდა თუ არა აგაბურთაო?.. — ერთხელ კიდევ ჩასძახა ნიკომ, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და გამომწვევად შეათვალიერა თავჩაღუნული ბიძაშვილი.

სიკოს ხმა არ ამოუღია, არც თავი აუწევია მაღლა... ისევე, დაბღვერილი და საბრძოლველად გამზადებული მოზვერივით თავწახრილი გაექანა ნიკოსკენ.

— ყოჩაღ, ქინქლავ...

ეტყობოდა, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ამის წამოძახებლა მოასწრო ნიკომ და უცებ ხმა ჩაუწყდა, მკერდს ქვემოთ რაღაც მაგარი ისეთი ძალით მიეჯახა, რომ უკან გადააყირავა...

გულაღმა დანარცხებული ნიკო სანამ წამოდგებოდა, იმაზე ფიქრობდა, თუ რა იყო ის მაგარი რაღაც: მუშტი თუ მისი ჯუჯა მოწინააღმდეგის სუფთად მოკოტრილი თავი... ვერ გადაეწყვიტა, მუშტითვე დახვედროდა სიკოს თუ გაშლილი მკლავებით.

მაგრამ სიკო არც ჭიდაობას აპირებდა, არც ჩხუბს, არც ნიკოს უეცარი დამარცხება ახარებდა, შებლშეკრული და თავჩაღუნული კვლავ მოწყენილი იდგა.

ახლა ხმას აღარც ნიკო იღებდა, ხელები წინ გაეშვირა, თავი უკან გადაეწია, ფრთხილად მიიწევდა სიკოსკენ და მხოლოდ იმაზეღა ფიქრობდა, თუ როგორ მოეგრიხა კისერი მისთვის.

მაგრამ სიკოს მოკლე კისერი მიწაში ჩარჩენილი მორივით მაგარი და დაუმორჩილებელი აღმოჩნდა... ამაოდ ეჯაჯგურებოდა ამ ოფლში დასველებულ მოლიპულ მორს გაცოფებული ნიკო, ხან მარცხნივ გა-

დასწევდა, ხან მარჯვნივ, ხელი უსხლტებოდა, ადგილიდან ვერ სძრავდა. ახლა მკერდზე მიაწვა, უნდოდა უკან გადაეჩეხა, მაგრამ უცებ სიკო ხელიდან გაუსხლტა და სწრაფად ფეხებთან ჩაუწვა.

მთელი სიმძიმით სიკოს გვერდს მინდობილი ნიკო ყირამალა გადატრიალდა. ფეხები ჰაერში გაასავსავა და ისევ გულაღმა დაეცა...

— გეყოფა...

წამოიძახა სიკომ, როცა ნიკო წამოხტა და სახეაწითლებული ხელმეორედ მისკენ გამოეშურა.

— იქნებ გგონია წამაქციე... ორივე ბეჭი არ დამიკრავს... აი, ნახე... — ბურტყუნებდა გაბრაზებული ნიკო და თვალს ვერ უსწორებდა ბიძაშვილს.

ისევ უსიტყვოდ ეკვეთნენ ერთმანეთს.

პაპანაქება სიცხეში ყველაფერი მინაბულიყო. ჩიტების ჭიკჭიკი, ბაყაყების ყიყინი მიმწყდარიყო. ფოთლის შრიალიც კი არ ისმოდა. მხოლოდ დაბლა გადახვევებული ნაკადულის ჩხრიალი და მოჭიდავე ბიძაშვილების დაღლილი ქშენა არღვევდა მყუდროებას.

— იქნებ გგონია, წამაქციე... იქნებ გგონია... — ჩურჩულით იმეორებდა ამ აკვიატებულ სიტყვებს ღონეგამოლეული ნიკო და ვამწარებით იბრძოდა, გრძნობდა, რომ ეს მესამე და უკანასკნელი შეჯახება იყო. ეს შეტაკება გადაწყვეტდა სოფლის ბიჭებში პირველობის ბედს.

გათამამებული სიკო თანდათან ბღუჯავდა და მაღლა ეწეოდა ნიკოს. ნიკოს გრძელი ფეხები თანდათან ასცილდა მიწას, მერე ჰაერში შექანდა, შეითამაშა და დატრიალდა.

უცებ ნიკომ ბეჭებში ეკლის მწვავე ჩხვლეტა იგრძნო, გაიწარებით შეჰკივლა, წამით თვალი დახუჭა და სწორედ იმ ქაცვის ბუჩქებში გადავარდა, საიდანაც ამ რამდენიმე წუთის წინ დამცინავი ღიმილით გასცქეროდა რუს სათავისკენ ქაქანით მიმავალ ვახტანგს...

* * *

მზე კარგად იყო გადახრილი. ჩრდილები გრძელდებოდნენ, ხეობიდან დაბერილი სიო არხევდა პაპანაქება სიცხისგან მიყუჩებულ კაკლის ხეებს, აცოცხლებდა თავჩაქინდრულ სიმინდებს.

სიკო და ვახტანგი დიდი კაკლის ხის ქვეშ გზის პირას ისხდნენ და გზაჯვარედინს გასცქეროდნენ. გზაჯვარედინთან გზა ორად იყოფოდა, ერთი სოფლისაკენ მოდიოდა, მეორე კი მიხდვრებისკენ უხვევდა, სწორედ იმ მინდვრებისაკენ, ადაც დილას ვახტანგი სიმინდს რწყავდა.

ბიჭები მოუთმენლად ელოდნენ. ხან ერთი წამოდგებოდა, ხელს

მოიჩრდილებდა და რუს სათავისკენ დაკვირვებით გაიხედავდა, ხან მეორე.

— ძია შიოს უთხარი? — შეეკითხა ვახტანგი დაფიქრებით მჯდარ სიკოს და ერთხელ კიდევ გაიხედა გზაჯვარედინისკენ.

— ვუთხარი... ყველაფერი იცის... გვაპატია... ჩემი გეგმაც მოიწონა... სახედარი თვითონ შეუკაზმა... ძალით შესვა ურმის კოფოზე... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა სიკო და თვალს ვერ უსწორებდა ვახტანგს. ვახტანგი გულისყურით უსმენდა.

— ძია შიო კეთილი კაცია... მაშინვე დამეთანხმა, მე შინ დარჩენა მიბრძანა... ნიკო კი, აი, ვნახოთ, რას იზამს... ბურტყუნებდა, მემუქრებოდა...

ლაპარაკი ურმის ხრიგინმა შეაწყვეტინა სიკოს. ბიჭები სმენად იქცნენ, გზაჯვარედინს მიაჩერდნენ. ჯერ ურემი არ ჩანდა, მაგრამ მისი ხმაური გარკვევით ისმოდა. ბიჭების გულებს ბაგაბუგი გაჰქონდა.

აღმართში ჯერ ნიკოს წოწოლა თავი გამოჩნდა, მერე ბარტყუნას ჩალისფერი ყურები. ნიკო წინ მოუძღოდა სახედარს, აღვირი ხელში ჩაებღუჯა და თავჩაღუნული მოაბოტებდა.

ვახტანგი და სიკო კაკლის უზარმაზარ ძირს მოეფარნენ, მიიყუჟნენ.

ურემი გზაჯვარედინზე შეჩერდა, ნიკომ სოფლის გზას გამოხედა. ეტყობოდა ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, გზა განეგრძო, თუ სიმინდის ყანებისკენ გადაეხვია.

— თუ არ გადაუხვია, არ ვიცი რას ვიზამ... — ფრთხილად უჩურჩულა სიკომ ვახტანგს. ვახტანგიც ღელავდა, გაფაციცებით გასცქეროდა გზაჯვარედინზე სანიშნო სვეტივით გაჩერებულ ნიკოს.

ნიკომ ახლა ქვევით გაიხედა, ხელი ჩაიქნია, ქურდულად მიმოიხედა, ერთი ნახტომით ურმის კოფოზე გაჩნდა და სახედარი სიმინდის ნაკვეთებისკენ მიაბრუნა. ურემი გრიალ-გრიალით დაეშვა თავქვე.

— არის! — აღტაცებით წამოიძახა სიკომ და ვახტანგს მეგობრული მუჯლუგუნი უთავაზა, — ჩემმა წამალმა გასჭრა, საღამომდე შენი ნაკვეთის მორწყვა დამთავრებული იქნება!

— მერე ჩვენ ასე გულხელდაკრეფილი ხომ არ უნდა ვისხდეთ... მივეშველოთ!

— არა... ჯერ არა... ძია შიომ ასე დამარიგა... რამდენიმე გზა წყალს რომ ჩამოიტანს, მერე მივეშველოთ! ხომ კარგია, ჰა?..

ვახტანგმა ქვევით მინდვრისკენ გაიხედა. ურემს თავქვე ჩაევლო, გაევაკებინა. სახედარი დინჯად მიიწევდა და სიმინდის ნაკვეთს უახლოვდებოდა.

ნიკო მხრებში მოხრილი და თავჩაღუნული იჯდა კოფოზე.

მტკვრის სათავისაკენ

ბანაკი მტკვრის პირას

რომ იცოდეთ, როგორ დაფრთხნენ კალმახები, როცა მტკვრის მყუდრო სანაპიროზე უჩვეულო ხმაური ატყდა; საიდანღაც წითელ-ყელსახვევიანი გოგო-ბიჭებით სავსე ავტომანქანა მოგრიალდა. ბავშვებმა კარვები გაშალეს, ცეცხლი დაანთეს და აქამდის დადუმებული ხეობა აახმიანეს. გაისმა დოლისა და საყვირის ხმა. ამ ხმას შორეული მთები ერთმანეთს გადასცემდნენ და გუგუნით იმეორებდნენ.

აქამდის თითო-ოროლა ბიჭი თუ გაირბენდა მტკვრის ნაპირას, მწყემსის სალამურის მხიარული ხმა თუ დაარღვევდა მყუდროებას. შარშანწინ აქვე მახლობლად ტრაქტორიც გამოჩნდა. რამდენიმე დღეს იგუგუნა, ნოყიერი მიწა გადააბრუნა. გლეხებმა მიწაში ვაზი და ხეხილი ჩაჰყარეს და სანაპიროზე ისევ მყუდროება დამყარდა.

ახლა კი, როგორც ჩანდა, ეს წითელყელსახვევიანები აქ დარჩენას დიდხანს აპირებდნენ, იქნებ მთელ ზაფხულსაც...

უშიშა კალმახმა უკმაყოფილოდ შეიფართხალა, მდინარის ნაპირას თვალისდახამხამებაზე გაშენებულ უცნაურ ქალაქს გახედა და პირქუშად თქვა:

— სიფრთხილეა საჭირო, დარანებისკენ უნდა გავეშუროთ, ვინ იცის, ბიჭუნებმა ბადეც მოიტანეს!

ახალგაზრდა, მეტიჩარა კალმახებმა, რომელთაც მზის ამოსვლა მხოლოდ რამდენიმეჯერ ენახათ, მტკვრის ნაპირისკენ გასწიეს. მათ თვალს სჭრიდა და თავისკენ იზიდავდა მდინარის პირას დანთებული ცეცხლი. ისინი ხომ პატარა და გამოუცდელი კალმახები იყვნენ.

— აქეთ, აქეთ! — უყვიროდა ჭიკყინა კალმახი თავის ტოლებს, მერცხალას და წინწკალას. — ხედავთ რა ლამაზად აშუქებს ცეცხლი, როგორ წკრიალებს ზარი!

— მეც ძალიან ვნანობ, ეს ხომ ჩვენი სამშობლოა, აქ დავიბადეთ და ვინ იცის, ამის შემდეგ რა დღეში ჩავცვივით! — სინანულით ამბობდა უშიშასთან მოსაუბრე მორბედა კალმახი და თვალს არ აშორებდა პატარა კალმახებს.

— ხედავ მაგ ცუღლუტებს, ახლავე თავი აიშვეს, აბა შენ იცი, განსაკუთრებით მერცხალას გაუფრთხილდი.

მართლაც, ამ ხეობაში ყველამ იცოდა, თუ როგორ ძლიერ უყვარდა უშიშა კალმახს პატარა მერცხალა. თავს ევლებოდა, წვრთნიდა და შეჰხაროდა.

გამოცდილი უშიშა თითქოს გრძნობდა, რომ მერცხალას რაღაც საფრთხე მოელოდა, მორბედას მიუბრუნდა და მკაცრად უბრძანა:

— წადი, ნუ აგვიანებ... თვალი არ მოაშორო!

მორბედა ადგილს მოსწყდა, მაგრამ რა იცოდა, რომ უკვე გვიანღა იყო.

ბადეში

ეს ამბავი მოხდა მესხეთში, ხერთვისის ციხის მახლობლად, სწორედ იქ, სადაც ორი მოზრდილი შენაკადი ერთმანეთს ერთვის. ამ ძველისძველ ციხესთან ორი მტკვარი, არტაანისა და ახალქალაქისა, ერთმანეთს უძმობილდება, ხელიხელს ხვევს და მესხეთიდან დედასაქართველოში ქუხილით მოისწრაფის.

ამ ადგილას უყვარდა მთვარიან ღამით უშიშა კალმახს თავისი ქარავნით გამოსვლა და მტკვრის მჩქეფარე, ანკარა ტალღებში ნავარდი.

მშვენიერია ამ დროს მტკვრის ხეობა. ბადრი მთვარე აკაშკაშებს ვერცხლის ქამარივით გაწოლილ მდინარის ტანს, სივრცეში ოქროსფერი ბინდი ლივლივებს. მთები ჩრდილებივით ატყორცნილან. მდუმარედ დგანან ძველი ციხე-კოშკები.

ჰოდა, სწორედ იმ საღამოს, როცა უშიშა კალმახმა თავისი შეშფოთება მორბედას გაუზიარა და დარანებისკენ წასვლა გადაწყვიტა, ცეცხლის ალით გაშუქებულ მტკვრის ტალღებს გაშლილი ბადე შხუილით დაეცა.

მდინარის გამქვირვალე ზედაპირი შეირხა.

კალმახები დაფრთხნენ, აირივნენ და ელვის სისწრაფით აქეთ-იქით გაიფანტნენ.

— ბებერი, ლაყუჩა კალმახი უზარმაზარ ლოდს მიაწყდა, უკან გამობრუნდა, ბალახებში გაიხლართა, გაინაბა და შეშინებული აფართხალდა.

— მიშველეთ, მიშველეთ! — გაჰკიოდა ლაყუჩა.

ამ ხნიერი, მაგრამ მხდალი კალმახის შეშინებული ძახილი თავზარსა სცემდა პატარა ლიფსიტა კალმახებს, რომელნიც უგზოუკვლოდ დაფუსფუსებდნენ. ქარავანი აირია, ყველა დაიბნა.

მხოლოდ უშიშა კალმახი შეხვდა განსაცდელს ვაჟკაცურად.

— აქეთ, ჩემკენ, დარანებს შევაფაროთ თავი! — იძახდა ომახიანი ხმით უშიშა და გაფანტული ქარავნის თავმოყრას ამაოდ ცდილობდა.

შეშინებულ კალმახებს ერთმანეთის მიახლოებაც კი თავზარსა სცემდათ, პატარა ჩრდილის მოძრაობა აფრთხობდათ, მდინარის ფსკერზე აგორებული ქვის ხმაური ახალ განსაცდელად ეჩვენებოდათ.

მაგრამ უშიშა აბა რის უშიშა იქნებოდა, თუ თავის ქარავანს ვერ დაიმორჩილებდა. ის ხომ ხნიერი, გამოცდილი კალმახი იყო. განა ერთი და ორი განსაცდელი ჰქონდა გადატანილი. ბევრჯერ ალმასის კბილებით დაუგლეჯია დახლართული ბადე. მებადურებს თვალსა და ხელს შუა გასხლტომია და სამშვიდობოს გასულა.

მთელს მტკვრის ხეობაში განთქმული იყო მისი ვაჟკაცობა. აკი ამიტომაც შეარქვეს თევზებმა უშიშა, აკი ამიტომაც აირჩიეს იგი ქარავნის მეთაურად.

ვინ იცის, რამდენი კალმახი გაუზრდია უშიშას? სად არ ყოფილა? ბევრჯერ მტკვრის სათავემდის ასულა, ბევრ მდინარეს იცნობს, ბევრ მდინარეში უნავარდია.

— აბა, დარანებს შევაფაროთ თავი, მომყევით! — დინჯად წარმოთქვა მან, როცა ყველანი მოაგროვა და დააშოშმინა.

მან ამაყად შეიფართქალა, მძლავრი მკერდით მტკვრის ტალღებს შეებრძოლა და ქარავანს წინ გაუძღვა.

ქარავანი დაიძრა.

— მიშველეთ, მიშველეთ! — კვლავ გაისმა განწირული ძახილი.

უშიშა შეჩერდა და დააყურადა. შეჩერდა შემკრთალი ქარავანიც.

— ლაყუჩას ხმაა! — წამოიძახა ვიღაცამ.

უშიშა უკან გამობრუნდა ,მიმოიხედა და ფრთხილი ცურვით იქით გასწია, საიდანაც ლაყუჩას ძახილი მოისმოდა.

ოჰ, რა სასაცილო სანახავი იყო ეს მხდალი კალმახი! განიერი ლაყუჩებით ფესვებში და ბალახებში გახლართულიყო, ბოლოს იქნევდა, მთელი ტანით ცახცახებდა და გაჰკიოდა:

— ნუ დამტოვებთ, მიშველეთ!

მაგრამ უშიშას სიცილისთვის არ ეცალა. მან კვლავ ფრთხილად დაათვალიერა გარემო. არავინ ჩანდა, არც მდინარის პირას, არც მდინარეში; სუფთა, დაწმენდილი მტკვარი დუდუნით მიაქანებდა მთვარის სხივით მოვერცხლილ, გამქვირვალე ტალღებს.

უშიშამ ზიზღით გაიღიმა, ლაყუჩას მიუახლოვდა, მხარი ღონივრად გაჰკრა და დაცინვით ჩასძახა:

— ასწიე თავი... გამოძვერ მაგ ბალახბულახიდან!

ლაყუჩამ თავი ოდნავ ასწია და დაიკვნესა:

— უშიშავ, მიშველე... ლაყუჩით ანკესზე ვარ წამოგებული!

უშიშამ მის ლაყუჩებს ჩაჰხედა და ხმამაღლა წამოიძახა:

— ეგ ანკესი კი არა, წვეტიანი ფესვია, შე მშიშარავ, შენა!

ლაყუჩამ დიდხანს იფართხალა, შემდეგ თავი გაითავისუფლა და შორს წასულ ქარავანს ზანტად აედევნა. იგი გულში სწყეულიდა თავის

განიერ ლაყუჩებს, რომელთაც არა ერთხელ უჭმევიათ სირცხვილი მისთვის.

მტკვრის ერთ ნაპირას უზარმაზარი ვერხვი იდგა. ვერხვს თავისი ბებერი ფესვები მდინარეში ჩამოეშვა. წყლის ხავსი და ათასგვარი ბალახი მოსდებოდა მსხვილ ფესვებს. სწორედ ეს ადგილი იყო კალმახების თავშესაფარი დარანი, რომელიც წეღან უშიშამ ახსენა.

უშიშა დარანში შესრიალდა. დარანში მთვარის სხივები ვერ აღწევდა, ბინდში ელავდნენ აგზნებული თვალები და კალმახების ტანზე დაყრილი სისხლისფერი ფორეჯები.

უშიშამ თავისი ადგილი დაიკავა და მკერდით სიპ ქვას დაეყრდნო.

— მორბედა სად არის? — იკითხა მან და დარანში ჩამწკრივებულ კალმახებს გადახედა.

პატარა ტანის კალმახი — მორბედა უმალვე უშიშას წინ გაჩნდა.

— ხომ არავინ გვაკლია? — იკითხა უშიშამ და მორბედას დააშტერდა.

მორბედას შეშფოთებული გამოხედვა ჰქონდა, თვალს ვერ უსწორებდა უშიშას. ეტყობოდა, რაღაც ულრღნიდა გულს, თქმა ვერ გაებედა, ყოყმანობდა.

კალმახები უცებ აირივნენ. წეღან თუ ყველა საკუთარი თავის გადარჩენას ცდილობდა, ახლა, აქ, ამ მიუვალ თავშესაფარში, გაიხსენეს, რომ შეიძლებოდა რომელიმე კალმახს უბედურება დასტეხოდა თავს. ყველა მეგობარსა და ნათესავს დაეძებდა, ყველა რაღაცას ყვიროდა.

— ციცნა, აქა ხარ?

— აქა ვარ, აქა!

— მე დაკარგული მეგონე!

— ოჰ, შენც გადარჩი?

— ხედავთ, თითქმის ყველანი აქა ვართ!

გაისმოდა კალმახების მხიარული ძახილი.

უშიშა და მორბედა კი კვლავ დუმილით შესცქეროდნენ ერთმანეთს. მათი დუმილი მალე ყველას გადაედო და დარანში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მდინარის მყუდრო სანაპიროც წყნარად ლივლივებდა, მხოლოდ წყლის პირას მსხდარი ბაყაყების ყიყინი არღვევდა სიჩუმეს.

— მითხარი, — უცებ მკაცრად შესძახა უშიშამ მორბედას, — მითხარი ვინ დაიღუპა!

კალმახები გაინაბნენ. უშიშას განრისხებისა ყველას ეშინოდა, ყველა უფრთხოდა მის წყენას. ქარავნის მეთაური თავისი სამართლიანი სიმკაცრით შიშსაც უნერგავდა კალმახებს და სიყვარულსაც.

მორბედამ თავი ასწია, ღრმად ამოისუნთქა და შეგუბებული ხმით თქვა:

— უნდა გამოვტყდე, უშიშავ, რომ დამნაშავე ვარ, ვერ შევასრულე ჩემი მოვალეობა, თვალყური კარგად ვერ დავიჭირე... სამი ახალგაზრდა კალმახი გვაკლია.

— მერცხალა სადა მყავს, ჩემი მერცხალა! — უცებ გაცოფებით წამოიძახა უშიშამ, თავის ადგილს შურდულივით მოწყდა და მორბედასთან მიიჭრა.

უშიშას თვალთაგან გამომკრთალი სხივები ელვასავით სერავდნენ დარანში დამდგარ ბინდბუნდს. მორბედა კრთოდა, თავდახრილი იდგა უშიშას წინ.

— ორი წუთით ,მხოლოდ ორი წუთით მოვარიდე მერცხალას თვალი და სწორედ იმ დროს მოხდა ის უბედურებაც... ალბათ ისიც ბადეში მოჰყვა. — წარმოთქვა დაბალი ხმით მორბედამ და უკან დაიწია.

— მერცხალა, ჩემი მერცხალა! — გმინვითა და ოხვრით ამოხდა უშიშას.

ამაოდ ცდილობდა თავის შეკავებას, იმის წარმოდგენა, რომ მერცხალა დაიღუპა, გულში ლახვარივით ესობოდა, თვალს უბნელებდა.

განა იმისთვის ზრდიდა იმ პატარა, ლამაზსა და ღონიერ კალმახს, რომ ასე უაზროდ დაღუპულიყო? დაღუპულიყო მხოლოდ იმის გამო, რომ მორბედამ თვალი მოარიდა, დროზე არ აცნობა საფრთხის სიახლოვე.

უშიშამ ოხვრა შესწყვიტა, ძალა მოიკრიბა.

— ამიერიდან ჩამოგერთვას მორბედობა, თვალით აღარ დამენახო, შორს ჩემგან!

დანაშაული იმდენად დიდი იყო, რომ მორბედა პატიებას ვერ ითხოვდა. მან თავი ჩაჰკიდა, უკან გაბრუნდა და დარანი კვნესით დასტოვა.

უშიშამ ისევ თავისი ადგილი დაიკავა, განაბულ კალმახებს გადახედა და წყნარი, მკაცრი ხმით დაიწყო:

— დავკარგეთ ის, ვისაც მომავალში ჩემი ადგილი უნდა დაეჭირა... დღეიდან ჩემს ღიმილს ვეღარ იხილავთ. წადით და ფრთხილად დაუწყეთ ძებნა, იქნებ სადმე წააწყდეთ!

კალმახებმა უხმაუროდ დასტოვეს დარანი.

„ო, როგორ მიყვარდა ის პაწაწა ვაჟკაცი, ის ხომ მთელი საკალმახოს თვალი იყო... მტკვრის თავზე გაფრენილ მერცხალს ვამსგავსე და მერცხალაც იმიტომ შევარქვი...“ — კვნესით ჩაიდუდუნა უშიშამ, ვერხვის რბილ, ხავსმოდებულ ფესვებში შერგო თავი და მწუხარე ფიქრებს მიეცა.

უშიშა არ აჭარბებდა. მართლაც მთელი საკალმახოს თვალი იყო პატარა მერცხალა. ვერც გამბედაობით, ვერც ღონით, ვერც სილამაზით ვერავინ შეედრებოდა მტკვრის ხეობაში.

ჯერ თავის ტოლებში გაითქვა სახელი, ყველამ შეიყვარა, ყველა პატივს სცემდა. მერე უფროსებში გაერია და მალე თავისი ღირსებით უშიშა კალმახის გულიც მოინადირა.

უშიშა იშვიათად შეიყვარებდა ვინმეს. მკაცრი და გულცივი ბუნებისა იყო, მაგრამ, თუ ვინმე თვალში მოუვიდოდა, სიკვდილამდე ერთგულებას უწევდა და მფარველობდა.

უშიშას მოზარდი კალმახების წვრთნა და ვარჯიში უყვარდა. გაიყვანდა დარანიდან მერცხალას ტოლებს, დაამწკრივებდა და ეტყოდა:

— აბა, ვინც უფრო სწრაფად გავა მტკვრის მეორე ნაპირზე და პირველი დაბრუნდება, ის იქნება ნამდვილი კალმახი!

კალმახები ელვის სისწრაფით მოსწყდებოდნენ მდინარის ერთ ნაპირს, მეორეს მიაწყდებოდნენ და უკან მოჰქროდნენ. პირველი ყოველთვის მერცხალა ბრუნდებოდა.

არავის შურდა ღირსეულის გამარჯვება. კალმახი შურიანი არ უნდა იყოს. შურიანი კალმახი ვერ გაიმარჯვებს, მის გულს ბოღმა და ჯავრი შესჭამს.

გახარებული უშიშა გულზე მიიკრავდა პატარა კალმახს, მიუალერსებდა და შეაქებდა:

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო პატარავ... ცაში მერცხალი მიყვარს და წყალში შენ. ნამდვილი, ნამდვილი მერცხალა ხარ!

უშიშა ახალგაზრდა კალმახებს მდინარიდან ამოხტომაშიც ავარჯიშებდა.

რომ იცოდეთ, როგორი სიმკვირცხლით ამოფრინდებოდა ხოლმე მდინარიდან მერცხალა!

ფრთებს გაშლიდა, პირდაღებული შეინავარდებდა ჰაერში, მზეს შესცინებდა და ისევ მღელვარე ტალღებში შეიფრთხიალებდა.

მართლაც, მთელი საკალმახოს თვალი იყო პატარა მერცხალა.

მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა — ზედმეტი ცნობისმოყვარეობა. ეს თვისება მას ხშირად სიფრთხილის გრძნობას უკარგავდა.

კალმახისთვის სიმხდალე სირცხვილია, სიფრთხილე კი აუცილებელი.

• • •

ამ საღამოსაც, როდესაც ქარავანი იმ ადგილებში დანავარდობდა, სადაც საბედისწერო ბადე გადმოისროლეს, მერცხალას ცნობისმოყვარეობამ სძლია. მტკვრის პირას მან შენიშნა რამდენიმე ბიჭი, რომლებიც მხიარულად იცინოდნენ, ხელში ქინძილები ექირათ და მისი შუქით ალაპლაპებული მდინარის ტალღებში იმზირებოდნენ.

არც მერცხალას, არც მის პატარა მეგობრებს, ჭიჭყინას და წინწკალას, ადამიანები არ ენახათ. იცით, როგორ მოუნდათ იმ ლამაზი ბიჭების ახლო დათვალიერება. ისე მოუნდათ, რომ შიშის გრძნობაც კი დაჰკარგეს. სამივეს გულმა ნაპირისკენ გაუწია.

ჭიჭყინა მოუსვენარი და ზედმეტად გამბედავი კალმახი იყო. მან აღტაცებით წამოიძახა:

— მერცხალავ, მოდი მივცურდეთ და ვნახოთ, რა ხდება იქ!

მერცხალამ დაუჯერა ჭიჭყინას.

მათ გაუბედავი, სუსტი წინწკალაც აიყოლიეს და, როდესაც შეთქმულებმა აბეზარი მორბედა სხვა მხარეს დაიგულეს, უმალვე სანაპიროს მიაშურეს. განა ბებერი მორბედა რამეში იყო დამნაშავე? თვალსა და ხელს შუა გაუსხლტნენ პატარები და მიეფარნენ.

მტკვრის ნაპირას აუარებელი თევზი ირეოდა. მურწა და ნაფოტა თევზები ცეცხლის ალით გაშუქებულ, გამჭვირვალე ტალღებში დასრიალებდნენ და ჭიაღუას დასდევდნენ.

„თუკი ამ უშნო, ზარმაც თევზებს არ ეშინიათ იმ ბიჭებისა, ჩვენ, ელვასავით მოსრიალე კალმახებს, რად უნდა გვეშინოდეს?? — ფიქრობდა მერცხალა და სიამოვნებით დასტრიალებდა თავს ცეცხლით გაშუქებულ ფერად კენჭებს, ხან ჭიაღუას დასდევდა, ხან საკუთარ ჩრდილს ეთამაშებოდა.

უცებ შხუილი გაისმა. შემდეგ თითქოს ღრუბელმა გადაიარა, ჯერ ჩრდილი დაეფინა ტალღებს, მერე რაღაცა მძიმედ დაეცა მდინარეზე, წყალი აიმღვრა, ყველაფერი აირია.

შეშინებული თევზები ერთმანეთს აწყდებოდნენ, გზას ვერ პოულობდნენ, რაღაც რბილ ქსოვილში იხლართებოდნენ და თავისდა უნებურად მდინარის ნაპირისკენ მიიწევდნენ. ვიღაცის ძლიერი ხელი ბადეს ნაპირისკენ მიათრევდა.

დაფეთებული მერცხალა ხან აქეთ მიაწყდა, ხან იქით. საითაც გაიწია, ყველგან ბადის წვრილად ნაქსოვი კედელი დახვდა. ნაქსოვში ცხვირის გაყოფა და გაძრომაც კი სცადა, მაგრამ ამაოდ. ისევ უკან გამოფართხალდა. ბადეში მოხვედრილ აუარებელ თევზებში ძლივს მო-

ნახა ჭიჭყინა და წინწკალა, მათ გვერდით მოქანცული დაეცა და გაინაბა.

— დავიღუპეთ, დავიღუპეთ! — ჩურჩულებდნენ თევზები და მათი უსიცოცხლო, უძრავი თვალები შიშით ავსებულიყო.

„ნეტავ რა მოგველის? — გულის თრთოლვით ფიქრობდა მერცხალა.

ბადე ნაპირზე გაათრიეს. ხმელეთზე უწყლოდ დარჩენილი თევზები სასოწარკვეთილებით აფართქალდნენ, ერთმანეთს კბენდნენ, ლაყუჩებს უმწეოდ ამოძრავებდნენ, ჰაერი ახრჩობდათ, ხან ქვიშაში ჰყოფდნენ ცხვირს, ხან მაღლა შეინავარდებდნენ. მაგრამ ისევ მიწაზე ეცემოდნენ.

მერცხალა ვერაფერს ხედავდა. თავზე თევზების მთელი გროვა დაჰყროდა.

შუშის ქილაში

— ბიჭოს, კალმახიც მოჰყოლია ბადეს!

წამოიძახა თვალებგაბრწყინებულმა ქერა ბიჭმა და მერცხალას დასწვდა. შეშინებულმა მერცხალამ მძლავრად გაიქნია ბოლო. ბიჭს ხელიდან გაუსხლტა და მდინარის ნაპირს პატარა გუბეში დგაფუნით ჩავარდა.

„მეშველა, ისევ წყალში მოვხვდი“, — გაიფიქრა მერცხალამ და გუბის ხან ერთ მხარეს მიაწყდა, ხან მეორეს.

ბიჭები გუბეს შემოეხვიენენ.

— ხედავთ, რა ლამაზია, ნამდვილი ცისარტყელაა. როგორ იბრძვის, როგორ უნდა თავისუფლება!

ბიჭი დაიხარა და მერცხალას დააშტერდა. მერცხალა ნაპირთან განაპულიყო, გუბის თავზე დახრილ ბიჭს ათვალიერებდა. მას მრგვალი, ჩასუქებული სახე ჰქონდა, გახსნილ ბაგეს დიდრონი, თეთრი კბილები უშუქებდნენ.

— გოგი, დაანებე თავი, იყოს გუბეში, მაინც ვერსად წავა!

მოესმა მერცხალას მეორე ბიჭის ხმა. მერცხალაც უკვე დარწმუნებული იყო, რომ ამ გუბეს თავს ვერ დააღწევდა. მდინარის სანატრელი ხმა არცთუ ისე ახლოს მოისმოდა, რომ გადარჩენის იმედი ჰქონოდა.

უცებ სხვა ბიჭების გახარებული ერიამული შემოესმა.

— აი, კიდევ კალმახები! — იძახდნენ ისინი და გუბეს უახლოვდებოდნენ.

მალე გუბეში ჭიჭყინა და წინწკალაც ჩასვეს. კალმახები ერთმანეთს მიეკვრნენ და გაინაბნენ.

მებადური ბიჭები მდინარის პირას ფუსფუსებდნენ, ბადიდან დიდ-

რონი თევზები ამოჰყავდათ, პაწაწინა თევზებს ისევ მდინარეში ჰყრიდნენ და მისძახოდნენ:

— გაიზარდეთ, იმრავლეთ, პატარებო, ისევ ჩვენს ბადეს მოხვდით!

გუბეში სულშეხუთული კალმახები შურით ადევნებდნენ თვალს ლიფსიტა თევზების განთავისუფლებას.

— ნეტავ კალმახად რად გავჩნდით! — წამოიძახა ჭიჭყინამ. — ჩვენი სილამაზე გვღუპავს.

მერცხალა ბრაზით აივსო, ჭიჭყინას ალმასის კბილები დაანახვა და მუქარით უთხრა:

— ასეთი რამ აღარ გაბედო, აბა გაიხსენე უშიშას ნათქვამი: კალმახად დაბადებული კალმახად უნდა მოკვდესო!

ჭიჭყინა გაჩუმდა. უშიშას გახსენებამ ტანში ჟრუანტელი მოჰგვარა. ეს რა წამოსცდა, განა შეიძლება გაჭირვების ჟამს კალმახი ბედს უჩიოდეს, კალმახობას უარყოფდეს?!

ბიჭები ისევ კალმახების გუბეს შემოეხვივნენ.

— ახლა კი თქვენი ჯერია, ჩემო ლამაზებო! — ამბობდა ცისფერთვალება ბიჭი, რომელსაც წეღან გოგი უწოდეს. ის კალმახს დასდევდა დასაჭერად.

— მე თქვენ აუზში ჩაგსვამთ, მოგივლით!

— აბა, რას ამბობ, გოგი, კალმახი აუზში როგორ გასძლებს, სული ამოხდება! — შეედავა ცისფერთვალებას შავგვრემანი, თმახუჭუჭა ბიჭი.

„ნეტავ რა არის აუზი?“ — ფიქრობდა მერცხალა და გუბეში ფართქალებდა, ხან აქეთ გასხლტებოდა, ხან იქით.

— წყალს ხშირად გამოვუცვლი!

არ ცხრებოდა ცისფერთვალება. მას უკვე დაეჭირა მოქანცული მერცხალა და წყლით სავსე გამჭვირვალე შუშის ქილაში ჩაესვა.

— მე კი იცით, რას ვიზამ?.. — წამოიძახა თმახუჭუჭა ბიჭმა, ჭიჭყინა და წინწკალა სწრაფად დაიჭირა და მდინარის ნაპირას მივიდა. ბიჭები ცნობისმოყვარეობით გასცქეროდნენ ამხანაგს. თმახუჭუჭა ბიჭს მშვენიერი წაბლისფერი თვალები ჰქონდა. ეს მოღიმარი თვალები სიყვარულით ჩასცქეროდნენ წინწკალას და ჭიჭყინას შეშინებულ თვალებს.

— „ბიჭო, გაგვიშვი, გაგვიშვი, თავისუფლება გვსურს...“ — ტუჩების ცმაცუნით ამბობდნენ ისინი და თითქოს გრძნობდნენ, რომ ბიჭი სიბრალულით ივსებოდა. უცებ ხუჭუჭთმიანმა ხელი მძლავრად მოიქნია და კალმახები მდინარისკენ გასტყორცნა.

თავბრუდასხმული კალმახები მტკვრის გრილმა, მჩქეფარე ტალღებმა სწრაფად მოიყვანა გონს. ისინი უნებურად მიბრუნდნენ ნაპირის-

კენ, თითქოს უნდოდათ, თავისი მხსნელი ბიჭისათვის ერთხელ კიდევ შეეხედათ და მადლობა ეთქვათ. ბიჭი იღიმებოდა და ამხანაგებს კმაყოფილი გასცქეროდა.

— რად გაუშვი? — შეეკითხა გოგი თმახუჭუჭა ბიჭს.

— ქართული კალმახი ძალიან იშვიათი და ლამაზი თევზია. ბადეს-მოხვედრილი წვრილი კალმახი ისევ მდინარეს უნდა დავუბრუნოთ, რომ მის გამრავლებას ხელი არ შევუშალოთ. ეს მამაჩემისგან გამიგონია.

ამ სიტყვებს ისე გულწრფელად, ისე დაჯერებით ამბობდა თმახუჭუჭა ბიჭი, რომ მტკვრის ნაპირთან მოცურებულ ჭიჭყინას და წინწკალას იმედი მოეცათ, იქნებ მერცხალასაც ეშველოს რამეო. მაგრამ მერცხალას დაჭერით გახარებულმა გოგიმ არ დაიჯერა ამხანაგის ნათქვამი.

— მე ჩემს კალმახს მაინც აუზში მოვათავსებ, მთელ ბანაკს ვაჩვენებ!

თმახუჭუჭა ბიჭმა წყენით შეხედა ამხანაგს. მერე მდინარისკენ მოიხედა. ორი პატარა კალმახი მტკვრის ნაპირას განაბულიყო, მათ უნდოდათ ხმა მიეწვდინათ ნაპირზე მყოფთათვის, უნდოდათ თავის მხსნელს მერცხალას განთავისუფლებასაც შეევედრებოდნენ, მაგრამ რას იზამდნენ... პირი წყლით ჰქონდათ სავსე.

თმახუჭუჭა ბიჭმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მტკვრის ნაპირისკენ და ხმამაღლა დაიძახა:

— იზარდეთ, იმრავლეთ, ჩემო კალმახებო!

ბიჭებმა მძიმე ტვირთი წამოიკიდეს და ბანაკისკენ გაეშურნენ.

* * *

„საცოდავი, უბედური მერცხალა, ნუთუ სამუდამოდ დავცილდით ერთმანეთს, ნუთუ დაიღუპა?“ — ფიქრობდა წინწკალა და ჭიჭყინასთან ერთად მტკვრის ტალღებს სწრაფად მიაღლვევდა. იგი დარანებისკენ მიისწრაფოდა, ფიქრობდა უშიშასთან შეხვედრაზე და გული თან სიხარულით, თან იდუმალი შიშით უთრთოდა.

ნეტავ რას იტყვის უშიშა, ნეტავ როგორ შეხვდება მათ, აპატიებს თუ არა დანაშაულს?

რამდენჯერ სიამოვნებით უსრიალიათ ასეთ ღამეში ჩვენს პატარებს მერცხალასთან ერთად, ახლა კი ისინი სულგანაბულნი მიცურავდნენ, მათ თვალს აღარ იზიდავდა ელვარე, სავსე მთვარე, რომელიც მდინარის ზედაპირს აბრჭყვიალებდა, ჭალები გაეშუქებინა და ამაყად გადმოჰყურებდა ქვეყანას.

ასეთ ღამეში უყვარდა უშიშას კალმახების სანადიროდ გამოყვანა. ასეთ ღამეში უფრო ლამაზი და მიმზიდველია მთვარის მომჯადოებელი შუქით გაბრწყინებული ხეობა.

აგერ ნაცნობი ვერხვიც გამოჩნდა. ჭიჭყინას და წინწკალას კვლავ აუცახცახდათ გული. თვალწინ უშიშას მრისხანე სახე დაუდგათ, ფრთები მოუდუნდათ, სვლა შეანელეს.

მოულოდნელად მთვარის შუქით განათებულ მდინარის სივრცეში კალმახის ლანდს მოჰკრეს თვალი. ფრთხილად გადაუხვიეს, ლოდს მიეფარნენ და დააყურადეს.

უცნობი კალმახის ლანდი საოცარი სისწრაფით, გმინვითა და ქშენით გაქანდა და წყალში ჩაშვებულ ლოდს თავით დაეჯახა. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ კალმახი უკან გადმოვარდა. ანკარა წყალი სისხლით შეიღება. გაისმა გულსაკლავი კვნესა. კალმახებს შეაჟრჟოლათ, ეს ხომ მორბედას ხმა იყო.

წინწკალა ადგილს მოსწყდა და მორბედასკენ გაეშურა. საკუთარი სისხლით შეღებილ წყალში აფართხალებულ კალმახს ხმაური რომ შემოესმა, არც მოუხედია, ისე შეათამაშა ფრთები, სწრაფად შეინავარდა და თვალს მიეფარა.

ჩვენი კალმახები მორბედას ჩამუქებულ ლანდს დაედევნენ.

მორბედა

უშიშასაგან განკიცხული მორბედა დარანიდან ისე გამოვდა, რომ არავისთვის შეუხედავს, არავის გამოსთხოვებია. მთელი ტანი მოშვებული ჰქონდა, ღონეწართმეულ ფრთებს მძიმედ ამოძრავებდა, ტალღების ქანაობას აყოლილი მიცურავდა, თვითონაც არ იცოდა, საით უნდა წასულიყო, რომელი მხარისკენ აეღო გეზი. მერე ისიც ახლა, როცა კალმახთა მოგზაურობის დრო დგებოდა, როცა კალმახი კალმახს დაეძებდა, უმეგობრდებოდა, როცა ირგვლივ აუარებელი ონავარი მტერი ირეოდა.

რაღა სწორედ ახლა დაემართა ეს უბედურება. ვის შეეკედლოს, ვინ დაიძმობილოს, სადღა შეხვდება ასეთ მძლავრ ქარავანს?

მდინარეში სამარისებური სიწყნარე სუფევდა. ხანდახან შორეული ჭაობიანი ნაპირებიდან მოისმოდა ბაყაყების მოსაწყენი ყიყინი.

მთვარე აშუქებდა ქვეყანას. მომხიბლავი, თვალისმომჭრელი სხივები ეშვებოდნენ მდინარეში, ხან ოქროსფრად, ხან ვერცხლისფრად აბრჭყვიალებდნენ აკამკამებულ ტალღებს. თავისკენ იწვევდნენ მორბედას. მაგრამ განდევნილ კალმახს ბუნების სიმშვენიერე აღარ იტაცებდა. უთრთოდა გული, უთრთოდა მთელი ტანი. პატარა ხომ აღარ იყო, რომ

ცხოვრება თავიდან დაეწყო. ათი გაზაფხული ენახა, სიბერეში შედიოდა. კალმახი იშვიათად სძლებს ამდენ ხანს, უფრო ხშირად იგი თავისი ცხოვრების პირველ ორ-სამ წელსვე იღუპება.

მორბედა ფრთხილი კალმახი იყო, იგი უშიშას თვალწინ დავაუკაცდა. უშიშა ხუთი-ექვსი გაზაფხულით ადრე იყო დაბადებული და მორბედას სრულიად პაწაწინას შეხვდა. მოეწონა ეს მარჯვე, მკვირცხლი ახალგაზრდა კალმახი და თავის უზარმაზარ ქარავანში ჩარიცხა. სასწრაფო საქმის ასრულება ყოველთვის მორბედას ხვდებოდა წილად, დაუზარებელი კალმახი მთელი ქარავნის თვალი იყო.

მაგრამ შარშან ორაგულთან ბრძოლაში მორბედას მარცხენა თვალი დაუზიანდა. ამ თვალით საგნებს ძლივსღა არჩევდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაიქანცებოდა. მორბედა ამტანი და უთქმელი კალმახი იყო, იგი არავის უმხელდა თავის უბედურებას, მისი სატკივარი არავინ იცოდა.

დღესაც მთელი დღის ნავარდით მოქანცულს ძველი ჭრილობა აწუხებდა. რამდენჯერმე დააპირა დარანში შესვლა და ვერხვის ხავსიან ფესვებში დაძინება, მაგრამ პატარა, მეტიჩარა კალმახების ჯავრი ჰქონდა, რომლებიც მას უშიშამ ჩააბარა.

„ვინ იცის, საით გაჰყვებიან მდინარის ტალღებს, ვინ იცის, რა საფრთხე ემუქრებათ? აკი უშიშამაც გამაფრთხილა წეღან ამის გამო“, — ფიქრობდა იგი და ცურვით მოქანცული ხან ქარავნის თავში გაჩნდებოდა, ხან ბოლოში.

ჰოდა, განა რამეში იყო დამნაშავე მორბედა?

სულ ორი წამით მოაშორა თვალი ცელქებს, სულ ორი წამით და ხედავთ, რა მოხდა?

რაღა მერცხალას დაემართა ეს ფათერაკი, მას ხომ მთელი ქარავნის იმედად თვლის უშიშა.

უშიშა ასე გაცოფებული დიდი ხანია არავის უნახავს.

* * *

დარანში მომხდარი ამბის შემდეგ ამგვარი მწარე ფიქრებით მოცული მორბედა უგეზოდ მიიკვლევდა გზას. ერთი-ორჯერ შეჩერდა, მდინარის თვალუწვდენ სივრცეს გაჰხედა. ამაო იყო ძებნა. ალბათ მერცხალა ნაძდვილად ბადეს მოჰყვა.

იშვიათად უნახავს მორბედას, ბადეს მოყოლილი კალმახი მდინარეს დაბრუნებოდეს. ამაოა, ამაო, თავის მტვრევა და ხეტიალი.

უცნაური, აქამდის განუცდელი სურვილი დაებადა მორბედას. მოუნდა, აგერ იმ სიპ ქვას შესჯახებოდა თავით, მოუნდა, მძიმე ტკივი-

ლი ეგრძნო, ისეთი ტკივილი, რომელიც გრძნობას დაუკარგავდა, თვალებს სამუდამოდ ჩაუქრობდა.

იგი წელში რკალივით მოიღუნა, მთელი ძალ-ღონით გასხლტა და მთვარის სხივით გაშუქებულ ლოდისკენ შურდულივით გაქანდა.

წამით ყველაფერი ჩაბნელდა ირგვლივ. მთვარის სხივიც გაჰქრა, ის ლოდიც, რომელსაც შეუბრალებლად მიანარცხა თავი... ყველაფერი, ყველაფერი წყვდიადმა შთანთქა.

რომ გამოფხიზლდა, საკუთარ სისხლში ცურავდა, ლაყუჩებს უღონოდ ამოძრავებდა და სუნთქვა უჭირდა.

უცებ სულ ახლოს წინწკალას და ჰიჰყინას ლანდებს მოჰკრა თვალი, ვერ იცნო, ამაყი იყო მორბედა, გასაჭირში არავის ეჩვენებოდა. ღონე სწრაფად მოიკრიბა და ელვის სისწრაფით გაუჩინარდა.

ისევ დარანში

მორბედა მიჰქროდა. გრძნობდა, რომ უკან ვიღაც მისდევდა, სელას უმატებდა, უკანასკნელ ძალას იკრებდა, მაგრამ ღონე მაინც აკლდებოდა. წუთით დაბრუნებულმა სიმხნევემ ისევ უმტყუნა, ფრთები დაუსუსტდა.

სწორედ ამ დროს თავის გვერდით ნაცნობი ხმა გაიგონა:

— მორბედა, მორბედა, მოიცა!

მორბედა მობრუნდა. განა იგი ოდესმე წარმოიდგენდა, რომ ჰიჰყინას და წინწკალას კიდევ შეხვდებოდა. დიახ, მის გვერდით მართლაც ისინი მოჰქროდნენ, ეს მათი ხმა იყო, მათი ჩურჩული ჩაესმოდა ყურში.

— ჰიჰყინა, წინწკალა, თქვენა? — ეკითხებოდა განცვიფრებული მორბედა, თან უკან იხედებოდა, მისი თვალი მერცხალას დაეძებდა, უბედურებას გრძნობდა, მაგრამ კითხვა ვერ გაებედა. პატარა კალმახებიც სდუმდნენ და მერცხალას არ ახსენებდნენ. მორბედასთვის თანდათან აშკარა ხდებოდა მერცხალას უბედურება.

— წავიდეთ, დარანში წავიდეთ, ყველაფერს იქ გიამბობთ! — თითქოს მორბედას გულს გაეპასუხაო, ისე თქვა ჰიჰყინამ.

— ეჰ, — ამოიოხრა მორბედამ. — დღეის შემდეგ მე დარანს ველარ ვიხილავ... წადით, ბედი გქონიათ და ბედნიერი იყავით!

შეწუხებული ჰიჰყინა და წინწკალა ერთ ხანს უხმოდ მიცურავდნენ მორბედას გვერდით. ბოლოს ისევ მორბედამ ამოიღო ხმა:

— მე განკიცხული ვარ, დღეის შემდეგ ველარ მნახავთ ამ არემარეში. უშიშას განაჩენით მე თქვენს ქარავანს აღარ ვეკუთვნი... მშვიდობით!

— ეს ხომ ჩვენი ბრალია, შენ ხომ ჩვენს გამო დაუსჯიხარ უშიშას?!

— არაფერი... ალბათ ასეთი ბედი მქონია.

მთვარემ ცაში მაღლა აიწია. მისი თვალთმაქცი სხივები მომჯადოებლად დასთამაშებდნენ იმ მორევს, რომელშიც ჩვენი კალმახები ერთმანეთს თავის თავგადასავალს უამბობდნენ. პატარა კალმახები თავის დანაშაულს აღიარებდნენ, ეევედრებოდნენ მორბედას დარანში დაბრუნებულიყო და მათთან ერთად უშიშას შეევედრებოდა დანაშაულის პატიებას. მაგრამ მორბედას გადაწყვეტილება მტკიცე იყო. ის დარწმუნებული იყო, რომ უშიშას მისკენ გული აღარ მოუბრუნდებოდა.

— წადით, წადით... თუ გადავრჩი, ჩემს დანაშაულს როგორმე გამოვისყიდი! — უთხრა ბოლოს მან ახალგაზრდებს და უკან გაბრუნდა.

ჩვენი კალმახები დიდხანს, დიდხანს მწუხარედ გასცქეროდნენ მორბედას ჩრდილს, რომელიც მტკვრის ტალღებს უღონოდ მიაპობდა.

• • •

შუაღამე გადასული იყო, როცა ტყვედყოფილმა კალმახებმა დარანს მიაღწიეს. სანამ დარანს მიუახლოვდებოდნენ, ისინი მათ საძებნელად გამოსულ მოფუსფუსე კალმახთა ჯგუფს წააწყდნენ. კალმახების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ისინი აღტაცებით შემოეხვივნენ ტყვეობიდან დაბრუნებულებს, მხარში ამოუდგნენ და დარანებისკენ გაიტაცეს.

ჩვენი კალმახები სდუმდნენ, საოცრად მოწყენილნი და სახიფათო თავგადასავლით მოქანცულნი ხან განკიცხულ მორბედას იგონებდნენ, ხან ტყვეობაში მყოფი მერცხალა დაუდგებოდათ თვალწინ, ხანაც განრისხებულ უშიშასთან შეხვედრაზე ფიქრობდნენ.

დარანში დამყარებული სიჩუმე ჭიჭყინას და წინწკალას პოვნით გახარებული კალმახების ყიჟინით შესვლამ დაარღვია.

წყლის ხავსში თავჩარგულმა უშიშამ თავი ასწია. მის წინ თავდახრილი კალმახები იდგნენ.

უშიშას თვალები წამით გააშუქა მრისხანე ელვამ, იგი ადგილს ისე მოსწყდა, ისე გამოქანდა, თითქოს მათი განადგურება უნდაო. მაგრამ ანაზდად შეჩერდა, თავს სძლია და ყრუ ხმით იკითხა:

— გადარჩით?

— გადავრჩით... — ხმის კანკალით, ერთხმად წამოიძახეს ჭიჭყინამ და წინწკალამ.

— მერცხალა, მერცხალა რაღა იქნა?

დარანში სამარისებური სიჩუმე დამყარდა. ყველა შიშისაგან დაპატარავებულ ჭიჭყინას და წინწკალას შეპყურებდა. ისინი ვერხვის ფოთოლივით თრთოდნენ და ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ.

— დამუნჯდით? — დაიღრიალა უშიშამ და თვალთაგან ცეცხლი გადმოჰყარა.

კალმახები კვლავ სდუმდნენ.

უშიშას კითხვის განმეორება უჭირდა. მთელ ტანში საშინელი ტკივილი უვლიდა, ბრაზისა და მოუსვენრობისაგან ცახცახებდა.

— დაიღუპა? — გამოსცრა ბოლოს კბილებიდან და თავი ჩაღუნა.

— არა, ის გამჭვირვალე ქილაში ჩასვეს ბიჭებმა და თან წაიყვანეს! — გაბედა ბოლოს წინწკალამ.

უშიშა გველნაკბენივით დაიკლაკნა. ერთხანს იბორგა, ბოლო გაიქნია და პირქუშად თქვა:

— დაღუპულა... კალმახი ქილაში როგორ გასძლებს!

უშიშამ განაბულ კალმახებს გადახედა, მერე თავდახრილ პატარებს მკაცრად დააშტერდა.

— დღეს თქვენ დიდი ტანჯვა მომაყენეთ, დავკარგე ქარავნის თვალი, ჩემი მერცხალა, თქვენი გულისათვის დარანიდან გავაძევე ჩემი ცხოვრების ძველი მეგობარი მორბედა. ის ვეღარ დაუბრუნდება ჩვენს ქარავანს, დიდია მისი დანაშაული, მაგრამ არც თქვენი დანაშაულია ნაკლები, თქვენ აიყოლიეთ ჩემი მერცხალა, თქვენ ააცდინეთ გზას.

უშიშას მრისხანებისა და ღელვისაგან ხმა ჩაუწყდა. სიტყვებს ეძებდა და ვერ პოულობდა. სიჩუმე, გულისწამღები სიჩუმე დამყარდა დარანში, მხოლოდ უშიშას მოქნილი ბოლო დგაფუნობდა ხანდახან წყალში. ასე იცოდა მან განრისხების დროს, ფართოდ გაშლილ, სისხლისფრად დაწინწკლულ ბოლოს მათრახივით იქნევდა და უძრავი, გაყინული თვალებიდან ნაპერწკლებს ისროდა.

კალმახები შიშით განაბულიყვნენ და ხან თაეჩაღუნულ, ათრთოლებულ პატარებს შესცქეროდნენ, ხან გაცოფებულ უშიშას.

— თქვენი დანაშაულიც დიდია, — განაგრძო დაწყებული სიტყვა უშიშამ. — მაგრამ როგორც ბრიყვებსა და გამოუცდელებს, ამ პირველ დანაშაულს გაპატიებთ...

უშიშა ისევ შეჩერდა, თითქოს რაღაც წამოსცდა და მისი გადათქმა უნდაო.

— არა, კი არ გაპატიებთ, ეს პატიება არ იქნება. რამდენიმე ხნით თვალიდან მოგიცილებთ... ახლავე წადით და მზის ამოსვლას ცხრაჯერ უჩემოდ შეხვდით!

უშიშა ამ სიტყვების თქმასთან ერთად მიტრიალდა და თავის ადგილს დაუბრუნდა. ჭიკყინას და წინწკალას თვალზე ცრემლი მოადგათ, სიტყვის უთქმელად, შავი ფიქრებით დამძიმებულნი დარანიდან გამოცურდნენ.

მეწისქვილის ნათქვამი

ბანაკის შუაგულში, შემაღლებულ ადგილას, პიონერებს უზარმაზარი კოცონი გაეჩაღებინათ.

ცეცხლისპირას მოხუცი, თეთრწვერა კაცი რაღაცას ესაუბრებოდა ბანაკის ხელმძღვანელსა და ბავშვებს. ეს მოხუცი ახლომდებარე სოფლის მეწისქვილე იყო. წეღან თავის წისქვილიდან თვალი მოეკრა მტკვრისპირას აერიამულებულ ბავშვებისათვის და ამ ბანაკის დასათვალიერებლად მოსულიყო.

სათნო და კეთილი სახე ჰქონდა მოხუცს. ახარებდა ბავშვების მხიარული ყიჟინი. ცეცხლიც ხალისიანად ტკაცუნობდა და ნათელს ჰფენდა პიონერების შეწითლებულ სახეებს.

ის-ის იყო მოხუცმა ხერთვისის ციხის ლეგენდა დაამთავრა, რომ სათევზაოდან დაბრუნებული ბავშვების ჟრიამულიც გაისმა. ყველაზე წინ ჩვენი ნაცნობი ცისფერთვალება გოგი მორბოდა. შუშის ქილა მაღლა აეწია და ყვიროდა:

— კალმახი, კალმახი დავიჭირე!

მერცხალას გული შიშით უცემდა და თავზარდაცემული ათვალიერებდა ცეცხლის ალით გაშუქებულ ბანაკს.

რახანია მშობლიური მტკვრის ნაპირს დაშორდნენ, მდინარის ხმაური ოდნავღა ისმოდა. რამდენი რამ განიცადა მტკვრის ნაპირს მოშორებულმა მერცხალამ გზაში. რაც უფრო წინ მიიწევდნენ მებადური ბიჭები, მით უფრო მეტი შიში და მოუსვენრობა იპყრობდა მას. თითქოს სიცოცხლეს შორდებოდა და სიკვდილს უახლოვდებოდა. გადარჩენის პატარა იმედიც კი ჰქრებოდა. ირგვლივ, ყოველ მხარეს, მცირე ჭალითა და ბუჩქნარით დაფარული ხმელეთი ჩანდა. ის მცირეოდენი წყალი, რომელიც მერცხალას გარს შემოსდგომოდა, სულს უხუთავდა, შიშს უფროდაუფრო უძლიერებდა.

„სული ამომხდება ამ სივიწროვეში“, — ფიქრობდა ის და გრილ მინას ეკვროდა. შემკრთალი ხან ცას შესცქეროდა, ხან იმ გზას გახედავდა, რომელსაც ბავშვები მიჰყვებოდნენ.

ბანაკში შესვლამ ხომ მთლად დააფეთა მერცხალა. წითელყელსახვევიანი ბავშვები გამორბოდნენ და თევზაობიდან დაბრუნებულ მეგობრებს ეგებებოდნენ.

ბავშვები დიდ კალათს შემოესივნენ. კალათში თევზები ჯერ ისევ ფართხალებდნენ და ლაყუჩებს უმწეოდ ასავსავებდნენ. მოფართხალე თევზებთან თამაშითა და ალერსით გული რომ იჯერეს, ახლა მერცხალას ქილას მიაშურეს. „კალმახი, კალმახი“, იძახდნენ ისინი და მერცხალას ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ. ეს უზარმაზარი, ცნობისმოყვარეობით აღსავსე თვალები კალმახს აფრთხობდა. ის ციებიანივით ცახცახებდა, კრთოდა და შუშის კედლებს აწყდებოდა.

— განი, განი, გზა მომეცით, კალმახი ჩემია, აუზში უნდა ჩავსვა! — ყვიროდა გოგი და ბანაკის შუაგულისკენ მიიწევდა.

„ნეტავ აუზიდან თუ შეიძლება გაპარვა“, — ფიქრობდა მერცხალა და აუზში მალე მოხვედრა ენატრებოდა.

დილით საწისქვილე წყლის მახლობლად პატარა სათამაშო აუზი გაეკეთებინათ ბიჭებს. სწორედ ამ აუზში ჩასვეს მერცხალა. მერცხალამ შეინავარდა, გამოცოცხლდა. შუშის ქილასთან შედარებით ეს პატარა გუბე უზარმაზარ ტბად მოეჩვენა.

— ხედავთ, როგორ გამოცოცხლდა, როგორ სწრაფად დაცურავს! — კმაყოფილებით იძახდა გოგი და მერცხალას თვალს არ აშორებდა.

მაგრამ მერცხალას მხიარულება დიდხანს არ გაგრძელებულა. მზეზე გამთბარ წყალს უსიამოვნო გემო და მღვრიე ფერი ჰქონდა. მერცხალას ჰაერი არ ყოფნიდა, ძლივს სუნთქავდა, თიხის ვიწრო კედლებს აწყდებოდა და მაღლა ამოხტომას ლამობდა.

ტყვე კალმახის ირგვლივ შეკრებილთ მოხუცი მეწისქვილე მიუახლოვდა. ბავშვებმა პატივისცემით დაუთმეს გზა. მეწისქვილემ გუბეს ჩახედა, თიხის ლამში მინაბული კალმახი თვალით მოძებნა, ულვაშებში ჩაიცინა და ხმამაღლა წამოიძახა:

— ბავშვებო, კალმახი მთის მდინარეების თევზია, მას უყვარს ჩქარ, ანკარა წყალში ცხოვრება. აქ კალმახი ვერ გაძლებს. აი ნახავთ, ორ-სამ დღესაც ვერ იცოცხლებს!

მერცხალას თითქოს ლახტი დაჰკრესო, ისე მოხვდა ეს სიტყვები. ის ელვის სისწრაფით გასხლტა და გუბის ნაპირს მიეხალა.

„ორ-სამ დღეში, ორ-სამ დღეში, — ფიქრობდა იგი, — ნუთუ ორ-სამ დღეში მოვკვდები?“

ბიჭები ჩაფიქრებულნი დასცქეროდნენ დაფეთებულ მერცხალას.

— ისე სწრაფია, რომ თვალს ვერ მოასწრებ. — ამბობდნენ კალმახის მოქნილობით მოხიბლული ბავშვები.

— კალმახი ყველაზე მარდია თევზებში... ხერთვისიდან თურქეთში ხელად გადავა, მტკვრის სათავეს მიაღწევს! — თქვა მეწისქვილემ და ხელი შორს, შორს, მტკვრისკენ გაიშვირა.

— შორს არის აქედან მტკვრის სათავე? — შეეკითხა მეწისქვილეს გოგი.

მოხუცმა ერთ ხანს იყუჩა, ამოიოხრა და ხელი კვლავ სამხრეთისკენ გაიშვირა.

— აგერ იმ მთებს გადახვალთ თუ არა, საქართველოს მიჯნა თავდება და თურქეთი იწყება. ჩვენი მტკვრის სათავე ახლა თურქეთშია. უწინ კი იქაც საქართველო იყო. ვერაგმა თურქებმა წაგვართვეს ის მიწა-წყალი. ქართველი ხალხის დიდი ნაწილი ამოწყვიტეს და გაანადგურეს!

— ნუთუ სულ ამოწყვიტეს?

— არა, რამდენიმე ქართული სოფელი ახლაც არის მტკვრის სათავეში, მაგრამ ვაი მათ ყოფნას!

მეწისქვილემ ხელი ჩაიქნია, სამხრეთისაკენ გადახრილ მთვარეს გახედა და ბავშვებს გამოეთხოვა. ბავშვები დაფიქრებულნი იდგნენ და მიმავალ მეწისქვილეს მდუმარედ გაჰყურებდნენ.

გაისმა ზარის ხმა. ბავშვები საუბრით დაიშალნენ. გოგიმ თავის თმახუჭუჭა მეგობარს მკლავში ხელი მოსჭიდა და შეჩერდა.

კალმახი ნაპირთან მოცურებულიყო და გაყინული თვალებით შესცქეროდა ჩამავალი მთვარის სხივით გაშუქებულ სახეებს.

თმახუჭუჭა ბიჭი ჩაცუცქდა, კალმახს დააშტერდა და წაიჩურჩულა:

— ხედავ, ძლივსღა მოძრაობს, გაუშვი!

— არა, დილაზე წყალს გამოვუცვლი, გამოვაცოცხლებ. — ჯიუტად თქვა გოგიმ და კარვისკენ გაბრუნდა. თმახუჭუჭამ ხელი ჩაქნია და გოგის უკან დაედევნა, თითქოს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა.

კეთილი ბიჭები

მთვარე ღრუბელს მიეფარა. გულის გამწყალებელი სიბნელე დამყარდა. მცირე ხნის შემდეგ მთვარე ისევ გამოჩნდა, არემარე გააშუქა და მერცხალას თვალებში ჩახედა.

მერცხალას სევდით აუთრთოლდა გული. აი ახლა ალბათ სანადიროდ დასრიალებენ კალმხები მტკვარში, დაცურავენ მთვარით გაშუქებულ გრილ ტალღებში და დაკარგული მეგობარი აღარც კი ახსოვთ.

აქ კი რით უნდა გაიტანოს თავი მერცხალამ, რით უნდა იარსებოს. ირგვლივ წებოვანი თიხის კედლებია, მღვრიე წყალი.

მერცხალა მაღლა ამოცურდა, უნებურად გულაღმა გადმობრუნდა, ხარბად ამოისუნთქა და მთვარეს მიაშტერა თვალები.

ალბათ სიკვდილი მოდის. მაშ რად დაუსუსტდა ფრთები, რატომ ვე-

ღარ ამოძრავებს ისე ღონივრად, როგორც წინათ, სად გაჰქრა მისი სიმ-კვირცხლე.

დიდხანს, დიდხანს დაფარფატებდა აუზში მერცხალა, ხან გულიმა მწოლიარე დაეძებდა ჰაერის ბუშტებს მღვრიე წყალში, ხან ცხვირს ჩარგავდა აუზის ნაპირას დალექილ შლამში.

ბანაკი ძილს მოეცვა. კარვებიდან ბავშვების თავისუფალი, წყნარი ფშვენა მოისმოდა. გაზაფხულის ცელქი სიო არხევდა კარვის კალთებს და მძინარე ბავშვებს მზემოკიდებულ სახეზე ეალერსებოდა.

არ ეძინა მხოლოდ გოგის. დაწოლისას ერთი წუთით ჩამოსთვლიმა და მაშინვე უცნაური რამ ეზმანა. წამოჯდა, ვერ გაარკვია, ცხადში იყო თუ სიზმარში.

... მდინარის პირას ვიღაც ბიჭი იდგა, იცნო გოგიმ, ის მისი თმახუჭუჭა მეგობარი იყო, იგი მდინარეს გასცქეროდა. ტალღებიდან ორ პატარა კალმახს ამოეყო თავი, ისინი მადლიერი თვალებით შესცქეროდნენ ბიჭს, ულიმოდნენ. თავს უქნევდნენ და ლოცავდნენ. მდინარის პირას მდგარი ხუჭუჭთმიანი ბიჭი უსაზღვროდ ბედნიერი ჩანდა, ხელს უქნევ-და კალმახებს და კმაყოფილი იცინოდა...

ამ უცნაურმა სიზმარმა ძილი გაუფრთხო გოგის, თვალწინ დაუდგა პატარა, მღვრიე გუბეში მარტოდმარტო მიტოვებული კალმახი. გული სიბრალულით აევსო.

რა ბედნიერია ახლა ის ორი პატარა კალმახი!

ახლა ისინი თავისუფლად დასრიალებენ მშობლიურ მდინარეში და ტყვე მეგობარს სინანულით იგონებენ.

გოგი წამოხტა, რაღაცას ფეხი წამოჰკრა, რაღაც დაბრახუნდა. იქვე მწოლიარე თმახუჭუჭამ თვალი გაახილა და უკმაყოფილოდ ჩაიბუზ-ღუნა:

— რა ამბავია, გოგი, რატომ არ გძინავს?

გოგიმ კარვის ფარდა გადასწია. გარეთ სიბნელე მეფობდა, მთვარე ჩასულიყო.

— წამოდი, — ჩურჩულით უთხრა გოგიმ ამხანაგს, — წამოდი, ჩემი კალმახი უნდა გავუშვა.

— არა, ხომ იცი, უნებართვოდ კარვიდან გამოსვლა ამ დროს არ შეიძლება!

— წავიდეთ ხელმძღვანელის კარავში... ნებას მოგვცემს.

ბიჭები კარვიდან სიბნელეში გამოვიდნენ. უცებ მეზობელ კარავთან ვიღაც შენიშნეს, რომელიც ელექტრონის სანათურით გზას ინათებდა და მათკენ მოდიოდა.

— ხელმძღვანელია...

გაისმა ჩურჩული სიბნელეში.

ბავშვები ხელმძღვანელისაკენ გაეშურნენ და მის წინ მორიდებით შეჩერდნენ.

როდესაც ხელმძღვანელმა ბავშვების გულის წადილი გაიგო, კეთილად გაიღიმა, თავის კარავში შევიდა და მეორე სანათური გამოიტანა.

ბავშვებმა ხელმძღვანელს მადლობა გადაუხადეს და გზას დაადგნენ.

მალე კალმახის გუბეს მიადგნენ და მისი ზედაპირი ელექტრონის შუქით გაანათეს.

მერცხალა მოულოდნელმა სინათლემ დააფრთხო.

— ნუ შფოთავ, კალმახო, ნუ... — ღიმილით ჩასძახა გოგიმ კალმახს.

მერცხალა მათ ფეხებთან, გუბის ნაპირას სიხარულით აფართხალდა. მას წეღანვე, როცა მათი ფეხის ხმა გაიგონა, გულმა უგრძნო, რომ მის თავს რაღაც უჩვეულო ამბავი ხდებოდა.

გოგი დაიხარა და მერცხალას დახედა.

— ხედავ, გულაღმა დაცურავს, ეს ცუდი ნიშანია.

— ნუღარ გავაწვალებთ, აგერ ის წისქვილის წყალი ქვევით ისევ მტკვარს უერთდება, გავუშვათ.

გოგი დაიხარა და მერცხალა ხელში აიყვანა. მერცხალამ სული განაბა. ბიჭი სიბრალულით დაჰყურებდა კალმახს და თავს აქეთ-იქით იქნევდა.

— რამდენიმე ნაბიჯზე წისქვილის წყალი ქშუოდა. ბიჭები რუსკენ გაიქცნენ. გოგიმ ერთი კიდევ დახედა მერცხალას, მერე წყალში გადააგდო და მიაძახა:

— აბა, ჩემო კალმახო, წადი, შენც გაბედნიერდი!

მერცხალამ შეიფრთხიალა, გაინავარდ-გამოინავარდა და ისევ ნაპირთან მოცურდა.

— იქნებ მტკვრის სათავესაც მიაღწიო და ჩვენი ძველი სამშობლო ნახო... სალამი გადაეცი ჩვენს დაჩაგრულ ძმებს, სალამი! — ჩურჩულებდა მდინარის პირას გაჩერებული ბიჭი.

მერცხალა უკვე თავისუფალი იყო, ის გამოაცოცხლა მტკვრის ტოტის სიგრილემ, ფრთები შეათამაშა და ბანაკისკენ მიმავალი ბიჭები გულში დალოცა.

ღონე და სიმხნეევე დაუბრუნდა მერცხალას. მას მართლაც შეეძლო ახლა დაუსრულებლივ ესრიალა და დაუსრულებლივ, თუნდაც მტკვრის სათავემდის ევლო.

მაგრამ გაიგნებს კი გზას?

არ იცოდა, საით უნდა წასულიყო, აღმა თუ დაღმა. ერთი კი იცოდა, იცოდა ცხადად, რომ ყველაფერი ის სიზმარი იყო, ის ნამდვილად ისევ თავისუფალი და ბედნიერი იყო.

მაგრამ მერცხალა არც ისე ახლოს იყო ბედნიერებასთან, როგორც წისქვილის წყალში მოხვედრის პირველ წუთებში წარმოიდგინა. მარტოხელას და უცნობ წყალში მოხვედრილს წინ ათასგვარი განსაცდელით სავსე გზა ედო.

ჯერ პირშეღმა შეჰყვა წყალს. ეს თუ მართლა მტკვრის ტოტია, მალე მტკვარში მოვხვდებიო, ფიქრობდა იგი და ნადირობით მიიკვლევდა გზას. მისი გამოჩენით დამფრთხალი ჭიაღუები და ფრთიანი ხავსის მატლები ამაოდ ცდილობდნენ თავის გადარჩენას. მერცხალას თევზიყლაპიას მადა მისცემოდა. ერთი პირის მოსმით ანადგურებდა, რასაც თვალს მოჰკრავდა.

შუაღამე გადასული იყო, როცა ხანგრძლივი მგზავრობითა და განცდილით მოქანცული მერცხალა წყალში ჩადგმულ ბნელ შენობას მიადგა. ამ შენობიდან, თითქოს მერცხალას შესაგებებლად, შხუილი და წყლის გაურკვეველი გრიალი გამოვარდა. შემკრთალი კალმახი უკან გამობრუნდა, მაგრამ მას არავინ მოსდევდა.

რამდენიმე ხანს შორიდან უთვალთვალა მერცხალამ ამ უცნაურ შენობას. შემდეგ, თვალი და ყური ხმაურს რომ შეაჩვია, ისევ მიუახლოვდა.

მალე მერცხალა დარწმუნდა, რომ ის წყალი, რომლითაც მტკვარში მოხვედრას აპირებდა, ამ შენობის კედლიდან გამოქუხდა. მან უმედოდ გაიქნია ბოლო და უკან დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ ამ დროს რამდენიმე ციმორას მოჰკრა თვალი. ციმორა თევზები უშიშრად დასრიალებდნენ და უცნობ კალმახს ყურადღებასაც არ აქცევდნენ.

აი, ისინი დამწკრივდნენ, კედელს მიუახლოვდნენ და იმ ადგილს გაუჩინარდნენ, საიდანაც წყალი გამოქუხდა.

მაშ საშიში აქ არაფერი ყოფილა.

ციმორა თევზებმა როგორ უნდა აჯობონ კალმახს?

მერცხალამ ძალ-ღონე მოიკრიბა და მქუხარე წყალში შეევარდა. წისქვილის დარანი საშინელი, გამაყრუებელი ხმაურით შეეგება მერცხალას.

მერცხალა წისქვილის ქვემო სართულში მოხვდა. წისქვილის ღარიდან წყალი სწრაფად გამორბოდა, ბორბალს აბზრიალებდა და თეთრ ქაფს აყენებდა ირგვლივ. მალე დარწმუნდა, რომ აღმა სიარული აღარ შეიძლებოდა, და წისქვილის წყალს ისევ თავქვე დაჰყავდა იმ შემაშფოთებელი გრძნობით, რომელიც უცნობ გზებზე მოხვედრილ მგზავრს მოიცავს ხოლმე.

მთელი ღამის დამქანცველი ხეტიალის შემდეგ, განთიადისას, მერცხალამ მტკვრის შესართავს მიაღწია. მან შორიდანვე იცნო მშობლიური მდინარის ქუხილი და მალე ნაცნობ ხეობაში გაწოლილი დედა-მტკვარიც დაინახა.

განდევნილთა ქარავანი

მერცხალა მიისწრაფოდა, შურდულივით მიჰქროდა მშობლიური მტკვრის ტალღებში; სწრაფად დაბრუნებოდა ღონე და მოქნილობა, მარდად მიაპობდა ვიწროებში აქაფებულ ჩქერალებს და სიცოცხლის დაულეველ წყურვილს გრძნობდა.

ნაცნობი ხეობა ახლადამოსულ ბრწყინვალე მზეს გაეშუქებინა, სითბოთი და ხალისით აევსო. ატესილ ჭალებში ჩიტების ტკბილი სტვენა ისმოდა, მდინარის ნაპირებზე დასკუპებული ბაყაყები სმიანებდნენ და არემარეს აყრუებდნენ. მთის კალთებზე დილის ნისლი მიცურავდა, კარგი და გულის გამხარებელი იყო ეს დილა, რომელმაც მეორე დაბადება მოუტანა მერცხალას.

იგი დარანისკენ მიისწრაფოდა.

„ოხ, როგორ მოულოდნელი იქნება მისი მისვლა, როგორი სიხარულის ალიაქოთი ატყდება დარანში, როგორ გაუხარდებათ მისი დანახვა უშიშას, მორბედას, წინწკალას და ყველას, უკლებლივ ყველას“.

აი, ხერთვისის ნაცნობი ადგილები, აგერ პიონერთა ბანაკი. ბანაკს ჯერ ისევ სძინავს. სძინავთ მის მხსნელ ბიჭუნებსაც და იქნებ თავისუფალ, ბედნიერ მერცხალას ხედავენ სიზმარში.

„ძილი ნებისა, ძილი ნებისა, იძინეთ ტკბილად, ჩემო ბიჭუნებო... მე კი თქვენს სურვილს ავასრულებ, მტკვრის სათავისკენ გავეშურები, თქვენს სალამს გადავცემ!“ — ფიქრობდა მერცხალა და ტალღებს გულდაგულ მოაპობდა.

მარჯვნივ დიდმა ვერხვმა გაიშრიალა. აგერ დარანის შესასვლელი. გული აუთრთოლდა მერცხალას, თვალწინ უშიშას სახე დაუდგა.

შესავალთან ჩამიჩუმი არ ისმის. ალბათ ჯერ ისევ სძინავთ. რას იფიქრებენ, რომ აი, საცაა მერცხალა დილის პირველი სხივივით შეიჭრება ჩაბნელებულ დარანში და შესძახებს:

— გამარჯობათ, დილა მშვიდობისათ, თქვენი დაკარგული მერცხალა მოვედი!

მერცხალა დარანში შესრიალდა და უცებ ელდანაკრავივით შეჩერდა. დარანში არავინ იყო, სამარისებური სიჩუმე და სიცარიელე მეფობდა ამ საყვარელ, მყუდრო თავშესაფარში.

მერცხალას თვალები ცრემლით აევსო. სად არიან, ნუთუ რაიმე უბედურება დაატყდა ქარავანს, იქნებ მის საძებრად წავიდნენ და მერე ვინ იცის, საით? მდინარე ვრცელია და დიდი. ნუთუ ვეღარასოდეს მიაგნებს მარტოხელა მერცხალა მათ გზა-კვალს?

მერცხალას დაცარიელებულ დარანში სული შეეხუთა. სწრაფად უკან გამობრუნდა და ისევ მტკვრის ტალღებს მიანდო თავი. ირგვლივ უცხო თევზები დასრიალებდნენ და გზას უთმობდნენ ელვის სისწრაფით მიმავალ პირჩამობნელებულ კალმახს.

გაჰქრა წეღანდელი ხალისი. მზე ისე ბრწყინვალედ აღარ აშუქებდა, ჩიტების ტკბილი გალობაც შეწყდა. ფერი და სიცოცხლე დაკარგა მშობლიურმა მდინარემ და მისმა ლამაზმა ნაპირებმა.

მაგრამ უცებ ამაზე მეტი საფიქრალი გაუჩნდა მერცხალას. მან შეამჩნია, რომ რახანია რომელიღაც უზარმაზარი პირდაღებული თევზი უკან ჩრდილივით მოსდევდა და უთვალთვალებდა.

მერცხალა შეკრთა. უზარმაზარი თევზი, როგორც ჩანდა, მას მისდევდა.

„უთუოდ თევზიყლაპია ორაგულია“, — გაიფიქრა მერცხალამ და სვლას უმატა, მაგრამ მთელი დღეღამის ცურვითა და ხიფათიანი განცალებულით მოქანცული გრძნობდა, რომ ღონე ელეოდა, ფრთებს ძლივსღა ამოძრავებდა. ორაგულის ჩრდილი თავს არ ანებებდა, ცეცხლივით ანთებულ თვალებს მის კვალზე აკვესებდა და თანდათან უახლოვდებოდა.

მერცხალამ გადაწყვიტა, ძვირად გაეყიდა სიცოცხლე, მალიმალ იხედებოდა უკან და მდინარეს კვნესით მიაპობდა. აი, მის ათრთოლებულ ბოლოსთან გაისმა გავეშებული ორაგულის ქშენა და კბილთა ღრჭენა. უზარმაზარი თევზი ღრიალით გაქანდა მისკენ. მერცხალამ უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, განზე გასხლტა და წყალქვეშა ლოდს აეკრა.

ორაგული შეტორტმანდა, ქვას მიენარცხა, მაგრამ უმალვე გონს მოვიდა და კვლავ იმ ლოდისკენ გაეშურა, რომლის გვერდითაც მერცხალა განაბულიყო.

წამიც და უზარმაზარი მტაცებელი ნაფლეთებად აქცევდა მერცხალას.

ამ დროს ანაზდეული ძახილი გაისმა. ეს კალმახის ხმა იყო. ვიღაც მის საშველად მოეშურებოდა. ორაგული ამ ძახილზე შეკრთა, უცნობ კალმახს გახედა და მის დასახვედრად მოემზადა. მაგრამ უცნობი კალმახი ელვის სისწრაფით მიენარცხა ორაგულს და ზურგის გაშლილ ფრთა შიგ თვალებში გაჰკრა.

ორაგულმა საშინლად დაიღრიალა, თვალთ დაუბნელდა და გრძნობა დაჰკარგა.

— მორბედა! — წამოიძახა სიხარულით მერცხალამ და თავისი მხსნელი კალმახისკენ გაეშურა.

— მერცხალა, ჩემო მერცხალა! — ბუტბუტებდა საოცრად შეცვლილი, გამხდარი და ფერდაკარგული მორბედა.

ალერსისა და გამოკითხვის დრო არ იყო. კალმახები შურდულივით მიჰქროდნენ აღმა და, ერთმანეთის სიახლოვით გამხნევებულნი, უკანმოუხედავად ცდილობდნენ სამშვიდობოს გასვლას.

კარგა ხნის ცურვის შემდეგ მორბედა შეჩერდა და კვნესით თქვა:

— ცუდად ვხედავ, ჩანს დაჯახებისაგან მეორე თვალიც ჩამიქრა, წინ გამიძეხ, რომ შენს კვალზე ვიარო!

მერცხალამ თვალებში ჩახედა მორბედას, დაბრმავების ფასად დასჯდომოდა მოამაგე კალმახს მერცხალას გადარჩენა. მის თვალებს სისხლი და მუქი ბინდი გადაჰკვროდა.

მერცხალამ თანაგრძნობით დაიკვნესა, უნდოდა გამამხნევებელი რამ ეთქვა მისთვის თავგანწირული, ერთგული კალმახისათვის, მაგრამ მორბედამ დაასწრო:

— მე აქ ცოტას შევისვენებ, შენ კი ჭიჭყინა და წინწკალა მოძებნე, ლურჯი ლოდის ქვეშ დავტოვე წელან.

მორბედა წყალქვეშა ფესვებში გაინაბა.

მცირე ხნის შემდეგ მერცხალამ თავისი მეგობრები მოიყვანა, მოულოდნელი შეხვედრით გამოწვეულ სიხარულს მორბედას უბედურება ჩრდილავდა. ახალგაზრდა კალმახები მდუმარედ იდგნენ მორბედას წინ, მორბედა ტკივილებისგან იტანჯებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა და თავის პატარა მეგობრებს აჩქარებდა.

— აბა, ახლა კი წინ გაგვიძეხ, მერცხალავ, რაც შეიძლება მალე უნდა შევუერთდეთ უშიშას ქარავანს, თორემ...

— მაგრამ საით უნდა წავიდეთ? — იკითხა ჭიჭყინამ. — ჩვენ ხომ არ ვიცით, საით დაიძრა უშიშას ქარავანი?

— მტკვრის სათავისკენ! — უნებურად წამოსცდა მერცხალას. — ჯერ მტკვრის სათავისკენ წავიდეთ, გული იქით მიმიწევს!

მორბედამ თავი დახარა, მას უმძიმდა ამ დიდი გზის გავლა, მაგრამ მაინც მხნედ ჩაიდუდუნა:

— მუდამ თქვენთან მიგულეთ, საითაც გინდათ, იქით წამიყვანეთ, უთქვენოდ ერთ წუთსაც ნუ მაცოცხლოს!

ახალგაზრდებს გული აუჩუყდათ, მორბედას გარს შემოეხვივნენ, მოფერება და გამხნევება დაუწყეს.

შესვენების შემდეგ ერთმანეთის ალერსით და ამბის გამოკითხვით გული რომ იჯერეს, ჩვენი მოგზაურები მტკვრის ხეობას პირშეღმა შეჰყვნენ. ოთხივე დაფიქრებული მიაპობდა წყალს. წინ მერცხალა მი-

დიოდა. მას უკან ჭიჭყინასა და წინწკალას შუა ჩამდგარი მორბედა მისდევდა. მისი მტკივანი თვალები უსიცოცხლოდ გამოიყურებოდნენ, სადღაც გამქრალიყო მისი სიმკვირცხლე და სიკისკასე. იგი ბუნდად, გაურკვევლად ხედავდა წინ მიმავალ მერცხალას და ჭაბუკი კალმახების ხმაურზე გუმანით მიარღვევდა ტალღებს.

მერცხალა დროგამოშვებით სვლას შეანელებდა, სწრაფად მობრუნდებოდა და თანაგრძნობით დააშტერდებოდა ხოლმე მორბედას. მორბედა ხმას არ იღებდა. სდუმდნენ სხვებიც. ამ სიჩუმეში უფრო მეტად გამოითქმოდა ის გულისტკივილი, რომელსაც ყველა განიცდიდა.

„ჩემი გულისთვის, დიახ ჩემი გულისთვის განდევნეს მორბედა ქარავნიდან, ჩემი გულისთვის დაჰკარგა საბოლოოდ თვალის სინათლე“,— სინანულით ფიქრობდა მერცხალა და გაშმაგებით მიაპობდა მდინარეს, თითქოს უნდოდა თავდავიწყებული ქროლვით გაექარვებინა გულზე შემოწოლილი ნაღველი.

კალმახებმა სწრაფად გაუქროლეს მტკვრის პირას მაღალ მთაზე გადმომდგარ თმოგვის დიდებულ ციხეს და მალე ვარძიას მიაღწიეს. კლდეში გამოკვეთილი ციხე-ქალაქი თავისი ჩაბნელებული თვალებით ზვიადად გადაჰყურებდა მტკვრის ხეობას, რომელსაც შემოღამების ბინდბუნდი ჰფარავდა.

მტკვრის სათავეში

კალმახებმა კარგა ხანს იმოგზაურეს, მაგრამ უშიშას კვალს ვერსად წააწყდნენ. მისი უზარმაზარი ქარავანი თითქოს მდინარის უსასრულობას დაეფარა და გაეუჩინარებინა. რაც უფრო სცილდებოდნენ საქართველოს საზღვარს, ბუნების სურათები უფრო ღარიბნი და უსახურნი ხდებოდნენ.

აქეთ მტკვარი ისეთი ანკარა, ჩქარი და გამჭვირვალე იყო, რომ მერცხალამ უნებურად, ცქვიტად შეინავარდა და გარემოს თვალიერება დაუწყო. თითქოს უნდოდა მისი მშვენიერებით დამტკბარიყო. მაგრამ სად ეს და სად ის ხეობა? მთვარე ნისლში მიმალულიყო, უცნობ ხეობას მოწყენილი და პირქუში იერი დასდებოდა. მდინარეს ნაპირები უდაბური და ხრიოკი ჰქონდა. არსად ხე, არსად ზურმუხტოვანი ჭალები და ბუჩქნარი. ხეობაში აყუდებულ მთებს და ძველთაძველ ციხის ნანგრევებს თითქოს თავპირი ჩამოსტიროდათ, დაფიქრებულნი და მგლოვიარენი დაჰყურებდნენ ხევში ჩამოცურებულ უზარმაზარ ლოდებს.

პატარა ქარავანი უხმოდ მიჰყვებოდა მერცხალას, რომელიც ღამის ბინდში ჩრდილივით გაწოლილი მისრიალებდა. ავადმყოფ მორბედას უკვირდა ახალგაზრდების მხარდამხარ ცურვა, მაგრამ არ ამჟღავნებდა, თავს ძალას ატანდა და ჩუმი კვნესით მიცურავდა. ხეობა თანდათან ვიწროვდებოდა. ვიწროვდებოდა და პატარავდებოდა მტკვარიც. ჩვენი მოგზაურები ერთმანეთს ეკეროდნენ და პირშეღმა უხმოდ მიცურავდნენ. მერცხალამ მოწყენა იგრძნო, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, განცვიფრებით შეჰყურებდა პირქუშ მიდამოს და შეუსვენებლივ, უკანმოუხედავად მიჰქროდა, თითქოს მასაც გადასდებოდა ამ მუნჯი, ღარიბი ბუნების სიმკაცრე და გულჯავრიანობა.

ბოლოს, როდესაც ხეობა ოდნავ გაფართოვდა და მთვარემაც გამოაშუქა, მერცხალა მოულოდნელად მობრუნდა და ქარავანი შეაჩერა:

— დაუგდეთ ყური, — თქვა მან ჩურჩულით, — დაუგდეთ ყური, როგორ მღერიან ამ ხეობაში!

მართლაც, საიდანღაც, შორეული ნაპირიდან, გაურკვეველი სიმღერა მოისმა. მაგრამ ეს სიმღერა არ იყო. ეს იყო გულსაკლავი და ერუანტელის მომგვრელი სევდიანი მოთქმა. ვიღაც თავის უკუღმართ ბედს უჩიოდა ამ გაბმული სიმღერით. ეს სიმღერა კვნესას უფრო ჰგავდა, ვიდრე სიმღერას.

— განა ასე მღერიან ადამიანები იქ, საქართველოში? — თქვა მერცხალამ, კალმახებს გადაჰხედა და ისევ დააყურა.

სიმღერა ახლოვდებოდა და, რაც უფრო ახლო გაისმოდა, მით უფრო გულსაკლავი, მით უფრო ნაღვლიანი გრძნობების აღმძვრელი ხდებოდა.

კალმახები შეჩერდნენ.

— აქეთ ბევრჯერ ვყოფილვარ და ყოველთვის ეს მწუხარე სიმღერა გამიგონია. აქ უბედური ხალხი ცხოვრობს, აქ მხოლოდ ბოროტი და ტანჯული ადამიანების სახეები დამინახავს... მხიარულ კაცს აქ ვერ დაინახავთ.

კალმახები განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ მორბედას, რომელმაც ეს სიტყვები ამოოხვრით წარმოთქვა. მხოლოდ მერცხალამ იცოდა მიზეზი სევდიანი სიმღერისა. მას წეღანვე გაახსენდა ხერთვისი, პიონერთა ბანაკში გატარებული ღამე, საუბარი საქართველოს ძველ მიწა-წყალზე, გაიხსენა ბედნიერი ბავშვების მხიარული სიმღერები და მათი გაბრწყინებული სახეები...

„აი, რას ნიშნავს თურმე თავისუფლება, აი, როგორ მღერის დაჩაგრული ადამიანი“, — ფიქრობდა მერცხალა.

ჩვენი ქარავანი ღამის გასათევად დაბანაკდა.

მალე მთვარემ შეიმაღლა და მდინარის მეორე ნაპირი გააშუქა. იქ, კლდიდან ჩამოგორებულ უზარმაზარ ლოდზე, ორი მწყემსი იჯდა. მოხუცი მწყემსი მის მუხლებზე თავმიყრდნობილ პატარა ბიჭუნას თვალებში ჩასცქეროდა და ოხვრით რაღაცას უამბობდა.

მერცხალამ ლოდზე მსხდომნი დაინახა და მდინარის ნაპირისკენ ფრთხილად გაცურდა. შემკრთალი წინწკალა და ჭიჭყინა შეჩერდნენ და მორბედაც შეაჩერეს.

— მივიდეთ ახლო, — დაამშვიდა მერცხალამ შეშინებული კალმახები. — ეს მწყემსები ჩვენთვის საშიში არ არიან!

მალე მერცხალა და ჩვენი კალმახები იმ ლოდის ახლო მისრიალდნენ, რომელზეც მწყემსები ისხდნენ.

მთვარის შუქზე ნათლად მოჩანდა მოხუცის თეთრი თმა-წვერი. ბიჭუნას ლამაზი სახე და ელვარე თვალები, რომლებიც ვარსკვლავებით მოქედილ ცას შეჰყურებდნენ.

— მერე, მერე? — გაისმა ბიჭუნას ხმა.

მოხუცი ერთ ხანს სდუმდა, თითქოს ლაპარაკი უმძიმდა.

— ეჰ, შვილო, რაღა გითხრა. მას შემდეგ, რაც დედასაქართველოს მოგვწყვიტეს, ყველაფერი წახდა, დაიქცა. განა ასეთი იყო ეს ხეობა? მტერმა აჩეხა ჩვენი ვენახები, გაკაფა ბაღები და დიდებული ტყეები, დაანგრია ჩვენი ციხე-კოშკები, გაწყვიტა ხალხი, წაგვიბილწა ენა... დაგვიმონა...

— ხედავ? — შეეკითხა მერცხალა მორბედას და თვალებში ჩახედა.

— ვერ ვხედავ, მაგრამ მესმის, ყველაფერი მესმის! — სევდიანად უპასუხა მორბედამ.

— როდემდის, პაპა, როდემდის?—ჩურჩულებდა ბიჭუნა და ცრემლმორეული შეჰყურებდა აღელვებულ მოხუცს.

— მალე, შვილო, მალე! შენ ბედნიერ დროს დაიბადე, ყველაფერს მოესწრები!

— ეჰ, პაპაჩემო, ერთი თურქების ჯავრი ამომყარა და მეტი არაფერი მინდა! — წამოიძახა ბიჭუნამ და ოცნებით სავსე თვალები მთვარეს გაუშტერა. მთვარის თვალისმომჭრელ შუქზე უფრო მაღალნი მოჩანდნენ არსიანის მთები, უფრო მეტად ლაპლაპებდა ხეობაში გაწოლილი პატარა მდინარე, რომელიც საქართველოსკენ დასავაკაცებლად მიისწრაფოდა.

კალმახები სულგანაბულნი უსმენდნენ მწყემსების საუბარს. მალე მწყემსების ხმაც მიწყდა, მთვარე შავ ღრუბელს მოეფარა და მტკვრის ხეობა წყვდიადმა მოიცვა.

ბოროტი თვალები

გათენდა.

კალმახები უკვე მტკვრის ტალღებში ჩაშვებულ მზის სხივებს ეთამაშებოდნენ, დასრიალებდნენ და საზრდოს დაეძებდნენ.

ნაპირიდან სალამურის ხმა ისმოდა. სალამურს მწყემსი ბიჭი უკრავდა, რომელიც ისევ იმ ლოდზე იჯდა და ჭალაში გაშლილ ცხვრის ფარას უთვალთვალებდა. უზარმაზარ კომბალს დაყრდნობილი მოხუცი მწყემსი ცხვრის ფარას მეორე მხრიდან ამოსდგომოდა და ჩაფიქრებული უსმენდა სალამურის ხმას.

შორს, ხრიოკი კლდის ფერდობზე, პატარა სოფელი მოჩანდა. ღარიბი, მიწური შენობები ნანგრევებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ადამიანთა საცხოვრებელს. მოისმოდა ძაღლის ყეფა, მამლის ყივილი და სამუშაოდ მიმავალი გლეხების ძახილი.

მერცხალა მთელი დღის განმავლობაში შორიდან ათვალიერებდა სალამურის დაკვრით გართულ ბიჭუნას. ბიჭუნას ჭკვიანი, სევდიანი თვალები და გამხდარი სახე ჰქონდა. იგი საოცრად ჰგავდა მერცხალას მხსნელ წითელყელსახვევიან ბიჭს.

„ძმებივით გვანან ერთმანეთს“, — ფიქრობდა მერცხალა. მაგრამ რა დიდი განსხვავება იყო ამ ორი ყმაწვილის სახის გამომეტყველებაში. ხერთვისელი პიონერის სიცოცხლით სავსე, მხიარული და კმაყოფილი გამოხედვა გაიხსენა მერცხალამ და ამ უცნობი ბიჭისადმი გული სიბრალულით აევსო.

უცებ ბიჭმა სალამურის დაკვრა შეწყვიტა და სმენადქცეული ერთ წერტილს დააცქერდა. სოფლიდან წივილ-კივილის ხმა მოისმოდა. ბიჭმა შეშფოთებით გახედა მოხუცს და გასძახა:

— პაპა, სოფელში რაღაც უბედურება ტრიალებს, გესმის?

მოხუცმა სმენა დაძაბა, თვალებზე ხელი მოიჩრდილა და სოფელს გახედა.

მდინარისკენ მომავალ გზაზე ვიღაც გამოჩნდა. იგი სწრაფად მორბოდა. მალე მწყემსებთან პატარა ბიჭმა მოირბინა.

— რა ამბავია, ჰასან? — შესძახეს ერთხმად მწყემსებმა.

— ჩქარა ცხვარი დამალეთ სადმე, გადასახადებს აგროვებენ... სოფელში რომ ვერაფერი იშოვეს, ახლა აქეთ მოდიან! — სხაპასხუპით წამოიძახა ბიჭმა.

პატარა ბიჭს, როცელსაც ჰასანა უწოდეს, მოქანცული სახე და ნამტირალევი თვალები ჰქონდა.

— მერე შენ რაღად სტირი, ჰასან, შენ ხომ თურქი ხარ, განა თქვენც შეგაწუხეს?.. — შეეკითხა პატარა მწყემსი.

ჰასანას მწარედ გაეღიმა.

— განა ის ავაზაკები ერთმანეთისგან არჩევენ თურქსა და ქართველს? ოღონდ რამე იშოვნონ, ოღონდ... აგერ, ჩვენს სახლს ცეცხლი წაუკიდეს, მამას ბორკილი დაადვეს ურჩობისათვის! — გულამოსკვნით წამოიძახა მან, უმალვე ბუჩქნარისკენ გაიქცა და მიიმალა.

მოხუცი მწყემსი შეშფოთებული გაჰყურებდა სოფლიდან მომავალ გზას. ეტყობოდა, ყოყმანობდა, არ იცოდა, რა ეღონა. მან ერთი ამოიგმინა და ცხვარს შემოურბინა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

გზაზე მტვერი ავარდა, გაისმა ცხენის ფეხის ხმა და მალე რამდენიმე ფაფარგაშლილი ცხენიც გამოჩნდა. ამ ცხენებზე მხარზე თოფგადაგდებული თურქები ისხდნენ, ხმამაღლა რაღაცას გაჰკიოდნენ და მათრახების ქნევით მოჰქროდნენ.

მოხუცმა კომბალი დაბღუჯა და ცხვრის ფარას გვერდით ამოუდგა, თითქოს მის დასაცავად ემზადებაო. თან რისხვით ბურტყუნებდა:

— წყეულები, ურჯულოები... უკანასკნელ საზრდოსაც გვტაცებენ!

მოწინავე მხედარმა გაოფლიანებული ცხენი მოხუცს ზედ მიაგდო, სადავეს მოსწია და დაიღრიალა:

— აბა, ბებერო, გამოირეკე ცხვარი!

მოხუცი გაუნძრევლად იდგა და პირქუშად შეჰყურებდა მხედარს. მხედარს ნაყვავილარი, ჩაშავებული სახე და ბეწვით სავსე ნესტოები მოუთმენლობისაგან უთრთოდა, წვრილი, ბოროტი თვალებით დაჰყურებდა მწყემსს, რომელიც პასუხს აგვიანებდა.

— მერე ხალხს რა პასუხი გავცე? — ყრუ ხმით იკითხა მოხუცმა. თურქმა მხედარმა ზიზღით გაიხედა სოფლისკენ და ხელში მათრახი შეათამაშა.

— ხალხმა უკვე მიიღო პასუხი... აი, ამით!

მან ყურთან გაუტკაცუნა მათრახი მოხუცს.

— აბა, ბებერო გურჯო, ნუ აგვიანებ, თორემ!

— ვერა, ბატონო, ჩემი ცოცხალი თავით ვერ დაგანებებ, ცხვარი ხალხისაა, მე ჩამაბარეს.

გაისმა მათრახის საშინელი შხუილი. მოხუცს ტკივილისა და მრისხანებისაგან სახე დაემანჭა. მან უკან დაიხია და მძიმე კომბალი მაღლა აღმართა. წამიც და იგი თავს გაუპობდა ჩოფურა ჰხედარს, მაგრამ მას გვერდიდან მეორე მხედარი ცხენდაცხენ დაეჯახა და გადათელა.

მოხუცი გულაღმა დაეცა მდინარის პირას. მწყემსმა ბიჭუნამ დაიკივლა, თვალები დახუჭა და სახეზე ხელი აიფარა. როცა მან თვალები გაახილა, დაინახა, რომ პაპამისს თურქები თასმით ხელებს უკრავდნენ, თან მათრახით სცემდნენ.

თვალცრემლიანმა ბიჭმა მხედრებს მუხლებზე დაუჩოქა და ქვითინით შეევედრა:

— ნუ მომტაცებთ, ნუ მომიკლავთ პაპას, მაგის მეტი არავინ მყავს, ნუ მომიკლავთ, ნუ... ცხვარს რაც გინდათ, ის უყავით, ოღონდ...

— დაიკარგე აქედან, გურჯის ლეკვო, პაპაშენსაც წავიყვანთ და ცხვარსაც გავირეკავთ!

ჩოფურა თურქმა შეუბრალებლად ჰკრა ხელი ბიჭუნას. ბიჭუნა შეტორტმანდა და მოხუცი მწყემსის ფერხთით დაეცა.

ამის დანახვაზე მოხუცმა არაადამიანური ხმით შებღავლა, შეინძრა, ხელების განთავისუფლება მოინდომა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. თურქებმა ცხვარი გაირეკეს. ხელებგაკრული მოხუცი წინ გაიგდეს და ლანძღვა-გინებით დაადგნენ გზას.

ცხვარი ბღავილით მიდიოდა ამტვერებულ გზაზე, თითქოს ისიც გრძნობდა თავს დატეხილ უბედურებას.

მზე ჩადიოდა. ხეობაში ბინდი დგებოდა. კალმახები სულგანაბულნი გასცქეროდნენ მდინარის პირას მომხდარ საშინელებას და მოხუცი მწყემსისა და პირქვე დამხობილი მტირალი ბიჭუნას სიბრალულით თრთოდნენ.

მერცხალას ოცნება

კარგა ხნის ქვითინის შემდეგ ბიჭუნა ფეხზე წამოდგა, ცრემლი მოიწმინდა და ჩამავალ მზეს გახედა.

ოჰ, როგორი ტანჯული და უბედური გამომეტყველება ჰქონდა მის დიდრონ, ჭკვიან თვალებს. ამ თვალებს რომ უყურებდა, მერცხალას უნებურად ბოროტი თურქის წვრილი, დასისხლული თვალები აგონდებოდა და ტანში ჟრუანტელი უვლიდა.

„რა ეშველება ამ უბედურ ბიჭს, ნეტავ ვინმე დაიხსნიდეს, ნეტავ ვინმე უშველიდეს! — ფიქრობდა მერცხალა და სიბრალულით გასცქეროდა მდინარის პირას თვალგაშტერებით მდგარ ბიჭუნას.

ბიჭუნა უფრო ახლოს მივიდა მდინარესთან, ლოდზე ჩამოჯდა და მორევს ამღვრეული თვალებით ჩახედა. რამდენიმე მსხვილი მდუღარე ცრემლი მოსწყდა მის თვალებს. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოდიოდნენ მის გამხდარ ლოყებზე და მდინარეში ცვიოდნენ. ცვიოდნენ სწორედ იმ ადგილას, სადაც მერცხალა და მისი მეგობრები განაბულიყვნენ.

— სად წავიდე, სად წავიდე... რა ვქნა? — ჩურჩულებდა ბიჭი და შორეულ თვალს არ აშორებდა.

ოჰ, როგორ უნდოდა ჩვენს მერცხალა კალმახს ყოფილიყო დიდი, ლონიერი, ზღვის უზარმაზარი თევზი, მაშინ ხომ შესძლებდა მის გადარჩენას? მიცურდებოდა მდინარის პირას, ზურგზე შეისვამდა ბიჭუნას, დაჰყვებოდა მტკვრის ხეობას და სულ მალე საქართველოში, მტკვრის პირას, თავისუფალი ბავშვების ბანაკში მიიყვანდა.

რა ბედნიერი იქნებოდა ეს უპატრონო ბიჭი მაშინ, რა ერიამულით შეხვდებოდნენ ხერთვისელი წითელყელსახვევიანი ბიჭები თავის დაჩაგრულ მოძმეს.

მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ კეთილი გულის ნატვრა იყო.

ბიჭი ისევ ლოდზე იჯდა და კვლავ მორეულ დაჰყურებდა. მის თვალებზე ცრემლი გამშრალიყო, აღარ ტიროდა.

უცებ ბიჭმა გამჭვირვალე წყალში თავისუფლად მონავარდე კალმახები შენიშნა, ამოიოხრა, წამოდგა და დუდუნით თქვა:

— ნეტავი თქვენ, თავისუფალო თევზებო, საითაც გინდათ, იქით წახვალთ, ნეტავი თქვენ!

ბიჭმა შორეული მთებისკენ გაიხედა.

ვინ იცის, იგი გულით ნატრობდა იმ მთებზე გადასვლას და თავისუფალ საქართველოში მოხვედრას, ვინ იცის, რა დიდი ნაღველი ბრუნავდა მის პატარა გულში, რომელიც ამ წუთს მღელვარედ სცემდა.

კარგა ხანს უმზირა მან იისფერ ბინდში ჩაწოლილ მშობლიურ მთებს. შემდეგ ფერდობზე შეფენილ სოფელს გახედა, გული უარესი ვწუხარებით შეეკუმშა და თავი სევდიანად-გაიქნია.

სოფლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, ხის ფოთოლიც კი არ იძვროდა მის ვიწრო ორღობეებში. მიწური შენობები მიცვალებულის თვალებივით უსიცოცხლოდ ჩაღამებულიყვნენ. სოფელი დიდ სასაფლაოსავით დადუმებულიყო და პატარა ბიჭის ნაღველს უფრო აძლიერებდა.

დაბრუნება

სამ დღე და ღამეს გადაუღებლად წვიმდა.

გაზაფხულის შხაპუნა წვიმა შეუბრალებლად ტლაშუნობდა მტკვრის ზედაპირზე. მთებში გაჩენილი პატარა ნიაღვრები ნაღარავებში ხმაურით მოჰქროდნენ, ერთმანეთს უერთდებოდნენ და ადიდებულ მტკვარს ქუხილით აწყდებოდნენ.

შეწუხებული კალმახები ლოდებქვეშ იმალებოდნენ, ერთმანეთს ეკვროდნენ და მხოლოდ იშვიათად ბედავდნენ დარანიდან თავის გამო-

ყოფას, ისიც მაშინ, როცა მცირე ხნით მზე გამოაშუქებდა ტყვიისფრად დამძიმებული ღრუბლებიდან.

პირქუში მიდამო უარესად დანისლულიყო, სევდიანი იერი დასდებოდა და ჩვენი მოგზაურების გულს ლოდივით დასწოლოდა.

მხოლოდ მეოთხე დღეს გამოიდარა.

ამ დილით მზემ კვლავ ცხოველმყოფელი სხივები მოჰფინა ნაწვიმარ დედამიწას. ბუნებამ პირქუში შუბლი გაიხსნა და მზეს თვალებში შესცინა.

მტკვარი მალე დაიწმინდა და თავისი ჩვეულებრივი კამკამა ფერი დაიბრუნა.

კალმახებმაც შეინავარდეს, სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდათ. ადიდებულ მდინარის მღვრიე ტალღებთან სამი დღის ბრძოლას მერცხალა, წინწკალა და ჭიჭყინა დაევაჟკაცებინა, მათს თვალებს ძალა და ცეცხლი მომატებოდა, მომაგრებული ფრთებით ხალისიანად მიაპობდნენ მღელვარე ტალღებს.

ისინი გარს შემორტყმოდნენ დასუსტებულ მორბედას, ქვიშით ავსებულ, ჩამქრალ თვალებში სიბრალულით ჩასცქეროდნენ და ამხნევებდნენ.

— მე ვგრძნობ, რომ მზე აშუქებს, და მიხარია თქვენთან ყოფნა, ესეც ხომ დიდი ბედნიერებაა ჩემთვის! — ამბობდა ცრემლმორეული მორბედა.

— ხერთვისისაკენ, ხერთვისისაკენ! — დილას აქეთ განუწყვეტლივ იმეორებდა მერცხალა და თავის პატარა ქარავანს ახლა თავდაღმა მოუძღოდა.

იგი დარწმუნებული იყო, რომ მართლაც ხერთვისთან შეხვდებოდა უშიშას მრავალრიცხოვან ქარავანს. რადგან მტკვრის სათავეში ვერსად წააწყდა მათ კვალს, ისევ თავქვე უნდა გაეშუროს, ხერთვისისაკენ.

ო, რამდენ რამეს ეტყვის უშიშას, განა შეიძლება დაავიწყდეს, რაც ამ დღეებში განიცადა, რაც თავს გადახდა?

ეტყვის, ყველაფერს უამბობს.

უამბობს ბანაკში თავისი ტყვეობისა და განთავისუფლების ამბავს. უამბობს მტკვრის სათავეში ნახულსა და გაგონილს. დაჩაგრული მწყემსების ამბავს რა დაავიწყებს? შეეკედრება უშიშას, რომ როგორმე ხერთვისის ბანაკში, იმ თავისუფალ ბავშვებსაც გააგებინოს მტკვრის სათავეში მცხოვრები მათი დაჩაგრული ძმების ამბავი.

შესძლებს უშიშა, ყველაფერს შესძლებს. განა მას ამ ქვეყანაზე რამე გაუძნელდება? — ასე ფიქრობდა მერცხალა და თავისი ქარავნით რაც უფრო უახლოვდებოდა ნაცნობ ადგილებს, მით უფრო მეტი ხა-

ლისით ევსებოდა გული, თითქოს სულშეხუთული საპატიმროდან გამოდიოდა.

აი, მზით გაშუქებული ნაცნობი ჭალები, ახლად დასახლებული სოფლები, ვენახები, შავად გადახნული მინდვრები და ამწვანებული ჯეჯილები.

ყველგან შრომის ფერხულია გაჩაღებული. ისმის ხალისიანი სიმღერა, ტრაქტორების გუგუნი, ბავშვების ჟრიამული.

აი, მარცხნივ ისევ გაიელვა დიდებულმა ვარძიამ და კლდეზე გადმომდგარმა თმოგვის ამაყმა ციხემ.

მალე ნაცნობი ვერხვიც გამოჩნდა. ისევ შეუსვენებლივ აშრიალებს ეს მაღალი ხე თავის მოფარფატე ფოთლებს და მტკვარს ჩუმი ხმით ეალერსება.

— მივედით, მივედით! — ეჩურჩულება მერცხალა მორბედას დ. სიხარულით ეკვრის, მღელვარებისაგან თრთის.

— ვგრძნობ კი არა, ვხედავ... — ჩურჩულებს მორბედა. — ვხედავ ჩვენს ვერხვს, მის ფესვებს!

„ვაითუ ახლაც არავინ დაგვხვდეს დარანში?“

ეჭვიანობს და სწუხს მერცხალა. მაგრამ არა, აგერ, დარანის შესავალთან რომელიღაც კალმახი დაინახა მერცხალამ.

ეს ხომ ლაყუჩაა, ზარმაცი, ბებერი ლაყუჩა. ლაყუჩამაც შეამჩნია მისულნი და მათკენ გამოეშურა.

— ვინა ხართ? — ეკითხება ლაყუჩა და მისულებს გზას უღობავს, დარანისკენ არ უშვებს.

მერცხალა გრძნობს, რომ ვერ იცნო ბებერმა, გამოყრუებულმა ლაყუჩამ ისინი. ხუმრობის გუნებაზე დგება, იჯაგრება და თითქოს საბრძოლველად ემზადება, ისე მიიწევს დარანის შესავალისკენ.

— იქით, იქით, გზა მოგვეცი... დარანი უნდა დავარბიოთ!

ლაყუჩა იფხორება, ჩაშავებულ კბილებს კრიჭავს და მრისხანედ უტევს მისულებს:

— გაბრუნდით, ყაჩაღებო, თორემ ახლავე უშიშას დავუძახებ!

— ჩვენ უშიშასი არ გვეშინია, ვინ არის უშიშა, გზა მოგვეცი! დასჭყივის მერცხალა, მაგრამ სიცილს ვეღარ იკავებს, მხიარულად ხითხითებს.

— მერცხალა, მერცხალა!

უცებ შესძახებს საცოდავი, გამოყეყეჩებული კალმახი და სიხარულის ცრემლს ვეღარ იკავებს, ტირის, დავაჟკაცებულ მკერდზე ეყრდნობა მერცხალას.

მორბედა ვერ ხედავს ამ სურათს, მაგრამ გრძნობს. მისი დაბინდული თვალებიც ცრემლით ივსება, ტირის გულაჩუყებული და ფრთების ფათურით მიიწევს იქით, საიდანაც ლაყუჩას ქვითინი ესმის.

— წადი, ლაყუჩავ, წადი, უშიშას დაუძახე... აი, ხომ ხედავ, მერცხალა მოგიყვანეთ!

— მორბედა, მორბედა... — ბურტყუნებს ლაყუჩა და თავგზააბნეული შეჰყურებს ხან ერთს, ხან მეორეს, ხან განზე მდგარ ჭიჭყინასა და წინწკალას, რომლებიც სადღაც უნახავს, ცდილობს და ვერ გაუხსენებია.

— მე თვითონ მოვიყვან უშიშას! — ყვირის მერცხალა და ელვის სისწრაფით მიაპობს ტალღებს.

ისევ უშიშას მკერდზე

დიდხანს არ დასჭირებიათ ლოდინი კალმახებს. მალე უშიშას უზარმაზარი ქარავანიც გამოჩნდა. ქარავანს წინ თვალებგაბრწყინებული უშიშა და ბედნიერი მერცხალა მოუძღოდნენ.

მოდიოდა ქარავანი და მოაბნელებდა მტკვრის ანკარა, მზის სხივებით გაშუქებულ სივრცეს.

კალმახთა მოდგმა არასოდეს მოსწრებია ასეთ სიხარულს.

თვალებჩამქრალმა მორბედამაც კი დაინახა უშიშას ბედნიერი სახე; დიახ, დაინახა. წამით გაიხსნა, გაშუქდა მისი მხედველობა, უშიშაც დაინახა და მის უკან მომავალი ქარავანიც...

მორბედამ არ იცოდა, ნამდვილად დაინახა, თუ ეს თვალის ცთუნება იყო. ის გაქანდა უშიშასკენ, მკერდი მკერდზე მიაყრდნო და მღელვარე ხმით უთხრა:

— მაპატიე, უშიშავ, მაპატიე ბრმასა და უბედურს. მე ხომ ჩემი დანაშაული გამოვისყიდე მერცხალას მოყვანით!

უშიშას გული აუჩვილდა.

კალმახებს ძალზე გაუკვირდათ, როცა მის თვალებზე ცრემლი შენიშნეს, ერთადერთი, ობოლი ცრემლი.

— ძმაო... — უთხრა მან მორბედას და ხმა ჩაუწყდა.

იგი დიდხანს ცდილობდა იმ ერთი ცრემლის დამალვას და დაწყებული სიტყვის მშვიდად დაბოლოებას.

— ძმაო, მართალია უბედურება გწვევია, ქვეყანას ვეღარ ხედავ, მაგრამ მაინც ბედნიერად მიმაჩნიხარ, რომ ისევ ჩვენთან გხედავ!

— უშიშავ, მართალია ვერ გხედავ, მაგრამ შენი სახე თვალწინ მიდგას, შენ სახე გიცინის...

მორბედას სუნთქვა შეეკრა, ხმა აუკანკალდა.

ორი ძველი კალმახის გულთბილ საუბარს მთელი ქარავანი სულგანაბული უსმენდა. ყველა უშიშას, მერცხალას და მორბედას შეჰყურებდა.

ერთ ხანს დუმილი მეფობდა, ყველა გრძნობდა, რომ სწორედ ახლა, ამ წამს, უშიშას რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა. მართლაც უშიშა ქარავანს გამოეყო, შეითამაშა, ამაღლდა და დაიძახა:

— კალმახებო, ჩემმა მერცხალამ სიკვდილს ერთხელ უკვე აჯობა. ვინც სიკვდილს ერთხელ დაამარცხებს, მას მტერი ვეღარაფერს დააკლებს. მერცხალა ჩემი მემკვიდრეა, მან ერთი რამ მთხოვა წეღან და უნდა შევუსრულო, აბა მომყევით, გზაში ყველაფერს გეტყვით!

კალმახები დაირაზმნენ, დამწკრივდნენ და უშიშას და მერცხალას გაჰყვნენ.

უხმოდ, პირქუშად მიაპობდა ტალღებს უშიშა. მას გვერდით აღელვებისგან სახეანთებული მერცხალა მისდევდა. მხოლოდ, მან იცოდა, თუ რატომ აიღო უშიშამ გეზი ხერთვისის სანაპიროსკენ. იქ ხომ პიონერთა ბანაკი იყო გაშენებული. აი, სწორედ იქით მიისწრაფოდა უშიშა. წეღან, გზაშივე გაუზიარა უშიშას მერცხალამ თავისი გულისნადები. მთელს საკალმახოში უძლეველ უშიშას განა გაუჭირდებოდა საყვარელი მერცხალას სურვილის შესრულება, განა ასეთი ძნელი იყო მტკვრის სათავეში მომხდარი ამბის მიტანა აქვე, სანაპიროზე, მოთამაშე წითელყელსახვევიან ბავშვებთან?

„შესძლებს უშიშა, შესძლებს“, — ფიქრობდა მერცხალა.

მის სახეს ბედნიერების ღიმი დასთამაშებდა, აქეთ-იქით მხნედ იყურებოდა და ამაყად მიაპობდა მშობლიური დედამტკვრის მღელვარე ტალღებს.

• • •

ნეტავ შესძლეს თუ არა კალმახებმა განზრახულის შესრულება?

ნეტავ გააგებინეს თუ არა პიონერთა ბანაკს თავისი გულწრფელი ხმა, უამბეს თუ არა პატარა მწყემსის და მისი მოხუცი პაპის გულისწადილი?

ჩემო პატარა მკითხველებო, კალმახებმა ფრთა შეასხეს თავის ოცნებას, მათ მიამბეს ეს პატარა ამბავი, რომ თქვენთვის გადმომეცა ამ მოთხრობის სახით.

თქვენ ხომ გული შეგტკივათ თურქეთის უღელქვეშ მგმინავი ქართველებისათვის, თქვენ ხომ გაწუხებთ თქვენი პატარა ძმების კვნესა. ხომ გესმით მათი მოწოდება?

განა მათი კვნესა ყოველ დილით ჩვენი მტკვრის ტალღებს არ ჩამოაქვთ, განა ეს კვნესა არსიანის მთიდან დაძრულ ნიავს არ მოჰყვება, რომ დედასაქართველოს თავისუფალ მთა-ბარს მოეფინოს?

დიახ, დაიჯერეთ ეს ამბავი, რომელშიც სიცრუე არ ურევია.

დაიჯერეთ და სხვასაც უამბეთ.

გრიგოლ ჩიქოვანი



გრიგოლ სიმონის ძე ჩიქოვანი დაიბადა 1910 წელს დაბა ხონში. 1922 წელს მშობლებმა ჩამოიყვანეს თბილისში, სადაც 1927 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1931 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1936 წელის დაამთავრა. 1936 წელს გაემგზავრა მოსკოვს და ორ წელიწადს სწავლობდა კინემატოგრაფიის ინსტიტუტის აკადემიის ტიპის სასცენარო ფაკულტეტზე.

გრ. ჩიქოვანის პირველი მოთხრობა „უარამან ხვინგია“ დაიბეჭდა 1934 წელს. ამ დროიდან გრ. ჩიქოვანი აქტიურ მონაწილეობას იღებს ქართულ მხატვრულ ჟურნალ-გაზეთებში. წერს მოთხრობებს და ნარკვევებს.

გრ. ჩიქოვანის პირველი მოზრდილი მოთხრობა პიონერების ცხოვრებაზე — „მეორე ოჯახი“ პირველად ჟურ. „პიონერში“ დაიბეჭდა 1953 წელის.

მეორე ოჯახი

(შემოკლებით)

როცა მიტო და ზაქრო კოლმეურნეობის კანტორაში მივიდნენ, კრება ახალი დაწყებული იყო. ოთახში პაპიროსის ბოლი იდგა. მიტომ და ზაქრომ ეს შორიდანვე შენიშნეს. ღია კარებიდან მოჩანდნენ გრძელი მაგიდის გარშემო მსხდომი გამგეობის წევრები და ბრიგადირები. მაგიდის თავში პარტორგანიზაციის მდივანი გიორგი ბებურიშვილი იდგა და მოხსენებას აკეთებდა.

— დღეს საკარმიდამო ნაკვეთებზე გორული მწვანისა და ჩინურის გაშენების საკითხი დგას, — უჩურჩულა მიტომ ზაქროს.

ბავშვები ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ კარებს და იქვე შედგნენ.

— ჩვენ კი, ჩვენდა სამარცხვინოდ, როგორც კოლმეურნეობის მინდვრებზე, ისე საკარმიდამო ნაკვეთებზე, გაშენებული გვაქვს ყველა ჯიშის ვაზზე დაბალხარისხოვანი ჯიში — ქიწნურა! — განაგრძობდა გიორგი თავისი ბოხი, მაგრამ დაბალი ხმით, — ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა ვუპასუხოთ პლენუმის დადგენილებას და არა მარტო იმით, რომ

გავზარდოთ ვენახის ფართობები, არამედ იმითაც, რომ კოლმეურნეობის ვენახებში და საკარმიდამოებზე ქიწნურას ადგილზე გავაშენოთ ქართლის ძვირფასი ჯიშები: გორული მწვანე და ჩინური. თქვენ ყველამ იცით, რომ ჩვენი ქვეყანა ამ ვაზების ყურძნისაგან ამზადებს მაღალი ხარისხის „საბჭოთა შამპანურს“.

გიორგიმ კრებას თვალი მოავლო. ყველა ყურადღებითა და ინტერესით უსმენდა.

მიტომ და ზაქრომ ერთმანეთს გადახედეს. გიორგი ვერ ამჩნევდა ბავშვებს, თორემ პირდაპირ მიმართავდა მათ.

— უნდა აეუხსნათ კოლმეურნეებს გორული მწვანისა და ჩინურის დიდი ღირსება. ყველამ როდი იცის, რომ ამ ჯიშების ყურძენში სახელმწიფო კილოში შვიდ მანეთს უხდის კოლმეურნეს, ქიწნურა კი მანეთიც არა ღირს.

— მაგ ყურძენში ეგეც არამია, — თავი ასწია კოლმეურნეობის მთავარმა ბუხჰალტერმა ვანო რჩეულიშვილმა. — მე რომ მკითხო, მაგ ყურძნის ღვინო არც არის დასალევი.

— სუფრაზე რომ არ გახსოვს ეგა და ყანწს ყანწზე სცლი ხოლმე? — მიუგო ვანოს მიტოს მამამ ნიკომ.

— სუფრაზე?.. — დაიბნა უცებ ვანო. — სუფრაზე თუ სხვა ღვინო არ არის, მასპინძლის ხათრით ქიწნურას კი არა, შხამს დალევს კაცი...

გიორგის გაეღიმა, მოეწონა ბუხჰალტრის პასუხი.

— რითი სჯობს შხამს ქიწნურა, ამხანაგებო?

— წელი და მუხლი ჩვენი აღარ არის მაგ ტიალის გამო, — წვერზე ხელი დაისვა პაპა ტიმოთემ.

— ჩვენ ყოველნაირად შევუწყობთ ხელს იმ ,ით, ვინც გორულ მწვანესა და ჩინურს გააშენებს, — აიღო სიტყვა თავმჯდომარემ. — სხვაგან თუ ამ ჯიშების ერთ ძირ ნამყენს სამ მანეთად ჰყიდიან, ჩვენ ჩვენი სანერგიდან მანეთად მივცემთ. მოვამარაგებთ შაბიამნით, გოგირდით, კირით, სასხურებელი მანქანით, დავეხმარებით ნაკვეთის გადახვნაში. მეტი რა გინდათ, ხალხო?..

კრება დიდხანს არ გაგრძელებულა.

როცა ბავშვები კოლმეურნეობის კანტორიდან ეზოში ჩამოვიდნენ, იქ აღარავინ იყო. მხოლოდ კოლმეურნეობის დარაჯი იდგა ჭიშკართან.

— საღამო მშვიდობისა, პაპა ზაზა!

— საღამო მშვიდობისა, პაპა ზაზა!

მიესალმნენ მიტო და ზაქრო ზაზას.

— მშვიდობა მოგცეთ, შვილებო, ღმერთმა! — გაუღიმა ზაზამ ბავშვებს. — თქვენც კრებაზე იყავით, ბალღებო?

— კრებაზე ვიყავით, პაპა ზაზა. — უპასუხა მიტომ.

— იქნება ახლა მაინც ამოუვარდეს ძირი იმ წყეულ ქიწნურას.

— ამოუვარდება, პაპა ზაზა.

— მე ამ ოცი წლის წინათაც ვამბობდი, რომ ამოსაგდები იყო, — მიმართა ზაზამ ზაქროს. — მაგრამ პაპაშენმა, გიგიამ, უბად ამიღო, შენ რა გესმის ვაზისა და ღვინის, ევროპიტაური სვეო. ახლა რას იზამს ნეტავი გიგია?

— რასაც სხვა იზამს, პაპა გიგიაც ისე მოიქცევა, — უთხრა ზაქრომ.

— არა, გიგიას გატეხა ადვილი არ არის. ჯიუტი კაცია პაპაშენი, ზაქრო. წადით, წადით, შვილებო, გვიანია უკვე, — გაეღო ზაზამ ჭიშკარი ბავშვებს, თან ტყაპუჭის ჯიბიდან ერთი მუჭა კაკალი ამოიღო. — მე არ მარგია ჩემი ბებერი კბილების პატრონს.

— გმადლობთ, პაპა ზაზა!

— რატომ წუხდებით, პაპა ზაზა!

მიტომ და ზაქრომ კაკალი გამოართვეს და ორღობეში გავიდნენ. ისინი ერთ ხანს დაფიქრებული მიდიოდნენ. ორივე გიგიაზე ფიქრობდა.

* * *

კოლმეურნეობიდან მომავალმა ზაქრომ და მიტომ შორიდანვე შენიშნეს ჭიშკართან მჯდარი პაპა გიგია და ილო. ისინი აქ ხშირად შუალამემდე საუბრობდნენ ხოლმე.

ბავშვები დაინახა თუ არა, გიგია შვილიშვილისაკენ მობრუნდა.

— რად დაგაგვიანდა, ზაქრო? — ჰკითხა გიგიამ ზაქროს. — სადა ხარ აქამდე?

— გამგეობის კრება იყო, პაპა. ვანო ძიას არ ეცალა, — უთხრა ზაქრომ პაპას და ახლო მივიდა, ილოს მიესალმა. — მე და მიტო ერთად ვიყავით, პაპა.

ილომ მიტოს შეხედა. იგი მიტოს მამის — ნიკას ბრიგადაში მუშაობდა.

— ჰო, დღეს მამაშენი ამბობდა, ბიჭო, ქიწნურას ადგილზე გორული მწვანე და ჩინური უნდა გავაშენოთ საკარმიდამოზეო. კრებაც ამის თაობაზე უნდა ყოფილიყო.

— ჰო, ძია ილო, ამ საკითხს იხილავდნენ კრებაზე, — უთხრა მიტომ ილოს.

— რა საკითხსა?! — გაიკვირვა გიგიამ.

— ყველა საკარმიდამო ნაკვეთზე უნდა ამოძირკვონ ქიწნურა და გორული მწვანე და ჩინური გააშენონ, — უპასუხა ზაქრომ პაპას.

— ვინა თქვა? — შუბლი შეიკრა გიგიამ. — ჩემს საკარმიდამოზე მე ქიწნურა მექნება თუ გორული, ვის რაში ეკითხება.

ზაქრომ და მიტომ ერთმანეთს გადახედეს. არაფერი უპასუხეს გიგიას. ახლა მასთან ამ საკითხზე ლაპარაკი უნაყოფო იყო.

ილო წამოდგა, გამოემშვიდობა მეზობელს და თავის ეზოში შევიდა.

დიდხანს ისხდნენ ჩუმად პაპა და ბავშვები. ილოს სახლის ფანჯრებში სინათლე ჩაქრა.

სოფელს ეძინა. მთვარე კარგა ხნის ჩასული იყო. სიწყნარეს ორღობეში დარჩენილი საქონლის ფეხის ხმა არღვევდა.

— რაო, რას ვერჩითო ქიწნურას?! — თავი ასწია გიგიამ. მისი სახე მოღუშული და მკაცრი იყო.

— გორული მწვანე და ჩინური კარგი ჯიშებიაო, პაპა. ეგ ვაზი თურმე მეტ მოსავალს იძლევა და ღვინოც უკეთესი დგება, — ახლო დაუჯდა ზაქრო პაპას, მხრით ეხებოდა მის მკლავს, ესმოდა მისი სუნთქვა. იგი პაპასთან შეთამამებული იყო, არ ერიდებოდა მისი. ახლაც თორმეტი წლის ბიჭი ხშირად დაუჯდებოდა მუხლზე ისე, როგორც რვა-ცხრა წლის წინათ, ახლაც ჩამოუსვამდა ხელს თამბაქოს ბოლის სუნით გაღენთილ წვერზე, სახით მიეკვრებოდა მის ლოყას, მაგრამ ახლა პაპა ისე ცივი ეჩვენა და ისე გაუბედავად ელაპარაკებოდა, თვითონაც უკვირდა, ეს რად მემართებაო. — გორული მწვანე და ჩინური ჯიშის ყურძენი ქიწნურაზე შვიდჯერ მეტი ღირს, პაპა.

— მე იქნებ სულაც არ ვყიდი ყურძენს?

— სხვები ხომ ჰყიდიან, პაპა?

— შარშან დეიდა მელანომ ტონა-ნახევარი ყურძენი გაყიდა, — შეაშველა სიტყვა მეგობარს მიტომ.

— მე არასოდეს არ გამიყიდია ყურძენი და არც გავყიდი, — უთხრა ჰიტოს გიგიამ. იგი არ უყურებდა ბავშვებს.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— არც ღვინო ვარგებულა ქიწნურასი, პაპა, — დაიწყო დუმილის შემდეგ ზაქრომ.

— ჰმ! მაგ ღვინოსა სვამდა მამაჩემი, პაპა, პაპის პაპა.

— პაპა, შარშან მელანოს ტონა-ნახევარი ქიწნურას მაგივრად გორული მწვანე რომ გაეყიდა, იმ ფულით ერთ სახლს აიშენებდა.

— წადი, დაიძინე! — შეუწყარა გიგია შვილიშვილს.

ბავშვები მაშინვე წამოდგნენ. მიტო უსიტყვოდ დაეშვიდობა ზაქროს და შინ გასწია. ზაქრო ეზოში შევიდა.

გიგია კიდევ დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული. თვალწინ წარმოუდგა ის დღე, თინასთან ერთად ქიწნურა რომ ჩაყარა. რა სიხარული ედგა გულში მაშინ თინას, როგორ უბრწყინავდა თვალები.

* * *

კრების დამთავრების შემდეგ სკოლის ეზოში გამოსული ბავშვები ჯგუფ-ჯგუფად იშლებოდნენ. ვინც სოფლის ერთ უბანში ცხოვრობდა, ერთად გროვდებოდნენ.

ზაქრო, მიტო, ნათია და ლევანი ერთ უბანში ცხოვრობდნენ. სანამ თეშშარიდან გადაუხვევდნენ და შინისკენ მიმავალ ორღობეში შეუხვევდნენ, მათთან ერთად ათამდე ბავშვს ჰქონდა გზა. ახლა ისინი ყველანი ერთად მიდიოდნენ.

ბავშვები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ. გივი მოწონელიძე ჯგუფის შუა მიაბიჯებდა. ისე მიდიოდა და ისე მიჰქონდა თავისი ჩასკვნილი მხრები, გეგონებოდათ მოზვერი ხბორებს მიუძღვისო.

გივი ღონიერი და ტლანქი ბიჭი იყო. ჩხუბში თუ პირველ დარტყმას დაასწრებდა მოწინააღმდეგეს, ერთი შეპოკვრით წააქცევდა. ჭიდაობაში თუ წელში შეუვარდებოდა, ან ზურგზე მოიკიდებდა, რა გინდ ძლიერი ფალავანი ყოფილიყო, გივი მას ორივე ბეჭით დააკრავდა მიწას. გულკეთილი იყო, მაგრამ სადაც ნებით ვერ გაიტანდა თავისას, იქ მუშტით გაჰქონდა.

იმდენი მაინც არ შეეძლო, რამდენსაც ტრაბახობდა. ტრაბახში ზომიერება არ იცოდა, მაგრამ ყველასთან ვერ ბედავდა ტრაბახს. ყველაზე მეტად ნათიასი ერიდებოდა. ნათია მაშინვე დაიჭერდა ტყუილში და იქვე საჯაროდ ამხელდა, დასცინებდა.

— ჩვენ რომ ქიწნურა გვქონდეს გაშენებული, ისე აღოვძირკვავდი ვაზს, რომ მამას არც კი დაველითხებოდი! — მისთვის ჩვეული თავმომწონებით ტრაბახობდა გივი. მას წელან ეზოდან გამოსვლისას მოეჩვენა, თითქოს ნათია და ლევანი წინ წავიდნენ, და ამიტომ ახლა გაბედულად ბაქიობდა. — შინ მე მეკითხებიან ჭკუას.

— ვინ! ფისო და მურია?

მოესმა გივის ნათიას დამცინავი ხმა და იმავე წამს, თითქოს იღლიიდან ამოუძვრაო, გვერდზე ამოუდგა ნათია. გივისთან იგი ისეთი მლივი, ერთი ციცქნა მოჩანდა, გაგიკვირდებოდათ, ამოდენა ყმაწვილს მისი როგორ ეშინიაო.

— ფისოებთან და მურიებთან შენა გაქვს, ალბათ, საქმე! — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა გივიმ. უნდოდა ამ აბეზარი გოგონასთვის მხარი გაეკრა, მაგრამ ნათიას გვერდით მიტო და ზაქრო მოდიოდნენ. ესეც რომ არ ყოფილიყო, გივი მაინც ვერ შებედავდა ნათიას რამეს. ნათიას სკოლის დედოფალს ეძახდნენ და გივის ამ დედოფლის ერთ-ერთ რაინდად მოჰქონდა თავი. იგი ნათიასათვის წყალში და ცეცხლში ისე გადავარდებოდა, არც დაფიქრდებოდა.

გივის უკან მისი ჯგუფხელი — ჭაბუკა ხიზანიშვილი მოდიოდა. ჭაბუკა გამხდარი, მაღალი ტანის, სუსტი აგებულების ყმაწვილი იყო. მის პირს გაჩერებულს ვერ ნახავდით. ისე უყვარდა ჭამა, ამხანაგები ეხუმრებოდნენ, ჭაბუკა, ალბათ, ძილშიაც ჭამსო. ჯიბეები და ჩანთა ყოველთვის საჭმელით ჰქონდა გამოტენილი. ხან ხორცის სუნი უდიოდა, ხან თევზის და ხან ერბოსი. მთელი სკოლა მუცელღმერთას ეძახდა.

ახლაც პირი პურითა და თევზით ჰქონდა გამოტენილი. ლუკმა რომ ჩაყლაპა, თავისი გრძელი კისერი კიდევ უფრო წაიგრძელა და მწივანა ხმით წამოიძახა:

— რას ამბობ, ნათია! გივის ფისოსთან და მურიასთან კი არა, ვეფხვებთან აქვს საქმე. იცით რა მითხრა გუშინ, ბიჭებო? მე და მამა კვირას სანადიროდ ვიყავით, ბებრის ციხესთან შემოგვაღამდა და იქ ძუ ვეფხვს წავაწყდითო...

— რაო?!

— ვეფხვსაო?!

ატყდა სიცილ-ხარხარი.

— ეს რა მოუჩმახავს?

— იქნებ მოკლა კიდეც!

— მუშტით მოკლავდა.

გივი სირცხვილისაგან ისე ახვნეშდა, ისე დაიბნა, რომ შებარბაცდა კიდეც. ნათიას შეებრალა, ხელიც კი მოჰკიდა მკლავზე.

— ჭაბუკა! — შესძახა ნათიამ მკაცრად.

ჭაბუკას შიშისაგან ტანში გაბურძგლა. ყბა გაუშეშდა, დაუღეჭავი ლუკმა პირში შერჩა.

— ისე ყარხარ თევზით, რომ ყვავს ჩამოაგდებ ხიდან. გადააგდე! — უბრძანა ნათიამ ჭაბუკას.

ჭაბუკამ ცივად ამოიღო ჯიბიდან დამარილებული თევზის ნაჭერი და გადააგდო, მაგრამ გული თან გადააყოლა. წარმოიდგინა, როგორ გავხვეოდა თევზის ნაჭერი მტვერში, როგორ დაადგამდნენ მის უკან მომავალი ბავშვები ფეხს.

გივი გალურსული მიაბიჯებდა. „მოდი, მოვბრუნდები და ჭაბუკას ერთს მაგარს ვუთავაზებო“, გაიფიქრა ბოღმისაგან გაგუდულმა. მაგრამ გულმა ნება არ მისცა. ჭაბუკა თავის ამხანაგებში ყველაზე უფრო უყვარდა, თან ეცოდებოდა, რომ იგი სუსტი და გამხდარი იყო.

ორღობის თავში პირველი ნათია შეჩერდა.

— ღამე ნებისა, ბავშვებო! — უთხრა ამხანაგებს. მერე ეშმაკური ღიმილით გადახედა გივის. — ფრთხილად იარეთ, გზაში ვეფხვები არ დაგეცეთ! — თქვა და შეტრიალდა.

წინ მიმავალ ნათიას ზაქრო, ლევანი და მიტო გაჰყვნენ. ისინი ერთ

ხანს ჩუმად მიდიოდნენ და ყურს უგდებდნენ თემშარაზე დარჩენილ ამხანაგების ხმამაღალ ლაპარაკს.

— რამდენი თვალი ჰქონდა, გივი, იმ შენს ვეფხვს?

— ჭაბუკას რომ შემოეყაროს ის ვეფხვი, სანაძლეოს ვდებ, პირს არ ახლებს, რაც ჭაბუკას ჯიბეებში საჭმელი აქვს, ისიც ეყოფა გასაძღომად!

— გვითხარი, ტარიელ, რა იქნა ის შენი ვეფხვი?

— არა ჰგავს ჩვენი გივი ტარიელს თუ?

— ხაა!.. ხა!.. ტარიელიც არის და ყარამან-ყათილიც!

ამხანაგების ხმა თანდათან უფრო შორიდან ესმოდათ მიტოს, ზაქროს, ნათიასა და ლევანს და, როცა სულ მიწყდა, მიტომ ღიმილით თქვა:

— მტერი ჩავარდა მაგათ პირში.

— გივი მაინც ვერ ისწავლის ჭკუას, — შეანელა ნაბიჯი ნათიამ, რომ ზაქრო გათანასწორებოდა, — ხომ მართალს ვამბობ, ზაქრო?

ზაქრომ ხმა არ გასცა. იგი თავისი ფიქრებით იყო გართული, არც ამხანაგების ლაპარაკისთვის დაუგდია ყური და არც ნათიას შეკითხვისათვის.

წამით უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ორღობეში მხოლოდ პატარა მეგობრების ნაბიჯების ხმა ისმოდა.

— უნდა მოვაშლევინოთ ტრაბახი გივის, — დაარღვია სიჩუმე ლევანმა.

— მეტი არაა შენი მტერი, — მიუგო ნათიამ და კვლავ ზაქროს მიუბრუნდა, — რა დაგემართა, ზაქრო, ენა მუცელში ჩაგივარდა? პასუხს რატომ არ მაძლევ?

— მე მკითხე რამე? — მობრუნდა ზაქრო ნათიასაკენ.

— გივი ტრაბახს ვერ მოიშლის-მეთქი.

— შენ გივის კი არა, ეშმაკს მოარჯულებ.

— ვითომ რადაო?

— ბიჭოს, ეს რა კარგი აზრი დამებადა! — წამოიძახა მიტომ. — მხოლოდ ნათია გადააჩვევს გივის ტრაბახს. მოდი, ლევან, ნათია მივამაგროთ გივის!

— მივამაგროთ კი არა! — აიმრიზა ნათია.

— თუ საბჟო დაგავალებს? — ისე ჰკითხა ლევანმა, თითქოს ეს საქმე უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა საბჟოს.

— მე ისედაც ვეჯავრები გივის. არ მივემაგრები.

— კი არ ეჯავრები, რიდი აქვს შენი, — უთხრა ზაქრომ ნათიას.

— რიდი კი არა! — თან შეიფერა და თან უარჰყო ზაქროს აზრი ნათიამ. — გივი ტრაბახაც არის და მშიშარაც.

— არა, ნათია, შენ ცდები, — ეწყინა გივის გაბიაბრუება მიტოს. — გივი და შიში? ეს ვინა თქვა?

— მაშ ჩემი რად ეშინია. კი არ ერიდება, ეშინია. დიახ! მე რა საფრთხობელა მნახა? — აპილპილდა ნათია. — საბჭომ კი არა, რაიკომ-მაც რომ დამავალოს, მე მას არ მივემაგრები. მაშ საბჭოც საფრთხობელად მთვლის, არა?

— ნუ ახტი და გადახტი შენებურად, — დარიგების კილოთი დაიწყო ლევანმა. — გივი გულკეთილი და ამხანაგებისთვის თავდადებული ბიჭია. მეგობრისთვის ანთებულ საკირეში გადავარდება. ის შენ პატივს გცემს, უყვარხარ როგორც კარგი მეგობარი და ხათრი აქვს შენი. შიშით შენ კი არა, შენისთანა საფრთხობელა ოცი რომ დაუყენო წინ, წარბს არ შეიხრის. მაშ ასე, საბჭოს მორიგ კრებაზე განვიხილავთ ამ საკითხს, — თქვა ლევანმა და თავის ეზოს ჭიშკრისაკენ გადაუხვია, — მშვიდობით, ბიჭებო!

— ამას უყურეთ ერთი, ბიჭებო! მე რა, თვალში გეპატარავები? — გაიქილიკა ნათიამ.

— მშვიდობით, საფრთხობელავ! — ლევანმა ჭიშკარი შეაღო და იქიდან დაუძახა ნათიას. იცოდა, ნათია არ შეარჩენდა — ან კენჭს ესროდა, ან უჩქმეტდა, ან ქოჩორს ჩამოუშლიდა.

ჭიშკარმა მაინც ვერ დაიფარა. კენჭმა წკაპანი გაადინა მის კეფაზე.

— აგრე, — გაისმა იმავ წამს ნათიას ხმაც. — მოგხვდა კინკრიხოში?

შემდეგი სახლი მიტოსი იყო და, როგორც კი ის თავის ეზოში შევიდა, ნათია ზაქროს მიუბრუნდა.

— მე ვიცი, ზაქრო, რატომ ხარ შენ დაღონებული.

ზაქრომ თავი ასწია. უბრად შეხედა ნათიას.

— საიდან მოიტანე, რომ მე დაღონებული ვარ?! — შეეკითხა ყრუ ხმით.

— განა ვერა ვხედავ! მე რას მიმალავ?.. — მამამ მითხრა, პაპა გიგია ქიწნურას არ ამოძირკვავსო.

— ჰმ! — მოჩვენებითი გულგრილობით ჩაიცინა ზაქრომ. — ნუ ამოძირკვავს, რა...

ნათიამ გაკვირვებით შეაცეცა თვალი და ეშმაკურად ჩაიღიმა. რას გამოაპარებდა მას კაცი.

— ზაქრო, ჩვენ ერთმანეთთან დასამალი რა გვაქვს, — დაიწყო დამრიგებლური კილოთი. მისი სახე სერიოზული და დაფიქრებული იყო, — მე მეგონა, შენ... — გაჩუმდა, ვერ პოულობდა საჭირო სიტყვას, — პაპა გიგიას ერთი უარი გულს არ გაგიტეხდა. ასეთ პატარა საქმეზე თუ ჩამოუშვი ცხვირი...

— პატარა! — თავი ვერ შეიკავა ზაქრომ და ბოლმით წამოიძახა: — შენთვისაა პატარა საქმე. აბა, ერთი მეც მკითხე, — გაჩუმდა, ერთ ხანს თავდახრილი მიდიოდა ნათიას გვერდით, — მთელი სოფელი გააშენებს გორულ მწვანესა და ჩინურს. შენ რა გენაღვლება, რა! შენ კალო გალეწილი გაქვს, მე ვიკითხო, თორემ... რას იტყვიან ჩემზე!

— რა უნდა თქვან შენზე, ზაქრო? განა პაპა გიგიას აბბავი არ იციან?

— მამშვიდებ, არა? — საყვედური გაისმა ზაქროს ხმაში. — პაპა გიგია რა შუაშია. ჩემზე იტყვიან, არ ივარგეო.

ნათიამ კვლავ შეანათა თვალები ზაქროს და ისეთი ცნობისმოყვარეობით შეაჩერდა, თითქოს არ სჯერა მისი ნათქვამიო.

— აი, შენ თურმე რაზე სწუხარ! — თქვა ნათიამ შემკრთალი ხმით.

ზაქროს არ მოეწონა ნათიას კილო. მობრუნდა მისკენ.

— რაზე?

— შენზე იტყვიან, არ ივარგაო.

— თორემ, შენმა მზემ, შენ არ შეწუხდებოდი ამაზე, — ნიშნისმოგებით უთხრა ზაქრომ.

— არა! — მტკიცედ მიუგო ნათიამ. — მე იმაზე შევწუხდებოდი, რაზმეულისა და კოლმეურნეობის დავალებას თუ ვერ შევასრულებდი. ის კი არაფერია, რას იტყვიან ჩემზე... ზაქრო, მე არ მეგონა, თუ შენ ასეთი იყავი.

— შენ რომ არა ხარ „ასეთი“, იმიტომაც გითხრეს წელან, საფრთხობელა ხარო!

— მე მირჩევნია საფრთხობელა დამიძახონ, ვიდრე შენსავით მხოლოდ ჩემს თავზე ვიფიქრო.

— ჩემს ადგილზე შენც ასე იფიქრებდი.

— პიონერი ასე არ უნდა ფიქრობდეს, ზაქრო.

ზაქრო წამოწითლდა.

— იცი რა, ნათია! ჭკუას ნუ მასწავლი. მე ჩემი ჭკუაც ძეყოფა. შენ მანამ პურს ნუ ჭამ, სანამ მე შენს ჭკუას ავყვე. შენ ის დაარიგე, ვისთანაც მიგამაგრებენ!

— დავარიგებ და გამიგონებს კიდეც.

— ჰოდა, იმას მოუარე, ვინც გაგიგონებს. მე რასა ვფიქრობ, შენ ამას არავინ გკითხავს!

— როგორ თუ არავინ მკითხავს?.. მოვალეობა?!.

— „მოვალეობა“, — გაიმეორა ნათიას კილოზე ზაქრომ. — შენ ყველაფრის მოვალე ხარ. სადაც არა გკითხავენ, ყველგან ცხვირს ჰყოფ. რატომ არ ეტევი შენს კანში?!

— გრცხვენოდეს, ზაქრო... — გული აუჩვილდა ნათიას, ხმა გაებზარა, — მე შენთვის კარგი მინდოდა... შენ კი... სწორედ რომ არ და-

ვეტევი ჩემს კანში. საბჭოს სხდომაზე ვიტყვი შენს ამბავს. — ისევ შეავლო თვალი ზაქროს. — აი, თურმე რანაირი ყოფილხარ! შე მართლაც „ანგარიშა“, შენა!

— არ მოგწონვარ?

— ძალიან მოსაწონი ხარ!

— შავებს ჩავიცვამ, შენ თუ დამიწუნე.

— მე კი ჩავიცვამ შენზე შავებს, მანამ შენ ასეთი იქნები.

— მე ყოველთვის „ასეთი“ ვიქნები! — მკვახედ მიახალა ზაქრომ.

— არა, არ იქნები „ასეთი“. ზაქრო, შენ არ უნდა იყო ასეთი. მე უსათუოდ ვიტყვი რაზმის საბჭოს სხდომაზე შენს ამბავს.

— რაო! — შეიკრა შუბლი ზაქრომ, სიბრაზისაგან ხელები დაემუშტა. — იტყვი და მიიღებ კიდეც.

ნათია ისე გამომწვევად შეიმართა, ისე დამცინავად შეჰყურებდა შეურაცხყოფისაგან გაგულისებულ ზაქროს, რომ ზაქრომ არ იცოდა, რა ექნა, როგორ მოერიდებინა მისთვის სახე. მუშტებს მთელი ძალით კუმშავდა, რომ თავი შეეკავებინა და არ გაერტყა მისთვის.

— „მიიღებ კიდეც!“ ჰმ! — ჩაიცინა ნათიამ. — მომერევი?

— არ იცი, რო, — წაიბურდღუნა ზაქრომ და მუშტები გაშალა.

— ყოჩაღ, აი რითი მაშინებ!

— რად მინდა შენი შეშინება, — დარცხვენით წაილუღლუღა ზაქრომ.

ნათია მოლბა, დამცინავი ღიმილი გაუქრა სახეზე.

— მე დაპირებული ავტოკალამი მოგიტანე, ზაქრო, მაგრამ... — ნათია ვერ პოულობდა სიტყვებს. იგი პირველად გრძნობდა ამხანაგთან თავს ასე დაბნეულად. შერცხვა თავისი გულჩვილობისა. — მაგრამ არ მოგცემ...

— შენთვის შეინახე შენი ავტოკალამი. გორში რამდენიც გინდა, იმდენი იყიდება მაგისთანა კალმები...

— დიახ, სწორედ! ვერ მოგართვეს. გორში მოსკოვის ქარხნისა იყიდება. ჩემი კი ლენინგრადისაა, დახურული კალმით.

— ოქროს კალამიც რომ იყოს, შენი მაინც არ მინდა, — უთხრა ცივად ზაქრომ და კეფაზე ქუდი შეისწორა, — იცოდე, მე გამოსასწორებელი არაფერი მჭირს. გირჩევნია ენას კბილი დააჭირო.

ზაქროს ხმაში მუქარის კილო აღარ ისმოდა, მისი სიტყვა უფრო თხოვნას ჰგავდა.

— რაც შეეხება ვენახს, პაპამ თუ არ ამოყარა, მე თვითონ მოვუვლი...

— რას ამბობ, ზაქრო?! — შეიცხადა ნათიამ. — პაპა გიგიას არ დაეკითხები და ისე ამოჰყრი?!

— თუ პაპამ არ შემისრულა თხოვნა, ამოვყრი, მა რას ვიზამ,— უთხრა ზაქრომ და კვლავ შეისწორა ქუდი, წასასვლელად შებრუნდა.

— დაიცა, ზაქრო! — მკლავში ხელი სტაცა ნათიამ. — შენ ხუმრობ...

— რა მაქვს სახუმრო!

— როგორ თუ ამოძირკვავ...

— ეს მე ვიცი, როგორ ამოვძირკვავ.

— არა, არ იცი, ზაქრო. ამოიღე თავიდან ეგ ახირებული ფიქრი. შენ რომ ეს გააკეთო, ეგ ნალი მთელ ჩვენს რაზმს მოხვდება. სად გამოგვეყოფა მერე თავი? რა თვალით შეეხედოთ ხალხს? რას ეტყვი რაზმეულს, ამხანაგებს?!

— ეგ შენი საქმე არ არის! ხომ გითხარი, ენას კბილი დააჭირე-მეთქი. მე რასაც გავაკეთებ, ამაზე პასუხსაც მე ვაგებ და არა შენ და რაზმეული. ჩემით ჯერ ნალი არავის მოხვედრია. შენ რა გული გიდგეს ნეტავი. ძაან გაგილესია ენა ამალამ, — მუქარით შეუბღვირა. — არ დამანებებ თავს?

— არ დაგანებებ სწორედ!

— ნათია... იცოდე ინანებ...

— ჰმ!.. ვინანებ! კუდზე ფეხი არ დამადგა! ვნახოთ ვინ ინანებს, მე თუ შენ!

— აქეთ მემუქრები კიდევაც?!

— აბა რა გეგონა, შენ თუ მოკლე თოკით არ დაგაბეს, ისე გახვალ თავს, რომ მალე...

— თოკით დასაბამი შენა ხარ, შე მწყერიფრენიავ, შენა!..

— ზაქრო!.. — წამოიძახა შეურაცხყოფისაგან ანთებულმა ნათიამ. მეტი ვერაფერი თქვა, სიტყვა გაეწყდა, ტუჩებზე დააკვდა.

— მოგხვდა გულზე! — ნიშნის მოგებით მიუგო ზაქრომ და შეტრიალდა, ზურგი შეაქცია, რომ არ დაენახა ნათიას ცრემლით სავსე თვალები, ჭიშკრისაკენ გაემართა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, გულმა არ მოუთმინა და მოიხედა.

ნათია გარინდული იდგა ჩამავალი მთვარის შუქით გადათეთრებულ გზაზე, სახეზე ადამიანის ფერი არ ედო. ვერ იკავებდა ტანში შემჯდარ თრთოლვას, ცრემლით სავსე თვალები გაოცებით და ნაღვლიანად მიეცეცებია ზაქროსათვის. ვერ გაიგებდი რით იყო გულნატკენი, იმით, რომ მწყერიფრენია უწოდა ზაქრომ, თუ ზაქრო ეცოდებოდა, რომ ის ასეთი უკმეხი, პატივმოყვარე და თვითნება იყო.

„არა, არ შეიძლება, ზაქრო ასეთი იყოს. ხვალ ის ასეთი აღარ იქნება, მე ვიცი ის ასეთი აღარ იქნება. მე მართლა მწყერიფრენია ვარ. რას ჩავაცივდი ასეთ ცხელ გულზე“...

გაიჭრიალა ზაქროს ჭიშკარმა. ნათია მობრუნდა.

— ძილი ნებისა, ზაქრო! — დაუძახა ზაქროს ისე, თითქოს მათ შორის არაფერი მომხდარიყოს.

ზაქრომ არ უპასუხა.

„რა ვუყოთ მერე? მე ვაწყენინე. ხვალ შემირიგდება. ვნახოთ, თუ არ შემირიგდება, მე შევურიგდები თვითონ. ვაზს კი არ ამოვაძირკვინებ“. შეირბინა თავის ეზოში. რამდენიმე ნახტომით ავიდა აივანზე და, სანამ ოთახის გამოღებულ კარებში შესხლტებოდა, ზაქროს სახლისაკენ მოიხედა. მაგრამ ზაქრო უკვე შესულიყო სახლში.

* * *

მეორე დილით, ნათია სკოლაში რომ მივიდა, მზე ამაღლებული იყო. პირველი გაკვეთილის დამთავრების ზარი უკვე დაერეკათ, ბავშვები გარეთ გამოფენილიყვნენ და ეზოში ყივილ-ხივილი და ერთი ორომტრიალი იდგა. ერთად თამაშობდნენ გოგოები და ბიჭები. ზოგი ორძელზე ტრიალებდა, ზოგი რგოლებზე ვარჯიშობდა. ხტებოდნენ სიმაღლეზე, სიგრძეზე. აქ ლახტი გაეჩაღებინათ და ქამრებს ჰაერში ზუზუნი და წივილი გაჰქონდა, იქ ოთურმას გადადიოდნენ. ყველა კლასის ბავშვები ერთად ირეოდნენ.

ნათიას დღეს პირველად დააგვიანდა სკოლაში და ისიც მთელი ერთი საათით. რაც სკოლაში სწავლობს, ერთხელაც არ გაჰხდარა ავად და არ გაუცდენია გაკვეთილი. „დღეს რა დამემართა, რამ დამაძინა ასე მკვდარივით!“ ფიქრობდა იგი შეშფოთებით. ისე მიდიოდა სკოლისაკენ, რომ ფეხები უკან რჩებოდა. ქუჩიდან დაინახა აივანზე გამოფენილი მასწავლებლები. „აი კლასის ხელმძღვანელი — ქეთევან მასწავლებელი, აივნის ბოძზე მიყრდნობილი მზეს მიფიცხებია. რა უნდა ვუთხრა? დამეძინა-თქო, ხომ ვერ ვეტყვი?!“

ნათია ჭიშკრიდან არ შევიდა ეზოში. იქ მასწავლებლებიც დაინახავდნენ და ბავშვები ხომ ყოველი მხრიდან შემოესეოდნენ. რად დაიგვიანეო, მიაყრიდნენ კითხვებს.

ერთგან ღობეში ამოგდებული სარი ეგულებოდა. იქით გასწია. რვეულები უბეში ჩაიდო და ისე სწრაფად გაძვრა სარებშუა, რომ არავის დაუნახავს.

ამ დროს მიტო ორძელიდან ჩამოხტა და ზედ ნათიას ცხვირწინ დასკუპდა ხელგაშლილი.

— ნათია! — გაკვირვებით შეხედა შეცბუნებით მდგარ ნათიას. — საიდან გაჩნდი აქ, რად დაგაგვიანდა?!

— წუხელ სულ არ მიძინია, — უთხრა დაუფიქრებლად ნათიამ და თვითონვე ეუხერხულა თავისი პასუხი.

— რამ გაგიტეხა ძილი?

— არ ვიცი, არ დამეძინა!

— მაინც რატომ არ დაგეძინა?

ნათიამ შუბლი შეიკრა.

— რას ჩამაცივდი, მიტო! არ დამეძინა და ეგ იყო! — თვალი მიმოავლო ეზოს. — ზაქრო სად არის, არ იცი?

— არ ვიცი, — მკვახედ მიუგო ნათიას პასუხით ნაწყენმა მიტომ,— არ მოსულა.

— არ მოსულა? — შეკრთა ნათია.

— რა დაგემართა, გოგო? რა უცნაურად იქცევი!

— რა უნდა დამმართოდა ვითომ! იცი რა, მიტო, მოდი, მეც არ მოვალ დღეს სკოლაში. რა მოხდა, ერთ დღეს გავაცდენ, — თქვა და ღობისაკენ მიბრუნდა, რომ უკანვე გამძვრალიყო.

— დაიცა ნათია, ხელი მოჰკიდა მიტომ ნათიას, ვერ გაეგო მისი საქციელი. ნათია ღელავდა, ნერვიულობდა და რაღაცას მალავდა. — მითხარი, რა მოხდა. ზაქროს ხომ არაფერი მოუვიდა?

— რა უნდა მოსვლოდა ზაქროს? — უპასუხა დამშვიდებული ხმით ნათიამ, მაგრამ უმალვე უკუაგდო თავისი მოჩვენებითი სიმშვიდე. — იცი რა, მიტო?

— არ ვიცი!

— მე მაბეზღარა არასოდეს არ ვყოფილვარ... და არც ვიქნები, მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრა.

— მითხარი, რა გული გამიწვრილე! — მოთმინება დაკარგა მიტომ.

— წუხელ, შენ რომ დაგვშორდი, ზაქრომ მითხრა: თუ პაპა ქიწნურას არ ამოჰყრის, მე თვითონ მოვუვლი მაგ საქმესო.

— რა საქმეს?

— ვაზს მე თვითონ ამოვყრიო.

— იხუმრებდა!

— იხუმრებდა კი არა!.. ამას რომ ამბობდა, ადამიანის ფერი არ ედო! — ნათია წამით შეჩერდა. გადაწყვიტა, მეტი არაფერი ეთქვა ზაქროს შესახებ. „თუ საჭირო იქნა, რაზმის საბჭოზე ვიტყვიო“, გაიფიქრა. — სკოლაში დღეს იმიტომ არ მოვიდა ალბათ, — განაგრძო ნათიამ, — ვითუ უკვე ვენახს თხრის.

ნათიას თვალწინ ედგა მკლავებდაკაპიწებული ზაქრო ვენახში. ფესვებიანად ამოგლეჯილი ვაზი პანტაპუნტით ცვიოდა მარჯვნივ და მარცხნივ. გაოფლიანებული, ქოჩორჩამოშლილი და მიწით ხელებდასვრილი ზაქრო თხრიდა და თხრიდა ვაზს.

— წამოდი, მიტო, მივესწროთ ზაქროს! — წამოიძახა ნათიამ და სწრაფად დაიხარა, რომ ღობეში გამძვრალიყო.

— დაიცა, ნათია! — შეაჩერა მიტომ. — არ არის საჭირო ჩვენი წასვლა. ზაქრო ასე არ აჩქარდება. — ეს ისეთი დაჯერებით თქვა მიტომ, რომ ნათია შეყოყმანდა.

გაისმა ზარის წკრიალი. შეწყდა ბავშვების ჟივილ-ხივილი, ქამრების ზუზუნი და წივილი. გოგო-ბიჭები სკოლისკენ გაიქცნენ. ერთმანეთს ასწრებდნენ კიბეზე არბენას.

— წამოდი! — უთხრა ნათიას მიტომ.

ნათია ფეხს ითრევდა, არ ჩქარობდა; ეშინოდა, მასწავლებლებს არ შეენიშნათ. მიტოს ეფარებოდა. კიბეზე ამხანაგების ჯგუფს შეერია შეუმჩნევლად და კლასში ისე შევიდა. არც მასწავლებლებს შეუნიშნავთ და არც ამხანაგებს. მხოლოდ მაშინ დაინახეს მოსწავლეებმა, როცა მერხზე დაჯდა და ის იყო უნდა წამოეძახათ, სად იყავი აქამდის, რატომ დაიგვიანეო, რომ ნათიამ ისე გადაუბრიალა მათ თვალები, ყველას ენა მუცელში ჩაუვარდა.

ნათიას წინ მჯდარმა ჭაბუკამ, რომელსაც ახლაც პურითა და ყველით ჰქონდა პირი გამოტენილი, ენაზე მომდგარი სიტყვა დაუღეჭავ ლუკმასთან ერთად ჩაყლაპა და შიშით გაინაბა.

ნათიამ დამცინავად ჩაიღიმა. „აი, თქვე მშიშრებოო“, ამბობდნენ მისი თვალები. შემდეგ უბიდან რვეული ამოაცურა და მერხში შედო.

კლასში მასწავლებელი შემოვიდა. ბავშვები სწრაფად წამოდგნენ და მიესალმნენ.

გაკვეთილი დაიწყო.

• • •

ჯერ კიდევ გათენებული არ იყო. გიგიასაც კი ტკბილად ეძინა, როდესაც ზაქრო ადგა. სახლში ყველაზე ადრე გიგია იღვიძებდა. გავიდოდა ეზოში, ღორსა და ქათმებს გაუშვებდა, დაჩეხავდა შეშას, დაანთებდა ცეცხლს. ამასობაში ელისაბედი და თალიკოც ადგებოდნენ.

ზაქრო ეზოში ჩავიდა და საღორისაკენ გაემართა. არწივა არ გაჰყვა, კიბის თავზე შედგა და იქიდან ადევნებდა თვალს.

ზაქრომ ღორები გამოუშვა და საქათმის კარი გააღო.

სოფელი ჯერ კიდევ ღრმა ძილში იყო. განთიადის ამ საიდუმლოებით მოცულ სიწყნარეში ზაქროს თავისი სახლი, თავისი ეზო-კარი და ყველაფერი ირგვლივ ზღაპრულად ლამაზად და მედიდურად განაბული ეჩვენებოდა.

ზაქრო გულადი ბავშვი იყო, მაგრამ ამ მისთვის უცნობმა მედიდურმა სიწყნარემ ფერი უცვალა. სახლის წინ მდგარი ასწლოვანი კაკლის ყრუ შრიალი კიდევ უფრო აძლიერებდა ბავშვის შიშს. კაკლის ჩრდილ-

ში მდგარი ქვის უზარმაზარი მაგიდა, ქვის გრძელი სკამი და საქანელა ცივი სიბნელით იყო მოცული.

ზაქროს ერთი წამით მოეჩვენა, რომ მაგიდას ვიღაც უჯდა, გესლიანი ღიმილით შესცქეროდა და ჯიუტად იმეორებდა: „არა, პაპა გიგია ამ ვაზს არ ამოძირკვავს... პაპა გიგია არ ამოჰყრის! სირცხვილი შენ! თავი არ გამოგეყოფა ამბანაგებში!“

არასოდეს არ უგრძვნია ზაქროს ასეთი მარტოობა, ასეთი მტანჯველი უმწეობა და სიმწარე, როგორც ახლა. არასოდეს არ სჩვეულებია თავისი სახლი ასეთი ცივი, უცხო, ფანჯრები ასე უსიცოცხლო და თვალებდაჭყეტილი; თითქოს ისინი დაცინვით შესცქეროდნენ მას. ასე ეგონა, ეს ქათმები, ეს ყოყლოჩინა მამალი და კიბის თავზე დაყუდებული არწივაც მას დასცინოდნენ.

ზაქროს გულს ძგარაძგური გაჰქონდა. ცრემლი მოადგა თვალებზე. თავი ისე იგრძნო, თითქოს მისთვის არავინ არ იყო ამ ქვეყნად, ის არავის სჭირდებოდა და უნდოდა ატირებულიყო, მაგრამ ასე ეგონა ნათია იდგა თავის სახლის აივანზე, შესცქეროდა გამოშცდელი, მოსიყვარულე თვალებით და გაკვირვებით ეკითხებოდა: „ზაქრო, შენ ტირიხარ?! თვალები ცრემლებით გაქვს სავსე?! შენ და ცრემლი?! აი თურმე კიდევ რანაირი ყოფილხარ!“

ამ ყოფაში იყო ზაქრო, რომ გაიჭრიალა ოთახის კარმა და აივანზე პაპა გიგია გამოვიდა. გიგია არწივას წკმუტუნმა გამოალვიძა. „რა დაემართა ძაღლს?“ გაიფიქრა, ლოგინზე წამოჯდა, სწრაფად ჩაიცვა. ზაქრო ლოგინში ეგულებოდა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან, რომ არ გაეღვიძებინა შვილიშვილი. ზაქრო რომ ეზოში დაინახა, გაუკვირდა. შეტოტებული არწივა ხელისკვრით მოიშორა და ეზოში ჩავიდა.

— ზაქრო, რად ამდგარხარ ასე ადრე?!

— გაკვეთილები დამრჩა მოუმზადებელი, პაპა, — იცრუა ზაქრომ. პირველად უთხრა პაპას ტყუილი და გული დაეწვა, ისეთი ტკივილი იგრძნო, ეგონა მკერდში რაღაც ჩაუწყდა. მაგრამ უმალვე უკუაგდო ამაზე ფიქრი და ტკივილიც ჩაიკლა. მას ახლა პაპაც სხვანაირი მოეჩვენა. ცივი, გულქვა. უცხო. არა ახლობელი. აბა რატომ არ გრძნობს პაპა, რა აწუხებს მის შვილიშვილს, გუშინ ილომ და ნათიამ სულ ამოჰყარეს ქიწნურა, მიტომ და მამამისმა — ძია ნიკომაც. ნიკო ხომ პაპას ბრიგადირია და ბრიგადაში იტყოდა ამ ამბავს.

— პაპა. შენ როდის ამოჰყარი ქიწნურას? — ჰკითხა უცებ, მისდაუნებურად ზაქრომ პაპას.

— რაო?! — ვინა თქვა, რომ მე ქიწნურას ამოვყარი?—უპასუხა პაპამ ზაქროს და სამზარეულოსკენ გაემართა.

ზაქროს კარგად ესმოდა, რას ნიშნავდა პაპას ეს პასუხი. ის ჯერ

კიდევ გუშინ გრძნობდა, რომ პაპა უარს ეტყოდა. რად ჰკითხა ახლა პაპას ის, რისი პასუხიც წინასწარ იცოდა ზაქრომ!

„ნუთუ ნათიას სიტყვებმა გადამაფიქრებინა ჩემი განზრახვა? აბა რამ ამაყენა უთენია, რამ მაკითხვინა პაპასათვის, რას გავჩერებულვარ შუა ეზოში? არა, მეთვითონ ავკრი. აბა რა ვქნა? ყველა ამოძირკვავს ქიწნურას, გააშენებენ ახალ ვენახს და ჩვენ დავრჩებით მარტო... ყბად ამიღებენ ამხანაგები“.

ზაქრო იმ დღეს სკოლაში არ წავიდა. თავი მოიავადმყოფა და მთელი დღეს სახლიდან არ გასულა. თავისი ოთახის ფანჯრიდან დაინახა, როგორ დაბრუნდა სკოლიდან ნათია, ჩანთა აივანზე დაჰკიდა მიჩნეულ ადგილზე. ერთი კი მოიხედა ზაქროს ოთახისაკენ და მერე აღარ გამოჩენილა.

საღამოს მიტო და ლევანი ესტუმრნენ. „ნათიას მოგზავნილი იქნებიან“, გაიფიქრა ზაქრომ. მაგრამ არც მიტოს და არც ლევანს ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ზაქროსა და ნათიას წუხანდელ ჩხუბზე. მათ მაშინვე შეატყვეს, რომ ზაქრო ავად არ იყო. იმასაც მიხვდნენ, რატომ არ მოვიდა სკოლაში.

მიტო და ლევანი დარწმუნებული იყვნენ, სოფლის მეტი წილი თუ ამოძირკვავდა ქიწნურას, მერე აღარც პაპა გიგია გაჯიუტდებოდა და, წელს თუ არა, გაისად მაინც გააშენებდა გორულ მწვანეს ან ჩინურს.

„მთავარია უმრავლესობამ ამოძირკვოს წელს. თუ აქა-იქ დატოვა ვინმემ, ამით ქვეყანა არ დაიქცევა“. ფიქრობდნენ ისინი.

მიტო და ლევანი ისე გამოემშვიდობნენ ზაქროს, რომ არც უხსენებიათ ვაზის ამბავი, მაგრამ ზაქრომ ჭიშკართან რომ მიაცილა მეგობრები, თვითონ ჩამოაგდო სიტყვა ვაზზე.

— ლევან, თქვენები როდის აპირებენ ახალი ვაზის გაშენებას? — ჰკითხა ლევანს და დაუმატა: — პაპიდამ თქვა, ამ თვის ბოლომდე თუ არ დაირგა, მერე გვიანაა.

— ეგ პაპიდამ რომ არ გითხრას, განა შენ არ იცი? — უთხრა ლევანმა, — აბა მაისში ვის გაუგონია ვაზის გაშენება. მამა დღედაღამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურშია. წელს ამ საქმისთვის ვერ მოიცლის. — ისე გულგრილად უთხრა ლევანმა ზაქროს, თითქოს ეს საქმე სულ არ აინტერესებდა მას.

ზაქრო მიხვდა, რატომ მოიქცა ლევანი ასე, მეტი აღარაფერი უთქვამს. ჭიშკარი მიხურა და შინ შებრუნდა. აივანზე რომ ავიდა, უკან მოიხედა და დაინახა, როგორ გამოსხლტა თავისი ჭიშკრიდან ნათია. ლევანსა და მიტოს ტირიფის ხეები ფარავდა, მაგრამ აშკარა იყო, ნათია მათ დახვდა.

„აკი ვთქვი, ნათიას მოგზავნილები იქნებიან-მეთქი! მაშ, ნათიამ დამაბეზღა. საბჭოს სხდომამდე არ ეყო მოთმინება“.

დღე ისე არ გავიდოდა, რომ სკოლაში ორ-სამ ბავშვს მაინც არ ეთქვა: „დღეს საკენახე მიწა სულ გადავხანითო“. „ჩვენ გორული მწვანე გავაშენეთო“, „მამამ გუშინ სულ დარჩეული ნერგები მოიტანაო“, „ჩინური კი არ ყოფილა მაგ ვაზის სახელი, ჩინებული რქმევია თურმე, მარცვალი მსხვილი აქვს ყურძენს და ამიტომ ეძახიან ჩინებულსო“.

ზაქროს ეჩვენებოდა, რომ ამას მის გასაგონად ამბობდნენ ამხანაგები. ვითომ ამით უნდოდათ ეთქვათ: „აი, ჩვენ დავაჯერეთ ჩვენი მშობლები, რომ ქიწნურას გორული მწვანე და ჩინური სჯობს, შენ კი ვერ დაიყოლიე პაპა გიგია, არაფრად ჩაგაგდო, არ გაგიგონა, ყველაფერში რომ პირველი ხარ, აქ ჩვენ გაჯობეთო! აი, ჩვენ გამოვალთ რაზმის საბჭოს სხდომაზე და ვეპატაჟებთ საბჭოს, რომ კოლმეურნეობის დავალება თითოეულმა ჩვენგანმა შეასრულა! შენ... შენ რაღას იტყვი ნეტავი?“

„მე რა უნდა ვთქვა? — არ ასვენებდა ზაქროს ეს ფიქრი. ასე ეგონა, მთელი სოფელი აშენებდა ჩინურსა და გორულ მწვანეს. — კიდევ რამდენიმე დღე და მერე გვიან იქნება ვაზის დარგვა“.

ზაქრომ გადაწყვიტა, არ დაეყოვნებინა. ღამით, როცა დედა და ელისაბედი ვახშმის სამზადისში იყვნენ, ზაქრო ისე გავიდა ოთახიდან, რომ არავის დაუნახავს. წინასწარ მომზადებული ბარი და ცული ვენახში წაიღო და ღობის ძირში მაყვლის ბარდებში დამალა.

ზაქროს ასჯერ ჰქონდა აწონილ-დაწონილი თავისი გადაწყვეტილება, კარგად ესმოდა მისი საბედისწერო მნიშვნელობა და წინასწარ შერიგებული იყო ყოველგვარ მოსალოდნელ უსიამოვნებას. ამიტომ ყველაფერს აუღელვებლად, დინჯად და ერთი შეხედვით ცივადაც კი აკეთებდა.

დილით, როცა ზაქრო ადგა და აივანზე გამოვიდა ხელ-პირის დასაბანად, პაპა უკვე წასული იყო.

მზიანი დილა გათენდა. ბროლივით კრიალა მოცისფრო ცვარი თვალისმომჭრელად ბზინავდა ბალახზე, ფოთოლზე, ყველგან, სადაც კი ფეხი მოეკიდა. ცვრის სუნი იდგა გამჭვირვალე, წმინდა ჰაერში.

ზაქრო პერანგისამარა იყო, გული მოღეღილი ჰქონდა. სიცივემ გაბურძგნა ტანში და ბუსუსები დააყარა.

— ზაქრო, შვილო, დაგაგვიანდება სკოლაში! — მოესმა ზაქროს ელისაბედის ხმა სამზარეულოდან.

ზაქრო მობრუნდა, იატაკიდან დოქი აიღო, სახეზე წყალი შეისხა, იქვე კედელზე დაკიდებული პირსახოცით შეიმშრალა ხელ-პირი და ისევ ოთახში შებრუნდა. მალე ჩაცმული და მხარზე ჩანთაგადაკიდებული ჩამოვიდა ეზოში.

— წაეედი, პაპიდა, დამაგვიანდა!—დაუძახა ჭიშკრიდან ელისაბედს.

— უი, დამიდგეს თვალები, უკმელი არ წახვიდე, შვილო! — გაისმა სამზარეულოდან ელისაბედის შეშფოთებული ხმა.

სანამ ელისაბედი გარეთ გამოვიდოდა, ზაქრო ღობეზე გადახტა და ტირიფნარს მიეფარა. იგი პირდაპირ ვენახისკენ გაეშურა. მიდიოდა არხის ნაპირას, ნაყარ, ფხვიერ მიწაზე. ცვრისაგან დავირცხლილი და დამძიმებული ტირიფის ტოტები ედებოდა სახეზე, ტანზე, ქოჩორზე, მაგრამ არ ერიდებოდა მათ, არ იცილებდა ხელით, როგორც სხვა დროს.

აი, გამოჩნდა მათი ვენახის ჭიშკრის თავზე ცხენის თეთრად მოქათქათე ქალა. აი, ჭიშკარზე მიჭედილი დაჟანგული ნალიც. ზაქრომ იცოდა, რომ ეს ნალი ბებიამ მიაჭედა თავისი ხელით.

ჭიშკარში შევიდა. აქ შედგა, სული მოითქვა. ირგვლივ ფოთოლიც კი არ ინძრეოდა. სიწყნარეს არხის წყლის ნელი, ყრუ დუდუნი არღვევდა.

ზაქრო იქით იყურებოდა, სადაც წუხელ ბარი და ცული დამალა. გული გამალებით უცემდა, მაგრამ ამავე დროს მთელს მის ნორჩ სხეულში თანდათან მკვიდრდებოდა რაღაც საამო, თავბრუდამხვევი სიმამაცე.

აი, გამოაძვრინა ბარდიდან ბარი და ცული, მივიდა ერთ-ერთ ვაზთან, მაგრამ უკან დაიხია: სარმა, რომელზედაც ვაზი იყო აკრული, თავი ასწია და ზაქროს პაპა გიგიას რისხვით სავსე თვალებმა შეშოანათეს. იყო რამდენიმე წამი, რომლის განმავლობაში გაშტერებით შესცქეროდა ზაქრო ამ მოჩვენებას, მაგრამ დასძლია შიშის გრძნობას და გაქრა მოჩვენებაც.

ზაქრო მისწვდა სარს, ამოაძრო და განზე გადაადგო. მერე მოიმარჯვა ბარი, ვაზის ძირიდან ერთი მტკაველის მოშორებით დაჭრა და ყუამდე ჩაიყვანა. თვალის დახამხამებაში შემოაცალა ვაზის ძირს მიწა. მოსწია ვაზს, მაგრამ მისი ფესვები ღრმად იყო წასული მიწაში. ზაქრომ იცოდა, რომ ფესვიანად ვერ ამოაგდებდა ვაზს და ამიტომ მოიტანა ბართან ერთად ცული. მეორე პირი მიწა ამოიღო კიდევ და ფესვი ამ გაშიშვლებული მხრიდან ღრმად ჩასჭრა ცულით.

— ეს ერთი! — წაიჩურჩულა ღიმილით და ვაზი განზე ისროლა.

* * *

სკოლიდან დაბრუნებულმა ნათიამ ჩანთა აივანზე შეაგდო და გიგიანთსა ეადავიდა.

— პაპიდა ელისაბედ, ზაქრო ავად არის? — ჰკითხა ელისაბედს.

ელისაბედი კიბეზე იჯდა და მზეზე თბებოდა. პატარა, გამხდარი მხრები უღონოდ დახროდა, თავი გვერდზე გადაეწია და თვალხილუ-

ლად თვლემდა. ნათიას ხმის გაგონებაზე უცებ გამოერკვა, შიშით შეხედა მის წინ მდგარ გოგონას.

— უიმე, არა, შვილო! — შეიცხადა ელისაბედმა. — ავად რად უნდა იყოს! — პირჯვარი გადაიწერა: — ღმერთმა დაიფაროს... სკოლიდან არ დაბრუნებულა. — ელისაბედმა მზეს ახედა. იგი მზით გებულობდა ზაქროს სკოლიდან დაბრუნების დროს. — სადაცაა მოვა ზაქრო, — შეხედა ნათიას, — შენ არ წასულხარ სკოლაში?

— მე?.. მე არა! — დაიბნა ნათია. მიხვდა, რომ ზაქრო ვაზის ამოსაძირკვავად იყო წასული. „უნდა გავიქცე ახლავე, შევაჩერო!“ — გაიფიქრა შეშფოთებით. დაინახა, რომ პაპიდა შეჰყურებდა და ელოდა, რას იტყოდა კიდევ ნათია. „რად მიყურებს აგრე? ვითუ მკითხა, სკოლაში რატომ არ იყავიო“. — ნახვამდის, პაპიდა! — წამოიძახა პირზე მომდგარი პირველივე სიტყვა, შეტრიალდა და გავარდა ეზოდან.

გარბოდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა. გარბოდა მოკლე გზით, გადაირბინა ვიღაცის ეზო, ბაღი, აირბინა არხის ყრილზე, ფეხი ეფლობოდა ფხვიერ მიწაში, თვალი უჭრელდებოდა წყლის ზედაპირზე. მუხლები ეკვეთებოდა, სუნთქვა ეკვროდა, მკერდში რაღაც უშრებოდა, ეწვოდა, ხრიალებდა. სხეული უხდებოდა შეუგრძნობი, თითქოს უქვავდებოდა. მილასლასებდა ილაჯგაწყვეტილი, მაგრამ ეგონა, გავრბივარო, რადგან გული მიურბოდა, სული მიეს წრაფოდა და უკვირდა, რატომ არ თავდებოდა გზა, რატომ ვერ მიაღწია ამდენ ხანს ვენახამდე.

გამოჩნდა მზეზე მოკიაფე ცხენის ქალა. მისმა დანახვამ ნათიას კვლავ დაუბრუნა მუხლებში ძალა. ახლა ისევ გარბოდა. შეირბინა ვენახში, ფეხებზე წამოედო მიწაზე მიმოფანტული ვაზები. წაკრილი ფესვებიდან დადენილი თეთრი წვეთები მზეზე ციმციმებდა და ბრწყინავდა.

— ზაქრო!.. ზაქრო... — დაიყვირა ნათიამ და შედგა. ირგვლივ მკვდრებივით ეყარა ფესვებდაკრილი ვაზები და სამარისებური სიჩუმე იდგა.

ნათია შეაკრთო ამ სიჩუმემ, შავად პირდაღებულმა ორმოებმა და ადამიანის ძარღვებივით სისხლისფრად აწითლებულმა ფესვებმა.

— ზაქრო! — დაიძახა გულამოჯდარი ხმით, გაიშვირა ხელი წინ და გაიქცა ზაქროსკენ. გარბოდა ბორძიკით, ფეხი ხან ამონაძირკვ ორმოში უვარდებოდა, ხან ვაზს წამოსდებდა. — შეჩერდი, ზაქრო!

ზაქრომ შემართული ცული დაუშვა.

— რა ქენი ეს, ზაქრო?! — შედგა მის წინ ნათია. სულს ძლივს იბრუნებდა, ოფლი ჩამოსდიოდა სახეზე, თვალები ამღვრეოდა.

ზაქრო ისე დაიბნა, რომ ხმა ვერ ამოიღო. ერთი ხელით ვაზს იყო ჩაფრენილი, მეორეში ცული ეჭირა. საკმარისი იყო ნათიას ერთი სიტყვა, ერთი შემოხედვა და ზაქრო შეჩერდებოდა, გააგდებდა ცულს

ხელიდან. და ეს რომ არ გაეკეთებინა, კვლავ შემართა ცული და დასცა ვაზის გაშიშვლებულ ფესვს.

— ზაქრო! — ნათია ხელში ეცა. — შეჩერდი, ზაქრო!

ნათია ისე მაგრად და მოულოდნელად ჩააფრინდა ცულს, რომ ზაქროს მოეჩვენა, თუ ცულს წაარმევდა ნათია, ამით ყველაფერი გათავდებოდა. ამიტომ ნათიას ხელი ჰკრა, რომ მოეშორებინა.

ღონემიხდილი ნათია წაბარბაცდა და, რომ არ წაქცეულიყო, სარს ხელი წაატანა და თავი შეიკავა. გაოცებით შეხედა ზაქროს.

— მომერევი? ჰა, ბარემ გამარტყი! — მიუშვირა სახე, დამცინავად შეანათა თვალები.

ზაქროს შეურაცხყოფისაგან სისხლი მოაწვა სახეზე და ჭარხალივით წამოწითლდა. ვერ პოულობდა სიტყვას პასუხი გაეცა ნათიასათვის, რომელიც გამომწვევად შეჰყურებდა და რომელსაც თვალს ვერ უსწორებდა. არ უნდოდა ნათიასათვის ხელი ეკრა, უნდა მოეშორებინა მხოლოდ. ის კი მამლაყინწასავით შეჰყურებს: ბარემ გამარტყიო!

— რა მიწის მგელივით გამომიხტი! — შეუბღვირა ზაქრომ, უმალვე თვალი მოარიდა და დარცხვენილმა ყრუდ დაუმატა: — რას ჩამაცივდი, მომწყდი თავიდან!

ნათია არ განძრეულა. მკაცრად და ჯიუტად შეჰყურებდა. იცოდა, როცა ზაქრო თვალს ვერ უსწორებდა ხოლმე, მაშინ თავს დამნაშავედ გრძნობდა მის წინაშე. „ახლაც ასეა. მე შენ გიჩვენებ, ვინ არის მიწის მგელი!“ სიხარულით ფიქრობდა ინედმოცემული. მერე ნელა და ისეთი დაჯერებით ჩაავლო ხელი ცულს, რომ ზაქრომ უსიტყვოდ დასთმო იგი.

— წამოდი! — უთხრა ბრძანების კილოთი ამ წარმატებით გათამამებულმა, შებრუნდა, ჭიშკრისაკენ გაემართა.

ვერ მიმხვდარიყო ზაქრო, რატომ მისცა ცული, რამ გადაადგმევინა ნაბიჯი და რატომ მიჰყვება უკან ყურმოჭრილ ყმასავით ასე უსიტყვოდ. ნუთუ იმიტომ, რომ ნათიას თვალებში ამოიკითხა ის, რაც არ დაუნახავს კრებიდან დაბრუნების ღამეს მის სახეზე, როცა ორღობეში წაეჩხუბა, არც სკოლაში დაუნახავს, მისი მერხიდან რომ გადაჯდა, და არც მაშინ, როცა შერიგდნენ. მაგრამ ახლა საიდან დაინახავდა, თვალი არც გაუსწორებია ნათიასათვის, არ შეუხედავს. მაშ რანაირად გაიგო? გუმანით ხომ არ იგრძნო, რომ ნათიას აწუხებდა, ტანჯავდა ის, რაც ზაქრომ ჩაიდინა პაპა გიგიასა და პიონერორგანიზაციის მიმართ. ზაქრო თვალნათლივ ხედავდა თავის დანაშაულს და იგი იმდენად დიდად და გამოუსწორებლად ეჩვენებოდა, რომ მზად იყო დამდგარიყო ნათიას წინ და ეთქვა: მიშველე, ნათია, როგორმე ეს სირცხვილი მომბანე და სულსაც არ დავიშურებ შენთვისო. ნათია მას ახლა მის მხსნელად, მასზე ძლიერ, სპეტაკ და ყოველისშემძლე ადამია-

ნად ესახებოდა. არ იცოდა, სად მიდიოდა ნათია, სად მიჰყავდა, მაგრამ სადაც უნდა წაეყვანა ნათიას, უყოყმანოდ გაჰყვებოდა. გინდ პაპა გიგიასთან, გინდ სკოლაში. რატომ არ დავუჯერე თავიდან ნათიას? რატომ შორს დავიჭირე მისი რჩევა? გველი ხომ არ შემიწვა, სიკეთე უნდოდა ჩემთვის და აი, მე როგორ გადავუხადე. „მანამ შენ პერს ნუ ჭამ, სანამ მე შენს ჭკუას ავყვებოდე“, ვუთხარი მე მას იმ ღამეს. რატომ ვერ გავიგე, რომ მისი ჭკუა სჯობდა. რა ბუზმა მიკბინა, რამ დამაბრმავა ეგრე? ეს რა ჩავიდინე, შევარცხვინე, ქუდი მოვხადე ამბანაგებს, რახმს.

ზაქრო ფიქრიდან მაშინ გამოერკვა, როცა ორღობეში გავიდნენ. წინ მიმავალი ნათია შემდგარიყო და ზაქრო კინაღამ დაეტაკა. თავი ასწია, შეცბუნებით შედგა მის წინ .ნათიამ ცული გაუწოდა და წასასვლელად შეტრიალდა.

— სად მიხვალ, ნათია? — ჰკითხა ზაქრომ.

— შინ.

— მე?

— შენი საქმისა აწი შენ იცი, — უთხრა ნათიამ და გზას დაადგა. არ მოუხედავს, ისე მიეფარა ორღობეს.

• • •

მაისის ერთ თბილ საღამოს ყანიდან დაბრუნებულმა გიგიამ ჭიშკარი მიხურა და სამზარეულოსაკენ გაემართა. სამუშაოდან დაბრუნებული გიგია პირველად სამზარეულოში შევიდოდა ხოლმე, იქ დაიბანდა ხელ-პირს, სამუშაო ტანსაცმელს გამოიცვლიდა და სახლში მერე აკიდოდა.

ორი კვირა ხდებოდა, რაც ზაქრო აღარ ეგებებოდა პაპას. მის მიერ ვაზის ამოძირკვის დღიდან პაპასა და შვილიშვილს ერთმანეთისათვის არ შეუხედავთ. ზაქრო გრძნობდა თავის დანაშაულს და თავს არიდებდა პაპას. გიგიას კი ვერ ეპატიებინა შვილიშვილისათვის მისი ახირებული საქციელი და როგორ არ ეხვეწებოდა ელისაბედი, ხმა გაეცი ბავშვს, ხომ ხედავ როგორ ჯავრობს, რა დღეშია — გიგიას მაინც არ მოულბა გული.

გიგიამ იმ დღეს კოლმეურნეობიდან ვენახში რომ ჩამოიარა და გაჩანაგებული ნახა, მაშინვე მიხვდა, ეს ზაქროს ნამოქმედარი იყო. ისე ეწყინა, ისე მოულოდნელი იყო ეს მისთვის, რომ ერთი სიკვდილი გაათავა. მთელი საათი იჯდა ამოძირკვულ ვაზებში, მგრძნობელობადაკარგული, დიდი, ცივი და დაკორძებული ხელით ნერვიულად ისრესდა საფეთქელს. ეს წარმოსადეგი და მრავალ ჭირვარამგამოვლილი ბერიკაცი ისეთი უმწეო და საცოდავი ჩანდა, რომ კაცს ეგონებოდა, ვერ აიტანდა ამ მწუხარებას.

შებინდებამდე დარჩა ვენახში. სანამ შინ მივიდოდა, ათასი რამ იფიქრა იმაზე, თუ როგორ დაესაჯა ზაქრო, მაგრამ ეზოში რომ შემოვიდა და შვილიშვილს შეხედა, ყველა ის ათასი ნაფიქრი ერთბაშად მოეშალა. ხმა არ გაუცია ზაქროსათვის. არც სახლში ასულა იმ ღამეს, არც უვახშმია. მას აქეთ სამზარეულოში იძინებდა, არც დას ელაპარაკებოდა, არც რძალს.

გადაწყვიტა, ვენახის ადგილზე სიმინდი დაეთესა. თავისი რგოლის წევრს, ციალა რთველაშვილის მამას, ტიტე რთველაშვილს სთხოვა, კვირას ნაკვეთის გადაბარვაში მოხმარებოდა. ეს ამბავი მეორე დღეს ციალამ მთელ სოფელს მოსდო.

— ვენახის ადგილზე სიმინდს იმიტომ თესავს, რომ ამით ზაქრო დასაჯოსო, — ეუბნებოდა ციალა დიდსა და პატარას.

გიგიას არავისთვის უთქვამს, სიმინდს იმიტომ ვთესავ ვენახში, რომ ზაქრო დავსაჯოო, მაგრამ ეს მართლაც ასე იყო. ამას ზაქროც გრძნობდა.

სამზარეულოსკენ მიმავალმა გიგიამ აივნისკენ გაიხედა. ზაქრო არ იჯდა აივანზე, — არც ოთახში იყო.

— ბიჭი სად არის? — პირველად დაელაპარაკა დას ორი კვირის განმავლობაში.

— გვიან კითხულობ ბიჭს, — უთხრა ცივად ელისაბედმა. — ასამართლებენ ამაღამ ზაქროს... — ელისაბედმა მეტი ვერაფერი თქვა, ხმა ჩაუწყდა, გიგიას ზურგი შეაქცია.

— ასამართლებენო! — ტყაპუჭი კუთხეში მიაგდო გიგიამ და დისკენ მიბრუნდა. — რას ამბობ, ქალო, ვინ ასამართლებს?!

— ვინ და მისი ამხანაგები.

— რა სჭირს ჩვენს ბიჭს გასასამართლებელი?!

— ისა სჭირს, რაც შენ დამართე.

— რა ჭკუაზე ხარ შენ დღეს, ელისაბედ!..

— აბა რა ჭკუაზე ვიქნები, როცა... — ელისაბედს თვალებზე ცრემლი მოადგა. მუდარით შეხედა გიგიას.

— მითხარი, შე ცოდვის შვილო, რაშია საქმე? — ვეღარ დაფარა მღელვარება გიგიამ და შეუწყრა დას.

— რაშია და ზაქრომ რომ შენს დაუკითხავად ამოძირკვა ის ოხერი ქიწნურა, ამაში ადანაშაულებენ თურმე.

— რა ვქნა, ვინ ადანაშაულებს, ადამიანო?

— აკი გითხარი, მისი ამხანაგები-მეთქი.

— ამხანაგები?!. — გაიმეორა გიგიამ. ერთ ხანს ჩუმად იდგა, მერე დაიხარა, ტყაპუჭს წამოავლო ხელი და გარეთ გავიდა, ჭიშკრისაკენ გაემართა.

• • •

გიგია რომ სკოლაში მივიდა, რაზმის შეკრება უკვე დიდი ხნის დაწყებული იყო. დღის წესრიგის პირველ საკითხზე, რა მონაწილეობა მიიღეს პიონერებმა და ნორჩმა მებაღეებმა კოლმეურნეობის გამგეობის დავალების შესრულებაში, მოხსენება მიტო ბეუქლიშვილმა გააკეთა. გამოირკვა, რომ სოფლის უმრავლესობას უკვე გაუშენებია ჩინური და გორული მწვანე და ზოგიც გაისად აპირებდა გაშენებას. პიონერებსა და ნორჩ მებაღეებს ამ საქმის წარმატებაში დიდი წვლილი შეუტანიათ.

შეკრება შემდეგ ზაქრო ჯაშაშვილის საკითხის განხილვას შეუდგა. შეკრება პიონერთა ოთახში მიმდინარეობდა. ვრცელი, მაღალქერიანი ოთახი ელექტრონის შუქით ჩახჩახებდა. კუთხეში რაზმის დროშები ბრწყინავდა. ფანჯრების პირდაპირ კედელზე ლამაზ ჩარჩოებში ჩასმული მოწინავე პიონერების ფოტოსურათები ეკიდა. ფანჯრის რაფაზე დოლები და საყვირები ეწყო.

ოთახის ერთი მხარე სცენასავით იყო ამაღლებული და ზედ წითელი ფერის მაუდგადაფარებული გრძელი მაგიდა იდგა. მაგიდას რაზმის საბჭოს წევრები უსხდნენ. მაგიდის შუაში საბჭოს თავმჯდომარე — ლევან ზაქიაშვილი იჯდა. კრებას ორმოცამდე ბავშვი ესწრებოდა. უმრავლესობას საგარეო ტანსაცმელი ეცვა და ყელზე პიონერის ყელსახვევი ჰქონდა გაკეთებული.

როცა გიგია ღია კარების შორიახლო შეჩერდა, მაგიდის თავში მდგარი გივი მოწონელიძე სიტყვას ამთავრებდა. გიგიამ განგებ შეიცადა, რათა გაეგო რას ამბობდნენ ზაქროზე, რომელიც მის პირდაპირ სკამზე იჯდა თავჩაღუნული და გაფითრებული.

— მით უფრო სამარცხვინოა, რომ ეს ჩაიდინა ჩვენი რაზმის ყველაზე მოწინავე წევრმა, ჩვენმა ზაქრომ, — გივი ზურგშექცევით იდგა ზაქროსაკენ, სახეში ვერ უყურებდა, იცოდა რა ეკალზე იჯდა იგი, ებრალებოდა, მაგრამ სათქმელს მაინც არ ერიდებოდა. — ჩემს წინ გამოსული ამხანაგები იმიტომ ლაპარაკობდნენ გულისტკივილით, რომ ზაქროს ღვიძლ ძმაში არ არჩევენ. იმიტომ ვეუბნებით პირში ასე პირდაპირ სიმართლეს, რომ ზაქრო გვიყვარს, — გივი სწრაფად და სულმოუთქმელად ლაპარაკობდა. უნდოდა მალე ეთქვა, რასაც ფიქრობდა, რომ არ ეყურებინა მის პირდაპირ მჯდარ ციალას ღვარძლიანი სიხარულით გაღაღანებული სახისათვის. „ალბათ ძალიან მკაცრად ვლაპარაკობ, რომ ციალას სახე სავსე მთვარეს დამსგავსებია“. ახლა ისე დადგა, რომ არც ციალასთვის ეყურებინა და პირით უფროს პიონერხელმძღვანელისაკენ აღმოჩნდა.

— კრებას ელაპარაკე, მოწონელიძე, — უთხრა კახამ გივის.

— დიახ, — ოდნავ შებრუნდა კრებისაკენ გივი, ისე რომ ციალას შაინც ვერ უყურებდა. — ზაქრომ ჩრდილი მიაყენა ჩვენს რაზმს... დღეს მან ამოძირკვა ვაზი ოჯახის უფროსის დაუკითხავად, თვითნებურად, ხვალ ასევე შეიძლება მოვიქცე მე, ასე მოიქცეს ჭაბუკა, ნათია, ლევანი, არჩილი. რა პასუხი უნდა მოვთხოვოთ სხვებს, როცა ასეთ მაგალითს უჩვენებს ამხანაგებს ზაქრო ჯაშაშვილი, პიონერი, რომლის სურათი, როგორც საუკეთესო პიონერისა და მოსწავლის, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საპატიო დაფაზე ჰკიდია. იქ ათასი ბავშვი, ათასი პიონერი ნახულობს ზაქროს სურათს და ფიქრობს: უნდა ვისწავლო ისე, უნდა ვიმუშაო ისე, ვიყო ისეთი პიონერი, როგორიც ზაქრო ჯაშაშვილია... მივბაძო ზაქრო ჯაშაშვილს...

— მიბაძოს ზაქრო ჯაშაშვილს თვითნებობაში, ურჩობაში, კარგი მისაბაძია, მე და ჩემმა ღმერთმა! — გაისმა წინა რიგიდან ციალას ბოხი ხმა.

— მე... მე ამის თქმა არ მინდოდა, — დაიბნა გივი, — მაგრამ ეს მართლაც ასე გამოდის. ზაქრომ ისეთი რამ ჩაიდინა, რაც სახელს უტეხს არა მარტო მას, არამედ მთელს რაზმს, სკოლას და საერთოდ პიონერს. ამისათვის იგი უნდა დაისაჯოს, — გივი გაჩუმდა და დაჯდა.

ჩამოვარდა სიჩუმე.

გიგია გახევებულივით იდგა და თვალს არ აშორებდა ზაქროს.

— ვის სურს კიდევ სიტყვა, ამხანაგებო? — გაისმა ლევანის ხმა.

პირველ რიგში მჯდარმა ჭაბუკამ თვალი გადაავლო ამხანაგებს და, რა დაინახა არავინ აპირებდა სიტყვის თქმას, წამოდგა.

— შეწყდეს კამათი, — თქვა დინჯად. — სიტყვა ზაქრო ჯაშაშვილს მივცეთ. მოახსენოს შეკრებას... მოახსენოს, რამ აიძულა იგი...

— გაეტეხა სახელი ჩვენთვის! — კვლავ გაისმა ციალას ხმა.

ლევანი წამოდგა.

— ციალა, მე შენ მეხუთედ გაფრთხილებ... თუ სიტყვა გინდა, ინებე.

— რა საჭიროა ამდენი სიტყვები! — წამოხტა გაკაპასებული და გაწითლებული ციალა. — გამოვუცხადოთ საყვედური... მორჩა და გათავდა.

ციალას სიტყვა ისე მოხვდა ზაქროს გულზე, თითქოს სილა გააწნესო. ეს დაინახა გიგიამ. დაიძრა ადგილიდან და ოთახში შევიდა.

— გიგია!

— პაპა გიგია!

აჩურჩულდნენ ბავშვები და უცებ ყველა ერთად წამოდგა ფეხზე, წამოდგა უფროსი პიონერხელმძღვანელიც, წამოდგნენ საბჭოს წევ-

რები. წამით დუმილი ჩამოვარდა და მერე ერთბაშად გაისმა მთელი კრების შეწყობილი და ძლიერი მისალმების შეძახილი:

— გამარჯობათ, პაპა გიგია!

გიგია დაიბნა, არ ელოდა ასეთ საზეიმო შეხვედრას. ხედავდა, რა პატივისცემითა და რიდით შეჰყურებდნენ ბავშვები. ხედავდა ყურებდაცქვეტილ და შემკრთალ ნათიას, ხედავდა თავდახრილ ზაქროს, რომელსაც უნდოდა რაღაც ეთქვა პაპასათვის და ვერ ახერხებდა. გიგიამ კი იცოდა, რისი თქმაც უნდოდა შვილიშვილს. „ნუ, პაპა, ნუ იტყვი ჩემზე ნერაფერს. მე აქ მომისჯიან იმას, რაც დავიმსახურე. შენ ნუ ჩაერევი, არ არის საჭირო!“

ბავშვები ფეხზე იდგნენ და ელოდნენ, რას იტყოდა პაპა გიგია. დაყოვნება არ შეიძლებოდა. ან უნდა ეთქვა რაიმე გიგიას, ან შეტრიალებულიყო და გასულიყო.

— დაჯექით, შვილებო! — მიმართა გიგიამ ბავშვებს.

ბავშვები დასხდნენ.

გიგია აქეთ რომ მოდიოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, ზაქროს აღხანაგებისათვის ეთქვა: „თქვენ რა ნება გაქვთ დასაჯოთ ზაქრო იმისათვის, რომ მან თავის ოჯახში რაღაც დააშავაო? დიახ, ასე ვეტყვი, — ფიქრობდა გიგია. — მერე მოვკიდებ ხელს ზაქროს და შინ წავიყვანო“. მაგრამ ახლა დაინახა, რომ ზაქროს აქ მეორე ოჯახი ჰქონდა, ოჯახი, რომელსაც არა ნაკლებ უყვარდა ზაქრო და რომელიც არა ნაკლებ წუხდა ზაქროზე. ეს გიგიამ ამოიკითხა ბავშვების სახეზე, მათ თვალებში, მათ გამოხედვაში. ყველაზე მეტი მღელვარება ნათიას სახეზე დაინახა.

— დაბრძანდით, პაპა გიგია! — დაარღვია სიჩუმე კახამ და სკამი გაუწოდა.

— არა, შვილო, — უთხრა გიგიამ, — სათხოვნელად მოვედი თქვენთან, ჩემო ბავშვებო, — ქუდი მოიხადა. ღელავდა, სიტყვა უწყდებოდა. — ნუ დამისჯით ჩემს ბიჭს, — თქვა ის, რის თქმასაც არ თელავდა საჭიროდ. — ჩემი ბრალი იყო... აბა, სირცხვილი არ არის, ჩვენს დროში ქიწნურას იწევდეს კაცი!.. მე არ ვუწყრები ზაქროს. მეც მის ადგილზე, ალბათ, ასე მოვიქცეოდი... ახლა კი თქვენმა გულმა იცის...

ნათიას გარდა, არავინ იცოდა, რატომ ამოძირკვა ზაქრომ ვენახი. იგი მთელი კრების განმავლობაში ფიქრობდა და ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა ამხანაგებისათვის ნამდვილი მიზეზი. „არ მაქვს უფლება დავუმალო რაზეს სიმართლე!“ — დაასკვნა ბოლოს და გადაწყვიტა, ეთქვა. მაგრამ ახლა, გიგიას სიტყვის შემდეგ, შეხედა ზაქროს, დაინახა, რომ იგი გრძნობდა თავის შეცდომას, ნანობდა თავის დანაშაულს. ნათია დარწმუნებული იყო, რომ ზაქრო არასოდეს არ იმოქმედებდა

მხოლოდ თავის გამოჩენის, პატივმოყვარეობის გრძნობით. გადაწყვიტა, არაფერი ეთქვა, ეს ახლა ზედმეტი იყო. მაგრამ საჭირო იყო ეთქვა სხვა რამ და წამოდგა:

— მომეცი სიტყვა, ლევან! — მიმართა თავმჯდომარეს და მის პასუხს არ დაუცადა. — ამხანაგებო! — მიუბრუნდა შეკრებას: — ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ პაპა გიგიას თხოვნას.

ზაქრომ პირველად მიაბრუნა თავი საბჭოს წევრებისაკენ, პირველად შეხედა ნათიას. ნათიამ შენიშნა ეს და თვალები გაუბრწყინდა. მალულად გაუღიმა.

— ზაქროს კარგად ესმის თავისი დანაშაული. ჩვენ მას ყველანი კარგად ვიცნობთ და დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი შეცდომა აღარ მოუვა მომავალში... ამიტომ... წინადადება შემომაქვს, დავკმაყოფილდეთ იმით, რომ ჩვენ უკვე განვუმარტეთ ზაქროს თავისი დანაშაული... დანაშაული კი არა, შეცდომა...

— სწორია!

— ყოჩაღ, ნათია! — გაისმა ყოველი მხრიდან მოწონების შეძახილები. შემოჰკრეს ტაშიც. მხოლოდ ციალა იჯდა ჩუმად, ბოღმისაგან გაგუდული და ნაკვერჩხალივით ავარვარებული. „ჰმ, შეცდომა... შეცდომა კი არა, დანაშაული, დიახ, დანაშაული“, ფიქრობდა და ბრაზით აცეცებდა აქეთ-იქით თავის წვრილ, უფერულ თვალებს.

ზაქრო ფეხზე იდგა და საბჭოს წევრებს შეჰყურებდა. შეწყდა ტაშის ხმა. ჩამოდგა სიწყნარე. საბჭოს შეჰყურებდა გიგიაც, პიონერხელმძღვანელიც, მთელი შეკრება.

აი, წამოდგა მიტო:

— მე ვუერთდები ნათიას წინადადებას, ამხანაგებო!

— მეც! — ასწია ხელი ლევანმა.

— მეც!

— მეც!

წამოდგნენ საბჭოს წევრები.

ზაქრომ და გიგიამ ერთმანეთს შეხედეს. მერე მივიდა გიგია შვილიშვილთან და ხელი მოჰკიდა.

— მე დღეს გავიგე, რომ ზაქროს მეორე ოჯახი ჰქონია აქ, — თქვა აღელვებით გიგიამ. — თქვენ... ბედნიერები ხართ, შვილებო, რომ ასეთ ოჯახში იზრდებით...

...გიგია და ზაქრო ისე გამოვიდნენ პიონერთა ოთახიდან, რომ პაპას ხელი არ გაუშვია ზაქროსთვის. ისეთი რბილი, მშობლიური ეჩვენებოდა ზაქროს პაპას კორძიანი დიდი ხელი, რომ ქვეყანას ერჩივნა მიჰკროდა პაპას ლოყაზე, მაგრამ პაპა მიდიოდა თითქოს გულცივი... ზაქროც არ იმჩნევდა თავის გულჩვილობას, გარეგნულად ისიც მშვიდად გამოიყურებოდა, მიჰყვებოდა პაპას მისი ცალი და ანათალი.

როსტომ ელანიძე

როსტომ თეოდორეს ძე ელანიძე დაიბადა 1910 წელს სოფ. ჩიღობი (თუშეთი, ამჟამად ახმეტის რ.), ღარიბი გლეხის ოჯახში. დედ-მამით ადრე დაობლდა. რ. ელანიძემ 1917—1925 წლები მწყემსობაში გაატარა. 1925 წელს უფროსი დის დახმარებით შევიდა სკოლაში, ჯერ სწავლობდა ლალისეურის ოთხწლიან შრომის სკოლაში, შემდეგ ნაფარეულის ბლეხთა ახალგაზრდობის სკოლაში, რომელიც 1929 წელს დაამთავრა. ბოლოს შეკიდა თბილისის ცენტრალურ მუშფაკში, რომელიც 1932 წელს დაასრულა.

1933 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიურ ფაკულტეტზე. დაამთავრა 1938 წელს და ჩაირიცხა ასპირანტად. 1944 წელს რ. ელანიძემ მოიპოვა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

რ. ელანიძემ მწერლობა ლექსებით დაიწყო. 1927 წლიდან მისი ლექსები ხანგამოძეგებით იბეჭდებოდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

რ. ელანიძემ საბავშვო ლიტერატურაში მუშაობა დაიწყო 1944 წლიდან. მისი პირველი საბავშვო მოთხრობა: „წყაროს დაბადება" დაიბეჭდა 1945 წელს ჟურ. „დილაში".

პიონერის წყარო

ჭაღარა ზამთარი კავკასიონის მთებზე გადმომდგარიყო და თოვლიან კალთებს ალაზნის ველზე იბერტყავდა. ტყვიისფრად მოღუშული ციდან მისი გადმოფანტული ფიფქები ათასნაირად არეული პეპლებივით მოფრინავდნენ დაბლა.

არემარე თეთრ სამოსელში ეხვეოდა. ფრთამალი ნიავი ტყე-ველში დაჰქროდა. ხეებზე დარჩენილ ჩაყვითლებულ ფოთლებს იტაცებდა და წარამარა ჰფანტავდა.

საამურად აგუზგუზებული ბუხრის წინ ისხდნენ საქამრემდე თეთრწვერდაშვებული, ღრმად მოხუცებული ელიზბარი და მისი შვილიშვილი ნოდარი.

ბავშვი პაპას წყაროს წარმოშობის ამბავს უკითხავდა. როცა დაამთავრა, სახეზე დაღონება დაეტყო. პატარა ბიჭს თავისი სოფლის დიდი

დარდი შემოაწვა გულზე — წყაროს უქონლობამ შეაწუხა. დარდს ის უფრო უძლიერებდა, რომ გაგონილი ჰქონდა: წყაროს გამოყვანა ბევრჯერა სცადეს, მაგრამ წყლის სათავე სოფელს ვერსად მიუყენესო...

ბრალი წინაპრებზე გადაიტანა და მოხუცს საყვედურის კილოთი ჰკითხა:

— რატომ აუშენებიათ ჩვენი სოფელი ისეთ ადგილზე, სადაც წყარო არა ყოფილა!

მოხუცი მოულოდნელმა კითხვამ გააოცა, შვილიშვილს ნაღვლიანად გადახედა და უთხრა:

— ჰაი, ჰაი, რომ ყოფილა, შვილო. უწყლო ადგილას საძირკველს ვინ ჩაჰყრიდა?!

მთელი სოფლის ზემო მხარე, წინათ დაბურულ ტყეს სჭერია. კლდიან ხევს რომ ვეძახით, იქ მუხების ჩრდილქვეშ მოჩუხჩუხებდა ანკარა წყარო.

სამასი წლის წინათ სპარსეთი შემოსევია საქართველოს, — ქვიშაზე უფრო მრავალრიცხოვანი მტერი. მთელი კახეთი ცეცხლის ალში გაუხვევია. ჩვენი სოფელი და ტყეც ნაცარტუტად უქცევია. უტყეოდ წყაროც დამშრალა და გადაკარგულა.

II

— მაშ, თუ ასეა, წყაროს გაცოცხლება შეიძლება, ტყე გაშენდება და ისიც დაბრუნდებაო, — ჩაილაპარაკა ნოდარმა.

ამის შემდეგ მუდამ იმაზე ფიქრობდა. როგორც დიდ სიხარულს ისე ატარებდა წყაროზე ოცნებას.

ყველაფერი გადაიკითხა წყაროს წარმოშობის შესახებ, სადაც რა ეწერა, დარწმუნდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტყეს წყაროს წარმოშობის საქმეში და საჭიროდ დაინახა სოფლის ზემოთ ტყის გაშენება.

პირველად ეს აზრი გულითად მეგობრებს გაუზიარა. მოუწონეს, მხარში ამოუდგნენ. შემდეგ პიონერთა ორგანიზაციაში იმსჯელეს ამ საკითხზე და ყველამ სიხარულით იკისრა წყაროს გამოცოცხლება.

მალე მთელი სკოლა, მთელი სოფელი აამოქმედეს პიონერებმა. სოფლის ზემოთ, გატიტვლებული ძველი ნატყევარი, ხევებით დასერილი ფერდობები მავთულხლართით შემოღობეს. ნიადაგი დაამუშავეს, ფერდობებზე ნიაღვრების საწინააღმდეგო ღობურები მოწნეს.

ადრე გაზაფხულზე, სანამ კვირტები გაიღვიძებდნენ, მთელი სოფელი — დიდი და პატარა შორეულ ტყეში გაეშურა ნერგების მოსათხრელად. აირჩიეს: მუხა, თელა, რცხილა, იფანი და ცაცხვი. თითომ რამდენიმე ნერგი მოთხარა.

იმდენი ხალხი უკან რომ გამობრუნდა ხელში ნერგებით, გეგონებოდათ ტყემ ფეხი აიდგა და მოდისო. მართლაც ტყე მოდიოდა წყაროს გა-

საცოცხლებლად. მოდიოდა და თვითონ ვერაფერსა გრძნობდა, ხეები ისევ ზამთრის ძილით თვლემდნენ.

მოვიდა აპრილი, ახლად გადმორგული ხეების ფესვებმა ტკივილი იგრძნეს. ჭრილობებიდან სისხლი სდიოდათ. კვირტებმა გამოიღვიძეს, მიიხედ-მოიხედეს და დაღონდნენ, მიწა ეუცხოვათ. დედის უბე ინატრეს. ზოგმა გვერდში მდგომი ვეება ცაცხვი მოიკითხა. ზოგმა წიფელი, ზოგმა ხავსმოდებული ბებერი მუხა, დიდრონი ლოდები, წკრიალა წყარო, მაგრამ თავისიანები ვერავინ ნახეს. მხოლოდ წითელყელსახვევიანი ქოჩორა გოგო-ბიჭები დაცქრიალებდნენ, გარშემო უვლიდნენ, ეალერსებოდნენ, ძირებთან მიწას უფხვიერებდნენ, რწყავდნენ.

უკვირდათ ხეებს, ერთმანეთს ეკითხებოდნენ: — აქ სადა ვართ, ვინ მოგვიყვანაო?!

უცხო გარემოს მალე შეეჩვივნენ. ჭრილობები მოუშუშდათ. მიწაგულ-მკერდს ფესვებით ღონივრად ჩაეხვიენ. ახალმა ტყემ მაგარი საძირკველი გაიდგა, ტოტები თავისუფლად გაშალა, ერთიმეორეს გადახვია და მიწა ხშირი ჩრდილით დაფარა.

ხანძრობის დროს გაძევებული ტყის ბალახი და მცენარეები: — ბრძამი, ბუერა, გვიმრა, გვირილა, შროშანა, ბაია, ია, ენძელა ისევ დაბრუნდნენ, ალისფერი ყელსახვევიანების ალერსი იმათაც იგრძნეს. სოფელ მუხრიანის ზემო მხარე ისევ საამურად აამწვანეს და გააფერადეს.

ერთ დილით ტყე უჩვეულოდ ახმაურდა: — შრრრ... სსს... შველი გვესტუმრა, შველიო, — სიხარულით აჩურჩულდნენ ხეები.

მალე საიდანღაც კურდღელი, ციყვი და თრითინაც მოვიდნენ. ფრინველებმაც იწყეს მოფრენა; ყველაზე ადრე მჩხავანა ჩხიკვი გამოჩნდა. მერე შაშვი აკანკალდა. წრიპა, ნაცარა, ბოლოჭრელა ჩიტუნებიც ეწვიენ ტყეს. გნოლმა და ხოხობმა ტყის ნაპირები დაამშვენეს. ქორმა და მიმინომ მაღლა იწყეს ნავარდი. ოფოფმა ტყეს თავისი ჯიღა დაადგა. მხოლოდ კოდალა ჯერ არსად ჩანდა. ვიღაცამ იკითხა კიდეც და ძაე უპასუხეს: — ის არ ბინავდება, სადაც ნამდვილი ტყე არ არის, ხმელი და ფუღურო ხეებიანიო; რამდენიმე წლის შემდეგ კოდალამაც იკადრა მოსვლა და ასტეხა კაკუნი.

ტყეს ახლა ალარაფერი აკლდა, მაგრამ წყარო მაინც არსადა ჩნდებოდა.

III

წყაროს ძიების დამწყები თარბა წამოიზარდა. დაწყებული საქმე და წითელი ყელსახვევები მომდევნო თაობას გადასცა. თვითონ კი ბუდიდან დაფრენილი ბარტყებივით ზოგი საით წავიდა და ზოგი საით.

წყაროს მოსვლაზე ბევრმა იმედი დაჰკარგა, ბევრს გადააავიწყდა კიდეც, მაგრამ ნოდარი მაინც ელოდა. როცა სოფელში დაბრუნდებოდა, მუდამ ახალ ტყეში დადიოდა. ყოველ კორდთან და კლდეში წყაროს ეძებდა.

ტყეს ძალა, ჩრდილი და სინოტივე თანდათან მოემატა. მისმა სიგრილემ მიწის სიღრმეში კლდის ქანებზე მძინარე წყარომდე მიაღწია.

წყაროს ღონე მოემატა. თვალები გაახილა და თქვა: — ოჰ, რამდენი ხანი მძინებიაო.

გულმა მზის ნახვა, ქვეყნისათვის სიკეთის მოტანა შესთხოვა. წამოდგა, ქანები მისწი-მოსწია, ძველი გზა იპოვა და წამოვიდა. ერთი დღე და ღამე იარა დაუსვენებლივ. მეორე დილას, მზის ამოსვლისას, შემოაღო ქვეყნის კარი. ლურჯ კლდეებზე გადმოჩუხჩუხდა, გადაეხვია კენჭებს, ფოთლებს, ტოტებს, ტყეს გაცოცხლება მიულოცა და ამღერდა.

იქვე კლდის პირას შველსა და ნუკრს სძინებოდათ, წყაროს ბმაზე გამოეღვიძათ და დაფრთხნენ.

წყაროს გაეცინა და წკრიალა ხმით თქვა: — თქვე მშიშარებო, ეს თქვენს, გასახარებლად მოვედი და თქვენ კი შეგეშინდათ!

იმათ თავისი სიმხდალის შერცხვათ, მივიდნენ და გადაჰკოცნეს წყარო.

ხევის პირზე მდგარი იები, გვიმრები, შროშანები, ბუერები, გადაიხარნენ და გულ-მკერდში ჩაეხვევნენ წყაროს. მთელი ტყე ახმაურდა, ყველა წყაროს მოსვლაზე ლაპარაკობდა. სოფელმა კი ჯერ არაფერი იცოდა.

შუადღისას ერთი წითელყელსახვევიანი ვაჟი წააწყდა წყაროს. ხელში კალათა ეჭირა. — წყარო!.. — წამოიძახა შემკრთალმა და კალათი ხელიდან გაუვარდა. კალათიდან იები, სოკოები, შროშანები წამოცვივდნენ... ბიჭი კი სოფლისაკენ გარბოდა.

ცოტა ხნის შემდეგ პიონერების გუნდი მოვიდა. წყაროს წრე შემოავლეს და სიცოცხლის გამარჯვების სიმღერა შემოსძახეს. ამღერდნენ ფრინველები. ბანი მისცეს ტყემ, წყარომ, ყვავილებმა, კლდეებმა... აგუგუნდა მთელი ბუნება!

სოფელში აღარავინ დარჩა, ყველანი იქ შეიკრიბნენ. დიდი და პატარა პიონერებს ლოცავდა. წყაროს თავს ევლებოდა.

მეორე დღესვე ოსტატები მოვიდნენ და წყაროს მარმარილოს სასახლე აუშენეს.

IV

თბილისში, ერთ-ერთ სახლში მედიცინის პროფესორი საღამოთი ავადმყოფებს ღებულობდა. მოსაცდელში აუარებელი ხალხი იყო.

ვილაც თუშურქუდიანი ახალგაზრდა შემოვიდა. უბის ჯიბიდან წერილი ამოიღო, პროფესორი იკითხა და გადასცა.

ექიმმა წერილში ამოიკითხა: „პატივცემულო პროფესორო, სოფელ მუხრიანის პიონერთა ორგანიზაცია გილოცავთ გამარჯვებას! თქვენი დიდი ხნიდან საზრუნავი და სანუკვარი წყარო გაცოცხლდა. შაბათს ზეიმზე გვესტუმრეთ!“

მკურნალს წინაპრის ნათქვამი სიტყვები გაახსენდა: „ჰაი, ჰაი, რომ ყოფილა, შვილო, უწყლო ადგილას საძირკველს ვინ ჩაჰყრიდა!“

გონი მოიკრიბა, მოსაცდელის კარი გამოაღო, წერილის მომტანი მოძებნა, მაგრამ ის უკვე წასულიყო.

ხალხმა პროფესორს ღაწვებზე სისველე შეამჩნია, ჩურჩული დაიწყეს. ეგონათ წერილმა სადარდო რამ აცნობაო, მაგრამ ეს იყო პროფესორ ნოდარის სიხარულის ცრემლები.

მესამე დღე შაბათი თენდებოდა. ნოდარი გათენებისას მანქანით წავიდა. მზემ გზაზე მოუსწრო. მშობლიურ სოფელში რომ შევიდა, აღარავინ დახვდა, ყველანი წყაროზე გაკრეფილიყვნენ; ნოდარიც იქით გაემართა.

სტუმრის გამოჩენამ დიდი სიხარული გამოიწვია. პიონერები წინ მიეგებნენ. თავზე იები, შროშანები გადააყარეს, ვარდები მიართვეს. ხელჩაკიდებული მიიყვანეს წყაროსთან, ალისფერი ყელსახვევი გაუკეთეს და სიცოცხლის გამარჯვების სიმღერა შემოსძახეს. ნოდარმა წყარო ამოპეშვა და რამდენჯერმე ეამბორა.

ყველაზე პატარა პიონერმა ლეომ გახსნა ზეიმი. წყაროს საბურველი რომ გადახადა, მარმარილოზე წითელი ლენტი საამურად აელვარდა — წყაროსაც ალისფერი ყელსახვევი ჰქონდა გაკეთებული. მკერდზე ოქროსვარაყიანი ასოებით ეწერა: „პიონერის წყარო“.

მფრინავი თევზები

უხსოვარ დროში, ადამიანის გაჩენამდე, ზღვაში დაიბადა ერთი, მერცხალივით მხრიანი თევზი.

ზღვას რა ცხოველი არა ჰყავდა, მაგრამ იმასაც გაუკვირდა ასეთი თევზის გამოჩენა. აღელდა. ნაპირებს მჩქეფარე ტალღები მიაყარა.

რაც იქ ცხოველები ბუდობდნენ, ყველანი აიშალნენ, აჩოჩქოლდნენ: თევზმა თევზს გადასცა, ვეშაპმა ვეშაპს, მედუზამ მედუზას, კიბომ კიბოს, და მალე ახალი ამბავი მთელ ზღვას მოედო.

— წყლისა და ჰაერის მპყრობელი გახდება, ზღვის საიდუმლოებას ცას გაანდობს, ფრინველები ზღვის ზედაპირზე აღარ აგვიშვებენ, ჭირი თავიდან ახლავე მოვიშოროთ — ფიქრობდნენ თევზები.

ახლადდაბადებულმა თევზმა არც კი იცოდა, რომ იმაზე ასეთი ამბავი იყო. სადღაც, ზღვის ნაპირას მარტოდმარტო დასრიალებდა. არც დედა ახსოვდა და არც მამა. მხრები რომ ჰქონდა, იმასაც კი ვერა გრძნობდა.

ეძებდნენ მტრები, მაგრამ ვერ პოულობდნენ, რადგანაც მხრები ჯერ არ ემჩნეოდა.

გავიდა ხანი, ობოლი თევზი გაიზარდა, მხრები დაუგრძელდა.

ერთხელ მერცხლები მოფრინდნენ, იმის პირდაპირ დაიწყეს ეღურტულით ნავარდი: ზღვის ტალღებს ეთამაშებოდნენ.

იმათ რომ დააკვირდა, თვითონაც მოიწადინა ჰაერში ფრენა, იფიქრა: — იქნება მეც გავფრინდეო, — ერთი ნახტომი გააკეთა, ზღვას მოსწყდა და ჰაერში გასრიალდა.

მერცხლებს შეეშინდათ; გაეცალნენ, მფრინავი თევზი არც იმათ ენახათ.

თევზმა იფრინა, მაგრამ უწყლოდ დიდხანს ვერ გაძლო, ისევ ზღვაში ჩაეშვა.

რაც დრო გადიოდა, უფრო მაღლა და შორს მიფრინავდა.

რომ წამოიზარდა, ზღვის ნაპირიდან სიღრმისაკენ გაეშურა. შუაგულში რომ შევიდა, ერთმა ზვიგენმა *) იცნო.

არიქათ მხრიანი თევზიო, ატეხა განგაში. ყველამ იქით მიაშურა. შეშინდა მფრინავი თევზი და ზღვის ზედაპირისკენ გასრიალდა.

ურიცხვი თევზის თვალები, გაღებული ხახა და კბილები აედევნა უკან. ბეწვზე გადარჩა, — ის იყო, ცხვირშუბიან თევზს შუბი უნდა ეკრა, რომ ამ დროს ასცდა ზღვას და ცას შეაფარა თავი. მაშინ გაიგო, რომ მრავალი მტერი ჰყოლია.

მაინც ვერ შეაშინეს, ყველგან დასრიალებდა, ზღვაში თუ ცაში, ოღონდ ფრთხილობდა, ერიდებოდა მტრებს. ბოლოს ისე გამრავლდა, რომ მთელ ხმელთაშუა ზღვას მოეფინა.

იმათი მსგავსი მფრინავი თევზები მალე სხვა ზღვებში და ოკეანეებშიც გაჩნდნენ.

მგზავრი თუ მკვლევარი ისე ვერ გაივლის ამ ზღვებსა და ოკეანეებს, რომ მათ სილამაზესა და ჰაერში ფრენას ყურადღება არ მიაქციოს.

---

*) ზღვის თევზი.

კლავდია დევდარიანი



კლავდია მანუილის ასული დევდარიანი დაიბადა 1910 წელს, სოფ. წითელ ხევში (ორჯონიკიძის რ.). პირველდაწყებითი სასწავლებელი დაამთავრა ქ. ქუთაისში 1926 წელს. 1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. კლ. დევდარიანი ჯერ რაიონში მუშაობდა მასწავლებლად, შემდეგ კი თბილისში.

კლ. დევდარიანმა მწერლობა დაიწყო 1935 წლიდან. მისი პირველი საბაეშვო ძოთხრობა „აღარ დაბრუნდება" დაიბეჭდა ჟურ. „პიონერში". მას შემდეგ კლ. დევდარიანი მუდმივად თანამშრომლობს ჩვენს პრესაში.

ჭართლის ბედი

(ტატოს ბავშვობა)

ვიწრო სარკმლიდან შემოსული სინათლე ნახევრად ანათებდა ოთახს. ბუხრიდან მონადენი შექი კი პირდაპირ სცემდა განიერ ტახტს, რომელზედაც მუთაქებს შორის ხორეშანს მოეკეცნა. იგი დაბალი ხმით რაღაცას მოუთხრობდა მის მეხლებთან მიყუჟულ ილიას და ტატოს. ხორეშანის გვერდით ახალგაზრდა ქალი იჯდა ფეხმორთხმული, საქარგს დაეინებით დასცქეროდა, ნაქარგზე სახეები გამოჰყავდა, ხორეშანი ახალგაზრდა ქალისაკენ დაიხარა:

— მარჯვნივ გაჰყე ნემსის წვერით, თორემ სახე უსიცოცხლო გამოგივა, თვალებიც დაჰკარგავენ შუქს.

— განაგრძე, დიდედა, განაგრძე, — ხელზე წაეპოტინა ტატო ხორეშანს, სურვილმორეულს ბუდეშური თვალები კილოებში მოუვიწროდა.

— მოიცა, შვილო, რად გეჩქარება ყველაფერი? — ახლა ილიას მიუბრუნდა ხორეშანი. — შვილო ილიკო, გაიხედე კიდევ თოვს თუ არა, რად იგვიანებს გრიგოლი ასე, ვაითუ ცუდი გზებია? — გაესაუბრა თავისთავს ხორეშანი.

ილია წამოხტა, ვიწრო სარკმლის მარმაშის ფარდა გადასწია, გაიხედა.

— უ, როგორა თოვს, აღარაფერი აღარა ჩანს, ყველაფერი გადათეთრებულა.

ტატო კვლავ ხორეშანს წაეპოტინა უსიტყვოდ. ხორეშანმაც ფიქრები თავის გაქნევით მოიცილა და დაწყებული ამბავი განაგრძო:

— რა დაინახა მეფემ, რუსები თავისას აღარ იშლიანო, მოტრიალდა, თავის ჯარს შესძახა: — ქართველებო!! რუსის ჯარი უკან წავიდა, ჩვენ კი აქ უნდა გავწყდეთ, თუ არ გვინდა საქართველოს აოხრებაო.

ოთახში დიდხანს გაისმოდა ხორეშანის ტკბილი ხმა, იგი თავის საყვარელ მეფე ერეკლეზე მოუთხრობდა შვილსა და შვილიშვილს.

ჩამობნელდა. ოთახში მყოფნი, ხორეშანის ნაამბობით გატაცებულნი, დროის მსვლელობას ყურადღებას აღარ აქცევდნენ. არც გარედან მონადენი ნმაურობისათვის მიუქცევიათ ყურადღება.

ოთახში გამდელი შემოვიდა, ხორეშანს მოახსენა:

— ბატონი გრიგოლი მობრძანდა. — ხორეშანმა ადგომაც ვეღარ მოასწრო, კარებში გრიგოლიც გამოჩნდა.

— იჯექ, დედავ ბატონო, — გრიგოლმა ორივე ხელი მიაშველა წამოსადგომად გამზადებულ ხორეშანს, კვლავ მუთაქებზე დასვა, ხელები და მხრები დაუკოცნა, ხორეშანმა თავზე აკოცა შვილს.

— მადლობა ღმერთს, მშვიდობით მოხვედი, შვილო.

— არ არის ცუდი სამგზავრო, დედავ ბატონო, მართალია თოვს, მაგრამ ჯერჯერობით იმდენი არ დაუდევს, ცხენს შეუშალოს, არც სიცივეა. პირიქით, სასიამოვნოა კიდეც. თქვენ რას აკეთებთ, ყველანი რომ შეყრილხართ. — გრიგოლმა თვალი შეავლო მის წინ გაჩერებულ ტატოსა და ილიას. ხორეშანმა ღიმილი შეაგება შვილს:

— როგორც ყოველთვის, მეფე ერეკლეზე ვუამბობდი, უყვარს ტატოს ჩვენი წარსული.

გრიგოლი ტახტზე ჩამოჯდა, ტატო აიტაცა, მუხლებზე დაისვა და ტკბილად უთხრა:

— ადრიდანვე დაიწყე ქართლის ბედზე ფიქრი, შენმა გაზრდამ! — ტატომ გაუცინა საყვარელ ბიძას, მაგრამ კვლავ დიდედას ნაამბობზე ფიქრობდა:

— გიორგის რომ ანტონა აქიმბაშისათვის დაეჯერებია, — წაიჩურჩულა მან.

— განაგრძეთ, დედავ ბატონო, თორემ ხედავთ, ტატო ყურს არ მიგდებს, მეც მიამება წარსულის მოსმენა. — ოთახში კვლავ გაისმა ხორეშანის ხმა. გრიგოლი დაფიქრებით მიაჩერდა ბუხარში მოგიზგიზე

ცეცხლის ენებს, რომლებიც ვეებერთელა კუნძებს შესჭიდებოდნენ და მოსვენებას აღარ აძლევდნენ. — ერთ დღეს ხუთჯერ გაიმარჯვა მტერზე, — დაამთავრა ხორეშანმა. გრიგოლმა განაგრძო:

— სამოცდასამი წელი უელიდა ქვეყანას, დიდი და მცირედი ომი ათასობით გადაიხადა, ყოველთვის შუაგულ მტერში იბრძოდა, არასოდეს არ დაკრილა. ბოლოს მოღალატეებმა გული დაუკრეს მოხუცს. მაგრამ მაინც შესძლო დატანჯული საქართველო დიდი რუსეთის კალთისთვის შეეფარებინა და ამით სამუდამოდ გადაეწყვიტა ქართლის ბედი. თქვენ კი, — მიუბრუნდა შემომცქირალ ძმას და დისშვილს. — თქვენ კი, უნდა ისწავლოთ, ისწავლოთ, ამაზე მეტად აღარაფერი სჭირდება ჩვენს შვილებს.

ოთახში გამდელი შემოვიდა, ვახშმისათვის მიიწვია ხორეშანი. ტატო და ილია დასაძინებლად გაემზადნენ. ბუხრის ალი თანდათან ჰქრებოდა, ოთახში კიდევ დიდხანს გაისმოდა ტატოსა და ილიას ჩურჩული. ახლა მარტო ერთი კუნძიღა გუზგუზებდა გულჩათხრობით. ილიას ძილმა წაართვა თავი, აღარ პასუხობდა ტატოს საიდუმლო ჩურჩულს, ტატოც გაჩუმდა, მისი ფიქრები კვლავ გმირ პაპას დასტრიალებდა. ძილი ერეოდა, თვალები ნელ-ნელა ეხუჭებოდა.

წარსული დღეები სიზმარში გადაჰქონდა ბავშვურ ოცნებას. ჩაფერფლილი კუნძიც აღარ გუზგუზებდა გულჩათხრობით. როცა დილის შუქმა და თოვლის სითეთრემ ვიშრო სარკმელში კვლავ შემოანათა, ტატოს მოეჩვენა: ცა გაბსნილიყო, აყრილ ღრუბლებში ლანდივით ჩანდა მეფე ერეკლეს სახე, ღრუბლები თანდათან იფანტებოდა და მეფის სახე უფრო მკვეთრი ხდებოდა. თავის ქვეყანას დაჰყურებდა მეფე, სახეზე ნათელი ეფინა კმაყოფილს; უხაროდა, რომ ვეღარ ხედავდა: გატიალებულ სოფლებს, აოხრებულ ქალაქებს, ატირებულ მცხოვრებლებს. უხაროდა მისი ღვაწლი ტყეილად არ დაკარგულიყო, თავის ნაყოფი გამოეღო ჩრდილოეთისაკენ გაჭრილ მზერას. დაწყნარებულიყო მისი პატარა მამული, მაგრამ დაკოდილ გულს გამთელება არ ღირსებოდა, იქიდან გადმონადენი სისხლის წვეთები დედამიწისაკენ მიისწრაფოდა შესაერთებლად. ეყურებდა ტატო სისხლის წვეთებს, მასაც უკვნესოდა პატარა გული, უნდოდა ეყვირა: — ნუ სწუხარ, პაპა, გაგიმთელებთო დაკოდილ გულს.

თენდებოდა. აღარ თოვდა.

აღმოსავლეთი მზის სხივებს აეწითლებინა. ბრწყინავდნენ მზის შუქზე თოვლით დაფარული გორის ფერდები. ობოლი მარგალიტებივით ელვარებდნენ ფიფქები, უცინოდნენ მზის შუქს, მზის სხივები კი ნაზად ეალერსებოდნენ ფიფქებს, ერთიდან მეორეზე გადარბოდნენ, ეშინოდათ, ზედმეტი ალერსით არ დაიფერფლონო. ზამთრის

პირველი ფიფქები, გაზაფხულის პირველი ყვავილებივით ფაქიზნი არიან.

ქალაქმა გამოღვიძება დაიწყო.

ვიწრო ქუჩებში გამოჩნდნენ სახედრები, სანოვაგითა და ნახშირით დატვირთულნი. თოვლის ფიფქები აკვნესდნენ სახედრების ფეხქვეშ, მოშორებით მყოფებმა თავები წამოჰყვეს, გაკვირვებით შეხედეს გაშურულ მენახშირეებს, ამოდენა სითეთრეში ზღაპრული ალქაჯებივით რომ მოაბიჯებდნენ.

— მაწონი! რძე! მაწონი!

— ნახშირი! ნახშირი! — გაისმა ორბელიანთა უბნის ვიწრო ქუჩებში, აივნებზე აქა-იქ გამოჩნდნენ გამდელები და მოახლეები, აივნებზე გამოსულთ ყროყინით შეეგებნენ სახედრები. სახედრების ხმა მძინარ ტატოსაც ჩაესმა და მეფე ერეკლეს ლანდიც გაქრა.

ტატო წამოდგა. ფეხშიშველმა გადაირბინა ოთახი, ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია, გარეთ გაიხედა, სახედრებით ავსილიყო ვიწრო ქუჩა. ტატოს ყურადღება უხვად გადმობნეულმა მზის სხივებმა მიიქცია, ტატოს ეგონა მზითა და თოვლით ავსილაო ქვეყანა, ცის პირამდე მზისა და თოვლის მეტი აღარაფერიაო. მაია გამდელის ზღაპარი მოაგონდა, უშვილო დედოფალზე, საკერავით რომ იჯდა სახლის წინ, სისხლის წვეთი თოვლზე რომ დაეცა. თოვლივით თეთრი ასული ინატრა მაშინ დედოფალმა. ალბათ, მაშინაც ასეთი ბრწყინვალე დღე იყო. ვერ შეატყო, სიცივემ რომ აიტანა და კბილებს კბილებზე აცემინებდა. ლოგინისაკენ სწრაფად ისკუპა, საბანი შემოიკეცა, მაგრამ სარკმელს თვალს მაინც ვერ აცილებდა. გარედან შემონადენ მზის სხივებს და თოვლის სითეთრეს ოთახიც აევსო. ტატომ ილიას ხმაზე სარკმელს მზერა მოსწყვიტა და თავის ტოლ ბიძას გაეხმაურა:

— რა იყო?

— რა დაგემართა, კუნტული, გეძახი და ხმასა არა მცემ.

— მე მეძახოდი? — დარცხვენით მიუგო ტატომ — მოდი, გაიხედე, როგორი დილაა!

— როგორი დილა?

— ილია, ასეთი დილა არასოდეს მინახავს. ციგა თავისთავად ასრიალდება, მერე ისიც კაკალას გაკეთებული ციგა. — ბიჭები ზეზე წამოცვივდნენ, ჩაცმა დაიწყეს. ტატომ ლურჯი ქუდი გვერდზე მოიქცია, ძირს დაცოცებულ ვერცხლის ქამარს ხელი მიაშველა და სათონისაკენ გაიქცა, დადევნებულ ილიას მიაძახა:

— ილიავ, გამდელთან შევალ, ცხელ თონეულს გამოვართმევ.

ბიჭები მაშადავითის აღმართს შეჰყვნენ. წინ ტატო მიდიოდა. კაკალას გაკეთებული ციგისათვის თოკი გამოება და მისრიალებდა.

ბრწყინავდა მზის შუქზე პირველი თოვლით გადათეთრებული გორები, ეს ბრწყინვალება ტატოს გულშიც აშუქებდა, ახალუხის უბეში ჩადებული ცხელი თონეული კიდევ უფრო მეტად უხურებდა ისედაც გახურებულ გულს.

თოთქოს ფრთები შეასხესო, ისე დაეშვა დალმართზე ტატო. ხელში მაგრად ჩაებღუჯა ციგის თოკი. წინ წამოხრილს თვალებში უჩვეულო სხივი ჩასდგომოდა. ღაწვები წითლად აფაკვლოდა, ციგის სიჩქარით გამოწვეული სიო თმებს უწეწავდა და მიჰქროდა პატარა ტატო ბედის საზღვრის გადასალახად. წინ გასწრებულ ილიას მკვეარე ხმით დაჰკიჟარა და ჰაერში გაისმა მისი წკრიალა ხმა, მას ბიჭებიც აჰყვნენ და მთაწმიდის კალთებმა აიტაცეს... „ჯაკვის პერანგი ჩააცვეს, გაჰკრა ხელი და გახია“...

შეუმჩნევლად გაიარა მოკლე დღემ. ბინდი ჩამოწოლილიყო ქალაქში, როცა ისინი სიმღერით ჩამოვიდნენ ორბელიანთა უბანში. სახლში შესულებს წინ ეფემია შემოეგებათ. ეფემია გაახარა ბიჭების დანახვამ, კარგა ხანია სწუხდა ბიჭების დაკარგვას და უვნებელი ძმა და შვილი რომ დაინახა, გაიხარა დედის გულმა.

— ასე დაგვიანება შეიძლება, შვილო!

— ვერ გავიგეთ, როგორ შემოგვაღამდა, დედა.

— ასეთ დროს მგელი ქალაქს ეტანება, შვილო, როგორ იქნება, არ გაუფრთხილდეთ.

— ოთხნი ვიყავით, ეფემიავ, მგელი რას დაგვაკლებდა, — დააიმედა ილიამ და.

— ღმერთმა დაგიფაროთ მგლის ხროვას შეჰყროდეთ სადმე.

— გვაპატიე, დედავ, არ გვეგონა, თუ შეგაწუხებდით.

ეფემიამ შვილის შემოხვეული ხელები მოიცილა, თვალებში ჩახედა, ხმას მეტი ალერსი დაეტყო:

— არ შეგცივდა მაინც მთელი დღე გადაკარგულს?

— ისეთი კარგი დღე იყო, დედა!

ტატოს ყურადღება დარბაზიდან მონადენმა ლაპარაკმა მიიპყრო.

— ვინ არის?

— სტუმრები ჰყავს ძია გრიგოლს, შვილო.

დარბაზის კარი შეაღო ტატომ, შედგა. ძია გრიგოლი მოპირდაპირე ტახტზე იჯდა, დორზე მიყრდნობილი. თვალები დაეხუჭა და ისე უსმენდა გიორგი ერისთავს, რომელიც შუა ოთახში იდგა და ხმამაღლა კითხულობდა. ტატოს სმენას მისწვდა: „ვის არ ერჩივნა ტყვეობას სიკვდილი მამაცეული“. ტატომ სუნთქვა შეიკრა, იქვე ჩაჯდა, არავის შეუმჩნევია მისი შემოსვლა, ყველა კითხვას უსმენდა. ტატოს ყოველი სიტყვის გაგონებაზე ჟრუანტელი უვლიდა, თვალები ცრემლებით

ევსებოდა. მაღალ შუბლზე წვეთ-წვეთად დაასხა ოფლის კუკურებმა. რა კარგი ლექსია — გაუელვა ტატოს. ამიტომ უყვარს ძია გრიგოლი, ოთახში კი კვლავ გაისმოდა: „ხმა საიდუმლო მარად ჟამს მეჩურჩულების მე ყურსა, ჟამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ლესულსა“, და როცა ლექსის უკანასკნელი სიტყვები „წავწყმდები მამულისათვის“ — ტაშმა დაჰფარა, ტატოს გაფერმკრთალებულ ღაწვებზე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოუვიდა. ტაში შესწყდა, ტატომ თვალები გაახილა, დაინახა: სოლომონი გადახვეოდა ძია გრიგოლს. დანარჩენები გარს შემოხვეოდნენ და ულოცავდნენ.

— ამას ვუწოდოთ. გივი ამილახვრის აღსარება. — კვლავ ტაშმა დაჰფარა ხმები; ტატოს სმენას კი უკანასკნელი სიტყვები უხშობდა: „წავწყმდები მამულისათვის“.

ალექსანდრე გომიაშვილი

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე გომიაშვილი დაიბადა 1911 წელს უაზბეგში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო უაზბეგის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლაში. საშუალო სკოლა დაამთავრა თბილისში 1930 წელს. ამავე წელს შეეიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. იგი იმეცადინებდა საბჭოთა არმიაში.

1941—1945 წლებში ალ. გომიაშვილი იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

ალ. გომიაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1929 წ. ამ წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „მთის ბალადა". ალ. გომიაშვილი სისტემატურად ბეჭდავს ლექსებს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. მისი ლექსები და პოემები ცალკე წიგნებად არის გამოცემული.

თბილისი

ამბობენ: თბილის-ქალაქი
ათას ხუთასი წლის არი.
მცხეთას აფრინდა ხოხობი,
გადაიარა ისანი...
ვახტანგმა მშვილდი მოზიდა,
გულს გაუყარა ისარი
და სადაც იგი დაეცა,
სადაც ტევრ იყო კლდისანი, —
მივიდა, ნახა წყარონი
იმ ძველი თბილისისანი.
და ბრძანა მეფემ: „აშენდეს
ქალაქი — რისხვა მტრისანი".
ბრძანა და უცბად აშენდა
ნარი, მეტეხი, ისანი —
მტრისათვის მიუკარები
კარები კრწანისისანი.
და მიტომ თბილის-ქალაქი
ათას ხუთასი წლის არი.
ვას წვმდეგ სისხლით სველია
დიდი საბგორის ველები —
ვახტანგი მტერს მიჰყოფავდა,
მხარს უდგნენ თბილისელები.
მაგრამ დაეცა ვახტანგი,
დაეცნენ ციხის მცველებიც, —
თბილისის კართან დაეცნენ
ის ჩვენი არაგველები.
მოდგა და მოდგა მტრის ჯარი
რუსთავ-სამგორთან, კრწანისთან,

ქაჯებს რჩებოდა თბილისი,
სიმაგრე გორგასალისა...
დაეცა კიდეც ქავ-ციხე
და შავმა ურდომ წანიხლა
მთელი ქართლი და კახეთი
და მთები დაღესტანისა.

მაგრამ სხვა არი თბილისი,
ადგილი დედა ქართლისა —
და ჩვენც, პოეტებს, ვალად
გვდევს
ვთქვათ სიმღერები მართლისა!
ხმალს ჟანგი შესჭამს, ჟანგს—მიწა,
მიწას ცეცხლ წაეკიდება...
მხოლოდ თბილისი სხვა არი, —
მტკვარს ხავსი არ ეკიდება —
ათას ხუთასი წელია
ვმღერით თბილისის დიდებას.
გადაიარეს ნისლებმაც
დიდი კრწანისის ხეობა...
და აღსდგა ისევ თბილისი,
აღსდგა ქართული მხნეობა;
დღეს შეემატა სინათლე
და თბილისს მოსახლეობა —
თბილისის ყოველ ბაღიდან,
გათლილი ლერწმის ღეროდან —
ლაღი ბულბულის ხმაზედა
დედაქალაქი მღეროდა!
და თუ ვახტანგის დროშია
მტრის ურდო მიწას ბარდნიდა, —
მცხეთას დაჭრილი ხოხობი
თბილისში ჩამოვარდნილა;
დღეს იმავ მცხეთის მიწაზე,
(არა ნაღარა-დაფითა) —
ბებერი მტკვარის აფრიდან
ხოხბების გუნდი აფრინდა.
ახლა სხვა არი თბილისი,
თბილისი ხოხბის ფერია;
მცხეთას დაჭრილი ხოხობი —
მტკვრის ზვირთებს გადაერია —
ცეცხლი ავარდა მტკვარიდან,
განვლო მთები და სერია...
ელავს ელექტრო-ნისკარტი,
ნისკარტიც ცეცხლის ღერია, —
გუნდი და გუნდი ხოხბების
თბილისის თავზე მღერიან.

დიდია ჩემი სამშობლო

დიდია ჩემი სამშობლო
ზღვებით, მთებით და ველებით.
მთებსა სძრავს ნაღმის გუგუნი,
ხევებს — მდინარე ხველებით, —
შემოხვევია ტრამალებს
არხების რკინის ხელები.
ტალღა ტალღას სცემს მდინარის.
შრიალებს პურის ველები, —
ღონზე მღერიან ლეკები,
სამგორში — არაგველები.
ისევ იზრდება ჯეჯილის
მწვანე ველები ვრცელები.
ისევ ელავენ ყანაში
კომბაინერთა ცელები, —
საზღვარზე დგანან გუშაგად
დედა-სამშობლოს მცველები
და დაჰბრუნავენ მშვიდობას
ზღვებით, მთებით და ველებით —
მშვიდობის ჯარისკაცები,
საბჭოთა არმიელები.

დიდია ჩემი სამშობლო,
დედა — საბჭოთა კავშირი.
დიდია მისი ნათელი
კიდით-კიდემდე გაშლილი.
აქ ელვა ღრუბლებს ანათებს,
მაღალ ქარაფებს — გზა ხშირი.
ყუბანში პურის ხვავი დგას,
დონბასში — შავი ნახშირი
და ისევ,
ისევ ცასა ხვევს
საბრძოლო დროშა გაშლილი.

ამ დროშის ნათელ შრიალში
ზღვებით, მთებით და ველებით —
საზღვარზე დგანან გუშაგად
დედა-სამშობლოს მცველები,
მათ არ აშინებთ ზღვის ღელვა
და არც სისინი გველების...
შემოსჯდომია ავტომატს
დაკოჟრებული ხელები. —
იცავენ ქვეყნად მშვიდობას
საბჭოთა არმიელები.

უკანასკნელი დღე კეცხოველისა

ღამის წყვდიადში ზრიალებს
მეტეხის რკინის კარი.
ხან სანთლის შუქი იალებს,
ხანაც ტრიალებს ქარი,
მხოლოდ თბილისის მდინარე —
ნელად მოღელავს მტკვარი.

მტკვრის პირას ერთი ციხე დგას,
ერთი მწუხარე რამე —
საკანში შემოიხედავს
ვარსკვლავიანი ღამე
და რუხ მეტეხის ფერდიდან
დაეფარება ხრამებს.

თავზე დაჰბრუნავს კეცხოველს
მეტეხის ციხის გმინვა...
სულისკვეთება — ესოდენ
წარსული წლების წვიდან
ფანდურზე აღმოკვნესოდა
რვა საუკუნის წინაც. —

ჰკლავდნენ და არა კვდებოდა,
იცვამდა გრილსა რკინას,
ხან გლეხის ქოხში წვებოდა,
ხან ველად ჰქონდა ბინა;
ღამე ვარსკვლავთან ჰქრებოდა,
მზესთან დგებოდა დილას.

მოღელავს მტკვარი ანკარა,
ცა — ვარსკვლავების კვარით;
წყალში ვარსკვლავი ჩამკვდარა,
დაწინწკლულია მტკვარი
და ისმის ვეფხის დაგვარად
ღრიალი ნიაღვარის.

ასეთი იყო ის ღამე,
უკანასკნელი ღამე —
იმ ბნელ ღამეში აშარი
შემოჰყიოდა ხრამებს;
ციხეზე იჯდა ფრთა-შავი,
აბრიალებდა თვალებს.

მტკვარზე განათდა ბორანი,
სხივი ჰფენია მზისა, —
აფრინდა შავი ყორანი,
გადაუარა ისანს

და დარჩა გაუგონარი
დუმილი სიკვდილისა!

არა და არა! დუმილშიც
ისმის ხმა ხანდისხანა;
ასევე მთის და ველისა
საშგლოვიარო ზარად —
ძახილი კეცხოველისა
შეაზრიალებს ქალაქს...

აღარც მეტეხი მდუმარებს —
ტყვია, ვაჟკაცის მკვლელი!
ჩაჰქრა ძახილი მქუხარე,
დადუმდა მთა და ველი...
ქალაქს გაისმა მწუხარედ:
— მოჰკლესო, კეცხოველი!

ლადო ციხეში კვდებოდა,
გულში ეკიდა ალი;
ცა ბინდდებოდა, ცხრებოდა,
ეხუჭებოდა თვალი...
და მკერდზე გადაჰფენოდა
ლენინის „ნაპერწკალი“.

ანდრო თევზაძე

ანდრო რაჟდენის ძე თევზაძე დაიბადა 1912 წელს სოფ. გოში (სამტრედიის რ.). პირველდაწყებითი განათლება მიიღო თავის სოფელში. 1930 წელს დაამთავრა ქალ. სამტრედიის ა.ბ.ლ.ედი. ერთ ხანს მასწავლებლობდა. შემდეგ უმაღლესი ცოდნის მისაღებად შეკიდა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1940 წელს.

ანდრო თევზაძემ 1936 წლიდან დაიწყო ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად ლექსების ბეჭდვა. მისი ლექსების პირველი წიგნი „პირველი გაზაფხული" გამოვიდა 1937 წელს. ის აგრეთვე წერს საბავშვო ლექსებსაც და ავტორია რამდენიმე საბავშვო ლექსთა კრებულისა.

საქართველოს გაზაფხული

საქართველოს გაზაფხული
თებერვალში იწყება:
აინთება ცისკრის თაღი,
თითქოს ზეცა იწვება,
მზე ამოვა და ნისლები
მთის კალთებზე მიწვება,
დაიწყება ჩანჩქერების
ქლდეზე თავდავიწყება.

ენძელები გაუსწრებენ
ყვავილების ქარავანს,
შემდეგ ია, შემდეგ ვარდი
ლიმილდაუფარავად
ივლიან და საქართველოს
მინდვრებს დაამშვენებენ,
დალოცავენ, შეამკობენ
გაზაფხულის მშენებელთ.

ლაღ მერცხლებით აივსება
ქალაქები, სოფლები,
გულს გაუშლის ძველი ბუჯე
სალაღობოდ მოფრენილთ,
შიგ ბარტყები დაიზრდება
სიხარულის მომფენი
და პეპლებიც ფრთებს გაშლიან,
ვით ყაყაჩოს ფოთლები.

საქართველოს გაზაფხულო,
თებერვალში ნაშობო,
შენ გაფურჩქნე, შენ ახარე
ჩვენი დედა სამშობლო,

შენს სიყვარულს, შენს დიდებას
ვუმღერთ მადლიერებით,
გესალმებით და ტაშს გიკრავთ
ჩვენი ნორჩი ხელებით!

მოვდივართ, მოგვიხარია

ამწვანებულო ტყე-ველო,
მტრებისგან დაუძლეველო,
მამულის მზეო, ნათელო,
გულში იმედის მფრქვეველო.

ლამაზო ზღვაო, ზღვაურო,
მუდამ ღელავ და ხმაურობ,
შენს მოუსვენარ ტალღებთან
გვინდა რომ ვიმოგზაუროთ.

ბახმაროს მთებო, მაღალო,
სულ ძველო, მარად ახალო,
კლდეს ჩაგრეხილმა ბილიკმა
ჭაბუკნი ვეღარ დაგვღალოს.

ცად ატყორცნილო ნაძვებო,
ჩვენო უფროსო და-ძმებო,
თქვენზე ერთგული მოყვასი
სხვაგან სად უნდა დავძებნოთ?

გნატრობდით დიდი ხანია,
მოვდივართ, მოგვიხარია,

მოგვაქვს სამშობლოს სიცოცხლე,
ელვარე, როგორც ხმალია.

მოვდივართ, მოგვაქვს ულევი
მზედ ანთებული გულები,
ლხენაში თქვენთან მყოფელი,
ჭირშიაც ნაერთგულები.

ვართ თქვენი ნახვის მსურველი.
გაშალეთ კალთა მზრუნველი,
დაგვატკბეთ თქვენი შხეფებით,
თქვენი ფოთლების სურნელით.

თქვენი მზის იაგუნდებით
გაგვიფოლადეთ კუნთები,
უფრო ბეჯითად ვისწავლით,
სკოლას რომ დავუბრუნდებით.

ახალი სული შთაგვბერე
თქვენი ნიავით ნაფერებს,
სულ ჭაბუკებად გვამყოფე,
ნურასდროს ნუ დაგვაბერებ!..

ჩვენი ნაძვის ხე

დგას, ელვარებს დროშასავით,
ღელავს მწვანე რტოს შრიალით,
დაჭკათქათებს თავს ვარსკვლავი,
თითქოს კრემლის კოშკი არის.

ტყეში იყო, თოვდა, წვიმდა,
ვერ ხედავდა თავის და-ძმებს
და ბავშვივით ხელს უწვდიდა
ცამდე ასულ ხნიერ ნაძვებს

უკვდებოდა გული ჩვილი
ჩრდილებში მდგომ ნაძვს პატარას.
ობლად იყო დარჩენილი
უდედმამო ბავშვის გვარად.

მხოლოდ სიო მოშრიალე
შეურხევდა ლამაზ რტოებს;

დღეს ჩვენთან დგას და აღარ
გრძნობს
ობლობას და სიმარტოვეს.

და იმ ტყიდან, ულრან ტყიდან,
სად მდუმარედ იდგნენ მთანი,
რა იცოდა, გახღებოდა
სიხარულის აქ მომტანი.

რა იცოდა პატარა ხემ,
რომ ბავშვები მისი კბილა,
მასთან ერთად შეხვდებოდნენ
ამ ახალწლის პირველ დილას.

დგას. ელვარებს დროშასავით,
ღელავს მწვანე რტოს შრიალით,
დაჭკათქათებს თავს ვარსკვლავი.
თითქოს კრემლის კოშკი არის.

საქართველო მოვიარე

თქვენ რომ ფიქრობთ, პატარა ვარ,
არ ვყოფილვარ სადმე განა?
თბილისიდან შარშან კახეთს
მამამ ორჯერ წამიყვანა.

მე ვხედავდი ალაზნის ველს,
გომბორის მთებს ცამდე მაღალს...
მაგრამ მხარე ციტრუსების
არასოდეს არ მინახავს.

ახლა მივქრი სოხუმისკენ,
უნდა ვნახო ზღვა და გემი;
ის მზიური აფხაზეთიც
ხომ სამშობლო არის ჩემი.

როცა ზაჰესს ჩავუარეთ,
მტკვარს შებმოდა კლდე მაღალი;
ამ ტალღების ცეცხლით მიდის.
თურმე, ჩვენი ელმავალი.

როგორ ჩქარა მიგვაქროლებს,
უკვე გავცდით კასპს და გრაკალს
და თბილისის ლურჯი მთები
შორს ნისლებში დაიკარგა.

აგერ გორის ძველი ციხე,
თითქოს ჰყვება ქართლის ამბავს;
გადმოსცქერის ახალ ქალაქს.
ვით მოხუცი მამა-პაპა.

რა მაღალი მთები ფარავს
ბორჯომსა და ბაკურიანს,
ცად ატყორცნილ კენწეროებს
ოქროს ჯიღა დახურვიათ.

აქ გათავდა ქართლის ველი,
აქ სხვა კუთხის დადგა ჯერი
და ანაზდად მზე ჩაგვიქრა,
გვირაბში რომ შევიჭერით.

შემეშინდა დაღამების
და კარები გადავრაზე,
ათიოდე წუთის შემდეგ
ისევ გავჩნდით ქვეყანაზე.

ისევ მთები, ტყე შრიალა
და ფერები უფრო მკვეთრი...
და თანდათან ჩემს თვალის წინ
გაიშალა იმერეთი.

ძირულა და ჩხერიმელა,
ყვირილა და ხანისწყალი,
სხვაც მრავალი მთის მდინარე
სათითაოდ გავიცანი.

მათ ნაპირზე ჰყვავის მარად
ბალია თუ ვენახია;
ხილდასხმული ხის ტოტები
თითქოს მისკენ მეძახიან.

რა ყოფილა ფეროს ქარხნის
ღუმელები ჩაუმქრალი,
მისი ცეცხლის ელვარებამ
შორიდანაც მომჭრა თვალი.

შემდეგ ვნახე სამეგრელო,
ინგირი და ანაკლია,
სიმდიდრე და სილამაზე
ამ კუთხესაც არ აკლია.

მაგრამ სხვაა აფხაზეთი,
მისი ზღვა და მისი მთები,
აქ სხვა ფიქრი გაგიტაცებს,
სულ სხვა ცეცხლით აინთები.

გამოაცა ზღვის სიდიდემ,
გემის ნახვაც გამეხარდა,
ეს ანძა და იალქანი
მე რამდენჯერ დამიხატავს.

ჩავუარე ახალ ათონს,
და ვეწვიე ლამაზ გაგრას,
მათი მწვანე არემარე
მზეს ზურმუხტით დაუქარგავს.

ო, რამდენი ვიცურავე,
გავირუჯე მზეზე ტანი;
შემდეგ გემით გავემგზავრე
და აჭარა გავიცანი.

მზით ანთებულ ოქროს ქედებს
ვეჭვრეტდი ახალ შთაგონებით,
ჩაითა და მანდარინით
მოხატულა მთა-გორები.

მე ბახმაროს მთებიც ვნახე.
ზოგჯერ ნისლით შენიღბული;
თითქოს მთელი საქართველო
ჩანდა, როგორც ხელისგული.

ო, რა კარგად მოვიარე
მე სამშობლოს ყველა მხარე,
მისი ზღვა და მისი მთები
კიდევ უფრო შევიყვარე.

გამახსენდა მგოსნის ლექსი,
საამურად სამეტყველო,
მეც ვთქვი: მიყვარს ქართლ-
კახეთი,
გურია და სამეგრელო.

ყველა კუთხე კალთას გიშლის
სალხინოდ და საჯანმრთელოდ;
რა დიადი რამ ყოფილა
ჩვენი დედა საქართველო!

კუკური გოგიაშვილი

კონსტანტინე (კუკური) პავლეს ძე გოგიაშვილი დაიბადა 1912 წელს ქუთაისში, ღარიბი ხელოსნის ოჯახში. ქუთაისის საშუალო სკოლა დაამთავრა 1928 წელს. სკოლის დამთავრებისთანავე შეკიდა ქუთაისის დრამატული თეატრის სტუდიაში, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა. კ. გოგიაშვილი ერთ ხანს მსახიობობდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. ამავე დროს წერდა ლექსებს და პიესებს საბავშვო ჟურნალებში. კ. გოგიაშვილმა გააცინიერა ილ. ჭავჭავაძის: „კაცია ადამიანი?!", რომელიც დაიდგა თბილისის თოჯინების თეატრში 1936 წელს. დიდი სამამულო ომის პერიოდში ვ. მახვილაძესთან ერთად დაწერა პიესა „ვალია სოკოლოვა", ეს პიესა დაიდგა მოზარდ მაყ. თეატრში 1943 წელს.

კ. გოგიაშვილის საბავშვო ლექსების კრებული „გაზაფხული" გამოვიდა 1947 წელს.

კ. გოგიაშვილი ძირითადად საბავშვო დრამატურგიაში მუშაობს. მას ეკუთვნის საბავშო პიესები: „ბაღნარში", „ალუბლები ჰეკვიან", „ცერცეტა" და „თავფარავნელი ქაბუკი" და სხვა.

რუხი მგელი

იგავი ერთ მოქმედებად

მოქმედნი:

1. მთხრობელი
2. კრავი
3. კურდღელი
4. მელია
5. ტურა
6. მგელი
7. წითელი ხარი
8. ბაკია

(ბილიკი. ხე. მდინარის ნაპირი)

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

რუხი მგელი, შიშისმგვრელი,
ღრიალებდა ტყეში;
ძუნძულებდა... ვეღარ ნახა
გასაძღომად ლეში.
აქეთ ეცა, იქით ეცა,
ვეღარავინ ნახა,
პირზე დორბლი მოსდიოდა

უშრებოდა ხახა.
რუხი მგელი შიშისმგვრელი,
ღრიალებდა მწარედ,
სამი ღამე გაათენა
ხეტიალში გარეთ.
დიდრონ თვალებს აცეცებდა,
შეშლილ აფთარს ჰგავდა;
წინ რომ ვინმე შეხვედროდა,
არვის დაზოგავდა.
მდინარისკენ გამობრუნდა
შმაგი და პირღია,
ღრიალებდა იძახოდა:

მ გ ე ლ ი

მშია... მშია... მშია...

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

მსუნაგობდა აქეთ-იქით,
ხესთან მოირბინა,
იქვე მიწვა ხის ძირში და
მშიერს ჩაეძინა...

(მთხრობელის ტექსტზე სრულდება მგლის მოქმედება).

და შემდეგ კი, მეგობრებო,
მოხდა ეს ამბავი:
საძოვარზე დადიოდა
ქორფა, ნაზი კრავი,
მდინარესთან რომ მივიდა
ძირს დახარა თავი;
სურდა წყალი დაელია,
მაგრამ მგელი ავი
კრავის სუნზე წამოვარდა,
გაილოკა ტუჩი,
დაიყვირა:

მ გ ე ლ ი

ეი, ვინ ხარ
მთლად ბრიყვი და ურჩი!
მე თევზს ვიჭერ, შენ კი მიფრთხობ,
რას ჩამდგარხარ წყალში,
ასეთ უჭკუობისათვის
მიგცემ სამართალში.

კ რ ა ვ ი

მე... ბატონო... თქვენ რას
გიშლით...
რად მხვევთ ცეცხლის ალში.
როდის იყავ მებადური
ამ უთევზო წყალში...

მ გ ე ლ ი

რაო, რაო! ეს რა ბრძანე,
რა ხმა მესმის შენი,
ახლა აქვე მოისმინე
მკაცრი განაჩენი.

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

თქვა მგელმა და კრავს დაახტა...
თავში ჩაჰკრა თათი.

მ გ ე ლ ი

შენ ბრალდება ერთის ნაცვლად
დაგედება ათი.

კ რ ა ვ ი

მე... რას მერჩით უმიზეზოდ,
რას მიპირებთ ნეტავ,
მე... არა ვარ დამნაშავე,
არ მომიკვდეს დედა.

მ გ ე ლ ი

ხმა, ხმა, კრინტი, ჩუმად-მეთქი,
შეურაცხმყე აქ მე.
ახლავ უნდა გავარჩიო
ეს ბინძური საქმე...
სასამართლოს თავმჯდომარე,
რა თქმა უნდა, მე ვარ,
მდივანი და მსაჯულებიც
აგერ, შენს წინ ვდგევართ.

სასამართლომ, მიიღო რა
ეს ბრალდება მტკიცედ,
რომელიც ჩვენ სრულ ფაქტებით
აქვე დავამტკიცეთ —
დაადგინა: ურჩი კრავი
დაისაჯოს მკაცრად...
უკმეხ თქმისთვის, მიესაჯოს
გრძელი ენის აცრა...

მთხრობელი

თქვა მგელმა და ქორფა კრავი
იქვე მოჰკლა ჩქარა,
თავის ურჩი ბასრი კბილი
ხორცში გაატარა...
შორი გზიდან მოდიოდნენ
ამ დროს ტურა-მელა.
არხეინად იმღეროდნენ.

(შემოდიან ხელიხელ გადახვეული ტურა და მელა).

ტურა და მელა

ოდელია დელა...
ორნი ძმანი, ტოლნი, სწორნი
დავცუნცულებთ ნელა,
ერთად ვეძებთ ტკბილ საკბილოს
ჩვენ, ტურა და მელა.
გვიხარია, როცა ირგვლივ,
არვინ არის, ბნელა,
საქათმისკენ ცუნცულისთვის
ჩვენ გვემდურის ყველა...

მელია

გამარჯობა, რუხო მგელო,

ტურა

გამარჯობა ნათლია;

მელია

ერთი კანჭი გვისაჩუქრე.

ტურა

გადმოგვიგდე, მადლია.

მგელი

რას დადიხართ, დაეთრევით
ტყეში, ბარში, მთაში,
ეცადეთ არ გამაბრაზოთ,
თორემ გწვდებით თმაში...

მელია

გული რისთვის მოიყვანე?

ტურა

რატომ ბრაზობ, ნათლია?

მგელი

ყეყეჩებო! რომელ ქარმა
აქეთ ჩამოგაყთრიათ.

მელია

ძმაო ტურა, შეხე, შეხე,
სულ შესანსლა კრავი,

ტურა

ჩემო კარგო, როდის იყავ
შენ ასეთი ავი?

მელია

სული ჩაგვაბრუნებინე.

ტურა

ნუ ხარ ასე ურჩი...

მელია

შიმშილითა სული მძვრება,

ტურა

და მიხმება კუჭი.

მგელი

ახლოს მოდით, გამიგონეთ!
ჩაიცეკვეთ ჩქარა,
და საჩუქრად მოგერთმევათ
კრავის თავის ქალა...

მელია

დაშოშმინდა...

ტურა

შევებრალეთ...

მელია

მგელო, დაჰკარ ტაში,

ტურა

რა სჯობია ქეიფობას

მელია

საღამო ხანს მთაში....
(მგელი ტაშს უკრავს, მელია და ტურა ცეკვავენ).

მგელი

მორჩით თამაშს? ახლოს მოდით,
გამოსწიეთ თათი,
(მელია და ტურა თათს გაუშვერენ)
ახლა თქვენს თავს ვერ წამართმევს
თქვენისთანა ათიც! (დიჭერს)

მელია

ვაი თათი, ვაი თათი...

ტურა

ვაი მომტყდა მკლავი.

მგელი

თქვენღა დამრჩით, ჩერჩეტებო,
ორივ მოსაკლავი.

მელია

რუხო მგელო, სანატრელო,
მე რას მერჩი, ძმაო,

ტურა

მეც ხომ შენი ჯიშისა ვარ?!

მგელი

რაო, რაო, რაო?
ცბიერობით გინდათ თავზე
გადამასხათ ლაფი?
აბა სთქვით თუ ახლა პირველს
რომელს გიქნათ ყლაპი?

მელია

ჩემი ხორცი ხომ იცით რომ
უგემური არი.

ტურა

ვშიშობ, რომ არ გაგეჩხიროს
ყელში ჩემი ძვალი.

მგელი

კმარა, თავს ნუ იკატუნებთ,
მოემზადეთ მალე...

მელია

ნუ დაგვხოცავ, რუხო მგელო...
შენ კი გენაცვალე.

ტურა

ოღონდ ახლა, გეხვეწებით,
ჩვენ გაგვიშვი თათი,

მელია

სიტყვას გაძლევთ, მოგიყვანოთ
მსხვერპლი ოცდაათი!

ტურა

მოგირეკავთ ნაირნაირს,
ჩაიტკბილე ყელი,

მელია

პირობას ვდებთ: რომ ყოველთვის
გაგიმართოთ ხელი...

მგელი

კარგი, ვნახოთ... (თათს გაუშვებს)
თათს გაგიშვებთ,
და გახსოვდეთ მუდამ,
თუ იცრუეთ, სადაც გნახავთ
იმ წუთში გაგგუდავთ...
(ტურა და მელია გადიან, მგელი დადის აქეთ-იქით).

მგელი

შიში უნდა ჰქონდეთ ჩემი
დიდს, პატარას, ყველას...
მაგრამ გული მსხვერპლს
მოითხოვს,
გული მაინც ღელავს...
(ჩაჯდება)

კურდღელი

(მოიშღერის, მოაქვს კომბოსტო და სტაფილო)

მე ფეხმარდი კურდღელი ვარ,
თავს ვაფარებ ბუჩქებსა,
ღამით ხშირად ბოსტანში ვარ
ვაცმაცუნებ ტუჩებსა...
მე პატარა ყურცქვიტა ვარ,
ფეხმარდი, გრძელ ყურება,
მიყვარს კოხტა მინდორ-ველი,
მიყვარს ნაზი ბუნება...

მგელი

შესდექ! საით მიბრძანდები,

კურდღელი

გა... მა... რჯო... ბა... თქვენი...
იცოცხლე და იდღეგრძელე,
გაგიგრძელდეს დღენი...

მგელი

ვისთვის მიგაქვს ნაქურდალი,
ეგ პატარა ძღვენი?

კურდღელი

არავისთვის... ეს საჩუქრად
მე თქვენ მოგიძღვენით.

მგელი

რაო? გინდა გამაცურო?
სად ხარ დღევანდლამდი,
როდის იყო, რომ კომბოსტოს
ან სტაფილოს ვჭამდი.
სად იშოვნე ეგ საკბილო
როგორ მოიპარე?
აქ მომეცი შენი ხელით...
ეხლავ ჩამაბარე... (კურდღელი
აძლევს)

მგელი

(დახედავს) ჩემს ბოსტანში
მოგიპარავს,
არამზადავ, ქურდო,
აქეთ მოდი, რომ ეგ ცხვირი
მაგრად გაგიმრუდო...

კურდღელი

რასა ბრძანებთ, ეგ კომბოსტო
სულ არ არის თქვენი,
ბოსტანი მაქვს ტყის ნაპირას
მე ვარ მისი მცველი.
მოვწყვიტე და მოვდიოდ
არხეინად, ნელა,

რომ ამავ დროს გზაზე შემხვდა
ქურდ-ბაცაცა მელა...
შემდეგ, ტურაც მომეგება,
ბეკრი მსდიეს გზაზე,
მარდ სირბილით მე ისინი
ძლიერ გავაბრაზე.
როცა კეღარ დამიჭირეს
მითხრეს ეს სათქმელი...
მარჯვნივ წადი, თორემ მარცხნივ
შეგჭამს რუხი მგელი.
დავუჯერე და მარჯვნისკენ
წამოვედი ჩქარა,
მომატყუეს... და მათ პირში
გამომავლეს ჩალა...

მ გ ე ლ ი

რაო, რაო?.. აქ შენს ნათქვამს
აქვს სიცრუის დაღი.

კ უ რ დ ღ ე ლ ი

როდის გქონდათ თქვენ, ბატონო,
ბოსტანი ან ბაღი?

მ გ ე ლ ი

შენ, ენა ნუ წაიგრძელე,
ჩერჩეტო და ბრიყვო,
მინდა ყველა ცხოველების
მეფეთ-მეფე ვიყო.

(ცურდღელი აპირებს გაპარვას)

არა, ვერსად გამექცევი,

(წინ გადაუდგება)

მე მგელი ვარ, მგელი,
შენი ხორცით კარგად უნდა
ჩავიტკბილო ყელი.

კ უ რ დ ღ ე ლ ი

ნუ დამღუპავთ... გეხვეწებით.
მელოდება შვილი,
სიტყვას გაძლევთ, თქვენს საქმე'ში
შევიტანო წვლილი.

მ გ ე ლ ი

ხმა გაკმინდე... შე უტვინო,
შენ რა შეგიძლია...
უშენოდაც ჯერჯერობით
მე ვერავინ მძლია.

(ჩაავლებს პირს და გაარბენინებს. შემოდიან თავშეხვეული მელა და თათჩამოკიდებული ტურა)

მ ე ლ ი ა

ვაი დედა... როგორ მტკივა
ეს ოხერი თავი...

ტ უ რ ა

ვაი დედა... არ მასვენებს,
ეს დაჭრილი მკლავი.

მ ე ლ ი ა

მე ამდენი ხეტიალი
ალარ შემიძლია...

ტ უ რ ა

წელში ვეღარ ვიმართები
ისე ძლიერ მშია...

მ ე ლ ი ა

იმ ოხერმა წითელ ხარმა
მაგრად მხეთქა თავში...

ტ უ რ ა

მე კი უცბად ერთი დარტყმით
გადამაგდო ხრამში.

მ ე ლ ი ა

ჩუმად... მგონი ვიღაც მოდის,
დავიმალოთ ჩქარა...

ტ უ რ ა

არა გვიშავს, მგონი ახლა
ბედი დაგვეხმარა...
(ამოეფარებიან ხეს. შემოდის ბაჭია, რომელიც ტირის და ცრემლებს კომბოსტოს ფურცლით იწმენდს)

ბ ა ჭ ი ა

(მღერის სევდიანად)
ნეტავ სად არის დედიკო,
ნეტავ რად დაიგვიანა,
ვაითუ მტერი წაეწყდა
და ვერ მოიქცა ჭკვიანად.
დედიკო, ჩემო დედიკო,
სულ შენსკენ მრჩება თვალები,
სადა ხარ, რად არ მოდიხარ,
შენ სახელს ვენაცვალები.
(ტირის)
(მელა უჩურჩელებს ტურას ყურში, შემდეგ შემოუვლიან წრეს და შეაში მოიქცევენ ბაჭიას)

მ ე ლ ი ა

რა გატირებს ჩემო კარგო?

ტ უ რ ა

რატომ მოთქვამ მწარედ?

ბ ა ჭ ი ა

ბინდდება და დედა არ ჩანს.

მ ე ლ ი ა

ალბათ დარჩა გარეთ,
მომეც ხელი, მოგინახო
საყვარელი დედა.

ტ უ რ ა

გავყვეთ ბილიკს, შენ ღამეში
ალბათ ცუდად ხედავ...

ბ ა ჭ ი ა

(უკან იხევს) არა... არა... კარგად
ვხედავ,
არ მჭირდება შველა,
გზას გავიგნებ უთქვენოდაც,
და არც ისე ბნელა.

მ ე ლ ი ა

(უცბად მოიფიქრებს) საცოდავი
დედაშენი
შემხვდა სოფლის ტბასთან...

ტ უ რ ა

დაჭრილია... დაგვიბარა
წაგიყვანოთ მასთან.

ბ ა ჭ ი ა

სიარული კარგად ვიცი
წავალ მარტოხელა,
ახლა თავს ნუ შეიწუხებთ,
შენ ტურავ და მელა...
(გაიქცევა, დასდევენ. ეკლის წრეს, ბაჭია ბარბის, ტურა და მელია ერთმანეთს შეეფეთებიან წინ, დაეკახებიან, წაიქცევიან. შემოდის მგელი).

მ გ ე ლ ი

რა მარცელა გაგიმართავთ,
რას დარბოდით მწარედ?

მ ე ლ ი ა

ჩვენ... სირბილში შევეჯიბრეთ...

ტ უ რ ა

ძლიერ დავილალეთ...

მ გ ე ლ ი

რა სირბილში, როგორ სცრუობს,
მელავ, შენი სახე,
ბაჭიაც რომ გაგეპარათ
კარგად დაგინახეთ.
რომ არ ვარგხართ — მე ეს ვიცი,
მწამს და ასე მჯერა...
ეგ მითხარი, თუ ეგ თავი
შენ ვინ გაგიბერა.

მ ე ლ ი ა

რუხო მგელო, წითელ ხარმა
წიხლი ჩამკრა თავში...

ტ უ რ ა

მე კი ხარმა მაგარ დარტყმით
გადამაგდო ხრამში...

მ გ ე ლ ი

ნაო? ხარი? ეგ ვინ არი?

მ ე ლ ი ა

ძლიერია, მგელო,

ტ უ რ ა

მხოლოდ შენ თუ მოერევი
ნათლი... შიშისმგვრელო...

მ გ ე ლ ი

ძლიერიო! რაებს როშავთ,
წამომყევით თანა.
ჩემი მძლევი ქვეყანაზე
არის ვინმე განა?!

(მოისმის ხარის ხმა)

მ ე ლ ი ა

ჩუმად, ჩუმად... აგერა დგას
ის წითელი ხარი...

მ გ ე ლ ი

თქვენ მიცქირეთ, თუ მას როგორ
მოვაგლეჯო მხარი.

(ტურა და მელია ხის უკან იმალებიან, გამოდის წითელი ხარი)

მ გ ე ლ ი

არხეინად დასეირნობთ,
ვინ ბრძანდებით ნეტავ;
თავისუფლად სეირნობას
მითხარ, როგორ ბედავ?!

ხ ა რ ი

მე ვარ ხარი, მეტად წყნარი,
ვშრომობ როგორც ხარი,
არვის ვერჩი, ვცხოვრობ მშვიდად,
ბუნებას შევხარი.

მ გ ე ლ ი

მე თუ მიცნობ... მე ვინა ვარ?
შევხვედრივართ გზებზე.
თუ გინახავს ან გსმენია
შენ რაიმე ჩემზე.

ხ ა რ ი

როგორ არა... გიცნობ ვინც ხარ,
ქურდი, ხარბი, ფლიდი,
ასე გიცნობ თავიდან და
ასეთ მხეცად გთვლიდი,
შენი მუცლის გულისათვის
სინდისს ფულზე ჰყიდი,
უძლურ ცხოველს აწიოკებ,
სახელი გაქვს „დიდი“.
შევხვედრივართ... და შეხვედრას
შენ ვერ იტყვი ქებით,
დაგავიწყდა? ალბათ გახსოვს
ძალა ჩემი რქების...

მ ე ლ ი ა

რუხო მგელო, ჩვენო მხსნელო,
ხედავ? გამკობს „ქებით“.

ტ უ რ ა

რას უდგეხარ, დაეტაკე,
ჩვენც დაგეხმარებით.

(იმალებიან ხის უკან)

მგელი

რაო, რაო? ლაპარაკით
ტყუილად ენას ნუ ღლი,
იმის შემდეგ გამიმაგრდა
კისერი და მუხლი.
ახლა სხვა ვარ (თავისთვის), უნდა ვსინჯო
ამის რქების ძალა,

მთხრობელი

რუხი მგელი ხარს ქურდულად
ჩუმად მიეპარა.

(მგელი დაეტაკება ხარს, ხარი უკან დაიწევს)

მგელი

აჰა, ნახე? ხომ გასინჯე
სიძლიერე ჩემი...
რაც სხვას ვუყავ, იგივეა
შენი განაჩენიც...

მელია

დასცხე მაგას.

ტურა

შეეშინდა...

მელია

კიდევ მიდი, მიდი.

ხარი

მუდამ იყავ ცბიერი და
გაიძვერა, ფლიდი.

(მგელი ისევ დაეტაკება... ხარი არ იძვრის)

მგელი

ტურა-მელავ... აბა, ჩქარა,
მომეხმარეთ... მალე...

მელია

არ შეშინდე... შენთანა ვართ

ტურა

ნათლი, გენაცვალე.

(მელია კუდში ეცემა, ხარი წიხლის კვრით გააგორებს მას).

მელია

ვაი. კბილი, ვაი თავი...

ტურა

ადექ, ნუ წახდები...

მელია

წამოდგომა აღარ ძალმიძს,
ვაი... ვკვდები... ვკვდები... (კვდება)

მგელი

ტურავ, შენ არ მიღალატო,
მაგრად გაჰკარ კბილი,
მოტყუებით... მიეპარე
მას ხორცი აქვს ტკბილი.

(ტურა შეახტება უკანა მხრიდან... ხარი წიხლის კვრით ტურას ძირს გააგორებს)

ტურა

ვაი თავი... ვაი ტვინი...
მგონი მსხვერპლი ვხდები...
მომეშველე, რუხო მგელო,
ვაი... ვკვდები... ვკვდები... (კვდება)

(მგელი გამოექანება და დაეტაკება... ხარი ძლიერი მოკნეკვით მგელს რქებზე წამოიგებს).

მ გ ე ლ ი

ვაი... ვაი...

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი

ღრიალებდა,
მგელი ცოცხალ-მკვდარი.
გამარჯვებულ ნაბიჯებით
გზას გაუდგა ხარი!

პატარებო! ეს ამბავი
თქვენს წინ ლექსად თქმული,
ვფიქრობთ არის ნამდვილი და
სწორი, მართებული.
მეგობრებო! ეს იგავი
მიხვდით თუ რას ამბობს? —
ყველას ასე ემართება,
ვინც სხვის შეჭმას ლამობს!

გრიგოლ აბაშიძე

პოეტი გრიგოლ გრიგოლის ძე აბაიძე დაიბადა 1914 წელს სოფ. ზედა ოანში (ჭიათურის რ.). პირველდაწყებითი განათლება მიიღო ჭიათურის შუიდწლედში. 1931 წელს თბილისში დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და ამავე წელს შეკიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1936 წელს. ამის შემდეგ გრ. აბაშიძე ორი წლის განმავლობაში სწავლობდა მოსკოვში.

გრ. აბაშიძის პოეზია საბჭოთა პერიოდში განვითარდა. მან საბავშვო ლიტერატურაში მუშაობა 30-იან წლებში დაიწყო.

გრ. აბაშიძის ლექსების პირველი წიგნი გამოიდა 1933 წელს, ხოლო მისი პირველი საბავშვო პოემა—„ზამთრის ზღაპარი" 1940 წელს. ამას მოჰყვა საბავშვო ლექსები და პოემები „ნაბოლარა წიწილა", „ავი ღლავი", „ხუთი გმირი", „რუსთაველის მერცხლები" და სხვა.

აი, როგორ გავკაჟდი!

ადრე ვდგები, ლოგინში
გორვას როდი ვუნდები.
გადავწყვიტე ვარჯიშით
გავიკაჟო კუნთები.

ხელებს გავშლი ფრთებივით,
ყირამალა ვბრუნდები...
ნახე ჩემი კუნთები! —
ქვასავით მაქვს კუნთები!

ჩხუბს არავის ვუპირებ,
არვის ვეკინკლავები.
მინდა სჯობდეს სიმაგრით
რკინას ჩემი მკლავები.

რომ ტოლებში არ ვგავდე
მისუსტებულ წიწილას...
ცივი წყლით და ტილოთი
ტანს ყოველდღე ვიზილავ!

შენ რომ გძინავს, მე მაშინ
დილის ვარჯიშს ვუნდები.
აი, ჩემი კუნთები! —
ქვასავით მაქვს კუნთები!

მეც მასწავლეთ

მომეწყინა, ვეღარა ვძლებ
თოჯინების ანაბარა,
მეც სკოლაში წამიყვანეთ,
მეც მასწავლეთ ანა-ბანა.

თორემ უნდა გამოგიტყდეთ,
თქვენთან რა მაქვს დასაფიცი,
სამი წლისა გავხდი, მაგრამ
ჯერ ათამდის თვლაც არ ვიცი.

სულ თამაშით ვიქანცები,
ადრე ვდგები, გამთენია,
ორს რომ ორი შევუმატოთ,
ეს არ ვიცი, რამდენია.

თეთრსა და შავს რომ ვერა ვცნობ.
ვეღარ ვმალავ დარცხვენასა,
პატარაში დიდს ვერ ვარჩევ,
მარჯვენაში — მარცხენასა.

ამიტომ მსურს ბაღში წასვლა,
იქ ტოლები მომელიან,
მაგრამ მოდი დღეს ნუ წავალთ,
უკვე ძილი მომერია.

ცხენიდან გადმოვარდნა

მანქანით და მატარებლით
ბევრი მხარე მომივლია,
ორთქლმავალიც ,ელმავალიც
ჩემთვის ყველა ცნობილია.

გემში ვმჯდარვარ, როცა ქარში
ყალყზე მდგარა ზვირთით ნავი,
თბილისიდან მოსკოვამდის
მიფრენია თვითმფრინავით.

ზღვაზე ხშირად ღელვა არი,
ცაზე ღრუბლის ზვირთებია,
გემზე ყოფნის, ცაში ფრენის
არასოდეს მშინებია.

კარუსელის ცხენზე ვიჯექ,
აბა, როგორ არ მახსოვდეს!
მაგრამ ცოცხალ აჩუაზე
ჯერ არ ვმჯდარვარ არასოდეს.

ჰოდა, ერთხელ, ამასწინათ
სოფლად მოვხვდი და იმ დღესვე,
ჩემმა ტოლმა ბიჭუნებმა
წამიყვანეს, ცხენზე შემსვეს.

შევჯექ, მაგრამ უზანგს ფეხი
ვერ ვუწვდინე, არ ვარ დიდი,
უცებ შიშმა ამიტანა,
ცხენის ფაფარს ჩავაფრინდი.

ლურჯამ თავი გაიქნია
მიშვებული სადავითა,
ერთი მოსწყდა ადგილიდან
და კამარას გადავიდა.

მიმაქროლებს ლურჯა, მაგრამ
საგულეში არ მაქვს გული,
ვზივარ, მაგრამ აღარც ვზივარ
ცხენზე ფეხებგაფარჩხული.

მომდევენ და თან რაღაცას
მომძახიან ბიჭუნები,
მესმის, მაგრამ აღარც მესმის
ცხენზე შიშით ვიღუნები.

ვხედავ, მაგრამ ვეღარც ვხედავ,
დამიბნელდა თვალი წუთით,
ერთი შევხტი უნაგირზე
და ცხენს მოვსწყდი, როგორც
ბურთი...

გონს რომ მოველ, გამიკვირდა,
არ ვყოფილვარ თურმე მკვდარი,
თურმე იღბლად დაცემისას
შემხვედრია კოინდარი.

.არაფერი მიტკენია,
დამქექია მხარი ცოტა,
ცხენზე ჩემი გადმოვარდნა
იმ დღეს ვინღა არ იცოდა!

და იმ დღესვე შერცხვენილმა
დავიქადე: არასოდეს
ცხენოსნობით ჩემს ტოლებში
აღარავინ აღარ მჯობდეს.

თორემ ჩემზე ხომ იტყვიან:
„ტრაბახობით შეშლილია,
თვითმფრინავზე ვინ აუშვებს,
ცხენზე ჯდომის ეშინია!..“

ბმირები

ჯონდოს ძლიერ უხარია —
ხუთი ბმირის სტუმარია!

სამეგრელო არ ენახა,
წელს ეწვია სტუმრად ბიძებს,
დასვენებაც ამას ჰქვიან,
ხუთი ბმირი უმასპინძლებს!
სახლი მოსწონს, დიდი ოდა
ამართული მაღალ სერთან,
ამ ოდაში, ამ ერთ სახლში
ხუთი ბმირი ცხოვრობს ერთად.

ალბათ გიკვირთ, ხუთი ბმირი
ერთ ოჯახში არ გინახავთ?
მაშ დაუგდეთ ჯონდოს ყური,
მოგიყვებათ ნამდვილ ამბავს:
— სკოლიდან რომ დაგვითხოვეს,
კვლავ თბილისში დავრჩი განა!
დედამ ნატვრა ამისრულა,
ბებიასთან წამიყვანა.
გამაოცა სამეგრელომ,
სულ ყანა და ბაღებია,
სიმინდებსაც ხეებივით
ტანი აუმაღლებიათ.

ჩამწკრივებულ ჩაის ბუჩქებს
აღარ უჩანს დასასრული.
ჯარად დგანან ნარინჯები
და ალვები ცად ასული.

მარად მწვანე ნარგავები
სახლთან მოუჯგუფებიათ,
ჩანან მწვანე ეზოები,
თითქო მწვანე სუფრებია!
მივადექით ფართო ჭიშკარს,
აგვიტეხა ძაღლმა ყეფა,
ერთ ხანს არვინ წამოვიდა
ჩვენთვის კარის გასაღებად.

იდგა მაღლა სიმინდებში
ბრგე ვაჟკაცი ჟღალი ჩოხით,
ძახილი რომ გაიგონა
შეაჩერა წამით თოხი.

სიხარულის კვესმა გაჰკრა
თვალთა მისთა უწყინართა,
შუბლგახსნილი მოგვეგება,
მკერდზე ოქრო უბრწყინავდა.

ოდის კარიც გაჭრიალდა,
ბიძას მოჰყვა მამიდაცა,
გამოიქცა, გადამკოცნა,
წამსვე ხელში ამიტაცა.

ისიც ვაჟკაც ბიძას ჰგავდა
კოხტას, ფართო მხარმკლავიანს.
დავაცქერდი, გამაოცა,
მის მკერდზედაც ვარსკვლავია!

ძლივს წამოდგა ჯარგვლის კართან
მზეზე მჯდარი, სათნო დედა.
წელმოხრილი წამოვიდა,
წიწილები თან მოსდევდა.

სახე ჰქონდა დაღარული,
თმები, როგორც თეთრი თოვლი,
მამაჩემის ტუბილი დედა
შომეხვია ხელის თრთოლვით.

დამიყვავა, გამომკითხა —
გზაზე ხომ არ მომწყენია?
მისმა მკერდმა გამაკვირვა,
მის მკერდზედაც ორდენია!

ჩამოვჯექით დაღლილები,
ხეთა ჩრდილში, აივანთან,
სულ ერთ წამში დატრიალდნენ,
კოხტა სუფრა გაიმართა.

ფოთლებხშირი ტალავერი
საამურად ჩრდილში გვხვევდა,
სუფრის თავში დედა იჯდა —
მამაჩემის გმირი დედა.

მომეფერა, მითხრა: „მეტად
გამახარე ნახვითაო,
ათი შვილი გამოვზარდე,
შენ არც იცნობ სათითაოდ:

მამაშენის უფროსი ძმა
ზესტაფონში მდნობელია.
მეორე ძმა აქვე სახლობს,
წყალგაღმა რომ სოფელია.

მესამე ძმა — უჩა ძია
ინჟინერად რუსთავშია.
მეოთხე ძმა, გვერდს რომ გიზის,
კოლექტივში თოხნის ყანას,
გმირი გახდა, არნახული
მოსავალი მოიყვანა!
ის მამიდა თავს რომ გადგას,
სულ ბაღში და ბოსტანშია,
მასაც გმირის ვარსკვლავი აქვს,
ჩაის კრეფის ოსტატია!

ორი ქალი შორს გათხოვდა,
მნახულობენ კანტი-კუნტად,
ორი ვაჟი ფრონტზე იყო,
მხოლოდ ერთი დამიბრუნდა!“

ესა თქვა და კარის ზღურბლზე
აღიმართა ახალგაზრდა,
მასაც ფართო მხრები ჰქონდა,
სახით ისიც მამას ჰგავდა.
ისიც ჩემი ბიძა იყო,
ისიც ჩემი მასპინძელი,
ცალი ხელით მომეხვია,
აღარ ჰქონდა ცალი ხელი.

სიხარულით უბრწყინავდნენ
თვალნი საცრისოდენები,
მკერდი ჰქონდა დაფარული
მედლებით და ორდენებით.

ცალი ხელი თუმც არ ჰქონდა,
დევსა ჰგავდა საოცარი,
გვერდს მოვიჯდა გმირი ბიძა
ბერლინამდე ნაომარი.

• •

უცებ ბიჭი შემოვარდა,
ჩემზე უფრო პაწაწინა,
დაიყვირა მოვედიო,
იქ მყოფები გაგვაცინა.

— „ჩვენი გმირი, ჩვენი გმირი!“
დაიძახა ყველამ ერთად,
ბიჭი ჯერ მე დამაკვირდა,
მერე ბიძებს შეაჩერდა.

ხელი ძმურად ჩამოვართვი,
გამაცნეს და გავეცანი.
მოეფერნენ უფროსები
რაღაც ჩუმი კაეშანით.

ერთადერთი დარჩენოდა
ფრონტზე მოკლულ ეაკაც ბიძას,
ბიძების და მამიდების
სიყვარულით დასაფიცად.

მითხრეს: ეგეც გმირიაო,
ყველა გმირზე პაწაწინა,
სიგელით და ფრიადებით
გაგვახარა ამას წინათ.

ამ სიტყვებზე ბიძაშვილი
ფეხზე დადგა თითისტოლა,
კიბე სწრაფად აირბინა,
მეც სირბილით მიმიყოლა.

დერეფანში დაველოდე,
გამოიჭრა ოდიდანა
და ფურცელი სულ ხუთებით
გაჭედილი მომიტანა.

• •

ისევ სუფრას დავუბრუნდით
მხიარულად, განა ქუფრად,
ერთ ეზოში, ერთ ოჯახში
ხუთი გმირი უჯდა სუფრას.

ერთი იყო გმირი დედა,
ათი შვილის ტკბილი დედა,
ერთი ბრძოლის გმირი იყო,
მტერს რომ ცხელი ტყვიით
სდევდა.

ორი იყო შრომის გმირი,
ერთიც პირმშო, მათი ძირი,
ჩემი კარგი ბიძაშვილი,
პაწაწინა სწავლის გმირი!

ხუთი გმირი ერთ ოჯახში!
ამის შემდეგ ვის არ სჯერა,
საქართველოს ზღვისპირეთი.
მართლაც გახდა გმირთა კერა!

და ჯონდოსაც უხარია,
რომ გმირების სტუმარია!

რუსთავის მერცხლები

ეს რა ერიამულია,
რა გაბმული ეღურტული?
ლაკვარდს გუნდი მოარღვევს
სწრაფი, როგორც შურდული.
ფრინველების მწკრივია,
თუ ასხმული მძივია?!

ფრთა არ დაუკეციათ,
არსად ჩაუჩოქიათ,
სამხრეთიდან ჭიკჭიკით
თბილისისკენ მოჰქრიან.
მაგრამ უცებ რად შედგა
მოწინავე ფრთოსანი?
რატომ იწყო წრიალი,
ჯერ თბილისი შორს არი.

— სწორედ საკვირველია,
დაბლა ფართო ველია,
მათთვის დღემდე უცნობი,
არნახული ალაგი,
აქ სახლები არ იდგა,
აქ არ იყო ქალაქი!

— ეს რომ იყოს თბილისი, —
კითხულობენ ეღურტულით, —
რად არ არი ყოველმხრივ
მთებით შემოზღუდული?

ამ ადგილას ქალაქი
როდის გაჩნდა ამხელა,
ნეტავ რა ქალაქია,
ან რა ჰქვია სახელად?
ალაგ-ალაგ ტყე მოჩანს,
ალაგ-ალაგ ბალახიც,
მოდი ვნახოთ ქალაქი,
ვინ ააგო ქალაქი!

ესა თქვეს და ჩაფრინდნენ,
თითქოს ჩაჰყვნენ მთის ნიავს,

— ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ! —
ჩასძახეს, —
ეს ქალაქი ვისია?

ზოგი იქით გაქანდა,
ზოგმა აქეთ იხტუნა,
არვინ გასცათ პასუხი,
მხოლოდ ერთმა ჩიტუნამ
მოულოდნელ ჭიკჭიკზე
პირი მათკენ იბრუნა.

დინჯად, აუჩქარებლად
მათკენ გამოეშურა,
რუხი ეცვა ქათიბი,
ქუდიც რუხი ეხურა,
მოეხვივნენ მერცხლები,
იცნეს ძველი ბეღურა.

გაიფხორა ბეღურა,
განზე გადგა თავნება,
„წრიპ-წრიპ, წრიპ-წრიპ,
რასა ჰგავს
თქვენი ამპარტავნება,
განა დღემდე არ იცით
ეს ქალაქი ვისია?
ჩემი და ჩემი ძმისია,
ჩემი და ჩემი ძმისია!“

— ჰა-ჰა, ჰა-ჰა, ჭიკ-ჭიკ-ჭიკ...
გაიგონეთ ეგ რა თქვა?
ქალაქშიაც არ გვიშვებს,
ბეღურა გვთხოვს ნებართვას,
შენთვის სადა გვცალია,
დაღლილი ვართ ძალიან.

ჩვენ არ გვინდა ნებართვა,
არც არავინ თავდები,
ბევრი რაღად ვიფრინოთ,
აქვე დავბინავდებით.

ქალაქია ლაქაბი,
ბრწყინავს, როგორც ალმასი
სახლებია ახალი,
ნათელი და მაღალი.

შევეჩვევით სულ მალე
ჯერ თუ გვეუცხოება,
სჯობს ძველ სახლში ცხოვრებას,
ახალ სახლში ცხოვრება!

ზოგ შენობას ჯერ კიდევ
სახურავი არ ჰქონდა,
ჯერ ფანჯრები არ ესვა.
შიგ ნიავი დაჰქროდა.

ზოგიც დამთავრებული
იყო, მაგრამ დროებით,
იდგა გარშემორტყმული
მაინც ხარაჩოებით.

და მერცხლებმა ერთმანეთს
დაუძახეს: „აქეთო,
ახლა არი სალამო,
ხარაჩოზე დავსხდეთო,
ბინა ხვალ ავირჩიოთ,
ბუდე დღისით ვაკეთოთ“.

მხოლოდ ერთი მერცხალი
გადგა განმარტოებით,
ბინად არ მოეწონა
ქარხნის ხარაჩოები.

მაღალ კედლებს მოშორდა,
შემობრუნდა უცბად და
ბელურასთან მიცოცდა,
ძმობა გამოუცხადა:

— შორიდან ვარ მოსული,
ბევრი ჭირის მნახველი,
მსურს შენს ახლო დავსახლდე
დავივიწყო ნაღველი.

რაკი მასპინძელი ხარ
ეს ქალაქიც შენია,
შენი სახლის ერდოზე
ცხოვრება მირჩევნია

სადმე ბინა გექნება.
ივანზე საშენო,
ორემ ხარაჩოებზე
ბუდე როგორ ვაშენო?

გაეხარდა ბელურას,
თავმდაბალი ყოფილა.
სახლში შეიპატიჟა,
ითქმის დაიძმობილა.

— ჩემი ბინა აქ არი,
ბუდე შევკარ მაგარი,
აქ არც სიცხე მაწუხებს.
არც წვიმა და ავდარი.

აბა როგორ ვენდობი
ფარდულსა და ხარაჩოს,
განა მყუდრო ოდაში
დამკვიდრება არა სჯობს?

ეს მუშათა სახლია,
ირგვლივ ბაღი ავლია.
ქარხნებიდან შორსა დგას
ყოხტად წამომართული.
ბანს და ერდოს უმშვენებს
ჩუქურთმები ქართული.

ბუდე აქ აიშენე,
ჩემი ოდა დიდია,
აივანი ერთ-ერთი
მთლად შენთვის დამითმია.

მოეხვია მერცხალი:
— ამას რას მოვესწარი!
ძმობა უნდა ასეთი,
მასპინძლობაც ეს არი!

მითხარ, რით გემსახურო,
ვალის გადასახდელად?
რა კარგი ქალაქია,
რას ეძახით სახელად?

— ქალაქს ჰქვია რუსთავი,
გახლავთ ქვეყნის მშვენება,
ჯერ არ დამთავრებულა
მისი ზრდა და შენება.

მოწმე მხოლოდ მე ვიყავ,
ერთადერთი ფრინველი,
როცა ჩადგეს ქალაქის
საძირკველი პირველი.

ფეხზე თოვლი მეყარა,
ფრთებზე ყინვის ვერცხლები...
აბა მაშინ სად იყვნენ
ეგ ამაყი მერცხლები?

რატომ ჩემებრ აქ ყოფნა
მაშინვე არ ინდომეს?
უდარდელად დაფრენდნენ
ეგვიპტეს და ინდოეთს.

— უდარდელად? ვინა სთქვა,
ვნახეთ ბევრი ავდარი.
ბევრ ქვეყნებში ჩაგვმწარდა
წლევანდელი ზამთარი.

ზანგის ბანზე ვცხოვრობდით,
ბევრნი. განა მარტონი,
იყო ზანგი მშრომელი,
ჩვენი სახლის პატრონი.

მუშაობდა დღე და ღამ,
ჩუმად, წელში წახრილი,
მაინც გულს უწყალებდა
პატარების ძახილი:
„გეშო, გეშია, მამაო“, —
შრომა იყო ამაო.

ჩემს მეზობლად ბუდობდნენ
იქაური მერცხლები,
ბუდეს არ შორდებოდნენ,
ფრთებქვეშ ეწყოთ კვერცხები.

დიდის ზრუნვით დაჩეკეს
ბარტყნი ლაყუჩფართონი...
ერთ ხანს მშვიდად ვცხოვრობდით
ჩვენც და სახლის პატრონიც.

მაგრამ ერთხელ (ო, ის დღე,
ჩემთვის დაუვიწყარი!)
შემოლეწეს ყიყინით
ჩვენი სახლის ჭიშკარი.

სწორედ იმ წუთს, დაღლილი
ზანგი დაჯდა ბავშვებთან,
თმახუჭუჭა ბიჭუნას
მუხლზე ათამაშებდა.

შემოცვივდნენ მთვრალები,
კეტებით და შოლტებით,
საბრალო ზანგს დაუწყეს
ცემა გაბოროტებით.

თავად თეთრკანიანი
იყო ყველა მათგანი,
„აქვე მოვკლათ ზანგიო“,
გაისმოდა ყაყანი,
ყველაფერი დალეწეს
სკამიც, ბავშვის აკვანიც.

ბავშვთა ტირილს ჰფარავდა
მათი ურცხვი ხარხარი,
ერთმა წამოიძახა:
„დავწვათ ზანგის სახლ-კარი!“

ეს ითქვა და სახლს ეცა
მთელი გუნდი ყაჩაღთა,
წამსვე ბოლი ავარდა,
წამსვე ცეცხლი გაჩაღდა.

ალი მაღლა ავარდა,
ქედლებს ასცდა თუ არა, —
შავმა კვამლმა ბუდესაც
ირგვლივ შემოუარა.

წამოიჭრნენ მერცხლები,
ვუვირით, მხსნელი ვინ არი?
აჭყლოპინდნენ ბარტყებიც
მანამ მშვიდად მძინარი.
„დედი, ჩქარა, ჩქარაო,
ბოლმა მთლად დაგეფარაო“.

ახლაც მესმის მათი ხმა,
დედისადმი ვედრება:
— „დედი, დროზე გვიშველე,
თორემ ცეცხლი გვედება!“

რით ეშველა? დაფრენდა
ირგვლივ ბედდაღუპული,
ფრენა მათ არ შეეძლოთ,
ჯერ არ ესხათ ბუმბული.

მეც ვერაფრით ვუშველე,
მათკენ ფრთაც ვერ დავძარი,
წამით თვალთ დამიბნელდა,
ბარტყებს მისწვდა ხანძარი,
საშინელმა ზრიალმა
ყველას დაგვცა თავზარი.

ასე დასწვეს სახლ-კარი
ზანგის მამა-პაპათა,
ფერფლი დარჩა ქოხისგან,
ისიც ქარმა გაჰფანტა.

ჩემი ბუდეც დაიწვა.
მერცხლის სამი ნამცეცაც,
მათი დედის შემყურე
სევდამ ისე ამწეწა,

რომ სიკვდილი ვინატრე,
ვწყევლე ჩემი გაჩენა,
მე იქ აღარ შემეძლო
ახლომახლო დარჩენა.

ავდექ, გადავიკარგე,
გავეცალე იმ მხარეს,
მყუდრო ადგილს ვეძებდი,
სიმშვიდეს და სიწყნარეს.

სამ დღეს მარტო ვიფრინე,
არსად დავდგი კარავი,
ნათესავი, ნაცნობი
არ შემომხვდა არავინ.

არსად შემხვდა წალკოტი,
ბაღი თვალგასახარი,
ბოლოს ერთგან შევჩერდი,
ვნახე ნაქალაქარი.

იდგა, როგორც უდაბნო
მზისგან გადაბუგული,
კაცი შიგ არ ცხოვრობდა,
არსად ჩანდა სულდგმული.

ნანგრევებში ბობღავდნენ
მხოლოდ ჭოტის ბახლები,
მიწისძვრისგან დაქცეულს
გავდა დიდი სახლები.

მსურდა ახლო მენახა
ნანგრევები ტიალი,
ჩასაფრენად ქალაქის
თავზე ვიწყე ტრიალი.

საიდანღაც გამოჩნდა
ეს მერცხლების ლაშქარი.
თურმე მათაც ჩემსავით
დაჰქცეოდათ სახლ-კარი.

თურმე იყო ქალაქი
კოხტა ტურფად ნაშენი,
ქუჩები და სახლები
შუქით მოკაშკაშენი.

იყო ყველა სიკეთე
უცხოელი მდიდრების,
მონებივით ცხოვრობდნენ
იქაური მკვიდრები.

ბოლოს მათაც აევსოთ
მოთმინების ფიალა,
ხალხი აღსდგა, აჯანყდა
დროშა ააფრიალა

იყო თავგამეტება,
ბრძოლა ქედმოუხრელი,
მოიშორეს ცოტა ხნით
დამპყრობლების უღელი.

და როდესაც სიმშვიდე
დადგა მოსაჩვენები,
სწორედ მაშინ დაესხნენ
მძიმე ბომბდამშენები.

მტერმა ქალაქს ბომბები
შვიდ დღე-ღამეს აყარა
და ლამაზი ქალაქი
იქცა ნაქალაქარად.

ხანძარს გადარჩენილი
არც სახლია, არც ხეა,
ჩვენი ბუდე-სახლ-კარიც
ნანგრევებში მარხია!

ესა თქვეს და ატირდნენ,
შეჰქნეს ერთი ზრიალი,
უბედურნი ყოფილან
ჩემი ბედის ზიარნი.

— შენ თავად სთქვი, ეს არი
უდარდელი ზამთარი?
ჩვენებრ გაწამებული
ქვეყნად ვინმე სად არი!

ერთად დავფრენთ იმ დღიდან
ერთურთს აღარ ვშორდებით,
გავატარეთ ზამთარი
ტირილით და გოდებით.

გაზაფხული რომ დადგა,
ახდა ჩვენი ოცნებაც,
ცაში სწრაფად გავაბით
ქარავანი ფრთოსნებმა.

იქ არ გავჩერდებოდით,
თუნდ ავევსეთ ოქროთი,
სიხარულით, ჭიკჭიკით
თბილისისკენ მოვქროდით.

თქვენი მხარე ქცეულა
ბაღნარად და ვენახად,
ამ ადგილას ქალაქი
ძველად ჩვენ არ გვენახა,
აქ რომ ცხოვრობ მუდმივად,
ბედნიერი შენა ხარ!

თვალუწვდენელ მინდორზე
ღამე დაწვა მეფურად,
ცალკე მერცხალს ეძინა,
ცალკე თვლემდა ბეღურა.
ქარხნებს, სახლებს, ყველაფერს
ღამის ბინდი ეხურა.

განთიადმა გაჰფანტა
ბნელი ღამის უკუნი,
დილით ადრე გაისმა
საყვირების გუგუნი.

ზოგმა ისე იხუვლა,
თითქოს მართლა მეხია,
ხარაჩოებს მუშები
ფუტკარივით ეხვია.

უთვალავი მერცხალი
ჰქროდა, როგორც შურდული
და რუსთავის ქუჩებში
იდგა მათი ყღურტული.

აქ მათ ცეცხლს არ მისცემდნენ,
ხელსაც არვინ ახლებდა,
ტრიალებდნენ ფუსფუსით
ჩუქურთმიან სახლებთან.

იკეთებდნენ ბუდეებს,
იყვნენ ზრუნვით გართულნი,
აივნები გაიყვეს
თითო-თითო სართული.

დაავიწყდა ბეღურას
მათი ამპარტავნობა,
მერცხლებს კარი გაუღო,
წყენას თავი ანება.

შეიბრალა ფრთოსნები
ბევრი ჭირის მომსწრენი,
ზოგს თიეა მიუტანა,
ზოგს მიწა და ალიზი...
აივნებზე ბუდეებს
აშენებენ ხალისით.

მასპინძელი ბეღურა
ტრიალებდა ვეფხურად.

ნაბოლარა წიწილა

ერთი კრუხი კვერცხებზე
დაჯდა დიდი მუქარით,
წიწილები დაჩეკა
ბევრი, როგორც ფუტკარი.
ბოლოს გამოსატეხად
დარჩა ერთი ნამლევა,
აღარც ჭამა ახსოვდა,
აღარც წყალის დალევა.
მუდამ მასზე ზრუნავდა,
იმ ნამლევას უვლიდა,
ნაბოლარა ეძახდა
დედას კვერცხის გულიდან:
„წია, წია, დედილო,
გზა მომეცი კეთილო!“
დიდხანს ხვრიტა ნისკარტით
გალავანი წვრილ-წვრილად,
გატყდა კვერცხის ნაჭუჭი,
გამოვარდა წიწილა,
შეეშინდა თვითონვე,
იწივლა და იწივლა.
საბუდარი ეგონა
უდიდესი დარბაზი
და ნელ-ნელა, მთვრალივით
ფეხი წადგა ბარბაცით.
ახლო იყო ნაპირი
მისი თბილი აკვანის
და ბუდიდან ბუმბულზე
მოადინა ბრაგვანი.
კრუხმა შეჰქნა ქოთქოთი:
„მოდით, აქეთ მოგროვდით!“..
წამსვე გაჩნდნენ დედლები,
თავზე შემოგევლებით,
უჰ, დაგვიდგეს თვალები,
შენ კი გენაცვალებით,
წაგვქცევია აკვანი!“
ატყდა ერთი კაკანი.
მოეხვიენ ქათმები,
ააყენეს პაწია,
ცალი ფეხი ღრძობოდა,
ცალიც ძლივსღა ასწია,
უხელდნენ და უხვევდნენ,
ეყო გაწამაწია.
შემოვიდა მამალიც
მოკაზმული ამალით,

ახლად დაბადებულის
გულით სურდა შექება,
მაგრამ როგორც დახედა:
„დიდი დღე არ ექნება“...
ოქვა და დეზზე შებრუნდა,
გაისწორა მაზარა,
გაიყოლა დედლები
გულჭრელა და ნაცარა,
ერთი ისე შეჰყივლა,
ჭერი შეაზანზარა.
და წავიდა გამწყრალი,
როგორც მამინაცვალი.
მიატოვეს დედლებმაც
კრუხი მარტო საწყალი,
დარჩა წვეთი წყალი და
ფეტვის სამი მარცვალი.
ბა რა იქნებოდა
სამი მარცვლით გაზრდილი,
ვერ იტყოდი ჩიტია,
თუ ყვინჩილა ნამდვილი.
ქორსაც კი არ მიჰქონდა,
თუმცა იყო ადვილი,
მოტაცებად არ ღირდა
ერთი ლუკმა სადილი.
მას ყვინჩილად არ სთვლიდნენ,
ეძახოდნენ წიწილას,
ეს ბავშვობის სახელი,
რა ქნას, ვერ მოიცილა,
დაყივლება რომ სცადა,
აღარ ეყოთ სიცილად.
ხედავს: მისი ტოლები
დიდ-დიდები არიან,
ზოგი დანიშნულია,
ზოგი უკვე ქმარია,
ზოგმა ამპარტავანმა
ტოლებშიც არ გარია.
მხოლოდ ერთი ვარიკა
უყურებდა სხვარიგად,
ერთმანეთი მოსწონდათ,
ულიმოდნენ შორშორა,
საქათმეში საღამოს
ერთმა კრუხმა მოჭორა:
„ნაბოლარა წიწილა
ცოლად ირთავს ქოჩორას!“
„ამბავია ახალი!“
ატყდა ერთი ხარხარი,
იცინეს და იცინეს,
მეტი საქმე რა ჰქონდათ.
ზოგი იქით მიაწყდა,
ზოგი აქეთ გაგორდა,
საქათმეში სიცილი
იქცა ალიაქოთად.
მაგრამ ამ დროს მელია
ქათმებს გამოერია,
საქათმეში უჩუმრად
შემოვიდა წუნკალი,
ხმა არ ამოუღია,
ბნელში გაჰკრა სუნგალი,
ვარიებში ქოჩორა
აირჩია მსუქანი.
მოიკიდა ზურგზე და,
თუმცა ყველა უმზერდა,
შებმა ვერვინ გაბედა,
წაიხურეს საბანი.
ატირდა და აყვირდა
მხოლოდ ერთი მათგანი —
ნაბოლარა წიწილამ
მწარედ მორთო კაკანი.
ირგვლივ სდუმდა სუყველა,
მარტო მან ვერ უშველა,
ღამით რაღას იზამდა,
მეორე დღეს გაცხარდა,
გადიკიდა ფარ-ხმალი,
მიატოვა ფაცხა და
იმ ქოჩორას საძებრად
წასვლა გამოაცხადა.
შეებრალათ საწყალი,
მთელი მისი საგზალი

ორი ულუპი წყალი და
ერთი მუჭა ფეტვია!..
გრძნობენ, ხიფათს შეხვდება,
მაგრამ როგორ ეტყვიან?!
ზოგმა ყელზე აკოცა,
ზოგი შუბლზე ემთხვია.
და საცოლეს მძებნელად
ფრენით, როგორც პეპელა,
გზას გაუდგა წიწილა.
აჩხარუნებს იარაღს,
ცხრა მინდორი დალია,
ცხრა მთა გადაიარა,
ვაქკაცია ნამდვილი,
ნაბოლარა კი არა!
ბოლოს ერთგან დაღლილი
დაჯდა, დადო მახვილი,
ცრემლი ბევრი დაღვარა,
მწარე ბედზე იტირა
და შორი გზით დაქანცულს
მიეძინა ხის ძირას.
მწუხარეს და დარდიანს
გაეღვიძა ადრიან,
ესმის რაღაც ხმაური,
თითქო რაღაც ჩხუბია.
ისეც რა საგზალი აქვს
საწყალს ღარიბსუფრიანს —
ერთი მუჭა ფეტვი და
წყალიც ორი ულუპია,
წყალთან კუ დამხობილა,
თითქო დიდი ხუფია,
ერთიანად შეუსვამს,
სულ მთლად დაუღუპია,
„ვაჰმე! — ერთი შესძახა, —
შენც ცოცხალი ვერ წახვალ!“
გაუწითლდა ბრაზისგან
სახე როგორც ჭარხალი.
„უნდა ხმლით გაგიხეთქო
თავი ქვაზე სახალი!“
წამოვარდა ფეხზე და
მოიმარჯვა ფარ-ხმალი.
კუმ შეხედა ალალად,
თავი წამსვე დამალა,
გადიხარა ზემოდან
ჯავშნის მძიმე კედელი,
მაგრამ ხმალს რომ შეხედა,
მიხვდა შიშით მხედველი,
რომ ჯავშანსაც გასტეხდა
ხმალი რკინის მკვეთელი.
უთხრა: „მომკლა, ახია,
მაგრამ აბა, რა ჰყრია
ჩემს სიკვდილში, დაფიქრდი,
ხმალი ნუ გაქვს შიშველი,
მეც კაცი ვარ, მახსენებ,
სადმე ჭირში გიშველი“.
ეს რომ უთხრა, წიწილას
აღარ ეყო სიცილად.
კუმ შესთხოვა: „გამიშვი,
ნუ ხარ ჩემი მძრახველი,
შვილს შიმშილი მომიკლავს,
ცოლს დარდი და ნაღველი.
როცა მორეულ მიადგე,
იქ თქვი ჩემი სახელი“.
ცოლი რომ თქვა, წიწილას
ცრემლი მოსწყდა წყვილ-
წყვილად:
— ალბათ კარგი ცოლი გყავს,
ცოლი ვის არ უქია,
მე საცოლეს დარდი მკლავს,
იგი ჩემი შუქია.
არას გავნებ, გაგიშვებ,
სიცოცხლე მიჩუქნია.
კუმ დაუკრა თავი და
ძლივს ტაატით წავიდა.
გაუკვირდა წიწილას:
— ვერც კი გაინავარდა,
ეგ მე შველას მპირდება,
თავად არის ავადა!..
ესა სთქვა და სიცილით

გზას გაუდგა თავადაც.
მიდის, მიდის მზეპნელი,
მიდის სატრფოს მძებნელი.
— ეხ, ქოჩორავ, რად არ ვარ
შენი ბედის ზიარად!..
ტირის, ცრემლი ასველებს
გმირის ხმალს და იარაღს.
ცხრა მინდორი დალია,
ცხრა მთა გადაიარა.
მინდვრად შესდგა დაღლილი,
მოთქმითა და ძახილით
მიიძინა ბალახზე
დაქანცულმა წვალებით
და რიყრაჟზე ადრიან
გაახილა თვალები.
საჭმელს ეძებს ამდგარი,
მაგრამ ფეტვი სად არი!
მისდგომია კალია
და მთელი წლის საგზალი
ჩუმად გაუტანია
თითო-თითო მარცვალი.
ერთიღა დარჩენია,
მაგრამ არც კი რცხვენია,
აგერ მიაქვს ის ერთიც,
ერთადერთი კაკალი...
ფეხზე დადგა წიწილა,
მოიშარჯვა ფარ-ხმალი.
ფეხში ხელი ჩაავლო,
დაუჭირა ბარკალი.
„ვაი, მტკივა ძალიან!“
დაიკვნესა კალიამ.
წიწილას რომ შეხედა
დაუბნელდა თვალები.
შეეეედრა: — „გამიშვი,
ნუ გამაქრობ წვალებით,
სადმე ჭირში მახსენებ,
მოვალ, გენაცვალები!“
დაუყვირა წიწილამ:
„გაწყდეს შენი სინსილა,
ვერ მხედავდი თითქოს და
ფეტვი ისე მიგქონდა!
შენ საგზალი მომპარე,
მე თავს მოგეჭრი ახლავე,
ხორცით ყორნებს დავაძღობ,
ძვლებს ძაღლები დახრავენ!“
მწერმა უთხრა კანკალით:
„ეხ, რა ცუდ დროს დამკალი!
სახლში სატრფო მიმელის,
მისკენ მიმიხარია,
გუშინ მქონდა ქორწილი,
ცოლად მიმიყვანია,
სარჩოს მისთვის ვეძებდი,
ვშრომობ დიდი ხანია“.
ამ სიტყვებზე წიწილას
ცრემლი მოსწყდა წყვილ-
წყვილად,
ტკბილი სატრფოს ხსენებამ
გულზე ცეცხლი წაჰკიდა,
ხელი უშვა, შესძახა:
„დროზე წადი აქედან:
არ გაბედო წამითაც
უკან შემობრუნება,
თორემ კიდევ, ვინ იცის,
შემეცვალოს გუნება!“
ახტა-დახტა კალია,
მოშორებით ძალიან
ჩამოჯდა და ეძახის:
„გულს ნუ გაწევს ნაღველი,
მფრინავი ვარ მაღალთა
კლდეთა გადამლახველი,
ჭირში სადმე გიშველი,
იქ თქვი ჩემი სახელი.
მორევს უგავს წიწილას
თვალი ცრემლთა სისველით“,
გაეცინა, გულში თქვა:
„აბა ეგ რას მიშველის!
ეხ, წავიდეს, ჯანდაბას,
მე დავივლი მთას და ბარს;

ან მოვნახავ ჩემს სატრფოს,
ან მოვკვდები მზებნელი!“
თქვა და ისევ გაუდგა
გზას ქოჩორას მძებნელი.
ცხრა მთა გადაიარა,
ცხრა მინდორი დალია,
ვერც საჭმელი იშოვა,
ვეღარც წყალი დალია,
ერთ ყანასთან შეჩერდა
დაქანცული ძალიან.
არ დაღლილა წიწილა
არასოდეს ამგვარად,
ჩრდილი ვერსად იშოვა,
სიცხე იყო თაკარა.
ერთგან ქვაზე ჩამოჯდა
და ცრემლები დაღვარა.
ხმა ჩაესმა უეცრად,
მას ეგონა — კაცია,
იქვე ახლოს ვიღაცამ
ჩოხის კალთა დასწია,
დაიხედა: სოკოა,
დიდი, განა პაწია!
საჩრდილობელს მოგავდა,
გაშლილიყო ქოლგადა,
ხე არ იყო მახლობლად,
მზისგან არვინ ფარავდა,
სიცხით შეწუხებული
ჩრდილს ეძებდა ფარადა.
სოკომ უთხრა ყვინჩილას:
„ამ მზეს თუ მომიჩრდილავ,
ოდნავ თუ გებრალები
უჩრდილო, თავშიშველი,
მეც კაცი ვარ, მახსენებ,
განსაცდელში გიშველ!“
ეს რომ უთხრა წიწილას
აღარ ეყო სიცილად,
სოკოს მწარე ღიმილით
გადახედა უნდოდ და
ფეხზე ადგა, ისევ გზის
გაგრძელება უნდოდა.
მაშინ სოკომ ქადილით
მიაძახა: „წადილი
არ აგიხდეს, შენგვარი
კაცი ჩასაქოლია,
ჩემთვის მცირე ჩრდილი გშურს
შენისთანა გოლიათს,
ძმობა შენ არ გცოდნია,
სატრფო შენ არ გყოლია!“
„სატრფო“ რომ გაიგონა,
მეტი ვეღარ იღონა:
სოკოს წამოეფარა
მზის მხარედან აჩრდილად,
ფრთა გაშლილი დაადგა,
უჩრდილებდა ადვილად,
სანამ მზე არ ჩავიდა
ჩრდილი არ მოაცილა.
მზე რომ გადაიჩრდილა,
გზას დაადგა ყვინჩილაც,
ხის ძირად და ტყის პირად
მოსძახოდნენ სოკონი!
„ჭირში გამოგადგებით,
იყავ ჩვენი მომგონი“.
იარა და იარა,
ცხრა მთა გადაიარა,
ხის ქვეშ დაჯდა, ტყის პირას
დასვენა სხეული.
მიიხედა, იხილა
ავი ძაღლი წყეული,
გაბნეული ხორბალი,
კოდი წამოქცეული.
ძაღლი მიუახლოვდა,
როგორც მონა-მორჩილი,
წიწილს გული გაუსკდა,
შეკრთა მუხლებმოჭრილი.
ძაღლმა უთხრა, მურიამ:
„სისხლი როდი მწყურია,
შენი შეჭმა არ მინდა,
რად გეცვალა ფერფური,

ბსურს მოყვარედ გაგიხდე,
პატივი გცე მეფური.
შენგან შველას მოველი,
იცი, რის ვარ მთხოვნელი?
ეს ხორბალი, ეს კოდი
უპატრონო როდია,
ჩემი მკაცრი პატრონის
ხორბალი და კოდია.
იგი ტყეში შევიდა,
რახანია არა სჩანს,
სავსე კოდთან პატრონმა
მე დამტოვა დარაჯად,
უცებ ღორი გამოჩნდა,
დიდი, უზარმაზარი,
კოდს მიადგა, ეგონა
უპატრონო ბაზარი,
წამოვუხტი ვეძგერე,
მსუნაგს დავეც თავზარი,
მაგრამ ღორს რომ ვესხმოდი,
წამომექცა ეს კოდი
და მინდორი უეცრად
მოიფარა ხორბლითა.
ხან თაგუნა გამოძვრა,
ხან ბეღურა მოფრინდა,
ყველას მიაქვს ცოტ-ცოტა,
მოწეული ოფლითა.
ეგ კი არაფერია,
თუ არ გადამერია
ჩემი მკაცრი პატრონი.
ალბათ, მოვა სულ მალე,
წიხლებს ვერ ავიცილებ,
სახრე გადავუმალე.
დამიხსენი, ისმინე
ჩემი თხოვნა მხურვალე.
დატრიალდი, წიწილავ,
სწრაფად, როგორც ბორბალი,
ამიკრიფე, რაც არი
გაბნეული ხორბალი.
მოვა ჩემი პატრონი,
ნახავს, აწონ-დაწონის,
სავსე კოდი დახვდება,
ამშორდება წიხლები,
და მეც შენთვის სანაცვლო
გარჯით არ დავიღლები."
რაღა ექნა წიწილას,
კისერი წაიწვრილა,
მუშაობას შეუდგა,
შიშითა და კანკალით,
კრიფა, კრიფა ხორბალი,
თითო-თითო კაკალი,
კოდი სუფთად აავსო,
ქვიშა არ გაურია.
„გასამრჯელო აიღე!"
— შეეხვეწა მურია,
„ — არა! — უთხრა წიწილამ, —
მოდი, ძმაო, იცი რა?
მე არ მინდა ეგ პური,
არც პატივი მეფური,
მე სხვისა ვარ მთხოვნელი,
შენგან შველას მოველი".
ძაღლმა უთხრა: „მიბრძანე,
აგისრულო ყოველი!"
„ — სატრფო მყავდა ქოჩორა,
დახატული ვარია,
დავკარგე და მას შემდეგ,
ჩემი გული მკვდარია.
ბნელში მელამ მომტაცა,
წაიყვანა ცუნცულით,
დავიარე ხმელეთი,
დავვლე ყველა კუნძული,
მაგრამ ვერსად ვიპოვე,
ეღვარე ცრემლის ღვარები.
შენ უთუოდ იპოვი,
შენ თუ დამეხმარები!"
ძაღლმა წიწილს ერთგულად
შეხედა და შეღმუვლა,
დაიყეფა, ხმა გახდა
ცის ქუხილისოდენა,

ყველა ჯურის ძაღლებმა
მისკენ იწყეს მოდენა.
ჯერ მეძებრებს უბრძანა:
„აბა, თუ ხართ ძაღლები,
მელა უნდა მოსძებნოთ
იმ ქოჩორას წამღები.
ან ცოცხალი შეიპყრათ,
ან მოჰკალით მზაკვარი,
ან გაიგეთ სად ცხოვრობს,
მიიკვლიეთ გზა-კვალი“.
მეძებრები გაიქცნენ,
დაიარეს მთა-ველი,
დაიარეს ხმელეთი,
თითქმის ყველა მტკაველი,
მაგრამ კვალი ვერ ჰპოვეს,
ვერც იმ მელის მნახველი.
კოჭლი ძაღლი შემოხედათ,
როცა მოელეს მთა-ბარი,
მან ამბავი მელისა
უთხრა, როგორც ზღაპარი:
„ზღვას გაღმა დგას კუნძული,
მთებით შემოზღუდული,
იმ მელის სამყოფელი
მიუვალი იქ არი,
გალავანი კლდისა აქვს,
ხვრელს აქვს რკინის ჭიშკარი.
თქვენ იმ ზღვაში ნუ შეხვალთ,
ნუ შებედავს ნურავინ,
ჯერ არ დაბადებულა
იმ ზღვის გადამცურავი.
რომ გასცუროთ კიდეკაც,
ან გამართოთ ხიდები,
ვერ გადივლით გალავანს,
კლდეები დგას დიდები,
მხოლოდ ფრთები რომ გქონდეთ,
მაშინ გადაფრინდებით“.
მეძებრები მობრუნდნენ,
ჩამოყარეს ყურები.
მოახსენეს წიწილას:
„ჩვენ ვერ დაგვემდურები,
მელა ყველგან ვეძებეთ,
დავიარეთ მთა-ბარი,
ვერსად კვალი ვერ ვპოვეთ,
ვერსად თავშესაფარი.
კოჭლი ძაღლი შემოგვხვდა,
გვითხრა როგორც ზღაპარი:
„ზღვას გაღმა დგას კუნძული
მთებით შემოზღუდული,
იმ მელის სამყოფელი,
თურმე სწორედ იქ არი,
გალავანი კლდისა აქვს.
ხვრელს აქვს რკინის ჭიშკარი.
ჩვენში არავინ არი,
ეს ზღვის გადამლახველი“.
ეს რომ ესმა წიწილას
გადეყარა ნაღველი,
წამსვე კუ გაახსენდა,
ბრძანა მისი სახელი.
კუ მაშინვე იქ გაჩნდა,
მოჰყვა მთელი ლაშქარიც,
ყველას ეცვა ჯავშანი
ფოლადივით მაგარი.
ნაცნობმა კუმ წიწილას
უთხრა: „ყველა აქ არი,
გვითხარ რა გსურს. რა გინდა?
სამსახური რა გვარი?“
მან მიუგო, — „მისმინე,
ძნელი მაქვს სათხოვარი,
გასვლა მინდა კუნძულზე,
ზღვების გაღმა რომ არი“.
კუ დაფიქრდა, წყნარად თქვა:
„ძნელი სამსახურია,
მაგრამ მახსოვს სიკეთე
და გადახდა მწყურია.
ჩვენს ზურგებზე შესხედით,
ზღვას გავსცურავთ ტაატით,
გავალთ დალამებამდის,
აღრე სამი საათით.“

წამსვე შესხდნენ, დაიძრნენ
წიწილა და მურია,
სხვა ძაღლებიც თან ახლავთ
თითქმის ყველა ჯურია.
ალაგ-ალაგ ღელვაა,
ალაგ-ალაგ ბურია,
მაგრამ ზღვა კუს რას უზამს,
ჯავშანი ახურია.
საღამომდის გასცურეს,
არ უნახავთ ზიანი.
შორით იცნეს კუნძული
მტკიცე გალავნიანი.
არსად ჩანდა ფრინველი,
არსად ადამიანი,
კუ შეჩერდა, ნაპირთან
ხომალდივით მიმდგარი,
არ ენახათ კუნძული
არასოდეს იმგვარი:
შვიდი ჰქონდა კარი და
გალავანი შვიდგვარი.
ძაღლმა უთხრა: — „წიწილავ,
შენს მხნეობას დიდება,
მაგრამ ამ კლდეს რა გასტეხს,
ან რა გადაფრინდება?!"
მიხვდნენ, იყვნენ უღონო
და შეწუხდნენ ძალიან,
მაგრამ უცებ წიწილას
მოაგონდა კალია,
და გულიდან იმ წამსვე
გადიყარა ნაღველი,
მან არ უთხრა: — „ფრენით ვარ
კლდეთა გადამლახველი!"
ახლა უნდა ახსენოს
სწორედ მისი სახელი.
ახსენა და იქ გაჩნდა,
ის ნაცნობი კალია.
უკან მოჰყვა ლაშქარი,
თითქოს ცაზე კვამლია,
დაბნელეს მზის შუქი,
ფრთებს იქნევდნენ რვალიანს.
მოეწონა წიწილას
მათი ფრენა, სიმარდე,
უთხრა: „განსაცდელში ვარ,
ხელი შენ გამიმართე.
მომეხმარე, მიშველე,
დაპირების თანახმად,
უნდა გადაგვაფრინო
ამ გალავანს გადაღმა".
კალიებმა ასწიეს
წიწილა და ძაღლები,
კუმ გასძახა წიწილას:
„ომშიც თან გეახლები,
ჯავშანი გვაქვს, ბრძოლაში
გამოვდგებით ტანკებად,
ვერვინ გაგვტეხს ადვილად,
ვერვინ დაგვეტაკება".
კალიებმა ისინიც
ასწიეს და მარდადვე,
მაღლა-მაღლა გაფრინდნენ,
მართლა თავი გადადვეს
და იხილეს მაღლიდან:
გამოვიდნენ სახლიდან
მზარეული მელები,
ქვაბებით და წალდებით,
მეფე მათი სუფრად ზის,
მას სურს ცხელი მწვადები.
— ეს რას ხედავ, წიწილავ,
როგორ არ გამწარდები!
ქოჩრით მოჰყავთ ქოჩორა,
ერთმაც არ სცა თაყვანი,
მოუღერეს წალდები,
ატყდა ერთი ყაყანი,
მეფე თავზე დაადგათ,
თვით ქოჩორას წამყვანი.
დაიყვირა წიწილამ:
„ძირს ჩამომსვით ახლავე,
ჩქარა ვიდრე დრო არი,
ჩქარა სანამ დაჭკლავენ!"

კალიები უვლიან
თავზე ტყეს და ვენახებს,
ვერსად ძირს დასაშვები
მოედანი ვერ ნახეს.
მოახსენეს წიწილას:
„მგონი არა ვტყუვდებით,
შეიძლება დაშვება
მხოლოდ პარაშუტებით“.
ახლა რა ქნას წიწილამ,
აერია დავთარი,
დაბლა როგორ დაეშვას,
პარაშუტი სად არის,
რა იღონოს, რას ეცეს,
ბრდღვინავს, როგორც აფთარი,
მაგრამ უცებ შეჰკივლა,
ერთი შეხტა ანაზდად,
ის სოკო გაახსენდა,
ჩრდილს რომ სთხოვდა ყანასთან.
ახსენა და იმ წამსვე
სოკოები, გუნდებად,
ჰაერში დაეკიდნენ
გაშლილ პარაშუტებად.
ცაში მთელმა ლაშქარმა
იწყო მათი მორგება,
სოკოები ერთ წუთში
გადიხურეს ქოლგებად.
და დაეშვნენ მსუბუქად,
როგორც ღრუბლის ქულები,
იმ დროს დადგნენ მიწაზე,
ფრენით მოქანცულები,
როცა უკვე ქოჩორას
ყელთან ჰქონდა ცულები.
ძაღლმა უცებ შეჰყეფა:
„არ გაბედო შეხება!“
შეკრთა მელა, ხელიდან
გაუვარდა ნაჯახი.
წიწილას რომ შეხედეს,
შიშით იწყეს ცახცახი,
ზოგი ფარ-ხმალს დაეძებს,
ზოგი წყევლას გასძახის,
დააყარეს კენჭები
კალიებმა მაღლიდან,
შეუტია თითო კუმ,
თითო-თითო ძაღლითა,
ტანკებს გავდნენ, ჯავშნოსნებს.
ცხარე ბრძოლა არ ღლიდათ.
სისხლი ღვარად წავიდა,
თითო ათ-ათს შეება,
წიწილასგან მოკლულთა
გორა დადგა ვეება,
ვინც ცოცხალი გადარჩა —
წამოასხა ტყვეებად.
და ქოჩორას წამყვანი,
დიდი მეფე მელათა,
თავად მოჰკლა წიწილამ,
გაატყავა ხელადა.
მას მიართვა, ვინც ბნელში
მზის შუქვით ელავდა.
გადაჰკიდა ყელზე და
ცრემლი მოსწყდა გოლიათს,
მოეხვია ქოჩორას,
ჰკოცნა გულ-მკერდბროლიანს,
ლაშქარს უთხრა: „დღეიდან
იგი ჩემი ცოლია!“
და გასწიეს უკანვე
იმავ გზით და წესითა.
სურდათ კუს და კალიას
სულ სახლამდის ეზიდათ.
მაგრამ თვითონ წიწილამ
აირჩია ეტლები.
შიგ მელები შეაბა,
წუწკი, გასაწყვეტლები,

სოფელში რომ შევიდნენ,
მოეგებნენ დედლები.
მოეგებათ მამალიც
ამაყი და ფრთამალი.
გადიხადეს ქორწილი.

მოალხინეს სოფელი,
რწყილი ბუჭნას უვლიდა
სულ ცერებზე მხტომელი,
ტაში იყო ფოთლების,
ზურნა ჭრიჭინობელისl..

ალეკო შენგელია



ალეკო (ალექსანდრე) პეტრეს ძე შენგელია დაიბადა 1914 წელს, სოფ. ხაბუმეში (მთიანი სამეგრელო). ალ. შენგელიამ პირველდაწყებითი სწავლა მიიღო სენაკში. 1931 წელს შევიდა თბილისის საღამოს ათწლედში, თან მუშაობდა გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციაში. 1934 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ალ. შენგელია სამშობლო აჭარაზე გაქცევიდა 1938 წელს. ამ წლიდან საბავშვო ლექსებს სისტემატურად ბეჭდავს ჩვენს საბავშვო ჟურნალებში.

ალ. შენგელიას საბავშვო ლექსების პირველი წიგნი „ლიანს ძრენდი" გამოვიდა 1942 წელს.

საუბარი ვაჟა-ფშაველას შვილის ნუკრთან

მე მიამბეს: ობოლი ხარ,
მშობლებს დანატრებული,
ყველას შესთხოვ თავშესაფარს
თვალებაცრემლებული!

მოდი ჩემთან, შეგიფარო,
შეგიმშრალო ცრემლები,
იცი, როგორ შეგიყვარებ,
როგორ მოგეფერები?!

მამაჩემი ფრონტზე იყო,
მტრები რომ გაეგმირა,
იმ ვერაგებს თურმე სურდათ
მეც შენსავით მეტირა.

ახლა მამა ჩამოვიდა.
დავეკოცნე თვალები
და ვუთხარი, რომ ბედნიერს,
შენ ასე მებრალები.

მოდი ჩემთან, გამარჯვების
სიხარული გავიყოთ,
რომ არაფრის გეშინოდეს,
რომ ობოლი არ იყო!

გიყვარდეს წიგნი

გიყვარდეს წიგნი —
ძვირფასი განძი,
ცოდნის სარკე და ბუნების კარი,
მთელს ქვეყანას რომ გვიხატავს თვალწინ
და გზას გვინათებს, როგორც ლამპარი!

გიყვარდეს წიგნი,
მისი პატარა
ჯარისკაცები — ანბანთ კრებული,
ცოდნის სანატრელ გზით რომ გვატარებს,
ლამაზ სიტყვებად გამწკრივებული!

გსურს ასახელო მშობელი მხარე,
მას ემსახურო საქმით და ფიქრით? —
ამისთვის წიგნი აგიხელს თვალებს,
ამისთვის უნდა გიყვარდეს წიგნი.

გიყვარდეს წიგნი — გონების თვალით
რომ სახავს, გვაცნობს ქვეყნის ცხოვრებას!
გიყვარდეს წიგნი და შენი ვალი
ყოველ ნაბიჯზე გემახსოვრება!

მამის წერილი

როცა ბრძოლის ქარიშხალი
ცეცხლს უნთებდა შავბნელ ღამეს,
შვილო, ცრემლი რომ ეკიდა
შენს თვალებს და შენს
წამწამებს...
როცა ჩვენი ნეტარება
შეშურდათ და ჩაგვიშხამეს,
თქვენთან ყოფნა და ალერსი
მოგვანატრეს თქვენს კარგ მამებს,
მამაშენი სამშობლოსთვის
დავზოგავდი განა რამეს?

ჩემო კარგო, შენი სიტყვა,
ღიმილი და ტკბილი კოცნა,
მომყვებოდა ამ შორ გზაზე,
როგორც ხმალი, როგორც დროშა.
სამშობლოზე ოცნების დროს,
სამშობლოსთვის ბრძოლის
დროსაც...
ახლა ჩვენი გაზაფხული,
სიხარულით შეიმოსა,
დიადი დღე გაგვითენდა
და ზეიმობს ხალხი როცა, —
გამეზარდე, გამახარე,
გამარჯვებას მოგილოცავ!

წერილი მამას

მახსენებდი ომში მყოფი,
ჩემო ტკბილო მამილო.
პატარა ვარ, რომ ვიტირო,
გულში დარდი გავივლო?

ახლაც, როცა გათენდება
სიზმრებით და ოცნებით,
შენს ლოგინში მეგულები,
ჩუმად გადავცოცდები.

ძილში განახე: მოსულიყავ
მკერდზე გმირის ორდენით...
მერე რა, რომ სიზმარია,
განა დაგიღონდები?

შენ ხომ მითხარ სამშობლოსთვის
სხვები როგორ კვდებოდნენ...

ეჰ, მამილო, როგორ მინდა,
გმირი დაბრუნდებოდე!

დედა დილაადრიანად
რადიოს რომ უსმენდა,
მე მივხვდი, თუ რად ღელავდა,
გული რაზე უცემდა:

როცა გმირებს ადიდებდნენ
სიმღერით და ძახილით,
მას უნდოდა ვაჟკაცებთან
ეთქვათ შენი სახელიც.

მე მჯერა, რომ გმირი მოხვალ,
განა სხვა ფიქრს გავივლებ,
მე ყვავილებს დაგახვედრებ,
ფერად-ფერად ყვავილებს!

ანბანთ სიმღერა

არჩილს ხედავთ, რა ბიჭია,
ავტო მიჰყავს გამალებით,
შოფერია სანაქებო,
მიჰქრის ქარხნის დავალებით.

ბონდო ბოსტანს ბარავს
მკვირცხლად,
აყრის სასუქს, ნაცარს, ტუტას.
ყველა იცნობს ამ მხარეში
ბონდოს ბოსტანს ნასათუთარს.

გივი გემზე ბოცმაწია,
გმირია და უშიშარი,
არ გაუშვა მტერი, ვისაც
ჰქონდა ზრახვა გულში შავი,

დათა მასწავლებელია
და ბავშვების ახლობელი;
იგი ჩვენი აღმზრდელია
და ვართ მისი მადლობელი.

ეთერი კი ექიმია,
თავი გტკივა? ახლავ მოვა,
ავადმყოფთან არის მუდამ,
დილაა თუ საღამოა.

ვახტანგს იცნობთ, პოეტია,
ლექსებს გვიწერს და გვახარებს,
აბა, როგორ შეიძლება
არ უყვარდეს ის პატარებს.

ზაზა აგრონომი არის,
დახმარებას გვიწევს ბრავალს,
მიტომ იხვეჭს კოლმეურნე
დოვლათსა და უხვ მოსავალს!

თინა კარგი მკერავია,
რა მტკიცება უნდა ამას,
შარვალს, კაბებს და ხალათებს,
ის გვიკერავს ლამაზ-ლამაზს.

ილია ხომ ხიდს აშენებს,
ინჟინერი გახლავთ იგი,
გამძლე არის მისი ხიდი,
მასზე ქება გვესმის ირგვლივ.

კოტე კერავს ფეხსაცმელებს,
შეუკვეთეთ ფეხსაცმელი,
თქვენ წითელი ხალათი გაქვთ,
შეურჩიეთ ფერსაც ფერი.

ლიანას თქვენ იცნობთ ყველა,
საბავშვო სახლს რომ განაგებს,
გულით უყვართ აღსაზრდელებს,
ჩვენს პატარა ამხანაგებს.

მარინესაც გაიცნობდით,
მხატვარია იგი კარგი,
ყველას ატკბობს, ყველას
ჰხიბლავს,
ნახატით და მონაქარგით.

ნინო მერგოლური არის,
საქები და გასაკვირი,
ჩაის უხვი მოსავლისთვის
ნინო გახდა შრომის გმირი.

ოთარი ფოტოგრაფია,
გისახსოვრებთ ფოტოსურათს,
დახეთ, გორის არემარე,
რა ლამაზად გამოსულა!

პეტრე კალატოზი არის,
ახალ სახლებს ააშენებს,
და ჩვენს ქალაქს ეს ოსტატი
კიდევ უფრო დაამშვენებს.

ეუეუნა ვეტექიმია,
ანუ საქონლის მკურნალი,
ისე ყოჩაღად მუშაობს,
არ არის დასაწუნარი.

რევაზი — მექანიკოსი,
ქარხნის სულია, გულია,
გეგმებს ყოველთვის აჭარბებს,
ამიტომ მხიარულია.

სავლე არის ბუხჰალტერი,
დინჯი, მშვიდი, საქმიანი,
უყვარს ზუსტი ანგარიში,
ანგარიში კარგი არის.

ტარიელი ასე ამბობს,
სეირნობა ხომ გიყვართო,
წამობრძანდით, ჩემი ეტლით
ქალაქგარეთ წაგიყვანთო.

უშანგი კი სტამბაშია,
წიგნს გვიბეჭდავს სასოებით,
ცდილობს კარგად გამოვიდეს
სურათი და ასოები.

ფიქრია მორბენალია,
ჯოხტა ქალია ფიქრია,
ისე მირბის და იჩქარის,
თითქოს ხეებიც მიქრიან.

ქეთინო კონდუქტორია
დინჯი და სიტყვალამაზი;
— გთხოვთ შეიძინოთ ბილეთი, —
მგზავრებს მიმართავს თავაზით.

ღუტუ კარგი დურგალია,
ასრიალებს შალაშინებს,
სულ მუშაობს, საქმიანობს,
დაღლილობა არ აშინებს.

ყარამანი ტყეში მიდის,
მონადირე არის იგი,
გუშინ შველზე ინადირა,
დღეს ირემზე მიდგა რიგი.

-შოთა გახლავთ მემანქანე,
მიაქანებს ორთქლმავალსა,
ყველას მოსწონს, ყველა აქებს
მის ჭკუას და მახვილ თვალსა.

ჩიტო მსახიობი არის,
თქმაც არ უნდა, იცნობთ ყველა,
თოჯინებს რომ წარმოგვიდგენს
მრავალგვარად, მრავალფერად.

ცაცა ცაზე ვარსკვლავს უმზერს,
ცაცა მეცნიერი არის,
სურს გაიგოს ვარსკვლავების
საიდუმლო ყოველგვარი.

ძაძუ ძროხებს უვლის კარგად,
ფერმის გამგე არის იგი,
დროზე იცის ძროხის მოვლა,
სისუფთავე, თადარიგი.

წაბლა კამეჩს რომ მიჰყვება,
ძწყვეტსი ბიჭი, თედო გახლავთ,
სალამურსაც კარგად უკრავს,
გესმით, როგორ მღერის ახლა?

ჭოლას ხედავთ? — მოლარეა,
ამბობს:—წასვლა აბა სად გსურთ?
წყალტუბოში თუ ბორჯომში?
ჩამოგითვლით ყველა სადგურს.

ხათუნა კი საქმიანად
ბაზრისაკენ მიიჩქარის,
განთქმულია მისი კერძი,
მზარეული არის ქალი.

ჯონდო გახლავთ ფეხბურთელი,
ნაწრთობი აქვს ყველა კუნთი,
უსათუოდ ბადეშია
ჯონდოს გასროლილი ბურთი.

ჰე, ბავშვებო, მოგიყვეთ,
როგორ შრომობს ჩვენში ყველა,
ზოგი ხატავს, ზოგი ბარავს,
ხნავს, აშენებს, მკის და კერავს.

თქვენც გულდასმით იმუშაეთ,
შრომის დროა, სწავლის დროა!
ყველა საქმე კარგი არის,
რაც ქვეყნისთვის საჭიროა!

გამარჯობა, სოფელო!

ზურმუხტად გადახატულო
და გულის დამატკბობელო,
შენ, გამარჯობა, სოფელო,
ამწვანებულო სოფელო!

თქვენ, გამარჯობა, ველებო,
მთებო, თეთრნაბდიანებო,
ბარაქიანო ყანებო,
ყანებო, ოქროს ყანებო!

მოვდივარ გახარებული,
მოვდივარ გალაღებული,
დამხვდით ჩანჩქერთა გუგუნით,
მინდვრად ქედნების ღუღუნით,

წისქვილის ტკბილი ზღაპრებით,
ნისლის გაშლილი აფრებით,
დილის ცვარ-ნამის ვერცხლითა,
ცაში გაჭრილი მერცხლითა...

მოვდივარ გახარებული,
მოვდივარ, არ ვგვიანდები,
ამინთეთ, ამიჩირაღდნეთ
ფერადი განთიადები!..

ნახვამდის, სასწავლებელო,
კვლავ ჩქარა დაგიბრუნდები,
რომ დავეწაფო სწავლასა,
რომ გასახელო ხუთებით.

რევაზ მარგიანი



რევაზ აკაკის ძე მარგიანი დაიბადა 1916 წელს, სოფ. ბულახში (ზემო სვანეთი), ინტელიგენტის ოჯახში. საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა 1935 წელს, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი 1940 წელს.

რ. მარგიანის პირველი საბავშვო ლექსი „ეთერი და არჩევნები" დაიბეჭდა ჟურ. „ოქტომბერელში" 1937 წელს. რ. მარგიანის საბავშვო ლექსების პირველი წიგნი—„ჩემს პატარა მეგობრებს" გამოვიდა 1947 წელს.

რ. მარგიანი ეწევა მთარგმნელობასაც. მის მიერ თარგმნილია ს. მიხალკოვის „ვემსახურები საბჭოთა კავშირს", „ლენინის მუზეუმში", „ლენინის საძმობლოში". თარგმნილი აქვს აგრეთვე პოლონელი პოეტის იულიან ტუგიმის საბავშვო წიგნი „მხიარული ლექსები".

სამამულო ომის წლებში რ. მარგიანი იმუოფებოდა ფრონტზე და თანამშრომლობდა საფრონტო გაზეთებში.

რ. მარგიანი 1945 წლიდან რედაქტორობდა საბავშვო ჟურნალ „დილას", ამჟამად იგი ჟურნალ „პიონერის" რედაქტორია.

სიმღერა

ჩვენ მშობლიურ მთა-ველს
ვიცავთ,
მამულისთვის გვიცემს გული,
არვის მივცემთ მტკაველ მიწას,
გამთბარს ხალხის სიყვარულით.

ჩვენ ვისწავლეთ დავკრათ შტერსა,
თავისუფლად ვიყოთ მარად,
ჩვენ ლენინმა გვიანდერძა
და პარტიამ დაგვავალა,

რომ სამშობლოს სასიკეთოდ
მარად ძგერდეს ჩვენი გული,
ყველაფერზე დიდი იყოს
მშობელ ხალხის სიყვარული.

რომ მახვილი გვქონდეს ბასრი,
ჰგავდეს ელვის გამოჩენას,
რომ გვახსოვდეს ერთი აზრი:
ვერაგ მტერზე გამარჯვება!

ჩვენ მშობლიურ მთა-ველს
ვიცავთ,
სამშობლოსთვის გვიცემს გული,
არვის მივცემთ მტკაველ მიწას
გამთბარს ხალხის სიყვარულით.

მე რომ პატარა ვიყავი

მე რომ პატარა ვიყავი,
ცელქობით ვიყავ გართული,
დედის ტკბილი ხმა მესმოდა,
მისი ლამაზი ქართული.

შემდეგ რომ წამოვიჩიტე,
გავიგე ქვეყნის ანბანი,
გავიგე, რისთვის ომობდნენ
ჩვენს მტრებთან მამა-პაპანი.

და როცა წამოვიზარდე,
ამიბიბინდა ულვაში,
საომრად ფრონტზე წავედი,
ცეცხლის და ტყვიის ბურანში.

ჩვენს ძმებთან ერთად ჩავები
სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში,
დედის ძახილი გვესმოდა
ზარბაზნის ტყვიის სროლაში.

მე რომ პატარა ვიყავი,
ცელქობით ვიყავ გართული,
დედის კალთაზე ვისწავლე
ჩვენი ლამაზი ქართული.

დედა

ჩემს სიცოცხლეს მირჩევნია,
როცა ძვირფას დედას ვხედავ,
მუდამ ჩვენთვის ზრუნავს, მუდამ,
საყვარელი ჩემი დედა.

ის დღედაღამ ჩემზე ფიქრობს —
თავს მევლება, მიალერსებს,
ანი-ბანი მან მასწავლა,
და მიკითხავს ახლა ლექსებს.

სულ მარიგებს, სწავლას
მირჩევს —
მე კი დედას ვეფერები,
მის დიდ ამაგს დავუფასებ,
როცა დიდი გავიზრდები.

ჩემს სიცოცხლეს მირჩევნია,
როცა ძვირფას დედას ვხედავ,
მუდამ ჩვენთვის ზრუნავს, მუდამ,
საყვარელი ჩემი დედა.

შემოდგომის ძღვენი

— ცეცხლმოდებული ატამი
და დაბინდული ქლიავი,
მობრძანდა, უკვე მობრაძნდა, —
ვეჩურჩულება ნიავი!

— ჩაშაქრებულა ყურძენი,
შეწითლებულა ვაშლები,
მობრძანდა, უკვე მობრძანდა, —
შემოგვძახიან ბავშვები!

— ლეღვს გაუხსნია ტუჩები,
მზეზე ტკბებიან ლეღვები,
მიირთვით, ტკბილად შეგერგოთ, —
გვეუბნებიან გლეხები.

შეგვცქერის პირდაბჩენილი
ლამაზი ბროწეულები,
თითქოს ატლასით შემკულნი,
ზეიმზე მოწვეულები.

ყვითლად რომ ჩანან ხეებზე
და თითქოს მზეზე დნებიან,
ბავშვები გვეუბნებიან:
— ეს ხომ გულაბი მსხლებია?

როგორც წითელი საყურე —
ბუჩქებს ლამაზად ჰკიდია,
სისხლივით არის წითელი
დამწიფებული შინდია!

ხეზე რომ მრავლად ასხია —
თითქოს პატარა ზღარბია,
ჯერ არც კი დამწიფებულა —
უსაყვარლესი წაბლია!

კომშს შეხე, ყვითლად ელვარებს,
ჩვენამდე აღწევს სურნელი,
— მიირთვით, ტკბილად
შეგერგოთ, —
ამბობენ კოლმეურნენი.

ზოგი ფოთლებში ელვარებს,
და ზოგსაც თითქოს რცხვენია,
ზოგი ვერ მალავს სიწითლეს,
ზოგს პირი დაუბჩენია!

დედავ, რამდენი ხილია,
პატარებს მოულხენიათ...
თქვენც კარგად მოგეხსენებათ,
ხილი თუ ვისი ძღვენია.

მერცხლები მოფრინდნენ

მერცხლები უკვე მოფრინდნენ —
ცაში დაფრენენ ყღურტულით,
ჭალებში შაშვი ჭახჭახებს,
ბაღებში გალობს ბულბული.
მერცხლები უკვე მოფრინდნენ
და გაზაფხული გვახარეს.
ზეცაში შეინავარდეს,
მოგვიალერსეს პატარებს.

მათ ძველი ბუდე მოძებნეს
ჩვენ ჭერქვეშ ნაამაგარი,
ჩვენც დავახვედრეთ უნებლად
თბილი კერა და სახლ-კარი.
მერცხლები უკვე მოფრინდნენ,
ცაში დაფრენენ ყღურტულით,
ჭალებში შაშვი ჭახჭახებს,
ბაღებში გალობს ბულბული.

ორი ბიჭის ამბავი

ბანაკში ვარ, ხევში
ჩამოცურდა ბინდი,
თეთრი ღრუბლის ქულა
თითქმის ქედებს ფარავს
და კოცონის ალი
მაღლა ცაში მიდის,
თან ბრიალებს იგი
ყელსახვევის დარად.

ცეცხლს ვუსხედვართ ყველა;
იწვის ფიქვის ფიჩხი —
გააქვს ტკაცატკუცი,
იცრემლება არყი.
იფანტება ირგვლივ
მუგუზლების ჩინჩხლი
და ნაპერწკალს მრავალს
სიცილივით გვაყრის.

ნაძვებს შორის გაჩნდა
მთვარე გაბადრული.
ჩვენი ცეცხლის ალი
მაღლა ზეცას სწვდება,

ცეცხლის ნაპერწკლები,
ცაში გაფანტული,
თითქოს იქცნენ უკვე
ნამდვილ ვარსკვლავებად.

ჩვენ კოცონის ირგვლივ
შევკრებილვართ ერთად.
ფოთლის შარიშური
ჩურჩულივით ისმის.
გვეპარება ჩუმად,
ჩემი თვალით ვხედავ,
ხევში მოფარფატე
თოვლისფერი ნისლი.

ცეცხლს გუზგუზი გააქვს,
იწვის არყის ტოტი,
გულისძგერაც მესმის
უთვალავი ბავშვის.
შორიახლოს ჩქარი
ჩანჩქერის ხმა მოდის,
ისე ისმის, როგორც
განუწყვეტი ტაში.

ბანაკში ვარ სტუმრად,
ასი მასპინძელი
შემომცქერის ერთად —
თვალებს აციმციმებს.
მეც ბავშვურად მათთან
გამიშლია ხელი,
რა ვუამბო, რა ვქნა,
ტვირთი მაწევს მძიმე.

ლექსი ბევრი ვიცი.
სიმღერებიც ვიცი,
ძუდარით და თხოვნით
მიცქერს ასი თვალი.
რა ვუამბო, რა ვქნა,
მღელვარებით ვიწვი,
ყელზეც მომდებია
ყელსახვევის ალი.

ვფიქრობ,
ვფიქრობ დიდხანს,
მოგონების ქსელი
თითქოს გაილამბა,
თავს ვერ ვართმევ ფიქრებს.
ბევრი, ბევრი მახსოვს
ახალიც და ძველიც,
თვალით ნახულ ამბავს,
ნამდვილ ამბავს ვიწყებ:

1

კავკასიის კალთაზე
არის ერთი სოფელი,
მოყვარესთან კეთილი,
ძმასთან — განუყოფელი.

ნაირნაირ ჭალებით,
მარად მწვანე ნაძვნარით,
თავზე თეთრად დაჰყურებს
მთები უზარმაზარი.

სოფელს შუა ჩაუდის
ერთი ჩქარი მდინარე,
განუწყვეტლად გრიალებს,
ძილს უშფოთებს მყინვარებს.

მიჰქრის თავდავიწყებით
კლდესთან დაჯახებული,
ხანაც აქაფებული,
ხანაც გალაღებული.
მიჰქრის აურზაურით

და ტალღებში მრავალი
დასრიალებს კალმახი.

ტალღა ტალღას უმღერის,
ცას სწვდებიან შხეფებით.
ხშირად ემდურებიან
კალმახურას გლესები:

— კალმახურას ბრალია,
კალმახურას ვემდურით,
დაუნდობი რამ არი
იგი ადიდებული.

ყანა არ დაგვიყენა,
სათიბები, ბაღჩები,
ხშირად გაუტაცია
მობანავე ბავშვები.

ხშირად ყინვარებიდან,
მოპარული ნისლივით,
წაუღია საბძელი,
წაუღია წისქვილი.

ახლაც ხიდი გაგლიჯა,
ნაფლეთებად აქცია,
ისე აათამაშა,
ვით ნაფოტი პაწია.

ბურჯს ეძგერა ზრიალით,
ბურჯი განზე გასწია,
შექნა დავიდარაბა,
შექნა გაწამაწია.

ჯებირები გაგლიჯა,
რიყედ იქცა ქვიტკირი;
ჭალებისკენ დაეშვა
შავი, როგორც სიკვდილი.

მიჰქრის ტალღის დგაფუნი,
ფეხზე ადგა სოფელი,

აღდგა ხალხი — ერთმანეთს
მარად განუყოფელი,

წინ აღუდგა ბობოქარს,
წინ აღუდგა მძვინვარეს.
მიჰქრის აქაფებული
კალმახურა-მდინარე.

კლდეს შეჰბღავის მრისხანე,
მოაქვს ყინვის ლოდები;
შეჰკივიან ქალები
ვიშითა და გოდებით.

კალმახურა გრიალებს,
ტალღას გააქვს თქაფანი,
გაუშლია ფაფარი,
ყანებს ლოკავს ფაფარით.

მკლავზე გადაიწვინა
ერთი ცაცხვი ვეება,
მკერდზე აატორტმანა,
მოჰქრის შეუჩერებლად.

ტოტებამწვანებული
თხემზე დგანან დარცხვენით, —
მისტირიან მეგობარს
მხრებგაშლილი ცაცხვები.

წვიმს, ცა დაბლა ჩამოდის,
მოდის შეუჩერებლივ;
ფაფასავით გასქელდა
ერთ დროს წმინდა ჩქერები.

ებრძვის მთელი სოფელი,
არ იშურებს მარჯვენას,
სოფლის მთელი დოვლათის,
ხალხის გადასარჩენად.

კალმახურას ნაპირზე
გამოშლილა სოფელი, —
ჭირში, ლხინში ერთმანეთს
მარად განუყოფელი.

ცა კი დაბლა ჩამოდის,
წვიმა მოდის ჩქარ-ჩქარი,
გაწოლილა ჭალაზე
შავი ღრუბლის ლაშქარი.

ელვამ გასჭრა ღრუბელი,
ელვამ ზეცა გაბზარა,
კლდეზე მეხი დაეცა,
მიწა შეაზანზარა.

წვიმს, გრიალებს მდინარე,
გადმოლახა ნაპირი,
ჭალებისკენ იჩქარის,
მიჰქრის ფაფარაშლილი.

2

ჭალასთან, სოფლის ბოლოში
სკოლა ჩანს კირშეფეთქილი,
იქვე, მდინარის ნაპირას,
ცხოვრობს მოხუცი კეთილი.

მდინარეს თავზე დასცქერის
მოხუცის ოდა ქართული,
მზრუნველი ხელით ნაშენი,
ცისფერი, წელგამართული.

სახლს საძირკველი გაუდგამს
მდინარის პირას მაგარი,
სახლს ირგვლივ ღობე ავლია
ცისფერი, ახალთახალი.

იქ ცხოვრობს ერთი მოხუცი,
სოფლის თვალი და ნუგეში,
თავისი ხელით ამართა
ეს სახლი სიჭაბუკეში.

ჭაბუკი იყო, მოვიდა
და ცხრა მთა გადმოიარა,
დასახლდა, გული გაშალა,
სოფელს მიენდო მთლიანად.

დასახლდა, წიგნი გაშალა,
ქართული წიგნი პატარა,
ხალხს წერა-კითხვა სწყურდა
და წიგნი ხალხს შეაყვარა.

ვით წმინდა წყაროს — ირმები,
შემოეჩვივნენ ბალღები,
მკვირცხლები, მოუსვენრები,
როგორც მდინარის ტალღები.

ბევრი ცირა და მალხაზი
წიგნის და ცოდნის მსურველი,
ცოდნის წყაროსთან მივიდა,
კაციც დაუხვდა მზრუნველი.

სოფელში გაჩნდა სიმღერა
და ხალხმა გულით ატარა,
ყველა მას იმეორებდა
სოფლად დიდი თუ პატარა:

— „ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი,
დაურჩი დედაშენსაო,
საქმე რომ არა გქონდეს რა,
ჩამოირბენდე ჩვენსაო,
გასწავლი წერა-კითხვასა,
მეც მოგიჯდები გვერდსაო...“

3

ცხოვრობდა ძია გიორგი, —
ასე ეძახდა სოფელი,
ჭირსა და ლხინში ერთგული,
მარადჟამს ხალხთან მყოფელი.

ცხოვრობდა, ბევრი სიკეთის
ქვალი გაავლო გუთანით,
შრომობდა დაუღალავად
ისე, ვით მუშა ფუტკარი.

და გიორგისთვის სიმართლე
იყო რკინა დზ ბექთარი,
გული კი ჰქონდა ალალი —
სავსე მზითა და ნექტარით.

„მოხუცდი, შრომა იკმარე", —
რომ ეთქვათ, ვერვინ გაბედა.
ისე, ვით მუხა ძლიერი,
სოფლელთა თვალწინ დაბერდა.

თვალმაც უსუსტა, მუხლებმაც,
რაღაც „ქარებმაც" აწვალეს,
წამალიც მოიშველია,
მოიშველია სათვალეც.

ბევრი გაუჩნდა მზრუნველი,
ბევრი გაუჩნდა მნახველი...
ლოგინად ჩაწვა გიორგი,
სოფლის თვალი და სახელი.

* *

წევს მოხუცი სიცხიანი,
ალმური წვავს, ჩუმად ხვნეშის,
ქარს ფანჯარა გაუღია
და კედელზე ურტყამს თქეში.

მინებს გააქვს ლაწა-ლუწი,
გარეთ ამსხვრევს ტოტებს ქარი
და ოთახშიც დატრიალდა
შემოპრილი ქარიშხალი.

ბორგავს, შფოთავს ავადმყოფი,
სიცხიანი თვალით უცქერს,
ქარი როგორ აფრიალებს
გადაშლილი წიგნის ფურცელს.

სწუხს მოხუცი,
მშველელს უხმობს
და მშველელი არსად არ ჩანს,
წამით სცადა წამოდგომა
და ამაოდ გაისარჯა.

მიწვა ისევ დავრდომილი,
მწუხრიანი ითხოვს შველას,
გრძნობს:
სახლს როგორ აზანზარებს
მღვრიე ტალღა ვეებერთელა.

კალმახურა სახლის ბოძებს
უზარმაზარ ტალღებს ურტყამს,
ცაზე ელვა დაიკლაკნა,
სადღაც ახლოს დაიქუხა...

* *

მოხუცს ერთი ვაჟი ჰყავდა,
მოიგონა ახლა მამამ,
ფიცხელ ომში დაიღუპა,
თვალი ცრემლით დაენამა.

სურათიდან შავგვრემანი
შემოსცინის მამას ვაჟი,
იმედი და სიხარული
და ცხოვრების გარიჟრაჟი.

რა უდროოდ ჩაქრა იგი,
შეწყდა მისი გულისძგერა,
მამულისთვის დაიღუპა, —
მაგრამ მამას არა სჯერა.

არა, არ სურს დაიჯეროს,
თურმე ძნელი არის მეტად,
მამის გულმა მაგისერთა
ფიქრითაც ვერ გაიმეტა.

თუმც სოფელმა ბევრი სცადა,
რომ გაექრო მისი დარდი,
მაგრამ მოხუცს გულზე აწევს
დარდი ათი წელიწადი.

4

მიჰქრის ორი ბიჭუნა,
მოხუცისკენ იჩქარის.
აჰა, თითქოს გამოჩნდა
მტრედისფერი ჭიშკარი.

ცა ისევე მუქია,
კალმახურას ტალღებიც.
ჰგვანან სოველ ფრინველებს
გაწუწული სახლები.

ცამ არ გადაიკარა,
ღელე იქცა მდინარედ,
მოდის ხივილ-ხივილით,
ხეობებში მძვინვარებს.

მიჰქრის ორი ბიჭუნა,
ფრჩხილებამდე სოველი.
კალმახურა გრიალებს
მარად დაუდგრომელი.

აჰა, სკოლაც გამოჩნდა,
თეთრად წამომართული,
სკოლის ქვემოთ, ნაპირთან
მოჩანს ოდა-სართულიც.

ძლივს სუნთქავენ ბიჭები,
მუხლშიც ძალა ელევათ,
ესმით ტალღის დგაფუნი,
ნიაღვრების ხველება.

მოდის, მოდის გამწყრალი
წვიმა თავდავიწყებით;
მაინც მიიჩქარიან
მუხლდაღლილი ბიჭები.

აჰა, უკვე ჭიშკარიც...
სახლი აივნიანი,
ერთი ბოძი ირყევა,
ტალღებს გააქვს გრიალი...

ჩქარა, ბიჭო, მდინარის
ტალღა მისწვდა დერეფანს,
სწრაფად, ბიჭო, ბოძები
ტალღით გაითქერება!

საძირკველი ირყევა,
მარჯვნით გადანახარი...
ჩქარა, თორემ მდინარის
ტალღა შთანთქავს ხარხარით.

5

წევს მოხუცი ჭაღარა
სიცხიანი თვალებით,
საბანს ზემოთ უწყვია
დაქანცული მკლავები.

მძიმედ სუნთქავს, ბურანში
გახვეულა მთლიანად.
უცბად კარი გაიღო,
კარმა გაიჭრიალა.

ნელა გახსნა წამწამი,
რაღაც იგრძნო ტკივილი
და სიცხიან ტუჩებზე
ათამაშდა ღიმილი.

ხედავს:
ორი ბიჭი დგას,
მისი ორი გაზრდილი,
მასწავლებლის წინაშე,
ორი მართვე ნამდვილი.

არა, ჩვენ არ დავღლილვართ,
პასუხობენ თვალებით,
მასთან ახლოს მივიდნენ.
შემოხვიეს მკლავები.

მთელი სახლი ზანზარებს,
ისმის ტალღის ჩქაფანი.
კალმახურა აივანს
უკვე ლოკავს ფაფარით.

მთელი სახლი ცახცახებს,
ისმის სახლის ჭრიალი,
დატრიალდა მორევი,
დადგა ორომტრიალი.

აიტაცეს მოხუცი,
მიჰყავთ დიდი წვალებით,
მხრებზე გადაუწყვიათ
მასწავლებლის მკლავები.

გარეთ გამოიყვანეს
რისი ვაი-ვაგლახით,-
მუხლებამდე შემოსწვდათ
ღორღიანი ტალახი.

სამშვიდობოს გავიდნენ,
შედგნენ სკოლის კარებთან,
ავდარს არ შეუშინდნენ,
ავდარს არვინ დანებდა.

6

— ნაუ, ნაუ, ნაუ...
რეკავს სკოლის ზარი,
ჩვენსკენ,
ჩვენსკენ,
ჩვენსკენ,
ჩქარა მოგვისწარით!

მოგვისწარით, თორემ
განსაცდელი გველის,
სოფელს ზარით უხმობს
ორი პიონერი.

რეკავს,
რეკავს ზარი,
სკოლის ძველი ზარი.
— ჩქარა!
— მოგვისწარით!
— ჩქარა!
— მოგვისწარით!

ესმის ზარის რეკვა,
თითქოს ზარი კვნესის,
იქნებ სკოლის ზარის
ხმა ნამდვილად ესმის.

თვალებს იფშვნეტს იგი,
მოეჩვენა იქნებ,
ღელავს, თავს ვერ ართმევს
ბურუსიან ფიქრებს.

თვალწინ დაეხატა
ის პირველი დილა,
თითქმის ნახევარი
საუკუნის წინათ,

პირველად რომ დაჰკრეს
პაწაწინა ზარი,
რომ გაიღო კლასის
საოცნებო კარი.

თითქოს ცხადში ხედავს,
თითქოს ხედავს თვალით...
რეკავს,
რეკავს ზარი:
— ჩქარა!
— მოგვისწარით!

•

ქარს ღრუბელი მიაქვს,
სადღაც გადარეკა,
სოფელს ესმის, ესმის
სოფლის ზარის რეკვა.

ყველა იქით მიჰქრის,
იფანტება ხმები,
— ნაუ, ნაუ, ნაუ, —
იმეორებს მთები.

კალმახურა ბორგავს,
არ დამცხრალა ჯერაც,
სოფელს ემუქრება
ისევ გასათქერად.

7

გახსნეს კარი, სკოლის კარი,
ყველა უცბად დარჩა სახტად,
გამზრდელი და მოძღვარ
ქცეულიყო მართლა სანთლად.

თავზე ადგა ორი ბიჭი,
სანაქებო ორი მართვე,
მოკრძალებით ხალხს შეხედეს
და თვალები შეანათეს.

იქ მზრუნველი ბევრი გაჩნდა
და არც იყო გასაკვირი,
სიკვდილს ხელში გამოსტაცეს
ნუგეში და სოფლის შვილი.

8

რაც მოასწრო კალმახურამ,
ისლა დარჩა სანანებლად,
გულმოსულმა ხალხმა ტალღებს
ნაფოტიც არ დაანება.
რაც წაიღო კალმახურამ
ხალხმა სწრაფად განაახლა,
ისე შეკრა სახლის ზღუდე —
ვერას აკლებს ტალღა ახლა.
ცისფრად ელავს აივანი,
კალმახურას გადაჰყურებს
და კალმახებს აკვირდება,
ნაპერწკლებად გაფანტულებს.

———

მთის კალთაზე სოფელია,
ნაირფერად დახატული,
ცხრა მთა აკრავს სოფელს
ირგვლივ,
ცხრა ჩაუდის ნაკადული.
ცხრა მუხა დგას სოფლის თავში,
ცხრათვალა მზე ფანტავს სხივებს,
ღამით მშვიდად მძინარ სოფელს
ნთვარის შუქი დასცემციმებს.
ბიბინებენ სათიბები,
ხეხილების ჯარი მღერის.
სკოლისაკენ წიგნით ხელში
მიდის ორი პიონერი.
ერთს ცისფერი თვალები აქვს
და მეორეს — თაფლისფერი,
ყელსახვევი — უფრიალებთ,
ალისფერი ყელსახვევი.
მიდის ორი პიონერი,
წინ გზა უდევთ დადაფნული,
მიდის ორი კოხტა ბიჭი —
ჩემი ქვეყნის გაზაფხული.

გრიგოლ იმედაძე

გრიგოლ ისიდორეს ძე იმედაძე დაიბადა 1918 წელს ქ. ქუთაისში, გლეხის ოჯახში.

გ. იმედაძემ ქუთაისის საშუალო სკოლა დაამთავრა 1937 წელს და შეკიდა ს. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დასწრებელ განყოფილებაზე.

1952 წლიდან 1957 წ. გ. იმედაძე მუშაობდა ჟურ. „პიონერის" სასკოლო და პიონერული განყოფილების გამგედ.

გ. იმედაძემ ლექსების წერა დაიწყო 1934 წლიდან. ამას შემდეგ სისტემატიურად თანამშრომლობს როგორც თბილისის, ისე ქუთაისის ჟურნალ-გაზეთებში.

გ. იმედაძის საბავშო ლექსების ორი კრებულია გამოცემული. „გადაიხედე ბაღჩაში" (1953 წ.) და „ბოლაპარაკე ფოთლები" (1956 წ.).

გ. იმედაძე გარდაიცვალა 1957 წელს.

მეხვალია

მუდამ წრეებურთს თამაშობდა,
მუდამ იყო დათენთილი;
ერთხელაც ვერ მოამზადა
რიგიანად გაკვეთილი.

სკოლიდან რომ ბრუნდებოდა,
ბაღში ჩიტებს მიჰკიოდა,
მერე, ჰერი, — მინდვრისაკენ,
ან ტყისაკენ მიდიოდა.

ხან ცხვრის ფარა დააფეთა,
ხან ცხენები გააჭენა,
ხან სათავე გადაუგდო
და წისქვილი გააჩერა.

ზოგჯერ ტოლი გოგონების
ბაღნარებში კრეფდა ვარდებს.
მზის ჩასვლამდე ასე იყო
აშარი და მონავარდე.

საღამოზე მოიტანდა
შარვალ-ხალათს დაფლეთილებს.
მიწვებოდა და იტყოდა:
„ხვალ ვისწავლი გაკვეთილებს".

მაგრამ დილით ეს მძინარა
თავის დროზე ვერ დგებოდა;
კლასის კარს რომ შეაღებდა,
მხოლოდ მაშინ შეკრთებოდა. —

— მუდამ ასე გვიანობდა,
სწუხდა, ალარ ხალისობდა;
თავს მალავდა დარცხვენილი,
გაკვეთილი არ იცოდა.

გაჯავრებულ მასწავლებელს
ძლივს ეტყოდა ხმაწასული:
„ხვალისათვის ვისწავლიო“,
სულ ეს ჰქონდა გაწაფული.

სახლში მაინც ბურთს გაჰკრავდა,
არაფერი ადარდებდა.
გაკვეთილის მომზადებას
ხელმეორედ გადადებდა...

მაგრამ ახლა ვერ მოხერხდა
გამოცდების გადადება...
ორი წელი ერთ ადგილზე
შავი მერხიც არ დადგება!

მას კი ეს რა დამართნია,
დასცინებენ პატარები,
რომ იმავე კლასში გახდა
მეორე წელს სატარები.

შეხეთ, შეხეთ, ბეჯითები
როცა ხუთებს შეჰხარიან,
თავკომბალა ორიანებს
წყრომით უცქერს მეხვალია!

ტ რ ა ბ ა ხ ა

ჯერ ვარსკვლავიც არა ბრწყინავს,
არ გაშლილა ქალთა ღამის. —
შავლეგოს კი ტანში ჰყინავს,
შიშით ისმენს წრომის ღავილს.

ზის ბუხართან იგი ფრთხილად,
დაუხშია ორთავ კარი, —
ჩემმა ლანდმა რომ დაჩრდილა,
ბუ ეგონა შესაზარი.

როცა მიცნო მისი კბილა,
მისი კარის მეზობელი,
მაშინ შვებით გაიღიმა
— დავიღალე ეს ოხერი!

— ბიჭო, შავლეგ, სად იყავი,
ასე როგორ დაიღალე?
— მოვიარე ჭალისთავი,
ჭიუხებში დავიღამე.

— ჭიუხებში რა გინდოდა,
ან რა ნახე რიგიანი? —
— რუხი მგელი ნადიმობდა,
ტახი ედო დინგიანი.

— თუ თვალი გკრა, რამ
გიშველა? —
— ხმალი მქონდა ხალიბური,
გადავეშვი თავშიშველა,
გავაწანი ალიყური.

— მერე განა არ ეახელდა,
არ გაბრაზდა იგი მგელი? —
— თავის ნადავლს გადახედა,
თვალი მკიდა შიშისმგვრელი.

მომიბრუნდა წამსვე ღრენით,
მეც ავუღე უმალ გეში.
გადავუხტი, ვტაცე ხელი,
ამოვაძრე წყვილი ეშვი.

— ნეტავ როგორ არ დაგფლითა,
იმ მგელს როგორ გადაურჩი?
— როცა მკლავზე ჩამაფრინდა,
მყის წკვარამში გადავუშვი.

— ნუთუ მკლავში გეცა ხელად?
— მეცა აბა, გამიცინა?
— დიდი იყო შესახედად?
— მაშ არადა პაწაწინა!

— გამოდის, რომ წააჩოქე!
— მაშ ის წამომაჩოქებდა!
— ყოჩაღ, თუკი მგელს აჯობე!..
— აბა, იგი მაჯობებდა?

— ახლა მართლა წკვარამშია?
— წკვარამშია, აბა სახლში!

— ხმლის ნაკრავი არ აჩნია?
— რა მოკლავდა ვითომ მაშინ!..

— შენ აქა ხარ, მგელი ხევში,
ამას ჰქვია გამარჯვება!..
დამანახე, ალბათ ეშვით
დაგიფლითა მკლავმარჯვენა!

— ვით დამფლეთდა, მგელს
დავასწარ,
სამსხვერპლოდ რომ დამაჩერდა,
ეშვებიც ხომ მე დავაძვრე,
მკლავზე რაღას დამაჩენდა?!.

— მაშ, ეშვები დამანახე,
დიდი იყო ალბათ ეშვი!
— გუშინ ქედი გადავლახე,
და მეზეუმს გადავეცი...

აქ კი ტაში შემოვკარი:
— არაფერი აღარ მესმის!
თუკი მგელი დღეს მოკალი,
გუშინ როგორ გადაეცი?!

რაღა ეთქვა, შესაბრალად
დაუდუმდა ენა მწუხარს...
თავ-თავზე მეტად მწყრალმა
შეეკიდა ცეცხლი ბუხარს.

ს ა თ ო ვ ლ ი ა

გასულ ზამთარში მწყემსებთან
ვიყავ,
ბაბუაჩემი გახლავთ სარქალი.
კეთილი არის და მიტომ მიყვარს,

ის ყველას უყვარს, გითხრათ
მართალი.
ალბათ ამიტომ შემიტკბო ყველამ,
ძაღლიც კი მეძმო რუხი ალეირა.

ხშირად ცას ცეცხლით კაწრავდა
ელვა,
და დაიწყებდა ქუხილს საშინლად.

მწყემსებთან თუ ხარ, არ გახსოვს
თავი,

თვითაც გახდები მწყემსი
ნამდვილი.
ხშირად ღრუბელი კუპრივით შავი,
თავს მოგეხვევა როგორც
მანდილი.
მაშინ ჩვენ დღითაც ვერ ვხედავთ
მთასაც,
და მწყემსმა ფარას როგორ
მიხედოს!
მაგრამ ჩობანი არ იტყვის აჯას,
ძალუძს მთას იქით გადაიხედოს.

მეც შევეჩვიე ცხოვრებას მათთან,
ერთხელ ჭიუხის თავზეც ავედი.
სიომ გაშალა ღრუბლების ბაბთა
და გადანაცრა მოლის ხავერდი.

რა უნდა მექნა, ზეცაში გავრჩი,
მაღლა ცა იყო, დაბლა ნისლები,
მელანდებოდა მგელი და არჩვი,
და მკერდზე თითქოს
მჩხელეტდნენ ისრები.

ვერასგზით ვეღარ მოვითქვი
სული,
შიშმა დამზაფრა, დამცა თავზარი.
ზვავების ხრიალს მივუგდე ყური,
და გარეშემომ შექნა ზანზარი.

ბოლოს, ღრიალით დაჰბერა ქარმა,
გამაკრა მიწას, ვიწყე კანკალი,
ქვევით, გულმშვიდად მოლს
ძოვდა ფარა
და გასძახოდა სარქალს სარქალი.

გაფანტულიყო ბურუსი შავი,
კვლავ სანეტარო დარი დგებოდა.
ხევხუვებიდან არჯალი ქარი
ნისლს ფარასავით ერეკებოდა.

უმალ ჩავყევი ჯიხვების
ნაკვლევს,
მეშველებოდა გზაზე კაპარი.
ტაფობში ჩაველ და ვეღარ
ვარკვევ,
გაზაფხულია თუ რა ზღაპარი!..

ყაყაჩოსფერი ყვავილთა ჯარით
გადასისხლული იყო მიდამო.
ზამთარი კარზე მომდგარი არი
და გაზაფხული როგორ ვიწამო.

მიკვირდა ძლიერ ასეთი ხვედრი,
ყვავილთა კრეფა ვიწყე ხალისით.
ვინ დაიჯერებს ნეტავი ერთი,
რომ ნოემბერში დადგა მაისი!

გულს მიჩქროლებდა ლაპლაპი
მათი,
ბაბუს მივართვი უცხო ყვავილი...
მან ჩაიკვალთა ქამარში ბალთი
და გაიხანჯლა წელში ავილი.

მოუხმო მწყემსებს...
აყარეს ცხვარი,
მე არ მაღირსა მცირე მადლობაც.
წინ ერიალებდა ერკემლის ზარი,
უკან მისდევდა მთელი სარქლობა.

დაიძრა, მიდის პეტელით ფარა,
მე ვფიქრობ, ბაბუ რატომ
მემდურის!..
მაგრამ ბეჭებზე მარჯვენა დამკრა
და მეუბნება გახარებული.

ჰე, რა ბიჭი ხარ შენ! რომ იცოდე,
დღეს ხიფათისგან გვიხსენ
ნამდვილად,
ძაცი ყველაფერს უნდა იცნობდე,
ვერარა დაგძლევს მაშინ ადვილად.

ჰა, ეს ყვავილი ყაყაჩოს დარი,
შენ დაიმშვენე გულზე ისევე. —
უკვე გათავდა აქ ყოფნის ყავლი,
ასეა, მწყემსი ვერსად ისვენებს.

ხვალ ჩვენს ნამყოფზე დაწვება
თოვლი,
აი, რად გვშველის ცნობა
ბუნების.
ხვალ რომ გახედო, ვით წმიდა
ბროლი
გაქათქათდება ხოდაბუნები.

ეს გათოვების წინადღით ჰყვავის,
მახარობელი გახლავს თოვლისა.
და სათოვლიაც დაერქვა ყვავილს,
ის გვშველის ცხვარი რომ არ
მოისრას.

ვიდრე დათოვდეს, წინა დღით ასე
აყვავილდება იგი ალისფრად.
ცას გაეკვრება ღრუბელი წამსვე,
მერე რძისფერი ჯანღით
დანისლავს.

და მეორე დღით ყვავილებს
ტურფას
დაეთოვება თეთრი ფანტელი.
ის მხოლოდ ასე ერთი დღით
სუნთქავს,
სხვა არა რჩება ქვეყნად
სათქმელი. —
აბრიალდება და გეტყვის უმალ:
— თოვლი მოდისო, თოვლი
ფრთამალი,
და თითქო ბამბის დაყროდეს
ქულა,
გადიფეთქება მთა და ტრამალი.

ასე მიამბო ბაბუამ ტკბილმა,
თან გზა-გზა ფარას გადაჰკიოდა,
და რაც ხიფათი მარგუნა დილამ,
იმაზე გული აღარ მტკიოდა.
მესამე დილით გავხედეთ იქით,
სადაც გუშინწინ გვედგა კარავი.
შემოსილიყვნენ ქედები ფიფქით,
ჩვენთან აღწევდა შლეგი არავი.

და ვთქი — კაცი ჰყავს შავარდენს
უფრთოს,
ცოდნის წყურვილით რომ არ
იწოდეს.
ადამიანმა ყველაზე უფრო
ბუნების ენა უნდა იცოდე!

ბაღი და ბავშვი

როცა ყველგან გაიშალა
ნარგიზი და ია,
როცა მზეძან ვარდ-ყვავილებს
სხივი შეაფრქვია,

როცა რტოებს მძივებივით
ჩამოკიდა ცვარი,
როცა დედას ღია დარჩა
ივანის კარი, —

ფრთხილად, როგორც ირმის
ნუკრი,
გამოვიდა მაშინ
და ვარდებში ჩაიკარგა
ცეროდნა ბავშვი!

სად არ იყვნენ, ვისთან არა,
სად არ მოიკითხეს!
ქუჩა-ქუჩა, ეზო-ეზო,
მგონი ცხრა მთას იქით —

ეძებდნენ და ვერ იპოვეს,
დაიკარგა რეზო, —
ორბებმა თუ აიტაცეს
ლაჟვარდების ზემოთ!

თქვენ რა იცით, გაბრწყინებულ
ვარსკვლავს ჰგავდა ცისას!
მისი თვალის ნაპერწკალი
ცეცხლად გადაიქცა,

ბოლობოძალ მერცხალივით,
ელურტულებდა იგი,
ღიმილის დროს მთვარესავით
ანათებდა ირგვლივ.

ნაფარეულს თუ ყოფილხართ
წაბლი იცის კარგი.
იმდაგვარი თმები ჰქონდა,
იმდაგვარი წარბი.

ფისო ახლდა მისი კბილა,
თან მასავით ცეტი,
და როდესაც თავხედურად
გაუკაწრა ნეკი,

აღრიალდა, აქვითინდა,
შესძრა უცებ ქუჩა!
როგორც იქნა მიაკვლიეს
ქრიზანტების ბუჩქთან!

ვინ ნახავდა, თუკი ფისოს
არ გაეკრა თათი,
ვარდებში ვინ გაარჩევდა
თვითონ იყო ვარდი!

როცა სახლში წაიყვანეს,
დაეკარგათ ეშხი,
ბაღის ვარდებს და ყვავილებს,
გათანგულებს მზეში.

მთელი ბაღის სილამაზე,
თან წაიღო რეზომ
მეც „გამქურდა“, ამ შაირის
მითვისება შესძლო.

მაგრამ როცა გაიზრდება,
ოქვენ იყავით მოწმე,
სხვას არას ვთხოვ, იმ ბაღიდან
ვარდი მაინც მომცეს.

იოსებ ნონეშვილი



იოსებ ელიოზის ძე ნონეშვილი დაიბადა 1921 წელს სოფ. კარდანახში (გურჯაანის რ.), ძველი რევოლუციონერის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა. პატარა იოსები იზრდებოდა სოფელში. 1934 წ. დაამთავრა კარდანახის შვიდწლიანი სკოლა, რის შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისში. 1942 წ. დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი.

ი. ნონეშვილი საბჭოთა ხანაში 1933 წელს. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა ყურნალში „ჩვენი თაობა". ი. ნონეშვილი უახლოესი თანამშრომელია ჩვენი ყურნალ-გაზეთებისა, ამჟამად იგი საბავშვო ყურნალ „დილას" რედაქტორია.

ი. ნონეშვილის ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1940 წელს, ხოლო პოემა „აბბავი ერთი ქალიშვილისა" 1951 წელს.

მეც ხომ უკვე მოწაფე ვარ...

პაწიას რომ მეძახოდით,
აღარა ვარ პაწია,
მეც ხომ უკვე მოწაფე ვარ,
მეც ხომ ფორმა მაცვია...

სკოლაში სულ ადრე მივალ,
მკვირცხლი, დაუზარელი,
იქ, დილ-დილით წკრიალებენ,
ტიტინებენ ზარები.

იქ ბავშვებით აივსება
სკოლის გრძელი მერხები,
იქ, ჩემს აღმზრდელ მასწავლებელს
წიგნით ხელში შევხვდები.

რა ლურჯთვალა დილა არის,
რა საამო დარია...
განი, ბიჭო... მეც სკოლაში
მივალ, მიმიხარია!

გამარჯვების დიდი დროშა

ასე გულით რომ შევხარით
ალისფერი დროშის ფრიალს,
მას ლენინის დიდი დროშა,
გამარჯვების დროშა ჰქვია.

ის შრომაში წინ მიგვიძღვის,
წინ გვიძღოდა ბრძოლის დროსაც.
დროშა დიდი ოქტომბრისა,
გამარჯვების დიდი დროშა.

მასზე სისხლით აღბეჭდილა
მამაპაპის ფიქრი წმინდა,
მასთან ერთად სანატრელი ,
განთიადი შემობრწყინდა.

ის შრომაში გაგვიძღვება,
გაგვიძღვება ბრძოლის დროსაც,
დროშა დიდი ოქტომბრისა
გამარჯვების დიდი დროშა.

გაზაფხული

ზვარში ვაზი შეიფოთლა,
აბიბინდა მინდვრად ხნული,
და ჭრელ-ჭრელი ყვავილებით
მოიკაზმა გაზაფხული.

ფრინველები შეჰხარიან
გაზაფხულის მობრძანებას.
გაშლილ რტოებს, ვაშლის
რტოებს
სიო არხევს ნება-ნება.

და როდესაც გაქროლება
მოსწყურდება ფრთამალ ნიავს,
ყვავილები პეპლებივით
გასაფრენად ფრთასა შლიან.

ყველა შრომობს, ყველა ზრუნავს,
უსაქმურად ვერვის ნახავ.

ჰა, ფუტკარიც აზუზუნდა,
შრომის ჰიმნი შემოსძახა.

ჩვენც ხომ მუშა-ფუტკარივით
საამური შრომა გველის,
ჩვენთვისაც ხომ სწავლა, სწავლა,
კიდევ სწავლა უთქვამს ლენინს.

ყური ვუგდოთ წყაროს ჩუხჩუხს,
იადონის ხმატკბილ სტვენას
და ბუნების დიდ ფერხულში
ჩვენც მივეცეთ აღმაფრენას.

მარტო ირგვლივ?.. გულშიც
ჰყვავის
სიხარულად ჩასახული
გაზაფხული, ჩვენი ქვეყნის
ხალხთა დიდი გაზაფხული.

ბავშვები და შემოდგომა

ხილით, ლხინით, ზეიმით
შემოდგომა მოვიდა.
— შემოდგომავ, გვითხარი,
მობრძანდები შორიდან?

— არა, ჩემო კარგებო,
შორი მგზავრი როდი ვარ.
მე თქვენს ვენახებიდან,
ბაღებიდან მოვდივარ.

— გვითხარ, ასე ბარაქით
ნეტა ვინ დაგამშვენა?
— ვინა? თქვენი მშობლების
დაუღლელმა მარჯვენამ.

— გვითხარ, რა მოგვიტანე,
აგრემც შემოგევლებით?

— პაპის ხელით მოწვდილი
დაშაქრული მტევნები,

მოსავალი ულევი,
თვალით ჯერ არნახული,
ნარინჯები ოქროსფერი,
ჩურჩხელები კახური.

— ჩვენგან რაღას მოითხოვ,
შემოდგომავ, ლამაზო?
— მინდა კარგად ისწავლოთ,
მინდა არ იზარმაცოთ.

მერმის, როცა ოქროსფრად
ავლავ მოგირთავთ ვენახებს,
შემდეგ კლასში ხუთებით
გადასული მენახეთ!

ხარაჩოები

მოისმინეთ, პატარებო,
ალბათ, ყველგან ნახავთ ხშირად
ამ ვეება ხარაჩოებს,
ტყესავით რომ წამოშლილან.

მაგრამ იცით, მედიდურად
მხრებით ცას რად ეხებიან
და მუშები დღე და ღამე
ასე რატომ ეხვევიან?

მათ გარშემო ჩვენი ქვეყნის
განახლების შრომა არის
და მაღლდება მათთან ერთად
საქართველოს მომავალიც.

ის მუშებიც ჩვენი ღვიძლი
ძმებია და მამებია.

შრომა თქვენთვის, ხალხისათვის
განა დასანანებია?!

ნახეთ, სადაც სართულები
ღრუბლებს ესაუბრებიან,
ახალ ქალაქს აშენებენ,
ეს პირველი უბნებია.

ეს სულ მალე, ჩიტუნებო,
ამბავია არა შორი
ყოველ წუთში იზრდებიან,
ცას სწვდებიან ხარაჩონი.

მათ გარშემო განახლების,
სიხარულის შრომა არის
და მაღლდება მათთან ერთად
ჩვენი ქვეყნის მომავალი.

სოფელი გორკა

(პოემა)

1

ვინ მოსთვლის ქვეყნად რამდენი
არის სოფელი ასეთი,
შეჭეული ტყით და ჭალებით,
ყანებით — მოხასხასეთი.

ტანაშოლტილი ფიჭვები
დგანან ასწლოვან მუხებთან
და ნაძვნარს, როგორც ჭაღარა,
თეთრი არყის ხე უხდება.

ტყის პირად ლიანდაგია
და ორთქლმავალი გაჰყვირის,
შორს მოსჩანს დიდი ქარხნების
მილები ცაში აყრილი.

იქვე პატარა მდინარე,
ნავი, მიბმული ნაპირზე.
ჯეჯილში ქარის წისქვილი
თითქოს გაფრენას აპირებს.

ელექტროწაკიდებული
სახლები ნაჩუქურთმევი,
მწვანე ველები... რუსული
მშვენება, ენით უთქმელი.

ვინ მოსთვლის ჩვენს დიდ ქვეყანას
მთებით, ტყეებით მოფენილს,
ამშვენებს მართლაც რამდენი
ასეთი კოხტა სოფელი.

მაშ რატომ არის რომ ყველგან
გაისმის მისი სახელი,
რომ განუწყვეტელ ნაკადად
მნახველს მიჰყვება მნახველი?

სოფელი გორკა საქვეყნოდ
იმიტომ გამოჩენილა,
სიცოცხლის ბოლო თვეები
იქ გაატარა ლენინმა.

მეც გული მისკენ მიწევდა;
მეც იქით მივისწრაფოდი;
ხავერდის ტრამალს მივდევდი
ასფალტის დანით გაპობილს.

მხვდებოდნენ ბერიკაცები
გრძელი, ქათქათა წვერითა,
ვინ იცის იქნებ ბევრ მათგანს
უსაუბრია ლენინთან.

დილა იყო და ტრაქტორებს
ხვდებოდნენ ვრცელი ველები.
სკოლისკენ მიიჩქაროდნენ
პატარა ლენინელები.

ახალ დღეს შრომით იწყებდა
სოფელი ღამენათევი.
გულზე მზედ გადაჰფენოდა
დიდი ლენინის ნათელი.

2

გორკა რუსეთში იშვიათ
მაღალ გორაკზე ყოფილა.
რა ახლოს არის მოსკოვთან,
მანქანა სწრაფად მოფრინდა.

აი ის სახლიც... გარშემო
ბაღი არტყია ვეება.

აქა-იქ ლერწმით დაწნული
სკამები მოსჩანს ხეებთან.

მდუმარედ დგანან ხეები,
თითქოს ფიქრებით მოცულან,
მაგრამ ხალხის ხმა გუგუნებს,
რამდენი ხალხი მოსულა.

რუსები, ბელორუსები,
დეეკაცებს მისათვალები,
გულმოქარგული კაბებით
უკრაინელი ქალები.

აგერ სომხები... ჩუვაში...
სკოლამდელებიც პაწია.
უჰ, უზბეკებიც, ბრტყელზოლა
ხალათები რომ აცვიათ.

ლატვიელები, კარელნი,
ქართველები და ოსები,
ქუდმოხდილები მხარიმხარ
დგანან ლენინზე ოცნებით.

ბევრი მათგანი დიდების
შუქურით შემოსილია,
ზოგი გმირია შრომაში,
ზოგი ფრონტელი გმირია.

აგერ ჩინელი გმირებიც
და კორეელი ვაჟები.
მათი სიმტკიცით დასწყველა
მტერმა თავისი გამჩენი.

აგერ ჩეხი და სლოვაკი,
ბულგარელი თუ უნგრელი,
ლენინის სიბრძნის მახვილით
ვინც დასცა მონის უღელი.

ფრანგთა, ინდოთა თვალები
ლენინის სურათს უყურებს.

მისი სინათლით ებრძვიან
თავიანთ ქვეყნის უკუნეთს.

ვინც კი ეწვევა დიდ მოსკოვს,
მოსკოვს — ქალაქთა გოლიათს,
პატარა გორკაც არ ნახოს,
აბა ვის გაუგონია.

და აი, ბაღის ბილიკით
ნელინელ მივემართებით,
მიგვაცილებენ ხეები
სუროს შრიალა კალთებით.

სხვადასხვა ერის ვაჟკაცებს
ხელიხელ ჩაგვიკიდია,
ერთი ფიქრით და ოცნებით
ბრძენის სახლისკენ მივდივართ.

სხვადასხვა ერის შვილები
შეკრულვართ, როგორც კედელი,
ლენინი იყო ამ ძმობის
პირველი გამომჭედელი.

3

ბაღს ვარდისფერი ბილიკი
შემოვლებია არშიად.
აქ სოფლის ბავშვებს ილიჩთან
რამდენჯერ უთამაშიათ.

ბაღში მრავალი ხე არის,
მაგრამ ერთია ქებული.
რვა საუკუნის მუხა დგას
ბებერი, დაკოჟრებული.

ამბობენ მუხა მოსკოვის,
დიდი მოსკოვის ტოლია.
ხესაც კი თითქოს რუსული
სიმტკიცე გამოჰყოლია.

მუხის ძირს ერთი სკამია,
ამ სკამზე აბა, ვინ იცის,

ხალხისთვის ჩაფიქრებული
რამდენჯერ მჯდარა ილიჩი.

ეზოში მოსჩანს პატარა
გარაჟი კარებგახსნილი.
გარაჟში არის მანქანა,
გვერდით რუსული მარხილი.

ის ამ მანქანით მიჰქროდა,
მაგრამ, ვინ იცის, იქნება
მანქანის ქროლვას რამდენჯერ
გაასწრო მისმა ფიქრებმა.

რამდენჯერ ველზე მარხილი
მოჰქროდა, როგორც ირემი,
რეკდნენ მარხილის ზარები,
მოჰქონდა ნანადირევი.

შიგ იჯდა დიდი ლენინი,
შემორთვილული ფიფქებით
და განთიადის ზარებად
რეკდნენ ლენინის ფიქრებიც.

აი, ნავი და ნიჩაბი,
ვუყურებთ, როგორც საგანძურს,
ამ ნავით უსეირნია
ლენინს შრომისგან დაქანცულს.

მიჰყავდა ნავი პაწია,
ცივი შხეფები ეყარა,
მას ვისაც, როგორც ხომალდი,
მიჰყავდა მთელი ქვეყანა.

4

ვხედავთ დროშების ფრიალს და
ხელებს თავზევით აწეულს.
ბაღში შეკრება ჰქონია
პიონერების რაზმეულს.

ეს მათი ხმები წკრიალებს,
ბანს აძლევთ ვრცელი ველები.
ლენინის სახლთან ფიცს სდებენ
პატარა ლენინელები.

ფიცს სდებენ იყვნენ სწავლაში,
შრომაში დაუძრახველნი
და ღირსეულად ატარონ
ლენინელების სახელი.

ფიცს სდებენ იყვნენ ბეჯითნი,
ერთგულნი, ამხანაგურნი
და კომუნიზმის შენობას
მათაც შეჰმატონ აგური.

ფიცს სდებენ კეთილს კეთილად,
მტრულად დაუხვდნენ მუხანათს,
ისე უყვარდეთ სამშობლო,
როგორც დიდ ლენინს უყვარდა.

ეს მათი ხმები წკრიალებს,
ბანს აძლევთ ვრცელი ველები,
ლენინის სახლთან ფიცს სდებენ
პატარა ლენინელები.

5

ამ აივნიდან უცქერდა
ველებს, გაფენილს ნოხივით,
აქ ისვენებდა ილიჩი
შრომით და ბრძოლით მოღლილი.

ამ მაგიდასთან ლენინი
სწერდა სიცოცხლის ბწკარებით
და შუქდებოდა ნაწერი
აზრების მინანქარებით.

რა ძვირფასია ყოველი,
ვდგავარო და დიდხანს ვუცქერით.
გვაღელვებს წიგნიც, ქაღალდიც,
დაუწერელი ფურცელიც.

ვდგავართ და დიდხანს ვუცქერით,
თითქოს სიამით ვიზრდებით.
აგერ წიგნია გორკისა
და ჯეკ ლონდონის წიგნები.

აქეთ წიგნების თაროა
და ძველისძველი ბუხარი,
აქ იჯდა ბრძოლით მოღლილი
არწივი ნაქარბუქარი.

ეს საჩუქრები მიართვეს
ლენინს საბავშვო სახლიდან.
გაიღიმებსო ილიჩი
ჩვენი ხელსაქმის ნახვითა.

ჩვენ თვალი ვეღარ მოვწყვიტეთ
სურათით ცნობილ სავარძელს.
ამ სავარძელში გორკისთან
უსაუბრია მრავალჯერ.

6

სდუმს კედლის დიდი საათი,
ისარდახრილი, უცვლელი.
რა გულსაკლავად ჰკიდია
კალენდარს ერთი ფურცელი.

ვუყურებთ, თვალს ვერ
ვუსწორებთ
თარიღს — 21 იანვარს,
მარტო კალენდარს კი არა,
გულზეც გვარტყია იარად.

ამ სარეცელზე, ამ სახლში
თვალი დახუჭა ბელადმა.
დაღონდა გული ხალხისა,
თვალებზე ცრემლი ელავდა.

ვუყურებთ მწუხარ სურათებს,
ვუყურებთ, გული ღონდება.
ზეცაში ღრუბლებს ადნობდა
ქვეყნის ბოლმა და გოდება.

7

ლამის გულიც კი მკერდიდან
უეცრად ამოგვიფრინდა...
დიდი ლენინის ხმას ვისმენთ,
შემოუნახავს ფირფიტას.

რამდენი სითბო, სიმტკიცე,
ცეცხლი, ლტოლვა და ალერსი
გვეღვრება გულში, როდესაც
ილიჩის სიტყვა ჩაგვესმის.

ეს ხმა დაზგების გრგვინვაა,
ქუხილი არის მაისის.
ეს ხმა მშვიდობის მომხრეთა
ღელეა-გუგუნშიც გაისმის.

ეს ხმაა, როცა შრიალებს
ყანები თავთუხიანი,
ეს ხმა ზვირთცემის ხმა არის
და ქარიშხალთა გრიალი.

და რეკავს, რეკავს ზარივით
მიმომფანტველი წყვდიადის
ლენინის აზრი ნათელი,
ლენინის სიტყვა დიადი.

ჩვენც ეს ხმა მიგვაცილებდა
ლენინის სახლს რომ ვტოვებდით,
მიგვაცილებდნენ ნაძვები
ხავერდოვანი რტოებით.

გვხვდებოდნენ ბერიკაცები
გრძელი, ქათქათა წვერითა,
ვინ იცის, იქნებ ბევრ მათგანს
უსაუბრია ლენინთან.

წინ მიდიოდნენ სიმღერით
პატარა ლენინელები
და ბანს აძლევდნენ გუგუნით
რუსეთის ვრცელი ველები.

მიჰქონდათ დროშა წითელი
ლაღად გაშლილი კალთებით
და გულზე გადაჰფენოდათ
დიდი ლენინის ნათელი.

სოფ. გორკა

ვახტანგ გორგანელი



ვახტანგ პეტრეს ძე გორგანელი დაიბადა 1921 წელს ქ. თბილისში. 1938 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. ვ. გორგანელი დიდი სამამულო ომის მონაწილეა. 1943 წელს მძიმედ დაიჭრა სტალინგრადის დაცვის ბრძოლებში.

ვ. გორგანელი 1943 — 1947 წლებში სწავლობდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

ვ. გორგანელის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1944 წელს და ამ დროიდან მუდმივი თანამშრომელია როგორც საბავშო, ისე სადიდო ჟურნალ — გაზეთებისა.

1948 წელს გამოვიდა მისი საბავშო ლექსების პირველი წიგნი „ძალხაზები“, ხოლო 1952 წელს საბავშო ლექსების მეორე კრებული „ნოდარის ოცნება“.

სალამი, პირველო მაისო!

ღიმილით, სიმღერით, უსაზღვრო ხალისით,
აი, შემობრძანდა პირველი მაისი.
ანთებულ თვალებით, გულმკერდგაშლილები
მოდიან მხარდამხარ, როგორც მტკვრის ზვირთები,
დიადი ოცნებით, დიადი ფიქრებით.
უზბეკი, ტაჯიკი, რუსი თუ ქართველი
მწყობრში დგას, ეფრქვევათ სამშობლოს ნათელი.
სიცოცხლით სავსეა მღელვარე გულები,
სიცოცხლეს ეტრფიან მზეს შეფიცულები.
მუშის თუ მთესველის ნატვრაა მარადჟამს,
მძლედ იდგნენ მსოფლიოს მშვიდობის დარაჯად.
და უფრო ასწიონ სამშობლოს საჯელი
სპეტაკი, დიადი და შეულახველი.

ქარხანაში

რა ლამაზად ბრუნავს ჩარხი,
ვეება და მალი.
აქეთ-იქით, აქეთ-იქით
ცვივა ნაპერწკალი.

დაზგებს გააქვთ დაგადუგი,
გული უცემთ თითქოს,
ადნობენ და თან ასხამენ
ყალიბებში ლითონს.

ღუმელებთან აღმართულა
ქვანახშირის მთები,
თეთრად, ყვითლად ლივლივებენ
სავსე ყალიბები.

დაჰხარიან ჭაბუკები
ძმადშეფიცულ ჩარხებს,
ხელებიდან ცეცხლი სცვივათ
და უბრწყინავთ სახე.

დაჰკრავენ და გაიტანენ
კოხტად, მარჯვედ, სწრაფად.

მთელ დღეს ისე ტრიალებენ,
არა გრძნობენ ჯაფას.

თვითონ ჭედენ ნაწილებს და
თვით აწყობენ აქვე.
ასე როგორ დაეუფლნენ
ამ საყვარელ საქმეს

დაზგების და მანქანების
უყვართ კარგი მოვლა.
ერთი თვეა დაამთავრეს
სახელოსნო სკოლა.

ისე მარჯვედ ადუღებენ,
ისე ჭრიან ლითონს,
ქარხანაში, ამ დაზგებთან
დაიზარდნენ თითქოს.

დაჰხარიან ჭაბუკები
ძმადშეფიცულ ჩარხებს,
ხელებიდან ცეცხლი სცვივათ
და უღიმით სახე.

გზა ვერხვებით დაამშვენეს

სადგურიდან ჩვენს სოფლამდე
არცთუ ისე გზაა დიდი,
ამ გზის ახლოს, გაყოლებით
ნაკადული დინჯად მიდის.

თუ ყოფილხართ, ალბათ, სტუმარს
აგითრთოლდათ ბევრჯერ გული,
მოგხიბლავდათ, საამურად
გზაზე ვერხვთა შარიშური.

ეს ხეები გზის პირებზე
გუშაგივით რომ დამდგარან,
არ იკითხავთ, ასე კოხტად
ვისმა ხელმა გაახარა?

ეს დრო იყო, ალიონზე
მიწას დაჰკრეს მარჯვედ ბარი
და აქციეს სინამდვილედ
ოცნებები სანუკვარი.

ზოგი აქეთ, ზოგი იქით
ჩაამწკრივეს, გააშენეს
და სოფლიდან სადგურამდე
გზა ვერხვებში დაამშვენეს.

თუ ყოფილხართ, შეხვდებოდით
გზის პირებზე გამრჯე ბავშვებს,—
მათ სახეზე ჩაუმქრალი
სიხარული დასთამაშებ'თ.

ივანე ურჯუმელაშვილი

ივანე გიორგის ძე ურჯუმელაშვილი დაიბადა 1920 წელს ქ. გორში, ძუძის ოჯახში. 1938 წელს დაამთავრა გორის საშუალო სკოლა. 1939 წელს შევიდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ ამავე წელს გაიწვიეს ხაძხედრო ხაძსახურში, რის გამო ინსტიტუტი ვერ დამთავრა.

ი. ურჯუმელაშვილი მონაწილეობდა იაპონიის წინააღმდეგ კორეის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. იქ მიღებული შთაბეჭდილება ასახა თავის პირველ მოთხრობაში „დღეები კორეაში". 1952 წელს დაიბეჭდა ივ. ურჯუმელაშვილის ხუბავშვო მოთხრობა „მორნბონი", რომელიც ჰრეალისტურია ხუბავშვო მხატვრულ ნაწარმოებთა კონკურსზე. მისი უკანასკნელი მოთხრობა „ხუკოროვეკები" ცალკე წიგნად გამოვიდა 1954 წელს.

ხუკოროველები

(შემოკლებით)

პირველი თავი

შეხვედრა გენერალთან

ხუკოროვის სასწავლებელი, რომელშიც მე და ვასია სმირნოვი ჩაგვრიცხეს, შავი ზღვის სანაპიროზე გაშენებულ ქალაქშია მოთავსებული.

ვასია სასწავლებელში მისვლის პირველ დღესვე გავიცანი. იგი სმოლენსკელია. არც დედა ახსოვს, არც მამა. როგორც ერთი ახლობელი ნათესავისაგან გაუგია, მამამისი სამამულო ომში დაღუპულა. დედა კი ფაშისტებს ტყვედ წაუყვანიათ გერმანიაში და უგზოუკვლოდ დაკარგულა.

ვასიას რაც არ უნდა სთხოვო, უარს არაფერზე გეტყვის. ლაპარაკითაც ცოტას ლაპარაკობს. თუ იტყვის რასმეს, იტყვის მოკლედ და მკაფიოდ, ისე კი, რომ არავის წყენას არ დაერიდება.

მე და ვასია ლეიტენანტ ლოგინოვის ათეულში მოვხვდით. ლეიტენანტმა მე მის შემდეგ მიმიჩინა მწკრივში ადგილი. ისე რომ, საცა არ უნდა წავიდეთ, მე და სმირნოვი მხარდამხარ მივაბიჯებთ. კლასშიც ერთ მერხზე ვსხედვართ.

ვასია კარგი საამხანაგო ბიჭიაო, ამბობენ ჩვენი კლასელი სუვოროველები. არ ვიცი, მე ჯერჯერობით კარგს ვერაფერს ვამჩნევ.

ცოტა არ იყოს, ამაყია. თუგინდ ხელისგულზე ერბოკვერცხი მოუწვა, მაინც არ დაინახავს.

გუშინ არითმეტიკაში საკონტროლო წერა გვქონდა. აღმზრდელმა ოფიცერმა ისეთი ამოცანა მოგვცა, რომლის მსგავსი მე ადრეც მქონდა გამოყვანილი. ერთი წუთითაც არ დავფიქრებულვარ, ისე შევუდექი ამოხსნას.

დაფიდან ამოცანის გადაწერა სმირნოვმა დამასწრო. მაგრამ რა ყრია ცარიელ გადაწერაში, გამოყვანით კი უკაცრავად! იფიქრა, იფიქრა, მაგრამ ასავალ-დასავალი ვერ გაუგო.

ამასობაში მე უკვე დავამთავრე ამოცანის გამოყვანა. აი, ერთხელ კიდევ შევამოწმებ პასუხს, რვეულს მასწავლებელს ჩავაბარებ, გავვარდები ეზოში და, ჰერი, ბიჭო, რამდენიც გინდა, იმდენი ითამაშე ბურთი!

მაგრამ, მოიცა, ეს როგორ?! ამხანაგი ასეთ გასაჭირშია, მე კი არ ვეხმარები. განა ეს არის მეგობრობა!

შესაფერი დრო შევარჩიე. სმირნოვს მალულად მუხლისთავი მუხლისთავზე წავკარი. სმირნოვი მოიღუშა და მითხრა:

— ფეხს რად ირტყმევინები!

რა გაუგებარი ვინმე ყოფილა. ნუთუ ვერ მიხვდა, რისთვის წავკარი ფეხი. ავდექი და საშრობზე დავუწერე: ქალაქებს შორის მანძილი ორზე გაჰყავი. განაყოფს მიუმატე 20, მიიღებ A ქალაქიდან გამოსული ავტომანქანის მიერ გავლილ მანძილს. ეს არის პირველი კითხვა. ყურადღებით იყავი. ახლავე გაცნობებ მეორე კითხვას.

სმირნოვმა საშრობს დახედა, წაკითხვით კი არ წაუკითხავს. საშრობი ხელით ჩემსკენ გამოსწია და მშვიდად განაგრძო ამოცანის ამოხსნა.

გავბრაზდი. მყისვე რვეული მასწავლებელს ჩავაბარე და გარეთ გამოვედი.

დახე რა ამაყი და ქედმაღალი ყოფილა სმირნოვი. იუკადრისა კი-

დეც დახმარება. იქნებ ჰგონია, ჩემზე უკეთ იცის არითმეტიკა. ვნახოთ, ამოცანას როგორ გამოიყვანს, რა ნიშანს მიიღებს. აღდგომა და ხვალაო.

მალე ზარი დაირეკა.

სმირნოვი გარეთ გამოსვლისთანავე მე მომვარდა და დიდი ცნობისმოყვარეობით შემეკითხა, პირველ კითხვაზე რა პასუხი მიიღეო.

— შე კაი კაცო, რაღა მეკითხები, პასუხი აკი დაგიწერე?

— თენგიზ, მე არ მიყვარს სხვისგან გადაწერა. თავისუფალ დროს კი დამეხმარე, დიდი მადლობელი ვიქნები.

— თუ ძმა ხარ, თავი დამანებე. ახლა რა დროს ეგენია, ვერ ხედავ, მოედანზე გახურებული ბურთის თამაშია. — ცალი ყბით ვუთხარი და მოედნისაკენ მოვუსვი.

ეს იყო და ეს. სმირნოვს გულს აღარ ვუჩვენებ, ლაპარაკით, რა თქმა უნდა, ერთმანეთს ისევ ველაპარაკებით, მერხზეც ერთად ვსხედვართ, თუმცა დაჯდომას ჩვენ ვინ გვაკითხებს, საცა დაგვსვა უფროსმა აღმზრდელმა — ოფიცერმა, მოგწონს, არ მოგწონს, სულ ერთია, იქ უნდა იჯდე, სიარულითაც ისევ ერთად გვიხდება სიარული.

კვირას მე და ვასია ზღვისპირას ვსეირნობდით. ლაპარაკში ვიყავით გართული და ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ წამოგვადგა თავზე ჩვენი სასწავლებლის უფროსი გენერალი ვასილევი. გენერალი მაღალ-მაღალი კაცია. ულვაშები ტარას ბულბასავით გრძელი აქვს. ფართო მკერდის ორივე მხარეს ბევრი, ძალიან ბევრი ორდენები და მედლები უკეთია. იკითხავთ, მაინც რამდენიო? როგორ გითხრათ. სასწავლებელში მოსვლის პირველ დღიდანვე, როგორც კი გენერალს დავინახავ, სულ მისი ჯილდოების თვლაში ვარ, მაგრამ მათი რაოდენობა ჯერჯერობით ვერ დავადგინე. ამასწინათ გენერალი ლოჟაში იჯდა. მე მის შორიახლო ვიჯექი პარტერში. ახლა კი მეშველა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ არ გამართლდა ჩემი იმედი. გენერლის მკერდზე დაკიდული ორდენები და მედლები ბევრი ვთვალე, ვთვალე, მაგრამ მაინც ვერ დავთვალე.

როგორ უნდა დამეთვალა, როცა გენერალი ვერცხლის წყალივით ერთ ადგილზე არ ჩერდებოდა, ხან მარჯვნივ შეტრიალდებოდა, ხან მარცხნივ, ხანაც უკან მიბრუნდებოდა, გამუდმებით ლოჟაში მსხდომ ოფიცრებს ესაუბრებოდა. ამასობაში კინოც დაიწყო.

ჯერ გენერალს ახლო არ ვიცნობ, ამიტომ არც კარგს ვიტყვი, არც ავს. სხვების ლაპარაკს ყურს არ ვუგდებ. ხომ შეიძლება გენერალი მათთვის კარგი იყოს, ჩემთვის კი — ცუდი. ან შეიძლება პირიქითაც მოხდეს. მოდი და პირიქით მოხდეს, ეს ჩემთვის ჰაი-ჰაი, ემჯობინება!

იმას ვამბობდი, გავიხედე და რას ვხედავ, გენერალი ჩვენსკენ მოაბიჯებს და თვალს არ გვაცილებს.

ვასიამ ერთი კი წამკრა მუჯლუგუნი და მესერის ფიცარივით გაიჭიმა, თანაც სამწყობრო ნაბიჯზე გადავიდა. ისე მაგრად არტყამდა ფეხს, გეგონება, აივანზე ზეწრებს ბერტყავენო. გენერალს სამ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, როგორც წესი და რიგია, მიესალმა და გზა განაგრძო.

თენგიზ პაიჭაძე რაღა ბიჭია, თუ ვასია სმირნოვზე ნაკლებად მიესალმოს; მაგრამ ეს ოხერი, ვასიას ცქერაში გავერთე, გენერლის დანახვით შევკრთი თუ რა დამემართა, მეც არ ვიცი. ფეხი ავურიე და მჭიდროდ შეკრული ხუთი თითი საფეთქელთან კი არა, თავის ზემოთ აღვმართე, სწორედ ისე, როგორც სკოლაში პიონერები ერთმანეთს ვესალმებოდით ხოლმე. გენერალმა თავისთან მიმიხმო და მიბრძანა, ათეულის მეთაურს მოახსენე, რომ მისალმება არ იციო. ბრძანება გავიმეორე, ხელი ახლა კი შუბლთან მივიდე და ზურგისაკენ შემოვტრიალდი.

— დასტოვეთ! — შემობრუნებისთანავე მომესმა გენერლის მჭექარე ხმა.

ადგილზე გავშეშდი. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ. კიდევ კარგი, უცბად მოვისაზრე, რომ საჭირო იყო სწრაფად შემოტრიალება. მეც შემოვტრიალდი.

— ამხანაგო სუვოროველო, შემობრუნებაც არ გცოდნია? — მითხრა გენერალმა. ახლა კი მივბვდი ჩემს შეცდომას: მარცხენა მხარის მაგივრად მარჯვენა მხარეს შემოვტრიალდი.

— რა გვარი ბარ? — შემეკითხა გენერალი.

— თვალჭრელიძე, ამხანაგო გენერალო!

გენერლის მოტყუებას არ გავბედავდი, მაგრამ საიდან იყო — საიდან არა, ეს გვარი უცბად ენაზე მომადგა.

სუვოროვის სასწავლებელში ჩარიცხვამდე მეხუთე კლასში ვსწავლობდი. ფრიადოსანი ვიყავი-მეთქი, ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ სწავლაში ბევრს არ ჩამოვუვარდებოდი. ფიზკულტურისა და სიმღერის გარდა, ყველა საგანში ოთხები და ხუთები მქონდა.

სიმღერის გაკვეთილზე, როცა კლასი მღეროდა, ჩუმად ვიყავი. მოწაფეები სულ ჩემკენ იცქირებოდნენ, ყველა ჩემ ამღერებას ელოდა. მიაღწევდნენ თუ არა ამა თუ იმ სტროფონის ბოლოს, მე მაშინ თავიდან ვიწყებდი სიმღერას. ამაზე კი მოწაფეები გულიანად იცინოდნენ.

განა მე არ შემეძლო სხვასავით სიმღერა! განგებ ვიქცეოდი ასე. მინდოდა კლასში სიმხიარულე შემეტანა და ამხანაგებისათვის თავი მოხერხებულ ბიჭად მეჩვენებინა.

რა საჭიროა ძველი ამბის გახსენება, როცა წინა კვირას ძალიან საინტერესო ამბავი გადამხდა. ლეიტენანტ ლოგინოვთან მივდიოდი ავტობუსით. მე ხომ ლეიტენანტის მოკავშირე ვარ. როცა ლეიტენანტი ბინაზეა და რომელიმე უფროსი მოიკითხავს, მე მივდივარ ხოლმე მის დასაძახებლად. ჰოდა, ჩემთვის ვზივარ ავტობუსში და ღია ფანჯრიდან გავცქერი ზღვის ნაპირზე მოსეირნე ადამიანებს. თურმე ვიღაც ქალი ამოსულა ავტობუსში და თავზე დამდგომია. დასამალი არაფერია, კიდეც რომ დამენახა, შეიძლება ვერც მომეფიქრა ადგილის დათმობა. ჩემს უკან ვიღაც ლეიტენანტი იჯდა. თუმცა ტანისამოსი მფრინავისა ეცვა, მაგრამ სამხედრო ფერშალი იყო, ამას მოწმობდა სამხრეებზე დაბნეული მედიცინის სამსახურის ნიშნები.

ავტობუსი რომ გაჩერდა, ფერშალმა თავისთან მიმიხმო და ჭკუის სწავლება დამიწყო. ძალიან მეწყინა. განა მე არ მაქვს თავმოყვარეობა?! მით უმეტეს, ჩემს შორიახლო ერთი წითელბაბთიანი გოგო იჯდა, რომელიც ერთთავად მიცქეროდა და რატომღაც მიღიმოდა.

შენ სუვოროველის მუნდირს ატარებ და არ შეგშვენის ასეთი უზრდელობაო, მითხრა ლეიტენანტმა და გვარი მკითხა. ავდექი და ავკიდე, თვალჭრელიძე ვარ-მეთქი. ამ ამბავმა მშვიდად ჩაიარა. აგერ უკვე მთელი კვირა გავიდა, ჩემთვის სიტყვაც არავის უთქვამს. ფერშალმა კიდევაც რომ თავი გამოიდოს და ქვეყანა შესძრას, შეიძლება რომელიმე სუვოროვის სასწავლებელში კიდევაც იპოვოს სუვოროველი თვალჭრელიძე. მე კი ვერასოდეს ვერ მომაგნებს.

ფერშალთან რომ გამივიდა, ალბათ, ამან შეშვატა გამბედაობა, რომ სასწავლებლის უფროსსაც სხვა გვარი ვუთხარი.

— შეასრულე ბრძანება, სუვოროველო თვალჭრელიძე, — მითხრა ბოლოს გენერალმა.

კვლავ გავიმეორე ბრძანება, მარცხენა მხარით უკან შეებრუნდი და მწყობრი ნაბიჯით გავსწიე წინ. შორიახლო ვასილ სმირნოვი იდგა და იღიმებოდა. რა გაცინებს-მეთქი, წყენით მივმართე მას. აბა, მაშ ხომ არ ვიტირებო. სწორედ გითხრათ, ძალიან მეწყინა ვასიასგან ეს. ნეტავ რა იყო სასაცილო. ამაზე იტყვიან, სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო. მე ასეთ გაჭირვებაში ვიყავი — ის კი, ვითომ არაფერი, იდგა და იცინოდა.

სასწავლებლისაკენ მიმავალი სულ იმას ვფიქრობდი, როგორ ჩაივლიდა დღევანდელი ამბავი. ლეიტენანტს გენერლის ბრძანება მოვახსენო თუ არა-მეთქი, ერთთავად ვეკითხებოდი ჩემს თავს და ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მიმეღო.

რომ მოვახსენო, ვაითუ მერე ისიც გამომქღავნდეს, გენერალ-რომ სხვა გვარი ვუთხარი. არ მოვახსენო, ვინ იცის, იქნებ, უფრო ცუდად წავიდეს საქმე. ხომ შეიძლება გენერალმა შეამოწმოს, შევასრულე თუ არა მისი ბრძანება. კი, მაგრამ ვის უნდა ჰკითხოს, მე ხომ არ მითქვამს, რომელ ოცეულში ვარ, თუმცა ამაზე იმედის დამყარება არ შეიძლება. როგორც უფროსი კლასელები ამბობენ, გენერალს დამახსოვრება სცოდნია. თუ ერთხელ გაიცნო სუვოროველი, არასოდეს დააავიწყდება. ხომ შეიძლება მეც დავამახსოვრდე და სადმე მომმართოს, ამხანაგო თვალჭრელიძეო, რაღა მეშველება მაშინ!

ბევრი ფიქრის შემდეგ მტკიცედ გადავწყვიტე, ლეიტენანტისაკენ ინერლის ბრძანება არ გადამეცა.

მეოთხე თავი

ლეიტენანტი ლოგინოვი

ლეიტენანტი ლოგინოვი დიდი ხანია სასწავლებელში მუშაობს ათეულის მეთაურად. ტანადია, ქერა, წაბლისფერთმიანი. შეხედულებით შუახნის კაცსა ჰგავს. თუმცა, როგორც თვითონ გვითხრა, ოცდაცხრა წლისა ყოფილა. მარცხენა ხელზე, რომელიც ერთთავად გაჭიმული უჭირავს, ყოველთვის თეთრი ხელთათმანი აცვია. სამამულო ომში მონაწილეობა მიუღია, რასაც მოწმობს მის კიტელზე გაკეთებული საბრძოლო წითელი დროშის ორდენი. როგორც ამბობენ, ლეიტენანტი მზვერავი ყოფილა, ერთ-ერთ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილა, მარცხენა ხელი ნიდაყვის ქვემოთ მოუჭრიათ და პროტეზი გაუკეთებიათ.

ლეიტენანტი მხიარული ადამიანია. მაშინაც კი, როცა გაბრაზდება, თვალები მაინც უცინის, მეტისმეტი ენამახვილია, ხანდახან ისეთ საზუმარო რამეს იტყვის, ლამის სიცილით დაგვხოცოს. რა ვქნა, მე ვერა და ვერ შევეწყვე მის ხასიათს. ძალიან მომთხოვნია. უბრალო რამეზე ისეთ დღეს დაგაყრის, რომ თავბედს გაწყევლინებს. სულ მე ვყავარ სალაპარაკო. ეს ტანსაცმელს ნელა რატომ იცვამო... მერე რა არის, რომ ნელა ვიცვამ. ერთი წუთით ადრე ჩავიცვამ თუ გვიან, ამას რა მნიშვნელობა აქვს, ცა ხომ არ ჩამოინგრევა. ეს მწკრივში დადგომა რატომ დააგვიანეო... მერე რა მოხდა. დღეს თუ სუვოროველმა პაიჭაძემ დააგვიანა, ხვალ სხვა დააგვიანებს. აბა, ერთი მექანიზმის ნაწილები ხომ არა ვართ, რომ ყველამ ერთდროულად ჩავიცვათ ტანსაცმელი და მწკრივშიც ერთდროულად ჩავდგეთ. ნეტავი ეს რაღა სალაპარაკოა, ყველა ლოგინი რატომ ერთნაირად არ არის გასწორებულიო.

ოჯახში ასე არ ვასწორებდით ლოგინებს, მაგრამ განა იქ თბილად და რბილად არ მეძინა! ერთი სიტყვით, თავისებური კაცია ლეიტენანტი. თანაც, ეტყობა, მე რატომღაც კარგი თვალით არ მიცქერის. ნეტავი შეიძლებოდეს სხვა ათეულში გადასვლა. ათეულის მეთაურთან პირველ დღიდანვე კარგად მოვიქცეოდი და იმდენს ვიყოჩაღებდი, რომ თავს შევაყვარებდი. ეჰ, ეს ყველაფერი ცარიელი სიტყვებია. ვინ არის გადამყვანი. აბა, რა უნდა მოვისაბაბო? ლეიტენანტი ლოგინოვი ყველას უყვარს, ყველა პატივსა სცემს. ხომ იტყვიან, შენ რაღა წითელი კოქი ხარო.

რაც უნდა კარგად მოვიქცე, ლეიტენანტი მაინც მემდურის. პურის ჭამაზეც კი განსაკუთრებულ მოთხოვნილებას მიყენებს. გუშინწინ, სადილზე სულ ბოლოს ავდექი სუფრიდან. ეს იმიტომ, რომ მინდოდა ცოტაოდენი პური გადამერჩინა. კერძი უპუროდ ვჭამე. ცარიელი კერძი რას გამაძღობდა. მზარეულმა, რომელთანაც მე უკვე მოვასწარი ნაცნობობის გაბმა, ერთი ჯამი ბორშჩი დამიმატა. ისე თქვენ გაიხარეთ, როგორც მე ჯამს ძირი გამოვუჩინე. ცოტა შევისვენე და კვლავ სასადილოს ფანჯარასთან ავიტუზე. რახან ხარჯია, ხარჯია, ბარემ კისელიც დამიმატე-მეთქი, დაველრიჯე მზარეულს. სქელ-სქელმა მზარეულმა, რომელსაც ისეთი დიდი მუცელი აქვს, რომ წინსაფარი დიდ ღიპს სანახევროდაც ვერ უფარავს, ალმაცერად შემომხედა, თან აგდებით ჩაიცინა და ერთის მაგივრად ორი ჩამჩა კისელი დამისხა. სანამ კისელს ბოლო მოვუღე, კარგა დრო გავიდა. ფაციფუცით შევახვიე ჩემი წილი პურის ნატეხი და გარეთ გამოვედი. ჩამწკრივებული სუვოროველები სიმღერით საცხოვრებელ ბინისაკენ მიაბიჯებდნენ. ათეულს სირბილით წამოვეწიე და ლეიტენანტს მწკრივში ჩადგომა ვთხოვე.

— რატომ დაიგვიანე? — შემეკითხა ლეიტენანტი, პასუხს არ დაელოდა და ხმამაღლა მომმართა:

— იღლიაში რა გაქვს ამოდებული?

— პურის ნატეხი, ამხანაგო ლეიტენანტო.

— მერე რისთვის მოგაქვს საცხოვრებელში, განა ვახშამდე გშივდება?

— არა, ამხანაგო ლეიტენანტო, პური ჩემი ცხენისათვის მინდა. საღამ-საღამობით ყოველდღე მიმაქვს მისთვის პური და შაქრის ნატეხი.

ლეიტენანტს გაეცინა.

— მწკრივში ჩადექი, — მითხრა მან, — მხოლოდ მეორედ აღარ დაიგვიანო.

დღეგამოშვებით ორ-ორ საათს ვმეცადინეობთ საცხენოსნო საქმეში. ჩვენი აღმზრდელი ოფიცერი ძველი კავალერისტია, ახლაც წელ-

ზე ხმალი არტყია და დეზების წკარუნით დადის. მან პირველად ცხენის ჯიშის გამოცნობა გვასწავლა, მერე ცხენის მოვლა-პატრონობა და შეკაზმვა. ახლა კი ცხენზე შეჯდომასა და ტარებას ვსწავლობთ. მე პირველად ლურჯა მერგო. არ ვიცი, თუ რატომ ეძახიან ამ ცხენს ლურჯას. ლურჯას რომ იტყვიან, მაშინვე არსენას ლურჯა გამახსენდება. ეს ბებრეკი ლაფშა კი არც ფერით და არც სხვა რაიმე თვისებით არ იმსახურებს ასეთ სახელწოდებას. მე რომ მკითხონ ლურჯა კი არა, ნამდვილი ჯორცხენია. ერთხელ, კარგად იყო თუ ავად, ზურგზე მოვექეცი. ნაბიჯით ვატარებდით ცხენებს წრის გარშემო. წრის შუაში აღმზრდელი ოფიცერი იდგა და განკარგულებებს იძლეოდა. ჩვენი ათეულის ყველა ბიჭი თავმოწონედ იჯდა ცხენზე, ყველა იმას ცდილობდა, აღმზრდელ ოფიცერთან თავი ესახელებინა. თქმა არ უნდა, სხვაზე ნაკლებ არც მე ვიჭიმებოდი, თანაც საყურებლად მოსულ ბავშვებისაკენ ვიცქირებოდი, რომელთა შორის, ავტობუსში რომ წითელ-ბაბთიანი გოგონა შემხვდა, ისიც ჩამდგარიყო და ერთთავად მე მომჩერებოდა. სწორედ ამ დროს თაკლაში თივა მოიტანეს. დაინახა თუ არა ლურჯამ თავლის ეზოში გაბნეული თივა, ერთი გაქნევით თავი წამართვა და თივისაკენ გაიწია. ღონივრად მოვბღუჯე აღვირი, ბევრი ვეწვე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ლურჯა მგელივით დააცხრა თივას. რაც ძალი და ღონე ნქონდა აღვირს ვწევდი, ვუყვიროდი, მათრახს გამეტებით ვცემდი, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ლურჯა ჯორივით იდგა ერთ ადგილას და ყურსაც არ იბერტყავდა.

ამის დანახვაზე ერთი სიცილ-ხარხარი ატყდა. იცინოდნენ ჩემი ამხანაგები, იცინოდნენ საცქერლად მოსული ბავშვებიც, განსაკუთრებით ის წითელბაბთიანი გოგონა იცინოდა, ისე გასინჯეთ, აღმზრდელმა ოფიცერმაც ვერ შეიკავა თავი და გულიანად გადაიხარხარა. ვიღაც პატარა ბიჭმა ისიც კი დამიძახა, არსენ, სად ჩამოხტებიო.

სიტყვით არ შემიძლია გამოვთქვა ის, რასაც მე ამ მძიმე წუთებში განვიცდიდი. თვითონ წარმოიდგინეთ.

ეს იყო და ეს. ლურჯას ახლო აღარ გავკარებივარ.

შემდეგ მეცადინეობაზე აღმზრდელმა ოფიცერმა თაფლაზე შემსვა. ამ ცხენს ეგ არის, ჭიხვინი უყვარს, ერთ ადგილზე არა ჩერდება, თორემ ისეთი გამგონი და ჭკვიანია, რომ უცბად თავს შეგაყვარებს.

მეც ძალიან შემიყვარდა თაფლა. ყოველ საღამოს თავისუფალ დროს თავლაში მივდივარ და პურსა და შაქარს ვაჭმევ. ძალიან შემეჩვია თაფლა. როგორც კი ჩემი ნაბიჯის ხმას გაიგონებს, აჭიხვინდება და ჩემსკენ იცქირება. კარგი მეგობარივით გვიყვარს მე და თაფლას ერთმანეთი. თუმცა ჩვენი მეგობრობის შესახებ არავინ არაფერი

იცის. არ იციან იმის შესახებაც, რომ თაფლას ყოველ საღამოს პერსა და შაქარს ვუზიდავ. თქმა არ უნდა, ეს არც ლეიტენანტმა იცის. რომ სცოდნოდა, ხომ არც შემეკითხებოდა, პერი რისთვის გინდაო.

მეორე დღეს გადავწყვიტე ყველაზე ადრე მესადილა და მაგიდიდან პირველი ავმდგარიყავი. პერის წაღება კი ვეღარ გავბედე. მართალია ლეიტენანტს სასადილოდან ცხენისათვის პერის წაღებაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ მე მისი სიტყვებიდან ის აზრი გამოვიტანე, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა.

ცხელი ხარჩოთი პირი დავიფუფქე, ხორცს დაღეღავად ვყლაპავდი. სუფრიდან პირველი წამოვხტი და გარეთ გამოვედი.

— ასე ჩქარა ისადილე? — შემეკითხა ლეიტენანტი.

— დიახ, ამხანაგო ლეიტენანტო, — მივუგე მე.

ლეიტენანტმა საათს დახედა, თავი გააქან-გამოაქანა და თქვა:

— არც ეს ვარგა, სუვოროველო პაიპაძე, — განაწესში სადილისთვის 30 წუთია დათმობილი, შენ კი ათ წუთში ისადილე. განაწესის დარღვევა დანაშაულია.

ვერაფერი გამოგია, დაგვიანებ. მეუბნებიან, რად დაგვიანეო, ადრე მორჩები და მაინც გისაყვედურებენ, ადრე რად მორჩიო.

ამას წინათ ლეიტენანტმა სხვებთან ერთად მეც გამიშვა ქალაქში. მთელი ქალაქი შემოვიარე, სად არ ვიყავი, რა არ ვნახე, ბოლოს ბოლილ-მოქანცული ქალაქის პარკში შევედი. ნელა მივადგებოდი ახლად მორწყულ სასეირნო ბილიკზე, რომლის ორთავე მხარეს სკამები ჩამწკრივებული. სკამები სავსე იყო დამსვენებლებით. ხარბად ვისუნთქავდი ყვავილების სურნელით გაჟღენთილ ჰაერს და სახეს ვუშვერდი ზღვიდან მქროლავ ნიავს, რომელიც ნაზად აშრიალებდა ჩემს თავზე დაკიდებულ მწვანე ფოთლებს. პარკის ბოლოში რომ გავედი, ვხედავ, განცალკევებით მდგარ სკამზე ჩემი ნაცნობი წითელბაბთიანი გოგონა დამჯდარა და მეხლისთავებზე გადაწყვილ რომელიღაც სქელ წიგნს კითხულობს. ნაცნობი გოგონა-მეთქი, ასე იმიტომ ვამბობ, რომ მე და ის უკვე კარგა ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, თუმცა ჯერ არც ის დამლაპარაკებია, არც მე. ფეხაკრეფით ჩავუარე წითელბაბთიან გოგონას, რომელმაც უცბად შემომხედა, მალულად ჩაიცინა და თვალები უმალ წიგნისაკენ დახარა. ბივდივარ და ფეხები უკან მრჩება, თან მთელი სახსრები თითქოს იმას მეუბნებიან, სკამზე დაჯექი, დაჯექი. არ ბივტრიალდები-მეთქი, გუნებაში ჩავილაპარაკე, მაგრამ მაინც მივტრიალდი. ფრთხილად დავჯექი სკამის ნაპირზე და ახლადნაყიდი წიგნი გადავშალე. თვალს არ ვაცილებ წიგნს, ვითომ ვკითხულობ კიდეც, მაგრამ სინამდვილეში მთელი გულისყური გვერდში მჯდომ

გოგონასაკენ მაქვს. ისიც, ვითომ წიგნს კითხულობს, თუმცა მე რას გამომაპარებს, ერთ წერტილს მისჩერებია, თანაც წარამარა ჩემსკენ იცქირება.

კარგახანს ვისხედით ასე. რამდენჯერმე ერთმანეთს თვალებშიც შევხედეთ, მაგრამ თქმით კი, თითქოს გაბუტულები არიანო, ერთმანეთს არაფერს ვეუბნებოდით. ვინ იცის, რამდენ ხანს ვისხდებოდით ასე, რომ ქარხნის საყვირის ხმა არ გამეგო... საყვირი 9 საათზეა ხოლმე, მე კი ქალაქში 8 საათამდე ვიყავ გამოშვებული. გველნაკბენივით წამოვხტი და ქუდმოგლეჯილი გავიქეცი სასწავლებლისაკენ. ეზაში თავს ვიიმედებდი, ლეიტენანტი ნამდვილად სასწავლებელში არ იქნებამეთქი.

მაგრამ აი, ესეც ბედი, როგორც კი სასწავლებლის ეზოში შევდგი ფეხი, ლეიტენანტი წინ შემომეყარა.

— ისევ დააგვიანე? — მითხრა ლეიტენანტმა, — ამჯერად კი სასჯელი უნდა დაგადო. გიკრძალავ ერთ თვეს ქალაქში გასვლას. გასაგებია?

რა უნდა მეთქვა, თუ არა, გასაგებია-მეთქი.

მერვე თავი

საუბარი საკუთარ თავთან

დღეს დილით ლეიტენანტმა მწკრივის წინ გამომიყვანა და გენერლის მოტყუებისათვის რიგგარეშე დღიური მომცა. საღამოთი საცხოვრებელ ბინის მორიგედ წავედი. ეს არაფერია, პაიჭაძეს სულაც არ ეშინია დღიურში სიარულისა. ოღონდ სხვა არაფერი სასჯელი დამადონ და თუგინდ ყოველდღე ვიმორიგეევებ.

სასწავლებლის მორიგედ დღეს ლეიტენანტი ლოგინოვია. აი ესეც ბედი. რაღა ისიც დღეს არის დღიურში. ერთი რამ მაკვირვებს, სასწავლებელში დადგენილია: ოფიცერი მაშინ არის მორიგედ, როცა მისი ათეული სასწავლებლის დღიურში იმყოფება. გუშინწინ არ იყო, რომ ჩვენი ათეული და ლეიტენანტიც დღიურში იყვნენ. დღეს ათეული დღიურში არ არის, მაშ რატომ მორიგეობს ლეიტენანტი?

ჩავიბარე მორიგეობა და საცხოვრებელი ბინის შესავალში დავდექი. ვდგავარ და აქეთ-იქით ვიცქირები. თან სულ იმას ვიმეორებ, როგორ უნდა მოვახსენო საცხოვრებელ ბინაში შემოსულ სკოლის მორიგეს, ან სხვა რომელიმე უფროსს.

მკვდარი საათის შემდეგ სუვოროველებს საწოლები კარგად გავას-

წორებინე. ოთახი დაცგაკე, დავასუფთავე, ფანჯრები გაძოვაღე, ჰაერი გავწმინდე.

წრეობრივ მასობრივი მუშაობის დროს საცხოვრებელ ბინაში ჩემს მეტი არავინ იყო. მორიგის მაგიდა კომკავშირის კომიტეტის ოთახში გამავალ კარებთან დგას. მაგიდასთან სკამზე ჩამოვჯექი. ოთახიდან ხმამაღალი ლაპარაკი გავიგონე. ბიუროს სხდომა ტარდებოდა. სმირნოვმა რამდენჯერმე ჩემი გვარი ახსენა. ცნობისმოყვარეობამ დამძლია და ყური საკეტის ჭუჭრუტანას მივადე.

— თუმცა პაიჭაძე ჩემზე ნაწყენია, — ამბობდა სმირნოვი, — მაგრამ მე მაინც ჩემს კარგ მეგობრად ვთვლი. პაიჭაძე ცუდი ბიჭი როდია. არითმეტიკას კლასში მაგაზე კარგად არავინ სწავლობს. არც სხვა საგნებში ჩამოუვარდება ვინმეს. მხოლოდ სამწყობრო მზადებაში მოიკოჭლებს. ხანდახან წესრიგსაც არღვევს, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ ჩვენი დახმარებით იგი გამოსწორდება და კარგი სუვოროველი დადგება.

— ამხანაგი სმირნოვი მართალს ლაპარაკობს, — თქვა კომკავშირის კომიტეტის მდივანმა არამ გრიგორიანმა, — თუმცა პაიჭაძე კომკავშირელი არ არის, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ დავეხმაროთ მას. ლეიტენანტ ლოგინოვის ათეულიდან პაიჭაძე პირველია, რომელმაც რიგგარეშე დღიური დაიმსახურა. თქვენ ბიუროს წევრები ხართ და დასამალი არაფერია. ლეიტენანტმა ლოგინოვმა დღეს მითხრა, თხუთმეტი წელია საბჭოთა არმიაში ვმსახურობ და ეს პირველი შემთხვევაა, რომ უფროსისაგან სასჯელი მივიღეო.

— პაიჭაძემ, რასაკვირველია, არ იცის, რომ ლეიტენანტმა ეს სასჯელი მისი წყალობით დაიმსახურა. თუკი ოფიცერი პასუხს აგებს თავის აღსაზრდელზე, მაშ, გეკითხებით, რატომ ამხანაგმა პასუხი არ უნდა აგოს თავის ამხანაგზე. ჰოდა, ამხანაგებო, ჩვენ მოვალენი ვართ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოვიჩინოთ პაიჭაძისადმი.

ამ სიტყვებმა გული ისე ამიჩუყა, რომ კინაღამ ავტირდი. რა გაუგებარი და უმადური ვყოფილვარ. მეგონა არავის ვახსოვდი, არავის ვედარდებოდი, მაგრამ უყურე, როგორ ვცდებოდი. თურმე მეც მყოლია ამხანაგები და მერე რამდენი!

ამ ფიქრებში გართულმა ცოტა დაგვიანებით შევამჩნიე ოთახში შემოსული ლეიტენანტი ლოგინოვი, მაგრამ ლეიტენანტის დანახვა და ჩემი ფეხზე წამოხტომა ერთი იყო. რაც ძალი და ღონე მქონდა დავიძახე:

— სმენა!!

მწყობრი ნაბიჯით გავემართე ლეიტენანტისაკენ. მისგან სამი ნაბიჯის მანძილზე გავჩერდი და მოვახსენე:

— ამხანაგო სასწავლებლის მორიგეე, ჩემი მორიგეობის დროს არავითარ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, მოგახსენებთ სუვოროველი პაიჭაძე!

— თავისუფლად! — მითხრა ლეიტენანტმა.

— თავისუფლად. — გავიმეორე მეც და კინაღამ ენაზე ვიკბინე. ახლა გამახსენდა, რომ ოთახში ჩემი და ლეიტენანტის მეტი არავინ იყო. შინაგანაწესის თანახმად, ასეთი შემთხვევის დროს სულაც არ არის საჭირო მორიგემ მოხსენებისას გასცეს ბრძანება, სმენა. არ ვიცი, ლეიტენანტი ვერ მიხვდა ამას, თუ მიხვდა და არ შეიმჩნია, თქმით კი არაფერი უთქვამს. თუმცა, რატომღაც ოდნავ გაეღიმა.

ლეიტენანტმა საცხოვრებელი ოთახები დაათვალიერა. მე მას უკან დავდევდი. წასვლის წინ ლეიტენანტმა კიდევ ერთხელ გამიღიმა და მითხრა:

— ყოჩაღ, სუვოროველო პაიჭაძევ, კარგად მორიგეობ, მხოლოდ შინაგანაწესს უკეთ უნდა გაეცნო.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მიხაროდა ჯერ ერთი ის, რომ ასე კარგად მოვახსენე და უფრო მეტად ის, რომ ლეიტენანტმა მოიწონა ჩემი მორიგეობა და მითხრა, ყოჩაღო.

კვლავ მივირბინე მაგიდასთან, მინდოდა გამეგო, კიდევ რას იტყოდნენ ჩემზე, ბიუროს სხდომა უკვე დამთავრებულიყო.

ჩვეულება მაქვს, როცა მარტო ვარ, საკუთარ თავთან ვსაუბრობ ხოლმე. ახლაც მარტო დავრჩი. ჩემს თავთან სალაპარაკო კი ძალიან ბევრი მაქვს. მაგიდის გასწვრივ დიდი კაციკით დავიწყე სიარული.

— ეჰ, შენ ჩემო თავო,—ვამბობდი ჩუმად,—სმირნოვი ცუდის მდომელი გეგონა, ის კი, ხედავ, რა კარგი ბიჭი ყოფილა. ახლა ლეიტენანტი, რა კეთილი და სამართლიანია. შენი გულისათვის რიგგარეშე დღიური მისცეს, მაგრამ მან მაინც გაგიღიმა და ისიც კი გითხრა, ყოჩაღო.

— მართალს ამბობ, სუვოროველო პაიჭაძე, მართალს, — მეუბნება ჩემი თავი, — ხომ გაიგე, როგორ ზრუნავენ შენთვის ამხანაგები. გახსოვს, ერთხელ ლეიტენანტმა თქვა: ადამიანი თუ გულითა და სულით მოინდომებს, ადვილად გაიგებს, რა ნაკლი აქვსო. არა მარტო გაიგებს, არამედ თავის თავში იპოვის ძალ-ღონეს, რომ ეს ნაკლი გამოასწოროს. შენ ხომ მიხვდი, რა ნაკლიც გაქვს. თუკი მოინდომებ, განა შენ კი არ შეგწევს ძალ-ღონე, რომ გამოსწორდე. შეგწევს, ხომ?

— შემწევს, დიახ, მაგრამ ყველაფერს ისა სჯობს, — ვეუბნები ჩემს თავს, — ლაყბობას თავი დაანებო და საქმეს შეუდგე. გასაგებია, ხომ?

– გასაგები როგორ არ არის, მაგრამ შესრულებაა ახლა ბიჭობა.

მეჯლისზე

დღევანდელივით კარგად არასოდეს დამიშენდია ფეხსაცმელები. სხვა დროს არც ღილები და ქამრის ბალთა გამიპრიალებია ასე გულმოდგინედ. ხალათზე კოხტად მივიკერე თეთრი საყელო. შარვალ-ხალათი საგანგებოდ გავიშმინდე.

ეს რა დიდ საზზადისში ხარო, ხან ვინ შემეკითხება, ხან ვინ. გასაოცარია, რაღა ჩემი გაუკვირდებათ ხოლმე ყველაფერი. ვინ არ ემზადება დღევანდელი მეჯლისისათვის, არც სხვებს აქვთ ჩემზე ნაკლებად გაპრიალებული ფეხსაცმელები და ღილები. საყელოებიც კოხტად ადგიათ.

ასე გასინჯეთ, სევოროველ პეტროვსაც კი, რომელმაც ვერ იქნა და ვერ ისწავლა საყელოს მიკერება, დღეს ისე კოხტად მიუკერებია, რომ მოგეწონებათ.

პეტროვის ხსენებაზე ერთი რამ გამახსენდა. პეტროვს მზეზე სიარულისგან ცხვირი აქვს აქერცლილი. დღეს, მდინარეზე პირს რომ ვიბანდით, პეტროვიც იქ იყო. მთელი ათეული მორჩა პირის დაბანას — პეტროვი კი, რომელმაც მგონი ხუთჯერ წაისვა პირზე საპონი, დამთავრებას არ აპირებდა.

— პეტროვ, რით ვერ გაიგე, რომ საპონი აქერცლილ ცხვირს ვერ მოგირჩენს, ქვიშაა მაგის უებარი წამალი. — დაუძახა მას რომელიღაც სუვოროველმა.

მთელმა ათეულმა სიცილ-ხარხარი მორთო. პეტროვი კი უსინათლოსავით აქეთ-იქით იხედებოდა, რადგან სახეზე იმდენი საპონი წაესვა, რომ თვალს ვერ ახელდა.

რამდენიმე წუთმა განვლო. ჩვენ კიდეც დაგვავიწყდა ეს ხუმრობა, რომ სმირნოვმა დაიძახა, ერთი უყურეთ პეტროვს სახეზე ქვიშა მართლაც წაუსვიაო და რაც ძალი და ღონე აქვს ცხვირს იხეხავსო.

ამის დანახვაზე გულიანად ვიცინეთ. ბუკრიევშიც კი ველარ ვიკავებდით თავს. ხან ვის წასკდებოდა სიცილი, ხან ვის. ერთი-ორჯერ მეც ჩავიცინე ჩუმად.

ლეიტენანტს, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ რჩებოდა ჩვენი მალული სიცილი, მაგრამ თქვით არაფერს გვეუბნებოდა. ათეულს მარცხენა მხარეს მოსდევდა ღიმილით და ჩვენთან ერთად ბღეროდა.

როცა სამზადისს მოვრჩით, სუვოროველები სასწავლების ეზოში გავიშალენით. ისე მოხდა, რომ სულ მარტო დავრჩი. ხანდახან მარტობაც კარგია. რას არ გაიფიქრებ, რას არ მოიგონებ, რას არ წარმოიდგენ.

სკამზე ჩამოვჯექი. ვიჯექი დიდი კაციკით ნიდაყვზე დაყრდნობილი და ჩემ თავს ერთთავად ამას ვეკითხებოდი, მოვა თუ არა მასკარადზე წითელბაბთიანი გოგონა-მეთქი.

თუ მოვიდა, უსათუოდ მივალ მასთან და ხელისჩამორთმევით გავიცნობ. ვაცეკვებ კიდეც. მაგრამ, ვაითუ სმირნოვმა დამასწროს იმ გოგონასთან ცეკვა, ის ხომ უკვე იცნობს. ესეც არ იყოს, სმირნოვი ჩემზე კარგად ცეკვავს. ვერა და ვერ ვისწავლე ეს ოხერი ვალსი. აი დედასა, მეტი არაფერი მინდა, ქართული საცეკვაო დაუკრან, მერე მე ვიცი, როგორც ჩამოვუვლი.

ვაითუ ის სულაც არ მოვიდეს. მერე? მერე და მერე, ავდგები და სხვასთან ვიცეკვებ. თუმცა ამას რას ვამბობ. გულით მინდა, მენატრება მისი გაცნობა და მასთან ცეკვა. ნეტავი რატომ? ეს რა საკითხავია! რა საჭიროა ამდენი სჯა-ბაასი, ასე მინდა, ასე მესიამოვნება. მორჩა და გათავდა.

უცბად ჭიშკარი გაიღო.

ღია კარებში გამოჩნდა მოსწავლე გოგონების დიდი ჯგუფი. მათ წინ ორი ქალი მოუძღვის... ეტყობა მასწავლებლები არიან. მოსწავლე გოგონებს ხელში ყვავილები უჭირავთ. ისინი თამამად მოაბიჯებენ.

ცნობისმოყვარეობით ვუცქეროდი ეზოში შემოსულ გოგონებს და გაფაციცებით იმას ვეძებდი. ბევრი ვიცქირე აქეთ-იქით, ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერ დავინახე

და უცბად...

კი არ იფიქროთ, რომ მე ძალიან მიყვარდეს ეს უცბად. რა ვქნა, რა ვუყო, როცა ბევრი რამ ხდება ჩემ თავზე უცბად და მოულოდნელად.

და უცბად დავინახე ის. გულზე მომეშვა. სიმშვიდე ვიგრძენ, ფეხზე წამოვხტი და მთელი სისწრაფით გავიქეცი კლუბისაკენ.

უკვე გაკაშკაშებულ დარბაზში ვარ, იმოდენა ხალხს მოუყრია თავი, რომ ტევა არ არის. დარბაზში შესვლისას ხმების, სიცილის, მისალმებების გუგუნმა გამაბრუა, ხოლო შუქმა და ელვარებამ თვალები ამიჭრელა.

სუვოროველები და სტუმარი მოსწავლეები ჯგუფ-ჯგუფად დგანან. აქვე არიან გენერალი, ოფიცრები და მათი ოჯახის წევრები.

აგერ სმირნოვიც.

ვაიმე დედა, ამას რას ხედავს ჩემი თვალები — სმირნოვი და ის მხიარულად საუბრობენ. ისე მომეჩვენა, თითქოს სმირნოვმა მას ჩემი თავი დაანახვა და ორივემ გაიცინა.

თვალთ დამიბნელდა. გულმა აჩქარებით დამიწყო ძგერა. ველარ მოვითმინე და გვერდზე შევბრუნდი.

უცბად (კიდევ ეს უცბად!) მუსიკამ დაიგრიალა.

გენერალი მასწავლებელ ქალთან მივიდა და საცეკვაოდ გაიწვია. ოფიცრებმაც მიაშურეს ქალებს. სუვოროველებმა ხელი ჩაჰკიდეს მოსწავლე გოგონებს. ისინი წყვილ-წყვილად მწკრივდებოდნენ საცეკვაოდ.

შუა წრეში თვალი მოვკარი სმირნოვს, რომელიც გრიგალივით ტრიალებს იმ გოგონასთან ერთად. გვერდზე რომ ჩამიქროლეს, სმირნოვმა შემომხედა და ნიშნის მოგებით ჩაიცინა.

ვიდექი კედელზე მიყრდნობილი, ვუცქეროდი ჩიკორივით მოტრიალე გოგო-ბიჭებს და თავში მხოლოდ ეს აზრი მიტრიალებდა: „ნიშნსაც მიგებ არა, სმირნოვ, დამაცა. რაღა ბიჭი ვარ. თუ მეც არ ვიცეკვო მაგ გოგონასთან.“

ვერც კი შევამჩნიე, როგორ შეჩერდნენ ჩემს წინ სმირნოვი და ის. სმირნოვი მხიარული გამომეტყველებით მოვიდა ჩემთან.

— თენგიზ, ნება მიბოძეთ გაგაცნოთ ჩემი ამხანაგი. — მითხრა მან და ხელით ის მაჩვენა.

— ბედნიერება მქონდა გავცნობოდი, თუკი მას კიდევ ვახსოვარ. — მივუგე მე, თუმცა ახლაც არ ვიცი, ეს რამ მათქმევინა.

მან თავაზიანად დამიკრა თავი.

— ნატაშა. — მუსიკის გამაყრუებელ გრიალში ძლივს გავიგონე მისი ხმა.

— იმედი მაქვს, სტუმარს არ მოაწყენ, — მითხრა სმირნოვმა და თვალის დახამხამებაში მოცეკვავეთა შორის გაუჩინარდა.

ერთ ხანს მე და ნატაშა გაჩუმებული ვიდექით. ხანდახან შემომხედავს ნატაშა და თითქოს რაღაც გაახსენდაო, მალულად იცინის. ნეტავი რა აცინებს. ეტყობა მხიარული გოგონა კია. მაგრამ ეს უადგილო სიცილი ვის რად ესაჭიროება.

ცეკვა კვლავ გრძელდება.

რომელიღაც მოცეკვავემ ნატაშას გვერდი გაჰკრა. ერთმა ისიც კი დაგვიყვირა, განზე გადექით, ხალხს რა ფეხებში ედებითო.

ჩვენი მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა. აუტანელი ხდებოდა ჩვენი დუმილიც.

— არ ცეკვავთ? — მორიდებით შემეკითხა ნატაშა.

— როგორ არა, ცოტ-ცოტას ვახერხებ.

ჩვენ შორის კვლავ დუმილი ჩამოვარდა.

— მაშ, ვიცეკვოთ. — ისევ დაარღვია სიჩუმე ნატაშამ.

— ვიცეკვოთ. — მივუგე მე და მორიდებით მოვკიდე ხელი.

ტალღასავით გაგვიტაცა მოცეკვავეთა წყვილებმა. ნატაშა მსუბუქად და თავისუფლად ტრიალებდა. მე კი... თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ ჩემი გასაჭირი. თითქო განგებ, ხან ვინ გამკრავდა გვერდს, ხან ვინ. ფეხიც ხშირად მერეოდა. სიმწრის ოფლი დამასხა...

როგორც იყო ცეკვა დამთავრდა. თავისუფლად ამოვისუნთქე.

მთელი ეს საღამო მე და ნატაშა ერთად ვსეირნობდით. ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო ამბავი მიამბო მან. სხვათა შორის იმასაც შემეკითხა, როგორ სწავლობო. საშუალოდ-მეთქი. მე კი ხუთოსანი ვარო. არ გეგონოთ, ვითომ ნატაშაზე მაღლა ვაყენებდე თავს, მაგრამ თენგიზ პაიჭაძე რაღა თენგიზ პაიჭაძეა, თუ ნატაშას სწავლაში ჩამოუვარდეს.

ცოტაც დამაცადეთ და ნახავთ — ვიქნები თუ არა ხუთოსანი... ასე ბედნიერი და გახარებული არასოდეს ვყოფილვარ. ჩემმა ოცნებამ ფრთები შეისხა — გავიცანი ნატაშა.

მეთერთმეტე თავი

გენერლის რეკომენდაციით

განგაში!!! — მომესმა ძილში.

თვალისდახამხამებაზე წამოვხტი. ფეხები შარვალში გავყავი, კიტელი ჩავიცვი, ვინ დაეძებს ახლა ღილების შეკვრას... ფეხსაცმელებს ვტაცე ხელი და ფეხზე გავიწყე. ქამარი შემოვირტყი, ქუდი თავზე, ხოლო აირწინაღი მხარზე მოვიკიდე. გარეთ გამოვვარდი და დადგენილი ადგილისაკენ გავიქეცი. არ ვიტყვი, პირველი მივედი-მეთქი, მაგრამ არც სხვა ვინმე მისულა ჩემზე ადრე. ორ-სამ წუთში მთელი სასწავლებელი ათეულებად დამწკრივდა.

გაისმა ბრძანება: „ოფიცერთა შემადგენლობა გენერალთან“.

რამდენიმე წუთის შემდეგ ლეიტენანტი ლოგინოვი უკვე გვიხსნიდა ამოცანას. ჩვენს ათეულს ნაბრძანები ჰქონდა, გასულიყო სამხრეთით ქალაქის განაპირას მდებარე აგურის ქარხანასთან და გზა გადაეღობა ქალაქისაკენ მომავალი „მტრისათვის“.

— სუვოროველებო, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ვიაროთ. ახლა 7 საათია. 8 — 30 წუთზე დანიშნულ ადგილზე უნდა ვიყოთ... წინააღმდეგ შემთხვევაში „მტერი“ ქალაქში შემოიჭრება, მოსალოდნელია სა-

ჰაერო თავდასხმა, ამიტომ ქალაქიდან ფეხით გავალთ ათეულებად. პირველი ათეულის მეთაურად ვნიშნავ სუვოროველ პეტროვს, ხოლო მეორე ათეულის მეთაურად სუვოროველ პაიჭაძეს. ათეულის მეთაურებო, შეუდექით ბრძანების შესრულებას, — ასე დაამთავრა ლეიტენანტმა მოკლე საუბარი.

— მეორე ათეულო, უსმინე ჩემს ბრძანებას! — უმალ მივმართე ჩემს ათეულში შემავალ სუვოროველებს და ვუბრძანე უკან მომყოლოდნენ.

სწრაფი ნაბიჯით წავედი ქალაქის სამხრეთით, ათეული უკან გამომყვა. ვხედავ, ჩემს გვერდით პეტროვი მოდის. იგი თავის ათეულს მოუძღვის. სხვა რამეში რა გითხრათ, სიარულში კი პეტროვი ვერ შემომედრება. იმის შიშით, რომ პეტროვს არ გაესწრო, გავიქეცი, მაგრამ რა გავიქეცი — კარგა მანძილზე ჩამოვიტოვე პეტროვი თავისი ათეულით. არც ათეულმა მიმტყუნა. ბიჭები ფეხდაფეხ მომდევენ. უცბად ავტომანქანის საყვირის ხმა გავიგონე, უკან მოვიხედე და რას ვხედავ, პეტროვი და მისი ათეული ავტომანქანაზე მოკალათებულან და ხელის ქნევით გვეძახიან, თუ ბიჭები ხართ, აბა ახლა მოგვყევითო.

ავტომანქანამ რამდენიმე მეტრით წინ გაგვისწრო და შეჩერდა.

— თქვენ ეი, ცეროდენა მეომრებო! — გადმოგვძახა კაბინიდან გრძელულვაშებიანმა მძღოლმა, — დასხედით, გზა ერთი გვქონია და წაგიყვანთ, თორემ სირბილით ფერდები ჩაგცვივდებათ.

რამდენიმე სუვოროველმა ავტომანქანასთან მიირბინა, ორი მათგანი უკვე ზედ იფაფხებოდა.

არ ვიცოდი, როგორი გადაწყვეტილება მიმეღო, მაგრამ კარგად მახსოვდა ლეიტენანტის სიტყვები: ქალაქიდან ფეხით გავალთ, ათეულებად...

— დასტოვეთ! — გავეცი ბრძანება.

სუვოროველები გაკვირვებით შემომცქეროდნენ. ერთმა ისიც კი მითხრა, გამოჩერჩეტებული ხარ და არ შეგიძლია დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებაო.

— შეწყვიტეთ ლაპარაკი და მომყევით!—ვუბრძანე სუვოროველებს და ავტომანქანისაკენ მიუხედავად განვაგრძე გზა.

— შენც ყოფილხარ რაღა, ავტომანქანას გთავაზობენ, შენ კი ცხვირი ტრაპიზონისაკენ მიგაქვს. — მომაძახა მძღოლმა და ავტომანქანა მთელი სისწრაფით გააქანა.

მეშინოდა, ვაითუ სუვოროველებმა ჩემი ბრძანება არ შეასრულონ-მეთქი. ავტომანქანას თვალი გავაყოლე. როცა დავრწმუნდი, რომ ჩემი ათეულიდან ზედ არავინ იჯდა, გახარებულმა ნაბიჯს უფრო ავუჩქარე.

უცბად გამახსენდა, რომ აგურის ქარხანასთან მისასვლელად აუცილებელი არ არის ხიდზე გასვლა, თუ მდინარეზე შესაფერ ფონს გამოვნახავდით, სულ ცოტა 4—5 კილომეტრით მაინც შევიმოკლებდით გზას.

სწორედ ამ დროს გზაზე მოხუცი შემოგვხვდა. შუა გზაზე იდგა და დიდი ცნობისმოყვარეობით გვიცქეროდა. მე მას შევეკითხე, არის თუ არა ახლომახლო ამ მდინარეზე გასასვლელი ფონი-მეთქი. არისო, მომიგო მოხუცმა და წინ, მდინარისაკენ ჩამავალი გზა დამანახვა, მაგას ჩაჰყევით და პირდაპირ ფონთან მიხვალთო.

სწრაფად გავწიეთ მოხუცის ნაჩვენები გზით. ცოტა ვიარეთ თუ ბევრი, წავადექით მდინარეს. შეუჩერებლივ შევტოპე მდინარეში და სწრაფად გავეშურე მეორე ნაპირისაკენ. სუვოროველთა უმრავლესობას კრინტი არ დაუძრავს. ერთმა-ორმა წაილაპარაკა, ჩვენ ნაბრძანები არ გვაქვს წყალში ტოპვაო. უკან მიუხედავად დავუყვირე:

— შესწყვიტეთ ლაპარაკი და შეასრულეთ ბრძანება!

მათ, რასაკვირველია, ხმამაღლა აღარაფერი უთქვამთ, თუმცა გარკვევით მესმოდა, როგორ ბურტყუნებდნენ, როგორ აკრიტიკებდნენ ჩემს მოქმედებას.

გავედით ნაპირზე და შეუსვენებლივ განვაგრძეთ გზა. ზუსტად, დანიშნულ დროზე ჩვენ აგურის ქარხანასთან ვიყავით. პეტროვის ათეულიც აქ დაგვხვდა. მოვიდა ლეიტენანტიც.

— პეტროვის ათეული მტრის ავიაციამ გაანადგურა. პაიჭაძის ათეულმა ქალაქში მივავალი გზის ორივე მხარეს დაიკავოს საბრძოლო პოზიცია. — გასცა ბრძანება ლეიტენანტმა.

გარშემო ტრიალი მინდორია: არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქი. ნეტავი ახლო ერთი პატარა მაღლობი მაინც იყოს.

არ ვიცოდი, სად დამეჭირა საბრძოლო პოზიცია. მდინარეში რომ გამოვდიოდი, წყლის პირას გავოვიარეთ მაღალ ბუჩქნარში. ორი სუვოროველი გავაქციე იმ ბუჩქნარისკენ, დანარჩენებს კი თხრილების გაჭრა ვუბრძანე. ამოვთხარეთ თხრილები და ბუჩქების ასაჩეხად წასული სუვოროველებიც მოვიდნენ. თხრილები ბუჩქებით შევნიღბეთ და შიგ მოვთავსდით. მალე გენერლის მოკავშირე სუვოროველი მოვიდა და ლეიტენანტს გენერლის ბრძანება გადასცა. ქალაქის მისადგომებთან „მტერმა“ საბრძოლო პოზიცია დაიკავაო. ჩვენი ნაწილები შეტევაზე უნდა გადავიდნენ და „მტერი“ გაანადგურონ. ნიშანი წითელი შუშხუნა არისო.

არ გასულა ხუთი წუთი და თვითონ გენერალიც მოვიდა. მან ჩვენს უკან, ფარდულში დაიკავა სათვალთვალო პუნქტი. როგორც შემდეგ უფროსკლასელმა სუვოროველმა მიამბო, გენერალს ძალიან მოსწონებია ჩემი ათეულის პოზიცია.

— ვინ არის ამ ათეულის მეთაური! — შეეკითხა თურმე ლეიტენანტს გენერალი.

— სუვოროველი პაიჭაძე, — მოახსენა ლეიტენანტმა.

სუვოროველი პაიჭაძე, — გაიმეორა გენერალმა და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა:

— ძალიან ნაცნობი გვარია...

— დიახ, ამხანაგო გენერალო, ფეხბურთელ პაიჭაძეს მთელს საბჭოთა კავშირში იცნობენ.

— არა, მე ამიტომ არ ვამბობ, რომ პაიჭაძე ცნობილი გვარია... — მხოლოდ ეს უთქვამს გენერალს და საათზე დაუხედავს... საათის ისარი უახლოვდებოდა დანიშნულ დროს და სალაპარაკოდ ვიღას ეცალა.

წითელი შუშხუნა ავარდა თუ არა, გავეცი ბრძანება:

— ათეულო, წინ!

სწრაფად დავტოვეთ თხრილები და მეტეორის სისწრაფით გავექანეთ წინ. ამუშავდნენ ხის ტყვიამფრქვევები, გაისმა თოფების დგაფა-დგუფი. უცებ წავადექით „მტრის“ პოზიციებს, „მტერი“ წამოიშალა. გაიმართა მკაცრი, ხელჩართული ბრძოლა... ავტომატებით დავერიეთ „მტერს“. ჩვენი ცეცხლი შეუბრალებლად ანადგურებდა მათ რიგებს.

„მტერი“ გატყდა, იბრუნა პირი. ჩვენ ცეცხლი დავადევნეთ გაქცეულ „მტერს“.

...ბრძოლის დამთავრებისთანავე გენერალმა თავისთან დამიძახა. როგორც წესი და რიგია წავდექი და მოვახსენე:

— სუვოროველი პაიჭაძე თქვენი ბრძანებით გამოცხადდა.

— ყოჩაღ, სუვოროველო პაიჭაძე, ყოჩაღ, მე ახლა ვხედავ ნამდვილ სუვოროველს. — მითხრა გენერალმა. ამხედ-ჩამხედა და მცირე ხნის შემდეგ შემეკითხა:

— სადაური ხარ?

— ქუთაისიდან, ამხანაგო გენერალო.

— ვასილ პეტრეს ძე პაიჭაძეს არ იცნობდი?

— როგორ გითხრათ, ამხანაგო გენერალო, ნახვით, როგორც დედაჩემი ამბობს, მინახავს ,მაგრამ ძღარ მახსოვს. ის მამაჩემი იყო. ეოსკოვის მისადგომებთან დაიღუპა. პროფესიით ინჟინერი ყოფილა.

— კარგი ოფიცერი იყო ლეიტენანტი ვასილ პეტრეს ძე პაიჭაძე. ჩემს პოლკში მსახურობდა ასეულის მეთაურად, ერთ-ერთ ხელჩართულ ბრძოლაში დაეცა გმირულად. — თქვა გენერალმა მცირე ფიქრის შემდეგ...

გენერალი ოდნავ გვერდით შეტრიალდა. ის გასცქეროდა უსაზღვრო სივრცეს. მე ვერ ვხედავდი მის სახეს, მაგრამ კარგად ვამჩნევდი, როგორ გამალებით უთამაშებდა ყურის ძირას ამობერილი ძარღვი.

ნეტავი რას ფიქრობდა გენერალი!

იმას ხომ არა, რომ ბრძოლის ველზე დაცემულმა ჩვენმა მამებმა დაიცვეს ჩვენს წინ გაშლილი ტყეები და ველები, ქალაქები და სოფლები, და რაც მთავარია, ჩვენი სიცოცხლე.

— მე მითხრეს, რომ შენ კომკავშირელი არა ხარ, მართალია? — შემეკითხა ბოლოს გენერალი.

— კომკავშირელი არა ვარ, ამხანაგო გენერალო.

— მერე, რატომ?

დაბნეული შევცქეროდი გენერალს. ვგრძნობდი, როგორ თანდათან მეკიდებოდა სახეზე, ყურებზე სირცხვილის ალმური. აბა ხომ ვერ ვეტყოდი, მეშინია, მიღებაზე უარი არ მითხრან-მეთქი?

— დაწერე განცხადება, რეკომენდაციას მე მოგცემ!

— დღესვე დავწერ, ამხანაგო გენერალო...

ზაქარია შერაზადიშვილი

ზაქარია ვასილის ძე შერაზადიშვილი დაიბადა 1921 წელს ქ. ონში, გლეხის ოჯახში. ონის საშუალო სკოლა დაამთავრა 1938 წელს. სწავლობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც 1943 წელს დაამთავრა.

ზ. შერაზადიშვილის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1947 წელს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში", ხოლო ჟურ. „პიონერში" 1948 წელს დაიბეჭდა მისი პირველი საბავშვო ლექსი „დათვი". ამ წლიდან ზ. შერაზადიშვილის ლექსები იბეჭდება საბავშვო ჟურნალებში.

ზ. შერაზადიშვილის მიერ შეკრებილი „ხალხური თამაშობები" გამოიცა 1954 წელს, ხოლო მისი საბავშვო ლექსებისა და პოემების კრებული—1955 წელს.

არ მიიღეს მაინც

სექტემბერში თემურს
შეუსრულდა ექვსი,
პატარაა, მაგრამ
იცის ბევრი ლექსი.

ლექსები ხომ იცის,
იცის ანიც, ბანიც,
წელს სკოლაში იგი
არ მიიღეს მაინც.

მოჰყვა ბიჭი წუხილს,
შეგვებრალა მართლაც,
მოვუტანეთ წიგნი,
მოვუტანეთ ჩანთა.

თემოს დედის ბიძას,
გამოჩენილ ოსტატს,
თემურისთვის მერხი
გაეჩარხა კოხტა.

მოვიტანეთ, თემომ
არ გაგვიშვა არსად,
დედიკონა თვისი
მასწავლებლად დასვა.

თვითონ დადგა მერხთან,
არ დაფიქრდა წუთით,
თქვა პატარამ ლექსი,
დავუწერეთ ხუთი.

ერთმანეთში ურევს

ჩემს მეგობარ ასმათს
რაიმეს თქმა თუ სურს,
ერთმანეთში ურევს
ქართულსა და რუსულს.

იტყვის, — „ვეძებ სპიჩკას“, —
თუ კი ეძებს ასანთს,
ლაპარაკი ასე
ეკადრება ასმათს?

ქართულად არ იტყვის
კალმისტარს თუ ფანქარს,
„ზის პარტაზე“, — მისთვის
სიტყვა „მერხი“ გაჰქრა.

ამბობს, — „აი, ნასკი“, —
ავიწყდება „წინდა“,
მოინდომე, ასმათ,
ისაუბრო წმინდად.

თორემ რას ჰგავს, დაო,
რაიმეს თქმა თუ გსურს,
ამახინჯებ ქართულს,
ამახინჯებ რუსულს.

ენძელას ნათქვამი

თოვლის ქვეშ გამოვიღვიძე,
მოვყევ თანატოლ ყვავილებს,
მზემ დამაცხუნა, ყინვის შიშს
ფიქრადაც აღარ გავივლებ,
დამდნარი თოვლის წვეთებმა
ხელპირი დამაბანინეს.

მოვდივარ, ჭრელ-ჭრელ
გაზაფხულს
მე მოვუძღვები იცოდეთ,
სოფლის შარა-გზას მოვყვები,
ბავშვები კარგად მიცნობენ,
მხოლოდ „ენძელა“ არ კმარა,
„მახარობელიც“ მიწოდეთ.

კუნტრუშა

ცისანას ერთხელ მამილომ
ხბო მოუყვანა ბაზრიდან.
პირობა დასდო გოგონამ,
რომ სანაქებოდ გაზრდიდა.

გაწმინდა, გაალამაზა,
შეუქო ყველა მნახველმა,
იფიქრა, ბოლოს კუნტრუშა
გამოუგონა სახელად.

ცისოს სკოლაში ყოფნისას
კუნტრუშა თურმე ფარულად
ბოსლიდან გამოსულა და
ჯეჯილში გადაპარულა.

თვალი მოუკრავს მეველეს,
თურმე გამწყრალა ძალიან,
დაუჭერია კუნტრუშა,
მაშინვე წაუყვანია.

ძლივს გამოიხსნა კუნტრუშა
გოგონამ — წითელბაბთებამ,
მოიყვანა და ეზოში
მოუწყო გასამართლება.

იხმო მეზობლის ბავშვები,
დანაშაული განსაჯეს,
სულ ბოლოს ქურდობისათვის
კუნტრუშა წკეპლით დასაჯეს.

რას იფიქრებდნენ, კუნტრუშა
ასეთი ანცი თუ იყო.
ზარი უშოვეს, შეაბეს,
რომ ვეღარ გაპარულიყო.

გაფრენილი ჩიტის გადაღებაც ვიცით

მე, გივი და რეზო,
ქეთინო და სხვები,
სკოლის ფოტოწრეში
ერთად ვირიცხებით.

აპარატი ყველამ
შევიძინეთ შარშან,
გადაღებაც ვიცით,
შეკეთებაც, დაშლაც.

ჩვენი დიდი სკოლა
გადავიღეთ ხელად,
გადავბეჭდეთ სუფთად,
დავურიგეთ ყველას.

ბევრჯერ გადავიღეთ
მოკუნტრუშე კვიცი,
გაფრენილი ჩიტის
გადაღებაც ვიცით.

ჯარისკაცი

ტარიელმა მამას უთხრა:
— ასეთი მაქვს ფიქრებიო,
ავტომატი მიყიდე და
ჯარისკაცი ვიქნებიო.

დაითანხმა, მერე ისევ
შეეხვეწა: — მამაჩემო,
ბარემ მეც თან წამიყვანე,
ჩემი ხელით ავარჩევო.

გზაში უთხრა: — დავიღალე,
აყვანილი მატარეო...
— ამისთანა ჯარისკაცი
თუ გინახავთ, პატარებო?

გმირი

ტარიელს ვაშლი სდომოდა,
დედას ატამი ეყიდა,
დადგა, ტირილი დაიწყო,
ცრემლები გადმოეკიდა.

ხათუნამ უთხრა: — წუნიას
ვინ შეუსრულებს ნატვრასო,
დედას რომ ვაშლი ეყიდა,
მოინდომებდი ატამსო.

შენს ქუდზე „გმირი“ სწერია,
ვითომდა შენც ხარ გმირიო,
ამხელა ბიჭი მთელი დღე
ვაშლის გულისთვის ტირიო.

მაღარო

ისე ყოჩაღი ბიჭი ვარ,
რომ ყველაფერში ვივარგებ,
თუ არა გჯერათ, მიცქირეთ,
როგორ ვაშენებ გვირაბებს.

მიწა რომ არსად ჩამოწვეს,
სულ გავამაგრე ბოძებით,
ამაზე მტკიცე გვირაბებს
ეცადოთ, ვერსად მოძებნით.

შიგ ლიანდაგიც მოვაწყვე,
ელექტროგაყვანილობაც,
მაღარო უკვე მზად არის,
ყველა მოდის და მილოცავს.

სწორედ ამგვარი მაღარო
მაჩვენა მამამ ტყიბულში,
მხოლოდ ის ძალზე დიდია,
გაყვანილია მთის გულში.

სულ მალე დიდი გავხდები,
ავაგებ ნამდვილ მაღაროს,
ავაგებ ისეთ მაღაროს,
რომ მთელ ქვეყანას ვახარო.

მურმან ლებანიძე



მურმან სილოვანის ძე ლებანიძე დაიბადა 1922 წელს თბილისში. საშუალო სკოლა დაამთავრა 1940 წელს. სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1948 წელს დაამთავრა.

დიდ სამამულო ომში ლებანიძე რიგითი მებრძოლი იყო. მ. ლებანიძის ლირიკული ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1950 წელს. მწერალი აქტიურად მუშაობს საბავშვო პროზასა და პოეზიაში. მისი საბავშვო მოთხრობა „ზაზა მესხიცალკე წიგნად გამოვიდა 1949 წელს. ხოლო საბავშვო ლექსების კრებული 1952 წელს.

მშვიდობა უნდათ ბავშვებს

მზეს გაუფანტავს ნისლი,
თავს დასდგომია ნორჩებს.
ეს რა წკრიალი ისმის,
ეს ვინ მოარხევს დროშებს!

მშვიდობის ნათელ დროშებს —
კიდით კიდემდე გაშლილს —
ამოსდგომია მხარში
მილიონობით ბავშვი.

თავისუფლება უნდათ,
მშვიდობა უნდათ ბავშვებს;
მათი წკრიალა ხმები
ქვეყნიერებას ავსებს.

მღერის ბიჭუნა ზანგის,
მღერის გოგონა ფრანგის,
ვერ დატეულა გულში
თავისუფლების ჰანგი.

ყაყაჩოსავით მოჩანს
დროშა წითელი ფერის,
შავკანიანიც მღერის,
თეთრკანიანიც მღერის.

მღერის პატარა ჩანდრა —
ინდოთა ქვეყნის შვილი,
მღერის ყმაწვილი რუსი:
აღსდექ, კმარაო ძილი!

შენ, ბედნიერო ბავშვო,
ძმაო საბჭოთა მიწის,
შენი მშობელი ხალხი
მშვიდობისათვის იბრძვის.

შენი მშობელი ხალხი
ათავისუფლებს მონებს.
ხარ ბედნიერი ბავშვი
და წინ მიუძღვი ტოლებს.

ეს რა წკრიალი ისმის,
ეს ვინ მოარხევს დროშებს!
მზეს გაუფანტავს ნისლი, —
თავს დასდგომია ნორჩებს;

მათი წკრიალა ხმები
ქვეყნიერებას ავსებს...
თავისუფლება უნდათ,
მშვიდობა უნდათ ბავშვებს.

ბალადა პატარა წითელფლოტელზე

მკერდს ავტომატი ეკიდა
და თვალზე — ცრემლი ობოლი...
როდესაც შავი დროშებით
დაღამდა სევასტოპოლი,
ზღვისპირას, მძიმედ დაჭრილი,
მკერდზე ვარსკვლავის ორდენით,
გერმანელებმა შეიპყრეს
პატარა წითელფლოტელი.

საყვარელი და ლამაზი
იდგა ცრემლების ციმციმით.
ცოცხლად ჩავფლათო მიწაში,
თქვეს ჯალათებმა სიცილით.
ბიჭს ტუჩზე გაჰკრა ღიმილმა —
გაკვირდნენ, როგორ ბედავსო...
«მიმიღებს მიწა მშობელი!
ვემთხვევი ჩემსა დედასო!»

წუთით ჩაფიქრდა ჯალათი,
თქვა, შეკრთებაო უცილოდ:
მაღალი კლდიდან ისროლეთ,
ზღვას მიეცითო უძიროს!
ბიჭს ისევ გაეღიმება,
თვალთ შეაშრება ცრემლი:
«ჩავეხუტები მამასა,
ზღვა მამაო ჩემი!»

მაშინ გაგიჟდა ჯალათი,
თქვა: მოზიდეთო მორები!
ცოცხლად დაგწვავთო, რას იტყვი,
ან ვისღა ეამბორები?!
თქვა — და ასრულდა ნათქვამი,
ძელზე მიაკრეს ხელებით
და ქერა წარბთან სისინით
მიცურდნენ ცეცხლის გველები...

უცებ გაისმა სიმღერა:
— სამშობლოსათვის ვკვდები!
ო, განა მართლა ვკვდები!
მშობელ ცას ვუერთდები!
მომიგონებენ მარადჟამს!
ჩემი დები და ძმები!
ვკვდები და არა ვქრები!
ხალხის გულებში ვრჩები!

თქვა და ცად გაჰქრა ბიჭუნა,
როგორც კვამლი და სიზმარი...
შემდეგ, გაფრინდნენ დღეები —
კვლავ ბრწყინავს კრემლის
ცისკარი.
ახლა, იქ, სადაც ცას მისწვდა
გმირის პატარა ხელები,
ზღვისპირ მოდიან თავდახრით
საბჭოთა პიონერები:
ხელში უპყრიათ გვირგვინი
დაფნის ცისფერი ფოთლებით...
და რჩება ხალხში ლეგენდად
პატარა წითელფლოტელი.

სიმღერა მასწავლებლებზე

მოწიწებით ადგება
ფეხზე ახალგაზრდობა,
რომ საყვარელ აღმზრდელებს
მოახსენოს მადლობა.

შრომამ როდი დაგღალა,
დედი, თავზე გვევლები...
დაგელოცოს ჭაღარა!
დაგელოცოს ხელები!

დაე, იყოს დღეგრძელი
და ჩვენს გულში ბრწყინავდეს,
ვინც გვანიჭებს სინათლეს,
დიდი ცოდნის სინათლეს!

შრომამ როდი დაგღალა,
დედი, თავზე გვევლები...
დაგელოცოს ჭაღარა!
დაგელოცოს ხელები!

ნაირფერად ნაქარგი
გვიხმობს დიდი ცხოვრება.
თქვენი ზრუნვა-ამაგი
მარად გვემახსოვრება.

შრომამ როდი დაგღალა,
დედი, თავზე გვევლები...
დაგელოცოს ჭაღარა!
დაგელოცოს ხელები!

ზაზა მესხი

(ნაწყვეტი)

თავი მეხუთე

ხიცოცხლე

მთები, მთები, უკან დარჩნენ თეთრი და მაინც იისფერი მთები. მეორე დღეს შავი ზღვაც თვალს მეეფარა და ვრცელი, თოვლიანი სტეპები გასრიალდნენ თვალწინ.

აგერ მესამედ დაღამდა და ისევ ეს თეთრი სტეპები... დრიდადრი ოაზისებივით ჩაიქროლებენ პატარა ტყეები და კვლავ სითეთრე — დაუსრულებელი.

ახლაღა იგრძნო ზაზამ, რომ მიწა მიწისაგან განსხვავდება. დაუნატრა თამარის კლდე, თვალწინ დაუდგნენ ქოლოსუკნის ყაყაჩოები, მერე გლოლის მთები აილანდნენ თეთრად, თანდათან გაიისფერდნენ.

მატარებელი ტულაში იდგა ნახევარ საათს. კოხტა ქალაქი ჩანს ტულა. სადგურზე რომ ხალხი ირევა, მთელ ზვარეთის თემში არ იქნება ალბათ ამდენი. ზაზას კუპეში გაჭაღარავებული მასწავლებელი ქალი მარია ივანოვნა და ორიც სტალინგრადელი ოფიცერია.

ლეიტენანტი ბაქანზე ჩავიდა, საჭმელი ამოიტანა, ფანჯრის რაფაზე პატარა, ლურჯი სუფრა გაშალა და მარია ივანოვნას რაღაც წასჩურჩულა. მასწავლებელმა სათვალეები გაისწორა და ზაზას გახედა, მერე მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია თავი.

რა მოსდის ნეტა ამ ბიჭს, — გაიფიქრა მან, — სამი დღეა არაფერი უჭამია. რუსული გვარიანად იცის, — ცოტას ლაპარაკობს, ბევრს ფიქრობს.

— ზაზა, დაგვეწვიე, შესანიშნავი ძეხვია! — თქვა ლეიტენანტმა, ხელი მოხვია და ძალით მოისვა გვერდით.

ზაზამ აღარ იუარა, ხურჯინიდან დეიდა ქეთევანის ამოყვანილი ყველი ამოიღო, რაჭული ლორი ნუნუს ნაჩუქარი ჯაყვით დათალა და საძმო სუფრას მიუმატა.

საღამოს, დაძინების წინ, მარია ივანოვნამ საბანში შეფუთნა და უთხრა:

— აბა, ჭაბუკო, გეყო ამდენი ფიქრი, დაიძინე, დილით მოსკოვში გაგეღვიძება!

ზაზას კი დილის ნაცვლად შუაღამისას გაეღვიძა. ჰო, კიდევ კარგი რომ გაეღვიძა!.. ბნელოდა, მოსკოვი არსად ჩანდა, მატარებელი არყიანებში მიჰქროდა.

ლოგინზე წამოჯდა, ჭირის ოფლი მოიწმინდა, ერთხანს ასე იჯდა, მერე დაწვა და თვალები დახუჭა. დახუჭა და მაინც სიზმრად ნახული აელანდა თვალწინ.

დიდ ტევრში იდგა ნუნუ გულხელდაკრეფილი. ზაზა თავს წაადგა. ნუნუმ ვერ იცნო, შეშინებული თვალები მიაშტერა. მერე, ტევრი კლდოვანი ზღვისპირით შეიცვალა; ნუნუ კლდის ქიმზე იდგა და ზღვას დასცქეროდა. ერთხელ კიდევ მოჰხედა ზაზას, როგორც ვისმე უცხოს. ზაზას დაძახება უნდოდა: ვერ მიცანი, გოგო? მე ვარ ზაზა! არ გაბედო, ნუნუკა, არ გაბედო!..

მაგრამ ნისლმა ჩამოიარა და ზაზას გაეღვიძა.

მატარებელი ირწევა. მგზავრები იღვიძებენ — პირსახოცები მხარზე გადაუფენიათ, პირის დასაბანად მიდიან. მეზობელ კუპეში ცალფეხა მეზღვაური ბაიანს წელავს და ბოხი, ვაჟკაცური ხმით მღერის:

„მოსკოვო, ჩემო მოსკოვო,
ჩემო მშობელო დედავ!..“

* *

სადგურზე ყველაფერი ერთმანეთში აირია. მარია ივანოვნა და ოფიცრებიც ხალხში ჩაეკარგნენ ზაზას. მარმარილოს დიდ სვეტთან გაჩერდა ბიჭი; ყველა თავის გზით მიეშურება, გარბიან, — ერთნი ერთ მხარეს, მეორენი — სხვა მხრივ.

აგერ, ხალხის უზარმაზარი ნიაღვარი სინათლისკენ მიედინება. ზაზამ თავისი ჭრელი ხურჯინი მხარზე გადაიკიდა, მშვიდი, გამოცდილი კაცის სახე მიიღო და იმ ნიაღვარს გაჰყვა. გაჰყვა და ნიაღვარმაც გაიყოლა. მერე ის ნიაღვარი მოედანზე გაიშალა, თვალდახელშუა გაჰქრა ქვაფენილზე და ზაზამ მოსკოვი დაინახა.

ვის ჰკითხოს ახლა გზა-კვალი, ან საით წავიდეს ასე თვალდახუჭულივით, ხურჯინი ხის ძირას ჩამოდგა, თვითონაც ხეს აეყუდა და გულისჯიბიდან ტანიას მისამართი ამოიღო.

თოვს, თოვს, დათოვლილი მანქანები ჩერდებიან, მგზავრები სხდებიან შიგ და ისევ მისრიალებენ.

უცებ ზაზას მახლობლად კოხტა მსუბუქი მანქანა გაჩერდა. მემანქანემ ჭრელ ხურჯინს დაადგა თვალი—მანქანის კარს აღებს და იღიმება.

— ჩაჯექი, ბიჭუნი, ჩაჯექი!

მერე, მისამართი გამოართვა, გზადაგზა წაიკითხა და უკანმოუხედავად შეეხმიანა:

— ოჰოო, პროფესორ სმისლოვთან ხარ სტუმრად, ბიჭუნი?!

ზაზას არც გაუგონია, — ხურჯინი ლაჯებში ამოიდო და დაფეთებული თვალები მანქანის სარკმელში გაუფრინდა.

მანქანამ დიდ მოედანზე წრე შემოხაზა და ისევ პირდაპირ გასრიალდა.

— აი, ესეც კრემლი! — გაიბადრა მემანქანე, — შეხედე, ბიჭუნი, შეხედე! პირველად ხარ, რა თქმა უნდა, მოსკოვში!

ზაზამ მარჯვენა სარკმლისკენ გადინაცვლა საჩქაროდ.

უჰ, რა ლამაზია, რა მაღალი! გუმბათიდან უზარმაზარი ვარსკვლავი იყურება შუქიანი თვალებით. თოვს, თოვს, ყველაფერს ათოვს, იმ ვარსკვლავთან კი თოვლი ფეხს ვერ იკიდებს, და... ბრწყინავს იგი თავისივე მზეში...

• •

პროფესორ სმისლოვის ოჯახში დილიდანვე შეკრებილიყვნენ ახალგაზრდები. ოთახებში ჯგუფ-ჯგუფად დაფანტულიყვნენ და მხიარულობდნენ. ერთნი როიალს მისხდომოდნენ, მეორენი ჭადრაკთან ჩაფიქრებულიყვნენ, სხვანი კუთხეში მიმდგარიყვნენ და, სხვისთვის რომ ხელი არ შეეშალათ, ჩურჩულებდნენ.

ტანიას ხავერდის ცისფერი კაბა ეცვა და, როგორც მასპინძელს შეჰფერის, ჯერ ერთ ჯგუფთან ააციმციმებდა თავის კაბისფერ თვალებს, მერე მეორეში გაიკამათებდა, ახლა მესამეში გაიკისკისებდა და ბოლოს კვლავ პირველს მოინახულებდა.

ერთ კუთხეში მეცნიერებისთვის იკლავდნენ თავს, მეორეში ხელოვნებას შეჰფოფინებდნენ, ხოლო მესამეში თოფ-ზარბაზნის მზეს ლოცულობდნენ.

— ტანია, ტანია! — გამოსძახეს მესამე ოთახიდან, — გთხოვთ, ტანია, გთხოვთ! — ეს ვაუბატონი ბრძანებს, — კაპასობდა მაღალი, ხმელ-ხმელი, სათვალეებიანი ჭაბუკი, — დიახ, იმას ვამბობდი, ტანია, ეს ვაუბატონი ბრძანებს, რომ ქვეყნიერებაზე...

დერეფანში ელექტროზარი აწკრიალდა.

— მიხედეთ. მე არ მცალია! — წარმოთქვა ტანიამ და სამი ზოლებიანი კოსტუმი კარებს მიეფარა.

ტანია მესამე ოთახისაკენ გაემართა. შუა ოთახში გოგონების ჯგუფს გაუღიმა გავლით. აქ საუბარი იყო იმაზე, თუ რომელმა ერმა რა მისცა კაცობრიობას, ვინ მეტი და ვინ ნაკლები. ვიღაც ქართველ ხალხს ახსენებდა.

ტანიას ლიახვის პირმა გაუელვა თვალწინ, მერე დღევანდელი საღამო გაახსენდა და გოგონებს მიუახლოვდა.

— ქართველები, — თქვა ტანიამ, — მე ძლიერ შემიყვარდა, ძალზე ნიჭიერი ხალხია, აი, ამ საღამოს თქვენ ნახავთ...

— ტანია, ტანია! — არ ეშვებოდნენ მესამე ოთახიდან. ჯერ მკვირცხლი, პირყვითელი ბიჭუნა გამოვარდა, მერე სხვებიც გამოიშალნენ გუნდად.

— მე ვლაპარაკობ მგონი! — უთხრა მათ ტანიამ და წარბი შეიკრა, — მას საშინლად სძულდა, როცა სიტყვას აწყვეტინებდნენ. —

ქართველები ძალზედ ნიჭიერი ხალხია, — განაგრძო ტანიამ და პირი გოგონებისაკენ მიიღო, — ამ საღამოს თქვენი თვალით ნახავთ ჩემი ქართველი მეგობრის საკმაოდ დიდ ტილოს და დარწმუნდებით ჩემი ნათქვამის სისწორეში. არსებობს აზრი, რომ ამ ნამუშევარს პირველი პრემია მიეკუთვნება.

ტანიას ძლიერ უყვარდა ტერმინი — „არსებობს აზრი“ და მას მეტი დამაჯერებლობისათვის ხმარობდა.

— ჰო, მართლა, დავიშალოთ! — თქვა სათვალეებიანმა ჭაბუკმა, — თორემ საღამოს ექვს საათზე პიონერთა სასახლეში ვართ წასასვლელი. დღეს ხომ სამხატვრო გამოფენის გახსნაა!

— მოითმინეთ, მოითმინეთ, ნუ აჩქარდებით, ჯერ ადრეა! მე სტუმარს მივხედავ და გეახლებით ამ წუთში...

დერეფანში ტანიას ისინი შემოეფეთნენ, ვისაც ხუთიოდე წუთის წინ სტუმრის „მიხედვა“ დაავალა.

— არ მოდის! — შესძახეს ერთხმად.

— ვინ არ მოდის?!

— სტუმარია, უცხოა ვიღაც, უცნაური ბიჭი ჩანს, ბევრი ხალხიაო, არ შემოვალ, ტანიას სთხოვეთო.

ტანიამ ჭაბუკები უპასუხოდ დასტოვა და, საპარადო შემოსასვლელში რომ გავიდა, ყველა ოთახში გაიგონეს ორი სიტყვა:

— ზაზა!

— ტანია!

ორიოდე წუთის შემდეგ სასტუმრო ოთახში ფეხსაცმელებდათოვლილი, წაბწამებზეც ფიფქდაყრილი და ოდნავ დაბნეული მთის ჭაბუკი უხერხულად ართმევდა ხელს ახალგაზრდებს. ტანია ხან ზაზას შესცქეროდა, ხან ამხანაგებს.

— იცნობდეთ, იცნობდეთ! ჩემი ქართველი მეგობარი — ზაზა მესხი.

• •

ახალგაზრდები ნელი-ნელ გაიკრიფნენ. ბოლოს ტანია და ზაზა მარტო დარჩნენ, ერთმანეთი მოიკითხეს, გაიხსენეს ლიახვის ვერხვები, მარმარილოს სვეტებში ჩამდგარი პატარა სახლი, მაშინდელი სიხარული და ერუანტელი. მერე ტანიამ ჰკითხა:

— როგორ მოგწონს მოსკოვი?!

— კარგია! — მიუგო ზაზამ.

— ჰო, მართლა, დეპეშა რად არ გამომიგზავნე, სადგურზე დაგხვდებოდით! ნუნუ და ნოდარი როგორღა არიან?

— კარგად. — მიუგო ზაზამ და დამუნჯდა.

„შესცივდა ალბათ, ვერ არის კარგად, ნამგზავრია, დაღლილი იქნება“. — გაიფიქრა ტანიამ.

— ზაზა, პიონერთა სასახლეში წასვლამდე სამ-ოთხი საათია კიდევ, — დაწექი და მოისვენე! ცუდად ხარ, გეტყობა!

— ტანია, შორს არის სასახლე?! კიდევ ერთი ნამუშევრის დამატება მინდოდა, თუ მოხერხდება!

— რატომ არა, რატომ, მე მგონი მოხერხდეს. მაშ, გავემზადოთ! — თქვა ტანიამ და მეორე ოთახში გავიდა ჩასაცმელად.

დერეფანში ზარმა დაიწკრიალა. ოთახში მაღალი, სანდომიანი სახის ჭაღარა კაცი შემოვიდა.

ეს ალბათ მამაა ტანიასი, პროფესორი სმისლოვი, — გაიფიქრა ზაზამ და წამოდგა.

პროფესორი, ეტყობოდა, კარგ ხასიათზე იყო; დიდი ნაბიჯებით მოაბიჯებდა და ღიღინებდა. ოთახში უცხო ჭაბუკი რომ შენიშნა, ღიღინი შესწყვიტა, შედგა და აათვალიერა.

ზაზა აიწურა, მისალმება დააპირა, მაგრამ პროფესორს გაოცება ღიმილით შეეცვალა და ხელები გაშალა:

— ოო, გამარჯობათ მეგობარო, გამარჯობათ! როდის ჩამობრძანდით, ხომ კარგად იმგზავრეთ, რა ამბავია საქართველოში?!

ზაზას პირველად გაუკვირდა, მერე მიხვდა, სურათით იცნო პროფესორმა.

— მიხარია, მიხარია, რომ ჩემს ოჯახში გხედავთ! მოხარული ვარ თქვენი მეგობრობისა, ტანიას ძლიერ უყვარხართ... ჰო, მართლა ტანია სადღაა? განა სტუმრის ასე მიტოვება შეიძლება?!

მეორე ოთახიდან ტანია გამოვიდა, — კაბა გამოეცვალა; მამა შუბლზე ეამბორა, მეგობრებს შუაში ჩაუდგა, ხელი გადაჰხვია და მოიბოდიშა:

— აბა, მეგობრებო, იმედი მაქვს ერთ საათს მაჩუქებთ, — საჩქარო

ლავალება მაქვს, გაერთეთ, არ მოიწყინოთ, შემდეგ კი — თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

— მამი, ჩვენ სასახლეში მივდივართ, ზაზას სურს მოასწროს ერთი ნამუშევრის დამატება. ჰო, მართლა, მამი, ხომ წამოხვალ გამოფენის გახსნაზე?! განა არ ნახავ ზაზას ნამუშევრებს?!

— ვეცდები, შვილო, ვეცდები! — გაიღიმა პროფესორმა. მერე ჩაფიქრდა და დაუმატა:

— უსათუოდ, კარგებო, უსათუოდ! აბა, თბილად ჩაიცვით, თოვს გარეთ, არ გაცივდეთ!

• •

იმ საღამოს ზვარეთის თემშიც თოვდა განუწყვეტლივ. სარკმლებს მიაბჯინა და ალაგ ცხენოსნის სიმაღლეზე დათოვა. შეღამდა. თოვდა და თოვდა. ყორეზე შაქარა გადმობობღდა, ბებერ ღოღნოშოზე შარვლის ტოტი გამოედო, კისერში ჩაყრილი თოვლი უსიამოდ ამოიბერტყა და საჩქაროდ თქვა:

— აბა, გავიქცეთ!

დაუშვილმა უკვე იცოდა, რომ უნდა გაქცეულიყვნენ, მაგრამ ასეთ თოვლში არც ისე ადვილი იყო გაქცევა, ოციოდე ნაბიჯზე გასტოპეს, შარაგზიდან მარჯვნივ გადაუხვიეს და გორაკზე დიდ მუხებს მოეფარნენ.

სული რომ მოითქვეს, შაქარამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ თქვა — გოგიაც ეხმარებოდა.

— ცუდადაა, ძლიერ ცუდად, კინაღამ ვიტირეთ, ჰო, შალვა დამრიგებელი და დირექტორიც იქ დაგვიხვდნენ; სანახავად იყვნენ მისულნი, წამოსვლა რომ ვთქვით, ისინიც წამოდგნენ, ჩვენ წინ გამოვასწარით და პირდაპირ გადმოვჭერით ეზო, თორემ ჭიშკართან შეგეფეთებოდნენ უსათუოდ...

გაჩუმდნენ. ფიქრმა და დუმილმა ჩამოიარა. თოვდა განუწყვეტლივ...

— დეიდა ელისაბედი ტიროდა... — დაიწყო შაქარამ.

— ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიცი! — ვეღარ მოითმინა დაუშვილმა, ყელში მოებჯინა რაღაც და, პირველად თავის სიცოცხლეში, დამნაშავედ, საძაგლად, თანაც უბედურად იგრძნო თავი.

ქვემოთ ზვარელების სველმა ჭიშკარმა გაიჭრიალა და თოვლიან შარაში მკრთალად გამოანათა დეიდა ელისაბედის ფარანმა. მერე ისევ მიიხურა ჭიშკარი და ჩაფიქრებული შალვა დამრიგებელი წინ წაუძღვა დირექტორს.

ბიჭები სდუმდნენ. შაქარას და გოგის სახლში წასვლა ეშურებოდათ, ნოდარს კი არსად ეჩქარებოდა.

გზა-კვალი აებნა დაუშვილს, გზა-კვალი. ლამის მთელი მეოთხედი ვაუცდა. გალურჯდა ამდენი ფიქრით. არ უყვარდა ფიქრი მაინცდამაინც ნოდარს, მაგრამ ახლა... მოდი და ნუ იფიქრებს, თუ ბიჭია! დრო იყო და, პატივს სცემდნენ, მეგობრობდნენ, აფასებდნენ. ყოველ შემთხვევაში თავს ასე აჩვენებდნენ. ახლა აღარც მეგობარი, აღარც ამხანაგი! სკოლაც დაჰკარგა და ახლობლებმაც ხელი ააღეს. ცუდი არავის უნდა! სახადიანივით ერიდებიან; გზაზე არავინ უჩერდება — სალაბს დაუტოვებენ და ჩაუვლიან.

არა, ძმისშვილის მზეს ფიცულობდა, სხვა საფიცარი არც ჰქონია... მამიდამაც რომ დაიწყო საყვედურები.

იმ დღეს მამიდას ხელით გამოუგზავნა ფოსტალიონმა უწყება; კომკავშირის რაიკომში იბარებდნენ ონს. არ წავალო, გაჯიუტდა ნოდარი. მაშინ იყო, რომ ვეღარ იცნო დაუშვილმა გაცეცხლებული მამიდამისი: არ წახვალ და, სადაც გენებოს იქ მიბრძანდი, აღარ მინდებხარო... მერე ატირდა: წადი, შვილო, თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, წადი — ბოდიში მოუხადე რაიკომის მდივანს — კომკავშირშიც მიგიღებენ, სკოლაშიც დაგიშვებენ და... ქვეყანაზე არაფერიაო გამოუსწორებელი...

კომკავშირის რაიკომში ერთი ფაციფუცი იდგა. რაიკომის მდივანი კარგ ხასიათზე იყო, ხრიხონელ მოწაფეებს რაღაც სიგელებს ურიგებდა; ხელს ართმევდა და იღიმებოდა. დაუშვილი გამოცხადდაო, რომ მოახსენეს, სულ გაუქრა ღიმილი. საქმეები საჩქაროდ ჩამოათავა, გამოუძახა ნოდარს და კაბინეტის კარი ჩაიკეტა.

დაუშვილს თავისდაუნებურად ისეთი საბრალო სახე ჰქონდა, რომ იგრძნობოდა დიდი სინანული. ამიტომ რაიკომის მდივანს მრისხანე გამომეტყველება დიდხანს არ გაჰყოლია და ათიოდე წუთის შემდეგ მეგობრულ რჩევებზე გადავიდა. ის ძლიერ იყო ნაწყენი კომკავშირის ზვარეთის ორგანიზაციაზე. ზაზა სამაგალითო ახალგაზრდაა, მტკიცე კომკავშირელი, კარგი ორგანიზატორი და ეს ამბავი ჩემს ყურამდე უნდა მოეწვდინა — სრულიად შემთხვევით გავიგეო. როგორც კი ჩამობრუნდება მოსკოვიდან, გადაეცი ჩემთან შემოიაროსო...

გამართლდა მამიდას წინასწარმეტყველება: რაიკომის მდივანმა იქვე, კაბინეტში მოაგვარა საქმე — ტელეფონით დაუკავშირდა ზვარეთს, და სკოლის დირექტორს ნოდარის აღდგენა სთხოვა. კარგახანს ისაუბრეს. რაიკომის მდივანი რაღაცაში არწმუნებდა; თავდები მე ვიქნებიო, — რამდენჯერმე გაიმეორა, თან თვალს არ აცილებდა მაგიდის წინ უხერხულად აწურულ ნოდარს.

„მაწ ზაზას არ დავუსმენივარ, სხვისი პირით გაუგიათ რაიკომში...

ზაზა მოსკოვს ყოფილა“. სიხარულისაგან გაბრუებული დაუშვილი მამიდასას აღარ წავიდა, თოვლიანი სერები გადმოსტოპა, ზვარეთს გადმოვიდა, შალვა დამრიგებელი ინახულა მალულად, მოიბოდიშა, შეწყალება და დახმარება სთხოვა, მერე შაქარა და გოგია დაიყაბელა და, აი, იმ საღამოს ნუნუსთან შეჰგზავნა ამბის გასაგებად.

შესვლის წინ მოილაპარაკეს: მდგომარეობა უნდა მოესინჯათ და ნოდარისათვისაც ეხმოთ ნუნუსთან ბოდიშის მოსახდელად. ბიჭები კი არ ჩანდნენ. მაშინ დაუშვილი ფეხაკრეფით შევიდა ეზოში, მერე აივანზე შეიპარა და ფანჯრიდან ჩაიხედა.

ნეტამც არ დაენახა მკვდრისფერი სახე ნუნუსი! ფეხზე რომ აიშალნენ, ელისაბედმა თქვა: დამღუპაო ნოდარმა, დამღუპაო...

თოვს, თოვს, სძინავს სოფელს და თოვს დუმილში. მუხის გაფარჩხულ ტოტებში გამოპარული ფთილები კისერში აცვივათ ბიჭებს და თოვს.

შაქარა აბუზღუნდა:

— ფეხსაცმელი დამისველდა, ნეტა რად ავიტკივე თავი!..

წავიდეთო სახლებში, თქვა გოგიამაც.

შაქარამ და გოგიამ უკანმოუხედავად გაალაჯეს ზვარელების უბნისაკენ, დაუშვილი ერთ ხანს ისევ მუხის ქვეშ იდგა გალენჩებული, მერე აღმართს შეუდგა, — თვითონაც არ იცოდა საით! მიდიოდა თავჩაქინდრული, მძიმედ, წელგათრეულივით და აღარაფრის ფიქრის თავი არ ჰქონდა.

საღამოს ექვს საათზე სმისლოვების მანქანა პიონერთა სასახლის წინ გაჩერდა. მანქანიდან პირველი ტანია გადმოხტა. მერე — პროფესორი, ბოლოს — ზაზა გადმოვიდა, სასახლის კიბეებზე რომ ააბიჯა, ზაზას გული შეეკუმშა, აქამდე თითქოს სხვა საფიქრალი მეტი ჰქონდა, ახლა კი, ჰაუ, რამდენი ხალხი მოსულა! დიდი და პატარა ერთმანეთში ირევა, ლამის არი, უფროსები მეტი არიან... ამდენი თვალი შეხედავს, გაზომავს, ასწონის და... ვაითუ...

სასახლის დირექტორმა პატარა მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა; მოსკოველ მოწაფეებს შინაარსიანი არდადეგები უსურვა, სტუმრებს მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნება რესპუბლიკებში, და გამოფენა გახსნილად გამოაცხადა.

პირველი დარბაზი უცებ გაივსო ხალხით, ისე რომ გვერდს ვერ აუვლიდა კაცი, მერე თანდათან შეხალვათდა, მეორე დარბაზში გავიდა ნაწილი.

ტანიამ ხელი ჩაჰკიდა ზაზას და მარჯვნივ გაიყვანა.

აქ მოსკოველი, ლენინგრადელი და უკრაინელი მოსწავლეების ნამუშევარი იყო გამოფენილი.

„ზოიას პორტრეტი“, „ძველი მოსკოვი“, „სალამო ნევასთან“... ზაზა თვალებით სვამს ნახულს, ზომავს, წონის, თავისას ადარებს და უკმაყოფილოა თავისი ნახატებით.

განზე გამდგარან უხუცესი მხატვრები და ერთ სურათს მიშტერებიან.

„უჰ, რა შესანიშნავია“ — გაიფიქრა ზაზამ, მერე წარწერას დაადგა თვალი; „კრემლი, მაისი“ — აწერია სურათს.

რიჟრაჟი, მზე ჯერ არ ამოსულა, კრემლის ვარსკვლავის შუქი დასავლეთს მიჰფენია, მერცხლისა და შროშნის გუნდები მოლივლივებენ კრემლის გუმბათისაკენ.

„არა, რა შედარებაა, — ფიქრობს ზაზა, — სად ჩემი სურათი და სად ეს... მართლაც რომ ბრწყინვალეა!“

— შესანიშნავია! — ამბობს ჭაღარაგარეული, ულვაშიანი კაცი, — უსათუოდ ნიჭიერი ჭაბუკია სოლოვიოვი.

ხალხი მიდის და მაინც დგას, ბრუნავს დარბაზებში. გუნდ-გუნდად ჩერდება, გამოსთქვამს რომელიმე აზრს — აჰყვებიან სხვები, შეეკამათებიან...

— ზაზა, ასე ჩვენ მთელ კვირას ვერ მოვასწრებთ ყველაფრის დათვალიერებას! წამოდი ჩემთან, წამოდი!

ტანიამ ძალით მოაცილა ზაზა იმ კუთხეს. აი, შუა-აზია გაიშალა მთელს კედელზე, აი, ბელორუსეთი და კავკასიაც.

ეს რაღაა ნეტა?! — ოცდაათი ქალი და კაცი, ამდენივე ჭაბუკი და ქალიშვილი ერთ კუთხეს მისევია.

ეს ხომ ცნობილი მხატვარი გერასიმოვია, წრეში რომ დგას და კედელს მიშტერებია.

— ზაზა, — წაიჩურჩულა ტანიამ, — შენი სურათებია მგონი, აბა მოდი!

მარცხნივ „ლახტური“ აწერია სურათს, მარჯვნივ „მთის დედოფალი“. — დიახ, მთის დედოფალი... ხარებს მიუძღვის კლდეში ფერმკრთალი გოგონა, მარჯვენა ხელი საბელზე უკიდია, მარცხენა მკერდზე მიუდევს — თავზე მთის-ბილილისა და ანა-გვირილას გვირგვინი ადგას, შორს თეთრ მყინვარებში მზე კვდება და იისფერი სისხლისფერს ერევა.

წრეში ჩამდგარმა კაცმა რამდენიმე ხანშიშესულ კაცს უხმო; უყურეს, უყურეს, მერე ხალხს გადახედეს — ბოლოს ისევ პირველმა დაასვა ბეჭედი:

— საოცარია, ბრწყინვალეა! მაგრამ...

— დიახ, დიახ, სერგეი ლუკიჩ, — არ დააცალა მეორემ, — გეთანხმებით, გეთანხმებით, თქვენ გინდოდათ გეთქვათ, რომ საიდან ასეთი კონტრასტი, ასეთი დიდი სიცოცხლე პირველში... აი, რა ჰქვია? ჰო, „ლახტური!“ და ასეთი ცრემლი მეორეში!..

პროფესორი სმისლოვი, რომელიც გერასიმოვთან და მის კოლეგებთან იდგა, მობრუნდა და თვალებით დაუწყო ძებნა ტანიასა და ზაზას.

გერასიმოვის კოლეგამ კი განაგრძო:

— ნეტა დამანახა ავტორი, მე გადავკოცნიდი მას, მაგრამ მაპატიოს თუ ვეტყვი, რომ ეს ლამაზი გოგონა სასიკვდილოდ გამზადებულს უფრო ჰგავს... იგი კვდება და სწუხს თითქოს...

უკან დაიხია, ერთხელ კიდევ გახედა ტილოებს, კიდევ დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ უცებ დარბაზში ხმამაღალი ჩოჩქოლი გაისმა.

კედელს მიხვეული ხალხი ერთი კაციანით შემობრუნდა უკან. ზაზა მთვრალივით წაბარბაცდა, მერე ზურგი აქცია ხალხს და გასასვლელისაკენ გაიქცა.

* *

გვიან, ღამით სმისლოვების ოჯახში ყველაფერი გამოირკვა. როცა მისი სტუმრის ვინაობა გაიგეს, სასახლიდან პროფესორს რამდენიმე გაოცებული მეგობარი გამოჰყვა.

ტანიას ცრემლი მოებჯინა ყელში.

— განა ასეთი იყო ნუნუ ლიახვისპირზე, გორში?! ზაზა, ნუთუ მართლა ის გყავს იმ ტილოზე?!

ზაზას აღარ უტირია, წარბი შეჰკრა, ვაჟკაცურად დაიჭირა თავი, ერთ ხანს სდუმდა, მერე პროფესორს და ყველას, ყველას, ვინც იქ იყო, უთხრა:

— გავიგე, რომ ჩვენმა მეცნიერებმა აჯობეს ჭლექს, მე წამლისათვის ვარ ჩამოსული... დაგვეხმარეთ, აჩუქეთ სიცოცხლე ჩვენს მეგობარს...

მერე ტანიაც ჩამოეკიდა მამას კისერზე:

— მამიკო, შენ შეგიძლია გვიშველო! აი, ჩვენ ორივენი გთხოვთ, გემუდარებით...

* *

ახლა ყველას სძინავს, პროფესორი მარტოა თავის სამუშაო ოთახში და თამბაქოს ბოლში იღრჩობა.

ცხრაჯერ ცხრა ფეხი გაქვს, შავო სიკვდილო, ცხრა ფეხი მარტო ჭლექისაა! ჰეი, სიკვდილო, ცხრამეტი წელიწადი გებრძოდა პროფესორი სმისლოვი და ხომ მოგამტვრია ცხრა ფეხი მეოცე წელს! მოკვდი, ჭლექო, მოკვდი! იცოცხლე, ხალხო, იცოცხლე! მაგრამ...

მაგრამ რა?!

მაგრამ ის, რომ ჯერ ხომ მასობრივი წარმოება არ დაწყებულა სმისლოვისა და ბოგოლიუბის მიერ დამზადებული პრეპარატისა!

პროფესორმა ისევ მოუკიდა პაპიროსს, გახდა დააპირა; ღამის ორი საათია უკვე, დაიღალა საშინლად, დაიღალა პროფესორი, დაიძინებს და მერე... ხვალ, ზეგ იფიქრებს...

სამუშაო ხალათი გაიხადა და საწოლზე ჩამოჯდა, მაგრამ... თვალწინ ისევ ის მკვდარი მზე აელანდა; ცის დასავლეთზე სისხლისა და იისფერი ერთმანეთს გაერია, მერე მთის ბილილისა და ანა-გვირილას გვირგვინქვეშ გოგონას ფერმკრთალი ხელი დაინახა — მკერდთან მიტანილი...

წამოხველებას თუ აპირებდა გოგონა და მისთვის მიიტანა ხელი მკერდთან...

პროფესორმა საფეთქლები მოისრისა და ისევ ჩაიცვა ხალათი. ახლა ეს ბიჭი დაუდგა თვალწინ, ცხრა მთა რომ გადმოიარა, მოსკოვს რომ მოადგა იმედიანი; აი იქ, მესამე ოთახში რომ წევს ახლა და ვინ იცის სძინავს თუ არა!

პროფესორმა რაღაც გადასწყვიტა! საჩქაროდ წამოდგა ზეზე, კვლავ გაიძრო სამუშაო ხალათი, კოსტიუმი გადაიცვა და ელსმენთან მივიდა:

— გესმით? ივან ლუკიჩი გააღვიძეთ, პროფესორ სმისლოვს სურს ინახულოს იგი თავის ბინაზე...

ხუთიოდე წუთის შემდეგ მანქანა მოსრიალდა საპარადო შემოსასვლელთან. გაკვირვებული მემანქანე კიბეებზე შემოეგება პროფესორს.

* *

გვიან დაეძინა და ადრე გაეღვიძა ზაზას. მარტო იწვა ოთახში. მიუგდო ყური, — ჩამიჩუმი არ ისმოდა მეზობელ ოთახებში.

ადგომა დააპირა, მერე მოცდა ამჯობინა ტანიას გაღვიძებამდე, — ჯერ კიდევ ბნელოდა.

გუშინდელი დღე გაახსენდა ზაზას, — გული შეეკუმშა. არა, რისთვის მოეხეტებოდა ზაზა მოსკოვისაკენ, რად დატოვა ნუნუ უკანასკნელ დღეში... ვეღარც ნუნუს უშველა და გამოფენაზეც შერცხვა...

ზაზა ლოგინზე ჩამოჯდა, საჩქაროდ დაიწყო ჩაცმა, — აღარაფერი დარჩენია მოსკოვში, ამაღამ უსათუოდ გაემგზავრება საქართველოში.

დერეფანში გამოვიდა და სარკმლიდან გახედა ქალაქს. თოვს, თოვს განუწყვეტლივ. უკვე კარგად ინათა. გასაქერის სარკმლიდან, უძილარი თვალები მოჟუტული აქვს და სცხელა, — ტკინში ათასი ჭიანჭველა დაფუსფუსებს.

უცებ მეზობელ ოთახიდან პროფესორი გამოვიდა. ზაზა მობრუნდა და სალმისათვის გაემზადა, — მშვიდად უჭირავს თავი და ბოღმას არ იმჩნევს.

— დილა მშვიდობისა, ზაზა. — თქვა პროფესორმა, ბიჭს შუბლზე აკოცა და თვალებში ჩახედა:

— აბა, სტუმარო, დაგვიანების დრო აღარ არი, ყოველი წუთი ძვირფასია, — დღესვე უნდა გაემგზავრო საქართველოში!

ახლა ტალანებში გასძახა მეუღლეს:

— ტანია გააღვიძეთ, ტანია, ახლავე! — მერე ზაზას მოუბრუნდა.

ბიჭოს! იღიმება პროფესორი, გუშინდელი დაღლილობა სრულიად აღარ ეტყობა, თვალები უცნაურად გაჰბრწყინებია, კმაყოფილია, გახარებული, ჩქარი ნაბიჯით გაიარა დერეფანი და ბრძანება გასცა:

— საუზმე მოამზადეთ! მატარებელი შუადღისას გადის, აბა, ჩქარა!

ზაზას უფრო მეტად შეეკუმშა გული; არა, რა უხარია პროფესორს, იქნებ ის, რომ ასე მალე ისტუმრებს სტუმარს, წავა ზაზა, წავა, თვითონვე უნდოდა განეცხადებია წასვლის შესახებ, მაგრამ დაასწრეს...

საუზმის შემდეგ პროფესორი სადღაც დაიკარგა. წასვლის წინ მეუღლეს ეჩურჩულებოდა. ზაზამ ორ სიტყვას მოჰკრა ყური მხოლოდ: ყოველ შემთხვევისათვის, გადითო სადგურზე... ტანიას დედამ კი ხურჯინი გაამზადა, შიგ საგზალი ჩაუწყო: ნამცხვარი, ძეხვი და კონსერვები.

სადგურისაკენ რომ მისრიალებდნენ, ტანია დარცხვენილი იჯდა მანქანაში. ხმა არ გაუცია ზაზასთვის, ზაზაც სდუმდა და არ იძროდა, მარტო კრემლთან გახედა მანქანის სარკმელს — საოცარია, ახლა თითქოს უფრო ბრწყინავდა კრემლის ვარსკვლავი...

მატარებელში რომ ჩასხდნენ, ზაზამ სულ დაკარგა იმედი და უფრო მოიწყინა.

პროფესორს მაინც გამოვთხოვებოდიო, უთხრა ტანიას.

პროფესორის მეუღლე მალიმალ იყურებოდა სარკმელში, თითქოს ვისმეს ელოდებოდა.

საოცარია, მარტო ტანიაა მოწყენილი, დღეს პროფესორიც კარგ ხასიათზე იყო და მეუღლეც არაა ცუდ ხასიათზე, ერთი კია, რომ შფოთავს და თვალები სადგურის ბაქნისაკენ მიექცა. ჩანს ყველას ეჩქარება ზაზას გამგზავრება, ტანიას გარდა!

ხუთი წუთი აკლდა მატარებლის გასვლას, როცა ტანიას დედა ფეხზე წამოვარდა.

— აბა, ჩავიდეთ ძირს! ჩანს მამას დააგვიანდა, ბაქანზე დავუცადოთ, იქნებ მოგვისწროს! — მერე ხურჯინს ხელი დაავლო და ახალგაზრდებს წინ გამოუძღვა.

ჩამოსასვლელთან მატარებლის გამცილებელი მიეხმარა, ხურჯინი გამოართვა და ბაქანზე დიდ სვეტთან ჩამოდგა.

— რაშია ნეტავ საქმე! — გაიფიქრა ზაზამ, — ალბათ სხვა მატარებელში მოვხვდით. — შეკითხვას მოერიდა, ისე შეათვალიერა დედაშვილი.

უცებ პროფესორის მეუღლეს შუბლი გაეხსნა და სიხარულით წამოიძახა:

— მოდის, მოდის!

ბაქანზე პროფესორის ნაცნობი ფიგურა გამოჩნდა, მოდიოდა უზარმაზარი ნაბიჯებით, მარჯვენა ხელს უხერხულად იქნევდა და ხალხს გვერდს უვლიდა, მარცხენა ხელში რაღაც შეკვრა ეჭირა.

მეუღლე ათიოდე ნაბიჯზე შეეგება და რაღაც წასჩურჩულა. პროფესორმა ჩურჩულითვე დაუქნია თავი. მერე საჩქაროდ მოვარდნენ ორივენი.

— აბა, ავიდეთ! — თქვა პროფესორმა და ხურჯინს ხელი დაავლო. უკანასკნელი ზარი დაირეკა. ორთქლმავალმა შეჰბღავლა. ზაზა კიბეზე ავარდა. პროფესორმა ხურჯინი მიაწოდა, მერე ის შეკვრაც — ხელში რომ ეჭირა, და ბაქანიც აზრიალდა...

მშვიდობით, მშვიდობით...

რონოდების სარკმლებიდან ცხვირსახოცები ფრიალებენ, ბაქნიდან ხელებს უქნევენ, პროფესორი მატარებელს მისდევს და ხალხის გუგუნში გაოგნებულ ბიჭს ძლივს ესმის მისი სიტყვები:

— წამალი მეტია, ვიდრე საერთოდ საჭიროა, ქაღალდში ყველაფერი ჩავწერე, ექიმი წაიკითხავს და იხმარს ისე, როგორც წერია! ნახვამდის, ზაზა, ნახვამდის, იცოცხლეთ, პატარა მეგობარო, იცოცხლეთ!

მერე ყველაფერი თვალს მიეფარა და ნახევრადშეშლილმა ზაზამ ძლივს მიაგნო თავის ადგილს.

...სამი დღე სამი ზამთარივით გაგრძელდა, მეოთხემ შავი ზღვისპირს ინათა და მეხუთე საირმეზე გადმოდგა.

* *

მთები, მთები, თეთრი და მაინც იისფერი მთები. ჭალაკიდან სარკმელი მთებს გასცქერის. სარკმელთან ხათუნა ზის და წიგნს უკითხავს ნუნუს.

— ხათუნი, — ამბობს ნუნუ, — მერამდენე დღეა დღეს?!

ხათუნა თითებზე ითვლის და ამბობს:

— მეათეა, ნუნუკა, მეათე!

— ხათუნი, აბა შემომხედე! ხომ კარგად ვარ?!

— კარგად, ნუნუ, კარგად, ცუდად რად უნდა იყო! — ამბობს ხათუნა და თვალს არიდებს.

— მატყუებ, დაო, მატყუებ, გული გინდა გამიკეთო განა?!

გვერდით ოთახში ელისაბედი წინდას ქსოვს დედის იმედისათვის.

— დაო ხათუნი, წადი დეიდა ქეთევანთან...

ხათუნა ფეხზე წამოდგა. იცის დობილმა რას ნიშნავს დეიდა ქეთევანთან წასვლა. განა ნახევარი საათის წინ კი არ წავიდა?! წავა ხათუნა, როგორ არ წავა! თავშალი მოიხვია და ის იყო კიბეებზე ჩასვლა დააპირა, რომ ვიღაცამ შარაგზაში ხელბარგი მოისროლა და ყორეს გადმოევლო.

— გოგო ხათუნი, გამარჯობა დაო, გამარჯობა, ნუნუ როგორ არის, ხათუნი, ნუნუ!

ბიჭი აივანზე ამოვარდა. დეიდა ელისაბედი ხელგაშლილი და გულამომჯდარი შეეგება:

— შვილო ზაზა, როგორა ხარ!

— მოვიტანე, დეიდა ელისაბედ, მოვიტანე! ნუნუ მაჩვენეთ!

ზაზა ახლა იმ ოთახში შევარდა, სარკმელი რომ კახაბლებისაკენ იცქირება ზამთარ-ზაფხულ.

— მოგიტანე, მოგიტანე!

ნუნუ ლოგინზე წამოჯდა და ხელები გაიწოდა ზაზასკენ.

— მოგიტანე, ნუნუკა, მოგიტანე!

ოთახი მეზობლებით გაივსო ერთ წამს.

ზაზამ უბიდან შეკვრა ამოიღო და ატლასის საბანზე დადო ფრთხილად.

— სიცოცხლე მოგიტანე, ნუნუკა, სიცოცხლე!

ეპილოგი

აპრილი რომ გაიბუმბლება, მაშინ მიყვარს ზვარეთის თემი. მთები, თეთრი და მაინც იისფერი მთები... ტყისპირ მწარე ბლები იცინიან და იფურცლებიან ღოღნოშოები.

სოფლის ბოლოს რომ შემოვდექ, ახოებიდან გუთნური მომესმა. ნახნავს ოხშივარი ასდიოდა, ბოლავდა ნაზამთრი მიწა იისფრად და ყელში მიღიტინებდა გუთნისპირით გასრესილი ბალახბულახის სუნი.

საურმე გზამ ყანაში გამიყვანა, ნახნავში ტოროლები წამოვარდნენ და მზისკენ გალივლივდნენ.

გლეხკაცებს სალამი მივართვი, ტოროლებს თვალი ავაყოლე და სერზე მოხდენილი გოგონა დავინახე: კისერი არჩვივით მოეღერებინა, ჯონქა ხარებს მოუძღოდა ლაღად და იღიმებოდა. გუთანს საულვაშე ამწვანებული, თაფლისთვალა ბიჭი ჩასჭიდებოდა, ოფლი სქელ წარბებზე ჩამოჰღვენთოდა — ისიც იღიმებოდა.

ნეტა ვისი არიან აგრე კარგები, ან რად მეცნობიან ასე ძლიერ!

ნახნავში შევაბიჯე. მეგობრებმა შემნიშნეს, გუთანი შეაბრუნეს კვალში, მერე ჩემსკენ შემობრუნდნენ, ხელი მოიჩრდილეს, შეჰყვირეს და დაეშვნენ თავდაღმა.

ვიცან! ვიცან! ჩემო კარგებო, ჩემო ძვირფასებო, ან კი ისე როგორ დამიდგა თვალი! თქვენზე ვფიქრობდი, თქვენ მეფიქრებოდით მთელს გაზაფხულს... დასრულებული, გაბადრული და სისხლსავსენი მხრებზე მახვევიხართ ახლა და გიხარიათ აპრილი და სიცოცხლე...

ნახნავში ჩამოვსხედით დიდი ლოდის ნახლეჩზე და ვსაუბრობდით — აღარ კი მახსოვს რამდენ ხანს... მერე, ის იყო ადგომას ვაპირებდით, როცა მახლობლად კიდევ ერთი გუთნეული გაჩერდა და შავგვრემანი ბიჭი მოგვეახლა.

— გამარჯობათ! — თქვა მან დარცხვენით და შორიახლო გაჩერდა.

ვიცან ნოდარი.

ზაზას წალდი თხოვა — ხარმა ტაბიკი გამიტეხაო.

ვინ იცის, იქნებ არც სჭირდებოდა წალდი!

ნუნუმ მოიწვია; ჯერ ჩამოჯექ, ჩვენი მიწის კაცს, ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ავკარგის მოზიარეს მოვუსმინოთო.

ნოდარს სახეზე სიწითლემ გადაჰკრა, გაუბედავად შემომხედა — თვალებით მთხოვა რაღაც.

მივუხვდი ნოდარს, მივუხვდი! არა მიკითხავს-რა, არც რა მქონდა საკითხავი — ისეც ვხედავდი...

გახარებული წამოვდექ და დავემშვიდობე სამთავეს. გზაზე რომ გამოველ, ერთხელ კიდევ მივხედე; ირმებივით გადმოდგარიყვნენ სერზე, მხარი-მხარს მიებჯინათ, იღიმებოდნენ და ხელს მიქნევდნენ.

ბოლავდა იისფრად ნახნავი მიწა, იცინოდნენ მწარე ბლები ტყისპირ, იფურცლებოდნენ ღოღნოშოები სერი-სერ, მიგოგავდნენ ფეხადგმული ყაყაჩოები ყანისპირზე და მზეში მილივლივებდნენ ტოროლები.

გიორგი სალუქვაძე

გიორგი გრიგოლის ძე სალუქვაძე დაიბადა 1922 წელს სოფ. კოხნარში (ჩოხატაურის რ.), ღარიბი გლეხის ოჯახში. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა 1941 წელს. ამავე წელს შევიდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1945 წელს.

გ. სალუქვაძე საბავშვო პოეზიაში მუშაობს 1939 წლიდან. მისი საბავშვო ლექსების კრებული „აუკაკუნებული აკვარა" პირველად გამოვიდა 1950 წელს.

გ. სალუქვაძე მუშაობს ბათუმში, გაზ. „საბჭოთა აჭარის" რედაქციაში.

მზევინარი

— გვითხარ, გელა, მზევინარზე
რად ხარ გაჯავრებული?
— სად წაიღო ჩემი წიგნი,
სად წაიღო რვეული?

მერე განა პირველია?
ასე არის ყოველთვის.
გუშინ უმალ ჩანთას ეცა,
სკოლიდან რომ მოვედი.

მეუბნება:
— გადაშალე,
წამიკითხე ზღაპარი.
ვერ ვაჯერებ, რომ ზღაპრები
ამ წიგნებში არ არის.

— აბა ვხატოთ
კოხტა ავტო,
საქმეს მიჩენს მაშინვე.
ვეხვეწები, მომასვენოს,
ვიტირებო, მაშინებს.

თქვენ გგონიათ მეზარება —
წავუკითხო ზღაპრები?
ანდა ვხატო მასთან ერთად
ფერად-ფერად ფანქრებით?

რომ მოვიცლი, მუდამ მზად ვარ
დავუჯდე და ვუკითხო,
გაკვეთილებს რომ ვამზადებ,
სწორედ მაშინ ნუ კი მთხოვს.

და ყოველდღე რა დღეში ვარ,
ალბათ თვითონ მიხვდებით,
წიგნს ვუკითხავ, ფურცლებს
უცქერს,
არ მასვენებს კითხვებით.

აი ნახატს მოჰკრა თვალი:
ბავშვი მარტო თამაშობს,
იმწუთშივე შემაჩერა,
მკითხა, დედა სად ჰყავსო?

მისმენს, ბებომ ცელქობისთვის
ნუნუ როგორ დასაჯა.
მაწყვეტინებს:
— რად მატყუებ,
აკი ბებო არსად ჩანს!

ვნატრობ, ნეტავ ყველაფერი
ისე ამახსნევინა,
რომ შეკითხვა არ დასჭირდეს
ჩემს კუდრაჭა მზევინარს!

ალბათ ახლა ჩემი წიგნით
ზის ტოლებში, დიდგულობს.
გადაშლის და თითს აყოლებს,
თითქოს მართლა კითხულობს.

მოვა, მეტყვის:
— ძამიკონა,
აი შენი წიგნები,
აწი ხელს რომ აღარ ვახლებ,
კარგი გოგო ვიქნები?

რა უნდა ვქნა, დავტუქსავ დ•
ისევ შევურიგდები.

ჩემს მასწავლებელს

დრო ქარის ფრთასაც უსწრებს, იჩქარის,
მაგრამ ვერ მიაქვს განცდები წმინდა;
მე თქვენ გამიღეთ ბუნების კარი
და ამ ბუნების სიტურფე მზრდიდა.

როგორ მიყვარდა ხე და ჩიტები,
წიგნში ლამაზად დახატულები!
ბავშვურ ოცნების მარგალიტები:
„შავი თესლი და თეთრი ხნულები“.

საყვარელ წიგნებს ისევ ხელს ვახებ
და მოგონების სარკეში ვჩანვარ:
თითქოს ვატარებ წითელ ყელსახვევს,
წითელ ყელსახვევს და მოკლე შარვალს.

მიყვარდა მუხა ტოტებგაშლილი,
თქვენ შეადარეთ ის მშობელ მხარეს.
თქვენ შემაყვარეთ გოგებაშვილი
და „დედაენაც“ თქვენ შემაყვარეთ.

თქვენგან ათასგზის ნაალერსები,
ვისმენდი ხმატკბილ ლექსების ჟღერას
და არ მეგონა, რომ მეც ლექსებით
მოვიგონებდი იმ დღეებს ფერადს.

იმ არეს იგივ ფერი აღარ აქვს,
რამდენჯერ მოსწყდა ვარდებს ფურცელი...
თქვენც შეგპარვიათ თმაში ჭაღარა,
მაგრამ ღიმილი გაქვთ ფერუცვლელი.

ბავშვურად ძგერას გული კვლავ შესძლებს,
ლექსით აანთებს წარსულის ჩრდილებს.
ისევ ვოცნებობ იმ ნაცნობ მერხზე,
ისევ ვიგონებ თქვენს გაკვეთილებს.

მაია

ყვავილებში ჩამალულა,
ძლივსღა მოჩანს მაია.
მის პატარა ხელისგულზე
დადის ჭიამაია.

ეკითხება: — ვინ გიკერავს
ასეთ ლამაზ კაბასო,
ნეტავ დედას თუ უჯერი,
ნეტავ ხომ არ კაპასობ.

ჩემი რატომ გეშინია?
მეც ხომ მქვია მაია!
სად მიფრინავ, ჩემთან იყავ,
ჩემო ჭიამაიავ.

უშენოდაც დგება დარი,
ვარდებს გაუხარიათ.
დღესაც კარგი დარია,
ხვალაც კარგი დარია.

ყვავილებში ჩამალულა,
ძლივსღა მოჩანს მაია.
მის პატარა ხელისგულზე
დადის ჭიამაია.

რა ყვავილია?

ერთი ყვავილია
გაზაფხულზე მოდის,
მთაში თოვლის დნობას
არ დაუწყებს ლოდინს.

ხშირად ეფერება —
ძლიერ უყვარს ნიავს,
ორი ბგერით ვიტყვით,
რაც იმ ყვავილს ჰქვია.

მშვიდობის ფელი

თოვლმა კი არა, ზამბახმა
მინდორ-ველები მოჰფინა.
კაშკაშა კრემლის კოშკიდან
მშვიდობის მტრედი მოფრინავს.

გადმოვლო ლურჯი ქედები,
კავკასიონი ჭაღარა,
მოფრინდა,
მოინავარდა,
მშვიდობის დილა გვახარა.

— დილა მშვიდობის, მამულო,
მშვიდობა ნუ მოგიშალოს!
დიდება, კრემლის ვარსკვლავო,
მზიანი დარის ნიშანო!

დედისადმი

მე იავნანას შენგან ვისმენდი,
შენი ალერსი სიზმრებში მხვევდა,
არ მეგულება სიტყვა ისეთი,
რომ ედრებოდეს სინაზით „დედას“.
შენ ხშირად ისევ პატარას მხედავ,
სკოლისკენ წასულს ხელში „ანბანით“.
ადგები ღამით, მოხვალ, დამხედავ —
ხომ ახურავსო კარგად საბანი.
გამახსენდება ის ვარდობისთვე,
როცა ღიმილი შენაც გშვენოდა.
ხშირად ოცნებით იმ დღეებს მივსდევ,
ვარდი მიღიმის ყოველ ღეროდან.
და მაგონდება: ჩვენს ლამაზ ბაღში
რგავდა მამიკო მაისის ვარდებს...
ხან სიზმარში და ხან ოცნებაში
მოვა, ნაომარ ხელს ჩამომართმევს,
გადამეხვევა, მკითხავს შენს ამბავს —
ხომ არაფერი უჭირსო ოჯახს.
უკვირს, რომ შავი გაცვია კაბა
და დარდმა შუბლი დაგინაოჭა.
მახსოვს ის დილაც... რა დამავიწყებს
განცდას, ლექსიც რომ ვერ იმორჩილებს...
მოგვხვიე მკლავი არწივის ფრთისებრ,
გულში გვიკრავდი უმამო შვილებს.
შენს თვალს მოაკლდა ღიმილის სხივი,
დედაზე უტკბეს დედად მეგულვი,
მიყვარხარ უფრო, რადგან ხარ ქვრივი
მამულისათვის თავდადებულის.

ოთარ ჭელიძე



ოთარ სილოვანის ძე ჭელიძე დაიბადა 1923 წელს, ქალაქ თბილისში. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა თბილისში. სწავლობდა სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. პირველი ლექსი დაბეჭდა გაზეთ „კომუნისტის" სააგიტაციო ფურცელზე 1941 წელს.

მუშაობდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" კორესპონდენტად, შემდეგ ლიტერატურის განყოფილების გამგედ და თან სწავლას განაგრძობდა.

1946 წელს სამ ახალგაზრდა პოეტთან ერთად გამოსცა კრებული „სალამურები". 1947 წელს სწავლას აგრძელებს მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურულ ინსტიტუტში.

1947 წელს გამოდის მისი მეორე წიგნი „ორი ლეგენდა". მომდევნო წლებში ცალკე კრებულებად იცემა ოთ. ჭელიძის „რაჭველები", „კომუნიზმის ჯარისკაცები", „საბავშვო პოემები". 1955 წელს გამოვიდა მისი პოემების წიგნი. 1954 წელს დაიბეჭდა „მინდვრის მბრძანებელი".

თამარ მეფის საფლავი

ჰექდა და ქუხდა ქართველთა
სამეფო სახელგანთქმული,
მტრები საკუთარ ჩრდილებად
მიწაზე ჰყავდა გართხმული.
ინდოეთამდე აღწევდა
თამარ მზექალის დიდება,
ტახტზე ოცისა ავიდა
და სიბერემდე იმეფა,
გარდაიცვალა... გაძნელდა
მისი საფლავის მიგნება.
როცა სიკვდილის სარეცელს
ესვენა ღონემიხდილი.
და როცა გვირგვინს სტაცებდა
დაუნდობელი სიკვდილი,
როცა თავს ვეღარ იღებდა,
როცა ძალ-ღონე წაერთო,
ჩურჩულით უთხრა სპასალარს:
— ორ მოყმეს დაუძახეთო.
მომიყვანეთო მოყმენი,
ჩემი ერთგულნი მარადო,
მაქვს საიდუმლო სათქმელი
და მინდა იმათ გავანდო.
ნუღარ აყოვნებ, ხომ ხედავ,
სული ამოდის, თავადო! —

თქვა და მიმქრალი თვალები
შუბლზე შეანთო სპასალარს,
წადიო, ხელით ანიშნა,
სიტყვის თქმა აღარ აცალა.
ჩაფიქრებული გასცილდა
სასახლეს მხედართმთავარი
და ვერ გაეგო, ორ მოყმეს
რისთვის იხმობდა თამარი.
მეფე ქალს — ქართველთ
დიდებას
მკლავებში ღონე წაერთო,
კვდებოდა მეფე მეფეთა —
სამშობლოს ძარღვი საერთო.
კვდებოდა გვირგვინოსანი,
გლოვობდა მძლავრი სამეფო.
კარის გაღებას უცდიდა
თვალები დედა ლომისა...
სიკვდილს კი არა ჩიოდა,
წუხდა უღონოდ რომ იწვა.
ამ დროს გაიღო კარები
დამწუხრებული დარბაზის,
მომაკვდავისკენ დაიძრა
ორი ლომკაცი ლამაზი.
ნელნელ› მოირხეოდნენ
ჩეხვა-სროლაში სწრაფები,
შვენოდათ შავი ულვაში,
გადარაზული წარბები.
ძმები არ იყვნენ, ძმებს გავდნენ
ვაჟები მხრებგანიერი,
მტერს შიშით მიწას აკმევდა
მარტო იმათი იერი.
ბიუახლოვდნენ მომაკვდავს,
გაჩერდნენ დამუხლებულნი,
სულთმობრძავ მეფის ბრძანებას
უცდიდნენ დამწუხრებულნი;
უცდიდნენ მეფის ბრძანებას
ჭრელ ნოხზე დაჩოქილები;
თავს გასწირავდნენ ფიცისთვის
ლაშქარში გამოზრდილები.

და აი, ღონემიხდილმა
თამარმა მოყმეთ შეხედა:
— კეთილ იყოსო ეს ჩვენი
უკანასკნელი შეხვედრა...
დამმარხეთ, არვინ იცოდეს
ჩემი საფლავი სად არი,
დაე, ვერავინ გაიგოს,
სადა მარხია თამარი!
ქალი ვარ, მაგრამ ამ ქვეყნად
მტერი მყავს ეგზომ მრავალი.
ქალი ვარ, მინდა მიწაშიც
შემრჩეს ეს წმინდა ნამუსი,
უსიტყვოდ დამასაფლავეთ
ჩემს სათაყვანო მამულში.
არ მინდა ქვაზე ჩუქურთმა,
საფლავი არვინ იცოდეს,
თორემ მომხდური თათარი
ჩემს ჩონჩხსაც არ შეიცოდებს,
მომხდური სპარსი და თურქი
საფლავს აიკლებს, წაბილწავს,
ცოდვის ცეცხლს წაუკიდებენ
სამშობლოს ზეცას და მიწას.
ეს თქვა თამარმა და ფართო
შავი თვალები დახუჭა,
სიკვდილის ბევრჯერ მძლეველი
დღეს სიკვდილს ვეღარ გადურჩა.
ვაჟკაცებს ცრემლით აევსოთ
ცეცხლისმფრქეველი თვალები,
მათ სისხლით შუბლზე ეწერათ
თამარის დანაბარები.
ცხრა დღეს იტირეს ცხედარი
დიდებულ თამარ მეფისა,
მეცხრე ცათამდის ავიდა
გლოვა და ზარი ქვეყნისა
და უპირქუშოდ ჩამოწვა
დღე ცხედრის წასვენებისა.
ცხრა კუბო გამოიტანეს,
მხრებით წაიღეს ცხრა მხარეს,
შავმოვლებული დროშები

ხელის კანკალით დახარეს.
ცხრა მხარეს ხალხი დიოდა,
ცხრა მთაზე გადამავალი,
ცხრა კუბო მხრებით მიჰქონდათ
და არ იცოდა არავინ,
მაინც რომელში ესვენა
მეფეთა მეფე თამარი.
ანდერძს მომაკვდავ მეფისას
ვინ გაიგებდა, აბა ვინ?
ორ მოყმის გარდა არავინ
იცოდა იგი ამბავი.
ამ ორმა ხალხის მალულად
მთაში გათხარა სამარე,
მათ ჩაასვენეს მიწაში,
მათ დაიტირეს თამარი.
მათ უპატრონეს ღირსეულ,
ამოუშენეს ქვიტკირი.
შებინდებისას ცას ძრავდა
ქართველ ლომების ქვითინი.
დამარხეს, სადაც მთის ძირას
წყაროს ჩუხჩუხი გაისმის,
სადაც გულუხვად მაისობს
ჭრელყვავილება მაისი.
დამარხეს... მერე ბილიკით
დაეშვნენ თურმე თავქვეზე,
წყაროსთან შედგნენ და ცივი
წყალი ისხურეს სახეზე;
მიწანათხარი ხანჯლები
ტიტველა ქვებზე დალესეს.
დალესეს, მერე გასცვალეს.
ერთმანეთს გადაეხვივნენ,
ჯერ გადაკოცნეს და მერე
სამშობლოს მიწას ემთხვივნენ.
მიწას ემთხვივნენ; წამოდგნენ
გალომებული ვაჟები...
ამბობენ... თურმე, ერთმანეთს
გულებში ჩაჰკრეს ხანჯლები
და მოჩუხჩუხე წყაროსთან
სისხლი დაღვარეს ალალი,
რომ ქვეყნად არვის გაეგო,
სადა მარხია თამარი.

ლეგენდარული ჩანთა

(შემოკლებით)

I

უღრან მუხნარში სახლია
ერთი მოხუცი მეტყეევის, —
შიგ ძველი ჩანთა ჰკიდია,
უტყვი და ბევრის მეტყველი.
შვილი არა ჰყავს ბერიკაცს,
მაშ ის საწიგნე ვისია?
სოფლის სკოლიდან მარტოხელს
იქნებ სტუმარი მისვლია?
იქნებ ძმისწული ესტუმრა,
ან პაწაწინა დისწული
რიღასთვის გაყუჩებულა
ის მტრედისფერი ფიცრული?
რად არ გაისმის ბალობა,
სიმღერა რად არ ხმიანობს?
იმ მყუდრო ბინას იქნება
დიდი რამ ადარდიანებს?
უღრან მუხნარში სახლია
ერთი მოხუცი მეტყეევის,

შიგ ძველი ჩანთა აშუქებს,
უტყვი და ბევრის მეტყველი
ჰკითხეთ გულკეთილ ბერიკაცს:
პატარა ჩანთა ვისია,
ზედ რომ სისხლია შემხმარი
ვისია, ვისი სისხლია?
შეეკითხებით, მოისმენთ
ამბავს დიადსა და ნამდვილს,
ამბავს — სიცოცხლის სიმღერას,
ამბავს — ლეგენდად გავარდნილს.

II

უკრაინაში სოფლები
ჰიტლერელებმა რომ დასწვეს,
და როცა ჩვილი ბალღები
დედებს მკერდიდან მოსტაცეს;
როცა სკოლები ნახშირად
და ნაცარტუტად აქციეს,
ტყვეებად ერეკებოდნენ
გერმანიისკენ ყმაწვილებს;
როცა სოფლსაბჭოს შენობებს
აქცევდნენ ხოლმე შტაბებად,
წამოიწყებდნენ სიკვდილის
მანქანის ამუშავებას,
ამ დროს გამოჩნდა სოფლებში
ბავშვი ტოლიას სახელით,
ამ სახელს იმეორებდა
ყველა ხმის აცახცახებით.
პატარა ჩანთა ეკიდა
და, როცა შებინდდებოდა,
ის ხუტორიდან ხუტორში
ჩიტივით შეფრინდებოდა.
თურმე მოუკლეს დედ-მამა, —
გული ობლობამ დადაღა.
მარტოდ დარჩენილს ეწადა
გადასვლა ფრონტის გადაღმა.
სკოლა დაუწვეს. დახვრიტეს
მოხუცი მასწავლებელი...
ცეცხლის ხაზს იქით გადასვლას
ცდილობდა გამწარებული.
— უნდა მივიდე ჩვენებთან
და ვუთხრა ხალხის ვაება, —
აიმედებდა მეგობრებს
ტოლია ცისფერთვალება.
ჩამოცრემლილი წერილი
მრავალ სახლიდან წაიღო,
დარბაისლურად მსჯელობდა,
ცამეტი წლისაც არ იყო.
კარს გაუღებდნენ გულღიად
და ისტუმრებდნენ საგზალით,
გადადიოდა სოფლებში
გახუნებული მაზარით.
ყოველ ოჯახში შეჰქონდა
იმედის შუქი კაშკაშით.
და ულაგებდნენ წერილებს
პირამდე სავსე ჩანთაში.
აივსო ხალხის წუხილით
პატარა ჩანთა გზადაგზა,
ჩვენებსა წერდა სუყველა.
რა უბედობაც ეწვიათ:
რომ ახლა უკრაინაში
გაუგონარი ცეცხლია,
რომ ხუტორები ნახშირად
და ნაცარტუტად აქციეს,

ტყვეებად ერეკებიან
გერმანიისკენ. ყმაწვილებს.
აივსო ხალხის წუხილით
პატარა ჩანთა გზადაგზა,
მაგრამ ადვილი არ იყო
ფრონტის გადაღმა გადასვლა.
ტყეებში ბევრჯერ შიმშილი,
წყურვილი წამოეწია,
ბოლოს უტეხი ტოლია.
მოხუც მეტყეევეს ეწვია.
როცა უამბო ბერიკაცს —
საიდან მოდის, სად მიდის,
რომ აღარავინ არ დარჩა
გარდა ავადმყოფ მამიდის,
ჩამოუცურდა მეტყეევეს
მიმეკნარ ღაწვებზე ცრემლები;
— ო, მალე დაბრუნდებოდნენ,
მალე გვიხსნიდნენ ჩვენები... —
თქვა და დაწერა მოხუცმა,
რომ დაეხოცა წვრილშვილი,
მის ოჯახს როგორ მიადგა
გაპარტახება, შიმშილი...
— უნდა მივიდე ჩვენებთან
და ვუთხრა ხალხის ვაება, —
აიმედებდა ბერიკაცს
ტოლია ცისფერთვალება.
აივსო ხალხის წუხილით
პატარა ჩანთა გზადაგზა,
მაგრამ ადვილი არ იყო
ფრონტის გადაღმა გადასვლა.

III

როცა გრუხუნი მოესმა,
მაშინ მიეცა იმედი,
გულში თქვა: — აი, სანგრებთან
რა უხიფათოდ მივედი.
გადაძვრა მავთულხლართებში,
გადაჭრა ხაზი პირველი,
მტრების სანგარში გამეფდა
სიჩუმე გასაკვირველი.
უცებ იწივლეს ტყვიებმა,
ატყდა ღმუილი ნაღმების,
აენთნენ პროჟექტორები
უცნაურ აჩირაღდნებით.
ბორცვზე გადარბის ტოლია,
უცებ ეძგერა მას ტყვია...
დაეცა, მხრები გაშალა,
თითქოს დაკრილი ბარტყია.
დაეცა, აღარ ძალუძდა
ტიალ ტყვიას თან ჭიდილი
და ყორნის შავი ფრთებივით
გადაეფინა სიკვდილი.
მხრები ულონოდ ასწია,
დასჯაბნა ტყვიამ ლაჩართა
გამხდარი, სუსტი მკლავებით
მკერდში ჩაიკრა მან ჩანთა.
დაეცა. ჩაქრა ხანმოკლე
სიცოცხლე თავდადებულის,
სიცოცხლე, წმინდა სიცოცხლე
ლომგულად დაბადებულის.
იწვა ტყის პირას და თითქოს
ბავშვური ძილით ეძინა,
სახეზე შუქი მთვარისა
შარავანდედად ეფინა.

გვიან იპოვა მოხუცმა
ტყის პირას ცივი ცხედარი,
პატარა მკერდი გაუთბო
ცრემლებით დანაწვეთარით.

ეღრან მუხნარში სახლია
უკრაინელი მეტყევის,
შიგ ერთი ჩანთა აშუქებს
უტყვი და ბევრის მეტყველი.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი



თეიმურაზ ალექსანდრეს ძე ჯანგულაშვილი დაიბადა 1923 წელს. სოფ. საგარეჯოში. მან 1940 წელს დაამთავრა საგარეჯოს საშუალო სკოლა და შეეიდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1943 წლის მაისში თ. ჯანგულაშვილი გაწვეული იქნა საბჭოთა არმიის რიგებში, 1944 წელს დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და გაიგზავნა უკრაინის პირველ ფრონტზე, სადაც იგი სანაღმტყორცნო ოცეულს მეთაურობდა.

თ. ჯანგულაშვილმა ლექსების ბეჭდვა დაიწყო საბჭოთა ომის დაწყებამდე. ომის დამთავრების შემდეგ გამოვიდა მისი სამბავშვო ლექსებისა და პოემების კრებულები „მოვდივართ, მოგვიხარია" და „კოცონი გორას ციხესთან".

თ. ჯანგულაშვილი დაჯილდოვებულია „წითელი ვარსკვლავის" ორდენითა და მედლებით.

უ ა ყ ა ჩ ო

მინდვრის ლამაზო ყვავილო,
მითხარი განა არა სჯობს,
რომ სარეველა არ გერქვას
და გერქვას მხოლოდ ყაყაჩო.

ჰოდა, ყანაში რა გინდა,
მოდი, გამოდი მდელოზე,
შენი წითელი ფერებით
ყანისპირები შემოსე.

დადგა თბილი გაზაფხული

მარტი დგება,
თოვლი დნება,
თოვლის წვენს სვამს შავი ხნული,
სიხარულით იშმუშნება,
მზეზე თბება მიწის გული.
მწვანე ფარჩით შემოსილან
ჩვენი სოფლის საძოვრები,
მოხასხასე ბალახს ძოვენ,
კოლექტივის ფერმის ცხვრები.
დედა-ცხვრები ლამაზ ბატკნებს
უვარცხნიან ქოჩორს ენით,
მწყემსი უკრავს სალამურზე
და გაჰყურებს მინდორს ლხენით.
ყმაწვილებიც შეხედავენ
ცხვრის ფარას და დატკბებიან:
რამდენია ტყუპის ცალი
და რა კარგი ბატკნებია.
გაზაფხული დადგა თბილი,
დღეც ტკბება და თვალიც ტკბება.
ალაგ-ალაგ დარჩენილი
თოვლი მორცხვად იცრემლება.

ᲬᲣᲕᲘᲓᲝᲒᲘᲡ ᲙᲣᲠᲘ

მინდვრებისაკენ, ბიჭებო,
გვიხმობს დოვლათი ქვეყნის!
თვალუწვდენელი ყანები
ზღვას ჰგავს ტალღებად შეყრილს.
ცაც დაუხატავს ოქროსფრად
დიდი მოსავლის ღიმილს
და გამრჯე კაცის თვალები
სიხარულისგან ღვივის.
დაიძრნენ კომბაინები,
მოქუხს სიცოცხლის წყარო,
აქაიქ თონის პურივით
ჩანს გამტკიცული კალო,
ყანებში ჩაბუდებული
მწყერი შფოთავს და მწყრალობს
ვაი თუ ჩემს საბუდარსაც
ნამგალი მოერკალოს.
პურო, ბარაქა მოგეცეს,
ქვეყნად გამრავლდი კალოვ! —
მდინარის პირზე, მუხებში
შაშვი ხმატკბილად გალობს.
მიწაცა მღერის კაციკით,
აბა, მიუგდე ყური —
მოდის სამშობლოს სიმდიდრე,
მოდის პირველი პური.
ჩვენს გაკაჟებულ მკლავებსაც
დაღლა ვერც გაეკაროს,
ჩვენც მივაშურროთ მინდორ-ველს,
კომბაინებს და კალოს.
მიცურავს მინდვრის ხომალდი
ძვალმაგარი და სრული,
გრგვინავს სიცოცხლის სიმღერა,
მოდის მშვიდობის პური.
ოქროსფერ ყანის ლიკლიკი
შორს ზეცის ტატნობს ეკვრის
მინდვრებისაკენ, ბიჭებო,
გვიხმობს სიმდიდრე ქვეყნის.

ᲠᲗᲕᲔᲚᲘ

თითქოს მღერის ეს ვენახი
ხმაწკრიალა ჩობანივით,
შიგ სიმწიფე ჩაწოლილა,
ციურ ცვარით მობანილი.
ვაზნი დოინჯშემოყრილნი
დგანან, როგორც ფალავნები,
და მტევნები ციმციმებენ,
ვარდის წყალში განავლებნი.
მოჰფენიან სავსე ვენახს
კოლმეურნე გოგონები,
შრომობენ და თავს ირთობენ
გასული დღის მოგონებით.
რა მალმალე ივსებიან,
გოდრები და კალათები,
სიხარულის სიმღერები
გულში მოიკალათებენ.
ამ ვენახის სილამაზე
მიწას ხურავს საბანივით,
უხვ მოსავლის ზეიმია,
ტკბილ ბადაგში გაბანილი.

ᲗᲣᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲘ

დამინახავს თუთა,
შეერხევა ტოტი
და შრიალით მეტყვის:
— მზია, ჩემთან მოდი.
მზია, ტკბილი ხილი
მიირთვიო, აბა! —
და ჩამოყრის დაბლა
მწიფე თუთას სწრაფად.

დამინახავს ბალი,
შეერხევა ტოტი
და შრიალით მეტყვის:
— მზია, ჩემთან მოდი.
მივირბენ და ველი,
ჩამომიგდოს ბალი,
მაგრამ მაღლა ცქერით
დამეღლება თვალი.
ხეზე როგორ ავალ,
ჯერ ხომ პატარა ვარ...
ასვლა როგორ შევძლო
პაწაწინა ქალმა? —
ეს თუ იცის თუთამ,
რად არ იცის ბალმა?!

ძ ა ́ რ გ ვ ა

მზიამ კარგად
იცის ქარგვა.
ამოქარგა
ერთი ჩიტი,
დაიჩხვლიტა
ათი თითი.
ამოქარგა
ერთი ნესკი
დაეკარგა
ათი ნემსი.
მზია უკვე
კარგად ქარგავს,
ჩიტი კი ჩიტს
მაინც არ გავს.
ჩიტს აქვს ყუნწი,
ნესვს კი — ფრთები.
ნუ ხარ ძუნწი,
კარგო ბები,
თუ გსურს, მზიამ
გითხრას ლექსი,
კიდევ მიეც
ერთი ნემსი.

ფ ნ უ ე მ ს ი

ცალ ხელში ჯოხი უჭირავს,
ცალით იჩრდილავს მზეს,
მხარზე ხის თოფი ჰკიდია,
ფხიზლად გაჰყურებს ტყეს.

სწორედ ნამდვილი მწყემსია,
ცხვარს არ გაატანს მგელს,
ფიცხლად დასჭყივლებს მურიას,
თოფზე გაივლებს ხელს.

ეზოში ერთი ბატკანი
უნდა აძოვოს დღეს,
ეს არის მისი სამწყესო,
სულ ეს არის და ეს.

დ ღ ე ს ხ მ ა მ ი ს ც ე ს

სკოლის თვალი — თამარ ქალი
ჩემი კარგი დობილია,
დაიკო ჰყავს ინჟინერი,
ძმა ფოლადის მდნობელია.
მათ რუსთავში ყველა იცნობს —
ორივ კარგი მშრომელია,
და-ძმას თამროც რომ აქებდა,
პირზე ღიმი მომერია.

დიდ კრებაზე დაადგინეს,
ირგვლივ ტაში ჰქუხდა მძლავრად,
— ორივ და-ძმას ვასახელებთ
ჩვენს საბჭოში წარსადგენად.

და დღეს, როცა მთელი ხალხი
გაახარა არჩევნებმა,
თამროს გულიც საგულეში
სიხარულით არ ჩერდება.

ხალხის რჩეულ, ერგულ შვილებს
დღეს ხმა მისცეს ათასებმა, —
დიდმა ხალხმა ასე იცის
ჩვენში შრომის დაფასება.

მეზღვაურის ვაჟიშვილი

წყალქვეშა ნავს მართავდა ჩემი ტკბილი მამილო
და ჰფიცავდა მხმულსა — იყვავილე მამულო!
გაისტუმრა ზღვის ფსკერზე ბევრი გემი ყაჩაღის —
გაპობილი შუაზე, როგორც კუნძი ნაჯახით.
ბევრჯერ მისი ბარათი შორ ბალტიის ზღვიდანა
ჩიტმა — რკინის ნისკარტამ თბილისს ჩამოიტანა.
და ერთხელაც... მე მიმძიმს იმ წუთების ხსენებაც...
სარდლობისგან წერილი მოჰყვა დილის თენებას.
მტერთან ომში მამილო დაილუპა გმირულად,
თვალი დაუძინარი ზღვათა მკერდზე მილულა.
დედა მწარედ ატირდა, მე კი ცრემლებს ვმალავდი.
ვთხოვე — დედი, მიყიდე მეზღვაურის ხალათი.
აგერ მამა დაგვყურებს, ო, ცრემლები ნუ გინდა...
მსურს რომ მნახოს მამილომ მეზღვაურის ქუდითა.
მამის დიდი სურათი დამცქეროდა ალერსით.
დედამ გულში ჩამიკრა, ცრემლიც გაშრა თვალებში.
როს გვეწვია მაისი, მზის სხივების მთოველი,
შვილი მეზღვაურისა გავხდი ნახიმოველი.
ვინ თქვა მამა არა მყავს, ვინ მიწოდოს ობოლი!
მე მზრდის მთელი ქვეყანა — ჩემი დიდი მშობელი.
მე სამშობლომ მომავალ გმირთა რიგში ჩამწერა,
რომ მამილოს საპესთან დავდგე ქვეყნის დამცველად.

ხუტა ბერულავა

ხუტა მიხეილის ძე ბერულავა დაიბადა 1924 წელს. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქ. ზუგდიდში. საშუალო სკოლა დაამთავრა გალში და შევიდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მემდეგ ხუტა ბერულავა სწავლობდა მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურულ ინსტიტუტში.

ხ. ბერულავას პირველი ლექსი დაიბეჭდა 1940 წელს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში". ამ წლიდან ხ. ბერულავა სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

ხ. ბერულავას ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1944 წელს, ხოლო საბავშვო ლექსების პირველი წიგნი „ნატკრის თვალი"—1948 წელს.

ბაცილება სკოლაში

დღეს პირველად შენც გეძახის
სკოლის ზარი, ტკბილი ზარი,
დღეს პირველად საყვარელო,
სკოლისაკენ მიიჩქარი.

მესმის შენი სიხარული,
მე კი, მგონი, ვღელავ უფრო,
ამ ბედნიერ ნათელ დილით
მინდა ბევრი გესაუბრო,

მინდა ისევ დაგარიგო,
მაგრამ წადი, ჩემო ლხენავ,
ჩემს მაგიერ აწ ყველაფერს
გეტყვის შენი დედა-ენა.

მიიხუტე მკერდზე მაგრად,
მას გაუღე წმინდა გული
და არასდროს არ დაგტოვებს
ჩვენი ხალხის სიყვარული!

ლია სცენაზე

პატარა ლია მიქაშავიძეს

ლია ერთი ციცქნაა,
მკვირცხლი, ცელქი, ენამზე,
მუდამ ამას იძახის:
გამიშვითო სცენაზე.

რეჟისორთან მივიდა,
თავი მაღლა ასწია:
— ძია, შენი ჭირიმე,
როლი მომეც პაწია.

რეჟისორი იცინის,
მთელი დასი იცინის:
— რომ ატირდე, გოგონი,
ხომ დავიწვით სირცხვილით?

არ ეშვება ლიანა:
„გეფიცები დედილოს,
განა ხალხში,
აწ სახლშიც
არ ვიტირებ, კეთილო!“

ჰოდა, გასჭრა ამ ფიცმა,
აუსრულეს, რაც სურდა.

გაიარა ვარჯიში
პაწაწინა ასულმა.

წარმოდგენაც დაიწყო!
აჰა, ნახეთ ლიანა,
თქვენ გგონიათ ატირდა
ჩვენი გოგო ცქრიალა?

როცა ნორჩი არტისტი
ხელებს ნაზად გაშლიდა,
ხალხით სავსე დარბაზი
გუგუნებდა ტაშითა.

ფარდაც მალე დაეშვა,
ლიას შუბლზე ჰკოცნიან,
სწორედ მისალოცია,
სწორედ მისალოცია!

...ლია ერთი ციცქნაა,
ცელქი, მკვირცხლი, ენამზე,
ახლაც ამას იძახის:
გამიშვითო სცენაზე.

ზაზას ცხენი

I

თოთხმეტი წლის იყო ზაზა,
თოთხმეტი წლის ბიჭი მკვირცხლი,
როცა ერთმა მეზობელმა
მას აჩუქა ფიცხი კვიცი.

სხვას ახლოსაც არ უშვებდა,
თავად წვრთნიდა,
თავად ზრდიდა.
გარიჟრაჟზე აღვიძებდა
ალერსით და თავაზითა.

თვით დაჰყავდა წყაროს წყალზე,
თვით დაჰყავდა საძოვარზე.

მთელი ხუთი წელიწადი
გრძელდებოდა ასე, ვიდრე
ომის ჯანღი არ მოედო
მშობლიურ ცას
და ველ-მინდვრებს.

მაშინ ზაზამ ინახულა
მეგობარი საყვარელი,
თავი მაღლა აუწია
და გავაზე დაჰკრა ხელი:

— მე ბრძოლაში მეძახიან
და მშვიდობა უნდა გითხრა,
ვიცი, რომ არ დამივიწყებ,
ველარ მნახო თუნდაც დიდხანს.

ჩვენ ხომ ბევრჯერ გვიფრენია
ამ ველებზე, ჩემო რაშო,
და მე მინდა ერთხელ კიდევ
შენთან ერთად ვიგიჟმაჟო! —

ესა სთქვა და ცხენს მოახტა
გაბედული,
მოკისკასე.
მოსწყვიტა და გრიგალივით
გააქროლა სოფლის გზაზე.

II

დიდხანს იყო ომში ზაზა,
ბევრჯერ თავი ისახელა.
თავდადებულ ჯარისკაცად
და ვაჟკაცად თვლიდა ყველა.

დაჭრეს მტრებმა,
მაგრამ მორჩა,
ვერას გახდა მასთან ტყვია,
თუმცა ბევრი სდია, სდია,
ბიჭი ველარ წააქცია!

ერთ დღეს, როცა წამით მისწყდა
ბრძოლის ცეცხლი და გრიგალი,
მეომრებმა დაინახეს
ცხენზე მჯდომი გენერალი.

მიფრინავდა რაში სწრაფად
და ურხევდა ქარი ფაფარს.

გენერალმა მებრძოლებთან
შეაჩერა თვისი ცხენი.
ვისი ცხენი?
„შენ ხარ, ფიცხო?“ —
დაიძახა ზაზამ ლხენით.

შესჭიხვინა ცხენმაც უმალ,
მეგობარი როცა იცნო.
ჩურჩულებდა ზაზა დიდხანს:
ჩემო ფიცხო!
ჩემო ფიცხო!

ყველა ზაზას შეჰყურებდა
ალელვებით,
განცვიფრებით,
და უამბო მან მეთაურს
ყველაფერი დაწვრილებით.

გენერალმა მადლი უძღვნა,
გაახარა ამით ვაჟი:
— ყოჩაღ, ძმაო ჯარისკაცო,
გაგიზრდია კარგი რაში.

მისამართი მომეც შენი,
როცა ომი დამთავრდება
და მშვიდობა დამყარდება,
გაგიგზავნო სახლში ცხენი.

ის დაბრუნდა გამარჯვებით
დამარცხებულ ბერლინიდან
მაშინ,
როცა კოლხიდაში
სწორედ შუა რთველი იდგა.

თემშარაზე დახვდნენ ზაზას
დედა,
მამა,
ბებო,
დები,
აქვე იყვნენ მეგობრები
და კეთილი მეზობლები.

გადაჰკოცნეს,
გაიხარეს,
მიულოცეს ღია გულით
და სასწრაფოდ შინისაკენ
გააქანეს ერიამულით.

ალვებსა და კაკლებს შორის
რომ გამოჩნდა ზაზას ოდა,
ომგადახდილს
მეთაურის
დაპირება მოაგონდა.

მოაგონდა და ეზოში
თავის გაზრდილს მოჰკრა თვალი,
მშვიდად სძოვდა ცვრიან ბალახს
მისი ფიცხი კუმაღალი.

ზაზა წამით გაირინდა,
მერე მოსწყდა ადგილიდან,
არც არავის დაერიდა
და... ერიჰა!

მიფრინავდა რაში სწრაფად
და ურხევდა ქარი ფაფარს.

ძია დათას მეგობრები

I

შემოდგომის სიო ჰქროდა,
სიო ნელი.
სიო თბილი,
ქუჩის პირას, ჭადრის ხესთან,
იდგა ერთი პიონერი.

ზურგით იყო მიყრდნობილი
ტოტებგაშლილ ზვიად ჭადარს,
მოღიმარი,
უდარდელი
რეზო-ბიჭი თხილსა ჭამდა.

თხილსა ხრავდა, როგორც თაგვი
და ნაჭუჭებს ყრიდა გზაზე.
ჩანდა, რომ არ იტაცებდა
მას თბილისის სილამაზე.

ამ დროს მგზავრმა ჩაიარა
და ნაბიჯი ააჩქარა,
„ხიფათს“ თავი აარიდა,
ვით უგულომ და ლაჩარმა.

ამხანაგო,
ამხანაგო,

აბა შესდექ ერთი წამით
და იფიქრე:
იმ ონავარს
არ შეუწყვე ხელი ამით?

მისმა ქცევამ უხეირომ
გულზე რომ არ გაგკრა მწვავედ,
ამიტომ ხარ დამნაშავე,
მასზე მეტად დამნაშავე.

შერცხვი, ნახე, რომ მივიდა,
მასთან ბიჭი — ტოლი შენი,
და შესძახა: ასეთი რამ
ნორჩ ლენინელს როდი შვენის!

რეზომ ნელა დაუსტვინა:
— შენ ვინა ხარ, ჰაუ, ვინა?

— მე ნიკა ვარ, კარგად იცი,
შენი კარის მეზობელი!
— მერე, ბიჭო, სად ისწავლე
ლაპარაკი ეგზომ ბევრი?

— მე არ ვხუმრობ, მეგობარო,
ნაჭუკს ჰყრიან განა გზაზე?

სხვა თუ არი,
მეეზოვის
ჯაფა მაინც დააფასე!

რეზომ ნიკა გააჯავრა:
— გეყო, ენა დასვენე!
თუმცა...
იქნებ ამ ქუჩაზე
მეეზოვედ დაგაყენეს?

ვინძლო მგზავრებს ცოცხის
წვერით
აქეთ გავლაც დაუშალო.
— ძმავ, არ არის, სამარცხვინო
მეეზოვის სამუშაო;

შენ კი ახლა მართლაც არცხვენ
პიონერის ნათელ სახელს,
არცხვენ სკოლას, მასწავლებლებს.
მშობლებსა და ამ ყელსახვევს!

მაშინ რეზო გაგულისდა,
ჰოი, ისე გაგულისდა,
რომ ამხანაგს მისი ხელი
დიდხანს აჩნდა აგურისფრად.

II

ასეთია ნიკა-ბიჭი:
პირდაპირი,
პირში მთქმელი.
და ამაყობს ყველგან, მუდამ,
რომ ის არის თბილისელი.

განა სიტყვით,
განა ისე,
მას თბილისი უყვარს გულით,
უმხურვალეს სიყვარულით,
ულმაზეს სიყვარულით.

თუკი ნახა, რომ ქუჩაზე
ვინმემ ნამწვი გადააგდო,
ქუდმოხდილი მივარდება:
— გეკადრებათ, ამხანაგო?

და თუ ვინმემ მწვანე ნარგავს
ერთი ყლორტი შეატეხა,
იმ საბრალოს ჩვენი ნიკა
დაატყდება ელვა-მეხად.

მასზე სწორედ ალალია
ალისფერი ყელსახვევი!

„მეეზოვის მეგობარი“ —
აი, მისი მეტსახელიც.

მეეზოვე ძია დათა
სამეგობრო კია მართლა!

თოვლისფერი წვერები აქვს
და ღიმილი გაჰკრავს სათნო:
— მოდის ქუჩის დირიჟორი,
გზა, ხალხო და ჯამაათო!

ის არ არის ტანმაღალი,
არც ძალიან ტანმორჩილი,
ხუმრობს ხშირად:
— ცოცხისათვის
ვარ პირდაპირ გამოჭრილი.

ხუმრობს, მაგრამ კარგად იცის
მან თავისი გარჯის ფასი
და ამიტომ ადრე დგება,
ვით თბილისის გარიჟრაჟი.

ღამეა თუ ჟამი დილის,
მეეზოვე შესტრფის თბილისს
და თბილისსაც უხარია,
ის რომ ცოცხით ჩამოივლის.

თავის ფრონტზე ძია დათა
გმირი არის, დიახ, მართლა.

დედაქალაქს უსათუოდ
ამჩნევია მისი ხელიც!
მე ამაზე დასტურს მომცემს,
ვფიქრობ, ყველა თბილისელი.

III

ნიკას არსად უჩივლია,
მაგრამ მიხვდა გულში რეზო,
რომ მეზობელს აწყენინა
უსამართლოდ, უმიზეზოდ.

მიხვდა იგი: თვითეული —
ახალგაზრდაც, ბერიკაციც,
რომ გუშაგი უნდა იყოს
სანიმუშო წესის დაცვის.

მიხვდა იგი,
მეეზოვეს
აკისრია თუ რა ვალი,
დღეს თვით იცავს სისუფთავეს
და უჭირავს მუდამ თვალი,

რომ ქუჩაზე გამვლელებმა
არაფერი არ დაჰყარონ.
მუდამ იმის ცდაში არის,
მეეზოვე გაახაროს.

რეზოს ნიკაც არ ემდურის,
დაივიწყა წყენა ნიკამ,
როგორც მითხრეს,
ყმაწვილები
მეეზოვემ შეარიგა.

და ხვდებიან ახლა ერთურთს
ასე თავაზიანადა:
— გამარჯობათ, მეგობრებო!
— გაგიმარჯოს, ძია დათა!

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
ნინო ნაკაშიძე (ბიოგრაფია)	5
ჩიტის ბუდე	6
პატარა ეთერის დღე	7
ვინ დათესა პირველად პური?	9
არიშკა (ნამდვილი ამბავი)	14
ლიდია მეგრელიძე — მიმქრალი (ბიოგრაფია)	21
ქვიშხეთი ბავშვების აგარაკი	21
ჩემი ბურთი	22
ია და ბავშვები	22
ხარატის შვილი	23
ლეო ქიაჩელი — ლეონ შენგელაია (ბიოგრაფია)	27
ზღვა, მზე და ოთარიკო	27
ნატვრისთვალი (ზღაპარი)	31
მამა და შვილი	37
იოთამ:ს ფრთები	43
ანა ხახუტაშვილი — ცქვიტი (ბიოგრაფია)	45
სულინაური	46
ლამის ზღაპარი	52
პატარა მპედარი	56
გიორგი ქუჩიშვილი (ბიოგრაფია)	59
მაისობა	59
პიონერული	60
ბავშვთა საერთაშორისო ჰიმნი	61
ცუტლუტს	61
წარჩინებული	61
მომღერალი	62
სანდრო შანშიაშვილი (ბიოგრაფია)	69
დედისერთა ლენინთან	69
ქარხანაში	70
დავით თურდოსპირელი (ბიოგრაფია)	71
არ აზიდო	71
ტყის დღე	77
პაოლო იაშვილი (ბიოგრაფია)	83
მედეას ლეკვი	83
შემოდგომის დღე ფოთში	84
ოთარ შოფერი	85
იოსებ გრიშაშვილი (ბიოგრაფია)	87
ბიჭო, ნუ ურეკ ქვიშასა	88
ლაზღანდარა	98
ოქტომბრელის სიმღერა	99
სამგორი	89

	83
მიყიდე	89
ია და ყაყაჩო	90
ნუ გადასდებ ხვალისათვის	90
დაეუფლე რუსულ ენას	91
ოთხი დრო .	91
ილია სიხარულიძე (ბიოგრაფია)	93
გამარჯობათ პატარებო	93
ოქტომბრის ყვავილები . .	94
ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა	94
შარახვეტია	95
ზეომარი ომარი	98
ფაქიზო .	96
ბუზღუნია-წუნია	97
ჩიტბატონა	99
თითების დავა . .	98
მარიჯან — მარიამ ალექსიძე (ბიოგრაფია)	101
ნელი ცირკში .	101
დედას რომ არ შესცივდეს	105
მამიდა თეოს მარანი	106
ნესტორ მალაზონია (ბიოგრაფია)	115
ვისი ბრალია?	115
სერგო კლდიაშვილი (ბიოგრაფია)	117
ზურია . .	117
ლახუნდარელის თავგადასავალი (ნაწყვეტი)	127
როდიონ ქორქია (ბიოგრაფია)	135
მარილის აკვანში	135
თეთრი ხატა	139
კონსტრუქტორი	141
ილო მოსაშვილი (ბიოგრაფია)	147
ერთად .	147
სამი მონადირე (მცირე შემოკლებით)	149
პარმენ ლორია (ბიოგრაფია) .	157
იმ ხევს იქით (შემოკლებით)	157
გალაქტიონ ტაბიძე (ბიოგრაფია)	173
ახალგაზრდობას .	173
ზღვაზე ბავშვების ბედნიერ სირბილს	174
მშობლიურო ჩემო მიწავ	174
გიორგი ლეონიძე (ბიოგრაფია)	177
დედა-ენა"	177
ვეფხისტყაოსანს	178
პატარძეული	179
შინმოუსვლელო, სადა ხარ?	179
გაზაფხული .	180
ვუმღერ სამშობლოს	181
მამაკაცური კერაო	181
წიგნი „ქართლის ცხოვრება"	182

ბრნო ონელი (ბიოგრაფია) 183
მერაბი 183
შიო მღვიმელი 184
პატარა ტირიფის ჩივილი 185
გზა, რომელიც ბრწყინავს მარად 185
მეგობრობაც ამას ჰქვია 186
სკოლაში და სკოლის გარეთ 187
ხიმონ ჩიქოვანი (ბიოგრაფია) 189
სამგორის ველზე 189
ლიახვის სათავესთან 190
ამანათზე მინაწერი 191
ვინა სთქვა 191
გიორგი ნახუცრიშვილი (ბიოგრაფია) 193
მამამ გამომგზავნა (შემოკლებით) 193
პოლიო აბრამია (ბიოგრაფია) 259
მელია და ცხვარი 259
ალიო მირცხულავა (ბიოგრაფია) 265
პიონერული 265
შეკრებისაკენ 266
პატარა მხატვარი 267
ბალადა ბელურაზე 267
სულიკო 268
აკაკი ბელიაშვილი (ბიოგრაფია) 269
საიდუმლო გამოქვაბული 269
ელიზბარ ზედგენიძე (ბიოგრაფია) 313
ბედნიერება 313
მეგობრები 317
ნიკოლოზ ჩაჩავა (ბიოგრაფია) 325
გოგიას წიგნი 325
დავაპუროთ ჩიტები 326
ბა 326
დედოფალა 326
კომში, კომში, კომარა 326
წვიმავ, მოდი, მოდი! 327
მზეო, ჩქარა გვეწვიე! 327
ჩემი ძმა 327
ფუტკარი 328
ზიხეილ მრევლიშვილი (ბიოგრაფია) 329
ირონა ოსტატი 329
კონსტანტინე ლორთქიფანიძე (ბიოგრაფია) 339
დედას ლევანა 339
სიმონ მთვარაძე (ბიოგრაფია) 345
ხიფათი 345
ლავრენტი ჭიჭინაძე (ბიოგრაფია) 351
სიტყვის პატრონი 351
პატარა გმირი (ნამდვილი ამბავი) 354

	ß3·
კარლო კალაძე (ბიოგრაფია)	359
საიდუმლო ბარათი	359
გიორგი კაპახიძე (ბიოგრაფია)	367
ჩვენი დროშა	367
ერთია ჩვენი სამშობლო	368
საქართველო	369
პირველკლასელი მეგობრები	369
ჩემი მხიარული მეგობრები	369
ცირამ კაბა შეიკერა	370
ნინო მასწავლებელი (შემოკლებით)	370
თამარ ჩხაიძე (ბიოგრაფია)	377
ცივწყალა	377
უკუდო ამპარტავნები	379
ტყის მეგობრები	381
მარიკა ბარათაშვილი (ბიოგრაფია)	383
ნანული	383
მარიკა მიქელაძე (ბიოგრაფია)	387
წვიმა მღერის (პოემა)	387
ირაკლი აბაშიძე (ბიოგრაფია)	395
ჩვენი საბჭოთა არმია	395
სამშობლო	396
კაპიტანი ბუხაიძე	396
გამარჯვების დღე	397
გამოცდები	397
მოიარე საქართველო	398
რას გადაურჩა თბილისი (ნაწყვეტი)	398
მაყვალა მრეველიშვილი (ბიოგრაფია)	407
გამარჯვების დღესასწაული	407
დილა მშვიდობისა	408
ორი გმირი	408
ყ ა ნ ა შ ი	408
კ ა ლ ო ზ ე	409
გოგია და ტოლია	411
მარწყვის კონა	412
გიორგი შატბერაშვილი (ბიოგრაფია)	413
ნიკო და სიკო	413
მტკვრის სათავისაკენ	433
გრიგოლ ჩიქოვანი (ბიოგრაფია)	469
მეორე ოჯახი (შემოკლებით)	469
როსტომ ელანიძე (ბიოგრაფია)	495
პიონერის წყარო	495
მფრინავი თევზები	499
კლავდია დევდარიანი (ბიოგრაფია)	501
ქართლის ბედი (ტატოს ბავშვობა)	501
ალექსანდრე გომიაშვილი (ბიოგრაფია)	507
თბილისი	507

	გვ.
დიდია ჩემი სამშობლო	503
უკანასკნელი დღე კეცხოველისა	509
ანდრო თევზაძე (ბიოგრაფია)	511
საქართველოს გაზაფხული	511
მოვდივართ, მოგვიხარია	512
ჩვენი ნაძვის ხე	513
საქართველო მოვიარე	513
კუკური გოგიაშვილი (ბიოგრაფია)	515
რუხი მგელი (იგავი ერთ მოქმედებად)	515
გრიგოლ აბაშიძე (ბიოგრაფია)	525
აი, როგორ გავკაკდი!	525
მეც მასწავლეთ	526
ცხენიდან გადმოვარდნა	526
გ მ ი რ ე ბ ი	527
რუსთაველის მერცხლები	530
ნაბოლარა წიწილა	535
ალეკო შენგელია (ბიოგრაფია)	545
საუბარი ვაჟა-ფშაველას შვილს ნუკრთან	545
გიყვარდეს წიგნი	546
ბამის წერილი	546
წერილი მამას	547
ანბანთ სიმღერა	547
გამარჯობა, სოფელო!	549
რევაზ მარგიანი (ბიოგრაფია)	551
ს ი მ ღ ე რ ა	551
მე რომ პატარა ვიყავი	552
დ ე დ ა	552
შემოდგომის ძღვენი	552
მერცხლები მოფრინდნენ	553
ორი ბიჭის ამბავი	553
გრიგოლ იმედაძე (ბიოგრაფია)	561
მეხვალია	561
ტრაბახა	562
სათოვლია	563
ბაღი და ბავშვები	566
ოსეფ ნონეშვილი (ბიოგრაფია)	567
მეც ხომ უკვე მოწაფე ვარ	567
გამარჯვების დიდი დროშა	568
გაზაფხული	568
ბავშვები და შემოდგომა	569
ხარაჩოები	569
სოფელი გორკა (პოემა)	570
ვახტანგ გორგანელი (ბიოგრაფია)	575
სალამი, პირველო მაისო!	575
ქარხანაში	576
გზა ვერხვებით დაამშვენეს	578

ივანე ურჯუმელაშვილი (ბიოგრაფია) 577
სუეროველები (შემოკლებით) 577
ზაქარია შერაზადიშვილი (ბიოგრაფია) 597
არ მიიღეს მაინც 597
ერთმანეთში ურევს 598
ენძელას ნათქვამი 598
კუნტრუშა . 598
გაფრენილი ჩიტის გადაღებაც ვიცით 599
ჯარისკაცი 599
გ მ ი რ ი 599
მაღაროელი 600
ნერმან ლებანიძე (ბიოგრაფია) 601
მშვიდობა უნდათ ბავშვებს 601
ბალადა პატარა წითელფლოტელზე 602
სიმღერა მასწავლებლებზე 603
ზაზა მესხი (ნაწყვეტი) . 603
გიორგი სალუქვაძე (ბიოგრაფია) 619
მზევინარი 619
ჩემს მასწავლებელს 620
მ ა ი ა 621
რა ყვავილია 621
მშვიდობის წელი 622
დედისადმი 622
თამარ ჭელიძე (ბიოგრაფია) 623
თამარ მეფის საფლავი . 623
ლეგენდარული ჩანთა (შემოკლებით) 625
ფეიმურაზ ჯანგულაშვილი (ბიოგრაფია) 629
ყ ა ყ ა ჩ ო . . 629
დადგა თბილი გაზაფხული 629
მშვიდობის პური 630
რ თ ვ ე ლ ი 630
თუთა და ბალი 630
ქ ა რ გ ა 631
მ წ ყ ე მ ს ი . 631
დღეს ხმა მისცეს 631
მეზღვაურის ვაჟიშვილი 632
ხუტა ბერულავა (ბიოგრაფია) 633
გაცილება სკოლაში 633
ლია სცენაზე 634
ზაზას ცხენი . 634
ძმა დათას მეგობრები 636

შეცდომის გასწორება

გვ. 33 ზემოდან მე-5 სტ. ი კ ი თ ხ ე ბ ა: ხელი ნატვრისათვის და გამოიქცე, რაც ძალი და ღონე გაქვს! გველები არ უნდა შეშინდე...

უ ნ დ ა ი კ ი თ ხ ე ბ ო დ ე ს: ხელი ნატვრისათვის და გამოიქცე, რაც ძალი და ღონე გაქვს! გველები მალე გაიგებენ, რომ მოტყუვდნენ, და სისინით გამოგედევნებიან! შენ არ უნდა შეშინდე...